

ფერდინანდ დე სოსიურის (1857-1913), როგორც თანამედროვე ლინგვისტიკისა და სტრუქტურალიზმის დამაარსებლის მნიშვნელობა უკავშირდება “ზოგადი ენათმეცნიერების კურსის” (Cours de linguistique générale) 1916 წლის გამოცემას. მანამდე სოსიური ითვლებოდა ისეთ თეორეტიკოსად, რომელმაც თეორიული სწავლება კი შეიმუშავა, მაგრამ საკუთარი წიგნი არ დაუტოვებია. მის 9000 გვერდიან მემკვიდრეობაში მოიძებნება სრულიად განსხვავებული თემებისადმი მიძღვნილი ტექსტები, რომელთაც პირველად აქ მოვუყარეთ თავი. იგი მოიცავს როგორც სოსიურისეულ საყოველთაოდ ცნობილ დიქტომიებს, ასევე მისი თეორიის აქამდე უცნობ ისეთ ასპექტებს, როგორიცაა ლინგვისტიკის ენობრივი თუ შემეცნებით-თეორიული საკვანძო პრობლემები. ასე იქმნება სოსიურისეული აზროვნების ყოვლისმომცველი სურათი, რომლის უკანა პლანზეც უკვე ნათლად იკვეთება პოსტსტრუქტურალისტურ და დეკონსტრუქტივისტულ ჩანასახთა მკაფიო კონტურები.

იოჰანეს ფეერი კითხულობს ენის თეორიას ციურიხის შვეიცარულ ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში.

ფერდინანდ დე სოსიური

ლინგვისტიკა და სემიოლოგია

ჩანაწერები მემკვიდრეობიდან
ტექსტები, წერილები და დოკუმენტები

შეკრიბა, თარგმნა და შესავალი დაურთო იოჰანეს ფეერმა

Ferdinand de Saussure
Linguistik und Semiologie
Notizen aus dem Nachlaß
Texte, Briefe und Dokumente
suhrkamp taschenbuch wissenschaft

გამომცემლობა PEG

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გამომცემლობა PEG
ჭანტურიას 8, 1008 თბილისი, საქართველო

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
კოსტავას 5, 0108 თბილისი, საქართველო

ISBN 978-9941-0-2445-0

პირველი გამოცემა 2010

© Suhrkamp Verlag Frankfurt am Main 1997

© გამომცემლობა PEG 2010

მთარგმნელები:
ვენერა კავთიაშვილი
ნინო პოპიაშვილი
შორენა შამანაძე

რედაქტორები:
თინათინ ბოლქვაძე
ირმა რატიანი
გაბა ლომიძე

წიგნი გამოცემა განხორციელდა შვეიცარიული ფონდის ProHelvetia-ს
ფინანსური მხარდაჭერით.

swiss arts council
prohelvetia

მთარგმნელმა შორენა შამანაძემ Robert Bosch Stiftung მიიღო და წიგნის
თარგმანზე გერმანიის ქალაქ შტრალენში მუშაობდა.

Stiftung

PEG Verlag
8 Tschanturia Str., 1008 Tbilissi, Georgien

Schota Rustaweli Institut für Georgische Literatur
5 Kostawa Str., 1008 Tbilissi, Georgien

ISBN 978-9941-0-2445-0

Erste Auslage 2010

© Suhrkamp Verlag Frankfurt am Main 1997

© PEG Verlag 2010

Übersetzer:

Wenera Kawtiaschwili

Nino Popiaschwili

Schorena Schamanadse

Redakteuren:

Tinatin Bolkvadse

Irma Ratiani

Gaga Lomidse

Die Herausgabe dieses Buches wurde durch finanzielle Unterstützung der Schweizerischen Stiftung **ProHelvetia möglich.**

swiss arts council

prohelvetia

Die Übersetzerin Schorena Schamanadse hat während der Arbeit an diesem Buch ein Aufenthaltsstipendium der **Robert Bosch Stiftung in Straelen bekommen.**

Stiftung

სარჩევი

შესავალი.....9

ნაწილი პირველი
სოსიური: ლინგვისტიკასა და სემიოლოგიას შორის
შესავალი კომენტარი

A. წინასწარი სამზადისი.....12

I. "საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინოლოგიის აბსოლუტური უმნიშვნელობა" – სოსიურის ეჭვები.....12

II. "ოსტატის სიკვდილის შემდეგ" გამომცემელთა მოქმედების წესი.....18

III. "იდუმალების საბურველი" – წაკითხვის აუცილებლობა კითხვის საზღვრები.....26

B. ენები.....37

IV. ენა და ენა.....37

V. ერთი და მრავალი.....49

VI. ენის(ების) ცირკულაცია.....61

G. ნიშნები.....76

VII. ნიშანთა თეორიის განსაკუთრებული შემთხვევა.....76

VIII. სიმბოლოს სრულიად ახალი მხარე.....90

IX. ხმოვანთა ფერები.....106

D. კონტურები.....129

X. გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი.....129

XI. ვინ საუბრობს?136

მეორე ნაწილი
ფერდინანდ დე სოსიურის ტექსტები

E. სარედაქციო მითითებები და ტექსტის კრიტიკული ნიშნები.....146

F. ფაქსიმილე, ტრანსკრიფცია და ხელნაწერის ამონარიდის თარგმანი.....148

G. ჩანაწერები სოსიურის მემკვიდრეობიდან.....152

I. ჩანაწერები ზოგადი ენათმეცნიერებისათვის.....152

№ 1.1, № 1.2, № 1.3 „ჩანაწერები ჟენევის სადებიუტო ლექციისათვის, ნოემბერი, 1891“.....152

№ 1.1 „პირველი საათი“.....152

№ 1.2 „მეორე ლექცია“.....164

№ 1.3 „მესამე ლექცია“.....170

№1.4 „შედარებითი გრამატიკა“.....178

№ 2 „შედარებითი გრამატიკა“.....179

№ 3 „ლიტერატურა, ფილოლოგია, ენათმეცნიერება.....180

№ 4 „ფონეტიკური ფაქტი“.....181

№ 5 „ფონოლოგია“.....181

№ 5ა „ფონოლოგია“.....182

№ 6 „ენის ნიშნები“.....182

№ 7 „მორფოლოგია“.....184

№ 8	"მეცნიერულ გრამატიკათა დაყოფა".....	191
№ 9.1. 9.2. 9. 3	"ჩანაწერები წიგნისათვის ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ".....	192
№ 9.2.	"თვალთახედვა".....	195
№ 9. 3	"შედარება ენასთან".....	196
№ 10	"ჩანაწერები უითნისადმი მიძღვნილი სტატიისათვის".....	197
№ 11, № 12	"Status et motus. ჩანაწერები წიგნისათვის ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ".....	216
№ 11	"Status et motus".....	216
№ 12	მდგომარეობა და მოვლენა.....	217
№ 13. N 13 a	225
№ 13	"სხვა აღარავითარი ფიგურა!".....	225
№ 13a	"მარტივი გამონათქვამი".....	227
№ 14	"არტიკულაციის შესახებ"	227
№ 14a	"იმპლოზია + იმპლოზია".....	228
№ 14b	"დამარცვლის თეორია".....	229
№ 15	»Item«.....	234
№ 16	»რეალურად არსებული ობიექტები.....	250
№ 17	»რეალურად არსებული ობიექტების რეფლექსიები«.....	250
№ 18	»ფიზიოლოგიის ანატომია«.....	250
№ 19	»აფორიზმები«.....	251
№ 21	»ა. სეშეს თეორიული ლინგვისტიკის მეთოდების პროგრამის შესახებ ჩანაწერები«.....	252
№ 22.1	»ჩანაწერები Course II-ის ორობითობების შესახებ«.....	255
№ 23.1-7	»ჩანაწერები Course III-ის შესახებ«.....	256
№ 23.1.	»ლექციის შესავალი და გეოგრაფიული ენათმეცნიერება«.....	256
№ 23.3	»ნომენკლატურა«.....	260
№ 23.4	»რეალურად არსებული ობიექტები და მისი შემადგენელი ნაწილები«.....	261
№ 23.5	»სიტყვა "ტერმინის" მნიშვნელობა«.....	261
№ 23.6	»ნიშნების ცვლილების აუცილებლობა: სინქრონია და დიაქრონია«.....	263
№ 23.7	»ენობრივი ფასეულობა«.....	268
№ 24a	»სემიოლოგია«.....	269
№	ფონოლოგია.....	273
II.	გაბნეული ფრაგმენტები.....	275
	Unde exsoriar.....	275
	„გაჯიუტება არ არის საჭირო“.....	276
	„ჩანაწერი დისკურსისათვის“.....	277
III.	გერმანული ლექსების შესახებ ჩანაწერებიდან.....	278
IV.	ნაწვევები „ანაგრამების შესახებ გამოკვლევებიდან“.....	291
H.	თეოდორ ფლურნუას მიერ გამოქვეყნებული ტექსტები.....	320
	V. „ფერადი სმენის თაობაზე გამოკითხვის პასუხი“.....	320
	VI. „ქალბატონ სმითის ინდური ენა“.....	322

I. უენეზური ლექციების სტენოგრაფიული ჩანაწერები.....	334
VII. მეორე კურსის ა. რიდლინგერის მიერ შესრულებული სტენოგრაფიული ჩანაწერები.....	334
VIII. III კურსისათვის ჟ. დეგალიეს სტენოგრაფიული ჩანაწერიდან.....	340
J. წერილები და დოკუმენტები.....	344
IX. წერილი.....	344
X. დოკუმენტები.....	349
ალბერ რიდლინგერი.....	349
ლეოპოლდ გუტიე.....	351
ანრი ოდიე.....	352
ალბერ კუნი.....	353
პაულ ფ. რეგარი.....	353
შარლ ბალი.....	355

**ნაწილი მესამე
დანართი**

K. ძირითადი თარიღები ფერდინანდ დე სოსიურის ბიოგრაფიიდან 1857 წლის 26 ნოემბრიდან 1913 წლის 22 თებერვლამდე.....	357
L. ბიბლიოგრაფია.....	371
I. ფერდინანდ დე სოსიურის ნაწერები და ბიოგრაფიული დოკუმენტები.....	371
1. 1877-1913 წწ პუბლიკაციები.....	371
2. სიკვდილის შემდგომი პუბლიკაციები.....	375
3. სოსიურის წერილებისა და ამონარიდების ჩამონათვალი.....	379
4. დოკუმენტები.....	382
II. მოკლე თემატური ბიბლიოგრაფიები.....	384
1. ენათმეცნიერება მე-19 და მე-20 საუკუნეებში.....	384
2. "უენევის სკოლა".....	384
3. ზოგადი ენათმეცნიერების კურსი.....	384
4. სემიოლოგია და სემიოტიკა.....	385
5. სოსიურის ლეგენდების კვლევა.....	385
6. ანაგრამების კვლევა.....	385
7. თეოდორ ფლურნუა – ფსიქოლოგია და ლინგვისტიკა, დაახლ. 1900 წ.....	385
8. სტრუქტურალიზმის ისტორია და თეორია.....	385
9. ენის თეორია.....	385
10. მეცნიერების ისტორია.....	385
III. გამოყენებული ლიტერატურა.....	386
IV. ბიბლიოგრაფიული მასალები.....	397
V. შემოკლებები და ბიბლიოგრაფიული.....	398
M. მითითებები ეპიგრაფებზე.....	400
N. სახელთა საძიებელი.....	401
O. სამადლობელი.....	406

წარმართე კვლევა ისე,
თითქოს საკუთარი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ
მოქმედებდე და ამ გზით შეიქმენი საუკეთესო
შესაძლებლობა შენივე ეჭვების გამოსათქმელად.

ფ. დე ს.

შესავალი

წიგნი ასეთი დასახელებით – „ლინგვისტიკა და სემიოლოგია“ ფერდინანდ დე სოსიურს არასდროს დაუწერია. თუმცა მისი დისერტაციის გამოსვლის შემდეგ, რომელიც მეცნიერის სიცოცხლეში დაბეჭდილ წიგნთაგან მეორე და უკანასკნელი იყო, იგი დაუღალავად განაგრძობდა კვლევას და წერას ბოლომდე, ანუ 1913 წლის 33 თებერვლამდე. მცირე ნაწილი გამოქვეყნებულია სტატიებისა და მოკლე შენიშვნების სახით, მაგრამ მის მემკვიდრეობას შეადგენს თითქმის 9000 ფურცელი ჩანაწერების, მონახაზების, წერილებისა და დოკუმენტებისა და გასაოცარია ამ მემკვიდრეობის არა მხოლოდ მოცულობა, არამედ ამ ხელნაწერთა მხოლოდ მესამედი თუ ეძღვნება იმას, რაც საყოველთაოდ ლინგვისტიკად იწოდება. მათ გარდა მოიძებნება უამრავი ჩანაწერი, რომლებშიც განხილულია როგორც ლექსმცოდნეობისა თუ ინდოევროპულ პოეტიკაში ბგერათა გამეორებადობის სწავლების (ე.წ. ანაგრამული პოეტიკის), ასევე ნიბელუნგების სიმღერის წარმოშობის ისტორიის საკითხები.

თუკი სამოციან და სამოცდაათიან წლებში საფრანგეთში გამოქვეყნებული ნაწევრები სოსიურის “ანაგრამული სწავლებანი“-დან ასე თუ ისე მაინც ჩაითვადა მოვლენად, რაც სათანადოდ აისახა კიდევ გერმანულენოვან პუბლიკაციებშიც, რატომღაც სოსიურის „ნიბელუნგების სიმღერისადმი“ მიძღვნილი შრომების შთამბეჭდავი მოცულობის კრებული 1986 წლის იტალიური გამოცემა როგორღაც თითქმის შეუმჩნეველი დარჩა გერმანელი მკითხველისათვის. გერმანულენოვან სამყაროში ხომ სოსიურის ის გამოკვლევებიც კი მიივიწყეს, რომლებიც საერთოდ პირველად გამოვიდა გერმანულ ენაზე: ეს იყო მისი სტატიები, მიძღვნილი 1914 წელს ლაიპციგში, მაინერთან დაბეჭდილი თეოდორ ფლურნუას მონოგრაფიისადმი – „უენეველი ნათელმხილველი. რელიგიის, ქვეცნობიერის და ენის ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილი ექსპერიმენტული კვლევები“. არადა, მეცნიერების ისტორიის თვალსაზრისით, ეს შრომები ნამდვილად მნიშვნელოვანი დოკუმენტია. ერთიანობაში ისინი ათვალსაჩინოებენ სოსიურის მცდელობას, მიმოიხილოს ლინგვისტიკის ძირითადი პრობლემეტიკა სემიოლოგიის ჭრილში, რაც საკმაოდ უჩვეულო და საინტერესო პერსპექტივაა ენის თეორიის თვალსაზრისით.

წინმდებარე წიგნის მიზანია ხელმისაწვდომი გახადოს სოსიურის მემკვიდრეობა მთელი თავისი მომხიბვლელი მრავალშრიანობით და ამით თავისი წვლილი შეიტანოს საუკუნის ენათმეცნიერისა და თეორეტიკოსის ნააზრვეის უფრო ღრმა აღქმაში. წიგნი აღჭურვილია კომენტარებით, რომლებშიც გადმოცემულია ტექსტის მთავარი აზრი, აგრეთვე ახლავს მოცულობითი ბიბლიოგრაფიული დანართი, ძირითად ნაწილში კი თავმოყრილია სოსიურის ენათმეცნიერული თუ სხვა სახის ხელნაწერთა და დოკუმენტთა უაღრესად ფართო არჩევანი. – თუმცა, ერთის გარდა ყველა თარგმნილი ტექსტი უკვე გამოქვეყნებულია ფრანგულ ენაზე, ამ წიგნის საშუალებით იმ სახით შევდივართ სოსიურის მემკვიდრეობაში, ჯერ რომ არსად მომხდარა: ნაცვლად იმისა, რომ ჩვეულებისამებრ ენათმეცნიერული ტექსტები სხვა სახის ტექსტებისაგან გამოცალკეებული და სხვაგვარად განხილული იქნას, წიგნის მთავარი მიზანია, თვალსაჩინო გახადოს განსხვავებულ ნაშრომთა შინაგანი კონტექსტი, შინაარსობრივი თუ დროითი თანაარსებობა. უპირველეს ყოვლისა კი აღსანიშნავია, რომ თარგმნის შედეგად ცალკეული ხელნაწერი (უმეტესად) სრულყოფილი სახით და აწინდელი რედაქციით წარმოგვიდგება და

კარგი შესაძლებლობა იქმნება მათი აგებულებისა თუ თემატური განვითარების გამოსაკვლევადა. მიზეზთა და მიზეზთა გამო, რომელთა შესახებ საუბარი ნამდვილად ღირს, სოსიურის მემკვიდრეობაში არსებული ხელნაწერები საკმაოდ ფრაგმენტულია: დაუმთავრებელი წიგნის მონახაზები, ლექციებისთვის გაკეთებული ჩანაწერები, მოკლე შენიშვნები მოხსენებისა თუ სტატიებისათვის და სხვ. ხშირია შუა წინადადებაში აზრის გაწყვეტა, გადახაზვა და ზემოდან დამატებებისა თუ კორექტურების დაწერა. ეს, ერთი მხრივ, საინტერესოს ხდის კითხვის (თუ თარგმნის) პროცესს, თუმცა გარკვეულწილად საკმაოდ ართულებს კიდევც. ყველანაირად შევეცადე, წინამდებარე თარგმანში პატივი მიმეგო სოსიურისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი დაუსრულებლობისათვის.

ამის საპირისპიროდ სრულიად მიზანშეწონილად მივიჩნით ტექსტებისთვის ისეთი კომენტარის დართვა, რომელიც მოახდენდა ფრაგმენტთა შორის არსებული სისტემატური კავშირების დადგენას და თავმოყრას როგორც თავად წიგნთან Cours de linguistique générale თუ შემდეგ მასთან დაკავშირებულ ლინგვისტურ თეორიებთან, ასევე მეცნიერულ-ისტორიულ კონტექსტთან მიმართებაში. – დანართში ნაჩვენებია ქრონოლოგიური კავშირები სოსიურის ხელნაწერებსა და წერილებს, გამოქვეყნებულ შრომებსა და ლექციებს შორის. ამას მოჰყვება მის სიცოცხლეში თუ სიკვდილის შემდგომ გამოქვეყნებული ტექსტებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული. ბოლოს კი მოცემულია იმ ლიტერატურის ვრცელი სია, რომლის მეშვეობითაც უფრო გაიოლდება ამ წიგნში განხილული თემების გაგება.

იმ უამრავ ადამიანს, რომელმაც თავისი დაინტერესებით, რჩევით, მხარდაჭერით, აგრეთვე ფინანსურადაც თავისი წვლილი შეიტანა ამ წიგნის შექმნაში, სათითაოდ ვასახელებ წიგნის ბოლოში. – წიგნს ვუძღვნი შარლოტე იაკობს, ჩემს მეუღლეს, რომლის მოთმინებისა და მზრუნველ-კრიტიკული ყურადღების გარეშეც არაფერი გამომივიდოდა.

ერლენბახი, 1995 წლის მარტი
იოჰანეს ფეერი

ნაწილი პირველი

სოსიური: ლინგვისტიკასა და სემიოლოგიას შორის
შესავალი კომენტარი

A.
წინასწარი სამზადისი

თქვენ თვითონვე მშვენივრად დაინახავდით და იმაზე მეტადაც, ვიდრე მე შევძელი თქვენთვის ამის თქმა, რომ პირველ რიგში უნდა აღიჭურვო რაიმე სახის რწმენით, იქნება ეს რწმენა მთლიანობის ალბათობისა თუ "რაიმეს" უტყუარობისადმი.

1908 წლის 29 ოქტომბერი
ლეოპოლდ გოტიესადმი მიწერილი ბარათიდან

I. "საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინოლოგიის აბსოლუტური უმნიშვნელობა" – სოსიურის ეჭვები

1894 წლის 4 იანვრით დათარიღებულ წერილში სოსიური თავის ყოფილ მოწაფესა და თანამოაზრეს პარიზის სკოლიდან Ecole des hautes Etudes შემდეგ დრამატულ სტრიქონებს წერს:

ფრიად შეშფოთებული ვარ ყველაფერი ამით და პირველ რიგში კი იმ საყოველთაო სიძნელით, რაც დაკავშირებულია ენობრივ პრობლემებთან – შეუძლებელია, ათი სტრიქონი მაინც დაწერო ისე, რომ გასაგები იყოს. უკვე რამდენი ხანია დაკავებული ვარ ამ პრობლემების კლასიფიკაციით, იმ თვალსაზრისთა კლასიფიკაციით, რომელთა მიხედვითაც ხდება ამ პრობლემების განხილვა და სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, თუ რა უზარმაზარი სამუშაოა ჩასატარებელი, რათა დავანახოთ ლინგვისტს ის, რასაც იგი აკეთებს; ყოველ ოპერაციას როგორ უძებნის წინასწარ გათვალისწინებულ კატეგორიას; ამასთანავე იმ ყველაფრის ამოებასაც კარგად ვამჩნევ, რისი გაკეთებაც საერთოდ შეუძლებელია ლინგვისტიკაში.

ბოლოს და ბოლოს, მე ხომ მხოლოდ ენის მხატვრული მხარე მაინტერესებს, ანუ ის, რითაც იგი განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან, ის ხომ მხოლოდ რომელიმე ერთ განსაზღვრულ ხალხსა თუ განსაზღვრულ წარმომავლობას განეკუთვნება. ეს თითქმის ეთნოგრაფიული ასპექტი წარმოადგენს სწორედ ჩემი ინტერესის საგანს: უფრო ზუსტად კი ის სიამოვნების განცდა გახდა ჩემთვის შეუძლებელი, რაც თან სდევს ამგვარ კვლევებს, ანუ ფარული განზრახვის გარეშე რომ ტკბები იმ უნიკალური შემთხვევით, რაც უკავშირდება ერთ რომელიმე განსაზღვრულ სფეროს; სწორედ ეს სიამოვნება დამაკლდა ყველაზე მეტად.

საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინოლოგიის აბსოლუტური უმნიშვნელობა, ისეთი რეფორმის აუცილებლობა, რომელმაც უნდა აჩვენოს, თუ როგორ საგანს წარმოადგენს ენა ზოგადად, მიფუჭებს ხოლმე მუდმივად ისტორიულ სიამოვნებას, თუმცა იმაზე მეტად არც არაფერს ვნატრობ, რომ ზოგადად ენასთან არაფერი მქონდეს სადავო და საკამათო.

ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ, ეს ყველაფერი დასრულდება წიგნით, რომელშიც ყოველგვარი ენთუზიაზმისა და მონდომების გარეშე შეეცდები ავსხნა, თუ რატომ არ არსებობს ლინგვისტიკაში თუნდაც ერთი ისეთი ცნება, რომელსაც მე მნიშვნელოვნად მივიჩნევდი. ვაღიარებ, რომ მხოლოდ ამის მერე შევძლებდი ჩემი სამუშაოს იმ ადგილიდან გაგრძელებას, სადაც გავწყვიტე.¹

¹ Cf. Saussure: "Lettres à Antoine Meillet", გამომცემელი ე. ბენვენისტი, პერიოდულ გამოცემაში *Cahiers Ferdinand de Saussure* "ფერდინანდ დე სოსიურის დღიურები" [CFS] 21, 1964. [შემდგომში ციტირება მოხდება შემდეგნაირად: LAM; ჩემს მიერ გერმანულად თარგმნილი უცხოენოვანი ტექსტების პასაჟების აღვლადებარეობის მითითებას წინ დაერთვის ნიშანი >Cf<], გვ.95.

ცნობილია, რომ სოსიურს ეს წიგნი არასოდეს დაუწერია. ამის მიუხედავად, ამ წერილის დაწერიდან ოცდაორი და სიკვდილიდან სამი წლის შემდეგ მისი სახელით გამოვიდა წიგნი, რომელსაც ჰქვია Cours de linguistique générale²; წიგნი, რომელიც ცდილობს >ლინგვისტს უჩვენოს, თუ რას აკეთებს იგი³; წიგნი, რომელიც ზუსტად იმას ეხება, რის შესახებაც იყო ლაპარაკი წერილში: კერძოდ, >ზოგადად ენას<.

ყველამ იცის, რომ ეს Cours-ი არის სოსიურისეული სწავლების რეკონსტრუქცია და პირველ რიგში ეყრდნობა ჟენევაში წაკითხული სამი ლექციის კონსპექტებს ზოგადი ენათმეცნიერების⁴ შესახებ, აგრეთვე სოსიურის მემკვიდრეობიდან იმ პირად ჩანაწერებს, რომლებიც ამ თემასთან არიან კავშირში. ამ Cours⁵-ის გამომცემლები და, პირდაპირ თუ ვიტყვიით, ავტორები – შარლ ბალი და ალბერ სეშე, რომელთაც თავად არ მოუსმენიათ ეს ლექციები, შესავალში აღნიშნავენ – შესანიშნავად ესმით, რომ "ავტორი [...] ნამდვილად იქნებოდა ამ გვერდის გამოქვეყნების წინააღმდეგი".⁶

მაგრამ ავტორის ნების საწინააღმდეგოდ, ყველა ამ ფაქტობრივი თუ სავარაუდო ორჭოფობის მიუხედავად, ეს წიგნი მაინც იქცა "მეოცე საუკუნის ალბათ ყველაზე ციტირებად ენათმეცნიერულ ნაშრომად".⁷ ამ Cours-ის საფუძველზე დაიწყო შემდგომი კვლევა სოსიურმა, რომელიც თავისი თანამედროვეებისათვის "სახელგანთქმული ინდოგერმანისტი [იყო], რომელმაც უკვე 21 წლის ასაკში წარმოადგინა თავისი მთავარი ნაშრომი, გამოკვლევა წინარე ინდოგერმანულ ხმოვანთა შესახებ"⁸, და მოელი მისი ცხოვრების მანძილზე მართლაც რომ განსაცვიფრებელ როლს თამაშობდა:

თუკი აუცილებელია, რომ რომელიმე პიროვნება დასახელდეს თანამედროვე ენათმეცნიერების დამაარსებლად, ეს იქნება დიდი შვეიცარიელი მეცნიერი ფერდინანდ დე სოსიური [...]. დღესდღეობით ბევრი ლინგვისტური სკოლა არსებობს, მაგრამ ყოველი მათგანი, პირდაპირ თუ ირიბად, განიცდის სოსიურის Cours-ის ზეგავლენას.⁹

სოსიური, რომელსაც 1878 წელს გამოსული Mémoire-ის შემდეგ რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი რაიმე ნაშრომიც¹⁰ კი აღარ გამოუქვეყნებია, სიკვდი-

2 აქ ციტირებული სოსიურის შრომების ზუსტი ბიბლიოგრაფიული მონაცემები, აგრეთვე შემდგომში გამოყენებული შემოკლებების სია იხ. დანართში, 551 გვერდიდან, შესაბამისად გვ. 595.

3 ამ ნიშნით გამოყოფილი სიტყვები და სიტყვათა ჯგუფები მიეკუთვნება ციტირებულ ტექსტებს, მაგრამ ნაწილობრივ შეცვლილია მათი სინტაქსური წყობა.

4 კერძოდ: 1906-1907: linguistique générale, Cours I; 1908-1909: linguistique générale, Cours II; 19010-1911: linguistique générale, Cours III.

5 შეაღ. R. Engler: "Die Verfasser des CLG" პ. შმიტერის მიერ გამოცემულ წიგნში "ენათმეცნიერების ისტორიის დაწერის თეორიისა და მეთოდისათვის. ანალიზი და რეფლექსიები", ტიუბინგენი 1987, გვ. 141-161

6 Ch. Bally და A. Sechehaye: წინასიტყვაობა წიგნის Cours de linguistique générale პირველი გამოცემისათვის, 1916, გამოცემაში: GRF, გვ. XI და CLG/D, გვ. 11 [შემდეგში ციტირებული იქნება ასე: შესავალი 1916]. შეაღ. ჩ. ბელის 1913 წლის 29 მაისის წერილი. შეილესადმი, წიგნში: R. Amacker/Bouquet (გამომცემელი): "Correspondance Bally-Meillet (1906-1932)", ჟურნალში: CFS 43, 1989 (1990), გვ. 102 f.

7 Cf. W. Manczak: "Critique du structuralisme", in Folia linguistica 3, 1969, გვ. 176f. თავის სტატიაში "Lq théorie squassurienne en rétrospection" რ. იაკობსონი წერს: სოსიურის ჩოურს-ი არის გენიალური ნაწარმოები და უადრესად მნიშვნელოვანია თვით მისი გადაცდომები და შეუთანხმებლობებიც კი. ჩვენი საუკუნის არც ერთ სხვა წიგნს არ მოუხდენია ასეთი ფართო და ღრმა ზეგავლენა საერთაშორისო ლინგვისტიკაზე" (cf. Linguistics 22, 1984, გვ. 165).

8 T. M. Scheerer: Ferdinand de Saussure, დარმშტატი 1980, გვ. XI; შევერტი ეყრდნობა სოსიურის Mémoire le système pri, itif des voyelles dans les langues indo) européennes, ლაიფციგი, 1879 [1878], in: REC, გვ. 1-168.

9 J. I. Yons: თანამედროვე ლინგვისტიკის შესავალი, მოუნჯენი 1971, გვ. 39.

10 შეაღრ. ამასთან დაკავშირებით Umrise, გვ. 201 ff.

ლის შემდეგ აღიარეს მთელი მეცნიერული მიმდინარეობის, თუ ახალი მეცნიერების დამაარსებლად და მამამთავრად:

ფერდინანდ დე სოსიური არის თანამედროვე ლინგვისტიკის მამამთავარი, იგი არის ადამიანი, რომელმაც მოახდინა ენის და ენათა შემსწავლელი მეცნიერების იმგვარი რეორგანიზაცია და შესაძლებელი გახადა მეოცე საუკუნის ლინგვისტიკის მონაპოვართან ზიარება¹¹.

მაგრამ ეს ყველაფერი არ არის: ორმოცდაათიანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული, განსაკუთრებით საფრანგეთში, სოსიურს მოიხმობენ ხოლმე განსხვავებული ჰუმანიტარულ თუ ანთროპოსოფიულ მეცნიერებათა წარმომადგენლები, რათა საკუთარ თავს განსხვავებული მეცნიერული სტატუსი მიანიჭონ:

ჩვენ სულაც არ გვეხამუშება სოსიურის მოხსენიება დიდ ფილოსოფოსთა შორის. თუკი საქმე მართლა ეხება იმას, რომ ამ მიმოხილვაში შევიყვანოთ ისინი, რომელთა ნააზრევმა, თუნდაც დასაწყისში უადრესად სპეციალიზირებულმა, რაიმე კვალი დაამჩნია აზრის ისტორიას, მაშინ ეს ადამიანი ზუსტად თავის ადგილზე ყოფილა; ადამიანი, რომელმაც, მართალია მოგვიანებით, მაგრამ მაინც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ისეთი მოაზროვნეთა ქცევაზე, როგორებიც არიან: მერლო-პონტი, ლევი-სტროსი, ანრი ლეფევერი, როლან ბარტი, ლაკანი, მიშელ ფუკო და გაამდიდრა ისინი, მათი მეშვეობით კი მთელი დღევანდელი ჰუმანიტარული მეცნიერება [sciences humaines].¹²

სოსიურის მნიშვნელობის გ. მონინისეულ შეფასებას მის მიერ დასახელებული ავტორებიც ადასტურებენ. ასე, მაგალითად, კოლეჯში Colège de France თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებულ ლექციაზე კლოდ ლევი-სტროსი ამტკიცებს:

მასაშადამე, რა არის სოციალური ანთროპოლოგია? მჩვენება, რომ არავინ არ ყოფილა ისე ახლოს მის დეფინიციასთან, თუნდაც ზედაპირულთან, როგორც ფერდინანდ დე სოსიური, როცა მან ლინგვისტიკა წარმოადგინა როგორც ჩამოსაყალიბებელი მეცნიერების ნაწილი და ამ მეცნიერებას უწოდა სემიოლოგია და მას შესწავლის საგნად სოციალური ცხოვრების წიაღში ნიშანთა სიცოცხლის გამოკვლევა დაუხასა.¹³

ფსიქოანალიტიკოს ჟაკ ლაკანის ნაშრომიც რომ ავიღოთ, იგი სავსეა სოსიურის მნიშვნელობაზე მითითებებით.¹⁴ უფრო მეტიც: ახლებური ფსიქოანალიტიკური თეორიის დამკვიდრების მცდელობისას სწორედ ის ცნებები თამაშობენ ცენტრალურ როლს, რომლებიც Cours-იდან მომდინარეობენ. ასე, მაგალითად, ფსიქოზებისადმი მიძღვნილ ლაკანის სემინარში ვკითხულობთ:

ადმინიშნელის და აღნიშნულის საფუძვლად თუ არ დავსახავთ წყვილადობას, მაშინ შეუძლებელი იქნება ფსიქოანალიტიკური დეტერმინიზმის აღქმა.¹⁵

¹¹ Cf. J.Guller: *Saussure*, 1976, გვ.7.
¹² Cf. G.Mounin: *Saussure ou le structuralisme sans le savoir*, პარიზი 1968; გვ 9; შეადრ. აგრეთვე J. C. Milner: "Retour à Saussure" (in: *Lettres sur tous les sujets* 12, 1994, გვ. 3-19), რომელიც Cours-ს ახასიათებს, როგორც "un classique de la culture" (გვ.3).
¹³ Cf. Cl. Lévi-Strauss: "Le champ de l'anthropologie" in: ders., *Anthropologie structurale deux*, პარიზი 1973, გვ. 18. ამასთან დაკავშირებით მოხსენიების ღირსია აგრეთვე ა. ჯ. გრემისის "სოსიურიზმის აქტუალობა" (A.J. Greimas "L'actualité du saussurisme"), რომელშიც იგი მიუთითებს იმაზე, რომ ლევი-სტროსის შრომებმა ფრანგ ლინგვისტთა გარკვეულ ნაწილს სტიმული მისცა სოსიურის თავიდან აღმოსაჩენად. შეადრ.: *Le français moderne* 24, 1956, გვ. 191 ff.
¹⁴ იხ. J. Lacan: *Ecrits*, პარიზი 1966, გვ. 446f., 467, 497, 502f., 594, 623; ან: Lacan: "Radiophonie", in: *Scilicet* 2/3, პარიზი 1970, 55ff.
¹⁵ Cf. Lacan: *Les psychoses. Le séminaire III*, პარიზი 1918, გვ.136.

Cours-ის გავრცელების კვალდაკვალ, სოსიური იქცა არა მარტო >თანამედროვე ლინგვისტიკის მამამთავრად<, არამედ სხვადასხვა ანთროპოსოფიული თუ ჰუმანიტარული მეცნიერების მომცველი მოძრაობის >ფუძემდებლად<, კერძოდ კი სტრუქტურალიზმის.¹⁶ ლინგვისტიკის ისტორიის დაწერისას სოსიურის როლი შეფასებულია "კოპერნიკისეული რევოლუციის"¹⁷ დარად, ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის კი იმავე დონის მოვლენად, რასაც წარმოადგენდა გალილეი ზუსტი მეცნიერებებისათვის.¹⁸ როგორი გასაგებიც არ უნდა იყოს ეს პათოსი, როცა ფიქრობ, მაგალითად, ლევი-სტროსის გამონათქვამზე, რომელიც სოსიურის შემდგომ ლინგვისტიკაში ხედავდა ყოველი სოციალურ-პოლიტიკური ნაშრომის მოდელს და აპოგეას¹⁹, მაინც განსაკვიფრებელია ეს აღფრთოვანება, თუკი გავისხენებთ ზემოთ ხსენებულ ეჭვებსა და თავშეკავებას, რითაც სოსიური უდგებოდა ახალი ენათმეცნიერების დამკვიდრებას. ამ ეჭვმა, ალბათ, იმაში პოვა თავის გამოძახილი, რომ დღესდღეობით, (ფრანგული) სტრუქტურალიზმის ზეობის ოცდაათ წლისთავზე, ეჭვქვეშ არის დაყენებული სტრუქტურალური ლინგვისტიკის, როგორც მოდელის, სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის²⁰ ვარჯისიანო-

¹⁶ რა თქმა უნდა, ეს საერთო დასახელება ამკვიდრებს ისეთ ერთეულს, რომელიც ისტორიულად უნდა იქნას დიფერენცირებული. აქვე და შემდგომშიც ჩვენ შევხვებით მხოლოდ ფრანგულ სტრუქტურალიზმს. სოსიურის სიკვდილის შემდგომში მამამთავრობის განსაკუთრებულობას წარმოადგენს ის, რომ თავად მას დასახელება სტრუქტურალიზმი არასოდეს გამოუყენებია. უფრო რ. იაკობსონმა შემოიღო ეს ტერმინი, ისიც მხოლოდ 1929 წელს და შემდგომში გავრცელება პპოკა პრადის ლინგვისტური წრის (Cercle linguistique de Prague) მეშვეობით. აქვე ხისრულისათვის შეადრ. ე. პოლენშტაინი: რომან იაკობსონის ფენომენოლოგიური სტრუქტურალიზმი, მაინის ფრანკფურტი, 1975, განსაკუთრებით კი გვ. 22ff., "სტრუქტურალისტური მიმდინარეობები XX საუკუნის დასაწყისისათვის"; საფრანგეთში არსებული მდგომარეობისათვის: მილნერი 1994, გვ. 3ff., ასევე F. Dosse, *Histoire du structuralisme, I. Le chant du cygne, 1945-1966; II. Le chant du cygne, 1967; à nos jours*, პარიზი 1991 და 1992 წწ. საგულისხმო ფაქტია, რომ დღეს ამ სათაურით მიმოიხილავს მხოლოდ ფრანგული სტრუქტურალიზმის ისტორიას. [დანართში, ერთ-ერთ თემატურად დაჯგუფებულ მოკლე ბიბლიოგრაფიაში გვ. 571ff. მოცემულია სტრუქტურალიზმის ისტორიასა და თეორიასთან დაკავშირებული სხვა ლიტერატურის მონაცემები.]

¹⁷ ასე მაგალითად, გ.ც. ლეფში (G.C. Lepschy) თავის სტატიაში "Sigmantica e linearità" წერს: იმის მიუხედავად, რომ სოსიურის ზოგი იდეა ნაკლებად დამაკმაყოფილებელი შეიძლება იყოს, ზედმეტია იმაზე ფიქრის გაფლგობაც კი, რომ შესაძლებელია სოსიურამდელ მდგომარეობაში დაბრუნება. ამასთან დაკავშირებით კოპერნიკისეულ რევოლუციაზე ლაპარაკი სხვა არაფერია, თუ არა გაცვეთილი ჭეშმარიტების ტკეპანა" (cf. *Studi e sagginguistici V*, პიზა, 1965, გვ. 21).

¹⁸ Guller 1976, გვ. 21).

¹⁹ ლევი-სტროსის პროგრამულ სტატიაში "სტრუქტურული ანალიზი ენათმეცნიერებასა და ანთროპოლოგიაში" შემდეგი რამ წერია: "ენათმეცნიერებას სოციალურ მეცნიერებათა საერთო კონტექსტში, რომელთა რიცხვსაც იგი უეჭველად მიეკუთვნება, უკავია განსაკუთრებული ადგილი: იგი სხვათა მსგავსი სოციალური მეცნიერება კი არ არის, არამედ ისეთი რამეა, რომელსაც მათზე ბევრად მეტი წარმატება აქვს მოპოვებული; იგი, უეჭველად, ერთადერთია, რომელიც საერთოდ იმსახურებს, რომ ერქვას "მეცნიერება" და რომელმაც მოახერხა ერთდროულად პოზიტიური მეთოდის ნამოყალიბებაც და მის ანალიზს დაქვემდებარებული ფაქტების ცნობაც. ამგვარ უპირატეს მდგომარეობას თავისთავად ახლავს ხოლმე გარკვეული ვალდებულებები: ენათმეცნიერი ხშირად ხდება ხოლმე მოწმე იმისა, თუ როგორ ცდილობენ მისი მომიჯნავე, თუმცა ერთმანეთისაგან განსხვავებული დარგების მეკლავარები მისგან მაგალითის აღებას და მის კვალდაკვალ ხიარულს" (პირველად გამოვიდა in: *Word. Journal of the Linguistic Circle of New York*, 1945; აქ ციტირებულია შემდეგი წიგნის მიხედვით: Lévi-Strauss: *Strukturale Anthropologie I*, Frankfurt am Mein 1967, გვ. 43).

²⁰ ფართოა იმ ლიტერატურის მოცულობა, რომელიც დაკავებულია ფრანგული სტრუქტურალიზმის კრიტიკული გადაამუშავებით. ჩვენ აქ იმით დაგვაყოფილებით, რომ მიუვითითებთ მხოლოდ რამდენიმე ნაშრომზე, რომლებშიც გამახვილებულია ყურადღება სოსიურისეული ლინგვისტიკის დიდ როლზე, კერძოდ: V. Descombes: *Grammaire d'objets en tous genres*, პარიზი 1983; Th. Pavel: *Le mirage linguistique*, პარიზი 1988; M. Cauchet: "Changement de paradigmaen sciences sociales?" და "discours, structure", in: *Le débat* 50 1988, გვ.165-170 ან გვ. 178-181. შემდეგი მონაცემები იხ. დანართში გვ. 517f.).

ბა; რომ ნაცვლად ლინგვისტური გადატრიალებისა (linguistic turn), ლაპარაკია "ლინგვისტურ მირაჟსა" თუ "ლინგვისტურ ინფლაციაზე".²¹ ამასთან დაკავშირებით ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის ფაქტი, რომ ლინგვისტო მხრიდან (მაგალითისთვის დავასახელებდით მონინს) სამოციანი წლების მიწურულისათვის უკვე გამოითქმებოდა მძაფრი კრიტიკა ლინგვისტური ცნებების სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებაში გამოყენების წინააღმდეგ.²² დღეისათვის, გარკვეულწილად, უფრო საღად ფასდება თვით სოსიურის მნიშვნელობაც ლინგვისტიკისათვის.²³ უეცრად იმ კრიტიკულ ხმებსაც მიუგდეს ყური, რომლებიც Cours-ის გამოქვეყნებისთანავე გაისმა და დღემდე მოყვება მას.²⁴ შემდგომში, ალბათ, არ უნდა მოხდეს იმის განსჯა, თუ რამდენად გამართლებულია ამ შემთხვევაში სოსიურით როგორც მეტისმეტი აღფრთოვანება, ასევე იმედგაცრუება. აქ არც არის ამის ადგილი და ეს სულაც არ წარმოადგენს ჩვენს ამოცანას, საბოლოოდ განვსაზღვროთ სოსიურის მნიშვნელობა ენათმეცნიერებისა თუ ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის. რაც შეეხება მონინის მიერ დასმულ ცოტა არ იყოს პოლემიკურ საკითხს ლევი-სტროსის, ლაკანის თუ სხვათა მიერ გამოყენებული ლინგვისტური, განსაკუთრებით კი სოსიურისეული ტერმინების კორექტულობის შესახებ²⁵, ამასობაში შეიქმნა რამდენიმე განსხვავებული, საინტერესო გამოკვლევა, რომელიც ამ პრობლემატიკას დაწვრილებით აშუქებს.²⁶ ამიტომაც აღარ წამოიჭრება აქ დამატებითი დისკუსია ამ საკითხთან მიმართებაში.

მაგრამ არც იმის მცდელობას ექნება ადგილი, რომ სტრუქტურალისტ სოსიურს, რომელიც ამჟამად არსებული წყაროების მიხედვით ნაწილობრივ Cours-ის აღქმის პროდუქტი და დამატებითი კონცეპტი აღმოჩნდა, დაუპირისპიროთ მეორე, ცოტა არ იყოს ჰერმენევტიკოსი სოსიური, როგორც შეეცადნენ

²¹ შეადრ. Pavel 1988; ან: G. Hottois: *L'inflation du langage dans la philosophie contemporaine*, ბრიუსელი 1979.

²² G. Mounin: "Lévi-Strauss et la linguistique", in: ders., *Introduction à la semiologie*, პარიზი 1970, გვ. 199-214; ან: "Quelques remarques sur le style de Jacques Lacan", *იქვე*, გვ. 181-188.

²³ იხ.: L.-J. Calvet: *Pour et contre Saussure. Vers une linguistique sociale*, პარიზი 1975; და: "Lire Saussure aujourd'hui" = Postface zu CLG/D, გვ. 507-513; ან: J. E. Schmidt: "სოსიურის ორიგინალურობა – ლევენდა. ახალი გრამატიკის გააღენა სტრუქტურალისტების წარმოშობაზე", in: FAZ, 2. 11. 1988, Nr. 256, გვ. 3. – იხ, რომ ცოვნიტივე სციენცუ-ის პროგრამასა და იდეოლოგიაზე ორიენტირებულ ლინგვისტებს სოსიურის გაგება უძნელდებათ და თუნდაც ის, რომ ამერიკელ ლინგვისტთა უახლეს გამოკვლევებში, რომლის თანახმად, აქ-იქ ჯერ კიდევ შეიძლება შევხვდეთ მათთვის სოსიურზე, სულაც არ მოახწავებს იმას, რომ მის თეორიას ხილრმისეულად და კრიტიკულად ანახალიზებენ; ეს იხე, სხვათა შორის.

²⁴ იხ. მაგ.: Hugo Suchardt-Brevier. *Ein Vademecum der allgemeinen Sprachwissenschaft*, ზოგადი ენათმეცნიერების გზამკვლევი, შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო ლ. შაიკერმა, პაღე 1928, გვ. 329-331 და გვ. 411f., ასევე მანჩაკი Manczak 1969; Cours-ის აღქმის ისტორიის მოკლე მიმოხილვა იხ. De Mauro, "Notes biographiques et critiques sur F. de Saussure"; იხ. განსაკუთრ.: GLG/D. გვ. 366ff.

²⁵ ლაკანთან დაკავშირებით მონინი წერს: "ყველაზე ჰკუისსახწავლებელი მაგალითი, ალბათ, ის ტერმინოლოგიური წითურაა, რომელიც დროდადრო შეეყრება ხოლმე ამ ესოდენ ორიგინალურ სულს. თუნდაც ლაკანი იყოს ერთ-ერთი ბოლო, ვისაც ეს ინფექცია გადაედო, მით უფრო მძიმეა მისი მდგომარეობა. მის მაგალითზე [...] შესაძლებელია ნაბიჯ-ნაბიჯ დაკვირვება, თუ როგორ იქცა ეს (ფრანგული კულტურისათვის სრულიად ორგანული) ლინგვისტური უმეცრება კლასიკურ მღღურ მადად, დაგვიანებით მოსულისთვის რომ არის დამახასიათებელი" (cf. Mounin 1970, გვ. 188).

²⁶ სახელდობრ, რათა დასახელებულ იქნას მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ორი ნაშრომი: R. Gasché: "Das wilde Denken und die Ökonomieder Repräsentation. Zum Verhältnis von Ferdinand de Saussure und Claude Lévi-Strauss" ("*რეპრეზენტაციის იმპულსური აზროვნება და ეკონომია. ფერდინანდ დე სოსიურსა და კლოდ ლევი-სტროსთან მიმართებით*"), in: W. Lepenies und H.H. Ritter (გამომცემლები): *Orte des wilden Denkens, zur Anthropologie von Claude Lévi-Strauss* იმპულსური აზროვნების ადგილები, კლოდ ლევი-სტროსის ანთროპოლოგიისათვის, მაინის ფრანკფურტი, 1970, გვ. 306-384. Ph. Lacoue-Labarthe/J.-L. Nancy: *Le titre de la lettre (une lecture de Lacan)*, პარიზი 1973. დაწვრილებითი მონაცემები იხ. დანართში, გვ. 574.

ამას სულ ცოტა ხნის წინათ ლ. იეგერი და სხვ.²⁷ ყველაზე უფრო, რაც გვაინტერესებს მისი მემკვიდრეობაში არსებული ტექსტებისა და დოკუმენტების ამ კომენტარში, ალბათ, არის საკითხი, თუ საიდან მოდის ის დაუნიხებელი დაეჭვება, რის გამოც სოსიური უარს ამბობდა თავისი ენათმეცნიერული თეორიების გამოქვეყნებაზე. ნუთუ საქმე ეხება მხოლოდ სოსიურის პიროვნულ თავისებურებას, რომელსაც საფუძვლად უდევს მხოლოდ ბიოგრაფიული გარემოებები? ან იქნებ მიზეზი უფრო ღრმაა, თეორიული თვალსაზრისით უფრო საფუძვლიანია, შინაარსობრივია, რაც ესოდენ დამახასიათებელია მისი აზროვნებისა თუ მუშაობის სტილისათვის?

მის მემკვიდრეობაში ჩვენი ექსკურსის დროს შევეცდებით უფრო ღრმად განვიხილოთ ის საკითხი, ხომ არ უნდა აღვიქვათ სოსიურის დაეჭვება იმ სიდიდედ, რომელიც არსობრივად ენის ბუნების მისეულ გაგებას და მასთან დაკავშირებულ ენათმეცნიერულ პრობლემებს უკავშირდება; ან იქნებ ეს ყველაფერი არა მისი სისუსტის გამოხატულებაა, რომელიც უნდა გამოსწორდეს, არამედ მისი აზროვნების სიძლიერე და კითხვის დასმის ის რადიკალურობა, მას რომ აგრერივად გამოარჩევს. თუკი დადასტურდებოდა საქმის ასეთი გარემოებანი, მაშინ მეტისმეტად საუკვო გამარტივებად ჩაითვლებოდა ეჭვის გაფანტვა იმ მიზნით, რომ სოსიურის თეორია წარმოსახულიყო დასრულებული სისტემის სახით. უცბად სულ სხვა შუქში გამოჩნდა როგორც აღფრთოვანებულთა, ასევე იმედგაცრუებულთა მოსაზრებანი: კერძოდ, როგორც რექცია სწორედ ამ გამარტივებაზე, როგორც ერთგვარი პოზიტიური, შესაბამისად ნეგატიური ექო გაფანტულ ეჭვზე.

მაშასადამე, ჩვენი მიზანი არ გახლავთ სოსიურისეული, ანუ Cours-ში შემუშავებული სინთეზის ავტორისეული, ლინგვისტიკის უბრალოდ განმეორებითი, მემკვიდრეობით მიღებული ჩანაწერების გავრცობილი, სისტემატური გადმოცემა²⁸. უფრო, ალბათ, შევეცდებით Cours-ში დასრულებული სწავლების სახით წარმოდგენილი სისტემიდან იმ ელემენტების წარმოჩენას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ სისტემის ჩაკეტილობას და გზას უხსნიან ფუძემდებლური საკითხების დაყენებას ენასთან ყოველი უკუქცევითი დაპირისპირების დროს. ამავე დროს ჩვენ არა მარტო ე.წ. Cours-ის წყაროს მასალებს²⁹ დავეყრდნობით, არამედ თანმიმდევრულად შემოვიყვანთ სოსიურის იმ ტექსტებსაც, რომლებიც არ ხედებიან მის მიერ ზოგადი ენათმეცნიერების

²⁷ შეადრ.: L. Jäger: *Zu einer historischen Rekonstruktion der authentischen Sprach-Idee F. de Saussures*, ინაგურაცია-დისერტაცია, დიუსელდორფი 1975, აგრეთვე ამ თემასთან დაკავშირებული სხვა, უფრო ახალი შრომები.

რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია ეჭვქვეშ დადგეს ის დებულება, რომ სოსიური არის სტრუქტურალიზმის მამამთავარი. მაგრამ ასევე მიზანშეუწონლად მიგვაჩნია ის მიდგომაც, რომ სოსიურის "ავთენტური ენის იდეის (authentische Sprach-Idee, Jäger)" (იეგერი) გამო, უბრალოდ, ერთ ეტიკეტს შეეცვლით მეორეთი და სოსიურს სრუქტურალიზმის მამამთავრის ნაცვლად, ჰერმენევტიკის ნათლიად, ან სულაც ნათლულად შევრაცხავთ. ეს მცდელობები იმიტომაც იწვევენ ჩვენს უნდობლობას, რომ ყერდნობიან მხოლოდ და მხოლოდ *ჩოურს*-ის მასალებს და თანმიმდევრულად უგულვებელყოფენ სოსიურის იმ ნაშრომებს, რომლებიც უკანასკნელ ხანებში გახდა ხელმისაწვდომი.

²⁸ შეადრ. რ. ამაკერის გადმოცემა: *Linguistique saussurienne*, ენევა 1975.

²⁹ ეს დასახელება მოდის რ. გოდელისა და მისი ფრიად საყურადღებო მთავარი წიგნიდან, *Les sources manuscrites du Cours de linguistique générale de F de Saussure*, ენევა 1957, 1969 [შემდგომში ციტირება მოხდება SM/G], რომელმაც ორიოცდაათიანი წლების შუა ხანებში სოსიურის მემკვიდრეობიდან ტექსტებისა და დოკუმენტების გამოქვეყნება ითავა. გოდელმა მოაწესრიგა და კატალოგში მოაქცია სოსიურის მემკვიდრეობა, თუმცა მის სახელსვე უკავშირდება, აგრეთვე, მრავალი თვალსაზრისით პრობლემური მცდელობა: სოსიურის მემკვიდრეობიდან მხოლოდ იმის გათვალისწინება, რაც Cours-ის რეტროსპექტული გადასახედიდან ფასეული გამოჩნდებოდა, შესაბამისად კი ყველაფერი იმის უგულვებელყოფა, რაც არ შეესაბამებოდა Cours-ს, სოსიურის აზროვნების ამ იმპლიციტურ საბოლოო მიზანს.

შესახებ წაკითხული სამი ლექციის უშუალო ველში, – ან უფრო ფრთხილად და ზუსტად თუ ვიტყვით, რომლებიც აქამდე არ ყოფილან განხილულნი ამ ველში: გერმანული ლეგენდებისადმი³⁰ მიძღვნილი ჩანაწერები, უნეველი ფსიქოლოგის თეოდორ ფლურნუას³¹ პუბლიკაციებისადმი მიძღვნილი მისი სტატიები და მისი ანაგრამული სწავლებანი³². ამით, რა თქმა უნდა, ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს სოსიურის ლინგვისტიკის ღირებულება. მაგრამ იმ დროს, როცა ჩვენ ამ ფრაგმენტულ ჩანაწერებსა თუ სხვა, აგრეთვე შეუქმნელი წიგნების მონახაზებს, რომელთა წიგნად გაფორმება დროში ნაწილობრივ ემთხვევა მის სამ სახელგანთქმულ ლექციას, – ვაკავშირებთ სოსიურისეულ ვიწრო და მკაცრი გაებით ლინგვისტურ სწავლებებთან, აუცილებელია ყველასათვის ცხადი და თვალსაჩინო გახდეს სოსიურის აზროვნების დინამიკა, მისი ტექსტების მნიშვნელოვნება; იგი ხომ ამ ტექსტებში ესება ისეთ პრობლემებს, რომლებიც ცდებიან ლინგვისტიკის ჩარჩოებს; მათ გააჩნიათ ენის ფილოსოფიისეული და შემეცნებით-თეორიული მნიშვნელობა და მათი გათვალისწინება აუცილებელია ნებისმიერი ჰუმანიტარული კვლევის შესრულების დროს.

იმის მცდელობა, რომ Cours-ის ტექსტის რედაქციას შევეშვათ და მის სხვადასხვა შენიშვნაზე დაყრდნობით სოსიურის ნააზრევს მხოლოდ იმ კუთხიდან მივუდგეთ, საიდანაც გამომდინარეობდა მისი ეჭვი და თავშეკავებულობა საკუთარი ენათმეცნიერული სწავლებისადმი, ალბათ, გაუცხოებამდე მიგვიყვანს. მაგრამ სოსიურის თითქმის ენობრივ დეტალშიც კი საგრძნობი ეჭვი მის ჩანაწერებს ანიჭებს (ეს განსაკუთრებით საგრძნობია Cours-ის სისტემური აღქმის კონტრასტში) გამორჩეულ ფასეულობას, რომლის დამუშავებაც მოხდება წინამდებარე საკითხავში. ამასთანავე, როგორც ზემოთ ითქვა, შემდგომში ნამდვილად ღირს Cours-ის გამომცემელთა მისამართით უფრო ყურადღებით ყოფნა, რომელთა მიერ რედაქტირებული ტექსტებიდან სოსიურისეული ეჭვის ამოკითხვა მხოლოდ აქა-იქ, სასხვათაშორისოდ, სტრიქონებშუა თულა შეიძლება.

II. "ოსტატის სიკვდილის შემდეგ" გამომცემელთა მოქმედების წესი

Cours-ის შესავალში ბალი და სეშე დაწვრილებით აღწერენ იმ პრობლემებს, რომლებიც წამოიჭრა მათ წინაშე ამ წიგნის გამოცემის დროს:

ვისაც კი წილად ხვდომია ამგვარი შინაარსიანი ლექციების მოსმენა, აუცილებლად სინანულს გამოთქვამდა ხოლმე, რომ მათი წიგნად გამოცემა ვერ მოხერხდა. მაესტროს გარდაცვალების შემდეგ ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ მის ხელნაწერებში [...] ვიპოვიდით ამ უადრესად მნიშვნელოვანი ლექციების გადამუშავებულ, ან უკიდურეს შემთხვევაში ისეთ ესკიზურ ვარიანტს მაინც, რომლის საფუძველზე და სტუდენტთა კონსპექტების დახმარებითაც შესაძლებელი გახდებოდა მისი გამოქვეყნება. მაგრამ დიდი იმედგაცრუება გველოდა: არ აღმოჩნდა არაფერი, ან თითქმის არაფერი მსგავსი მის მსმენელთა ჩანაწერებისა. ფ. დე სოსიურს წესად ჰქონდა მხოლოდ წასაკითხი ლექციის მონახაზის კეთება, რომელსაც მერე ანადგურებდა ხოლმე. მისი საწერი მა-

³⁰ დღეისათვის მათი ყველაზე სრული სახით მოპოვება შესაძლებელია ა. მარინეტისა და მ. მელის მიერ მოზადებულ იტალიურ გამოცემაში (სოსიური: *Le leggende germaniche*, Este 1986 [შემდგომში ციტირება მოხდება: LEG], აგრეთვე მის მომდევნო, ცალ-ცალკე გამოქვეყნებულ ჩანაწერებსა და დოკუმენტებში. (შეადრ. *Textste*, გვ.417-436, შესაბამისად დანართში, გვ.573)

³¹ უფრო დანერვილებით იხ.: *Zeichen*, გვ. 213ff.

³² იხ.: *Umriss*, გვ. 213ff (*Textste*, გვ. 436-477, შესაბამისად ჩანართი, გვ. 573).

გიდის უჯრებმა გამოგვიძეურა მხოლოდ ძველი მონახაზები, რომელთაც უმნიშვნელოს ვერ უწოდებ, მაგრამ ასე უბრალოდ ვერ გამოიყენებ და ლექციების თემატიკას ვერ დაუკავშირებ³³.

რა გამოსავალი არსებობდა ამ რთული მდგომარეობიდან? ბალი და სეშე ასახელებენ სხვადასხვა შესაძლებლობას, რომელთა აწონ-დაწონისა და უარყოფის შემდეგ მიდიან შედარებით >გაბედულ<, მაგრამ ამავე დროს რაციონალურ >გადაწყვეტილებამდე<:

თუკი ჩვენ მხოლოდ რომელიმე ერთ-ერთი ლექციით შემოვიფარგლებოდით – ისე, მაინც რომელი უნდა ამოგვეჩინა? – მაშინ წიგნს მოვაკლებდით იმ უამრავ ფასეულობას, რასაც უხვად შეიცავდა დანარჩენი ორი ლექცია. თვით მესამე სალექციო ციკლიც კი, რომელიც ყველაზე ახლოს იდგა საბოლოო რედაქციასთან, ვერ იძლეოდა სრულყოფილ წარმოდგენას ფ. დე სოსიურის თეორიებისა და მეთოდების შესახებ. იყო შემთავაზება, რომ განსაკუთრებულად სახასიათო მონაკვეთები უცვლელად დაგვეტოვებინა; ეს აზრი თავიდან ძალიან მაცდუნებლად გვეჩვენა, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ამით ზარალი მიაღებოდა ჩვენი მაესტროს სწავლებას, რადგან სამსჯავროზე გამოვიდოდა მხოლოდ მისი აზრობრივი ნაგებობის მხოლოდ ფრაგმენტები, არადა მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის აღქმა ხომ მხოლოდ მთლიანობაშია შესაძლებელი.

ჩვენ მივედით ერთ გადაწყვეტილებამდე, რომელიც შეიძლება შედარებით გაბედული ჩანდეს, მაგრამ სამაგიეროდ, ჩვენი აზრით, უფრო რაციონალურია: კერძოდ, ჩვენ მიზნად დავისახეთ აღდგენა და სინთეზი, რასაც საფუძვლად დაედებოდა მესამე ლექცია და ჩვენს ხელთ არსებული ყველა მასალა, თვით სოსიურის პირადი ჩანაწერებიც კი. ანუ საქმე ეხებოდა რაიმე ნიმუშის მიხედვით რამეს შექმნას, რაც იმით იყო გართულებული, რომ სრულ ობიექტურობას მოითხოვდა. საჭირო იყო ყოველ ცალკეულ მოსაზრებას ძირისძირობამდე ჩაჰყოლოდი და მისი საბოლოო ფორმის აღქმა უნდა მომხდარიყო მთლიანი სისტემის თვალთახედვიდან; აგრეთვე უნდა მომხდარიყო მისი გათავისუფლება იმ ცვალებადობასა და მერყეობებისაგან, რაც თავს იჩენს ხოლმე ზეპირი მოსხენების დროს; შემდეგ უნდა მომხდარიყო ყოველი მოსაზრების მოთავსება მისთვის ბუნებრივ გარემოში და მისი ყოველი ნაწილის იმგვარი წესით მოწოდება, რომელიც შეესაბამებოდა ავტორის სურვილს და ეს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ავტორის სურვილი უფრო ვარაუდის და არა ზუსტი ცოდნის დონეზე განისაზღვრებოდა.³⁴

ამ მოსაზრებათა ტონალობა გასაგებია: ბალის და სეშესთვის მთავარი იყო გამოემუშავენინათ ისეთი >საბოლოო ვარიანტი<, რომელიც შექმნიდა >საბოლოო შთაბეჭდილებას< სოსიურის თეორიის შესახებ. მათ მიზანს წარმოადგენს სწავლების ისეთი >სინთეზი<, რომელიც >სრულიად ობიექტური< უნდა ყოფილიყო. რაც მათ წარმოედგინათ, ეს იყო >მთლიანი სისტემა თავის საბოლოო ფორმით<, ისეთი >წესრიგი<, რომელიც შეესაბამებოდა ავტორის სურვილს, თან მაშინაც კი, როცა >ეს სურვილი უფრო ნაგულისხმევი იყო, ვიდრე ნათლად გარკვეული<.

რ. გოდელი, ვინც ორმოცდაათიან წლებში პირველმა მოჰკიდა ხელი Cours-ის ტექსტის და მისი წყაროების დადგენას, ეთანხმება გამომცემელთა გადაწყვეტილებას:

ეს მიზეზები, უდავოდ, დასაბუთებულია და სტუდენტთა რვეულებისა თუ სოსიურის პირადი ჩანაწერების ღრმა შესწავლამ დამარწმუნა იმაში, რომ გამომცემელთა მიერ მაშინ არცთუ უყოყმანოდ და სინდისის ქნჯნის გარეშე მიღებული გადაწყვეტილება იყო ყველაზე მეტად გაბედული, რისი მიღებაც კი მათ შეეძლოთ.³⁵

³³ შესავალი 1916, in: GRF, გვ. VIII; CLG/D, გვ. 7f.
³⁴ შესავალი 1916, in: GRF, გვ. IX.; CLG/D, გვ. 9.
³⁵ Gf.SM/G, გვ.9.

როგორც ჩანს, რ. ენგლერიც უერთდება ბალის და სემეს ნაშრომის საყოველთაო პოზიტიურ შეფასებას, როცა Cours-ის თავისი გამოცემის წინასიტყვაობას შემდეგი სიტყვებით ხსნის: "ეს კრიტიკული გამოცემა არის წიგნის Cours de linguistique générale და მისი წყაროების სინთეზი და არა ანტითეზა."³⁶

უეჭველად სწორია, რომ Cours-ის უკვე მოხსენიებული არაორდინარული გავრცელება და ზემოქმედება ბალისა და სემეს სწორედ ამ არჩევანის დამსახურებაა. თუკი სოსიურს შეიძლება ეწოდოს თანამედროვე ლინგვისტიკის "დამფუძნებელი", ან "მამამთავარი", ეს მისი პუბლიკაციების³⁷ თუ ლექციების ან, თუნდაც, პირადი ჩანაწერების დამსახურება კი არ არის, არამედ პირველ რიგში ბალისა და სემეს მიერ გამოქვეყნებული Cours-ისა. Cours-ის გარეშე დღეს ინდოგერმანისტიკის სფეროში მომუშავეთა გარდა, ძნელად თუ ვინმე დაინტერესდებოდა სოსიურის ნაღვაწით. ამით არის გამართლებული ის დიდი ფილოლოგიური, ისტორიული თუ თეორიული ყურადღება, რითაც Cours-ი სარგებლობს.³⁸

მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ბალისა და სემეს იმ ქმედებას, რაც გამოიხატება სოსიურთან დაპირისპირებაში, აუცილებლად თან ახლავს ისეთი სირთულეები, რომელთა ვერაულოებაც, ალბათ, არ ღირს; სირთულეები, რომელთა ამოკითხვაც შესაძლებელია ბალისა და სემეს დასაწყისში უკვე ციტირებული შესავლის სტრიქონებში.³⁹

შემოთავაზებას >ცადკეული მონაკვეთების უცვლელი სახით გადმოტანის შესახებ<, გამოცემელები იმ საბაბით არ ეხმაურებიან, რომ >ეს უსამართლობა იქნებოდა ჩვენი მანქანის სწავლების მიმართ, თუკი მკითხველს მისი ნააზრვეის მთლიანი ნაგებობიდან მხოლოდ ნამსხვრევები მიეწოდებოდა<. მათი აზრით, ტექსტი უნდა გათავისუფლდეს >რყვეისა< და >მიმოქცევისგან<. რადგან ისინი მომდინარეობენ >ზეპირი მოხსენების< განსაკუთრებული ფორმისგან. თუმცა ბალი და სემე იმაზეც მიუთითებენ, რომ "სწორედ ფ. დე სოსიური [იყო] ის კაცი, რომელიც მუდმივად იცვლებოდა"⁴⁰:

მისი შეხედულებები ყოველთვის კალაპოტში იყო მოქცეული, რომლის გარეშეც ის წინააღმდეგობაში მოვიდოდა საკუთარ თავთან.⁴¹

³⁶ Gf. R.Engler: "Préface", in: Saussure: *Cours de linguistique générale*, édition critique par Rudolf Engler, Wiesbaden 1967ff. [შემდეგში ციტირება მოხდება: GLG/F] გვ.IX

³⁷ დაწერილებით ამის შესახებ. იხ.: *Umrisse*, გვ. 201ff.

³⁸ შეადრ.: R. Harris: *Reading Saussure. A critical commentary on the Cours de linguistique générale*, La Salle/Illinois 1887.

³⁹ ასე, მაგალითად, ლიუგერი წერს თავის წიგნში: "Der sauresche Begriff des Aposème als grundlagenbegriff einer hermeneutischen Semiologie" (აპოსემის, როგორც პერმენიტიკული სემიოლოგიის საბაზისო იდეის სოსიურისეული გაგება): "ის, რომ ბალი და სემე ამ ჩანაწერებს იცნობდნენ – ამას მოწმობს ფურცლების მინდვრებზე მათი ხელით გაკეთებული მინაწერები – და ამის მიუხედავად Cours-ის გამოცემისას მაინც არ გაითვალისწინეს, ამის მიზეზი, ჩემი აზრით, უფრო სხვა რამეში იმალება და არა იმაში, რასაც ენგლერი ვარაუდობს; გამოცემელებმა სოსიურის თეორიის ფრაგმენტები მეტისმეტად სწრაფად შეამოწმეს და მათში ვერ აღმოაჩინეს ზოგადი ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილი დეკლარაციებისათვის მოსამზადებელი სამუშაოს კვალი. ამ, თუ შეიძლება ითქვას, გამოძევების მნიშვნელოვნება სათანადოდ არ არის შეფასებული, თუკი გოდელთან ერთად ვივარაუდებთ, რომ გამოცემელებმა ამ ჩანაწერებს *Notes inédites* იმიტომაც არ მიაქციეს ყურადღება, რადგან >განიხიბდნენ იმით, რომ საქმე შეექმნათ ისეთ ფრაგმენტებთან, რომლებიც მოკლებული იყვნენ ყოველგვარ ქრონოლოგიურ კლასიფიკაციას<" (in: *Zeichen und Verstehen. Akten des Aachener Saussure-Kolloquiums* (ნიშანი და გაგება. სოსიურისადმი მიძღვნილი ააჰენის კოლოქვიუმის აქტები) 1983, გამოცემელები: ლ. იუგერი დაკ. შტეტერი, ააჰენი 1986, გვ. 8f.); შეადრ.: ფ. გადგის ენამოსწრებულ შესავალს *Saussure. Une science de la langue*, პარიზი 1987, განსაკუთრებით კი გვ. 16-28 თავი "Comment le >CLG< est fait". წინასიტყვაობა 1916, in: GRF, გვ.IX; CLG/D, გვ.9.

⁴⁰ შესავალი 1916, in: GRF, გვ.IX; CLG/D, გვ.9.

⁴¹ იქვე.

სოსიურის აზროვნების სტილისა და გადმოცემის უნარის ამ დახასიათებას სრულიად ეთანხმება ა. მეიეს აღწერაც, რომელიც მან სოსიურთან დაკავშირებით თავის გამოხმაურებაში მოგვცა:

მისი პოეტური აზროვნება [*pensée de poète*] ხშირად ანიჭებდა ხოლმე ლექციას ისეთ ხატოვან ფორმას, რომლის დაივიწყებაც შეუძლებელი იყო. მის მიერ მოწოდებული ერთი დეტალის მიღმა შეიძლებოდა გვეპარაუდა საყოველთაო იდეებისა და შთაბეჭდილებათა მთელი სამყარო; სხვათა შორის, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ის არასდროს მოდიოდა ლექციაზე მზა ტექსტებით; იგი გულდასმით ამზადებდა ყველაფერს, რისი თქმაც უნდოდა, მაგრამ თავის იდეებს საბოლოო ფორმას აძლევდა მხოლოდ მაშინ, როცა დაპარაკობდა; და თავის ფორმულირებებსაც იმ მომენტში ნახულობდა, როცა აყალიბებდა; მსმენელიც მიჯაჭვული იყო ამ ფორმათა ცვლით მიმდინარე აზროვნებაზე, რომელიც მის თვალწინ იქმნებოდა და რომელიც თვით იმ მომენტშიც კი, როცა ყველაზე უფრო ზუსტი და საინტერესო სახით გამოიხატებოდა, კიდევ უფრო ზუსტი და უფრო საინტერესო ფორმულირების მოლოდინს აღძრავდა.⁴²

ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ იმათი მხრიდან, ვინც შენევაში პირადად მოისმინა ზოგადი ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილი სოსიურის ლექციები, გარკვეული საპირისპირო მოსაზრებანი წამოაყენეს Cours-ის ტექსტთან დაკავშირებით:

განა ლექციის ცოცხალი ჩანაწერების გამოქვეყნებას, თუნდაც რამდენიმე გამოცემის ფასად, არ ექნებოდა ის უპირატესობა, რასაც ფერდინანდ დე სოსიურის აზროვნების მთელი სიძლიერითა და ორიგინალობით ჩვენება ჰქვია? ან განა განსაკუთრებულად საინტერესო არ იქნებოდა თვით ის რყევები და ძვრები [*ვარიაციები*], რომელთა ჩვენებასაც გამომცემლები აშკარად შეუშინდნენ?⁴³

მაშასადამე, პრობლემათა პირველი წრე შემდეგი სახით გამოიკვეთა: რა დამოკიდებულებაშია ეს სოსიურის >მუდამ კალაპოტში მოქცეული< აზროვნებისათვის, ალბათ, მაინც დამახასიათებელ იმ >რყევებსა< და >მიმოქცევებთან<, რომლებიც Cours-ის გამომცემლებმა იმ განზრახვით, რომ გადმოეცათ >მთელი სისტემა თავისი საბოლოო ფორმით>, როგორც ხელისშემშლელი რამ, საერთოდ ამოიღეს ტექსტიდან? იქნებ საქმე, უბრალოდ, ეხება სოსიურის ისეთ ზედაპირულ, სტილისტურ თავისებურებას, რომელიც ნებაზე მიშვებული? ან იქნებ ეს >რყევები< და >მიმოქცევები< შინაარსობრივადაც მიეკუთვნებიან იმას, რაც სოსიურს >ზოგადად ენასთან< დაკავშირებით აქვს სათქმელი?⁴⁴

⁴² Cf. A. Meillet: "Notice", in: *Ferdinand de Saussure (1857-1913)*, Jeneva 1915 (შემდეგში ციტირება მოხდება: *F.d.S.*), გვ. 77.

⁴³ G. გვ.95. ჩვენ >ვარიაციებს< ვთარგმნით >რყევებად და მიმოქცევებად კ. ლომელის მიხედვით, რომელიც არის Cours-ის მთარგმნელი; შეადრ.: გვ. GRF, გვ. IX. როგორც ამასობაში გამოქვეყნებული ბალისა და მეიეს მიმოწერიდან ირკვევა, თავიდან რეგარს ჰქონდა პროექტი, ლექციების საკუთარი ჩანაწერების მეშვეობით შეექმნა სოსიურის სწავლების გამოხატულება. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს პროექტი ჩაიფუშა ბალის ცხარე წინააღმდეგობის გამო, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან მეიე მხარს უჭერდა მას (შეადრ. ამავე დღე და ბუკე 1990, გვ.102 და შემდგ.). Cours-ის რედაქციით უკმაყოფილების გამოხატვას რეგარი მოგვიანებით შეეცადა, კერძოდ კი უკვე ნახსენები, 1919 წელს გამოსული წიგნის შესავალში და სცადა იმის მოხაზვა, რამაც ესოდენ მოხიბლა მისი სათაყვანებელი მასწავლებლის ლექციის დროს (შეადრ. რეგარი 1919, გვ. 3-12, ან ტექსტები, გვ. 527 შემდგ.).

⁴⁴ ამ საჩოთირო საკითხს გოდელი შემდეგნაირად მიუღვა: "ალბათ, გამომცემლებს არ შეეძლოთ სხვაგვარად მოქცევა; სხვა შემთხვევაში, მოუწევდათ, საერთოდ უარი ეთქვათ ამ წიგნის (*Cours de linguistique générale*) გამოცემაზე. მაგრამ არავინ მიაყენებს არც მათ და არც სოსიურის ხსოვნას შეურაცხყოფას, თუკი შეეცდება გადმოსცეს მასტროს ნააზრები არა >საბოლოო ფორმით<, არამედ შესაძლებლობის ფარგლებში წარმოაჩინოს მისი ფორმირების, მერყეობის და ეჭვების პროცესს; ეს მით უფრო, თუკი ამით ნაჩვენები იქნება, რომ ის გარკვეული სირთულეები, რაზეც კრიტიკოსები ორმოცი წელია მიუთითებენ, არ გამოპარვია არც მის მახვილ მზერას" (cf. SM/G, გვ.131)

ამ კითხვებზე პირველ და უაღრესად საინტერესო მინიშნებებს იძლევა სოსიურის დღემდე შემორჩენილი ის მცირედი გამონათქვამები, რომლებშიც იგი თავად აფასებს ზოგადი ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექციებს. ერთი საუბრის რიდლინგერისეულ ჩანაწერში, რომელიც მას 1909 წლის იანვარს, მეორე ლექციის პერიოდში, სოსიურთან ჰქონდა, სხვათა შორის, ასეთი მოსაზრებაც გამოიკვეთა:

ის შესავალი, რომელიც ბატონმა სოსიურმა ზოგადი ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილ ლექციაში მოგვცა, სხვა არაფერია, თუ არა მასლაათი. ამას რომ ლექცია მოჰყოლოდა, მაშინ სულ სხვანაირი იქნებოდა. ბატონი სოსიური წელს შეეხება ინდოევროპულ ენებს და იმ პრობლემებს, რაც ამ საკითხის კვლევას მოჰყვება. ეს იქნება ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილი ფილოსოფიური ლექციის მოსამზადებელი ეტაპი. ბატონი სოსიური კატეგორიულად უარს ამბობს ორი წლის მანძილზე ამ საქმეზე ხელის მოკიდებაზე. მგონი, მოწაფეებზეა დამოკიდებული მისი დაყოლიება. რაც შეეხება ამ თემასთან დაკავშირებულ წიგნს, ამაზე ფიქრიც არ ღირს: როგორც ბატონი სოსიური ამბობს, ამ წიგნმა უნდა გადმოსცეს მისი ავტორის საბოლოო ნააზრევი.⁴⁵

ერთი შეხედვით, შეიძლება ყველაფერი ის, რასაც აქ სოსიური ამბობს, გამოცემელთა განზრახვის დადასტურებად ჩაითვალოს. მაგრამ ეს, როგორც ჩანს, არანაკლებ გაპირობებული იყო მისი ნააზრევის >საბოლოო< ფორმით, ან როგორც რამდენიმე სტრიქონით ზევით არის აღნიშნული, >დახურული სისტემის< ხედვით:

თემას ართულებს ის, რომ, გეომეტრიული თეორემის მსგავსად, მასაც შეიძლება მიუდგე სხვადასხვა კუთხიდან: ყველაფერი ერთმანეთს მოსდევს სტატიკურ ენათმეცნიერებაში: რაზეც არ უნდა ლაპარაკობდე, იქნება ეს ერთეულები, განსხვავებები, ოპოზიციები თუ სხვ. ბოლოს მაინც იქამდე მიხვალ. ენა არის დახურული სისტემა და თეორიაც ისეთივე დახურული სისტემა უნდა იყოს, როგორც ენა. აქ იქმნება სწორედ სირთულე. რადგან ვერაფერს მოუხერხებ განსხვავებულ მტკიცებულებებს, ერთი მეორეს რომ მოსდევს და ენის კვლევის მეთოდს რომ შეეხება; ყველაფრის კოორდინირება უნდა ხდებოდეს ერთ მთლიან სისტემაში.⁴⁶

მაშასადამე, მისი თეორიული მცდელობის გამოცხადებული მიზანია >დახურული სისტემა<. თუმცა არც იმის უგულვებელყოფა შეიძლება, რომ ამ მიზანს სოსიური მეორე ლექციის პერიოდში ბევრად უფრო დაშორდა, ვიდრე ბალი და სეშეა. >რაც შეეხება ამ თემისადმი მიძღვნილ წიგნს, ამაზე ფიქრიც არ ღირს.< სოსიურისათვის ყველაფერი, რაც კი აქამდე ლექციად წაუკითხავს, >მხოლოდ ღაყბობაა<. >ლექცია რომ გაგრძელებულიყო, სულ სხვანაირი უნდა ყოფილიყო<. ერთი >ფილოსოფიური ლექცია ენათმეცნიერების შესახებ< მაინც რჩება გეგმაში. >მუსიე დე სოსიური კატეგორიულად არ უარყოფს იმის შესაძლებლობას, რომ ორ წელიწადში შეუდგება ამის განხორციელებას.<

მესამე ლექციის დასასრულის პერიოდს ემთხვევა ერთი საუბრის ჩანაწერები, რომელიც გაიმართა ლ. გოტიესა და სოსიურს შორის. სოსიურმა ამ დროისათვის ნაწილობრივ უკვე შეასრულა თავისი დანაპირები >ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილი ერთი ფილოსოფიური ლექციის< შესახებ; იგი თავის ლექციებში ეხებოდა სიტყვებს შორის: langage, langue(s) და parole არსებულ განსხვავებებს, განიხილავდა ენობრივი ნიშნის ბუნებას, ქმნიდა სემიოლოგიის პროექტის გეგმას; თუმცა წინანდებურად უაღრესად უკმაყოფილო იყო თავისი ნააზრევის გამოხატვის ფორმით. მისი მსმენელიც მოუთმენლად ელოდა მისი სისტემის დღის სინათლეზე გამოტანას:

⁴⁵ Cf. SM/G, გვ.30.

⁴⁶ Cf. SM/G, გვ.29, შრიფტის გამოყოფა დამატებულია.

– კვლავაც ძალიან ვეწამები ამ ჩემი ლექციით, ზოგად ენათმეცნიერებას რომ ეძღვნება. (მე ვუთხარი, რომ ხალხს ერთი სული აქვს, რომ თუნდაც ერთი ელემენტს მაინც გაეცნოს ენის ფილოსოფიის მისეული სისტემიდან.) – არა მგონია. ებ ყველაფერი ჯერ საკმარისად არ არის დამუშავებული. (მე ვეკითხები, ვერთპაიძერის სიკვდილამდე ამ თემებით ხომ არ იყავით დაინტერესებული-მეთქი.) – პირიქით, არა მგონია, რომ მას მერე რამე მიმემატებინოს. ეს ის თემებია, რომლებიც მე უპირველეს ყოვლისა 1900 წლამდე მაინტერესებდა. წელს ბევრი ვიმუშავე ენის გარეშე საკითხებზე, ამაზე მუშაობა ზამთარში დავიწყე; მაგრამ ეს არ არის საკმარისი. დიღემის წინაშე ვდგავარ: ან უნდა გაეშალო თემა მთელი თავისი კომპლექსურობით და მთელ ჩემს ეჭვებზე უარი ვთქვა, რაც შეუძლებელია იმ ლექციის ფარგლებში, რაც საგამოცდო მასალად უნდა იქცეს; ან უნდა გავაკეთო რამე უფრო გამარტივებული, არალინგვისტი მსმენელისათვის უფრო შესაფერისი. მაგრამ ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმისას ეჭვები მიპყრობს. სანამ რამე გადაწყვეტილებამდე მივიდოდე, თვეების მანძილზე განსაკუთრებული ფიქრი დამჭირდება.⁴⁷

ბევრი რამ იქცევს აქ ყურადღებას: ერთი მხრივ, სოსიურს აქ ჯერ კიდევ (ანუ ზოგადი ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილი მესამე და, როგორც მერე აღმოჩნდა, ბოლო ლექციის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე) >საკმარისად არ ჰქონია დამუშავებული< თავისი >ენის ფილოსოფიის სისტემა<. მეორე მხრივ, ვიგებთ, რომ სოსიური დიდი ხნის წინათ, კერძოდ კი, ბევრად ადრე, ვიდრე ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ ლექციების კითხვას შეუდგებოდა >დაკავებული იყო ამ პრობლემით< და არც კი ჰგონია, რომ >მას შემდეგ, ანუ 1900 წლის მერე საერთოდ რამე მიამატა იმ ნამუშევარს<. ჩვენ ვიგებთ, აგრეთვე, რომ არსებობს რაღაც დიღემა, რომელიც დგას სოსიურის წინაშე: >გაშალოს ეს თემა მთელი თავისი კომპლექსურობით<, >უკუაგლოს ყველა ეჭვი<, თუ >რამე უფრო მარტივი მოიმოქმედოს<, რაც >საგამოცდო მასალად დაიდებოდა< და უფრო >მისაღები იქნებოდა არალინგვისტი მსმენელისათვის<? თუკი სოსიურისეულ შეფასებას მივყვებით, მაშინ სულ სხვა შუქში გამოჩნდება ზოგადი ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილი მისი უენვეური ლექციები, რომელთაც ეფუძნება Cours-ი: საკმაოდ პრობლემურად გამოიყურება პრეტენზია იმის შესახებ, რომ სტუდენტთა მიერ ლექციებზე გაკეთებული კონსპექტების ბაზაზე ჩამოაყალიბო სოსიურის >მთელი სისტემა თავისი საბოლოო ფორმით<.⁴⁸ იმის ეჭვიც ჩნდება, ნამდვილად იყო თუ არა ეს ლექციები, რომლებიც >საგამოცდო მასალად იყო განსაზღვრული,< სოსიურის ენათმეცნიერული მდგელობების კულმინაცია?

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია აგრეთვე ერთგვარი ისტორიული გაყალბება, რაც შეინიშნება Cours-ის გამომცემელთა მხრიდან, რაზეც ყურადღებას გაამახვილა გ. როდელმა.

თავიანთ წინასიტყვაობაში ბალი და სემე გვარწმუნებენ, რომ სოსიურს ერთი სული ჰქონდა, როდის განაცხადებდა ლექციაში თავის შეხედულებებს ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ და რომ ამაში დიდი ხნის განმავლობაში ხელს უშლიდა გარეშე ფაქტორები:

⁴⁷ Cf. SM/G, გვ.30

⁴⁸ ბელი და სემე, გარკვეულწილად, აცნობიერებდნენ ამ პრობლემას: "ჩვენი მთავარი საფიქრალი იყო დაგვედგინა ორგანული კავშირი და არ გამოგვრჩენოდა რამე ისეთი, რაც ხელს შეუწყობდა თავის თავში ჩაკეტილი სისტემის შთაბეჭდილების შექმნას. თუმცა სწორედ ეს იქცა, ალბათ, გაორმაგებული კრიტიკის მიზეზად. ჯერ იმას გვსაყვედურობდნენ, რომ ეს >მთლიანობა< არ არის სრული. ფ. დე სოსიურს არასდროს გამოუთქვამს პრეტენზია იმაზე, რომ თავისი პედაგოგიური მოღვაწეობით მან სრულად მოიცვა, ან თანაბარ დონეზე მაინც განიხილა ენათმეცნიერების ყველა ნაწილი; ამისათვის მას არც მატერიალური მდგომარეობა არ უწყობდა ხელს" (GRF, გვ. X; CLG/D, გვ.9F).

საკმაოდ ხშირად მოგვისმენია სოსიურისაგან, თუ როგორ გამოთქვამდა სინანულს იმასთან დაკავშირებით, რომ ენათმეცნიერებამ ვერ შეძლო თავისი პრინციპების და მეთოდების სათანადო განვითარება. თავად იგი კი, რომლის ბრწყინვალე ნიჭმაც ენათმეცნიერებაში ჰპოვა თავისი განვითარება, მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუღალავად იბრძოდა იმ ძირითადი კანონების მოსაძებნად, რომელიც ამ ქაოსში გზას გაუკვლევდა. მაგრამ მხოლოდ 1906 წელს, მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტში ითხუვ ვერტჰაიმერი შეცვალა, შეძლო წლების მანძილზე მომწიფებული მოსაზრებების გადმოცემა; მან სამჯერ წაიკითხა ლექციები ზოგად ენათმეცნიერებაში, კერძოდ კი 1906-1907, 1908-1909 და 1910-1911 წლებში; ამ დროს სასწავლო გეგმის მოთხოვნები აიძულებდა, რომ ამ ლექციათაგან ნახევარი დათმობოდა ინდოევროპული ენათმეცნიერების ისტორიასა და გადმოცემას; მისი საგანი კი ამის ნიადაგზე მნიშვნელოვნად შემცირდა.⁴⁹

სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს რ. გოდელი:

თუკი წინარე ისტორიის გათვალისწინებით ერთხელ კიდევ წავიკითხავთ Cours de linguistique générale-ის წინასიტყვაობის დასაწყისს, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩება, რომ მეტისმეტი მოწაფური გულმოდგინების შედეგად ბალიმ და სეშემ მანესტროს მიერ განვილი გზის ისეთი აღწერილობა შექმნეს, რომელიც სერიოზულ გადაამუშავებას საჭიროებს: >მაგრამ მხოლოდ 1906 წელს, [...] შეძლო მან წლების მანძილზე მომწიფებული მოსაზრებების გადმოცემა.< მართლა ასე მნიშვნელოვანი იყო სოსიურისათვის ყოველივე ეს? და მართლა ასე მოუთმენლად ელოდა, თუ როდის გამოუნდებოდა ამის შესაძლებლობა? ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად უზუსტობასთან გვაქვს საქმე მოგვიანებით, როდესაც ლაპარაკია "სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე": მართალია, 1906 წლის 8 დეკემბერს, აკადემიურ თანამდებობაზე დამტკიცებასთან დაკავშირებით სოსიურს ჩააბარეს ლექციების კურსი ზოგად ლინგვისტიკასა და შედარებით ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში, მაგრამ ყოველკვირეულ ოთხ საათს შედარებით გრამატიკასა და სანსკრიტში დაემატა კიდევ ორი საათი ახალი საგნისთვის. შესაბამისად, მასზე იყო დამოკიდებული, "თავისი საგნის მნიშვნელოვანი ნაწილი" განვითარებინა, თანაც ყოველგვარი შემცირების გარეშე.

სინამდვილეში კი მას უფრო ის აწუხებდა, თუ როგორი ფორმა გამოენახა, რათა თავისი იდეები მოუშაადებელი სტუდენტებისათვის გასაგები გაეხადა, ახალი საგანი შემოელო თუ ერთიან სისტემაში ჩაერთო თავისი გეომეტრიული იდეალის შესაბამისად [...]. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: არავითარი ზეწოლა არ ყოფილა მასზე. როცა ყოველი ორი წლის განმავლობაში თავის ლექციებს კითხულობდა ზოგად ენათმეცნიერებაში, როცა ენის თეორიას არ უთმობდა მთელ იმ დროს, რაც კი გააჩნდა, ეს გამოწვეული იყო იმ ეჭვებით, რომელთაგან ნაწილი პედაგოგიური ხასიათისა იყო, მეორე ნაწილი კი – სრულიად პირადული [...].⁵⁰

ამ შესწორებას გოდელი ამთავრებს სიტყვებით:

რაც უფრო ვცდილობთ, რომ სოსიურის საქმიანობისა და მოღვაწეობის მეტი კვალი აღმოვაჩინოთ, მით უფრო მეტად ეხვევა მისი პიროვნება იდუმალების საფარველში.⁵¹

შევეცადოთ და შევაჯამოთ პირველი შედეგები. ენათმეცნიერების, კერძოდ კი იმ დროისათვის გაბატონებული ისტორიული ენათმეცნიერების მეთოდებითა და პრინციპებით უკმაყოფილო და >გავრცელებული ტერმინოლოგიის აბსოლუტური უმნიშვნელოვნებით< გულაცრუებული სოსიური 90-იანი წლების დასაწყისიდან მუშაობს ლინგვისტიკის ხელახალი დაფუძნების პროექტზე,

⁴⁹ წინასიტყვაობა 1916, in: GRF< გვ.VII; CLG/D, გვ.7. ამასთან დაკავშირებით იხ. რ. ცვანცივერის "ითხუვ ვერტჰაიმერი. სოსიურის ერთადერთი წინამორბედი სამსახურებრივად", დანართი მაიროფერზე: "ასი წლის შემდეგ. ფერდინარდ დე სოსიურის ადრეული ნაწარმოები და მისი აღქმა დღევანდელი ინდოევროპული სტრუქტურის შესახებ", პაიდელბერგის მეცნიერებათა აკადემიის სხდომის ჩანაწერი, ფილოსოფიურ-ისტორიული კლასი, 1918, 8, გვ. 39-43.

⁵⁰ Cf. SM/G, გვ. 34f.

⁵¹ Cf. SM/G, გვ. 35.

ეპებს იმ პრინციპებს, რომელთა საფუძველზე გარანტირებული იქნება მისი მეცნიერულობა.

ამასთან დაკავშირებით, თავში უტრიალებს თავისებური >გეომეტრიული სისტემა<, სისტემა ისეთი თეორემებისა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან და რომელთა "დამტკიცებაც ღირს".⁵² მაგრამ მას არ აკმაყოფილებს ამ მიმართულებით განხორციელებული საკუთარი მცდელობები. განუწყვეტილად ღრღნის ჯიუტი, მძიმე ეჭვები. ამასთან დაკავშირებით რ. გოდელი წერს:

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ 1894 წლისათვის ენის ბუნებასა და ლინგვისტიკის საფუძვლებისადმი დამოკიდებულებამ სოსიურისათვის მიიღო პათოლოგიური [>obsédant<] ხასიათი და თითქოს ამისგან გასათავისუფლებლად, იგი იძულებულია უკვე შემუშავებული ის იდეები, ტერმინები და დეფინიციები, რომელთა ვარგისიანობაშიც დარწმუნებულია, ერთ წიგნში მოაქციოს. მერე კი, როგორც ჩანს, ისეთ დასკვნამდე მიდის, რომ ეს წამოწყება ჯერ არ მომწიფებულა და საერთოდ დაანება თავი ამაზე ფიქრს.⁵³

მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ვერტჰაიმერი შეცვალა, გარეშე ფაქტორების გამო, სოსიური იძულებული გახდა, კვლავ დაბრუნებოდა ამ თემას. თავის ლექციებში იგი კვლავ უბრუნდება იმ მოსაზრებებს, რომლებიც ერთხანს იმგვარად ჰქონდა აკვირებული, რომ საფრთხე დაემუქრა ფილოლოგიური სამუშაოთი მოგერილ სიამოვნებას.⁵⁴ მაგრამ თუკი სოსიური კვლავ იმავე ეჭვებითაა შეპყრობილი და უკმაყოფილოა საკუთარი ნაღვაწით, სამაგიეროდ, მისგან მკვეთრად განსხვავებულად არის განწყობილი მსმენელთა ის მცირე რაოდენობა, რომელმაც მოისმინა ზოგადი ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილი მისი ლექციები და მოხიბლული დარჩა მისი შინაარსით. აქ ნამდვილად დაუბერა ახალმა სიომ. საუბარი ეხებოდა ახალ მეცნიერებას – სემიოლოგიას, რომლის მეშვეობითაც ლინგვისტიკა, ბოლოს და ბოლოს, იპოვიდა თავის კუთვნილ ადგილს მეცნიერებათა ტაძარში.⁵⁵ შემოვიდა ახალი ცნებები და განსხვავებები – Langage, Langue და Parole, Synchronie და Diachronie, significant და signifié და სხვ., რომელთა მეშვეობით შესაძლებელი გახდა ენებისა და ენათმეცნიერების შესწავლისადმი სრულიად ახალი თვალსაზრისით მიდგომა. სოსიურის სტუდენტები ძალიან >ცნობისმოყვარეები იყვნენ< და ცდილობდნენ მეტი გაეგოთ >ენის ფილოსოფიის მისეული სისტემის შესახებ< და ძნელად ესმოდათ მისი თავშეკავებულობა, ყოყმანი და გაუბედაობა. ისინი გამუდმებით ზეწოლას ახდენდნენ მასზე, რომ ლექციებზე ნათქვამისათვის წიგნის ფორმა მიეცა და გამოექვეყნებინა, რათა სწავლება ჩამოყალიბებული და ხელმისაწვდომი გამხდარიყო. მაგრამ ყველაფერი სულ სხვაგვარად განვითარდა. მესამე ლექციის შემდეგ სოსიური ავადდება და ერთი წლის შემდეგ, 1913 წლის 22 თებერვალს გარდაიცვალა.

თუკი ერთხელ თვალს გავადევნებთ Cours-ის შექმნის ისტორიას, ცხადი გახდება, რომ ბალისა და სემიოლოგიის ამ საბოლოოების ნიშნით აღბეჭდილი წიგნის შექმნისას სოსიურის ნების შესაბამისობა არ ყოფილა უპირველესი მიზანი. ისინი უფრო ითვალისწინებდნენ იმას, რაზეც თავადვე ნათლად მი-

⁵² სოსიურთან გოტიეს მიერ ჩაწერილ საუბარში ვკითხულობთ: "ამ მომენტში ზოგადი ენათმეცნიერება წარმომიღვება გეომეტრიული სისტემის სახით. დადისარ ისეთ თეორემებამდე, რომელთა დამტკიცებაც ღირს. სწორედ ამ დროს აღმოჩნდება, რომ მე-12 თეორემა ზუსტად იგივეა, რაც 33-ე, ოღონდ სხვა ფორმით" (Cf. SM/G, გვ. 30).

⁵³ Cf. SM/G, გვ.32 f.

⁵⁴ შდრ.სოსიურის 1894 წლის 4 იანვრის უკვე ციტირებული წერილი მეიესადმი, გვ. 17f, შესაბამისად ტექსტები, გვ.16ff

⁵⁵ ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ (ნიშნები, გვ. 117f.)

უთითებენ შესავალში – მსმენელთა და სოსიურის მოწაფეთა სურვილს მისი სწავლების ხელმისაწვდომობის შესახებ.

არ არის საჭირო კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ მათ ეს ბრწყინვალე ფორმით მოახერხეს. მათი წიგნის ზემოქმედების ისტორია ამაზე თავად მეტყველებს. მაგრამ ის, რაც ამ დროს არა მარტო ღიად რჩება, არამედ საერთოდ დაფარულიც კია, არის კითხვა, თუ რატომ ვერ გადაწყვიტა სოსიურმა თავისი ნააზრევის წიგნად გამოცემა. რჩება კითხვა, რისგან იყო გამოწვეული მისი თავშეკავება, ყოყმანი, თვით სასოწარკვეთაც კი.

სოსიურის შემკვიდრებაში არსებული და აქ მოტანილი ჩანაწერები და დოკუმენტები საშუალებას იძლევა ამ საკითხს ჩავუღრმავდეთ. უფრო მეტიც: ის გარემოება, რომ ტექსტთა დიდი უმრავლესობა წარმოადგენს არშემდგარი წიგნების და გამოკვლევების მონახაზს, გვაიძულებს იმაზეც ვიფიქროთ, თუ რამ გამოიწვია მუშაობის უცვარი შეწყვეტა. ეს იმასაც ნიშნავს, რომ აქ დაისმება კითხვა აგრეთვე სოსიურის ბიოგრაფიული გარემოცვისა და ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი – მის ნამუშევართა სამეცნიერო-ისტორიული კონტექსტის შესახებ.

III. "იდუმალების საბურველი" – წაკითხვის აუცილებლობა კითხვის საზღვრები

შ. ბალი სოსიურისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში დიდი მასწავლებლისა და არაჩვეულებრივი ადამიანის პორტრეტის დახატვის კვალდაკვალ, იმ თემასაც შეეხო, თუ რატომ იყო ასე უარყოფითად განწყობილი სოსიური წიგნის გამოცემის მიმართ და რატომ იკაებებდა ასე თავს. აქვე აშკარად გაისმის წუწუნის ნოტები:

აჰ! მაინც რატომ არგუნა მან თავისი გენიის საგანძური მხოლოდ თავისი მოწაფეების შეზღუდულ წრეს! არადა, მის ლექციათა უმეტესი ნაწილი თავისუფლად შეიძლებოდა გამოქვეყნებულიყო; ისევე, როგორც სტუდენტთა რვეულებში დამარხული იდეები; ეს შიშნეულად შემონახული, პირადულ ხელნაწერებში დაფლული განძი! ეღირსება კი მათ დღის სინათლე? ნუთუ უნდა შევეგუოთ იმას, როგორ ქრება ამ განუშეორებელი სულის უამრავი ნაპერწკალი?

გამოქვეყნებისაგან თავის შეკავებას მას აიძულებდა თითქმის რელიგიური დაეჭვებულობა; მისი მეცნიერული სინდისი ოცნებობდა აბსოლუტზე, შემოქმედებით ტემპერამენტს მცირეოდენი უთანხმოებანიც კი უფორიაქებდა, აზროვნების თვალსაწიერს უხშობდა გამოკვლევათა თუ წიგნის გახვევებული ფორმა. ჩვენი უნივერსიტეტის Cours de vacances-სთან დაკავშირებით, სოსიურმა 1897 წელს წაკითხა სამი ლექცია მარცვალთა თეორიაზე; ყველაფერი სიახლე იყო, რაც მან განმარტა, მაგრამ არაფერი გამოქვეყნებულა; მე მას ვაჩვენე საკმაოდ ზუსტი, საგულდაგულოდ შედგენილი სტენოგრაფია და ვთხოვე, რაზე ედონა; დამეთანხმა, მერე ეჭვი შემოაწვა რამდენიმე დეტალის გამო და... ლექციები აღარ გამოქვეყნებულა.⁵⁶

ბელი აქვე იძლევა ანეკდოტთან ერთად იმ რამდენიმე საკვანძო სიტყვას, თუ საიდან მოდის, მისი აზრით, ეს >დაეჭვება<: >მეცნიერული სინდისი, რომელიც ოცნებობდა აბსოლუტზე<, >შემოქმედებითი ტემპერამენტი, რომელსაც მცირეოდენი უთანხმოებანიც კი აფორიაქებდა<, თავშეკავებულობა > გამოკვლევათა თუ წიგნის გახვევებული ფორმა<.

⁵⁶ Cf. წ. ბელი: 1913 წლის 28 თებერვლის ლექცია, იხ: *ფ.დ.ს.*, გვ.56.

ზუსტად ასევე უღერს ის აღწერა, რასაც იძლევა ე. მურე სოსიურის დამოკიდებულებისადმი საკუთარი ნაშრომების გამოქვეყნების მიმართ:

ძნელია, სრულად გამოხატო სინანული იმასთან დაკავშირებით, თუ რა ცოტა დატოვა დაწერილი სოსიურმა; მისი თავყანისმცემელები და მეგობრები განიცდიდნენ ამას და თვითონაც ხშირად გამოუთქვამს საყვედური საკუთარი თავის მიმართ. ეს მუდამ სამუშაოდ შემართული სული ეწინააღმდეგებოდა თავისი აზრების საბოლოო ჩანაწერის სახით გაფორმებას. სრულყოფილებაზე გაგიჟებული, საკუთარი თავის მიმართ დატყვევებული სოსიური არასდროს კმაყოფილდებოდა მიღწეული შედეგით და სულ უფრო და უფრო ამაღლებულისა და შორეულისაკენ მიისწრაფვოდა. დაუცხრომლად მიემართებოდა მისი არეულ-დარეული ოცნებები თუ დაუოკებელი ცნობისმოყვარეობა ახალ-ახალი პრობლემებისაკენ და მიაქანებდა მას ახალ-ახალი ჰორიზონტებისაკენ. ამდენი ნაშრომი, დაწეებული, დიდი ხნის მანძილზე ნალოლიავეები და დაუმთავრებელი!⁵⁷

სოსიურის თანამედროვეებს, მოწაფეებს და კოლეგებს ბევრი აღარაფერი დარჩენოდათ: სინანულით, მაგრამ ამავე დროს მოჯადოებული გაკვირვებით მიიღეს ცნობად "სოსიურის დუმილი"⁵⁸ – მეცნიერი, რომლის გენიალური ცოდნითაც ისინი მოხიბლული იყვნენ, რომლის შესაძლებლობებში დატყვევების არანაირი საფუძველი არ არსებობდა, იმის გადაწყვეტაც კი უჭირდა, რომ ერთი ნაშრომი მაინც გამოექვეყნებინა თავისი უზარმაზარი კვლევების სფეროდან, ლაპარაკი აღარ იყო უფრო დიდ, სისტემატური ხასიათის შრომაზე. რისგან იყო გამოწვეული ეს დუმილი? სოსიურის თანამედროვეთა პასუხი თითქმის ერთგვაროვანია⁵⁹, თუმცა ყველაფრის მიუხედავად, უმწეობის განცდას ბადებს: სოსიური იყო >სრულყოფილებაზე გაგიჟებული<, >გამოქვეყნებისაგან თავის შეკავებას მას აიძულებდა თითქმის რელიგიური დატყვევებულობა<. – ჟენევაში 1963 წელს, სოსიურის გარდაცვალებიდან 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ე. ბენვენისტის მოხსენებაში ეს სულ სხვანაირად გაისმა და სოსიურის დუმილი სულ სხვა შუქში გამოჩნდა:

იდუმალებითაა მოცული მისი ადამიანური ცხოვრება, სადაც იგი ასე ნაადრევად ჩაიძირა დუმილში... ჟენევაში იმისათვის დაბრუნებულმა, რომ უნივერსიტეტში კათედრას ჩადგომოდა სათავეში, თითქმის მთლიანად შეწყვიტა წერა. თუმცა მუშაობა არასდროს შეუწყვიტია. მაინც რის გამო იკავებდა თავს მათი გამოქვეყნებისაგან? ჩვენ თანდათანობით ვიწყებთ ახლა ამის გაგებას. ამ დუმილის მიღმა იმალება დრამა, რომელიც, ალბათ, საკმაოდ მტკივნეული იყო, წლების მანძილზე კიდევ უფრო მიიმდებოდა, გამოსავალი კი არსად ჩანდა. ეს, ერთი მხრივ, დაკავშირებულია პიროვნულ გარემოებებთან, რომელთა გარკვევა, ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა მისი ოჯახის წევრთა და მეგობართა განმარტებების საფუძველზე. თუმცა ეს, უპირველეს ყოვლისა, იყო მაინც აზროვნების დრამა. სოსიური თავის ეპოქას დაშორდა იმდენად,

⁵⁷ Cf. ე. მურე: "ფერდინანდ დე სოსიური", *Journal de Genève*, 1913 წლის 26 თებერვალი, in: *ფ.დ.ს.*, გვ.46f.

⁵⁸ "Le silence de Saussure" (სოსიურის დუმილი) არის სათაური ლექსოლდ გოტიეს წერილისა, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში *Journal de Genève*, 22/23. 1961 წლის აპრილი. გვ.18.

⁵⁹ >სოსიურის დუმილთან< მიახლოების შემდეგი მცდელობა იტყვნება ა. მელეს ფ.დ.ს.-ში დაბეჭდილ შენიშვნებში: «მემუარების შემდეგ, რომელიც ეჭვგარეშეა, რომ თავის გამოცემას ადრეული სიყმაწვილის მომადლოვებელ გამბედაობას უმაღლის, სოსიურს უკვე აღარ სჯეროდა, რომ რომელიმე ენობრივი ფაქტის თეორია ისე განავითარა, რომ საზოგადოებისათვის წარდგინაც კი შეეძლო. იგი არ მიეკუთვნებოდა იმთ რიცხვს, რომლებსაც ერთი სული აქვთ, თავიანთი იდეები იქამდე გამოაქვეყნონ, სანამ საბოლოოდ არ მომწიფდება, სანამ მისგან სრულყოფილ და შეკრულ სისტემას არ განავითარებენ და ყოველგვარ სირთულეს არ დაძლევენ. იმდენად ზრუნავდა, საბოლოო სახე მიეცა ნამუშევრისათვის, რომ დუმილს მხოლოდ ხანდახან თუ დაარღვევდა, რათა საკმაოდ მოკლე შენიშვნები გამოექვეყნებინა – მაგალითად, უბრალო სქოლიოები Société de linguistique-ის *mémoires*-ში. ეჭვგარეშეა, რომ მისი ბოლო სტატიების დაბეჭდვა მრავალტომეულთან დაკავშირებით აღებულ იმ ვადებულებებს უკავშირდება, რომლის ნაწილობრივ მაინც შესრულებასაც იგი ცდილობდა. ის სინდისიერება, რომ სიტყვას არ ტყებდა და ის გულმოდგინება, რომლითაც იგი საერთო საქმეში ერთვებოდა ხოლმე, გასაგები იყო ყველა-სათვის, ვინც კი იცოდა, თუ რამდენად არ უყვარდა მას რაიმეს გამოქვეყნება» (Cf. *F.d.S.*, გვ.78f.).

რამდენადაც მან თავისი საკუთარი სიმართლე იპოვა და ამ სიმართლემ აიძულა იგი უკუგაეგონა ყველაფერი ის, რაც კი ისწავლებოდა მაშინ ენის თემაზე. მაგრამ ამავე დროს იგი ყოყმანობდა კიდევ და უჭირდა ასეთი რადიკალური რევიზიის ჩატარება, ესოდენ საჭიროდ რომ ესახებოდა. ვერ გადაეწყვიტა, თუნდაც უმცირესი შენიშვნის გამოქვეყნებაც კი მანამ, სანამ არ დარწმუნდებოდა თავისი თეორიის საფუძვლიანობაში.⁶⁰

ბენვენისტი საუბრობს დრამაზე, კერძოდ >აზროვნების დრამაზე<, თუმცა მიუთითებს აგრეთვე იმ პირადულ გარემოებებზეც, >რომელთა ახსნაც, ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა მისი ოჯახის წევრთა და მეგობართა განმარტებების საფუძველზე<. ამით უჭველად ჩნდება კითხვები სოსიურის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით.

ამკარაა, რომ სოსიურის დუმილის მიზეზი მის ცხოვრებაშია საძიებელი. მაგრამ დღემდე გამოქვეყნებული ბიოგრაფიული მონაცემები უადრესად ფრაგმენტულია, ან შემოიფარგლება მხოლოდ გარეგნული ფაქტებით.⁶¹ მიუხედავად იმისა, რომ სოსიური თავისი მნიშვნელობით მე-20 საუკუნის მეცნიერებისათვის შეიძლება შეედაროს ფროიდს ან თუნდაც დურკემს⁶², დღემდე მაინც არ არსებობს მისი ცხოვრების ვრცელი აღწერილობა; და ეს მიუხედავად იმისა, რომ უკვე მრავალჯერ აღინიშნა, თუ რამხელა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამას მისი შემოქმედების გასაგებად:

არსებობს ბიოგრაფიები, რომლებსაც ვერ ან თითქმის არ გამოიყენებ ნაწარმოების აზრის უკეთ გასაგებად. მაგალითად, რაც შეეხება ანტუან მელეს, სოსიურის მოწაფესა და მეგობარს, ფრანგ ლინგვისტს, რომელმაც თავისი თაობა ნახევარი საუკუნის მანძილზე დაიპყრო, შეიძლება იმითაც დავეკმაყოფილდეთ, თუ ვიტყვით, რომ ის იყო ნოტარიუსის შვილი, ითვლებოდა წარჩინებულ სტუდენტად, დაოჯახდა, პროფესორი გახდა, ლექციებს კითხულობდა, შრომებს აქვეყნებდა, უამრავი საუნივერსიტეტო და სამეცნიერო წოდება აქვს მიღებული, რომელთაც არ ელტვოდა, მაგრამ იმსახურებდა. სოსიურის ცხოვრება კი ამისგან განსხვავებით უადრესად მნიშვნელოვანია, რადგან იგი თავის თავში ატარებს პრობლემას. თანაც ისეთ პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია მისი შემოქმედების ზუსტ გაგებასთან; შემოქმედებისა, რომლის ახსნაც მხოლოდ მისი ცხოვრების სიღრმისეული გაგების საფუძველზეა შესაძლებელი; და ეს არა ისტორიული, სოციოლოგიური თუ პიროვნული მოტივაციის გამო, არამედ შინაარსის და ფორმის თვალსაზრისით.⁶³

მონინმა ეს >პრობლემა< უფრო დაავიწროვა: “უენეურ პერიოდამდე”⁶⁴, როცა სოსიური დაბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქში და ამის შემდგომ პროფესორულ მოღვაწეობამდე:

დღეისათვის ყველაფერი... კარგად ცნობილია სოსიურის ცხოვრებაზე, გარდა ერთი პუნქტისა: კერძოდ, მისი ადრეული განსწავლულობა, ლაიპციგისა თუ ბერლინის (1876-1878) პერიოდები⁶⁵, სადაც იგი ურთიერთობას ამყარებს ისტორიული ენათმეცნი-

⁶⁰ Cf. E. Benveniste: « Saussure après un demi-siècle » იმავე *Problemes de linguistique générale*-დან; I, პარიზი 1966, გვ. 32 და 37.

⁶¹ მოკლე ბიოგრაფიული მონახაზები იხ.: Mounin 1968, გვ. 12ff.; Guller 1976, გვ. 13 ff., შეერერ 1980, გვ. I ff. სამწუხაროდ, პ. ესტლის ახლახანს გამოსულ წიგნში «სოსიური შესავალი კურსისათვის» (ჰამბურგი 1994) »დროის დაფა» საკმაოდ უთავბოლოდ და შეცდომითაა შედგენილი და ამიტომაც ესეც სრულიად გამოუყენებელია, როგორც მთლიანად ეს ნაწარმი პროდუქტი. დღემდე ყველაზე მეტი ინფორმაცია თავმოყრილია მაურსთან, 1967 წლის ნაშრომში (შეადრ. CLG - D, გვ. 319ff., ასევე იხ. «ფერდინანდ დე სოსიურის ბიოგრაფიის მონაცემები» დანართში, გვ. 533-550).

⁶² Guller 1976, გვ. 70ff. არა მარტო დაბადების თარიღის გამო (ფროიდი 1856, სოსიური 1857, დურკემი 1858) შეიძლებოდა ამ სიის ედმუნდ ჰუსერლით (1859) გაგრძელება და სრულყოფა.

⁶³ Cf. Mounin 1968, გვ. 12f.

⁶⁴ შეადრ. Mounin 1968, გვ. 17f.

⁶⁵ უფრო ზუსტად: 1876 წლის შემოდგომიდან 1880 წლის გაზაფხულამდე სწავლა ლაიპციგში, რომელიც შეწყვიტა 1878 წლის ივლისში უფრო ხანგრძლივი დროით (1879 წლის ბოლომდე) ბერლინში სწავლის გამო (შეადრ. შეერერი 1980, გვ. 2 ან დანართი, გვ. 536f.)

ერების მაშინდელ სპეციალისტებთან; მისი ხანგრძლივი ცხოვრება პარიზში, მისი მოღვაწეობა მოწვეული ლექტორის სტატუსით Ecole des Hautes Etudes-ში (1880-1891), სადაც იგი ყველა იმათ ამზადებს, ვინც მერე ფრანგულ კომპარატივისტიკას მიაკუთვნებს თავს; დაბრუნება ჟენევაში, სადაც 1891-1913 წლებში კითხულობს ლექციებს უნივერსიტეტში. აქ არის ერთადერთი ბიოგრაფიული პრობლემა: პარიზში ესოდენ აქტიური და ნაყოფიერი სოსიური რატომ ჩაიკეტა ჟენევაში დაბრუნების შემდეგ თანდათანობით კვაზი-მუტიზმში, რატომ აცხადებს, რომ აქვს ეპისტოლეფობია, შეწყვეტა პუბლიკაციები, 1894 წელს კი მელეს გაუგზავნა ინტელექტუალური თვალსაზრისით სასოწარკვეთილი წერილი. თავად მელე ცდილობს, სოსიურის ჟენევეური კვლევების დაუმთავრებლობის ეს თითქმის პათოლოგიური კომპლექსი ახსნას ნებისმიერი მკვლევარისათვის დამახასიათებელი სრულყოფილებისაკენ ღტოლვით, რომელიც მანამდე არ გამოაქვეყნებს ნაშრომს, ვიდრე საბოლოო სახეს არ მისცემს მას. ბენვენისტი და დე მორო კი ფიქრობენ, რომ სოსიური სასოწარკვეთილი იყო გაუგებრობის იმ კედლით, რასაც იგი ეჯახებოდა ხოლმე, როგორც კი მონიდომებდა თავისი საუკეთესო კოლეგებისათვის იმ რევოლუციური იდეების განმარტებას, რომლებიც მერე, 1906-1911 წწ-ის ზოგადი ენათმეცნიერების კურსის მანძილზე საყოველთაოდ ცნობილი გახდა. მას შემდეგ, რაც ეს პიპოთეზები გამოქვეყნდა წიგნში “სოსიური” (ზეგერსის გამოცემა, 1968), ამ სტრიქონების ავტორმა შეეცადიდან და პარიზიდან მიიღო ორი მოწმის ჩვენება, რომელთა მეშვეობითაც სოსიურის ქცევის სხვა შესაძლებელი ახსნაც იკვეთება. მათზე ბენვენისტი ჯერ კიდევ 1963 წელს მიაჩნებდა და, პრინციპში, საკამათოც არაფერია: უიღბლო ქორწინება, არაკეთილგანწყობილი მეცნიერული თუ საზოგადოებრივი გარემო, უეჭველად სერიოზული, თუმცა ფარული ალკოჰოლიზმი, რის შესახებაც ჟენეველებმა არაფერი უწყოდნენ...⁶⁶

მოდით დიად დავეტოვოთ ის, თუ რამდენად >კარგად არის ცნობილი ყველაფერი სოსიურის ცხოვრებაზე, გარდა ერთი პუნქტისა< და >ჟენევეურ პერიოდიდან მხოლოდ ერთადერთი ბიოგრაფიული პრობლემა არსებობს<. საინტერესოა უფრო ის ფაქტი, რომ მონინის მიერ ბოლოში დასახელებული ორივე პუნქტი, კერძოდ >უიღბლო ქორწინება< და >ალკოჰოლიზმი< თვალშისაცემ კონტრასტს ქმნის სოსიურის იმ უნაკლო პორტრეტთან, მისმა თანამედროვეებმა რომ დახატეს.⁶⁷ მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ >შეეცადიდან და პარიზიდან მიღებული ვიღაც ორი მოწმის ჩვენება< ძნელად თუ დაგვეხმარება რამეში ამ ცნობის ბუნდოვანებისა და სიმცირის გამო. თუკი ეს ვარაუდი (და სხვას ამ ინფორმაციას ვერც ვერაფერს ვუწოდებთ) – სოსიურის >სერიოზული, თუმცა ფარული ალკოჰოლიზმი< მართლაც დადასტურდა, ეს მნიშვნელოვნად გაამძიდრებს ჩვენს ცოდნას მისი პიროვნებისა და სამუშაო გარემოებების შესახებ. თუმცა ამით ძნელად თუ მოიძებნება მისი დუმილის მიზეზი. ეს, ალბათ, უფრო იმ მნიშვნელობის ხაზგასმაა, სოსიურის >აზროვნების დრამა< რომ მიიღო. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად განსხვავებული თუ წინააღმდეგობრივი ცნობები არსებობს დღემდე სოსიურის ცხოვრებასთან დაკავშირებით, მათი თვალშისაცემი დაპირისპირებულობა – ერთი მხრივ, ლაპარაკია აღიარებულ და პატივცემულ მასწავლებელსა თუ მეცნიერზე, მეორე მხრივ – >აზროვნების დრამა<

⁶⁶ Cf. G. Mounin: »Ferdinand de Saussure«, იგივე: La Linguistique du XX' siècle, პარიზი 1972, გვ. 48 ფ.

⁶⁷ სულ სხვანაირად აღიქმება ამაჟამად ერთი ნიშანი, რომელზეც ყველა მიუთითებდა, ვისაც კი მასთან ჰქონია საქმე, კერძოდ კი, იდუმალებით აღსავსე, მეოცნებე მხერა.

სოსიურის სხოენისადმი მიძღვნილ სიტყვაში (cf. F.d.S., გვ.10) ლუსიენ კოტიემაც ხომ იგივე აღნიშნა: “ჩვენ კვლავ ვხედავთ ამ უცნაურ მხერას, მხერას, რომელსაც ხშირად გადაეფარებოდა ხოლმე ჩრდილი, თითქოს სიბნელეში ჩაიძირებოდა, მერე კი უცბად გამოცოცხლდებოდა, განათდებოდა და ნაპერწკლებს გაყრიდა.” მელეს Notice-შიც ვკითხულობთ: “თავად მისი პიროვნება გაიძულა, რომ მეცნიერება შეგვეარებოდა; გაოცებული იყავი, თუ როგორი მკაცრი სიზუსტით აღიქვამდა ეს ცისფერი, იდუმალებით მოცული თვალები რეალობას...” (cf. F.d.S., გვ. 77).

სა< თუ ინტელექტუალურ სასოწარკვეთილებზე, “სიგიჟეზე”,⁶⁸ სოსიურის ბიოგრაფიის დაწერა გვესახება არა მარტო სასურველ, არამედ სასწრაფო საქმედაც კი. ამას ისიც ემატება, რომ უკვე ოცდაათიან წლებში, როდესაც ბენვენისტმა სოსიურის რაღაც ცხოვრებისეულ >საიდუმლოებაზე< გაამახვილა ყურადღება, სხვადასხვა პუბლიკაციებში ითქვა უამრავი ტყუილი თუ მართალი სოსიურის პიროვნებისა თუ ცხოვრების შესახებ, რომელთა გადახედვა და გადაამუშავება, უბრალოდ, აუცილებელია. ამ თვალსაზრისით უპირველესი მნიშვნელობა აქვს, ალბათ, გი დე პურტალეს დღიურებს, რომელიც ფრანგული წარმოშობის შვეიცარელი მწერალი და სოსიურის ბიბლიოფილია. მისი ნაწერები ფასდაუდებელი წყაროა სოსიურის ბიოგრაფიის შედგენისას.⁶⁹ მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსგავსი სურვილი ჯერ არავის გამოუთქვამს და, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ უამრავი ბიოგრაფიული მასალაა მიუწვდომელი; და ეს მიუხედავად ამდენი აღმოჩენებისა თუ მცდელობებისა.⁷⁰ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს რ. გოდელის მიერ ნახსენები >სოსიურის პიროვნებაზე შემოხვეული იდუმალების ბურუსის< გაფანტვა დღესაც არავის უნდა. სწორედ ამიტომაც არის ესოდენ მნიშვნელოვანი სოსიურის მემკვიდრეობიდან აქ წარმოდგენილი ჩანაწერები: მარტო იმიტომ კი არა, რომ ბალიმ და სემემ ისინი ნაწილობრივ წყაროდ გამოიყენეს კურსის შედგენის დროს, არამედ ისინი შეიძლება წაკითხულ იქნან, როგორც სოსიურის სააზროვნო და სამუშაო პროცესის ნაკვალევი და ამით იქცნენ იმის უშუალო მოწმედ, რასაც ბენვენისტმა >აზროვნების დრამას< უწოდებს. თავის ხშირად ფრაგმენტულ ჩანაწერებში სოსიურს არ სჭირდებოდა პუბლიკის მოლოდინისათვის ანგარიშის გაწევა, შეეძლო >ყველანაირი ეჭვი უკუგდო< და >ბოლომდე, კომპლექსურად გაეშალა თემა<. ამით ისინი გვიხსნიან ფასდაუდებელ გზას იმ აზროვნებისაკენ, რომელმაც ჩვენი საუკუნის ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებას ესოდენ დიდი კვალი დაამჩნია.

სოსიურის ჩანაწერების ასეთი წაკითხვის განსაკუთრებულ ხიბლზე უკვე მიუთითა რ. ლ. ვაგნერმა, თუმცა შემდგომ აღარ განუვითარებია ეს საკითხი. ბელისა და სემეს საგამომცემლო საქმიანობის პრობლემატიკის შესახებ გამართულ დისკუსიაში იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კურსისა და წყაროების განსხვავებულ ტონალობებზე, >ცვლილებებისა< და >მერყეობების< მნიშვნელობაზე, აგრეთვე სოსიურის ეჭვების გამოთქმის ძალაზე:

⁶⁸ ეს გამოთქმა გაჩნდა სოსიურის ანაგრაფულ სწავლებებთან დაკავშირებით. შეადრ.: M. Deguy: »La folie de Saussure«, in: Critique 25/260, 1969, გვ. 20-26. ამ მოზაიკას კიდევ ერთი კენჭი შეემატა 1990 წელს, როდესაც გამოქვეყნდა შემდეგი პასაჟები შტრაიტბერგის ბრუგმანისადმი 1889 წლის 28 დეკემბერს მიწერილი წერილიდან: “...ამასწინათ სოსიურის მოწაფისაგან მივიღე ერთი ცნობა, რომელიც თქვენ უეჭველად დაგაინტერესებთ, თურმე სულ ახლახან განუკურნებელი სულის ავადმყოფობა შეერია. სამწუხარო იქნება, თუკი ეს ცნობა დადასტურდება. თუმცა მისი სიძე გავიცანი შენევაში და კატეგორიულად უარყოფდა ამ ამბავს. მაგრამ ასეთ უარყოფას ხომ არავითარი აზრი არა აქვს.” (ციტირებულია პ. ვილანის »Documenti saussuriani a Lipsia a Berlino«, CFS 44, 1990, გვ. 15)

⁶⁹ 1980 წელს დასათაურებით – Chaque mouche a son ombre – “ყველა ბუზს თავისი ჩრდილი აქვს” გამოსული გი დე პურტალეს დღიურის ფრაგმენტებში ჩვენ ვხვდებით არა მარტო ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული შენეველი პროტესტანტი პატრიციების ოჯახების – დე პურტალეების, დე სოსიურების, დე კანდოლების, ნავილების და სხვათა, აგრეთვე მთლიანად მათი ფენის ცხოვრების ბრწყინვალე აღწერილობებს, არამედ უამრავ საყურადღებო ცნობას ფერდინანდ დე სოსიურის პიროვნებისა და ცხოვრების შესახებ.

⁷⁰ პ. ვუნდერლიმ მიუთითა იმ სიმნელეებზე, რომელსაც აწვდებდა ხოლმე ის, ვინც გადაწყვეტს სოსიურის ბიოგრაფიაზე იმუშაოს: “უკვე ათი წელია ამ პროექტს ვატარებ, კერძოდ, მინდა სოსიურის ...ვრცელი და საგნობრივი ბიოგრაფია... შევქმნა; მაგრამ ამას მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, როცა ყველა არსებულ წყაროსთან მუშაობის საშუალება იქნება და როცა გარეშე ცნებურა აღარ შეგომლის ხელს გარკვეული დოკუმენტების შეფასებაში” (P. Wunderli: »Scheerer, Ferdinand de Saussure« ...რეცენზია..., in: Kratiyos 26, 1981, გვ.2).

სოსიურმა, როგორც რ. გოდელი აღნიშნავს, “ზოგადსაყოველთაო სიტყვათა მარაგში” მოაქცია ყველა ის გამოთქმა, ლექსიკა, სურათი, რაც კი დასჭირდა. მაგრამ იგი შორს იყო იმისაგან, რომ ისინი დაეფიქსირებინა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის მკაცრ ჩარჩოებში ჩაესვა. შესაბამისად, ის პრობლემები, რასაც ქმნიდა მათი ცვალებადობა და რყევა ...>ვარიაციები<... არც თუ იოლი გადასაწყვეტი იყო კურსის გამომცემელთათვის. ან კი არის საჭირო ის საერთოდ, რასაც რ. გოდელი გვთავაზობს, კერძოდ, ყველა იმ სიახლის განზოგადება, რისი დაშვებაც სოსიურმა მე-3 კურსში გაბედა? თუ ბევრად უკეთესი იქნებოდა, თუკი კურსი ამ ყოყმანის კვალს შეინარჩუნებდა? უეჭველია, რომ ეს არის მეორე, იძულებითი გზა ყველასათვის, ვინც კი გადაწყვეტს მიუახლოვდეს სოსიურს ისეთს, როგორც იყო იგი სინამდვილეში. ვთქვათ და მას შემთხვევით მე-4 კურსიც ჩაეტარებინა, დარწმუნებით ვინ იტყვის, რომ იგი ფორმით აუცილებლად დაემთხვეოდა მე-3 კურსს? სრული უფლება გვაქვს ვთქვი შევიტანოთ ამაში. ის ცვლილებები და მერყეობები, რომლებშიც იკითხება სოსიურის ეჭვი და დაბნეულობა, საკმარისზე ნათლად წარმოაჩენს მის მერყევ, მგრძობიარე ხასიათს, რომლის დამაღვაც შეუძლებელია... წიგნი ავტორის სახეა და ავტორი კი ყოველთვის, ასე თუ ისე, ცდილობს დადებითი სურათი დახატოს საკუთარი თავის შესახებ. “მუსაიფი”, ჩანაწერები იძლევიან იმის საშუალებას, რომ გაიცნო ადამიანი, ეს კი ამ შემთხვევაში უაღრესად მნიშვნელოვანია. კურსის წყაროებს გააჩნია იშვიათი ღირებულება, თავისუფლად შევათვალთქვით მკვლევარი, რომელიც აზროვნებდა დამოუკიდებლად და მასწავლებელი, რომელსაც ახსოვდა ის ხარისხი, რასაც მისგან აუდიტორია მოითხოვდა და სამი სხვადასხვა მცდელობის შედეგად შექმნა ისეთი ფორმების მონახაზი, რომელიც, სულ ცოტა, ნაკლებად სრულყოფილი იყო მისი დოქტრინის სამი, ერთმანეთზე მიყოლებული პოზიციისათვის.⁷¹

ვაგნერი ორგვარად უყურებს წყაროთა >ცვალებადობას< და >მერყეობას<: ერთი მხრივ, ისინი წარმოადგენენ აზროვნების პროცესის ნაკვალევს – >... მათ გააჩნიათ იშვიათი ღირებულება, თავისუფლად შევათვალთქვით მკვლევარი, რომელიც აზროვნებდა დამოუკიდებლად<, მეორე მხრივ კი, მისი აზრით, ეს >მერყევი, მგრძობიარე ხასიათის< გამოხატულებაა. ამით მონიშნულ იქნა ორპოლუსიანი ველი, რომელშიც სოსიურის ჩანაწერების ჩვენგანული წაკითხვაც იმოძრაებს; ველი, რომელიც ერთდროულად ქმნის როგორც ამგვარი წაკითხვის განსაკუთრებულ სიბლეს, აგრეთვე გარკვეულ სირთულესაც: მთავარი, რასაც უნდა ვერიდოთ, არის ის, რომ სოსიურის აზროვნების შინაარსობრივი პრობლემები არ ავსხნათ (მისი) განჭვრეტადი ხასიათით ან საერთოდ არ დავამცროთ. თუკი ჩვენ შემდგომში ჩავეძიებით იმ საკითხს, თუ რას ეფუძნებოდა სოსიურის ეჭვები, მაშინ მარტო იმ ზოგადენათმეცნიერული პრობლემების განხილვით კი ვეღარ დაგვამყოფილდებით, სოსიური რომ აყენებდა, არამედ უფრო მეტად დაგვაინტერესებს იმ განსაკუთრებული ქცევის გამოკვლევა და დადგენა, რითაც სოსიური ამ პრობლემებს უდგებოდა.

მისი მიდგომა და ქცევა, ჩვენი აზრით, არანაკლებ საინტერესოა შემეცნებით-თეორიული და სამეცნიერო-ისტორიული თვალსაზრისით, ვიდრე ის პასუხები, რომელიც მან საბოლოოდ მოგვცა თავის ლექციებში. იმ დროს, როცა ჩვენ ვცდილობთ იმ გზის მოსაზრებას, მისმა ენათმეცნიერულმა რეფლექსიამ⁷² რომ გაიარა, მარტო იმის ახსნას კი არ ვპოულობთ, რასაც სოსიურის შრომებისათვის ზოგადთეორიულად არის მნიშვნელოვანი, არამედ მის ინდივიდუ-

⁷¹ Cf. R. L. Wagner: »Les désarrois dumaître de Genève. Introduction à une étude critique de la langue et de la nomenclature de Saussure«, in: *Mots* I, 1980, გვ. 19f.

⁷² რომლის დროსაც ჩვენ, ძირითადად, დავეყრდნობით ჟენევის უნივერსიტეტში მისი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდს.

აღურ სამუშაო პროცესშიც ვერთვებით, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ასეთი განსაკუთრებული პიროვნების არსებობასთან.⁷³

მისი >დრამის< მთავარი მიზეზი, ბენვენისტის ვარაუდით, მდგომარეობს იმაში, რომ სოსიური >თავის ეპოქას დაშორდა იმ ზომით, რა ზომითაც იპოვა საკუთარი სიმართლე<. ამით ხელმისაწვდომად არის გაშიფრული იმ მეცნიერული არეალის პრობლემა, რომელშიც სოსიური მუშაობდა და უფრო ზოგადად, მისი მეცნიერულ-ისტორიული მდგომარეობის საკითხი. მისი შემოქმედებით, განსაკუთრებით კი კურსით გამოწვეული და დოკუმენტურად უხვად დადასტურებული ზეგავლენის შესახებ აქ მოკლედ უკვე იყო საუბარი.⁷⁴ მაგრამ ვისი ზეგავლენა განიცადა თვით სოსიურმა, რომელი სამეცნიერო ჰორიზონტიდან არის იგი ამოსული?

მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტიკის ისტორიოგრაფია უკვე დიდი ხანია განიცდის არც თუ ისე შესუსტებად კონიუნქტურას და “სოსიუროლოგიურმა”⁷⁵ გამოკვლევებამაც ლამისაა წაგვლეკოს უკვე, ამ ელემენტარულ კითხვაზე ჯერ დამაკმაყოფილებელი პასუხი ჯერ არავის გაუცია. განსაკუთრებით აბსურდული აღმოჩნდა კითხვა, თუ ვინ არიან სოსიურის უმნიშვნელოვანესი წინამორბედები. რაც შეეერთმა ამასთან დაკავშირებით 1980 წელს დაადგინა, დღესაც იგივე დასტურდება:

ახე მალე ტყუილად ნუ ველოდებით წინამორბედთა შესახებ მიმდინარე დისკუსიის საბოლოო დასრულებას. ჯერ კიდევ ზედმეტად პოლარულია პოზიციები, მოსაზრებანი კი ნაკლებად აწონილ-დაწონილი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მთელი თავისი სერიოზულობის მიუხედავად, ყველაფერ ამას ნამდვილი მეცნიერული კამათის მხიარული მხარეც გააჩნია: ერთნი უჭერენ მხარს გაბელენტსაც და დიურკჰაიმსაც (კოსერიო)⁷⁶, მეორენი – დიურკჰაიმს, მაგრამ არა გაბელენტს (პირშე)⁷⁷, მესამენი გაბელენტისა და დიურკჰაიმის წინააღმდეგი არიან, მაგრამ მხარს უჭერენ პოლს (კორნერი)⁷⁸, კიდევ სხვები გაბელენტსაც აღიარებენ, მაგრამ ყველაზე წინ მაინც ჰუმბოლდტს აყენებენ (ქრისტმანი, იეგერი).⁷⁹ ⁸⁰

⁷³ ჩომსკის თეორიაზე დაყრდნობით, ჟ. მილნერი წერს თავის Introduction à une science du langage-ში: “რამდენიმე ანეკდოტურ დეტალს თუ არ ჩავთვლით, იგი არის ილუსტრაცია ინდივიდსა და საკლდე პროგრამას შორის არსებული იმ კავშირისა, რაც ამ ველში წესად უნდა ითვლებოდეს. რადგან უნდა ვაღიაროთ, რომ კუმანიტარულ მეცნიერებებში ყველაზე საინტერესო პროგრამები უკავშირდება სწორედ ინდივიდებს, ანუ ადამიანებს და ეს არის, ალბათ, ერთადერთი რამ, რაც ამართლებს მათ სახელს; ამის გაგება ხომ არც თუ ისე ძნელია; ისინი ხომ, როგორც მეცნიერებები, ცდილობენ თავიანთი საგანი სიტყვებში მოაქციონ, მაგრამ გინდა-არ გინდა, ყველაფერი ამ საგანში იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ მას ეს არ უნდა, რადგან იგი არის საზოგადოებრივი, ადამიანური, ისტორიული და ა.შ.” (cf. Milner, პარიზი 1989, გვ. 14f).

⁷⁴ შეადრ. U. Ch. M. Thilo: Cours de linguistique générale-ს აღქმა და შემოქმედება. მოსაზრებები ენათმეცნიერების ისტორიისა და ისტორიოგრაფიის შესახებ, ტიუბინგენი 1989, აგრეთვე დანართი...

⁷⁵ შეადრ. J.-T. Chass und C. Puech: „F.de Saussure et la constitution d'un ... de mémoire pour la linguistique contemporaine », in: Lan..., 1994, გვ. 45ff.

⁷⁶ იხ. E. Coseriu: „Georg von der Gabelentz et la linguistique synchronique », in : Word 23, 1967, გვ. 74-100.

⁷⁷ იხ. R. Hiersche: ვერდინანდ დე სოსიურის langue-parole კონცეფცია და მისი დამოკიდებულება დერკემისა და ფონ გაბელენტისადმი, ინსბრუკი 1972. სოსიურზე დერკემის გავლენის შესახებ სულ ახლახანს კვლავ მიანიშნა ც. ბირბახმა. შეადრ.: ენა, როგორც „fait social“. სოსიურის ლინგვისტიკური თეორია და ამ თეორიის დამოკიდებულება პოზიტივისტური სოციალური მეცნიერებებისადმი, ტიუბინგენი 1978.

⁷⁸ იხ.: F. Koerner: *Ferdinand de Saussure. Origin and Development of his linguistic Thoughts in Western Studies of language*, ბრაუნშვაიგი 1973. ბევრ სხვა რამესთან ერთად, კორნერი აქ ეკამათება დორშევესკოსეულ („Quelques remarques sur les rapports de la sociologie et de la linguistique“, in: Journal de de Psychologie normale et pathologique 30, 1933, გვ. 82-91) თეზისს სოსიურზე დიურკჰაიმის პირდაპირი ზეგავლენის შესახებ და ცდილობს მის უკუგდებას.

⁷⁹ იხ. H.H. Christmann: “სოსიური და ენათმეცნიერების ტრადიცია”, იხ: ახალი ენებისა და ლიტერატურების შესწავლის არქივი 208, 1972, გვ. 241-255, აგრეთვე Jäger 1975.

„ე. წ. წინამორბედთა შესახებ დისკუსიის“ ამ >მხიარული< თუ უცნაური მდგომარეობისათვის, რომელიც მხოლოდ აქ წარმოდგენილი ავტორებით⁸¹ სულაც არ ამოიწურება, განსხვავებული საფუძვლები არსებობს. პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ სოსიურის შემოქმედებაზე მომხდარი ზეგავლენის ისტორიაში ზუსტად იგივე მოგხვდება თვალში, რაც სხვა მეცნიერ-„ფუძემდებლებთან“: მას შემდეგ, რაც აღქმის პირველი, მითოლოგიური ფაზა გაიფლის და მოხდება თეორიის ორიგინალობისა და ინოვაციურობის აღიარება, დგება ხოლმე მეორე ფაზა, რომლის დროსაც აღმოჩნდება, რომ მრავალი ისეთი რამ, რაც ჩვენ ახალი და ერთადერთი გვევლინა, თურმე ჯერ კიდევ ადრე, ან სულაც, ახლახან, სხვების მიერ, მსგავსი სახით უკვე ყოფილა თემატიზებული. 60-იანი და 70-იანი წლების პარიზში, სოსიურის შემთხვევაში, ამ ზოგადმა ტენდენციამ თავის განვითარება ჰპოვა იმუჟამად გაბატონებული ლოზუნგის „coupure Saussurienne“⁸², ანუ სოსიურისეული მაცნიერულ-ისტორიული დადის შესახებ წარმოდგენაში. ამ დამამცრობელი თვალთახედვის ჩამოყალიბებას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ თავად სოსიური უადრესად თავდაჭერილი და მორიდებული იყო, რაც შეეხებოდა ავტორთა ციტატების მოხმობას თუ თავის უშუალო ინსპირატორებსა თუ წყაროებზე აშკარა მითითებას.

ამ სხვა ავტორთა შრომების მართლაც რომ იშვიათმა მოხმობამ (და ეს, სხვათა შორის, შეეხება როგორც Cours⁸³ თუ სხვა ენათმეცნიერულ შრომებს, რომლებიც სოსიურმა თავის სიცოცხლეშივე გამოაქვეყნა, ასევე მის დანატოვარ⁸⁴ შენიშვნებსა და ჩანაწერებს) რიგი კომენტატორები

⁸⁰ Scheerer 1980, გვ. 151, შეადრ. აგრეთვე გვ.120 ff.

⁸¹ დაქინებით მეორდება ფსიქოლოგ G. Tarde-ის (SM/G, გვ. 282), ეკონომისტ L. Walras-ის (შეადრ. Koerner 1973, გვ.67), ისტორიოს H. Taine-ს (H. Aarsleff: «Taine: son importance pour Saussure et le structuralisme», in: Romantisme 25-26, 1979, გვ. 35-48) და სხვათა სახელები. ფილოსოფოსი, რომელიც ამ სიაში ყველაზე ხშირად და ჩვენი აზრით, სამართლიანადაცაა დასახელებული, არის – არც მეტი, არც ნაკლები – G. W. Hegel (შეადრ. CLG/D, გვ. 362 და 388f., Scheerer 1980, გვ.123 f., აგრეთვე Coseriu: «L'arbitraire du signe. არისტოტელეს ცნების გვიანი ისტორიისათვის», in: ახალი ენებისა და ლიტერატურების შესწავლის არქივი 204, 1968, გვ.100) ლინგვისტური თვალსაზრისით, ალბათ, უპირანი იქნება ზემოთ დასახელებულ სახელებს დაემატოს ჯერ A. Pictet, ახალგაზრდა სოსიურის სულიერი მენტორი (შეადრ. CLG/D, გვ.358f. ან Texte, გვ.240f, რადგან ორივე რომანული ენების სპეციალისტი – G. Paris და P. Meyer (შეადრ. R. Engler: «სოსიური და რომანისტიკა, სამუშაო ფურცელი 16, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ბერნის უნივერსიტეტი 1976), შემდეგ ლაიპციგის ახალი გრამატიკის სკოლა (K. Brugmann, H. Osthoff), სოსიურისგან მოდიან და ბოლოს ორივე პოლინელი ლინგვისტი J. Baudouin de Courtenay და N. H. Kruszewski. ამასთან დაკავშირებით იხ. Koerner 1973, გვ. 72-209 და CLG/D, გვ. 380-394, «La question des précurseurs».

⁸² შეადრ. Dosse 1991, გვ.65-75: «La coupure Saussurienne»; F. Gadet: «Après Saussure“ „in DRLAV 40, 1989, გვ.1-40; S. Auroux: « Deux hypothèses sur l'origine de la conception saussurienne de la valeur linguistique», in: Travaux de linguistique et de littérature 23/I, 1985, გვ. 295-299, აგრეთვე J.-J. Courtine: «Le discours introuvable (Marxisme et linguistique, 19965-1985) », in: Histoire, Epistémologie, Langage 13-II, 1991, გვ.153-171.

⁸³ ასე, მაგალითად, მოკლედ შედგენილ „ენათმეცნიერების ისტორიის მიმოხილვაში“, რომელიც კურსის შესავალს ხსნის და პირველ თავს წარმოადგენს, ერთმანეთის მიყოლებით ჩამოთვლილია შემდეგი სახელები: F. A. Wolf (1759-1824), F. W. Ritschl (1806-1876), F. Bopp (1791-18679, W. Jones (1746-1794), ...

⁸⁴ უადრესად საინტერესოდ გვესახება წინა სქოლიოში მოხმობილი კურსის შესავლის >მიმოხილვის< შედარება იმასთან, რომელიც სოსიურმა ქვენევაში თავის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებულ მოხსენებაში 1891 წლის ნოემბერში გააკეთა. ან პირველ რიგში დაასახელა ა. პიკტეტი, მერე კი თქვა შემდგომი რამ: «მე აქ დავახსენებდი არა ისეთ ლინგვისტებს, რომლებმაც ფრიდრიხ ვიულერის <ვენის უნივერსიტეტიდან> მსგავსად დედამიწის ზურგზე არსებული თითქმის ყველა იდიომა <იციან> და ენის ცოდნა ...>connaissance du langage< ... ერთი ნაბიჯით წასწიეს წინ; უფრო მეტად აქ დასახელება ეკუთვნით ისეთ რომანისტებს, როგორებიც არიან გასტონ პარიზი, პოლ მეიერი, <შუპარდტი>, აგრეთვე გერმანისტებს, მაგალითად <ჰერმან> პაულს, ან იმ რუსული სკოლის წამომადგენლებს, რომლებიც საგანგებოდ რუსული და სლავური ენის შესწავლით არიან დაკავებული, მაგალითად, ნ. ბოდუენ დე კურტენე, Kruszewsky » (cf.

წააქეზა, სოსიურის სტილის შესახებ საეჭვო და ნაჩქარევი დასკვნები გამოეტანათ. ექსტრემალური მაგალითის სახით, სპექტრის ერთ მხარეს შეიძლება დასახელებულ იქნას ა. პროსდომი, რომელიც სოსიურის (ფილოსოფიური) განათლების დონეს გულუბრყვილო გიმნაზისტისას ადარებს და მას ხელის ერთი მოსმით “speculatore su >tabula rasa<”⁸⁵-ს

CLG/E(II), გვ. 4.II). შეადრ. აგრეთვე Texte, გვ. 381, სადაც სოსიური «ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი-დან მოყოლებული ჰერმან პაულისა და ფსიქოლოგ ვუნდტის ჩათვლით, ყველას ცდებთან» შედარებით უფრო წინ აყენებს Baudouin-ისა და ruszevskis-ის მეცნიერულ-ისტორიულ მნიშვნელობას, იხ. აგრეთვე თხზუტ. გვ. 306, სადაც Schleicher-ის მიმართ სულ სულ სხვა პოზიციას აფიქსირებს, ვიდრე ეს კარსის მოყვანილ პასაჟშია. ჩანაწერების თარგმანში გამოყენებული ტექსტურიტიკული ნიშნების შესადარებლად იხ. Texte, გვ. 229.

⁸⁵ A. Prosdomi: „Sulla genesi della semiologia in Saussure. Una nota sulla biografia intellettuale”, in *Archivio Glottologico Italiano* 69, 1984, გვ.148. სოსიურის “ფილოსოფიური ფესვების” შესახებ ალტერნატიული და უკეთესად დასაბუთებულ მასალა მოიპოვება CLG/D, გვ. 319ff., გვ. 358 ff., Scheerer 1980, გვ. 120ff. – მაგრამ, როგორც ვიცით, დღეისათვის მაინც არ არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებული მოცულობითი გამოკვლევა. სულაც არ ვაპირებთ აქ პროსდომის თავშეუკაცებელი გამოცხადებას ძირისძირობაზე ჩვენთვის, უბრალოდ ვიტყვი შემდეგ: დე მანუს მეთი ციტირებისას, მიუთითებს, რომ სოსიური გაიზარდა ისეთ გარემოში, “სადაც უმაღლესი ინტელექტუალური კულტურა დიდი ხნის ტრადიცია იყო” (CLG/D, გვ. 321) როგორც თავად სოსიური, (შეადრ. SOU; გვ. 17/18), ასევე მასთან შეთანხმებით ვი დე პურტალე გამომდებით ყვეიან იმ ხიბლზე, რასაც ისინი მათი საერთო ბაბუის, გრაფ ალექსანდერ-ჟოზეფ დე პურტალეს ბიბლიოთეკაში განიცდიდნენ. ვი დე პურტალე ამასთან დაკავშირებით სიტყვასიტყვით წერს შემდეგ: “ჩემმა ბიძაშვილმა, ფილოლოგმა ვერდინანდ დე სოსიურმა გამანდო, რომ მან აქ... აღმოაჩინა საკუთარ თავში მიდრეკილება ისეთი მეცნიერებისადმი, რომლის ისტორიაშიც ის ერთხელაც იქნება და (ეს ხდებოდა სიყრმის წლებში) რევოლუციას მოახდენს. დიდი ოთახი მანსარდაში, ფართო საწერი მაგიდით, წიგნებით დატვირთული თაროები, ათასგვარი ხელნაწერით გამოტენილი კარადა, რომელსაც ხავის სუნი ახდოდა, თითქოს გაბრუებდა და შთაგონებას გვერიდა. სწორედ იქ ავიკიდე ოცი წლის წინ >maladie du livre< წიგნის ავადმყოფობა”, რომლითაც დღემდე ვარ შეპყრობილი. (Cf. Pourtalès: Chaque mouche a son ombre, < ყველა ბუზს თავისი ჩრდილი აქვს > ტომი I, 1881-1919, პარიზი 1980, გვ. 53 f.; იხ. აგრეთვე დანართი, გვ. 533ff).

“წიგნის ავადმყოფობაშეყრილი” სულის სურათი სრულიად ემთხვევა იმას, რასაც ხატავს სოსიურის სიყრმის მეგობარი მისი სიკვდილის შემდეგ: “მისთვის არ იყო უცხო არანაირი საგანი, იქნებოდა ეს პოეზია, ლიტერატურა, პოლიტიკა თუ ხელოვნება, ისტორია თუ ბუნებისმეტყველება” (cf. E. Favre: “Allocution”, in: F.d.S., გვ.30). რაც შეეხება პროსდომის შენიშვნას, რომ შეიძლება სოსიურთან (1900 წლის შემდეგ) საქმე გვაქვს ფილოსოფიურ “neofita dall'apparenza naive” (გვ. 151), უკეთესი იქნება თუ აქ მოვიტანო მთელი პასაჟი Les origines indoeuropéennes ou les arya primitifs: Essai de paléontologie Linguistique-ის მეორე გამოცემის რეცენზიიდან, რომლითაც სოსიური 1878 წელს, მაშასადამე, ჯერ კიდევ მთორბუნე მუშაობის პერიოდში, იგონებს ამ წიგნის ავტორს, თავის 1875 წელს გარდაცვლილ მასწავლებელს ადოლფ აპტეტს:

“აპტეტის ინტელექტუალური ინტერესის ცენტრში მშვენიერების თეორიას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია: უკვე 1822 წელს მან დაწერა ამ გამოკვლევის ფრაგმენტები. ასეთი ესთეტი, რა თქმა უნდა, გულგრილი ვერ დარჩებოდა იმ ლიტერატურული საკითხების მიმართ, რაც იმ დროისათვის ასე აქტიურად განიხილებოდა. იგი სხვა ენათა ლიტერატურებსაც სწვდება. ამაში ძალიან ეხმარება და ახალ პერსპექტივებს უხსნის ვილჰელმ ფონ შლეგელთან პიროვნული ნაცნობობა. შლეგელმა მას გააღაღა ინდური აღმოსავლეთის სამყარო, რომლის საიდუმლოებანი მთელ ევროპაში მხოლოდ ამ ბონელი პროფესორისათვის იყო ცნობილი. ეს, უჭკველად, ის პერიოდი, როცა აპტეტმა ხანსკრიტის შესწავლა დაიწყო და რომლის დროსაც მისი ესთეტიკური და ლიტერატურული კვლევები მისივე ლინგვისტური განათლების საფუძვლებს ქმნიან. გერმანიაში ყოფნის წყალობით, იგი გაეცნო გოეთეს, ჰეგელს, შლაიერმახერსა და შელინგს, რომელიც მის საყვარელ ფილოსოფოსად იქცა” (cf REC, გვ. 392).

ამ სტრიქონების ცოცხალი ჟღერადობა (და ამის შემდეგ მალევე გამოქვეყნებული სტატია, რომელიც ეკუთვნის სოსიურს, რომელსაც ჯერ ოცდაერთიც კი არ შესრულებია) სულაც არ აღძრავს იმგვარ შთაბეჭდილებას, რომ ალბერტინ-ადრიან ნეკერ-დე სოსიურის (მადამ დე სტალის ნრობით აღჭურვილი პირი და ავტორი წიგნისა L'Éducation progressive, შეადრ. CLG/D, გვ. 321) მისი შვილიშვილი თხუთმეტი წლის შემდეგ დასჭირვებოდა რომელიმე მეორეხარისხოვანი სახელმძღვანელოებიდან ფილოსოფიური ცოდნის მიღება, როგორც ამას ამტკიცებს პროსდომი. თუმცა ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, უკვე საკმაოდ რთულია სოსიურს გაუნათლებლობაში დასდო ბრალი, მით უფრო მწვავედ დაისმის კითხვა, რატომ არ განმარტა სოსიურმა იმ ზოგადი ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილი ლექციების ფილოსოფიური საფუძვლები,

აპოსტროფს უსვამს. მეორე მხარეს კი სხვადასხვაგვარად, მაგალითად ი.ე. შმიდტი ავითარებს ასეთ თეზას, “რომ სოსიურის სწორედ ყველაზე ნაყოფიერი >სტრუქტურალისტური< კონცეპტები სინამდვილეში საყმაწვილო-გრამატიკული საერთო-სახალხო საკუთრება იყო.”⁸⁶ აასის მიხედვით, რომელიც ამავე თვალსაზრისს იზიარებს, კურსი არის “შემაჯამებელი გამოსატყულება”, რომელშიც არტიკულირებულია “იმდროინდელი ენათმეცნიერების თვითგაგება.”⁸⁷ მოსაზრებათა ამ ფართო სპექტრის გათვალისწინებით, სოსიური წარმოგვიდგება იმ პიროვნებად, რომლის ჩამოყალიბებაც, მართალია, შეესაბამებოდა⁸⁸ მაშინდელი ენათმეცნიერების უახლეს დონეს, მაგრამ რომელმაც >საერთო-სახალხო საკუთრება< აშკარად მაინც თავის საკუთრებად გაასაღა.

თუ დამფუძნებელთა ფიგურების პროექციებით გაჯერებულ სიბრტყეს გვერდ-ზე გადავდებთ, სოსიურის ჩანაწერთა მკითხველისათვის წინ წამოიწევეს ამ პოლემიკას ამოფარებული სერიოზული, მეცნიერულ-ისტორიული სირთულეები: რა თქმა უნდა, სწორი არ იქნება და ვერც ვერანაირ ნაყოფს ვერ მოიტანს, თუკი სოსიურის თეორიულ ცდებს ისე განვიხილავთ, თითქოს თავისთავად წარმოშობილიყვნენ და არაფერი ჰქონოდათ საერთო მეცნიერების იმდროინდელ მდგომარეობასთან – როგორც ამას დღეს ცდილობენ წარმოგვიდგინონ. სოსიურის მეცნიერული მიღწევების უფრო საქმიანი შეფასებისათვის უადრესად მნიშვნელოვანია უკანასკნელი ოცწლეულის მანძილზე ინტენსიურად მიმდინარე კვლევები XIX საუკუნის ლინგვისტიკის ისტორიოგრაფიის სფეროში.⁸⁹ ამის მიუხედავად, დღეისათვის ჩვენი უპირველესი ამოცანა არ არის სოსიურის ნააზრვეის ჩართვა ლინგვისტიკის ისტორიაში და მისთვის ადგილის მიჩენა და ამის საფუძველიც გვაქვს: მოგვიანებით, ჟენევის უნივერსიტეტში თავისი პედაგოგიური საქმიანობის დაწყების შემდეგ, სოსიურის ჩანაწერებში ჩნდება ისეთი საკითხები, რომელთაც წმინდა ლინგვისტიკასთან ბევრი არაფერი აქვს საერთო. როგორც უკვე ვთქვით, მისი დანატოვარის ორი მესამედი ეძღვნება გერმანული ლეგენდებისა და ინდოგერმანულ პოეზიაში ბგერათა გადანაწილებას, ე.წ. ანაგრამულ კვლევებს. თუმცა ჟენეველი ფსიქოლოგის თეოდორ ფლურნუას მიერ ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნებული სოსიურის ტექსტები უკვე წარმოადგენს იმის დასტურს, რომ სოსიურს კონტაქტი

რომლებსაც იგი თავის მოწაფესთან ა. რიდლინგერთან ხაზგასმულად “un cours philosophique de linguistique ლინგვისტიკის ფილოსოფიის კურსად” მოიხსენიებდა (შეადრ. Texte, გვ.253 [გამოყოფილი დაერთვის] აგრეთვე Texte, გვ. 527 ff).

⁸⁶ Schmidt 1988, გვ. 3.

⁸⁷ შეადრ. ენათმეცნიერების ძირითადი კურსი, I. გაბატონებული სწავლება, მიუნხენი 1973, გვ. 73. ის, რომ ბოლო ორი ციტირებისას გერმანულ ავტორებთან გვაქვს საქმე, შემთხვევითი სულაც არ არის; პირიქით, იმის დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს, თუ რა რთულად აღიქმებოდა რაინის მარჯვენა მხარეს სოსიური და დღესაც ასევე გრძელდება.

⁸⁸ ეს საკამათოც არ არის. R. Gmür-ი სოსიურის აღქმის ისტორიისადმი მიძღვნილ თავის ვრცელ გამოკვლევაში ამას აღნიშნავს და მისი პირმშოს შემუარების შესახებ ასკვნის: “ასეთი ზემოქმედების ძალის მქონე წიგნი, რომელმაც თავისი ავტორი სხვა ყველაფერთან ერთად თანამედროვე ინდოგერმანისტიკის დამფუძნებლად აქცია, მხოლოდ იმ მკვლევარს შეიძლება ეკუთვნოდეს, რომელიც თავისი კარიერის მწვერვალზე იმყოფება – ან იქნებ არა? სოსიური რომ თავის შემუარებს ქმნიდა, ჯერ კიდევ ლაიპციგის უნივერსიტეტის მე-3 თუ მე-4 სემესტრის სტუდენტი იყო და 21 წელიც არ შესრულებოდა” (Gmür: ფერდინანდ დე სოსიურის “შემუარების” ბუდი, აღქმის ისტორია, ბერნი 1986, გვ. 205 f.)

⁸⁹ იმ უამრავ ახალ გამოკვლევათა შორის მაგალითისათვის აქ დავასახელებდით მხოლოდ ს. ორუას მიერ გამოცემულ Histoire des idées linguistique (ბრიუსელი 1989 ff), რომლის მესამე და უკანასკნელი ტომი მთლიანად მიეძღვნება XIX საუკუნის ენათმეცნიერებას, ჯერ არ გამოსულა; შეადრ. აგრეთვე დანართი, გვ.571ff.

ჰქონდა აზროვნების იმ დინებებთანაც, რომლებიც სულ სხვა მეცნიერულ სფეროში იღებდნენ სათავეს. მაგალითად, ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში ან იმ დროისათვის ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ფროიდის ფსიქოანალიტიკური სკოლის ველში. მინდა დავასახელო ერთი მაგალითი, რომელსაც ამ კომენტარის ბოლოს უფრო დაწვრილებით მივუბრუნდებით: “ენის მექანიზმის”, როგორც სინტაგმატური და ასოციაციური კავშირების ურთიერთთამაშის სოსიურისეული კონცეფციისათვის სულაც არ მიგვაჩნია უცნაურად, როცა პოლონელი ენათმეცნიერის ნიკოლაი კრუშჩევსკის უკვე საყოველთაოდ აღიარებული გავლენის გარდა მიუთითებენ მაშინ ფსიქოლოგიური მხრიდან ამოქმედებულ კონცეპტზე “სუბლიმინალური წარმოსახვის” შესახებ, რასაც ფლურნუა თავის ექსპერიმენტულ კვლევებში ეყრდნობა, უპირველეს ყოვლისა კი ბრუნვის კატეგორიისადმი მიძღვნილ ვრცელ შრომაში.

ამიტომაც უადრესად საკამათოდ მიგვაჩნია, რომ ბოლო საუკუნის ოთხმოც-დაათიანი წლების (რეკონსტრუირებული) ცოდნის დონე ლინგვისტიკაში უყოყმანოდ მივიჩნით იმ საკმარისად ვარგისიან ჩარჩოდ, რომელშიც სოსიურის ნააზრვეს უპრობლემოდ განთავსება შეიძლება. მოგვიანებით დადგება საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა დასაშვები სოსიურის ჩანაწერები ჩაითვალოს სტრუქტურალისტური თეორიის იმ შენობის უბრალო აგურად, რომელშიც განთავსებულია ლინგვისტიკა სოსიურის სიკვდილის შემდეგ, სულ ცოტა ნახევარი საუკუნის განმავლობაში. მას ისევ თანამედროვე ლინგვისტიკის >მამამთავრად< თუ >დამფუძნებლად< მოიხსენიებენ (და არის კიდევ)⁹⁰, მაგრამ მისი ჩანაწერების ყურადღებით წაკითხვა გვიჩვენებს, რომ სოსიურს ლინგვისტიკის ჩარჩოებიდან გამოსვლის პრობლემა ისევე აღელვებდა, როგორც მისთვის სანდო კონცეპტუალური საფუძვლების შექმნა. გაგება > ყველაფერი იმის დიდი ამაოებისა, რაც ლინგვისტიკაში გაკეთდა< და აქედან გამომდინარე სხვა, უფრო ნაყოფიერი ათვლის წერტილების ინტენსიურმა ძიებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა სოსიურის პროექტებში “მეცნიერებისათვის, რომელიც ნიშანთა ცხოვრებას იკვლევს სოციალური ცხოვრების ჩარჩოებში”⁹¹, მეცნიერება, რომელიც, მისი აზრით, “ჯერ კიდევ არ არსებობს [და]”⁹² რომელსაც მან სემიოლოგია უწოდა. სემიოლოგიის პროექტით, ამ რთული, მაგრამ გაბედული წამოწყებით, მან შეძლო, რომ ლინგვისტიკაში (კვლავ) შემოეყვანა ნიშანი, რომელსაც ეს მეცნიერება ამ ცნების ზედმეტად ფილოსოფიურობისა თუ სპეკულატურობის გამო გამოეთხოვა. ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა როგორც სოსიურის ექსცენტრული მდგომარეობა თავად ლინგვისტიკაში, ასევე მისი, როგორც პროფესიონალი ენათმეცნიერის, ფარგლებს გაცილებული, ზოგად-ჰუმანიტარული მნიშვნელობა.

ამ პროექტის ზუსტი კონტურების შემოხაზვა, მისი შინაგანი დაძაბულობის თუ სუსტი წერტილების მონიშვნა, სოსიურის აზროვნების მიმართულებაზე თვალის გადავლება ლინგვისტიკასა და სემიოლოგიას შორის არის სწორედ ამ შესავალი კომენტარის მიზანი. ამით, რა თქმა უნდა, ეჭვქვეშ არ დგება ლინგვისტიკის ისტორიაში სოსიურისათვის ღირსეული ადგილის მიჩენის საკითხი (როგორც ფართო, ასევე ვიწრო გაგებით). უფრო მეტად აქ ლაპარაკია ჯერ კიდევ დასაწერი ენათმეცნიერულ-ისტორიული თავისათვის საჭირო მასალების მოძიებაზე, ისეთი ისტორიის დაწერაზე, რომელიც ამოდის ტექსტებიდან და ტექსტებსვე უბრუნდება.

⁹⁰ შეადრ. D.Crystal: The Cambridge Encyclopedia of Language, კემბრიჯი 1987, გვ.407, ავ. G.A. Miller: სიტყვები. ექსკურსი ფსიქოლინგვისტიკაში, ჰაიდელბერგი 1993, გვ. 26.

⁹¹ GRF, გვ.19; CLG/D, გვ. 33; CLG/E (I), გვ.47 f., Nr. 283-284.

⁹² Ibid.

B. ენები

წინასწარ შევნიშნავ: საყოველთაო შთაბეჭდილება ისეთია, რომ ჯანმრთელი ადამიანის გონებამ წესით უნდა...
დააფრთხოს ყველა მოჩვენება
მაგრამ ჩვენ ასე არ გვეგონია. ჩვენ
დარწმუნებული <ვართ>, რომ, პირიქით, ვინც კი ფეხს დაადგამს
იმ მიწაზე, ენა რომ ჰქვია, შეუძლია უთხრას საკუთარ
თავს, რომ იგი უკვე მიტოვებულია მიწისა და ცის ყველა ანალოგიისაგან.

1894 წლის ნოემბერი,
ჩანაწერი მემკვიდრეობიდან

IV. ენა და ენა

თუკი შევადარებთ ერთმანეთს სოსიურის 1891 წლის ნოემბრის, ანუ ჟენევაში კათედრის გამგის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული მოხსენების ჩანაწერებს მისსავე ზოგადი ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილ ლექციათა მეორე და მესამე კურსების წყაროთა მასალებს, რომლებიც მან 1910 და 1911 წლებში წაიკითხა, აღმოვაჩინებთ შესამჩნევ რყევას იმ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, რასაც სოსიური ანიჭებს “Langue”-ს და “Langage”-ის ცნებებს, ანუ იმ მეთოდის საფუძვლიან ცვლილებას, რის მეშვეობითაც შეიძლება მათ შორის არსებული განსხვავებების დადგენა.

სოსიურის გარდაცვალების შემდგომ გამოცემულ კურსში, რითაც დაიწყო საერთოდ სოსიურის ზეგავლენა თანამედროვე ლინგვისტიკაზე და უფრო მოგვიანებით კი ჰუმანიტარულ მეცნიერებებზეც, სულ სხვანაირად წარმოგვიდგება განსხვავება “Langue”-სა და “Langage”-ს შორის. იმის მიუხედავად, რომ მათი დაპირისპირება კურსში ცენტრალურ როლს თამაშობს, მაინც დაფარული რჩება მათი შემეცნებით-თეორიული მნიშვნელობა, რადგან შეუძლებელია თვალის მიდევნება იმ აზრობრივ სვლებზე, რომლებსაც ამ მნიშვნელობამდე მივყავართ.

პირველ რიგში, სწორედ ამ მიზეზით, მაგრამ იმის გამოც, რომ გერმანულად¹ არც თუ ისე გასაგებია, თუ რა განსხვავებებზეა საუბარი, რადგან არ არსებობს მარტივი თუ ერთმნიშვნელოვანი შესატყვისი ამ ურთიერთდაპირისპირებული ფრანგული ტერმინებისათვის (“Langue” და “Langage”), ამიტომაც ამოსავალ წერტილად ვიღებთ ამ ცნებათა ურთიერთგამიჯვნას და შევეცდებით, მოვნიშნოთ ის გზა, რაც გაიარა სოსიურის აზროვნებამ მისი ცხოვრების ჟენევიურ პერიოდში.²

კიდევ ერთი წინასწარი შენიშვნა: ვინც სოსიურის ნააზრევს პირველად კურსის მეშვეობით ეცნობა, აუცილებლად გაუკვირდება ის, რომ მომდევნო

¹ ის. ამასთან დაკავშირებით იმ პრობლემათა დაწვრილებითი და დოკუმენტებით გამაგრებული კომენტარი, რაც უკავშირდება სოსიურის ფრანგული ტერმინების – „langua“ და „langage“ – თარგმანს და არა მარტო გერმანულს, რასაც იძლევა ტ. დე მორო *კურსთან* დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებში, in: CLG/D, გვ. 423 ff.

² მემკვიდრეობაში არსებულ წყაროთა მდგომარეობის გამო (შეადრ. Texte, გვ. 229) იძულებული ვართ, შემოვიფარგლოთ მხოლოდ 1891-1913 წლებით.

გვერდებზე არ იქნება დაბეჭდილებული საუბარი “langue”-სა და “parole”-ს შორის არსებულ განსხვავებაზე, რაც ითვლება სოსიურის თეორიული შენობის დედაბოძად³ და დღემდე მიეკუთვნება ყველაზე უფრო საკამათო კონცეპტთა რიცხვს.⁴ თუკი ჩვენ აქ უფრო მეტად “Langue”-სა და “Langage”-ს შორის არსებულ განსხვავებაზე ვახდენთ კონცენტრირებას, ეს არა იმიტომ, რომ “langue” -სა და “parole”-ს შორის არსებულ განსხვავებას ნაკლებ მნიშვნელოვნად ვთვლით, ან გგონია, რომ ამ დიქტომიის გარშემო ატეხილი დისკუსია უკვე ამოიწურა. ჩვენი ამოცანაა გამოვეყნოთ ეს აქამდე ნაკლებად განხილული ასპექტი იმ შემეცნებით-თეორიული პლანიდან, რომლის ფონზეც ეს დისკუსია თამაშდება.

კათედრის გამგის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებულ ლექციათა კურსი

თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებულ ჟენევეურ ლექციათა კურსის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ თავდაპირველად პრობლემური არ უნდა ყოფილიყო განსხვავება “Langue”-სა და “Langage”-ს შორის. “Langue” და “Langage” აქ უნდა აღნიშნავდნენ, როგორც ჩვენ მოგვიანებით ვნახავთ, >ერთსა და იმავე რამეს<, მხოლოდ ერთადერთი სხვაობით – ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ზოგად მოვლენასთან, მეორე შემთხვევაში კი – კონკრეტულთან:

ენა [>Langue<] და ენა [>Langage<] ერთი და იგივე საგანია; ერთი არის მეორის განზოგადება. წარმოუდგენელია, რომ ენის [>Langage<] შესწავლა მონდომო და იმაზე დაც კი არ შეიწუხო თავი, რომ გამოიკვლიო <მისი გამოვლენის სხვადასხვა ფორმა, კერძოდ კი ენები [>Langues<]>, ეს ხომ აბსოლუტურად ამო და ქიმურული წამოწყება იქნებოდა; <მეორე მხრივ>, თუკი განვიზრახავთ ენების [>Langues<] კვლევას და დაევიწყებთ, რომ ეს ენები [>Langues<] მნიშვნელოვნად განისაზღვრება იმ <გარკვეული> პრინციპებით, რომელთა შეჯამებაც ხდება ენის [>Langage<] შესახებ წარმოდგენაში, მაშინ მივიღებთ <კიდევ ერთ>, ყოველგვარ სერიოზულ მნიშვნელობას და ჭკუშარიტ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულ ნაშრომს. ამიტომაც იკვებება განუწყვეტლივ ენის [>Langage<] ზოგადი კვლევა იმ განსხვავებული დაკვირვებებით, რომლებიც ტარდება ამა თუ იმ ენის [>Langue<] განსაკუთრებულ უბანზე.⁵

მაშასადამე, “Langage”-ს შემთხვევაში საქმე ეხება >ენის ზოგად კვლევას<, მაშინ როცა ცალკეულ, კონკრეტულ ენათა, მაგ. ფრანგულის, ან გერმანულის >გამოვლენის ფორმები< მიეკუთვნება “Langue(s)”-ს სფეროს. ორივე მხარე არა მარტო ავსებს ერთმანეთს, არამედ, როგორც ჩანს და ეს ხდება თანაბარი დოზით, დამოკიდებული არიან კიდევ ერთმანეთზე, როგორც პარტნიორები.

სხვათა შორის, შემდეგში სოსიური მიუთითებს იმ ხელისშემშლელ ასიმეტრიაზეც, რომელიც იქნის ხოლმე თავს “Langue(s)”-ს და “Langage”-ს ჰარმონიულ თანაარსებობაში:

იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ვინმე ივარაუდებს, რომ მეტყველება [>parole<] ადამიანთან მიმართებაში <სრულიად ბუნებრივი ფუნქციაა> (რაც საფუძველშივე მცდარი აზრია,

³ შეადრ. შვედერი 1980, გვ. 77ff., ან გულუცი 1976, გვ. 29 ff.

⁴ ამ პრობლემის დაწვრილებითი აღწერილობა მოიპოვება in: SM/G, გვ. 142ff; CLG/D, გვ. 420, 65-ე შენიშვნა; R: Engler: „European structuralism: Saussure“, in *Current trends in linguistics* 13/2, 1975, გვ. 853ff.; C. Normand: “Langue/parole: constitution et enjeu d’une opposition”, in: *Langages* 49, 1978, გვ. 66-90; Koerner 1973, გვ. 243 ff.; Jäger 1976, გვ. 232 ff.; Harris 1987, გვ. 14 ff

⁵ Cf. CLG/E (I), გვ. 515, N I.I, Nr. 328f.

რომელსაც გარკვეული ანთროპოლოგიური თუ ლინგვისტური სკოლები იზიარებენ), ჩვენ მაინც გადაჭრით <absolument> უნდა დავრწმუნდეთ იმ პოზიციაზე, რომ ამ ფუნქციის განხორციელება მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი შეიძლება გახდეს მხოლოდ ენის <langue>, ან არსებულ ენათა <langues> შესწავლის შედეგად.⁶

სანამ ზოგადი – აქ: >ლაპარაკის ბუნებრივი ფუნქცია ადამიანთან მიმართებაში< – >მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ არსებულ ენათა თვალსაზრისით<, მაშინ პარადოქსულად მოჩანს “Langue”-სათვის >ენის ზოგად კვლევაში< კი უპირატესობის მინიჭება. მისი არდანახვა ან არგათვალისწინება არის სწორედ ის საყვედური, რომელსაც გამოთქვამს სოსიური ენის ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის მიმართ ერთ-ერთ იმ პასაჟში, რომელიც უკვე ციტირებულებს წინ უსწრებს ქრონოლოგიურად; ამ დროს ის კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს “Langue”-ს უპირატესობას “Langage”-სთან შედარებით:

[...] ენის <langage>, როგორც <ერთ-ერთი> ადამიანური <ფაქტის> <fait humain> კვლევა მთლიანად ან თითქმის მთლიანად მოიცავს თავის თავში ენათა <langues> კვლევას. ფიზიოლოგს, ფსიქოლოგს <და ლოგიკოსს> შეუძლიათ დიდხანს ილაპარაკონ, ფილოსოფოსს შეუძლია დროთა განმავლობაში დაეყრდნოს ლოგიკის, ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის კომბინირებულ შედეგებს, მაგრამ თავს უფლებას მივცემ აღვნიშნო, რომ შეუძლებელია ენის <langage> ელემენტარულ ფენომენთა ნათლად აღქმა, კლასიფიკაცია თუ გაგება, თუკი პირველ და უკანასკნელ ინსტანციაში არ ჩატარდება ენათა <langues> გამოკვლევა.⁷

მაშასადამე, სოსიური ერთიანად უარყოფს ლოგიკას, ენის ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას, რადგან ისინი >ენათა კვლევას< არ ითვალისწინებენ. როცა >პირველ და უკანასკნელ ინსტანციაში ენათა <langues> გამოკვლევას< ატარებ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამით მნიშვნელობას უკარგავ >ენის ზოგად კვლევას<:

და პირიქით, შეიძლებოდა ამ არსებულ ენათა <langues> კვლევას თითქმის არავითარი შედეგი არ მოჰყოლოდა; ყოველ შემთხვევაში, მეთოდი და წარმმართველი პრინციპი მაინც დაეკარგა, რომ არა მისი მუდმივი ლტოლვა ენის <langage> ზოგადი პრობლემის წარმოსაჩვენად, რომ არა მისი მუდმივი ძალისხმევა საიმისოდ, რომ ყველა იმ წვრილმანთაგან <რასაც კი იგი აკვირდებოდა>, გამოერჩია ის აზრი და სარგებელი, რაც გამომდინარეობს ჩვენი ცოდნიდან <ენის მიმართ <langue> გამოყენებული იმგვარი ოპერაციების შესახებ, რაც ადამიანური ინსტინქტისათვის დამახასიათებელია>.⁸

მაშინაც კი, როცა გონებით იცი, რომ >არსებულ ენათა კვლევა დარჩება სტერილური, ყოველგვარი მეთოდისა და წარმმართველი პრინციპის გარეშე<, როცა თვალთახედვიდან კარგავ >ენის ზოგად კვლევას<, ხომ ცხადია, რომ langue-სა და langage-ს შორის სირბილში იმალება პრობლემა. ან კი როგორ შეიძლება >ენის ზოგადი პრობლემიდან< გამომდინარეობდეს >არსებულ ენათა კვლევის< პრინციპები, როცა მეცნიერებას ამ >ენის ზოგად პრობლემამდე< მისვლა მხოლოდ არსებულ ენათა საშუალებით შეუძლია? სწორედ ამ კითხვას სვამს კიდევ ერთხელ სოსიური ოცი წლის შემდეგ, ზოგადი ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილ თავის ბოლო ჟენევეურ ლექციაში და მოულოდნელ პასუხსაც იძლევა.

⁶ Cf. იქვე

⁷ Cf. ibid

⁸ Ibid.

III კურსი

სოსიურმა 1910 წლის 4 ნოემბერს სტუდენტებს აუწყა, რომ მან ზოგადი ენათმეცნიერებისადმი⁹ მიძღვნილი თავისი მესამე ლექცია სამ ნაწილად დაჰყო:

1. – ენები [>langues<]
2. – ენა [>langage<]
3. – ლაპარაკის უნარი [>la faculté du langage<] და მისი გამოყენება ინდივიდთა მხრიდან.¹⁰

მაშასადამე, ჩვენი თხრობის ამოსავალი წერტილია – ენები. თუ რატომ, ეს სოსიურმა 8 ნოემბერს განმარტა:

ენის ფაქტებთან [>faits de langage<] დაკავშირებული პირველი დასკვნაა: ენათა [>langues<] მრავალფეროვნება, გეოგრაფიული სხვადასხვაობა.

ყველას თვალში ხვდება ეს მრავალფეროვნება სივრცეში (იგივეს ვერ ვიტყვით დროით ვარიაციებზე). თვით ველურებსაც კი გააჩნდათ ეს ცოდნა; ეს არის ის მრავალფეროვნება, რომელიც ხალხებს თავიანთ ენას [>langue<] შეაგრძნობინებს. სხვაგვარად ისინი, ალბათ, ვერც კი მიხვდებოდნენ, რომ ლაპარაკობენ.¹¹

[...]

როგორც ჩანს, ენათმეცნიერებისათვის გადამწყვეტი [>primordial<] ფაქტია ენათა [>langues<] გეოგრაფიული სხვადასხვაობა.¹²

ამით ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ თავის ბოლო ლექციაში სოსიური ყველაფერს ისევ თავიდან იწყებს და ამოსავალ წერტილად იღებს იმას, რაშიც ყველას შეუძლია დარწმუნდეს: აქ ასე ლაპარაკობენ, იქ – ისე, აქ – ფრანგულად, იქ – გერმანულად, სადღაც იტალიურად და ა.შ. ეს არის >ენათმეცნიერების გადამწყვეტი ფაქტი<. ეს არის, თუ გნებავთ, ის ყოველდღიური გამოცდილება, რომელსაც შეიძლება მიებას სოსიურის მოსაზრებანი “ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის” შესახებ: ის, რომ საზღვრის ერთ მხარეს ითქმება b-ö-f, მეორე მხარეს – o-k-s, ან – r-i-n-d.

ის სიჯიუტე, რომლითაც სოსიური ამ დებულებას ასაბუთებს, აშკარად იგრძნობა ამ ლექციისათვის მზადების პერიოდში გაკეთებული ჩანაწერებიდანაც:

ენის [>langue<] ფორმათა მრავალფეროვნება <დედამიწაზე>, ენის [>langue<] სხვადასხვაობა, როცა ჩვენ ერთი ქვეყნიდან გადავდივართ მეორეში, ან ერთი რეგიონიდან – მეორეში, ეს არის სწორედ ის გადამწყვეტი [>primordial<] მტკიცებულება, რომლის მოპოვებაც ყველას უშუალოდ შეუძლია. [...]

თუმცა სრულად შესაძლებელია, რომ დამკვირვებელს დასაწყისში გამოეპაროს ენის [>langue<] ცვლილებები დროში, მაგრამ გამორიცხულია, რომ შეუმჩნეველი დარჩეს ცვლილებები სივრცეში. ჩვენ მხოლოდ მოგვიანებით ვიწყებთ ხოლმე ლაპარაკს დროში მომხდარ ცვლილებებზე და ენახულობთ, რომ ისინი განუყოფელი არიან სივრცე-

⁹ ...: Cours III

¹⁰ Cf. CLG/E (I); გვ. 24, D 5, Nr. 122 [ფრანგულ ორიგინალში ტექსტებიდან ამონარიდთა უკეთ მოსანახად შემდგომში *კურსის* წყაროდან აღვიღის მითითებისას გამოვიყენებთ შემდეგ შემოკლებებს: CLG/E: D 5=გვ.5 ქორუ დეგალიეს კონსპექტიდან; Nr. 122= ამონარიდი, რომელიც რ. ენგლერის R.Engler მიერ შემოღებული ნუმერაციის თანახმად შეესაბამება ბალისა და სეშეს ტექსტის 122-ე ნომერს CLG/E-ში].

ჩვენ აქ ვეყრდნობით ქორუ დეგალიეს უაღრესად ზუსტ ჩანაწერებს. 1910 წლის 4 ნოემბრის ლექციის სრული და 8 ნოემბრის ლექციის დასაწყისის ქორუ დეგალიესეული ჩანაწერები იხ. Texte-ში, გვ. 506 ff. შეადრ. აგრეთვე SM/G; გვ. 77 ff.

¹¹ Cf. CLG/E (I), გვ. 436, D 9, Nr. 2847-2849.

¹² Cf. CLG/E (I), გვ. 437, D 10, Nr. 2855.

ში მომხდართავან; თუმცა უშუალოდ ვხედავთ ხოლმე მხოლოდ მეორე სახის ცვლილებებს, ვიძეორებ, მხოლოდ მეორე სახისას.¹³

როცა იგი ლაპარაკობს <დედამიწაზე ენათა მრავალფეროვნების> შესახებ, ის, რომ >ენის სხვადასხვაობა< არის >პირველი და გადამწყვეტი მტკიცებულება<, >უშუალო მოცემულობა<, რომ სწორედ მისი მეშვეობით >გამჩნევთ, რომ ვლაპარაკობთ<, ეს სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა იმას, რომ სოსიური ამ სხვადასხვაობას განიხილავს, როგორც ისეთ რამეს, რაც თავად ჯდება ენის თუ ენობრივის დეფინიციასში. მაგრამ ამით იგი უპირისპირდება თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებულ საკუთარ ლექციას: თუ ენათა სხვადასხვაობა თავად მიეკუთვნება ენის დეფინიციას, მაშინ >ენათა კვლევის წარმმართველი პრინციპი< “langage”-ის ცნებიდან კი აღარ უნდა ამოდიოდეს, არამედ პირიქით; უფრო მეტიც, >ენის ზოგადი პრობლემის< გააზრება უნდა ხდებოდეს ენათა სიმრავლისგან გამომდინარე. სწორედ ამის გაკეთებას ცდილობს სოსიური თავის ბოლო კურსში:

თუკი ეს ენის [>langue<] ჩვენეული ცნებაა, მაშინ ცხადია, რომ იგი წარმოგვიდება მხოლოდ სხვადასხვა ენათა [>langue<] სერიაში. ჩვენ მისი მოხელთება შეგვიძლია მხოლოდ რომელიმე განსაზღვრული ენის [>langue<] მეშვეობით. ენა [>langue<], რამდენად გამართლებულია ამ სიტყვის გამოყენება მხოლოდობით რიცხვში? ჩვენ იგი გვესმის, როგორც ისეთი განზოგადება, როგორც ისეთი რამ, რაც ყოველი განსაზღვრული ენისათვის [>langue<] ჭეშმარიტებად ისე უნდა იქცეს, რომ შემდგომი დაკონკრეტება არც კი დასჭირდეს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიფიქროთ, რომ განზოგადებული ტერმინი ენა [>langue<] თანაზომიერია იმისა, რაც აღინიშნება ტერმინით “ენა” [>langue<].¹⁴

მაშასადამე, >ენის ზოგადი პრობლემის< აღმნიშვნელ ცნებას “langage” სოსიური ცვლის “langue”-თი და აღნიშნავს, რომ >ზოგადი ტერმინი “langue” სულაც არ არის ტერმინი “langage”-ის თანაზომიერი<; და ეს ეტყობა იმიტომ, რომ განსხვავებით “langage”-საგან, “langue” მიუთითებს >სხვადასხვა ენათა სერიაზე<, ენათა [>languages<] სიმრავლეზე.

ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდება, >ენის ზოგადი პრობლემის< თუ >უმნიშვნელოვანესი პრინციპების< აღქმას “langage”-ის მეშვეობით ცდილობთ თუ “langue”-სი. ეს შეხედულება, რომლიდანაც სოსიურს თავის ბოლო კურსში საბოლოო დასკვნები გამოაქვს, მინიშნების სახით უკვე მოცემულია თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებულ მის პირველ ქვენეურ ლექციაში, ჩვენ ეს უკვე ვნახეთ. მაშინაც კი, თუკი იგულისხმება, რომ ადამიანს გააჩნია >მეტყველების ბუნებრივი უნარი<, სოსიური მაინც გვთავაზობს ვიფიქროთ იმაზე, რომ <ყველა შემთხვევაში, სრულიად მტკიცედ უნდა დავრჩეთ იმ აზრზე<, რომ >ეს ფუნქცია მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი შეიძლება გახდეს მხოლოდ არსებულ ენათა შესწავლის გზით<. თუკი ადამიანის მეტყველების ფუნქცია – “langage” – არტიკულირდება მხოლოდ კონკრეტულ ენობრივ ფაქტებში, მაშინ >ენის ზოგადი პრობლემის< წარმოსახვა შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრულ ენებთან – “languages”-ებთან კავშირში, და ჩვენი მხრიდან დაეუმატებდით – მხოლოდ მათი მეშვეობით.¹⁵

ფრანგული სიტყვა “langue” გვაიძულებს ვიფიქროთ ფრანგულ, გერმანულ და სხვ. ენებზე, აგრეთვე “langue maternelle” (დედა-ენა) და ბოლოს და ბოლოს თავად “ენაზე, როგორც ორგანოზე”. მრავლობითში “les langues” აღნიშნავს უამ-

¹³ Cf. CLG/E (I), გვ. 436, D 23, Nr. 2847-2848.

¹⁴ Cf. CLG/E (I), გვ. 158, III C 284, Nr. 1171.

¹⁵ შეადრ. აგრეთვე N6 in Texte, გვ. 283f.

რავ¹⁶ ბუნებრივ ენას. ამის საპირისპიროდ, “langage” კომპოზიტებში გვევლინება, როგორც “l'étude du langage comme faculté de l'homme-¹⁷ (ენის, როგორც ადამიანისეული უნარის შესწავლა), როგორც “langage des animaux” (ცხოველთა ენა) ან “métalanguage” (მეტა-ენა). სოსიური მესამე კურსში “langage”-ს იმიტომ კი არ ცვლის “langue”-თი, რომ >ენის ზოგადი პრობლემა< აღარ აინტერესებს, არამედ უფრო იმიტომ, რომ მისი აზრით, იპოვა ახალი გზა >ენათა იმ უმნიშვნელოვანესი პრინციპების გასაგებად<, რომელიც “langage”-ს ცნებით გადაიფარება და რომელიც თავის წარმოშობას ფილოსოფიურ თუ ლოგიკურ სააზროვნო ტრადიციებს უმაღლის.

>რომ არ მიბრუნებოდნენ ენების კვლევას პირველ და ბოლო ინსტანციაში<, სრულიად შესაძლებელი იყო შექმნილიყო და გავრცელებულიყო კიდევ მცდარი აზრი, რომ არსებობს ყველა ენაზე მაღლა მდგომი, რაღაც წინარე, ძირითადი ენა, მაგალითად, რაღაც სუფთა სააზროვნო ენა, რომელიც პრინციპში, დაცულია იმ მომბეზრებელი პრობლემებისგან, რასაც ქმნის ენათა სხვადასხვაობა.¹⁸ აქ ნაკლებმნიშვნელოვანია ის, რეალიზირდება თუ არა ეს “პროტოენა” შემდეგ ფრანგულში, გერმანულში და ა.შ. წინარებაბილონურ მდგომარეობაში დაბრუნების ამ ილუზიას, რომელიც ემყარება ჯერ კიდევ ფილოსოფიიდან და ლოგიკიდან ცნობილ ჯიუტ ლტოლვას “reductio linguarum ad unam”-ისკენ (ენების რედუქცია და უნიციფირება), სოსიურმა თავადვე უნდა დაასწროს, როგორც ინდოგერმანისტმა და კომპარატივისტმა. სწორედ ამაში მდგომარეობს იმის შემეცნებით-თეორიული მიზეზი, თუ რატომ აგებს იგი თავის ზოგადი ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილ III სალექციო კურსს ენათა სიმრავლეზე.

რადგან ენობრივ-ფილოსოფიური აზროვნება უგულვებელყოფდა კონკრეტულ ენათა, მაგ. ფრანგულის ან გერმანულის თავისებურებებს, ამიტომ აღარც სოსიური იღებდა მათ სახელმძღვანელო პრინციპად >ენის ზოგადი პრობლემის< განხილვის დროს და ეს არა მარტო იმიტომ, რომ იგი თავის მეცნიერებას თვლიდა ემპირიულ მეცნიერებად. წარმოდგენას იმ ერთადერთი, პირველი, წინარე თუ ზეენის შესახებ, რომელიც ფილოსოფიური თვალსაზრისით იკითხება ცნებაში «langage»,¹⁹ როგორც ჩანს, სოსიური აღიქვამდა იმის მაცდურ შენიღბვად, რაც მან შეიცნო >პირველ მტკიცებულებად ენის ფაქტებში<; თანაც იმდენად, რომ ეს წარმოდგენა არც ენათა სიმრავლის უაღრესად გადამწვევტ ფაქტს უწევდა სათანადო ანგარიშს. თუკი სოსიური, როგორც ჩვენ ამას შემდგომში დავინახავთ, ენის ფილოსოფიის ტრადიციას გამუდმებით აკრიტიკებდა და მას გარკვეულწილად უარყოფდა, ეს მხოლოდ

¹⁶ C. Hagège-ს თანახმად, დღეისათვის უკვე აღრიცხულ ენათა რიცხვი 4-დან 6 ათასამდეა. შეადრ.: *L'homme de paroles. Contribution linguistique aux sciences humaines*, პარიზი 1985, გვ. 55f.

¹⁷ სოსიური ასე წერს: “აქ ხშირად ჩნდება >ზეენი აზრით, მეტ-ნაკლებად დასაბუთებულ< საყვედური: თქვენ ენათა [>langues<] კვლევას აქცევთ ენის [>langage<] კვლევად და განიხილავთ მას ადამიანის უნარად, მისი სახეობის >ერთ-ერთ< განმასხვავებელ ნიშნად, ანთროპოლოგიურ, ან ე.წ. ზოოლოგიურ მახასიათებლად. ბატონებო, ეს ისეთი საკითხია, რომლის განსამარტად და თავის გასამართლებლად საკმაოდ დიდი დრო მჭირდება, თუმცა ჩემი თვალსაზრისი არ განსხვავდება თანამედროვე ლინგვისტთა მოსაზრებებისაგან; კერძოდ, კი ლაპარაკია იმაზე, რომ ენის [>langage<] <როგორც ერთ-ერთი> ადამიანური <ფაქტის> [>fait humain<] კვლევა მთლიანად, ან თითქმის მთლიანად ჯდება ენათა [>langues<] კვლევის არეალში» (Cf. CLG/E (I), გვ. 515, N I.I, Nr. 3281).

¹⁸ მაგალითად, ისეთი პრობლემები, როგორიც იქმნება სოსიურის ტექსტების Texte გერმანულად თარგმნისას, კერძოდ ის, რომ «langue» და «langage», ერთი მხრივ, და «ენა», მეორე მხრივ, ვერ ქმნიან მარტივ, ერთმნიშვნელოვან შესატყვისობებს.

¹⁹ შეადრ. უმბერტო ეკოს ახლახანს გამოსული მიმოხილვითი ნაწარმოები: *სრულყოფილ ენათა დიებაში, მიუნხენი 1994*.

იმიტომ, რომ ეს ტრადიცია ძალზედ მცირედ თუ ითვალისწინებდა მისთვის ესოდენ მნიშვნელოვან თვალსაზრისს:

ენის [>langage<] მანიფესტაცია შესაძლებელია მხოლოდ ენის [>langue<] მეშვეობით; მის გარეშე იგი საერთოდ ვერ იარსებებდა.²⁰

ამდენად, “le langage”-ის შეცვლა “la langue”-თი ზოგადი ენათმეცნიერებისათვის იმდენადაა წარმართველი, რამდენადაც იგი ათვალსაჩინოებს იმას, რომ ლინგვისტიკა თავის საგანს არ უნდა ეძებდეს ბიოლოგიურ ფუნქციაში და რომ ეს საგანი არ უნდა გაიგებოდეს, როგორც ადამიანის უნარი, ან როგორც რაღაც ზე-ენა.²¹ თუკი არსებობდა >ენის ზოგადი პრობლემა< – და სწორედ ეს არის III კურსის დედააზრი, – მაშინ იგი მდგომარეობდა ენათა სიმრავლეში და ამ სიმრავლისა და სხვადასხვაობიდან გამომდინარე, მართლაც ღირდა შეკითხვის დასმა ენათმეცნიერების >წარმართველი პრინციპის< შესახებ. სოსიური ჯერ კიდევ თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებულ ლექციაში შენიშნავს:

დაადგინეს, რომ ეს არის ფენომენთა ის ბოლო დეტალი, რომელიც იმავდროულად მისი ბოლო საფუძველიცაა [c’est le détail ultime des phénomènes qui est aussi leur raison ultime<]; და რომ მხოლოდ კონკრეტიზაციას შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს განზოგადებაში.²²

თუკი სოსიურის აზროვნებაში უკვე დიდი ხნის მანძილზე მწიფდებოდა განზრახვა, რომ ზოგადი აღქვა კონკრეტულის მეშვეობით, ზოგადი გამოყვანა ერთეულის განსაკუთრებული ფორმიდან, მაშინ ამ განზრახვამ თავისი აღეკვადური ცნებითი გამოხატულება ჰპოვა – >ენის ზოგადი პრობლემა< აღნიშვნის მიზნით – “le langage”-ს “la langue”-თი შეცვლაში.

უსაფუძვლო და შემთხვევითი როდია, რომ ფრანგულში “Philosophie du langage”-ის საპირისპიროდ, ყოველთვის არ გამოიყენება გამოთქმა “Philosophie des langues”, ან “de la langue”. თავისი ბოლო კურსით, რომელსაც მან ზემოთ უკვე ნახსენებ რიდლინგერთან საუბარში “ლინგვისტიკის შესახებ ფილოსოფიური ლექციის მოსამზადებელი ეტაპი”²³ უწოდა, სოსიური უკვე დაადგა იმ გზას, რომ ამგვარი “ენის ფილოსოფიის” მომავალი დამფუძნებელი და მთავარი წარმომადგენელი გამხდარიყო. ...თუმცა ყველა შემთხვევაში ცხადია, რომ “le langage”-ს “la langue”-თი შეცვლა კვლავ და კვლავ წარმოშობს ერთ უხერხულ შემეცნებით-თეორიულ შეკითხვას; ეს შეკითხვა არც სოსიურს გამოპარვია, თუმცა ზემოთ მოყვანილი პასაჟიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს იგი მისგან თავის არიდებას ცდილობდეს: თუკი ენათმეცნიერება ამოვიდა არსებულ ენათა ურიცხვი რაოდენობიდან, >ენათა სერიიდან<, მაშინ როგორ შეიძლება, რომ მის საგნად მიიჩნეოდეს “la langue”? >la langue, –

²⁰ Cf. CLG/E (I), გვ. 43, J 4, Nr. 261; შეადრ. აგრეთვე გ. შტაინერი: *Après Babel*, პარიზი 1978.

²¹ შეადრ. ამის საპირისპიროდ ნ. ჩომსკი: “ენობრივ უნართა ბიოლოგიური საფუძვლისათვის”, in: იგივე, *წესები და რეპრეზენტაცია, მაინის ფრანკფურტი*, 1981, გვ. 187-217. და ერიკ ფონ ლენებერგი Eric V. Lenneberg: *ენის ბიოლოგიური საფუძვლები, მაინის ფრანკფურტი* 1972.

²² Cf. CLG/E (II), გვ. 4, N I.I. იგივე აზრი იკითხება შემდეგი შეკითხვის ფორმულირებისას: „ღირს კი ენის [>langage<] ფენომენი <თავისთავად> იმად, თუნდაც თავის განსხვავებულ მანიფესტაციებში, თუნდაც თავის ზოგად კანონზომიერებებში, რომლებიც მხოლოდ განსაკუთრებული ფორმებისგან უნდა იყვნენ წამოსული და <არასდროს> სხა რამისგან, რომ თავი იტყოს მის კვლევაზე. ეს ხომ, <რაც არ უნდა> ნათლად და კატეგორიულად <იყოს ნათქვამი>, სწორედ ის ველია, რომელზეც თანამედროვე ენათმეცნიერება ბინადრობს... [] <ამის მიხედვით>, შეიძლება კი ჩაითვალოს ენა [>langage<], ან ენა [>langue<] იმ საგნად, რომელიც თავისთავად ღირს იმად, რომ მის კვლევაზე ვინმემ თავი შეიწუხოს? (Cf. CLG/E (I), გვ. 4, N I.I, Nr. 3283).

²³ Cf. SM/G, გვ.30 შესაბამ. Texte, გვ. 522

როგორ შეიძლება გამართლებული იყოს ამ სიტყვის მხოლოდობაში გამოყენება? სოსიურის მტკიცება, რომ იგი >განზოგადებას, ანუ იმას, რაც ყოველი ენისათვის სიმართლე იქნება< “la langue”-ს უწოდებს, ვერ ჩაითვლება ამ შეკითხვის პასუხად. იგი უფრო მისი გამეორებაა. თუ რატომ მოითხოვს იგი ასე დაუინებოთ, რომ ენათმეცნიერების საგნად, >ენათა მნიშვნელოვან პრინციპებად< ჩაითვალოს მაინცდამაინც “la langue”, ამის დასაბუთებას აქ ვერ ახერხებს: – >ამ საკითხზე აღარ შევჩერდები<.

მაგრამ აქ უცილობლად ჩნდება კითხვები: კონკრეტულად მაინც რაში მდგომარეობდა განსხვავება სოსიურის მიერ “la langue”-ად შერაცხულ >განზოგადობასა< და “le langage”-ს, ანუ ფილოსოფოსთა კუთვნილ წინარე ენას, ძირითად ენასა თუ ზეენას შორის? ან სხვანაირად რომ ვიკითხოთ: ისეთი რა უნდა იგულისხმებოდეს ცნებაში “langue”, რომ ის კრიტიკა, რაც სოსიურმა ცნება “langage”-ის მიმართ განახორციელა, ამ მის მიერ შემოთავაზებულ >განზოგადებასა< არ შეეხოს, თანაც დაცული დარჩეს ენათა კონსტიტუციური სიმრავლისა თუ >სერიის< პრინციპი? ან როგორ წარმოგვიდგენია ნაბიჯი “Les”-იდან, შესაბამისად “une langue”-დან – ანუ მაგალითისთვის, გერმანულიდან, ფრანგულიდან და ა.შ. – სოსიურის “La langue”-მდე?²⁴ როგორ შეიძლება ურთიერთობის კონკრეტული არტიკულირება რომელიმე ნებისმიერ ენასა თუ >უკიდურეს სპეციალიზაციასა< და >უკიდურეს განზოგადებას< შორის? და ბოლოს:

მაინც რა სტატუსი უნდა მიენიჭოს “la langue”-ს, შემეცნების თეორიიდან გამომდინარე?

ის, რომ სოსიური, ერთი მხრივ, ამოდის არსებული ენებიდან, მეორე მხრივ კი, მაინც სულ დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ზოგადი ენათმეცნიერების საგნად მიჩნეულ იქნას “la langue”, – ამ შეუსაბამობაში და, ერთი შეხედვით პარადოქსულ საქციელში მუდავნდება სწორედ მისი აზროვნების პირველი, ძირითადი პრობლემა და იმავდროულად, მისი შემეცნებით-თეორიული ფეთქებადობა. ეს პრობლემატიკა კიდევ უფრო აშკარას ხდის “la langue”-ს უფრო მკაფიოდ განსაზღვრის მცდელობების დროს სოსიურის შინაგან დაძაბულობას, რომელშიც დარწმუნების საშუალება კიდევ გვექნება. ამიტომაც III კურსში “la langue”-ს ცნების ენათა სიმრავლიდან წარმომავლობის დასაბუთება ათვალსაჩინოებს იმ სიძნელეებს, რასთანაც სოსიურს თავისი ენათმეცნიერების დამკვიდრების დროს ბრძოლა უხდებოდა – ანუ იმ სიძნელეებს, რომლებსაც ლომის წილი მიუძღვით იმაში, რომ სოსიურს ბოლომდე ეჭვი ეპარებოდა თავის თეორიაში.

ამიტომაც მიუხედავად მუდმივი მტკიცებისა, რომ ბალი და სეშე, რომ კურსის შედგენისას სოსიურის ზოგადი ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილი III და უკანასკნელი სალექციო კურსით²⁵ ხელმძღვანელობდნენ, მართლაც გასაოცარი და დასანანი ის, რომ სწორედ ენათა სიმრავლიდან “la langue”-ს ცნების წარმომავლობის საკითხი იქნა ამოგდებული.

²⁴ ამ პრობლემაზე მინიშნება იძებნება სოსიურის მოკლე ჩანაწერში, რომლის თარიღის განსაზღვრაც უაღრესად ძველია: “ნაჩქარევი საუბარია ატეხილი <რაც> მეცნიერებაზე ენის შესახებ [science du langage<]. ეს <იმ> დროს, როცა ჯერ კიდევ არავის, რამდენიმე რომანისტის გარდა, წარმოდგენაც არ აქვს, თუ რა არის ენა [langue<] საერთოდ და ენა [langue<] თავისი განვითარების პროცესში» (cf. CLG/E (II); გვ. 48, N 24 a). შეადრ.: ქ. ბირბახი: «სოსიურისეული ენის თეორიის “მივიწყებული” დიქტომია: La langue/langues. ენის ზოგადი თეორიისა და ცალკეულ ენათა აღწერის საკითხისათვის.», in: CFS 33. 1979, გვ. 21-30; და ბირბახი 1978, განსაკუთრებით გვ. 30-77, ბოლოს : SM/D, გვ. 142 ff.

²⁵ როგორც უკვე ვახსენეთ, გამომცემელთა მიხედვით, კურსი არის “მესამე სალექციო კურსზე დაფუძნებული სინთეზი”. შეადრ. შესავალი 1916, in: GRF; გვ. IX; CLG/D, გვ. 9.

კურსი

პირველივე ორი პუნქტი სოსიურის მესამე სალექციო კურსიდან, კერძოდ >1. Les langues, 2. La langue<, რომლებიც ქმნიან არგუმენტირებულ ერთიანობას²⁶ და რომელთაგანაც ირკვევა საერთოდ, ენათმეცნიერების საგნის აღსანიშნავად რატომ ამჯობინებს სოსიური ცნება “langue”-ს და არა “langage”-ს, ორივე ეს პუნქტი ბალისა და სემეს მიერ გამოცემულ კურსში ორ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ ადგილზეა განხილული.

პირველი პუნქტი განხილულია კურსის ბოლო, ანუ მეოთხე თავში და სათაურად აქვს “გეოგრაფიული ენათმეცნიერება”. ენათა სიმრავლის თემა იქ არგუმენტირებულ კავშირსაა მოკლებული და უფრო ნაძალადეგ, შესავსებ მასალად გამოიყურება, ყოველ შემთხვევაში, იმაზე ბევრად ნაკლები მნიშვნელობა ეთმობა, ვიდრე “შესავალს”, “ზოგად საფუძვლებს” თუ “სინქრონული ლინგვისტიკისადმი”²⁷ მიძღვნილ თავს; ამ დროს, და ჩვენ ეს უკვე ვიხილეთ, ზუსტად ეს თემა ხსნის იმ საკითხთა სიღრმისეული გაგების გზებს, რომელთაც აყენებს სოსიური კურსის უკვე ნახსენებ, მეცნიერების ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვან პირველ თავებში.²⁸

სოსიურის III კურსის მეორე პუნქტი – “La langue” – კი პირიქით, ბალისა და სემეს კურსის ყველაზე მოწინავე ადგილზე, ანუ შესავლის იმ თავშია განხილული, სადაც წარმოდგენილია ყველა ის სიახლე და განსაკუთრებულობა, რაც სოსიურის წამოწყებას ახასიათებს.²⁹ მაგრამ თუკი დავფიქრდებით, თუ როგორ მოხვდა ეს ცნება სოსიურის მესამე კურსში და რა შემეცნებით-თეორიულ სიძნელეებთან იყო ეს დაკავშირებული, გასაოცრად მოგვეჩვენება ის გულუბრყვილო ტონი, რითაც კურსში “langue” იმ პრობლემის “გადაჭრის საშუალებად”³⁰ არის შერაცხული, ენათმეცნიერება რომ აწყდება, როგორც კი თავისი საგნის >სრულყოფილ და კონკრეტულ განსაზღვრებას< მონდომებს. გასაოცარი მოგვეჩვენება ეს ყველაფერი, თუკი გავიხსენებთ სოსიურის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებულ მოხსენებას, ან III კურსს; განსაკუთრებით საოცარი კი ის მანერაა, რითაც ხდება კურსში “langue”-სა და “langage”-ს დაპირისპირება და განცალკავება. როგორც შემდგომში დავინახავთ, სწორედ კურსში მოხდა “langue”-ს წინ წამოწევა “langage”-თან შედარებით და ეს არა იმიტომ, იგი ცალკეულ ენათა გამოსახატავად უფრო ხშირად იხმარება და ამდენად >ენათა სერიაზე< მიგვანიშნებს, არამედ უფრო იმიტომ, რომ “langage”-ისგან განსხვავებით, იგი ენათმეცნიერებას საშუალებას აძლევს, თავისი საგანი აღიქვას “თავის თავში, როგორც მთლიანი”. – კურსის ის თავი, რომელშიც “langue”-ს შემოყვანა ხდება, იწყება შეკითხვით, თუ რა შეიძლება იყოს ენათმეცნიერების საგანი, “თუკი ჩვენ მისი სრულყოფილი

²⁶ შეადრ. ჟ. დეგალიეს კონსპექტი in: Texte, გვ. 506 ff. და SM/G, გვ. //ff.

²⁷ ყოველ შემთხვევაში, ასეთ კომენტარს იძლევა რ. პარისი თავის წიგნში *Reading Saussure*; იგი გამოხატულად ეყრდნობა *კურსს* და გადაჭრით უგულვებელყოფს წყაროებს. შეადრ. Harris 1987, გვ. 171 ff.

²⁸ >გეოგრაფიული ენათმეცნიერების< სისტემურ მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ 1975 წელს გაამახვილა ყურადღება ე. რულემ (შეადრ. F. de Saussure: *Cours de linguistique générale. Extraits commentés par Eddy Roulet*, პარიზი 1975, გვ. 66-83). უფრო დაწვრილებით ამასთან დაკავშ. იხ. Engler 1976 b; იგივე : «Linguistique 1908: un débat-clef de linguistique géographique et une question de sources saussuriennes», in: *Progress in Linguistic Historiography*, K. Koerner-ის რედაქტორობით, ამსტერდამი 1980, გვ. 257-270; იგივე: «Geografia linguistica e assiomatica saussuriana: di una convergenza ideologica nel primo Novecento », in: *Ideologia, filosofia e linguistica. Atti del convegno internazionale di studi rende (Cs), 15-17 settembre 1978*, a cura di D. Cambarara e A. D’Atri, რომი 1982, გვ. 356-376; და ბოლოს იგივე: «Géographie linguistique», in : S. Aurox (Hg.), *Histoire des idées Linguistiques*, III ტომი, იბუჯდება.

²⁹ შეადრ. GRF; გვ. 9, შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი, გვ. I. ენა; მისი დეფინიცია.

³⁰ აქვე იხ. შემდგომში ქვემოთ ან GRF, გვ. 11; CLG/D, გვ.25; CLG/E (I), გვ. 30, Nr.153.

და კონკრეტული განსაზღვრა გვინდა.”³¹ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ენათმეცნიერებისათვის უფრო საშური საქმეა, ვიდრე რომელიმე სხვა მეცნიერებისათვის და ეს იმიტომ, რომ:

სხვა მეცნიერებები იკვლევენ იმ საგნებს, რომლებიც წინასწარ არიან მოცემული და მათი განხილვა შესაძლებელია სხვადასხვა კუთხიდან ერთმანეთზე მიყოლებით. სულ სხვა საქმეა ჩვენი სფერო. ვიღაცა წარმოთქვამს ფრანგულ სიტყვას «nu» - რომელიმე ზერელე დამკვირვებელი მონდომებდა, მასში ენათმეცნიერების კონკრეტული ობიექტი დაენახა; მაგრამ გამოწვლილვითი დაკვირვების შედეგად, მასში ერთმანეთზე მიყოლებით შეიძლება ამოცნობილ იქნას სამი ან ოთხი სხვადასხვა საგანი, გააჩნია როგორ აკვირდები: როგორც ბეერას, როგორც რაღაცაზე არსებულ წარმოდგენას, როგორც ლათინური nudum-ის შესატყვისობას თუ ა.შ. ასე ერთბაშად ვერ იტყვი, რომ საგანი უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე ის თვალსაზრისი, რომელიც ობიექტს ქმნის, თანაც ჩვენ ხომ წინასწარ არ ვიცით, თუ დაკვირვების რომელი სახეობა არის წარმართველი და რომელი მასზე დაქვემდებარებული.³²

შესაბამისად უადრესად საყურადღებოა პირველი პასუხი კითხვაზე, თუ რა არის >ენათმეცნიერების კონკრეტული და სრულყოფილი საგანი<:

რომელი კუთხიდანაც არ უნდა მივუდგეთ ამ საკითხს, ვერსად აღმოვაჩენთ ენათმეცნიერების საგანს, როგორც მთლიანობას; ყველგან აღმოვჩნდებით ამ დილემის წინაშე: ან უნდა დავიჭიროთ ყოველი პრობლემის ერთადერთი მხარე [...] ან კიდევ, თუკი რამდენიმე მხრიდან ერთდროული გამოვიკვლივთ³³ ენას [>langage<], მაშინ ენათმეცნიერების საგანი წარმოვიდგება იმგვარ საგანთა უთავბოლო გროვად, რომელთაც ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ. როცა ასე იქცევი, იჭრები იმ რამდენიმე მეცნიერების სფეროში, – იქნება ეს ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, გრამატიკა თუ სხვ., – რომლებსაც ჩვენ ენათმეცნიერებისგან კი ცხადად ვასხვავებთ, მაგრამ კვლევის არაკორექტული მეთოდის წყალობით, მათაც შეუძლიათ პეტენზიის წამოყენება ენაზე [>langage<], როგორც თავიანთ ერთ-ერთ საგანზე.³⁴

მარტო იმიტომაც იყო საშური პასუხი კითხვაზე, თუ რა წარმოადგენს ენათმეცნიერების საგანს, რომ ლინგვისტიკას თავისი ტერიტორია სხვა მეცნიერებებისგან (ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია და სხვ.) არ განდომოდა დასაცავი. ამდენად, აქ ძირითადად ლაპარაკია იმაზე, რომ ვეძებთ ენის ენობრიობას: არა იმას, რაც გვაბრუნებს ფსიქოლოგიურ, ანთროპოლოგიურ თუ სხვა კატეგორიებამდე, არამედ ენის სპეციფიურ და არარედუციურებად ენობრიობას, ანუ იმას, რაც ენათმეცნიერებას თავისთავადობას ანიჭებს და იძლევა იმის საშუალებას, რომ ენათმეცნიერების სფერო გამიჯნულ იქნას სხვა მეცნიერებათა სფეროებისაგან.

პასუხი ამ კითხვაზე კურსში გაცემულია უშუალოდ ახლახან ციტირებული მონაკვეთის შემდეგ. თუმცა ეს პასუხი, ერთი შეხედვით, ძალიან წააგავს ტავტოლოგიას:

ჩემი აზრით, ამ სიძნელეთა გადაჭრის მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობს: თავიდანვე უნდა დავადგეთ ენის [>langue<] სფეროსკენ მიმავალ გზას და ჩავთვალოთ იგი ნორმად ენის [>langage<] გამოვლენის ყველა სხვა ფორმისათვის. სინამდვილეში, ამ-

³¹ GRF, გვ.9; CLG/D, გვ.23; CLG/E (I), გვ. 24, Nr.123; შეადრ. აგრეთვე N9.1-3 in Texte, გვ. 296-303.

³² იქვე Ibid.

³³ რადგან, როგორც *კურსის* მთარგმნელი ჰ. ლომელი სწორად აღნიშნავს, “გერმანული სიტყვა >ენა< აქ მოტანილ ორივე ვარიანტს მოიცავს, იგულისხმება *langue* და *langage*” (GRF, გვ.11, შენიშვნა 1), >ძირითად საკითხებში< იგი *langage*-ს თარგმნის “ადამიანურ მეტყველებად”. რადგან ეს წინადადება მხოლოდ ნაწილობრივ და ალბათ-ალბათ გვაკმაყოფილებს, ამიტომ ჩვენ ისევ ძველებურად გადავჭრით ამ პრობლემას და >ძირითადი საკითხების< ციტირებისას კვლავ მივუთითებთ ფრანგულ შესატყვისს კვადრატულ ფრჩხილებში.

³⁴ GRF, გვ.10; CLG/D, გვ.24 f; CLG/E (I), გვ. 30, Nr.149-152;

დენი ორმხრივობის ფონზე, მხოლოდ ენა [>langue<] თუ იძლევა დამოუკიდებელი დეფინიციის საშუალებას და მხოლოდ იგი სთავაზობს სულს საყრდენ წერტილს.³⁵

მას შემდეგ, რაც კურსში ჯერ კიდევ ვკითხულობდით, რომ ენათმეცნიერებაში, განსხვავებით ყველა სხვა მეცნიერებისგან, >ვერასდროს ვიტყვი, რომ საგანი უფრო ადრე არსებობდა, თუ ის თვალთახედვა, რომლიდანაც ამ საგანზე დაკვირვება ხდება<, რომ >უფრო მეტად >თვალთახედვა ქმნის საგანს< და >გარდა ამისა, ჩვენ არასდროს ვიცით წინასწარ, დაკვირვების სახეობათაგან რომელია წარმმართველი და რომელი ქვემდებარე<, რაღაც ძალიან მოულოდნელი გვეჩვენება ამ პრობლემის ასე სასწრაფო და ნაუცბათევი >გადაჭრა< – >თავიდანვე უნდა დავადგეთ ენის [>langue<] სფეროსკენ მიმავალ გზას და ჩავთვალოთ იგი ნორმად ენის [>langage<] გამოვლენის ყველა სხვა ფორმისათვის<. არსებობდა კი საერთოდ, და თუკი არსებობდა, რისთვის იყო საჭირო >დაკვირვების სახეობა, რომელიც იყო სხვების წარმმართველი, ან სხვებისადმი ქვემდებარე? მერედა რის საფუძველზე იყო ეს მაინცდამაინც “la langue”? და ბოლოს: ზუსტად საით მივემართებით, როცა “ენის სფეროსკენ მიმავალ გზას (ფრანგულ ვარიანტში – «terrain de la langue») ვადგებით?

დიახ, ამას წყალი არ გაუვა: პრობლემის >გადაჭრა< იმგვარად, როგორც კურსი გვთავაზობს, სრულიად განსაცვიფრებელია და როგორც ქ. ბირბახი სამართლიანად შენიშნავს³⁶, წააგავს ჯადოქრობას (Deux ex machina). ეს იმიტომ, რომ კურსში “langue”-ის ცნების შემოტანის მომენტში ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, თუ რა აღინიშნებოდა ამ ცნებით და რით განსხვავდებოდა იგი “langage”-ის ცნებისგან.

ვერაფერში გვეხმარება ვერც შემდეგი ორი მონაკვეთის მოხმობა, რომელთაც, წესით, სიცხადე უნდა შემოეტანათ ამ საკითხში:

მაინც რა არის ენა [>langue<]? ჩვენთვის იგი სრულიადაც არაა იგივე, რაც [>langage<]; იგი არის მისი განსაზღვრული, თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. იგი ამავე დროს არის მეტყველების უნარის [>langage<] სოციალური პროდუქტი და იმ აუცილებელ პირობითობათა ურთიერთ ზემოქმედების შედეგი, რომლებიც შემუშავა სოციალურმა ერთობამ, რათა შესაძლებელი გაეხადა ამ უნარის გააქტიურება ინდივიდის მეშვეობით. მთლიანობაში აღებული, ენა [>langage<] მრავალფორმიანი და არაერთგვაროვანია; იგი ერთდროულად მიეკუთვნება მრავალ სფეროს, მრავალნაირად, იქნება ეს ფიზიკურად, ფსიქიკურად თუ ფიზიოლოგიურად; იგი ამავე დროს არის როგორც ინდივიდუალური, ასევე სოციალური სფეროს ნაწილიც; იგი არ ჯდება ადამიანურ ურთიერთობათა არც ერთ კატეგორიაში, რადგან არავინ იცის, თუ როგორ გამოიყვანება მისი ერთეული.

ამის საპირისპიროდ, ენა [>langue<] არის მთლიანობა და კლასიფიკაციის პრინციპი. როგორც კი მას ენის [>langage<] ფაქტებს შორის პირველ ადგილს დავუთმობთ, იმ წუთიდან ბუნებრივად ვამყარებთ წესრიგს იმ ერთიანობაში, რომლისთვისაც დაუშვებელია სხვაგვარი კლასიფიკაცია.³⁷

ამ დაპირისპირების მიზანი ნათელია: იმისათვის, რომ ლინგვისტიკამ, როგორც დამოუკიდებელმა მეცნიერებამ, თავის დამკვიდრება შეძლოს, მას სჭირდება ერთი დამოუკიდებელი საგანი. იმის მიხედვით, თუ რომელი კუთხიდან შევხედავდით, სალაპარაკო ენა შეიძლება განხილული ყოფილიყო, როგორც ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული რამდენიმე ერთეული, მაგ., ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური თუ სხვ., და ამიტომაც იგი >მრავალფორმიანი და არაერთგვაროვანი< იყო. საჭირო იყო ისეთი საყრდენი

³⁵ GRF; გვ. 11; CLG/D, გვ. 25; CLG/E (I), გვ. 30 f, Nr.153-155;

³⁶ შეადრ. ბირბახი Bierbach 1978, გვ.32

³⁷ GRF, გვ.11 CLG/D, გვ.25, ; CLG/E (I), გვ. 31 f, Nr.156-162;

წერტილის პონა, რომელიც შესაძლებელს გახდის ენობრივ ერთეულთა, როგორც ასეთთა, აღქმას და ამით ენათმეცნიერებას უბოძებდა სპეციფიურ და არარედუციურებად საგანს.³⁸ როგორც წინა ამონარიდებიდან დავინახეთ, ამის საჭიროება კურსში კარგადაა გაცნობიერებული. მაგრამ კვლავაც გაუგებარი რჩება, თუ რატომ მიეწერება ეს თვისება, კერძოდ >ერთდროულად იყოს ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური< და სხვ. ერთეული მაინცდამაინც “le langage”-ს? რატომ უნდა იყოს “le langage” >მრავალფორმიანი და არაერთგვაროვანი<, “la langue” კი, პირიქით – >თავის თავში ერთიანი და კლასიფიკაციის პრინციპად შერაცხული<, ან >თავისი ბუნების მიხედვით ერთგვაროვანი<³⁹? რატომ უნდა შეჭქონდეს მაინცდამაინც “la langue”-ს >წესრიგი იმ ერთიანობაში, რომელიც არ უშვებს სხვაგვარ კლასიფიკაციას<?

მოკლედ რომ ვთქვათ, ასე მოხდა კურსში ცნება “langue”-ს შემოტანა, თუმცა სინამდვილეში ეს დაყოფა არც თუ ისე სარწმუნოდ გამოიყურება და უფრო ალაღბედზე ნამოქმედარს წააგავს. ბალისა და სეშესეულ ვარიანტს აკლია ცნებისათვის იმ შემეცნებით-თეორიული ადგილის მიხენა, რაც გააკეთა სოსიურმა თავის III კურსში, კერძოდ, “langue”-ს წარმომავლობა დაუკავშირა იმას, რაც იქ >ენის ფაქტებში (“faits de langage”) პირველ მტკიცებულებად< და >ენათმეცნიერების გადამწყვეტ ფაქტად< არის მიჩნეული, კერძოდ კი კონკრეტულ ენათა სიმრავლეს და მათ >გეოგრაფიული სახესხვაობას<.

ის, თუ რამდენად ჩამორჩება ბალის და სეშეს კურსი თეორიული რეფლექსიის იმ დონეს, რასაც სოსიურმა ზოგადი ენათმეცნიერების III კურსში მიადწია, ამჟამად უფრო ნაკლებად საინტერესოდ გვეჩვენება, ვიდრე ის, თუ რის საფუძველზე თქვეს ბალიმ და სეშემ სწორედ ამ გადამწყვეტ პუნქტში უარი, მიჰყოლოდნენ III კურსის სტრუქტურას, თუმცა ყოველთვის საზგასმით იმეორებდნენ, რომ კურსი არის >III კურსის საფუძველს დამყარებული სინთეზი<. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რატომ აარიდეს თავი ბალიმ და სეშემ იმას, რაც სოსიურის წამოწყებაში მართლაც სიახლე იყო და ენის ფილოსოფიის ტრადიციის გამოწვევას წარმოადგენდა, ასეთი რამე როგორ გამოეპარათ თუ გამოტოვეს და თანაც იმ მომენტში, როცა სოსიურის თეორიას არნახული პათოსით წარმოსახავდნენ მეცნიერულ პროგრესად?

ჩვენ შევეცდებით შემდგომში ამ საკითხს არ მივუდგეთ ისტორიული თვალსაზრისით და გამოცემელთა საქციელს არ მოვუძებნოთ პიროვნული მოტივები. გაცილებით უფრო დამაჯერებელი იქნება ის პასუხი, რომელიც სისტემურად გაიცემა იმ ადგილთა კომენტარების მეშვეობით, რომლებშიც განსაკუთრებულად მქდავდება კურსის ვარიანტის შეუსაბამობა და ალოგიკურობა, ანუ კურსის წყაროს მასალათა შედარებითი ანალიზის მეშვეობით.

³⁸ ლ. იემსლევმა ეს აზრი სოსიურისგან გადმოიღო და შემდეგანირად ჩამოაყალიბა: “როგორც ვხედავთ, არ იგრძნობა იმ თვალთახედვათა ნაკლებობა, რომლებიდანაც შეიძლება ენების გამოკვლევა და ეს პროცესი მიმდინარეობს კიდევ. მაგრამ არც ერთი ამ თვალთახედვათაგან (რომელთა რიცხვის გაზრდაც შეიძლება) არ იძლევა საიმისო საფუძველს, რომ ლაპარაკი იყოს დამოუკიდებელ მეცნიერებაზე ენის შესახებ: ენა ხან ლოგიკის საგანია ხოლმე, ხან – ისტორიის, ხან კი ფიზიოლოგიის, ფიზიკის, ფსიქოლოგიისა თუ სოციოლოგიის. ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად დიდი მრავალფეროვნებისა, მაინც გამოტოვებულია ენათა დაკავშირებული ერთი თვალთახედვა, თანაც, როგორც ჩანს, ისეთი, რომელიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ახლობელია, კერძოდ კი – ენობრივი თვალთახედვა. გამოგონებულ უნდა იქნას ისეთი მეცნიერება, რომელიც ენას განიხილავს არა როგორც ლოგიკურ, ისტორიულ, ფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ თუ სოციოლოგიურ მომენტთა კონკლომერატს, არამედ, და პირველ რიგში, როგორც დამოუკიდებელ სიდიდეს, როგორც განსაკუთრებული ბუნების ერთიან ქმნილებას” (L. Hjelmslev: ენა. შესავალი, დარმშტატი, 1968, გვ. 9)

³⁹ GRF, გვ.18 CLG/D, გვ.32 ; CLG/E (I), გვ. 43f, Nr.260;

V. ერთი და მრავალი

კურსი იწყება იმით, რომ “la langue”-ს ენიჭება >პირველი ადგილი ენის ფაქტობრივად “faits de langage” შორის. “La langue” დახასიათებულია, როგორც იმგვარი საგანი, რომელიც ენათმეცნიერებას აძლევს საშუალებას, დამოუკიდებელი მეცნიერების სახით დაიმკვიდროს თავი. სხვათა შორის, როგორც უკვე ვნახეთ, კურსში არ გვხვდება მითითება იმაზე, რომ “langue”-ს ცნების წარმომავლობა უკავშირდება ენათა სიმრავლის >გადამწვევტ ფაქტს. “La langue” იმიტომ დააყენეს “le langage”-ზე წინ და იმიტომ აქციეს >კლასიფიკაციის პრინციპად, რომ მას, >მრავალფორმიანი და არაერთგვაროვანი “langage”-საგან განსხვავებით, მიეწერება ისეთი თვისებები, როგორიცაა >თავის თავში ერთფეროვნება და >თავის თავში მთლიანობა.

მაგრამ ის, რომ “La langue” კურსში >თავის თავში ერთფეროვნად და >თავის თავში მთლიანად არის დასახელებული, მომდინარეობს იქიდან, რა სახით ხდება კურსში იმ პოსტულატიდან ამოსვლა, რომ “La langue” არის სისტემა.

იმ დროს, როცა ენა [>langage<] თავის თავში ჰეტეროგენულია [>hétérogène<], ენა [>langue<]... თავისი ბუნებით ჰომოგენურია [>homogène<]: იგი ქმნის სისტემას [...].⁴⁰

ან კიდევ უფრო რადიკალურად:

ენა [>langue<] არის სისტემა, რომლისთვისაც დასაშვებია მხოლოდ მისი საკუთარი წესრიგი.⁴¹

ენის სისტემად აღქმის გადაწყვეტილება, უპიკველად, მიეკუთვნება იმ საპროგრამო მოსაზრებათა რიცხვს, რომლებმაც გადაწყვეტი მნიშვნელობა იქონიეს იმ განახლებაზე, რომელიც კურსიდან გაგრძელდა ჯერ მთელ ლინგვისტიკაზე, შემდეგ კი სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე.⁴² კურსში ამ სიახლის ფორმულირებები ჩნდება ლაიტმოტივის სახით სხვადასხვა ადგილას. მოვიტანო მხოლოდ რამდენიმე მათგანს:

ენა [>langue<] ქმნის სისტემას.⁴³

ენა [>langue<] არის ის სისტემა, რომლის ნაწილებიც შეიძლება და უნდა განხილული იქნას კიდევ მათ სინქრონულ ურთიერთკავშირში.⁴⁴

ის, რომ მოსიური ენის სისტემად აღქმას მხოლოდ თავის ზოგადი ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილი ლექციაში არ ანიჭებს მთავარ როლს და ეს მთელი მისი სააზროვნო გზის წარმმართველი იდეაა, დასტურდება არა მარტო

⁴⁰ GRF, გვ.18, CLG/D, გვ.32; CLG/E (I), გვ. 43f, Nr.260;

⁴¹ GRF, გვ.27, CLG/D, გვ.43; CLG/E (I), გვ. 64f, Nr.417; შეადრ. აგრეთვე რ. ენგლერი: *Lexique de la terminologie saussurienne*, უტრეხტი/ანვერსი 1968 [შემდგომში ციტირება მოხდება ასე: LTS], გვ.50.

⁴² ლევი-სტროსი ასე წერს თავის “მარსელ მოსის ნაწარმოების შესავალში”: „ყოველი კულტურა შეიძლება განხილული იქნას სიმბოლურ სისტემათა ანსამბლად, რომელშიც ენას, ქორწინების წესებს, ეკონომიკურ ურთიერთობებს, ხელოვნებას, მეცნიერებასა და რელიგიას წინა ადგილები უკავიათ“ (in: M. Mauss, *სოციოლოგია და ანთროპოლოგია*, ტომი I, მაინის ფრანკფურტი 1974, გვ. 15). სტატიაში „სტრუქტურის ცნება ეთნოლოგიაში“ ვკითხულობთ აგრეთვე: „საქმე ეხება უფრო იმას, რომ გავიგოთ, თუ რისგან შედგება ეს მოდელები, რომლებიც სტრუქტურული ანალიზის ობიექტად გვევლინებიან. [...] პირველ რიგში, ასეთ სტრუქტურას გააჩნია სისტემური ხასიათი. იგი შედგება ელემენტებისაგან, რომლებიც იმგვარად არიან განლაგებული, რომ ერთ-ერთის შეცვლა ყველა დანარჩენის ცვლილებას იწვევს.“ (in: *სტრუქტურული ანთროპოლოგია I, მაინის ფრანკფურტი 1967, გვ. 301 f.*)

⁴³ GRF, გვ.86, CLG/D, გვ.107; CLG/E (I), გვ. 163f, Nr.1219;

⁴⁴ GRF, გვ.103, CLG/D, გვ.124; CLG/E (I), გვ. 192f, Nr.1446;

მისი ხელნაწერებით,⁴⁵ არამედ იმითაც, რომ თავს იჩენს, ერთი მხრივ, მის ჯერ კიდევ ისეთ ადრეულ მეცნიერულ ნამუშევრებში, როგორცაა მაგალითად, ?*Mémoire sur le système primitif des voyelles dans les langues indo-européennes*,⁴⁶ მეორე მხრივ კი ისეთ შრომებშიც, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ენათმეცნიერებას ვიწრო გაგებით, მაგალითად, ანაგრაფულ სწავლებებში.⁴⁷ შესავალში უკვე ციტირებულ სოსიურისა და რიდლინგერის საუბარში გვხვდება ამ წარმმართველი იდეის ერთი ისეთი ფორმულირებაც, რომელიც განსაკუთრებულად ერთმნიშვნელოვანი და თვალსაჩინოა:

ენა [>langue<] არის დასრულებული სისტემა [>system serré<], და თეორიაც ისეთივე დასრულებული სისტემა უნდა იყოს, როგორც ენა [>langue<]. სირთულესაც სწორედ ეს პუნქტი ქმნის, რადგან უსარგებლოა სულ ენის [>langue<] კვლევის განსხვავებულ მეთოდებზე ლაპარაკი; ყველაფერი ამის კოორდინაცია უნდა ხდებოდეს ერთ სისტემაში.⁴⁸

⁴⁵ ზოგადი ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილ თავის სამომავლო წიგნისათვის გაკეთებულ ჩანაწერებში, რომელიც დროში ემთხვევა მიეხსადმი მიწერილ წერილს, ანუ 1894 წელს, (შეადრ. Engler 1975, გვ.838/39) სოსიური წერს: “ენა [>langue<] ყველა თავის ნაწილში მონაგანად მოქსრიტებული სისტემაა” (cf. CLG/E (II), გვ. 21, N 9.3. Nr.3296)

⁴⁶ შეადრ. C. Vanlini: “Problemi di metodo in Ferdinand de Saussure indoeuropeanista”, in: *Studi e saggi linguistica 9. Supplemento alla rivista L'Italia dialettale*, 1969, გვ. 1-85; აგრეთვე: J. Kurilowicz, “Lecture du ‘Mémoire’ en 1978; un commentaire”, in: CFS 32, 1978, გვ. 7-26. აღნიშნის დირსია აგრეთვე M.-J. Reichler-Béguelin-ის ნარკვევი „Des formes observées aux formes sous-jacentes”, რადგან იგი თვალს ადევნებს სისტემის იდეის განვითარების ისტორიას და მიდის სოსიურის მიერ 15 წლის ასაკში დაწერილ ესემდე “Essai pour réduire les mots du grec, du latin et de l’allemand à un petit nombre de racines” (in: *Présence de Saussure. Actes du Colloque international de Genève (21-23 mars 1988)*, publiés par R. Amacker et R. Engler, ქენევა, 1990, გვ. 21-37) წერილში, რომელიც მან დაახლოებით 1872 წელს ამ >Esai<-სთან ერთად გადაუგზავნა ა. პიქტეტს A. Pictet, *Origines Indo-européennes*-ის დრმადაპტივცემულ ავტორს. სოსიური წერს: “მე ვარ მხოლოდ მოსწავლე და თქვენ ალბათ თავხედობაში არ ჩამოთვლით, თუკი გაგიზიარებთ ჩემს აზრებს იმ საგანთან დაკავშირებით, რაც ასე მცირედ ვიცი. ამას არ გავაკეთებდი, უკვე ჩვევად რომ არ მქონდეს ქცეული, რომ სისტემა, რომელზეც ბოლო ერთი წელია ვმუშაობ, უკვე თვალსაჩინო ფაქტად ჩათვალო. სისტემები შექმნა ყოველთვის ძალიან მინდობდა, ჯერ კიდევ მანამდეც, სანამ საგნებს დეტალურად გამოვიკვლევი” (Cf. J. –J. Candau: “Ferdinand de Saussure, Linguiste à quatorze ans et demi”, in: CFS 29, 1974-1975 [= B.001], გვ. 8 და გვ.10 და Scheerer 1980, გვ.9 შესაბამ. Texte, გვ. 514f.) ორმოცი წლის შემდეგ, მაგრამ *მისი კურსის* გამოსვლამდე სოსიურზე დაწერილ თავის გამოხმაურებაში ვ. შტაინბერგი კიდევ ერთხელ წამოსწავს სოსიურის ამ თვისებას: “ის თავის დიდებას უმაღლის არა ცალკეულ აღმოჩენებს, არამედ მისი ჭეშმარიტი და განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობს მისი სულის *სისტემატქმნადობის* ძალაში. მისი შეუდარებელი სიძლიერე არის სინთეზი; ყველა ცალკეული დაკვირვება მისთვის არის მხოლოდ სისტემის საგანგებოდ დაკეგმილი შენობის საამშენებლო მასალა, იგი არ ისვენებს ხოლმე, სანამ ცალ-ცალკე აღებულ თითოეულ ფაქტს ერთ ჰარმონიულ მთლიანობად არ შეკრავს” (“Ferdinand de Saussure”, in: *Indogermanisches Jahrbuch* 2, 1915, გვ. 203)

⁴⁷ ჰომეროსისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ რვეულში არის ასეთი ჩანაწერი: “სისტემაში, რომელშიც უმრავლეს შემთხვევაში არც ერთი სიტყვის შეცვლა, ან გადაადგილება არ შეიძლება ისე, რომ ანაგრამისათვის აუცილებელი კომბინაცია არ აირიოს, ასეთ სისტემაში შეუძლებელია ილაპარაკო ანაგრამაზე, როგორც ვერსიფიკაციის დამატებით თამაშზე, ანაგრამა არის საძირკველი, იმისდა მიუხედავად გამლექსავს უნდა ეს თუ არა” (WUW, გვ.23).

⁴⁸ Cf. SM/G, გვ. 29, გამოყოფილი ტექსტი თან დაერთვის. სხვა ადგილზე *Sources manuscrites*-ში სოსიურის ციტირება ხდება შემდეგნაირად: “aucun systèsteme n’est serré comme la langue” SM/G, გვ. 229); სოსიურის “*Mémoire*”-სთან დაკავშირებით მიე წერს: “ამიერიდან რომელიმე საკითხთან დაკავშირებით ნებადართული აღარ არის იმის იგნორირება, რომ ყოველი ენა [>langue<] ქმნის ისეთ სისტემას, სადაც ყველაფერი ერთმანეთზე დამოკიდებული და სრულიად მკაფიო გეგმას მიყვება.” (cf. *Introduction à l’étude comparative des langues indoeuropéennes*, მე-8 გამოცემა, პარიზი, 1937, გვ. 474). სოსიურზე თავის გამოხმაურებაში მიე ყველაფერ ამას უწოდებს სოსიურის წარმმართველ პრინციპს: «დასრულებული სისტემის გარეთ არ არსებობს მეცნიერული ჭეშმარიტება, სისტემისა, რომელიც ყოველ ფაქტს მის შესაბამის ადგილს უჩენს» (cf. ფ.დ.ს., გვ. 82)

ეს მოთხოვნა, რომ “langue” მარტო თვითონ კი არ უნდა იყოს >დასრულებული სისტემა<, არამედ თეორიაც ასეთივე უნდა ჰქონდეს, >ეს პუნქტი< მართლაც >ქმნის სირთულეს< და თავისთავად მისი გაგება ძნელია. მაგრამ ამ სოსიურისეულ გამონათქვამებში ყველაზე უფრო დამაფიქრებელი ჩვენთვის მაინც ენის სისტემის სისრულეზე ხაზგასმაა. თუკი სისტემის შესახებ მოსაზრებებში იგულისხმება წარმოდგენები თავის თავში ჩაკეტილ მთლიანობაზე⁴⁹, მაშინ აუცილებლად ჩნდება კითხვა, როგორ ეთანხმება ენის (“langue”), როგორც სისტემის აღქმა ამ ცნების წარმომავლობას არსებულ ენათა სიმრავლისა და განსხვავებულობის >გადამწყვეტი ფაქტიდან? როგორც ჩვენ წინა თავში ვიხილეთ, სწორედ ამ გარემოებით აიხსნებოდა “langage”-ის ცნების შეცვლა “langue”-ს ცნებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორ შეიძლებოდა “la langue” ყოფილიყო >თავის თავში ერთიანი< ანუ აღქმულიყო როგორც >მთლიანი<, თუკი >ჩვენთვის ეს ცნება საცნაური მხოლოდ განსხვავებულ ენათა სერიაშია<? ამგვარი მიმართება ენათმეცნიერების საგნის, როგორც სისტემის კონცეფციასა და იმ თვალსაზრისის შორის, რომ ენათმეცნიერული მოსაზრებანი აუცილებლად არსებულ ენათა სიმრავლიდან უნდა ამოდიოდეს, შეიძლება საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდეს, მით უფრო თუკი მხოლოდ კურსის სტრუქტურას დაეყრდნობი, რომელშიც ეს ორი თემა მკაფიოდ და პირწმინდადაა ერთმანეთისაგან განცალკევებული.

მაგრამ, ალბათ, არ შეეცდებით, თუკი ვივარაუდებთ, რომ ბალი და სეშე სწორედ ამ უხერხული საკითხის თავიდან არიდებას ცდილობდნენ, როცა, როგორც ვნახეთ, სოსიურის ზოგადი ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილ III სალექციო კურსს არ მისდიეს იმ თვალსაზრისით, რაც >1. les langues, 2. la langue< თანმიმდევრობას ეხებოდა და სისტემის იდეა განიხილეს კურსის დასაწყისში. თუმცა ის, რომ ამ მანიპულაციით ეს საკვანძო შემეცნებით-თეორიული პრობლემა, რომელზეც ჩვენ III კურსის სტრუქტურასთან დაკავშირებით ვლაპარაკობდით, არ გადაჭრილა და მხოლოდ გადავადდა, აშკარად გამოჩნდა მოგვიანებით კურსშიც, კერძოდ კი ენათმეცნიერების შინაგანი და გარეგანი ზონების დიფერენცირებისა და მასთან დაკავშირებული სიძნელების გაშუქების დროს.

გარეთ, მაგრამ მაინც შიგნით. ენის გეოგრაფიული დამოკიდებულებანი

თუკი “la langue” არის ისეთი >სისტემა<, რომელიც მხოლოდ საკუთარ წესრიგს უშვებს<, მაშინ, ჯერ ერთი, ჩნდება კითხვა, თუ ზუსტად რას წარმოადგენს >ენის საკუთარი წესრიგი< და, მეორეც, ისახება ამოცანა, რომ გაიმიჯნოს ყველაფერი, რაც კი ამ წესრიგს არ მიეკუთვნება:

⁴⁹რასაც თავისთავად ითვალისწინებს სტრუქტურალიზმის ჯ. პიაჟესული განმარტება: “აქ, თავისთავად, იგულისხმება სტრუქტურათა თავისებურებებისა თუ მთლიანობის სრული ერთიანობა, რადგან სტრუქტურათა და მრავალწევრიან სიდიდეთა, ე. წ. აგრეგატთა შორის იმ ერთადერთ საერთო საგანს, რაზეც ყველა სტრუქტურალისტი თანხმდება, წარმოადგენს სწორედ ეს სრულიად დამოუკიდებელი ელემენტებისაგან შექმნილი წარმონაქმნი. ალბათ, არსებობს ამ ელემენტთა რაიმე სტრუქტურაც, მაგრამ ესენი ემორჩილებიან მხოლოდ იმ კანონებს, რომელიც ახასიათებს სისტემას, როგორც ასეთს; და ეს ე. წ. სტრუქტურული კანონები რედუცირდებიან არა კუმულაციურ ასოციაციებამდე, არამედ ანიჭებენ ამ ელემენტთა მთლიანობას, როგორც ასეთს, სხვადასხვა საერთო თავისებურებას” (J. Piaget, *სტრუქტურალიზმი*, ოლტენი 1973, გვ.10)

ენის [>langue<] ჩვენეული დეფინიციის წინაპირობაა, რომ მოვარიდოთ მას ყველაფერი, რაც კი უცხოა მისი ორგანიზმისათვის, მისი სისტემისათვის, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც მიეკუთვნება ენათმეცნიერების გარეთ არსებულ ზონას [>tout ce qu'on désigne par le terme de "linguistique externe"<].⁵⁰

იმისათვის, რომ ენამ "la langue", როგორც ისეთმა სისტემამ, >რომელიც მთლიანად თავის თავშია<, თვითდამკვიდრება შეძლოს, >ჩვენ უნდა მოვარიდოთ მას ყველაფერი, რაც კი უცხოა მისი ორგანიზმისათვის<. ეს მოთხოვნა სრულიად მართებულია და თავიდან ყველაფერი ისე მიდის, თითქოს არც არაფერი ედგას წინ ამ მოთხოვნის შესრულებას, კერძოდ კი – მკაფიო ზღვარის გაკვლევას >ენათმეცნიერების შინაგან< და >გარეგან ზონებს< შორის, რაც იმთავითვე იყო ენის სისტემად დეფინიციის გარდაუვალი წინაპირობა. ყოველ შემთხვევაში კურსში ვრცელი კომენტარის გარეშე ჩამოთვლილია მთელი რიგი იმ >პუნქტებისა<, რომლებიც ემიჯნება >შიდა ზონას< და, როგორც ჩანს, ერთმნიშვნელოვნად მიეკუთვნება >ენათმეცნიერების გარე ზონას<. განსაკუთრებულად აღნიშნულია და თანაც ზუსტად ამ თანმიმდევრობით "ყველა ის პუნქტი, რომელთა მეშვეობითაც ენათმეცნიერება ეთნოლოგიას უკავშირდება"⁵¹, "ყველა კავშირი, რომელიც კი შეიძლება არსებობდეს რომელიმე ენის [>langue<] ისტორიასა და რასის, ან ცივილიზაციის კულტურის [>civilisation<] ისტორიას შორის".⁵² შემდეგში მოდის "კავშირები პოლიტიკურ ისტორიასთან"⁵³ და "ენის [>langue<] კავშირები ყველა სახის დაწესებულებასთან, ეკლესიასთან, სკოლებთან და ა.შ."⁵⁴ ამ ჩამონათვალის ბოლოს მაინც ჩნდება ერთი ისეთი პუნქტი, რომლის გამოიჯვნა >ენათმეცნიერების შიდა ზონიდან<, როგორც ჩანს, ცოტა უფრო მეტ სირთულეებთან არის დაკავშირებული:

და ბოლოს, ენათმეცნიერების გარე ზონას მიეკუთვნება ყველაფერი, რაც კი შეეხება ენის [>langue<] გეოგრაფიულ გავრცელებასა და დიალექტებად დანაწევრებას. ეს, უეჭველად, წარმოადგენს იმ პუნქტს, რომლის დროსაც ენის [>langue<] გარე და შიდა ზონებს შორის განსხვავებულობა ყველაზე პარადოქსულად მჟღავნდება, იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული გეოგრაფიული კავშირები ამა თუ იმ ენის [>langue<] არსებობასთან; და ამის მიუხედავად, ისინი სინამდვილეში საერთოდ არ ეხებიან იდიომის შიდა ორგანიზმს. ⁵⁵

გარკვეულწილად, კურსის შესავალში საქმე გვაქვს გაძვევების უეცარ დაბრუნებასთან, თუმცა ეს ხდება საკმაოდ უშუალოდ, ლაპარაკია მხოლოდ >ენის გეოგრაფიულ გავრცელებულობაზე<. თუ როგორ ხდება ის, რომ >გეოგრაფიული კავშირები<, >თუკი ისინი მართლა ასე >მჭიდროდ არიან დაკავშირებული ყოველი ენის არსებობასთან<, >იდიომის შიდა ორგანიზმს სინამდვილეში აღარ ეხებიან<, ამ >ენათმეცნიერების გარე და შიდა ზონების განსხვავებულობის< პარადოქსზე კურსის შესავალში აღარაფერია ნათქვამი. ხოლო ის საკითხი, რომელიც "გეოგრაფიული კავშირების" თემის კურსში ამ პირველი, ხანმოკლე გამოჩენის შედეგად გაურკვეველი რჩება და III კურსთან არგუმენტირებული კავშირის დამყარების გარეშე, ალბათ, ასევე დარჩება, უკავშირდება იმას, თუ რატომ არის >გეოგრაფიული კავშირები< ენასთან

⁵⁰ GRF, გვ.24; CLG/D, გვ. 40; CLG/E (I), გვ. 59, Nr.372-374;

⁵¹ GRF, გვ.24; CLG/D, გვ. 40; CLG/E (I), გვ. 59f, Nr.375-376;

⁵² GRF, გვ.24; CLG/D, გვ. 40; CLG/E (I), გვ. 60, Nr.377;

⁵³ GRF, გვ.24; CLG/D, გვ. 40; CLG/E (I), გვ. 60, Nr.381;

⁵⁴ GRF, გვ.25; CLG/D, გვ. 41; CLG/E (I), გვ. 61, Nr.389;

⁵⁵ GRF, გვ.25; CLG/D, გვ. 41; CLG/E (I), გვ. 61f, Nr.393-395;

უფრო მჭიდროდ დაკავშირებული, ვიდრე მაგალითად, >პოლიტიკური ისტორია<, ან თუნდაც >კულტურის ისტორია<.

მიუხედავად იმისა, რომ ბალს და სეშეს თავიანთი ფორმულირება აშკარად არ აკმაყოფილებს, შემდეგში მაინც აღარ უბრუნდებიან ამ პარადოქსულ პუნქტს. კურსის მეოთხე ნაწილის დასაწყისში ისინი კვლავ უბრუნდებიან >ენათმეცნიერების შიდა< ზონის >გარე< ზონისაგან გამიჯვნის საკითხს, მაგრამ ამჯერად >გეოგრაფიული კავშირების< გამიჯვნა >ენათმეცნიერების შიდა ზონისგან< ყოველგვარი დამატებითი შენიშვნისა და ახსნა- განმარტების გარეშე ხდება:

თავი I: ენათა [>langues<] განსხვავებულობის შესახებ
როდესაც ჩნდება კითხვა, რა კავშირი არსებობს ზოგადად ენასა [>phénomène linguistique<] და სივრცეში მის გავრცელებას შორის, მაშინ უნდა დატოვო ენათმეცნიერების შიდა ზონა და გადაინაცვლო გარე ზონებში [...]⁵⁶

თუმცა არსებობს ერთი ფაქტი, რომელიც ადასტურებს ბალისა და სეშეს მიერ არჩეული იმ გზის სისწორეს, რომელიც უკავშირდება >სივრცეში გავრცელებულობის< ერთმნიშვნელოვან გამიჯვნას იმ პრობლემათაგან, რომლებიც >ზოგადად ენასთანაა< დაკავშირებული. კერძოდ, ლაპარაკია სოსიურის მიერ წაკითხული ზოგადი ენათმეცნიერების პირველი, განსაკუთრებით კი მეორე სადღეისო კურსის კონსპექტებზე, სადაც მთელი პასაჟები მოიპოვება, რომლებშიც დადასტურებულია >გეოგრაფიულ კავშირთა< პარადოქსული მიკუთვნებულობა >ენათმეცნიერების გარე ზონისადმი.⁵⁷

სოსიურის მესამე კურსის დეგალიესულ ჩანაწერებში კი, პირიქით, მოიპოვება ერთი ისეთი ადგილი (რაც წინა თავებში ჩატარებული კვლევების შემდეგ ჩვენთვის მოულოდნელი არც უნდა ყოფილიყო), რომელიც ადასტურებს >გეოგრაფიულ კავშირთა< მიკუთვნებულობას >ენათმეცნიერების შიდა ზონისადმი:

ენის [>langue<] კვლევის დროს ჩვენ განვიხილავთ უფრო გარეგნულ მხარეს, ხოლო შიდა მხარით უფრო ენათა [>langues<] ისტორიის კვლევის დროს ვინტერესდებით ხოლმე, [...] ენები [>langues<]: კონკრეტული საგანი, რომელიც დედამიწის ზედაპირზე არსებობს. ენა [>langue<]: ის, რასაც ლინგვისტი დაინახავს აბსტრაგირებისა თუ დროსა და სივრცეში შესწავლის შემდეგ.

თავი I: ენათა [>langues<] განსხვავებულობის შესახებ⁵⁸

დეგალიეს ეს ჩანაწერები იმდენად ელიფსური ხასიათისაა, რომ ძნელად თუ გაცემს საბოლოო პასუხს ისეთ რთულ შეკითხვაზე, თუ ენათმეცნიერების რომელ ზონას მიეკუთვნება >ენის გეოგრაფიული კავშირები<. მაგრამ რაც შეიძლება ჯერჯერობით დანამდვილებით ითქვას, არის ის, რომ >ენის გეოგრაფიული კავშირები< გარკვეულად სუსტი წერტილი აღმოჩნდა >ენის, როგორც სისტემის, დეფინიციაში<. მაგრამ რატომ არის მაინც ასეთი რთული >ენის გეოგრაფიული კავშირების< ერთმნიშვნელოვანი სიზუსტით >ენათმეცნიერების გარე<, ან >შიდა< ზონისთვის მიკუთვნება? ან სხვაგვარად თუ დავსვამთ კითხვას, რა არის >გეოგრაფიულ კავშირებში< ისეთი, რაც საეჭვოს ხდის ენათმეცნიერების მკაფიო დაყოფას >შიდა< და >გარე ზონებად< და, აქედან გამომდინარე, ენის, როგორც სისტემის, დეფინიციას?

როცა კურსის მეოთხე ნაწილში ეძებ იმ პრობლემას, რასაც ქმნის >გეოგრაფიული კავშირები< ენის, როგორც სისტემის, დეფინიციის პროცესში, უმჯგუ-

⁵⁶ GRF, გვ. 228; CLG/D, გვ. 261; CLG/E (I), გვ. 435, Nr.2846;

⁵⁷ შეადრ. CLG/E (I), გვ. 61/62; იხ. აგრეთვე SM/G, გვ. 64 და განსაკუთრებით გვ. 68f.

⁵⁸ Cf. CLG/E, გვ.435, D 9, Nr. 2845-2846.

ლად თვალში მოგხვდება შემდეგი პასაჟი მეოთხე პარაგრაფიდან (§4: «ენებს [>langues<] ბუნებრივი საზღვრები არ გააჩნიათ»⁵⁹:

როგორც იმას ვერ იტყვი, თუ სად მთავრდება ლიტერატურული გერმანული და სად იწყება დიალექტი, ასევე <მნელია ზღვარის გაღება გერმანულსა და პოლანდიურს, ფრანგულსა და იტალიურს შორის. ერთმანეთისაგან ძლიერ დაშორებულ პუნქტებში კიდევ შეიძლება, რომ კაცმა გადაჭრით თქვას: “აქ გაბატონებულია ფრანგული, იქ – იტალიური”; მაგრამ როცა შუალედურ რაიონში შედიხარ, ეს განსხვავება მაშინვე იკარგება. თუკი წარმოვიდგენთ არც თუ ისე ვრცელ, დახურულ რაიონს, რომელიც ორ ენას [>langues<] შორის სარტყელივით არის გაწოლილი, როგორცაა, მაგალითად, პროვანსული ფრანგული და იტალიურს შორის, განსხვავებას მაინც ვერ იგრძნობ. ან კი როგორ შეიძლება გამოკვეთილი ენობრივი საზღვრის წარმოდგენა იმ რაიონის მეშვეობით, რომელიც თავიდან მოყოლებული ბოლომდე, ყოველ ნაბიჯზე მოყვნილია სხვადასხვა დიალექტით? როგორც ენათა [>langues<], ასევე დიალექტთა გამოიჯვანები მკვეთრი არ არის, რადგან ისინი საესეა გარდამავალი გამოვლინებებით, რომლებიც კიდევ უფრო მრავალდება ამა თუ იმ მხრიდან წამოსული სხვადასხვაგვარი განახლების შედეგად.⁶⁰

დეგალიეს ჩანაწერებში ამ დაკვირვებასთან დაკავშირებით შემდეგი წერია:

ეს იგივე პრინციპია, რომლის მიხედვითაც არ უნდა არსებობდეს მკაფიო საზღვრები ენათა [>langues<] შორის, საზღვარი, რომელიც ენებს [>langues<] დიალექტებად ყოფს. [...] როგორც კი იქნებიან მხოლოდ ღია დიალექტები, რომლებიც იმ ტალღათა ჯამიდან წარმოიშვნენ, რომლებშიც მათაც აქვთ წილი, იმ წუთიდან შეუძლებელი გახდება დასრულებული ენების [>langues fermées<] არსებობა.⁶¹

ან:

ბუნებრივ ენაში [>langue naturelle<] არსებობს მხოლოდ დიალექტები. თავის თავის იმედად დატოვებული ენა [>langue<] უსასრულო დანაწევრებისათვისაა განწირული [>est vouée au fractionnement indéfini<].⁶²

თუ არსებულ ენებს უფრო ზუსტად დავაკვირდებით და ვნახავთ, თუ როგორ საუბრობენ გერმანულად თუ ფრანგულად ამა თუ იმ ადგილას, დავადგენთ, რომ ის ერთიანობა და სრულყოფილება, რომელიც წინასწარ იყო მოცემული განსაზღვრული არტიკლით “das”, სრულიად ითქვიფება სხვადასხვა დიალექტებსა თუ ადგილობრივ ენათა სიმრავლეში; რომ ენები მუდმივად განიცდიან დანაწევრების პროცესს და ამიტომ >არ შეიძლება არსებობდეს დასრულებული ენები<. ერთი შეხედვით, ერთიანი ენის⁶³ ეს დაშლა უამრავ, მეზობელი

⁵⁹ GRF, გვ.243; CLG/D, გვ. 278; CLG/E (I), გვ. 460, Nr.2986;

⁶⁰ GRF, გვ.244; CLG/D, გვ. 278f; CLG/E (I), გვ. 461f, Nr.2991-2995;

⁶¹ Cf. CLG/E (I), გვ. 462, D 26 f., Nr. 2996/2994

⁶² Cf. CLG/E (I), გვ. 446, D 14, Nr. 2912; ჯერ კიდევ თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებულ თავისი შეხვედრის ლექციების ჩანაწერებში გამოთქვა ეს აზრი სოსიურმა: “როგორც არ არსებობს შეზღუდული დიალექტები, ასევე ნორმალურ პირობებში არ არსებობს შეზღუდული ენები [>langues<] – აქედან გამომდინარე, როგორც ენახეთ, ენა [>langue<] – არ წარმოადგენს ისეთ სიდიდეს, რომელიც განსაზღვრული იქნება დროში, ან სივრცეში” (Cf. CLG/E (II), გვ. 14, N.1.3, Nr. 3285);

⁶³ თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული შეხვედრის კურსის ჩანაწერებში ამის შესახებ ვკითხულობთ: “ენა [>langue<] – დიფერენცირდება დროში და ამავე დროს დიფერენცირდება ან დიფერენცირდება სივრცეში. თუ განვიხილავთ ენას [>langue<] დროის ორ სხვადასხვა მონაკვეთში, იდენტურობას ვერ აღმოვაჩენთ. არც მისი ტერიტორიის ორ სხვადასხვა, ერთმანეთს მოშორებულ წერტილში იქნება იგი თავის თავის იდენტური.” (cf. CLG/E (II), გვ. 6, N.1.1, Nr. 3283); ცოტა ქვევით აღნიშნულია: “ისე ხდება ხოლმე, რომ ჩვენ ვერსად გადავაწყდებით ისეთ ენას [>langue<], რომელიც შეიძლებოდა მოგვეჩვენებოდა ერთი და იგივე, ანუ იდენტური გეოგრაფიული თვალსაზრისით.” (cf. CLG/E (II), გვ. 12, N.1.3, Nr. 3285); ამასთან დაკავშირებით იხ. აგრეთ. ენგლერი 1976, გვ. 15.

ენებისგან უმნიშვნელოდ განსხვავებულ, ადგილობრივ ენებად ემთხვევა ბალისა და სემეს მიერ კურსში გადმოცემულ სოსიურის თეორიის ვარიანტს და არა >ენის ზოგად პრობლემას<, არა მის >შინაგან ორგანიზმს<; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენის “langue” თეორიისათვის თუ ენის, როგორც სისტემისათვის, იგი შეფასებულია როგორც არა მარტო უმნიშვნელო, არამედ ზედაპირული, შემთხვევითი რამე და, აქედან გამომდინარე, მასზე ყურადღების გამახვილება კი არ ღირს.

თუ განვიხილავთ საკითხს, თუ სად და როგორ ლაპარაკობენ ერთი რომელიმე ენის გავრცელების ზონაში, – მაგალითისთვის, ავიღოთ ფრანგული, – ან თუნდაც იმას, თუ ზუსტად რა განსხვავებები არსებობს ერთი ენის ამა თუ იმ დიალექტს შორის – სრულიად აშკარა გახდება, რომ ყველა ეს საკითხი >ენის ზოგად პრობლემასთან< არაა კავშირში და ამიტომ სრულიად შესაძლებელია მათი გამოყოფა >ენათმეცნიერების შიდა ზონისაგან<, ამით ასე თუ ისე მიყვებით სოსიურის თეორიის ბალისა და სემესეულ ვარიანტს. მაგრამ როცა პირიქით ხდება, ანუ როცა ბალი და სემე >გეოგრაფიულ კავშირთან< თემას მთლიანად >ენათმეცნიერების გარე ზონას< მიაკუთვნებენ და ამით მას, >ენის ზოგადი პრობლემის< თვალსაზრისით, მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებენ, მაშინ განა არ გემართებს იმის გარკვევა, თუ რაშია საქმე, რადგან ზოგადი ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილ თავის ბოლო სალექციო კურსში სოსიური არა მარტო ამოვიდა >ენის ზოგადი პრობლემიდან<, არამედ თითქმის მთელი პირველი სემესტრი მიუძღვნა სწორედ ამ თემას, თუ მცირედ შესწორებებს არ ჩავთვლით.⁶⁴

თუ ბალის და სემეს დავეუჯერებთ, მაშინ, თურმე, მესამე კურსის კონსტრუქცია მიგვანიშნებს სოსიურის სურვილზე, როგორმე თავი აარიდოს ზედმეტ ტვირთად თუ იძულებად ქცეულ >ენის ზოგად პრობლემას<.⁶⁵ ჩვენეული წაკითხვის საფუძველზე კი თავს წამოყოფს სხვა ინტერპრეტაცია: თუკი სოსიური მესამე კურსში ამხელა ადგილს უთმობს >ენის გეოგრაფიული გავრცელების თემას<, ეს, ალბათ იმიტომ, რომ >გეოგრაფიული კავშირების< წყალობით აღმოჩნდა ისეთი რამ, რაც, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია >ენის ზოგადი პრობლემის< მისეული აღქმისათვის, მაგრამ, მეორე მხრივ, იოლად შეიძლება მისი უგულვებელყოფა, თუკი “langue”-ს სისტემას გაუაზრებლად ყველაზე წინ დააყენებ და წინასწარვე შერაცხავ ენათმეცნიერების >ყველანაირი შემეცნებით-თეორიული სირთულის< >გადაჭრის საშუალებად<.

⁶⁴ შეადრ. SM/G, გვ. 35 და გვ. 77-81.

⁶⁵ შეადრ. *Ansätze*, გვ. 27 ff, ეტყობა, გოდელმაც ასევე აღიქვა სოსიურის III კურსი: “III სალექციო კურსის დასაწყისისათვის შეუდგა სოსიური ბოლოს და ბოლოს დაგეგმილი დაყოფის განხილვას და დასაბუთებას, მაგრამ პირველივე პუნქტზე გაიჭედა და მთელი ზამთარი მას უტრიალებდა. ეს პუნქტი იყო *ენები* [>langues<] პერიფერიაში, ანუ როგორც თავად აღნიშნავდა, “ენის [>langage<] – გარე პრობლემები (გეოგრაფიული ენათმეცნიერება, დამწერლობა და ფონოლოგია, უმნიშვნელოვანეს ენობრივ ოჯახთა შედგენა). მხოლოდ მომდევნო სემესტრში, 1911 წლის 25 აპრილს გადადის იგი მეორე პუნქტზე: *ენა* [>langue<]. ზოგადი პრობლემების ჩამოყალიბება ნელ-ნელა მიიწევს წინ, შესწორება-ჩასწორებების თანხლებით. სემესტრის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე, ივნისში, სოსიურმა გადაწყვიტა, რომ სტატიკურ ენათმეცნიერებას შესდგომოდა და თავის ბოლო სალექციაში (4 ივლისს) გამოაცხადა, რომ სწორედ მაშინ მოხაზა ამ საგნის კონტურები.

ჩვენ ვიმეორებთ: მას არ ეკისრებოდა არავითარი ვალდებულება. თუკი მან ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ ლექციები მხოლოდ ორ-ორი წელი იკითხა, თუკი მან ენის [>langage<] თეორიას არ მიუძღვნა მთელი ის დრო, რაც კი მას ჰქონდა დათმობილი, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ გარდა პედაგოგიურისა, პიროვნულ მომენტებშიც: “სულ ცოტა, ორი-სამი თვე მაინც მჭირდებოდა ყველაფრის შესაგროვებლად, უთხრა მან ა. რიდლინგერს”: იგივე უთხრა ლ. გოტიესაც: “საბოლოო დასკვნამდე რომ მივსულიყავი, თვეები მჭირდებოდა მოსაფიქრებლად.” (cf. SM/G, გვ. 35)

ენათა მოძრაობა

ფენომენი, რომელიც >გეოგრაფიულ კავშირებთან< მიმართებით გამოჩნდა და რომელსაც, – როგორც დაინახავთ, – საეტაპო მნიშვნელობა გააჩნია >ენის ზოგადი პრობლემის< სოსიურისეული აღქმისათვის, კურსის მეოთხე ნაწილშიც არის აღწერილი, თანაც იდეის ექსპერიმენტის საშუალებით:

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ, თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი, ჩვენ თვითონვე დავთქვათ მარტივი თეორიული წინაპირობები, რომლებიც სივრცეში თავისთავადი დიფერენცირების მნიშვნელოვან მიზეზებზე დაკვირვების საშუალებას მოგვცემს; მაშასადამე, ჩვენ ვეკითხებით საკუთარ თავს, რა მოხდება, თუკი რომელიმე ერთ შემოსახდურულ ადგილას, მაგალითად, კუნძულზე გავრცელებულ ენას [>langue<] ემიგრანტები გადაიტანენ სხვაგან, ასეთივე შემოსახდურულ კუნძულზე. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოჩნდება, რომ საწყისი პუნქტის (A) ენასა [>langue<] და მეორე პუნქტის (A') ენას [>langue<] შორის შეინიშნება გარკვეული ცვლილებები ლექსიკაში, გრამატიკაში, გამოთქმაში და ა.შ.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ გადანერგილი იდიომა მარტო, თავისთავად იცვლება იმ დროს, როცა სამშობლოში დარჩენილი იდიომა უცვლელია. ასევე ნაკლებად სავარაუდოა პირუკუ პროცესიც. ერთ მხარეზეც შეიძლება სიახლე მოხდეს და მეორე მხარეზეც, ან ორივე მხარეზე ერთდროულად.⁶⁶

როგორც ჩანს, სოსიურის ინტერესი >გეოგრაფიული კავშირებისადმი< თავიდან იმით იყო გამოწვეული, რომ ერთი და იმავე ენის ლოკალურ სახესხვაობათა მიხედვით შეიძლებოდა იმის გაგება, თუ როგორ იცვლებოდა ენა:

ასო “u” რომელიმე განსახდურულ გარემოში შეიძლება გახდეს ასო “ü”. ვერაინ იტყვის, თუ რატომ შეიცვალა იგი ამ დროს და ამ ადგილას, ან რატომ იქცა იგი მაინცდამაინც “ü”-დ და არა “o”-დ. მაგრამ თავად ცვლილება, მისი განსაკუთრებული მიმართულებისა და გამოვლენის განსახდურული ფორმების მიუხედავად, მოკლედ რომ ვთქვათ, ენის [>langue<] ნაკლები მდგრადობის მიუხედავად, მთლიანად დროზე დამოკიდებული. მაშასადამე, გეოგრაფიული განსხვავებულობა არის საყოველთაო ფენომენის გამოვლენის მეორადი ფორმა.⁶⁷

ენის მუდმივი ცვალებადობის იმ პროცესის «მთავარ მიზეზად»⁶⁸, რომელიც >გეოგრაფიულ განსხვავებულობაში< გამოიხატება, კურსში სახელდება «დრო», ხოლო >გეოგრაფიული განსხვავებულობა> კი იწოდება >ზოგადი ფენომენის< >მეორადი გამოვლენის ფორმად<, ანუ დროში გადაადგილებად. თუკი ამას უფრო დაკვირვებით გავანალიზებთ, მივაღწეოთ შემდეგ დასკვნამდე: მტკიცება იმისა, რომ ენა დროთა განმავლობაში იცვლება სულაც არ არის პასუხი კითხვაზე, თუ რატომ იცვლება ენა. ალბათ, სწორია ის, რომ ენის ცვლილება დროთა განმავლობაში თავის გამოსატყულებას პოულობს >გეოგრაფიულ განსხვავებულობაში< და ამის გამო >გეოგრაფიული განსხვავებულობა< უნდა მივიჩნიოთ მეორეულად, თუმცა ეს მაინც არ არის პასუხი კითხვაზე, თუ როგორ ხდება, რომ ენები დროთა განმავლობაში იცვებიან, ანუ რითი საბუთდება ენის დროში ცვალებადობის >ზოგადი ფენომენი<.

III კურსის მომზადებისას გაკეთებულ სოსიურისეულ ჩანაწერებში მოინახება ერთი საინტერესო ფორმულირება ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მერე კურსში აღარ გვხვდება. შემდეგი საკვანძო სიტყვების – ”ერთიანი ენის

⁶⁶ GRF, გვ.236; CLG/D, გვ. 270; CLG/E (I), გვ. 449f, Nr.2934-2936; შეადრ. ამასთან დაკავშირებით S. Auroux: “La catégorie du parler et la linguistique », in: *Romantisme* 25-26, 1979, gv. 157-178.

⁶⁷ GRF, გვ.237ფ; CLG/D, გვ. 272; CLG/E (I), გვ. 452, Nr.2948-2950;

⁶⁸ შეადრ. GRF, გვ. 235ff, “თავი III. გეოგრაფიული სახესხვაობების მიზეზები. §1. მთავარი მიზეზი – დრო”.

დივერსიფიკაცია [>une langue originairement une<] დასაწყისში. ადგილზე დანაწევრების პრინციპი⁶⁹ – მეშვეობით სოსიური თავიდან ზუსტად ისევე იქცევა, როგორც კურსის ექსპერიმენტული იდეის შემთხვევაში, ანუ ამოდის “განსაზღვრულ მომენტში ერთენოვანი, გეოგრაფიულად შემოსაზღვრული ტერიტორიიდან”⁷⁰ და ადგენს, რომ ამ რაიონში გარკვეული ხნის შემდეგ მოხდება ენის შეცვლა:

ეს არის დროის [>Temps<] შედეგი ან პრინციპი, რომ ენა [>langue<] იცვლება დროში [>Temps<].⁷¹

ჩვენ აქ დავადგინეთ კურსის ვარიანტისგან განსხვავებული ერთი პატარა, თუმცა მნიშვნელოვანი ნიუანსი. მართალია, ცვლილება აღწერილია, როგორც >დროის შედეგი<, მაგრამ გადაჭრით არავინ ამტკიცებს, რომ დრო არის სწორედ ცვლილების მიზეზი.⁷² უფრო მეტად საუბარია იმ >პრინციპზე<, >რომ ენა დროში იცვლება<. და თუ რა პრინციპია ეს, სოსიური განმარტავს თავის ჩანაწერებში რამდენიმე გვერდის შემდეგ:

არ არსებობს აბსოლუტური უმოძრაობის მაგალითი [>immobilité absolue<]. აბსოლუტური არის მხოლოდ ენის [>langue<] დროში მოძრაობის პრინციპი. მოძრაობის, რომელიც სხვადასხვანაირად მიმდინარეობს და სიტუაციის შესაბამისად ხან ჩქარია, ხან კიდევ ნელი, მაგრამ ყოველთვის გარდაუვალი [>fatalement<]. მას ვერაფერი შეაჩერებს: შეიძლება ომებით, აჯანყებებითა თუ არეულობებით, ეროვნული კრიზისებით ამოძრავებულ პერიოდებში კი აჩქარდეს, როგორც ამას ხშირად ამტკიცებენ; მაგრამ ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან თვით ყველაზე მშვიდ პერიოდშიც კი შეუძლებელია იმის თქმა, რომ ენის [>langue<] დინება, თუკი მას >დროის გარკვეული მონაკვეთის< განმავლობაში ზემოდან, ან ქვემოდან დააკვირდები, ყოველთვის თანაბრად ერთნაირია და არა აქვს მნიშვნელობა, ხანდახან წყალიდობა თუ გამოერევა. ზოგად ფაქტს შემთხვევითისთვის სწირავ, თუკი მაინცდამაინც იმ საფუძვლებს აინემებ, რომელთაც >ხანდახან< ამ მოძრაობის აჩქარება შეუძლიათ; ისიც საკმარისია, რომ ეს მოძრაობა შეურყეველი, ბუნებრივი, ყოველგვარი გარეგანი გარემოებისაგან დამოუკიდებელია.⁷³

აქედან გამომდინარე, >ზოგადი ფენომენი<, რომლის >მეორად გამოვლინებადაც< >გეოგრაფიული განსხვავებულობანი< გვევლინება, როგორც ეს კურსშია ახსნილი, არის არა უბრალოდ დრო, არამედ >ენის დროში მოძრაობის აბსოლუტური პრინციპი<, იმ >მოძრაობის<, რომელიც არის >გარდაუვალი<, >შეუჩერებელი<, >ურყევი< და რომელიც >ყოველგვარ გარემოებაში< აგრძელებს თავის სვლას.

როცა სოსიურის ჩანაწერებში ამ >აბსოლუტური პრინციპის< სხვა ფორმულირებებს იძიებ, ადგენ, რომ მათზე ლაპარაკი იყო ჯერ კიდევ თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული ქვეყნური ლექციების მოსამზადებელ ჩანაწერებში:

ვინც <თავდაპირველ ილუზიებს აყვება> და ფრანგულს რაღაც უმოძრაო სიდიდედ წარმოიდგენს, <ახლა თუ არა, ოდესმე> მაინც ძალაუნებურად მივა იმ აზრამდე, რომ არაფერი ესმის იქიდან, რაც მოხდა 1500-1900-იანი წლების <დროის მონაკვეთში>: მა-

⁶⁹ Cf. CLG/E (I), გვ. 446, N. 23.1, Nr.2919

⁷⁰ Ibid.

⁷¹ Ibid.

⁷² შეადრ. აგრეთვე GRF, გვ. 92; CLG/D გვ.112; CLG/E (I), გვ.174, Nr. 1294-1296; და M. Arrivé : « Saussure: le temps et la symbolisation », in : R. Liver, I. Werlen, P. Wunderli (გამომც.): *ენის თეორია და ენათმეცნიერების თეორია. ისტორია და პერსპექტივები*, ტიუბინგენი 1990, გვ. 37-47, განსაკუთრებით გვ. 43f.

⁷³ Cf. CLG/E (I), გვ. 318f, N. 23.1, Nr.2205-2206.

შასადამე, მოუხდება ნახტომის [>saut<] გაკეთება: ნახტომის ერთი მონაკვეთიდან მეორეზე, ერთი დარტყმით, თითქოს ჯადოსნური ჯოხი აგიქნევია, ან ისეთი <დაუჯერებელი> გამოცხადება გიწამებია [>enfantement inoui<], რომლის მეშვეობითაც ერთი იდიომა მეორეს სიცოცხლეს ჩუქნის. [...] ბუნებრივად იღებ, რომ ენის [>langue<] ამ ორ წარმოსახვით ნახტომს შორის ენა განისვენებს წონასწორობისა და სიმშვიდის მდგომარეობაში, თუნდაც მარტო გაწონასწორებულ მდგომარეობაში, რაც ნახტომების საპირწონედ შეიძლება გამოდგეს, თუმცა სინამდვილეში არასდროს, არც ერთ ენაში [>langage<, sic] არ არსებობს <ჩამოყალიბებული>, სტაბილური წონასწორობა. მაშასადამე, ჩვენ ვამკვიდრებთ ენათა [>langues<] განუწყვეტელ ცვალებადობას, როგორც აბსოლუტურ პრინციპს. არ არსებობს არც ერთი შემთხვევა, რომლის დროსაც შეიძლება იდიომა უძრაობისა თუ სიმშვიდის მდგომარეობაში განისვენებდეს.⁷⁴

სანამ უფრო დაწვრილებით გავაშუქებდით იმ საკითხს, თუ რას ნიშნავს ზუსტად სოსიურის მიერ >აბსოლუტურად< შერაცხული >ენათა დროში მოძრაობის< პრინციპი, სანამ გამოვიძიებდით, თუ საიდან მოდის ეს მოძრაობა, რომელსაც უკლებლივ ყველაფერი ემორჩილება, რაც კი ენასთან არის დაკავშირებული, ძალაუნებურად აგეკვიატება ჩვენი არგუმენტაციისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი პირველი დებულება: >თუკი >გეოგრაფიული კავშირებიდან გამომდინარე< ნათელია, რომ ენები მუდმივად მიედინებიან და ამ დინებაში მუდმივად იცვლებიან, მაშინ ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი კურსის იმ ამოსავალი პოსტულატის მიმართ, რომლის მიხედვითაც ენათმეცნიერების ძირითადი შემეცნებით-თეორიული პრობლემის >გასაღები< მდგომარეობს იმაში, რომ იგი უნდა ამოვიდეს ენიდან [>langue<], როგორც სისტემიდან. სხვანაირად რომ ვთქვათ, მარადიული მოძრაობიდან გამომდინარე ფაქტის მეშვეობით, რომლის მიხედვითაც >ენებს ბუნებრივი საზღვარი არა აქვთ<, გამოჩნდა პირველი ზღვარი ენის, როგორც სისტემის, აღქმის გზაზე. თუკი ენათა სხვადასხვაობა >ენათმეცნიერების გადამწყვეტ ფაქტად< მართლაც სერიოზულად უნდა იქნას აღქმული, თუკი >ენათა დროში მოძრაობის აბსოლუტურ პრინციპს< ნამდვილად უნდა გაეწიოს ანგარიში, მაშინ არც “langue”-ს სისტემა და არც ენის სისტემად წარმოდგენა ზოგადი ენათმეცნიერების დასაწყისშივე არ უნდა ჩაითვალოს მათი პრობლემების >გასაღებად<, ასე ხომ “la langue” დარჩება ენათმეცნიერების შორეულ მიზნად, ერთგვარ შეერთების ხაზად აზროვნების პორიზონტზე. გავიხსენოთ, თუ რას წერდა სოსიური მეიეს:

საბოლოოდ ხომ მხოლოდ ენის [>langue<] იმ მხატვრული მხარის მიმართ შემომრჩა ინტერესი, რითაც იგი ყველა სხვათაგან განსხვავდება, რადგან ეკუთვნის განსაზღვრული წარმომავლობის განსაზღვრულ ხალხს, ეს თითქმის ეთნოგრაფიული ასპექტიდა შემომრჩა: და სწორედ ის ნეტარება აღმოჩნდა ჩემთვის შეუძლებელი, რომ ამ კვლევებს ყოველგვარი უკანა აზრების გარეშე მივეცე და დავტკბე იმ განსაკუთრებული შემთხვევით, რომელიც განსაკუთრებულ გარემოებებს განეკუთვნება, მაინცდა-მაინც ამ სიამოვნებას აღმოვჩნდი ამიერიდან მოკლებული. სწორედ არსებული ტერმინოლოგიის აბსოლუტური უვარგისობა, იმ რეფორმის აუცილებლობა, რომელმაც უნდა აჩვენოს, თუ რა საგანია ენა ზოგადად [>langue en général<] არის ის, რაც მუდმივად მიშლის ხელს ისტორიული სიამოვნების მიღებაში,

⁷⁴ Cf. CLG/E (II), გვ. 8, N 1.2, Nr. 3284; ა. პროსდიჩიმის 1983 წელს გამოქვეყნებულ სოსიურის ჩანაწერში ვკითხულობთ: “რადგან მართლაც აუცილებელია, რომ ერთხელ და სამუდამოდ ავმადლდეთ იმ ძველ შეხედულებაზე, რომლის მიხედვითაც უმოძრაობა და ერთიანობა ენის [>langue<] ნორმალური დანიშნულებაა, ყოველ შემთხვევაში, იმაზე ნორმალური მაინც, ვიდრე ცვალებადობა, მოძრაობა და განსხვავებულობა” (cf. A. Prosdicimi: “Sul Saussure delle leggende germaniche”, in: CFS 37, 1983, gv. 95); მთელი ფრაგმენტის თარგმანი იხ. in Texte, გვ. 415.

თუმცა იმაზე მეტად არაფერზე ვოცნებობ, რომ ამიერიდან მაინც აღარაფერი მქონდეს სადავო ზოგადად ენასთან [>langue en général<].⁷⁵

რადგან ბალი და სეშე “la langue”-ს კურსის დასაწყისში აყენებენ, ხოლო >გეოგრაფიულ კავშირებს< ბევრი ყოყმანის გარეშე >ენათმეცნიერების გარე ზონაში< ათავსებენ, ამით გვერდს უვლიან ენობრივი აზროვნების სოსიურისეულ კომპლექსურობას. მართალია, ამ გამარტივების მეშვეობით კურსის გამომცემლებმა გზა გაუხსნეს სოსიურის სწავლების შემდგომ ეპოქალურ წარმატებას, თუმცა ამავე დროს სათავე დაუდეს, თუ არ დაასწრეს სოსიურის ნააზრვის შემოკლებულ, სციენცისტურ (მხოლოდ მეცნიერებაზე და არა რწმენაზე დაფუძნებული შეხედულება, მთრგმნ. შენიშვნა) ინტერპრეტაციას, სისტემის იდეის უკრიტიკოდ წამოწვევას და გაუბრალოებას, რაც დამახასიათებელია სტრუქტურალიზმისათვის.⁷⁶

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ბალი და სეშე ყველაფერ იმის თეორიისგან გამოყოფას ცდილობდნენ, რაც კი ხელს შეუშლიდა მათ, რომ სათაყვანებელი მასწავლებლის მოძღვრება მისი გარდაცვალების შემდეგ მაინც წარმოედგინათ >დასრულებული სისტემის< სახით. რადგანაც კურსის გამომცემელნი მოხიბლული იყვნენ სოსიურის სისტემის იდეით და მასში სამართლიანად ხედავდნენ მეცნიერული თვალსაზრისით ეპოქალურ სიახლეს, ისინი ყველანაირად შეეცადნენ, რომ ამ თეორიის პერიფერიაში გადაესროლათ ყველაფერი, რაც კი მათი თვალსაზრისით ეჭვქვეშ დააყენებდა სოსიურის მიერ შექმნილი სისტემის სრულყოფილებას.⁷⁷ თუკი ამ იზოლაციური ქესტის განხორციელებისას ისინი არ წაყვნენ III კურსის სტრუქტურას და >გეოგრაფიული კავშირურთიერთობები< განიხილეს წიგნის ბოლოში, როგორც >ენათმეცნიერების გარე ზონის< ნაწილი, ეს არა იმდენად იმიტომ, რომ >გეოგრაფიული კავშირურთიერთობები< მეორეული იყო და >ენის ზოგად პრობლემასთან< არაფერი ჰქონდა საერთო, რამდენადაც იმის გამო, რომ >გეოგრაფიული კავშირურთიერთობების< მეშვეობით შეიძლებოდა საფრთხე და მუქრობდა “langue”-ს სისტემის იმ სრულყოფილებას, კურსი რომ ასე გულუბრყვილოდ ეყრდნობოდა.

⁷⁵ Cf. LAM, გვ. 95.

⁷⁶ ეს ზედმეტი ხაზგასმა კარგად ჩანს იმ ზემოთ უკვე ციტირებულ, ეიფორიულ ფრაზებში, რითაც დევი-სტროსი ხსნის თავის პროგრამულ ნარკვევს “სტრუქტურალიზმი ენათმეცნიერებასა და ანთროპოლოგიაში”, შეადრ. *Ansätze*, გვ. 22. სიზუსტისათვის აქვე უნდა დავამატოთ, რომ დევი-სტროსმა მოგვიანებით განმარტა თავისი კონცეფცია სისტემის შესახებ. განსაკუთრებით ის. მისი მოსაზრებანი “bricolage”-ის შესახებ in: *ველური აზროვნება, მაინის ფრანკფურტი 1968*, გვ. 29-48

⁷⁷ ბალი და სეშე თავიანთ “შესავალში” სიტყვასიტყვით შემდეგს წერენ: “ჩვენი მთავარი მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ დაგვედგინა ორგანული კავშირი და არ გამოგვეტოვებინა არაფერი, რაც კი ხელს შეუწყობდა თავის თავში ჩაკეტილი ერთიანობის შთაბეჭდილების შექმნას” (GRE, გვ. X). ჩვენ უკვე მივუთითეთ იმ კრიტიკულ გამოსმაურებებზე, რომლებიც გამოითქვა გამომცემელთა ამ წარმართველი პრინციპის საწინააღმდეგოდ. უპირველეს ყოვლისა კი პ. ფ. რეგარის პირველ რეცენზიაზე, რომელიც *კურსის* გამოსვლისთანავე დაიწერა. (შეადრ. *Ansätze*, გვ. 27 ff. და გვ. 46 f. აგრეთვე *Texte*, გვ. 27 f.). ყველაზე მთავარი კრიტიკა კი მაინც რ. იაკობსონს ეკუთვნის, რომელმაც 1972 წელს Collège de France-ში ჩატარებული ლექციის დროს აღნიშნა: “როცა ჩვენ ამ ტექსტს ვაანალიზებთ და მას იმ რეალურ კონსპექტებს ვადარებთ, რომელთა მიხედვითაც მოხდა მისი რედაქტირება, ვიღებთ არანორმალურად დიდ სხვაობას. ტექსტი მართლაც რომ არა მარტო რედაქტირებულია, არამედ გაბუდვად და ვიტყვი, რომ მოდიფიცირებულია. ამას ვაცხადებ მთელი სერიოზულობით, გარდა ერთი პუნქტისა – და ეს არის აპორიფული ტექსტი. [...] შეცვლილია სტილი. სადაც სოსიური კითხვის ნიშანს სვამს, იქ რედაქტორები სვამენ წერტილს. რაც შეკითხვა იყო, ის გახდა დოგმა. [...] ჩვენთვის სოსიური იყო დიდი სკეპტიკოსი, რომელიც ყოველთვის პრობლემის ორივე მხარეს ხედავდა. [...] ეს არის დრამატული, ჭკუშარიტი სოსიური” (cf. F. Marchand: “Roman Jakobson á Paris”, in: *L'education* 132, 1972, გვ.11).

სოსიურის აზროვნების ორიგინალობა და სიძლიერე კი ამ დროს სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მან თავი არ აარიდა სისტემასა და მოძრაობას შორის არსებულ დაძაბულობას და იმისდა მიუხედავად, გამოუვიდა თუ არა, ყველანაირად შეეცადა მაინც, რომ სისტემა და მოძრაობა ერთად გაეაზრებინა და განევითარებინა ისეთი სისტემა, რომელიც მოძრაობას კი არ გამორიცხავს, არამედ მის აუცილებელ პრინციპადაც კი თვლის.

იდეურად არასწორია და არც პრობლემის გადაჭრის გასაღებს წარმოადგენს, როცა სივრცესა და დროში გახსნილობა მიეწერება მხოლოდ “les langues”-ს, თანაც ეს ხდება მხოლოდ იმ მიზნით, რომ “la langue”-მ, როგორც დასრულებულმა სისტემამ, შეძლოს თავის დამკვიდრება.⁷⁸ თუკი ჩვენ “la langue” გვევლინება მხოლოდ სხვადასხვა ენათა სერიაში, თუკი “la langue”-ს შეუძლია გაამართლოს ის მოლოდინი, რომ იგი უნდა იყოს ყველაფერი იმის >განზოგადება<, >რაც ყოველი განსაზღვრული ენისათვის წარმოადგენს სინამდვილეს<, მაშინ მისი სისტემა იმგვარად უნდა იყოს კონსტრუირებული, რომ მისთვის აღარ იყოს დაუშვებელი არსებულ ენათა დანაწევრებულობა და ღიაობა.

სოსიურის სექსპტიციზმის გათვალისწინებით, გამოვთქვამთ ასეთ ვარაუდს: მიუხედავად იმისა, რომ სოსიური გამუდმებით ეძიებდა ენის სრულყოფილ სისტემას (და თეორიას), იგი მაინც ყოყმანობდა და არ ჩქარობდა თავისი თეორიის დასრულებას, და ეს არა იძულებითი სექსპსისის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ენის მოძრაობა-განვითარების საკითხი მას თეორიისათვის არანაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნდა, ვიდრე ენის სისტემა. კიდევ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თუკი სოსიური >ენის შეუჩერებელ, ყოველგვარ გარეგან გარემოებაზე დამოუკიდებელ მოძრაობას დროში< (რაზეც ლაპარაკია მის ჩანაწერებში) მართლა >აბსოლუტურ პრინციპად< თვლიდა, თუკი >ენათა სიმრავლის გადამწყვეტი ფაქტი< მართლაც სერიოზულ საბუთად უნდა ჩაითვალოს, მაშინ მის მიერ ძებნილი სისტემა უნდა იყოს ისეთი, რომელშიც ამ პრინციპს თავისი იდეური ადგილი ექნება თუნდაც ამის გამო თეორიის სრულყოფილებას, >მთლიანობას< ზიანი ადგებოდეს, ან ძნელად აღსაქმელი ხდებოდეს. ის სექსპტიციზმი, რომელიც სოსიურს ხელს უშლიდა თავისი სწავლების საბოლოო, ანუ სისტემის სახით ჩამოყალიბებაში, შეგვიძლია გავიგოთ ისეთ რამედ, რაც მის თეორიაში საკმაოდ ადგილს ტოვებს >ენის მოძრაობა-განვითარების აბსოლუტურ პრინციპზე< დასაფიქრებლად. ან სხვაგვარად თუ ვიტყვით, ამ სექსპტიციზმში გამოსჭვივის გაგება იმისა, რომ “la langue”-ს ენის სისტემად წარმოდგენა ერთდროულად შეიძლება იყოს პრობლემაც და მისი >გასაღებიც<, პასუხიც და შეკითხვაც.

მაგრამ ჩვენ წინ ვუსწრებთ მოვლენებს. ჯერ უნდა გავარკვიოთ, თუ საიდან მოდის საერთოდ, სოსიურის მიერ დადგენილი >ენათა მოძრაობა დროში<.

⁷⁸ შეადრ. ამასთან დაკავშირებით Bierbach 1979, გვ. 30

VI. ენის(ების) ცირკულაცია

სოსიურის ჩანაწერებში სხვადასხვა ადგილას მოიძებნება მითითება იმაზე, თუ საიდან მოდის >ენის შეუწერებელი მოძრაობა დროში<, რაც თავის გამოხატულებას პოულობს >გეოგრაფიულ კავშირურთიერთობებში<. ყველაზე საინტერესო, ამოსავალ და ხელსაყრელ წერტილად, ალბათ, მაინც ის მოსაზრებები უნდა ჩაითვალოს, რომელიც სოსიურმა ერთ თემასთან დააკავშირა. ეს თემა კიდევ უფრო შორსაა კურსში მონიშნული, ვიდრე >ენათმეცნიერების შიდა ზონა<, ვიდრე >ენის გეოგრაფიული კავშირურთიერთობები< – მხედველობაში გვაქვს სოსიურის გამოკვლევები გერმანულ ლეგენდებთან დაკავშირებით. სანამ სოსიურის მემკვიდრეობაში არსებულ, ნიბელუნგების სიმღერისადმი მიძღვნილ ამ ჩანაწერებში იმ მოსაზრებას მოვკებნით, რომელიც შეიცავს ცნობებს >ენის დროში მოძრაობის< შესახებ, მანამდე მოკლედ უნდა განვმარტოთ სოსიურის გერმანულ ლეგენდებზე მუშაობის კონტექსტი და გარემოებანი.

როგორც უკვე ვახსენეთ, ნიბელუნგების სიმღერაზე მუშაობა დროში ემთხვევა სოსიურის შენევეური ლექციების სამ კურსს.⁷⁹ ა. პროსდოჩიმის⁸⁰ თანახმად, გერმანული ლეგენდების სოსიურისეული კვლევების ამოსავალ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს ის რამდენიმე მოხსენება, რომელიც მან ერთმანეთის მიყოლებით წაიკითხა შენევის ისტორიკოსთა და არქეოლოგთა საზოგადოებაში (“Socité d’Histoire et d’Archéologie de Genève”), კერძოდ, 1901 წლის 28 მარტს - Le nom da ville d’Oron á l’époque romaine⁸¹, 1903 წლის 29 იანვარს - Origine de quelques noms de lieux de la région genevoise⁸², 1904 წლის 15 დეკემბერს - Les Burgondes et la langue bourgonde en pays roman.⁸³ ამ მესამე მოხსენებაში უკვე ჩამოყალიბებულია ის ძირითადი აზრი, რომლის გარშემოც ბრუნავს ის «მთმინებით ჩატარებული გამოკვლევები»⁸⁴, რასაც ეწეოდა სოსიური იმ დროიდან მოყოლებული თითქმის სიცოცხლის ბოლომდე: რომანდიის და სავოიის დასახლებულ პუნქტთა დასახელებების სიმრავლის გამო, “რომელთა წარმოშობა მეტ-ნაკლები სიზუსტით შეიძლება ბურგუნდიისათვის მიგვწერა”,⁸⁵ შეიძლება იმ ვარაუდის

⁷⁹ შეადრ. R. Engler: “Sémiologies sausuriennes; 1. De l’existence du signe”, in: CFS 29, 1974-75, გვ. 58

⁸⁰ Prosdociimi 1983, გვ. 42 ff.; აქვე აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ სოსიურის 1894 წლის უთინსადმი მიძღვნილ ჩანაწერებში მოიძებნება ვრცელი პასაჟი, რომელშიც საუბარია მითოლოგიასა და ლინგვისტიკას შორის არსებულ კავშირზე. შეადრ. Texte, გვ. 326 f. და იქვე გვ. 519 ff (წერილი შეიქმნა 1906 წლის 12 ნოემბერს). აღნიშვნის ღირსია აგრეთვე, რომ ა. განის მოხსენების თანახმად, სოსიური, იმ სხვადასხვაგვარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც მან მიიღო ლაიპციგში თავისი *Mémoire*-ის გამოსვლის შემდეგ, 1880 წლიდან მოყოლებული ცდილობდა, ენათმეცნიერებას ჩამოშორებოდა და მის ნაცვლად გერმანული საგმირო ეპოსის კვლევაზე გადაერთულიყო. (შეადრ. დანართი, გვ. 526). სოსიურის ადრეული ინტერესი გერმანული ლეგენდებისადმი დოკუმენტურად დასტურდება სალექციო კურსის იმ ანგარიშებშიც, რომელიც მან წარმოადგინა 1881-1891 წლების მანძილზე პარიზის *Ecole des Hautes Etudes*-ში. (შეადრ. ამასთან დაკავშირებით M. Fleury: “Notes et documents sur Ferdinand de Saussure (1880-1891)”, in: *Annuaire de l’EPHE, IV section, Sciences historiques et philologiques*, 1964/65, გვ. 35-67), აგრეთვე ჰუნთა მეფის, ატილას სახელთან დაკავშირებულ შენიშვნებში თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებულ შენევეურ სალექციო კურსში 1891 წელს (შეადრ. Texte, გვ. 249). *ნიბელუნგების სიმღერისადმი* მიძღვნილი თავისი ბოლო ლექცია სოსიურმა წაიკითხა შენევაში 1904 წელს (შეადრ. CLG/D, გვ. 343 აგრეთვე დანართი, გვ. 545).

⁸¹ *Journal de Genève*, 7. April 1901 [Résumé], in: REC, გვ. 604f.

⁸² *Bulletin de Socité d’Histoire et d’Archéologie de Genève* 2, 1903, გვ. 342, in: REC, გვ. 605.

⁸³ *Bulletin de Socité d’Histoire et d’Archéologie de Genève* 2, 1906-13, გვ. 342, in: REC, გვ. 606.

⁸⁴ Cf. SM/G, გვ. 28.

⁸⁵ Cf. REC, გვ. 606.

დაშვება, რომ “ბურგუნდიელების რომანიზაცია არ მომხდარა მერვე საუკუნემდე”⁸⁶, ამიტომაც სოსიურის წინაშე დადგა საკითხი “თუ რა წვლილი შეიძლება მიუძღოდეთ ბურგუნდიელ ჰელენიკურებს ეპიკური ლეგენდის «ნიბელუნგების» გენეზისსა და გავრცელებაში”⁸⁷. თუკი ამ საკითხის სერიოზული აღქმა მოხდებოდა, მაშინ იხსნებოდა სოსიურის დროისათვის უჩვეულო პერსპექტივა ნიბელუნგების სიმღერის ისტორიული კლასიფიკაციისათვის:

კარგად თუ დავაკვირდებით <იმ> მოსაზრებებს, რომლებიც ეკუთვნით ამჟამინდელ კრიტიკოსებს და რომელთა მიხედვით ყველაფრის <საფუძველი უნდა იყოს> ვორმსის სამეფო, მივალთ იმგვარ ისტორიულ <დასკვნებამდე>, რომლებიც ორჯერ უფრო მეტად გაბედულია, ვიდრე ჩვენი [...]. მაშინ რატომ არ უნდა ჩავთვალოთ ნიბელუნგების სიმღერა ისტორიული თვალსაზრისით არაჩვეულებრივ განძად? ასე ხომ ჩვენს თვალწინ გადაიშლებოდა ბურგუნდიის იმ პატარა სამეფოს მთელი ცხოვრება, დაწყებული 435 წლიდან, რომლის არსებობაც ქრონიკებში მხოლოდ ორჯერ მოხსენიებით თუ დასტურდება, თანაც როგორი შეუდარებელი დეტალებით! ისტორიის ხერხეული ამოივსებოდა მდიდარი >წყაროთი<. მაგრამ ეს გარკვეულ დაუჭვებასაც იწვევს, რომელსაც მივყავართ იქამდე, რომ ვთქვით შემდეგი: ან მთელი ეს ვრცელი [copieuse<] ლეგენდა არის ფანტაზიის ნაყოფი, რაც დაუჯერებელია, ან კიდევ, თუკი იგი თამაშდება გარკვეულ ისტორიულ ფონზე [si elle court sur un fond historique<], მაშინ ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ იგი თამაშდება ისეთ ისტორიული ფონზე, რომელიც აბსოლუტურად ნაცნობია მემატრიანეთათვის, შესწავლილია მათ მიერ და ზუსტად შეესაბამება იმას, რასაც თავად [ლეგენდა] მოგვითხრობს. ამგვარად, როგორც კი ვივარაუდებთ, რომ მოთხრობის შინაარსი გამოგონილი [factice<] არ არის, მზერა თავისთავად გაგვიქცევა იმ ერთადერთი ბურგუნდიული სამეფოსაკენ, >რომელიც ისტორიკოსებისათვის წარმოადგენს მთელ კორპუსს<, კერძოდ კი ლიონის სამეფოსაკენ.⁸⁸

მას შემდეგ, რაც წინა თავებში განვიხილავდით მხოლოდ ვიწრო ენათმეცნიერულ საკითხებს, ერთი შეხედვით, გაუგებარიც კია, თუ რაზეა საუბარი სოსიურის ამ წინადადებებში, რომლებიც მიეკუთვნებიან სრულიად სხვა კონტექსტს, თანაც მოსაზრებები არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული. ამიტომაც შევეცდებით ციტატაში წამოყენებული თეზისი წარმოვთქვათ კიდევ ერთხელ, ოღონდ სხვა სიტყვებით: როგორც ისტორიკოსთა და ლეგენდის მკვლევართა⁸⁹ უმრავლესობა, სოსიურიც ამოდის იქიდან, რომ ლეგენდის მასალასა და ისტორიულ ფაქტებს შორის აუცილებლად არსებობს კავშირი. მაგრამ იმის მაგივრად, რომ ნიბელუნგების სიმღერისათვის ვორმსის სახელით ცნობილ ბურგუნდიელთა სამეფოში 435 წელს მომხდარ ამბებთან⁹⁰ ეძებნა კავშირი, როგორც >ამას აკეთებდა იმჟამინდელი კრიტიკა<, სოსიურმა სცადა ნიბელუნგების სიმღერა დაეკავშირებინა ბურგუნდიელთა სამეფოს ასი წლის შემდგომ ისტორიასთან, ანუ იმ დროსთან, როცა ეს ადგილი უკვე

⁸⁶ Cf. *ibid.*

⁸⁷ Cf. *ibid.*

⁸⁸ Cf. LEG, გვ. 20f., შესწორება ერთვის.

⁸⁹ შეადრ. პროსლონიმი 1983, გვ. 45 და შევერეი 1980, გვ. 154, ან პ. დე ბოროი: შესავალი *ნიბელუნგების სიმღერისათვის*, კარლ ბარტშის გამოცემის მიხედვით, 22-ე გამოცემა, მანჰაიმი 1988, გვ. XXVf., და ი. ჰაინცლერი “ყველაზე გერმანული ყველა გერმანულ მასალათა შორის”, შესავალი *ნიბელუნგებისათვის*. *გერმანული ილუსტრაცია*, *გერმანული კომპარი*. *ნიბელუნგების მასალის კვლევები და დოკუმენტები მე-19, მე-20 საუკუნეში*, გამომც. ი. ჰაინცლერი და ა. ვალდშმიდტი. მაინის ფრანკფურტი. 1991, გვ. 23.

⁹⁰ იხ. აგრეთვე სოსიურის მიერ კონსულტირებული A. Jahn-ის გამოკვლევა: *ბურგუნდიონთა და ბურგუნდიის ისტორია პირველი დინასტიის დასასრულამდე წყაროთა თუ ახალ და ძველ ისტორიკოსთა შეხედულებების პირისპირ*, ჰალე 1874.

ლოკალიზებული იყო დღევანდელ რომანდიასა და სავოიაში და რომლის სატახტო ქალაქი იყო ლიონი⁹¹.

მის მიერ დაგეგმილი წიგნის Histoire et Légende. Etude sur l'origine des traditions germaniques connues sous le nom de Heldensage⁹² წინასწარ ჩანაწერებში სოსიურმა თავისი ძირითადი თეზისი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

ამ ტომის სათაური აჩვენებს, რომ ჩვენ ვვარაუდობთ ისტორიულ კავშირს იმ მოვლენებთან, რომელთაც ადგილი ქონდათ 443-534 წ.წ. იმ სამეფოში, რომელიც დააარსეს ბურგუნდიელებმა სავოიაში და რომელიც ისტორიაში შევიდა შემდეგი სახელწოდებით – ბურგუნდიის პირველი სამეფო. ჩვენ ასე წარმოგვიდგენია და დარწმუნებულიც ვართ ამაში [...].

არა 434 წელს გარდაცვლილი გუნდაპარი, არამედ 516 წელს გარდაცვლილი გუნდობადი არის ჩვენთვის ის მთავარი გიუნთური, რომელიც ბურგუნდიულ ეპოსს ხსნის.⁹³ ეს სამი პოემა, ან ტრადიციული მოთხრობის ეს სამი მასალა [>corps<] არის ყველაფერი, რისი მოხმობაც აუცილებელია იმის საჩვენებლად, რომ, ერთი მხრივ, გერმანიაში, მეორე მხრივ კი – სკანდინავიაში ესოდენ გაგრძელებული ეს ლეგენდა არის ზუსტი ანარეკლი 495-534 წ.წ. როდანულ ბურგუნდიაში [>la Burgonde rhodanienne<] განვითარებული მოვლენებისა – რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ დოხით, რაც დასაშვებია საერთოდ ლეგენდისათვის.⁹⁴

თუ რამდენად გატაცებული იყო უნეველი სოსიური საუკუნეთა გასაყარზე იმ საკითხით, >თუ რა წვლილი მიუძღვით ბურგუნდიულ ჰელგეციელებს (შესაბამისად >როდანულ ბურგუნდიას<) ნიბელუნგების, ანუ იმ საგმირო თქმულების გენეზისში<, რომელიც “ითვლება ყველაზე გერმანულად გერმანულ მასალათა შორის”⁹⁵, კარგად ჩანს იმ აურაცხელი ფრაგმენტული ჩანაწერიდან (და მათი რიცხვი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ზოგადი ენათმეცნიერებისადმი მიძღვნილი ჩანაწერებისა), სადაც სოსიური ცდილობს, ისტორიული მასალისა და ნიბელუნგების სიმღერის პასაჟების დეტალური შედარების საფუძველზე, დოკუმენტურად დაამტკიცოს თავისი თეზისი.⁹⁶ შემდგომში ჩვენ სოსიურის, ამ აშკარა ფრანკოფილის,⁹⁷ იმ თეზისის ისტორიულ დასაბუთებულობას თუ კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას⁹⁸ კი

⁹¹ შეადრ. L. Schmidt: *გერმანულ ტომთა ისტორია ხალხთა ვადაადგილების ბოლომდე*, მიუნხენი 1970.

⁹² Cf. LEG, გვ. 183. სხვა სათაური, რომელსაც სოსიურიც უწევდა ანგარიშს: *Le I. royaume de Bourgogne et la légende (des Nibelungen) épique allemande. Contribution à l'histoire (Nouvel essai sur les origines historiques) de l'épopée des Nibelungen.* (Cf. LEG, გვ.116 და Texte, გვ 424).

⁹³ Cf. LEG, გვ.130

⁹⁴ Cf. LEG; გვ. 18.

⁹⁵ შეადრ. Heinze 1991, გვ. 7ff.

⁹⁶ აქვე აღნიშნის ღირსია ერთი ადგილი სოსიურის წერილიდან მეიესადმი 1906 წლის 12 ნოემბერს: “მე ვხედავ, ... რომ თქვენ ნიბელუნგებს მოიხსენიებთ, როგორც ერთ-ერთ საკვლევ სფეროს. ზუსტად გამოიცანით! [...] როცა მაგის საკვლევად დროს გამოვნახავ, პარიზში ისევე სიამოვნებით ვილაპარაკებ მაგაზე, როგორც ლინგვისტიკის პრინციპებზე” (cf. R. Jakobson: “La première lettre de Ferdinand de Saussure à Antoine Meillet sur les anagrammes”, in: *Homme* (2), 1971, gv. 15f.

⁹⁷ ეს სანტერესო თემა მართლაც იმსახურებს ჩაღრმავებას, მაგრამ არა აქ. ყველა შემთხვევაში მაინც ვიტყვით შემდეგს: ნიბელუნგების სიმღერასთან დაკავშირებული სოსიურის კვლევები თუნდაც მხოლოდ “ადგილობრივ-პატრიოტულ” ინტერესზე რომ იყოს დაფუძნებული, მაინც შეცდომა იქნებოდა იმის დაჯერება, რომ მისი მნიშვნელობა მხოლოდ ამით ამოიწურება. საქმე ესეა გერმანიკულ და რომანულ (ლათინურ-კლასიკურ) კულტურათა ურთიერთდამოკიდებულებას, შესაბამისად ბურგუნდიელთა რომანიზაციის შესაძლო გავლენას გერმანული საგმირო თქმულების მასალაზე. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ პასაჟებში, რომლებშიც სოსიური დაემყბნო თეზისის მითის კვალს. შეადრ. აგრეთვე რ. ენგლერი: “Heureux qui comme Ulysse a fait un beau voyage...”, in: CFS 45, 1991 [1992], გვ. 151-165, და შეერერი 1980, გვ. 152ff.

⁹⁸ გერმანულ-ფრანგული დაბაბულობა სოსიურმა თავის თავზე იწენია ლაიპციგში სწავლის დროს, რაზეც მიუთითებს ის ორი ამონარიდი კარლ ბუგმანის წერილიდან ვ. შტრაიტბერგისადმი 1914 წელს: “მე ასე ვფიქრობ, რომ ისეთმა უხეშმა და ტლანქმა არსებამ, როგორცაა ოსტროფი, ნამდვილად დაზაფრა ფაქიზი ემაწვილი. მისთვის, როგორც ფრანგისათვის (აღბათ, შეგ-

არ ჩავუღრმავდებით, რომელიც ნიბელუნგების სიმღერის გენეზისს ეხება, არამედ უფრო იმ პრობლემებს განვიხილავთ, რომლებსაც აწყდებოდა სოსიური ქრონიკისა და ლეგენდის შედარების დროს; ან უფრო ზუსტად იმ პრინციპულ მოსაზრებებს, რასაც ეს პრობლემები სოსიურში იწვევდა. რადგან სწორედ ეს პრინციპული მოსაზრებები დაგვეხმარება >ენათა დროში მოძრაობის< საკითხის შემდგომ გარკვევაში.

საეჭვო იდენტურობა

იმის დასამტკიცებლად, რომ ნიბელუნგების სიმღერის, განსაკუთრებით კი მისი მეორე ნაწილის, მასალის წყარო, რომელშიც ლაპარაკია “ბურგუნდთა სამეფოს დაცემაზე”, არის სინამდვილეში >ლიონის< და არა რამდენიმე ათწლეულით ადრე განადგურებული >ვორსმის სამეფოს< ამბავი, საკმარისი არ არის ლეგენდისა და ისტორიის უბრალო შეპირისპირება. ამ თეზისის დამაჯერებელი დასაბუთებისათვის აუცილებელი იყო, რომ სოსიურს ბევრად უფრო კონკრეტულად და დეტალურად ეჩვენებინა, რომ, ჯერ ერთი, მის მიერ დადგენილი უამრავი თანხვედრა ნიბელუნგების სიმღერასა და >ლიონის სამეფოს< დროინდელ ისტორიულ წყაროებს შორის სცდება უბრალო დამთხვევის ფარგლებს და, მეორეც, მათი მეშვეობით ბევრად უფრო ცხადი უნდა გამხდარიყო ნიბელუნგების სიმღერაში გადმოცემული მოვლენები, განსაკუთრებით კი >ვორსმის სამეფოსთან დაკავშირებული თანხვედრების< მეშვეობით ახსნილ მოვლენებთან შედარებით.

მიუხედავად სოსიურის მიერ >მოთმინებით მოძიებული< იმ უამრავი თანხვედრისა, რაც, მისი აზრით, არსებობდა >ლიონის სამეფოს< ქრონიკებსა და ნიბელუნგების სიმღერას შორის, მალე აღმოჩნდა, რომ ეს მაინც არ იყო საკმარისი ამ ქრონიკების ნიბელუნგების სიმღერის მასალასთან პირდაპირი, ისტორიულად დადგენილი წესით დასაკავშირებლად. გასაგებია, რომ ამაში დამნაშავე ქრონიკებსა თუ ლეგენდაში არსებული ფაქტობრივი მასალის სიმწირე კი არ არის, არამედ ის შეხედულებებია, რომელთა მიხედვითაც არ არსებობს სანდო კრიტერიუმი იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად შემთხვევითია თანხვედრა ქრონიკასა და ლეგენდას შორის:

ლეგენდის გმირსა და ისტორიის გმირს შორის “იდენტურობის” მოძებნის ჩვევა დასაწყისში მხოლოდ ძალიან შეზღუდული შეიძლება იყოს. <ეს ისეთი რამეა>, რასაც ყველა შემთხვევაში სჭირდება <სპეციალური> მეთოდოლოგია, ჯერ მარტო იმის გასარკვევად, თუ რაში უნდა გამოიხატოს ეს იდენტურობა, რა ნიშნის საფუძველზე უნდა ვცნოთ ან უკუვაგლოთ იგი. მარტო სახელი თავისთავად არაფერს ნიშნავს, ეს არის <ალბათობა>. მაშ რა არის ის, რაც ამ იდენტურობას ქმნის? გმირის ქმედებები, ხასიათი, ამაღლა, [], თუ კიდევ სხვა რამე? ყველაფერი ცოტ-ცოტა თუ არაფერი, <რადგან ყველაფერი შეიძლება ერთდროულად ტრანსფორმირდეს და გადატანილ იქნას ა პუნქტიდან ბ პუნქტში>. რაც უფრო მეტად იკვლევ ხოლმე, მით უფრო კარ-

ვიძლია ასე ვუწოდოთ) მთავარი ხომ *ფორმა* იყო. ის არასდროს აღიქვამდა ისე, როგორც ამას აღვიქვამთ ჩვენ, გერმანელები და ჩვენთან ურთიერთობაში იგი ყოველთვის თავს გრძნობდა ფრანგად.” და კიდევ: “თავისი ზეპირი სადოქტორო გამოცდის დღეს მან მე და Joh. Braun-ი მიგვიწვია უადრესად დახვეწილ ვახშამზე სასტუმრო Haffé-ში. მარტო ჩვენ სამნი უნდა ვყოფილიყავით: მოგვართვეს ძალიან კარგი წითელი ღვინო, განსაკუთრებით მასხენდება შპარკის უზარმაზარი ღეროები. [...] ალბათ, უნდოდა ყველანაირად ეჩვენებინა, რომ არაფერი გერმანული არ ეცხო და ახლავდა ვხვდები, თუ რატომ გიმეორებდათ თქვენც სულ, რომ ის უკვე დასრულებული პიროვნება იყო, როცა ლაიპციგში ჩამოვიდა”. (ორივე Villani-ში, 1990, გვ. 29 ფ. და გვ.31) შეადრ. აგრეთვე სოსიურის ბიძაშვილის, ვი დე პურტალეს მკვეთრად ავტობიოგრაფიული შეფერილობის მქონე ორივე რომანი: *Montclar, La pêche miraculeuse*, პარიზი 1926 და 1937.

გად ხედავ, რომ საკითხი მდგომარეობს არა იმაში, თუ სად უფრო მეტად ვლინდება იდენტურობა, არამედ აქვს თუ არა აზრი საერთოდ ამაზე ლაპარაკს.⁹⁹

დავიწყეთ იმით, რაც ნათელია ამ წინადადებებიდან: სოსიურის თანახმად, აზრი არა აქვს >ლეგენდის გმირსა და ისტორიულ გმირს შორის "იდენტურობის" ძიებას, და ეს იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, გაურკვეველია, თუ რაში გამოისატება ეს იდენტურობა, ან >რა ნიშნის მიხედვით შეიძლება მისი გამოცნობა. გასაოცარია, მაგრამ ერთი და იმავე >სახელის< ლეგენდასა და ქრონიკაში გამოჩენა, ერთი და იმავე >ქმედებათა< მოხსენიება, გმირის >ხასიათის< აღწერილობისა და მისი >ამალის< ჩამონათვალის დამთხვევა სოსიურისათვის არ არის საკმარისი საფუძველი, რომ მოახდინოს >ლეგენდის გმირის< დაბეჭდვითი, უჭკველი იდენტიფიკაცია >ისტორიის გმირთან. მომდევნო შედარების საშუალებით ახლავე ცხადი გახდება, თუ რატომ ყოყმანობს სოსიური ლეგენდისა და ქრონიკის ესოდენ ზედმიწევნითი მსგავსების შემთხვევაშიც კი ილაპარაკოს "იდენტურობაზე":

ვერსია ა. – მეფე X-ს ჰყავს სამი ვაჟი: გიუნთერი, გერნოტი და გიზელჰერი. ამ ყმაწვილებს ჰყავთ ერთი ბიძაშვილი, სახელად ჰაგენი.

ვერსია ბ. – მეფე X-ს ჰყავს სამი ვაჟი: გიუნთერი, გერნოტი და ჰაგენი. რის შესახებაც შემდგომში წერია: ჰაგენმა დაიკავა გიზელჰერის ადგილი. ან გიზელჰერი [] უცნობია [].

ამ მარტივი (პრაქტიკულად, თითქმის გარდაუვალი) ქმედების სახეობაში მთელი სამყაროა დაუნჯებული.

მაგრამ ~~ვერსიაში~~ არაფერი ადასტურებს <წინასწარ>, რომ ჰაგენის როლი ის არ არის, რაც წინა ვერსიაში გიუნთერს ჰქონდა დაკისრებული, რომ ზუსტად იგივე ქალთან [>imbroglio<] გვაქვს საქმე, <როცა ერთი ვერსიიდან მეორეზე გადადიხარ და არ იცი, რომელი რა სახელს შეესაბამება>.¹⁰⁰

სოსიურს აეჭვებს >ლეგენდის გმირსა და ისტორიულ გმირს შორის "იდენტურობის" ძიება, ან ამ იდენტურობის ნაუცბათევე მოცემულობად გამოცხადება და ეს მაშინაც კი, როცა >ისტორიის გმირსა> და >ლეგენდის გმირს< შორის არსებობს თანხვედრა >სახელში<, >ქმედებასა< და >ხასიათში<. ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ არსებობს ნიბელუნგების სიმღერის არა ერთი ვარიანტი, არამედ რამდენიმე და კიდევ, ნიბელუნგების სიმღერის სხვადასხვა ვარიანტი ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან, >რომ ერთი ვერსიიდან მეორეზე გადასვლისას შეუძლებელია იმის თქმა, თუ ვინ ვის სახელს შეესაბამება<.

სინამდვილეში აი, რა ხდება: როცა არსებობს ერთი ლეგენდის სხვადასხვა ვერსია, რომელთაგან თუნდაც ერთი აქ, მეორე კი – იქ შეესაბამება განსაზღვრულ ისტორიულ წყაროებს, მაგრამ სცილდება იმგვარად, რომ ვერსიიდან ვერსიამდე ძნელი ხდება გმირის "იდენტურობის" დაბეჭდვითი დადგენა, მაშინ ისტორიულ წყაროებსა და ლეგენდის ერთ რომელიმე ვერსიას შორის არსებული დამთხვევები იღებენ შემთხვევითობის ხასიათს და, აქედან გამომდინარე, ძნელად თუ ჩაითვლებიან "იდენტურობის" უტყუარ >ნიშნებად<; უფრო ზუსტად, გარკვეულ ისტორიულ მოვლენათა და რომელიმე ლეგენდის მასალას შორის არსებული კავშირის მტკიცებულებად.

სანამ საერთოდ იმაზე ვიფიქრებთ, თუ როგორ ვაჩვენებთ სათითაოდ >ლიონის სამეფოს< ამსახველ ქრონიკებსა და ნიბელუნგების სიმღერის მასალას

⁹⁹ Cf. LEG, გვ. 312

¹⁰⁰ Cf. LEG, გვ. 194 f. მსგავს მონაზრებებს ლინგვისტიკის სფეროდან, კერძოდ კი ფრანგულში ბრუნვის ფორმათა რეკონსტრუქციის საკითხთან დაკავშირებულს, იოვით აგრეთვე *კურსშიც*. იხ. GRF, გვ. 111: CLG/D, გვ. 132; CLG/E, გვ. 208, Nr. 1561-1563.

შორის კავშირს, სოსიურის მიხედვით, ჯერ უნდა გაირკვეს პრინციპული ხასიათის რამდენიმე საკითხი. კერძოდ, როგორ მოხდა, რომ ერთი და იმავე ლეგენდის რამდენიმე ვარიანტი არსებობს? როგორ ჩნდება განსხვავებები ერთი ვერსიიდან მეორეში? ვერსიათა პოტენციური სიმრავლის შუქზე თუ არსებობს რაიმე ისეთი კრიტერიუმი, რომელიც დაადასტურებდა ლეგენდის ერთი რომელიმე ვერსიის ისტორიულ "უტყუარობას"? ან პირიქით: შეიძლება თუ არა, მიუხედავად მეცნიერული არალეგიტიმურობისა, ერთი ლეგენდის რამდენიმე ვერსიიდან მხოლოდ იმის ამორჩევა, რომელიც გამოირჩევა ყველაზე უფრო მეტი სიახლოვით სავარაუდო ისტორიულ წყაროებთან; ყოველ შემთხვევაში, ეს იმის მცდელობა მაინც ხომ იქნებოდა, რომ ლეგენდის რამდენიმე, ერთმანეთთან დაპირისპირებული ვერსიიდან ამოგვეჩია ის ავთენტური "თავდაპირველი ტექსტი", რომელიც ყველაზე უფრო მომდინარეობდა არსებული ისტორიული წყაროებიდან?¹⁰¹

ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, სოსიურის თანახმად, დამოკიდებულია ლეგენდის ერთ საყოველთაოდ ცნობილ, ერთი შეხედვით ბუნებრივ და ამიტომაც თეორიულად არასერიოზულ თვისებაზე: სანამ ის წერილობით დაფიქსირდება, ანუ როგორც მისი სახელიდან გამომდინარეობს, "საკითხავი" (Legende-Lesende) გახდება – რაც ნიბელუნგების სიმღერის შემთხვევაში XIII საუკუნის დასაწყისში მოხდა¹⁰² – საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ ზეპირად გადაიცემა. თუკი ნიბელუნგების სიმღერის წერილობით გავრცელებულ ვერსიებში არსებობს იმგვარი მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომლებიც გარკვეული ისტორიული წყაროების მოხმობას ილუზორულს ხდის, თუკი ამასთან გარკვეული ვარიანტი, თავისთავად აღებული, ავლენს "ეპიკური სტრუქტურის დამახინგველ არაკონსტრუქციულობას"¹⁰³, მაშინ ეს პირველ რიგში დაკავშირებულია ლეგენდის ზეპირი გავრცელების მრავალსაუკუნოვან პროცესთან, რომლის დროსაც განუწყვეტლივ და ძალაუვნებურად ხდებოდა ლეგენდათა ფორმისა და შინაარსის ცვლილება.¹⁰⁴

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, სოსიურის ყურადღება, გარდა ლეგენდის სხვადასხვა ვერსიისა და ისტორიულ წყაროებს შორის არსებული შესაბამისობებისა, მიიპყრო აგრეთვე ლეგენდის ზეპირი გადაცემის, როგორც ასეთის პრობლემატიკამ. თუკი შევეცდებით და თემატურად ჩამოვაყალიბებთ ამ საკითხთან დაკავშირებულ მის მოსაზრებებს, რომლებიც მინაწერებისა და ჩანართების სახით გაბნეულია ლეგენდისა და ისტორიული წყაროების შესაბამისობის შესახებ არსებულ მისეულ, ალაგ-ალაგ ვრცლად და დეტალურად გაანალიზებულ მასალაში, მივალთ შემდეგ ძირითად დებულებამდე: ლეგენდებზე მუშაობისას უადრესად მნიშვნელოვანია მათი ზეპირგადაცემის პროცესი, რამდენადაც ამ პროცესის ნაკვალევი მძლავრობს ლეგენდათა ფორმისა და შინაარსზე და თავის დაღს ასვამს მათ, და რომ ლეგენდის მასალის საფუძველზე პრინციპულად შეუძლებელია გარკვეულ ისტორიულ მოვლენათა უტყუარობის მტკიცება. ეს იყო ანგარიშგასაწვეი დებულება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ჩათვლიდი, რომ ლეგენდა ოდესღაც მართლაც მომდინარე-

¹⁰¹ შეადრ. LEG, გვ. 313 შესაბამ. Texte, გვ. 434 f.

¹⁰² J. Heinze ასე აჯამებს დღევანდელი ცოდნის დონეს: *ნიბელუნგების სიმღერა* პერგამენტზე ჩაწერა უცნობმა პოეტმა 1200 წელს. ეს პოეტი იყო არა ამ ისტორიის გამომგონებელი, მისი თავისუფალი მოხრობელი, არამედ ერთ-ერთი ამ მასალის იმ აურაცხელ ინტერპრეტატორთაგანი, რისი ტრადიციაც მე-5 თუ მე-6 საუკუნეებში იღებს სათავეს." (ორჯერ პაგენი ან: რეცეფცია, როგორც აზრის დამახინჯება", in: Heinze/Waldschmidt 1991, გვ. 21); შეადრ. de Boor (გამომც) 1988, გვ. IL da R. Wisniewski: "ნიბელუნგების კვლევისათვის 1972 წლიდან", იქვე, გვ. LVIII.

¹⁰³ J. Heinze 1991, გვ. 25; H. de Boor ლაპარაკობს "შეკეთრ განსხვავებებსა და წინააღმდეგობებზე" (1988, გვ. XVIII).

¹⁰⁴ შეადრ. აქვე LEG, გვ. 76, 129, 131, 219, 440 შესაბამ. Texte, გვ. 421, 425 f., 431 f., 435.

ობდა რომელიმე კონკრეტული ისტორიული ფაქტიდან. მაგრამ როცა ისტორიულ მოვლენასა და ლეგენდის წერილობით ვერსიას შორის უცილობლად ერთგება ზეპირგადაცემისა და გავრცელების პროცესი, როცა უთვალავი მონათხრობი თუ მთხრობელი ერთმანეთის მიყოლებით კვალს აჩნევს ლეგენდის მასალას, მაშინ უკვე პრობლემური ხდება ამ (ისტორიულად) არსებული აზრიდან ამოსვლა:

იმის წარმოდგენა, რომ რომელიმე ლეგენდა იწყება რაიმე აზრით [*>sens<*], რომ მას სათავეშიც იგივე აზრი ჰქონდა, რაც ახლა აქვს, ან სულაც იმის წარმოდგენა, რომ მას აბსოლუტურად ნებისმიერი აზრი შეიძლება ჰქონდეს – არის ისეთი ოპერაცია, რომელიც ჩემს შესაძლებლობას აღემატება. იგი მართლაც უშვებს, რომ საუკუნეთა განმავლობაში მატერიალური ელემენტები ლეგენდაში არასოდეს გადასულან [*>transmis<*]; რადგან როცა ხუთი ან ექვსი მატერიალური ელემენტი არსებობს, აზრის შეცვლა შეიძლება სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში, საკმარისია კომბინაციისათვის არსებობდეს ის ხუთი-ექვსი პერსონაჟი, რომლებიც ცალ-ცალკე მუშაობენ, []¹⁰⁵

იდეათა ის თამაში, რომელიც სოსიურის სხვა ჩანაწერში მოიპოვება, კიდევ უფრო აზუსტებს აქ გამოთქმულ აზრს. ამ დროს უფრო ნათლად იკვეთება მოსაზრება, რომ საჭიროა პრინციპულად უარი ეთქვას ლეგენდასთან დაკავშირებული ისტორიული მოცემულობის შესახებ უკანა რიცხვით დასკვნების გამოტანას და ეს საკმაოდ პარადოქსულია, თუკი კვლავაც იმ აზრზე რჩები, რომ ლეგენდა ყოველთვის ისტორიული მოცემულობაში იღებს სათავეს:

ეპიკური პოეზია ნაპოლეონ I-ის ომების დროს გამარჯვებულთა, ან დამარცხებულთა შორის რომ არსებულიყო, განა ვინმე დაიჯერებს, რომ ის დიადი, საბრძოლო თუ სარომანე მოვლენები დამახინჯდებოდა და მათი ცნობა შეუძლებელი გახდებოდა ზუსტი ისტორიული ქრონოლოგიის მიხედვით? <მსგავსად სუვერენის ქორწინებისა, უბედურებისა და ტრიუმფისა>.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკმარისია, რაიმე გაურკვევლობა ყოფილიყო, ეპიკური მოთხრობა შეეცდებოდა, ფეხდაფეხ აღევნებოდა იმას, ვინც კი რამეს დაინახავდა. ის ამას ყოველ ნაბიჯზე შეეცდებოდა და ეს იმ შემთხვევაშიც, თუკი ძალისხმევა არ მოიტანდა <უმიცირეს> დრამატულ მთლიანობასაც კი.

→ ერთ-ერთი დამანგრეველი ელემენტი, რომელიც თავიდანვე ითესება ისტორიის ისეთ განსაკუთრებულ ნიადაგზე, რასაც ლეგენდა ჰქვია, არის ის, რომ დროთა განმავლობაში დეტალები თავისთავად ლაგდება ერთ დრამატულ მთლიანობად, რომელსაც მერე ბევრი რამ ექვემდებარება, მაგრამ ბევრიც კი მსხვერპლად ეწირება, მაგრამ ვერაინ დამაჯერებს, რომ ეს თავიდანვე, პირველივე წამოწყებისთანავე უკვე არის მოვლენათა ეპიკური განლაგება. ეპიკური მოთხრობა თავიდან არის გართიმული ქრონიკა, რომელშიც უბრალოდ წამოწეულია ცალკეული ეპიზოდები და რომელიც ამავე დროს <გულუბრყვილოდ> ცდილობს მოგონებათა რეპროდუქციას. მხოლოდ მოგვიანებით იღებს იგი ლიტერატურული ნაწარმოების ფორმას, ყველაზე რუდიმენტული გაგებით, რომელიც კი []¹⁰⁶

მართალია, სოსიურის თვალში ლეგენდები, თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, >თავიდან< წარმოადგენენ >გართიმულ ქრონიკებს<, მაგრამ >დროთა განმავლობაში დეტალები თავისთავად ლაგდება ერთ დრამატულ მთლიანობად, რომელსაც მერე ბევრი რამ ექვემდებარება, ბევრიც კი მსხვერპლად ეწირება<. თუმცა შესაბამისი მოთხრობელები ცდილობენ >თანაც სრულიად გულუბრყვილოდ< >მოგონებათა რეპროდუქციას<, მაგრამ სანამ ქრონიკა მხოლოდ ზეპირი სახით გადაიცემა, სანამ იგი რჩება მხოლოდ რამდენიმე მოთხრობელის მახსოვრობის ამარა, იგი არ არის დაზღვეული ცვლილებებისაგან:

¹⁰⁵ Cf. LEG, გვ 307.

¹⁰⁶ Cf. LEG, გვ 76.

– უპირველეს ყოვლისა, დაუშვებელია, რომ ოდესმე, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, ეჭვი შეიტანო ავტორისა თუ მთხრობელის განზრახვაში, შექმნისდაგვარად ზუსტად მიჰყვეს იმას, რაც მოხდა მანამდე. ამ მხრივ მთელ ლეგენდათა სამყაროში გაბატონებულია ღრმად კონსერვატული ტენდენცია.

<მაგრამ> <მესხიერების> სერეღის შესახებ წარმოდგენა არის ცვლილების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია სურვილთან, ყველა დანარჩენ შემთხვევაში დარჩე ტრადიციის ფარგლებში.¹⁰⁷

მოსაზრება, რომ გადმოცემულ ლეგენდათა მასალა არ უნდა აღიქმებოდეს ისტორიულ მოვლენათა ანარეკლად თუ ზუსტ გამოხატულებად, სოსიურის ჩანაწერებში ვლინდება "სიმბოლოს" ცნების განსაზღვრებაში, უფრო ზუსტად, იმ განსაკუთრებულ ხერხში, რითიც იგი ამ ცნებას იყენებს:

როგორ იქმნება ლეგენდაში ისეთი სიმბოლო, <რომელიც ისტორიულ მოვლენებს შეეხება?> მუდამ <ძალიან> მარტივი გზით, მაგრამ ეს გზა <სინამდვილეში> წინაპირობად გულისხმობს აგრეთვე კვლავგადმოცემას რამდენიმე შუამავლის [transmission par intermédiaaires] მეშვეობით.

<ეს არის> ყველაზე მარტივი ფორმა: ისტორიული ეპიკური ან თვით ისტორიული ავტორი მოგვითხრობს გულუბრყვილად ორი არმიის ბრძოლის შესახებ და სხვა ამბავთა შორის ბელადთა ორთაბრძოლასაც მოიხსენიებს. მალე კი უკვე მხოლოდ ბელადთა ორთაბრძოლაზეა ლაპარაკი. A და B ასე ხდება სიკვდილი <დუელი> A ბელადსა და B ბელადს შორის (ძალაუნებურად) სიმბოლური, <რადგან ეს ერთეული ბრძოლა> განასახიერებს ბრძოლის მთლიან შედეგს, ალბათ, მიწების შემდგომ დაპყრობას, <და პოლიტიკურ და გეოგრაფიულ გარდატეხას>, მაგრამ აქ სიმბოლო-განზრახვას [une intention de symbole] <არც ერთი წუთითაც> კი არ უთამაშია თავისი როლი.¹⁰⁸

თუკი აქამდე იმ ცვლილებათა სოსიურისეული წარმოდგენა, რომლებიც ლეგენდების ზეპირგადაცემის შედეგია და მათ ფორმასა და შინაარსზე აისახება, არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული ორიგინალობითა თუ სენსაციურობით, ახლა უკვე სახეზეა ფეთქებადსაშიში ენობრივ-თეორიული მოსაზრება: სოსიური აღიქვამს იმას, რაზეც ლაპარაკია ლეგენდაში, მაგალითად, <დუელს A ბელადსა და B ბელადს შორის >როგორც სიმბოლოს<, რამდენადაც >ეს ერთეული ბრძოლა განასახიერებს ბრძოლის მთლიან შედეგს< – aliquid stat pro aliquo. მაგრამ სიმბოლოთწარმოების ამ სახეობაში >სიმბოლო-განზრახვას არც ერთი წუთით არ უთამაშია თავისი როლი<,¹⁰⁹ იგი არ ეოფილა "სასურველი სინთეზი",¹¹⁰ პირიქით, მისი წინაპირობაა >შუამავლის მეშვეობით გადმოცემა<. ზეპირგადაცემის პროცესი არ უნდა იქნას გაგებულად მხოლოდ ისე, როგორც უკვე არსებულის, ისტორიულად მოცემულის მარტივი კვლავგადაცემა; >კვლავგადაცემა შუამავლის მეშვეობით< უნდა

¹⁰⁷ Cf. LEG, გვ. 220.

¹⁰⁸ Cf. LEG, გვ. 129

¹⁰⁹ ამ ფუძემდებლურ მოსაზრებას სოსიური გამოთქვამს აგრეთვე ვ. მიულერის W. Müller *კერძონული სავაჭრო ეპოსის მითოლოგიის* (ჰაილბრონი 1886) კრიტიკისას: "თავისი ქცევის შესაბამისად, ვ. მიულერი კი მოიხსენიებს იმ ომს, რომელშიც დასავლეთოთები იბრძოდნენ გაერთიანებული ფრანკებისა და ბურგუნდიელების წინააღმდეგ, მაგრამ ღვი მხოლოდ ისე, სიტყვის მასალად (სქოლიო მე-14 გვერდზე): "არ არის საჭირო კვლევის ჩატარება დასავლეთოთთა ცალკეულ ომებზე ბურგუნდიელთა და ფრანკთა წინააღმდეგ."

ეს შეიძლება გამოდგეს პრინციპებზე დისკუსიის მაგალითად. იგი ისტორიულ სიმბოლოს ზუსტად იმგვარად აღიქვამს, როგორადაც იგი ყველაზე ნაკლებად არის აღსაქმელი, ანუ არა როგორც შემთხვევითობათა შედეგს, რაც ნორმალურია ნებისმიერი კონკრეტული მონათხრობისათვის, არამედ როგორც სასურველ სინთეზს, მოვლენათა რიგიდან წინასწარგანზრახვით მონაკვეთის ამოგლეჯას, სასურველ ალეგორიას" (cf. LEG, გვ. &2).

¹¹⁰ შეადრ. წინა სქოლიოში დასახელებული სოსიურის შენიშვნა.

ადიქმებოდეს, როგორც ენობრივი ტრანსფორმაციის ადგილი და არა მიზანმიმართული, სიმბოლოთმქმნელი პროცესი.

რატომ უნდა იყოს პრინციპულად საჭკვო >ლევანდის პერსონაჟისა და ისტორიული პერსონაჟის ყოველგვარი "იდენტურობა"? სოსიური ასაბუთებს რუნების მოხმობით, რომელთაც იგი ლევანდის სიმბოლოებს ადარებს:

რუნი Y არის ლევანდის სიმბოლო.

მისი იდენტურობა <იმდენად ხელშესახებად ადიქმება და თან ისეთი სასაცილო ფაქტია, რომ ზედმეტი გადამოწმებაც კი აღარ არის საჭირო,> მდგომარეობს შემდეგში: მას აქვს Y-ის ფორმა; იგი იკითხება, როგორც Z; იგი არის ანბანის ასო და "მერვე" ნომერი, მისტიკურად ეწოდება "zann" და ბოლოს, ხანდახან იწოდება ამ სიტყვის პირველ ასოდაც.

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ: ...ის ანბანის მეათე ასოა... მაგრამ აქ უკვე ედი იწყებს იმ ერთიანობის შენიღბვას, რომელიც []

სად წავიდა ამასობაში ეს იდენტურობა? ყელ ედი ამაზე, როგორც წესი, პასუხობენ ღიმილით, <თითქოს ეს მართლაც რაიმე განსაკუთრებული გარემოება იყოს>, ნაცვლად იმისა საქმის ფილოსოფიური მნიშვნელობა შეამჩნიონ, რომელიც სხვა არაფერში მქლავნდება, თუ არა იმაში, რომ ამტკიცო, ყოველი სიმბოლო, რომელიც კი ჩაერთვება წრებრუნვაში – თუმცა ყოველი სიმბოლო მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ ჩაერთოს წრებრუნვაში – მაშინვე უვარგისი ხდება იმის სათქმელად, თუ რაში გამოიხატება მისი იდენტურობა, თუნდაც მომდევნო წამს []

[...]

ამ საყოველთაო თვალთახედვიდან შევხედოთ ნებისმიერი ლევანდის საკითხს, რადგან მისი თითოეული გმირი არის ის სიმბოლო, რომელთანაც – ისევე, როგორც რუნის შემთხვევაში – შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ იცვლება მისი ა) სახელი, ბ) მდგომარეობა სხვებთან დამოკიდებულებაში, გ) ხასიათი, დ) ფუნქცია და საქციელი. როდესაც იცვლება [>transposé<] სახელი, აქედან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ იცვლება მის ნამოქმედართა ნაწილიც და, პირიქით, ანუ ამგვარ შემთხვევაში იცვლება მთლიანად დრამა.¹¹¹

თუკი ამოვადოთ იქედან, რომ >ლევანდის ყოველი გმირი არის სიმბოლო<, და შემდეგ, რომ >ყოველი სიმბოლო მხოლოდ იმიტომ არსებობს, რადგან იგი ჩართულია ცირკულაციაში<, და თანაც იმგვარად, რომ >სრულიად უძლეური ხდება იმის სათქმელად, თუ რაში გამოიხატება მისი იდენტურობა თუნდაც მომდევნო წამს<, მაშინ ეს ყოფილა მართლაც ილუზორული მცდელობა >ლევანდის გმირსა და ისტორიულ პერსონაჟს შორის "იდენტურობის" ძიებისა<. ერთი მხრივ, ამით აქ იძებნება საგნის ბუნებაში არსებული საფუძველი იმისათვის, რისთვისაც სოსიურმა ლევანდაზე მუშაობისას უარი თქვა თავდაპირველ განზრახვაზე თავის წიგნში >Histoire et Légende< მოეყვანა იმის მტკიცებულება, რომ ნიბელუნგების სიმღერა წარმოადგენს >იმ მოვლენათა ზუსტ აღწერილობას, რომელიც თამაშდებოდა როდანულ ბურგუნდიაში<. მეორე მხრივ კი, სოსიური, ალბათ, მართალი იყო, როცა მიუთითებდა იმაზე, რომ იმ პრობლემის გამო, რომელიც მას შეექმნა თავისი თავდაპირველი, ისტორიაზე ორიენტირებული პროექტის განხორციელებისას, იგი ისეთ რამეს გადააწყდა, რომლის >ფილოსოფიური მნიშვნელობაც< იქამდე არ იყო ჯერონად შეფასებული. დებულებამ, რომ >ყოველი სიმბოლო მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ გატყორცნილია წრებრუნვაში<, უნდა მოახდინოს სოსიურის ისტორიული კვლევების თეორიული საზღვრის მარკირება. ამავე დროს, ეს დებულება ნათელს ხდის, რომ ის პრობლემები, რითაც სოსიური, ლევანდებიდან გამომდინარე, მუდმივად იყო დაკავებული, ბევრად სცდება მისი პროექტის თავდაპირველად ჩაფიქრებულ ჩარჩოებს და შეეხება ენობრივ-თეორი-

¹¹¹ Cf. LEG, გვ 30f.

ული ხასიათის საკითხებს.¹¹² ის, რომ სოსიურს არ გამორჩენია ეს კავშირები, გასაგები ხდება იმავე ჩანაწერის დასაწყისში მოცემული შემდეგი შენიშვნიდან, სადაც ლაპარაკია სიმბოლოთა აუცილებელ ცირკულაციაზე:

– ლეგენდა იკრიბება სიმბოლოთა რიგისაგან <ერთ აზრად, რომელიც კიდევ უნდა დაზუსტდეს>.

– ეს სიმბოლოები, სრულიად გაუთვალისწინებლად, ექვემდებარება ბედის იმავე დარტყმებს და იმავე კანონებს, როგორც, მაგალითად, ისეთი სიმბოლოები, როგორიცაა სიტყვები ენაში [>langue<].¹¹³

აქ საქმე ეხება იმაზე ბევრად მეტს, ვიდრე უბრალოდ იმის მტკიცებას, რომ სოსიურმა ლეგენდებზე მუშაობისას (კვლავ) შეიცნო ის, რაც მისთვის ისედაც ცნობილი იყო ენათმეცნერებიდან. თუკი, მაგალითად, სერიოზულად მიიღებ იმ მინიშნებას, რომ >ის სიმბოლოები, რომელთაგანაც დგება ეს ლეგენდები, ემორჩილება იმავე კანონებს, რასაც სიმბოლოთა ყველა სხვა რიგი, მაგალითად, სიტყვები ენაში<, მაშინ დაუყოვნებლივ დადგება საკითხი, თუ რა დახმარების გაწევა შეუძლია სოსიურის ამ გამონათქვამს სიმბოლოთა აუცილებელი ცირკულაციის შესახებ მისივე ენათმეცნიერული მოსაზრებების უკეთ გასააზრებლად.

სიტყვათა ცირკულაცია

თუკი დებულება >ყოველი სიმბოლო არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ ცირკულაციაში ერთვება<, ვრცელდება >ენაში სიტყვებზეც<. თუკი >ეს სიტყვები< მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რომ (ასეც შეიძლება ფრანგული >lancé dans la circulation<-ს გადმოცემა) იმოძრაონ, ანუ როგორც ფულის ნიშანზე იტყვიან ხოლმე მიმოქცევაში იყვნენ, მაშინ იმ დაკვირვებასაც მოექებნება ახსნა, რომელიც სოსიურმა ჩაატარა გეოგრაფიული ენათმეცნიერების სფეროში; კერძოდ, ლაპარაკია იმაზე, რომ >არასდროს, არც ერთ ენაში, არ შეიძლება არსებობდეს მტკიცე, სტაბილური წონასწორობა< და, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ >ენათა მუდმივი ცვალებადობის პრინციპი აბსოლუტურია<. სიტყვათა აუცილებელ ცირკულაციასთან ერთად, ჩვენ ვიღებთ პასუხს (და ამით ვუბრუნდებით ამ ამოსავალ წერტილს) იმ კითხვაზე, თუ საიდან მომდინარეობს >ენის დაუოკებელი მოძრაობა დროში<.

სინამდვილეში: თუკი >ენაში არსებული სიტყვები< მხოლოდ იმიტომ არსებობენ, რომ ცირკულირებენ, მაშინ >არ შეიძლება არსებობდეს ისეთი იდიომა, რომელიც იმყოფება უძრობისა და სიმშვიდის მდგომარეობაში<. აქედან გამომდინარე, >ენათა სიმრავლე< და განსაკუთრებით კი მათი >სხვადასხვაგვარობა< ადგილის მიხედვით უკავშირდება იმას, რომ ენები არსებობენ იმდენად, რამდენადაც ცირკულირებენ.

რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება ცდება გეოგრაფიული ენათმეცნიერების სფეროს. გავისხენოთ: დაძაბულობის იმ ველის შემოხაზვა, რომელიც გადამწყვეტია ენათმეცნიერების კვლავდაფუძნების სოსიურისეული მცდელობებისათვის, შეიძლება შემდეგი პარადოქსის მეშვეობით: სოსიური, ერთი მხრივ, ამოდის "les langues", ანუ კონკრეტულად, გეოგრაფიულ სხვადასხვაობაში არსებული ენებიდან, ამავე დროს კი მოითხოვს, რომ ზოგადი ენათმეცნიერების საგნად ჩაითვალოს "la langue", თან იმასაც გადაჭრით ამტკიცებს, რომ >"la

¹¹² იმავე დასკვნამდე მივიდა ენგლერი 1991, გვ. 152.

¹¹³ Cf. LEG, გვ. 30f.

langue", ანუ ისეთი განზოგადება, რომელიც ნებისმიერ განსაზღვრულ ენას შეეხება, არ არის იგივე, რაც "le langage" <.

აქ ორი საკითხი რჩება ღიად: აქამდე მთლად ცხადი არ იყო, თუ ზუსტად რითი განსხვავდებოდა სოსიურის მიერ "la langue"-დ აღნიშნული >განზოგადება< იმ ფილოსოფიურ-ენობრივი ცნებისგან, რომელსაც მან "le langage" უწოდა; ასევე ცუდად გვესმის, თუ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ნაბიჯი "les", ან "una langue"-დან სოსიურის "la langue"-მდე. თუკი ამოვალთ იქიდან, რომ სიტყვათა ცირკულაცია აუცილებლად ახასიათებს ყოველ ენას და ამდენად "la langue"-საც, მაშინ უკვე აქაც იკვეთება დამაჯერებელი პასუხები. თუკი შევეცდებით "la langue"-ს გააზრებას ისეთ სისტემად, რომლის ორგანიზება განუწყვეტლივ ახლდება ხოლმე სიტყვათა ხმარების პროცესში და ამ პროცესის მეშვეობით, მაშინ არსებულ ენათა მრავალგვარობა და, შესაბამისად, დროსა და სივრცეში მათი უსაზღვრობა უკვე ჩაღებულია "la langue"-ს დეფინიციაში. თუკი სიტყვათა ცირკულაციიდან ამოვალთ, "la langue" არ შეიძლება იყოს რაიმე სტაბილური, სრულყოფილი წესრიგი, იგი უფრო გვესახება არამდგრად, მერყევ წონასწორობად, რომელიც განიცდის მუდმივ რყევებს, ანუ ისეთ სისტემად, რომელიც "მუდამ მხოლოდ იმწუთიერია".¹¹⁴ ის ფაქტი, რომ >თავმინებელი ენა განწირულია უსაზღვრო დანაწევრებისათვის<, უკვე შეიძლებოდა (აღარ) აღქმულიყო იმად, რაც გარკვეული გარემოებების გამო ენას, როგორც იტყვიან, მახვილს ზურგში სცემს, არამედ, პირიქით, მომხდარიყო მისი აუცილებელი დასაბუთება ყოველი ენობრივი სისტემის არსებობის ფორმაში – ზუსტად ისევე, როგორც ლეგენდის ზეპირგადაცემის პროცესს შედეგად მოჰყვება ხოლმე ვერსიათა სიმრავლე. ამ ტალღაზე შეიძლება ბოლოს და ბოლოს იმ განსხვავების უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებაც, რომელიც არსებობს "la langue"-სა და "le langage"-ს შორის: იმის მიხედვით, რაც ჩვენ ახლა მოვხაზეთ, "la langue"-ს ცნებით აღინიშნება ის, რაც მიეკუთვნება კონკრეტულ ენათა მატერიალური არსებობის ფორმას, ხოლო "le langage" აღნიშნავს ადამიანის ისეთ უნივერსალურ, სამეტყველო უნარს, რომელიც აღემატება ცალკეულ ენათა კონკრეტული არსებობისა თუ წყვეტილი რეალიზაციის ყოველგვარ ფორმას.

ამრიგად, ლეგენდებთან დაკავშირებული სოსიურისეული ჩანაწერების ენათმეცნიერულ კონტექსტში წაკითხვის ჩვენეულ მცდელობას შედეგად მოჰყვა არა მარტო გარკვეული პრობლემების გადაჭრა, არამედ დაისვა ახალ-ახალი შეკითხვები. თუკი, როგორც ჩვენ აქ ვიხილეთ, სიტყვათა აუცილებელი ცირკულაციის ჩართვამ "la langue"-ს კონცეპტში მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი იმ სიმწელეთა გაგებას, რასაც წააწყდა სოსიური თავისი ზოგადი ენათმეცნიერების თავიდან დამკვიდრების მცდელობისას, მაშინ უეჭველად დადგება საკითხი, თუ ჩვენი არგუმენტაციის გასამაგრებლად რატომ დაგეჭირდა ლეგენდების მისეული კვლევის მოხმობა. ერთ შეკითხვას თავისთავად მოყვება შემდეგიც: რა შეესაბამება სოსიურის ენათმეცნიერულ ნაშრომში იმას, რაც ნიბელუნგების სიმღერასთან დაკავშირებულ ჩანაწერებში თემატიზებულია სიმბოლოთა ცირკულაციის სახით?

¹¹⁴ GRF, გვ. 105; CLG/D, გვ. 126; CLG/E, (I); გვ. 196, Nr. 1469

ენათა სოციალური ბუნება

სწორედ ასეთი ფორმულირება, რომელიც თავისი არგუმენტაციული სტრუქტურითა თუ რადიკალურობით უტოლდება გამონათქვამს "ყოველი სიმბოლო მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ ერთგება ცირკულაციაში", იძებნება ერთ თეზისურ ჩანაწერში, რომელიც სოსიურმა გააკეთა იმ პერიოდში, როცა ზოგადი ენათმეცნიერების მეორე სალექციო კურსისათვის (1908-1910) ემზადებოდა:

ენა [>langue<] ან სოციალურია, ან არ არსებობს.¹¹⁵

ეს მოსაზრება სოსიურის ენათმეცნიერულ ნაშრომში მარტო ერთგან კი არ არის, არამედ ბევრგან, თან სხვადასხვა ვარიაციებით, თვით მის ყველაზე ადრეულ ჩანაწერებშიც კი. თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით წაკითხული ლექციის დროინდელ ჩანაწერში, რომლის სათაურია ენის ნიშნები [>langage<], კვითხულობთ შემდეგს:

ენა [>langage<] გამოქმნებით განიხილება ადამიანურ ინდივიდთან მიმართებაში, რაც მცდარი თვალსაზრისია. ბუნება <ჩვენ> გვაძლევს არტიკულირებული ენისათვის [>langage<] მომართულ [>organize pour<] ადამიანს, თუმცა არტიკულირებული ენის [>langage<] გარეშე. ენა [>langue<] არის სოციალური ფაქტი.¹¹⁶

ის, რომ კურსში "la langue" უკვე ნათლად არის განსაზღვრული, როგორც 'fait social', აიოლებს როგორც მის გამიჯვნას "le langage"-სგან, ასევე განსხვავების პოვნას "langue"-სა და "parole"-ს შორის¹¹⁷:

1. სიტყვათა უნაყოფო დეფინიციებისგან თავის არიდების შედეგად გამოვყავი ორი ფაქტორი იმ საერთო შთაბეჭდილების ფარგლებში, რასაც ენა [>langage<] გვთავაზობს: ენა [>langue<] და მეტყველება [parole<]. ენა [>langue<] ჩვენთვის არის ენა [>langage<], ოღონდ მეტყველების [parole<] გამოკლებით. ეს არის სამეტყველო უნართა ის ერთობლიობა, რომელიც ინდივიდს საშუალებას აძლევს გაიგოს და გაგებულ იქნას.
2. მაგრამ ეს დეფინიცია საშუალებას აძლევს ენას [>langue<] ჯერ კიდევ სოციალური ფაქტების მიღმა იდგეს; იგი მისგან ქმნის რაღაც არარეალურს, რადგან მოიცავს რეალობის მხოლოდ ერთ მხარეს, კერძოდ ინდივიდუალურს; იგი მოითხოვს მოლაპარაკეთა სიმრავლეს, რათა ენამ [>langue<] იარსებოს. არასოდეს – ყველა მოლოდინის საწინააღმდეგოდ – არ იარსებებს იგი სოციალურ ურთიერთობათა მიღმა [...]. მისი სოციალური ბუნება მიეკუთვნება მის შინაგან არსს.¹¹⁸

რაც არ უნდა სარწმუნოდ გვეჩვენებოდეს თითოეული ეს შენიშვნა, ყოველივე წაკითხულზე დაყრდნობით უფრო ცხადი ხდება, რომ "la langue"-ს სოციალური ბუნების დასახვა მისივე შინაგან არსად სერიოზულ პრობლემას ქმნის: კურსში პასუხგაუცემელი და, შესაბამისად, დაფარული რჩება განსაკუთრებით ის საკითხი, მაინც როგორ უნდა მოხდეს იმის გააზრება, რომ "la langue"-ს სოციალური ბუნება არის მისივე შინაგანი არსის გამოხატულება. და თუ ეს დებულება მაინც გაეიაზრეთ, უნდა გაეიხსენოთ, რომ >"la langue" ისეთი სისტემაა, რომელიც მხოლოდ საკუთარ წესრიგს უშვებს<. სწორედ აქ იჩენს თავს ფორმულირების ენობრივ-თეორიული კონფლიქტი, კერძოდ კი ის, რომ >ყოველი სიმბოლო მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ ერთგება ცირკულაციაში<. ამიტომაც ეს ფორმულირება ნებას იძლევა, რომ >სოციალური ბუნება< აღვიქვათ არა როგორც ენობრივ წესრიგთან დაპირისპირებული,

¹¹⁵ Cf. CLG/E, (I); გვ. 28, Nr. 22-1, Nr. 141.

¹¹⁶ Cf. CLG/E, (II); გვ. 16, Nr. 6, Nr. 3292.

¹¹⁷ შეადრ. Bierbach 1978.

¹¹⁸ GRF, გვ. 91, თან ერთვის ბოლო ხაზგასმა; CDL/D, გვ. 112; CLG/E (I), გვ. 172f, Nr. 1282-1287.

უცხო, თავსმოხვეული რამ, არამედ როგორც ენის (ან ენათა) საარსებო ფორმისთვის უადრესად მნიშვნელოვანი განზომილება. სოსიურის ნიბელუნგების სიმღერისადმი მიძღვნილი ჩანაწერების თანახმად, სულაც არ არის ისე, თითქოს არსებობდეს ისეთი სიმბოლოები, რომლებზეც თავისთავად შეიძლებოდა აზრის გამოთქმა და თანაც მათი აღწერა დამატებით შესაძლებელი იყოს ცირკულაციის პროცესში. უფრო მეტად ეს ისეთი ცირკულაცია იქნებოდა, რომელიც იმას, რაც ცირკულირებს, ჯერ სიმბოლოდ აქცევდა. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ >სოციალური ბუნება< იმდენად მიეკუთვნება "la langue"-ს >შინაგან არსს<, რამდენადაც ენა (ენები) აუცილებელი და ყოველთვის >ცირკულაციაში ჩართული< არიან.¹¹⁹

იმ ერთ შეკითხვას, საკუთარ თავს რომ დავუსვით – თუ რატომ ამოვირჩიეთ აქ მაინცდამაინც ეს (შემოვლითი) გზა, რომელიც ნიბელუნგის სიმღერის შესახებ სოსიურის მიერ გაკეთებულ ჩანაწერებზე გადის – აქ გაეცემა კონკრეტული პასუხი იმით, რომ სოსიურის არც ერთ სხვა ნაშრომში, განსაკუთრებით კი კურსში, ვერ მოვიძიეთ იმგვარი ფორმულირება, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, განმუხტულიყო ის კონსტიტუციური დაძაბულობის ველი, რომელიც შეიქმნა "la langue"-ს – ერთი მხრივ, ისეთი >სისტემის, რომელიც მხოლოდ საკუთარ წესრიგს უშვებს<, მეორე მხრივ კი >სოციალური ფაქტის [>fait social<] – დეფინიციის დროს.¹²⁰

ამის საპირისპიროდ, ჩვენი აზრით, გაცილებით რთულია პასუხის გაცემა მეორე შეკითხვაზე: თუ რა შეესაბამება სოსიურის ენათმეცნიერულ ნაშრომში იმას, რაც ნიბელუნგების სიმღერისადმი მიძღვნილ მის ჩანაწერებში თემატიზებულია, როგორც სიმბოლოთა ცირკულაცია; ან შეეცვალოთ კითხვა: მართალია, "სიმბოლოთა ცირკულაციიდან" გამომდინარე, >სოციალური ბუნება< შეიძლება ითვლებოდეს ენობრივი სისტემის >შინაგანი არსის< კუთვნილებად, მაგრამ თუკი უფრო მკაცრად მივუდგებით საკითხს, ეს წამოწყება არა მარტო ენათმეცნიერული არ არის, არამედ ენათმეცნიერულ პრობლემას უკან, იმ უფრო ზოგად >კანონამდე< აბრუნებს, რომელსაც >ენაში არსებული სიტყვების< გარდა, >სიმბოლოთა ყველა სხვა რიგიც ემორჩილება <.

კიდევ ერთხელ წავიკითხოთ იმ ჩანაწერის პირველი წინადადებები, რომელშიც საუბარია სიმბოლოთა ცირკულაციაზე:

- ლეგენდა ყალბდება სიმბოლოთა ჯგუფისაგან <ისეთ აზრად, რომელიც ჯერ კიდევ დასაზუსტებელია>.
- ეს სიმბოლოები უნებურად ემორჩილებიან ბედისწერის იმავე დარტყმებს და იმავე კანონებს, რასაც სიმბოლოთა ყველა სხვა ჯგუფი, მაგალითად, ის სიმბოლოები, რომლებიც ენაში [>langue<] არსებულ სიტყვებს წარმოადგენენ.
- ყველა მათგანი სემიოლოგიასთანაა წილნაყარი.
- ყველანიარად დაუშვებელია იმის ვარაუდი, რომ სიმბოლო უნდა იყოს უძრავი, ან უსაზღვროდ ცვალებადი. როგორც ჩანს, მისი ვარიაციები უნდა ექცეოდეს გარკვეულ საზღვრებში.
- სიმბოლოს იდენტურობა არასდროს არ უნდა განისაზღვროს იმ მომენტიდან გამომდინარე, თუ სად არის ის სიმბოლო, ანუ რამდენად ჩაძირულია იგი ისეთ სოციალურ მასაში, რომელიც თავის ფასეულობებს ყოველ მომენტში თავიდან ამკვიდრებს.¹²¹

¹¹⁹ შეადრ. აგრეთვე Texte, გვ.411f.

¹²⁰ შეადრ. აქვე H. M. Gauger: "L'ambiguïté du >Cours de Linguistique générale<", in: *Atti del XIV Congresso internazionale di linguistica e filologia romanza*, ამსტერდამი, ტ. 5, გვ. 721-732.

¹²¹ Cf. LEG, გვ.30.

ეს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც >სოციალური ბუნება< შეიძლება ენობრივი სისტემის განზომილებად ჩაითვალოს, ზუსტად ემთხვევა სემიოლოგიურ მიდგომას. ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, ენის (ენათა) >სოციალური ბუნების< სიტყვათა ცირკულაციად აღსაქმელად უნდა დავუშვათ, რომ >ენაში არსებული სიტყვები< იმავე >კანონებს ემორჩილებიან, რასაც სიმბოლოთა ყველა ის სხვა ჯგუფიც, რომლებიც მხოლოდ იმდენად >არსებობენ<, რამდენადაც >ჩაძირული არიან სოციალურ მასაში< – ამ ვარაუდს კი სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა სემიოლოგიურს. ის, რომ ჩვენ ენათა ცირკულაციისა თუ მიმოქცევის საშუალებით სემიოლოგიის სფეროში შევიჭერთ, კურსის იმ ერთადერთი პასაჟითაც დასტურდება, რომელშიც >ხელოვნურ ენებთან< დაკავშირებით ცნება "circulation" ჩნდება:

ვინც ხელოვნურ ენას [*langue*] ქმნის, იქამდე ახერხებს მის დაჭერას, ვიდრე ეს ენა [*langue*] მიმოქცევაში [*en circulation*] გავიდოდეს; მაგრამ იმ მომენტიდან მოყოლებული, როცა იგი თავისი მისიის შესრულებას იწყებს და საყოველთაო ხმარებაში შედის, იგი უკვე აღარ ემორჩილება არანაირ კონტროლს. ესპერანტო ამგვარი სახის ექსპერიმენტია; საინტერესოა, წარმატების შემთხვევაში რამდენად მოახერხებდა იგი ამ გარდაუვალი კანონისთვის გვერდის ავლას? დიდი ალბათობაა, რომ სულ მცირე ხნის შემდეგ ენა [*langue*] უკვე შევიდოდა თავისი სემიოლოგიური სიცოცხლის ხანაში; იგი გააგრძელებდა გამრავლებას იმ კანონთა შესაბამისად, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო მისი წარმოშობის იდეასთან და ვერაფერს მოახერხებდა მისი სათავის მოძიებას. ადამიანი, რომელიც გადაწყვეტს უცვლელი ენის შექმნას, დავისგავსება ისეთ ქათამს, რომელმაც ისვის კვერცხები გამოჩეკა: მის მიერ შექმნილი ენა [*langue*] ძალაუნებურად აღმოჩნდება ჩათრეული იმ პროცესში, რომელიც ყველა ენის [*langue*] განვითარებას განსაზღვრავს.¹²²

მაშასადამე, >ცირკულაცია< აქ დახასიათებულია, როგორც >ენის სემიოლოგიური სიცოცხლე<.¹²³ როგორც >ენა, რომელიც შევიდა თავისი სემიოლოგიური სიცოცხლის ხანაში< – რაც იგივეა, რომ იგი, როგორც სოციალური მოვლენა, არის >საყოველთაო ხმარებაში< – >ხელიდან უსხლტება კონტროლს< და >ძალაუნებურად ერთვება იმ პროცესში, რომელიც ყველა ენის [*langue*] განვითარებას განსაზღვრავს<. ეს ბოლო ფორმულირება წააგავს იმ სურათს, რომლის აღწერილობაც სოსიურმა II კურსში მოგვცა (აქ ციტირება ხდება ა. რიდლინგერის კონსპექტის შესაბამისად), >ენის სემიოლოგიური სიცოცხლის< სახით; სურათი, რომელიც საოცრად გვაგონებს კონცეფციას ენის სოციალური ბუნების, როგორც ცირკულაციის, მიმოქცევისა და ხმარებაში გასვლის შესახებ:

ჩვენ აპრიორულად არ ვიცით, თუ რა ძალები ჩაერევიან ნიშანთა სისტემის ცხოვრებაში (სემიოლოგიური სისტემა=გემს, მაგრამ გემს არა გემთსაშენში, არამედ ზღვაზე: შეუძლებელია მისი სვლის აპრიორულად განსაზღვრა, მისი კორპუსიდან თუ სხვა მიზეზებიდან გამომდინარე).

და სრულიად საკმარისია ენის [*langue*] აღქმა, როგორც რაღაც სოციალურის, როგორც რაღაც კოლექტიურის: მხოლოდ ღია ზღვაში მყოფი გემი არის ის საგანი, რომელიც უნდა გამოკვლეულ იქნას, როგორც გემის სახეობა, და არა ხმელეთთან გაჩერებული გემი. მაშასადამე, გაერთიანების მხოლოდ ეს სისტემა იმსახურებს ნიშანთა სისტემის სახელს და წარმოადგენს კიდევ მას. აქ უმნიშვნელოა გაერთიანებაში გამოვლენილი ამოყვინთვის წინმსწრები ნიშნები, ანუ წმინდა ინდივიდუალური ელემენტები. ნიშანთა სისტემა შეიქმნა გაერთიანებისათვის და არა რომელიმე ინდივი-

¹²² GRF, გვ. 90 (ხაზგასმა თან ერთვის); CLG/D, გვ. 111; CLG/E (I), გვ. 169f., Nr. 1271-1276.

¹²³ სოსიურთან "სიცოცხლის" ცნების პრობლემატიკისათვის იხ. ჩემი ნარკვევი: ">La vie sémiologique de la langue<. Esquisse d'une lecture des notes manuscrites de Saussure", in: *Langages* 107, 1992, გვ. 73-82.

დისთვის, ზუსტად ისევე, როგორც გემი იქმნება ზღვისათვის. ამიტომ მოლოდინის მიუხედავად, სემიოლოგიური ფენომენი არასოდეს ტოვებს უწყურადლებოდ გაერთიანების ფაქტს.¹²⁴

სოსიურის აღწერილი სურათი ზუსტია: როგორც გემად არ ითვლება ის გემი, რომელიც არ ცურავს, ასევე არ შეიძლება ენად ჩაითვალოს ის ენა, რომელიც არ წარმოადგენს >გაერთიანების ფაქტს< და არ არის მიმოქცევაში. ამ პასაჟში კიდევ სხვა რამეც იქცევეს ჩვენს ყურადღებას. როცა სოსიური >ენის სემიოლოგიური სიცოცხლის< მეშვეობით ლაპარაკობს >ნიშანთა სისტემის ცხოვრებაზე<, ასპარეზზე გამოდის კიდევ ერთი ცნება, რომელზეც აქამდე გამოკვეთილად არ ყოფილა საუბარი, მაგრამ რომელამდეც სოსიურის აზრებს გარდაუვლად მიყვავართ და ეს არის ნიშნის ცნება.

თუ რა საერთო აქვთ ნიშნებს კონკრეტულად ცირკულაციასთან, თუ როგორ წარმოჩნდება ენა(თა) და ნიშანთა ურთიერთკავშირი სოსიურის შრომებში და როგორი შემეცნებით-თეორიული პრობლემები თუ პერსპექტივები ახლავს თან ამ ურთიერთდამოკიდებულებას – ყველაფერ ამას იხილავთ შემდგომ თავში.

¹²⁴ CF.CLG/E (I), გვ. 170-173, II R 23, Nr. 1276-1286. დე მურომ მიუთითა იმაზე, რომ ამ მაგალითს გააჩნია ბიოგრაფიული სარჩული: "თვითონ სოსიური ლაპარაკობს იმ საუბრებზე, რომელიც მას ჰქონია ერთ მსცოვან სწავლულთან [Adolphe Pictet], თავის ჯერ კიდევ ბავშვურ ენთუზიაზმზე ლინგვისტური პალეონტოლოგიისა და ეტიმოლოგიის მიმართ, რომელსაც მხარს უჭერდა ბაბუამისი დედის მხრიდან – გრაფი ალექსანდრე-იოზეფ დე პურტალეც. სოსიურის ბაბუა იყო იახტების მოყვარული კონსტრუქტორი და იმ ეტიმოლოგიების ავტორი, რომლებიც, სოსიურის თქმით, ისეთივე სახიფათონი იყვნენ, როგორც ბაბუამისის მიერ კონსტრუირებული იახტები, ენევის ტბაში მოხვედრისთანავე ტალღებში რომ იძირებოდნენ" (cf. CLG/D, გვ.322). შეადრ. SOU, გვ. 17f., აგრეთვე გ. დე პურტალეს მოთხრობა *Marins d'eau douce*. (პარიზი 1919)

G.

ნიშნები

ყველა საგანი, რომლის არსებობასაც ჩვენ ვვარაუდობთ, ემყარება რაიმე მატერიალურ ან არამატერიალურ, მაგრამ აუცილებლად უბრალო სუბსტანციას, მხოლოდ ენა (უფრო ზოგადად, ნიშანი) აღმოჩნდება ხოლმე ისეთ განსაკუთრებულ პოზიციაში, რომელიც იმდენად ემყარება რაღაც კომბინაციას, რომ უარსაც კი გათქმევინებს იმაზე, რომ საერთოდ არსებობს.

დაუთარილებელი ჩანაწერი მემკვიდრეობიდან

VII. ნიშანთა თეორიის განსაკუთრებული შემთხვევა

1901 წელს პარიზში გამოვიდა ენევის უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ("Faculté des Lettres et des Sciences sociales") მაშინდელი დეკანის, აგრიენ ნევილის ნაშრომი «მეცნიერებათა ახალი კლასიფიკაცია. ფილოსოფიური სწავლებანი» Nouvelle classification des sciences. Étude philosophique, რაც 1888 წელს მის მიერვე გამოქვეყნებული გამოკვლევის «მეცნიერებათა კლასიფიკაციის» De la classification des sciences სრულიად ახლებური ვერსია გახლდათ; ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ამ გამოკვლევაში არის ის, თუ როგორ და რისი საშუალებით ცდილობს ნევილი სოციოლოგიის საგნისა და ველის შემოხაზვას:

სოციოლოგია არის მეცნიერება შემეცნების უნარის მქონე არსებათა, განსაკუთრებით ადამიანთა, საზოგადოებაში ცხოვრების კანონთა შესახებ. სოციოლოგიამ, როგორც მოცემულობამ, უნდა დაუშვას ყველა ის პირობა, რომლის გარეშეც ჩვენთვის წარმოდგენილია სოციალური ცხოვრება. რა პირობებია ეს? მე ჯერ არ ვიცი, მოახერხა თუ არა მეცნიერებამ მათი საკმარისი რაოდენობით გამორჩევა და ჩამოთვლა.

ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მათ შორის არის ნიშანთა არსებობა, რომელთა მეშვეობით გაერთიანების წევრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გრძნობებს, ფიქრებსა და სურვილებს.

მუსიე ფერდინანდ დე სოსიური ხაზს უსვამს ამ ერთ-ერთი, ყველაზე ზოგადი მეცნიერების მნიშვნელობას, რომელსაც იგი უწოდებს სემიოლოგიას და რომლის საგანიც, მისი აზრით, არის ის კანონები, რომლებიც არეგულირებენ ნიშანთა და მათ მნიშვნელობათა ქმნადობას და ცვალებადობას [transformation]. სემიოლოგია არის სოციოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილი. რადგან ამ ნიშანთა სისტემაში უმნიშვნელოვანესი ადამიანთა ტრადიციული სალაპარაკო ენაა [langage], ამიტომ ყველაზე უფრო განვითარებული სემიოლოგიური მეცნიერება იქნება ენათმეცნიერება, ანუ მეცნიერება ენის [langage] ცხოვრების კანონთა შესახებ.¹

სოსიური თავადვე ამბობს, რომ პირველად მოხდა სემიოლოგიის მისეული პროექტის სამეცნიერო პუბლიკაციაში მოხსენიება.² მაგრამ როგორ ბუნებრივად და უშუალოდაც შემოდის აქ სოსიურის სახელი, ასევე ჩუმად და უხმაუროდ უჩინარდება მის მიერ შექმნილი ეს უადრესად ზოგადი მეცნიერება<

¹ Cf. A. Naville: *Nouvelle classification des sciences. Étude philosophique*. პარიზი 1901, გვ. 103f.

² შუადრ. CLG/E (II), გვ. 48, N 24a, Nr. 3342.6 შესაბამ. Texte, გვ. 409.

ნევილის წიგნის მესამე გამოცემიდან.³ ამით უხეშად უკვე მოიხაზა სოსიურისეული სემიოლოგიის შემდგომი მეცნიერულ-ისტორიული ბედი. რადგან სამოციანი წლების დასაწყისში, ლევი-სტროსის მითითებების კვლად,⁴ რამდენიმე წამყვანმა ფრანგმა თეორეტიკოსმა სოსიურის პროექტზე დაყრდნობით სცადა კონკრეტულ დისციპლინებს დაშორებული კულტუროლოგიური თუ საზოგადოებრივი თეორიის შექმნა, ამიტომაც დღეს სემიოლოგია მხოლოდ იმ ნაშრომებში თუღა მოიხსენიება, რომლებშიც საუბარია მის თეორიულად მრავალმხრივ გაუმჯობესებულ (ფრანგულ) ვარიანტზე – სტრუქტურალიზმზე და მის ისტორიაზე.⁵ იმ დროს, როცა 1964 წელს რ. ბარტს შეეძლო დაეწერა, რომ "დღეს არსებობს გარკვეული სემიოლოგიური მისწრაფება [*sollicitation sémiologique*], რომელიც გამოდინარეობს არა რამდენიმე მკვლევარის ფანტაზიიდან, არამედ თანამედროვე სამყაროს ისტორიიდან"⁶, ჯ. კ. მილერი 1989 წელს უკვე სრულიად გულცივად ასკვნის, რომ "ზოგადი სემიოლოგიიდან არასდროს წამოსულა თუნდაც ერთი ნათელი სხივიც კი".⁷ ინტონაციისა და შინაარსის თვალსაზრისით თითქმის ასეთივე ერთსულოვანი იყო ამ მეცნიერული დისციპლინის შეფასებები შემდგომშიც. მაგრამ მაინც რაზეა დაფუძნებული ასეთი დისპარიტეტი სემიოლოგიის შეფასებაში?

სოსიურის სემიოლოგიის ნევილისეულ მოკლე აღწერილობაში უკვე არის მინიშნება ერთ სერიოზულ პრობლემაზე: ერთი მხრივ, აქ ლაპარაკია სახელდობრ სემიოლოგიაზე, რომ >იგი არის სოციოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილი<, მეორე მხრივ კი – >ენათმეცნიერება დახასიათებულია, როგორც ყველაზე განვითარებული სემიოლოგიური მეცნიერება<. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება ენათმეცნიერებისა და სოციოლოგიის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. რა უნდა ქნას სემიოლოგიამ – აიღოს ორიენტაცია ენათმეცნიერებაზე, რადგან იგი >ყველაზე განვითარებული სემიოლოგიური მეცნიერებაა<, თუ პირიქით, მიუერთოს, ან სულაც დაუქვემდებაროს სოციოლოგიას ენათმეცნიერება, როგორც სემიოლოგიური მეცნიერება?

ზუსტად ეს საკითხები იქცევენ კურსში ჩვენს ყურადღებას, როცა ბალისა და სემეს მიერ წარმოჩენილ სემიოლოგიას ვეცნობით. ჩვენ აქ მთლიანად მოგვეყვას შესაბამისი პასაჟი, და არა მარტო მისი ისტორიული მნიშვნელობის გამო:

ჩვენ სულ ახლახანს დავრწმუნდით, რომ ენა [*langue*] არის სოციალური ორგანიზაცია; მაგრამ იგი განსხვავდება სხვა ორგანიზაციებისაგან ბევრი ისეთი თვისებით, როგორიცაა პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვ. მისი განსაკუთრებული ბუნების გასაგებად საჭიროა მთელი რიგი სხვა საკითხების გათვალისწინებაც.

ენა [*langue*] არის ისეთ ნიშანთა სისტემა, რომელთა მეშვეობით წარმოდგენები გამოიხატება და ამდენად მისი შედარება შეიძლება დამწერლობასთან, ყრუ-მუნჯთა ანბანთან, სიმბოლურ რიტუალებთან, ზრდილობის ფორმებთან, სამხედრო სიგნალებთან და ა.შ. თუმცა ყველა ამ სისტემათა შორის ის მაინც ყველაზე მნიშვნელოვანია.

³ შეადრ. A. Naville: *Nouvelle classification des sciences. Les idées maîtresses des sciences et leurs rapports*, პარიზი, 1920.

⁴ შეადრ. *Ansätze* გვ. 20f

⁵ შეადრ. *Ansätze* გვ. 21f. ან Milner 1989, გვ. 63 ff.

⁶ Cf. R. Barthes: *Recherches sémiologiques*, "Présentation", in: *Communications* 4, 1964, გვ. I.

⁷ Cf. Milner 1989, გვ. 132; შეადრ. აქვე V. Descombes: *Le même et l'autre. Quarante-cinq ans de philosophie française (1933-1978)*, პარიზი 1979, განსაკუთრებით III თავი, "La sémiologie", გვ. 93 ff, ან დეკომი 1983. სხვათა შორის, საფრანგეთის ინტელექტუალური სიტუაციით გაპირობებული დისკუსიის გამო იყო, რომ ყურადღების მიღმა დარჩა ისეთი ნაშრომები, როგორიცაა ბელგეელი ე. ბიუნსის E. Buyssens *Lees Langages et le discours* (ბრიუსელი 1943), ან ლუი პრიეტოს Luis J. Prieto *Etudes de linguistique et de sémiologie générale* (კენკვა 1975).

მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისეთი მეცნიერება, რომელიც გამოიკვლევს ნიშანთა ცხოვრებას სოციალური ცხოვრების ფარგლებში; იგი შეიძლება იქცეს სოციო-ფსიქოლოგიის, მოგვიანებით კი ზოგადი ფსიქოლოგიის ნაწილად; ჩვენ მას ვუწოდებდით სემიოლოგიას (ბერძნული *sêmeion* «ნიშანი»). საერთოდ, მას უნდა ესწავლებინა, თუ რა არის ნიშანი საერთოდ და რა კანონებით იმართება იგი. მაგრამ რადგან იგი ჯერ კიდევ არ არსებობს, შეუძლებელია იმის თქმა, თუ რა გამოგვე მისგან. მაგრამ მას აქვს იმის პრეტენზია, რომ იარსებოს; მისი პოზიცია თავიდანვე განსაზღვრულია. ენათმეცნიერება არის მხოლოდ ნაწილი ამ ზოგადი მეცნიერებისა; კანონები, რომელთაც სემიოლოგია აღმოაჩენს, ენათმეცნიერებაზეც გავრცელდება და, აქედან გამომდინარე, ეს უკანასკნელიც იპოვის თავის განსაკუთრებულ სფეროს ადამიანურ ურთიერთობათა ერთობლიობაში.

სემიოლოგიის ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრა ფსიქოლოგთა საქმეა. ენის მკვლევართა დანიშნულება კი მდგომარეობს იმის განსაზღვრებაში, თუ რის საფუძველზე ითვლება ენა [*>langue<*] განსაკუთრებულ სისტემად სემიოლოგიურ მოვლენათა მიუღწეროთ ერთობლიობაში. ამ კითხვას ჩვენ მოგვიანებით კიდევ მივუბრუნდებით; ჯერჯერობით კი დარწმუნებით მხოლოდ ერთი რამის თქმა შეგვიძლია: თუკი ჩვენ აქ ენათმეცნიერებას პირველად მივანიჭეთ თავისი განსაზღვრული ადგილი სხვა მეცნიერებათა შორის, ეს მხოლოდ იმის წყალობით, რომ იგი მივათვალეთ სემიოლოგიას.⁸

ყველაფერი გართულდა: სემიოლოგია კი იძლევა იმის ნებას, რომ *>*ენათმეცნიერებას პირველად მიენიჭოს თავისი განსაზღვრული ადგილი სხვა მეცნიერებათა შორის<, მაგრამ სამაგიეროდ იმის გამო, რომ ენათმეცნიერება უნდა იწოდებოდეს სემიოლოგიის ნაწილად, ზარალდება კურსის მოთხოვნა ენათმეცნიერების ჰომოგენურობისა და ავტონომიურობის შესახებ.⁹ ეს ვლინდება, უპირველეს ყოვლისა, იმაში, რომ ენათმეცნიერებამ, როგორც ამბობენ, ის-ის იყო საკუთარი თავი იპოვა, რომ მოულოდნელად ჰორიზონტზე გამოჩნდა სხვა მეცნიერებათა დასახელებანი; თან ისინი სრულიად განსხვავდებიან იმისგან, რაც იყო ნევილის შემთხვევაში – კერძოდ, სოციალური ფსიქოლოგია და ზოგადი ფსიქოლოგია.¹⁰ მაგრამ მთავარი სიძნელე მაინც სემიოლოგიისა და ენათმეცნიერების ურთიერთდამოკიდებულების ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრაა: ასე, მაგალითად, ენათმეცნიერება თავდაპირველად განისაზღვრა, როგორც *>*ზოგადი მეცნიერების ნაწილი<, მერე ენათმეცნიერების ასეთი მკაფიო ჩართვა სემიოლოგიაში კვლავ შეიზღუდა შენიშვნით, რომ *>*ენა არის განსაკუთრებული სისტემა სემიოლოგიურ მოვლენათა ერთობლიობაში<, ბოლოს კი ისიც აღინიშნა, რომ *>*ამ საკითხს ქვემოთ კიდევ მივუბრუნდებით<. კურსში ეს ადგილი ასე ჟღერს:

...ენა [*>langue<*], ეს ყველაზე მრავალფეროვანი და გავრცელებული გამომხატველობითი სისტემა, [არის] ამავე დროს ყველაზე სახასიათოც; ამ გავებით ენათმეცნიერება შეიძლება გახდეს მთელი სემიოლოგიის სანიშნო მთავარი წარმომად-

⁸ GRF, გვ. 19; CLG/D, გვ. 33; CLG/E, გვ. 45 ff, Nr. 272-296.

⁹ შეადრ. *ენები*, გვ. 78.

¹⁰ დაზუსტების მიზნით დავძენთ, რომ ნევილი თავის *Nouvelle classification des sciences*-ში სოციოლოგიას მიაკუთვნებს "ფსიქოლოგიურ მეცნიერებებს". სოსიურთან ფსიქოლოგიის და სემიოლოგიის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ იხ. აგრეთვე *Texte*, გვ. 242, 334, 355 f, 380 ff, 404 f, ასევე R. Engler: "სემიოლოგიური საკითხავი, მოსაზრებები სოსიურზე, საღვთაობისა და კრეტიენ დე ტრუაზე", in: *Linguistique contemporaine. Hommage à Eric Buyssens*, ბრიუსელი 1970, გვ. 61 ff; საყურადღებოა აგრეთვე ტექსტები იმავე პერიოდში ე. დიურკჰაიმისა და გ. ტარდს შორის მიმდინარე დებატებიდან სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, რომლებიც შეაგროვეს ს. პუშმა და ა. რაძინსკიმ დოკუმენტაციაში "La Langue: fait social", in: *Avant Saussure. Choix de textes (1875-1924)*, გამოცემ. K. Nordmann, ბრიუსელი 1970, გვ. 81-115.

გენელი [>le patron général<], მიუხედავად იმისა, რომ ენა [>langue<] არის მხოლოდ ერთ-ერთი სისტემა სხვათა შორის.¹¹

თუკი ენათმეცნიერება არის სემიოლოგიის, როგორც ფრანგულ რედაქციაში >le patron général<, მაშინ სემიოლოგია არ შეიძლება იყოს ყველაზე მთავარი მეცნიერება, რომლის მზა მიღწევებიც უბრალოდ იქნება გამოყენებული ენასთან მიმართებაში. როგორ შეიძლება ამ პირობებში ამ >ზოგადი მეცნიერების< (რომელიც კურსის მიხედვით >ჯერ არც კი არსებობს<) წვლილის წარმოდგენა ზოგადი ენათმეცნიერების საფუძვლების შექმნაში? იქნებ, როგორც ბარტი დაუნიებით ამტკიცებს,¹² ყველაფერი პირიქითაა და სემიოლოგია უნდა დაექვემდებაროს ენათმეცნიერებას? ან იქნებ უნდა დავეთანხმეთ მილნერს, რომლის მიხედვითაც "სემიოლოგია სხვას არაფერს შეიცავს, გარდა იმისა, რაც ენათმეცნიერებამ ასესხა"¹³

შეიძლება არც ბარტს დავეთანხმეთ და არც მილნერს, მაგრამ ერთი რამ უეჭველად ცხადია: ლინგვისტიკისა და სემიოლოგიის ურთიერთდამოკიდებულება კურსში ნათლად განსაზღვრული არ არის და, როგორც გვეჩვენება, კარგი განზრახვით. რადგან როგორც კი სოსიურის ნამეკვიდრეე ჩანაწერებსა თუ სტუდენტთა კონსპექტებს მივუბრუნდებით, აშკარაა ენასა და ნიშნებს შორის არსებული გარდაუვალი ცირკულარულობა.

ენასა და ნიშნებს შორის

ორი პოზიცია, რომელთა შორისაც სოსიურის აზროვნება ტრიალებს, ყველაზე უფრო მარკირებულია იმ ორ ტექსტში, რომელიც დაწერილია ერთმანეთისაგან თოთხმეტი წლით დაშორებულ შუალედში, ერთსა და იმავე თვეში. პირველი მათგანი თარიღდება 1894 წლის ნოემბრით და წარმოადგენს იმ დაუშთავრებელი სტატიის გეგმას, რომელიც ეძღვნებოდა ამერიკელი ლინგვისტის უ. დ. უითნის ხსოვნას.¹⁴ მეორე კი იძებნება ზოგადი ენათმეცნიერების იმ ლექციის რიდლინგერისეულ ჩანაწერში, რომელიც სოსიურმა წაიკითხა 1908 წლის 16 ნოემბერს (კურსი II).

აქვე მოგვყავს ჩვენთვის საინტერესო ორივე პასაჟი:

¹¹ GRF, გვ. 80; CLG/D, გვ. 101; CLG/E, გვ. 154, Nr. 1133-1134; შეადრ. აქვე CLG/E (I), გვ. 47 f, II R 12 Nr. 283-290.

¹² შეადრ. ბარტი 1964, გვ.2, ან R. Barthes: *Système de la Mode*, პარიზი, 1967, რომლის წინასიტყვაობაშიც ვკითხულობთ: "ადამიანს მისჯილი აქვს დანაწევრებული მეტყველება [>langage<] და არც ერთ სემიოლოგიურ მცდელობას არ შეუძლია ამის იგნორირება. მაშინ, ალბათ, საჭიროა, სოსიურის ფორმულირება შევატრიალოთ და ხაზი გავუსვათ იმას, რომ სწორედ სემიოლოგია არის ენათმეცნიერების ნაწილი: ამ ნაშრომის ძირითადი ფუნქცია იმის ჩავენებაა, რომ ჩვენნიარ საზოგადოებაში მითებმა და რიტუალებმა მიიღეს *სადი აზრის* ფორმა, რაც საბოლოოდ მეტყველების [>parole<] ფორმაა; ადამიანური ენა [>langage<] არის არა მარტო აზრის მოდელი, არამედ მისი ფუნდამენტიც" (cf. ბარტი Barthes 1967, გვ.9), შეადრ. ბარტის შემოთავაზების კრიტიკისათვის ენგლერი 1970, გვ. 64, და ზოგადად ლინგვისტიკისა და სემიოლოგიის ურთიერთობისათვის ენგლერი 1975ა, გვ. 848ff., აგრეთვე რ. კოდელი: "La semiologia saussurianna", in: CFS 38, 1984, გვ. 99-114, და P. Wunderli: "სემიოლოგიის ცნების მოცულობა და შინაარსი სოსიურთან", თავდაპირველად in: CFS 30, 1976, გვ. 33-68, შემდეგ გადაამუშავებული პ. ვუნდერლის *სოსიურის შტუდიებში*, ტიუბინგენი 1981, გვ. 25-49.

¹³ Cf. Milner 1989, gv. 132

¹⁴ შეადრ. Texte, გვ. 303-328

თავისი ნაწარმოების *Life and Growth of language* უკანასკნელ თავში უითნი ამბობს, ადამიანებმა ხმა იმისთვის გამოიყენეს, რომ თავიანთი წარმოდგენებისათვის ნიშნები მიენიჭებინათ, ისევე როგორც იყენებდნენ ქესტებს და სხვა რაღაცეებს; და ეს მოხდა იმიტომ, რომ მათ ხმის გამოყენება უფრო მოხერხებულად მიიხნიეს.¹⁵ ჩვენ ვთვლით, რომ აქ <დიდი> პარადოქსის ტოლფასი ეს ორი სტრიქონი შეიცავს ყველაზე მართებულ ფილოსოფიურ წარმოდგენას, რაც კი ოდესმე ენას [*langue*] მოუცია და რომ ამ მოცემულობით მხოლოდ იგებს ჩვენი ყოველდღიური ურთიერთობა იმ საგნებთან, რომელთაც ჩვენ ვაანალიზებთ, რადგან მის საფუძველზე მტკიცდება, რომ ენა [*langue*] სხვა არაფერია, თუ არა ნიშნის განსაკუთრებული შემთხვევა, რომელსაც არ შეუძლია თავად შეაფასოს საკუთარი თავი.¹⁶

მაშასადამე, ნიშნის ბუნების დანახვა მხოლოდ ენაში [*langue*] შეიძლება და ეს ბუნება შედგება ისეთი საგნებისგან, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად იკვლევენ ხოლმე. ამიტომაც უძნელდებოდათ ასე სემიოლოგიური მეცნიერების საჭიროებისა და განსაკუთრებული აუცილებლობის ერთბაშად დანახვა, როცა ლაპარაკი მიდის ენაზე [*langue*] ზოგადად, ფილოსოფიური კუთხით, ან როცა იკვლევენ სხვა საგნებს ენის [*langue*] მეშვეობით.¹⁷

დავიწყოთ 1894 წლის ნოემბრის ჩანაწერით, რომელშიც, სხვათა შორის, პირველად სოსიურის ჩანაწერებს შორის, ჩნდება სემიოლოგიის დასახელება.¹⁸ მთავარი აზრი, რომელიც ზემოთ ციტირებულ სტრიქონთა მიხედვით შეიძლება ჩამოყალიბდეს, მდგომარეობს იმაში, რომ ენა განხილულ უნდა იქნას, როგორც >ნიშნის განსაკუთრებული შემთხვევა<, რადგან მას >არ შეუძლია თავად შეაფასოს საკუთარი თავი<. ან სხვანაირად რომ ვთქვათ: როგორც ჩანს, ნიშნის ცნება ენათმეცნიერებისათვის იმიტომაცაა აუცილებელი, რომ ამ ცნების გარეშე შეუძლებელია იმის თქმა, თუ რა შეადგენს ენის არსსა თუ ბუნებას. იმ წინადადებებში კი, რომლებიც ა. რიდლინგერმა ჩაიწერა 1908 წლის 16 ნოემბერს სოსიურის ლექციაზე, ენისა და ნიშნის ურთიერთდამოკიდებულება სრულიად საპირისპიროდ წარმოჩინდება. ახლა ენა კი აღარ არის ის, რომელსაც >არ შეუძლია თავად შეაფასოს საკუთარი თავი< და ამიტომაც ნიშნის ცნებიდან უნდა ამოვიდეს, არამედ ახლა ნიშანია ის, რომლის >ბუნების დანახვა შეიძლება მხოლოდ ენაში [*langue*] <.

ამ ორი ამონარიდის შედარებისას ჩვენ მიზნად ის კი არ დავგისახავს, რომ ყურადღება გავგვამახვილებინა სოსიურის კონცეფციაში არსებულ წინააღმდეგობებზე ენისა და ნიშნის ურთიერთდამოკიდებულების საკითხში, არც ის, რომ ერთმანეთისაგან გამოგვეყო ამ კონცეფციის ცვლილების ფაზები, არამედ ჩვენ გვაინტერესებდა სოსიურის აზროვნების პროცესი. აქ ციტირებულ ტექსტებს ერთმანეთისაგან დიდი დრო კი აშორებთ, მაგრამ მათში ის პოზიციები კი არ არის ფორმულირებული, რომელიც სოსიურმა ერთმანეთზე მიყოლებით დაიკავა, არამედ საქმე ეხება ისეთ ორ, ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებულ პოზიციას, რომელიც სოსიურის აზროვნებაში გვერდიგვერდ თანაარსებობენ და სემიოლოგიის მისეულ პროექტს დასაწე-

¹⁵ Cf. CLG/E (I), გვ. 33, N 10, Nr.166, 168; შეადრ. გ. დეგალიეს კონსპექტი III კურსისათვის, *ibid.* ან Texte, გვ. 506 ff.

¹⁶ Cf. CLG/E (I), გვ. 34, N 10, Nr.173-174; ხაზგასმა მოყვება.

¹⁷ Cf. CLG/E (I), გვ. 51, II R 22, Nr.313-314, ხაზგასმა მოყვება.

¹⁸ შეადრ. Texte, გვ. 321

სიდანვე განსაზღვრავენ. ეს დასტურდება შემდეგი პასაჟით სოსიურის შედარებით ვრცელი ხელნაწერიდან, რომელიც დროში ემთხვევა უითნისთან დაკავშირებული მონახაზის პერიოდს და იმ წიგნის ირგვლივ ტრიალებს, რომლის შესახებაც სოსიური 1894 წელს მეიეს¹⁹ სასოწარკვეთილი წერდა: რომ იგი ამ წიგნში >ხსნის, თუ რატომ არ არსებობს ლინგვისტიკაში თუნდაც ერთი ისეთი ცნება, რომელსაც რამე მნიშვნელობას მიანიჭებდა<:

ნებისმიერ სხვა მეცნიერებაში [ლინგვისტიკის გარდა] საგნების გრძობისმიერი აღქმა წამიერად მაინც არის შესაძლებელი და ანალიზის დროს სწორედ ამას ეყრდნობიან, მასზე უარს არასდროს ამბობენ. ეკუთვნის კი [] ამ თვალსაზრისით პირდაპირ ფსიქოლოგიას და ელოდება მისგან შთაგონებას? მაშ, ფლობს თუ არა ფსიქოლოგია სემიოლოგიას? უსარგებლო კითხვაა, რადგან რომ ფლობდეს, ენის [>langue<] ის ფენომენები, <რომლებიც იგნორირებას უკეთებენ ფსიქოლოგიას,> მარტო საკუთარი თავისთვის, იმდენად <გაბატონდებოდნენ>, როგორც სემიოლოგიური რეალობის საფუძვლები, რომ ის, რაც მათზე დაყრდნობით ფსიქოლოგების მიერ უნდა თქმულიყო, ძალაუნებურად ვერ ასახავდა ვერაფერს, ან <თითქმის ვერაფერს>.²⁰

ეს ორივე, ერთმანეთის საპირისპირო მოძრაობა, – ენიდან ნიშნისკენ და პირიქით – ნიშნიდან ენისკენ – სოსიურის ამ ადრეულ ჩანაწერში იღებს ნამდვილად თავბრუდამხვევი, წრიული მოძრაობის სახეს. თავდაპირველად ჩნდება კითხვა, ეკუთვნის თუ არა ენათმეცნიერება²¹ ფსიქოლოგიას. როგორც სოსიურის არასრული ფორმულირებიდან ივარაუდება, ეს შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევა, როცა ფსიქოლოგია ფლობს სემიოლოგიას, ანუ ფსიქოლოგიას შეუძლია დაეყრდნოს ნიშნის ცნებას. თუმცა – და აქ მისი აზრების ქანქარა კვლავ მერვე მხარეს იხრება – ეს >უსარგებლო< კითხვაა, რადგან >ფსიქოლოგია რომ ფლობდეს სემიოლოგიას<, მაშინ >ენის ფენომენები<, >როგორც სემიოლოგიური რეალობის საფუძვლები<, ფსიქოლოგიისათვის უპირატესი გახდებოდა.

თუკი ენისა და ნიშნის ურთიერდამოკიდებულების შესახებ სოსიურის ამ ორი გამონათქვამის დიამეტრალური დაპირისპირება არ ექვემდებარება ახსნას იმ პოზიციების თანმიმდევრულობის თვალსაზრისით, რომლებიც ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ და თეორიული კვლევის გაგრძელების შემთხვევაში შეიძლებოდა შერწყმოდნენ კიდევ ერთმანეთს, და თუკი არ გვსურს დაგვიმყოფილდეთ იმით, რომ მარტივად დავადასტუროთ ამ ორი პოზიციის თანაარსებობა, როგორც უბრალო წინააღმდეგობრიობა, მაშინ უნდა შევეცადოთ და სოსიურის მიერ ჩატარებულ ენისა და ნიშნის ურთიერდამოკიდებულების გამოკვლევაში არსებული ეს ურთიერთსაპირისპირო მოძრაობები განვიხილოთ ცალ-ცალკე, რათა უკეთესად შევძლოთ იმის დანახვა, თუ საიდან იღებს სათავეს და რას გამოხატავს თითოეული მათგანი. პირველ ნაბიჯად ჩვენ გვესახება იმ საკითხის გამოკვლევა, ზუსტად როდის შემოყავს თამაშში სოსიურს ნიშნის ცნება და, შესაბამისად, რომელი ენათმეცნიერული პრობლემის გადაწყვეტას გვემავს მისი მეშვეობით. შემდეგ სელაში ნაჩვენები უნდა იყოს, თუ რომელი სპეციფიკური ენობრივი ფენომენი აიძულებს სოსიურს ნიშნის ცნების ხელახლა დადგენას; შესაბამისად, როგორ უნდა გავიგოთ კურსში მოცემული ეს გამონათქვამი: "არ არსებობს ენაზე [>langue<] უფრო ხელსაყრელი საშუალება სემიოლოგიურ პრობლემათა ბუნების გასაგებად."²²

¹⁹ შეადრ. Texte, გვ. 516 ff.

²⁰ Cf. CLG/E (I), გვ. 27, N 12, Nr.3299; შეადრ. აქვე Texte, გვ. 364

²¹ ჩვენ ამ ცარიელ ადგილას >ეკუთვნის კი [] ამ თვალსაზრისით< ჩავსვამთ "ენათმეცნიერებას" და ამით შევასრულებთ რ. ენგლერის რჩევას in CLG/E (II), გვ.*VI.

²² GRF, გვ. 20; CLG/D, გვ. 34; CLG/E (I), გვ. 49, Nr. 299.

ენათმეცნიერების საგანი

პირველ შეკითხვაზე პასუხის ელემენტები მოიპოვება ჯერ კიდევ ხელნაწერის იმ ამონარიდში, რომელიც ჩვენ ზემოთ ვიხილეთ. >ნებისმიერ სხვა მეცნიერებაში<, წერია იქ, >საგნების გრძობისმიერი აღქმა წამიერად მაინც არის შესაძლებელი.< მაგრამ როგორ არის საქმე ლინგვისტიკის შემთხვევაში? ნუთუ ბგერები ლაპარაკისას არ აღიქმება გრძობისმიერად? უეჭველად აღიქმება, მაგრამ სოსიური განმეორებით ხაზს უსვამს, რომ ამით ჯერ მაინც არ არის პასუხი გაცემული შემდეგ კითხვაზე: არის თუ არა ენათმეცნიერების საგანი ამ დონეზე ისეთივე აღქმადი, როგორცაა სხვა მეცნიერებათა საგნები. კურსში ასევე ვკითხულობთ: "შეუძლებელია, რომ ბგერა, რომელიც მხოლოდ მატერიალური ელემენტია, თავისთავად ეკუთვნოდეს ენას [>langue<]."23 ე. კონსტანტინმა, რომელიც ესწრებოდა სოსიურის ზოგადი ენათმეცნიერების ლექციების III კურსს, ამასთან დაკავშირებით ჩაიწერა შემდეგი:

ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ მატერიალური სიტყვა ენათმეცნიერული თვალსაზრისით არის აბსტრაქცია. იგი, როგორც კონკრეტული საგანი, არ მიეკუთვნება ლინგვისტიკას.²⁴

ეს ფორმულირება შეიძლება პარადოქსულად კი უღერდეს, მაგრამ თუკი დაეფიქრდებით, არც მისი მთლიანი უგულებელყოფა შეიძლება:

ბგერათა რიგი მხოლოდ იმ შემთხვევაშია ენობრივი, როდესაც იგი ატარებს რამე წარმოდგენას; მართლ, თავისთავად აღებული კი უფრო მეტად წარმოადგენს ფსიქოლოგიური კვლევის საგანს.²⁵

მაშასადამე, სოსიურისთვის ის ბგერები, რომელთაც ჩვენ წარმოვთქვამთ, ან ვისმენთ, მხოლოდ იმდენად წარმოადგენს ენობრივს, რამდენადაც >რაიმე წარმოდგენის მატარებლები< არიან, ან სხვაგვარად თუ ვიტყვით, რამდენადაც ისინი რაღაცის მაგივრობას სწევენ – კერძოდ კი წარმოდგენის მაგივრობას. ამგვარად ფორმულირებული ეს მოსაზრება ძალაუვნებურად გვახსენებს ნიშნის კლასიკურ დეფინიციას: *aliquid stat pro aliquo* – რაღაცა ყოველთვის წევს რაღაცის მაგივრობას.

ელემენტარულია: არც ერთი ადამიანი არ ილაპარაკებს, თუკი ის ბგერები, რის არტიკულირებასაც იგი ახდენს, არ გასწევენ სხვა რაღაცის მაგივრობას. სოსიური ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ბგერები მხოლოდ იმდენად მიეკუთვნებიან ენას, რამდენადაც ემსახურებიან მას ნიშნების სახით.

ენა [>langue<] ბგერას აღიქვამს მხოლოდ როგორც ნიშანს.²⁶

ან:

ენის [>langue<] <შექმნა ხდება> გარეშე საგნების იმ გარკვეული რაოდენობით, რომელსაც სული ნიშნად მოიხმარს. ~~მხოლოდ ზუსტად იმ~~ ზომით, რომლითაც გარეშე საგანი არის ნიშანი <აღიქმება, როგორც ნიშანი>, გულისხმობს იგი [>], იგი რაღაც თვალსაზრისით არის ენის [>langage<] ნაწილი.²⁷

²³ GRF, გვ. 141; CLG/D, გვ. 164; CLG/E (I), გვ. 266, Nr. 1915.

²⁴ Cf. CLG/E (I), გვ. 232, III C 287, Nr. 1693; და ა. რიდლინგერმა ჩაიწერა II კურსში: "პარადოქსულად შეიძლება უღერდეს, მაგრამ ბგერა სიტყვაში არის მეორადი, შედარებითი, იგივე შეიძლება ითქვას იმ წარმოდგენაზე, რომელიც ჩამოკიდებულია სიტყვებზე, ერთეულებზე; თავისთავად აღებული იგი წარმოადგენს ღირებულების მხოლოდ ერთ მხარეს (პირწმინდად ფსიქოლოგიის საგანი)" (cf. CLG/E (I), გვ. 267, II R 26, Nr. 1916).

²⁵ GRF, გვ. 122; CLG/D, გვ. 144; CLG/E (I), გვ. 232, Nr. 1693.

²⁶ Cf. CLG/E (II), გვ. 17, N 7, Nr. 3293.

²⁷ Cf. CLG/E (I), გვ. 63, N 10, Nr. 407.

ის, რაც ლინგვისტიკას ენის ბგერებში აინტერესებს, არის არა ამ >გარეშე საგნების< გრძნობისმიერად აღქმადი, აკუსტიკური თუ ფიზიოლოგიური მატერიალურობა, არამედ ის ფაქტი, რომ ისინი ნიშნების მაგივრობას სწევენ. მაგრამ გაუცემელი რჩება პასუხი კითხვაზე, თუ >რა ზომით არის გარეშე საგანი ნიშანი<, ამავე დროს მიმდინარეობს იმის ანალიზი, თუ რა არის გრძნობისმიერად აღქმადი ამ საგანში:

<იმის> სანახავად, თუ რა უღვეს ფორმებს <საფუძვლად>, საჭიროა <მხოლოდ ამ ფორმების ანალიზის ჩატარება>, მსგავსად იმისა, ქიმიური სუბსტანციის ანალიზს ან კვლევას რომ ატარებენ ხოლმე. ამგვარი წარმოდგენები მხოლოდ <ააშკარავენ> გულუბრყვილობათა თუ განსაცვიფრებელ კონცეფციათა ამ სამყაროს.²⁸

თუკი ეს მისი ნიშნური ფუნქციაა (რომლის დამსახურებაცაა ის, რომ >გარეშე ნივთები ენის ნაწილები< არიან), მართლაც გულუბრყვილობაა ენობრივი ფორმების >ანალიზის ჩატარება ქიმიური სუბსტანციების< მსგავსად. ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი ენაზე გასვლას მისი სიმბოლურობიდან გამომდინარე ცდილობენ, მაშინ უნდა გათავისუფლდნენ იმ (გულუბრყვილო) წარმოდგენებიდან, რომ ენათმეცნიერების საგანი არის ის, რაც ენაში გრძნობად აღქმას ექვემდებარება. მაგრამ როგორ უნდა გამოიკვლიო ეს საგანი, თუკი თვითონ მიუწვდომელია, ან ის, რაც მასში გრძნობისმიერად აღქმადია?

ეს კითხვა სოსიურმა თავის თავს რამდენჯერმე დაუსვა, თან სხვადასხვა კონტექსტში. მაგალითად, ამ მრავალმნიშვნელოვნად დასათაურებულ (Unde exorias? – საიდან უნდა გამოვიდეთ?) ფრაგმენტში ვკითხულობთ შემდეგს:

– ყველა საგანი, რომლის არსებობასაც ჩვენ ვვარაუდობთ, ეყრდნობა მატერიალურ თუ არამატერიალურ, მაგრამ უბრალო სუბსტანციას. მხოლოდ ენა [*langue*] (უფრო ზოგადად, ნიშანი) არის ისეთ თავისებურ პოზიციაში, რომელიც იმდენად ემყარება რაღაც კომბინაციას, რომ უარსაც კი გათქმევენებს იმაზე, რომ საერთოდ არსებობს.

☛ მაგალითი: წითელ-ცისფერი დროშა, რომელიც იმისათვის აღიმართა, რომ რაღაც განსაზღვრული საგანი ეჩვენებინა. მე შემიძლია, თუკი დავიყინებ, უარყო, რომ იგი "არსებობს", როგორც საგანი და იგი იქცევა მხოლოდ წითელ-ცისფერ ქსოვილად <ფიქრად>. მაგრამ თუკი ვიტყვი, რომ სრულიად შეუძლებელია მის არსებობაზე არ ვილაპარაკო, მაშინ ათასობით []

☛ ეს ისეთი პოზიციაა, რომელშიც ისე აღმოჩნდები სიტყვასთან თუ ენასთან [*langue*], რომ აზრზეც ვერ მოხვალ. ყველას აქვს უფლება თქვას, რომ ენა [*langue*] არ არსებობს, ეს კი ნიშნავს იმას, რომ არსებობს მხოლოდ ა) არტიკულაცია და ბ) ფიქრები, მაგრამ მაშინ არ უნდა ილაპარაკო, მაგალითად, სიტყვა *cheval*-ზე, ან [] რომლის დროსაც წარმოიდგენ, რომ ეს სიტყვა *cheval* შედგება ზ+ არტიკულაციისაგან. <☛> როგორც კი ამ სიტყვაზე *cheval* ილაპარაკებ, იმავე პუნქტში აღმოჩნდება, რომ შემდეგს ვარაუდობ:

ცისფერი დროშა+შესაბამისი აზრი

ქმნის ერთ ისეთ მთლიანობას,
რაც არის "ნიშანი"

რამდენად სწორია აქ ერთიანობის დანახვა? ან ფილოსოფიურად რამდენადაა მართებული? წარმოდგენა არა მაქვს, – []

მაგრამ ის კი ვიცით: დიახ, ჩავთვალოთ, რომ ცისფერი დროშის ნაცვლად ბორცვზე + []²⁹

²⁸ Cf. CLG/E (I), გვ. 29, N 12, Nr. 3299.

²⁹ Cf. BPUG, Ms. f.r. 3952.4 b, გვ. 4f., ფრანგული ორიგინალური ტექსტის ასლის პირველი ანაბეჭდი in Prosdocimi 1983, გვ. 69-71 (Texte, გვ. 413 ff; შეადრ. აგრეთვე Texte, გვ. 300ff)

თავიდან ისე ჩანს, თითქოს ენის არსებობაში რამე საეჭვო ყოფილიყო, რადგან იგი >უბრალო სუბსტანციას ეყრდნობა<. მაგრამ უფრო მეტად თუ დავაკვირდებით, ცხადი ხდება, რომ სწორედ ამ მოსაზრების წყალობით ეძლევა ენათმეცნიერებას თავისი საგნის დაფიქსირების საშუალება: ის, რაც >ენას (უფრო ზოგადად, ნიშანს)< ქმნის, არც >არტიკულაციების< >სუბსტანციაა< და არც >ფიქრები<, არამედ მათი >კომბინაცია<. რამდენადაც ენა ეყრდნობა >კომბინაციას<³⁰ – ან, როგორც სოსიური სხვა რამესთან დაკავშირებით წერს, "შესატყვისობას"³¹ – და არა >უბრალო სუბსტანციას<, ზუსტად იმდენად შეიძლება მისი შედარება სხვა ნიშნებთან, >იმ დროშასთან, რომელიც იმიტომ აღიმართა, რომ განსაზღვრული საგანი ეჩვენებინა<, ან, როგორც კურსში უფრო ზოგადად არის ჩამოყალიბებული, >დამწერლობასთან, ყრუ-მუნჯთა ანბანთან, სიმბოლურ რიტუალებთან, ზრდილობის ფორმებთან, სამხედრო სიგნალებთან და ა.შ. და ა.შ.<

მაგრამ განსაზღვრავს თუ არა საკმარისად ეს დებულება ენათმეცნიერების საგანს? ეს რომ ასე ყოფილიყო, ლინგვისტიკა უპრობლემოდ ჩაითვლებოდა "ნიშანთა ზოგადი თეორიის" ერთ-ერთ სფეროდ, ან ქვეთავად. ასეც გამოიყურება ყველაფერი, როდესაც კითხულობ პირველ მონაკვეთს უითნის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტატიის გეგმის შემდეგი ორი ამონარიდიდან. თუმცა იმით, რაც სოსიურს მეორე ნაწყვეტში თამაშში შემოჰყავს, ენის ნიშნისაკენ მოძრაობა მიმართულებას იცვლის და სრულიად საპირისპირო მხარეს მიემართება:

1. <ენა [>langue<] უკვე აღარ ითვლება> განსაკუთრებულ შემთხვევად ნიშანთა თეორიაში. <მაგრამ ზუსტად მხოლოდ ამ> ფაქტის გამო მისთვის სრულიად შეუძლებელია უბრალო რამედ ყოფნა (რადაც კიდევ მისი არსებობის წესში ჩვენი სული(გონი)-სათვის პირდაპირ აღსაქმელი), თუმცა ნიშანთა ზოგად თეორიაში იგი ნამდვილად <არის> ბგერობრივ ნიშანთა განსაკუთრებული შემთხვევა, თანაც <ათასჯერ უფრო> კომპლექსური ყველა იმ ცნობილ განსაკუთრებულ შემთხვევათა შორის, როგორიცაა დამწერლობა, დაშიფვრა და სხვ.

2. ეს იქნება ენის [>langue<] კვლევის <კაპიტალური> შემოქმედება ნიშანთა თეორიაზე. <ეს იქნება> ახალი პორიზონტი, რომელსაც იგი <სამუდამოდ >გახსნის, რადგან მან თვალსაჩინო გახადა და <გახსნა> ნიშნის სრულიად ახალი მხარე, კერძოდ ის რომ, ნიშნის ნამდვილი აღქმა იწყება მაშინ, როცა დინამიკავენ, რომ იგი არის საგანი, რომელიც არის არა მარტო გადაცემადი [>transmissible<], არამედ საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, გადაცემად/გავრცელებადი [>transmis<], 2. მოდიფიკაცია []. მხოლოდ ეს არის, რომ მას, ვინც ენის [>langue<] თეორიის შექმნას მოინდომებს, ეს საქმეს ასმაგად გაუთულებს []³²

პირველ პუნქტში კიდევ ერთხელ სახელდება განსაკუთრებული შემეცნებით-თეორიული პრობლემა. ამ პრობლემასთან დაკავშირებულია ის მეცნიერება, რომელიც თავის საგნად აღიქვამს ნიშანს: ენას, როგორც >ნიშანთა თეორიის განსაკუთრებულ შემთხვევას<, არ შეუძლია იყოს რაიმე >უბრალო< და

³⁰ ცნება "combinasion", რომელიც კ. ლომელმა თარგმნა, როგორც "ნაერთი", კურსში მრავალჯერ მეორდება. შეადრ. GRF, გვ. 78; CLG/D, გვ. 99; CLG/E (I), გვ. 150, Nr. 1111 ff. an CLG/E (I), გვ. 264, D 278, Nr. 1900.

³¹ პასაჟში, რომელიც მოიპოვება ერთ ჩანაწერში, რომელიც, სავარაუდოდ, 1897 წელს, მარცვალთა თეორიისადმი მიძღვნილი დოქტორისათვის მზადების პერიოდში გაკეთდა, შემდეგ მოსაზრებას ეხვებით: "[...] <უაღრესად> ილუზორულია იმის დაშვება, რომ <ვინმე> ენათმეცნიერებაში <შეძლებს შეიცნოს> პირველი წესი: ბგერები და მეორე წესი: მნიშვნელობები, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ენობრივ-ლინგვისტური რეალობა <საფუძველშივე> უძღურია საიმისოდ, რომ ამ საგანთანგან მხოლოდ ერთ-ერთი აღიაროს შემადგენელ ნაწილად, ხოლო იმისათვის, რომ იარსებოს, მით უმეტეს, საჭიროებს ერთ <შესაბამისობას>, მაგრამ არა მხოლოდ ერთ სუბსტანციას, არამედ კიდევ ორ სუბსტანციას [...]" (cf. CLG/E (II), გვ. 30, N 14 a, Nr. 3303).

³² Cf. CLG/E (I), გვ. 169, N 10, Nr. 1267.

>ჩვენი გონებისათვის პირდაპირ აღსაქმელი< – რაიმე >სუბსტანცია< – თუმცა ამ თვალსაზრისით >ბევრითი ნიშნები< საერთოდ ყველაზე ნაკლებად >კომპლექსურები არიან ყველა სხვა ცნობილ განსაკუთრებულ შემთხვევათა შორის<. მეორე პუნქტში კი სოსიური განმარტავს, რომ არსებობს რაღაც სხვა, რომლის მეშვეობითაც >ენის კვლევა< >ნიშანთა თეორიას< >სამუდამოდ უხსნის ახალ ჰორიზონტებს<: კერძოდ, იმის შეცნობა, რომ >ნიშნის ნამდვილი აღქმა იწყება მაშინ, როცა დაინახავენ, რომ იგი არის საგანი, რომ იგი არის ისეთი საგანი, რომელსაც თავისივე ბუნება უსაზღვრავს, რომ იყოს გადაცემული, გავრცელებული<.

ცხადია, რომ აქ საქმე გვაქვს >ნიშნის სრულიად ახალ მხარესთან<, იმდენად, რამდენადაც აქამდე ნიშნებთან დაკავშირებით მსჯელობა მიდიოდა მხოლოდ <კომბინაციისა> თუ >არტიკულაციისა< და >აზრის> შესაბამისობის შესახებ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იმის შესახებ, რომ >ნიშნის თავისივე ბუნება უსაზღვრავს, რომ იყოს გადაცემული, გავრცელებული<. ეს დებულება განსაკუთრებულად შეეხება აგრეთვე იმას, რასაც ვიგებთ კურსიდან ნიშნის ცნების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სოსიური თავის ჩანაწერებში მრავალჯერ დაუინებით იმეორებს, რომ ცნება "transmission" აღნიშნავს ნიშნისათვის (და მისი თეორიისათვის) უაღრესად მნიშვნელოვან განზომილებას,³³ ეს ცნება მაინც არ ფიგურირებს არც ერთ ამასთან დაკავშირებულ პასაჟში იმ ტექსტიდან, რომელიც ბალიმ და სემემ გამოაქვეყნეს 1916 წელს.³⁴ ჩვენ შემდგომში ვაპირებთ იმის ჩვენებას, რომ სწორედ შემდეგი დებულების: >ნიშანი უკვე თავისი ბუნებით არის განსაზღვრული საიმისოდ, რომ გადაცემულ იქნას< – საფუძველზე ხდება აშკარა, რომ სოსიურის კონცეფცია ნიშნის შესახებ სპეციფიკური ლინგვისტური პრობლემებიდან ამოდის და ამ პრობლემათა საფუძველზე იქმნება.

მაინც ზუსტად რის თქმას ცდილობს სოსიური ცნებით "transmission"? მოდით, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, დავუბრუნდეთ სოსიურის ჩანაწერებს გერმანული ლეგენდების შესახებ, რადგან პირველად სწორედ იქ წავაწყდით ცნებას "transmission", რომელიც მაშინ ვთარგმნეთ, როგორც "გადაცემა".

ობიექტი, რომელიც არასოდეს არის >ერთი და იგივე<

იმ მტკიცებულებიდან გამომდინარე, რომ ერთი ლეგენდის სხვადასხვა ვერსიების სიმრავლე იმიტომ გვაქვს, რომ იგი საუკუნეების განმავლობაში ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემოდა და, ამასთან ერთად, იცვლებოდა, სოსიური მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გადაცემის პროცესი ისე არ უნდა გაგებულყო, როგორც ეს ლეგენდებისთვისაა ნიშანდობლივი. აღნიშნული შეხედულების ფორმულირება ასეც შეიძლება: ლეგენდები შედგება ახიშობლოებისაგან, რომლებიც მხოლოდ იმ შემთხვევაში იარსებებენ, თუ ისინი ცირკულაციაში მოხვდებიან. ჩვენ წინა თავში უკვე მივუთითეთ, რომ ეს მოსაზრება ადროში ენის უწყვეტი მოძრაობის ასახსნელადაა მოტანილი. თუ, ერთი მხრივ, აუცილებელი ცირკულაციის პრინციპს, თავისი ცვლადი დინამიკით, ენისათვის

³³ შეადრ. Cf. CLG/E (II), გვ. 28, N 12, Nr. 3299, ან Cf. CLG/E (II), გვ. 47, N 24 a, Nr. 3342. შესაბამისი პასაჟების ციტირება ამ თავში კვლავ მოხდება ზუსტი ტექსტით.

³⁴ ნიშანდობლივია, რომ ცნება "transmission" არ არის დასახელებული არც ტ. მოროს გამოცემის ინდექსში (CLG/D) და არც *კურსობ* გერმანულ გამოცემაში. თვით რ. ენგლერის შესანიშნავ *Lexique de la terminologie saussurienne*-შიც არ იტყობება ჩანაწერი "transmission"-ზე, არც იქ მოტანილ ნიშნის ლეგენაციაში თაბაშობს ეს ცნება რამე როლს. შეადრ. LTS, გვ. 45 f.

ძირითადი მნიშვნელობა აქვს, ხოლო, მეორე მხრივ, ენა სემიოტიკის განსაკუთრებული შემთხვევაა, ამასთან კავშირში ჩნდება კითხვა, თუ როგორ შეიძლება ერთად გავიანზოროთ აუცილებელი ცირკულაციის პრინციპისა და სიმბოლოს ცნება.

სოსიურის ნააზრევის გასაგებად ეს ცენტრალური საკითხია და იგი მას მრავალგზის უბრუნდება, თუმცა ხშირად, ერთი შეხედვით, არც ისე გამოხატული ფორმით. ასე, მაგალითად, 1894 წლის ზოგადი ენათმეცნიერების წიგნის ჩანაწერში იგი მოგვითხრობს:

დავაკვირდეთ მაგალითისთვის *alka*-ს ბგერების მქდერ თანმიმდევრობას, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ, გადაეცემა რა ერთი სივრციდან მეორეს, *ôk*-ად გადაიქცევა. ჩვენ ვასკენით, რომ <გამარტივების მიზნით,> აბსოლუტურად არ ვითვალისწინებთ *alka*-ს *ôk*-ად გადაქცევას, თუმცა მათ გარეშე ენობრივ/ლინგვისტური ფაქტის საწყისი მნიშვნელობას კარგავს.

ანუ, *alka* დროის ფაქტორის საშუალებით იქცევა *ôk*-ად. არსებითად, სადაა კავშირი *alka*-სა და *ôk*-ს შორის? თუ ამ მიმართულებას მივყევით, რაც საჭირო და აუცილებელიცაა, მალე დავინახავთ, რომ უთუოდ გაჩნდება კითხვა, თუ სად არის კავშირი *alka*-სა და <თვით> *alka*-ს შორის და ამ დროს მივხვდებით, რომ საქმე არც ერთ შემთხვევაში არ ეხება ობიექტს, როგორც <პირველად ფაქტს>, რომელიც *alka* შეიძლება ეოფილიყო[...]³⁵

ე.ი. ენის ხმოვანი იცვლება მაშინ, როცა ის აერთი სივრციდან მეორეს გადაეცემა, თუმცა თუ აგამარტივების მიზნით ხმოვანთა თანმიმდევრობის ცვლილება გვსურს აღვწეროთ, როგორც ამას სოსიური გვთავაზობს – მისი ანიშვნელობისაგან დამოუკიდებლად, თავს იჩენს პრობლემა, რომ შეუძლებელია დავასაბუთოთ *alka*-ს ხმოვნების თანმიმდევრობის ცვლილებებით *ôk*-ის მიღება.

თუ როგორც ხმოვან სუბსტანციას, ისე განვიხილავთ, *alka* ისევე შეგვიძლია შევადაროთ *ôk*-ს, როგორც **olk*. მაშინ შეუძლებელია ენობრივი სიდიდეების პირდაპირი მნიშვნელობით აღწერა, არამედ ისინი უნდა განვიხილოთ, როგორც აბგერათა გარკვეული მქდერი თანმიმდევრობა. თუ *alka*-ს უშუალოდ შევადარებთ *ôk*-ს, ეს პირდაპირ თუ ირიბად, მაინც იმაზე მიუთითებს, რომ ხმოვანთა ამ ორ თანმიმდევრობას, რომლებსაც ერთმანეთს ვადარებთ, ერთი ანიშვნელობა აქვს – კავშირი *alka*-სა და *ôk*-ს შორის – მით უფრო გასაგები ხდება, რაც უფრო ღრმად ჩავწვდებით მათი სიმბოლოების ფუნქციის ახმოვანთა მქდერ თანმიმდევრობას. ეს ასევე ეხება კავშირს *alka*-სა და თვითონ *alka*-ს შორის. თუკი მე სიტყვა *alka*-ს ორჯერ ან მეტჯერ ერთმანეთის მიყოლებით წარმოვთქვამ, მივიღებთ ბგერათა სხვადასხვა თანმიმდევრობას, რომლებიც მათი კონკრეტული არსის გათვალისწინებით ერთმანეთსაგან განსხვავდებიან. თუ იმ მოსაზრებიდან გამოვალთ, რომ მათ მსგავსი ანიშვნელობა აქვთ, ერთმანეთისაგან არსით განყენებული ბგერათა თანმიმდევრობა შეგვიძლია განვიხილოთ ერთი და იმავე სიმბოლოს რეალიზაციის ფორმებად ან შესაბამის ვერსიებად.

³⁵ Cf. CLG/E (I), გვ. 21, N 9.2, Nr.131.

თუმცა ამ მოსაზრების მიღმა ერთი პრობლემა იმალება: უფრო ზუსტად, არა მარტო შეგვიძლია *alka*-სა და თვითონ *alka*-ს შორის კავშირზე საუბარი, არამედ *alka*-ს ახვადასხვა რეალიზაციის ფორმებს შორის და *alka*-ს, *alka*-სა და *alka*-ს შორის კავშირზეც კი ვისაუბროთ.³⁶ *alka*-ს ბგერათა თანმიმდევრობა, რომელსაც წარმოეთქვამ ან მესმის, სულ სხვაა, ვიდრე თვითონ *alka*.
 აარცერთ შემთხვევაში არ გვაქვს პირველადი ფაქტი, რომელიც *alka* შეიძლება ბოდა ყოფილიყო. სტატიკური (უცვლელი) »ორიგინალი *alka*« არ არსებობს და შესაბამისად ვერც ამ »ორიგინალის« ასლებს მივიღებთ, არამედ მხოლოდ *alka*-ს უამრავ, არსით განსხვავებულ და ერთმანეთისაგან განცალკევებულ ვერსიებს. სხვაგვარად რომ ჩამოვყალიბოთ: თვითონ *alka* არსებობს მხოლოდ თავისი ვერსიების რიგებში, არსებობს, როცა იგი ერთიდან მეორეს გადაეცემა, ან სოსიურის სხვა ფორმულირების თანახმად, »24 საათის დროის მონაკვეთში, ათასობით წარმოიქმნება.«³⁷ მაგრამ სწორედ ამიტომ იცვლება იგი, სწორედ ამის მეშვეობით იქცევა დროთა განმავლობაში *alka ôk*-ად.

ეს არის არა მარტო ენობრივ-ისტორიული, არამედ ამავედროულად სემიოტიკური პრობლემა. ისევე, როგორც სოსიური უითნისადმი მოსაგონარი სტატიის ჩანაწერებში აღნიშნავს, »ობიექტი, როგორც სიმბოლო, არასოდეს არ არის აერთი და იგივე«³⁸, რაც იმას ნიშნავს, რომ სიმბოლო თვითონ არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც კონკრეტულ ობიექტთან არსით თანმხედრი ან, შესაბამისად, ობიექტში არსებული სტატიკური სიდიდე. უფრო ხშირად გვხვდება სიმბოლო თვითონ მისი ვერსიების რიგებში, მაშინ როცა სხვადასხვა ობიექტები სიმბოლოების მსგავსად გადმოიცემა. სიმბოლოები, ლეგენდის სიმბოლოების მსგავსად, იმიტომ კი არ არის მოცემული, რომ შემდგომში კვლავ ერთიდან მეორეს გადაეცეს, არამედ ისინი თავისთავად არსებობენ, რადგან ისინი ცირკულირებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ გადაცემის პროცესი ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ეს სიმბოლოებისთვისაა დამახასიათებელი. თუ სოსიურის ფორმულირებას დავეყრდნობით, სიმბოლოები ეს უფრო აცნებებია, რომლებიც თავიანთი ბუნებით იმისთვის არის განსაზღვრული, რომ ერთიდან მეორეს გადაეცემოდეს. რადგან სიმბოლოები, ძირითადად, გადაცემისთვის არის განსაზღვრული, რადგან ობიექტი, როგორც სიმბოლო, არასოდეს არის ერთი და იგივე,

³⁶ დეგალიე ამ კონტექსტში შემდეგს აღნიშნავს: »ასე, მაგალითად, სიტყვა *guerre*: მე შემიძლია დროის მცირე მონაკვეთში ორჯერ მაინც მოვისმინო მოსაუბრის პირიდან. მე ვხედავ ამ <განმეორებულ> სიტყვაში იდენტურობას. მაგრამ ყოველ ჯერზე, როცა სიტყვა წარმოითქმის, საუბარია <განყენებულ> აქტზე (cf. CLG/E (I), გვ. 244, D 195, Nr. 1764); შდრ. მასთანვე GRF, გვ. 128 f. შესაბამისად, CLG/D, გვ. 150 f., ასევე ტექსტები, გვ. 393.

³⁷ Cf. CLG/E (II), გვ. 21, N 9.3, Nr. 3296.

³⁸ Cf. CLG/E (II), გვ. 21, N 10, Nr. 3297. უითნისადმი მოსაგონარი სტატიის ესეიზში სოსიური განაგრძობს შემდეგს: ობიექტი, როგორც სიმბოლო, არასოდეს არის ორჯერ ერთი და იგივე: საწყისი მომენტიდანვე საჭიროა გამოვიკვლიოთ <ან მივადწიოთ საწყის შეთანხმებას>, რათა ვიცოდეთ ვისი სახელით, <რა საზღვრებში> გვაქვს უფლება მას იგივე ვუწოდოთ; აქ არსებითი განსხვავებაა სხვა რომელიმე ობიექტთან და ასევე პირველ, სრულიად მარტივ წყაროსთან. მაგალითად, მაგიდა, რომელიც ჩემ წინ დგას, თავისი არსით დღესაც და ხვალაც ერთი და იგივეა და ასობგერა ხ, რომელსაც ვწერ, ესეც ისევე მატერიალურია, როგორც მაგიდა, მაგრამ ის არ არის []«

სიმბოლოები არ შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც ყოველი შემთხვევისთვის გათვალისწინებული უცვლელი სიდიდეები.³⁹

ამასობაში ადვილი მისახვედრია მოძრაობების ინვერსიულობა, რომელიც სოსიურის მოსაზრებებს გვერდს უვლის: ენათმეცნიერება სიმბოლოს ცნებაზე დამოკიდებული, რათა ობიექტში გაერკვეს. მაგრამ ამავდროულად ენის კვლევაში თვალსაჩინოა სიმბოლოების პრობლემატიკის განზომილება, რომლის შესახებაც ატრადიციულ სემიოტიკაში არ არის საუბარი. სიმბოლოები არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ატრადიციულაციებისა და მოსაზრებების აკომბინაციები, რომლის ცვალებად დინამიკასაც ისინი განუხრელად ექვემდებარებიან. სოსიურმა ამ კონტექსტში სემიოლოგიის მის პროექტში დასვა საკითხი სიმბოლოების მეორე სიცოცხლისა,⁴⁰ ასევე სიმბოლოების მორევის⁴¹ შესახებ და დაადგინა, რომ ეს მორევი სიმბოლოების კონცეფციისთვის ძირითადი განზომილებაა.⁴²

ამ შენიშვნიდან შეიძლება ამოვიკითხოთ, რომ ეს გადამწყვეტი პუნქტია, რომელშიც სოსიურის სემიოლოგია ტრადიციული, – უპირველეს ყოვლისა (ფილოსოფიაში განვითარებული სემიოტიკის⁴³), სიმბოლოების თეორიისგან

³⁹ მსგავსი მოსაზრება გვხვდება სოსიურის კრიტიკულ წერილში ფონოლოგიების შესახებ: »უნდა განისაზღვროს ფონემის ერთიანობა და როცა ეს ერთიანობა განსაზღვრული იქნება, დაინახათ, რომ ჯაჭვში და ჯაჭვს მიღმა ერთიანობებს შორის განსხვავება არ არსებობს. შეწყდება იმაზე ფიქრი, რომ ფონემები, ერთი მხრივ, პაერში დაფარფატებენ და, მეორე მხრივ, ხანდახან სასაუბრო ჯაჭვში [chaine parlée] ხვდებიან. ფონოლოგიების მხრიდან ყველაზე დიდ უსამართლობად ის კი არ მიმაჩნია, რომ, მათი წარმოდგენით, ფონემები, როცა ისინი ჯაჭვში ხვდებიან, გარკვეულ წესრიგს ექვემდებარებიან (თუმცა ეს მოსაზრება უკვე უჩვეულოა), არამედ უფრო მეტად ის, რომ ისინი ეთანხმებიან მოსაზრებას ფონემების რომელიმე სხვა მდგომარეობის შესახებ, რომელიც მათ ჯაჭვში გააჩნიათ. ისინი ავრცელებენ მოსაზრებას, რომ B, Z და L ერთეულები აუშუალოდ მოცემულ ერთეულებს წარმოადგენენ, ისე, რომ ისინი არც ცდილობენ აგვისხნან, რომელ ცნებას შეესაბამება ეს ყველაფერი.«

⁴⁰ აქვე მოცემულია კონტექსტის ფორმულირება: »სახოგადლებაში დამკვიდრებული სიმბოლოების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის დისციპლინები, რომლებიც აქამდე ამ საკითხზე მუშაობდნენ, <ვერ> ხვდებოდნენ, რომ ეს სიმბოლოები (2.) გადაცემადი [ტრანსმისიური] იყო და, აქედან გამომდინარე, მიენიჭებოდა მეორე სიცოცხლე. შეიძლება ითქვას, რომ ამ დისციპლინებში (ისევე, როგორც მთელ სამეცნიერო საზოგადლებაში) არაფერი იყო ნათქვამი ამის შესახებ.«

⁴¹ კერძოდ, ერთ-ერთ შენიშვნაში item: »Item. ნებისმიერ <არცერთ> ახალგაზრდა თუ ხანდაზმულ ფსიქოლოგს, რომელიც ენას [langue] ელემენტად განიხილავს, ამ კანონების შესახებ წარმოდგენაც კი არ ჰქონია. გამომავლის გარეშე, ყველა ფსიქოლოგი წარმოადგენს ენას, როგორც მარა ფორმას და ასევე უკლებლივ ყველა ფსიქოლოგი თვლის, რომ ის კონვენციური ფორმაა. ისინი მოძრაობენ ძალზე ბუნებრივად იმ სივრცეში, რასაც მე ენის ჰორიზონტალურ ამონარიდს ვუწოდებ, მაგრამ ისე, რომ არანაირი წარმოდგენაც კი არ აქვთ სოციო-ისტორიული ფენომენის შესახებ, რომელიც სიმბოლოების მორევს ვერტიკალურ სვეტში უშუალოდ თავისკენ იზიდავს და შემდგომ აბრკოლებს მათგან ფიქსირებული ან კონვენციური ენის წარმოქმნას, რადგან ის უწყვეტი სოციალური ზემოქმედების შედეგია, რომელიც არჩევანის გარეშე წარმოიქმნება. ყოველ შემთხვევაში, ფსიქოლოგიების მხრიდან საკითხის გაგების საფუძველი მხოლოდ ბეგრათა გადანაცვლების შესწავლიდან [transformations phonétiques] მომდინარეობს.« (cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3309).

⁴² შდრ. ფერი 1992 ა. გვ. 73-82.

⁴³ რ. იაკობსონისა და ლ. იელმსლევის საპირისპიროდ, ორივე სხვადასხვა კუთხით საუბრობს »სემიოტიკის« შესახებ. სიმბოლოების თეორიის ეს ტრადიციული აღნიშვნა სოსიურის ხელნაწერებში არსად არ გვხვდება. იხ. იაკობსონთან: »ლინგვისტიკა და მისი მიმართება სხვა მეცნიერებებთან«, რ. იაკობსონი, *თხზულებანი ლინგვისტიკისა და პოეტიკის შესახებ*, გამოცემული ე. რაიბლის მიერ, მაინის ფრანკფურტი, 1979, გვ. 150-224, განსაკუთრებით ყურადსაღებია გვ. 170-187, ან თუნდაც »სემიოტიკის განვითარების მიმოხილვა«, რ. იაკობსონი, *სემიოტიკა, რჩეული ტექსტები 1919-1982*, გამოცემული ე. პოლენშტაინის მიერ, მაინის ფრანკფურტი, 1988, გვ. 108-135; რაც შეეხება იელმსლევს: *Prolégomènes à une théorie du langage*, არის 1968-71; შდრ. ასევე ე. ბენვენისტი: »Semilogie de la langue«, იქვე: *Problèmes de linguistique générale II*, Paris 1974, გვ. 43-66.

სხვა საკითხია, თუ როგორ მიაკვლია სოსიურმა სემიოლოგიის სახელწოდებას. უნდა მივუთითოთ, თუ როგორ სცადა მან ჩვენთვის ჯერ კიდევ ბოლომდე აუსხნელ კითხვაზე პასუხის გაცე-

განსხვავდება. ეს ჩანაწერი სოსიურის გვიანდელი შემოქმედების პერიოდს ეკუთვნის და მას ამ თავის ამოსავალ წერტილამდე მიყვავართ – კერძოდ, სოსიურის მცდელობასთან, სემიოლოგიის მეშვეობით ლინგვისტიკას მეცნიერებებს შორის ადგილი დაუმკვიდროს:

სურდათ დაედგინათ, ლინგვისტიკა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ეკუთვნის, თუ ისტორიულს. ის არც ერთ მათგანს არ მიეკუთვნება. იგი მეცნიერების იმ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც მისი არსებობის შემთხვევაში იარსებებდა სემიოლოგიის სახელწოდებით ანუ ესაა სიმბოლოების ან კვლევის მეცნიერება [étude] იმის აღსანიშნავად, თუ რა ხდება, როდესაც ადამიანი ცდილობს, თავისი აზროვნება საჭირო კონვენციით ახსნას. სემიოლოგიურ სისტემებს შორის სემიოლოგიური სისტემა – ანა [langue] ერთადერთია, რომელიც უნდა წარმდგარიყო ცამოცდის წინაშე, რომ დროს შეპირისპირებოდა, რომელიც უბრალოდ მეზობლებს შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე კი არ უნდა დაარსებულიყო, არამედ ასევე მამასა და შვილს შორის აუცილებელი ტრადიციის მეშვეობით და იმ შემთხვევითობის გზით, რაც ამ ტრადიციას თან ახლავს, რაც მის ფარგლებს გარეთ არ არის აპრობირებული, ანც ცნობილი და აღწერილია ვინმეს მიერ. ~~თუკი მოსურვებთ, ლინგვისტიკა არის ფსიქოლოგიური მეცნიერება იმით, რომ ის სემიოლოგიურიც არის, მაგრამ ფსიქოლოგები არასოდეს დაუმკვიდრებენ სემიოლოგიაში დროის ფაქტორს.~~

ის ფაქტი, თუ რამ გამოიწვია პირველად ფსიქოლოგების ინტერესი, ფსიქოლოგების მიერ იგნორირებულია. არცერთი მათგანი არ გვიხსნის, თუ რა ხდება სემიოლოგიის გადაცემის [ტრანსმისიის] პროცესში და ამის მსგავსი ფაქტი რატომღაც ძალიან იზიდავს მათ, იმდენად, რომ სჯერათ კიდევ, თითქოს მათი მეცნიერება ისტორიული და, უფრო მეტიც, ღრმად ისტორიული მნიშვნელობის მქონეა, მაშინ როცა მათ მხოლოდ სემიოტიკური დანიშნულება გააჩნიათ: ფსიქოლოგიაში სრულიად აშკარად აპრობირებულად მიჩნეულია, რომ იმ პირობით, თუ ენას ობიექტი გააჩნია, რომელიც დროში ვრცელდება, ის მკვლევარებს აძლევს, გასცდნენ დროებითი სიმბოლოებისა და შეხედულებების შესახებ სპეკულაციებს.⁴⁴

სოსიურს არსებული სიმბოლოების შესახებ სპეკულაციები კი არ აინტერესებს, რომლებიც, ასე ვთქვათ, დროის ფაქტორის მიღმა ისედაც ყველასათვის დადგენილია, არამედ ცვალებადი სიმბოლო, რომელიც თვალსაჩინო ხდება, თუკი ენას განვიხილავთ, როგორც ობიექტს, რომელიც დროში ვრცელდება, »პირველი დღიდან მოყოლებული, რაც კაცობრიობამ საუბარი დაიწყო«⁴⁵, თაობიდან თაობას გადაეცემა, მაგრამ დროის განზომილების შესახებ ეს ინტერესი ისტორიული არ არის; როდესაც ის განვიხილავს სიმბოლოს დროსთან მიმართებაში, აქ უკვე თვალშისაცემია ის გადამწყვეტი როლი, რომელსაც გადაცემის პროცესში სიმბოლოების ჩამოყალიბება თამაშობს. ორივე მათგანი – დროში ენების გავრცელების პრობლემა, ისევე როგორც მასთან დაკავშირებული სემიოტიკური საკითხი, რომელიც ამ გადაცემის პროცესს ეკუთვნის, სოსიურის თანახმად, ფილოსოფოსებისა და ფსიქოლოგების ნააზრევში არ არის გათვალისწინებული.⁴⁶

მა: სოსიურის მოღვაწეობის დროს ფრანგულ ენაში მიღებული იყო აღნიშვნა »sémologie médicale« როგორც »symptomatologie«-ს სინონიმი.

⁴⁴ Cf. CLG/E (II), გვ. 47, N 24 a, Nr. 334 2.1

⁴⁵ Cf. CLG/E (II), გვ. 10, N 1.3, Nr. 3285

⁴⁶ დაბოლოს, სოსიურის ანაგრაფის კვლევიდან ერთ ციტატას მოვიხმობ, რომელიც ასევე საინტერესოდ ახახავს ენის გადაცემის პროცესს: »თავისი ინდოევროპული მნიშვნელობის გამო შედგენილია და მასზე დაყრდნობა არა იმას, თუ რა გადაცემა არა ცნობიერად, ენას ან თვით ლექსის სტროფს, მის რითმას და გარეგნულ ფორმას; არამედ იმ ფორმულის ჩამოყალიბებას და შესწავლას, რომლის მიხედვითაც ოსტატები და შეგირდები ათასწლეულების განმავლობაში გადასცემდნენ მას თაობიდან თაობას« (cf. A. Prosdociami, A. Marinetti: »Sausurre e il saturnio«, CFS 44 [1990], 1991, გვ. 43 f.). შტრ. ასევე ტექსტები, გვ. 451 f.

ამგვარად, აშკარაა, თუ რა უნდა გამოვიკვლიოთ: ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ, როგორ იცვლება სიმბოლოების თეორია, თუკი სოსიურის ენების გადაცემის პროცესს დავეყრდნობით. ან, უფრო ზუსტად, ჩვენ უნდა გამოვაგლინოთ, როგორი სახე უნდა ჰქონდეს სიმბოლოების კონცეფციას, რომელიც იმ მოსაზრების შესაბამისი იქნება, რომ სიმბოლოები, რომლებიც გადაიცემა, თავიანთი ბუნებით აქეთკენ არია მიდრეკილნი, რადგან მხოლოდ იმ შემთხვევაში ვლინდებიან, როცა ცირკულირებენ. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ისინი შეიძლება შეუმჩნეველად, მაგრამ განუწყვეტლივ არსებობენ.

VIII. სიმბოლოს სრულიად ახალი მხარე

ნაწილობრივ, სხვა თემებთან გადაჯაჭვულ გლოსებში და შენიშვნებში, სოსიურის ტექსტებში საუბარია ტრანსმისიის – ენების გადაცემის შესახებ, როგორც >სიმბოლოთა თეორიის< უმნიშვნელოვანეს განზომილებაზე. სოსიურის ხელნაწერებში, ჟენევის ლექციის ჩანაწერებიდან დაწყებული, ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ ბოლო ლექციის მომზადებით დამთავრებული, მოიქებება წინადადებები, ფორმულირებები, მოსაზრებები, რომლებშიც ნათლად აისახება სემიოტიკური იმპლიკაციები და შედეგები, რომლებსაც თანახლავს ენების გადაცემის პროცესი. სოსიურის ნაშრომში გაბნეული მონაკვეთების ფონზე იკვეთება პასაჟი, რომელშიც კატეგორიულად დაისმის და განიხილება სემიოტიკასა და ენათმეცნიერებას შორის პრობლემური ურთიერთმიმართების საკითხი. ეს პასაჟი წარმოდგენილია სოსიურის მიერ ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ დაგეგმილი წიგნის 1894 წლის ესკიზში. წინათავში ციტირებულ მონაკვეთებთან შედარებით, სოსიური უფრო დაწვრილებით განიხილავს >ფილოსოფიაში< განვითარებულ >სიმბოლოთა თეორიას< და განმარტავს, თუ როგორ იცვლება სიმბოლოს კონცეფცია, თუ რომელიმე კონკრეტულად არსებული ენიდან გამოვალთ, რომელიც – როგორც ის თავის ჟენევის გამოსვლაში აღნიშნავდა – >დროის ორ სხვადასხვა მომენტში თავისი თავის იდენტური არ არის<⁴⁷ და რომელიც >გამუდმებით იცვლება მოსხენების წაკითხვის <მდგომარეობიდან> მომდევნო დღის მომენტამდე<⁴⁸ და რომელსაც შედეგად >არა მუდმივი, არამედ მხოლოდ დროებითი და დროში შეზღუდული მახასიათებლების მოცემა შეუძლია.<⁴⁹ მოგვაქვს სოსიურის ესკიზიდან მთლიანი პასაჟი, რადგან აქ სამაგალითოდ ჩანს, თუ როგორ მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს სოსიურის ნააზრევში ენათმეცნიერული და სემიოტიკური შეხედულებები და თუ როგორ ახდენენ ისინი ერთმანეთის კომენტირებას:

სემიოლოგიის შესახებ თავში:

<კონცეფციების უმრავლესობა, რომლებსაც> ფილოსოფოსები <ქმნიან, ან თუნდაც გუთავაზობენ>, დამაჯერებელს ხდის, რომ ჩვენმა წინაპარმა ადამმა <სხვადასხვა> ცხოველები თავისთან იხმო და თითოეულს საკუთარი სახელი უბოძა.⁵⁰ ფილოსოფოსების აზრით, სამი რამ, რაც ენის მოცემულობას ყოველთვის აკლია, ესენია:

1. <უპირველეს ყოვლისა, ის სიმართლე, რომლისკენაც საერთოდ არ მივიღრვიოთ,> რომ ენის [>langage<] საფუძველს სახელები <არ> ქმნის. მხოლოდ და მხოლოდ დამთხვევაა, თუ რომელიმე სიმბოლო ობიექტს შეესატყვისება, ეს განსაზღვრულია ისეთი


⁴⁷ Cf. CLG/E (II), გვ. 6, N 1.1, Nr. 3283.

⁴⁸ Cf. CLG/E (II), გვ. 11, N 1.3, Nr. 3285.

⁴⁹ Ibid.

⁵⁰ Cf. CLG/E (I), გვ. 147, N 12, Nr. 1086.

მნიშვნელობებისთვის, როგორებიცაა ცხენი, ცეცხლი, მზე, <ნაცვლად წარმოდგენისა, როგორიცაა $\xi\mu\eta\chi\epsilon$ >დებოდა>. ეს შემთხვევა კიდევ იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ არ არსებობს <აშკარა> მიზეზი, რომ ის ენის [>langage<] ნიმუშად მივიჩნიოთ. ეჭვგარეშეა, რომ იგი <უნდა განვიხილოთ> როგორც არაზუსტი მაგალითი. მაგრამ აქ ფარული სახით გვხვდება ტენდენცია, რომელსაც ვერც <უგულვებელყოფით> და ვერც გვერდის ავებით, იმის შესახებ, თუ <საბოლოოდ> როგორი იქნებოდა ენა [>langage<]: კერძოდ ობიექტების, <წინასწარ მოცემული ობიექტების> ნომენკლატურა. თავიდან ობიექტი, შემდგომ სიმბოლო; ~~სიმბოლოს მიღმა, როგორც პირველი შეუცვლელი საფუძველი, შინაარსობრივად გადმოცემული ობიექტი ქმნის ეაჟმარს, რომლის შექმნას აქამდე სხვა სიმბოლოები ვერ ასერსებდნენ.~~ ანუ (რის უარყოფასაც ყოველთვის შევეცდებით), ეს არის სიმბოლოს გარეგნულად მოცემულ საფუძველსა და ენის [>langage<] ფიგურაციას შორის ასეთი დამოკიდებულება:



მაშინ, როცა ჭეშმარიტი ფიგურაციაა: $a - b - c$, <ისეთი დამოკიდებულების ცოდნის გარეშე, როგორიცაა $* - a$, რომელიც ერთ ობიექტზეა დამყარებული>. თუ ობიექტი, სადაც არ უნდა იყოს იგი, გადამწვევტ პუნქტს წარმოადგენს, რომელსაც სიმბოლო ეფუძნება, ლინგვისტიკა მყისიერად შეწყვეტს, იყოს ის, რაც არის, <მწვერვალთან> <საფუძვლამდე>; ასევე იქნება ადამიანის სულიც, იმავე მომენტში, <როგორც ამ დისკუსიიდან ჩანს>.

მაგრამ ეს ამ შემთხვევაში, როგორც ვთქვით, მხოლოდ უმნიშვნელო საწინააღმდეგო არგუმენტია [>reproche incident<], რომელსაც წინ წამოვწევთ, რათა გაეიაზროთ ენა [>langage<], თუ ფილოსოფიური თვალსაზრისით გვსურს მისი განხილვა. – <ცხადია> სამწუხარო იქნება, თუ აღნიშნული ობიექტების <ამ მოცემულობას> მნიშვნელოვან ელემენტად ჩავთვლით, რომელიც მასში სრულიად არ არის საძებარი. მართალია, ეს ფაქტი მხოლოდ ცუდად შერჩეულ მაგალითზე მიუთითებს და რქინდ-ის, ignis-ისა და ცხენის ადგილას სხვა რამის ჩასმით ვუმკლავდებით ცდუნებას,⁵¹ რომ ენა [>langage<] გარე ფაქტორებით ავსნათ. უფრო მძიმე შეცდომა, რომელსაც, როგორც წესი, ფილოსოფოსები უშეგებენ, იმაში მდგომარეობს, რასაც ახლა წარმოგიდგენთ:

2. კერძოდ ის ფაქტი, რომ თუ ობიექტს სახელს მივანიჭებთ, ის უკვე ერთ მთლიანობას წარმოადგენს, რომელიც უნდა გადაიცეს [>se transmettre<] ისე, რომ წინასწარ არ იყოს გათვალისწინებული სხვა ფენომენები! სულ მცირე, იმ შემთხვევაში, როცა რაიმე ცვლილებას აქვს ადგილი, მხოლოდ სახელზე <უნდა გადავიტანოთ ყურადღება> და უნდა მივიჩნიოთ, რომ fraxinus იქცევა frêne-დ. ამგვარად, წარმოდგენილის მიხედვით: []

ქორწილის წარმოდგენის დროს საკმარისია მხოლოდ ამ სახელის შესახებ დაეფიქრდეთ ისე, რომ არ გაეითვალისწინოთ დრო, ფაქტორი, რომელიც ფილოსოფიურ კომბინაციაშიც სრულიად იგნორირებულია. აქ არაფერი იქნებოდა გასაოცარი, საკუთრივ ენისთვის [>langage<] დამახასიათებელი, მხოლოდ ამ ორი სახეობის ცვლილება რომ ყოფილიყო მოსალოდნელი. დისოციაციის [>dissociation<] პროცესში პირველი მათგანი, რომლის მეშვეობითაც წარმოდგენა სიმბოლოს სახით რჩება, სპონტანურად გეაწვდიდეს ინფორმაციას, იცვლება თუ არა ის ამ დროს. აქამდე ორივე <მათგანი> ცალ-ცალკე ობიექტად რჩება, სულ მცირე ერთ-ერთი მათგანისთვის [].⁵²

⁵¹ Cf. CLG/E (I), გვ. 148, Nr. 1088-1091.

⁵² Cf. CLG/E (I), გვ. 149, N 12, Nr. 1091.

ნიშანდობლივი მხოლოდ ის არის, რომ ასეთი უამრავი შემთხვევა არსებობს, რომლებშიც სიმბოლოს ცვლილება <ხდება>, რომელიც წარმოდგენას თავად ცვლის და რომლებშიც მოულოდნელად ცხადი ხდება, რომ არანაირი განსხვავება არ არსებობდა მომენტიდან მომენტამდე გადამწვევტი წარმოდგენებისა და გადამწვევტი სიმბოლოების ჯამს შორის. ფონეტიკური ცვლილების შედეგად ამ ორ სიმბოლოს ესაჭიროება ერთმანეთი: წარმოდგენა გარკვეულწილად (ცხადია, სხვა ელემენტებთან კავშირში) გაფერმკრთალდება [>se confondra<]. ერთი სიმბოლო ამგვარივე ბრმა პროცესის მეშვეობით დიფერენცირდება; თავისთავად ეს წარმოქმნილი განსხვავება მნიშვნელობას შეიძენს.

აქ მოხმობილია რამდენიმე მაგალითი, მაგრამ ამავდროულად იმ თვალსაზრისის უმნიშვნელობას თუ ჩავეჭიდებით, რომელიც დროისა და გადაცემის [>transmission<] გარეშე სიმბოლოს წარმოდგენიდან გამოდის, ის ერთადერთია, რომელიც ექსპერიმენტული გზით გვასწავლის, თუ რა მნიშვნელობა აქვს სიმბოლოს.⁵³

ამრიგად, >ფილოსოფოსების< ენობრივ-თეორიული და სემიოტიკური მოსაზრებები სოსიურის თანახმად სამ ნაკლოვანებას ავლენს, რომელთა მნიშვნელობა იზრდება იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ისინი აქ ჩამოეთვალეთ: >ფილოსოფოსებს< ენა პირველ რიგში ესმით როგორც >ნომენკლატურა<⁵⁴, ანუ ისინი ობიექტებს, რომლებზეც სიმბოლოები მიგვითითებენ, ენასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებენ; მეორე მხრივ, ისინი >აბსოლუტურად უგულვებელყოფენ< როლს, რომელსაც დროის განზომილება თამაშობს ენის განვითარებაში, რაც იმაში გამოიხატება, რომ ისინი ობიექტს თავის კუთვნილ სახელთან ერთად განიხილავენ როგორც >ერთ მთლიანს<, რომელიც ისე >გადაიცემა, რომ წინასწარ არ არის გათვალისწინებული სხვა ფენომენები<; მესამე მხრივ, ერთ-ერთ ასეთ >სხვა ფენომენს<, რომელსაც >ფილოსოფოსები< უყურადღებოდ ტოვებენ, წარმოდგენს ის >უამრავი შემთხვევა<, რომელშიც არა მხოლოდ სიმბოლოს ფონეტიკური მხარე იცვლება⁵⁵, არამედ >თვით წარმოდგენა<. ის, როგორც ჩანს, >ფონეტიკურ განსხვავებებს თავისთავად სძენს მნიშვნელობას<, რომლებიც იმის მეშვეობით წარმოიქმნებიან, რომ ისინი >ერთიდან მეორეს< გადაეცემა. ამ განსაზღვრების გამო სოსიურის კრიტიკა >ფილოსოფოსების< მიმართ უმაღლეს წერტილს აღწევს, მაგრამ ისინი ამ შეცდომას იმიტომ უშვებენ, რომ არ უფიქრდებიან იმ როლს, რომელსაც სიმბოლოების ჩამოყალიბებაში ენების გადაცემის პროცესი თამაშობს. სოსიურის მიხედვით, ეს სწორედ ის ერთადერთი >გადაცემაა, რომელიც ექსპერიმენტული გზით გვასწავლის, თუ რა მნიშვნელობა აქვს სიმბოლოს<.

მაინც კონკრეტულად რომელია ის >ერთადერთი შემეცნება, რომელიც ექსპერიმენტული გზით< გვასწავლის ენების გადაცემის პროცესს? – ის ფაქტი, რომ >ბეგრათა მუდერი თანმიმდევრობა< დროთა განმავლობაში იცვლება, რომ, მაგალითად, >fraxinus< ასწლეულების შემდეგ >frêne<-დ იქცევა, როგორც წმინდად ენათმეცნიერული დაკვირვება, სულაც არ არის ახალი და

⁵³ Cf. CLG/E (I), გვ. 273, N 12, Nr. 1950.

⁵⁴ შდრ. ასევე ტექსტები, გვ. 393

⁵⁵ უკვე არაერთხელ აღინიშნა თვით სოსიურის მიერაც, რომ მისი ტერმინოლოგია მერყევი და, შესაბამისად, საყოველთაო სიტყვათხმარებაში დაუზუსტებელია: მონაკვეთები, სადაც ის »სიმბოლოსა« და »სიმბოლოს ფონეტიკურ მხარეს« სინონიმებად იყენებს, უპირისპირდება მონაკვეთები, სადაც ამ ორი სიდიდის აზრობრივ გამოიჯნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. შდრ. ასევე: LTS, S. 45 ან S. Bouquet: »La sémiologie linguistique de Saussure: une théorie paradoxale de la référence?«, *Langages* 107, Paris 1992, S. 87 ff. შდრ. ასევე სოსიურის *Notes item*, რომლებშიც ის ცდილობს ისეთი ნეოლოგიზმების არსი განსაზღვროს, როგორიცაა *sème, parasème, aposème, intertôme, some, contre-sôme, antisôme, parasôme* და ამახ მიუდგეს არა მხოლოდ როგორც ტერმინოლოგიურ პრობლემას (ტექსტები, გვ. 358 ff.).

ორიგინალური. მაგრამ თუ გადაცემის პროცესის მეშვეობით არა მარტო >ბგერათა მუდერი თანმიმდევრობა<, არამედ >უამრავ შემთხვევაში< >თვით წარმოდგენაც< შეიცვლება – ანუ ის, რაზეც ხმოვანთა თანმიმდევრობა მიგვითითებს, მაშინ, ენობრივი ცვლილების ფენომენიდან გამომდინარე, ნათელი გახდება, თუ რა მნიშვნელოვანი შედეგების მომტანია >სიმბოლოთა თეორია<: ენობრივ სიმბოლოებს, როგორც >პირველ აუცილებელ საწყისს, შეუძლია ჰქონდეთ არა მხოლოდ სიმბოლოს მიღმა არსებული შინაარსობრივი ობიექტი<, ვინაიდან ეს რომ ასე ყოფილიყო, ეს სიმბოლოები გადაცემის პროცესის შემდეგაც არ შეიცვლებოდნენ, რადგან ეს პროცესი >სიმბოლოს მიღმა არსებულ ობიექტს< არ ეხება. ის, რაც საუბრის დროს გადაიცემა, ანუ >ერთიდან მეორეს გადაცემა< და თან ცვლილებებს განიცდის, სულაც არ არის >სიმბოლოს მიღმა არსებული ობიექტი<, არამედ მხოლოდ სიმბოლო ან უფრო ზუსტად, >ბგერათა მუდერი თანმიმდევრობა<. იმისათვის, რომ სიმბოლოების ცვლილებები, რომლებიც გადაცემის პროცესში წარმოიქმნებიან, არ დაგვავიწყდეს, უნდა მოხდეს >უპირატესად იმ ობიექტების< სიმბოლოს ამოხსნა, რომლებსაც ეს პროცესი არ ეხება.

ენის ცვლილებების სემიოტიკური მნიშვნელობა მდგომარეობს დროში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი სიმბოლოსა და ობიექტს შორის კავშირს, ანუ კავშირს >* – a<, რომელიც ფილოსოფიური >სიმბოლოთა თეორიის< ყურადღების ცენტრშია⁵⁶ – უარყოფს და ამის ნაცვლად ყურადღებას ამახვილებს სიმბოლოებს შორის კავშირებზე – ერთი სიტყვით, ისეთი ტიპის კავშირებზე, როგორცაა >a – b – c<.

ის ფაქტი, რომ სოსიური >ენის კვლევის მეშვეობით< >სიმბოლოს სრულიად ახალი მხარის აღმოჩენის< იმედით >a – b – c< ტიპის კავშირებს ენისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ მიიჩნევა, ამ თავში თანმიმდევრულად იქნება წარმოდგენილი. მაგრამ ერთი რამ წინასწარ უნდა ვახსენოთ: აქ, რა თქმა უნდა, იმის მტკიცებას არ დავიწყებთ, რომ სიმბოლოსა და ობიექტს შორის კავშირები თეორიულად უმნიშვნელოა და რომ მათ კონკრეტულ სიტყვათხმარებაში არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. მაგრამ, სოსიურის თანახმად, ეს კავშირები, როგორც პირველადი, >სიმბოლოს აუცილებელი საფუძველი<, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ანგარიშს ვუწვეთ იმას, რომ სიმბოლოები ენების გადაცემის პროცესის მეშვეობით იცვლებიან. შეიძლება ასეც ვთქვათ: მართალია, სიმბოლოებს შეუძლია ობიექტებზე მიგვითითოს, მაგრამ იმისთვის, რომ მათ სიმბოლოებზე მითითება შეძლონ, ისინი უნდა გადაიცეს, რადგან მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობენ, თუ >ცირკულაციის< ში ხვდებიან<. და კვლავ ცირკულირება მხოლოდ მაშინ შეუძლიათ სიმბოლოებს, თუ ისინი აღარ არიან დამოკიდებული ობიექტებზე, რომლებზეც

⁵⁶ ამ ტრადიციის მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს შემდეგი ორი პასაჟი გ. ფრეგის თხზულებიდან “შინაარსისა და მნიშვნელობის შესახებ”: უნდა განვასხვავოთ სიმბოლოს მნიშვნელობა და შინაარსი მასთან დაკავშირებული წარმოდგენისაგან. თუ სიმბოლოს მნიშვნელობა *შინაარსობრივად აღქმადი ობიექტია*, მაშინ ჩემი წარმოდგენა მის შესახებ იქნება, ერთი მხრივ, ჩემს მიერ არსებული შეგრძნებების მოგონებებისა და, მეორე მხრივ, ჩემს მიერ განხორციელებული შიდა და გარე საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი შინაგანი სურათი. [...]

საკუთარი სახელის მნიშვნელობა არის თვით ის ობიექტი, რომლითაც ჩვენ მას აღვნიშნავთ: წარმოდგენა, რომელიც მის შესახებ გვაქვს, სავსებით სუბიექტურია: მათ შორის არის შინაარსი, რომელიც წარმოდგენის მსგავსად სუბიექტური არ არის, მაგრამ არც თვით ობიექტია. შემდგომი აღგვორია, ალბათ, გამოდგება საიმისოდ, რომ ამ გარემოებებს ნათელი მოფინოს. ვილაც მთვარეს ტელესკოპით აკვირდება. მე პირადად მთვარეს თვით მნიშვნელობას ვადარებ; ის დაკვირვების ობიექტია, რომელიც გადაიცემა რეალური სურათის მეშვეობით, რომელიც ტელესკოპის შიგნით ობიექტივის მინაში მიიღება, დამკვირვებლის თვალის ბადურის მეშვეობით» (G. Frege, *Funktion, Begriff, Bedeutung*, Göttingen 1962, გვ. 43 და 44f., დანაკოფები დართული აქვს).

ისინი მიუთითებენ. ის ფაქტი, რომ სიმბოლოები ცირკულირებენ და შესაბამისად გადაიცემა იმ ობიექტებისგან იზოლირებულად, რომლებზეც ისინი მიგვიითითებენ, ენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, მაგრამ რადგან ასეა, საფუძვლიანად უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან სიმბოლოებისა და იმ ობიექტების მწკრივები, რომლებზეც მიანიშნებენ. ან, უფრო ზუსტად: იმისათვის, რომ არ დაგვაფიქვდეს ენების გადაცემის პროცესი, სიმბოლოების მწკრივი უნდა განვსაზღვროთ როგორც ობიექტებისა და საგნების მწკრივისგან განსხვავებული მწკრივი, რომელიც საკუთარ კანონებს ექვემდებარება.⁵⁷

ენის პერმანენტული პირობები

სემიოტიკური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც სოსიური ენას დამოუკიდებელ წესრიგად მიიჩნევენ, არის სიმბოლოების შემთხვევითობა. როგორც ეს კურთან არის აღნიშნული, «სიმბოლოთა შემთხვევითობის პრინციპს – l'arbitraire du signe – არავინ უგულებელყოფს»⁵⁸. ამით ნათქვამია, რომ ამ პრინციპის «აღმომჩენი» არ არის სოსიური, როგორც ამას შეცდომით და გამარტივების მიზნით ირწმუნებიან ხოლმე. სოსიურის ორიგინალობა არის ის, თუ როგორ ახდენს ის სიმბოლოთა შემთხვევითობის პრინციპის წვდომას, პრინციპისა, რომელიც, სულ მცირე, არისტოტელეს⁵⁹ და, უფრო მეტიც, პლატონის⁶⁰ აზროვნების ტრადიციებიდან მომდინარეობს და შემდგომ მის ინტერპრეტირებას ახდენს.⁶¹

⁵⁷ როგორც ჩანს, ეს ჯეროვნად არ შეუფასებიათ ლაგადოს აკადემიის პროფესორებს, რომლებსაც გულივერი შორეულ ქვეყნებში მესამე მოგზაურობის დროს შეხვდა. თავიანთი მშობლიური ენის გაუმჯობესების მცდელობის მიზნით, პროფესორებმა გადაწყვიტეს, დაუფიქრებლად ამოეღოთ სიტყვები ხმარებიდან. როგორც ისინი ასაბუთებდნენ, «სიტყვები მხოლოდ საგნების სახელებია... ყველასათვის უფრო ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო ისეთი საგნების თან ტარება, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო, რათა გამოეხატათ გარკვეული მოსაზრებები, რომლის შესახებაც მათ საუბარი სურდათ.» როგორც გულივერი შემდგომ იუწყება, ლაგადოს პროფესორების ამ მცდელობას მძიმე შედეგები მოჰყვა: «ბევრი მწიგნობარი და ჭკვიანი ადამიანი იმ გეგმის განხორციელებას შეუდგა, რომ აზრები საგნების მეშვეობით გამოეხატათ. ამ გეგმას მხოლოდ ერთი ხარვეზი აქვს. თუ საკითხი, რომელსაც საქმე ეხება, მოცულობითი და დიფერენცირებულია, თავს ვაღდეზულად თვლიან, საგნების შედარებით დიდი რაოდენობა თან ატარონ, რაც საჭიროს ხდის ერთი ან ორი ღონიერი მსახურის გამცილებლად ყოლას. ხშირად მხვდებოდა ამ ბრძენთაგან ორი, რომლებიც საგნების ტვირთის სიმძიმისგან ღამის ეცემოდნენ, როგორც ჩვენთან წვრილმანით მოვაჭრეები. ისინი, როგორც წესი, ქუჩაში შეხვედრისას ტვირთს იხსნიდნენ, ტომარას ხსნიდნენ და ერთი საათის განმავლობაში საუბრობდნენ შემხვედრთან. ამის შემდგომ ისინი კვლავ ალაგებდნენ თავიანთ კუთვნილებას, ეხმარებოდნენ ერთმანეთს ბარგის მოკიდებაში და ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს» (J. Swift: *Gullivers Reisen*, zitiert nach der Übersetzung von H. J. Real und H. J. Vienken, Stuttgart 1987, Dritter Teil, »Eine Reise nach Laputa, Balnibarbi, Glubbudubrib, Luggnagg und Japan«, გვ. 240 und გვ. 241).

⁵⁸ GRF, გვ. 79; CLG/D, გვ. 100; CLG/E (I), გვ. 153, Nr. 1125.

⁵⁹ შდრ. ასევე Coseriu 1968, გვ. 81-112; და პირველ რიგში ა. შერველის შესანიშნავი კვლევა »Le débat sur l'arbitraire du signe au XIX siècle«, *Romantisme* 25-26, 1979, გვ. 3-33.

⁶⁰ ამ პრინციპის პლატონისეული წარმომავლობის შესახებ რ. იაკობსონმა მიუთითა თავის თხზულებაში »ენის არსის ძიება« (in Jakobson 1988, გვ. 82). შდრ. ასევე G. Genette: *Mimologiques. Voyage en Cratylicie*, Paris 1976, ასევე ევროპის გარეთ არსებული (განსაკუთრებით ინდური) სემიოტიკური ტრადიცია, A.Rey: *Théorie du signe et du sens. Lectures*, I, Paris 1973, გვ. 45-62, »La parole indienne«, und Auroux 1989 ff., Bd. I, გვ. 243 ff.

⁶¹ ამ დასკვნამდე მიდის ასევე აქამდე სოსიურის სიმბოლოთა შემთხვევითობის კონცეფციის შესახებ ყველაზე მოცულობითი ნაშრომი, რ. ენგლერსის »Théorie et critique d'un principe saussurien: L'arbitraire du signe« (in: CFS 19, 1962, გვ. 5-66), რომელშიც დეტალურად არის აღწერილი სოსიურის კრიტიკოსების მიმოხილვა. იხილეთ ასევე C. Normand: »L'arbitraire du signe comme phénomène de déplacement«, in: *Dialectiques* 1-2, 1973, გვ. 109-126.

ყველაზე მკაფიოდ სოსიურის სიმბოლოთა შემთხვევითობის კონცეფცია და მისი სემიოტიკური შედეგები გადმოცემულია უითნისადმი მოსაგონარი წერილის ესკიზის იმ პასაჟში, სადაც სოსიური სულ პირველად ახსენებს და განიხილავს ამ პრინციპს:

მხოლოდ ერთი დარღვევა არსებობს [].

როცა საქმე სამოსს ან []-ს ეხება, ეს ყოველთვის ბუნებრივია <საგანი, რომელიც უპირატესობას მოიპოვებს ექსტრავაგანტულობის გამო და რომელიც დროის გასვლის შემდეგაც პირველობას ინარჩუნებს>, ყველა ცვლილების მიუხედავად წესად რჩება. ამის საპირისპიროდ ენა [>langage<] სრულიად გათავისუფლებულია მეთოდების გამოყენების ჩარჩოებიდან, რათა მან შეასრულოს <ამოცანა>, რომელსაც მას ადამიანთა ესა თუ ის ინსტიტუციები <აკისრებენ>. ამიტომ [] შორის <მისწრაფების> პრინციპული უქონლობა რადიკალურია, არა მხოლოდ ის, რაც უმცირეს ნიუანსებს შეიცავს, არამედ ენა [>langage<] მუდმივად ცვალებად და გარკვეული მიზნისკენ მიმართულ, ადამიანის მიერ შესწორებულ და მიზანმიმართულ წესებს გულისხმობს.

ეს არის მიზეზი, რომელიც სხვებს კარნახობს []⁶²

ოჯახის ინსტიტუცია, <სავარაუდოდ>, მონოგამიური ფორმით უფრო გონივრულია, ვიდრე პოლიგამიური ფორმით. ეს საკითხი ფილოსოფიური თვალსაზრისით შეგვიძლია განვიხილოთ. მაგრამ რომელიმე სიმბოლოს ინსტიტუცია, მაგალითად, *σ* ან *s* ან *cow* ან *vacca*, იმისათვის, რომ აღვნიშნოთ წარმოდგენა ძროხის [>vache<] შესახებ, თვით უგუნურებას ეფუძნება; ანუ რომ არ არსებობს საგნების <და მათი თანხვედრის [>convenance<]> გონივრული მიზეზი ბუნებაში [>raison<], რომელიც რომელიმე მომენტში ჩაერთვებოდა, <იქნებოდა ეს> []-ის მისაღებად თუ მის შესაჩერებლად [>supprimer<].⁶³ სწორედ იმ ფაქტის გამო, რომ <ენაში [>langue<] შინაგანი კორელაციის მხოლოდ ერთ კვალს> მივეყვართ ~~თანხვედრად~~ ფონეტიკურ სიმბოლოებსა და წარმოდგენას შორის, ეს სიმბოლოები, ერთი მხრივ, თავიანთ მატერიალურ ცხოვრებაზე უარს ამბობენ და ისინი საერთოდ უცნობია ისეთ სფეროებში, რომლებშიც გარეგნული ფორმა მხოლოდ ოდნავ არის მიმართული <ბუნებრივი კავშირის შესახებ> წარმოდგენისკენ. ისინი <საზოგადოების ისტორიიდან> ჩვენთვის ცნობილი <სხვა> სფეროებია და ამიტომაც ამ სფეროების მიხედვით მცდარ დასკვნებს ვაკეთებთ იმის შესახებ, თუ რომელი უნდა იყოს ენის [>langage<] ძირითადი პირობა, რომლის მეშვეობითაც ჩვენ დავადგენთ, რომ მათ არ შეუძლიათ საფუძვლიანად გამოირჩეოდნენ სხვა ~~საზოგადოებრივი (სოციალური)~~ ინსტიტუციებისაგან.⁶⁴

სოსიური აქ ორ თეზისს წარმოგვიდგენს: რადგან ენობრივი სიმბოლოების შერჩევა შემთხვევით ხდება, ენა – პირველ რიგში – განსხვავდება იმ სხვა >~~საზოგადოებრივი (სოციალური)~~ ინსტიტუციებისაგან⁶⁵ და, მეორე მხრივ, ენა, თავისი სიმბოლოების შემთხვევითობის გამო, გაურბის >ადამიანის მიერ შესწორებად და გარკვეული მიზნისკენ მიმართულ წესს<.

ეს თეზისები პროვოკაციულია და მათი გაგება საკმაოდ რთულია. მოსაზრება, რომ სხვა >~~საზოგადოებრივი (სოციალური)~~ ინსტიტუციების< შემთხვევაში ბოლო დროს სულ უფრო უპირატესი ხდება საგნების ბუნებრივი დამოკიდებულება<, აუცილებლად უნდა დაკონკრეტდეს.⁶⁶ მაგრამ, უპირველეს

⁶² Cf. CLG/E (I), გვ. 168, N 10, Nr. 1262.

⁶³ Cf. CLG/E (I), გვ. 162, N 10, Nr. 1210.

⁶⁴ Cf. CLG/E (I), გვ. 169, N 10, Nr. 1268.

⁶⁵ ენის ამ შეუდარებლობისა და განსაკუთრებულობის შესახებ სოსიური კვლავაც მიგვიითოებს. შლდ. ასევე ტექსტები, გვ. 242 f., 250 f., 302 f., 310 ff., 377, 384, 404.

⁶⁶ ამგვარად ფორმულირებული ეს მოსაზრება, სავარაუდოდ, არა მხოლოდ ეთნოლოგების უკმაყოფილებას გამოიწვევს. თუმცა მომდევნო პასაჟში ნათელი ხდება, თუ რის შესახებ საუბრობს აქ სოსიური: »სხვა ინსტიტუციები სინამდვილეში <თითოეული მათგანი სხვადასხვა ხარისხით ბუნებრივ დამოკიდებულებებს <ეფუძნებიან>, რათა საბოლოო პრინციპად მიიღონ საგნებს შორის <თანხვედრა>. მაგალითად, რომელიმე ერის სამართალი ან პოლიტიკური სისტემა ან თვით ჩაცმის მოდა, <თვით ცვალებადი მოდა, რომელიც ჩაცმულობას გვკარნახობს, რომელსაც ადა-

ყოვლისა: მაშინაც კი, როცა სიმბოლოებს >გარეგნულად გამოხატული ფორმა არ აქვთ< და როცა ისინი >საგნების ბუნებრივი დამოკიდებულებით< არ აიხსნება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი >უგუნურებაზეა დამყარებული<. ეს უფრო კონვენციაა, როგორც მას ასაბუთებენ, – სოციალური შეთანხმება, რომელიც სხვა >საზოგადოებრივ ინსტიტუციებთან< შედარებით სრულიად გონივრულია, რომელიც ბგერათა თანმიმდევრობისა და წარმოდგენის ურთიერთკავშირს აწესრიგებს.

თუმცა, როგორც სოსიურმა კვლავ გვიჩვენა, ამ დასკვნას მექანიზმის შესახებ დამაკმაყოფილებელ სურათთან – ენის >სიცოცხლესთან< არ მივყავართ, და არა იმიტომ, რომ >თავდაპირველი ხელშეკრულების< წარმოდგენაში ენების გადაცემის პროცესი არადამაკმაყოფილებლად არის ასახული.

ამ წარმოდგენის შესახებ სოსიურის კრიტიკის დასკვნით შეჯამებას გვთავაზობს ა. რიდლინგერის 1908 წლის 16 ნოემბრის ლექციის ჩანაწერები:

შევიცნობთ რა, რომ სიმბოლო თავისი სოციალური ღირებულებით და სოციალური არსით უნდა განვიხილოთ, ვცდილობთ, პირველ რიგში ის დავიცვათ, რაც ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული; და ჩვენს რწმენაში იმ ასპექტით შემოვიფარგლებით, რომ ყველაზე მთავარს ჩავწვდით. აქედან გამომდინარეა, რომ ვსაუბრობთ ენის [>langue<], როგორც შეთანხმების, კონვენციის შესახებ.⁶⁷

ყველაზე საინტერესო, რაც სიმბოლოში უნდა გამოვიკვლიოთ, ის მხარეებია, რომლებიც ჩვენს ნებას გაუზიან. აქ გვაქვს მისი ჭეშმარიტი სფერო, რადგან ჩვენ მისი შემცირება არ შეგვიძლია.

მაშასადამე, ენას [>langue<] მე-18 საუკუნის ფილოსოფოსების მგავსად განვიხილავთ, როგორც კანონმდებლობას [>législation<], რომელიც თითქოს ჩვენს ნებაზე იყოს დამოკიდებული; მაგრამ ენა [>langue<], რომელიც უფრო მეტია, ვიდრე კანონმდებლობა, უფრო მეტად გადატანილი უნდა იყოს, ვიდრე შექმნილი. უკეთ რომ ვთქვათ: თუ იარსებებს სფერო, რომელშიც კანონმდებლობა კანონად მოგვეკვლინება, რომელსაც კი არ შევქმნით, არამედ გავავრცელებთ, ეს იქნება ენის [>langue<] სფერო.⁶⁸

ენაში [>langue<] ინიციატივების მხოლოდ მინიმალური რაოდენობა არსებობს.⁶⁹

რეალურად არ არსებობს მომენტი – როგორც წარმოდგენა, რომელშიც სიმბოლოების შესახებ შეთანხმება მოხდება. და თუ ის იარსებებდა, იგი უზღვევებელყოფილი იქნებოდა ენის [>langue<] სისტემატური არსებობის მხრიდან. ენების [>languages<] წარმოშობის საკითხს სულაც არ აქვს ის მნიშვნელობა, რომელსაც მას ანიჭებენ. ასეთი საკითხი საერთოდ არ არსებობს.

(ამ საკითხის დასმა აზრს მოკლებულია!) გენეზისის მომენტს, როგორც ასეთს, ვერ შევვებით: მას ვერ ვხედავთ. თავდაპირველი ხელშეკრულება ემთხვევა იმას, რაც ენაში [>langue<] ყოველდღიურად ვითარდება, ასევე ენის [>langue<] პერმანენტულ პირობებს: თუ თქვენ ენაში [>langue<] ახალ სიმბოლოს ჩაამატებთ, ამით სხვა სიმბოლოების მნიშვნელობას დააკნინებთ და, პირიქით, თუ თავიდან მხოლოდ ორ სიმბოლოს ავირჩევთ, შეუძლებელიც რომ იყოს, ყველა მნიშვნელობა ამ ორ სიმბოლოზე გადანაწილდება. ერთი მათგანით მოხდებოდა ერთი ნაწილის, ხოლო სხვა სიმბოლოს მეშვეობით – ობიექტების მეორე ნახევრის აღნიშვნა.⁷⁰

შეთანხმების შესახებ მოსაზრება სხვა მოსაზრებებთან⁷¹ არ განსხვავდება და თუ ამ საკითხს დაუთმობთ დროს, მთავარი საკითხი უყურადღებოდ დაგვრჩება:

მიანის სხეულის პროპორციების მოცემულობისგან დამოუკიდებლად ვერც ერთ მომენტში ვერ განვიხილავთ» (cf. CLG/E (I), გვ. 168, N 10, Nr. 1261).

⁶⁷ Cf. CLG/E (I), გვ. 51, II R 19, Nr. 309-311.

⁶⁸ Cf. CLG/E (I), გვ. 159, II R 20, Nr. 1183.

⁶⁹ Cf. CLG/E (I), გვ. 164, II R 20, Nr. 1230.

⁷⁰ Cf. CLG/E (I), გვ. 160, II R 20, Nr. 1191.

⁷¹ Cf. CLG/E (I), გვ. 159, II R 21, Nr. 1182.

1. ის ფაქტი, რომ სიმბოლოთა ისეთი სისტემა, როგორცაა ენა [>langue<] ერთი თაობიდან მომდევნო პასიურად გადაეცემა (სიმბოლოთა ეს სისტემა უნდა შევავასოთ როგორც მოფიქრებული აქტი, ენის [>langue<] აქტიური ჩარევა);

2. ის ფაქტი, რომ სიმბოლოთა სისტემას ნებისმიერ შემთხვევაში ექნება თვისება, რომ ერთიდან მეორეს გადაეცეს [>se transmettre<] იმ პირობით, რომ მათ არანაირი კავშირი არ ექნებათ იმ სიმბოლოებთან, რომლებიც თავისთავად ჩამოყალიბდნენ (თუ ვაღიარებთ, რომ ეს მხოლოდ ნების შედეგია, როგორც, მაგალითად, ესპერანტო).

ენა [>langue<] იმ იხვს წააგავს, რომელიც ქათმისგან გამოიხეკა!⁷²

პირველი მომენტი ასე შეუმჩნევლად ვერ ჩაივლის, ენა [>langue<] მის სემიოლოგიურ ცხოვრებაში იჭრება და უკან აღარ ბრუნდება: ის კვლავ გადაიცემა [>se transmettra<] იმ კანონების თანახმად, რომლებსაც მისი შექმნის დროს საჭირო კანონებთან არაფერი აქვთ საერთო.⁷³

3. იმით, რომ იგი ერთიდან მეორეს გადაეცემა [>en se transmettant<], ეს სისტემა თავისი არსით იცვლება, რაც სიმბოლოების აზროვნებასთან დამოკიდებულებას ცვლის. ეს ყველაფერი სიმბოლოთა თითოეულ სისტემას ეხება.⁷⁴

>თავდაპირველი ხელშეკრულების< შესახებ წარმოდგენა სოსიურისთვის იმიტომ არის მიუღებელი, რომ მასში წინაპირობად ერთი მომენტია ჩადებული, რომელშიც მეტყველ სუბიექტებს თავად შეუძლიათ გადაწყვიტონ და ყოველ ჯერზე თვითონ განსაზღვრონ, თუ რას ნიშნავს ესა თუ ის სიმბოლო. ვინც ამგვარად – >მე-18 საუკუნის ფილოსოფოსების მსგავსად< – პაექრობს, უარყოფს და არ აღიარებს, რომ ენა თავისთავად გულისხმობს ხელშეკრულების დადებას, ანუ სახელშეკრულებო შეთანხმებაზე მოლაპარაკებას. რასაც ენის წარმოშობის ძიებისას უნებურად ვაწყდებით, არის არა რომელიმე ხელშეკრულება, არამედ სხვა ენა, რომელიც პირველის »წარმოშობის« მომენტში უკვე არსებობდა.

ამით გამოირჩევა მეორე საზღვარი, რომელიც სემიოტიკამ უნდა დაიცვას და რომელიც ცდილობს კონკრეტული ენების არსებობას ანგარიში გაუწიოს: ენობრივი სიმბოლოების ფიქსირება შესაძლებელია არა მხოლოდ >წინასწარ მოცემული ობიექტების< მეშვეობით. ასევე შეუძლებელია იმ მომენტის დაშვება, რომელშიც სიმბოლოთა შემთხვევითობა იმით შეიძლება შევამსუბუქოთ, რომ იგი ნებაყოფლობითი და, შესაბამისად, გონივრული შეთანხმებით აიხსნება. ვინც ამ მეორე საზღვარს არ აღიარებს, >უარყოფს მთავარს<, კერძოდ კი იმ შეხედულებას, რომ >თავდაპირველი შეთანხმება ემთხვევა იმას, რაც ყოველდღიურად ენაში ვითარდება, ასევე ენის პერმანენტულ პირობებს<. ეს ფორმულირება, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ზუსტად აღნიშნავს ენის იმ >სფეროებს<, რომელთა >შემცირება ჩვენ აღარ შეგვიძლია<.⁷⁵

⁷² Cf. CLG/E (I), გვ. 170, II R 21, Nr. 1275.

⁷³ Cf. CLG/E (I), გვ. 170, II R 21, Nr. 1274.

⁷⁴ Cf. CLG/E (I), გვ. 54, II R 21, Nr. 335.

⁷⁵ ამ სფეროს საზღვარი სოსიურმა ეტიმოლოგიის თავის დეფინიციისთვის ზუსტად აღწერა: »ეს დაკვირვებები საშუალებას გვაძლევს, ჩავუღრმავდეთ სიტყვა ეტიმოლოგიის მნიშვნელობას. იმის თქმის მაგივრად, რომ ეტიმოლოგია >სიტყვის წარმოშობის ძიებაა<, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი ერთი სიტყვის სხვა სიტყვებთან მიმართებების კვლევაა. რაც აქედან ზუსტად გამომდინარეობს, იგი არის >სიტყვის განმარტება<. ფაქტობრივად, ეს >განმარტება< ცნობილი ფაქტით აიხსნება. და ენობრივ/ლინგვისტური პირობების შემთხვევაში ცნობილი ფაქტებით ახსნა ნიშნავს სხვა სიტყვებით ახსნას [...] « (cf. CLG/E (I), გვ. 433, Br 3, Nr. 2839). იმდენად, რამდენადაც ის აქ ფორმულირებული საზღვრების შესახებ პოზიციებიდან გამოდის, კამათი რეალისტებსა და ნომინალისტებს შორის სოსიურისთვის ცენტრალური სემიოტიკური პრობლემის გარეშე მიმდინარეობს. მე-13 და მე-14 საუკუნეების, შესაბამისად, მე-18 და მე-19 საუკუნეების რეალისტებსა და ნომინალისტებს, ბუნებრიობის ქომაგებსა და სიმბოლოების კონვენციურობის დამცველებს, მათი ზედაპირული ანტაგონიზმის მიუხედავად, ერთმანეთთან აკავშირებს ის, რომ ისინი ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ენას დამოუკიდებელ, საკუთარ დინამიკაზე დამოკიდებულ წესრიგად არ განიხილავენ.

მოსაზრება, რომ >არსებითის< წარმოშობის ძიებას >ენის პერმანენტული პირობები< უკვალავს გზას, გარკვეულწილად, ჟენევის გამოსვლის ლექციების ხელნაწერებშია ფორმულირებული. ცოტა ხნის შემდეგ სოსიურმა აღნიშნა, »რომ <დედამიწაზე> არასოდეს იარსებებს სხვა რამ, ვიდრე ენა არსებობას განაგრძობს, <რომელიც წინა დღესაც არსებობს> და რომელიც იმის <წინა დღეს არსებობს, სანამ <მართლაც> პრეისტორიული ეპოქის ამოუცნობ დამეს მივადგებით>«.76 იმდენად, რამდენადაც თითოეული ენა იმ სხვა ენის >გაგრძელებაა<, რომელიც >წინა დღეს< არსებობდა, რამდენადაც შეუძლებელია მისი არსებობა სხვაგვარად, ვიდრე იმის გადაცემა, რაც >უკვე წინა დღეს არსებობდა<, აქედან გამომდინარე, ენებში არსებობს »აბსოლუტური უწყვეტობა«.77 »უწყვეტობის პრინციპი«, როგორც სოსიურმა აქვე აღნიშნა, არის ადამიანთა მეტყველების გადაცემის »<პირველი ნიშანი ან პირველი კანონი> [>la première loi à la transmission du parler humain<]« 78 – და ამ >აბსოლუტური უწყვეტობის < გამო79 ენები > უფრო მეტად განცდილი უნდა იყოს, ვიდრე შექმნილი<. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი გადაცემის პროცესში არ უნდა შეიცვალონ. მართალია, ენებში არასოდეს იქნება »ქმნილება ex nihilo«80, თუმცა როგორც ტრანსფორმაცია81 იმისა, რაც უნდა გადაიცეს: »ყველაფერი გარდაქმნას ექვემდებარება«82 – მაგრამ »ყოველი განახლება მხოლოდ ელემენტების სხვა სახით გამოყენება იქნება, რომელიც წინა ენის მდგომარეობიდან [>état de langage<] მომდინარეობს«.83 ან სხვაგვარად რომ ვთქვათ:

<როცა ახალი ფორმები გვევლინება,> ყველაფერი [...] არსებული ფორმების დეკომპოზიციისა და ახალი ფორმების რეკომპოზიციისკენ მიემართება იმ მასალების დახმარებით, რომლებიც პირველად გადაიცემოდა.84

თუმცა ყველაზე ზუსტად გერმანული ლეგენდების შესახებ სოსიურის ჩანაწერშია გადმოცემული, თუ რა დგას აქ სემიოტიკური საფრთხის ქვეშ:

76 Cf. CLG/E (II), გვ. 11, N 1.3, Nr. 3285, დართული აქვს ავტორისეული შენიშვნები. სხვა საათებთან მიმართებაში გამოთქმული მსგავსი ფორმულირებებიდან მხოლოდ შემდეგი მოსაზრების ციტირება გვსურს, რომელშიც სოსიური ამ მოსაზრების კაპიტალურ სემიოტიკურ შედეგს უსვამს ხაზს: »ერთი წამი დაფიქრებაც საკმარისია, <რადგან> ამ მარტივ დაკვირვებაში ყველაფერია მოცემული: თითოეული ინდივიდი მომდევნო დღესაც იმავე <ენაზე> საუბრობს, რომელზეც წინა დღეს, <და ეს ყოველთვის ასე ხდებოდა>. [...] არასოდეს მომხდარა, რომ საფრანგეთის <მცხოვრებლებს> ერთ დღეს გადაეიჭებოდათ და ეთქვათ bonjour ფრანგულად, მას შემდეგ, რაც წინა საღამოს დაიძინეს და ამბობდნენ serb-ს.

არ არსებობს ისეთი რამ, რომლის სრულყოფილ გაიგივებას შეუძლებლით ენასთან [>langue<], რომელიც ძალიან კომპლექსური იქნებოდა, ახლა კი ყველა შედარებას და სურათს, რომელსაც ჩვეულებისამებრ ვიყენებთ, როგორც წესი, იმ შეხედულებამდე მივყავართ, რომ ისინი, ამა თუ იმ თვალსაზრისით, მცდარია» (cf. CLG/E (II), გვ. 6, N 1.1, Nr. 3283, დართული აქვს ავტორისეული შენიშვნები).

77 Cf. CLG/E (II), გვ. 16, N 6, Nr. 3292.

78 Cf. CLG/E (II), გვ. 6, N 1.1, Nr. 3283.

79 შდრ. ამასთან ასევე ტექსტები, გვ. 302.

80 Cf. CLG/E (II), გვ. 9, N 1.2, Nr. 3284.

81 »არსებობს ტრანსფორმაცია და კვლავ და კვლავ ტრანსფორმაცია, მაგრამ არსად არ არსებობს ახალი <ენობრივ/ლინგვისტური> არსის <რეპროდუქცია ან პროდუქცია>, რომელსაც <გამორჩეული> არსებობა ექნებოდა იმისგან, რაც მას წინ უსწრებდა და რაც მის შემდგომ იქნება» (cf. CLG/E (II), გვ. 8, N 1.2, Nr. 3284).

82 Cf. CLG/E (II), გვ. 16, N 6, Nr. 3292.

83 Cf. CLG/E (II), გვ. 9, N 1.2, Nr. 3284.

84 Cf. CLG/E (I), გვ. 419, N 7, Nr. 2779; კურის ნაშრომებში ეს მოსაზრება უფრო ზუსტი სურათის სახითაა წარმოდგენილი: »ენა [>langue<] არის სამოსი, რომელიც იმავე ნაჭრის გამჭვირვალე ქსოვილისგანაა დაკეპილი» (GRF, გვ. 205; CLG/D, გვ. 241; CLG/E (I), გვ. 394, Nr. 2616).

ენის [>langue<], ისევე როგორც ლეგენდის, ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ ორივე მათგანი განწირულია მხოლოდ იმ ელემენტებისგან შექმნან, რომლებიც უკვე მათ წინაშეა და რომელთაც ნებისმიერი მნიშვნელობა აქვთ, რომ ისინი გააერთიანოს და გამუდმებით ახალი მნიშვნელობა მისცეს.⁸⁵

სიტყვათა ფასეულობა

თუ ენებში >ყველაფერი გარდაქმნას ექვემდებარება, <თუ> არ შეიძლება არსებობდეს მუდმივი, არამედ მხოლოდ გარდამავალი და დროში შეზღუდული მახასიათებლები<, ახლა უკვე ცხადი გახდა, რომ არც ენობრივი სიმბოლოებია მყარი სიდიდეები და რამდენადაც თავდაპირველად სიმბოლოების დამაკავშირებელი ხელშეკრულების შესახებ წარმოდგენა სემიოტიკისთვის, რომელსაც ენების გადაცემის პროცესში მთავარი ადგილი უკავია, ისევე გამოუსადეგარია, როგორც >წინასწარ მოცემული გარე ობიექტების< შესახებ ენობრივი სიმბოლოების უცვლელობის შესახებ წარმოდგენა. ენების მუდმივი ტრანსფორმაცია სემიოტიკური თვალსაზრისით გასაგებია, თუ სოსიურის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ ნებისმიერი განსხვავებული სიმბოლოები, რომლებიც ერთ რომელიმე ენაში თანაარსებობენ, ერთმანეთს განაპირობებს. თუ ზუსტად რას ნიშნავს ეს, კური მნიშვნელობით მსგავსი სიტყვების მაგალითზე გვიჩვენებს:

ერთი და იმავე ენის [>langue<] ფარგლებში ყველა სიტყვა, რომელიც შინაარსობრივად მსგავს წარმოდგენას გამოხატავს, ერთმანეთს ზღუდავს: სინონიმებს, როგორებიცაა *denken, meinen, glauben* თავიანთი სპეციფიკური მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ მათი ურთიერთმიმართების მეშვეობით; რომ არ არსებულებოდა სიტყვა *meinen*, მისი კონკურენტი სიტყვების მთელი შინაარსი დაიკარგებოდა.⁸⁶

ეს >ურთიერთმიმართება< გერმანულ ენაში მოიპოვება, რომელიც ზმნებს >*denken – meinen – glauben*< განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. თუ კ. ლომელი კურის ამ მონაკვეთის ფრანგულად თარგმნას შეეცდება, ნახავს, რომ ფრანგულ ენაში არ არსებობს ზმნის »*meinen*« მარტივი და პირდაპირი შესატყვისი, »*penser*« და »*croire*« ზმნების მნიშვნელობაც განსხვავებულია »*denken*«-ისა და »*glauben*«-ის მნიშვნელობებისაგან. და პირიქით, დამთხვევა სრულიადაც არ არის, რომ ლომელი თავის თარგმანში ფრანგულის ორიგინალ მაგალითს »*redouter, craindre, avoir peur*«⁸⁷ კი არ ეყრდნობა, არამედ კვლავაც გერმანულს, რადგან არც »*craindre – redouter*« ზმნების მარტივი და პირდაპირი შესატყვისი არსებობს. ის, რომ მაგალითების მთელი რიგის ერთიდან მეორე ენაში გადატანა შეუძლებელია, დამატებით ხაზს უსვამს, თუ რა არის აქ ზოგადად მთავარი: ენობრივი სიმბოლოები იზოლირებულად კი არ უნდა აღვწეროთ, არამედ იმავე ენის სხვა სიდიდეებთან კავშირში. და ამ პრინციპზე უნდა აიღოს ენათმეცნიერულმა სემიოტიკამ ორიენტაცია: პირველ რიგში, ის საკითხი კი არ უნდა გამოვარკვიოთ, თუ რომელი სიმბოლო რომელ ობიექტს უნდა მივაკუთვნოთ, არამედ უფრო მეტად ის საკითხი, თუ რომელ სხვა სიმბოლოსთან იმყოფება ეს სიმბოლო ურთიერთმიმართებაში.

სინონიმების რიგი >*denken – meinen – glauben*< შეგვიძლია >*a – b – c*< ტიპის მიმართებების თვალსაჩინოებად გავიაზროთ, რომელიც, სოსიურის თანახმად, >ენის ჭეშმარიტ ფიგურაციას< ქმნის: მიმართებები არა სიმბოლოსა და ობი-

⁸⁵ Cf. LEG, გვ. 307.

⁸⁶ GRF, გვ. 138; CLG/D, გვ. 160; CLG/E (I), გვ. 261, Nr. 1881.

⁸⁷ Ibid.

ექტს, არამედ სიმბოლოსა და სხვა სიმბოლოს შორის. ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ სოსიურის მეორე ლექციის ჩანაწერები მოწმობს, რომ მნიშვნელობით მსგავსი სიტყვების მაგალითი მოიცავს და მიზნად ისახავს სემიოტიკურ განზოგადებას, რასაც ეყრდნობა კურის შემდგომი პასაჟი:

ისინი [>ფსიქოლოგები, ფილოსოფოსები თუ მთელი საზოგადოება<] ენას [>langue<] განიხილავენ, როგორც ნომენკლატურას და ენობრივი ფასეულობების ურთიერთგანსაზღვრას მათი თანაარსებობით ხსნიან. ყველა სიდიდე ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია: ამგვარად, შესაძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რას ნიშნავს ფრანგულ ენაში judgement? მისი განსაზღვრა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მოცემულია ის, რის მიხედვითაც შეგვიძლია ვთქვათ, რა არის ის ან რა არ არის. ზუსტად ასევე ხდება, თუ მისი გადათარგმნა გვსურს სხვა ენაზე [>langue<]. აქედან გამომდინარეობს საჭიროება, რომ სიმბოლოს, სიტყვას სისტემასთან ურთიერთკავშირში დავაკვირდეთ. ასევე არსებობს craindre, redouter-ის სინონიმები ერთიმეორის გვერდით: craindre redouter-ის მთელი შინაარსით მდიდრდება მაშინ, როცა redouter არ არსებობს.⁸⁸

რასაც იგი >სინონიმების craindre redouter-ის< მაგალითით გვიჩვენებს (რომ ისინი >ერთიმეორის გვერდით არსებობენ<), სოსიურის თანახმად, ზოგადად, მთლიანი ენისთვის არის ძალაში: >ყველა სიდიდე ერთმანეთზე დამოკიდებული<. შესაბამისად, საუბარია არა იზოლირებული სიმბოლოების მიმართებაზე ობიექტებთან, რომელიც ენის, როგორც ნომენკლატურის კონცეფციის წინა პლანზეა წამოწეული, არამედ რომელიმე ენის >სისტემის< ფარგლებში სიმბოლოს >ფასეულობაზე<. >ფასეულობის< ცნება, რომელიც აქ პირველად შეგვხვდა, როგორც სემიოტიკური კატეგორია, როგორც სოსიური აღნიშნავს, ყოველთვის >სისტემის< ცნებასთან კავშირში უნდა განვიხილოთ, »რადგან თითოეული ფასეულობა ფასეულობათა სისტემას მოიცავს.«⁸⁹ ამის შესაბამისად, სიმბოლოებს გააჩნიათ ფასეულობა, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სიმბოლოები შეგვიძლია აღვწეროთ როგორც ბგერისა და მნიშვნელობის ფასეულობების კომბინაცია, რამდენადაც ისინი ერთ სისტემას ქმნიან. თუმცა რადგან ენობრივი სიმბოლოები, პრინციპულად, შემთხვევითია და ამით ბგერისა და მნიშვნელობის კომბინაცია, რომელიც ერთ სიმბოლოს ქმნის, სხვა არაფერს ემყარება თუ არა მათ ფასეულობას ენის სისტემაში, ენობრივი სიმბოლოები არასოდეს არის აბსოლუტური, არამედ მხოლოდ ფარდობითია, რაც დადგენილია იმავე სისტემის სხვა სიმბოლოებთან კავშირში. უფრო მეტიც: როცა სიმბოლოები თავიანთი თანაარსებობით ერთმანეთს განსაზღვრებენ (ამასთან, როცა ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობენ თუ ცირკულირებენ), ამ ენაში ერთმანეთის გვერდით თანაარსებობაში მყოფ სიმბოლოებს ჩაკეტილი სისტემის შექმნა არ შეუძლიათ, რამდენადაც განსაზღვრული სიმბოლოს ბგერისა და მნიშვნელობის ფასეულობათა კომბინაცია პრინციპულად არასტაბილურად და ცვალებად კომბინაციად გვევლინება. მართალია, ამგვარად პოულობს ენის უწყვეტი ტრანსფორმაცია თავის ზუსტ თეორიულ შესატყვისს. მიუხედავად ამისა, იმავდროულად, >სიმბოლოთა თეორია< უპირისპირდება მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც დაფარული რჩება, სანამ არ მოხდება ენის, როგორც სიმბოლოებიდან ობიექტებისკენ მიმართული კონვენციური თანმიმდევრობის გაგება.

უითნის მოსაგონარი წერილის ესკიზის ერთ-ერთ პასაჟში საგრძნობია ეს საკითხები, თუმცა მკვეთრად არ არის დასმული და რეფლექსიის ობიექტად დასახელებული. იქ სოსიური თავის ჩანაწერებში პირველად აკეთებს იმ მო-

⁸⁸ Cf. CLG/E (I), გვ. 50, II R 18, Nr. 302 – 303 შესაბამისად CLG/E (I), გვ. 261, Nr. 1881; დართული აქვს ავტორისეული შენიშვნები.

⁸⁹ Cf. CLG/E (I), გვ.177, N 23.6, Nr. 1317.

საზრების მონახაზს, რომ ენობრივი სიდიდეები ერთმანეთის თანაარსებობით განსაზღვრავენ ერთმანეთს და, შესაბამისად, >ქმნიან ფასეულობას<:

ენის სულ ბოლო კანონი [*la loi tout à fait finale du langage*] არის, <რამდენადაც ჩვენ ამის თქმას გავებდავთ,> რომ არ არსებობს ისეთი რამ, რაც ხანგრძლივად იარსებებს ტერმინში (ეს იმ გარემოების უშუალო შედეგია, რომ ენობრივ/ლინგვისტურ სიმბოლოებს არანაირი კავშირი არ აქვთ იმასთან, რისი აღნიშვნაც მათ ევალებათ), შედეგად **a**-ს არ შეუძლია, რაიმე აღნიშნოს **b**-ს დახმარების გარეშე (და აქედან გამომდინარე მხოლოდ იმდენად შეუძლია ეს, რამდენადაც **b**-მას ფასეულობას მიანიჭებს და პირიქით, იმგვარად, რომ არანაირი განსხვავება არ რჩება), **a**-ს დახმარების გარეშე; <ან> როცა ორივეს თავისი ფასეულობა გააჩნია იმით, რომ <ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ან> არც ერთ მათგანს არ გააჩნია, არც ერთ თავის ნაწილში (აქ »საფუძველს« ან მისთ. ვეულისხმობ) თავისი მნიშვნელობა, როგორც ამ კვანძში [*plexus*], სადაც მუდმივად ნევატიური სახესხვაობაა.⁹⁰ <გასაოცარია, მაგრამ> სად იქნებოდა <სინამდვილეში საპირისპირო შესაძლებლობა?> ალბათ იქ, <სადაც> დადებითი გამოსხივების ერთ-ერთი პუნქტის ერთადერთი მომენტია გამოვლენილი <მთელ ენაში [*langage*]>, რადგან არ არსებობს არც ერთი უღერადობა, რომელიც უფრო სრულყოფილი შესატყვისი იქნება იმისი, რაც მან უნდა აღნიშნოს? ეს აბსოლუტურად აპრიორული ჭეშმარიტებაა, რომელიც არასდროს მოგვცემს ცალკეულ/ერთადერთ ენობრივ ფრაგმენტს [*fragment de langue*], რომელიც შეიძლება სხვა რამეს ეფუძნებოდეს, ბოლო პრინციპის თვალსაზრისით, შესატყვისის უქონლობა, ან ამ უქონლობის დადებითი ხარისხი სხვებთან შედარებით; სრულიად ინდიფერენტულია [*indifferente*] იქმდე, სანამ ჩვენ წარმოადგენა არ გვაქვს, მას შემდეგ, რაც ხუთი ან ექვსი ენა [*langues*] გვაქვს ნასწავლი, სადაც []: შემდგომში ეს ხარისხი ნულის ტოლი იქნება. ⁹¹

აქ, ერთი შეხედვით, ზოგადი ფორმით არის დამოწმებული ის, რაც ჩვენ შინაარსით მსგავსი სიტყვების მაგალითზე ახლახან აღვწერეთ. თუ ადრე საუბარი იყო >ენობრივი ფასეულობების ურთიერთგანსაზღვრაზე მათი თანაარსებობით<, ამჟამად ეს იმას ნიშნავს, რომ ენობრივ სიდიდეებს >მხოლოდ ურთიერთსხვადასხვაობაში აქვთ თავიანთი ფასეულობა<. თუმცა, უფრო ზუსტად თუ განვიხილავთ, და კერძოდ, სხვადასხვაობის ცნებასთან მიმართებაში, ისე უღერს, როგორც არასოდეს არ გამოთქმულა ამის შესახებ აზრი: თუ, სახელდობრ, არც ერთი >ენობრივი ფრაგმენტი არ შეიძლება სხვა რამეს ეფუძნებოდეს, საბოლოოდ, ვიდრე მისი დამთხვევის უქონლობას, ან ამ დამთხვევის უქონლობის ხარისხს სხვა დანარჩენებთან მიმართებაში<, მაშინ, ფაქტობრივად, თუ მხოლოდ >დადებითი ხარისხი იქნება ინდიფერენტული<, მაშინ არც ისეთი რამ იქნება, რაც ხანგრძლივად იარსებებს ტერმინში<. რასაც აქ სოსიური >ენის სულ ბოლო კანონად< დასახელებას გაბედულად აცხადებს, ის მან სხვა ჩანაწერში შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

ერთი რომელიმე ფორმის არსებობა მდგომარეობს იმ ფორმებში, რომლებიც მომენტიდან მომენტამდე ვრცელდება, (<საგნებში, რომლებიც ამ ფორმის ფარგლებს გარეთ არიან> და რომლებიც მასზე არ არიან დამოკიდებული [...]).⁹²

აქ, როგორც სოსიური წერს, აღწერილია »ლინგვისტიკის ყველაზე ჩახლართული საკითხი⁹³« – და, ფაქტობრივად, მიიჩნევს, რომ >ფორმის არსებობა< თავის თავში კი არ მდგომარეობს (ანუ იმაში კი არა, რაც მასში შინაარსობრივად აღქმადია), არც მის >დადებით ფორმაში<, არამედ სწორედ იმაში, რასაც ის არ წარმოადგენს – >ფორმებში, რომლებიც მას მომენტიდან მო-

⁹⁰ Cf. CLG/E (I), გვ. 264, N 10, Nr. 1903.

⁹¹ Cf. CLG/E (I), გვ. 265, N 10, Nr. 1906.

⁹² Cf. CLG/E (II), გვ. 28, N 12, Nr. 3299. შდრ. ამასთან ასევე GRF, გვ. 138; CLG/D, გვ. 159; CLG/E (I), გვ. 260, Nr. 1875.

⁹³ Ibid.

მენტამდე გარს აკრავს< და რომლებიც შედეგად >მომენტიდან მომენტამდე< შეიძლება შეიცვალოს. თუმცა რამდენადაც ცხადია: თუ არც ერთი >ენობრივი ფრაგმენტი< არ გვაქვს მოცემული, როგორც »სავსებით ცხადი ობიექტი«⁹⁴, მაშინ შეუძლებელია ენობრივი სიმბოლოების, როგორც, სიდიდების გაგება, რომლებიც თავიანთი არსებობის წყალობით, საერთაშორისო და ინსტრუმენტულად არსებულია. >მუდმივად ნეგატიური სხვადასხვაობა< უმეტესად >სიმბოლოების სახითაა წარმოდგენილი, >რომლითაც ის ჩვენი სურვილების იგნორირებას აღნიშნავს<. გასათვალისწინებელია ენის თვისება, რომლის მიხედვითაც ის >ადამიანის მიერ შეცვლად და სახელმძღვანელო წესებს არ ემორჩილება<.

ამ ფორმულირებებს საერთო ის აქვთ, რომ ისინი ენისა და მოსაუბრე სუბიექტის დამოკიდებულებას უჩვენებენ განიხილავენ, რასაც ჩვენ ამ თავში წავაწყდით და რომელსაც მომდევნო აზრობრივ კონტექსტში ვვხვებით: ენები აქ გვევლინება არა როგორც ცალკეული სფერო, რომელშიც მოსაუბრე სუბიექტები გონიერ არსებებად გვევლინებიან და, შესაბამისად, თავიანთი აზროვნების ადეკვატურ გამოხატვის საშუალებებს პოულობენ. როგორც კურთან არის ცხადად ნათქვამი, »მცდარი წარმოდგენის საპირისპიროდ, რომელიც მის შესახებ ადვილად ექმნებათ ხოლმე, ენა [*langue*] არ არის მექანიზმი, რომელიც გამომხატველი ცნებებისგან იქმნება და განლაგდება«⁹⁵ >გამომხატველი ცნებების< ნაცვლად ენობრივი სიმბოლოები უფრო მეტად >ეფუძნებიან არაგონიერულობას< და ისინი >გარკვეული სახით საკუთარ მატერიალურ ცხოვრებას იწყებენ, რომელიც აბსოლუტურად უცნობია<.

ეს განსხვავებული ფორმულირებები, რომლებმაც თავიდან შეიძლება გაგვაოცოს, სოსიურის >მუდმივად ნეგატიური სხვადასხვაობების კვანძის< აღწერის თანახმად და საკუთარი, ნეგატიური დინამიკიდან გამომდინარე, სემიოტიკურ სიმკაცრეს იძენენ.

ჭეშმარიტი იდენტურობის დაცვის შეუძლებლობა

როდესაც სოსიური ენას საბოლოოდ ადამიანური გონების ინსტიტუციის კუთვნილებად არ წარმოგვიდგენს, რა თქმა უნდა, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ამით მისთვის საკითხი ენასა და მოსაუბრე სუბიექტს შორის დამოკიდებულების შესახებ უკვე ამოწურულია. როგორც ეს ფრაგმენტი Notes item-დან გვიჩვენებს, სწორედაც რომ საპირისპირო რამეს აქვს აქ ადგილი:

Item. არ არსებობს ანალოგი ენასა [*langue*] და თითოეულ სხვა ადამიანურ არსს შორის ორი მიზეზის გამო: 1. სიმბოლოების შინაგანი არარაობა [*nullité*] – 2. ჩვენი გონების უნარი დამოკიდებულია ტერმინებზე, რომლებიც თავისთავად ნული და არარაობაა. – (მაგრამ ეს ის არაა, რისი თქმაც უპირველეს ყოვლისა მსურდა. აზრს გადაუხეივ.)⁹⁶

>შინაგანი სიმბოლოების არარაობის< გამო არა მარტო არ არსებობს >ანალოგი ენასა და სხვა ადამიანურ არსს შორის<, არამედ ჩნდება კითხვაც,

⁹⁴ Ibid.

⁹⁵ GRF, გვ. 101, CLG/D, გვ. 121; CLG/E (I), გვ. 189, Nr. 1412. სოსიური აქ გაკვრით მიანიშნებს იმ წინადადებაზე, რომლითაც იწყება ა. არნოსა და კ. ლანსელოტის Grammaire generale et raisonnee: “La grammaire est l’Art de parler. Parler est expliquer ses pensees par des signes, que les homes ont inventez a ce dessein” (Grammaire generale et raisonnee ou La Grammaire de Port-Royal, edition critique presentee par H.Brekle, Nouvelle impression en facsimile de la troisieme edition de 1667, Stuttgart 1966, გვ. 5)

⁹⁶ Cf. CLG/E (II), გვ. 38, N 15, Nr. 3316.1.

როგორ >შეიძლება დამოკიდებული იყოს ჩვენი გონება ტერმინებზე, რომლებიც თავის თავში ნული და არარაობაა<. შეიძლება ეს საკითხი განვიხილოთ ისეთად, რომელიც ლინგვისტიკის ჩარჩოებში პასუხგაუცემელია და რომელიც უფრო მეტად ისეთი მეცნიერების სფეროს ეკუთვნის, როგორცაა ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ან ფილოსოფიური ანთროპოლოგია. და მაინც, ეს პრობლემა აუცილებლად დადგება, თუ ენებს მისი გადაცემის პროცესში აღვწერთ. როგორც ენები გადაიცემა მათ მიერ, ვინც ამ ენაზე საუბრობს და, შესაბამისად, წარმოიშობა ენასა და მოსაუბრე სუბიექტს შორის აუცილებელი დამოკიდებულება. თუ ენები იმ სუბიექტის გარეშე არ არსებობენ, რომლებიც ამ ენებზე საუბრობენ და ამასთან გადასცემენ, მაშინ ყველაფერი პირიქით არის – როგორც სოსიური თავისი შესავალი ლექციების ჩანაწერებში, როცა ცნობილ ფილოსოფიურ ტოპოსზე საუბრობს. იგი წერს: »ადამიანი ენის [>langage<] გარეშე, ალბათ, მაინც ადამიანია, მაგრამ არა არსება, რომელიც მხოლოდ მიხსლოებით ჰგავს ადამიანს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ და რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ«.⁹⁷ ვინც საუბრობს, ყველაფერს იჭერს, რაც მოძრაობაშია და გადასცემს. ან სხვაგვარად რომ ვთქვათ: ვინც საუბრობს, მას აქვს ტრადიცია, რომელიც მას იმავდროულად განსაზღვრავს და განავითარებს:

სინამდვილეში არც ერთ საზოგადოებას ენა [>langue<] სხვაგვარად არ შეუცნია, როგორც წინა თაობების მიერ მემკვიდრეობით დატოვებული პროდუქტი, რომელიც ისე მიიღო, როგორც ის იყო.⁹⁸

ამით შეიძლება ითქვას, რომ თუ ენები უკვე მიმოქცევაში არიან, მაშინ ისინი >წინა თაობებიდან არიან მემკვიდრეობით გადმოცემული< ან მიღებული. ენები აუცილებლად ცირკულირებენ და ამიტომ ენობრივი სისტემა არ უნდა იქნას გაგებული, როგორც ჩაკეტილი თანმიმდევრობა. თითოეული ენა ბევრად მეტია იმაზე, »~~ეს არ არის მისი თავისუფალი პროდუქტი, რაც მას... წინ უძღოდა~~«. ⁹⁹ რადგან ენები აუცილებლად ცირკულირებენ, უსაზღვროდ მცირე პროცესში სიტყვათა შედარებითი მნიშვნელობა მოსაუბრე სუბიექტებს შორის მუდამ ახალი იქნება, – და, ამავე დროს, არასოდეს იქნება საბოლოოდ განსაზღვრული.

უწყვეტი მოძრაობა, რომელიც ენათა სხვადასხვაობაში აისახება, მკვიდრდება. ჩვენ ეს უკვე დავინახეთ >შინაგან არარაობაში<, მაგრამ რაც უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდება ეს გეგმა ენათა ხანგრძლივი ტრანსფორმაციის აღწერისთვის, მით უფრო სწრაფად ჩნდება კითხვა, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს >სიმბოლოთა შინაგანი არარაობა< მოსაუბრე სუბიექტებზე. ამ საკითხს სოსიური კვლავ უბრუნდება და ამ საკითხით არა მარტო თავის ენათმეცნიერულ ნაშრომებში იყო დაკავებული. თავის ჩანაწერებში, სიმღერა ნიბელუნგებზე, კერძოდ, ვრცელ კომენტარში ბ. სიმონის »თქმულება გმი-

⁹⁷ Cf. CLG/E (II), გვ. 4, N 1.1, Nr. 3283.
⁹⁸ GRF, გვ. 84; CLG/D, გვ. 105; CLG/E (I), გვ. 160, Nr. 1190. რედლინგერი სოსიურის მეორე კურსის შესახებ აღნიშნავდა: »ენა [>langue<] შეიძლება განვიხილოთ, როგორც ისეთი რამ, რომელსაც თაობა, რომელიც მას ითვისებს, ერთი მომენტიდან მეორე მომენტამდე ინტერპრეტირებას უკეთებს: ის არის ინსტრუმენტი, რომლის გაგებასაც შეეცადნენ. <თანამედროვე თაობა> საერთოდ არ ცვლის მას, როგორც წინა თაობები, რადგანაც <შეცვლილი პირობების გამო> საშუალებები უკვე აღარ არის ერთნაირი. საჭიროა ინტერპრეტაციის პირველი აქტი, რომელიც აქტიურია (მას წინ უძღვის რაღაც რთულად აღსაქმელი ინტერპრეტაცია)« (cf. CLG/E (I), გვ. 390f. II R 101, Nr. 2591).
⁹⁹ Cf. CLG?E (II), გვ. 21, N 9.3, Nr. 3296.

რებზე¹⁰⁰-დან ამონარიდისთვის ჩნდება იგი, როგორც საკითხი სიმბოლოთა იდენტურობისათვის:

– »ის, რომ ვოლფ-ჰუგდიტრის თეოდორისი ხლოდვიგის ვაჟი უნდა იყოს, უდავო და ეჭვგარეშეა... სიმონსი.¹⁰¹

ეს წინადადება შეიძლება განსჯისთვის გამოდგეს ფაქტისაგან დამოუკიდებლად, რადგან მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, არ იციან, რას უნდა ნიშნავდეს იგი მითიური სწავლების სფეროში, ასევე ენათმეცნიერების მონათესავე სფეროში.

სწორია, რომ თუ საგანს ჩავუდრმავედებით, დგინდება, რომ ამ სფეროში, ისევე როგორც ენათმეცნიერების მონათესავე სფეროში, აზროვნების მთელი ეს აბსურდულობა დაუკმაყოფილებელი რეფლექსების გამო ხდება, რაც იდენტურობა <ან>: <იდენტურობის> ნიშანია, თუკი იგი ისეთ არარსებულს ეხება, როგორცაა ~~სიმბოლო~~. ეს ~~სიმბოლოები~~ მაგალითად სიტყვა, მითიური პერსონა ან ანბანის ასო სხვა არაფერია თუ არა სიმბოლოს <სხვადასხვა ფორმები> და თანაც ფილოსოფიური აზრით გაჯერებული.*

თუმცა* ფილოსოფიის მიერ ცუდად აღიქმება.

<ალბათ წინასიტყვაობაში არის ჩასმული>

ანბანის რომელიმე ასო, მაგალითად, გერმანული რუნების ანბანიდან, აშკარად დასაწყისშივე არ შეიცავს არავითარ იდენტურობას, გარდა იმისა, რომ შემდეგი ასოციაციებიდან გამომდინარეობს:

ა. განსაზღვრული ფონეტიკური მნიშვნელობა

ბ. განსაზღვრული გრაფიკული ფორმა

გ. სახელები ან შერქმეული სახელები, რომლებიც მათთვის შეიძლება მიეცათ

დ. მათი ადგილი ანბანში

თუ ამ ელემენტებიდან ორი ან სამი იცვლება (როგორც ეს მუდმივად ხდება), დანარჩენებიც იცვლებიან, მაგრამ არავინ იცის როგორ – ასოთა თანმიმდევრობით, თუ სხვა პრინციპით; ძალზე მოკლე ვადაში, თუ უფრო ხანგრძლივ დროში [] <გრაფიკულ ინდივიდს, ისევე, როგორც ზოგადად სემიოლოგიურ ინდივიდს, ორგანიზული ინდივიდის საპირისპიროდ უნარი არ შესწევს დაამტკიცოს, რომ ის იგივე დარჩა, რადგან თავისი ძირითადი თავისუფალ ასოციაციას ეყრდნობა.>

<როგორც ვხედავთ,> ჭეშმარიტი იდენტურობის უუნარობა დროს გაგლენის უარყოფა კი არ არის (ესაა ~~უპირობოდ~~ <აღსანიშნავი> ცდომილება მათი, რომლებიც სიმბოლოების კვლევაში არიან დაკავებული), არამედ წინასწარ არის არსების ჩამოყალიბებაში ჩადებული, რომელიც გარს აკრავს მას და აკვირდება როგორც ორგანიზმს, მაშინ როცა ის სხვა არაფერია, თუ არა ფანტომი, რომელიც ორი ან სამი წარმოდგენის <მოკლე> კომბინაციის შედეგია.* <ეს ყველაფერი დეფინიციას ეხება.> იმის მაგივრად, რომ ამ ერთიანობიდან გამოვიდეთ, რომელიც არ არსებობს, ანგარიშვალდებული ვიყავით გვეთქვა, რომ ფორმულა, რომელიც წუთიერ მდგომარეობას აღნიშნავს [«etat momentane d'assemblage»], – მხოლოდ ელემენტებს წარმოგვიდგენს. ამგვარია დიტრისი <თავისი ნამდვილი არსის მიხედვით>, არც ისტორიული და არც არაისტორიული პერსონა; ის არის უბრალოდ სამი ან ოთხის მოძრაობის კომბინაცია, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება გათავისუფლდეს, რაც მთელი ერთიანობის გათავისუფლებას გამოიწვევს.

* მეტ-ნაკლებად მყიფე <ქმნილება> კი არა, რადიკალურად ერთიანობის პრინციპს მოკლებული <ქმნილებაა>; ესაა ერთადერთი შეფარდებითი ხანგრძლივობა გარკვეული მოძრაობებისა, რომლებიც მის მიღმა იმალება და ეს არის ყოველდღიური ლექცია მისი, ვინც იკვლევს, რათა დაინახოს, რომ ასოციაციები, რომლებსაც ჩვენ ხანდახან მადლ შეფასებას ვაძლევთ – <მხოლოდ საპნის ბუშტი>, სხვა არაფერი საპ-

¹⁰⁰ გერმანული ფილოლოგიის საფუძვლები, ჰერმან პაულის მიერ შედგენილი მეორე გაუმჯობესებული და მრავალტირაჟიანი გამოცემა, სტრასბურგი 1900 [1891-93], ტომი 3, გვ. 606 – 734.

¹⁰¹ სოსიური სიმონსის ამ წინადადებას შედარებით ამარტივებს ფრანგულად »Que Wolf - <Hug> dietrich soit le Theoderic fils de Clovis est incontesté et incontestable« (LEG, S. 191). ტექსტის ორიგინალში წერია: »ის, რომ, უპირველეს ყოვლისა, სახელი ჰუგდიტრისი »ფრანგულ დიტრისს« მეროვინგების მეფე თეოდორის I-ს ნიშნავს, უდავო და ეჭვგარეშეა« (შდრ. ბ. სიმონსის: »თქმულება გმირებზე«; პაული 1900, ტომი 3).

ნის ბუშტის გარდა, რომელსაც, სულ მცირე, თავისი საკუთარი ფიზიკური და მათემატიკური ერთიანობა აქვს <და არა შემთხვევითი და უღირსი [] მეთოდურ და არა შემთხვევით ყოფაში [] >.¹⁰²

ეჭვგარეშეა, რომ ეს პასაჟი, რომელსაც სოსიურის ჩანაწერებში ვაწყდებით, არათუ აღსანიშნავი, ამადღებებელიც კია. ამის მიხედვით ყალიბდება განსაზღვრება, რომ ის >თავის თავში ნული და არარაობა< არა მხოლოდ ენობრივი სიმბოლოების მიმართ, არამედ ზოგადად >არარსებული არსებებისაც, როგორცაა სიტყვა ან მითიური პერსონა, ან ანბანის ასოები<. ყველა ეს სიდიდე, >რომლებიც სიმბოლოების სხვადასხვა ფორმებია< და >თანაც ფილოსოფიური გაგებით<, მეტ-ნაკლებად >არა მარტო სათუთი ქმნილებებია<, არამედ >მოკლებულია ერთიანობის პრინციპს<. ისინი >უძღურნი არიან დაიცვან იდენტურობის უსაფრთხოება< და ეს ხდება არა >დროის ზეგავლენის გამო, არამედ იმიტომ, რომ ისინი სხვა არაფერია თუ არა >ფანტომები<, რომლებიც >მოკლე კომბინაციების< შედეგია.

თვალსაჩინოა: აქ სიმბოლოების სტრუქტურული ნიშნის მშრალად აღწერა კი არ ხდება, აქ რაღაც ფორმულირდება, რაც როგორც ძალზე ღრმად პრობლემური, ისე უნდა გავიგოთ. ვისაც სიმბოლოებთან შეხება ჰქონია და ვინც საუბრობს, ეს გარდაუვალია თითოეულისთვის, თუ რაიმე გაუცნობიერებულ სიღრმეებს ვეხებით. შენიშვნებში, რომ სიმბოლოებს მხოლოდ >საპნის ბუშტის< კონსისტენცია ექნებოდათ, ამოტივტივდება რაღაც, რაც საგნობრივ-ნეიტრალური განსაზღვრების ტონს სცილდება. თუ სოსიური >სემიოლოგიური ინდივიდის შესახებ< საუბრობს, რომ ამას >ორგანული ინდივიდის< საწინააღმდეგოდ არ ექნებოდა საშუალება დაემტკიცებინა, რომ იგივე დარჩა< და ამით სიმბოლოთა არამდგრადობის (ინკონსისტენციის) პერსონიფიცირებას ახდენს, მოგვიანებით ნათელი ხდება, რომ აქ არა მხოლოდ უბრალოდ არის აღწერილი ის, რაც მოსაუბრე სუბიექტს ზოგადად ეხება, არამედ უფრო მეტად სტრუქტურას, რომელშიც სოსიური თავის თავს, როგორც მოსაუბრე სუბიექტს მოიაზრებს. ადრინდელ ლექციებზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია ეს სტრუქტურა ასე აღვწეროთ: >სემიოლოგიურ ინდივიდს საშუალება არ აქვს დაამტკიცოს, რომ ის იგივე დარჩა და ამავე დროს ადამიანი მხოლოდ ენის მეშვეობით ხდება ის, რაც არის. შესაბამისად, >სრულყოფილი არის მხოლოდ ის, რაც მას თავის გარემოს აშორებს<¹⁰³ ანუ ცირკულირებადი სიმბოლოებით ერთ ენაზე მოსაუბრე სუბიექტების იდენტურობა მხოლოდ იმით არ შეიძლება განისაზღვროს და მოგვეცეს, რომ ისინი >ორგანული ინდივიდები< არიან. უფრო მეტად, ამავე დროს, ჩნდება მოსაუბრე სუბიექტების იდენტურობაც, >სიმბოლოთა ბრუნვის< ანაბარა მიტოვებული.

¹⁰² Cf. LEG, გვ. 191 – 192. შდრ. ავას კომენტარი ამ მონაკვეთთან დაკავშირებით («La semiologie e la narrativite chez Saussure», in Ch. Bouazis e.a.: Essais de la theorie du texte, Paris 1973, S. 17 – 49; L'ontologia del segno in Saussure, Turin 1973, S. 1 – 128) ასევე რ. ენგლერის კომენტარები ამის საწინააღმდეგოდ («Semiologies saussuriennes; I. De l'existence du signe», in: CFS 29, 1974 – 1975, გვ. 45 – 73).

¹⁰³ ამ ფორმულირების კონტექსტი ასე ჟღერს: >ენის [>langage<] ნიშანი. ენა [>langage<] მუდმივად განიხილება ადამიანური ინდივიდის სახით, რაც მცდარი თვალსაზრისია. ბუნება გვაძლევს >ჩვენ< არტიკულარული ენით [>langage<] აღჭურვილ >organise pour< ადამიანებს, თუმცა არტიკულარული ენის [>langage<] გარეშე. ენა [>langue<] არის სოციალური ფაქტი [>fait social<]. ინდივიდი, რომელიც საუბრისთვის მზადყოფნაშია [>organise pour parler<], მხოლოდ გარშემომყოფი იმ საზოგადოების მეშვეობით შეუძლია იქამდე მივიდეს, რომ თავისი ინსტრუმენტი <თავისი აპარატი> გამოიყენოს იმისდა დამოუკიდებლად, რომ მისი გამოყენების მოთხოვნილება მხოლოდ საზოგადოების მიმართ <მის> კავშირში შეიგრძნობოდეს. ეს მოტივანად საზოგადოებაზე დამოკიდებული; [...] ადამიანი სრულყოფილია მხოლოდ იმის მეშვეობით, რაც მას თავის გარემოს აშორებს (cf. CLG/E (II), გვ. 16, N 6, Nr. 3292).

IX. ხმოვანთა ფერები

სოსიურის ტექსტებში წარმოდგენილი ენასა და მოსაუბრე სუბიექტს შორის დამოკიდებულების საკითხის შესწავლის განზრახვამ, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება გაგვაოცოს. დროთა განმავლობაში ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, სოსიურის ლინგვისტიკა ამიტომაც სამართლიანად განეკუთვნება ჰუმანიტარული მეცნიერების თვალსაჩინო ნიმუშების რანგს, რადგან მან დახვეწილად შეძლო განესაზღვრა ქვემდებარე მოსაუბრე სუბიექტთან დამოკიდებულების გარეშე ისე, რომ სხვა სუბიექტებისგან არ იყო გათავისუფლებული.¹⁰⁴ მართლაც, სოსიურის ნაშრომში არის მთელი რიგი ფორმულირებებისა, რომლებიც ამ დასკვნასთან ახლოს დგას. ასე, მაგალითად, განსხვავება *langue*-სა და *parole*-ს შორის, როგორც ისინი კურსშია წარმოდგენილი და შემდგომ მასთან შემაკავშირებელი განსხვავება *linguistique de la langue* და *linguistique de la parole*-ს შორის. განვიხილოთ ეს ფორმულირებები, რომლებსაც კურსის მესამე და მეოთხე თავის შესავალში ვხვდებით:

როდესაც ენას [*langue*] მეტყველებისგან [*parole*] ვასხვავებთ, ამავედროულად განასხვავებენ: 1. სოციალურს ინდივიდუალურისგან; 2. არსობრივს აქცესორულისგან. ენა [*langue*] არ არის მოსაუბრე სუბიექტის ფუნქცია; ის არის პროდუქტი, რომელსაც ინდივიდი პასიურად არეგისტრირებს; ის არასოდეს ითვალისწინებს წინა მოსაზრებას, [...]. მეტყველება [*parole*] კი, ამის საპირისპიროდ, ნებისა და ინტელექტის ინდივიდუალური აქტია, [...].¹⁰⁵

ამრიგად, კურსის მრავალჯერ ციტირებულ პასაჟში *langue* უპირველესად იმით არის განსაზღვრული, რომ ენა არ არის მოსაუბრე სუბიექტის ფუნქცია, არამედ, პირიქით, *parole* განისაზღვრება, როგორც სიდიდე, რომელიც როგორც ნებისა და ინტელექტის ინდივიდუალური აქტი, რადგან *langue* აღწერილია, როგორც არსებითი, ხოლო *parole*, როგორც აქცესორული. ეს ნათლად ჩანს და ისიც, რომ სუბიექტი ენათმეცნიერებას რადიკალურად გამოეყოფა. ამავე აზრით შეიძლება გავიგოთ პასაჟის მომდევნო რამდენიმე გვერდიც, რომლებშიც ენათმეცნიერების დაყოფა *linguistique de la langue* და *linguistique de la parole*-დ განსაზღვრულ მეთოდოლოგიურ პრინციპებამდე იქნას დაყვანილი.

[...] შეუძლებელია ენა [*langue*] და საუბარი [*parole*] გაავარითიანოთ ერთი თვალთახედვის არეში. ენის [*langage*] ყოვლისმომცველი ერთიანობა ეწინააღმდეგება ცნობიერებას, რადგან ის ანალოგიური [*homogene*] არ არის იმ დროს, როცა შემოთავაზებული განსხვავება და დაქვემდებარება ყველაფერს ნათელს ჰყენს.

ეს არის პირველი გაორება, რომელსაც ვაწყდებით, როცა ენის [*langage*] თეორიის დადგენა გვინდა. საჭიროა ორივე გზას შორის (რომლებზეც ერთდროულად შეიძლება აღმოვჩნდეთ) არჩევანი გავაკეთოთ. მათ ცალ-ცალკე უნდა მივაღვეწოთ თვალი. არსებითად შეიძლება ამ ორივე დისციპლინას »ენათმეცნიერების« სახელი დაუტოვოთ, ანუ მეტყველების ენათმეცნიერების [*linguistique de la parole*] შესახებაც შეიძლება საუბარი.

¹⁰⁴ ფრთხილი აღიარება შეხედულებისა, რომ სოსიურის მიხედვით, მოსაუბრე სუბიექტი ენათმეცნიერებიდან გამოირიცხებოდა და, ამავე დროს, მისი არასრულყოფილების მწვავე ანალიზს ვაწყდებით პ. ჰენრის, *Le mauvais outil. Langue, sujet et discours*-ში, პარიზი 1977. შდრ. ასევე ი. კრისტევა: »Du sujet en linguistique«, in *Langages* 24, 1971, გვ. 197 – 125; Hagege 1985, განსაკუთრებით გვ. 303 ff., S. 342 ff., ასევე Dosse 1991, ტომი I, გვ. 65 – 75. შემდგომში ეს პრობლემატიკა ენობრივ-ისტორიულ კრილში იქნა დასმული სტატიებში *Langages* 77, 1985, *Le sujet entre langue et parole* (s), გამოცემული კ. ნორმანდის მიერ.

¹⁰⁵ GRF, გვ. 16 f.; CLG/D, გვ. 30; CLG/E (I), გვ. 41f., Nr. 241 – 246.

ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ამ მოსაზრებაზე შევწერდებით და თუ ამ განმარტების მიმდინარეობის დროს მეტყველების [parole] სწავლებას დავეყრდნობით, შევეცდებით, რომ არასოდეს წავშალოთ საზღვრები, რომლებიც ორივე სფეროს ყოფს,¹⁰⁶ რაც ამის ამსახველი განმარტების თანახმად, <ზოგადი ენათმეცნიერებისთვის> ერთადერთად ითვლება, ეს არის langue და, ამასთან ერთად, კურსი მომავალშიც მხოლოდ მასთან იქნება დაკავშირებული. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ, parole-სთან ერთად, სოსიურის ენათმეცნიერების შემეცნების სფეროდან მოსაუბრე სუბიექტიც უნდა გამოირიცხოს? თუ კურსის შესავალში მხოლოდ langue-სა და parole-ს შესახებ ციტირებულ დეფინიციასზე დავრჩებით, ასეთი დასკვნა, სულ მცირე, მცდარი არ ჩანს და თავიდანვე ნახსენები სოსიურის ლინგვისტიკის მეცნიერული ინტერპრეტაცია სულაც არ არის მისაღები.¹⁰⁷

თუმცა სოსიურის ლინგვისტიკაში სხვა სურათი იკვეთება, როგორც კი კურსის იმ ნაწილებს მივადგებით, რომლებშიც შესავალში მოხაზული linguistique de la langue-ს პროგრამა კონკრეტულადაა გადაადგილებული და მისი შემეცნებით-თეორიული ფონი დაწვრილებითაა გაშუქებული. აქ ვხვდებით ორ მომდევნო პასაჟს, რომლებიც იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ისინი ერთმანეთისგან მოშორებით არიან – ერთი მიეკუთვნება სინქრონულ, ხოლო მეორე დიაქრონულ ენათმეცნიერებას – იგივენი შემაკავშირებლად გადამწყვეტ თვალსაზრისს გამოხატავენ:

სინქრონიისათვის არსებობს მხოლოდ ერთი თვალსაზრისი, კერძოდ, თვითონ მოსაუბრე სუბიექტი, რომლის ერთადერთი მეთოდია მტკიცებულებების მოპოვება იმის გასაგებად, თუ რა ხარისხშია რეალობა მოცემული. რეალობა რაღაც დოზით საჭიროა, რათა გამოვიკვლიოთ ინდივიდის ცნობიერების რომელ ხარისხში არსებობს იგი.

(პირველი ნაწილი, ზოგადი საფუძვლები, III თავი, სტატიკური და ევოლუციური ენათმეცნიერება, გვ. 5, ორივე სახის ენათმეცნიერების კონტრასტი მათ მეთოდებსა და პრინციპებს შორის).¹⁰⁸

ანალოგიას ფსიქოლოგიური ბუნება აქვს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რათა ის ხმოვანი მოვლენებისგან განვასხვავოთ [...]. წინ უნდა წავიდეთ და ვთქვათ, რომ ანალოგიას გრამატიკული ბუნება აქვს. ის გულისხმობს ცნობიერებასა და აზრობრივ შემეცნებას [comprehension] შორის კავშირს, რომელიც ფორმებს ერთმანეთთან აკავშირებს.

(მესამე ნაწილი, დიაქრონული ენათმეცნიერება, თავი IV, ანალოგი, გვ. 3, ანალოგი, როგორც ენობრივი ნეოლოგიზმების პრინციპი).¹⁰⁹

¹⁰⁶ GRF გვ. 23 f.; CLG/D, გვ. 38 f.; CLG/E (I), გვ. 58 f., Nr. 362 – 370.

¹⁰⁷ სტრუქტურული ლინგვისტიკის კრიტიკაში პ. რიკორი კურსს წარმოგვიდგენს მეცნიერული კითხვის მანერისგან დაშორებულად. იხ. მაგ: »La structure, le mot, l'évenement«, in: P. Ricœur, Le conflit des interpretations. Essais d' hermeneutique, Paris 1969, გვ. 80 ff.

კიდევ ათი წლის შემდეგ რ. რობინი გულწრფელად აღგენს: »სოსიურის [langue vs parole] ინაუგურაციულ დიქტომიას მიყვავართ სუბიექტის გამოყოფისკენ, [...]« (cf. »Le hors-texte dans le discours politique«, in: Recherches et Theories 19, 1979, გვ. 70).

ამ თვალსაზრისით ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ კ. ბეილი, რომელსაც სოსიური »ჰუმარიტ ინტელექტუალად« მიაჩნდა, მოგვიანებით საკუთარ მეცნიერულ ნაშრომებში მოსაუბრე სუბიექტის »აფექტურობაზე« მიმართული ლინგვისტიკის დამუშავებას შეეცადა (Ch. Bally: Ferdinand de Saussure et l'état actuel des études linguistiques. Leçon d'ouverture du Cours de linguistique generale, Genf 1913, გვ. 23).

¹⁰⁸ Cf. GRF, გვ. 107; CLG?D, გვ. 128; CLG/E (I), გვ. 200, Nr. 1503 – 1504.

¹⁰⁹ Cf. GRF, გვ. 197; CLG/D, გვ. 226; CLG/E (I), გვ. 374, Nr. 2511.

კურსის თანახმად, სინქრონული ენათმეცნიერებისათვის (რომელიც ზოგადად და სრულიად საფუძვლიანად სოსიურისეული *linguistique de la langue*-ს არსია)¹¹⁰ არსებობს >მხოლოდ ერთი მოსაზრება< – >მოსაუბრე სუბიექტები<.

როგორც ჩანს, შესაძლებელია, რომ >ანალოგის< >გრამატიკულმა ბუნებამ< დიაქრონული ენათმეცნიერების პირველ ადგილზე გადმონაცვლოს. თანაც ისე, რომ >ხმოვანი მოვლენების< >ცნობიერების< საპირისპიროდ >აზრობრივი შემეცნების< ენობრივ-იმანენტური კავშირი ივარაუდოს.¹¹¹

პრობლემათა წრეში ღრმად ჩაწვდომამდე შევჩერდეთ იმაზე, რომ გამორიცხვის ნაცვლად მოსაუბრე სუბიექტი ჩნდება, განმეორებით და ნათლად, როგორც *linguistique de la langue*-ს აუცილებელი მაკავშირებელი პუნქტი ისე, რომ არც ენობრივ სისტემათა სინქრონული კავშირები და არც დიაქრონული მოვლენები, რომლებიც მას ცვლიან, შესაბამისად არ ყოფილა აღწერილი. ან სხვაგვარად რომ ვთქვათ: რაც ჩვენ კურსიდან ციტირებულ ორივე პასაჟში თვალში გვხვდება არის ის, რომ სოსიურის *linguistique de la langue*-ის მიხედვით მოსაუბრე სუბიექტი – >ენათმეცნიერებიდან აბსოლუტურად< არაა ერთმანეთისაგან განცალკევებული.¹¹²

არარსის არსი

როგორ შეიძლება დაწვრილებით შევისწავლოთ ის მნიშვნელობა, რომელიც სოსიურის ლინგვისტიკაში მოსაუბრე სუბიექტს გააჩნია? – *langue*-სა და *parole*-ს მაგალითებზე უკეთესად მიმაჩნია სხვა, კურსიდან ამოღებული განსხვავებები, რომელიც კლასიკურ ნიმუშად იქცა, სახელდობრ, ისინი, რომლებიც სინტაგმატური და ასოციაციური (შესაბამისად, დღეს შეგვიძლია მას პარადიგმატული¹¹³ ვუწოდოთ) მიმართებების მქონეა. ამით ნათელი ხდება ამ განსხვავების დამოკიდებულება ენასა და მოსაუბრე სუბიექტს შორის მიმართების საკითხთან, მაგრამ მაინც საჭიროა კურსის საკითხავი მასალისა და

¹¹⁰ შდრ. ენგლერი 1975, გვ. 849.

¹¹¹ სხვათა შორის, ამ პასაჟზე მიუთითებს მ. მერლო-პონტი საფრანგეთის კოლეჯში 1952 წელს წარმოთქმულ თავის შესავალ ლექციაში. შდრ. »Eloge de la philosophie«, მ. მერლო-პონტის »Eloge de la philosophie et autres essais«, პარიზი, 1960, გვ. 56.

¹¹² სხვათა შორის, უკვე კურსის შესავლის პირველი თავის პირველ ნაწილში მიკიბე-მოკიბვის გარეშე დადგენილია: »[...] ვეღარ გავბედავთ, რომ ვთქვათ: >ენა [*langue*<] აკეთებს ამას და ამას<; ან ენის [*langue*<] სიცოცხლეზე დაპარაკს ან რაღაც ამის მსგავსს და რომ ენა [*langue*<] არსება არაა და მხოლოდ მოსაუბრე სუბიექტებში არსებობს« (GRF, გვ. 6; CLG/D, გვ. 19; CLG/E (I), გვ. 18, Nr. 96). – ამ შენიშვნით ისარგებლა უკვე 1948 წელს რ. ლ. ვაგნერმა. სრულიად საპირისპიროდ იმ დროისათვის ფრანგულ ლინგვისტიკაში გატარებული კურსის მეცნიერულ ცნებაში და თავის *Les Temps Modernes*-ში დაბეჭდილ და სარტრის მძლავრ ეგზისტენციოალიზმზე დაყრდნობით შექმნილ ესეებში »Le langage et l'homme« აღნიშნავს, რომ სოსიურის მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში უნდა დაეინახოთ, რომ მან >ენა [*langue*<] აღამიანს დაუახლოვა და რომ მან უამისოდაც, სულ მცირე, ლინგვისტიკის ავტონომიის პრინციპი უარყო და ხაზი გაუსვა ენის [*langue*<] ადამიანურ ფუნქციას (cf. *Les Temps Modernes*, 30, s. 1592). იხ. ასევე R. L. Wagner: *Introduction a la linguistique française*, Lille / Genf 1947, იქ განსაკუთრებით გვ. 20 – 29.

¹¹³ ეს აღნიშვნა ლ. იელმსლევისგან მომდინარეობს. შდრ. იელმსლევი 1968 – 71, გვ. 167 და იმავე ავტორის: *Le langage*, Paris 1966 (დანიური ორიგინალური გამოცემა 1963), S. 56 ff.; შდრ. ასევე რ. იაკობსონი: »ენის ორი მხარე და აფაზიური დარღვევების ორი სახეობა«, იმავე ავტორის: *თხზულებანი ლინგვისტიკისა და პოეტიკის შესახებ*, გამოცემული ვ. რეიბლის მიერ, მაინის ფრანკ-ფურტი 1979, გვ. 117-141 (პირველად გამოჩნდა ენის საფუძვლები, 1956), ასევე ვ. პოლენშტაინი: »ენის ორი ღერძი და მისი საფუძვლები«, იმავე ავტორის: *ლინგვისტიკა, სემიოტიკა, ჰერმენევტიკა*. დასკვნითი სიტყვა სტრუქტურული ფენომენოლოგიის შესახებ, მაინის ფრანკფურტი 1976, გვ. 76-113.

ცალკეული პასაჟების დეტალური განხილვა ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ სოსიურის სხვადასხვა ჩანაწერების შესაბამისი მონაკვეთების პარალელურად.

დავიწყეთ ორივე მონაკვეთით, რომლებშიც სინტაგმატური და ასოციაციური მიმართებები კურსში შეიყვანეს და ერთმანეთს დაუპირისპირეს:

ერთი მხრივ, სიტყვები, თავიანთი გადაბმის გამო, გამოთქმების მსგელობისას ურთიერთმიმართებებს ავლენენ, რომლებიც ენის [>langue<] სწორხაზოვან ხასიათს ემყარება, რაც შეუძლებელს ხდის, რომ ერთდროულად გამოვთქვათ ორი ელემენტი. ისინი ხვდებიან მეტყველების ჯაჭვში [>chaine de la parole<] ერთმანეთის მიყოლებით და ამ კომბინაციას, რომლის საფუძველიც გაფართოებაა, შეგვიძლია რიგში ჩადგომა ან სინტაგმა ვუწოდოთ. ეს თანმიმდევრობა შედგება, როგორც წესი, ორი ან მეტი ერთმანეთის თანმიმდევრულად განლაგებული ერთეულისგან (მაგ. ab – reißen; für uns; ein langes Leben; Gott ist gut; wenn das Wetter schön ist, wollen wir ausgehen usw.). რიგში ჩადგომის შემდეგ, თითოეული წევრი მნიშვნელობას მას შემდეგ იძენს, რაც წინა ან მომდევნო ან ორივე წევრთან შეაპირისპირებენ.

თუმცა, მეორე მხრივ, ამ წინადადების გარდა სიტყვები, რომელთაც ერთმანეთთან რაღაც აქვთ საერთო, ასოციაციურად უკავშირდებიან ერთმანეთს, მეხსიერებაში და ისინი ქმნიან ჯგუფებს, რომელთა შორის ძალიან განსხვავებული დამოკიდებულებებია. ასე, მაგალითად, სიტყვამ Belehrung შეიძლება გონებაში სხვა სიტყვების მთელი რიგი ასოციაციები გამოიწვიოს (lehren, belehren და ა. შ. ასევე Bekehrung, Begleitung, Erschaffung; Unterricht, Ausbildung, Erziehung usw.). ასეა თუ ისე, ამ სიტყვებს მაინც აქვთ ერთმანეთთან რაღაც საერთო.¹¹⁴

ის განსხვავება, რომელიც აქ წარმოდგენილ იქნა, ისევე თვალსაჩინო ჩანს, როგორც მარტივი: >სინტაგმატური< ეწოდება დამოკიდებულებას, რომელიც სიტყვებს შორის იქმნება, რომელიც >ამა თუ იმ გამოთქმის მსგელობისას< ჯაჭვად იკვრება და >ერთიმეორის მიყოლებით< რიგში ჩამწკრივდებიან. >ასოციაციურს< კი სოსიური უწოდებს სიტყვების იმ დამოკიდებულებას, რომელიც ერთ რომელიმე განსაზღვრულ წინადადებაში კი არ განლაგდებიან, არამედ რომლებსაც >ერთმანეთთან რაღაც საერთო აქვთ – არა აქვს მნიშვნელობა, იქნება ის შესადარებელი მნიშვნელობა (>Unterricht, Ausbildung, Erziehung<) თუ შესადარებელი ენობრივი ფორმა (>Bekehrung, Begleitung, Erschaffung<).

ასოციაციური დამოკიდებულებისაგან სინტაგმატურის გასამიჯნად კურსში, ამასთანავე, განსხვავებული ლოკალიზაციის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი დაზუსტება შეიტანეს: მაშინ, როცა, სახელდობრ, სინტაგმატური დამოკიდებულება, განსაზღვრების თანახმად, >საუბრის ჯაჭვში ხვდება< და სიტყვების სწორხაზოვან >გაფართოებას< ეფუძნება, ასოციაციური დამოკიდებულება უფრო მრავალგვარად სახელდება: ასე, მაგალითად, ახლახან ციტირებული პასაჟის მეორე აბზაცში, რომლებიც სიტყვების ასოცირებას ახდენს >მეხსიერებაში< და შემდგომ ისე, რომ ერთი რომელიმე სიტყვა >გაუცნობიერებლად სხვა სიტყვებთან შეიძლება აგვერიოს<. ასოციაციური დამოკიდებულების შედარებითი აღწერილობები მოიპოვება ასევე კურსის შემდგომ მონაკვეთებში. იქ ვკითხულობთ, რომ »მისი აზრი გონებაშია«¹¹⁵, შესაბამისად, ისიც, რომ »ის იმ შინაგანი საგანძურის ნაწილია, რომელიც ყოველი ინდივიდის შემთხვევაში ენას [>langue<] ქმნის«¹¹⁶ ან »ქვეცნობიერში«¹¹⁷ (როგორც

¹¹⁴ GRF, გვ. 147; CLG/D, გვ. 170 f.; CLG/E (I), გვ. 277 – 280, Nr. 1983 – 1993. შდრ. პოლონელი ენათმეცნიერის ნ. კრუჟეკის მოდელი, დანარჩენი ქვემოთ, გვ. 198.

¹¹⁵ GRF, გვ. 148; CLG/D, გვ. 171; CLG/E (I), გვ. 281, Nr. 1997.

¹¹⁶ Ibid., CLG/E (I), Nr. 1998.

¹¹⁷ GRF, გვ. 154; CLG/D, გვ. 177; CLG/E (I), გვ. 293, Nr. 2064.

ა. რიდლინგერი აღნიშნავდა – »ფარულ ცნობიერებაში«¹¹⁸ მოკლედ: რაც ამ ყველა აღწერილობას ერთმანეთთან აკავშირებს, არის ის, რომ ასოციაციური დამოკიდებულება მოსაუბრე სუბიექტში გადაინაცვლებს.

ენობრივ-თეორიულ მკვეთრ სხვაობასთან, რომ სინტაგმატური დამოკიდებულება წმინდა ენობრივ-იმანენტური, ხოლო ასოციაციური დამოკიდებულება განმეორებით და გამომსატველობით მოსაუბრე სუბიექტის მოხმობით განისაზღვრება, კავშირშია კიდევ ორი წინააღმდეგობრივი ნიშან-თვისება. ამასთან, პირველ რიგში, საქმე ეხება მათ არსებობას, ამავდროულად, სინტაგმატური და ასოციაციური დამოკიდებულების განსაკუთრებულ ფორმას. ორივე სახის დამოკიდებულების არსებობას შორის პრინციპული განსხვავება მომდევნო მონაკვეთში იქნება განხილული:

სინტაგმატური, ანუ მწკობრი დამოკიდებულება არსებობს აწმყოში: ის ემყარება ორ ან მეტ, ერთმანეთის მიყოლებით განლაგებულ წევრს. ამის საპირისპიროდ, ასოციაციური დამოკიდებულება წევრებს აბსენციაში, ვირტუალურ მეხსიერებაში აკავშირებს.¹¹⁹

და სინტაგმატური და ასოციაციური დამოკიდებულების განსხვავებული წყობის შესახებ კურსში შემდეგი რამის ამოკითხვა შეგვიძლია:

მაშინ, როცა სინტაგმა თანმიმდევრობასა და შემადგენელი ნაწილების გარკვეული რაოდენობის წარმოდგენას იწვევს, ასოციაციური სახეობის წევრები არც განსაზღვრულ რაოდენობას და არც განსაზღვრულ წესრიგს არ გვთავაზობენ. თუ ერთმანეთთან მოვახდენთ სიტყვების schmerz-lich, lieb-lich, fried-lich ასოცირებას, თავიდანვე ვერ ვიტყვით, თუ რა რაოდენობის სიტყვას მივიღებთ, რომელსაც მეხსიერება შემოგვთავაზებს, ან რა თანმიმდევრობით მოგვევლინებიან ისინი.¹²⁰

ამრიგად: თუ ასოციაციური დამოკიდებულება არც >განსაზღვრულ რაოდენობას და არც განსაზღვრულ წესრიგს არ გვთავაზობს (თუმცა, როგორც დავინახეთ, მხოლოდ >აბსენციაში<, როგორც >მეხსიერების ვირტუალური რიგები<, მოსაუბრე სუბიექტის >ქვეცნობიერში< არსებობენ), აღარ ჩნდება კითხვა, უნდა განიხილებოდეს თუ არა ისინი ზოგადი ენათმეცნიერების ჩარჩოებში. რატომაა ასოციაციური დამოკიდებულება სოსიურის თვალთ »ენის [>langue<] სიცოცხლისთვის ასეთი მნიშვნელობის მქონე¹²¹« და ამით ლინგვისტიკის საგანი? რატომ უნდა დაკავდეს განსაკუთრებით linguistique de la langue ამ საკითხით, რომლის გარკვეული მიზანიც ენის, როგორც სიმბოლოთა სისტემის, რაც შეიძლება დახურული აღწერაა, მიუხედავად ასოციაციური დამოკიდებულების აშკარა განუსაზღვრელობისა, თუმცა ის მოსაუბრე სუბიექტისგან დამოუკიდებლად არ შეგვიძლია განვიხილოთ?

რედლინგერის მიერ სოსიურის ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ მეორე ლექციის ჩანაწერების ამონარიდიდან ვკითხულობთ:

ერთი სიტყვისთვის ორი ვარიანტი არსებობს, ერთმანეთის მსგავსი, რომ ისინი ერთმანეთს დაუახლოვდნენ, ერთმანეთთან კონტაქტში რომ იყვნენ: ისინი შეგვიძლია აღვნიშნოთ, როგორც სიტყვების ორი საარსებო პუნქტი ან როგორც ამ სიტყვებს შორის ორი საურთიერთო სფერო. ეს ორ ფუნქციას შეესაბამება, რომლებიც ჩვენში აქტიურია ენასთან [>langage<] მიმართებაში.¹²²

ერთი მხრივ, არსებობს შინაგანი საგანძური, რომელიც მეხსიერების სფეროებს შეესაბამება; შეგვიძლია მას საცავი ვუწოდოთ; ეს იმ ორივე პუნქტს მოიცავს და ორი

¹¹⁸ Cf. CLG/E (I), გვ. 293, II R 96, Nr. 2064.

¹¹⁹ GRF, გვ. 148; CLG/D, გვ. 171; CLG/E (I), გვ. 282, Nr. 2000 – 2003.

¹²⁰ GRF, გვ. 151; CLG?D, გვ. 174; CLG?E (I), გვ. 288, Nr. 2032 – 2034.

¹²¹ GRF, გვ. 147; CLG/D, გვ. 170; CLG/E (I), გვ. 276, Nr. 1982.

¹²² Cf. CLG/E (I), გვ. 277, II R 89, Nr. 1982.


სფეროდან ერთ-ერთს. ამ საგანძურში ყველაფერი მომარაგებულია, რაც მეორე პუნქტში შეიძლება გამოვიყენოთ. და მეორე პუნქტი, ეს არის განხილვა, საუბრის [>parole<] ჯაჭვი. იმისდა მიხედვით, თუ სიტყვების რომელ პუნქტზე შევანერებთ ყურადღებას, საქმე გვექნება ჯგუფებთან, მაგრამ სრულიად განსხვავებული სახის ჯგუფებთან:

საგანძური (საცავი)	განხილვა (ჯაჭვი)
ასოციაციური ერთეულები	განხილვის ერთეულები (ანუ ერთეულები, რომლებიც განხილვისას წარმოიქმნება)
ჯგუფები ოჯახების სახით	ჯგუფები სინტაგმების სახით ¹²³


ელემენტების მასაში, რომელიც ჩვენ ვირტუალურად გაგვანხია და რომლებიც შეგვიძლია ეფექტურად გამოვიყენოთ, ამ საგანძურში ასოციაციებს ქმნიან: თითოეული ელემენტი მეორეზე ფიქრს იწვევს. ყველაფერი, რაც რაიმე თვალსაზრისით შესადარებელია ან არ არის, თითოეული სიტყვა აქედან გამომდინარე აწმყო; სხვაგვარად ენის [>langue<] მექანიზმის ფუნქციონირება შეუძლებელი იქნებოდა.¹²⁴

თავდაპირველად ეს შეიძლება ისე გამოიყურებოდეს, თითქოს აქ კვლავაც იცვლება ის, რაც ჩვენ ახლახან სინტაგმატურ და ასოციაციურ დამოკიდებულებასთან კავშირში განვმარტეთ: მათი განსხვავებული ლოკალიზაცია, ერთხელ >საუბრის ჯაჭვში< ან >მეხსიერების სფეროებში<. და ამ პასაჟის სულ ბოლოს განიხილება ისეთი რამ, რაზეც აქამდე არასდროს გვქონია საუბარი: სახელდობრ, ეს არის >ენის მექანიზმი< >შეუძლებელი იქნებოდა<, რომ არა >ის ყველაფერი, რაც რაიმე თვალსაზრისით შესადარებელია ან არ არის შესადარებელი, თითოეული სიტყვა, აქედან გამომდინარე, აწმყო იქნებოდა. ერთი რამ ცხადია: თუ ასოციაციური დამოკიდებულება შესაძლებელს ხდის >ენის მექანიზმის< ფუნქციონირებას, მაშინ მას თავისი განუსაზღვრელობისა და მოსაუბრე სუბიექტისგან დამოკიდებულების მიუხედავად, ლინგვისტიკისთვის ცენტრალური მნიშვნელობა ექნებოდა. და მაინც, რას ეწოდება აქ კონკრეტულად >ენის მექანიზმი< და როგორ შეიძლება ის წარმოდგენილ იქნას? მაგალითი:

ავიღოთ კომპოზიტი ab-reißen. ჩვენ შეგვიძლია წარმოვადგინოთ იგი ჰორიზონტალურ ხაზზე, რომელიც სასაუბრო რიგს შეესაბამება:



მაგრამ, ამავდროულად, სხვა ღერძზე ქვეცნობიერში არსებობს სხვა არაერთი ასოციაციური რიგი, რომელთა ცალკეულ ერთეულებს ამ მწკრივთან ერთი ელემენტი საერთო აქვთ, მაგ.:



¹²³ Cf. CLG/E (I), გვ. 281, II R 89, Nr. 1998.
¹²⁴ Cf. CLG/E (I), გვ. 289, II R 90, Nr. 2038.
¹²⁵ GRF, გვ. 153 f.; CLG/D, გვ. 178; CLG/E (I), გვ. 293, Nr. 2064 – 2067.

რაც ამ ორ ხაზს შორის არის, ეწოდება >სასაუბრო ჯაჭვი<, ანუ ის, რაც გვეხმის, როცა ვინმე საუბრობს. როცა ბგერათა თანმიმდევრობა >abreißen< ერთ სიტყვად გვეხმის, როგორც, მაგალითად, წინადადებაში »Du willst das Band abreißen« და ზმნის ინფინიტიური ფორმით abreißen მოვახდენთ მის ინტერპრეტირებას, რომელიც ორი ნაწილისაგან ab და reißen შედგება. ასე რომ, ის ჩვენთვის ქვეცნობიერად გერმანული ენის სხვა ზმნებთან ასოცირდება: ერთი მხრივ, მწკრივი >abreißen, abschneiden, abnehmen< შესაბამისად >abzwicken, abtrennen, ablösen<-თან, ან ასევე >abfahren, abschneiden, abseilen, abspülen, abwischen<; მეორე მხრივ, მწკრივი >reißen, zerreißen, entreißen, durchreißen< ან >aufreißen, hinreißen, mitreißen<. სოსიურის მოსაზრებით, სწორედ ასეთი მწკრივების მეშვეობით ხდება ნათელი, რომ >abreißen<-ის ბგერათა თანმიმდევრობის შემთხვევაში საქმე გვაქვს ზმნურ კომპოზიტთან, რომელიც ab და reißen-ისგან შედგება. ან სხვაგვარად რომ ვთქვათ: ის, რაც სინტაგმატურ დამოკიდებულებას, როგორც ასეთს, შეცნობადს და სხვებისგან გამორჩეულს ხდის, არის ის ასოციაციური რიგები, რომლებშიც მათი შესაბამისი შემდგენელი ნაწილებია.

იმავე გზით, რომლითაც მათი გრამატიკული ფორმის გაანალიზება შესაძლებელი ხდება, ადგილი აქვს >abreißen<-ის ბგერათა თანმიმდევრობის სრულიად სპეციფიკურ მნიშვნელობას. წინადადებაში »Du willst das Band abreißen« საუბარია არა იმდენად >abschneiden< ან თუნდაც >durchreißen<-ის შესახებ, არამედ სწორედაც რომ >abreißen<-ის შესახებ – და რადგან ასოციაციებზე დაფუძნებული ასეთი »დიფერენციაციები«¹²⁶, რომლებშიც >სასაუბრო ჯაჭვი< ერთმანეთის მიყოლებით განლაგებული წევრები შეიძლება ადვილად – მაგალითად »Du«, და არა er, »willst« და არა mußt, »das Band« და არა das Bild, »abreißen«, შეიძლება ეს ასოციაციური დამოკიდებულება გავიგოთ ისე, როგორც ის, რაც >სასაუბრო ჯაჭვი< მნიშვნელობას ანიჭებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ: სიტყვის »შინაარსი« »ზუსტად იმის ურთიერთქმედებით განისაზღვრება, რაც მის გარეთ მოიპოვება«¹²⁷, ასოციაციური დამოკიდებულების მეშვეობით, რომელიც სასაუბრო ჯაჭვს გარეთაა და მით უფრო >თითოეული სიტყვისთვის აწმყა<, შესაბამისად თითოეულ წარმოთქმულ სიტყვაშია »განთავსებული [>flottent autuor<]«. ¹²⁸ ამგვარად თუ დავაკვირდებით, ეს ასოციაციური დამოკიდებულება »ერთ მთლიან ფარულ სისტემას ქმნის, რომლის წყალობითაც შესაძლებელია სიმბოლოების ჩამოყალიბებისთვის საჭირო საფუძვლების მიღება. აქედან გამომდინარე, ამას სხვა შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არ ექნებოდა.«¹²⁹

»რა იგულისხმება მასთან ერთად«

>ენის მექანიზმიდან< გამომდინარე, რომელიც ჩვენ სინტაგმატური ან ასოციაციური დამოკიდებულებების »ურთიერთზემოქმედებად«¹³⁰, ან, უკეთ რომ ვთქვათ, »ურთიერთქმედებად«¹³¹ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, სოსიურის კონ-

¹²⁶ GRF, გვ. 155; CLG/D, გვ. 179; CLG/E (I), გვ. 294, Nr. 2072.

¹²⁷ GRF, გვ. 138; CLG/D, გვ. 159; CLG/E (I), გვ. 260, Nr. 1875.

¹²⁸ GRF, გვ. 154; CLG/D, გვ. 177; CLG/E (I), გვ. 293, Nr. 2068.

¹²⁹ GRF, გვ. 155; CLG/D, გვ. 179; CLG/E (I), გვ. 294, Nr. 2076.


¹³⁰ GRF, გვ. 152; CLG/D, გვ. 176; CLG/E (I), გვ. 290, Nr. 2045.

¹³¹ GRF, გვ. 154; CLG/D, გვ. 179; CLG/E (I), გვ. 294, Nr. 2069.

ცეფციის თანახმად, შესაძლებელია ენისა და მოსაუბრე სუბიექტის დამოკიდებულების ზუსტი დადგენა: >ფარული სისტემა, რომლის წყალობითაც სიმბოლოების ჩამოყალიბებისთვის საჭირო საფუძვლები მოიპოვება<, სხვა არაფერია, თუ არა >შინაგანი საგანძური<, >საცავი<, რომელიც მოსაუბრე სუბიექტს გააჩნია; იმით, რომ >სასაუბრო ჯაჭვი< ამ >ფარულ სისტემას< უკავშირდება; იმით, რომ >სიტყვებისთვის საარსებო ორივე სისტემა< ერთმანეთთან კავშირშია, მოსაუბრე სუბიექტს შეუძლია ბევრათა თანმიმდევრობების ინტერპრეტირება, რომელიც მას ესმის ისე, როგორც სიტყვების ერთეულებისგან შედგენილი სინტაგმატური ჯაჭვები, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ.

>ენის მექანიზმის< ეს კონცეფცია, რომელშიც მოსაუბრე სუბიექტის ასოციაციების >ფარული სისტემა< გადამწყვეტ როლს ასრულებს, არ ეწინააღმდეგება ენის, როგორც სოციალური ფაქტის გაგებას, არამედ შედეგობრივად მიყვარათ ამ შეხედულებისაკენ¹³²: წინამდებარე თავებში დავინახეთ, რომ ენა, როგორც სიმბოლოთა სისტემა, მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ ის ცირკულირებს, თუ ის ერთი მოსაუბრიდან მეორეს, ერთი სუბიექტიდან მეორეს გადაეცემა და, ამავდროულად, იცვლება. ენ(ებ)ის ცვლილების ეს უწყვეტი პროცესი, მისი შეფარდებითი არასტაბილურობა, შეგვიძლია აღვწეროთ, როგორც გარემოების შედეგი, რომ ასოციაციების >ფარული სისტემა<, სუბიექტების >შინაგანი საგანძური<, რომლებსაც ამა თუ იმ ენაში წვლილი შეაქვთ, არასოდეს არ არის სრულყოფილად იდენტური, არამედ თავისთავად იცვლება.

კონკრეტულად შეიძლება იმის განჭვრეტა, თუ ჩვენ გერმანული მაგალითის ნაცვლად, რომელიც >ენის მექანიზმის< ილუსტრაციისთვის გამოგვადგა, მის საფუძველზე კურსის მიხედვით ვიხელმძღვანელებთ და მას მაგალითებითურთ კვლავ სხვადასხვა ლექციების ჩანაწერებს შევადარებთ, რომლის მიხედვითაც კურსის მაგალითი იქნება:



ის ფაქტი, რომ ფრანგული წარმოშობის ზმნა ითარგმნა არა როგორც arracher ან demolir და არა როგორც se déchirer ან se rompre, როგორც ეს გერმანული ზმნის abreißen მაგალითზე გერმანულ თარგმანში შეგვეძლო მიგველო, ჩვენ არცთუ ისე გვაოცებს. აღნიშვნის ღირსია უფრო ის განსხვავებები, რომლებიც კურსში წარმოდგენილი მაგალითის ფორმის შესახებ ა. რიდლინ-

¹³² რ. ლ. ვაგნერის ზემოხსენებულ ესეში »L'homme et le langage« მოიხსენება დღეს დასაფიქრებელი მოსაზრებებიც: »სტრუქტურული ლინგვისტიკა ამჟამად აპირებს, ენობრივი ფაქტები [faits linguistiques] არა მხოლოდ თეორიაში, არამედ ენის აქტუალურ მდგომარეობაში ძალიან კონკრეტული დამოკიდებულებებით განსაზღვროს, რომელიც მას სისტემაში უკვე გააჩნია. ძალიან საინტერესო აღწერები ჩატარდა, რომლებმაც ახალი ლინგვისტური კვლევის მეთოდები დაამუშავა. ჩვენი აზრით, სოსიურისეული ცნება langue, როგორც სამუშაო ჰიპოთეზა, უფრო ეფექტურად დამკვიდრდება, თუ მას შეზღუდული სუბიექტების რიცხვში მოვაქცევთ და თუ შევეცდებით, რომ განვსაზღვროთ ფაქტორები, რომლებიც მის ცნობიერებას შეადგენენ« (cf. Wagner 1948, გვ. 159 f.). შტრ. ასევე მერლო-პონტი 1960 a.

¹³³ CLG/E (I), გვ. 293, Nr. 2066; CLG/D, გვ. 178.

გერის, ლ. გოტიესა და ე. კონსტანტინის ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ სხვადასხვა ვერსიების ჩანაწერებში გვხვდება. შემდგომში გთავაზობთ იმას, რაც სამივე მათგანმა 1909 წლის 14 იანვარს აღნიშნეს, ერთმანეთის მიყოლებით:

				ce qui est pense a côté (associatif)
refaire parfaire faire <u>defaire</u> de-ranger de-placer	associatif.	l'axe syntagm.:	decrier	refaire
			de-	-faire
			deplacer	faire
			deranger	parfaire
			l'axe associatif	
				parfaire refaire <u>faire</u> de-faire de-placer de-ranger de-mettre etc. ¹³⁴
A. Riedlinger		L. Gautier		E. Constantin

სამივე ვერსიაში ასოციაციების >ფარული სისტემა< defaire-ის მიხედვითაა წარმოდგენილი, ისე, რომ სიტყვები in absentia, რომლებიც ამ სიტყვის >გარ-შემოა< >განთავსებულნი<, საერთოდ არ ხვდება სასაუბრო ჯაჭვში. თუმცა სამივე ვერსიაში გასაგებია, რომ >ენის მექანიზმი< უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც სინტაგმატური და ასოციაციური დამოკიდებულებების >ურთიერთ-ქმედება<. ამასთანავე, ეს სამი ჩანაწერი ერთმანეთისგან განსხვავდება არა მხოლოდ თავიანთი გრაფიკული გამოსახულებით, არამედ ენობრივი თვალსაზრისითაც თვალშისაცემი სხვაობაა მათ შორის: არც de, არც -faire აფიქსებით შედგენილი ასოციაციური სიტყვათა ჯგუფები არ არის ერთმანეთის იდენტური, თუ საქმე მათ რაოდენობას, განლაგებასა და არჩევანს შეეხება.

ბალის და სემეს კურსის რედაქციაში მხოლოდ რიდლინგერის და გოტიეს ვერსიები ჰქონდათ ხელთ.¹³⁵ გვსურს აღვნიშნოთ, რომ მათ თავიანთ ვერსიებში სცადეს რიდლინგერისა და გოტიეს მაგალითის განსხვავებული ფორმირების სინთეზური გაერთიანება. ამავდროულად თვალშისაცემია, რომ ეს მაგალითი, რომელსაც კურსიდან ვეცნობით, სიტყვების შერჩევით ორივე ორიგინალისგან ძლიერ განსხვავდება: de- მწკრივიდან კურსში მხოლოდ deplacer არის აღებული. deranger, decrier, demettre-ს ნაცვლად, გვხვდება decoller და decoudre. faire-ს მწკრივში კი გვხვდება – contrefaire »გაყალბება«, როგორც ლექციების წინა სამ ხელნაწერში, parfaire – »სრულყოფა«.

რომელია ის ენობრივ-თეორიული დასკვნა, რომელიც ამ შედარებიდან გამომდინარეობს? რაც ამ ერთმანეთის მიყოლებით დასახელებულ ოთხ ვერსიაში ექსპერიმენტული გზით დასტურდება, არის, უპირველეს ყოვლისა ის, რომ >ასოციაციური სახის წევრები არც გარკვეული რაოდენობით და არც განსაზღვრული წესრიგით არ განლაგდებიან<: როცა ზმნა defaire-ს დაქვემდებარებული ასოციაციური წევრების რაოდენობა და წესრიგი ერთი ვერსიიდან მეორეზე თვალშისაცემად იცვლება, ან უფრო ზუსტად, შეუძლია შეიცვალოს ისე, რომ არ შეიცვალოს სიტყვის გამომხატველობა, ისე ჩანს, როგორც ეს რიდლინგერთან და კონსტანტინთან გვხვდება – მათი შერჩევა

¹³⁴ CLG/E (I), გვ. 293, Nr. 2064-66.

¹³⁵ ე. კონსტანტინის ლექციების ჩანაწერები 1958 წელს ხელმეორედ იქნა აღმოჩენილი. შდრ. რ. გოლდელი: »Nouveaux documents saussuriens: les cahiers E. Constantin«, in: CFS 16, 1959, გვ. 23-32.

შემთხვევით ხდება.¹³⁶ რამდენადაც ასოციაციური წევრების რაოდენობა და წესრიგი შემთხვევით ირჩევა, როცა ისინი ერთი ვერსიიდან მეორეზე იცვლებიან, ასე რომ, პირიქით, თითოეული ცალკეული ვერსია თავისი კუთვნილი ასოციაციური წევრების რაოდენობითა და წესრიგით განსხვავდება, რადგან ისინი საერთოდ მკვეთრად განსხვავდებიან სხვებისგან.

ბალისა და სემეს ვერსია თითქოს ყველა სხვა დანარჩენი ვერსიისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება – აქ *parfaire*-ს ნაცვლად *contrefaire* დგას.

შევეცადოთ დავაკონკრეტოთ: როგორც >ფარული სისტემის< თვალსაჩინოება, რომლის მეშვეობითაც სიმბოლოს ფორმირებისთვის *defaire* საჭირო საფუძვლებს იღებს<, ესენია: >*defaire, faire, parfaire, refaire*< (A. R.), >*parfaire, faire, defaire, refaire*< (L. G.), >*defaire, faire, refaire, parfaire*< (E. C.) და ბოლოს >*defaire, faire, refaire, parfaire, etc.*< (C. B. და A. S.), რომლებიც შეიძლება სხვა შედეგებით თავისუფლად ჩაგანაცვლოთ. ფრანგული ენის სისტემა, ყოველ შემთხვევაში, არანაირ საფუძველს არ გვაძლევს იმისთვის, რომ დავასკვნათ, რომელი მწკრივი იქნებოდა უმჯობესი. აქ საქმე გვაქვს იმასთან, რომ >ასოციაციური სახის წევრები არც გარკვეული რაოდენობით და არც განსაზღვრული წესრიგით არ განლაგდებიან<. თუმცა რამდენადაც ერთი რომელიმე ენობრივი სისტემის ასოციაციური წევრების რაოდენობა და წესრიგი ენაში წინასწარ არ არის მოცემული, ამიტომ >ენის მექანიზმის< ფუნქციონირებისთვის საჭიროა გარკვეული ასოციაციური კავშირების მიხედვით ცალკეული მოსაუბრე სუბიექტები.

ამგვარადაც შეგვიძლია ვთქვათ: ასოციაციური წევრები, რომლებიც >სასაუბრო ჯაჭვში< ამა თუ იმ სიტყვის გარშემო არიან განლაგებული, მართალია, ყოველთვის ენობრივი სისტემიდან არ მომდინარეობენ, თუმცა მათი კონკრეტული განლაგება პირდაპირ არ წყვეტს სისტემასთან კავშირს – დაახლოებით ფრანგულის მსგავსად – არამედ მიუთითებს ყოველთვის განსაკუთრებულ სუბიექტზე – მაგალითად A. R., L. G., E. C., C. B. და A. S. რატომაც ასოციაციური წევრების სწორედ ასეთი განლაგება და არა სხვა, როგორც წესი, ძნელი სათქმელია. რადგან ეს განლაგება არც გაცნობიერებულია და არც წინასწარ განზრახული, არამედ უფრო მეტად იმით განისაზღვრება, თუ რა იგულისხმება მასთან ერთად – >*ce qui est pense a côte*<.¹³⁷

ფერდინანდ დე სოსიურის ერთ-ერთი დოკუმენტი გადმოგვცემს, თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს ეს ასოციაციური პროცესები >ფარულ სისტემაში<. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში იგი და სხვა მრავალი პიროვნება შენევაში თოედორ ფლურნუასთან ერთად ემპირიულ კვლევას აწარმოებდნენ, რომელსაც ედუარდ კლაპარედეც შეუერთდა და მათ დასვეს კითხვა, თუ რა ფერის ასოციაციას იწვევდა მათში ხმოვნები. 1893 წელს სათაურით *Des phenomenes de synopsis* გამოქვეყნებული კვლევა ანონიმურად პასუხობს სო-

¹³⁶ CLG/E (I), გვ. > 288, Nr. 2033, II R 92, II C 68.

¹³⁷ რ. იაკობსონი წერს პოეზიის ენის შესახებ: »ზეპირი პოეზიის ფონოლოგია და გრამატიკა მოწოდებს კომპლექსური და გამოკვეთილი შესატყვისების არსებობას, რომლებიც ჩნდებიან, ზემოქმედებას ახდენენ და თაობიდან თაობას გადაეცემათ ისე, რომ ყველასთვის უცნობია წესები, რომლებიც ამ ჩახლართულ სტრუქტურას წარმართავს. ზემოქმედების უშუალო და სპონტანური წვდომა პროცესების რაციონალური დამუშავების გარეშე, თუ ისინი წინააწინამოწმად, არც თუ ისე იშვიათად გვხვდება ჩახლართული ფონოლოგიური და გრამატიკული სტრუქტურები პოეტების ნაწარმოებში. ქვეცნობიერის დონეზე შედგენილ ასეთ სტრუქტურებს შეუძლიათ ლოგიკური დასკვნისა და ნათელი მოსაზრების გარეშე მოახდინონ ზემოქმედება [...]« (R. Jakobson: »Unbewusste sprachliche Gestaltung in der Dichtung«, in: ders., Poetik. Ausgewählte Aufsätze 1921 – 1971, hg. von E. Holenstein und T. Schelbert, Frankfurt am Main 1979, გვ. 325).

სიურს – «ამ თემასთან დაკავშირებით ინსტრუქციული პასუხი, რომელსაც გამოჩენილ ლინგვისტს, ბატონ X-ს ვუმაღლი»¹³⁸:

»თქვენი აზრით, რა ფერისაა ხმოვნები?«¹³⁹

»ვფიქრობ, შეუძლებელია შეკითხვაზე (ხმოვნების ფერების შესახებ) პასუხის გაცემა იმგვარად, როგორც ეს კითხვაშია მოცემული. და, კერძოდ, იმ გარემოების გამო, რაც მე მაოცებს:

ფრანგულში ხმოვნებს სხვადასხვაგვარად ვწერთ terrain, plein, matin, chien. თუ მხოლოდ ამ ხმოვანს ain ჩავწერთ, მაშინ მე მას გაცრეცილ ყვითელ ფერად ვხედავ, როგორცაა ღუმელში ცუდად გამოძვარ აგურს; თუ დავწერთ ein, მაშინ იგი ვენებზე მოსაჭერ მოწითალო-მოიასამნისფრო რეზინის შთაბეჭდილებას ტოვებს; თუ in-ს დავწერთ, საერთოდ არ ვიცი, თუ რა ფერის ასოციაციას გამოიწვევს ის ჩემს გონებაში და ვიხრები იმ მოსაზრებისკენ, რომ ის არც ერთ ფერთან არ ასოცირდება: და ბოლოს, თუ დავწერთ en-ს (თუ მის წინ i გვაქვს), მახსენდება ჯგუფი, როგორც ერთი მთლიანობა, კანაფის ზონრის გორგალი, რომელსაც გამოყენებული ზონრის მოთეთრო ელფერი ჯერ არ მიუღია.

აქედან გამომდინარე ის, როგორც ასეთი, ხმოვანი არ არის, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ყურისთვის არსებობს, რომელიც შესაბამის ვიზუალურ შთაბეჭდილებას იწვევს. სხვა თვალსაზრისით, ის ცალკეული ასო-ბგერის ან ასო-ბგერათა ჯგუფის დათვალეობა არაა, რომელიც ამ შთაბეჭდილებებს იწვევს. უფრო მეტად ის ხმოვანია იმგვარად, როგორც მას გრაფიკული გამოსახულება შეიცავს, ის არის წარმოსახვითი რამ, რომელიც წარმოდგენის პირველ ასოციაციას ქმნის და რომელიც სხვა ასოციაციის მეშვეობით მეჩვენება, თითქოს რაღაც გარკვეული კონსისტენცია მქონდეს, რომელიმე კონკრეტული ფერი, ზოგჯერ კონკრეტული ფორმა და სურნელიც კი.

ფერი და სხვა ნიშან-თვისებები მიუთითებენ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არა აკუსტიკურ ფასეულობებზე, არამედ ორთოგრაფიულზე, რომლებისგანაც ძალაუვნებურად სუბსტანციებს ვაკეთებ. არსი გამოირჩევა კონკრეტული ასპექტით, ტონალობით, შეგრძნებით.

ხმოვანი x ასო-ბგერა x

ნაკლებად დაკვირვებულად, უცხო ენაში შესატყვისების თანამიმდევრობა იგივეა თუ არა ჩემთვის, როგორც ფრანგულში. ყოველ შემთხვევაში, მეჩვენება, რომ ის იქ ნაკლებად ინტენსიური, ნაკლებად განვითარებული და ნაკლებად ზუსტია.

¹³⁸ Cf. Th. Flournoy: Des phenomenes de synopsie (audition coloree), Paris/Genf 1893, S. 50. ის ფაქტი, რომ ზემოხსენებული >ნიშნულგანსი ლინგვისტის< შემთხვევაში საქმე ფაქტობრივად სოსიურს ეხება, სხვათა შორის, იმ შენიშვნიდანაც დასტურდება, რომელიც მირეი ჩიფალიმ კლაპარედის ლიტერატურულ მეკვიდრობაში აღმოაჩინა: »პიროვნებების, მეცნიერების მიერ დასმულ კითხვაზე დეტალური პასუხი, სუფთა სინდისით, მისი სიზუსტე ყოველგვარ ეჭვგარეშეა (ფერდინანდ დე სოსიურის შემთხვევაში). Cf. Flournoy, S. 51, დეტალებით სავსებით მდიდარია« (cf. M. Cifali: »Presentation«, in: Le bloc-notes de la psychanalyse 3, 1983, S. 133 f.). – როგორც ფლურნუა და კლაპარედი თავიანთი წიგნის წინასიტყვაობაში წერენ, მათი გამოკვლევა 2600-დან 694 ანკეტას და რეზულტატს ეფუძნება, რომლებიც მანამდე სხვა ავტორების მიერ (მაგალითად ა. ბინე ან ე. ბლოილერი) იქნა გამოქვეყნებული. ზემოთ ციტირებულ მის კვლევაში »Le debat sur l'arbitraire du signe au XIXe siecle« ა. შვერელი გვიჩვენებს არა მხოლოდ იმას, რომ ხმოვანთა ფერების თემა იმ პერიოდის საფრანგეთში (აქ უპირველესად ა. რემბოს 1871 წელს გამოქვეყნებულ სონეტთან Voyelles კავშირში), ისევე როგორც რაინის მეორე მხარეს – ვილჰელმ ფონ შლეგელთან, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტთან, იაკობ გრიმთან და ბევრ სხვა ავტორთან – ძალიან პოპულარული იყო, არამედ ის ცდილობს მასთან დაკავშირებული სპეკულაციები ენობრივი ნიშნების შემთხვევითობის შესახებ დებატებთან ენობრივ-თეორიულ კავშირში განიხილოს (შდრ. შვერელი 1979, S. 17 ff.). ჟ. ენემე მიმოხილვით სქემაში წარმოადგინა ოცზე მეტი სხვადასხვა ცნობილი ავტორის ხმოვანთა და ფერთა განლაგებები (ენეტი 1976, გვ. 404). ყველაზე ბოლო სტატია ამ თემასთან დაკავშირებით კი ეკუთვნის – კლოდ ლევი-სტროსს: »Des sons et des couleurs«, in: ders.: Regarder, écouter, lire, Paris 1993, გვ. 125-148.

¹³⁹ »Quelles couleurs trouvez-vous aux voyelles?« სიტყვასიტყვით ასეთი იყო ფლურნუას შეკითხვა.

ფრანგულად a გორც კონსი- და ბიძის შე- ლი ქალადი (დროის მეშვეობით თეთრად დატოვებული იგი გრიალით ჩამოვარდება, იგი გრიალით ჩამოვარდება, უკვე გატეხილი კვერცხის ნაჭუჭი, რომელსაც ხელის მოჭერით უფრო ვატკაცუნებთ. უკეთ რომ ვთქვათ: უმი კვერცხის ნაჭუჭი არის a (და კერძოდ მისი ფერიდან და ობიექტის კოეგზისტენციიდან გამომდინარე), მაგრამ მოხარული კვერცხის გული აღარ იქნება a, რადგან ჩნდება შეგრძნება, რომ ობიექტი კომპაქტური და წინააღმდეგობის უნარის მქონეა. მოყვითალო ფანჯრის მინა არის a; ჩვეულებრივი ფერის ფანჯრის მინა, ლურჯი რეფლექსით, არის a-ს სრულიად საწინააღმდეგო, თავისი ფერის გამო, მიუხედავად იმისა, რომ კონსისტენცია ზუსტად ემთხვევა.

ხმოვანი a
ასო-ბგერა a

ანუ მოთეთროა, ყვითელში გარდამავალი; როტენცია, ის ერთიანი, მაგრამ ნაკლებად მკვრივია დეგად გრიალებს, მაგალითად ჩარჩოში გაჭიმული კვერცხის ნაჭუჭი, რომელსაც ხელის მოჭერით უფრო ვატკაცუნებთ. უკეთ რომ ვთქვათ: უმი კვერცხის ნაჭუჭი არის a (და კერძოდ მისი ფერიდან და ობიექტის კოეგზისტენციიდან გამომდინარე), მაგრამ მოხარული კვერცხის გული აღარ იქნება a, რადგან ჩნდება შეგრძნება, რომ ობიექტი კომპაქტური და წინააღმდეგობის უნარის მქონეა. მოყვითალო ფანჯრის მინა არის a; ჩვეულებრივი ფერის ფანჯრის მინა, ლურჯი რეფლექსით, არის a-ს სრულიად საწინააღმდეგო, თავისი ფერის გამო, მიუხედავად იმისა, რომ კონსისტენცია ზუსტად ემთხვევა.

a, რომელიც არ დაიწერება, როგორც a, მაგალითად roi-ში, ამ იდეებს არ იწვევს – ასევეა ეს სიტყვა ფონეტიკური თვალსაზრისით rwa. [...]¹⁴⁰

სოსიური მეცნიერულ სტატეებში უფრო მომჭირნე და სიტყვაძუნწია. ხოლო ფრაგმენტების სახით შემორჩენილი, უთვალავი დაუსრულებელი წინადადებისგან შედგენილი ესკიზები ზოგადი ენათმეცნიერების საფუძვლების შესახებ იმ წიგნიდან მომდინარეობს, რომლის დამთავრებაც მან ვერ მოახერხა. სოსიური ფერების შთაბეჭდილებების შესახებ მოგვითხრობს არა მხოლოდ მჭევრმეტყველურად და დეტალურად, არამედ შესამჩნევი ხალისითა და დელიკატურად. ამ შთაბეჭდილებებს მასში >სიტყვათა ხმოვნები< იწვევს. ეს არის ძალიან პირადული თუ ინტიმური ტექსტი, რომელიც შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შექმნილიყო, თუ იგი სოსიურის სამეცნიერო პროზას დააკმაყოფილებდა. და ეს ტექსტი მართლაც რომ არ არის მეცნიერული თვალსაზრისით უმნიშვნელო.

წინა თავში დავინახეთ, თუ როგორ ადგენს სოსიური თავის სემიოტიკურ მოსახრებებს, რომ >ენის სულ ბოლო კანონი იმაში მდგომარეობს, რომ არ არსებობს ისეთი რამ, რაც ტერმინში ხანგრძლივი დროის განმავლობაში იარსებებდა< და რომ >არასოდეს იქნება ისეთი ენობრივი ფრაგმენტი, რომელიც ყველა სხვა დანარჩენთან მის თანუხვედრელობისა და მისი ხარისხის გარდა, სხვა რამეზე იქნება დამყარებული<. ამ შეხედულების ჩამოყალიბება, რომელიც კურსში შემდეგ ფორმულამდე დაიყვანება: »ენაში [>langue<] მხოლოდ განსხვავებები არსებობს«¹⁴¹, სოსიურის Memoire sur le systeme primitive des voyelles dans les langues indo-europeennes-დან მისი პირველი პუბლიკაციების ჩათვლით, განსაკუთრებით 1877 წელს გამოჩენილ »Essai d'une distinction des differents a indo europeens«-ს მოსდევს. დოკუმენტში, რომელიც თვალწინ გვაქვს, საუბარია ხმოვნების, განსაკუთრებით ხმოვან a-ს შესახებ.¹⁴² მართალია, აქ ამ ხმოვნის მნიშვნელობა ამა თუ იმ ენის სისტემაში სანსკრიტს კი არ მიეწერება, არამედ აქ საუბარია ფერების შთაბეჭდილებებზე, რომლებსაც ხმოვნები სუბიექტში – ფერდინანდ დე სოსიურში, რომლის მშობლიური ენაც ფრანგულია – მართლწერის მიხედვით – იწვევენ. სოსიურის განსაზღვრება,

¹⁴⁰ Cf. Flournoy 1893, გვ. 50-52.

¹⁴¹ Cf. GRF, გვ. 143; CLG/D, გვ. 166; CLG/E (I), გვ. 270, Nr. 1939.

¹⁴² სოსიურის მეშუარეები შემდგენიარად იწვევს: »იმ მრავალრიცხოვანი ფორმების კვლევა, რომელთა შორის იკვეთება ის, რასაც ინდოევროპულ a-ს ვუწოდებთ, ამ სამუშაოს უშუალო ობიექტია [...]« (cf. REC, გვ. 3). როგორც ი. ვაკერნაგელი 1992 წელს ივთხრობდა, მეშუარეების გამოჩენის შემდეგ, ერთმა »ძალზე განათლებულმა კენეველმა ქალბატონმა« მის წინაშე გაოცება ვერ დაფარა, თუ »როგორ შეეძლო ასეთ განსწავლულ და განათლებულ კაცს მთელი წიგნი დაეწერა ასო-ბგერა a-ს შესახებ« (cf. Gmü. 1986, გვ. 81).

რომ >ცალკეული ენობრივი ფრაგმენტი არასოდეს ეფუძნება სხვა რამეს, თუ არა თანხვედრის უქონლობას სხვა დანარჩენთან<, >ენის სულ ბოლო კანონი<, მისი შთაბეჭდილებების აღწერის თანახმად, მათი განსხვავებული მართლწერის გათვალისწინებით, ხმოვნებს უკავშირდება და არა პირიქით; ეს განსაზღვრა გადამწვევტ მომენტს ავსებს, რამდენადაც სისტემატური სხვაობები და ფასეულობები განსაზღვრავენ წესრიგს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება მეორე, ანუ სუბიექტური დიფერენციაციებით დადგენილი წესრიგის დანახვა, რომელშიც ერთი და იგივე ბგერა, მართლწერის შესაბამისად, ასოციაციურად სრულიად განსხვავებულ შთაბეჭდილებებსა და შეფასებებს იწვევს.

ამით გამოირჩევა სოსიურის შეკითხვაზე შესაძლო პასუხი, თუ როგორ აიხსნება ჩვენი >გონების უნარი, დამოკიდებული იყოს ტერმინებზე, რომლებიც რეალურად არაფერს წარმოადგენენ<¹⁴³: რომელიმე ენის სისტემას მიეკუთვნება ენობრივი ბგერები, რამდენადაც ისინი ამ სხვადასხვაობის მატარებლები არიან. იგივე ბგერები მოსაუბრე სუბიექტებისთვის და ასევე მათი შეფასებები ასოციაციური ხასიათისაა. თუ >ენის მექანიზმი< მოსაუბრე სუბიექტის ასოციაციური დამოკიდებულებების >ფარული სისტემის< გარეშე წარმოუდგენელია, ეს სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ ინდივიდუალური შეფასებების მიხედვით, როცა მათი ცალკე გამოყოფა სრულიად არაა საჭირო, სასაუბრო ენის სისტემაში ეწერებიან და მას ამით სპეციფიკურ კონსისტენციას, შესაბამისად, სუბიექტიდან სუბიექტამდე განსხვავებულ »შეფერილობას« ანიჭებენ. ენ(ებ)ის, როგორც სოციალური ფაქტის, აღწერისათვის ყურადღება ექცევა არა მათ ინდივიდუალურ შეფერილობას, არამედ მათი ელემენტების სისტემატური სხვაობების წესრიგს. თუ საქმე ინდივიდუალურ შეფერილობას ეხება, რომლის წყალობითაც >ჩვენი გონება ტერმინებზე დამოკიდებული ხდება (რომლებიც რეალურად არაფერს წარმოადგენენ<), სუბიექტური სხვადასხვაობების დიფერენციაცია გვეკლინება უცილობელ წინაპირობად იმისა, როცა ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში იარსებებენ, როცა ერთი სუბიექტიდან მეორეს გადაეცემიან და ცირკულირებენ.

ენები და მეტყველება

როდესაც ვკითხულობთ 1893 წელს ანონიმურად გამოცემულ სტრიქონებს ხმოვნების ფერებთან დაკავშირებით იმავდროულად წარმოშობად სემიოლოგიურ აზრებთან კონტექსტში, აშკარა ხდება, როგორ აანალიზებდა სოსიური კომპლექსურ ცვალებად ზემოქმედებას, რომელშიც სისტემატური და სუბიექტური ენობრივი განსხვავებები ერთმანეთის საფუძველია და ერთმანეთს განსაზღვრავს. მაგრამ ასეთი ლიტერატურა იმ ფენომენს გვაშორებს, რომელიც ბალიმ და სემემ წარმოგვიდგინეს როგორც სოსიურისეული ენათმეცნიერება.¹⁴⁴ როდესაც Cours-ში ამოღებულ ვემებთ ისეთ აზრებს, რომლებიც აქ ასეთი სახით განვითარდნენ, ამას არავითარი კავშირი არ აქვს იმასთან, რომ მის გამოცემვლებს რაღაც დაუფარავთ ან, უბრალოდ, გამოუტოვებიათ, რაც მათ დამუშავებული ფორმით მათთვის ცნობილ მანუსკრიპტში უპოვიათ. აზრთა მსგეველობა, რომლის მონახაზის გაკეთებასაც აქ ჩვენ შევეცადეთ, ალბათ,

¹⁴³ იხ. ზემოთ, გვ. 158 ff.

¹⁴⁴ მოწინავე აზრები ამასთან დაკავშირებით მოიპოვება ფერთან: »რამდენად ბუნებრივია ბუნებრივი ენები?«, in: Lichtensteiner Excursion II, »რა იქნებოდა ბუნება?« გამოცემული ნ. ჰასის მიერ და ა.შ., ედინგენი 1995, გვ. 139-176.

უფრო ისაა, რაც სოსიურს ხელს უშლიდა, რომ საკუთარი ნაზრევი ენათმეცნიერულ თეორიად ჩამოეყალიბებინა. სოსიური არ მისულა ჩამოყალიბებულ შედეგებამდე. ჩვენ დავინახეთ, როგორ უხვევდა იგი ლინგვისტიკის მთავარი ნაკადიდან და სრულიად ახალი მიმართულებით ეძებდა მტკიცებულებებს. ეს ყველაფერი ვლინდება მის შრომებში, რომლებიც მისი ენათმეცნიერული სასწავლო და კვლევითი საქმიანობის გარემოში აღმოცენდა. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ წამოსწია წინ ფლურნუამ საკითხი სინოპტიკური იმპრესიონიზმის შესახებ, რითაც მიუახლოვდა სოსიურის აზრს. საკითხი სინოპტიკური იმპრესიონიზმის შესახებ შენეველი ფსიქოლოგის უკვე სხვა, ფართოდ ცნობილ შრომას უკავშირდება. ჩვენ ვვულისხმობთ მედიუმის – ელისე-კატერინე მიულერის, იგივე ჰელენ სმითის კვლევას. – ფლურნუა თვითონ, როგორც იგი თავისი 1900 წელს გამოცემული წიგნის *Des Indes à la planète Mars. Etude sur un cas de somnambulisme avec glossolalie* შესავალში ყვება, »1894 წლის დეკემბერში შენევის გიმნაზიის პროფესორმა – ბატონმა ოგიუსტ ლემეტრემ იგი მიიპატიჟა თავის ბინაში, რათა დასწრებოდა ერთი არც მატერიალური და არც ანაზღაურებით დაინტერესებული მედიუმის რამდენიმე სხდომას, რომლის განსაკუთრებული, აშკარად ზებუნებრივი ნიჭი ჩემთვის უკვე მრავალჯერ იყო ცნობილი«. ¹⁴⁵ ამ პირველ სხდომაზე ფლურნუა განაცვიფრა ჰელენ სმითმა, რომელიც »მოკრძალებულად ცხოვრობდა, ავტორიტეტით სარგებლობდა და საარსებო საშუალებას კანონიერად გამოიმუშავებდა«. ¹⁴⁶ ასევე, შემოსავალი ჰქონდა ისეთი »მოვლენათა« შეტყობინებით, »რომლებიც«, როგორც ფლურნუა წერს, »ჩემს ოჯახში ჩემი დაბადების წინ მომხდარა და რომელთა შესახებად ახლანდელ თაობას ნამდვილად არაფერი შეიძლება სცოდნოდ«. ¹⁴⁷ მედიუმის ამ შეტყობინებებით შთაგონებულმა ფლურნუამ მომდევნო ათ წელიწადში უამრავი სამეცნიერო პუბლიკაცია დაწერა, ¹⁴⁸ სადაც ფსიქიკურ პროცესებს იკვლევდა იმ დროს ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის გამოცდილებაში არსებული საშუალებებით, ¹⁴⁹ თან სხვა-

¹⁴⁵ თ. ფლურნუა: შენეველი წინასწარმეტყველი. რელიგიის, გაუთვითცნობიერებლობის და ენის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული გამოკვლევები, გამომც. გ. ფორბროდტი, დ. დესუარის წინასიტყვაობით, ლაიფციხი 1914 [შემდგომში ციტირებული: SVG], გვ. I. *Des Indes*-ის გერმანულ თარგმანში პასაჟები ამონარიდების სახითაა გადმოღებული »Nouvelles observations sur un cas de somnambulisme avec glossolalie«-დან, რომლებიც ფლურნუამ 1902 წელს თავისი ახლადდარსებული გაზეთის *Aechives de Psychologie* პირველ ნომერში, გვ. 101-255, გამოაქვეყნა (შუად. SVG, გვ. XII-XV, გამომცემლის შესავალი). ამ მომდევნო გამოკვლევაში ფლურნუა ყვება სხვადასხვა სახის რეაქციებზე, რომლებიც მისმა წიგნმა პუბლიკაში, სამეცნიერო და სპირიტისტულ წრეებში და განსაკუთრებით ჰელენ სმითის მხრიდან გამოიწვია.

¹⁴⁶ Ibid.

¹⁴⁷ Ibid.

¹⁴⁸ ორივე უკვე სხენებულ შრომასთან ერთად, არის შემდეგი შრომებიც: »Quelques faits d'imagination subliminale les médiums«, in: *La Suisse universitaire*, 1898, გვ. 419-20; »Genèse de quelques prétendus messages spirites«, in: *Revue psilosophique XLVII*, 1899, გვ. 144ff. [იმავე წელს, როდესაც თექვსმეტწლიანი სპეციალური გამოცემა ხ. გეიმანთანაც გამოიცა შენევაში]; »Observations psychologiques sur le spiritisme«, in: *Quatrième Congrès international de psychologie*, პარიზი 1900, გვ. 102-112; *Esprites et Médiums. Mélanges de métapsychique et de psychologie*, პარიზი/შენევა 1911, 570 გვ., ასევე უამრავი პატარა სტატია და რეცენზია.

¹⁴⁹ ფლურნუა 1878/79 საუნივერსიტეტო წლებში, როცა იქ სოსიური თავის მემუარებს აქვეყნებდა, ლაიფციხში ფილოსოფიას სწავლობდა. ამ წელს გამოაქვეყნა ვ. ვუნდტმა თავისი ფსიქოლოგიური ნაშრომი. როდესაც ფლურნუა 1891 წელს შენევის უნივერსიტეტში მიიწვიეს, მოითხოვა, რომ მისი კათედრა, რომელიც პირველი ასეთი სახის კათედრა იყო ევროპაში, *Faculté des Sciences*-ს მიკუთვნებოდა და სასწავლოდ თავისი საკუთარი »ლაბორატორიე დე სეცპოლოგიე«-ს მოწყობა დაიწყო. ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში გამოაქვეყნა სტატიების მთელი რიგი ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით. შუად. ამის გამო, ე. კლაპარედე: »Théodore Flournoy. Sa vie, son œuvre (1854-1920)«, in: *Achives de psychologie XVIII*, 1923, გვ. 1-125, ისევე როგორც თ. ფლურნუა: *Notice sur laboratoire de Psychologie*. Publiée à l'occasion de l'Exposition nationale

დასხვა დარგის ექსპერტებსაც მიმართავდა დახმარებისთვის. აქ ჰქვლინ სმითის სეანსებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს და მის ნაწერებში ამ მედიუმის აშკარად ზებუნებრივი უნარები იკვეთებოდა.¹⁵⁰

ჰქვლინ სმითის თვალშისაცემ ზებუნებრივი ნიჭს მიეკუთვნებოდა ისიც, რომ მას ტრანსის მდგომარეობაში, როგორც ჩანს, შეეძლო სხვადასხვა ენაზე ესაუბრა და დაეწერა, რომელთა ცოდნაც შენეველი რიგითი მცხოვრებისგან მოსალოდნელი არ იყო: ასე ჰქვლინდა მას კომუნიკაცია არა მხოლოდ სრულიად უცნობ იდიომზე პლანეტა მარსის მცხოვრებლებთან¹⁵¹, არამედ, როგორც

suisse à Genève en 1896, Jeneva 1896. შეად. ამასთან დაკავშირებით ი. ფერი: »Le mécanisme de la langue« entre linguistique et psychologie: Saussure et Flournoy», in: 120 (1995), გვ. 91-105.

¹⁵⁰ Des Indes à la planète Mars-ის გამოქვეყნებით წიგნის ავტორი და გამირი ერთი ხელის მოსმით გახდნენ მსოფლიოში სახელგანთქმულები. რამდენიმე თვის განმავლობაში ნაწარმოები მესამედ გამოსცეს ფრანგულ ენაზე და ჯერ კიდევ იმავე წელს, როცა ფრანგული ორიგინალი გამოვიდა, ინგლისურენოვანი (ნიუ იორკსა და ლონდონში), 1905 წლის შემდეგ იტალიური და 1914 წელს, საბოლოოდ, გერმანული თარგმანი, რომლიდანაც ჩვენ აქ ციტატა მოვაკაქვს. ის, რომ ეს წიგნი ამ საოცარ წარმატებას უფრო თავის რომანისებურ ხასიათს უმაღლოდა, ვიდრე მეცნიერულს, ფლურნუასთვის ცნობილი იყო. წინასიტყვაობის შემდგომ წინადადებებში იტყობება: »ამ ნაწარმოების ორმაგი სათაური განსაზღვრავს მის შერეულ და არასაკმარის ხასიათს. თავდაპირველად ეს უნდა ყოფილიყო ასომნამბულიზმის ერთი შემთხვევის კვლევა, ანუ მოკლე მონოგრაფია, რომელიც მხოლოდ სიზუსტეს მიეღებოდა და ზოგიერთი ისეთი მოვლენით შემოიფარგლებოდა, რომლებიც ფსიქოლოგებს და ფიზიოლოგებს დაინტერესებდა. მაგრამ გარემოებებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს. შენევაში წარმოშობილმა პოლეტიკამ, აშკარა შეუძლებლობამ, რომ ერთი შემთხვევის ცოდნა, რომელიც სხვა ფართო პუბლიკის ცნობისმოყვარეობა უკვე იყო მიჯაჭვული, სპეციალისტებამდე დავიწროებულიყო და კიდევ სხვა აზრებმა, მომცა იმის საფუძველი, რომ ჩემი წმინდა სამეცნიერო გეგმიდან გადაამხეცია და კვლევის დროს პოპულარიზაციაზე გამეკეთებინა ორიენტაცია. მე, სულ მცირე, ჩემი გზა მეთოდის სიკაცრუზე უარის თქმით უნდა შემენარჩუნებინა! ჩემი თავისთვის ძალა უნდა დამეჩანებინა, რომ ყველაფერი ამომელო, რაც ამ დროს ცნობიერ ინტერესზე, მორალურ რეფლექსიებზე, ისტორიულ შედარებაზე, ლიტერატურულ წყაროებზე არსებობდა! მაგრამ ეს არ მსურდა. ურთიერთდაპირისპირებული მიმართულებების გადაუწყვეტელი მონა დავრჩი, რომელთა შორისაც არჩევანი უნდა გამეკეთებინა. ერთბაშად ორ კურდღელს მივდედი და აღარ ვიცი, აქედან რა გამოვა.

ეს არის ამ წიგნის გენეზისი, რომლის დიაპაზონიც მისი შინაარსის მნიშვნელობაზე მეტია. ესაა ტექნიკური ტერმინებით და ბარბარიზული განსაზღვრებებით ძალიან ვადატვირთული, რათა ფართო პუბლიკისათვის რაღაც მეთქვა, ძალიან შევსებული ელემენტარული და ბანალური განმარტებებით, რათა სპეციალისტების ყურადღება დამემსახურებინა; მას არც ფორმა აქვს, რაც პირველდებისთვის აუცილებელია და არც შინაარსი, რომლის მოთხოვნის უფლებაც ამ უკანასკნელთ აქვთ. მიუხედავად ამისა, ასევე გამოვაქვეყნებ მე მას – როგორც არამისაბამ მაგალითს, რათა ამაზე აღარ ვიფიქრო. საბოლოოდ არაფერია ვალდებული, რომ ის იყიდოს და წაიკითხოს» (SVG, გვ. XVI-XVII). ის, რომ შემქმნელის თვითირინული გაფრთხილებების ცოტა ეშინოდათ, შემინევა აგრეთვე იმ ლიტერატურული კვლევებიდანაც, რომელსაც Des Indes ტოვებდა. »Hélène, c'est moi«, ამბობს ნადია ანდრე ბრეტონის ამავე სახელწოდების წიგნში, და სიურეალისტური Jeu de Marseille-ის რუკაზეც ვგხვდება ფლურნუას გამირი (გამოხატული ი. ფლურნუაში: Théodore et Léopold. De Théodore Flournoy à la psychanalyse, ნოიენბურგი 1986, გვ. 160 f.). სიურეალისტების გვერდით, შენეველი ფსიქოლოგის წიგნმა, როგორც ჩანს, აზრი შთაბერა, აგრეთვე, შვეიცარიის გერმანულ და ფრანგულენოვან ლიტერატურაში ორ სრულიად სხვადასხვა ავტორს.

გი დე პურტალეს გამირი ავტობიოგრაფიული შეფერილობის მქონე რომანიდან ისმენს (1915 წელს, ფლანდრიაში, თავდასხმაში მოხვედრისას, დაშავებული, შლამიან მიწაზე მწოლიარე, სიკვდილის პირისპირ მდგომი) სანდო ხმით ნათქვამ სიტყვებს: »Be a man my Boy.« La voix d'Ellen Smith, sa vieille bonne de Tannery, lui revenait avec ces mots anglais. »Be a man.« არა ამ »შესანიშნავ სახელზე« (cf. J. Lacan, L'acte psychanalytique, 1967 წლის 22 ნოემბერს გამოქვეყნებული სემინარი), მაგრამ ალბათ სპირიტისტული მოვლენების და ინტრიგების უკუღმართობასთან მებრძოდ შენეველი ფსიქოლოგიის პროფესორს ვგხვდებით ფრიდრიხ გლაუზერის პირველ კრიმინალურ რომანში »სამი მოხუცი ქალბატონის ჩაი«. ის აზრი, რომ ლუი დომინიეს და ფლურნუას შორის არც თუ ისე დიდია განსხვავება, იქიდან გამომდინარეობს, რომ ერთი პროტაგონისტი იმავედროულად კრიმინალურ რომანთან წარმოქმნილ მოთხრობაში »დემონები ბოდენის ტბასთან«, სწორედ იმ წიგნს კითხულობს, რომელიც ანდრე ბრეტონს ადაფრთოვანებდა.

¹⁵¹ როგორც ფლურნუა სამართლიანად აღნიშნავს, იმ დროისთვის კ. ფლამარიონის 1892 წელს გამოცემული პოპულარული სამეცნიერო ნაწარმოების Mars et ses conditions d'habitabilité საშუალებით არა მხოლოდ სპირიტისტული წრეები გადავიდნენ ამ თანავარსკვლავედში. ენა, რომელზეც

ჩანს, რეინკარნაციაც განიცადა, როცა მასში ჩასახლდა ინდოელი პრინც სივრუკა-ნაიაკას მეთერთმეტე ცოლი – არაბი პრინცესა სიმანდიდი. ამ დროს ჰელენი სანსკრიტზე თუ მის მსგავს ენაზე მეტყველებდა და დევანაგარის მსგავსი ანბანით წერდა.¹⁵²

ფლურნუას ვარაუდი, რომ ჰელენ სმითის ინდური ენა სანსკრიტის ჟენეველ პროფესორს დააინტერესებდა, გამართლდა: სოსიურმა არაერთხელ გადაუხადა მადლობა ფლურნუას ამასთან დაკავშირებით მიწერილ წერილში საინტერესო მასალისათვის და სიამოვნებით შესთავაზა მას თავისი სამსახური. სოსიურის ანთებული ინტერესი იმით არის კიდევ უფრო განსაცვიფრებელი, რომ მას ფლურნუას შეკითხვაზე უცბად შეეძლო გაეცა პასუხი: მედიუმის ენა არის არა სანსკრიტი, არამედ »სანსკრიტოიდული«.¹⁵³ სიტყვებით სავსე Kauderwelsch, »charabia«. ამ დასკვნის მიუხედავად, სოსიურმა შემდგომი მასალაც მოითხოვა და ამ შემთხვევაზე ფლურნუასთან სასაწრაფო საუბარი მოისურვა.

ამით შთაგონებული სოსიურის დეტალური ფილოლოგიური კომენტარები უხვადაა Des Indes à la planete Mars-ში. მაგრამ აგრეთვე შევიტყვეთ, რომ სოსიური თვითონ, თუმცა კი იშვიათად,¹⁵⁴ ფლურნუასთან ჩატარებულ სპირიტისტულ სეანსებში მონაწილეობას იღებდა. 1897 წლის 26 ივნისის სეანსის ოქმში ჩვენ ვხედავთ მას, რომ »სრულიად ახლოს დგას ჰელენთან, რომელიც მღეროდა და იატაკზე იჯდა.«¹⁵⁵ შემდეგ ფილოლოგიური სიზუსტით ადგენდა, რა ენაზე მეტყველებდა ჰელენი¹⁵⁶ და ცდილობდა ჩაეწერა, თუ რას აკეთებდა მედიუმი ჩუმი ხმით არტიკულაციისას: »gâya gaya naïa ia miya gayâ briti . . . gaya vayayâni pritiya kriya gayâni i gâya mamata gaya mama nara mama patii si gaya gandaryô gâya ityami vasanta [. . .]«¹⁵⁷ და. ა.შ.

აქ უშუალოდ მოცემული სტრიქონებიდან მივიღებთ დასკვნას, თუ როგორი შემდგომი პროცესი მოჰყვა ამ სხდომას და, ამასთან, ნათელი შთაბეჭდილება გვექმნება ფლურნუას მუშაობის შესახებ:

ჰელენი მარსის მცხოვრებლებს ესაუბრებოდა, დოკუმენტირებულია ორმოცზე მეტი მოკლე და გრძელი ტექსტების კორპუსის საშუალებით. Des Indes-ს გამოცემიდან ერთი წლის შემდეგ პარიზში გამოვიდა ვ. ჰენრის *Le langage martien. Etude analytique de la genèse d'langue dans un cas de glossalalie somnambulique*, რომელშიც სორბონელმა პროფესორმა ჰელენის სიტყვათა მარაგს ლინგვისტური ანალიზი დაუთმო (ახალი გამოცემა შესავლით, ასევე ბიო-ბიბლიოგრაფიული მონაცემებით ვ. ჰენრი: *Antinomies linguistiques/Le langage martien*, პარიზი, 1991).

იმ დროისთვის, როდესაც ფლურნუა და სოსიური ლაიფციგში სწავლობდნენ, იქ და სხვა გერმანულ უნივერსიტეტებში სამეცნიერო სფეროებში ისეთ სპირიტისტულ ღონისძიებებს აწეობდნენ, რომ ვუნდტი იძულებული ხდებოდა გამოსხაურებოდა ამ მოვლენებს. შეად. »სპირიტოზმი. ღია წიგნი ბატონი პროფესორ ულრიხის მიმართ ჰალეში« [1879], in: ვ. ვუნდტი, ესეები, ლაიფციგი 1885, გვ. 342/366, ასევე ს. ჰალი: თანამედროვე ფსიქოლოგიის დამაარსებლები (ლოცკე, ფეჰნერი, ჰელმჰოლცი, ვუნდტი), ლაიფციგი, 1912, გვ. 140 ff.

¹⁵² შეად. გვ. 330/411, ინდური ციკლი. შემდგომში ფართოდ გაერცვლებულ გამოკვლევებში, რომლებშიც მან სახელგანთქანი ორიენტალისტების და ისტორიკოსების აზრი გაიზიარა. ფლურნუა ექვებდა ამ »რომანის« წყაროს და სჯეროდა, რომ საბოლოოდ იპოვა ექვსტომიანი, 19828 გამოცემული *Histoire générale de l'Inde ancienne et moderne, depuis l'an 2000 avant J.-C. jusqu'à nos jours von de Marlès* ფორმით.

¹⁵³ SVG, გვ. 385.

¹⁵⁴ კერძოდ, ზუსტად ოთხჯერ, როგორც ფლურნუა ადგენს, გვ. 393.

¹⁵⁵ Cf. SVG, გვ. 382.

¹⁵⁶ Ibid.

¹⁵⁷ Ibid.

ამ სხდომის დასრულება გადაწყვიტა ლეოპოლდმა,¹⁵⁸ ალბათ, საკმაოდ იშვიათი სტუმრის – დე სოსიურის პატივსაცემად... ჰელენი თავისი სანსკრიტის სიტყვებით შერეული ინდური სიმღერის ინტერპრეტაციას მიეცა, რომელიც სიტყვასიტყვით შემდეგნაირად ჟღერს: »იმღერე, ჩიტო, გვამღერეთ ჩვენ» გაია... გვამღერეთ გაზაფხულზე; მე დღე და დამ ბედნიერი ვარ! გვამღერეთ ჩვენ! [...]

თუ ამ თარგმანს ინდურ ტექსტთან შეადარებთ, მაშინ მათ შორის აღმოაჩნებთ გარკვეულ შეხების წერტილებს: გარდა ზუსტი სიტყვის gaya = »იმღერე« და vasanta = »გაზაფხული«, იპოვი აზრს »გვამღერეთ ჩვენ« in = priti und briti (სანსკრიტი priti, სიყვარულის საქმიანობა). [...]

ეს მაგალითები საკმარისია იმისთვის, რათა ჰელენს ინდურზე წარმოდგენა შეგვექმნას. როგორც ჩანს, საქმე აქ ეხება არა რომელიმე ახლა არსებულ დიალექტს. ლარდონს მიაჩნია, რომ ეს არც ჰინდია და არც ურდუ, იგი მასში ხედავს ნამდვილ ნარეკს, ალბათ, სანსკრიტის ტერმინების და გამოვლილი სიტყვებისას, მას შემდეგ, რაც დასაწყისში მარტივი ჰიპოთეზის ფორმით იდეა გამოხატა, რომ ეს შეიძლებოდა თამილი და ნაპრატტა ყოფილიყო. მიგელი განსჯის, რომ სიმანდინის უცნაურ Kauder-velsch-ში სიტუაციას საკმაოდ კარგად მორგებული სანსკრიტის ნაწილებია მოცემული. ყველა ჩემი კორექსონდენტი ამ აზრს სრულიად იზიარებს; მე ამ აზრის გადმოცემა უკეთესად არ შემიძლია და ამიტომაც დე სოსიურს ვაძლევ სიტყვას:

კითხვაზე: არის თუ არა ეს ყველაფერი სანსკრიტი, როგორც ჩანს, უარით უნდა ვუპასუხოთ; შეიძლება მხოლოდ ითქვას: 1. ეს არის მარცვლების გაურკვეველობა. მასში, უდავოდ, არის 8-10 მარცვალი ერთმანეთის შემდეგ, რომლებიც წინადადებას ლოგიკურად წყვეტენ (განსაკუთრებით ბრძანებითი/ძახილის წინადადებები, მაგ. Mama priya = ჩემო მრავალმხრივ საყვარელო, mama soukha = ჩემო აღფრთოვანება) – 2. დანარჩენ, გარეგნობის მიხედვით გაუგებარ მარცვლებს არასოდეს აქვთ ანტისანსკრიტული ხასიათი, ანუ ისინი არასოდეს გვიჩვენებენ ჯგუფებს, რომლებიც ზოგადი სახით მატერიალურად სანსკრიტის სიტყვებს უპირისპირდებიან. – 3. საბოლოოდ, ამ უკანასკნელ დაკვირვებას აუფასურებს ის მოვლენა, რომ სმითი ხმოვან ა-ს ნაკლებად ანიჭებს უპირატესობას. სანსკრიტი კი არის ენა, რომელიც ა-ს ოთხჯერ უფრო ხშირად იყენებს, ვიდრე სხვა ხმოვნებს. ასე რომ, როდესაც 3-4 მარცვალი ა-ით გამოითქმის, არ ვიფიქროთ, რომ სანსკრიტთან გვაქვს საქმე.”¹⁵⁹

თუმცა, თავისი აღწერის დროს, ფლურნუა ეყრდნობა ინდური ენის სხვა სპეციალისტებს – აქ გალდონს და მიგელს, სხვაგან ბარტს და ოლტრამარეს, მაგრამ უკანასკნელი სიტყვა მაინც სოსიურს ეკუთვნის. და თუ სხვა შემთხვევებში მისი წერილები მოსაბოლიშებელი სიტყვებით არის სავსე, აქ, როგორც ჩანს, სოსიურს თავისი »ეპისტოლოფობია«¹⁶⁰, »თავისი ავადმყოფური შიში ბუმბულიანი კალმის წინაშე«¹⁶¹ დაძლეული აქვს. ფლურნუა მისგან წერილებს ძალიან ხშირად იღებს – და მაშინაც კი, როდესაც Des Indes გამოცემა გადაწყვეტილი იყო:

წინამდებარე გვერდები უკვე იბეჭდებოდა, როდესაც სოსიურს ერთი აზრი მოუვიდა. მან მე, არაინდოლოგ მკითხველს, უფლება მომცა, რომ ჰელენის საუბარი ლათინური ასოებით ჩამეწერა.¹⁶²

საიდან მოდის სოსიურის ეს აშკარა აღფრთოვანება, როცა ის ფლურნუას სულ ახალ-ახალ »იდევს« უზიარებს, არამედ თვითონაც ჰელენის ჰინდის მიხედვით ადგენს ლათინურ ტექსტს? რატომ აადლევა ის ამ მედიუმის ენამ უფრო მეტად, ვიდრე სხვა ექსპერტები? არსებობდა აქ რაიმე შემთხვევა, რა-

¹⁵⁸ სული თავის თავს ლეოპოლდს უწოდებს, რომელიც სპირიტისტული მსოფლმხედველობის მიხედვით, ჰელენის საშუალებით საუბრობს.

¹⁵⁹ Cf. SVG, გვ. 382-384.

¹⁶⁰ Cf. SVG, გვ. 93.

¹⁶¹ Cf. LAM, გვ. 8.

¹⁶² Cf. SVG, გვ. 396; შეად. ტექსტებს, გვ. 49.

მაც სოსიურის ენობრივ-თეორიული ინტერესი წინ წამოსწია? ან იქნებ მიზეზი მისი »მოთმინება და უზომო თავაზიანობა«¹⁶³ იყო (რისთვისაც ფლურნუა თავის წინასიტყვაობაში ხაზგასმით იხდის მადლობას) სწორედ იმიტომ, რომ ჰინდისადმი ჰელენის ინტერესი მას მტანჯველი ენობრივ-თეორიული პრობლემებიდან გადართავდა?

ცნობიერების ტალღის ქვეშ

გ. ლეჰში, რომელიც რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, 1974 წელს გამოცემულ თავის თხზულებაში «Saussure e gli spiriti»¹⁶⁴ თავდაპირველად ქენეველი ლინგვისტების წვლილზე ფლურნუას ერთ დროს მსოფლიოში ცნობილ, მაღლე კი დაეწიებას მიცემულ წიგნზე ამახვილებდა ყურადღებას, ამ კითხვაზე პასუხს არ გვაძლევს. თავისი თხზულების მრავლისმომცველი სათაურის მიუხედავად, იგი მასში, უპირველეს ყოვლისა, ფლურნუას სამეცნიერო-ისტორიულ მნიშვნელობაზე საუბრობს, ხოლო რაც შეეხება სოსიურს, იგი, ძირითადად, მისი ფილოლოგიური კომენტარების გადმოცემით შემოიფარგლება. ც. ტოდოროვი, რომელიც 1977 წელს გამოცემულ წიგნში „Theories du symbole“ ამ შემთხვევას კურიოზად მიიჩნევს და კმაყოფილდება ფრაზით: «ჰინდის ანალიზს [d'angué] სოსიური იმ ზომით აცოცხლებს, რომ მისი მხოლოდ წარმოდგენაც კი ძნელი შესაძლებელია».¹⁶⁵

როგორც ტოდოროვი ვარაუდობს, სოსიურისთვის ჰელენის «Hindi»-ს განხილვისას მნიშვნელოვანი რომ იყოს მხოლოდ ის საკითხი, აქ საქმე სანსკრიტს ეხება თუ არა, მისი მოჭარბებული ინტერესი, მისი «მოთმინება და უზომო თავაზიანობა» მართლაც ძალიან გასაოცარი იქნებოდა. მაგრამ Des Indes მიმართ მისი წვლილის ყურადღებით გადაკითხვა გვიჩვენებს, რომ სოსიური, მას შემდეგ, რაც იგი შეეცადა თავდაპირველად ფლურნუასგან მისი მისამართით დასმულ შეკითხვაზე ფილოლოგიური მეთოდით გაეცა პასუხი, მაღლე უკვე სხვა პრობლემებით დაინტერესდა. ყველაზე ნათლად სოსიურის დაინტერესების სფეროს ეს ცვლილება იმ კომენტარებზე დაყრდნობით გამოჩნდა, რომელიც ჰელენის მიერ თავის «Hindi»-ენაზე ნათქვამ წინადადებას ეხებოდა.

ისევე როგორც ყველა სხვა ექსპერტი, რომლებიც ამასთან დაკავშირებით ბჭობდნენ, სოსიური თავის უკვე ნახსენებ, 1896 წლის 1 ივნისით დათარიღებულ წერილში ფლურნუას მისამართით მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ ჰელენს «Hindi»-სა და სანსკრიტს შორის მსგავსებები მოძებნა.¹⁶⁶ თითქმის ერთი წლის შემდეგ, 1897 წლის 19 ივნისს, სოსიური კიდევ ერთხელ დაუბრუნდა სადავო წინადადებას – *atiēyo Ganapatinâmâ* – და თავის ვრცელ კომენტარში სრულიად სხვაგვარად გამოხატული ინტერპრეტაცია წარმოადგინა. გვსურს საფუძვლიანად განვიხილოთ ეს სამეცნიერო ისტორიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი:

¹⁶³ SVG, გვ. XIX.

¹⁶⁴ In: Studi saussuriani per Robert Godel, გამოცემ. რ. ამაკერი, ტ. დე მაურო და ლ. ჯ. პრიეტო, ბოლონია, 1974, გვ. 181-200.

¹⁶⁵ ტოდოროვი 1977, გვ. 324. სეჰშის სტატის ტოდოროვი, სხვათა შორის, ერთი სიტყვიტაც არ ახსენებს.

¹⁶⁶ მდრ. ო. ფლურნუა 1986, გვ. 183 f. (=B.042)

P.S. საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ, მე ვისრები იმ მიმართულებებისაკენ, რომ Sivruka-წინადადებებში მარსის ენის ანალოგი დავინახო, რომელსაც მხოლოდ დროდადრო ერევა სანსკრიტის ელემენტები.

დავუშვათ, რომ ჩემი აზრის, ან უფრო მეტად, ჩემი შთაბეჭდილების მარტივ ილუსტრაციად, სიმანდინს ეთქვა ასეთი წინადადება: *Je vous bénis au nom de Ganapati* »მე გლოცავთ თქვენ განაპატის სახელით«.

სივრუკას მდგომარეობაში ერთადერთი, რაც მას აზრადაც არ მოსდის, არის ის, რომ მან ფრანგულად გამოთქვას ეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფრანგული სიტყვები რჩება იმ ყველაფრის თემად თუ სუბსტრატად, რისი თქმაც მას უნდა. კანონი, რომელსაც მისი სული ემორჩილება, მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული ამ კარგად ნაცნობი სიტყვიდან თავისი წარმომადგენლობითი, ეგზოტიკური ფერით გადმოიცეს. როგორ – ეს უკვე მეორეხარისხოვანია; უპირველეს ყოვლისა და მხოლოდ ის არის საჭირო, რომ ის მის თვალში ფრანგულად არ გამოიყურება და მისთვის საკმარისია, როცა ის – მაგალითად, *Madame*-ის ნაცვლად, *Maguish*-ს, ხოლო *Mademoiselle*-ის ნაცვლად, *Manogadish*-ს გამოთქვამს – მის სულში თითოეული ფრანგული სიტყვით მართკრივად აღვივებს შემთხვევით ახალი ბგერითი ფორმებით ავსებს.

ერთადერთი, რაც ამას ემატება (ჩემს ქვეცნობიერ »ახსნასთან«) არის ის, რომ სუბსტრატული ხან სრულიად მიზანმიმართულად, ხან უცხო სიტყვის გახსენებით (იქნება ეს გერმანული, ინგლისური, უნგრული თუ სანსკრიტი), იმ იდიომის ბუნებრივი უპირატესობის მინიჭებით, რომელიც მოქმედების ადგილს ყველაზე მეტად შეესაბამება, ამის გათვალისწინებით, ვცდილობ ეს ჰიპოთეზური გზა ზემოთ მოყვანილი წინადადების მაგალითზე »*Je vous bénis au nom de Ganapati*« ზუსტად გადავიტანო.

1. »*Je*« ფორმა უნდა შეიცვალოს. გავწვდის მეხსიერება რაიმე ეგზოტიკურ სიტყვას »*Je*«-სთან დაკავშირებით? არა; მაშინ კაცი აქ შემთხვევით მის ნაცვლად აიღებს *a*-ს. (შეიძლება ეს *a* მართლაც ინგლისური *i*-დან არის ნაწარმოები, რომელიც *ai*-დ გამოითქმის, რაც უკვე საჭირო აღარ არის).

2. »*Vous bénis*« ან »*bénis vous*«. იმ შემთხვევაში, თუ მაგალითად »*Je*«-ს შესაბამისი სიტყვა ინგლისურით არის შთაგონებული, შედეგად შეიძლება მივიღოთ ის, რომ ინგლისური წინადადების წყობა პირდაპირ მასზე დამატებულ სიტყვებში უნებლიედ არის შემჩნეული,

შედევად აღინიშნება:

»*bénis vous*«

mit tiê yo

yo შეიძლება ინგლისური *you*-დან იყოს ნასესხები. *tiê*, »*bénis*« არსიდან არ არის გადმოღებული, ისევე, როგორც მარსის ენაში.

3. »*Au nom de Ganapati*«. გვარი *Ganapati* თვითონ დგას, რა თქმა უნდა, ამ მთლიანი მექანიზმის გარეთ და საიდანაც უნდა იყოს გადმოღებული. რჩება »*au nom de*«, რაც გადმოიცემა *nâmâ*-თი, იქნება ეს გერმანული *Name*-ს გახსენებით, თუ ასევე სადღაც აღქმული სანსკრიტის სიტყვა *nâmâ*-ს გაცოცხლებით; ფრანგული წინადადების წყობის საპირისპირო კონსტრუქცია საბოლოოდ მასთან გერმანული *Name*-ს ფრთხილ მიფრინდებოდა, ანუ საკითხის ცვლილების თანახმად, ღმერთის სახელით, განაპატის სახელით *in Gottes Namen*, *in Ganapatis Namen*.

ასეთია დაახლოებით იმ პროცესის სახე, რომელიც წარმომიდგენია. ფრანგული წინადადების ბგერითი ფორმა ამ შემთხვევაში ჩემთვის უმნიშვნელოა.

მოკლედ რომ ვთქვათ, *Kauderwelsch*-ი, რომელიც თავის ელემენტებს სადაც შეუძლია სესხულობს და დანარჩენებს იგონებს ერთადერთი წესის თანახმად – ფრანგული კვალი, რომელსაც ის მიჰყვება, არ გამოაჩინოს. ეს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის ჩემი შეხედულება, რომელიც მე თქვენთვის უბრალოდ მინდოდა გადმომეცა, მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია იგი თუ არა.¹⁶⁷

თვითონ ამ სტრიქონების სუფთა ტონით გაოცებული და იმ ნახტომებით აღტაცებული, რომელიც მან ფრანგულიდან ინგლისური და გერმანული ენის

¹⁶⁷ ჩვენ ამ პოსტსკრიპტუმს გადმოვცემთ ო. ფლურნუას წიგნში გვ. 193 f. დაბეჭდილი ორიგინალის თანახმად, 1914 წელს გამოცემული გერმანული თარგმანის გამოყენებით (SVG, გვ. 385 f).

ელემენტების საშუალებით ჰელენის »Sivruka / წინადადებებში« განახორციელა, სოსიური, როგორც ჩანს, ყოყმანობდა თავდაპირველად მათ შეტყობინებასთან დაკავშირებით, შემდეგ კი ველარ შექმლო შეწინააღმდეგებოდა იმ სურვილს, რომ ფლურნუასთვის თავისი ახალი იდეის ილუსტრაცია, სულ მცირე, პოსტსკრიპტუმად მიეწვდინა. როგორც არ უნდა იყოს, ამ კომენტარის შესახებ ფლურნუა საუბრობს »მახეილგონიერულ კონიუნქტურაზე«¹⁶⁸ – როგორც სოსიური გარკვევით გვატყობინებს, საბოლოოდ ამას სანსკრიტის ცოდნასთან რაღაც საერთო აქვს. აქ საქმე ეხება მხოლოდ იმას, რომ ის »მექანიზმი« ახსნას, რომლის საშუალებითაც ეს მედიუმის »Kauderwelsch« მოქმედებს.¹⁶⁹

ძირითადი ვარაუდი, რომელსაც ეს კომენტარი ეყრდნობა – ის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ჰელენი »Hindi«-ს მიღმა ფრანგულ წინადადებებს მალავს და მათ გამოთქმას თავს არიდებს, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რის გამოც მისი »Kauderwelsch«-ი მოქმედებაში მოდის – ის ვარაუდია, რომელზეც სოსიური თავისი პოსტსკრიპტუმის დასაწყისში ხაზგასმით მიუთითებს. იმავე მეთოდის საშუალებით ფლურნუა, თავისი მხრივ, ჰელენისეული მარსის ენის ფსიქიკური გენეზისის ახსნას ცდილობს.¹⁷⁰ ამასთანავე, ფლურნუასეულ ძირითად ჰიპოთაზასთან დაკავშირებით, სოსიური თავის »Sivruka-წინადადებების« ანალიზში, აგრეთვე, ჰელენ სმითის პიროვნებისა და ცხოვრების შესახებ ინფორმაციებს ეყრდნობა. თუ იგი ასოციაციურ მასალად სწორედ უნგრულს, გერმანულს, ინგლისურს და რამდენადმე სანსკრიტს განიხილავს, უბრალოდ იმ მიზეზით, რომ მან ფლურნუასგან იცოდა, რომ ეს ის ენებია, რომლებთანაც ჰელენს თავისი ცხოვრების განმავლობაში შეხება ჰქონდა.¹⁷¹

სოსიურის კომენტარზე ფლურნუას ეს ზემოქმედება იმიტომ წამოვწიეთ წინ, რომ ჰელენ სმითის ვარაუდებისა და ინფორმაციის მიღმა, მეცნიერულ-ისტო-

¹⁶⁸ (SVG, გვ. 386).

¹⁶⁹ შეიძლება დაისვას შეკითხვა ა. სეშეს მიერ მონათხრობ ამბავთან დაკავშირებით, რომელზეც სოსიურისადმი ნეკროლოგში წერს. მან სოსიურისგან ერთხელ სანსკრიტის სავარჯიშო მიიღო. მას, ისევე და ისევე, გრძელი a მოკლეში ეშლებოდა და გადაწვეიბა ასეთი სანსკრიტიდან »par à reu près« თავი შეეკავებინა თავისი პატივსაცემი მასწავლებლის »მახეილგონიერულ კონიუნქტურაზე«. ა. ბრეტონს კი ამ აპროცესის აღწერაში იმ »ფსიქოლოგიური ავტომატიზმის« პროლეგმისი დაუნახავს, რომელსაც იგი სიურეალიზმის პირველ მანიფესტში შემდგენაირად აღწერს: »წმინდა ფსიქიატრიული ავტომატიზმი, რომლის საშუალებითაც ვერბალურად, წერილობით თუ სხვა სახით აზრის ნამდვილი მსვლელობის გადმოცემა სურს. აზრთა კარნახი, რომელიც არანაირი გონებრივი კონტროლისგან არ იღებს ზიანს, რომელიც თავისუფალია ნებისმიერი ესთეტიკური თუ მორალური მარწუხებისგან... სიურეალიზმი ემყარება გარკვეული ასოციაციების ფორმების უმაღლესი რეალობის რწმენას, რომლებიც იქამდე არსებობდა, სიზმრის ძალაუფლებას, აზროვნების თამაშს« (ციტირებულია ჟ. სტარობინსკის მიხედვით: »ფრიიდი, ბრეტონი, მაიერსი, in: ders., ფსიქოანალიზი და ლიტერატურა, მაინის ფრანკფურტი 1990, გვ. 148 f.).

¹⁷⁰ მხოლოდ დასასრულს ვიხსენებთ ამ ვარაუდის ნათესაობას იმ ჰიპოთეზასთან, რომლითაც სოსიური ლეგენდის კვლევაში ხელმძღვანელობს. იქ დაახლოებით ასე ეწერა: »წარმოსახვის უნარი მეხსიერების სიცარიელის შესახებ ცვლილების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია« (შეად. ენები, გვ. 105ff.). ან, უფრო გარკვევით: »რაიმეს გაცნობიერებული გამოგონება, რათა რაიმე სხვა შეიცვალოს, რაც მოხრობელს სასურველ მომენტში აზრად არ მოსდის, მოხრობელისთვის არის პატარა, წარმავალი დამცირება, რომლის დაფარვასაც ცდილობს მსმენელი საზოგადოების წინაშე. ლეგენდის ზოგადი განსაზღვრისთვის იგი არის ქმედების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორთაგანი [ტრანსფორმაცია] [] (cf. LEG, გვ. 440 ან ტექსტები, გვ. 435).

¹⁷¹ რაც შეეხება ჰელენის მიერ სანსკრიტის რუდიმენტულ ცოდნას, ფლურნუა მიიხსენებს, რომ ჰელენს ერთხელ სანსკრიტის გრამატიკა ჩაუვარდა ხელში. "Nouvelles observations"-ში საუბრობს იგი, რომ მან (ფლურნუამ) ასეთი რამ ნამდვილად იპოვა, თუმცა ჰელენი ამას უმაღლავს. »Y-თან, პატივსაცემი საზოგადოების ფსიქიკური კვლევებისათვის წევრი« (როგორც სპირიტისტების მიზიდვით თავის ანგლო-საქსონურ პროტოტიპებს უწოდებენ) (SVG, გვ. 395).

რიულად უფრო მნიშვნელოვანი დებულება იჩენს თავს ზოგადად იმ მოსახრებებს შორის, თუ როგორ წარმოგვიდგენს სოსიური მათ აქ და ფლურნუას სპირიტული ფენომენების ფსიქოლოგიური ახსნის მოდელს შორის. ფლურნუა სპირიტუზმის შესახებ თავის ხანგრძლივ გამოკვლევებში შემდეგნაირად ხელმძღვანელობს: როგორც ჩანს, მედიუმის »ხებუნებრივი« უნარები სინამდვილეში სხვა არაფერი იყო, თუ არა წარმოდგენის ასოციაციების პროდუქტი, რომლის სახე და წარმომავლობა მხოლოდ იმიტომ ჩანდა გაუგებრად, რადგანაც ისინი ცნობიერების ტალღის ქვეშ ყალიბდებოდნენ. თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება, მედიუმის დაკვირვების საწინააღმდეგოდ, მზერა სწორედ ამ ცნობიერების ტალღის ქვეშ »სუბლიმაციური წარმოსახვის ძალის« მექანიზმებისკენ წარვმართოთ:

ეგრეთ წოდებულ სპირიტისტულ ფენომენებზე მსურს ვისაუბრო და საკითხის მნიშვნელოვანი ნაწილი წამოვწიო წინ, რომელიც სუბლიმაციური წარმოსახვის ძალას უბრუნდება. ჩვენ ვფლობთ უამრავ დოკუმენტს გაუცნობიერებელი აღქმის როლთან დაკავშირებით, რომელიც ცოდნის გარეშე, აზრის საშუალებით, მუდმივად ახალ-ახალ ობიექტებს აღმოგვაჩინებს. ეს ობიექტები იმისთვის არიან განკუთვნილი, რომ ჩვენი ოცნებები და (თუ ჩვენ საკუთარ თავს სპირიტისტულ სავარჯიშოებს ვაძლევთ) ჩვენი სავარაუდო კომუნიკაციები დეინკარნირებულებს მიეუახლოვოთ. ასევე შესანიშნავად არის ცნობილი ლატენტური მეხსიერების მნიშვნელობა, რომელშიც შენარჩუნებულია ჩვენი მე-ს მიერ დაიწყებულს მიცემული მოგონება, ისე, რომ ჩვენ მათ ვეღარ შევიცნობთ და გვჯერა, რომ მასში ორიგინალურ იდეებს ან ნამდვილ ცნობებს იმ მხრიდან შევიცნობთ, თუკი ისინი მოულოდნელად ისევ ამოტივტივდებიან.¹⁷²

ჰელენის »Sivruka-წინადადებებთან« დაკავშირებით სოსიურის კომენტარი შემჩნეველად ერთეობა სპირიტისტული ფენომენების განმარტების მოდელში, რომელიც ფლურნუამ ფსიქოლოგიის მეოთხე საერთაშორისო კონგრესზე პარიზში შემოგვთავაზა. მეტიც: ამ პროგრამული სტრიქონების მიღმა, სოსიურის ტექსტი იკითხება როგორც მცდელობა, რომელიც ფლურნუას მიერ პოსტულირებული »სუბლიმაციური წარმოსახვის ძალას« ამ ამოვარდნილი წინადადებების ანალიზში გამოკვეთს და თავიდან აეკლიბებს. სოსიური ცდილობს დეტალურად გვიჩვენოს სავარაუდო ტალღისქვედა «მექანიზმი», «ლატენტურ მეხსიერებაში» ჩართულ ასოციაციურ კავშირებს გამოუთქმელი ფრანგული სიტყვებიდან შიდა სუბსტიტუირებული «ეზოტიკური» სიტყვებისკენ როგორ მივყავართ.

ჰელენის »Sivruka-წინადადებების« გამოყენების საშუალებით სოსიური არა მხოლოდ სპირიტუზმს შეეხო, არამედ გაუცნობიერებელი ფსიქიკური პროცესების ბუნების შესახებ სამეცნიერო თეორიასაც.¹⁷³ Des Indes-ს წინათქმაში ფლურნუა ხაზგასმით მიუთითებს ამ სამეცნიერო კონტექსტზე, როდესაც ის, სხვებთან ერთად, ფროიდს და ჟენეს მოიხსენიებს. მან სპირიტისტული ფენომენების ფსიქოლოგიური ახსნის მოდელის კვლევა თავის თავზე აიღო.¹⁷⁴

¹⁷² cf. ფლურნუა 1900 b, გვ. 107.

¹⁷³ გ. მარფის ციტატების მიხედვით, პ. ელენბერგერი თავის მონუმენტურ ნაწარმოებში «დინამიური ფსიქიატირის შეუცნობელის აღმოჩენა. ისტორია და ევოლუცია» ადგენს, რომ «დაახლოებით 1895 წელს უვარაუდო, რომ ხელისშემშლელი ტენდენციები შეუცნობელში შეიჭრებოდნენ, თავისთავად ცხადი იყო» (ელენბერგერი 1973, გვ. 443). შეად. ამასთან აგრეთვე მ. ჩიფალი, »თეოდორ ფლურნუა, la decouverte de Pincoiscent«, in: Le blocnotes de la psychanalyse 3, გვ. 111-131, ასევე გ. რუდინესკო, La bataille de cent ans. Histoire de la psychanalyse en France, პარიზი 1986, ტომი I, გვ. 122ff.

¹⁷⁴ იმ გარემოებას, რომ Des Indes-ში »ავტორის ციტატები« იშვიათად გვხვდება, ფლურნუა შემდეგნაირად განმარტავს: »მე უპირატესობა მივანიჭე იმ მომენტს, რომ საკუთარი თავისთვის ეს სიამოვნება შემეზღუდა – რათა ეს ისედაც უკვე მძიმე ტომი კიდევ უფრო არ დამტვირთა, და რამდენიმე ბიბლიოგრაფიული მონაცემით შემოვფარგლულიყავი, რომლებიც თავისთავად გამახსენდებოდა. თუმცადა ზოგიერთი, სხვათა შორის, მონათესავე და ნაწილობრივ პარალელურ

ამ სამეცნიერო გარემოსთან კონტაქტი სოსიურის შემოქმედებას გამოაცოცხლებდა, იმიტომ, რომ აქ სრულიად სხვა მხრივ ერთ საკითხს შეეხნენ, რომლის ენობრივ-თეორიული მნიშვნელობას იგი თავისი უნების პროფესორის თანამდებობაზე დანიშნავსთან დაკავშირებული ლექციიდან მოყოლებული კვლავაც ხაზს უსვამდა: კერძოდ კი ის საკითხი, »ენობრივი მოვლენები შეიძლება ჩაითვალოს თუ არა, როგორც ჩვენი ნების ქმედების შედეგი«,¹⁷⁵ ანუ ემყარება თუ არა ისინი შეგნებულად ან შეუგნებლად მიმდინარე პროცესებს.¹⁷⁶ ეს საკითხი განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა აქტუალური, როდესაც ასოციაციურ და სინტაგმატურ კავშირებს შორის ცვალებადობა თვალში გვხვდებოდა. სწორედ ამაზე მიუთითებდა 1884 წელს ნიკოლაი კრუშჩევსკი თავის ენათმეცნიერების პრინციპებში. ერთი ენის ფარგლებში სიტყვების მოთამაშე მსგავსებებს და მათ კავშირებს უნის ის მექანიზმი ქმნის, რომლის სქემაც სოსიურმა, წლების შემდეგ, თავის ლექციებზე ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ ჩამოაყალიბა.¹⁷⁷ მედიუმის ენობრივი საკითხებით ფლურნუას

დროში შექმნილი თეორიების გახსენება მოხვედრას მიკარგავს, რადგანაც მათ გამოთქმებს, ძირითად პუნქტებს, მეტაფორებს ყოველთვის ვსესხულობდი. ასე რომ, პრაქტიკულად გამგებლდებოდა ამ თეორიებისთვის გვერდის ავლა. საგანგებოდ მინდა ვახსენო პ. უენეს Désagrégation mentale (L'atomisme psychologique, პარიზი 1989; Etat mental des hystériques და ა. შ.); მ. დესუას ორმაგი მე (ლაიფციგი 1890); ბროინერის და ფროიდის ჰიპნოიდური მდგომარეობები (გამოკვლევები ისტერიაზე, ვენა 1895) და განსაკუთრებით, ფ. ვ. მაიერსის ქვეცნობიერება (The subliminal consciousness, Proceedings of the Society for Psychical Research, ტომი VII, გვ. 298 და შემდგომი ტომები) (SVG, გვ. XXIf). ფროიდისეული ფსიქოანალიზის და სოსიურისეული ენათმეცნიერების კავშირის თვალსაჩინოებისთვის იხილე ფერი 1989 და ders.: »Bœuf, lac, ciel« - »consierge, chamise, lit« , in: Actes du Colloque »Saussure aujourd'hui«, Carisy-la-Salle (13-23.8.1992), პარიზი 1995, გვ. 431-438.

¹⁷⁵ ჩანაწერებიდან შესაფერისი პასაჟი შემდეგნაირია: “შეიძლება თუ არა, რომ ლინგვისტური საკითხები ჩვენი ნებელობის აქტის შედეგებად ჩაითვალოს? ენის [langage] მეცნიერება ადასტურებს ამ საკითხს. მაგრამ მაშინვე უნდა აღვნიშნოთ, <რომ არსებობს ბევრი გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებული ნებელობის ცნობილი ხარისხი; > ყველა ენობრივ აქტს აქვს თვისება, ნაკლებად არაპროფერულია ყველა აქტს შორის“ (cf. CLG/E (II), გვ. 6, N II, ნომ. 3283).

¹⁷⁶ ამ საკითხს სოსიური თავისი პროფესორის თანამდებობაზე დანიშნავსთან დაკავშირებული ლექციის მეორე გაკვეთილზე »ფონეტიკური« ენის განვითარებისა და »ანალოგიური« ენის განვითარების განსხვავებასთან დაკავშირებით შეეხო: »ერთი მხრივ, არსებობს ფონეტიკური ცვლილებები [changement phonétique] და, მეორე მხრივ, სხვადასხვა სიტყვებით წარმოდგენილი განვითარება, <რომელთაგანაც არც ერთი არ გამოირჩევა> მაგრამ მათ შორის ყველაზე მეტად ანალოგიური ცვლილება გამოიყენება. ჩვენ უშუალოდ დავინახავთ, რატომაც შეიძლება ეს ორივე ფაქტორი ენობრივი განახლების სხვადასხვა კუთხით ერთმანეთს დაეუპირისპიროთ, როდესაც ვამბობთ, რომ პირველი მეტყველების ფიზიოლოგიურ და ფიზიკურ მხარეს წარმოადგენს, მაშინ როცა მეორე იგივე აქტის ფსიქოლოგიურ და მენტალურ მხარეს <შეესაბამება>, რომ პირველი გაუთვითცნობიერებელია, როდესაც მეორე გაუთვითცნობიერებულია; ყოველთვის, როდესაც მოგონებაში ამოტივტივდება, რომ ცნობიერების ცნება გარეგნულად შედარებითია, ისეთნაირად, რომ საქმე მხოლოდ ცნობიერების ორ ხარისხს ეხება, რომელთაგანაც უფრო აღმატებითი ჯერ კიდევ <წმინდა> გაუთვითცნობიერებლობა შედარებულია აზრის ხარისხთან, რომელიც ჩვენი მეტყველების სახეებს ახლავს თან – [...] cf. CLG/E(II), გვ. 9, N 1.2, ნომ. 3284).

¹⁷⁷ არაერთხელ სამართლიანად მიუთითა – თავდაპირველად თავის უნების პროფესორის თანამდებობაზე დანიშნავსთან დაკავშირებული ლექციაზე, ხოლო მომდევნო წლების შემდეგ, თავის კრიტიკულ ჩანაწერებში ა. სემსის მიმართ Programme et méthode de la linguistique théorique, – გარდაცვლილი პოლონელი ენათმეცნიერის მნიშვნელობაზე თანამედროვე ლინგვისტიკისთვის. იხილე ტექსტები, გვ. 246 და გვ. 381, ასევე რ. იაკობსონის თხზულებები: »L'importance de Kruszewski dans le développement de la linguistique générale«, in: ders., Essais de linguistique générale. 2. Rapports internes et externes du langage, პარიზი 1973, გვ.238-257, და: »გაუთვითცნობიერებულის და გაუთვითცნობიერებულის პრობლემის ლინგვისტურ მიდგომაზე«, იაკობსონი, 1988, გვ. 522-543. ასოციაციონიზმის და განსაკუთრებით ფ. ს. მილის დედუქციური და ინდუქციური ლოგიკის სისტემის კრუშჩევსკისეული ანალიზისთვის იხ. ფერი 1987, გვ. 28-47, და პ. კაუსატი: »ნიკოლაი კრუშჩევსკი: la «loi phonétique» entre substance et fonction«, in: Linx 23, 1991, გვ. 81-101.

დაინტერესება ნებას აძლევდა სოსიურს, ამ გაუცნობიერებელი ენობრივი პროცესების ფუნქციონირების სახე კონკრეტულ შემთხვევაში გამოეკვლია და თავისი დაკვირვებები და აზრები ინტერდისციპლინურ კონტექსტში განეხილა.

ჰელენის Kaudewelsch-თან დაკავშირებით სოსიურისეულ კომენტარს ენობრივ-თეორიულად მნიშვნელოვანს ხდის მასში მოცემული შედეგი, რომ “Sivruka-წინადადებები” მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმ გზით შეიძლება გაანალიზდეს, რომ ისინი იმ სუბიექტურად დეტერმინირებულ, სხვადასხვა წარმომავლობის ენობრივი მასალის მომცველ “ლატენტურ მესსიერებას” უნდა დაუკავშირდეს, რომლის ჰეტეროგენულ შემადგენლობაში ჰელენის ცხოვრებისეულმა გარემოებებმა და ისტორიამ თავისი გამოხატულება ჰპოვა. სოსიურის ეს ხედვა გამოიხატება მის მომდევნო აენის მექანიზმის მოდელში იქ, სადაც აშკარა ხდება, რომ ეს მექანიზმი მჭიდროდ უკავშირდება თითოეული მოლაპარაკე სუბიექტის განსაკუთრებულ ასოციაციურ განსაზღვრებებს.

აქ წარმოდგენილი ლიტერატურა, რომელიც მოწმობს სოსიურის წვლილს Des Indes-ში, შეიძლება არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოჩნდეს, ვიდრე სოსიური იფიქრებდა. იგი ცდილობდა წარმოედგინა მექანიზმი, რომელსაც ჰელენ სმითის ენობრივი პროდუქციები ემყარებოდა. ყოველ შემთხვევაში, აქ გათვალისწინებული ტექსტებით ნათელი ხდება, რომ Cours-ში გაკეთებული დასკვნა – «langue მოსაუბრე სუბიექტის ერთი ფუნქციაა როდია (თუ საერთოდ არის ფუნქცია) – სოსიურის ენისა და ენობრივი სუბიექტის კავშირის კონცეფციას მხოლოდ ცალმხრივად უკეთებს რეზიუმეს. სოსიურის აზროვნება, უპირველეს ყოვლისა, გამოირჩევა იმით, რომ ის «langue»-ს წარმოადგენს, როგორც ერთ, დამოუკიდებელ, არა ფსიქოლოგიურ კატეგორიებზე დაბრუნებად წყობას. ბალის და სეშეს დამსახურებაა, რომ ამ არა მხოლოდ ენათმეცნიერების ისტორიაში რეკოლუციურ გამოვლინებას Cours-ი დაეხმარა. მაგრამ თუ ამ მოვლენას სერიოზულად აღიქვამ, ნათელი გახდება, რატომ დააინტერესა სოსიური ასე ინტენსიურად და ხანგრძლივად საკითხმა ენობრივ სუბიექტში ენის დამკვიდრების ან ენის ზემოქმედების პრობლემამ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ამა თუ იმ კონკრეტულ ენაზე საუბრობენ.

D კონტურები

სრულიად გაუგებარი იქნებოდა, არ გამოგტყდომოდით, რომ ბუმბულიანი კაღმის მიმართ ავადმყოფური შიში მაქვს და რომ ეს ჩანაწერი ჩემთვის წარმოდგენილად მტანჯველი სასჯელია, რომელიც ამ ნაშრომის მნიშვნელობასთან არანაირ კავშირში არ არის. თუ საქმე ლინგვისტიკას ეხება, ამას ის ფაქტიც ამწვავებს, რომ ყოველი ცხადი თეორიის (და კერძოდ, რაც უფრო ცხადია, მით უფრო მეტად) ლინგვისტიკაში ასახვა შეუძლებელია; მე ამას მივიჩნევ, როგორც ფაქტს: ამ მეცნიერებაში არ არსებობს არც ერთი ცნება, რომელიც ოდესმე რაიმე ცხად წარმოდგენებს ეყრდნობოდა ისე, რომ წინადადებას დასრულებამდე ხან სუთჯერ ან ექვსჯერ ცვლიდნენ.

წერილის დაუთარიდებელი ჩანაწერი ფურცლის ამონაგლეჯიდან

X. გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი

1922 წელს, Cours de linguistique générale-ის გამოქვეყნებიდან ექვსი წლის და ამავედროულად მისივე მეორე, მსუბუქად კორექტირებული გამოცემის შედეგად, შ. ბალიმ ლ. გოტიესთან ერთად ქენევაში და, იმავედროულად, ჰაიდელბერგის გამომცემლობაში გამოსცა Recueil des publications scientifiques de Ferdinand de Saussure.¹ ამ წვრილად ნაბეჭდ ექვსასგვერდიან ტომში თავმოყრილია ყველა ის ენთიმეცნიერული ნაშრომი², რომელიც სოსიურმა თავისი სიცოცხლის განმავლობაში გამოაქვეყნა. ამ ტექსტების მოცულობისა და გამოცემის მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს არა მარტო იმას, რომ აქ აღნიშნაში »publications scientifiques« განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ცნებები გააერთიანეს, არამედ იმასაც, რომ ყველა ეს ტექსტი ერთი უწყვეტი და სწორხაზოვნად მიმდინარე პროცესიდან უნდა გამომდინარეობდეს.

ტომის ნახევარზე მეტი მოიცავს იმ ორივე ნაშრომს, რომელიც ახალგაზრდა სტუდენტმა სოსიურმა ლაიფციგში შექმნა: 1878 წლის დეკემბერში გამოცემულ Memoire sur le système primitif des voyelles dans les langues indo-européennes³ და

¹ შდრ. დანართი, გვ. 557. როგორც Recueil-ის საუკეთესოდ დოკუმენტირებული დამატებიდან გამომდინარეობს (ამაკერი და ბუკე ა. მეიესა და ჩ. ბეილის შორის მიმოწერას ურთავენ თავიანთ გამოცემას), რომ სოსიურის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში მეიეს ქენეველ მოსწავლეებთან ერთად ასევე ვ. სტრაიტბერგი სოსიურის ნაშრომების კრებულის გამოქვეყნებაზე ზრუნავდა. როული მოლაპარაკებების შედეგად მიღებული ერთობლივი გამოცემის ეს პროექტი («გეორგი ქენევაში», «ჩემპიონი პარიზში», «ზამთარი და ინდოგერმანული ბიბლიოთეკა ჰაიდელბერგში») შემდგომში პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეაფერხა (შდრ. ამაკერი და ბუკე 1989 (1990), გვ. 121 – 125).

² Recueil-ში არ შესულა მხოლოდ ორი რეცენზია, რომლებიც 1883 (A. 38) და 1907 წწ. (A. 39) გამოიცა. შდრ. დანართი, გვ. 553 და 556.

³ პირველი გამოცემის თავფურცელზე დართულია »Leipsick 1879« (შდრ. მ. მაირჰოფერი: »სოსიურის მემუარების შემდგომი ეფექტის შესახებ«, in: Kratylos 33, 1988, S. 1). 1887 წელს პარიზში გამომჩნდა მისი პირველი ნაბეჭდი ვარიანტი. სოსიურის მემუარების შესახებ ზემოსხეხილი

მისივე ორი წლის შემდეგ გამოქვეყნებული დისერტაცია სანსკრიტში აბსოლუტური გენიტივის გამოყენების შესახებ.⁴ არაერთგზის ნახსენებმა მემუარებმა, როგორც ვ. შტრაიტბერგი 1915 წელს სოსიურისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში წერს, «ავტორის სახელი მყისიერად ცნობილი გახადა»⁵, ამასთან ერთად გააღვიძა უზარმაზარი მოლოდინი⁶, რომლის შესრულებაც სოსიურის დისერტაციამ და მისმა შემდგომმა ნაშრომებმა, ისევე როგორც მისმა ბევრმა თანამედროვე და თანამოაზრე ავტორმა, ვერ შეძლეს. ამასთან დაკავშირებით შტრაიტბერგი აღნიშნავს:

ვინც მემუარებიდან მასზე [სოსიურის დისერტაციაზე] გადავა, გაოცება არ აცდება: უფრო დიდ წინააღმდეგობას ვერც კი მოთხოვრებ. იქ გენიალური, ყოველისმომცველი სისტემა, აქ კი – შრომატევადი მცირედი სამუშაო, მიძღვნილი შედარებით ნაკლებად მასშტაბური თემისადმი.⁷

ტ. დე მაჟროს მიხედვით იმ დისერტაციების შინაარსი, რომელიც ოცდაოთხი წლის სოსიურმა 1881 წელს გამოაქვეყნა, შეიძლება უფრო დადებითადაც შეფასდეს⁸, თუმცა, როგორც ჩანს, შტრაიტბერგი გამართლებას უძებნის მასთან არანაირ კავშირში მყოფ ორივე ნაშრომის ევექტურ ისტორიას: სოსიურის მწიბრი სადოქტორო ნაშრომი ვერასოდეს დააღწევდა თავს «გენიალუ-

მეორადი ლიტერატურისა (შდრ. ენები, გვ. 77) და ასევე რ. გიურის 1986 წელს გამოცემული მონოგრაფიის გარდა, უნდა მივუთითოთ გმიურის კიდევ ერთი ნაშრომი («სოსიურის მემუარული პრინციპები მისსავე გვიანდელ ინდოგერმანულ ნაშრომებში», ამაკერი და ენგლერი 1990, გვ. 39 – 51), ისევე როგორც მაირპოფერის 1981 წლის ნაშრომი.

⁴ Originaltitel: De l'emploi du génitif absolu en sanskrit. These pour le doctorat presentee a la Faculte de philosophie de l'Universite de Leipzig, Genf 1881. სოსიურის დისერტაციის შესახებ მეორადი ლიტერატურა უადრესად მწიბრია. შდრ. ამასთან მაირპოფერი 1981, გვ. 107, გმიური 1990, გვ. 40 და ვილანი 1990, გვ. 10 f.

⁵ შტრაიტბერგი 1915, გვ. 208. შტრაიტბერგის მოსაზრება ნაწვენებია შემდეგი ანეკდოტით, რომელსაც ფ. დე კრუეს რედაქციით გადმოგვცემთ: »როცა მან თავისი სადოქტორო გამოცდის მოსმზადებლად ლაიფციგის უნივერსიტეტში იქაურ პროფესორს საკუთარი თავი წარუდგინა, ის შეეკითხა, აკავშირებდა თუ არა რაიმე ნათესაობა მისივე სახელის მქონე ცნობილ ენათმეცნიერთან. საუკეთესო პასუხი იქნებოდა მისი სადოქტორო გამოცდის [...] პასუხი. მან ის უნივერსიტეტის ისტორიაში უდიდესი წარჩინებით დაასრულა: summa cum laude და dissertatione egregia« (cf. F.d.S., S.16). რადგან აქ, შემოთავაზებული ფორმაციის სიმცირის გამო, შეუძლებელია, სოსიურის ადრეული ნაშრომის შინაარსის კონტურები სათანადოდ გამოგვევლით, ამიტომ გთავაზობთ თ. შვერერის (შდრ. გმიური 1986, გვ. 202) შემდეგ დახასიათებას: »ამ ნაშრომს ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა, ერთი მხრივ, უმაღლეს მწვერვალზე აყავს, რადგან ის ინდოევროპულ ხმონათა სისტემის შესახებ პირველი გვაწვდის ყოველისმომცველ და მთლიან სურათს. სხვა მხრივ, ის მეთოდის თვალსაზრისით გადალახავს ახალი გრამატიკების შეზღუდვას და ასე მიუთითებს თანამედროვე ენათმეცნიერების აღწერის მეთოდებზე« (შვერერი 1980, გვ. 14).

⁶ და სახელდობრ ძალიან კონკრეტული ფორმით. მემუარების პირველი რეცენზენტი, ფრანგი ფილოლოგი ლ. ჰავე, რომელიც 1879 წლის 25 თებერვალს ქენევის ჟურნალში სოსიურის მიერ ადრეული ნაშრომის გამოქვეყნებას ენთუზიაზმით, მაგრამ კრიტიკის გარეშე არ შეხვედრია, თავის სტატიას შემდეგი წინადადებით ასრულებს: »სოსიურის წიგნი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ენათმეცნიერული ნაშრომია, რომელიც გამოჩნდა არა მხოლოდ თავისი შედეგებით, არამედ იმიტაც, თუ რა მომავალი ექნება მას. აქედან გამომდინარე, მოხდება მეცნიერების ერთი ნაწილის განახლება. მაგრამ ამ ძვირფას ხელნაწერში ყველაზე ფასეულია ის, თუ რას უნდა ველოდოთ ჩვენ მისი ავტორისგან: ფერდინანდ დე სოსიური ოცდაერთი წლის არის« (cf. »Louis Havet et le Memoire«, in: CFS 32, 1978, გვ. 122). მსგავსად წერდა ინდოგერმანისტი პ. პიუბშმანი 1879 წლის 20 ოქტომბერს სოსიურისადმი ერთ-ერთ წერილში: »თუ თქვენს ცოდნას გააფართოვებთ და გააღრმავებთ და სრულიად მკაცრ მეთოდებს მიემხრობით, თქვენ არაერთ შესანიშნავ ნაშრომს შექმნით და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანთ ენათმეცნიერების განვითარებაში« (ციტირება გმიურის მიხედვით 1986, გვ. 78).

⁷ შტრაიტბერგი 1915, გვ. 210. სხვათა შორის, ორივე ადრეულ ნაშრომს შორის კონტრასტს მის მსგავსადვე ახასიათებს მეიცი: შდრ. F.d.S., გვ. 74f. განსაკუთრებით გერმანიაში მემუარების მიმართ მკაცრად გამოთქმული კრიტიკის შესახებ შდრ. გმიური 1986, გვ. 64 ff.

⁸ შდრ. CLG/D, გვ. 330 f. ასევე Scheerer 1980, გვ. 22 f.

რი⁹ მემუარების ჩრდილს, რომელიც დღესაც კი, მისი გამოჩენიდან საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, თანამედროვე ინდოგერმანისტიკის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს.¹⁰ სანსკრიტში აბსოლუტური გენიტივის შესახებ განხილვაში მოგვიანებით აღსანიშნავი რამ ჩნდება, მეცნიერულ-ისტორიული თვალსაზრისით: რომ ის, ყველას მოლოდინის საპირისპიროდ, სოსიურის ბოლო დამოუკიდებელ გამოქვეყნებულ წიგნად დარჩა. ამგვარად, Recueil-ის დარჩენილი მცირე ნაწილი, ძირითადად, სამეცნიერო ჟურნალებისა და საიუბილეო კრებულების უმეტესად მცირე მოცულობის მქონე სტატიებიდან შეადგინეს.¹¹

გაცილებით მრავალრიცხოვანია აქ შედარებით მომცრო ეტიმოლოგიური ჩანაწერები, რომლებიც სოსიურმა პარიზში ყოფნის დროს, ანუ 1880-დან 1890 წლამდე, Memoires de la Societe de Linguistique-ში გამოაქვეყნა, რომელიც Societe Linguistique-ის პარიზის ბიუროში მდივნად მუშაობის პერიოდს ემთხვევა, სადაც ის ასევე სარედაქციო ხელმძღვანელადაც მუშაობდა.¹² უნევის უნივერსიტეტში მისი პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყებისთანავე შეწყდა მისი რამდენიმესტრიქონიანი სტატიების სერიის გამოქვეყნება.¹³ 1890-დან 1897 წლამდე სოსიურმა მხოლოდ ერთი რეცენზია¹⁴ და ლიტვური ენის შესახებ სამი მნიშვნელოვანი თხზულება¹⁵ გამოაქვეყნა. პირველ სამ სტატიაზე დაყრდნობით სოსიური 1894 წლის 4 იანვარს ა. მეიეს წერილში უშუალოდ წერს ამ კომენტარის შესავალში ციტირებულ პასაჟს:

⁹ Streitberg 1915, გვ. 206. Vom »schönsten Buch, das je in der Komparatistik geschrieben wurde«, sprach seinerseits Meillet (cf. F.d.S., გვ. 85)

¹⁰ შდრ. გმიური 1986, გვ. 206.

¹¹ სოსიურის პუბლიკაციების თვალშისაცემი სიმწირის გამო, როგორც მაირპოფერი სამართლიანად აღნიშნავს, არ უნდა შეგცდეთ მათი მეცნიერულ-ისტორიული მნიშვნელობის შეფასებაში: »აღბათ შემდგომი პუბლიკაციები გაითვალისწინებენ, რომ ასეთი უპრეცედენტო გავლენის მქონე ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოცემულ წიგნს [Cours] იღვებით (და არა გვერდების რაოდენობით) მაინც პროდუქტიული ნაშრომი აჯობებდა; ადრეულმა მემუარებმა და შემდგომმა კვლევებმა [იხ. შენიშვნა 14] თანამედროვე ინდოგერმანისტიკასა და ეახანსა და პრალაში მის სკოლებზე ხანგრძლივი ზეგავლენა იქონია, რის შედეგადაც განვითარდა ზოგადი ენათმეცნიერება« (მაირპოფერი 1988, გვ. 13).

¹² იხ. CLG/D, გვ. 339 ff.

¹³ ამ მომცრო ეტიმოლოგიური ნაშრომების მთელი რიგიდან (REC, გვ. 402-419, 433-463, 477-480) უნდა გამოვყოთ 1884 წელს გამოქვეყნებული კვლევა »Une loi rythmique de la langue grecque« (REC, გვ. 464-476; შდრ. შტრაიტბერგი 1915, გვ. 211), ისევე, როგორც სტატია »Sur un point de la phonetique des consonnes en indo-europeen« (REC, გვ. 420-432; შდრ. Streitberg, Ibid.). 1987 წელს ს. ბუკემ ა. მეიეს ლიტერატურული მემკვიდრეობის კვალდაკვალ აღმოაჩინა გამოქვეყნებული შენიშვნების სტილში შემონახული სოსიურის ჩანაწერების საკმაოდ დიდი რაოდენობა (იხ. რ. ამაკერი და ს. ბუკე »Dix – huit notes etymologiques inedites de Ferdinand de Saussure«, in: CFS 42, 1988, გვ.215-244).

¹⁴ »ი. შმიდტ: სონანტების თეორიის კრიტიკა. ენათმეცნიერული გამოკვლევა« (REC, გვ. 539-541).

¹⁵ »A propos de l'accentuation lituanienne. (Intonations et accent proprement dit)« (REC, გვ. 490-512) და »Accentuation lituanienne« (REC, გვ. 526-538). ამ ორივე ნაშრომთან დაკავშირებით, შტრაიტბერგის მიერ 1915 წელს გამოთქმული დასკვნა – »რასაკვირველია, ამ შენიშვნებში ყველგან ბოლომდე ყველაფერი ნათქვამი არ არის, ხარვეზების დამტკიცებაც შეიძლება, მაგრამ სამართლიანად შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ისინი ყოველი შემდგომი გამოკვლევისათვის ამოსავალ წერტილს ქმნიან« (გვ. 201) – მაირპოფერმა დაადასტურა: »ლიტვური აქცენტის შესახებ ორივე ნაშრომი არის ბალტიური (და სლავური?) მახვილის დასმის სიტემის წარმოშობის დღევანდელი ასახვის წინაპირობა« (გვ. 13). შდრ. ასევე შეერერი 1980, გვ. 23. სოსიურის მესამე მოცულობითი გამოკვლევა ლიტვურის შესახებ – »Sur le nominative pluriel et le genitif singulier de la declinaison consonantique en lituanien« – ასევე 1894 წელს გამოვიდა (REC, გვ. 513 – 525). სოსიურის ყველა ამ ნაშრომის შესახებ დეტალური ბიბლიოგრაფიული მონაცემები შეიძლება იხილოთ დანართში, გვ. 552 ff.

ინტონაციის შესახებ ჩემი სტატიის დასაწყისი გამოვიდა. სტატიის¹⁶ მეორე ნაწილში ამოღებულია ის, რისი თქმაც მსურდა ინტონაციის შესახებ და შეიცავს ჩემს ორ შენიშვნას ლატვიური (ან ლიტვიური) ინტონაციის აქცენტირების შესახებ. (უკვე გითხარით?). აქ აქცენტირებასთან დაკავშირებით, არ არის გათვალისწინებული ლიტვიური ინტონაცია! ამ ყველაფრით აღშფოთებული ვარ. ამას ის ხართ ულევ ერთვის, რაც ენობრივ ფაქტებს [>faits de langage<] შეეხება. არაფრის მომცემია მხოლოდ ათი სტრიქონის დაწერა, რომლების აზრი ყველასათვის გასაგებია.¹⁷

ამრიგად, ლიტვიურის გამოკვლევების შესახებ პუბლიკაციები ზუსტად იმ პერიოდის დასაწყისს ემთხვევა, რომელშიც, გოდელის თანახმად, >ენის ბუნებისა და ლინგვისტიკის საფუძვლების პრობლემა სოსიურისთვის იძულებით ხასიათს იღებდა<. როგორც გვახსოვს, 1894 წელს გამოვიდა ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ წიგნის ესკიზი და წიგნისადმი მიძღვნილი მოსაგონარი წერილი, რომლებშიც სოსიური პირველად საუბრობს ენის >სპეციფიკური სემიოლოგიის< შესახებ. სოსიურის ინტენსიური რეფლექსური სამუშაოს, კონცეფციებისა და მოსაზრებების მნიშვნელოვან კვალს ვერ ვპოულობთ იმავე პერიოდში გამოქვეყნებულ თხზულებებში, გარდა ორი-სამი მასში გაბნეული შენიშვნისა, რომლებიც შეიძლება შემდგომ განვიხილოთ, როგორც სოსიურის ენობრივ-თეორიული და მეცნიერულ-თეორიული მოსაზრებებისთვის დელიკატური მითითებები.¹⁸ მაგრამ ამ მოსაზრებების აზრობრივი ბირთვიდან, კერძოდ, მისი მცდელობიდან, ენათმეცნიერების ობიექტი სემიოტიკურად შეაფასოს, არ გამომდინარეობს არც ერთი ეს პუბლიკაცია.

შემდგომ რვა წელიწადში, 1897-დან 1905 წლამდე სოსიურს არაფერი გამოუქვეყნებია, გარდა ორი ფრიგიული წარწერის¹⁹ შესახებ კვლევისა. იმ ეტიმოლოგიური შეფასებებიდან გამომდინარე, რომლებიც სოსიურმა გარდაცვალებამდე გამოქვეყნებულ სამ სტატიაში გამოთქვა, როგორც ჩანს, იმ ყველაფერს, რითაც ამ პერიოდის განმავლობაში აქტიურად იყო დაკავებული, ნაკლებად ყურდნობა და კვლავ თავისი პარიზში გამოქვეყნებული ნაშრომების სტილს და წერის მანერას უბრუნდება.²⁰

თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ წარმოდგენილი შენიშვნები არ შეიძლება უკავშირდებოდეს იმ თემებს, რომლებსაც სოსიური თავის მეცნიერულ

¹⁶ ფაქტობრივად, სოსიურის 1894 წელს გამოცემული სტატიის »A propos de l'accentuation lituanienne« ბოლოში არის აღნიშვნა »A suivre«. ეს აღნიშვნა Recuil-ში ლაკონურად არის დაზუსტებული: »გამოცხადებული შედეგი არ გამოქვეყნებულა« (cf. REC, გვ. 512).

¹⁷ Cf. LAM, გვ. 95, შესაბამისად ტექსტები, გვ. 516 f.

¹⁸ დაახლოებით ასე წერს სოსიური შმიდტის სონანტების თეორიის კრიტიკის რეცენზიაში: »არ შეგვიძლია ზედმიწევნით შევთანხმდეთ, მაგრამ როდესაც პირველად ცდილობ ენის [>langue<] თეორიის შემუშავებას, უპირველესი პრინციპი უნდა იყოს ის, რომ არასოდეს, არავითარ შემთხვევაში ნორმა არ უნდა დაირღვეს (ან შეიძლება ასეთ დარღვევას ერთხელ ჰქონდეს ადგილი), რომელიც ერთი ენობრივი მდგომარეობისთვის [>etat de langue<] (=ორი თანადროული ცნებისთვის) შეიქმნა და არა ერთი კონკრეტული ფონეტიკური მოვლენისათვის (=ორი თანმიმდევრული ცნებისთვის)« (cf. REC, გვ. 540). აქ უკვე აშკარაა სინქრონული და დიაქრონული ენათმეცნიერების შემდგომი გამოყენება ერთმანეთისაგან. შდრ. გოდელი 1894 (SM/G, გვ. 37), ენგლერი 1897 (Engler 1897, გვ. 839) დათარიღებული ჩანაწერები N11 და N12, იხილეთ ტექსტები, გვ. 329 ff. სისტემური ნააზრვეი, რომელიც სოსიურის მეჭურავებს საფუძვლად უდევს, გამოიხატება შემდეგში, კერძოდ ლიტვიურის კონსონანტური ბრუნების შესახებ სოსიურის სტატიის შენიშვნაში ახალი გრამატიკის წინააღმდეგ: »აქ ყველაფერი გონებაზეა დამოკიდებული, რომლის მიერაც ტარდება ეს გამოკვლევა და რომელიც მკითხველის კეთილგონიერებას უნდა მივანდლოთ. უპირველეს ყოვლისა, არ უნდა დაგმორდეთ იმ წარმოდგენას, რომ ამა თუ იმ ფორმის ფასეულობა ტექსტშია, რომლისგანაც იგი იქმნება, ანუ მორფოლოგიურ, ფონეტიკურ, ორთოგრაფიულ გარემოებებთან კავშირში, რომელიც მას გარს აკრავს და რომლებიც მას ნათელს ჰფენენ« (cf. REC, გვ. 514).

¹⁹ »Inscriptions phrygiennes«, in: E. Chantre, Recherches archeologiques dans l'Asie Occidentale, Paris 1898, გვ. 165 – 191, bzw. REC, გვ. 542 – 575.

²⁰ შდრ. REC, გვ. 576 – 599.

პუბლიკაციებში განიხილავდა. პირიქით, როგორც დავინახეთ, ამ შენიშვნების ამოსავალი წერტილი და ობიექტი კვლავაც ენათმეცნიერული პრაქტიკა, კონკრეტულ, ცალკეულ ენათა ფენომენების აღწერაა. და როცა სოსიურს ამასთან ენათმეცნიერულ-ფილოსოფიური სიდიდეები, როგორც ნიშნობრივი ცნება შემოაქვს, ამას აკეთებს არა იმისთვის, რომ განავითაროს ენობრივი თეორია, არამედ უფრო მეტად იმის საჩვენებლად, თუ როგორი საიმედო საფუძვლის შექმნა შეეძლებოდა ლინგვისტიკას.

გამოხატვის ფორმების, ინდოევროპული ენობრივი ოჯახის ზეპირი და წერილობითი დოკუმენტების შესახებ თავისი თითქმის ორმოცწლიანი²¹ მოღვაწეობის განმავლობაში, სოსიურმა გამოთქვა შეხედულება, რომ როგორც მან 1910 წელს, ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ თავისი ბოლო ლექციის დასაწყისში, ისაუბრა, >ენებს შორის გეოგრაფიული განსხვავებები< ენათმეცნიერებისთვის >გადამწვევტი ფაქტია<. ენების სივრცობრივი განსხვავებების შესახებ ემპირიულ დასკვნაზე არანაკლებ საფუძვლიანია შემდეგი მოსაზრება: განსხვავება არა ქვეყნებს, არამედ კონკრეტულ ადგილებსა და მოსაზრებებს შორის²² – უშუალოდ და ყველასათვის თვალსაჩინოდ უნდა იყოს წარმოდგენილი ენების და, შესაბამისად, >დროში ენათა მოძრაობის აბსოლუტური პრინციპის< ტემპორალური განსხვავება.

მოდელი, რომელიც სოსიურის მიერ ამ ორი დასკვნის განსამარტად დატოვებული ურიცხვი ჩანაწერებიდან შეიძლება შევადგინოთ, ორი წინადადებით შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ. პირველი: >დროში ენის უწყვეტი მოძრაობა<, რომელიც >მუდმივად, ბუნებრივად, ყოველგვარი გარეგანი ფაქტორის მიუხედავად არსებობს<, გულისხმობს, რომ ენების შემთხვევაში საქმე ეხება სისტემებს, რომლებიც ნებისმიერი, მაგრამ თავიანთი თანაარსებობით ურთიერთგანმაპირობებელი და ურთიერთგანსაზღვრელი ნიშნებისგან შედგება. და მეორე: რამდენადაც ენობრივი ნიშნების ასეთი სისტემები მხოლოდ სოციალური ცირკულაციის პროცესში არსებობენ, ისინი >წამიერია< და ცვალებადი, მოკლე ან გრძელი, გარდაუვალი.

არსებითი მნიშვნელობის მქონე ისტორიულ-შედარებითი გრამატიკიდან გამომდინარე, სოსიურის მიერ ენობრივი ცვლილების ახსნის საკითხის ისე დასმა, რომ ახალგაზრდა გრამატიკოსების სკოლას მთლიანად ეხებოდეს²³, მაშინ მისი მცდელობა თანამედროვეებისა და ლაიფციგის ყოფილი მასწავლებ-

²¹ »სოსიური თავისი მონაცემებით თორმეტი-ცამეტი წლის ასაკში მივიდა ენათმეცნიერებადკ. კარგია, რომ ადრეულ გონებრივ სიმწიფეს არ დასცინეს და სიტყვა >მეცნიერება< ამ კონტექსტში სერიოზულად მიიღეს«, წერს შეერერი (1980, გვ. 8), და მან და სხვებმაც სამართლიანად მიუთითეს, რომ »Essai pour reduire les mots du grec, du latin & de l'allemand a un petit nombre de racines« (in: CFS 32, 1978, გვ. 73 – 101), რომელიც ჯერ კიდევ თხუთმეტიოდე წლის სოსიურმა თავის პატივსაცემ ადოლფ პიქტეს წარუდგინა, »გადაჭარბების გარეშე შეიძლება ამოვიკითხოთ ის, რაც მოგვიანებით ცალსახად და ფართო მასშტაბით ტიპურ სოსიურისეულ აზროვნებად ამოიცნობოდა« (ibid.). იხ. ამასთან, უპირველეს ყოვლისა, რაიხლერ-ბუგელინი 1990, გვ. 21 ff.

²² ა. პიქტეს ზემოსხედავად რეკენზიაში Les origins indo-europeennes ou les aryas primitifs არის საგულისხმო წინადადება, რომელშიც სოსიური იმ მოსაზრებას, რომელსაც მან ბოლოს ზოგადი ენათმეცნიერების ამოსავალი წერტილის შესახებ ხაზი გაუსვა, მის პატივსაცემ სწავლულს მიაწერს: »პიქტემ თავდაპირველ ბერკეტში [ინდოევროპულ ენებში] სხვადასხვა დიალექტები მიიღო და ამით დაშორდა წარმოდგენას, რომ ორი ერი, რომლებიც ერთმანეთს შორდებიან, იმავე ენას [>langue<] იტოვებს. მან ენის დიფერენციაციულობის [>diversite de langue<] შესახებ წარმოდგენა გეოგრაფიული და პოლიტიკური ერთეულების შიგნით წარმოდგენით ჩაანაცვლა« (cf. REC, გვ. 398 f.).

²³ ფენომენი, რომელსაც უნდა აეხსნა ახალგაზრდა გრამატიკოსების მიერ პოსტულირებული საოცარი >მთვანთა კანონების აბსოლუტურობა<, სხვა არაფერია, თუ არა ენობრივი გარდაქმნის ფენომენი. შდრ. ასევე არენის 1969, ტ. 1, გვ. 337 ff., და S. Auroux, »La querelle des lois phonetiques«, in: Linguisticæ Investigationes III, 1979, გვ. 1 – 27.

ლებისა და კოლეგების შესაბამის მცდელობებს დაემსგავსებოდა²⁴: ახალგაზრდა გრამატიკოსების შეხედულებით, ნიშნის ცნებასთან მიბრუნება უტოლდებოდა ენათმეცნიერების მიღწეული ისტორიული საფეხურიდან უკან, ფილოსოფიურ ენათმეცნიერებაზე²⁵ დაბრუნებას. ფაქტობრივად, ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის გამოჩენას – ფ. ბოპსის 1816 წელს გამოცემული ეპოქალურ ნაშრომს »სანსკრიტის უღლების სისტემა ბერძნულის, ლათინურის, სპარსულისა და გერმანული ენის უღლების სისტემასთან შედარებით« – ემთხვევა ნიშანთა იმ პრობლემატიკის თანდათანობით უკანდახევა და მცირე დროში მისი სრული გაქრობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში თან ახლდა ფილოსოფიურ დავას ენის შესახებ. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ, გასაოცარი არ არის, რომ სოსიური იმ სტატიებში, რომლებსაც იგი აქვეყნებდა, დელიკატურად არიდებდა თავს ნიშნების შესახებ საუბარს.

თუმცა, როგორც ვცადეთ გვეჩვენებინა, სოსიურის სემიოტიკური შეხედულებები საფუძვლიანად განსხვავდება ფილოსოფიური სემიოტიკის კონცეპტებისაგან; კერძოდ იმით, რომ მათი შესწავლის ობიექტია ენობრივი გარდაქმნის ბუნების შესახებ მე-19 საუკუნის განმავლობაში ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის მიღწევები, ბოთანი კავშირში²⁶. სხვაგვარად რომ ვთქვათ: სოსიურის საწყისებს გამოარჩევს ის, რომ იგი ცდილობდა თავისი დროის ენათმეცნიერების ემპირიული დასკვნები ნიშნების უკვე დავიწყებულ თემატიკასთან კავშირში თეორიულად ჩამოეყალიბებინა. სოსიური ენობრივ გარდაქმნას სემიოტიკას უპირისპირებდა და ორივე მათგანი გარდაიქმნებოდა მანამდე გაყოფილ განხილულ სფეროებად, საიდანაც თვალსაჩინო ხდებოდა, რომ სოსიური სემიოტიკის ნაცვლად, >ჯერ არარსებულ მეცნიერებაზე< – სემიოლოგიაზე – საუბრობს, რომელიც >ნიშანთა არსებობას სოციალური ცხოვრების ფარგლებში სწავლობს<. ამ სემიოლოგიურმა საწყისმა სოსიურს საშუალება მისცა, ენათმეცნიერება უფრო ფართო კონცეპტუალურ ჩარჩოებში მოექცია. თუმცა მან, იმავდროულად, დაიწყო ფიქრი ისეთ საკითხებსა და თემატიკაზე, რომლებსაც მისი დროის ენათმეცნიერებაში ადგილი არ ჰქონდა. სოსიურისთვის გერმანული ლეგენდებიც და შუაღვდური გვარის ენობრივი პროდუქციაც იმდენად შორს იდგა, რომ მის სემიოლოგიურ მცდელობებში ვერ იქნებოდა ასახული.

ამასთან, კურსის შესავალში გაკეთებული დასკვნა, რომ >ლინგვისტიკა, რამდენადაც ის სემიოლოგიას შეგვიძლია მივაკუთვნოთ, პირველად იმკვიდრებს მყარ ადგილს მეცნიერებებს შორის<, მხოლოდ ნაწილობრივია სიმართლედ: როგორც სემიოლოგიური მეცნიერება, ლინგვისტიკა სოსიურისთვის სულაც არ იყო უპრობლემო საკითხი და მას, ბოლოს, როგორც შეივსადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, თავისი მოსაზრებების ფასეულობა აეჭვებდა. უკეთესი იქნებოდა, ეს ეჭვი თვითონ გაემჟღავნებინა²⁷.

²⁴ როცა ცხრამეტი წლის სოსიურმა 1876 წელს ლაიფციგში სწავლა დაიწყო, ჰ. ოსტჰოფი უკვე »პრივატდოცენტია« იყო. ახალგაზრდა გრამატიკოსთა სკოლის მეორე »ხელმძღვანელი და წამყვანი ფიგურა« (ჰ. არენსი) კ. ბრუგმანი, უკვე სადოქტორო დისერტაციის ავტორი იყო 1877 წელს. შდრ. ამასთან SOU, გვ. 12-25. ახალგაზრდა გრამატიკოსთა სწავლების რეტროსპექტული კონფორმაციები. იხ. P. Caussat, »La querelle et les enjeux des lois phonétiques. Une visite aux neo-grammairiens«, in: Langages 49, 1978, Saussure et la linguistique pre-saussurienne, hg. von C. Normand, გვ. 24-45.

²⁵ ამ განსხვავებას გვიჩვენებს ბ. დელბრიუკი ენობრივი სწავლების შესავალში, ლაიფციგი 1893, გვ. 142.

²⁶ შდრ. ამასთან ასევე ი. ფერი, »სოსიურსა და დერიდასთან ნიშნების თეორია ან ჟაკ დერიდას სოსიურის ლექციები«, in: CFS 46, გვ. 35-54.

²⁷ Cf. LEG, გვ. 78.

მისი აზრით, მოძღვრების ერთ ტიპს უნდა დავეყრდნოთ, რომელიც მისი სურვილის საწინააღმდეგოა.

ამ წინადადებით, რომელიც ნიბელუნგების სიმღერის შესახებ სოსიურის ჩანაწერებში გვხვდება და რომელიც ჩვენ ამ ნაშრომს წავუძღვდვართ, შეიძლება კურსში სოსიურის აზრთა წარმოდგენის პრობლემატიკის შეჯამება: თუ, მაგალითად, სოსიური, იმ სტუდენტების გათვალისწინებით, რომელთათვისაც მისი ლექციები ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ >საგამოცდო მასალას< წარმოადგენდა, >ცოტა გაამარტივებდა< და თემას >მთელი კომპლექსურობით< არ განავრცობდა, მაშინ კურსის გამომცემლები სოსიურის მიერ წარმოდგენილ თეორიას ნომინალურ მნიშვნელობას მიანიჭებდნენ და მას >ეჭვის< მოკრძალებულ გამოვლინებად არ მიიჩნევდნენ. თუმცა ის ფაქტი, რომ ლინგვისტიკის დაბრუნებას ნიშნებთან მეცნიერებებს შორის კუთვნილი ადგილი არ უჭირავს, და >ასმაგ სირთულეს< წარმოშობს, სოსიურმა 1894 წელს აღიარა.

თუ რა ტიპის იყო ის სირთულეები, მისი ჩანაწერებიდან ვცადეთ დაგვეზუსტებინა. აქ მხოლოდ ორი მათგანია კვლავ დასახელებული: მოსაზრება, რომ >ენა დახურული სისტემაა< და ამ მოსაზრებასთან დაკავშირებული მოთხოვნა, რომ >თეორიაც ასევე დახურულ სისტემას უნდა წარმოადგენდეს<, უპირისპირდებოდა თვალსაზრისს, რომ ეს სისტემა მხოლოდ სოციალური ცირკულაციის პროცესში შეიძლება არსებობდეს და მასთან ერთად გამაერთიანებელ ობიექტივიზაციას შეიძლება გაუბრუნდეს.²⁸ სხვაგვარად რომ ვთქვათ: სოსიური თავის ამოცანად ისახავდა, ეფიქრა ისეთ სისტემაზე, რომლის არსებობასაც ის ეკუთვნოდა, არასოდეს წარმოედგინა ერთეული ყოვლისმომცველად:

წარმოდგენა, რომ ენის [>langue<] საგნები ერთადერთ და უწვევტ გზაზე შეგვიძლია წარმოვადგინოთ, მცდარია, თუ დავუშვებთ, რომ ენა [>langue<] თვითონ არის რაღაც სტანდარტული [>une chose une<]. ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით იმას, რომ ენა [>langue<] სტანდარტულია [>une chose une<].²⁹

ენის, როგორც არაერთგვაროვანი სისტემის კონცეფცია, რომელიც მუდმივად განიცდიდა ცვლილებებს, არც დროსა და არც სივრცეში არ იყო შეზღუდვადი და აუცილებლად >ემორჩილებოდა შეუზღუდავ დანაწევრებას<, მართალია, გამოირჩეოდა შინაარსობრივად დაუძლეველი განმარტებითი საწ-

²⁸ შეად. ასევე J. – C. Milner: L'amour de la langue, Paris 1978, გვ. 44 f.

²⁹ Cf. CLG/E (II), გვ. 28, N 12, Nr. 3299. გ.ა. მიღერის ერთ-ერთ რჩევას თუ მივეყვებით, მოვიხმობთ 1899 წლის 28 ივლისს მისი კოლეგის, რ. ველდენისადმი მიწერილი წერილიდან ერთი მონაკვეთის ციტატას: »თუ საგნების გარკვეული მრავალრიცხოვნების (სისტემის, განსახიერების) ცნებიდან გამოვალთ, ჩემთვის ცხადი გახდება იმის აუცილებლობა, რომ ორგვარი მრავალრიცხოვნება (ისევე გარკვეულ მრავალრიცხოვნობებს ვგულისხმობ) გავარჩიო.

მრავალრიცხოვნება კი ისე შეიძლება შეიქმნას, რომ მისი ყველა ელემენტის >ერთად ყოფნის< ვარაუდს წინააღმდეგობამდე მივყავართ, ისე, რომ შეუძლებელია, მრავალრიცხოვნება აღვიქვათ, როგორც ერთიანობა, როგორც ერთი >მზა საგანი<. ასეთ მრავალრიცხოვნებებს აბსოლუტურად უსასრულო ან ინკონსისტენტურ მრავალრიცხოვნებას ვუწოდებ« (გ. კანტორი, მათემატიკური და ფილოსოფიური ტექსტების შემეჯამებელი განხილვები. განმარტებული მითითებებით და კანტორ-დედეკინდის მიმოწერის დანართებით, გამომცემელი ე. ცერმელოს მიერ, ბერლინი 1932, გვ. 443). იმისთვის, რომ სოსიურის ენის სისტემა პირდაპირ, კანტორის თვალსაზრისით >ინკონსისტენტიალურ მრავალრიცხოვნობად< აღვნიშნოთ, ამ ორივე ფორმულირებას შორის მსგავსება და მათი ტემპორალური თანხვედრა მაინც თვალშისაცემია. შედარება მით უფრო მაცდურია, თუ გავიხსენებთ წინა თავში ასახულ კონცეფციას >ენის მექანიზმის< შესახებ, რომელიც სოსიურის თანახმად, in presentia ასოციაციების >ურთიერთქმედებას< ეფუძნება ისევე, როგორც in absentia. ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, შესაძლებელია თუ არა სავსებით განსხვავებულ დისციპლინასა და მეცნიერულ-ისტორიულ კონტექსტებში განვითარებულ ამ ორ თეორიას შორის რაციონალურად რეალიზებადი ნათესაობითი კავშირი.

ყისებით ენობრივი გარდაქმნისთვის, თუმცა იმავდროულად ამ კონცეფციას რადიკალური შედეგები მოჰყვა, რომლებმაც ტრადიციული ენათმეცნიერებისთვის უსიტყვო წინაპირობად ქცეული წარმოდგენები ენის ბუნების შესახებ დაუსაბუთებელი დატოვეს. სოსიურის მოსაზრება, რომ (>მცდარი, მაგრამ ფართოდ გავრცელებული წარმოდგენის საწინააღმდეგოდ<) ენა მექანიზმი არ არის, რომელიც ცნებების გამოსახატად შეიქმნა<, კურსში ზოგადად არის ნახსენები. როგორ უნდა ყოფილიყო >ენობრივი ვითარება< >ჩვენი ნებელბითი აქტის შედეგი< (როგორც ეს >ენათმეცნიერებამ დაადასტურა<), თუ >ენა არ შეიცავს ადამიანის მიერ შესწორებად და წარმართვად წესებს?< და როგორ უნდა წარმოვიდგინოთ პირიქით, ენასა და მეტყველ სუბიექტს შორის დამოკიდებულება, თუ ამ კითხვას უარყოფით პასუხს გავცემთ? როგორ შეიძლება ენობრივი ნიშნების მეშვეობით საუბარი, როცა ისინი >ფუჟნებიან შემთხვევითობას< და თავისთავად >ნულის და არარაობის ტოლია?< წინა თავში ვიკვლევდით იმ მოსაზრებებს, რომლებიც სოსიურის ენათმეცნიერული ჩანაწერების კითხვებიდან და თეოდორ ფლურნუას ნაშრომების შესახებ სტატიებიდან შეიძლებოდა დაგვედგინა. სოსიურის ბურუსით მოცული ანაგრამის კვლევა (რომლითაც უფრო დეტალურად არ დავინტერესებულვართ, იმ თვალსაზრისით, რომ ისინი ამ კითხვებს პასუხობენ), გვსურს მომდევნო თავში წარმოვიდგინოთ.

XI. ვინ საუბრობს?

სოსიურის ანაგრამის შესახებ კვლევიდან ამონარიდების გამოქვეყნებამ სტატიების სერიის სახით, რომელიც გამომცემელმა, ჟან სტარობინსკიმ, 1971 წელს მრავლისმთქმელი სათაურის *Les mots sous les mots. Les anagrammes de Ferdinand de Saussure* ქვეშ გააერთიანა, მყისვე ფართომასშტაბიანი და მრავალმხრივი გამოძახილი ჰპოვა. მაშინ, როცა რ. იაკობსონი უყოყმანოდ საუბრობდა »სოსიურისეულ მეორე რევიოლუციაზე«, რომელიც »პოეზიის ლინგვისტურ კვლევას არნახულ პერსპექტივებს დაუსახავდა«³⁰, სხვა ენათმეცნიერები კი ამაში მხოლოდ »დროის აბსურდულ ფლანგვას«, »საბედისწერო ცდომილებას« ხედავდნენ (რ. ამაკერი)³¹, რომელზეც »მხოლოდ უსიამოვნოდ საუბრობენ« (გ. რედარი)³², ან »გენიალურ შეცდომას« (პ. ვუნდერლი)³³ თუ »ამოუხსნელ« »უცნაურ საკითხს« (რ. ენგლერი) უწოდებდნენ.³⁴ გ. მონინი ბოლოს გამოეხმაურა მ. დეგის³⁵ სტატიას »La folie de Saussure«. ეს გამოხმაურება, პირველ რიგში, ეძღვნებოდა პარიზულ ტელ-კელის ჯგუფს³⁶ და მისეული ანაგრამის კვლევას, სადაც ასეთი განსაზღვრება იყო წარმოდგენილი: »მეცნიერული კულტურის ტრანსფორმაციის კვაზი-კულტურაში უკეთესად ილუსტრირება სხვას არაფერს შეეძლო«³⁷.

³⁰ Cf. იაკობსონი 1971, გვ. 23. იხ. ასევე მისივე: *La charpente phonique du langage*, Paris 1980, გვ. 268 ff., »La poetique phonisante« de Saussure vue d'aujourd'hui«.

³¹ Cf. *Linguistique saussurienne*, Genf 1975, გვ. 17.

³² Cf. »Deux Saussure?«, in: CFS 32, 1978, გვ. 27.

³³ Ferdinand de Saussure und die Anagramme. *Linguistik und Literatur*, Tübingen 1972, S. VII.

³⁴ Cf. Engler 1975, გვ. 844, bzw. Engler 1976, გვ. 8.

³⁵ In: *Critique* 25/260, 1969, გვ. 20-26.

³⁶ ასევე იხ. იულია კრისტევა: »Pour une semiologie des paragrammes« [1966] und »L'engendrement de la formule« [1969], ორივე დაბეჭდილია: *Σημειωτική. Recherches pour une semanalyse (Extraits)*, Paris 1978, გვ. 113 – 146 ასევე გვ. 217 – 310.

³⁷ Cf. »Les anagrammes de Saussure«, in: Amacker, Prieto und De Mauro 1974, გვ. 241.

გამართლებული იყო თუ არა ეს სარკასტული შენიშვნა, არ ვიცი, მაგრამ ერთ რამეს ვერ უარყოფთ: მას შემდეგ, რაც ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების პარიზში მ. მერლო-პონტი, კ. ლევი-სტროსი, ჟ. ლაკანი და ბევრი სხვა ინტელექტუალი კვლავაც კურსის შესახებ მიუთითებდა, სოსიური ყველაზე აქტუალურ თეორეტიკოსად იქცა. დიას, ფროიდთან და მარქსთან ერთად, მას »სტრუქტურალისტების სამთა კავშირს« მიაკუთვნებდნენ, რომლებმაც სუბვერსიულობის კანონი შეიმუშავეს.³⁸ დავამატოთ ისიც, რომ რ. გოდელის Sources manuscrites du Cours de linguistique generale-ის გამოჩენისა და მასში დოკუმენტირებული და კრიტიკული პუბლიკაციების³⁹ მეშვეობით, ცხადი გახდა, რომ უნეველი ოსტატის აზროვნება გაცილებით კომპლექსური იყო, ვიდრე ამას სოსიურის აქამდე ცნობილი წიგნით ვივარაუდებდით. ის ფაქტი, რომ ამ სფეროში აქამდე უცნობი და სტარობინსკის მიერ ბრწყინვალედ წარმოდგენილი ეგრეთ წოდებული ანაგრამის გამოჩენამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, შემდგომში არავის გააკვირვებს. წამყვანი თეორეტიკოსების მიერ წარმართული დებატების⁴⁰ დადებით შედეგს წარმოადგენს არა ის, რომ სტარობინსკის წიგნი 1980 წელს გერმანულად ითარგმნა⁴¹, არამედ ძირითადი საკითხების შესახებ პუბლიკაციის გამოჩენიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ სოსიურისეული ტექსტების პირველი და ერთადერთი პუბლიკაცია გამოიცა. მაგრამ მაინც ზუსტად რის შესახებაა საუბარი »ანაგრამების ამ ცნობილ, ჩახლართულ თეორიაში«?⁴²

თავდაპირველად სოსიურის მიდგომასთან დაკავშირებით ერთი წინასწარი შენიშვნა: ის, როგორც წესი, ძალიან აკურატულად წერდა, უმეტესად სასკოლო რვეულებში, ხოლო ნაწილობრივ დიდ, ცარიელ ფურცლებზე ცალკეულ ლათინურ სტრიქონებს, რომელთა შორის შემდეგ ზოგს ფერადი მელნით ნიშნავდა, ბგერებსა და ბგერათა თანმიმდევრობებს ინიშნავდა, რომლებიც მისთვის მნიშვნელოვანი იყო. ქრონოლოგიურად განლაგებულ მაგალითებს შორის შემდგომი მესამე მაგალითი, რომელიც უთვალავი შესადარებელი ჩანაწერიდან ამოვიღეთ, ყველაზე თვალნათლივ გვიჩვენებს ამ მიდგომას. პირველ მაგალითში სოსიური განმარტავს, თუ რას გულისხმობს ის ანაგრამის, შესაბამისად, ჰიპოგრამის ცნებაში, მეორე მაგალითი საბოლოოდ გვიჩვენებს, თუ როგორ გახდა სოსიური ლათინური ტექსტების ანაგრამების ძიებაში სიახლის აღმოჩენი:

I. [სატურნისეული სტროფის მაგალითი]

Taurasia Cisauna Sanmio ce pit

³⁸ შეად. პეშო: »Sur la (de-)construction des theories linguistiques«, in: DRLAV 27, 1982, გვ. 6, Milner 1994, გვ. 3 f. ასევე დოსე 1991, გვ. 65 ff.

³⁹ შეად. დანართი, გვ. 556 ff. bzw. 572.

⁴⁰ ზემოხსენებულ ლინგვისტებთან ერთად, ამ დებატებში მონაწილეობდნენ ასევე ჟ. დერიდა, ლ. ირიგარეი, ჟ. ლაკანი, ს. ლოტრინგერი, მ. რიფატერი და კიდევ სხვა მრავალი. შდრ. დანართი, გვ. 573. ყველაზე საინტერესო მცდელობა, ამ კონტექსტში ლინგვისტური და ფსიქოანალიტიკური მოსაზრებების შეტანისა, მოიხსენიება ჟ-კ. მილნერთან, L'amour de la langue, Paris 1978, განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-6 თავი, »Un linguiste desirant«, გვ. 85-97.

⁴¹ სიტყვები სიტყვების ქვეშ. ფერდინანდ დე სოსიურის ანაგრამა, თარგმნილი ჰენრიეტე ბესეს მიერ, მაინის ფრანკფურტი/ბერლინი/ვენა 1980. ამ წიგნის მეშვეობით სოსიურის ანაგრამის კვლევა გერმანულენოვანი პუბლიკისთვის გარკვეულწილად უკვე ხელმისაწვდომია და ამიტომაც აქ ჩვენ მხოლოდ ერთი ხელნაწერის ამონარიდის გადმოცემით შემოვიფარგლებით (იხილეთ ინფრა, მაგალითი III). სადაც ჩვენი ტექსტი თარგმანისგან განსხვავებულია, მივუთითებთ დამატებით ფრანგული ორიგინალის შესაბამის გვერდებს.

⁴² Cf. D. Shepard, »Saussure et la loi poetique«, in: Amacker/Engler 1990, გვ. 237.

ეს სტროფი ანაგრამულია იმდენად, რამდენადაც ის სრულად შეიცავს სციპიონის სახელს (მარცვლებში ci – pi – id, ამას გარდა Samnio-ს S-ში, cepit, ეს ერთი ჯგუფის ინიციალებია, რომელშიც თითქმის მთელი სიტყვა scipio ბრუნდება. – [...])⁴³

II. [ლათინური პროზა]

ვფიქრობ, თუ აღმოჩნდებოდა, რომ იულიუს კეისარი წერისას ან ცხოვრებაში რამდენიმე წუთს იმისთვის კარგავდა, რომ ჰიპოგრამატიკული სიტყვათა თამაში მოეფიქრებინა, ამ შემთხვევაში ლათინურენოვანი პროზაიკოსებისთვის საქმე ძალიან გართულდებოდა. მაგრამ ბევრად უკეთესი რამ მოხდა: ჰიპოგრამები კეისრის ტექსტიდან მოედინება ისევე ჭარბად, როგორც – ლიტერატორ-მწერალთა რიცხვია კომენტარებზე მეტად ნიშანდობლივია მისი რამდენიმე წერილი, რომელიც ხელთ გვაქვს: რადგან ისინი ერთი შეხედვით გვაოცებენ, სადაც ყველაფერი სხვაგვარადაა გადმოცემული, ვიდრე უბრალოდ »ხელნაწერში«, ასე, მაგალითად, როცა არმინუმი ციცერონს სწერს:

Postremo, qui viro bono..., რომელიც ამ სიტყვებით მთავრდება:
 civilibus controversies? quod nonnulli quer-
 CI-----C--RO-ER----- C-----I C-----⁴⁴

III. [ახალი ლათინური: როსატი, Ad Ferdinandum Lessepsum. Elegia.]

1. Fata fuisse tuum voluerent, Gallia, alumnum (2) Grande tibi e paucis qvi peperere decus
 F---F---E -ER- -E---E-----E-ER-ER-D-
 (i-----n) R—D---I-----I-
 a-----a
 A-----N-----A A-----AND-----D---US

3. Heu qvantum illius leto splendoris ademtpum (4) Heu virtus priscis aeqviparanda viris!
 -AN-----ND- -D---
 U-----US -LE-
 LL-----LE--S-----S
 -S-----S---E (e----p)
 P-----S (e-p)-----S|P S--S-----V -S
 S-----U---US

უკეთესი რამ ხდება []⁴⁵

რაც არ უნდა დამაბნეველი იყოს ეს ნოტაცია, მაინც ადვილად შევიცნობთ, რომ აქ აღწერილი ფენომენის შემთხვევაში საქმე ეხება არა ანაგრამას, ცნების მკაცრი, კლასიკური გაგებით, ანუ არა »სიტყვებსა თუ წინადადებებს, რომლებიც ამა თუ იმ სიტყვის თუ წინადადების ასოების გადაადგილების მეშვეობით წარმოიქმნენ«⁴⁶ ის, რასაც სოსიური ანაგრამას, ან, შესაბამისად, >ჰიპოგრამას< უწოდებს, ცოტა სხვა რამ არის, სახელდობრ, »რომელიმე სიტყვის ან სახელის ბგერითი პერიფრაზი«⁴⁷ ტექსტში. უფრო ზუსტად: სოსიური მიიჩნევს, რომ ტექსტების ბგერითი მასალები ისეა შერჩეული, რომ ყოველთვის იმ სიტყვებისა თუ სახელების >პერიფრაზირება< თუ >იმიტირება<⁴⁸ ხდება, რომლებიც პასაჟის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ მნიშვნელოვანია. მესამე მაგალითში სოსიური ამოდის იქიდან, რომ სტროფის ბგერითი მასალა ისე იყო განლაგებული, რომ იგი ახდენდა სახელის >Ferdinan-

⁴³ Cf. WUW, გვ. 22.
⁴⁴ Cf. WUW, გვ. 93.
⁴⁵ BPUG, Ms. fr. 3969, გამოუქვეყნებელი.
⁴⁶ Unica Zürn, Das Weiße mit dem roten Punkt, Berlin 1981, S. 211. ანდრე თომკინსის მიერ მოხმობილი ფრაზა – დაივიწყე ეგო – არის ანაგრამა, ამ კლასიკური გაგებით – Seedorn Verlag.
⁴⁷ WUW, გვ. 106.
⁴⁸ Cf. LAM, გვ. 109.

dus Lessepsus< პერიფრაზირებას, რომელსაც ეძღვნება ეს ლექსი. ეს, »ერთი შეხედვით უცნაური«,⁴⁹ მეთოდი, სოსიურის თანახმად, »ყოველი ლიტერატურული კომპოზიციის აუცილებელი და განუყოფელი პირობა იყო საუკუნეების განმავლობაში მრავალ სფეროში, რომელიც ლათინურმა კულტურამ გამოსცადა«⁵⁰:

იმ დროიდან მოყოლებული, რაც ლათინური პოეზია ჯერ კიდევ სატურნისეულ სტროფებს იყენებდა, უძველესი ეპოქიდან შუა საუკუნეებამდე სტროფში სიტყვების არჩევისას ანაგრამის უპირატესობას ეწინააღმდეგებოდა [...].⁵¹

მისი მტკიცე ინტონაციის საპირისპიროდ, ამ სტრიქონებში არ არის გამოხატული სოსიურის მიერ ფენომენის საბოლოო შეფასება. ამის ნაცვლად, ხაზგასმულია ინტენსიური სამუშაო პროცესის მრავალ ეტაპთაგან ერთ-ერთი, რომლის მსვლელობაშიც სოსიური თავისი კვლევის ველს მუდმივად აფართოებდა და, ამავედროულად, ცდილობდა სავარაუდო ენობრივი მეთოდის სულ უფრო ახლებური დეფინიციის მოძებნას, რაც მან თავისი კვლევების ძლიერ ცვალებადი ტერმინოლოგიების მაგალითზეც აღწერა: ანაგრამისა და ჰიპოგრამის გარდა, იგი »პარაგრამაზე«⁵², »ლოგოგრამაზე«⁵³, »ანტიგრამაზე«⁵⁴, »ჰომოგრამაზე«⁵⁵ და »კრიპტოგრამაზე«⁵⁶, შესაბამისად »პარანომასიაზე«⁵⁷, »პარამინზე«⁵⁸, »პარამორფემაზე«⁵⁹ და სხვ. საუბრობს. კვლევები სათავეს იღებს 1906 წელს, სოსიურის რომში ყოფნის დროს⁶⁰, სადაც მას ახალი »თავსატეხი«⁶¹ გაუჩნდა – ცდილობდა გაეშიფრა »ფორუმის არქაისტული ხელნაწერი«⁶². იმ ვარაუდით, რომ სატურნისეული სტროფი მკაცრად განლაგებულ, ამოუხსნელ ბგერათა გამეორებებს ეფუძნება⁶³, სოსიური ზემოთ ესკიზის სახით წარმოდგენილ შეხედულებასთან მივიდა: ანაგრამა »გარითმვის საფუძველია«⁶⁴. რაც უფრო ინტენსიურად იყო ის ანაგრამებზე მუშაობით დაკავებული, მით უფრო ფართოვდებოდა ტექსტების რაოდენობაც: საეჭვო ფენომენები არა მხოლოდ სატურნისეულ, არამედ ლათინურ პოეზიასა და, ზოგადად, რომაულ მწერლობაშიც შეიმჩნეოდა; არა მარტო ანტიკურ ლათინურში, არამედ შუა საუკუნეებიდან თანამედროვეობის ლათინურ პოეზიაშიც; არა მარტო ლათინურად შექმნილ ტექსტებში, არამედ ვედების პოეზიიდან ბერძნული ლიტერატურითა და გერმანული პოეზიით დასრულებული; მოკლედ, ანაგრამულ მეთოდში სრულიად აშკარად ჩანდა »ინდოევროპული პოეზიის პირველი პრინციპი«⁶⁵.

ამ მუდმივ ძიებაში ეჭვიც თანდათან ძლიერდებოდა. სოსიური ამ დაკვირვებების საწყის ეტაპზე თავს არიდებდა – ისეთ »მნიშვნელოვან საკითხს, რო-

⁴⁹ Cf. *ibid.*

⁵⁰ WUW, გვ. 96.

⁵¹ WUW, გვ. 106.

⁵² WUW, გვ. 24.

⁵³ WUW, გვ. 25.

⁵⁴ *Ibid.*

⁵⁵ WUW, გვ. 105.

⁵⁶ Wunderli 1972, გვ. 51.

⁵⁷ WUW, გვ. 24.

⁵⁸ *Ibid.*

⁵⁹ WUW, გვ. 104.

⁶⁰ Cf. LAM, გვ. 106.

⁶¹ Cf. *ibid.*

⁶² Cf. *ibid.*

⁶³ შუად. Texte, გვ. 455 f. bzw. 468 ff.

⁶⁴ WUW, გვ. 23.

⁶⁵ WUW, გვ. 30.

გორიცაა – რას უნდა ვფიქრობდეთ რეალობისა და ფანტასმაგორიის შინა-
არსის შესახებ მთლიან მოცემულობაში⁶⁶:

როცა თავიდან პირველი ანაგრამა ჩნდება, ისე ჩანს, თითქოს ეს ნათელის მოფენაა.
მერე, როცა ვხედავთ, რომ მას შეგვიძლია მეორე, მესამე, მეოთხე ანაგრამა დავუმა-
ტოთ, ეჭვები გვიჩნდება და ვცდილობთ ისეთივე აბსოლუტური ნდობით არ ვიყოთ
გამსჭვალული, როგორც პირველის მიმართ. ბოლოს იქამდე მივდივართ, რომ ვიკით-
ხოთ, შესაძლებელია თუ არა ტექსტში ყველა შესაძლო სიტყვის პოვნა⁶⁷ და
შეიცავენ თუ არა ისინი დამთხვევების დიდ რაოდენობას.

სოსიურის დილემა ბოლომდე ყველასთვის გასაგები არ არის: ის თავის ხედ-
ვას მიმართავს იქით, რომ ანაგრამები >ასობით უწევებოდ მოედინება<, რომ
»ვედების პოეზია ანაგრამებით არის გაჯერებული«⁶⁸, »თითოეული სატურნი-
სეული პასაჟი მუდერი მარცვლებისა და ბგერათა ჯგუფების ნაკრებია«⁶⁹,
»ციცერონის ყველა ნაშრომი, სადაც არ უნდა გადაშალოთ მისი ტომები [...],
უამრავ ჰიპოგრამას წააწყდებით«⁷⁰. შემდეგ დაასკვნა, რომ სოსიური უარყ-
ოფს მის მიერ გამოთქმულ ვარაუდს. თუ ის »ამაოდ შეეცდება, ცარიელ
პასაჟს წააწყდეს«⁷¹, ანაგრამას ზუსტად იქ ნახავს, სადაც ყველაზე ნაკლე-
ბად ელის. ეს აუცილებლად მიგიყვანს კითხვამდე, >შესაძლებელია თუ არა
ტექსტში ყველა შესაძლო სიტყვის მოძებნა<. და ბოლოს, შევეცადეთ გვეჩვენ-
ებინა, რომ ჩვენს მიერ აღწერილი ფენომენი »ანბანის 24 ასოს შორის შე-
საძლებლობების ბუნებრივი თამაშიდან«⁷² კი არ გამომდინარეობს, არამედ
უფრო მეტია, ვიდრე ინდოევროპული ლიტერატურიდან ამოკითხული უთვა-
ლავი ანაგრამა: ამას თან მოჰყვა >თავისებური გარანტიები<. მაგრამ სად და
როგორ უნდა ვიპოვოთ ისინი?

ასახული დილემიდან ყველაზე ახლო გამოსავალი იმაში მდგომარეობდა,
რომ ეძებნათ მტკიცებულებები, რომლებშიც დადგენილი იქნებოდა სავარა-
უდლო მეთოდის »შესრულებით«⁷³ »პოეტისადმი დაკისრებული ყველა სახის
ვადლებულება და მოვალეობანი«. თუმცა სოსიური ასე არ თვლის, როგორც
თავის ერთ-ერთ რვეულში აქვს ჩანიშნული:

ამასთან ვერ ვპოულობ ახსნას იმ ძნელად სარწმუნო და ძნელად გასაგები ფაქტისას,
რომ არც ერთი ლათინურენოვანი ავტორი, რომელიც მეტრიკას წერდა ან, ზოგადად,
ლიტერატურულ კომპოზიციებზე საუბრობდა, არ ქმნის შთაბეჭდილებას, რომ იცის,
ან სურს, რომ იცოდეს შემდეგი: პოეტური კომპოზიციის უმთავრესი საფუძველი იმა-
ში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ სახელის ლოგოგრამები გამოიყენოს; და ის, რომ
იმპერიის ყველაზე დაშორებულ პროვინციებში, ყველა ლიტერატურული ცენტრისგან
მოშორებით, ალბათ, არ არსებობს არც ერთი მოკრძალებული ეპიტაფია, თვით უხეში
ლათინური პოეზიის ნიმუშის რამდენიმე სტრიქონიც კი, ისევე როგორც ავტორები,
რომლებიც სწავლულის კომპოზიციის ლაბირინთებში იბნევიან და ანაგრამის საკმა-
რის საფუძველსაც კი ვერ ქმნიან⁷⁴.

ის ფაქტი, რომ ამას ანტიკურ ლექსწყობაში მნიშვნელობა არ აქვს, სოსიუ-
რის თვალთ, სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ >ანაგრამების თეორია< არ

⁶⁶ WUW, გვ. 123.

⁶⁷ WUW, გვ. 105.

⁶⁸ Cf. LAM, გვ. 113.

⁶⁹ Cf. LAM, გვ. 110.

⁷⁰ WUW, გვ. 92.

⁷¹ WUW, გვ. 91.

⁷² WUW, გვ. 124.

⁷³ WUW, გვ. 18.

⁷⁴ WUW, გვ. 108; MSM, გვ. 136.

უნდა განვითარებულიყო. თუ ყველა გამოკვლეული ტექსტი >საკმაოდ მოიცავდა ანაგრამას<, შეიძლებოდა ის »ოკულტურ ტრადიციას«⁷⁵ წაწყდომოდა. უფრო მეტიც: »ანაგრამების მართლაც მკაცრი კანონზომიერებების« ათვისება, ყველა განათლებული რომაელისათვის იმდენად რთული იყო, რომ შეძლებდნენ კი უმნიშვნელო სიტყვა მაინც ეთქვათ?«⁷⁶. ამრიგად, ლათინურად მოსაუბრეთა შორის »ჰიპოგრამამ შეუცვლელი და ღრმა ფსიქოლოგიური სოციალიზაციის«⁷⁷ ხარისხს მიაღწია«. რომელი პათოლოგიური ასპექტები⁷⁸ შეეძლო მიეღო მას? თუ ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა »რელიგიურ ან პოეტურ კანონს«⁷⁹, ესე იგი რა გამოდის, »მწერალს საკუთარი სტრიქონების ჩაწერის უფლება არ უნდა ჰქონოდა, «⁸⁰

რაც არ უნდა გონივრული და მრავალშრიანი იყოს ეს ვარაუდები, სოსიური არ გაურბოდა იმის აღიარებას, რომ ამ სპეკულაციური გზითაც კი შეუძლებელი იყო მისთვის უმნიშვნელოვანეს კითხვაზე პასუხის გაცემა – >რა უნდა ვიფიქროთ რეალობისა და ფანტასმაგორიის ერთიანი შემადგენლობის შესახებ<. გარემოებებმა აჩვენა, რომ »უარყოფითად განწყობილი კოლეგის აზრის გათვალისწინებით« შეიძლებოდა ანაგრამების თეორიის »მშრალად შეფასება«⁸¹. აქედან გამომდინარე, 1906 წლის 12 ნოემბრის წერილში სოსიური მიმართავს მეიეს:

ძალიან დამავალდებით, თუ მეგობრულ სამსახურს გამიწვეთ და ჰომეროსის პოეზიაში ანაგრამების შესახებ ჩანაწერებს წაიკითხავთ, რომლებიც სხვა კვლევებთან ერთად, სატურნისეულ სტროფებზე მუშაობისას აღვწერე; ამასთან დაკავშირებით ნდობით მოგმართავეთ რჩევისთვის, რადგან ვისაც ეს იდეა გაქვთ, დაახლოებით მინდა ვიცოდე, ილუზიის მსხვერპლი ხართ თუ თქვენი იდეა სიმართლეს ან თუნდაც ნახევრად სიმართლეს ემყარება. მას შემდეგ, რაც ვაკვირდები, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემი ჰიპოთეზის შემმოწმებელი, უკვე დიდი ხანია ასეთად მხოლოდ თქვენ მიგინგებ. არ დავიმალავთ, რომ თუკი დაინტერესდებით, მომდევნო ფოსტით თორმეტიდან თხუთმეტ რვეულს მიიღებთ. ასეა თუ ისე, ეს ჩანაწერები მკითხველის თვალთ არის შედგენილი, რაც მიზნად მქონდა დასახული და ამით ისინი ლექციებისას სირთულეებს არ ქმნიან.⁸²

მეიემ მოკლე შენიშვნებში მაინც გაიმეორა, რომ სოსიურის >იდეის< მომხრეა და შეკითხვაზე მანაც არ იცოდა იმაზე უკეთესი პასუხი, ვიდრე ჩ. ბეილიმ და ლ. გოტიემ, რომლებიც სოსიურმა შემდგომ თავის კვლევებში ჩართო. თუმცა თავისი გამოკვლევების მსვლელობისას ბოლოს თანამედროვე ლათინურ ტექსტებში ანაგრამას წააწყდა. ამჯერად მისი არჩევანი შეჩერდა ჯ. პასკოლიზე, რომელიც იმ დროს ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორად მუშაობდა და იტალიურ ლიტერატურას ასწავლიდა. ერთ-ერთ პირველ წერილში – 1909 წლის 19 მარტს – რომელშიც მან ამ პრობლემის შესახებ ბუნდოვნად მიუთითა. სოსიურმა 1909 წლის 6 აპრილს მისგან პასუხი მიიღო, სადაც პროფესორი მოუწოდებდა, თავისი ნაშრომიდან კონკრეტული ნიმუშები წარედგინა:

⁷⁵ WUW, გვ. 106. კაბალისტების, ეგრეთწოდებული »თემურას« ანაგრამული პრაქტიკის საინტერესო ასახვა, რომელსაც სოსიური თავისი ვარაუდით »ოკულტურ ტრადიციად« მიიხსენავდა, Eco 1994, გვ. 38-46.

⁷⁶ WUW, გვ. 94.

⁷⁷ WUW, გვ. 96.

⁷⁸ WUW, გვ. 92.

⁷⁹ WUW, გვ. 30.

⁸⁰ WUW, გვ. 96.

⁸¹ Cf. LAM, გვ. 112 bzw. Texte, გვ. 519 ff.

⁸² Cf. Jakobson 1971, გვ. 16.

პატივცემულო ბატონო და კოლეგავ,

იმ სტრიქონებისთვის, რომლებიც წინა თვეში მეგობრულად გამომიგზავნეთ, მადლიერებას გამოვხატავ, რადგან ისინი ჩემს თხოვნაზე პასუხსაც შეიცავს.

ორი ან სამი ელემენტი საკმარისი იქნება, საკითხის მნიშვნელობა რომ ავიხსნათ, რომელმაც დამაფიქრა. რათა ამაზე ზოგადი პასუხები ვაგცეთ. თუ აქ უბრალო დამთხვევასთან გვაქვს საქმე, რომელიც მხოლოდ ამ რამდენიმე ნიმუშში გვხვდება, მაშინ შეგვიძლია ფრთხილი დასკვნა გავაკეთოთ: ის სხვა ყველაფრის მიმართაც იმავე დამოკიდებულებაშია. თუ თქვენი წერილის ზოგიერთი ფრაზის მიხედვით ვიმსჯელებთ, საქმე უნდა ეხებოდეს სავარაუდოდ მარტივ შემთხვევით შესაბამისობებს:

1. შემთხვევითია თუ არა, რომ კატულოკალვოს მე-16 გვერდზე სახელი *falerni* გარემოცულია სიტყვებით, რომლებიც ამ სიტყვის მარცვლების რეპროდუქციას ახდენენ

.../facundi calices hausere - alterni/
FA AL ER AL ERNI

2. *Ibidem* S. 18; მხოლოდ დამთხვევაა, რომ *ulixe*-ს მარცვლები საძებარია, სიტყვათა ისეთ თანმიმდევრობაში როგორიცაა

/Urbium sim ul / Undique pepulit lux umbras ... resides
U— UL U— ULI- X- S- S- ES

ისევე როგორც *Circe*

/Cicuresque/ ...
CI—R—CE

[...]

როგორც ვამბობდი, ეს მაგალითები საკმარისია, მიუხედავად იმისა, რომ დიდი როდენობით მაგალითებს შორის არის ამორჩეული. პრობლემაში არის დამაბნეველი რაღაც. რაც უფრო მეტი მაგალითი გვაქვს, უფრო მეტი საფუძველი არსებობს იმის წარმოდგენისა, რომ ეს ანბანის 24 ასოს შორის ბუნებრივი თამაშია, რომლებიც ამ თანხვედრას რეგულარულად, თანაბრად აწარმოებს. რადგან ამ შემთხვევაში ალბათობის გამოთვლა გამოცდილი მათემატიკოსის ნიჭს მოითხოვს, ჩავთვაღე, უფრო მოკლე და სარწმუნო იქნებოდა, მიმემართა პიროვნებისთვის, ვინც შეძლებდა განემარტა ჩემთვის ის მნიშვნელობა, რომელიც ხალხის ასეთ შეხვედრას მიეწერება. თქვენ მიერ საპატიო და მეგობრული შემოთავაზების გამო, შეფასებებს აღარ შეუღლები.⁸³

ამ ისტორიის დასასრული ცნობილია: გოტიეს თანახმად, მეორე წერილი უპასუხოდ დარჩა და რადგან სოსიური ამ დუმილს აშკარა უარყოფის ნიშნად მიიხევედა, მან ანაგრამის შესახებ თავისი კვლევები შეწყვიტა.⁸⁴ და მაინც, იყო თუ არა სოსიური >ილუზიის მსხვერპლი< და მთელი ეს საკითხი >ფანტაზმაგორია<? პასკლისადმი წერილიდან თვალშისაცემია, რომ სოსიური ცდილობს თავისი კითხვა მტკიცე ალტერნატივაზე დაიყვანოს: ტექსტების ავტორის მიერ ანაგრამები ან იყო გათვალისწინებული, ან ისინი სრულიად შემთხვევითი იყო და, შესაბამისად, ყურადღება არ ღირდა. ამ ალტერნატივას პოეტური მოღვაწეობის პროცესის იგივე რაციონალური წარმოდგენა უდევს საფუძვლად, რომლებიც სოსიურმა ფრანგული ლექსწყობის შესახებ თავის ჩანაწერებში ასე ჩამოაყალიბა:

ჩემი სისტემა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ჩემივე ნაშრომის თავყანისმცემლად მაქციოს და ამ განმარტებისგან რამეს ველოდო... ჩემი სისტემა პირიქით, რაციონალური სქემების გარდა, სხვა რამის დაშვებას შეუძლებელს ხდის და გვეხმარება, რომ ძალიან მშრალად შევაფასოთ, მისდევს თუ არა ესა თუ ის ავტორი რაციონალურ სქემებს. [...]

⁸³ Cf. »Lettres de Ferdinand de Saussure a Ciovani Pascoli«, hg. von G. Nava, in: CFS 24, 1968, S. 80; WUW, გვ. 123 f.

⁸⁴ WUW, გვ. 124.

პროზაში, ისევე, როგორც ლექსებში არის რაღაც, რასაც წერას ვუწოდებთ და რასაც ლიტერატურის კრიტიკოსები შეისწავლიან. წერის ნიჭი ნაშრომის ბგერათა ერთიანობაშია. აქ მთავრი ღამაში წინადადებების ჩასმა როდია, არამედ ავტორი სრულყოფილად უნდა ფლობდეს თავის აზრებს [>pensee<] [...].⁸⁵

კლასიკური ესთეტიკის ამ წარმოდგენას, როგორც დ. შეპარდი აღნიშნავს⁸⁶, ანაგრამები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ. სოსიურის მოცემული ფორმულირებით, მის მიერ გამოკვლეული ტექსტების »ჟღერადობა [>phonisme<] მისი სახელისგან განსხვავდება«⁸⁷, ტერმინები »დამთხვევა თუ გამიზნულობა« არასწორადაა ნახმარი. ლიტერატურის თეორიის პრობლემა ანაგრამების კვლევას ისახავდა მიზნად: აქ გამოიკვეთა, რომ ის, რასაც ვიღაცა ამბობს, მანერა, თუ როგორ ამბობს, განისაზღვრება იმ მიმართებებით, რომლებიც ენობრივ მასალაშია განთავსებული; მიმართებებით, რომლებიც ყოველგვარ წინასწარ განსაზღვრულ ჩანაფიქრს მოკლებულია და, შესაბამისად, წარმოუდგენელი ეფექტის მოხდენა შეუძლია.⁸⁸ თუ დაკვირვებას მოვახდენთ >ენის მექანიზმის< თვალსაზრისზე, რომლის ესკიზიც სოსიურმა ანაგრამებზე მუშაობის ბოლო ეტაპის პარალელურად ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ გამართულ მეორე ლექციაში წარმოგვიდგინა, ცხადი გახდება, რომ ენასა და მეტყველ სუბიექტს შორის ამგვარი კომპლექსური დამოკიდებულება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ >ენის მექანიზმი< >მთლიან ფარულ სისტემას< მოიცავს, >მისი მეშვეობით შესაძლებელია ნიშნის შექმნისთვის საჭირო საწყისების მიღებაც<. თუ >სიტყვის მნიშვნელობის ზუსტი განსაზღვრა კონტექსტიდან შესაძლებელია, < შესაბამისად, >სიტყვის გარშემო ყველა ფორმა აწმყოა<, მაშინ ადვილი დასაშვებია, რომ >სახელები<, რომლებიც ტექსტის თემას წარმოადგენენ, მათი >ჟღერადობისგან განსხვავდებოდნენ<. სოსიური ანაგრამების კვლევისას წააწყდა <ოკულტური ტრადიციის< შესახებ მოსაზრებას (რომლის შესახებაც ჰომეროსიდან დაწყებული პასკოლით დამთავრებული, ყველა ავტორი დუმდა).

ანაგრამების მეშვეობით კი სწორედ მისი მოდელის გამოსახვა მტკიცდება. ასეთი დასკვნა, ერთი მხრივ, იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ აღწერილი ფენომენის შემთხვევაში საქმე არა სპეციფიკურ ლიტერატურულ ცნებას ეხება (სოსიურისთვის ეს, პირველ რიგში, გადახრა უნდა ყოფილიყო), შესაძლებელი იქნებოდა >ენის საყოველთაო პრობლემის< გამომუდგანება: მეორე მხრივ, ამით ამ შეხედულების ილუზიურობა გამოაშკარავდებოდა ისე, რომ ტექსტის ავტორი იქნებოდა თავისი ნაშრომის პირველი და უკანასკნელი ინსტანცია. სოსიური ყოველთვის მიუთითებდა ენობრივ-ფილოსოფიური ტრადიციიდან მომდინარე იმ წარმოდგენის არადამაკმაყოფილებლობის შესახებ, რომ >ენობრივი ფაქტები ჩვენი ნების აქტების უშუალო შედეგია<; ასევე მიუთითებდა ენობრივი ფენომენების აღწერისას მათი გამოუსადეგარობის შესახებ. და მაინც, ამ რაციონალისტური წარმოდგენის საშუალებით ცდილობს მის ეტაპობრივად დაძვევას, ასევე ენასთან მისივე დაპირისპირების გადალახვას. დიახ, ალბათ, შესაძლებელია, კითხვაში – ვინ მეტყველებს? – განვსაზღვროთ აზრობრივი ლოკაცია, რომლიდანაც მომდინარეობდა ეჭვი, რომელმაც სოსიურს თავისი ნაშრომების გამოქვეყნებაზე უარი ათქმევინა.

⁸⁵ Cf. Shephard 1990, გვ. 237f.

⁸⁶ Ibid.

⁸⁷ WUW, გვ. 45, Hervorhebung hinzugefügt.

⁸⁸ მეიესაღმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში, რომელშიც მას ატყობინებს, რომ სატურნისეული სტროფების გასაღებს, სავარაუდოდ, »ალიტერაციაში« მიაგნო, სოსიური უხეველოდ მებრძოლი სიტყვებით წერს, რომ »მძიმე არტილერიიდან სროლით წინ მიიწევს« (მღრ. WUW, გვ. 14).

თუ სიტყვები რამეს ამბობენ, უბრალოდ იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ასე გვსურს, არამედ უფრო მეტად იმიტომ, რომ ისინი ცირკულირებენ და ერთ სისტემაში მუდმივ ურთიერთქმედებაში იმყოფებიან, სისტემაში, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და თან აუცილებლად იცვლება. სიტყვათა ამ თამაშის გაკონტროლება შეუძლებელი იყო მათი წერილობითი დაფიქსირებით. მხოლოდ მას, ვინც დაწერა, შეეძლო გაგება, რას გულისხმობდა ჩანაწერში – იმავე F-e-r-d-i-n-a-n-d-u-s-ს თუ სხვა სახელსაც?

ყოველ შემთხვევაში, თუ მისი გარდაცვალებიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ფრანგული სტრუქტურალიზმის წამყვანი თეორეტიკოსები სოსიურს მიუბრუნდებიან, არა უბრალოდ იმიტომ, რომ მასთან ლინგვისტური კონცეპტები აღმოაჩინეს, რომლებიც სხვა ჰუმანიტარულ სფეროებზეც შეიძლება განივრცოს. აქედან გამომდინარე, სტრუქტურალიზმის განვითარებისთვის სოსიურის მნიშვნელობა გაცილებით დიდია, რაც მან თავის ნააზრევში აჩვენა, თუ როგორ შეიძლებოდა (მეტყველი) სუბიექტის რაციონალისტური კონცეფციების დაძლევა და კიდევ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ენის სემიოლოგიური აღქმა:

ნიშნების ბუნება... მხოლოდ ენაში [*langue*] შეიძლება იყოს დანახული და ეს ბუნება იმ საგნებისაგან შედგება, რომელსაც ყველაზე ნაკლებად იკვლევენ. სწორედ ამიტომ, პირველ რიგში, სემიოლოგიური მეცნიერებების განსაკუთრებულ საჭიროებას და აუცილებლობას არ იკვლევენ, როცა ენას [*langue*] ზოგადი ფილოსოფიური თვალსაზრისით განიხილავენ; როცა სხვა საგნებს ენის საშუალებით [*langue*] იკვლევენ.⁸⁹

ენაში [*langue*] ინდივიდუალურ და სოციალურ ნებას თავს არიდებს ნიშნის მნიშვნელოვანი თვისება და ისიც, რომ, ერთი შეხედვით, ის ნაკლებად ავლენს თავს.⁹⁰ თუ ნიშანს ამ თვალსაზრისით შევხედავთ, საკმაოდ ბევრ მოულოდნელობას წავაწყდებით. კვლევის პროცესში დავინახავთ, რომ ისინი კვლევის ერთ სფეროს, ნიშნის განსაკუთრებული არსებობის სფეროს, სემიოლოგიას განეკუთვნებიან.⁹¹

დანატოვარი ჩანაწერების შესახებ შესავალში გავარკვეით საკითხი, თუ რატომაა, რომ სოსიურისთვის >ის, რაც ენაში ინდივიდუალურ და სოციალურ ნებას თავს არიდებს, ნიშნის მნიშვნელოვანი თვისებაა<. ამასთანავე, წარმოიშვა აზრთა დაძაბული ჯაჭვი, რომელიც სოსიურის მიერ ლეგენდების კვლევის ლინგვისტურ რეფლექსიებს და თეოდორ ფლურნუასა და ანაგრამების კვლევის შესახებ მის სტატიებს თან გასდევს. ამასთან, წარუმატებელი და შემცირებული იქნებოდა სოსიურის მეცნიერულ-ისტორიული მნიშვნელობა, მხოლოდ ამ ერთი საკითხის ჭრილში რომ განგვეხილა. თუ ჩვენი შესავალი წინააღმდეგობას გამოიწვევს და სურვილს აღძრავს, სოსიურის ტექსტები განსხვავებული თვალსაზრისებით გამოიკვლიონ, მაშინ მან თავის უპირველეს მიზანს მიაღწია.

⁸⁹ Cf. CLG/E (I), გვ. 51, II R 22, Nr. 313-314.

⁹⁰ Cf. CLG/E (I), გვ. 51, II R 23, Nr. 312.

⁹¹ Cf. CLG/E (I), გვ. 51, II R 23, Nr. 315.

მეორე ნაწილი

ფერდინანდ დე სოსიურის
ტექსტები

E.

სარედაქციო მითითებები და ტექსტის კრიტიკული ნიშნები

...ფილოლოგია რადგან სხვა არაფერია, თუ არა ვრცელი კომენტარი, რომელსაც ლიტერატურული ნაშრომის ბოლოში წერენ. ის აბსოლუტურად ლიტერატურული მიზანია, რომელსაც, ერთსა და იმავე დროს, ფილოლოგიური მეცნიერების საარსებო საფუძველი და ერთიანობა შეადგენს, რომლებიც ყოველად განსხვავებულ კვლევებს მოიცავენ.

დაუთარიღებელი ჩანაწერი

ტექსტის კრიტიკული ნიშნები

[] გამოტოვება, წვევტის ადგილი
 < > ყველაფერი, რაც სტრიქონების ზემოთ, ქვემოთ და გვერდით ხელით არის მიწერილი და რაც წაკითხულ უნდა იქნეს (ჩამატება, გადაკეთება, კორექცია, გლოსა და ა.შ.)
 *** გადახაზული, მაგრამ ამოკითხვადი პასაჟები
 [>français<] ფრანგული ორიგინალის ტექსტი სიტყვასიტყვით

სარედაქციო მითითებები

სოსიურის ლიტერატურული მემკვიდრეობის ხელნაწერები ძალიან განსხვავებულია. ისინი, ამასთანავე, სრულიად განსხვავებულ მეცნიერულ კონტექსტებში გამოიყენება და აქამდე ფრანგულად ცალკეული კრიტერიუმების მიხედვით არ დაუყვიათ. აქედან გამომდინარე, გონივრული ჩანს, ცალკეულ ტექსტებში მათ დანართში შესაბამისი სარედაქციო მითითებები შევიტანოთ აღნიშვნების ფორმით.

ტექსტებზე მუშაობის განმავლობაში გამოცემებისთვის საყოველთაოდ დამკვიდრდა შემდეგი პრინციპი: თარგმანისთვის ამოსავალი წერტილი ყოველთვის ფრანგულ ენაზე შესრულებული ტექსტებია. წინა განზრახვა, უშუალოდ ხელნაწერებიდან ეთარგმნათ, პრაქტიკაში მიუღებლად მიიჩნიეს. სოსიური თავის ხელნაწერებს ხშირად საფუძვლიანად ამუშავებდა, კორექტივები შეჰქონდა, სტრიქონებს შორის და მინდორზე ჩამატებებს აკეთებდა (შდრ. ფაქსიმილე N. 23.7, S. 235 ff.). არა მხოლოდ ფრანგული და გერმანული ენების განსხვავებული სინტაქსური სტრუქტურის გამო გახდა შეუძლებელი, რომ ეს ხელნაწერი წასაკითხად და ფილოლოგიური თვალსაზრისით გადმოგვეცა. პუნქტუაციისას მასთან დაკავშირებული პრობლემებისთვის შემდეგი გადაწყვეტა ავირჩიეთ: იქ, სადაც სოსიური ფრანგული პუნქტუაციის სივრცეს ნიშანდობლივად იყენებს, იქაც კი ხანდახან განსხვავდება თარგმანი გერმანული წერილობითი ენის წესებისაგან.

ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ ჩანაწერების შემთხვევაში შეგვიძლია რ. ენგლერის (CLG/E) სქემას გავყვეთ: სოსიურის მიერ ხელნაწერების ხანგრძლივი გადამუშავება, როგორც ასეთი, აღნიშნულია (შდრ. ტექსტის კრიტიკული ნიშნები). იგივე შეიძლება ითქვას ა. მარინეტისა და მ. მელის მიერ გერმანული ლეგენდების (LEG) ჩასწორებული ჩანაწერების შესახებაც, რომელთა ფილოლოგიური მითითებანი თარგმანში შესაბამისი ფორმით არის დამუშავებული. როგორც ყველა ტექსტის კრიტიკული ნაშრომის შემთხვევაში, გამოცემა აქაც (უფრო მეტად, ვიდრე ეს თარგმანის შემთხვევაშია) მხოლოდ ხელნაწერთა ვარიანტებს ემსგავსება.

აქ მოხმობილი ტექსტის გამოცემების შედარებამ *Bibliothèque publique et universitaire de Geneve*-ში შენახული სოსიურის ხელნაწერებთან – დაახლოებით 8500 რეგულუბად შეკრულ ფურცელთან (vgl. BB. 01) – გვიჩვენა, რომ მისი ტექსტი სიტყვასიტყვით არის გადმოცემული. აშკარად მცდარი ინტერპრეტაციები კი შევასწორეთ. მსგავსი ვითარებაა უკვე არსებული თარგმანების პასაჟებთან მუშაობისას, რომელიც აქ მოვიტანეთ.

ამგვარი მიდგომა, შესაბამისი ფრანგული ტექსტების მოძიება და ციტირება, აადვილებს და შესაძლებელს ხდის ტექსტის კრიტიკული ნიშნების მოკრძალებულ გამოყენებას, რაც ტექსტების კითხვადობას უწყობს ხელს.


რამდენიმე გამონაკლისის გარდა, აქ ნათარგმნი ყველა ტექსტი *Bibliothèque publique et universitaire de Geneve*-ში შენახული სოსიურის ხელნაწერებიდან მომდინარეობს და, რამდენადაც ცნობილია, 1891-დან 1911 წლამდე პერიოდს ეკუთვნის. დანარჩენი, ნაწილობრივ ადრეულ პერიოდში დაწერილი 638 ფურცელზე განთავსებული სოსიურის მემკვიდრეობა, რომელიც 1967 წლიდან პარვარდის უნივერსიტეტის ჰოთონის ბიბლიოთეკის საკუთრებაშია, ცოტახნის წინ დოკუმენტირებულ იქნა კ. პარეს მიერ ახლახანს გამოცემულ ფართო მიმოხილვაში (შდრ. დანართი, გვ. 563). იქვეა შედარებით პატარა მონაკვეთები, სხვა ფორმაში გადატანილი კი არა, არამედ მხოლოდ თარგმნისთვის გამოსაყენებლად.

F.

ფაქსიმილე, ტრანსკრიფცია და ხელნაწერის ამონარიდის თარგმანი


...მაგრამ საინტერესოა, დავაკვირდეთ ამოუცნობ ბლოკს და დავრწმუნდეთ de visu-ს ინტერპრეტაციაში. ისინი მე უეჭველობის ხარისხით ყველგან დამკვიდრებული არ მგონია. პირიქით, უტყუარად მიხნეულია ის, რასაც ის არ წარმოადგენს...

1906 წლის 23 იანვარი, ანტუან მეიესხადმი წერილიდან




BPUG, Ms. fr. 3951.23/7, გვ. 27 recto (=N 23.7).

[Valeur.] Ce qui est inseparable de toute valeur, ou ce qui fait la valeur, ce n'est <ni>, a) d'être inseparable d'une serie de grandeurs opposables formant un systeme, ni b) d'avoir [] mais les deux choses a la fois et inseparablement <liees entre elles>. Valeur est <eminement> synonyme <a chaque instant> de terme situe dans un systeme <de termes similaires>, de meme qu'il est <eminement> synonyme a chaque instant de chose échangeable. [] Prenant la chose échangeable d'une part, de l'autre les termes co-systematiques, cela n'offre aucune parente. C'est le proper de la valeur de mettre en rapport d'une maniere <qui va jusqu'a desesperer> l' esprit par l'impossibilite de scruter s ices deux faces de la valeur different <pour elle> ou <en quoi>. La seule chose <indiscutable> est que la valeur va dans ces deux axes, est geterminee selon ces deux axes concouramment:



რაც განუყოფელია იმ მნიშვნელობისგან, ის უნდა მიეკუთვნოს სისტემას, ერთმანეთის მიყოლებით არსებული სიდიდეების თვალსაზრისით, რომლებიც სისტემას ქმნიან²; ან რაც მნიშვნელობას შეადგენს, <არც> ა) ერთმანეთის მიყოლებით არსებული სიდიდეების სერიისგან განუყოფელია, რომლებიც ქმნიან სისტემას და არც ბ) [] ეს სისტემა გააჩნიათ, არამედ ორივე საგანი პირდაპირაა <ერთმანეთთან დაკავშირებული>.

[] მნიშვნელობა <ამ მომენტში> სრულებით <მნიშვნელოვანია> ტერმინის სინონიმურობის თვალსაზრისით, რომელიც სიტუაციურ მიმართებაშია სისტემასთან <მსგავს ტერმინებთან>, ისევე, როგორც ის ყოველ მომენტში სრულებით <ემინენტური> სინონიმია ცვლადი საგნისა. [] თუ ავიღებთ <ერთი მხრივ> მნიშვნელობის არსში შემავალ სიდიდეებს, ხოლო მეორე მხრივ, კოსისტემატურ ტერმინებს, მათ შორის ნათესაობას ვერ აღმოვაჩენთ. ეს არის მნიშვნელობის თავისებურება, რომ ეს ორი საგანი დაუკავშიროს ერთმანეთს. ეს კი ასეა წარმოდგენილი, შიშმა და უმწეობამ შეიძლება გონი <სასოწარკვეთილებამდე მიიყვანოს>, ცდილობს დაადგინოს, მნიშვნელობის ეს ორი მხარე განსხვავდება თუ არა მისგან და <რით>. ცხადია, მხოლოდ ერთი რამ არის უსათუოდ ეჭვგარეშე: მნიშვნელობა, რომელიც ამ ორივე ღერძს მიუყვება, ორივე ღერძის მიერ განისაზღვრება:



¹ მარცხენა სვეტში გადმოცემთ ტექსტს იმ ფორმით, როგორც რ. ენგლერს აქვს მოტანილი. მარჯვენა სვეტში კი მოცემულია ჩვენი გერმანული თარგმანი (შეადარე: Texte, გვ. 403 f.).

² ეს პასაჟი (ისევე, როგორც შემდეგი, გადასახული პასაჟები) რ. ენგლერმა არ მოიხმო. როგორც წესი, გერმანული თარგმანის გადასახულ ადგილებშიც მოიძებნება ის CLG/E-ში, სადაც იგი აღნიშნულია მინიშნებით <xyz> [biffe] bzw. <xyz>[b.].

იმისთვის, რომ არ დავახიანოთ თარგმანის კითხვადობა, რამდენიმე პასაჟი, სადაც ჩვენი თარგმანი CLG/E-ის ტრანსკრიფციისგან განსხვავდება, დამატებითი ტექსტის კრიტიკული ნიშნებით აღარ არის აღნიშნული. ფაქსიმილეს, ტრანსკრიფციისა და თარგმანის შეპირისპირება ნათელს ჰფენს იმ ფაქტს, რომ სასურველი იქნებოდა სოსიურის მთლიანი ლიტერატურული მეშვეობის ერთიანი ფრანგული გამოცემა.

~~Admet~~ Il n'est pas absolument important de
 s'apercevoir que les similia à leur tour
 sont chacun ~~et sont~~ dissimile, et que le tableau
 habituel pourvus de leur juste serait donc :

~~Disimilia~~ ~~Dissimilia~~ ~~Similia~~
Similia > Similia > Similia
Similia > Similia > Similia

Au contraire, c'est ~~par~~ ce tableau final
 et banal qui fait ressembler la valeur à
une chose, en laissant supposer fausement
 quelque réalité absolue
 que l'art de règle en elle

garder en tous cas le schéma


~~Disimilia~~
Similia < Similia < Similia > Similia > Similia

Le rapport Simile : Dissimile est une chose
 parfaitement différente du rapport Simile : Similia,
 et ce rapport est néanmoins insaisissable
 et jusqu'au tréfonds de la notion de valeur

Il n'est pas absolument important de s'apercevoir que les similia à leur tour sont <chacun naturellement pourvus de leur> dissimile, et que le tableau juste serait donc:

Similia> Similia> Similia
 Similia> Similia> Similia

Au contraire c'est ce tableau final et banal qui lait ressembler la valeur à une chose <qui voit sa règle en elle>, en laissant supposer faussement quelque réalité absolue. Garder en tous cas le schéma




Le rapport simile : dissimile est une chose parfaitement différente du rapport simile : similia, et ce rapport est néanmoins insaisissablement et jusqu'au tréfonds de la notion de valeur.³

უმნიშვნელოდ მიმანია იმის აღნიშვნა, რომ შედარება, თავის მხრივ, <ბუნებრივად> შეპირისპირებასთან ერთად მოიაზრება და ზუსტი სურათი ამასთან დაკავშირებით იქნება:

Similia> Similia> Similia
 Similia> Similia> Similia

ამის საპირისპიროდ, ბოლო სურათი, რომელიც ბანალურია და რომელიც ფასეულობას და საგანს ერთმანეთს უთანაბრებს, <თავის წესებს თავის თავში მოიაზრებს> იმით, რომ მცდარ აბსოლუტურ რეალობას ცნობს. ყოველ შემთხვევაში, ვინარჩუნებთ სქემას:



მიმართება Simile : Dissimile სრულიად განსხვავდება მიმართებისაგან Simile : Similia და ეს მიმართება დაუსაბუთებლად, კერძოდ კი შინაგანი სიღრმით [>jusqu'au trefonds<] ფასეულობის ცნებასთან [] არის დაკავშირებული.

³ Cf. CLG/E (I), S. 260, N_{23,7}, Nr. 1864

G.

ჩანაწერები სოსიურის მემკვიდრეობიდან

რამდენიმე ჭეშმარიტება, რომელიც საკუთარ თავს კვლავ პოულობს. აქ ლაპარაკი არ გვექნება არც აქსიომებზე, არც პრინციპებსა და არც თეზებზე. მარტივი და მკვეთრი ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, საქმე ეხება აფორიზმებს, ფარგლებს – საზღვრებს, რომელთა შორის ჭეშმარიტება ყოველთვის პოულობს საკუთარ თავსაც და იმასაც, რისგანაც იგი იბადება.

დაუთარიღებელი ჩანაწერი

1. ჩანაწერები ზოგადი ენათმეცნიერებისათვის¹

№ 1.1, № 1.2, № 1.3²

„ჩანაწერები ჟენევის საღებოუტო ლექციისათვის, ნოემბერი, 1891“³

№ 1.1 „პირველი საათი“⁴

თუ ჩვენი უნივერსიტეტის კათედრა, რომლის გამგის თანამდებობის დაკავების პატივი დღეს მაქვს, ჰუმანიტარული მეცნიერების ფაკულტეტის ახალ დარგს წარმოადგენს და თუ ჩემი დღევანდელი მოვალეობა ან პატივია, იმ სასწავლო ტაძარში შეგიძლევთ, რომლის შენებისთვისაც ავერ უკვე 70 წელია ენათმეცნიერება [*>science du langage<*] იღვწის და მთავარ შტრიხებში წარმოგიდგინოთ მისი წარსული, რომელსაც არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს, ან მისი მომავალი განვჭვრიტო, მისი მიზანი განვსაზღვრო, მისი სარგებლიანობა, მისი ის ადგილი მოვნიშნო, რომელიც ადამიანის ცნობიერებათა წრეში უკავია და დამსახურებაც ვაჩვენო, რომელიც ჰუმანიტარული მეცნიერების სფეროში გააჩნია, ვშიშობ, ჩემს მოვალეობას კარგად გავართვა თავი, მაგრამ დარწმუნებით კი შემიძლია იმის თქმა, რომ ამ საქმეში მარტო და მიტოვებული არ ვიქნები. ლინგვისტიკის დამსახურების გარეშე, გადაჭრით იმის თქმა, თუ რა საჭიროა, მაგალითად, კლასიკური განათლებისათვის

¹ Cf. BPUG, frang. xeln. 3951. თარგმანი შესრულებულია, რ. ენგლერის კრიტიკული გამოცემიდან, CLG/E(I)+(II). გარდა № 14 C-ის, № 20-ის, № 22.2-3-ის, № 23-2-ის და № 24 b-f-ისა, გათვალისწინებულია აგრეთვე რამდენიმე მცირე ზომის გამოსხაურება, ასევე თარგმნილი რ. ენგლერის მიერ გამოცემული სოსიურის ენათმეცნიერული ხასიათის ხელნაწერებიდან.

² ბიბლიოგრაფიული მონაცემები ფორმითა და შინაარსით ეყრდნობა SM/G, CLG/E-სა და ენგლერის 1975^o გამოცემას. *კურსის* მინდვრებზე გაკეთებული მინაწერების ციტირების მეთოდი – კვლავ უბრუნდება რ. გოდელის მეთოდს, რომელმაც დე სოსიურის მემკვიდრეობა ორმოცდაათიანი წლების ბოლოს მოაწესრიგა. ამისათვის შეად. რ. გოდელი: „Inventaire des manuscrits de F. de Saussure remis à la Bibliothèque publique et universitaire de Genève“, CFS- 17-ში, 1960, გვ. 5-11, >N11.< = სოსიურის ჩანაწერების გოდელისეული კლასიფიკაცია და კატალოგიზება.

³ თარგმანებზე წამდვარებული სათაურები, როგორც წესი, დე სოსიურისაგან არ მომდინარეობს და შეიძლება შინაარსის ძირითადი აზრის გამომხატველად იქნას გაგებული. შეად. გოდელი, 1960, გვ. 5-11.

⁴ უპირველეს ყოვლისა, ლექციების ამ მოსამზადებელი სამუშაოს პირველი გვერდები ნაწილობრივ ძნელად გაირჩა და საფუძვლიანადაც არის გადაშუშავებული, ამიტომ ყველგან ვერ მოხერხდა წინადადებაში აზრის ლოგიკური მდინარების რეკონსტრუირება (შეად. CLG/E).

ბერძნული, ლათინური და ფრანგული ენების [>langues<] ცოდნის გარდა, ამ მეცნიერებიდანაც გაიგო [>თუკი მხოლოდ წმინდა ლიტერატურული მიზანი გეკნებოდა<], რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ მეცნიერებას ისტორიის ან ცივილიზაციის ისტორიისათვის. – ამ შემთხვევაში ერთი ქენეველი პიროვნების სახელს მოვუხმობდი, რომელითაც ჩვენ სხვა მხრივაც ვამაყობთ. ეს გახლავთ ადოლფ პიქტე, რომელმაც გაიაზრა, თუ რა სარგებელი შეიძლება ვნახოთ ენის [>langue<] წყალობით, თუკი მას პრეისტორიული პერიოდის საბუთად განვიხილავთ, რომლის მონაცემებს ვენდობით (და შეიძლება ძალიანაც), <როგორც ენთუზიაზმის გაღვიძებისათვის, რომელმაც მოულოდნელი სამყაროს, – <აბსოლუტური ღირებულების ჭეშმარიტების> უცარი აღმოჩენა მოახდინა. ყოველ შემთხვევაში, ადოლფ პიქტემ ჩაუყარა საფუძველი სერიოზულ სწავლებას, რომელსაც სწავლულები დღესაც უფროხილდებიან და მეც, მათ კვალად, განსაკუთრებული შეუპოვრობით დავიცავდი იმ ზუსტად განსაზღვრულ მნიშვნელობას, რომელიც ლინგვისტიკამ ეთნოგრაფიაში მოიპოვა იმ თვალსაზრისით, რომ ენობრივი მონაცემები ყოველთვის, შემდგომი ინფორმაციის მიღებამდე, მის განკარგულებაში რჩება. ეს ეთნოგრაფებისათვის პირველი საბუთია და თუ იკითხავენ, ამ მონაცემების გარეშე ეთნოლოგები აქამდე როგორ მოვიდოდნენ, <საჩვენებლად>, შეიძლება ასეთი მაგალითის მოხმობა. <ათასიდან ერთის ამორჩევა (იკმარებს)>, უნგრეთში ბოშები მადიარებისაგან სრულიად განსხვავებულ რასას წარმოადგენენ, თავად უნგრელები კი ავსტრიის სამეფოში ჩეხებისა და გერმანელებისაგან სრულიად განსხვავებულ რასად ითვლებიან. ამის საპირისპიროდ, ჩეხები და გერმანელები, რომლებსაც მთელი გულით სძაგთ ერთმანეთი, ძალიან ახლო (ნათესავები) არიან. თავის მხრივ, უნგრელები <ახლო> ბიძაშვილები არიან რუსეთის სამეფოში შემავალი ბალტიის ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ფინური მოსახლეობისათვის. <თავად მას კი არასოდეს სმენია, რომ, თავის მხრივ, ბოშები ინდოეთიდან წამოსული ხალხია>. ~~წინარე ისტორიისა და ეთნოლოგიის ამ საკითხზე შეიძლება მხოლოდ მნიშვნელოვანი ამერიკელი ლინგვისტის უითნის ციტირება: ლინგვისტიკას საყვედურობთ, რომ იგი მხოლოდ პირობით, კორექტურას დაქვემდებარებულ მონაცემებს ქმნის, მაგრამ დაფიქრდით, რომელია მეორე მეცნიერება, რომელიც ეპოქების შესახებ რაიმე ცნობებს მოგვაწვდიდა? მე ამ საკითხებზე გადავერთვებოდი და ვიდრე იგი საკვლევ საგანთან მიგვაახლოვებდა, იმასთან, რის გადაკეთებასაც ძალიან შეეძლება, რომ ფსიქოლოგია აპირებდეს, უმაღლეს ენის [>langue<] სწავლებით დაეიწყებდით, რადგან სწორედ ამით შევიქმნით სამკალს. მაგრამ ჯერ ასეთ კითხვას დავსვამდი: სერიოზულად ფიქრობთ, რომ ენათმეცნიერებას ყველაფერი ეს სჭირდება, ~~რათა თავი იმართლოს~~ <ან თავისი არსებობის გამო თავი იმართლოს> ამტკიცოს, რომ იგი სხვა მეცნიერებებისთვისაც საჭირო საგანია? ეს ის მოთხოვნაა, რომელსაც, როგორც იგი განმარტავს, ენათმეცნიერება მნიშვნელოვნად შეესატყვისება <და ალბათ, უფრო მეტადაც, ვიდრე მთელი რიგი მეცნიერებებისა>, მაგრამ ვაღიარებ, რომ ვერ ვხედავ <შედეგს> და იმას, რომ ეს მოთხოვნა საფუძველიანია. რომელი მეცნიერების არსებობას გახდი წინასწარ პირობებზე დამოკიდებულს, რომ იგი <იძულებული იქნება, წინასწარ განჭვრიტოს შედეგები, რომლებიც წაყენებული პირობების მიხედვით არის განსაზღვრული> და სულ სხვა საგნებითა და ამოცანებით დაკავებული მეცნიერებების გამდიდრებისათვის განკუთვნილი.⁵ <ეს~~

⁵ Cf. CLG/E(II), გვ. 3, N 1.1, N 1.1, Nr. 3283.

ნიშნავს საკუთარ საგანთან მისასვლელ გზაზე უარის თქმას. ყოველი მეცნიერებისაგან, <რომელიც აღიარებისაკენ ისწრაფვის>, შეიძლება მხოლოდ ის მოითხოვო, რომ იგი ისეთი საკითხების კვლევას აწარმოებდეს, რომლებიც სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს, ანუ ისეთი საკითხებისას, რომლებიც უნივერსუმის საკვლევ საგანთა შორის უეჭველ როლს ასრულებენ. <პირველ რიგში, საგნისათვის>, რომელსაც კაცობრიობა განაგებს და ესა თუ ის მეცნიერება თავის ადგილს იმის პროპორციულად დაიჭერს, რა მნიშვნელობისაც იქნება მისი კვლევის საგანი. ამჟამად მიიჩნევენ, რომ ენა [*langue*] ამ ერთობლიობაში ან <ფაქტორია, რომელიც იმსახურებს დაკვირვებას, ან> უგულვებელსაყოფი რამ. ამ პირობით (და მხოლოდ ამ პირობით) შეიძლება, რომ ენათმეცნიერების ღირებულებაზე <სამართლიანი> და საქმის ცოდნით გამოტანილი <განაჩენი> ზოგადი ცოდნით იყოს გაპირობებული. სინათლის სხივი, <რა ინტენსივობისაც არ უნდა იყოს>, შეიძლება სხვა დისციპლინებსა და სხვა საგნებს უშუალოდ ენიდან [*langue*] ეფინებოდეს, <შეიძლება> <ამ მეცნიერების> შინაგანი განვითარებისა და მიზნისათვის, რომლისკენაც მიმართულია იგი, ენის [*langue*] სწავლებას სრულიად ეპიზოდური და შემთხვევითი, თანამდევითი მნიშვნელობა ჰქონდეს. <თავისთავად> ღირს კი წვალებად ენის [*langue*] ფენომენის კვლევა, გნებავთ თავის მრავალმხრივ გამოვლენებაში, გნებავთ თავისი საყოველთაო კანონზომიერების გამოსავლენად, რომელიც განსაკუთრებული ფორმის გარდა, სხვაგვარად <არასდროს> არ შეიძლება იყოს წარმოებულნი? ეს არის, <თუ იგი> სრულიად ნათლად და კატეგორიული სახით <იქნება ნაჩვენები>, არენა, რომელზეც თანამედროვე ენათმეცნიერება დამკვიდრდა. ენა [*langage*]. მაგრამ მეტყველება [*parole*]? ეს ისაა, რაც ჩვენ საერთოდ დავივიწყეთ, რადგან [] ენა [*langage*] ან ენა [*langue*] ერთი და იგივეა და პირველი სხვა არაფერია, თუ არა მჭორის გასაყოფელთაობა []. შეიძლება, რომ ენა [*langage*] ან, შესაბამისად, ენა [*langue*] ჩაითვალოს საგნად, რომლის, როგორც ცალკე აღებული, კვლევა ღირდეს? <ეს არის კითხვა, რომელიც თავისით ჩნდება. მე პირველი არ ვარ, ვინც ამას იკვლევს. უნდა გითხრათ>, ბატონებო, რომ ჩვენს <საწყყად> კაცობრიობას, <როგორც განმასხვავებელ ნიშანს>, დანარჩენ ცხოველთა სახეობებისაგან, ყველაფერზე უარი უთხრეს. ყველაფერზე და სრულიად ყველაფერზე. თვით გულმოდგინებაზე [*l'instinct d'industrie*], თვით რელიგიურობაზე, მორალზე, განსჯის უნარზე და გონებაზე. – ყველაფერზე, გარდა ენისა [*langue*], ან, როგორც ამბობენ, ენაზე [*langue*], მეტყველებაზე [*parole*], არტიკულირებულ <მეტყველებაზე> [*parole articulée*]. <თანაც ეს ცნება არტიკულირებულია>, არსებითად, <ბუნდოვნად და გაურკვეველად> ისე, რომ ამასთან დაკავშირებით <დიდი შენიშვნა> მაქვს. სულაც არ მავიწყდება, რომ ჩვენს დროში გაზეთები მაიმუნების განსხვავებული სახეობების შესახებ <იტყობინებოდნენ>. განზრახულია, რომ ჩვენს გვირგვინს ეს უკანასკნელი <თვისება, ეს უკანასკნელი კბილანა ჩამოვამტვრიოთ, – არტიკულირებული ენა [*langage articulé*]>. ამაზე არ ვკამათობ, <ვაღიარებ> რა, რომ ეს მაიმუნები, ისეთი თვისების მატარებლები არიან, რომელზეც ღირს დაკვირვება. ის, რაც <ცხადია>, როგორც ეს ათასჯერაც გაუმეორებიათ, არის ის, რომ ენის [*langage*] გარეშე ადამიანი შეიძლება ადამიანად დარჩენილიყო, მაგრამ ის იქნებოდა არსება, რომელიც მხოლოდ კვების ხასიათის მიხედვით ემსგავსებოდა იმ ადამიანს, <რასაც ჩვენ ვიცნობთ და რაც ჩვენ ვართ>, რადგან

ენა [>langage<], კოლექტიური პროცესის და ინდივიდუალური ფორმირების ეს <უდიდებულესი ინტრუმენტი>, სხვა მხარეა; იარაღი, რომლის გარეშე <ვერც ერთი ინდივიდუმი და ვერც სახეობა, როგორც ასეთი>, ვერ შექდებდა, რაიმე სახით თავის თანდაყოლილ უნართა განვითარებისაკენ სწრაფვის განხორციელებას.⁶

ახლა იმ საყვედურის, <ჩვენი აზრით, მეტ-ნაკლებად დასაბუთებულის>, დროც დადგა: ენის [>langue<] სწავლება თქვენ აქციეთ ენის [>langage<] სწავლებად, <ენისა [>langage<], რომელიც განიხილება, როგორც ადამიანის უნარი, როგორც თავისი სახეობის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი, როგორც ანთროპოლოგიური ან, ასე ვთქვათ, ზოოლოგიური ნიშანი. ბატონებო, აქ არის ერთი მომენტი, რომელზეც ჩემი მოსაზრების წარმოსადგენად და დასასაბუთებლად დიდი დრო დამჭირდებოდა და ეს სხვა არაფერია, თუ არა თანამედროვე ლინგვისტთა მოსაზრებების მსგავსი რამ. კერძოდ, ის რომ ენის [>langage<] სწავლება, <როგორც> ადამიანური <ფაქტი> [>fait humain<], მთლიანად ან თითქმის მთლიანად ენის [>langue<] სწავლებას მოიცავს. ფიზიოლოგს, ფსიქოლოგს <და ლოგიკოსს> შეუძლიათ დიდხანს ილაპარაკონ; ფილოსოფოსს შეუძლია კომბინირებული შედეგების მიხედვით ლოგიკის, ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის ერთიანობაში წვდომა, მაგრამ ჩემს თავს იმის თქმის უფლებას მივცემ, რომ ენების [>langues<] სწავლების პირველ და ბოლო ინსტანციებთან მიბრუნების გარეშე ენის [>langage<] უელემენტარულესი ფენომენები ვერასოდეს გახდებიან ნაგარაუდვეი ან ნათლად დანახული, კლასიფიცირებული და შეცნობილი. ენა [>langue<] და ენა [>langage<] ერთი და იგივე საგანია, მხოლოდ ერთი მეორის განზოგადებაა. <მათ შორის არსებული განსხვავებული გარეგნული ფორმები სწორედ ენების [>langues<] კვლევის ობიექტებია>. ენის [>langage<] სწავლის სურვილი, დიდი შრომის ჩადების გარეშე, სრულიად ფუჭი და აუხდენელი წამოწყება იქნება. <სხვაგვარად>, გასარკვევია ენების [>langues<] კვლევის განზრახვა, როცა ივიწყებენ, რომ ეს ენები [>langues<] მნიშვნელოვანი <გარკვეული> პრინციპებით განისაზღვრებიან, რომლებიც ენის [>langage<] თვალსაზრისით ერთიანდებიან. <უფრო მეტიც>, ყოველი სერიოზული თუ ნამდვილ მეცნიერულ საფუძველს მოკლებული სამუშაოც ასეთი პრინციპებით განისაზღვრება. ამიტომაც ენის [>langage<] საყოველთაო სწავლება გამუდმებით კვებავს სრულიად განსხვავებულ დაკვირვებებს, რომლებიც ამა თუ იმ ენის [>langue<] განსაკუთრებულ სფეროში იქმნება. ასევე, თუ დაუშვებენ, რომ ადამიანების ვარჯიში მეტყველებაში [>parole<], <რაც ბუნებრივ ფუნქციას წარმოადგენს> და სადაც ვაწყდებით მთავარ, ძირითად, მცდარ პოზიციას, რომელსაც განსაზღვრული ანთროპოლოგიური და ლინგვისტური სკოლები მიმართავენ, საჭიროებს იმ აზრის კატეგორიულად [>absolument<] დაცვას, რომ მეცნიერებისათვის ამ ფუნქციის შესრულება მხოლოდ ენის [>langue<] ან არსებული ენების [>langues<] საშუალებით მიიღწევა.

მაგრამ პირიქით, ამ არსებული ენების [>langues<] კვლევა იმიტომაც განწირული უშედეგობისათვის, ყოველ შემთხვევაში, მეთოდებისა და სახელმძღვანელო პრინციპების გარეშე დარჩენისათვის, რომ იგი მუდმივად ამისკენ არ ისწრაფვის, ანუ არ ესწრაფვის იმას, რომ ენის [>langage<] ზოგადი პრობლემების ილუსტრირება მოახდინოს, არ ცდილობს, რომ ყოველი დეტალის, <რო-

⁶ Cf. CLG/E(II), გვ. 4, N 1.1, Nr. 3283.

მელსაც ის აკვირდება>, აზრსა და საჭიროებას ის ნაჭუჭი შემოაცალოს, რომელსაც ჩვენი ცოდნისათვის საჭირო ოპერაციები მოჰყვება.⁷ ამას კი სულაც არა აქვს რაღაც უბრალო, წყალწყალა და ზოგადი მნიშვნელობა: ყველა, ვინც მეცნიერების ჩვენს სფეროში კარგად არის ჩახედული, იცის, რადიდი სიხარულითა და როგორი ტრიუმფით იზიარებს თითოეული მკვლევარი ყოველ ახალ თეორიულ მოვლენას, სადაც არ უნდა მოხდეს, იქნება ეს ჩვენი უიშვიათესი დიალექტი [>patois<], თუ ერთი მარტივი პოლინეზიური იდიომი. ამით კი იგი ერთ ქვას უმატებს შენობას, რომელიც არასდროს დაინგრევა. ენათმეცნიერების ყველა სფეროში [>science du langage<] გამუდმებით იღვწიან იმისათვის, რომ, უპირველეს ყოვლისა, გამოამხეურონ, თუ რას შეიძლება მოიცავდეს ენა [>langage<]. <კიდევ ერთი ნიშანდობლივი ფენომენი> არის <თეორიული> დაკვირვებები, რომლებსაც ამა თუ იმ განსაზღვრულ სფეროზე კონცენტრირებული დაკვირვებებით შეაქვთ თავისი წვლილი. აღსანიშნავია, რომ გერმანიკული და რომანული კვლევები საგრძნობლად მეტ აღიარებასა და ყურადღებას პოულობენ, ვიდრე იმ ენათმეცნიერთა ნაწერები, რომლებიც ენათა [>langues<] ფართო სპექტრს ამუშავებენ. დამტკიცებულია, რომ ამა თუ იმ ფენომენის ბოლო დეტალი, იმავდროულად, მისი ბოლო საყრდენიც არის [>c'est le détail ultime des phénomènes qui est aussi leur raison ultime<] და რომ მხოლოდ უკიდურეს სპეციალიზაციას შეუძლია ყველაფერად ემსახუროს უკიდურეს განზოგადებას. აღარ არიან ისეთი ლინგვისტები, როგორიც, ვთქვათ, ფრიდრიხ მიულერი იყო <ვენის უნივერსიტეტიდან>, რომლებმაც დედამიწის ლამის ყველა იდიომი მიმოიხილეს და ამით ენის შესახებ ცოდნა [>connaissance du langage<] კუს ნაბიჯით მაინც წასწიეს წინ. იმათგან, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთგზის მოსახსენიებელია, შეიძლებოდა დაგვესახელებინა ისეთი რომანული ენების სპეციალისტები, როგორებიც არიან: გასტონ პარი, პოლ მეიერი, <შუხარდტი>; გერმანისტები – <ერმანი>, პაული; რუსული სკოლიდან, რომლებიც ძირითადად რუსულ და სლავურ ენებზე მუშაობდნენ, – ბოდუინ დე კურტენე და კრიჟევსკი. ბატონებო, პოზიცია, რომლამდეც ჩვენ მივედით და რომელიც, უბრალოდ პოზიციაა, რომელზეც <გამონაკლისის გარეშე> ენების კვლევისათვის ენათმეცნიერების ყველა სფეროა ორიენტირებული, სრულიად ნათელს ხდის, რომ იგი ენის [>langue<] სწავლებასა და ენების [>langues<] სწავლებას შორის [შესაბამისად, განსაზღვრული ენის [>langue<] ან ენათა ოჯახის [>famille de langues<] არავითარ წყალგამყოფს არ ქმნის, მაგრამ ის ფაქტი, რომ მეორე მხრივ ყოველ ენობრივ ერთობად და ქვეერთობად დაყოფა [>division et subdivision de langue<] ახალ ფაქტობრივ მასლას ქმნის, როგორც ნებისმიერი სხვა მომენტი, საინტერესოა, როგორც ენის [>langage<] უნივერსალური ფაქტი. ენევის უნივერსიტეტი თავისი არსებობის პირველი დღიდანვე თავის მოვალეობად ენათმეცნიერებისათვის [>science du langage<] მნიშვნელოვანი ადგილის დათმობას მიიხნედა. და ეს გააკეთა კიდევ, როცა „ლინგვისტიკის კურსი“ [>Cours de Linguistiques<] შექმნა და ზუსტი სახელწოდების მინიჭებით მთელი ის კვლევები მოიცვა, რასაც ადამიანური მეტყველება [>parler human<] გულისხმობს. ალბათ, საჭირო არ არის იმის თქმა, რომ ეს კურსი, რომელიც აგერ უკვე თხუთმეტი წელია შეიქმნა და თავისი მეცნიერული დონით,⁸ გამოცდილებით, რასაც თქვენ ამ ლექციებიდან არ ელოდით, კერძოდ იმას, – <რომ ამ ლექ-

⁷ Cf. CLG/E(I), გვ. 515, N 1.1, Nr. 3281.

⁸ Cf. CLG/E(II), გვ. 4, N 1.1, Nr. 3283.

ციებს თავის პროგრამაში არაფერი ისეთი არ ექნებოდა>, რაც ამა თუ იმ განსაკუთრებულ სფეროს <გამორიცხვას შეძლებდა>, როგორცაა ისეთი სფეროები, რომლებიც რომანული ან სემიტური და ა.შ. ენებით [>langues<] არიან დაკავებული. პირიქით, იგი თავის გარშემო იკრებს ამ განსაკუთრებულ საკვლევ სფერებს და წარმოადგენს კომპეტენტურ და მისაღებ მტკიცებულებებს, რომლებსაც ამჯერად იმისათვის მოვუხმობ, რომ ეს ახალი ლექციების კურსი „Département de l'Instruction Publique“-ს მიერ ინდოევროპული ენების [>langues<] ლინგვისტიკის თანამედროვე, მნიშვნელოვან კათედრასთან სრული შეთანხმებით შეიქმნა.

მსგავს აკადემიურ ცენტრებში, რაც უფრო მეტი სპეციალური ენათმეცნიერული განხრები იქნება, რომლებიც ენების [>langues<] გარკვეული ჯგუფების კვლევით იქნებიან დაკავებული, ურთიერთმხარდაჭერით მით უფრო განმტკიცდებიან, მით უფრო მოგებული დარჩებიან და მით უფრო მეტად შეიცნობენ საგნის ზოგად სახესაც, რომელიც ჩამქრალი და გათიშული სახით გვევლინება იქ, სადაც მოწაფეებისა და მასწავლებლების შეცდომების გამო, ინფორმაციები მოულოდნელად ინტერესსა და სიცოცხლისუნარიანობას კარგავენ. ამიტომ მნიშვნელოვანი იქნება ენათმეცნიერთა მტკიცედ დარწმუნება იმაში, რომ ენათმეცნიერების კათედრის უსაზღვრო წარმატება მთლიანად (<ყოველ შემთხვევაში, ვაღიარებ, რომ ამ> უსაზღვრო <განვითარებაში> შეიძლება ყველას დიდი ხნის მანიძლზე <შემაშფოთებელი> თანმდევი მოვლენები მოუტანოს). თუ <მრავალი ან ერთადერთი ენის> [>langues<] <ენათმეცნიერული> კვლევისას, როგორც <საბოლოო> და უმთავრესი მიზანი, რომელმაც ენის [>langage<] <უნივერსალური> კანონებისა და პროცესების <შედარება და კვლევა> აღიარა, იკითხავდნენ, რა ფარგლებით განისაზღვრება ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ამ კვლევის არეალი, ან ასეთივე შესატყვისი ადგილი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, ეს იქნებოდა <საუკეთესოდ ნაცნობი> საკითხის განახლება, რომელიც თავის დროზე მაქს მიუღწერმა და შლაიჰერმა წამოსწიეს. იყო დრო <თქვენ კარგად მოგესხენებათ, ბატონებო>, როცა ენათმეცნიერები თავად იყვნენ დარწმუნებული, რომ თავიანთი საკვლევით საგანი საბუნებისმეტყველო მეცნიერებას, <თითქმის ფიზიკის მეცნიერებას>, განეკუთვნებოდა. ვფიქრობ, არ ღირს ვარკვიო, <რა აზრი ჰქონდა> ამ დიდ ილუზიას. არც იმაზე ვფიქრობ, რაღაც დავადგინო და ამით დებატები დასრულდეს, დიახ, საბოლოოდ დასრულდეს იმის გამო, რომ უკეთესად ესმით ენის <ფაქტობრივი> ბუნება [>faitr de langage<], რაც <ჩვენთვის ასეთი ახლობელია, მაგრამ სწორედ ამიტომაც უფრო ძნელია მის არსში წვდომა>. გონივრულად შეიქმნა აზრი იმის შესახებ, რომ მეცნიერება ენების [>langage<] შესახებ ისტორიული მეცნიერებაა და სხვა არაფერი, თუ არა ისტორიული.

ამაზე მიუთითებს ენათმეცნიერული კვლევები. იგი ჰუმანიტარული მეცნიერების არეალში უნდა მოიაზრებოდეს [>figurer dans une Faculté de lettres<]. რადგან ისტორიაზე ასეთი წარმოდგენის შესახებ ამ ლექციის სათაურშიც დაბეჭოთებით ესმება ხაზი მოთხოვნას, სადაც სხვა მიმართულებებიც არის წარმოდგენილი, როგორც, მაგალითად, შედარებითი გრამატიკაა, – ვფიქრობ, – აზრის ზოგადი მონახაზის მსგავსი და არასრულფასოვანი კომენტარი უნდა გამოვიდეს, რაკი სიტყვა ისტორია ლინგვისტებთან დაკავშირებითაა ნახმარი. ამ თემაზე თქვენი ყურადღების მიპყრობა წინასწარი შენიშვნის გარეშე მინდოდა, რადგან იგი მოიცავს ყველაფერს: რაც უფრო მეტად უღრმავდები ენას [>langue<], მით უფრო მეტად ხვდები, რომ ფაქტებით დარწმუნებაა საჭირო, რომ ენაში [>langue<] ყველაფერი ისტორიაა. და, მაშასადამე, იგი ისტო-

რიის საგანია და არა აბსტრაქტული <ანალიზი> და რომ იგი კანონებისაგან კი არა, ფაქტებისაგან შედგება და, რომ ყველაფერი, რაც ენაში [>langage<] ორგანულად მოჩანს, სინამდვილეში ნაწილია და ამავე დროს – სრულიად შემთხვევითი.

არსებობს პირველი, ზერელე ხერხი იმისათვის, რომ ლინგვისტიკა ისტორიული მეცნიერების სახით განვიხილოთ. ამ ხერხის მიხედვით, საჭიროა მიხედვით, რომ ამა თუ იმ ხალხს მაშინ იცნობ სრულყოფილად, როცა მისი ენა [>langue<] იცი, ან მასზე რაიმე წარმოდგენა მაინც გაქვს; და რომ ენა [>langue<] მნიშვნელოვანი ნაწილია იმისა, რასაც ერები საკუთარ თავში ატარებენ და ნებისმიერი ეპოქის საზოგადოების დახასიათებაში თავისი წვლილი შეაქვთ. გაღებში კელტური იდიომის არსებობა და რომაელთა ბატონობის ქვეშ თანდათანობითი გაქრობა დიდი ისტორიული ფაქტის ნათელ მაგალითს წარმოადგენს. მაგრამ ეს ისტორიაში ენის შესახებ თვალსაზრისია და არა – ისტორია ენაში [>langue<]. ცხადია, რომ ენა [>langue<] ისტორიკოსებს ათასობით ფაქტის გამო დაინტერესებთ. მე მაინც დავამატებდი, რომ ისტორიკოსები, ალბათ, ყოველთვის არ ინტერესდებიან ენით. საფრანკეთში ძალიან ცოტაა ადამიანი, რომელიც, მაგალითად, თავის თავს კითხავდა, რომელ ენაზე [>langue<] ლაპარაკობდნენ კარლოს დიდის კარზე [>Charlemagne<] – იყო ეს რომაელთა თუ გერმანელების ენა, და თუ გერმანული იყო, ხომ არ იყო ეს გადაშენებული დიალექტი ან ერთი იმ დიალექტთაგანი, რომელიც დღესაც განაგრძობს არსებობას? ისტორიკოსთა შორის ძალიან ცოტა თუა ისეთი, ვინც ამჩნევს, რომ ჰუნების მეთაურთა ისეთი სახელები, როგორცაა, ვოქვათ, ატილა ჰუნური კი არა, გერმანული სახელია, რაც მთელი რიგი საინტერესო საქმის მტკიცებულებად გამოდგება და რომ ეს გერმანული სახელები ნებისმიერი დიალექტიდან კი არ მომდინარეობენ <არც საქსონური და არც სკანდინავიურიდან>, არამედ ეჭვგარეშე გოთური წარმომავლობისაა. მაგრამ ყველა ეს დიდი თუ მცირე ფაქტი, რომლის მეშვეობითაც ენა [>langue<] ხალხის ცხოვრებასთან, მის სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ ყოფასთან კავშირში ხედავს საკუთარ თავს [>se trouve mêlée à<], არ არის, ვიმეორებ, ან მხოლოდ დრო და დრო არის ის, რასაც შეიძლება თავად ენის სიცოცხლე [>la vie de la langue elle-même<] ეწოდოს.

მაგრამ არსებობს სხვა თვალთახედვა, რომლის გამოც ენათმეცნიერება მოითხოვს, რომ მას ისტორიული მეცნიერება ერქვას. კერძოდ, იმდენად, რამდენადაც ენა [>langue<] თავისსავე თავში შეიცავს ისტორიას, რომელიც გამუდმებით მიედინება და ერთიერთმანეთზე მიყოლებული ენობრივი მოვლენებისაგან შედგება, გარეგნულად არანაირი ეფექტი არ ჰქონია და ცნობილი მოქანდაკის საჭრეთლით არც არასდროს ჩაწერილა [>n'ont jamais été inscrits par le célèbre burin de l'histoire<] ისტორიაში ისევე, როგორც თავის მხრივ, საერთოდაც, სრულიად დამოუკიდებელია იმისგან, რაც მის გარეთ თამაშდება. ყოველი ენა [>langue<] <დაახლოებით ისეთ სურათს აჩენს, როგორცაა ეს უზარმაზარი მორენები, ჩვენი მყინვარის ნაპირებზე რომ მოჩანს>; უზარმაზარი გროვა საგნებისა, რომლებიც საუკუნეებს გადმოეცემიან. ამ საგნებს თარიღები გააჩნიათ, თუმცა – განსხვავებული თარიღები და ისევე, როგორც ჩემს მიერ შედარებისათვის ზემოთ მოხმობილი <მყინვარის> თარიღის დადგენა შეიძლება დანალექების მიხედვით, ვოქვათ ასე, რომ გრანიტის ეს ნაჭერი მრავალი მილის სიშორიდან აღმოჩნდა აქ, კერძოდ, მთიანეთის უმაღლესი მწვერვალიდან, როდესაც კვარცის ეს ბლოკი სწორედ მთიანეთის განაპირა მთიდან ჩამოეშვა..., ასევე ენასაც [>langue<] აქვს ისტორია და ეს მისი მარა-

დიული ნიშანია. არის კი <მხოლოდ> ეს ისტორიულობა გადამწყვეტი იმისათვის, რომ ენათმეცნიერება ისტორიულ მეცნიერებას მივაკუთვნოთ? ნამდვილად არა. დედამიწას აქვს ისტორია, რომელსაც გეოლოგები სწავლობენ, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გეოლოგია ისტორიული მეცნიერებაა, სულ მცირე, ვიწრო და ზუსტი აზრით, რასაც ჩვენ ამ მერყეულ ტერმინს ვანიჭებთ. რომელია ის მეორე პირობა, რომელიც ენათმეცნიერებას ისტორიულ მეცნიერებას აკუთვნებს? ეს ის პირობაა, რომ საგანი, რომელიც საისტორიო მასალას ქმნის, <მაგალითად, ხელოვნება, რელიგია, ტანსაცმელი და ა.შ.>,⁹ რაღაც სახით ადამიანური აქტია და ადამიანური ნებითა და ადამიანური კულტურით წარმართება, ხოლო დანარჩენი ისე უნდა იყოს შექმნილი, რომ არა მარტო ინდივიდუმს, არამედ ერთობასაც ეხებოდეს. შეიძლება, რომ ენობრივ-ლინგვისტური ფაქტები ჩვენი ნების აქტის შედეგად ჩაითვალოს? ეს არის საკითხი, რომელსაც ენათმეცნიერება [>langage<] აქტუალურად მიიხსენებს და დადებითად პასუხობს. მაგრამ აქვე უნდა დავძინო, <რომ არსებობს ცნობიერი თუ ქვეცნობიერი ნების ბევრი საფეხური>; ყველა აქტს, რომელთა შედარებაც შეიძლება, ენობრივი თვისება გააჩნია [>l'acte linguistique<] თუ შემიძლია მას თვისება ვუწოდო, სულ მცირე, პრეტენზიას მაინც თუ აცხადებს, რომ, სხვა თუ არაფერი, გააზრებული მაინც იყოს ისე, როგორც ყველა აქტს შორის ყველაზე არაპიროვნული აქტი. არსებობს თანდათანობითი განსხვავება, რომელიც ისე შორს მიდის, რომ დიდხანს ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ეს პროცესი მოკრძალებულ განსხვავებას იძლევა, სინამდვილეში კი იგი თანდათანობით განსხვავებას გვთავაზობს. ახლა ცოტა უფრო ახლოდან დავაკვირდეთ, ბატონებო, რა შინაარსს შეიცავს სიტყვა ისტორია და ენასთან [>langue<] მიმართებით მასთან დაკავშირებული ხედვა. თითქმის პირდაპირ წამოყოფს თავს იმის საჭიროება, რომ ჩვენი წარმოდგენები სიმძიმის ორ ცენტრად გავყოთ. ენა [>langue<] დიფერენცირდება ერთდროულად დროსა და სივრცეში. ენა [>langue<], განხილული დროის ორ სხვადასხვა მონაკვეთში, თავისსავე თავთან არ იქნება იდენტური. ასევე თავისსავე ტერიტორიის მეტნაკლებად დაცილებულ ორ პუნქტში არ იქნება იგი თავისსავე თავთან იდენტური. თუკი საგნებზე ზუსტი ხედვა გინდა რომ შეიქმნა, ორივე მომენტზე ყოველთვის ერთბაშად და ერთმანეთის გვერდით უნდა მოახდინო დაკვირვება. თუმცა, <ცხადია>, იძულებული ვართ, <თეორიულად> ერთმანეთისაგან დავაცილოთ ისინი, რათა მოწესრიგებულად წავიწიოთ წინ.

ამდენად, დღეს მხოლოდ ენის [>langue<] დროში ცვლას შევხებით, თანაც იმასაც ვუშვებ, რომ არანაირად არ მოვიცავ გეოგრაფიული დისტანციის ფაქტორს. ასევე, ჩემთვის შეუძლებელი იქნება, ამ ერთ საათში ერთ მთავარ საკითხზე მეტს შევეხო, რადგან იგი ჩაღრმავებას მოითხოვს. ვგულისხმობ დროში უწყვეტობის პრინციპს. სამშაბათის ღუგუნიანობაზე მოგვიხდება იმ პრინციპზე მსჯელობა, რომელიც მისი საპირისპირო იქნება. კერძოდ, დროში ტრანსფორმაცია. შემდეგ კი ჩვენი დაკვირვების არეში მოვაქცევთ, თუ რისი თქმა შეიძლება სივრცეში უწყვეტობასა და ამასთანავე, მის გვერდის ავლაზე. ამ მოხსენების შემდეგ, უფრო გაგვიადვილებს სწავლებისას ცალკეული ფაქტების სრულიად განსაზღვრულ ნიადაგზე დაფუძნება. უთუოდ დავიწყებთ ბერძნული და ლათინური ენების ფონეტიკის სპეციალური ნაწილის შესწავლით, რომლის დროსაც სიტუაციები განუწყვეტლად გვიკარნახებს ამ ზოგადი პრინციპების გამოყენებას. <მართლაც> პირველი ასპექტი, რომლის მიხედ-

⁹ Cf. CLG/E(II), გვ. 5, N 1.1, Nr. 3283.

დეთაც, თუ საკითხი ენას [>langue<] ეხება, დასაბუთდება, რომ ენას [>langue<] ისტორია გააჩნია, ეს დროში უწყვეტობის ძირითადი ფაქტორი იქნება. ვერ გეტყვით, როგორ არის შესაძლებელი სტატიკურ მდგომარეობაში მისი უწყვეტობის ფაქტების შემწნევა [>fixité<], <რის შესახებაც ახლა ვისაუბრებთ>, მაგრამ ალბათ ღირს, უწყვეტობის ამ <ძირითად, საწყის, ნათელ> პრინციპზე ან გარდუვალ შეუჩერებლობის პრინციპზე ცოტა ხნით შეჩერება, რადგან იგი ადამიანური მეტყველების [>la première loi à la transmission du parler humain<] შემდგომ გადაცემის <პირველი ნიშანი ან პირველი კანონია>, იგი ასევე ყოველთვის შეიძლება ყველა სახის რევოლუციებსა და რყევებსაც მოიცავდეს, <რომლებსაც> შეუძლიათ ენის [>langue<] ასპარეზზე ყველაფერი შეცვალონ. თუ რომელიმე ხალხი სადღაც მიყრუებულ ადგილზე მშვიდობიანად ცხოვრობდა, მიწათმოქმედებას მისდევდა, ან მეომრები თუ მომთაბარენი იყვნენ და მოულოდნელად რელიგია, წარმოდგენები, საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმები ან კულტურა [>civilisation<], სამშობლო, კლიმატური პირობები და თავად ენაც [>langue<] შეიცვალეს, მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება მათგან სხვა ხალხის ჩამოყალიბება და ეს სხვები გააგრძელებენ ცხოვრებას. ენის უწყვეტი გზა არსად და არასდროს იცნობს ისტორიულ წყვეტას. შეიძლება ლოგიკურად და a priori გავიგოთ, რომ ასეთი რამ არასდროს არსად არ შეიძლება მოხდეს. დავაკვირდეთ რომელიმე მოცემული ენის მდგომარეობას [>état de langue<]. ვთქვათ, ისეთისას, როგორც მე-19 საუკუნის ფრანგულია, ხოლო გარდასულ ენათაგან – ავეუსტუსის დროის ლათინურის მდგომარეობას. პირველ რიგში, თვალში გვეცემა დროის დიდი მონაკვეთი, რომელიც მათ შორის არსებობს და უფრო მეტიც, თვალში გვხვდება <ვჩქარობ, დავამატო> განსხვავებული დასახელებები, რომლის თაობაზეც შეთანხმებულები არიან, რომ იმ ლათინურს ფრანგული უწოდონ. ამის შემდეგ დიდი სიამოვნებით წარმოვიდგენთ, რომ არსებული ორი საგანი, რომელთაგანაც მეორემ პირველის მემკვიდრეობა მიიღო. მაშასადამე, მემკვიდრეობითობა რომ არსებობს, უჭკველია, მაგრამ ის, რომ ორი საგანი არსებობს <ამ მეცნიერებაში>, არის <ტყუილი, რადიკალურად> ტყუილი და <საშინელი ტყუილი ყველა იმ თვალსაზრისის გამო, რომელიც ამას მოჰყვება>. საკმარისია, მცირე ხნით მაინც დაფიქრდეთ ამაზე, <რადგან> ეს მარტივი დაკვირვება ყველა ასპექტს მოიცავს, კერძოდ: ყოველი ინდივიდი მეორე დღეს იგივე <იდიომს> იყენებს, რომლითაც წინა დღეს ლაპარაკობდა, <ეს პროცესი სულ ერთნაირად მიმდინარეობს>. შესაბამისად, არ ყოფილა არც ერთი მომდევნო დღე, როცა ეს გარდასული ლათინური ენა [>langue<] შექდებდა ადღგომას და ასევე არასოდეს დადგება ის დღე, როცა შესაძლებელი იქნება ფრანგული ენის [>langue<] დაბადების დღის აღნიშვნა. არასოდეს მოხდება, რომ ფრანგმა ხალხმა გაიღვიძოს და bonjour ფრანგულად თქვას იმის შემდეგ, თუ წინა საღამოს, დაძინებისას serō აქვს ნათქვამი. არ არსებობს საგანი, რომლის სრულად შედარება შეიძლებოდეს ენასთან [>langue<], იგი მეტად რთული რამ არის. სწორედ ეს არის ის, რაც გვიმტკიცებს, რომ ყოველ შედარებას და ყოველ სურათს, რასაც ჩვენ ჩვეულებრივ ვახდენთ ხოლმე, იქეთ მივყავართ, რომ რაღაც წარმოდგენა შევიქმნათ, რომელიც რაიმე აზრით მაინც მცდარია. არსებობს შემთხვევები, რომლებიც რაიმე ცვლილების უკან არიან ჩასაფრებული და რომლებიც ყველაზე მეტად შემორჩნენ []. – <ძალიან მიხარია>, რომ აგერ უკვე ოცი წელია, მთელ ფილოლოგიურ მოძრაობას უძღვება ჩვენი დროის რომანული ენის პირველი

სპეციალისტი და მასწავლებელი [>maître<] გასტონ პარისი. მან შემთხვევით არ მიაქცია ყურადღება <ულმოხელი> ომით გამოწვეული ყველაზე უფრო გავრცელებული და, როგორც ჩანს, უწყინარი ორი ცვლილების გარკვევას: ფრანგული ლათინური წარმომავლობისაა, ან <რომელიმე სიტყვა, მაგალითად, > chanter მოდის ლათინური cantare-დან. ფრანგული ლათინურიდან კი არ მომდინარეობს, არამედ იგი ლათინურია. ლათინური, რომელიც გარკვეულ დროსა და გარკვეულ გეოგრაფიულ საზღვრებში იხმარება. Chanter ლათინური cantare-დან კი არ მოდის, არამედ იგი არის ლათინური cantare. ასევე ნამდვილად შეიძლება იმის თქმა, რომ ფრანგული ენა, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, მომდინარეობს მონტესკიეს ან კორნელის, მონტენის ან „როლანდზე სიმღერისაგან“. <ეს არის []>, მაგრამ <რაკი> ყველა ამბობს, რომ ფრანგული მონტესკიეს ან „როლანდზე სიმღერიდან“ მოდის, არანაირი საფუძველი არ არსებობს, <შესაბამისად> არ ითქვას, რომ ეს ავეუსტუსის ლათინურია ან პლატონის ლათინური და – <როგორც ამბობენ> – პრეისტორიული ლათინურია, რომელსაც წინ ლათინურის სახის ლაპარაკი უსწრებდა.

სხვა ცვლილება,¹⁰ რომელსაც გასტონ პარისთან ერთად მოვაგვარებთ, არის ფრანგულის, როგორც ლათინურის დობილი-ენის [>langue fille<] და ლათინურის, როგორც რომანულის დედა-ენის [>langue mère<] საკითხი. არ არსებობს არც დობილი-ენა და არც დედა-ენა. ასეთი რამ არსად და არც არასოდეს ყოფილა. დედამიწის ყველა რეგიონი არის ენის გარკვეული მდგომარეობა, [>état de langue<], რომელიც თანდათანობით იცვლის ფორმას, კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე, საუკუნიდან საუკუნემდე, რასაც ჩვენ ახლავთ თვალსაჩინოდ წარმოვადგენთ, მაგრამ არასოდეს მომხდარა ენის დაბადება <ან წინამავალი იდიომისაგან> <ახალი> იდიომის შექმნა. ეს ყველაფერი სცილდება ჩვენს ხედვებს ისევე, როგორც ყველაფერს, რისი წარმოდგენაც კი შეგვიძლია მანამ, სანამ არსებობს პირობები, რომლის ფარგლებშიც ყოველი ჩვენგანი თავის დედა-ენაზე [>langue materielle<] ლაპარაკობს.

რის თქმა შეიძლება იმასთან დაკავშირებით, რაც ჩვენც უკვე გადავწყვიტეთ საკითხი ენების [>langues<] დაბადებისა და კვდომის შესახებ და, რაც ასე დიდ როლს ასრულებს იმაში, რასაც მათ შესახებ ამბობენ?

დავიწყეთ კვდომით.

ენა [>langue<] ბუნებრივად ან ბუნებრივი სიკვდილით ვერ მოკვდება. იგი შეიძლება მხოლოდ <ძალადობრივი სიკვდილით> მოკვდეს. ერთადერთი საშუალებაა, რომელიც მას გააქრობს, არის მისი ძალით შევიწროება; ანუ იმ მიზეზით, რომელიც ენის ფაქტორისათვის [>faits du langue<] სრულიად გარეგნულია. მაგალითად, იმ ხალხის სრული გაქრობით, რომელიც ამ ენაზე ლაპარაკობს და რაც უკვე დაემართა წითელკანიანთა იდიომს ჩრდილო ამერიკაში, ან კიდევ იმ მიზეზით, როცა ახალი იდიომი ძლიერი რასის მიერ იძულების წესით ინერგება. ამას კი სჭირდება არა მარტო პოლიტიკური ბატონობა, არამედ კულტურული უპირატესობის ქონაც. <ხშირად დამწერლობის [>langue écrite<] ქონა გვევლინება საჭირო უპირატესობად, რასაც სკოლების, ეკლესიის, სახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით ამკვიდრებენ, შედეგად კი საზოგადოებრივი და პიროვნული ცხოვრების თანამდევნი მოვლენები მოჰყვება>. ეს ის შემთხვევაა, რომელიც ისტორიულად არაერთხელ განმეორებულა. გავისხენოთ გალიაში გაღური ენის შემთხვევა, როცა იგი ლათინურმა შეცვა-

¹⁰ Cf. CLG/E(II), გვ. 6, N 1.1, Nr. 3283.

ლა; ჰაიტის შავკანიანების ამბავი, სადაც უკვე ფრანგულად ლაპარაკობენ; ეგვიპტელი ფელაქებისა, რომლებიც უკვე არაბულად ლაპარაკობენ და უნეველთა ამბავიც, რომლებიც ამჟამად Ile de France-ის დიალექტზე ლაპარაკობენ და არა თავიანთი ავტოქტონურ ენაზე [*>langue<*], რომელზეც საუკუნეების წინათ ლაპარაკობდნენ. მაგრამ ყველა ეს შემთხვევა არ ატარებს ენობრივ-ლინგვისტური მიზეზის ხასიათს. არასოდეს მომხდარა, რომ ენა შინაგანი დაუძღურების მიზეზით მომკვდარიყო მას შემდეგ, რაც ვითომ თავისი არსებობის მანძილი უკან მოიტოვა და არსებობაზე უარი განაცხადა. ენა თავის თავში მარადიულია, რაც იმას ნიშნავს, რომ არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ მისი შემდგომი არსებობა შეჩერდეს იმ მიზეზით [*>cause<*], რომელიც ამ ენის შინაგან ორგანიზაციას ეხება.

აქვე შეიძლება წავიკითხოთ ენაცემეცნიერების¹¹ შესახებ ჰოველასკეს შრომის <პირველი გვერდი>: „ენა [*>langue<*] ქვეყნიერებას ევლინება, ვითარდება, დაღმა ეშვება და კვდება, როგორც ყველა ორგანიზებული არსება“. <ეს წინადადება, <თავად ლინგვისტთა შორის ასე გავრცელებული თვალთახედვისა>, სრულიად ტიპური> მაგალითია, რომლის დაძლევაც სულაც არ არის ძნელი და რომელიც იმისათვის არის გამოთქმული, რომ <ლინგვისტიკისაგან> საბუნებისმეტყველო მეცნიერება შექმნან. არა, ენა [*>langue<*] არ არის ორგანიზმი, მას არ ახასიათებს ვეგეტაცია, რომელიც ადამიანებისაგან დამოუკიდებლად იარსებებდა, მას არა აქვს თავისთავადი არსებობის უნარი, რომელიც თავის თავში ატარებს დაბადებისა და სიკვდილის უნარს. წინადადებაში, რომელიც ახლა წავიკითხე, ყველაფერი მცდარია: ენა [*>langue<*] არ არის ორგანიზებული ცოცხალი არსება. იგი თავისთავად არ კვდება, ის არ კვდება, ის არ იზრდება იმ გაგებით, რომ მას <ბავშვის>, სიმწიფის ან მოხუცებულობის უამი გააჩნდეს და ბოლოს, იგი სულაც არ მოდის ამქვეყნად ისე, როგორც ამას ახლა დავინახავთ.

მართლაც, დედამიწაზე არავის აღმოუჩენია ახალი ენის [*>langue<*] დაბადება. ის კი უნახავთ, როგორ უეცრად ჩნდებიან ზეცის ცნობილ კონსტელაციათა შორის ახალი ვარსკვლავები. იმასაც ნახავენ, ზღვის ზედაპირზე როგორ წამოტივტივდებიან ახალი მიწები, მაგრამ არ არსებობს არანაირი ცნობა ახალი ენის [*>langue<*] შესახებ, რომელზეც წინა დღეს იგივე ფორმით არ ემეტყველათ. ვოლაპუკის შემოღება სურთ. სწორედ ამაზე მინდოდა საუბარი, რადგან სწორედ ვოლაპუკი <და სხვა ხელოვნური ენები [*>langues artificielles<*] არიან> იმის მაგალითები, რათა გაიგო, თუ რა უშლის ხელს ენის [*>langue<*] დაბადებას, <ან რა გარანტიას აძლევთ მათ არსებობას ტრანსმისია>: არსებობს ორი ფაქტორი: პირველი – არანაირი ინიციატივის არსებობა, რადგან ყველა ხალხი ძალიანაც კმაყოფილია თავისი მშობლიური ენით [*>idiome materiel<*]; მეორე კი ის არის, რომ ინიციატივაც რომ არსებობდეს, რაც მთელ რიგ სრულიად განსაკუთრებულ გარემოებებსა და განსაკუთრებული შრიფტის ხმარებას გულისხმობს, ეს ინიციატივა წააწყდება ხალხის დაუძღველ წინააღმდეგობას, რადგან <იგი თავისთვის ჩვეულ იდიომზე უარს არ იტყვის>. ვოლაპუკმა, რომელიც არცერთი არსებული ენისათვის [*>langue<*] გვირგვინის წართმევას არ აპირებდა და თანაც, მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა, რომელიც მის შემოტანას შეუქმნეს, ამქვეყნად წარმატებას მაინც ვერ მიაღწია.

¹¹ ა. ოველაკი: *La linguistique*, მეოთხე გამოცემა, პარიზი, 1888.

როცა <იმ აზრს> უარყოფ, რომ რომელიმე ენა [>langue<] დაიბადა, პასუხობენ, ეს უბრალოდ სიტყვით თამაშია, <ეს კი იმის დეფინიციისათვის იკმარებდა, თუ რა> უნდა ვიგულისხმოდ დაბადებაში, <დაბადება თუ> ენის [>langue<] პროგრესული განვითარება, როგორც, ვთქვათ, გერმანულის ან ფრანგულის, რომლის <უარყოფა აღარ შეიძლება>. ამაზე ასე ვპასუხობ, რომ ამ შემთხვევაში თამაშს იწყებენ სხვა სიტყვით, კერძოდ, სიტყვა „ენით“ [>langue<]; სინამდვილეში ენა [>langue<] არ არის დროით განსაზღვრული და შემოფარგლული რამ; განასხვავებენ ფრანგულ და ლათინურ ენებს [>langues<], თანამედროვე გერმანულსა და არმინიუსის გერმანულს, როგორც [] განასხვავებენ, <შემდეგ კი მიაწერენ, რომ ერთი სადღაც იწყება, მეორე სადღაც წყდება, რაც თვითნებური ქმედებაა>. – ამ საკითხის ერთი ასპექტი ენების [>langues<] გეოგრაფიულ დიფერენცირებას ეხება, რასაც ამ შემთხვევაში განვიხილავ.

რაკი ენის [>langue<] ქვეყნად მოსვლის ამბავი დაუშვებელია, იკითხავენ: კაცმა რომ თქვას, რომელია უფრო ძველი, რომელსაც ყველა ენას მიაწერენ. აქაც ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ, თუ რა იგულისხმება ამაში. როცა ენის [>langue<] შესახებ მსჯელობენ, ჩნდება თავისებური გაუგებრობა სიტყვა alt-თან (ძველსაც ნიშნავს და ასაკსაც, ვ.კ.) [>vieux<] დაკავშირებით. ადამიანთან მიმართებით სიტყვა „alt“ სამი სახით გამოიყენება. პირველი, რომელიც ყოველთვის არ არის სასიამოვნო, შეეხება მის წინ დაბადებულს; მეორე, რომელიც ნაკლებ სასიამოვნოა, არის ის, რომელიც მის წინ გარდაიცვალა: საუბარი შეეხება ძველ ამხანაგებს, რომლებიც ამქვეყნად აღარ არიან; მესამე, რომელიც ყველაზე უფრო ცუდ გრძნობას იწვევს, არის, როცა იტყვიან, ნაკლებად კარგად არის შენახული (ნაკლებად კარგად გამოიყურება), ვიდრე სხვები. ამ სამი სახეობიდან პირველი ენების [>langues<] მიმართ არ გამოიყენება. ყველა ენა [>langue<], რომლითაც ერთი და იგივე ეპოქაში ლაპარაკობენ, ერთნაირად ძველია (alt). იმ აზრით, რომ შედარებისათვის მათ წარსულში აბრუნებენ, არ არის აუცილებლად ამ წარსულის ხანგრძლივობის განსაზღვრა. რაც უნდა მოიძორონ მისი გაწელვა თაურ ენამდე [>langue<], მაინც მიუწვდომელ პერიოდამდე ვერ მიაღწევენ. ხოლო თუ მისაწვდომ პერიოდს არ სცილდებიან, ნათელია, რომ ყოველ ინდოევროპულ ენას [>langue<], რომლითაც თანამედროვენი მეტყველებენ, დროსთან მიმართებით ზუსტად იგივე ასაკი აქვთ, რომელიც მაშინ ჰქონდათ, უძველესი ინდოევროპელები რომ ლაპარაკობდნენ.

არ შეეჩერდები მეორე მნიშვნელობაზე, რომლის მიხედვითაც, ერთი ენა [>langue<] თითქოს უფრო ძველია, ვიდრე მეორე. ეს ნაკლებ მნიშვნელოვანია. არსებობს მკვდარი ენები, რომლებსაც, შესაბამისად, შეიძლება, უფრო ძველი ენები [>langues<] ეწოდოს, მაგალითდ, გალური, ფინიკიური და სხვა, რომლებიც განადგურდნენ.

დაბოლოს, აღსანიშნავია¹² ის, რაც მესამე მნიშვნელობასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას. კერძოდ, ის მოსაზრება, რომ ერთი ენა [>langue<] უფრო ძველია, ვიდრე მეორე. მაგრამ საკმაოდ უცნაურია ის, რომ ენებთან [>langues<] დაკავშირებით საპირისპირო რამ ხდება. <მართლაც>, ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობენ კარგად შენახული ენები [>langue<], რომლებსაც ძველს (alt) უწოდებენ. ამ აზრით, თუ ერთი და იგივე პერიოდის მიხედვით განვიხილავთ,

¹² Cf. CLG/E(II), გვ. 7, N 1.1, Nr. 3283.

ბერძნული უფრო ძველია, ვიდრე ლათინური. იგი უფრო ნაკლებად დაცილვებულია ინდოევროპული ენების თაურტიკს. სანსკრიტი უფრო ძველია, უკეთესად შენახული, ვიდრე რომელიმე სხვა ენა. როდესაც მომდევნო ლექციაზე მოძრაობის პრინციპს დაუპირისპირებთ ინერციისას, რომელიც [], დავიწყებთ [].¹³

№ 12 „მეორე ლექცია“

როცა აღვნიშნეთ, რომ არავითარი წყვეტა, არავითარი გათიშვა, არავითარი ჰიატუსი არ არის მოსალოდნელი ენების [>langues<] სხვადასხვა პერიოდებისათვის და თუ მართალია, რომ ენა [>langue<] მეორე დღეს იგივე ფორმით ისევე კარგად გრძნობს თავს, როგორც წინა დღეს, მაშინ ბუნებრივად გიხნდება კითხვა, მაშ როგორ ხდება, რომ დღეს იულიუს კეისრისდროინდელი ერთი აღარ ვლავარაკობთ, ან რატომ ხდება, რომ იულიუს კეისარი ინდოევროპელი წინაპრების ენაზე არ ლავარაკობდა. ღმერთო ჩემო, ეს ხომ ისტორიაა, რაც ჩვენს ირგვლივ და ჩვენში ჩვენს თვალწინ ხდება. ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის ერთ ქალაქში იტყობინებოდნენ, რომ ბოგუსლავსკის ორიგინალების ახალი არაჩვეულებრივი გამოფენა იხსნებაო. ეს იყო, უბრალოდ, 840 ფოტოგრაფიული პორტრეტი, რომელზეც ერთი და იგივე პიროვნება, თვითონ ბოგუსლავსკი ერთსა და იმავე პოზაში იყო გადაღებული. ეს კაცი ოცი წლის მანძილზე რეგულარულად იღებდა საკუთარი თავის ფოტოს ყოველი თვის პირველ და თხუთმეტ რიცხვებში. ამით საზოგადოების წინაშე იმ აზრით წარდგა, რომ ამ გაწეულ შრომაში რაღაც სასარგებლო დაინახა. ალბათ არ დამჭირდება იმის თქმა, რომ თუ <კედელზე> გამოფენილი ამ ფოტოების <მასაში> ორ სურათს აიღებდი, რომლებიც ერთმანეთთან უშუალოდ სიახლოვეს იყო გამოფენილი, ერთნაირი ბოგუსლავსკი გამოიყურებოდა, მაგრამ, თუ 480-ე და პირველ ფოტოს შეადარებდი, უკვე ორი სხვადასხვა ბოგუსლავსკი შეგრჩებოდა ხელთ. თუ ამ გამოფენის მსგავსად, ყველაფერი, რაც კი დედამიწაზე ან მის გარკვეულ ნაწილზე სიტყვებით გამოიხატებოდა და არა <ფოტოებით> და <დღეების მიყოლებით> მოხდებოდა მათი ფონოგრაფირება, ერთი დღიდან მეორემდე, ყოველთვის მსგავს ენობრივ სურათს [>images langue<] მივიღებდით, მაგრამ საკმაოდ და <ზოგჯერ უამრავ> განსხვავებას – 500 წლის ან თავად ათასი წლის შუალედში.

უკვე მივაღწიეთ მეორე პრინციპს, რომელიც ერთი ისეთივე უნივერსალური ძალის მქონეთაგანია, როგორც პირველი, რომელიც საშუალებას იძლევა, გავიგოთ, თუ რას წარმოადგენს ენების [>langues<] ისტორია: ეს არის <ენის [>langue<]> დროში მოძრაობის <თვალსაზრისი>, მაგრამ მოძრაობისა, რომელიც არასოდეს არ შედის ენის ერთობასთან კონფლიქტში და სწორედ ეს განსაზღვრავს ყველაფერს. არსებობს ტრანსფორმაცია და მუდმივი ტრანსფორმაცია, მაგრამ არსად არ გვაქვს <ენობრივ-ლინგვისტური> არსებობის კვლავწარმოება ან წარმოება, რომელსაც იმისაგან <განსხვავებული> არსებობა ექნება, რაც მას წინ უსწრებდა და რაც მას შემდეგ მოჰყვება. არავითარი დედა-ენები [>langues mères<], არავითარი დობილი-ენები [>langues filles<], არამედ ერთხელ მოცემული ენა [>langue<], რომელიც <დროში შეუზღუდავად> მიედინება მისი არსებობის ყოველგვარი წინასწარი განსაზღვრის გარეშე.

¹³ Cf. CLG/E(II), გვ. 8, N 1.1, Nr. 3283.

დიახ, ისე, რომ იგი არანაირ შინაგან შესაძლებლობას არ იძლევა, რომლითაც რაიმე კატასტროფისა და ძალადობის გარეშე შესაძლებელი იქნებოდა მისი არსებობის შეწყვეტის დაშვება, თუ ძალიან ძლიერი და გარეშე ძალები არ ამოქმედდებოდა და არ გაანადგურებდა მას. ენის [>langue<] უწყვეტობისა და ცვალებადობის ეს ორივე პრინციპი <დაპირისპირებულობისაგან ძალიან შორს დგას> ისეთ მჭიდრო და აშკარა ურთიერთობაშია ერთმანეთთან, რომ, როგორც კი შევეცდებით ერთის არცნობას, იმავე გზით და აუცილებლად ისე, რომ ამაზე არც ვფიქრობთ, მეორის მიმართ ჩავიდინთ უკანონობას. ვინც გამუდმებით <პირველ ილუზიას ეძლევა და> ფრანგულს< თანამედროვე ან დროის რომელიმე მონაკვეთისათვის> უმოძრაო რამედ წარმოიდგენს, იძულებით იქამდე მივა, რომ ვედარაფერს გაუგებს იმას, რაც 500 და 900 <წლების მონაკვეთებში> გათამაშდა. ასეთ შემთხვევაში ის ხედავს ნახტომს [>saut<]. ნახტომს დროის ერთი მონაკვეთიდან მეორეში, ერთი დარტყმით, ჯადოსნური ჯოხის მსგავსად, ან <გაუგონარი> შექმნა-დაბადებით [>enfantement inoui<] ერთი იდიომი მეორეს დარტყმის სახით ჩუქნის სიცოცხლეს. ასევეა, როცა საუბარს იმით იწყებენ, რომ უწყვეტობის პრინციპი დაპირდაპირად წარმოიდგენენ, რომ ფრანგული, – როგორც მინერვა იუპიტერის თავიდან – ყველა ნაწილით დაზღვეული, ლათინური ენის [>langue<] ფერდებიდან იშვა, კანონზომიერად აცლის ძალას უძრავობის საკითხისადმი სოფისტურ მიდგომას და ბუნებრივად თანხმდება, რომ ამ ორ მოხვედრით ნახტომს შორის ენა [>langue<] წონასწორობისა და სიმშვიდის მდგომარეობაში ხდება ან, სულ მცირე, ისეთი წონასწორობის მდგომარეობაში, რომელიც შეიძლება ნახტომების საპირისპიროდ იქცეს, რადგან, სინამდვილეში, არცერთ ენაში [>langue, sic<] <მუდმივი>, სტაბილური წონასწორობა არასდროს არსებულა. ჩვენ ვაყენებთ ენის [>langue<] განუწყვეტელი ცვალებადობის პრინციპს, როგორც უპირობოს. არ არსებობს შემთხვევა, რომელშიც იდიომი უმოძრაო და მშვიდ მდგომარეობაში იქნებოდა. იმაუფლები, რომლებიც ამ მდგომარეობას ქმნიან, ისე ძალდაუტანებლად და შეუზღუდავად ჩნდებიან, რომ ისეთი ენები [>langues<], როგორიც ჩვენია და, რომელთა სიცოცხლე უკვე ლამის მთლიანად ხელოვნურად იქცა, იძულებული არიან, ამ იმაუფლებს დამორჩილდნენ. დამწერლობის მქონე ენის [>langue écrite<] ტირანიას, <დამამშვიდებელი პერანგის ამ სახეობას, როგორც ოფიციალური ფრანგულია>, რა თქმა უნდა, სურს, რომ მისი სვლა შეაჩეროს, მაგრამ მის სრულიად შესაჩერებლად ძალა არ ჰყოფნის, ჩვენ კი ხშირად ვერ ვხვდებით თუ რა დისტანციას მიაღწია იდუმალი მუშაობით ნამდვილმა ენამ [>langue vraie<], (თავად კულტივირებული საუბრების, ~~საღიგობისა და აკადემიების~~ ენამ [>langue<],) რომელიც <ცოცხალ ენებში> [>langue vivante<] არ წყვეტს ქმნადობას კლასიკური ფრანგულის <ასე ვთქვათ> გაყინული ზედაპირის მიღმა.

ისე გამოდის, რომ, მაგალითად, <თითქმის აზრზე ვერ მოვივართ>, quatre, lettre, chambre, <double, table> და ყველა სიტყვა, რომლის ფუძე თანხმობაზე მთავრდება და ფუძეს + re და le ემატება, მალე გაქრება; <მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებშია იხმარება ოთხის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი katre ან katr: უკვე თითქმის ყველგან წარმოითქმის, როგორც kat – k+a+t. ასევე ხდება let, chamb>–თან მიმართებით. დღეს ლინგვისტი საფრანგეთში იმ მიზნით რომ ჩამოსულიყო, <რეალური და აუთენტური ფრანგული ისეთი მეთოდოლოგიით> ჩაეწერა, როგორი მეთოდოლოგიის გამოყენებითაც რომელიმე მაღაზიიელი ან აფრიკელი ხალხის ენის [>langue<] ცალკეულ გამოთქმებს შე-

ადგენდა, ან თუნდაც ისე, ფრანგულ პატუაზე რომ ადგენენ ცხრილებს, – ეს ჩამოსული ლინგვისტი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დაწერდა, რომ 1891 წელს k-a-t, kat <მეოთხე¹⁴ რიცხვითი სახელის ზუსტ ან უმთავრეს ფორმას>, l-e-t, let კი სიტყვას, რომელიც „აზრის გრაფიკულ გამოხატულებას“ ან „ანბანის ნიშანს“ გამოხატავს. ეს იმიტომ, რომ ქენევაში ისევე, როგორც <ბორდოში ან პარიზში> ლიდში, ქუჩაში თუ სალონში სხვაგვარად არავინ იტყვის, თუ არა kat places, kat jours, ან la let que j'ai reçue და ა.შ. (გარკვეული პირობებისათვის არსებობს მეორე ფორმა – letr. კერძოდ, ხმოვნების წინ: letr ouverte. მაგრამ თვით ხმოვნების წინაც ხშირად იყენებენ – let ouverte-ს, <mettre cette let à la poste> და მეტად სათუთა, რომ letr უცნობი ფორმა ყოფილიყო ორმოცდაათიან-სამოციან წლებში). ისე, რომ ეს არის ერთი მაგალითი ~~მრავალთაგან, რაც სალაპარაკო ენის [>forme de langue<] მხარეი გარკვეულების საპირისპიროდ ხდება.~~ ეს იმას ადასტურებს, რომ ტრანსფორმაციის ფენომენებს, რომლებიც საკუთარ თავს მინდობილ იდიომება მოგვაგონებს და ენაში [>langue<], სადაც ყველა პირობა, შრიფტის მოჩვენებითი ყოველისშემძლეობის გამო, ნორმიდან გამოსულია, სინამდვილეში თავისი ჩამოყალიბება არ შეუწყვეტია. მაგრამ დადგა დრო, ჩვენს თავს იზოლირებული მაგალითებით კი არ ვუმტკიცოთ, არამედ სხვაგვარად ვკითხოთ, თუ რაში გამოიხატება ეს ცვლილებები, რომლებიც ყველა ენაში [>langue<] მუდამ საჭიროა; რა სახის მოდიფიცირებას, გამუდმებულ <გარდაქმნებს> განიცდიან, რა მიზეზებზე არიან დამოკიდებული და ერთი და იგივე ხასიათი თუ აქვთ ყველა ენაში [>langue<]?

ენათმეცნიერება [>étude de langue<] იმედოვნებს, რომ დღეს უკვე შეიძლება იმის დადგენა, რომ ამ ფენომენის <1> არსი ყველგან ერთი და იგივეა და, რომ 2. ყოველთვის იგივეობრივი იყო იმგვარად, რომ მცდარი იქნება იმაზე ფიქრი, ენის [>langue<] წარმომავლობის პრობლემა სხვა რამ იყოს, გარდა მისი ტრანსფორმაციისა. სხვა საქმე იქნებოდა, თუ დაუშვებდით, რომ ადრე სხვა ძალები მოქმედებდნენ, რომლის შესახებაც, იმ პირობების შესაბამისად, რომელშიც ჩვენ გვიხდება ცხოვრება, არანაირი წარმოდგენის შექმნა არ შეგვიძლია. თუმცა, ეს ვარაუდიც ისეთივე თვითნებურია, როგორადაც წარმოდგენელი. იგი <იქამდეც მივიდა>, რომ პრიმიტიულ კაცობრიობას ნიჭიერება და გონიერება მივაწეროთ, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან იმისაგან, რასაც დღეს ჩვენ წარმოვადგენთ. 3. რომ ეს ფენომენები ყველგან ორი განსხვავებული სახით არსებობენ, ორი ბუნებრივად სხვადასხვა მიზეზით ან მიზეზთა ჯგუფით უკან დახვევის გზით და []. ერთი მხრივ, არსებობს ბგერითი ცვლილება [>changement phonétique<] და მეორე მხრივ, სხვადასხვაგვარად სახელდებული ცვლილება, <რომელთაგანაც არც ერთი არ არის გამორჩეული>, მაგრამ, რომელთაგანაც ანალოგიური ცვლილება ყველაზე უფრო ჩვეულებრივი ამბავია. უშუალოდ ვნახოთ, თუ რატომ შეიძლება ენობრივი განახლების ამ ორი დიდი ფაქტორის ერთმანეთთან სხვადასხვა თვალსაზრისით დაპირისპირება, რომლის დროსაც მაგალითისათვის იტყვიან, რომ პირველი წარმოდგენს მეტყველების ფიზიოლოგიურ და ფიზიკურ მხარეს, მაშინ, როდესაც მეორე იგივე აქტის ფსიქოლოგიურ და მენტალურ მხარეს <შესატყვისება>, და, რომ პირველი არაცნობიერია, მაშინ, როდესაც მეორე – ცნობიერი. თანაც ყოველთვის გახსოვს, რომ შეგნებითობის ცნება გარეგნულად იმგვარად რელატიურია, რომ საქმე მხოლოდ შემეცნების ორ

¹⁴ Cf. CLG/E(II), გვ. 8, N 1.2, Nr. 3284.

ხარისხს ეხება, რომელთაგანაც უფრო მაღალი ხარისხი კვლავაც <სრულიად> გაუცნობიერებელია მოსაზრებულობის ხარისხთან შედარებით, რომელიც ჩვენს მიერ განხორციელებული აქტების უმრავლესობას თან სდევს. ხშირად ამ ორივე ფაქტორის წყობას ერთმანეთს უპირისპირებენ, რომლის დროსაც ამბობენ, რომ ერთი ბგერებს ეხება, მეორე კი <გრამატიკულ ფორმებს>, რაც ნათელ წარმოდგენას ვერ იძლევა, რადგან ენის [>langue<] ფორმები სხვა არაფერია, თუ არა ბგერები, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ერთი ბგერების ფორმას ეხება, მეორე კი – წარმოდგენას. ამასთან შეიძლება დამატებით დავძინოთ, რომ პირველი წმინდად მექანიკური ოპერაციაა, რომლის დროსაც <არც> მიზნის და <არც> ინტენციის აღმოჩენა არ არის შესაძლებელი, ხოლო მეორე – გონივრული ოპერაციაა, რომლის დროსაც შესაძლებელია მიზნისა და აზრის აღმოჩენა.

ფენომენების ამ ორ წესზე დაკვირვება და ანალიზი შეადგენს ლინგვისტიკის ლამის ერთადერთ საქმიანობას. კერძოდ, რომელი ენა [>langue<] რით იქცევის მის ყურადღებას და ეს ამოცანა დაუსრულებელია მაშინაც კი, როცა იგი დროის გარკვეული მონაკვეთით არ არის შეზღუდული. ამიტომაც არ შემიძლია იმაზე ფიქრი, ყველაფერი იმის აღწერა <ან კლასიფიკაციის> მოხდენა, როგორი ზოგადი და მიახლოებითიც არ უნდა იყოს იგი, რასაც ფონეტიკური და მისი ანალოგიური ცვლილება გულისხმობს.

წარმოვადგენ ზოგიერთ მაგალითს, რომლის დროსაც პირველ რიგში ანალოგიის ფენომენს ვიღებთ, <გონივრული ტრანსფორმაციის ფენომენს>. იმის გასაგებად, თუ <რა არის იგი>, ყველაზე კარგი საშუალებაა რამდენიმე წუთით სამი ან ოთხი წლის ბავშვს მოუსმინო. მისი ენა [>langage<] ანალოგიათა წარმონაქმნების ნამდვილი ქსელია, რომელიც ღიმილს გვგვრის, მაგრამ პრინციპი, რომელიც ენების [>langues<] ისტორიაში არ წყდება, თავისი სრული სიწმინდითა და <გულუბრყვილობით> წარმოდგება. venirai. <როგორ> ეს venirai? ამისათვის საჭიროა: 1. ის, რომ ბავშვმა იცის, რა არის venir და, რომ იგი თავის გონებაში წარმოადგენს იდეას, რომელსაც venir შეიცავს და აკავშირებს ისეთებთან, რომლებსაც ამის გამოხატვა <სურთ>. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. აუცილებელია: 2. მოსმენილი გქონდეთ punir და ის punirai ან choisir და ის choisirai. მაშინ გახდება ფენომენი punir: punirai = venir: venirai. არაფერია უფრო თანმიმდევრული, უფრო ლოგიკური და უფრო სწორი, ვიდრე საზრიანობა, რომელიც venir-ამდე მიგიყვანს. ახლა უფრო ღრმად დავაკვირდეთ ამ ფენომენის ნიშან-თვისებას. ერთი მხრივ ვფიქრობთ, რომ იგი ტრანსფორმაცია კი არ არის, არამედ ქმნილება, მაგრამ საბოლოო ანგარიშით, იგი მხოლოდ ტრანსფორმაციაა, თანაც venirai-ს ყველა ელემენტი არსებული და მესხიერებაში გადასროლილი ფორმითაა შემონახული და მოცემული. punirai, punir, ან, თუ გნებავთ, სუფიქსი ir და irai-სა და მათი მნიშვნელობის ურთიერთკავშირი. <ამ ელემენტების არსებობის გარეშე venirai-ს მიღება უბრალოდ შეუძლებელია>. მაშასადამე, არასოდეს არ მოგვეცემა ქმნილება ex nihilo, არამედ ყოველი განახლება იქნება მხოლოდ ახლებური გამოყენება ელემენტებისა, რომლებიც ენის [>langue<] წინა მდგომარეობიდან [>état de langage<] იქნებიან გადმოცემული. ისე გამოდის, რომ ანალოგიური განახლება, რომელიც გარკვეული სახით ძალიან დესტრუქციულია, მაინც არასოდეს არაფერს აკეთებს, გარდა იმისა, რომ ენების [>langue<] უძველესი დროიდან გადმოცემულ ელემენტებს აგრძელებს ისე, <რომ ვერ შეძლონ სადმე გაწყვეტა>. ახლავე დავადგენთ იმ საფუძველსაც, რომელიც გამოგვადგება იმისათვის, რომ ყვე-

ლა ეს ფსიქოლოგიური ოპერაცია – ანალოგიათა <ოპერაციები> – ანალოგი-ათა ფაქტებად იწოდონ. ბერძნების გრამატიკამ <ანტიკისაგან> ისესხა თერმა, რომელშიც მაშინ სხვა წარმოდგენები იყო ჩადებული და, რომელიც ჩვენგან განსხვავებულ თვალსაზრისს წარმოადგენდა, მაგრამ ისეთებიც მოიძებნებო-და, რომელიც ჩვენი ხედვისთვისაც გამოდგებოდა. ეს ოპერაციები გამიზნუ-ლია იმისათვის, რომ ამ ფორმებს შორის ანალოგიები და სიმეტრიები კვლავ-აც აწარმოოს. მაგალითად, viendrai punirai-ს სიმეტრიული არ არის. იმაზე დაფიქრება, რასაც ფენომენი ეხება, მოსდევს ანალოგიას. უფრო ზოგადად, გონებაში ფენომენი წარმოადგენს ფორმების ასოციაციას, რომელიც წარ-მოდგენილი წარმოსახვების ასოციაციებით იქნებიან ნაკარნახები.

ანალოგიური ოპერაცია ბავშვებში უფრო ცხადია და¹⁵ <ნაყოფიერი>, რადგან მათ მეხსიერებას იმისი დრო არ რჩება, ყოველი წარმოდგენისთვის ნიშანი აიღოს, ამიტომაც იძულებული ხდება, რომ ეს ნიშნები მომავალში თავად <აწარმოოს>. <და ეს ნიშანი ყოველთვის ანალოგიის განხორციელების შემ-დეგ წარმოიქმნება>. შესაძლებელია, რომ თუ ჩვენი მეხსიერების შესაძლებ-ლობა და <სიზუსტე> უსასრულოდ უფრო მაღალი იქნებოდა, ვიდრე იგი სი-ნამდვილეშია, ანალოგიის შედეგად ახალი წარმონაქმნები ენის [>langage<] სი-ცოცხლეში თითქმის არაფრით შეზღუდულიყო, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის და რომელიმე ენა [>langue<] რომელიმე დროისათვის სხვა არა-ფერია, თუ არა ანალოგიების ქმნალობათა შორს მიმავალი წნული, რომელ-თაგან ერთნი სრულიად ახალი, მეორენი კი უკუსვლით ისე შორს მავალნი არიან, რომ მათი მხოლოდ გამოცნობა თუ შეიძლება. <ლინგვისტისათვის ანალოგიური წარმონაქმნების დასახელების მოთხოვნა იგივე იქნებოდა, მი-ნერალოგებისაგან მინერალების ან ასტრონომებისაგან რამდენიმე ვარსკვლავ-ის დასახელება რომ მოგვეთხოვა. ბარემ აქვე დავძენ, რომ ამით ღირებულე-ბებთან დაკავშირებით არავითარი გაუგებრობა არ იქმნება, რადგან ამ ფაქ-ტების შესახებ ვიტყვით, რომ არ არსებობს არაჩვეულებრივი <ან ანეგლოტურ-რი> ფაქტები, არ არსებობს უცნაურობები [>curiosités<] ან <ანომალიები>, არამედ არსებობს ენის [>langage<] მკვეთრი არსება ყველგან და ყველა ეპოქა-ში. სწორედ ეს არის ყველა დროისათვის მისი (ენის) ყოველდღიური ისტორ-ია – Je trouve, nous trouvons, როგორც je meurs, nous mourons. რატომ? არსებობს შესანიშნავი საფუძველი, მაგრამ []. ითქმის: je lève, nous lavons. გერმანულში ძლიერი ზმნის პრეტერიტუმის ფორმები თითქმის ყოველთვის ასეთია: zog (ეზიდებოდა, მიათრევდა) – wir zogen; lieb, lieben; band, banden; half, halfen; ward, wurden. <პრეტერიტუმის ამ ისტორიისათვის კიდევ ერთი მაგალითი: ის, რომ თავად გონებისათვის ყველაზე უფრო სანდო ფორმები, რაც საოცარია, ანა-ლოგიებს ემორჩილებიან>. <მაშინ, როცა> გვაქვს [] grand <მდედრ> grand ნათქვამი საპირისპიროდ bon-ისა, მდედრ. bone, რადგან [], უკვე XI საუკუ-ნიდან <გვხვდება> grande.

თანამედროვე სახით, მაგალითად, j'achète nous achetons. ქალი არ იტყვის: je me décollette, je me décolte! შესანიშნავი ანალოგიური წარმონაქმნი! ცხადია, არ უნდა თქვა (რადგან არაფერი არ უნდა თქვა, ყველაფერს, რასაც ამბობ, თავისი საფუძველი აქვს), – მაგრამ გასაგებია, რომ ცოცხალი ხნის წინ ითქმოდა: je décollette, nous décolletons, როგორც j'achète, nous achetons. სრულიად შესაძლებელია, რომ ერთ დღეს j'achète ითქვას (je cache უკვე მოვისმინე კიდევ) –

¹⁵ Cf. CLG/E(II), გვ. 9, N 1.2, Nr. 3284.

<récolter>. ზმნის ისტორია [] გერმანულში სესხულობს. <საუკუნეების მანძილზე> – მე-16 საუკუნის შუა ხანებამდე გერმანულად ამბობდნენ: ich was> j' étais, er was >il était<; ჩვენ ვიყავით >nous étions<; ინგლისურში აღნიშნული ფორმა უცვლელად შემორჩა: I was, he was, we were. რატომ? was-ში იყო ერთი „s“ და „waren“-ში – ერთი „r“. ამასთან დაკავშირებით არსებობს ორი შესანიშნავი მიზეზი, მაგრამ ახლა მათ არ გამოვედევნებო, რადგან, როგორც არ უნდა იყოს ეს რეტროსპექტული საფუძვლები, ისინი არაფერს ცვლიან იმ ვითარებაში, რომელიც ამ მომენტშია შექმნილი. <ასევე უძველესი არიან>, რაიმე შეცვალონ იმაში, რაც ამ ვითარებიდან გამოსასვლელად მოხდება. არსებითად <waren-ში> „r“ არის „s“-ს მოდიფიკაცია, მაგრამ, ვიმეორებ, ამას ჩვენს საკითხთან არაფერი ესაქმება.

იმავე დროს <და ყოველთვის> იმავე საფუძვლით, რომელშიც was – waren არის, აგრეთვე <ისევე და იმავე საფუძვლით, რომლის გამოკვლევა არა გეჭირდება> არის ich fuhr, wir fahren (მე მივემგზავრებოდი, ჩვენ მივემგზავრებოდით)> >j'allais en voiture, nous allons en voiture< ან კიდევ, ich gebir, wir gebären (მე ვიბადებოდი, ჩვენ ვიბადებოდით)> >j' enfantais, nous enfantions<. წარსული დროის ამ ფორმაში შედის „r“, <საიდანაც გამოსვლაც შეუძლია> ფლექსიის ერთი ბოლოდან მეორისაკენ, წარსულის ამ ფორმებს კი უპირატესობაც აქვთ, რადგან უფრო მარტივები და ლოგიკური ჩანან; უკვე აღარ არიან ისეთები, როგორც was – waren. მაშ, რა ხდება? საყურადღებო ფენომენი, რომელიც ყოველთვის იგივეობრივია და რომლის შესახებაც ლუი პავე წინადადებას იძლევა. გადმოცემით იგი ფორმულით, რომელიც მათემატიკისაგან ნასესხები მე-4 პროპორციონალების სურათი იქნება: wir gebären: ich gebir = wir waren: x; საიდანაც გამოგვეყვას x:ich war.

მე ძალაუვნებურად ფენომენის მხოლოდ მეტად არასრული სურათი წარმოგიდგინეთ და მისი მხოლოდ ერთი ან ორი ყველაზე უფრო მისაწვდომი და ადვილად აღსაქმელი ფორმით განვიხილე. ამჟამად ჩვენს ყურადღებას ენობრივი ტრანსფორმაციის მეორე – ფონეტიკური – მიზეზი მოითხოვს. იმის გამო, რომ მისი ახსნა აქ შეუძლებელია, ეს მიზეზი ჩვენი მხედველობისა და შემეცნების არედან ქრება. ასეთი ფონეტიკური მოძრაობა ყველა ენაში [>langue<] არსებობს: cantare>chanter, campus>champ, catedra>chaire, calamus>chaume, vacca>vache, <capillus>. <cantare k'antar-ად დაიშლება. სხვა ფენომენია civitas>cité []. >-Mouilliertes-II-.

უმთავრესი ნიშანი: ბრმად ურტყამს ენის [>langue<] ყველა ფორმას, რომელშიც საეჭვო ბგერა აღმოჩნდება და, შესაბამისად, მოითხოვს მათემატიკური კანონზომიერების ნიშანს.

~~კანონზომიერების ნიშანი.~~

~~კანონი შემთხვევა.~~

ეს კანონზომიერების ნიშანი ისეთია, რომ მოცემული რაგინდარა ლათინური სიტყვის მიხედვით წინასწარ შეიძლება იმისი თქმა, თუ რას გამოხატავს იგი ფრანგულად; რა მნიშვნელობა ექნება მოცემულ ინდოევროპულ სიტყვას ბერძნულად; [] სიტყვიდან (თუ ანალოგიისათვის არ არსებობს ხელშემშლელი გარემოებები).

კანონი – შემთხვევა.

ერთ-ერთ შედეგთაგანია ფორმათა დიფერენცირება (ანალოგია სიმეტრიას აღადგენს ან იქვით არის მიმართული, რომ კვლავ აღადგინოს იგი)¹⁶.

¹⁶ Cf. CLG/E(II), გვ. 10, N 1.2, Nr. 3284.

№ 13 „მესამე ლექცია“

ჩვენს მიერ წინა ორ ლექციაზე განხილული თემები, თუ ჩვენს გონებაში მათ სისტემატიზაციას შევძლებთ, უკვე საკმაო წარმოდგენას შეგვიქმნიან იმაზე, თუ რა არის ენის [>langue<] დნიშულება დროში [>Temps<]. დროის ფაქტორთან [>devant le facteur Temps<] ეს თემები წარმოდგენას გვიქმნიან უნივერსალურ პირობებზე, როცა მხედველობაში ვიღებთ ფაქტს, რომ >დროის გარკვეული მონაკვეთი გადის<, რომელთა გავლენის ქვეშაც აღმოჩნდება რომელიმე იდიომი, – და აქამდე არ გავრჯილვართ იმისათვის, რომ გარდა ხანგრძლივობის ფაქტორის და ქრონოლოგიური დისტანციისა, რომელიმე სხვა ძირითად ფაქტორს ვზიარებოდით.

თუ კიდევ ერთხელ დაგვჭირდებოდა ძირითადი თვალსაზრისის განზოგადება, რომელიც <პირველ ლექციაზე> გავიარეთ, ნამდვილად <რადიკალური> შეუპოვრობით დავიცავდი არა მარტო რღვევის, არამედ ნახტომის შეუძლებლობას ენის [>langue<] [>ტრადიციების<] თანდათანობით გადაცემაში მისი პირველი დღიდან, როცა აღამიანთა <საზოგადოებამ> ლაპარაკი დაიწყო, იმ განსხვავებული, უშუალოდ ცხადი პუნქტების სასაგებლოდ, რომ ენის [>langue<] სიკვდილი არ შეიძლება, თუ ძალადობა არ იქნება მასზე განხორციელებული; და რომ არც ერთ ენას არ აქვს სიბერისა და ბავშვობის ასაკი და ბოლოს, მზისქვეშეთში არც ერთი¹⁷ ახალი ენის [>langue<] დაბადება არ შეიძლება მოხდეს; რომ, როცა ამა თუ იმ ხალხის ენა [>langue<] ზეწოლას განიცდის, როცა მას მეორე ავიწროვებს, ეს მეორე ენა [>langue<] <ისეთივე ბუნებრივობით სწორედ> იგივე ასაკს უჩვენებს, რასაც ის, რომელიც ითრგუნება. ისე, რომ <დედამიწაზე> სხვა რამ ვერასოდეს ვერ შეიქმნება, გარდა იდიომის გაგრძელებისა, რაც <პირველი დღიდანვე არსებობს> და რაც ყოველთვის არსებობდა, ვიდრე მაძიებლები <ნამდვილ> პრეისტორიული დროის მიუწვდომელ ღამეს არ <მიადგებიან>.

პირველ რიგში, ისიც შესახსენებელია, რომ არასოდეს მოხდება, ერთი ენა [>langue<] მეორე ენის მემკვიდრედ მოგვევლინოს; რომ, მაგალითად, ფრანგული ლათინურის მემკვიდრეა, არამედ ორი საგნიდან ერთის მოჩვენებითი თანმიმდევრულობა იმიტომ ხდება, რომ <მოგვეწონს>, როცა იგივე იდიომს ერთმანეთის მიყოლებულ ახალ სახელებს <ვარქმევთ>, რის შედეგადაც ერთისაგან თვითნებურად ორ საგანს შევქმნით, <რომელიც, ეჭვგარეშეა, დროებით არიან გაყოფილი>. ზეგავლენას, რომელსაც ჩვენს სულსა და გონებაზე ეს ორი თანმიმდევრული სახელი ახდენს, ისეთი გადამწყვეტია და <ისე ურყევი>, აღმოუფხვრელი, რომ არ ვფიქრობ, და <ამას გულწრფელად ვადიარებ>, რომ ჩემი მხრიდან ორ ან სამ დღეში ორი ან სამი შენიშვნით დავარღვევ მას. მხოლოდ იმას კი ვიტყვი, რომ ყველა ლინგვისტს, მეტად ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, კარგად მოეხსენება, რომ რასაც ენა [>langue<] ტექსტიდან ტექსტამდე თხუთმეტი ან ოცი წლის მანძილზე განიცდის, ამ დროის მონაკვეთში სრულიად უმნიშვნელოდ გამოჩნდება სახელდებათა ის განსხვავებულობა, როგორშიც ლათინური და ფრანგული სახელები გვარწმუნებენ. რა მოხდება, <გამონაკლისის გარეშე>, თუ ლინგვისტი განიზრახავს იმ <მცდარი> მოსაზრების დამტკიცებისათვის ბრძოლას, თითქოს ერთ მშვენიერ დღეს ლათინურმა ფრანგული ენა [>langue<] დაბადა? <დმერთო ჩე-

¹⁷ Cf. CLG/E(II), გვ. 10, N 1.3, Nr. 3285.

მოღ მისი სისწორე აღიარებული იქნება იმ სახით, თუ შეთანხმდებიან, რომ ეს აბსურდული კონცეფციაა. ცნობილია, რომ natura ყველგან და ყოველთვის non facit saltus-ით ფასდება. სრულიად დარწმუნებული არიან, რომ ამ ორივე ენას [>langues<] შორის ნელი გადასვლა უნდა შემდგარიყო – <ყურადღება მივაქციოთ ამ თერმას> – და შესაბამისად, უფრო შორსაც წავიდა, <ვიდრე მისი წინამორბედი?> არაერთარ შემთხვევაში, რადგან დარწმუნებით გააქვთ თავისი, რომ ორი ურთიერთშეკავშირებული თერმა არსებობს, თანაც წინასწარ დაკავშირებული, თუმცა შეუმჩნეველი გადასვლით შეკრული, მაგრამ რომლებიც მაინც ორ თერმას, ორ ენას [>langues<], ორ არსებას, <ორ ყოფიერებას>, ორ ორგანიზმს, ორ პრინციპს, ორ ცნებას, <ორ კანონს> ქმნიან, რომლებიც განსხვავებული არიან. <ასე განაგრძობენ> ლათინური და ფრანგული ისე წარმოადგინონ, როგორც ერთსა და იგივე ხეზე თანმიმდევრულად, შემოდგომის ფოთოლცვენებიდან გაზაფხულზე კვირტების გაშლამდე, ორჯერ გამოსული ფოთლები; ჩქარობენ დაუშვან, რომ ეს გადასვლა შეუმჩნეველი იქნება <საიდუმლო> ძარღვებში, რომლებშიც სიცოცხლე მიედინება, მაგრამ იმაზე კი <მტკიცედ დგანან, რომ> ორი მკვეთრად განსხვავებული პერიოდი არსებობს. <ეს არის ნამდვილად გავრცელებული წარმოდგენა>. მაგრამ რეალურად რით შეიძლება ფრანგულსა და ლათინურს შორის ეგრეთწოდებული თანმიმდევრულობის შედარება? <წარმოვიდგინოთ> ქალაქის ძალიან გრძელი ქუჩა, საამშენებლო ოფისში შეთანხმდნენ იმაზე, რომ ამ ქუჩას თავიდან ბოლომდე ერთი სახელი – „ნაციონალური ბულვარი“ უწოდონ; ან ეს ქუჩა ორ ნაწილად გაყონ და ერთს „ტაძრის ქუჩა“, მეორეს კი „სკოლის ბულვარი“ უწოდონ; ან სამ ნაწილად დაყონ და x, y, z სახელები უწოდონ, ან თუნდაც ათ, თხუთმეტ მონაკვეთად დაანაწილონ. ბუნებრივია, ცალკეულ ამ მონაკვეთთა განსხვავებული არსებობა წმინდად ნომინალური და ფიქტიური იქნება. მართებული იქნებოდა, გვეკითხა: როგორ იქცევა x ქუჩა y-ად, ან <თუ შეიძლება, რომ y ქუჩა უცაბედად ან შეუმჩნეველად x ბულვარად იქცეს> თუკი, გარდა ჩვენი გონებისა, ასეთი არც ქუჩა და არც ბულვარი არსად არ არსებობს. ასევე, ჩვენი „გონების გარდა, არსად არ არსებობს განსაზღვრული რამ ფრანგულის სახით, ასევე განსაზღვრული რამ – ლათინურის საპირისპიროდ <და, შესაბამისად, ვერ ვხედავ იმის თქმის საჭიროებას, რომ ერთი პროგრესირებით გამომდინარეობდეს მეორისაგან, ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ, რომ ერთი დარტყმით წარმოდგა წინ. <მნიშვნელოვანია იმის შეგნება, რომ მთელი 21 საუკუნის პერიოდისათვის შეგვეძლო ერთადერთი სახელი მიგვეცა და ლათინური გვეწოდებინა, ან ორი სახელი მიგვეცა და ლათინური და ფრანგული გვეწოდებინა, ან სამი სახელი და ეს იქნებოდა: ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნის ლათინური, ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნისა და ჩვენი წელთაღრიცხვით I საუკუნის ლათინური და მე-2, მე-3... მე-15... მე-19 საუკუნის ლათინური. და <რომ> წინსვლის სხვა არანაირი ზუსტი ფორმა არ არსებობს იმისათვის, რომ მისი დაყოფა განახორციელო, <გარდა> ამ <სრულიად> თავისუფალი და ჩვეულებრივი დაყოფისა. ამგვარად, უარყოფთ ჩვენ არა მარტო ენის [>langues<] დაბადების შესაძლებლობას ისე, რომ მას წინ სხვა არ უსწრებდა; არა მარტო უარყოფთ <მეორე> ენის [>langues<] უცაბედად დაბადების შესაძლებლობას, არამედ მესამეც, <ასევე უარყოფთ> იმის შესაძლებლობას, რომ განსაზღვრული ენა [>langues<] <თანდათანობით> მეორე ენიდან დაიბადოს, რადგან არ არსებობს <მომენტ>, როცა ენა [>langues<] მეტად თუ ნაკლებად ზუსტი იქნება, ვიდრე სხვა

რომელიმე მომენტში. არასოდეს არ არსებობს მდგრადი, არამედ არსებობს მხოლოდ წარმავალი და დროით შეზღუდული ნიშნები. არსებობს მხოლოდ ენის მდგომარეობა [*>état du langues<*], რომელიც გამუდმებით წინა დღის <მდგომარეობიდან> მეორე დღის მდგომარეობაზე გარდამავალ პირობებშია. ამ მდგომარეობის განსაზღვრული რიცხვის ერთი სახელის ქვეშ გაერთიანება რომ <მოვისურვოთ>, ვთქვათ ისეთისა, როგორც ლათინური ან ფრანგულია, ისეთსავე <ოპერაციას წარმოადგენდა>, და მოითხოვდა ზუსტად იგივე მნიშვნელობას, როგორსაც მე-19 საუკუნე მე-18 საუკუნისათვის <ან მე-12-სათვის> რომ დაგვეპირისპირებინა. ეს არის გაურკვეველი ამოსავალი წერტილი, ყოველგვარი მოთხოვნების გარეშე, საგნების <საბოლოო> წესრიგისათვის ხელის შესაწყობად, რომ აღარაფერი ვთქვათ წინმსწრები, ოდნავ განსხვავებული წესრიგის გზიდან ჩამოცილებაზე, აგრეთვე იმ წესრიგზე, ამას რომ მოჰყვება. შეუძლებელია <აქ> არ შევნიშნოთ, რომ ენათმეცნიერს, რომელიც თანამედროვე ბერძნულს ფლობს, <როგორიცაა ჟან პსიქარისი> და რომელიც დიდი პატივის პრივილეგიით ტკბება, არასოდეს შეუწუხებია თავი ისეთი ნომინალური განსხვავებების კომენტარებისთვისაც კი, როგორც ლათინურსა და ფრანგულს შორის მოვახდინეთ. მისი პირველი ლექციის მიხედვით, ვიგებთ, რომ, როცა მან ბერძნულთან დაკავშირებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-7 საუკუნეზე იმსჯელა, რათა „თანამედროვე“ ბერძნულამდე მოსულიყო, <2600 წლის მონაკვეთზეა საუბარი>, ეს, უბრალოდ, იმის დასამტკიცებლად გააკეთა, რომ ეს ორივე ენა ბერძნულია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ისეთივე დაშორებული არიან ერთმანეთისაგან, <ზოგიერთ> პუნქტში მაინც თუ უფრო მეტადაც არა, როგორც – ფრანგული ლათინურისაგან. თავად ამ მომენტშიც, როცა პატივი მაქვს, თქვენ გესაუბრებოდეთ, დარწმუნებული ვარ, <პატიოსნად გეუბნებით, რომ სრულიად დარწმუნებული ვარ>, რომ ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რასაც მე ვამბობდი, „ფრანგული“ თუ „ლათინური“ დასახელებების შესახებ, <თქვენი გონებისათვის> <უსასრულოდ> გაცილებით შთამბეჭდავია და ყოველთვის <ან დიდხანს> ათასჯერ უფრო <შთამბეჭდავად> დარჩება, ვიდრე ყველა ინსტანცია, რომელსაც <მე, როგორც ლინგვისტს>, შემიძლია ამ პაპის მიერ დანერგილი დუალიზმის დასანგრევად მოვუწოდო, რომლითაც ატანილები ვართ ფრანგულისა და ლათინურის სახელების გამო. ერთ მშვენიერ დღეს სიტყვათა მეცნიერებაში დაიწერება ძალიან სპეციფიკური და მეტად საინტერესო წიგნი სახელის, როგორც სიმშვიდის <მთავარი>¹⁸ დამრღვევის შესახებ.

ჩვენთვის ამ სახის დაკვირვებათა ერთობლიობა დროში ენის [*>langues<*] აბსოლუტური უწყვეტობის უნივერსალური პრინციპით არის შემონახული. ამ პირველ პრინციპს კომბინაციაში ემატება მეორე, დროში ენის [*>langues<*] უწყვეტი ტრანსფორმაციის პრინციპი, რომელიც თავის მხრივ, ორი სხვადასხვაგვარი მოქმედების ძალაზე არის დამოკიდებული. ერთი – ეს არის ფსიქოლოგიური, რომელიც ანალოგიის ოპერაციაზეა კონცენტრირებული და მეორე – მექანიკური, ფიზიოლოგიური, რომელიც თავის გამოსატყულებას ფონეტიკურ ცვლილებაში პოულობს. თანაც ერთი მეორისაგან სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებს, რამდენიმე მეტად განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, რომელიც თუმცა მეტისმეტ ყურადღებას იქცევს, მაგრამ, მართლაც, არაჩვეულებრივია.

¹⁸ Cf. CLG/E(II), გვ. 11, N 1.3, Nr. 3285.

ფაქტორი, რომელსაც ჩვენ აქამდე სისტემატურად გამოვტოვებდით ხოლმე, გეოგრაფიული დისტანციების ის სივრცეა, რომელიც ქრონოლოგიურ დისტანციასთან არის კომბინირებული.

ჩვენ დავამტკიცეთ, რომ, თუ რომელიმე გარკვეული ენის სახე [*état de langues*<] მოცემულია ერთ რომელმე ადგილზე, <მაგალითად, ალპების მიერუბულ სოფელში> და, თუ ასი ან ორასი წლის შემდეგ კვლავ ამ სოფელს მოვინახულებთ, აუცილებლად ამ ენის სახე [*état de langues*<], მიუხედავად გარკვეული ცვლილების ხელის შემწყობი განსაკუთრებული <მიზეზის> არარსებობისა, გარკვეული ზომით შეცვლილი დაგვხვდება. <თუმცა წარმატებული ცვლილება ზუსტი ფენომენების გარკვეულ რაოდენობამდე> უკან დაბრუნებადი იქნება, მაგრამ დასამტკიცებელი რჩება ის, რომ, თუ ერთი და იგივე ენა [*langue*<] მოცემული მომენტისათვის გარკვეულ ტერიტორიაზე არის გავრცელებული, გარდაუვალი ცვლილების შედეგად, <ასი ან ორასი წლის შემდეგ> იგივე ტერიტორიის სხვადასხვა <პუნქტში> ისეთი აღარ იქნება და, თუ ამ ტერიტორიას გადავკვეთთ დიაგონალზე ხუთასი ან ექვსასი მილის მანძილზე ან, გნებავთ, ხუთი ან ექვსი მილის მონაკვეთებში ეს ცვლილება სხვადასხვა ხარისხისა იქნება. ფენომენები, <რომლებიც გარკვეულ დროში იხუნენ თავს> ყოველთვის ზუსტი და გასაგებია. მაგალითად, თუ დავაკვირდებით ცვლილებას S პუნქტიდან Z-საკენ, მაგრამ გეოგრაფიულად სხვადასხვა მხარის მონაკვეთებში, რომლებზეც დაკვირვებას ვახორციელებთ, ენახავთ, რომ ეს ცვლილებები იგივეობრივი არ იქნებიან და შესაბამისად, ენაც [*langue*<] აღარ არის სხვადასხვა მონაკვეთებში <იდენტური>. როდესაც გეოგრაფიულ მოცემულობას ქრონოლოგიურთან ვაკავშირებთ, ვხედავთ, რომ ლინგვისტიკაში თითქმის არასდროს არა გვაქვს საქმე პირველ A თერმასთან, რომელიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ B თერმაში აისახება, არამედ აქ საქმე გვაქვს ისევ A თერმასთან, რომელიც დროთა განმავლობაში B^IB^{II}B^{III}B^{III}-ში დაილექება... თუ მაგალითად, მოცემულ მომენტში ჟენევაში A იდიომზე ლაპარაკობენ და იგივე A იდიომს იყენებენ ლიონში, ბორდოში და პარიზში, ორასი ან სამასი წლის შემდეგ ენახავთ, რომ არცერთ ამ ქალაქში არ აღმოჩნდება იდიომი, რომლისთვისაც შეგვეძლებოდა B დაგვეჩქმია A-სთან მიმართებით, არამედ ეს იქნებოდა ჟენევისთვის B^I, ლიონისათვის B^{II}, ბორდოსთვის B^{III}, პარიზისათვის B^{III}. როგორც კონტრ ნაწილი იდენტურის ამოსავალი A თერმისა. განსხვავება A-სა და B-ს შორის <იდეალურად> წარმოაჩენს დროში განსხვავებას, მაგრამ, ფაქტიურად, განსხვავება არის მხოლოდ A: B^IB^{II}B^{III}, <რომელიც> <ერთდროულად> <მართლაც ერთადერთ> განსხვავებას წარმოადგენს დროსა და სივრცეში. ~~მართლაც, მხოლოდ ერთდროულად დროსა და სივრცეში განხილული განსხვავება~~, [ჩანს, რომ ჩვენ, შეიძლება ითქვას, ვერსად ვხვდებით ენას [*langue*<], რომელიც გეოგრაფიულად განსაზღვრულ და იდენტურად მოგვეჩვენებოდა. ყოველი იდიომი, რომლის დასახელებაც კი შეგვიძლია, <საყოველთაოა მხოლოდ მრავალმხრივი გეოგრაფიული ფორმებიდან ერთი>, რომლის საფარქვეშაც სალაპარაკო ენა [*le parler*<] ასევე <მხოლოდ ტერიტორიის მცირე სივრცეში> იქნება წარმოდგენილი. ყველგან მტკიცდება დიალექტების დაქუცმაცებულობა. ხშირად ეს ჩვენთვის შემკულია იმ <გარემოებით>, რომ განსხვავებული დიალექტებიდან ერთს მოწინავე პოზიცია უკავია. იქნება ეს ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებს შორის ლიტერატურული ენა [*langue littéraire*<], ოფიციალური სამსახურებრივი, საგზაო-კავშირგაბმულობის თუ საწარმოო ენები [*langue de traffic et d'intercourse*<], რასაც

იქამდე მივყავართ, რომ ეს დიალექტი მიმოწერით ფორმას ღებულობს, სხვა დიალექტები კი განიხილებიან, როგორც უფორმო და საშიში ქარგონები, რომლებიც ოფიციალური ენის [>langue<] რღვევის მოვლენად წარმოდგებიან. ბოლოს ისეც ხდება, რომ <ხშირად ლიტერატურულ ენად მიღებული ენა [>langue<] იქამდეც მიდის, [] კვდება>. <მაგალითად: შეიძლებოდა, მოგვჩვენებოდა, რომ> ლათინური <რომელსაც თქვენ ძალიან კარგად ფლობთ>, <რომელიც თქვენ იცით>, წარსულში შეიძლებოდა, ~~ზერეფე დაშვირებულს მოსჩვენებოდა, რომ იგი~~ იტალიელთა ან, სულ მცირე, ლათინურთა ენა [>langue<] ყოფილიყო. სინამდვილეში, თუ თვალს გადავაგვლებთ პელაზგურ, ოსკურ, საბინურ წარწერებს ან სიტყვებს, რომლებიც გრამატიკოსთა მიერ არის გადმოცემული [>transmis<], შეამჩნევს, რომ ისტორიაში ასე სახელგანთქმულ რომაელთა ლათინური <მცირე მოცულობის ლოკალური დიალექტი იყო>, რომელიც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თითქმის რომის კარიბჭესთან მთავრდებოდა. იტალიაში ირეოდა იტალიური ენის [>langues<] სხვადასხვა ფორმები, რომელთა შორის საკმაოდ ცნობილია უმბრიული და ოსკური, სხვათაგან მხოლოდ საბინურზე გვაქვს ბუნდოვანი წარმოდგენა. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ რომაული დიალექტი, პოლიტიკური და ლიტერატურული მიზეზების გამო, ისე განვითარდა, რომ იტალიური ენა [>langage, sic<] ყველა დანარჩენი, არანაკლებად ლეგიტიმური ფორმებისაგან გაწმინდა.

ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა (პომპეი), მაგრამ მაინც ბოლოს საერთოდ და მთლიანად აქამდე მოაღწია. ასევე, როცა ადამიანს სურს, ჯანსაღი წარმოდგენა შეიქმნას იმაზე, რასაც, მაგალითად, თანამედროვე გერმანული წარმოდგენს ამ თერმის <რეალური> მოცულობით, იმით კი არ უნდა დაიწყოს, რომ ოფიციალური გერმანული, რასაც ჩვენ ვსწავლობთ, ნულის დირებულეობამდე დაიყვანოს, არამედ აქციოს ასობით ერთობებს შორის მთლიანობის ერთადერთ ფასეულობად, მით უმეტეს თუ შვეიცარიულ გერმანულსაც გაითვალისწინებს, რომელთა შორის განსხვავების დანახვის შესაძლებლობა მიეცემა. ასეთივეა ფრანგულის პოზიცია ფრანგული პატოს საპირისპიროდ. ეს იმას ნიშნავს, რომ ოფიციალური ფრანგული ენა ერთადერთი რეგიონის დიალექტია. კერძოდ, – საფრანგეთის კუნძულად წოდებული პარიზის და მისი შემოგარენისა. ბუნებრივია, შემეძლო ძალიან ბევრი მაგალითის მოტანა. ერთს კი დავასახელებდი, რომელიც ჩვენგან ტერიტორიულად ძალიან დაშორებულია. შეიძლებოდა საუკუნის დასაწყისში გვგონებოდა, რომ ზენდურად წოდებული ენა [>langue zende<], რომელიც პართიელთა წმინდა წიგნებშია შემონახული, ირანული – აქამენიდური – ენაა [>langue<], მაგრამ ამ ორი დიალექტის გარდა, ცხადია, აქ ბევრი სხვა დიალექტიც არსებობს.

ფორმათა ასეთ განუსაზღვრელ მრავალფეროვნებას შორის მცდარი იქნებოდა, <ამ შენიშვნას ვაკეთებ იმისათვის, რომ მცდარი წარმოდგენა არ შეიქმნას>, გვეფიქრა, რომ დიდი ჯაფა დაგვადგებოდა მასში ორიენტირებისათვის და, რომ წარმოუდგენელი ქაოსის (უწესრიგობის) წინაშე აღმოჩნდებოდით. როდესაც ჩვენ ყველასათვის ბოლო პუნქტს ვიღებთ B^I B^{II} B^{III}, თითოეულისათვის ვპოულობთ ზუსტად ერთ ამოსავალ წერტილს – A-ს, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით არის მოდიფიცირებული, მაგრამ სრულიად ზუსტი სახით. ასე, მაგალითად, tsav – vaté – château. ყველა ესენი მათემატიკურად უკან ბრუნდებიან castellum-თან: tsavi – tsāvāté - vā, château, champ: - st > v: tīva -.

ეხლა იკვთება, თუ რა შორს იყო სინამდვილისაგან ენათმეცნიერული შტუდიების პირველ პერიოდში გაბატონებული წარმოდგენა, თითქოს ერთი ენის

[>langue<] ან ლაპარაკის [>parler<] მეორისაგან გასარჩევად მათი გეოგრაფიული დაყოფა¹⁹ იყოს საჭირო. მაგალითად, აზრი იმის შესახებ, თითქოს ინგლისური და გერმანული ერთმანეთისაგან მხოლოდ იმიტომ განირჩევიან, რომ []. გეოგრაფიული დაყოფის შემთხვევა, მე ვგულისხმობ <აბსოლუტურ> გეოგრაფიულ წვეტილობას (Diskontinuität), წარმოადგენს ძალიან დაცილებულს იმისგან, რაც კანონზომიერი პირობა იქნება იმისათვის, რომ ამით შემოგვთავაზოს შეუთანხმებელი, განსაკუთრებული შემთხვევა, რომელიც კვლევას მოითხოვს (და, რომელსაც მე სრულყოფილად გამოვკრეფ ამ შტუდიებიდან). რომელიმე ერთობის ენობრივი იზოლაციის ეფექტი, ალბათ, ორმაგია: ერთის მხრივ სწრაფად იცვლებიან და მეორე მხრივ განსხვავებული მიმართულებით დგებიან, მაგრამ ისე, თითქოს ეს ერთობა მასასთან კონტაქტში იყოს დარჩენილი. მაგრამ ვიმეორებ, ეს ის შემთხვევაა, როცა, თუ იგი განსაკუთრებული არ არის, სულ მცირე, სპეციალურ კვლევას მოითხოვს და თუ მისი წამოწყება ვერ ხერხდება <წინასწარ> დიფერენცირებასთან ზუსტი მიმართების გარეშე, რომელიც მის წინ უწყვეტ ენობრივ-ლინგვისტურ კორპუსში მიმდინარეობს, მაშინ ასხნა-განმარტება უნდა იქნას მიცემული. ესეა საკითხავია, რა მოსაზრებამდე მივიდოდით <ფენომენების შესახებ>, თუ შევეცდებით, დროში დიფერენცირების ფაქტის სივრცეში დიფერენცირების ფაქტთან დაკავშირებას. თუნდაც ეს ათას კვადრულ კილომეტრზე გადაშლილი გარკვეული ტერიტორია იყოს, სადაც მოცემულ დროში ერთი და იგივე დიალექტზე ლაპარაკობდნენ, 500 წლის შემდეგ იმავე ტერიტორიაზე აღმოცენებული იქნება მთელი რიგი დიალექტებისა. <B^IB^{II}B^{III}>, მაგრამ, როდესაც სასინჯ მონაკვეთს გაგანახევრებთ, შესაბამისად დიალექტური განსხვავებების სრულიად სხვა ასპექტებს მივიღებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ 250 წლის შემდეგ ეს დიალექტები ჯერ კიდევ არა მარტო არ არიან სხვადასხვა დიალექტები – B^IB^{II}, ის, რაც შემდეგ იქნებიან, არამედ ისინი ჯერ კიდევ არ არიან ინდივიდუალურ დიალექტებად ჩამოყალიბებული. მაგალითად, 250 წლის შემდეგ ჯერ ორი დიდი ფრაქცია იქნება ნაცვლად ოცდაათის ან ორმოცისა. გარდა ამისა, ეს ორივე დიდი ფრაქცია „ჯერ“ კიდევ არ იქნება სხვათგან შევიწროვებული. ისე, რომ ერთი დასახელების უკიდურესი სამხრეთი ნაწილის მოსახლეობის ენა შეიძლება, ჯერ კიდევ გასაგები იყოს უკიდურესი ჩრდილოეთის მოსახლეობისათვის.

ეს თეორია, ბატონებო, არც ძალიან მცდარია და არც მართალი. ენათმეცნიერებაში ყველაზე საყურადღებო უახლესი მიღწევები, რომლებსაც უმთავრესად პოლ მეიერის Ecole des Chartes-ს უნდა ვუმაღლოდეთ, გვჩვენებენ, რომ სინამდვილეში დიალექტები განსაზღვრული ერთობები არ არიან და რომ <გეოგრაფიულად> არანაირი დიალექტი არ არსებობს, არამედ არსებობენ უფრო მეტად გეოგრაფიული დიალექტური ნიშნები. თუ ეს პრინციპი ერთი შეხედვით შეიძლება ბნელ რაღაცად გვეჩვენოს, მაშინ უმაღლესი ნათელი მოეფინება [], და ამაში დარწმუნებული ვარ. თუ ვცდით, რუკაზე სრულიად ნაცნობი დიალექტის საზღვრებში მოგზაურობას, ნამდვილად იძულებული ვიქნებით ვთქვათ, რომელია ის ნიშნები, რომელსაც დამახასიათებლად მივიჩნევთ მის ირგვლივ არსებულ დიალექტებთან მიმართებით. მაგალითად, როცა მე ვაცხადებ, რომ ეს საგოიური დიალექტია, ჩემს უპირველეს მოვალეობას შეადგენს ვთქვა, თუ რითი <და რამდენად> განსხვავდება ეს დიალექტი დანარჩენი ფრანგული დიალექტებისაგან. ამგვარად, მე შევუდგები ამ <ურთიერთგანმასხვავებელი> ნიშნების ძიებას. პირველი გადახედვით შემიძლია შევამჩ-

¹⁹ Cf. CLG/E(II), გვ. 12, N 1.3, Nr. 3285.

ნო სიტყვის ბოლოში ლათინური <ერუ> ბგერების შემორჩენა. მაგალითად, ლათინური *a* სიტყვა *fena*-ში >*la femme*<, *Genva* >*Genève*<, ეს სავოიური დიალექტის აუცილებელი ნიშანია, <ასევე განსხვავებული დიალექტური ნიშანიც>, მაგრამ თუ კიდევ უფრო კარგად დაფუკვირდები, დავამტკიცებ, რომ სავოიური დიალექტი და მთელი სამხრეთ საფრანგეთის დიალექტი საერთოა. მაშასადამე, ეს არ ყოფილა განმასხვავებელი ნიშანი. ამის შემდეგ ვადგენ, რომ სამხრეთ საფრანგეთის ლათინური ჯგუფს *ca* არ გარდაუქმნია *t*, *š*-დ ან სხვა სახით, <*canto*> მაშინ, როდესაც სავოიურ დიალექტში ცვლილებას ვხედავთ: *vātā*, მაგრამ იქნება კი ეს ნიშანი უკეთესი? არასეზით! რადგან ამ ნიშანს ატარებს ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილიც, რომელიც სავოიურს აკავშირებს <უექსის, ფრანშ-კონტეს, პარიზის> რეგიონებთან. ამიტომ შევეცდები, უფრო ლოკალური ნიშნები მოვიძიო. მაგალითისათვის ავიღებ სავოიურში პატოს აქცენტების გადაადგილების ფაქტებს *la Iná, la spá*, მაგრამ მალე იმასაც დავინახავ, რომ ეს ფენომენი სავოიელთა მხოლოდ ნაწილს შეეხება. <მაშასადამე>, ეს არ ყოფილა საერთო ნიშანი და რომ იგი ვალისა და დოფეს მიმართულებითაც გვხვდება. ისე, რომ არც ეს არის დამახასიათებელი ნიშანი. და ასე შემდეგ. და არც არასოდეს მოგვეცემა რაიმე ნიშანი, რომლის გეოგრაფიული განფენილობა მეორისას ემთხვეოდეს, სავოიუს ერთი ნაწილი გუდის მხარესთან არის დაკავშირებული, მეორე ნაწილი ვალისთან პოულობს სიახლოვეს, მესამე ნაწილი []. ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ფენომენთა მონიშვნა გეოგრაფიული განფენილობის რუკაზე სრულიად შესაძლებელია, მაგრამ ეს რომ დიალექტური ერთობების განსხვავების საფუძვლად მივიჩნიოთ, სრულიად უქმი და უსარგებლო საქმე იქნება.

ყოველი <რეგიონი> მდებარეობს რაიმე რაოდენობის ენობრივ-ლინგვისტური ფენომენების წინაღობათა სივრცეში. ყველას <თავისი> განსაზღვრული ბილიკი აქვს და ნიშანთა რაოდენობა, რომელიც ყოველი რეგიონისათვის ამა თუ იმ ფენომენის შემთხვევითი დანაშრეებისაგან გამომდინარეობს. ეს არის ის, რაც, <თუ ამის სურვილი არსებობს>, ამ რეგიონის დიალექტს ქმნის. მაგრამ შეუძლებელია ისეთი ნიშნის პოვნა, რომელიც ნებას მოგვცემდა, ერთი დიალექტისათვის მეორესთან საზღვარი დაგვედო. ეს იქნებოდა ის, რომ მხოლოდ თითო სოფელი აგველო ცალ-ცალკე. დიალექტების კვლევა დღესდღეობით მიზნად ისახავს ენობრივ-ლინგვისტური ფაქტების გავრცელების არეალის განსაზღვრას და არა დიალექტების მოხვენებით ერთობათა მონახაზების კეთებას.

შეიძლება საზღვრები კილომეტრობით იჭიმებოდეს, ვიდრე ლათინური *a*-ს *e*-დ გარდაქმნა მოხდებოდეს – *donar* თუ *doner*; მაგრამ ამის თუ სხვა ნიშნის საფუძველზე საფრანგეთის *langue d'oc* და *langue d'oïl*-ის გაყოფა რომ მოინდომო, სრული სიყალბე იქნება. ამის მაგალითად მოვუხმობ მეორე ნიშანს: თუ საფრანგეთში ვერსალის გადაღმა მხარეს სხვადასხვა მიმართულებით ორ ნაწილად გაყოფენ და ეს იქნება აღმოსავლეთი და დასავლეთი მხარეები. მესამე მაგალითი კი – თუ იგივე საფრანგეთი დიაგონალით აღჰებიდან ოკეანემდე გადაისერება და ა.შ. ამ თვალსაზრისით, კაიზერული გერმანიის ენის ატლასია ყველაზე უფრო მეტად საინტერესო.

უფრო საინტერესო იქნება ამ დიდი ფენომენისათვის დროსა და სივრცეში ერთდროული თვალის მიდევნება. ამ ფენომენების თანმიმდევრული მოქმედება, რომლებიც გეოგრაფიული უწყვეტობის კანონს ემორჩილებიან, იმაში ვლინდება, რომ შეიძლება დიალექტის შეუმჩნეველი გარდაქმნა დააფიქსირო, როცა რომელიმე ადგილიდან რომელიმე მიმართულებით წახვალ. მაგალითად

სავოიეს მაცხოვრებელი, რომელიც ავერჯეს მიმართულებით მიდის, რაღაცა დროის შემდეგ მიადგება საზღვარს, სადაც ლათინური ca-ს ნაცვლად va შესვდება, ასევე tsa-ს tsã შეანაცვლებს. ეს მას ხელს არ შეუშლის მათი ლაპარაკის გაგებაში. რაღაც დროში კვლავ გადალახავს სხვა ენობრივ საზღვარს, რაც ასევე²⁰ არ შეუშლის ხელს მათი მეტყველების გაგებაში, მაგრამ, რაც უფრო შორდება თავის მშობლიურ ადგილს, მით უფრო იზრდება მისი დიალექტისგან განსხვავება, ბოლოს კი ისეთ ზღვარს მიადგება ეს სხვაობა, რომ გასაგებიც აღარ იქნება მისთვის. ამ დაკვირვებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ წესით, არანაირი საზღვარი არ არსებობს მათ შორის, რასაც ორი დიალექტის ნაცვლად ორ ენას [>langues<] უწოდებენ, <მაშინ, როცა ამ ორივე ენას [>langue<] ერთი და იგივე წარმომავლობა აქვს და მომიჯნავედ ბინადარი მოსახლეობა ლაპარაკობს>. მაგალითად, არ არსებობს საზღვარი იტალიურსა და ფრანგულს შორის, იმ დიალექტებს შორის, რომლებიც ამათ უნდათ, რომ ფრანგულად მიიჩნიონ, იმათ კი []. ისევე, როგორც არ არსებობს ზღვარდადებული დიალექტი, ნორმალურ პირობებში არც ზღვარდადებული ენები [>langues<] არსებობენ. ამგვარად, ენა [>langue<], როგორც ვნახეთ, არანაირად არ არის არც დროში და არც სივრცეში განსაზღვრული სიდიდე. იმის დასადგენად, თუ რისი თქმა უნდათ, როცა ამა თუ იმ ზუსტ ენაზე ლაპარაკობენ, არსებობს ერთადერთი საშუალება. კერძოდ, უნდა ვთქვათ: რომელია ენა >langage< ამა და ამ წელს; ეს იმას ნიშნავს, რომ ერთადერთი, რაც უნდა გააკეთონ არის ის, რომ უნდა აიღონ ნაკლებად ვრცელი გეოგრაფიული ადგილი და დროის გარკვეული მონაკვეთი.

<ყველაფერი> ამის შემდეგ იკითხავენ: ერთი და იგივე წარმომავლობის ერთმანეთთან ახლო მდგომი ენები, როგორებიც სლავური და გერმანულია, ფრანგულისა და იტალიურის მსგავსად თუ არიან ერთმანეთს შორისი დიალექტებით [>dialectes intermediaires<] დაკავშირებული, რომლებიც არც ერთ ტიპთან იხევენ მეტ სიახლოვეს და არც მეორესთან. არა, ეს მეტ-ნაკლებად საერთო მოვლენაა ინდოევროპულ ოჯახში. ჩვენ ვეღარ დავადგენთ შუალედურ ნაწილებს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ცოდნა სრულიად მყიფეა. ჩვენ არ ვიცნობთ ილუზიის ენის [>langue<] კორპუსს, არც ფრიგიული ენისას [>langue<] და არც მაკედონიურისას, რომლებმაც, ალბათ, ბერძნული სლავურთან დააკავშირეს. მაგრამ იყო ხალხთა გადასახლებები, რომლის ტალღამაც ენათა შორისი ტიპები დაიპყრო და გადაფარა. ყოველგვარი საფუძველი არსებობს ვირწმუნოთ, რომ დიდი ინდოევროპული სხეულის წიაღში [>au sein du grand corps indoeuropeen<] მომხდარი დიფერენცირება ისეთივე სახით წარიმართა, როგორითაც ლათინური ენისა. ახლანდელი დროის მონაკვეთში უწყვეტობა არ შეჩერებულა... ჰერატიდან მოსკოვისაკენ გზაზე. თუ სხვადასხვა ინდოევროპულ ენას ავიღებთ, ყოველი მათგანი თავისი აღმოსავლელი და დასავლელი მეზობლის შუა ნაწილს წარმოადგენს. შეგვიძლია, ფენომენების სრული ანალოგიის რაღაც სიდიდის დადგენა. უწყვეტობა, მაგრამ თავისებური. ფონეტიკა.²¹

²⁰ Cf. CLG/E(II), გვ. 13, N 1.3, Nr. 3285.

²¹ Cf. CLG/E(II), გვ. 14, N 1.3, Nr. 3285.

№1.4²² „შედარებითი გრამატიკა“

სათაურს – „შედარებითი გრამატიკა“, რომელიც ჩემი მოხსენებისათვის იქნა შერჩეული და რომელითაც, პატივი მაქვს, თქვენს წინაშე წარმოვდგე და რომლის ხმარება, საერთოდ, მიღებულია, – ნამდვილად ერთი უპირატესობა აქვს: იგი ჩვენს გონებას თავიდანვე ათავისუფლებს იმ აზრისაგან, რომ საკითხი შეიძლება შეეხებოდეს <საკამათო> იდიომების კვლევას, რომელიც <რადაც თვალსაზრისით> ყოველთვის ლიტერატურულიც არის და ამგვარად წინასწარ ამზადებს მსმენელს, სცადოს, ასეთ ლექციასზე დასწრება და მონაწილეობა დისკუსიაშიც, რომელიც მხოლოდ ენასთან [>langue<] იქნება დაკავშირებული. უკვე სიტყვა გრამატიკა, შედარებითი იქნება იგი თუ არა, ნათლად განსაზღვრავს, რის შესახებ იქნება მსჯელობა და თვალსაჩინოს ხდის, რომ ლიტერატურული ნაწარმოები, დიადი იქნება ის თუ უდიდამო, <მაგალითად, ბერძნული იდიომა>, როგორც მხატვრული ნაწარმოები, ჩვენი დაკვირვების მიღმა რჩება და იგი ჩვენთვის სხვა არაფერია, გარდა თავად ამ <ბერძნული> იდიომის ან განსაზღვრული პერიოდის ბერძნული იდიომის დოკუმენტი. ყველა დანარჩენ თვალსაზრისთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ შედარებითი გრამატიკის თერმა, რომელიც იმ ეპოქაში შეიქმნა, როცა კვლევის ეს სახე ჩანასახის მდგომარეობაში იყო, დამშვიდების საშუალებას არ იძლევა. <ეს თერმა> სულ მცირე, <ბევრ> კომენტარსა და შენიშვნა-შესწორებას მოითხოვს. მისი დეფინიციის მიხედვით, როგორია ენების [>langues<] ისტორიაში შედარების როლი? იმ დასკვნამდე მივიდნენ <ისე, რომ თავად არც კი იცოდნენ>, ეკითხათ, რისთვის გახდა საჭირო, ლინგვისტებისაგან კომპარატივისტების შექმნა. იმაში კი ერთსულოვანი არიან, რომ ასტრონომი აკვირდება და ანგარიშობს, კრიტიკოსი აკრიტიკებს, ისტორიკოსი ყვება და ლინგვისტი შედარებას ახდენს. რის გამო უნდა აწარმოოს ლინგვისტმა შედარება, ან რა ვალდებულია, <თავისი პროფესიიდან> გამომდინარე, თავი გადადოს და შედარებებით დაკავდეს? საცქერად ადვილია [], რომ შედარება, რომელიც ძალიან შორს დგას იმისაგან, რომ ლინგვისტისათვის მთავარი მეთოდი იყოს, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი უკიდურესი საშუალებაა და მისი გამოყენება რადაც შემთხვევაში იძულებითი ხასიათის მატარებელია. <წინასწარ გაუთვალისწინებელია> ისეთი შემთხვევების სისშირე, რომლებიც შედარებას ამგვარ <შემთხვევით> მნიშვნელობას აძლევენ. თუ ენების [>langues<] ისტორიაში, იმ ხალხშიც, რომელშიც არ შემორჩენილა ძალიან დიდი თეთრი ლაქები, იგი მაინც არ იძლევა ნაკლებ საფუძველს იმისათვის, რომ შედარება გამოვიყენოთ. რომანული ენების განვითარება ამის სრულიად ნათელ მაგალითს წარმოადგენს.

1. *patre (m) – père, <tēctum – toit>*.

2. *fuerite – Lücke* (ცარიელი ადგილი, ხვრელი, ხარვეზი).

3. *tuttus – სხვა Lücke*. <უფრო გვიანდელი>.

მე მხოლოდ იმ მაგალითებზე გავამახვილე ყურადღება, რომლის დროსაც <არსებული> ტრადიციის გასწორება ან სრულყოფა ხდება პროდუქტთან შედარების საფუძველზე. მაგრამ დარჩენილია ძალიან დიდი პერიოდი, რომლის შესახებაც ჩვენ არავითარი სახის წერილობითი დოკუმენტი არ მოგვეპოვება. მრავალი საუკუნის მანძილზე ცხოვრობდნენ ლათინები, რომელზეც პირდაპირი წარმოდგენა არ გავგაჩნია, რადგან ჩვენს ხელთ არსებული უძველესი

²² სავარაუდოდ, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისი. შეად. ენგლერი 1975 ა, გვ. 83.

ლათინური დოკუმენტები ჩვენს წელთაღრიცხვამდე 200 წლიდან იწყება; ბერძნულს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 700 წლიდან ვიცნობთ და მასაც ხომ <თავის ზურგს უკან თავისი წარსული აქვს>. მაგრამ რა ხდება სლავებთან დაკავშირებით, რომლებიც <ისეთივე ძველი არიან, როგორც ბერძნები>. მათ შესახებ ხომ მხოლოდ ჩვენი წელთაღრიცხვის 900 ან 1000 წლიდან გავგაჩნია ცნობები, <ანუ ბერძნებთან შედარებით, 1700 წლის შემდეგი პერიოდიდან>, ხოლო ლიტვურის შესახებ მასალები მხოლოდ 350 წლისაა?²³

№ 224 „შედარებითი გრამატიკა“

სათაურის შესახებ აკადემიურ ლექციასზე <ვისაუბრე>, რომელსაც უფრო სწორი იქნებოდა, თუ ერქმეოდა „ინდოევროპული ენების [>langues<] ისტორია“. ეს ის სახელწოდებაა, <რომლის გამოყენებაზეც დღეს ლინგვისტიკმა უარი თქვეს>, სახელი, რომელიც ყველაზე უფრო შესატყვისი და სწორი მგონია იმისათვის, რომ სასწავლი საგანი ზუსტად განისაზღვროს, რომელიც <ინდოევროპული ენების [>langues<]> შედარებითი გრამატიკის საერთო სახელწოდებას ატარებს.²⁵

სახელწოდება შედარებითი გრამატიკა არაერთ მცდარ წარმოდგენას აღძრავს, რომელთაგან ყველაზე უფრო <გამაღიზიანებელია> ის, რომ ეს სახელი იმაში დარწმუნების მიზეზსაც იძლევა, თითქოს იგი <სხვა> რაღაც მეცნიერული გრამატიკა იყოს და არა ის, ენების [>langues<] შედარებისას რომ ვიყენებთ.

რაკი გრამატიკა, თუკი მისი არსი სწორად გვემის, სხვა არაფერია, გარდა იდიომის ისტორიისა <და რაკი ყველა ისტორიას ბევრი გასაძრომი აქვს>, ცხადია, გარკვეულ მომენტში ენების [>langues<] შედარება ჩვენთვის <ინფორმაციის ერთადერთი წყარო> იქნება (იმდენად ღირებული, რომ მას უშუალო დოკუმენტის შეცვლა შეუძლია), მაგრამ ეს შედარებითი გრამატიკა ხომ სხვა არაფერია, თუ არა უკიდურესი საშუალება. მაშასადამე, გრამატიკა ყოფილა <გამოუვადლი> შედარებითი საშუალება იმ მომენტში, როცა აუთენტური და <ზუსტი> დოკუმენტი არ არსებობს. იგი ამ საშუალების შესახებ მხოლოდ იმას გადმოგვცემს, რითაც შეიძლება ტენდენციის, სკოლის ან განსაკუთრებული მეთოდის განსაზღვრა. ეს არის <უბრალოდ> გრამატიკაში ჯახირის ერთადერთი სახეობა. ამიტომ უარს ვამბობ ყოველგვარ <განსაკუთრებულ> ეპითეტზე, <როგორცაა> კომპარატივისტიკა, <ისევე, როგორც> <ბუნებრივია>, საკამათოდ მივიჩნევთ გრამატიკის ყველა იმ <სახეობის> არსებობას, რომელმაც შედარების, როგორც თავისი ლეგიტიმური კვლევის საშუალების, <გამოყენება არ იცის>.

შედარებითი გრამატიკის თერმის შეცვლას ისტორიის თერმით სხვა უპირატესობა აქვს, <ეს თერმა გამორიცხავს ჩვეულებრივი გამოყენების, შესაბამისად, ინდოევროპულის თანამედროვე განტოტებებს>, როგორცაა თავისი უადრესი განვითარების დროს რომანული ენების [>langues<] ოჯახი ან თავად გერმანული ენებისა [>langues<], რადგან ამ ტერიტორიაზე შედარება, რო-

²³ Cf. CLG/E(II), გვ. 14, N 1.4, Nr. 3286.

²⁴ საგარაუდოდ, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისი; შეად. ენგლერი 1975 ა, გვ. 838.

²⁵ Cf. CLG/E(II), გვ. 14, N 2, Nr. 3287.

გორც მეტად საჭირო იარაღი ისტორიული ტრადიციის [>tradition historique<] გადმოცემის უწყვეტობის წყალობით, წყვეტს თავის არსებობას. ეს არასამართლიანი <გახლეჩა> [].²⁶

№ 327 „ლიტერატურა, ფილოლოგია, ენათმეცნიერება“

ლიტერატურის კვლევა, ჩვეულებრივი ლიტერატურული თვალსაზრისით, თითოეული მკვლევარისათვის საკმაოდ განსხვავებულია და ეს განსხვავება ვლინდება უფრო ტექნიკური ხასიათის დამხმარე კვლევებში, რომლებიც მას სჭირდება და რომელიც ფილოლოგების <განსაკუთრებული სამუშაო სფეროა>. სხვათა შორის, ასეთია ტექსტის კრიტიკა, ხელნაწერთა და გამოცემათა კრიტიკა. პალეოგრაფია და ეპიგრაფიკა, ავტორთა (ჰერმენევტიკული) ინტერპრეტაციები, ლექსიკოგრაფია, გრამატიკა, სალექსო ფორმის ნაწარმოებთა მეტრიკა და ა.შ... ფილოლოგოები <საჭირო შემთხვევაში, დროებით> არქეოლოგის, იურისტის, გეოგრაფის, ისტორიკოსის, მითოლოგის და ა.შ. ფუნქციასაც ასრულებენ. მათი ამოცანა ხომ ისიც არის, რომ <ზოგადად> მოიცავდნენ ყველაფერს, რაც, ვიწრო თუ ფართო გაგებით, მათ საქმეში გარკვეულ წვლილს შეიტანს და ავტორის იდეისა და შინაარსის უფრო ღრმად <წვდომის საქმეში> დაეხმარება. ამდენად, დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს იმის მიხედვით, თუ წმინდა ლიტერატურული განათლების გარდა, კიდევ რაა საჭირო ფილოლოგიური განათლებისა <თუ მეცნიერებისათვის>, მით უმეტეს, რომ კლასიკური <განათლება> ამ ორივე საგანს ყოველთვის ერთად <განიხილავდა> (სულ მცირე, მკვდარ ენებთან [>langues<] მიმართებით მაინც).

ხშირად ნაკლებად მომზადებულებიც არიან ხოლმე იმის <გასაგებად>, რომ ფილოლოგია, თავის მხრივ, განსხვავდება ლინგვისტიკისაგან – ლიტერატურა და ფილოლოგია. ლიტერატურული კვლევა იმ აზრით, <როგორადაც ეს საყოველთაოდ ესმით>, მოიცავს მხოლოდ იმ საგნებს, რომლებიც წმინდა ლიტერატურული ინტერესის საგანს წარმოადგენს. იგი ყოველი მკვლევარისათვის განსხვავებულია მხოლოდ დამხმარე სფეროების ცოდნის თვალსაზრისით, რაც უმეტესად ტექნიკური ხასიათისაა და ამას მისი უდიდებულესობა (par excellence) ფილოლოგიის სფერო უძღვება. ესაა: <ტექსტის კრიტიკა>, ხელნაწერთა და გამოცემათა კრიტიკა, პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა, გრამატიკა, ლექსიკოგრაფია, <პროსოდია>, მეტრიკა, ჰერმენევტიკა <ან> ავტორთა განმარტებები და ა.შ. ყველა ხედავს <ასე ვთქვათ> ასპარეზს, ვინც კი ლეგიტიმური სახით უდგება ფილოლოგიურ კვლევას, <ეს არის ის, რაც> მას წმინდა ლიტერატურული კვლევისაგან განასხვავებს, <და ეს მით უფრო ადვილია, როცა კლასიკური განათლება (სულ მცირე, მკვდარ ენებთან [>langues<] მიმართებით) <კვლევის> ამ ორივე <წესს ერთდროულად> მოიცავს და <თავისი თანამედროვე> შინაარსით> სრულიად მახლოებლს ხდის. <სინამდვილეში> იმდენად ნაკლებად სცადეს ერთმანეთში მათი აღრევა, რომ საჭირო გახდა კიდევ, გავიხსენოთ, რომ ყოველი ფილოლოგიური კვლევა, ძირითადად, თუმიცა არაპირდაპირ, ლიტერატურულ კვლევაზე რჩება დამოკიდებული და ბოლოს და ბოლოს, ერთი და იგივეა, რადგან ფილოლოგია სხვა

²⁶ Cf. CLG/E(II), გვ. 15, N 2, Nr. 3287.

²⁷ დაუთარილებელია. შეად. ენგლერი 1975 ა, გვ. 838.

არაფერია, თუ არა გაწეული კომენტარი, რომელსაც ლიტერატურულ ნაწარმოებს დაურთავენ ხოლმე. <საბოლოო ანგარიშით>, ეს არის <მისი ლიტერატურული მიზანი>, რაც იმავდროულად ფილოლოგიური მეცნიერების არსებობის საფუძველსა და მათ ერთიანობას ქმნის, სხვაგვარად იგი სრულიად განსხვავებული შინაარსის კვლევას წარმართავდა. იგი მოიცავს ყველაფერს, რაც, ვიწრო და ფართო გაგებით, ავტორის ჩანაფიქრისა და ნაწერის უკეთესად გაგებაზე იმოქმედებდა. ამის აღსასრულებლად ფილოლოგია ზევით დასახელებულ საგნებსა და არქეოლოგიას, იურისპრუდენციას, გეოგრაფიას, ისტორიას, მითოლოგიას და ა.შ. უნდა მოიცავდეს. მწერალი ნაწარმოებზე ფილოლოგიის და [] გაორმაგებული აქტიურობის კონცენტრაციას ახდენს. ფილოლოგია და ლინგვისტიკა: მაშინ, როდესაც არავინ ურევს ერთმანეთში ლიტერატორებს [>le littérature<] და ფილოლოგებს, რომელთაც ერთმანეთთან ძალიან ბევრი საერთო აქვთ, პირიქით, ძალიან არის [].²⁸

№4²⁹ „ფონეტიკური ფაქტი“

ჩვენ იმ აზრისადმი თანხმობისკენ ვიხრებით, რომ ეს ერთი ეპოქიდან აღებულ ფაქტებია, რომლებთან ერთადაც იგი ფონეტიკასაც მოიცავს, ან, რომ არაფერია, რაც ხელს შეუშლიდა, ერთი ეპოქის კუთვნილება ყოფილიყო იგი. და, რომ მხოლოდ მისი ახსნა-განმარტება საჭიროს ხდის წინამავალი ეპოქის თამაშში ჩართვას.

ეს არის თანამედროვე ენათმეცნიერების ტიპური დაბნეულობები, რაზეც უფლებას ვიტოვებთ, სხვა ადგილას სისტემატური თვალსაზრისის მეშვეობით დავამარცხოთ იგი. ახლა კი შემოვიფარგლოთ იმის აღნიშვნით, რომ ფონეტიკური ფაქტების გასარკვევად ეს არა მარტო ორ ეპოქას სჭირდება, რაც მათი ერთი საერთო წესის ქვეშ მოქცევასაც ნიშნავს, არამედ <ყოველთვის> ორი ეპოქა საჭირო, რათა მისი ფორმირება მოხდეს <და []>, რათა არსებობის საშუალება მიეცეს და იყოს საგანი, რომელსაც კანონისაკენ შემოვებრუნებთ.³⁰

№5³¹ „ფონოლოგია“

ჩვენთვის თერმა ფონოლოგია მოიცავს იმას, რასაც გერმანიაში ზოგადად ბგერათა ფიზიოლოგიის (Lautphysiologie) სახელში გულისხმობენ. ჩვენ არ მოვყვებით ახლა ამა თუ იმ ენაში [>langue<] ამ სახელწოდების სისწორეზე ლაპარაკს, მხოლოდ არსებითად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ყველა ფონოლოგიური <საკითხი> სულაც არ წარმოადგენს ჩვენთვის ენათმეცნიერების საგანს, მით უმეტეს – ფონეტიკისას, რომელიც ენათმეცნიერების <განსაზღვრული> ნაწილია და ამიტომ ფონოლოგიისა და ფონეტიკის თერმები ერთმანეთში არა თუ არ უნდა ავრიოთ, არამედ ერთმანეთის საპირისპიროადაც კი არასდროს არ უნდა დავაყენოთ ისინი.³²

²⁸ Cf. CLG/E(II), გვ. 15, N 3, Nr. 3288.

²⁹ სავარაუდოდ, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისი; შეად. ენგლერი 1975 ა, გვ. 838.

³⁰ Cf. CLG/E(II), გვ. 15, N 4, Nr. 3289.

³¹ სავარაუდოდ, 1897; შეად. ენგლერი 1975 ა, გვ. 838.

³² Cf. CLG/E(II), გვ. 91, N 5, Nr. 640.

№5ა³³ „ფონოლოგია“

ამას მე განვიხილავ არა როგორც a priori კეთილგონიერულ <ჭეშმარიტებას>, როგორც რაღაცას, რომელიც სხვანაირ გადმოცემას არ საჭიროებს და რომ <მოვალენი არიან>, როცა საკითხი ენას [>langue<] შეეხება, რაღაც სახით მოიცვან იგი, კერძოდ, როგორ ფორმირდებიან ბგერები ჩვენს ყელსა და სასახში, <პირიქით, ვფიქრობ, ყველასათვის შეიძლებოდა საინტერესო ყოფილიყო, საკუთარი თავისთვის ეკითხა, მაინცდამაინც ჩვენ რატომ ვთანხმდებით იმაზე, რომ ეს საჭირო უნდა იყოს. რაში უნდა გამოიხატებოდეს ენის [>langue<] ცოდნის საქმეში ბგერათა წარმოების ცოდნის დიდი თუ მცირე წვლილი>. თეორიები, რომლებიც იქეთ იქნებოდნენ მიმართული, რომ ეთქვათ: უკვე იმ ფაქტის გამოა მისი ცოდნა საჭირო, რომ, რაკი ბგერებს ენაში [>langue<] ვიყენებთ, ipso facto მათი წარმოების სწავლასაც უნდა მივეყოთ ხელი, ეს სრულიად თვითნებური და სარისკო საქმეა თუნდაც იმ მომენტამდე მაინც, სანამ შესაძლებელი იქნება იმის დანახვა, რომ მისი წარმოება მნიშვნელოვანია ისეთი სრულიად განსაკუთრებული მატერიისათვის, როგორიც ენაა [>langage<].

ჩვენ მიხვეულები ვართ, იმის გარეშეც ვირწმუნოთ, რომ იმ განსხვავებულობების [>diversités<] კვლევას, რომელსაც სახმო <აპარატი> აწარმოებს, ენათმეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ არ აგვიხსნიან, – რის გამო, რით ან რა თვალსაზრისით. ეს არის ამ მეცნიერების სუსტი მხარე, რომელიც უფრო საგრძნობია, ვიდრე ის, რომ იგი, როგორც მეცნიერება, მხოლოდ ლინგვისტიკის სახელით ფასდება. მართლაც, ფიზიოლოგიურად – <უფრო მეტიც, ფიზიოლოგებისათვის> – იგი არის არა მეცნიერება (არც აკუსტიკურად), არამედ, უკეთეს შემთხვევაში, ის არის გამოყენება. ფიზიოლოგი ყურადღებას არ აქცევს იმ პოზიციებს და აქციებს, რომლების თანახმადაც p b-ს (შეესატყვისება), ან მათ განვიხილავს მხოლოდ განსაზღვრული კუნთის ნებისმიერ ფუნქციად³⁴, რომელიც ორგანიზმის მდგომარეობისათვის არ არის დამახასიათებელი და არც განსაკუთრებული ყურდლების ღირსი.

გრაფიკული აფაზიის* უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც ლალაფაზიას** [>aphasie lalétique<] ერწყმის, ისაა, რომ იგი გვაზიარებს იმ აზრს, რომ ფონემების ერთიანობა ტვინშია.

№6³⁵ „ენის ნიშნები“

ენის [>langage<] ნიშნები. ენა [>langage<] მუდამ ადამიანურ ინდივიდში იგულისხმება, რაც მცდარი თვალსაზრისია. ბუნება ქმნის არტიკულირებული ენისათვის [>langage<] ფორმირებულ [>organisé pour<] ადამიანს, მაგრამ ენას [>langage<] – არტიკულირების გარეშე. ენა [>langage<] სოციალური ფაქტორია. ინდივიდი, რომელიც ლაპარაკისათვის არის ფორმირებული [>organisé pour parler<] შეუძლია მხოლოდ მის ირგვლივ მყოფი ერთობის მეშვეობით მიაღწი-

³³ სავარაუდოდ, 1897; შეად. ენგლერი 1975 ა, გვ. 838.

³⁴ Cf. CLG/E(II), გვ. 16, N 5a, Nr. 3291.

* აფაზია – aphasie – მეტყველების უნარის არქონა.

** lallaphasie – ბურღლუნთან, სიმუნჯესთან დაკავშირებული.

³⁵ სავარაუდოდ, 1891-1894 წლები; შეად. ენგლერი 1975 ა, გვ. 838.

ოს <თავისი აპარატის> მოხმარებას, – რომ აღარაფერი ვთქვათ მისი მოხმარების მოთხოვნილებაზე, რომელსაც მხოლოდ ერთობასთან თავის ურთიერთობაში გრძნობს. ისე, რომ ეს მთლიანად დამოკიდებულია ამ ერთობაზე. მისი რასობრივი მნიშვნელობა მეორეხარისხოვანია (აღბათ, იმის გამოკლებით, რაც გამოთქმათა ზოგიერთ ნიშანს შეეხება). მაშასადამე, ადამიანი მთლიანად მხოლოდ იმის შედეგია, რასაც იგი თავის გარემომცველ სამყაროდან სესხულობს.

ენის [>langue<] სოციალური ფაქტორი შეიძლება იყოს წეს-ჩვეულებებთან შეგვედარებინა (კონსტიტუცია, სამართალი, ჩვეულებები და სხვა). ამისგან შორს დგას ხელოვნება და რელიგია, რომლებიც სულიერი მოვლენების რიგს მიეკუთვნება და რაშიც მნიშვნელოვან როლს პიროვნული ინიციატივა ასრულებს და რომელიც ორ ინდივიდს შორის აზრთა გაცვლას არ გულისხმობს. მაგრამ წეს-ჩვეულებებთან თავად ანალოგიები მეტად პირობითია. აქ მნიშვნელოვანი განსხვავებებია:

1. ენა [>langage<] ერთობის საკუთრებაა, როგორც ეს მიღებულია და შეესაბამება ინდივიდისათვის ბუნებისაგან ბოძებულ სპეციალურ ხმას. ამ თვალსაზრისით, ეს ფაქტი ანალოგიის გარეშეა.

2. ენა [>langue<] არის მისი უდიდებულესობა (par excellence) საშუალება, იარაღი, რომელმაც მუდამ და უშუალოდ <თავისი მიზანი და თავისი ქმედება> უნდა შეასრულოს: გასაგები რომ იყოს, ხალხთა ჩვეულებები (როგორცაა, მაგალითად, დღესასწაულები) ხშირად არაპირდაპირ მიზანს წარმოადგენენ და ეს იმიტომ, რომ ენის მიზანი, რომლის მიზანიც სიცხადის შეტანაა, ერთი უპირობო საჭიროებათაგანია ყოველი საზოგადოებისათვის, ყოველ შემთხვევაში იმ ვითარებაში, რომელშიც მას დღეს ვიცნობთ. აქედან დასკვნა, რომ ენის [>langage<] არსებობა ყოველი საზოგადოების დამახასიათებელი თვისებაა. მიგნება:

1. ენის [>langage<] არსებობა საჭიროა ყოველი ადამიანური ურთიერთობისათვის.

2. ენის [>langue<] სრული უწყვეტობა.

ა) ენის შეწყვეტა წარმოუდგენელია. არც ერთ ხალხს არ შეუძლია იმის წარმოდგენა, რომ ერთ ან ორ დღეში ლაპარაკს შეწყვეტს, თვით დიდ გადატრიალებათა დროს, როცა ყველაფერი დანარჩენი ნადგურდება.

ბ) ერთეულის ან ერთადერთის ინიციატივა. მრავლის შეუძლებელია, პირველ რიგში, გაუცნობიერებლობის [>inconscience<] გამო. გაცნობიერების შემთხვევაში შეიძლება მრავალის ინიციატივის მიღება, მაგრამ იგი მაშინვე შეწყდება იმ ფაქტის გამო, რომ ის თავისთავად გაუგებრობად იქცევა. ხანდახან შეიძლება შეგვხვდეს კიდევ იგი. ეს დაკავშირებულია ლექსიკოგრაფიულ განახლებებთან. მაშინ კი ხშირად საჭირო ხდება მასალების საერთო ენიდან [>langue<] გამოყენება. <არსებობს დანაკლისი, მაგრამ არაფერი იქმნება. ყველაფერი გარდაიქმნება.

გ. კურციუსი მე-5 გამოცემის მეთოდოლოგიურ ნაწილში, მეორე ნაწილის კომენტარი³⁶.

დ) ყველაფრის გაცნობიერებული ინიციატივა არის უსარგებლო, წარმოუდგენელი, უმაგალითო.

ასე ქმნის ენა [>langue<] ტრადიციას, რომელიც გამუდმებით იცვლება, მაგრამ რომლის გატყვევასაც ვერ შეძლებს ვერც დრო და ვერც მოლაპარაკე სუბიექტი, თუ იგი ამა თუ იმ მიზეზით არ გაქრა. იმ შემთხვევაშიც, თუ ხალხი

³⁶ გ. კურციუსი: ბერძნული ეტიმოლოგიის ძირითადი ნიშნები, მე-5 გამოცემა, ლაიპციგი, 1879.

უცხო ენას გადაიღებს, უწყვეტობის პრინციპი მაინც უვნებელი რჩება. ერთი ენა [>langue<] გაქრა; მაგრამ ის, რომელიც ~~განაგრძოს არსებობას~~ <გაიმარჯვებს>, ასევე უწყვეტია. თუ ენა [>langue<] არსებობს, არ შეიძლება იმისი თქმა, თუ რამდენ ხანს იარსებებს იგი, მაგრამ დარწმუნებული კი უნდა ვიყოთ, რომ მას დროის იმ სიღრმეებისაკენ შეუძლია უკუსვლა, რამდენხეც მას ამის შესაძლებლობა ექნება და რომ იგი თავის მასალას დაუსაბამო დროიდან წამოიღებს, როგორც ყინულის მორენებს.



<არატიპური მყინვარი მართლაც კარგი შედარებაა მსგავსი სახის [>congèneres<] იდიომისათვის, რომელიც საერთოდ წარმომავლობის, ახალი ელემენტების, დროით გაპირობებული განსხვავებების და ორგანული სიცოცხლის დავიწყებული ელემენტების ათვისების საშუალებას იძლევა>.³⁷

№7³⁸ „მორფოლოგია“

1. მორფოლოგია, როგორც ამბობენ, არის ენის [>langage<] ფორმების კვლევა მაშინ, როდესაც ფონეტიკა ენის [>langage<] ბგერების კვლევას წარმოადგენს. მაგრამ ამგვარი დეფინიციით ვერ დავეკმაყოფილდებით არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც, რადგან ხშირად ისეც ხდება, რომ აღარ ვიცით, მორფოლოგიასთანა გვაქვს საქმე თუ ფონეტიკასთან და ამაში ჩვენ აქვე დავრწმუნდებით:

ჯერჯერობით აშკარაა, რომ ფონეტიკა, რომელიც ბგერებს შეისწავლის, იმისათვის, რომ ამის საშუალება მიეცეს, უპირველეს ყოვლისა, იძულებულია, ფორმებში გაერკვეს. ბგერები ერთი თაობიდან მეორეს იზოლირებული სახით კი არ გადაეცემა, არამედ არსებობენ, ცოცხლობენ და იცვლებიან მხოლოდ სიტყვათა წიაღში. ასო-ბგერა s ჯერ ცალკე კი არ გამოითქმოდა, ჯერ გამოითქმებოდა serpō, sedos და შემდეგ – herpō, hedos. ხოლო, თუკი მე ვამბობ, რომ herpō წარმოიშვა serpō-საგან, ამ დროს მხოლოდ და მხოლოდ ფონეტიკის სფეროში ვიმყოფები. ისევე, როგორც, თუ ვიტყვი, რომ w-ზე დამთავრებული ზმნის პირველი პირი აღრიხდელ omi-ზე დამთავრებული პირველი პირისაგან ვერ წარმოიქმნებოდა.

მეორე მხრივ კი, მორფოლოგია, რომელიც მხოლოდ ფორმებს შეისწავლის, ხანდახან ბგერათა სფეროშიც იჭრება. მაგალითად, თუ ვიტყვი, რომ ბერძნულ o-ს e-სთან და a-სთან შენაცვლება შეუძლია: λοιοσ, λεον, მაგრამ ἄγω და

³⁷ Cf. CLG/E(II), გვ. 16, N 6, Nr. 3292.

³⁸ შესავალი ლექციისათვის მორფოლოგიის შესახებ. სავარაუდოდ "Etude de la déclinaison grecque" 1894-1895 წლებისა; შეად. ენგლერი 1975 ა, გვ. 838.

არა ბუ-, <მაშინ მორფოლოგიასთანა მაქვს საქმე>. ისიც მართალია, რომ ზემოხსენებული მაგალითი, ცუდი დეფინიციის გამო, ზოგიერთთათვის ფონეტიკის სფეროა. მაგრამ შემდეგ მაგალითში გამოჩნდება, რომ არაფერია იმაზე უფრო მცდარი და საშიში, ვიდრე ის, რომ ამგვარი ფაქტი ფონეტიკურ მოვლენად მივიჩნიოთ.

ამგვარად, სულაც არ არის ადვილი, როგორც ჩვენ ეს ხანდახან წარმოგვიდგენია, რომ ეს ორი სფერო ერთმანეთისაგან დავაცალკევოთ და ვთქვათ: ერთია ბგერათა კვლევის სფერო და მეორე – ფორმათა (კვლევის სფერო). ამ გზით ვერ მივალწვეთ დამაკმაყოფილებელი დემარკაციის ზღვარს, მაგრამ ეს გამყოფი ხაზი (Demarkationslinie) ძალზე საჭიროა იმისათვის, რომ დასანანი გაუგებრობები თავიდან ავიცილოთ. – მიმართულების მაჩვენებელი პრინციპი: ყოველთვის, როცა ერთსა და იმე ფორმას დიდი დროის მონაკვეთში განვიხილავთ, საქმე გვაქვს ფონეტიკასთან და ყოველთვის, როცა სხვადასხვა ფორმას დროის ერთ მცირე მონაკვეთში განვიხილავთ, საქმე გვაქვს მორფოლოგიასთან.

ძველი ჰოს დოიჩი zug zugī – (ძველი სალიტერატურო გერმანული)
ახალი ჰოს დოიჩი zug züge – (ახალი სალიტერატურო გერმანული)

zugī და züge ერთმანეთს რომ შევადაროთ, ნიშნავს ორი ფორმის შედარებას და მაინც გამოდის, რომ საქმე გვაქვს არა მორფოლოგიასთან, არამედ ფონეტიკასთან. u და ü zug-სა და zügi-ს შემთხვევაში რომ შევადაროთ ერთმანეთს, ნიშნავს ორი ბგერის შედარებას და, მიუხედავად ამისა, ეს მაინც ფონეტიკა არ არის.

ფონეტიკური სფერო	ekwos	ekwon
	ἔκωσ	ἔκωυ
მორფოლოგიური სფერო		

გავრცელებულ გამოთქმებში ეს ორი სფერო ერთმანეთში ირევა:

chanter ეტიმოლოგიურად განეკუთვნება chanter-ს,
“ “ “ cantor
ფედოს მომდინარეობს ფედა-დან
“ “ bhoros-იდან

<შენიშვნა: ეტიმოლოგია, რომელსაც ხანდახან ენათმეცნიერების ერთ განშტოებად მიიჩნევენ, კვლევათა არანაირი ჯგუფს არ განეკუთვნება და კიდევ უფრო ნაკლებად – ფაქტების ჯგუფს. ეტიმოლოგიური კვლევისას საჭირო იქნება, გარკვეული თვალსაზრისით, ფონეტიკური და მორფოლოგიური ცოდნის ჩართვაც.

coucher	
coulchier	
collocare	colligo, locare

ფონეტიკის მეშვეობით შესაძლებელი ხდება, სიტყვას დაკვირვებით მივადევნოთ თვალი იმ ეპოქამდე, რომელშიც შესაძლებელი იქნება მისი მორფოლო-

გიური ანალიზი. ხანდახან მორფოლოგია მხოლოდ ჩვენი წარმოსახვის სფეროში იწვევს ცვლილებას: le barreau – აშად.>

2. ეს ჯერ კიდევ არ ჰყენს ნათელს იმას, თუ, სახელდობრ, რას წარმოადგენს მორფოლოგია:

დეფინიცია: მორფოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ბგერათა ერთობას, რომელიც წარმოსახვის ერთ ნაწილს შეესაბამება და ახდენს ამ ერთობის დაჯგუფებას.

ფონეტიკა არის მეცნიერება, რომელიც, ფიზიოლოგიური და აკუსტიკური ნიშან-თვისებებიდან გამომდინარე, ბგერათა ჯგუფებს (ერთეულებს) შეისწავლის. მორფოლოგიის ნამდვილი სახელი იქნებოდა ნიშანთა და არა ფორმათა თეორია.

ა) როგორ მოხდა, რომ ამ დეფინიციის მიხედვით, მორფოლოგია, როგორც ბუნებრივი დარგი, მხოლოდ იმას გულისხმობს, რაც ერთდროულად ხდება, ხოლო ფონეტიკა იმას, რაც ერთმანეთის მიყოლებით. იმისათვის, რომ მორფოლოგიამ მოახდინოს ყოველი ნიშნის დეფინიცია და განსაზღვრა იგივე სისტემის სხვა ნიშნებში, სჭირდება საყრდენი წერტილი. ბიონდ, როგორც ასეთი, მორფოლოგიურად აუხსნელია. როგორც კი ბიონდ-ს ბიონდ-იც მოჰყვება, მისი ანალიზი შესაძლებელი გახდება. ასე, ამგვარად, რასაკვირველია, ბიონდ, ბიონდ ერთი და იგივე სისტემას უნდა განეკუთვნებოდეს. ანდა: ენა [>langue<] მხოლოდ ბგერების, როგორც ნიშნების, მიხედვითაა გასაგები. კიდევ უკეთესი: ბიონდ თავის თანამედროვეთათვის არის გარკვეული წარმოდგენის (შინაარსის) მატარებელი, რომელიც არც ბიონდ-ისაგან, არც ბანდ-იდან და ასევე არც ბიონდ-ის ნაწილისაგან არ მომდინარეობს. ამ შემთხვევაში იგი წარმოგვიდგება, როგორც ნიშანი და მორფოლოგიას განეკუთვნება. ფონეტიკურად შემდეგი სიტყვების – ბიონდ, ბიონდ, ბანდ ანუ ერთი და იგივე დროის ფორმების თანაფარდობა შეუძლებელია, უკეთ იქნას გაგებულნი. ერთი რომელიმე ეპოქის ფონეტიკა ორმხრივი დებულებებით იფარგლებოდა. ფრანგული ფონეტიკის უპირველესი ამოცანაა, ძველ ფრანგულსა ან ლათინურზე შეგვიქმნას წარმოდგენა. ბ) <რატომ ხდება, რომ მორფოლოგია ხანდახან ბგერებს შეისწავლის? შესაძლებელია, ბგერა რაიმე აზრის მატარებელი იყოს>. ფონეტიკური ცვლილება და ბგერათა გარდასახვა.

3. ყოველი ფორმის ერთმანეთთან დაკავშირებას, რომელთაც რაიმე საერთო გააჩნიათ, მივყავართ ანალიზთან.³⁹

ბი / ინდ ბიონდ

ისმება კითხვა, რა შეესატყვისება ამ ანალიზს, რის მეშვეობითაც შეიძლება მისი დამტკიცება. ადრინდელი შედარებითი გრამატიკა ამ საკითხით თავს არ იწუხებდა. იგი სიტყვებს შლიდა ფესვების, ფუძეების [>thèmes<] – სუფიქსების და ა.შ. მიხედვით და ამ განსხვავებებს აბსოლუტურ ღირებულებას აძლევდა. ამ საქმეში იგი იმდენად კეთილი და დაუზარელი იყო, რომ თუკი კაცს „ბოპი და მისი სკოლა“ (Bopp und seine schule) წაკითხული ჰქონდა,⁴⁰ ნამდვილად დაიჯერებდა, რომ ბერძნები უხსოვარი დროიდან ფესვებით, ფუძეებითა და სუფიქსებით სავსე ჩემოდანს თან დაათრევდნენ და ნაცვლად იმისა, რომ სალაპარაკოდ სიტყვები გამოეყენებინათ, მათი გამოგონებით იყვნენ დაკავებული, [] <კერძოდ>, ბერძნებს ისეთი სიტყვა, როგორცაა patr – „მამა“ და ლათინებს კი შესაბამისად „pater“, <უბრალოდ ისე კი არ გამოუ-

³⁹ Cf. CLG/E(II), გვ. 17, N7, Nr. 3293.

⁴⁰ Cf. CLG/E(I), გვ. 417, N 7, Nr. 2772-2773.

გონებისათ>, არამედ აიღეს ფესვი pa <მფარველი> და დაუმატეს სუფიქრი ter; <ასევე სიტყვა δῶσιμα კი არა, არამედ აიღეს ფესვი δῶ, სუფიქსი σι და პირის ნიშნის დაბოლოება დაუმატეს>.

ასეთ სიმცდარეს უდიდესი და უსერიოზულესი რეაქცია უნდა მოჰყოლოდა, რეაქცია, რომლის ღოზუნგი მართებულად იქნებოდა შემდეგი: თვალყურის მიდევნება, თუ რა ხდება თანამედროვე ენებში [>langues<], როგორია სალაპარაკო ენები [>le langage de tous les jours<], რადგან ანტიკური პერიოდის ენებშიც სხვა არა ხდებოდა რა, თუ არა ის, რაც დღევანდელ ცოცხალ ენებში [>langage vivant<] ხდება.

დღესდღეობით კი ყოველი მორფოლოგია იწყება იმ განცხადებით, რომელიც, როგორც წესი, მიზნად ისახავს იმის თქმას, რომ ფესვი, ფუძე, სუფიქსი და ა.შ. წმინდა აბსტრაქციაა და რომ ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ჩვენი სულის ეს ქმნილებები რეალურად არსებობენ; 2. რომ იგი მაინც გამოყენებული იქნება, <რადგან>, გამოხატვის პრაქტიკული მიზეზის გამო, <მათზე უარს ვერ ვიტყვით>, მაგრამ <ამ გამოთქმებს>, თავისთავად ცხადია, მხოლოდ ის ფარდობითი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ, რომელიც მათ აქვთ.

შედეგი: მკითხველი სრულიად დაბნეულია, რადგან, თუ ამ კატეგორიების შექმნისათვის არანაირი მიზეზი არ არსებობს, რისთვისღა წამოვიწიოთ ისინი, ანდა რატომღა, რომ ჯყრძ-ის ჯყრძ-ვ-ად დაშლა <ნაკლებად მცდარი> იქნებოდა, ვიდრე ჯყრძ-ად რომ დაგვეშალა?

ახალი სკოლა ნამდვილად იმსახურებს საყვედურს, რადგან მან ფენომენების ბუნება კი შეიცნო [], მაგრამ გარკვეულწილად თავისი წინამორბედების სამეცნიერო აპარატით შებოჭილი დარჩა, რომლის მეშვეობითაც ნაკლის წარმოჩენა უფრო ადვილი იყო, ვიდრე დადებითი მნიშვნელობის დადგენა.⁴¹

<აქვე მსურს ჩემი აზრი გამოვთქვა, რომელიც, ცოტა არ იყოს, მწვალებლურად უღერს> მცდარი იქნებოდა, გვეთქვა, რომ ისეთი ასპექტები, როგორიცაა ფესვი, ფუძე და სუფიქსი წმინდა აბსტრაქტული რამ არის.

უწინარეს ყოვლისა, ვიდრე აბსტრაქტულზე <დავიწყებდეთ> ლაპარაკს, საჭირო იქნება, მყარი კრიტერიუმის განსაზღვრა, რომელიც დაეყრდნობა იმას, რასაც მორფოლოგიაში რეალურს უწოდებენ.

<კრიტერიუმი> რეალური არის ის, რაც მოლაპარაკე სუბიექტებს გარკვეულ დონეზე შეგნებული აქვთ; ყველაფერი, რაც შეგნებული აქვთ და სხვა არაფერი, გარდა იმისა, რაც შეიძლება, შეგნებული ჰქონდეთ. ასე რომ, მოლაპარაკე სუბიექტები ენის ფონდში [>état de langue<] არსებულ ერთეულებში გარკვეული არიან. <იგულისხმება მნიშვნელობის მატარებელი ერთეულები>, რომლებიც სიტყვაზე უფრო მოკლენი [>inférieures<] არიან.

მაგალითად, ფრანგულში ცნობილია ელემენტი -eur, რომელიც, თუ განსაზღვრული ფორმით გამოვიყენებთ, იმაში დაგვეხმარება, რომ მოქმედების დამწყებები (ინიციატორი) აღვნიშნოთ: graveur, penseur, porteur.

<კითხვა> რა ადასტურებას ენის [>langue<] არსებითი ანალიზის დროს ამ ელემენტის იზოლირებას?

<პასუხი> ისევე, როგორც ყველა მსგავს შემთხვევაში, ახლაც ესენი ნეოლოგიზმები, ანუ ფორმებია, რომლებშიც ენის [>langue<] აქტიურობა ერთი უნაკლო ფაქტორიდანაც ჩანს: men – eur, os – eur, recommenz – eur. <მეორე მხრივ, იგივე წარმონაქმნები გვიჩვენებენ, რომ ისეთი ელემენტები, როგორიცაა men-

⁴¹ Cf. CLG/E(I), გვ. 418, N 7, Nr. 2772-2773.

მორალი: კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ მორფოლოგია განსხვავებულ ეპოქებს <ვერასდროს> ვერ დააკავშირებს და ვერც მათ ერთმანეთში შერევას მოახერხებს, რადგან მისი მოქმედების არე მხოლოდ ეპოქის შიგნით არის მოქცეული, წინააღმდეგ შემთხვევაში ფონეტიკური და მორფოლოგიური ფაქტები ერთმანეთში აირედნენ. ვერ ვიტყვით, რომ ეს გავრცელებული აქტი არ იყოს, იმას კი ვიტყვი, რომ ეს აქტი უგულვებელსაყოფია.⁴⁴

[...]

<6. ენის [>langue<] მორფოლოგიური ცვალებადობა ან მორფოლოგიური მოძრაობა ითხოვს შემდეგ შენიშვნას:>

როგორც უკვე დავინახეთ, <ახალი ფორმების გამოჩენისას> ხდება უკვე არსებული ფორმების დეკომპოზიცია, ხოლო არსებული მასალის მეშვეობით, რომელიც ადრეული ფორმებისაგან მომდინარეობს, ხდება სხვა ფორმების რეკომპოზიცია. სიტყვა βῆλεσσι-ს ინსტინქტურად ვყოფთ βῆλ-εσσι-დ და ამ შედეგს ვიყენებთ იმისათვის, რომ სიტყვა ἄῤῥεσσι შევქმნათ. მაგრამ ენა ვერასდროს შეძლებს არაფრისაგან <და ნამდვილი შემოქმედებითი აქტის საშუალებით> რაიმე ფორმის შექმნას. ახალი ფორმის ელემენტები ყოველთვის უკვე არსებული ფონდიდან წარმოიქმნებიან, რადგან ეს ფონდი <შედეგება> სიტყვებისაგან და არა სუფიქსების, ფესვებისა და ა.შ. ახალი სიტყვების შექმნას ყოველთვის სჭირდება <ქმედითი> და ფარული დეკომპოზიციური სამუშაო. როგორ შორეულ წარსულშიც არ უნდა მოვიძიოთ, ვერ აღმოვაჩენთ სხვა ნაღდ და თეორიულად მისაღებ ხერხს. ყველაზე შორეულ წარსულში არსებულ ინდოევროპულ ენასაც იგივე სახის განვითარება ექნებოდა, როგორც ბერძნულს ან ფრანგულს. იმდენად, რომ ის ფორმები, რომლებიც ახალი წარმონაქმნების საფუძველს წარმოადგენდნენ, თავის მხრივ, სხვანაირად ვერ იწარმოებოდნენ, თუ არა სხვა ფორმების <მეშვეობით>, რომლებიც ენის [>langue<] ანალიზს ახდენდნენ.

ამგვარად, ნათელი ხდება, თუ რა <მართებული> მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს მიერ გაკეთებულ დასკვნებს. სწორედ ამის მიღწევა მინდოდა. მაგალითად, თუ ვიტყვით, რომ ფუძე bher-ს სუფიქს tor-ს და მრავლობითი რიცხვის ნომინატივის დაბოლოება -es-ს დაუმატებთ, რათა bhetores – „die träger“ – „მიიღავი“ მივიღოთ, როგორც იტყვიან, არც თუ ისე დაშორებული ვიქნებით ლინგვისტურ-ენობრივი ჭეშმარიტებისაგან. <აქაც სკოლის დაბნეულობა იჩენს თავს> []>

<ჩემი შეფასებით, აქაც უმჯობესი იქნებოდა, ძველი სკოლის ცნობილ აბსტრაქციებზე გვეფიქრა და გაგვერკვია, რამდენად სწორსა და რეალურს წარმოადგენენ ისინი, ვიდრე მთელ ამ თეორიაზე იმიტომ გვეთქვა უარი, რათა მოგვიანებით პრაქტიკაში ისევ ამ გზას დავვდომოდით. აქ საკმარისი იქნებოდა ამ გრამატიკულ ხელოვნურობაში ერთი უბრალო კორექტივი შეგვეტანა, რათა მას ლეგიტიმური და ზუსტი აზრი მისცემოდა.

ჩვენეული სინთეზი არსებითად არ განსხვავდება ენის სინთეზისაგან, მხოლოდ ენამ [>langue<] ანალიზით დაიწყო (კაცმა რომ თქვას, ისევე, როგორც ჩვენ). მან უკვე თავის ხელთ არსებული მარაგიდან დაიწყო განვითარება. ასე, მაგალითად, ჩვენს შემეცნებაში არსებულ bher-ს დაემატა ასევე ჩვენს შემეცნებაში არსებული ელემენტები tor-ი და es-ი და მათი ზოგადი მოდელის მიხედვით განლაგდა (agencement) და დაიწყო შემდგომ ფუნქციონირება. შესაძლოა, თავიდან იყო mentores – „მოაზროვნე“ ან wektores – „მოლაპარაკ-

⁴⁴ Cf. CLG/E(II), გვ. 18, N 7, Nr. 3293.

კე“, მეორე მხრივ კი *blerō*, *blernos* და ა.შ... იმ ელემენტებს, რომლებსაც ჩვენ გამოვყოფთ და რომელთაც <ფიქტიურად> დამოუკიდებელ არსებობას ვანიჭებთ, ცოცხლობენ მხოლოდ წარსული ფორმების წიაღში და მხოლოდ იქ შეიძლება, წარმოქნილიყო ენის შემდგომი განვითარების საფუძველი.⁴⁵ ვერ გავიზიარებ იმ აზრს, რომ ერთ მშვენიერ დღეს სიტყვა *can-*ი ფესვების გარკვეული რეპერტუარიდან ამოიღეს და გადაწყვიტეს, მისთვის *-ere* დაერთოთ. უჭკველია, რომ *can-*ი ყოველთვის, როგორც *canare-*ს, *cano-*ს, *canto-*ს ელემენტი, არსებობდა. მაშასადამე, კიდევ ერთხელ ვიკითხოთ: რა არის ამ ანალიზის პასუხი? შესაძლებელია თუ არა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, იმის მიხედვით გამოჩნდება, ჩაგულრმაგვით თუ არა ზოგად ფაქტებს. თანამედროვე სკოლამ ენის ფენომენის ნამდვილი ბუნება <სრულად შეაფასა>, მაგრამ ძალზე უუნარო აღმოჩნდა ის ურთიერთობა დაედგინა, რომელიც ენის კატეგორიებსა და რეალურ ფაქტებს შორის არსებობს. ძალზე ადვილია იმის თქმა, რომ ფესვის ან ფუძის მნიშვნელობა მოძველებულია: ცხადია, ეს აბსტრაქციებია. ენა [*langage*<] არ იცნობს არავითარ ფუძეებს, <პრეფიქსებსა> თუ ფესვებს. მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმას, რომ ამ თერმებს რაიმე შესატყვისობები გააჩნდეთ. <ადამიანი დეზორიენტირებულია, როდესაც კავშირებს ვერ ხედავს> და სულ ავიწყდება, გვითხრას, თუ რა თვალსაზრისით არიან ისინი (თერმები) მცდარი ან სწორი, ან რამდენადაა ჩვენი ანალიზი პოზიტიური ფაქტი, რომელიც ენასთან [*langage*<] თანახმიერობაში იქნებოდა. <მნიშვნელოვანი პრინციპი> ის, რაც მოცემული ენის [*état donné du langage*<] პირობებში რეალურია, ისაა, რაშიც მოლაპარაკე სუბიექტები დარწმუნებული არიან. <ესაა ის, რაშიც დარწმუნებული არიან და არა ის, რაშიც ისინი შეიძლება დარწმუნებული იყვნენ.> მაშასადამე, 1. ყოველი ენის შესაძლებლობებიდან [*état de langue*<] მოლაპარაკე სუბიექტებს გაცნობიერებული აქვთ მცირე ერთეულების, როგორც სიტყვის ერთეულების, არსებობა. მაგალითად: ვიცით, რომ ფრანგულ ენაში ნაწილაკ *-eur-*ს, რომლის წარმომავლობას მნიშვნელობა არა აქვს, შეუძლია, შემდეგი მოქმედებითი სახელები შეადგინოს: *grav – eur*, <*chant – eur*>, *sav – eur*. ამ ცოდნის საფუძველზე კი შეგვიძლია ნეოლოგიზმების შედგენა: *os – eur*, *sabr – eur*, *men – eur*. ამავე დროს ვხედავთ, რომ ელემენტი *os-* და ელემენტი [] უკვე გაცნობიერებული გვაქვს. 2. ის გზა, რომელსაც ვადგავართ, როცა *-eur-*ს ან *os-*ს ვიყენებთ, დანამდვილებით <საკმაოდ> განსხვავდება იმისაგან, რაც ზოგადად ანალიზის საფუძველზეა მიღებული. არ ვამბობთ, რომ ნაწილაკ *os-*ს ვუკავშირებთ ნაწილაკ *-eur-*ს, არამედ ვმოქმედებთ პროპორციების მეშვეობით: <*je grave*, ან> *graveur*: *graveur* = <’*ose* თუ *oser*>: *x*; *x*=<*oseur*>. შესაბამისად, ეს ყოველთვის იქნება შედგენილი სიტყვა, რომელიც ძირითადი ერთეულია. მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის, შედგენილი სიტყვა გაუცნობიერებლად იგივე ანალიზს დავუქვემდებაროთ, რომელსაც ლინგვისტები იყენებენ. ჩვენ გამოვყოფთ ერთ რომელიმე ბგერას, რომელიც ამა თუ იმ წარმოდგენასთან არის დაკავშირებული, ვთქვათ, როგორცაა: *oser*, *penser* და კიდევ ერთ რომელიმე სხვა ბგერას, რომლის დანიშნულებაცაა გამოყოს სიტყვის <განსაზღვრული> კავშირი ამ წარმოდგენასთან. ესაა მორფოლოგიური ანალიზის დანიშნულება. თუკი ვამბობ, რომ <*chanteur*> მე-19 საუკუნეში *chant+eur-*ად დაიყო, მაშინ ვეთანხმები ენის შეგრძნებას [*sentiment de la langue*<], <რაც ახალ წარმონაქმნებში თავის

⁴⁵ Cf. CLG(E/I), გვ. 419, N 7, Nr. 2779-2780.

კვალს ტოვებს და, თუკი ვიტყვოდი, რომ ეს chant+eur-ად იყოფა, ჩემს ანალიზს არანაირი შესაბამისობა არ ექნებოდა.>

3. ახლა კი თავად უდიდესი ფაქტი: ის, რომ, კერძოდ, ანალიზები, რომლებიც თავად ენის [>langue<] ერთ გარკვეულ მომენტს ასახავენ, მაინცდამაინც არ შეესაბამებიან იმ ანალიზებს, რომლებიც მას (ენას) უწინდელ მდგომარეობაში განიხილავენ. სხვა მიზეზების გვერდით (შეიძლება დავასახელოთ) შემდეგი ფონეტიკური ცვლილებები: ასე, მაგალითად: chant/eur, მაგრამ ასევე can/tor (ან can / torem). რატომ? იმიტომ, რომ – atorem ფონეტიკურად – orem-ს შეერია იმდენად, რომ <labour, labourer-ის მაგალითის მიხედვით>, chanteur-სა და chanter-ს შორისაც იმ ურთიერთობას ვამკვიდრებთ, რასაც ლათინები can – tor-სა⁴⁶ და can-tare-ს შორის ვერ ამკვიდრებდნენ. აქედან გამომდინარე, ყველაფერი დამოკიდებულია ერთ მოცემულ ეპოქაზე. ნათესაური ფორმების ორმხრივ სიტუაციებზე. ზოგადად, ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ დროის ერთ გარკვეულ მონაკვეთში.⁴⁷

№ 848 "მეცნიერულ გრამატიკათა დაყოფა"

XIII. უადრესად სახალისო საყურებელია, თუ როგორ იყოფა ერთი რომელიმე ენის [>langue<] (მეცნიერული) გრამატიკა. პირველად მოდის <ფონეტიკა> (გერმანულად ბგერათმცოდნეობა), მერე – მორფოლოგია (გერმანულად ფორმათმცოდნეობა). სრულიად ბუნებრივი პროცესია, არა? ჯერ ბგერები, მერე ბგერათკავშირები; ჯერ მარტივი, მერე შედგენილი; ყველაზე საოცარი კი ის არის, <რომ ვიღაცას> ეს სჯერა!

როგორ იქნება ფონეტიკა რომელიმე ენის [>langue<] გრამატიკის ნაწილი, თუკი იგი იკვებება მხოლოდ იმით, რაც გრამატიკამდე იყო? თუკი მოვინდომებ ვულფილასის, ან "როლანდის სიმღერის" ენათა [>langue<] ფონეტიკის შექმნას და ჩემს თავს ავუკრძალავ ამ ეპოქებიდან გამოსვლას (რასაც მორფოლოგიის შედგენისას ვაკეთებ ხოლმე), მაშინ უბრალოდ ერთი სიტყვის თქმასაც კი ვერ მოვახერხებ მათი ფონეტიკის შესახებ. იმას, რასაც მათი ფონეტიკა ჰქვია, თავისი სივრცე აქვს მხოლოდ წარსულში და თვით ამ ენათა გარეთ, მხოლოდ იმ გარკვეულ პროდუქტთან მიმართებაში, რასაც მე <წარსულში> ვიხელთებ, <თუმცა იგი არ ეხება ამ ენის ორგანიზმს>.⁴⁹

⁴⁶ Cf. CLG/E(I), გვ. 19, N 7, Nr. 3293.

⁴⁷ Cf. CLG/E(I), გვ. 20, N 7, Nr. 3293.

⁴⁸ სავარაუდოდ 1894-95; შეადრ. Engler 1975 ა, გვ. 838.

⁴⁹ Cf. CLG/E (II), გვ. 21, N 8, Nr. 3294.

N 9.1. 9.2. 9. 3⁵⁰ "ჩანაწერები წიგნისათვის
ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ"

№ 9.1. საწყისი წერტილი

~~საჭიროება იმისა, რომ ენის [>langue<] თეორიის მთავარი ძალისხმევა მიემართოს პირველი განსხვავებულობების დასაფიქსირებლად, დგინდება შემდეგნაირად: როგორც იტყვიან, არ იწერება არც ერთი სტრიქონი, რომელშიც ენის ფაქტები [>faits-de-langage<] არ იქნებოდა წარმოდგენილი მატერიის სახით.~~

რადგან ენა [>langage<] <თავისი თვითგამოვლენის არც ერთ ფორმაში> არ გვთავაზობს <რაიმე> <მატერიას სუბსტანციას>, არამედ მხოლოდ ფიზიოლოგიური, ფიზიკური თუ მენტალური ძალების კომბინირებული ან იზოლირებული აქციების სახით წარმოდგენას და რადგანაც, ამის მიუხედავად, მთელი ჩვენი ტერმინოლოგია, ~~ლაპარაკის მანერა მაინც მისადაგებულია ენის, როგორც მატერიის წარმოსახვაზე~~ [>L'idée du langage-matière<] მაინც იქმნება ამგვარი <სუბსტანციის> <წინასწარგანუზრახველი> ვარაუდის საფუძველზე, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ენის [>langue<] თეორიის მნიშვნელოვანი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ რამენაირად გამოასწოროს ის არეულობა, რასაც ჩვენს მიერ ჩატარებული პირველი დაყოფა თავის თავში მოიცავს. ჩვენ ვერ ვაღიარებთ, რომ ყველას აქვს ისეთი თეორიის შექმნის უფლება, რომელშიც შევიდოდა ეს სადეფინიციო სამუშაო, თუმცა ასეთი კომფორტული ქცევა, <როგორც ჩანს, აქამდე სრულიად აკმაყოფილებდა ენათმეცნიერულ პუბლიკას>.⁵¹

როცა ენიდან [>langage<] იღებენ იმას, რაც მასში <ერთდროულად> ყველაზე მატერიალურიც, მარტივიც და დროისგან დამოუკიდებელიცაა, მაგალითად, "aka ჯგუფს", ან "a ხმოვანს", და რომელიც მათ გამოყენებასა და მნიშვნელობაზე ყოველგვარი წარმოდგენის გარეშე უკვე თავიდან მოშორებულია, ეს სხვა არაფერია, თუ არა <ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურ> აქციათა რიგი, რომელსაც ჩვენ ვაფასებთ, როგორც თანმხვედრს. როგორც კი მათ თანმხვედრად ვაფასებთ, ზუსტად იმ მომენტში aka-სა და a-სგან ჩვენ ვქმნით სუბსტანციას. თუმცა <ჩვენ ვერ შევძლებთ იმის განსაზღვრას, თუ რა ღირებულება გააჩნია ამ სუბსტანციას, თუ არ გავაცნობიერებთ იმ თვალსაზრისს, რომლის სახელითაც ჩვენ ის შევქმენით>. <არასდროს> არავის არა აქვს იმის უფლება, ენის [>langage<] რომელიმე მხარე მიიჩნიოს <წინამორბედად> და სხვა მხარეებზე უფრო მნიშვნელოვნად, თვით ამოსავალ წერტილადაც კი. საამისო უფლება იარსებებდა, რომ არსებულიყო რომელიმე ისეთი მხარე, რომელიც იქნებოდა სხვა მხარეთა გარეთ, ანუ ჩვენი მხრიდან წარმოებული ყველანაირი განზოგადობისა თუ აბსტრაგირების ოპერაციის გარეთ; მაგრამ მცირეოდენი დაფიქრებაც კი კმარა იმის დასაზარად, რომ არ არსებობს ისეთი მხარე, რომელსაც ეს პირობა მიესადაგებოდა.⁵²

მაგალითად, შეიძლება გვეგონოს, <რომ ყველას აქვს უფლება> <ამოვიდეს> ბგერითი ფიგურებიდან, მაგალითად ბგერითი ფიგურიდან [.]. ბგერითი ფიგურა cantare-ს <იდენტურობა> <მაგალითად, ისეთ სიტყვასთან, როგორიცაა kantare ჰოტენტოტურად> წარმოდგენს ფაქტების კლასიფიკაციის უფრო სხვაგვარ მეთოდს, ვიდრე cantare/chantare-ს იდენტურობა, ან იდენტურობა

⁵⁰ სავარაუდოდ 1894; შეადრ. Engler 1975 a, გვ. 838 f.

⁵¹ Cf. CLG/E (I), გვ. 276, N 9.1, Nr. 1976-1977.

⁵² Cf. CLG/E (I), გვ. 26, N 9.1, Nr. 132.

თავად სიტყვისა *cantare*, რომელიც რაღაც განსაზღვრულს აღნიშნავს; მაგრამ ეს მაინც არის ამ გზაზე სიარულის სხვადასხვა მეთოდი.

– ჩვენ იმდენად სხვადასხვაგვარი გზით მივედით ნებისმიერ იმ საგანამდე, რომელსაც ჭეშმარიტებად აღვიქვამთ, რომ იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ არც კი ვიცით, თუ რომელი გზაა ყველაზე უკეთესი. იმისათვის, რათა ყველა ჩვენი შემოთავაზების შესაბამისი პრეზენტაცია შევძლოთ, აუცილებელია ერთი ისეთი ამოსავალი წერტილის პოვნა, რომელიც იქნებოდა მყარი და განსაზღვრული. მაგრამ ყველაფერი, რის გამორკვევასაც ჩვენ ვცდილობთ, საბოლოოდ მაინც მიდის იქამდე, რომ ლინგვისტიკაში არ შეიძლება ერთადერთი, როგორც თავის თავში განსაზღვრული ფაქტის მიღება. <მაშასადამე> მართალია ყოველგვარი ამოსავალი წერტილის <გარდაუვალი> არსებობა და თუკი რომელიმე მკითხველს მართლაც უნდა, რომ ჩვენს ნააზრევს თავიდან ბოლომდე მიადვენოს თვალი, უნდა მიხედეს, რომ ჩვენ გვწამს, რომ შეუძლებელია მუდმივად მტკიცე წესრიგის დაცვა. ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ, დაახლოებით სამ-ოთხჯერ და სხვადასხვა ფორმით, მკითხველსაც შევუქმნათ იგივე წარმოდგენა, რადგან მართლაც არ არსებობს სხვა ისეთი ამოსავალი პუნქტი, რომელიც არგუმენტაციის პროცესში სხვებზე უკეთ გამოგვადგებოდა.⁵³

<პატარა ასოებით დაწერილი> – იმ მომენტში, როცა ჩვენ ბგერითი ფაქტების სფეროში შეზღუდვის გადაწყვეტილებას ვიღებთ, გვანტერესებს, არსებობს კი სხვა რომელიმე სფეროში რაიმე ისეთი, რაც მანამდე უკვე <განსაზღვრული> იყო? აბსოლუტურად არაფერი. სადმე რამე გაპირობებული <რომც> არსებულყოფი, იქნებოდა კი ეს გაპირობებულობა <გადაწყვეტი ან> ვარჯის ბგერითი სფეროსათვის? არც ერთი წუთით. შეგვიძლია კი ჩვენ, მაგალითად, იმაზე ვიფიქროთ, რომ, როცა ვლაპარაკობთ ბგერით ფიგურაზე *hippos*, წინასწარ შევიცნობთ ისეთ რამეს, რაც არის ბერძნული სიტყვა *ἵππος* და რომელსაც ჩვენ მოგვიანებით თავის იმ ასპექტში განვიხილავთ, როგორცაა ბერძნულენოვანებში *hippos*? არავითარ შემთხვევაში. ამის დაშვება ნიშნავს იმას, რომ აუკეთ ენაში მოცემულ ფორმაციათა საბუდისწერო ილუზიებს. ჩვენ მიემართავენ არა მარტო იმის სრულ იგნორაციას, თუ რა შეიძლება იყოს ბერძნული სიტყვა *ἵππος*, არამედ ხეირიანად იმასაც ვერ ვასაბუთებთ, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ბგერითი ერთეული *hippos*. მაგალითად, როცა ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ვიცით, თუ <რომელი ფორმულია> <უნდა მიესადაგოს> *ν*-ს მნიშვნელობას ბერძნული სისტემის ფარგლებში, ასევე *nu*-ს მნიშვნელობას ფრანგულში, ჩვენთვის ცხადია, რომ ბგერითი ფიგურა *ni* <იარსებებდა> ყოველგვარი მნიშვნელობის, იდიომის, ადგილის, დროისა თუ პირობის გარეშე. იმის ცოდნის გარეშეც კი, ბერძნულ სიტყვას შეესაბამება იგი თუ ფრანგულს. იგი არსებობს, რადგან ჩვენ იგი თავისი თავის იდენტურად გამოვაცხადეთ.⁵⁴

მაგრამ ჩვენ ვერ გამოვაცხადებთ მას თავისი თავის იდენტურად იმის გარეშე, თუ <უსიტყვოდ> არ დავეყრდნობით ერთ თვალსაზრისს: სხვა შემთხვევაში ჩვენ შეგვეძლო ასეთივე წარმატებით გამოგვეცხადებინა *cantare* : *chanter* თავისი თავის იდენტურად. მაშასადამე, იმისათვის რომ *ni*-ს არსებობა ყვირილით გამოვხატოთ, ჩვენ უსიტყვოდ ვეყრდნობით ყურის მიერ გამოტანილ იდენტურობის მსჯავრს, ზუსტად ისევე, როცა *chantare*-*chanter*-ის <მართებული არსებობის> დასამტკიცებლად ვეყრდნობით იდენტურობის იმ სახეობას, რაც გამომდინარეობს მსჯავრთა სულ სხვა სახეობიდან; მაგრამ არავითარ

⁵³ Cf. CLG/E (I), გვ. 25, N 9.1, Nr. 128.

⁵⁴ Cf. CLG/E (I), გვ. 24, N 9.1, Nr. 126.

შემთხვევაში არ ვწყვეტ სულის <უაღრესად პოზიტიური> ოპერაციით სარგებლობას: საგანთა ამ ილუზიას, რომ თითქოს ისინი ენაში [>language<] ბუნებრივად არსებობდნენ, ამას ხომ ძალიან ღრმად აქვს ფესვები გადგმული.⁵⁵ მსჯელობის პირველი სახეობა: "არსებობს cantäre ლათინურში". მერე კი <იწყება სხვა> სხვა «თვალთახედვიდან...»; მაგალითად, ეს cantäre, იმ ბგერითი ფიგურის "თვალთახედვიდან", რომელიც მას წარმოადგენს, იდენტურია ამა თუ იმ კაფრული თუ სამო-ჯედიშური სიტყვისა: ამ ფიგურის სისტემატური გაგრძელების "თვალთახედვიდან" კი იგი არის ფრანგული სიტყვა chanter-ის იდენტური; მისი ლათინური მნიშვნელობის "თვალთახედვიდან" []; ყოველივე ამის შემდეგ ამჩნევ, <იმისათვის>, რომ cantäre ამდენი ერთმანეთს მიყოლებული თვალთახედვიდან <განიხილო>, <რომლებიც თავის მხრივ ქმნიან სრულიად განსხვავებულ საგნებს>, პირველი წინაპირობა იქნებოდა იმის ცოდნა, თუ რაში მდგომარეობს ნამდვილი cantäre-, რაშია მისი არსებობის გარანტია, <ან უბრალოდ> მისი არსებობის <საფუძვლისეული> ფორმა. ამგვარად გადავიდეთ მსჯელობის მეორე სახეობაზე: ჩვენ ფაქტიურად ვადიარებთ, რომ არ შეიძლება, ითქვას: "არსებობს ლათინური cantäre", რადგან აბსოლუტურად შეუძლებელია იმის ცოდნა, თუ რასთან გვაქვს აქ საქმე, გარდა იმ თვალსაზრისისა, რომელიც უნდა ამოვირჩიოთ. მაშასადამე, ჩვენ ვირჩევთ ერთ თვალთახედვას, რომელიც გვიქმნის მტკიცე ბაზისს. ჩვენ <კატეგორიულად> ვაცხადებთ, რომ cantäre ჩვენთვის არის ბგერითი ფიგურა kantä-re: ხოლო ყველაფერი ის, რაც ამას შემდგომში დაერთვის, იქნება მხოლოდ ატრიბუტი. მსჯელობის მესამე და ჩვენთვის ერთადერთი მისაღები სახეობა: არ არსებობს არაფერი, ანუ არა მარტო ის არ არსებობს, რაც თვალთახედვის არეს მიღმა იქნებოდა წინდაწინ განსაზღვრული, არამედ ისეთი თვალთახედვაც, რომელიც სხვებზე უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა. ჯერ მხოლოდ თვალთახედვათა შედარებითი კრიტიკა არსებობს. თქმა იმისა, რომ არავის აქვს უფლება ილაპარაკოს ლათინურ cantäre-სა თუ [], შეიძლება ისეთი სასაცილო იყოს, ვისაც როგორ ენდომება, ან პირიქით წარმოადგენდეს სასაცილო სიცხადეს.

იდენტურობა	cantäre		cantäre
იდენტურობა	cantäre		cantäre
	აზრი და		აზრი და
	გამოყენება		გამოყენება
იდენტურობა	cantäre		cantäre

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სწორ თუ მცდარ ოპერაციათა ყოველი სახეობა (ამავე დროს გამოსარიცხია ნასესხობის ისტორიაც, რომელსაც ჩვენ გამოვტოვებთ) თავის ფორმულას ენასთან [>language<] მიმართებაში პოულობს იმ პრინციპთა დახმარებით, რომლებიც ჩვენ წამოვყენეთ. არსებობს იდენტურობის სხვადასხვა სახეობა. ეს არის ის, რაც იქმნება ლინგვისტურ/ენობრივ ფაქტთა <სხვადასხვა წესრიგის მიერ>. არ არსებობს ისეთი <ლინგვისტურ/ენობრივი ფაქტი>, რომელიც იქნებოდა <რაიმენაირ> იდენტურობათა კავშირს მიღმა. მაგრამ იდენტურობათა კავშირი დამოკიდებულია <ცვლად> თვალთახედვაზე, რომლის მიღების გადაწყვეტილებაც უნდა იქნას მიღებული; შესაბამისად, არ არსებობს ლინგვისტურ/ენობრივი ფაქტის ისეთი რუდიმენტიც, რომელიც იქნებოდა თვალთახედვის მიღმა და წინ გაუსწრებდა განსხვავებულობებს.⁵⁶

⁵⁵ Cf. CLG/E (I), გვ. 25, N 9.1, Nr. 129.

⁵⁶ Cf. CLG/E (I), გვ. 26, N 9.1, Nr. 129.

N 92. "თვალთახედვა"

ავიღოთ ერთი ისეთი ხმოვანი ფიგურა [>figure vocale<], როგორცაა <alka>, რომელიც ადამიანებს შორის გავრცელებისას ხდება ოკ. ამ შემთხვევაში რა აკავშირებს ამ ორ სიტყვას alka / ოკ ერთმანეთს? სად არის აქ რეალობასთან დაკავშირებული რამე თვალთახედვა, ან კავშირი ამოსავალ და საბოლოო ფაქტებს შორის? იმ დროს, როცა მე ვიღებ ფინალურ ტერმინ ოკ-სა და ამოსავალ ტერმინ <alka-ს, არსებობს კი ამ ორ საგანს შორის <პოზიტიური> კავშირი და რა შეიძლება ითქვას ამ კავშირის ბუნებაზე? ადვილი შესამჩნევია, რომ ეს ორივე საგანი წინასწარვე იყო დაკავშირებული ერთმანეთთან [>préexiste<] [].

<რაც უფრო> მეტად ვუღრმავდებით ამ მატერიას და ვეძლევიტ ლინგვისტურ-ენობრივ კვლევით სამუშაოებს, მით <მეტად> ვრწმუნდებით იმ ჭეშმარიტებაში, რომლის <დაფარვაც ამო იქნებოდა> და რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ის კავშირი, რომელსაც ჩვენ საგანთა შორის ვამყარებთ, იმაზე ადრე არსებობდა <ამ სფეროში>, ვიდრე თავად ეს საგნები და იგი ემსახურება მათ განსაზღვრებას.⁵⁷

სადაც არსებობენ საგნები, <მოცემული ობიექტები> და ყველას შეუძლია <მოგვიანებით> მათი განხილვა სხვადასხვა თვალთახედვიდან.⁵⁸ თავიდან აქ არსებობენ სხვადასხვანაირი თვალთახედვები, სწორი თუ მცდარი, <მაგრამ მხოლოდ ის თვალთახედვები>, რომელთა დახმარებითაც ვქმნით <მეორად> საგნებს. ეს ქმნილებები ან პასუხობენ რეალობას, თუკი ამოსავალი წერტილი სწორადაა შერჩეული, ან არა და ეს ხდება საპირისპირო შემთხვევაში: მაგრამ ორივე შემთხვევაში არ მოიპოვება ისეთი საგანი თუ ობიექტი, რომელიც <თუნდაც ერთი წამის მანძილზე იარსებებდა თავისთავად>. არც მაშინ, როცა საქმე ეხება ისეთ მატერიალურ ფაქტსაც კი, რომელიც ერთი შეხედვით, ყველაზე ცხადად უნდა იყოს მოცემული თავისთავად; მაგალითად, ხმოვანი ბგერების თანმიმდევრობა.

მაგალითად, განვიხილოთ ხმოვანი ბგერების თანმიმდევრობა alka, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ, ერთი პირის აპარატიდან მეორეში გადასვლის პროცესში ხდება ოკ და დავადგენთ, რომ <საქმის გამარტივების მიზნით> აბსოლუტურად ვირიდეტ თავიდან alka-სა თუ ოკ-ის მნიშვნელობათა გათვალისწინებას და ეს იმის მიუხედავად, რომ მათ გარეშე, უბრალოდ, წარმოუდგენელია ლინგვისტურ/ენობრივი ფაქტთა დასაწყისიც კი.

მაშასადამე, დროის ფაქტორის საშუალებით, alka ხდება ოკ. თუკი საფუძვლიანად დავაკვირდებით, სად არის კავშირი alka-სა და ოკ-ს შორის? თუკი ჩვენ ამ რელსებზე გადავალთ და ამის გარდაუვალი აუცილებლობა დადგება, მალე დავინახავთ, რომ მოგვიწევს საკუთარი თავისთვის იმის კითხვა, თუ სად არის კავშირი <თავად> alka-სა და ოკ-ს შორის და ამ მომენტში ალბათ მივხვდებით, არც ისეთი საგანი არსებობს <პირველადი ფაქტის სახით> სადმე, რომელიც იქნებოდა alka, <არც სხვა რომელიმე საგანი>: არამედ თავიდან არსებობს გარკვეული სახის დამოკიდებულებები, რომელთაც ვამყარებთ ჩვენ, მაგალითად დამოკიდებულება alka-სა და ოკ-ს შორის, რომელიც გვაახლოებს გარკვეული <სახეობის> ერთეულის წარმოდგენასთან, რომელიც ჯერჯერობით ძნელად განსაზღვრია [].

⁵⁷Cf. CLG/E (I), გვ. 26, N 9.2, Nr. 130.

⁵⁸ Cf. CLG/E (I), გვ. 24, N 9.2, Nr. 125.

ასეთია ლინგვისტურ/ენობრივ საგანთა [*en matière*] ჩვენეული გაგება: სხვა სფეროებში შესაძლებელია "ამა თუ იმ თვალთახედვიდან" ლაპარაკი საგნებზე იმ რწმენის საფუძველზე, რომ <თავად იმ საგანში> მოიძებნება უფრო მყარი ნიადაგი. პრინციპში, ჩვენ ლინგვისტიკაში უარყოფთ, რომ არსებობენ მოცემული საგნები, რომ არსებობენ ისეთი ნივთები, <რომლებიც აგრძელებენ არსებობას იმ დროს, როცა შენ ერთი წარმოდგენიდან მიისწრაფი მეორისკენ>, და შეგიძლია საკუთარ თავს მისცე იმის უფლება, განიხილო "საგნები" სხვადასხვა წესრიგში ისე, თითქოს ისინი <თავისთავად არსებულიყვნენ>. ყველაზე განზოგადოებული დასკვნა: ეს არის ყველაზე განზოგადებული აზრი იმის შესახებ, რისი დადგენაც ჩვენ გვინდოდა: – ჩვენ ხომ ლინგვისტიკაში აკრძალული გვაქვს, <თუმცა განუწყვეტლივ ვარდევით> ვილაპარაკოთ "რომელიმე საგანზე" სხვადასხვა თვალთახედვიდან, <ან ზოგადად საგანზე> რადგან სწორედ თვალთახედვა არის ის, რაც საგანს ქმნის.

როგორც კი ამგვარი გამონათქვამი ჩნდება (მაგალითად, *equos* ხმოვანი ამა თუ იმ თვალთახედვიდან, ეტიმოლოგიური თვალთახედვიდან, მისგან ნაწარმოები სიტყვის თვალთახედვიდან, ...-ის თვალთახედვიდან), ჰაერში იგრძნობა წარმოდგენათა აღრევა – <თანაც აშკარა აღრევა>, რადგან იწყება *equos*-სგან ისეთი რამის კეთება, <რომელსაც შეგიძლია მიუდგე უამრავი თვალთახედვით და ამიტომაც დამოუკიდებელია ყველასგან. მაგრამ მიდი, აბა და სცადე *equos*-ის განსაზღვრა გარკვეული თვალთახედვისგან დამოუკიდებლად> მე არ მეშინია იმის თქმა, რომ ყოველთვის, როგორც კი თვალთახედვათა <ეგრეთ წოდებული> განსხვავებულობა შემოაქვთ, ჭეშმარიტი კითხვა მდგომარეობს იმაში, ნამდვილად ერთსა და იმავე "საგნებზეა" ლაპარაკი და <თუ> ნამდვილად ასეა, მაშინ ეს ისეთი სრულყოფილი და იშვიათი შემთხვევითობის წყალობაა, <ოცნებაშიც რომ ვერ წარმოიდგენ>.

– იმდენად ხშირად დაუპირისპირეს მატერიალურ ბგერას ყველაფერი, რისი დაპირისპირებაც შეეძლოთ, რომ უკვე ვშიშობთ, რომ ჩვენი ახალი დაყოფა სხვებში აერევათ. ჩვენი პოზიცია <ყველა შემთხვევაში ძალიან> ცხადია. იმ საგანთა შორის, რომლებიც შეიძლება მატერიალურ ხმოვანს დაუპირისპირონ, ჩვენ საკამათოდ ვხდით ძირითადად და <დეტალებში მოსალოდნელი სისუსტის გარეშე> მისდამი წარმოდგენის დაპირისპირების შესაძლებლობას. ერთადერთი, რაც შეიძლება მატერიალურ ბგერას დაუპირისპირდეს, არის ბგერა-წარმოდგენა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში წარმოდგენა.⁵⁹

N9.3 "შედარება ენასთან"

განა ცნობილ საგანთა ერთობლიობაში არსებობს ისეთი რამ, რაც შეიძლება ზუსტად ედრებოდეს ენას [*langage*]?

თავდაპირველად საჭიროა იმის დადგენა, რომ ეს <ყველა თვალსაზრისით რთული კითხვა> ჩვენთვის ხომ <არ> შეიძენს იმ გაურკვეველ აზრს, რაც მას ჰქონდა ყველა იმისთვის, ვინც კი ოდესმე მისი გადაწყვეტა მოინდომა, ოღონდ წინასწარ არც ერთ მათგანს <ერთი სიტყვითაც კი> არ განუმარტავს, თუ რას ფიქრობდა თავად ენის [*langue*] შესახებ. ჩვენი აზრით, ამ კითხვას მივყავართ იქამდე, რომ დავაყენოთ სულ სხვა საკითხი და არა ის, რაც ამასთან დაკავშირებით აქამდე ნებისმიერს მათგანს მოსვლია აზრად. იგი გვიბიძგებს იქითკენ, რომ ვიკითხოთ, არსებობს თუ არა ისეთი ნივთი, ან

⁵⁹ Cf. CLG/E (I), გვ. 26, N 9.2, Nr. 131.

ადამიანური თუ სოციალური ფაქტი, რომელიც არის ტრადიციული; ფორმულად დაყვანადი. სოციალური ცხოვრების ისეთი ფაქტი, რომელიც რომელიც განსაზღვრულ მომენტში, ანუ მისი ათვლის წერტილად აღების მომენტში იქნება 1. ჩვეულებრივი, მაშასადამე ნებისმიერი ნივთის მიმართ სრულად ბუნებრივი მიმართებიდან აღებული, აბსოლუტურად თავისუფალი და არ ცნობდეს მასთან მიმართებაში არავითარ კანონს; 2. თავის თავში არანებისმიერი და არათავისუფალი პროდუქტი, რაც წინ უძღოდა მას ამ სახეობაში; – <ა. ცხოვრება საზოგადოების მეშვეობით // ბ. შინაგანი ცხოვრება> აუცილებელია, შემდეგის დამატებაც, კერძოდ ის... 3. რომ ამ საგანს არ შეუძლია შეწყდომა, თვით 24 საათის განმავლობაშიც კი, თანაც მისი ყოველი ელემენტი ამ დროში ათასჯერ რედაქტირდება თავიდან [>réédité<] > <ჩვენთვის> უმნიშვნელოა ის საკითხი, არის თუ არა ენა [>langue<] სოციალური ფაქტი: ჩვენ ეს <კითხვა კი არ უნდა დაგვისვან>, არამედ ის, არის თუ არა რომელიმე სფეროში ისეთი რამ, რაც გამოააშკარაებდა ენის [>langue<] სიმეტრიულობას <ამ სფეროს არსებობისა და> ცვლის <შედარებად> პირობებში. – I. <მოცემულ მომენტში> 1. ენა [>langue<] წარმოგვიდგება, როგორც ყველა თავის ნაწილში შინაგანად მოწესრიგებული სისტემა, 2. <დამოკიდებულია რომელიმე გარემოებაზე, მაგრამ> თავისუფალი და ნებისმიერია ამ გარემოებასთან მიმართებაში; – II. იგივე ენა [>langue<] წარმოადგენს ნებისმიერ პირობითობას არის <არათავისუფალი> პროდუქტი იმ ფაქტებისა, რომლებიც არ [].⁶⁰

N.10⁶¹ "ჩანაწერები უითნისადმი მიძღვნილი სტატიისათვის"

გარემოება, რომელიც ნიშნის სახით გვემსახურება, არ შეიძლება ორჯერ იყოს <ერთი და იგივე>. საჭიროა პირველივე წუთიდან მოხდეს გამოკვლევა <ან საწყისი შეთანხმება>, რათა ვიცოდეთ, თუ ვისი სახელით და <რომელ საზღვრებში> იქნებით უფლებამოსილნი საიმისოდ, რომ მას ერთი და იგივე სახელი ვუწოდოთ; აქ საქმე ეხება საფუძვლიან განსხვავებას სხვა რომელიმე გარემოებისგან, აგრეთვე მარტივ პირველწყაროს. მაგალითად, მაგიდა, რომელიც ახლა ჩემ წინ დგას, მატერიალურად ერთი და იგივეა დღესაც და ასე იქნება ხვალაც; ასო ბ, რომელსაც მე ვწერ, ისეთივე მატერიალურია, როგორც მაგიდა, მაგრამ იგი არ არის []. უითნის კვლევებისათვის დამახასიათებელი <ამაღლებული თვალსაზრისები, თუ აბსოლუტური მიუმხრობლობა> ვერ ჩაითვლება მის <ყველაზე ნაკლებად> სიმპათიურ <ნიშან-თვისებად>. <საკუთარი თავის რეფორმატორად წარმოჩენა, თუნდაც ეს მართლაც ასე ყოფილიყო, მაინც იწვევდა უარყოფით განწყობას მის მიმართ; ყველაფერი, რასაც იგი ასწავლიდა, მისი აუდიტორიისათვის⁶² სხვა არაფერი იყო, თუ არა ის, რასაც ისედაც ყოველთვის ასწავლიდნენ.> თუკი საჭიროა ამა თუ იმ მცდარ აზრთან მიბრუნება, ან რომელიმე აბსურდული კონსტრუქციის <ნგრევა>, ამისათვის ყოველთვის არსებობს ლინგვისტთა რომელიმე იზოლირებული ჯგუფი. თუმცა <არ შევუშინდები იმის თქმას, რომ> უმრავლეს შემთხვევაში უფრო სამართლიანი იქნებოდა, თუკი

⁶⁰ Cf. CLG/E (II), გვ. 21, N 9.3, Nr. 3296.

⁶¹ 1894 წლის ნომბერი; შეადრ. Engler 1975 a, გვ. 839. ძლიერ გადაშეშვებული ხელნაწერი, სავსე წვეტილი წინადადებებით, გამეორებებით და ერთმანეთთან დაუკავშირებელი თემატური ნახტომებით.

⁶² Cf. CLG/E (II), გვ. 21, N 10, Nr. 3297.

ეს მცდარი მოსაზრება მაინც უფრო ევროპულ ლინგვისტებს დაბრალდებოდა. რა თქმა უნდა, <ზოგიერთ მათგანს> ბევრჯერ ჰქონია შესაძლებლობა, შეემჩნია, რომ <უითნის ბუნებრივი ტემპერამენტისათვის არავითარ შემთხვევაში არ იყო უცხო> <პოლემიკური ინსტინქტი, თანაც უაღრესად აგრესიული>. მე <იმასაც კი ვშიშობ, ამ იელის კოლეჯის სწავლულსა და სანკრისტის მკვლევარს არ წავართვა მისი ერთ-ერთი> ყველაზე საგულისხმო ნიშანთვისება, <თუკი დაივიწყებ სიბრაზის იმ ამოფრქვევებს, რაც მას ახასიათებდა ხოლმე და რისი ეჭვიც გვაქვს []> ნებისმიერი დაგვეთანხმება, რომ მის შემთხვევაში [] ჩვენ ვერც კი ვივარაუდებდით ესოდენ მეტროლ ქინსა და მოუთმენელ ხასიათს. ალბათ ძნელია ამის თქმა, მაგრამ ყველა ყმაწვილი, რომელმაც კი უითნის <მეცნიერული> ლექციებით რამე სარგებლობა ნახა, <როგორც ჩანს> ზუსტად ამგვარადვე <მოიხიბლნენ> მისი <მორალური ნიშან-თვისებებით და ამ კუთხითაც> მისაბამ ნიმუშად დაისახეს იგი.

უაღრესად წარმატებული მეჩვენება ის აზრი, რომელიც ეწვია American Philological Association-ს და რომელმაც თხოვნით მიმართა ამერიკელ და [] მეცნიერთა საკმაოდ დიდ რაოდენობას, საკუთარი თვალსაზრისი გამოეთქვათ იმ როლზე, რომელიც <მათი აზრით> ითამაშა უითნიმ მეცნიერების იმ <სხვადასხვა> დარგში, რომელსაც თითოეული მათგანი წარმოადგენდა. შეფასებათა შედარების <საფუძველზე>, რომელიც შეუზღუდავად შემოვა აბსოლუტურად სხვადასხვა მხრიდან, <შეიქმნება> როგორც მთელი სწავლება, <ასევე ვრცელი საიუბილეო კრებული>, მიძღვნილი იმისადმი, ვისაც ჩვენ თქვენთან ერთად <მართლაც> რომ მივტირით, <იმის ხსოვნისადმი, ვის დაკარგვასაც ამ ცოტა ხნის წინ ასე ერთად ვკლოვობდით> ასოციაციის მხრიდან არ ყოფილა მოთხოვნა იმ მეცნიერის მიმართ, ვინც <სიამოვნებით გამოთქვა მზადყოფნა, მათთან ერთად გაეზიარებინა ეს საპატიო დავალება>, რომ მას აღეწერა უითნის დეაწლი მეცნიერების შესაბამის დარგში, რასაც დასჭირდებოდა ბევრად მეტი დრო და უპირველეს ყოვლისა კი <სრულიად> სხვა ავტორიტეტი, განსხვავებული იმისგან, რასაც კორესპონდენტთა <ერთი ნაწილი> საკუთარ თავზე მიიწერს ხოლმე. ამგვარ პირობებში ბევრად უფრო იოლია კალმის საკუთარ ნებაზე მიშვება, რათა მან უკეთ გადმოსცეს როლი და ბედისწერა იმისა, ვინც []. მე ჩემი სათქმელი ასე წარმომიდგენია: მან მოახდინა გავლენა ყველა კვლევაზე, რაც კი შედარებით გრამატიკაში განხორციელებულა და ეს არ მომხდარა არც ერთი სხვა მკვლევარის შემთხვევაში; თანაც ეს მიუხედავად იმისა, რომ მას არ გამოუქვეყნებია თუნდაც ერთი ისეთი ნაშრომი, სადაც განხილული იქნებოდა შედარებითი გრამატიკა. <მან დროში პირველმა წარმოაჩინა ყველა ის პრინციპები, რომელიც მერე საფუძველად დაედო მომავალ პრაქტიკულ მეთოდს.> 2. შეწყდა, <ან აღარ გავრცელდა> ყველა ის მცდელობა, რომელიც მან პირველმა წამოიწყო 1860-70 წლებში და რომელიც დაკავშირებული იყო შედარებითი გრამატიკის კვლევაში დაგროვილი შედეგების <საერთო რაოდენობიდან> რაღაც <ენასთან [>langage<] მიმართებაში> ზოგადის ამორჩევასთან, თუ არ ჩავთვლით უითნის მცდელობებს, რომელმაც მაშინვე აირჩია ის სწორი მიმართულება, რასაც დღესაც კი მოთმინებით უნდა გავყვეთ. დროის მიხედვით იგი არის პირველი, ვინც შეძლო და განაზოგადა, ვინც <შეძლო> და გრამატიკის ნაშრომიდან არ გამოიტანა აბსურდული დასკვნები ენის [>langage<] შესახებ. უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ ეს მეორე როლი, რადგან ცხადია, რომ მან ამ როლის მეშვეობით შეასწავლა ენათმეცნიერებს იმაზე დაკვირვების ახალი, უფრო ჯანსაღი მეთოდი, რაც ზოგადად წარმოადგენს იმის საგანს, რასაც სახელად ენა [>langage<] ჰქვია და აიძულა ისინი <ამის საპასუხოდ> ლაბორატორიებში თა-

ვიანთი ყოველდღიური შედარებებით სარგებლობისას გამოყენებინათ ისეთი მეთოდები, რომლებიც ცოტა არ იყოს და განსხვავებული იქნებოდნენ <წინა მეთოდებისაგან>. სინამდვილეში კი ორივე ეს მეთოდი – იქნება ეს კარგი განზოგადოება ენასთან [>langage<] მიმართებაში, რომელიც საინტერესოა ყველასათვის, თუ შედარებითი გრამატიკაში ყოველდღიური ზუსტი ოპერაციების ჩატარებისას გამოყენებული ჯანსაღი მეთოდი – ერთი და იგივეა საბოლოოდ.⁶³

აღბათ <ყველა დროის> ფილოსოფიური აზროვნების საგნად იქცევა ის ფაქტი, რომ ორმოცდაათწლიანი პერიოდის განმავლობაში აზრადაც არავის მოსვლია, რომ ენათმეცნიერება, რომელიც გერმანიაში წარმოიშვა, გერმანიაშივე განვითარდა და გერმანიაშივე შენარჩუნდა უამრავ ინდივიდთა [>une innombrable catégorie d'individus<] მეშვეობით, აყვანა აბსტრაქციის იმ ხარისხში, რომელიც აუცილებელია საიმისოდ, რათა ერთი მხრივ, დაეუფლო იმას, რასაც აკეთებ, მეორეს მხრივ კი წარმოდგენა გქონდეს იმაზე, თუ მეცნიერებათა ერთობლიობაში რა ლეგიტიმურობა და არსებობის გამართლება აქვს იმას, რასაც აკეთებ. <მაგრამ> გაოცების მეორე საბაბად <იქცევა დანახვა იმისა>, რომ ეს მეცნიერება, იმ დროს, როცა ამ გახევებული მდგომარეობიდან გამოსვლას უნდა <ზეიმობდეს>, თავის აპოგეას აღწევს ისეთი გაჭილი არამზადის სასაცილო მცდელობებში, რომელმაც გამანადგურებელი მარცხი იწვნია სწორედ ამ სასაცილოობის გამო. რაოდენ დიდი წონა უნდა ჰქონოდა ამ არამზადას, რომ მხოლოდ იმის გამო, რომ მან ენის [>langue<] შესახებ უბრალოდ რაღაც ზოგადის თქმა სცადა, იგი <დღესაც> კი ითვლებოდეს შეუდარებელ ფიგურად <ენათმეცნიერების ისტორიაში [>études linguistiques<], ლინგვისტებს კი ამ უცნაური ფიგურის სხენებაზეც კი მაშინვე უცნაური მოწიწება ეფინებოდათ სახეზე... (თითქოს იმის თქმა უნდოდეთ [])>.⁶⁴ ყველაფერ იმაზე დაყრდნობით, რისი გადათვალისწინებაც მოვახერხეთ, ცხადია, რომ საქმე გვაქვს სრულ სიმდარესთან, <რაც არ გამორიცხავს თავხედობას>. ამ თვალსაზრისით, არაფერია იმაზე უფრო მრავლისმეტყველი, თუ როგორ იქცევა <იგი> ლიტერატურ მახვილთან დაკავშირებით, რადგან ამ არამზადამ მოინდომა, ჩარეულიყო ლიტერატურ მახვილის საკითხში. ამ სფეროში მისი როლი მდგომარეობდა შემდეგში: ა) (ერთ სქოლიოში!) [] მდარეობის საბაბით დაწუნებულ უნდა ყოფილიყო კურშატისეული⁶⁵ დაყოფა, ბ) ამისათვის უნდა მომხდარიყო ამ მონაცემთა დიდი რაოდენობით კოპირება, <თანაც იმგვარად, რომ არ მომხდარიყო მის დამსახურებათა აღიარება, რაც [] სრულიად გაუგებარს გახდიდა მის ღვაწლს...>⁶⁶

რამდენადაც <ფონოლოგია> – ეს განსაკუთრებული მეცნიერება, რომელსაც სახელიც კი <ვერ> გამოუნახეს, <მე ვგულისხმობ> "ჩვენი ორგანოების (I) მეშვეობით <განსხვავებულ> ბგერათა პროდუცირების <ბუნებრივ> პირობებს", – რამდენადაც, <მე ვამბობ>, რომ ფონოლოგია შეხებაში მოდის ენათმეცნიერებასთან, ამ წერილში იგრძნობა უითნის მხრიდან წამოსული <რამდენიმე პოზიტიური> დახმარება ამასთან დაკავშირებით; სხვათა შორის, იგი თავიდანვე ყურადღებით ეკიდებოდა ყველა იმ დეტალს, რომელსაც შეეძლო მეტი გარკვეულობა შეეცანა გამოთქმის საკითხში და რომელიც უკავშირდება მის გამოკვლევებს Praticākhyas-ს შესახებ <სხვადასხვა ვედა>.⁶⁷

⁶³ Cf. CLG/E (II), გვ. 22, N 10, Nr. 3297.

⁶⁴ Cf. CLG/E (I), გვ. 8, N 10, Nr. 52.

⁶⁵ F. Kurschat: *ლიტერატურ ენის გრამატიკა*, ჰალე 1876.

⁶⁶ Cf. CLG/E (I), გვ. 9, N 10, Nr. 52.

⁶⁷ Cf. CLG/E (I), გვ. 91, N 10, Nr. 642.

<(I) ფიზიოლოგიისათვის ფონოლოგია არ არის მეცნიერება, რადგან ამ დროს საქმე ეხება განსაზღვრული ეფექტის მისაღწევად პირის ღრუს ორგანოთა განსაკუთრებულად მომართვის ხერხს; არც აკუსტიკისათვის; და ბოლოს, ენათმეცნიერებისათვის იგი არის მეცნიერება, რადგან თავის თავში მოიცავს თეორიული ხასიათის, თანაც უცილობელ წინაპირობებს, ოღონდ მხოლოდ დამხმარე მეცნიერება და მხოლოდ ფორმალურად. ამ თვალსაზრისით იგი განლაგებულია ... შორის []>

მე არ ვახსენებ აქ [] ისევე როგორც Remarks on utterance of novels, [] რადგან მე არ ვფიქრობ, რომ მას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნია ლინგვისტიკისათვის, კერძოდ []⁶⁸

მაგრამ ცნობილია უითნის ერთი მცდელობა, როცა იგი შეეცადა იმ საკითხის გადაწყვეტას, რომელსაც გააჩნია სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა ენათმეცნიერების თვალსაზრისით. და ეს საკითხი მას რომც ვერ გადაეწყვიტა (ეს შეიძლებოდა ძალიან მარტივად მომხდარიყო, რადგან მას დააიწყო ერთი ელემენტი და ეს არის სიმართლე, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი), <რომელზე ლაპარაკის საშუალებაც მე აქ არ მომეცემა> სხვებთან შედარებით მაინც ბევრად უფრო გონივრული რამ თქვა ამ საკითხთან დაკავშირებით. მთლიანობაში ჩვენ იღუზიებს არ ვიქმნით. დადგება ის დღეც, <და ჩვენ სრულად ვაცნობიერებთ მის [] მნიშვნელობას> როდესაც შეიცნობენ, რომ ენის [langage] ღირებულება და რაოდენობა <რეგურალურად> შეიძლება გამოისახოს მათემატიკურ ფორმულათა მეშვეობით <თავის ძირითად ბუნებაში>. ეს არათუ შესაძლებელია, არამედ შეუძლებელი რომც იყოს, მაინც მოვიტყუებდით, რომ ენის ფაქტები [>faits de langage<], როგორც წესი, მუდმივად გასაგები არიან. <ამაზე უარი უნდა ვთქვათ, []> ეს არის ის, რაც <ისე, რომ ჩვენ თავადაც არ ვუწყით> საგრძნობლად ცვლის ამ ყველაფერის ღირებულების ჩვენეულ შეფასებას, <რომელიც გამოითქვა თვით უადრესად გამოჩენილ ადამიანთა მიერ>. ჩვენი მოსაზრების თანახმად, [] ინტერპრეტაციის ამ ერთმანეთს ადევნებული მცდელობების მეშვეობით ხდება წინააღმდეგობის მარკირება, <უეჭველად; თუმცა> დაახლოებით იმგვარად, <როცა საკუთარ გამოცდილებათა გრძელი რიგის გავლით იმ დონემდე მიხვალ, რომ ბოლოს და ბოლოს შეამჩნევ, დაიჯერებ, რომ ჰიპოტენუზის კვადრატის <უდრის> გვერდების კვადრატების ჯამს []. ამწუთას სხვა ადარაფერია სათქმელი, გარდა იმისა, რომ რადიკალურად უნდა შეიცვალოს ბაზისი და უნდა ამოვიდეთ წრფივის განსაზღვრებიდან, <თანაც ისე, რომ არ ვიდარდოთ გამოცდილებებზე. ეს უკვე განვლილი ეტაპია> გავერთოთ გამოკვლევებით და ზერეფე გამოთვლებით იმისათვის, რათა ფაქტზე გავიდეთ. რადგან როდესაც <რომელიმე მომენტში> სულსა და ნიშანს შორის დადებული ხელშეკრულებიდან ამოდიხარ, ეს ისეთი ისტორიული შემთხვევითობაა, რომელიც თავად არის კონსტანტა, <რომელიც ოდესღაც> ცნობილი ცვლადი <რომც არ ყოფილიყო>, მაინც თავიდანვე შეძლებდა ამა თუ იმ ნაწინასწარმეტყველები მანევრის განხორციელებას, <რომელიც თავიდანვე კლასიფიცირებულია, თუკი ნიშანთა თეორია სრულყოფილია>. ჩვენ a priori მთლიანად ვართ <მეცნიერებაში, რომელიც ვერ იტანს []> ეს ნიშნავს იმას, რომ ენობრივ/ლინგვისტურ კომბინაციათა (ე.წ. ენობრივ მდგომარეობათა [>états de langue<] ერთმანეთს ადევნებული სხვადასხვაობა, რომელსაც საფუძვლად შემთხვევა უდევს, მშვენიერ პარალელს ქმნის საჭადრაკო პარტიის სიტუაციათა სხვადასხვაობასთან. თუმცა ყოველი ასეთი სიტუაცია თავის თავში მოიცავს <ან არაფერს, ან> რაიმე მათემატიკურ აღწერილობას და შეფასებას, მაგრამ არ

⁶⁸ Cf. CLG/E (I), გვ. 92, N 10, Nr. 642.

მოიცავს იმ <პერში გამოკიდებულ კვლევებს>, რომლებიც გარედან იმ საბა-
ბით შემოდიან, თითქოს ეს (მოთამაშეთა) გარეგანი ძალაუფლება, <ან იმგვა-
რი ისტორიული მოვლენა> (ბოლოსწინა სვლა)⁶⁹ <იყოს>, რომელმაც გამოიწ-
ვია ფიგურების პოზიციათა შეცვლა, ან თითქოს მეფის <მდებარეობა> ან
სიტყვა x-ის <მდებარეობა> <ადრე> <მთლიანად> ისეთივე <არ ყოფილიყოს>,
როგორც ახლაა.⁷⁰

როგორც ენის [>langage<] თეორეტიკოსები მის დაფუძნებამდე, ასევე <ბოპის
შემდგომი ენათმეცნიერების> პრაქტიკოსები <არ ეშვებოდნენ> ენის [>lan-
gue<] განხილვას საჭადრაკო პოზიციად (რომელსაც არც გზამკვლევი ჰყავს
და არც მიმდევარი); თან საკუთარ თავს ეკითხებოდნენ, თუ რა იყო ამ პოზი-
ციაში ამა თუ იმ ფიგურის შესაბამისი <ღირებულება>. ისტორიული გრამა-
ტიკა კი, რომელმაც საჭადრაკო სვლების არსებობა აღმოაჩინა, ირონიას არ
მაღავს <თავისი წინამორბედების> მიმართ. მაგრამ მან მხოლოდ სვლათა
თანმიმდევრობა იცის და ამტკიცებს, ან ასეთ შთაბეჭდილებას მაინც ტო-
ვებს, რომ ამის საფუძველზე სწორედ მას გააჩნია პარტიის საუკეთესო ხედ-
ვა; პოზიციები სულ არ ანადგვებს, უკვე დიდი ხანია ამ საკითხს იმის ღირ-
სადაც კი არ თვლის, რომ <თავისი ყურადღების ობიექტებში მოაქციოს>.
ასე რომ, არც ერთი ამ ორ <შეცდომათაგანი>, <რომლებზედაც ერთნაირად
რთულია იმის თქმა, შედეგებიდან გამომდინარე რომელი უფრო მძიმე, ან
დიდია>, <ვერ შეგვაკავებს თუნდაც ერთი წუთით>, პირიქით, ჩვენივე თავი-
დან გამომდინარე, დარწმუნებულიც კი ვართ, რომ ენის [>langue<] შედარება
მხოლოდ საჭადრაკო პარტიის იმ სრულყოფილ წარმოდგენასთან შეიძლება,
რომელიც მთლიანად მოიცავს როგორც <> პოზიციებს, <ასევე სვლებს>,
როგორც ცვლილებებს, ასევე პოზიციებს <თანმიმდევრობაში>; ვერცერთი ამ
შეცდომათაგანი ვერ შეგვიშლის ხელს იმაში, რომ <შედარების პროცესში
ჩავართოთ ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი სვლა> კერძოდ კი შემოვიყვანოთ
ისეთი აბსურდული და არაინტელიგენტური მოთამაშე, როგორცაა ფონეტი-
კურ თუ სხვა მსგავს მოვლენათა შემთხვევითობა [].

საკუთარ თავს ვეკითხებით ამის <შემდეგ, არის თუ არა ამ საგნის ბუნება,
რაც ყველა შემთხვევაში ორმაგია, მისი არსის მიხედვით უფრო საფუძვლიან-
ად [>plus foncièrement<] ისტორიული – თუ უფრო საფუძვლიანად [>plus fon-
cièrement<] აბსტრაქტული და ხომ არ უსხლტება იგი ისტორიულ ძალებს
სწორედ ამ საფუძვლიან, მოუხელთებელ [>incorëcible<] მონაცემთა წყალო-
ბით, რომლებიც ჭადრაკის საწყის მოცემულობას წარმოადგენენ და ყოველ
ახალ სვლაზე თავიდან ჩნდებიან ხოლმე, ენაში [>langue<] კი გვევლინებიან
ნიშნების სულზე ტოტალური, გარდაუვალი ზემოქმედების გამოხატულებად,
რაც ყოველი მოვლენის, ყოველი სვლის შემდეგ თავისთავად იჩენს ხოლმე
თავს.⁷¹

უბრალო მაგალითი: fôt: fôti; მრავლობითის ნიშანია o. საჭადრაკო სვლა, ანუ
fot: foet ტერმინების ახალი პოზიცია⁷²; მრავლობითის ნიშანია უკვე
ოპოზიცია o:oe (გინდა-არ გინდა)⁷³. მაგრამ პოზიციათა ეს ორივე სახეობა
არც საკუთრივ და არც პრინციპულად, არც ერთ შემთხვევაში <არ
უკავშირდება იმ მოვლენას, რამაც ისინი წარმოშვა>, ყოველ შემთხვევაში
არა იმაზე მეტად, მე რომ შემთხვევით კამჩადალურ ენაზე [], ან ორ

⁶⁹ Cf. CLG/E (II), გვ. 22, N 10, Nr. 3297.

⁷⁰ Cf. CLG/E (II), გვ. 23, N 10, Nr. 3297.

⁷¹ Cf. CLG/E (I), გვ. 198, N 10, Nr. 1489.

⁷² Cf. CLG/E (I), გვ. 186, N 10, Nr. 1392.

⁷³ Cf. CLG/E (I), გვ. 187, N 10, Nr. 1392.

სრულიად განსხვავებულ საჭადრაკო პარტიაში მოცემულ მომენტში მივიღო ფიგურათა ერთი და იგივე პოზიცია.

<ჩასამატებელია> ჩვენ ვყოყმანობთ <იმის წინაშე, რაც ენის [>langue<] ბუნებას ეხება: ან გვიჭირს იმის დაჯერება, რომ ენიმე> შეძლებს მისი ბუნების გათქმას, რადგან იგი თავის საფუძველში არის ორმაგი: ამაში მდგომარეობს ცენტრალური ჭეშმარიტება.

სულისათვის მართლაც არ არსებობს ანალოგია იმათ შორის, <რაც ერთი მხრივ <არის> საჭადრაკო პოზიცია და მეორე მხრივ, – საჭადრაკო სვლა, <რომელიც სულელურად აღიქმება, მაშინაც კი თუ იგი სხვისგან არის ნაწარმოები []> აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იმის თქმა, თუ ამ ორ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ საგანთაგან რომელი უფრო გადამწვევტი მხარეა მთლიანობის შექმნის დროს, თანაც იმდენად, რომ შესაძლებელი გახდეს ამ მთლიანობის რამენაირი კლასიფიცირება. ~~რადგანაც ენის სათვის [>langue<] ნამდვილად არ არსებობს შედარება, თვით უხეშად სწორიც კი (სწორედ ეს წარმოადგენს მრავალი დისკუსიის წყაროს), ამიტომაც ცხადია, რომ სწორედ მასში სხვებთან ერთად შეიძლება დადგინდეს ის თვალსაჩინო მანკი, რომ საჭადრაკო ფიგურათა ღირებულება ერთადერთი ევრდნობა მათ სარგებლიანობას და მათ შესაძლო ბედისწერას განვითარებაში, და არა []⁷⁴~~

დავიწყეთ სულ თავიდან და განვიხილოთ საპირისპირო აზრი: ასეთივე წარმატებით შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს არავითარი ანალოგია პისისტრატუსის მონარქიულ რეჟიმსა და იმ პუტჩს შორის, რამაც ეს რეჟიმი დაამყარა, ამის მიუხედავად არასდროს ეჭვიც კი არავის შეპარვია იმაში, რომ ეს ორივე საგანი თანაბრად არის ისტორიის საკუთრება. ისევე როგორც ხალხთა ისტორია თუ ინსტიტუტთა ისტორია, ენის [>langue<] ისტორიაც შედგება <ნაწილობრივი თუ სრული> კრიზისებისაგან და იმ მდგომარეობებისაგან, რომლებიც შეიცვალნენ ამ კრიზისების შედეგად; ეს არის ყველაფრის ანაბანა.

საყოველთაო ისტორიულ საგნებში არ არსებობს რაიმე აბსოლუტური ანტი-თეზა იმათ შორის, რაც არის ერთი მხრივ მდგომარეობა და მეორე მხრივ – კრიზისი, მათ შორის []. მაგალითად, ავიღოთ ის მომენტი, როცა ბოლო ედება რომელიმე დემოკრატიულ რეჟიმს []. რატომ? რადგან ზუსტად იგივე ფაქტორები, იგივე ვნებები, იგივე ინტერესები, იგივე [], რომლებიც <კანონებად გვევლინებიან>, სულ ერთია. იქნება კრიზისის, თუ იქნება ეს მდგომარეობის ~~ახსნა~~. ლინგვისტიკაში მდგომარეობებს გააჩნიათ ორგანული (შინაგანი) საფუძველი.

ისტორიულ წინამორბედთა ცოდნა არ კმარა ნიშანთა და წარმოდგენას შორის არსებული შინაგანი ურთიერთდამოკიდებულების გასაგებად <ან რომელიმე მომენტში დასაფიქსირებლად>; ანუ როცა ასო-ნიშანს ცვლიან [], ეს ნამდვილად საინტერესოა, თუმცა []. <როცა ვიღებთ სიტყვას ისტორია ყველაზე საყოველთაო გაგებით, რჩება> არასწორია იმის რწმენა, რომ ენა [>langue<] ისტორიული <საგანი> იყოს სხვა რომელიმე კუთხით, გარდა ერთისა> და მისი ახსნა [>résolu<] შეიძლებოდეს ისტორიული დაკვირვებების შედეგად, ან რომელიმე მომენტში გეთავაზობდეს სიცხადეს, თუკი დაკმაყოფილდები ისტორიული დაკვირვებებით.

საფუძველი? იგი მართლაც რომ მარტივია. ფილოსოფოსებს, ლოგიკოსებს, ფსიქოლოგებს, ალბათ, შეეძლოთ ჩვენთვის იმის სწავლება, თუ რომელია ის

⁷⁴ Cf. CLG/E (I), გვ. 188, N 10, Nr. 1398.

ძირითადი ხელშეკრულება, რომელიც არსებობს ~~ტრადიციულ სიმბოლოსა და სულს~~ შორის, <წარმოდგენასა და სიმბოლოს შორის, განსაკუთრებით კი იმ დამოუკიდებელ სიმბოლოს შორის, რომელსაც ეს წარმოდგენა წარმოადგენს>. ~~ტრადიციულ, დამოუკიდებელ სიმბოლოში ჩვენ ვგულისხმობთ უბრალოდ სიმბოლოთა იმ კატეგორიებს, რომელთაც არ გააჩნიათ შინაგანი და მოკიდებულება აღნიშნულ ობიექტის მიმართ~~ გააჩნიათ ის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, რომ მათ არ გააჩნიათ არავითარი <ხილული> კავშირი აღნიშნული ობიექტის მიმართ და ამდენად არ შეიძლება, რომ იყვნენ დამოკიდებული მათზე, <არც არაპირდაპირ>, გამომდინარე თავიანთი სამომავლო დანიშნულებიდან. მაგალითად, თუკი მე აღაძიანს გამოვსახავ პირდაპირ, უხეში ფიგურით, <მაგრამ თუკი მას გამოვსახავ გრაფიკული ნიშნით x, ან ბგერითი ფიგურით χιπια> []. მეორე მხრივ> ისტორიკოსებსა და ლიგვისტებს შეეძლოთ ესწავლებინათ ჩვენთვის, რომ ეს ~~განსაკუთრებული სერია~~ <ენა [>langage<], დამოუკიდებელ სიმბოლოთა ეს განსაკუთრებული სისტემა>, რაც არის ენა [>langage<], არ წარმოადგენს არაფერს მოვლენათა [>vicissitudes<] ცოდნის გარეშე.

რაც <აქ> ფილოსოფოსებსა და ლოგიკოსებს გამოეპარათ, არის ის, რომ იმ მომენტიდან, <რაც სიმბოლოთა სისტემა> დამოუკიდებელი ხდება მონიშნული ობიექტებისგან, <რომლებსაც იგი თავის მხრივ ექვემდებარებოდა,> დროის ფაქტისგან ლოგიკოსისათვის ძნელად გასათვლელი გადანაცვლებისთვის, რასაც, სხვათა შორის, თავისი ნებით ვერასდროს აღწევდა [] თავს. ხოლო ლინგვისტებს გამოეპარათ ის, რომ ის მასალა, რომელმაც განიცადა ისტორიული ზემოქმედება, მარტივ ისტორიულ ახსნას არაწაივრებდა არ ექვემდებარება, განსხვავებით, მაგალითად, პოლიტიკური ფაქტებთან დაკავშირებული შემთხვევისა. ამ სამყაროში ყოველი საგანი ეხება ერთი მხრივ ისტორიას, და <თავად მზის სისტემა> კი არ არის []. აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ ასტრონომია არის ისტორიული მეცნიერება.> ~~იმის თქმაც კი საკმარისია, რომ ნიშანთა ძალა თავისი ბუნებით არის ტრადიციული, თავისი ბუნებით არის ნებისმიერი, თავისი ბუნებით არის დამოუკიდებელი იმ რეალობათაგან, რომლებიც მათ მონიშნავენ იმის დასახსნად, რომ აღაძიანთა ტვირთში არ მოინახვება ერთი ისეთი საგანიც კი, რომლის სხვაგვარად შედარებაც კი შესაძლებელი იქნებოდა.~~ ენის [>langage<] ზუსტი სიტუაცია <აღაძიანურ საგანთა შორის ისეთია,> რომ უაღრესად საეჭვო და <უხერხულია> იმის თქმა, იგი უფრო მეტად ისტორიული საგანია თუ სხვა რამე, თუმცა დღევანდელ მიმდინარეობათა ფონზე არ არსებობს ამის საფრთხე, თუკი ყურადღებას გაავამახვილებთ პირველ რიგში სწორედ მის არასტორიულ მხარეზე. სრულიად აშკარაა ის, რომ ენა [>langage<] თავისი არსებობის ყოველ მომენტში წარმოადგენს ისტორიულ პროდუქტს. მაგრამ არ ყოფილა ენის [>langage<] არსებობის თუნდაც ერთი ისეთი მომენტი, როცა ეს ისტორიული პროდუქტი წარმოადგენდა სხვა რამეს, თუ არა <იმ კომპრომისს, საბოლოო კომპრომისს>, რომელსაც აღიარებს სული გარკვეულ სიმბოლოებთან მიმართებაში; ეს კიდევ უფრო აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, <რამეთუ> <ამ უკანასკნელი ფაქტის გარეშე> ხომ ენაც [>langage<] არ იარსებებდა. ხოლო ის, თუ როგორ შეუძლია სულს სიმბოლოს მოხმარება – <წინასწარ იგულისხმება>, რომ სიმბოლო <არ> იცვლება –, ეს მთელი მეცნიერებაა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ისტორიულ დაკვირვებებთან. მით უმეტეს, რომ <როცა სიმბოლო იცვლება>, უშუალოდ ამის შემდეგ მყარდება ახალი მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს უნივერსალურ კანონთა ახალ გამოყენებას.

ხანგრძლივი დროის მანძილზე, ჩვენ ვასაზრდოვდით რწმენას, რომ ლინგვისტიკა არის ორმაგი მეცნიერება, კერძოდ კი იმდენად <საფუძვლიანად და

უშუალოდ> ორმაგი, რომ შეგვიძლია <სიმართლე რომ ითქვას> საკუთარ თავსაც კი დავეკითხოთ, არსებობს კი საკმარისი საფუძველი საიმისოდ, რომ ლინგვისტიკის სახელშივე დავიცვათ ეს მოჩვენებითი, <ხელოვნური> ერთეული, რომლის დამსახურებაცაა <ზუსტად> ყველა ის მცდარი აზრი, ყველა ის აუხსნელი შემთხვევა, რომელთა წინააღმდეგაც ჩვენ ყოველდღიურად გვიხდება ბრძოლა, ვგრძნობთ რა [].

ვიდრე ეს ძირითადი დუალიზმი არ არის <ადიარებული, ან განხილული მაინც>, ვადიაროთ, <შეიძლება არსებობდეს ერთი მხრივ> უბრალოდ ქიმერული, ან თუნდაც სხვანაირი მოსაზრებები, რომელთაც გააჩნიათ <ის> დამსახურება, რომ წინააღმდეგობას არ უწევდნენ ფაქტების რეალობას; რომ დაუბრუნდნენ თავიანთ დაკვირვებებს; მაგრამ ჩვენთვის წარმოუდგენელია იმის ადიარება, რომ ისინი <უფრო ჭკუის სასწავლებელი> არიან, ვიდრე ისინი, რომლებიც ბუნებრივ ბაზისს ეფუძნებიან და შეუძლიათ ჩვენთვის პოზიტიური ცოდნის მოცემა. ეს დაახლოებით იგივეა (>toutes proportions gardées<)-თან დაკავშირებით), გარეგანი დაკვირვებების შედეგად ერთმა რომ თქვას, ჰიპოტენუზის კვადრატის უდრის ორი დანარჩენი გვერდის გაორმაგებულ კვადრატსო, მეორემ კი უპასუხოს, მათ შორის არავითარი კავშირი არ არსებობსო, მესამემ კი თქვას, დანარჩენი ორი გვერდის კვადრატების ტოლიაო. <მესამეს ვერ წაართმევ ვერც რეზულტატსა და ვერც გამოხედვაში იმ ორზე უპირატესობის გამოსატვის უფლებას; მაგრამ ეს შეცდომა იქნებოდა []: იმ გამონათქვამებს, რომელიც სწორია (და კონტროლირებადიც, ამაზე უნდა შევთანხმდეთ) და იმ გამონათქვამთა შორის, რომლის უზუსტობაც აშკარაა, არ არსებობს <საკუთრივ> პროგრესი მეთოდში; და ის მხოლოდ მაშინ იარსებებს, თუკი პირიქით [] არც ერთი გამონათქვამი არ არის სხვაზე უფრო ღირებული, რადგან მას აკლია ჭეშმარიტების იმავე ხარისხის ამოსავალი წერტილის ცნება.

ეს სახლი არის საგანი; ის შთაბეჭდილება, რასაც ჩემი თვალის ბადურა მისგან იღებს (რაც უნდა მიიღოს)⁷⁵, მათემატიკის აბსოლუტური კანონების მიხედვით, ასი მეტრის მოშორებით სულ სხვანაირია და <იმდენად განსხვავდება პირველისაგან, რამდენადაც კი ეს საერთოდ შესაძლებელია> და ეს ისეთი რამეა, რასაც მხოლოდ ენა [>langage<] აღწერს [>figure<]. ეს სახლი იშლება, ერთ მხარეზე იქცევა. თუკი მე ახლა სახლის <ერთავე მდგომარეობას> ერთმანეთს შევადარებ, ვიტყვი, რომ ისინი ერთმანეთზე არ არიან დამოკიდებული, ეს სრული სიმართლე იქნება; საერთოდ, ორივე მათგანი მიღებული პერსპექტივაა და აბსოლუტური სიცრუე იქნებოდა, თუკი დავიჯერებდი, რომ ერთი გამომდინარეობს მეორისგან, <ან სახლის წინა მდგომარეობა, ან წინა პერსპექტივა რომ მცოდნოდა, მაშინ ეს დამეხმარებოდა იმაში, რომ უკეთ გავრკვეულიყავი პერსპექტივათა ამჟამინდელ მდგომარეობაში>. არ არსებობს ისეთი საშუალება, რომელიც ერთისგან გამოავყვანიებს მეორეს, თუმცა ეს ისეთი რამეა, რასაც სულ ვვარაუდობთ.⁷⁶

რამდენიმე <ზეშთაგონებულს> უთქვამს: "ენა [>langage<] არის რაღაც სრულიად არაადამიანური და თავის თავში ორგანიზებული, თითქოსდა იგი <იყოს> რომელიმე პარაზიტული ვეგეტაცია, რომელიც <მოელო ჩვენი სახეობის ზედაპირს>".

სხვებს კი აღუნიშნავთ, რომ "ენა [>langage<] არის რაღაც ადამიანური, თუმცა უფრო ბუნებრივი ფუნქციების მსგავსი."

⁷⁵ Cf. CLG/E (II), გვ. 23, N 10, Nr. 3297.

⁷⁶ Cf. CLG/E (II), გვ. 24, N 10, Nr. 3297.

უითნიმ თქვა: "ენა [>langage<] არის ადამიანური ინსტიტუცია." ამით შეიცვალა ლინგვისტიკის ღერძი. <შემდეგი> ალბათ, <ჩვენი აზრით,> იტყვის: ეს არის ადამიანური ინსტიტუცია, მაგრამ იმგვარი ბუნების, რომ ყველა სხვა ადამიანურ ინსტიტუციას, გარდა წერილობითისა, <შეუძლია> მხოლოდ ჩვენი შეცდომაში შეყვანა მის <ჭეშმარიტ> ბუნებასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუკი მათ ანალოგიას ვირწმუნებთ.⁷⁷

ყველა სხვა ინსტიტუცია, <თითოეული სხვადასხვა ხარისხით>, მართლაც <არის> დაფუძნებული ბუნებრივ დამოკიდებულებებსა თუ საგანთა შორის <შეთანხმებულობაზე>, როგორც ფინალურ პრინციპზე. მაგალითისთვის ავიღოთ ერთი რომელიმე ერის კანონმდებლობა, ან პოლიტიკური სისტემა, ან ჩაცმულობის მოდა, <თვით ის ჭირვეული მოდაც კი, რომელიც ჩვენს ჩაცმულობას განსაზღვრავს და რომელსაც ერთი წუთითაც კი ვერ ჩამოვაშორებთ ადამიანური სხეულის პროპორციათა მონაცემებს>. აქედან გამომდინარეობს, რომ ყველა ცვლილება, ყველა განახლება... გზას აგრძელებს იმ პირველ პრინციპზე დამოკიდებულების ვითარებაში, <რომელიც იმავე სფეროში მოქმედებს, რომელიც სხვაგან არსად> არ არის განთავსებული, თუ არა ადამიანური სამშენველის საფუძველში.⁷⁸ მაგრამ ენა [>langage<] და წერილობა არ ეფუძნება <საგანთა ბუნებრივ დამოკიდებულებას>. დროის არც ერთ მომენტში არ არსებობს რაიმე დამოკიდებულება რომელიმე შიშინა ბგერასა და ასონიშან S-ს ფორმას შორის, სიტყვა cow-ს კი ზუსტად ისევე არ გაუჭირდება ძროხის [>vache<] აღნიშვნა, როგორც სიტყვა vacca-ს. ეს არის ის, რისი <გამეორებითაც> უითნი არასდროს იღლება, რათა <უკეთ გვაგრძნობინოს>, რომ ენა [>langage<] <არის> წმინდა ინსტიტუცია. თუმცა ეს ბევრად უფრო მეტის დამამტკიცებელია, კერძოდ კი იმის, რომ ენა [>langage<] არის ინსტიტუცია ანალოგიების გარეშე (თუკი წერილობასაც მიეუმატებთ) და რომ <მართლაც თავხედობა> იქნებოდა იმის დაჯერება, რომ ენის [>langage<] ისტორია ამის შედეგად თუნდაც შორეულად წააგავს სხვა რომელიმე ინსტიტუციის ისტორიას, <და რომ მას არ შემოჰყავს თამაშში (ნებისმიერ მომენტში) შედარებადი ფსიქოლოგიური ძალები>. ჩვენ დიდ უსამართლობას ჩავიდენდით, თუკი ამ ვითარებაში, თუნდაც გაკვრით, არ გავითვალისწინებდით ისეთ ცნობილ, ორმაგ ფაქტს, რომ ლაპარაკის უნარი [>faculté du langage<] მთლიანადაა ლოკალიზებული ტვინში და კიდევ ის, რომ იმ დაზიანებებს, რაც შეიძლება <ამ მონაკვეთში> მოხდეს, უმეტესწილად თან სდევს ხოლმე წერილობის უნარის არქონა. <თანაც> ეს ის მონაკვეთია, <რომლითაც ჩვენ> ჩვეულებრივ დამოკიდებულებებს <აღვიქვამთ>.⁷⁹

~~ორმაგი ფაქტი ჩვენ გვაიძულებს ისტორიიდან გამოვეყოთ თუნდაც ერთი, მთლიანად რეზერვირებული განყოფილება, მაგრამ ის კითხვა, რომელიც რეალურად დაისმის, უფრო მდგომარეობს შემდეგში: შეიძლება თუ არა აიძულო ენა [>langage<], რომ გახდეს საკუთრივ ისტორიული მასალა? ან პირიქით, შესაძლებელია თუ არა თუნდაც ერთი წამითაც კი ისტორიული მხარის დაიწვევა? შანსი ისეთია, რომ მას შემდეგ, რაც []~~

სხვა ინსტიტუციები უბრალოდ რჩებიან თავიანთი სირთულეების ამარა; ამის საპირისპიროდ საფუძველშივე შეუძლებელია, რომ ერთადერთი <ენობრივი რეალობა [>entité de langage <] (წმინდა)>⁸⁰ მარტივი იყოს, რადგან იგი წინაპირობად აყენებს იმ ორი საგნის კომბინაციას, რომლებისთვისაც აუცილებე-

⁷⁷ Cf. CLG/E (I), გვ. 169, N 10, Nr. 1265-1266.

⁷⁸ Cf. CLG/E (I), გვ. 168, N 10, Nr. 1261.

⁷⁹ Cf. CLG/E (I), გვ. 169, N 10, Nr. 1264.

⁸⁰ Cf. CLG/E (I), გვ. 168, N 10, Nr. 1263.

ლია რაიმე დამოკიდებულების არსებობა, კერძოდ კი წარმოდგენასა და ისეთ <სიმბოლოურ> ობიექტს შორის, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ შინაგან კავშირს ამ წარმოდგენასთან. – მეორე მხრივ კი, გადასვლები [>transitions<] მოტივირებულია იმავე ფაქტორებით, რომლებიც თავს ავლენენ [].⁸¹

ჩვენ შეგვიძლია მოვიხმოთ მხოლოდ "ყველაზე გამომხატველობითი შესწორება", ჩვენ ვეთანხმებით ყველა იმ სხვადასხვაგვარ დასკვნას, რომელიც მიკერძოებულად იქნა გამოტანილი იქედან, რომ ენა [>langue<] იძულებული გახდა მიეღო ისეთი სიტყვა, როგორცაა ტელეგრაფი. ამ დასკვნებს თავიდან მხოლოდ იმიტომ ჰქონდათ საყოველთაო მნიშვნელობა, რომ ვილაცამ უდრტინველად დაუშვა, რომ გულუბრყვილობაა იმის არდანახვა, რომ რეალურად ყოველ ეპოქაში, მათ შორის ჩვენშიც, ხალხი იძულებული იყო ცნობად მიეღო ის საგნები, რომლებიც მათთვის სიახლეს წარმოადგენდა და <სახელიც დაერქმია მათთვის. მაგრამ ამის შემდეგ?> რა ისეთი ხილული ცვლილებები მოაქვს ამას რომელიმე ენის [>langage<] ხასიათისათვის, რომ მე შემიძლია მის ლექსიკურ მარაგს (მისი ლექსიკური მარაგის ყველაზე მატერიალურ ნაწილს) ტელეგრაფის მსგავსი <ასი ან თორმეტი> არსებითი სახელი დაეუმატო? – სხვათა შორის, <მხოლოდ> ამაში არ არის სინამდვილეში საქმე. მაგრამ თუკი ჩვენ გამოვალთ იქედან, რომ ყოველი [], უფრო ზუსტად კი ჩნდება ასეთი კითხვა: არის კი ეს ის სისტემატური ელემენტი, რომლის გარეშეც ჩვენ არ შეგვიძლია ენობრივ/ლინგვისტურ ფაქტთა მსვლელობის აღქმა?⁸² მოქცეულია თუ არა რომელიმე ერთი მიყრუებული ხეობის ~~წინა~~ [>langue<] კილოკავი, სადაც ხელოვნურ ტერმინთა შეღწევის ალბათობა, ფაქტობრივად, <ექსტრემალურად> ნულის ტოლია, ენის [>langue<] ბენებრივი პირობების მიღმა? პირიქით, ~~აქ~~ ეს ლექსიკური მარაგი წარმოადგენს პირობას [].

თუკი იმის მტკიცებას მოჰყვებიან, რომ ეს კოლოკავი მოქცეულია ენის [>langue<] რეგულარული პირობების მიღმა და ~~მას არ შესწევს მის შესახებ წარმოდგენის შექმნის უნარი~~, რომ მას სჭირდება ტერატოლოგიური გამოკვლევა, რადგან მას არ განუცდია შერევა [], ანუ ე.წ. un[] ელემენტი [>cet element soi-disant in []<]. მართლაც ეს [] არა, არამედ თუკი ჩვენ ამასობაში იქიდან ამოვიდოდით, რომ არ არსებობს სხვა რამე, გარდა იმ დიალექტებისა, რომლებმაც განუწყვეტლივ უნდა შეისისხლხორცონ გარედან შემოსული [], მაშინ ეს უკვე მართლაც ნამდვილი პრობლემა იქნებოდა: ნუთუ ეს შემოსული მართლაც იმდენად სასიცოცხლო ელემენტია, რომლის გარეშეც ჩვენ არ წარმოგვიდგენია ენის [>langue<] შემდგომი განვითარება? სულაც არა. შესაბამისად, ეს ელემენტები წარმოადგენენ შემთხვევით ფაქტებს ყველასთვის, ვისაც ამის შესახებ საკუთარი თავისთვის ანგარიშის ჩაბარება სურს, [] და ასეთებად დარჩებიან იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს იქნებოდა მხოლოდ გარეგნული გართულება []. ენა [>langue<] <იქმნება> გარეგან საგანთა იმ გარკვეული რაოდენობით, რომელსაც სული ნიშნის სახით ხმარობს. ~~აქედან ზუსტად იმ იმ ზომით, რა ზომითაც გარეგანი საგანი არის ნიშანი~~ <ადიქმება, როგორც ნიშანი>, გულისხმობს [], გარკვეული თვალსაზრისით, წარმოადგენს ენის [>langage<] ნაწილს. სიტყვა s [] არის <ნიშანი>, სიტყვა, ზუსტად ისეთივე სრულუფლებიანი, როგორც salto, []. მაგრამ გადასვლა salto-სა [] შორის, რომელიც აგრეთვე გარეგანი ფაქტია, ვერანაირად ვერ გახდება ნიშანი. ამ კრიტერიუმის თანახმად, მე ვხედავ []⁸³

⁸¹ Cf. CLG/E (I), გვ. 169, N 10, Nr. 1263.

⁸² Cf. CLG/E (I), გვ. 62, N 10, Nr. 404-405.

⁸³ Cf. CLG/E (I), გვ. 63, N 10, Nr. 407.

სანამ ეს ჭეშმარიტება ნაწარმოების სულ პირველ გვერდზე [] არ მოხვდება []. ზუსტად ასევე ნაკლებად შესაძლებელია [], [] გარეშე, როცა შესაძლებელია გეომეტრიული ფიგურების თვისებათა <ძიება> ისე, რომ მხედველობაში არ იქნას მიღებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დონის [] გამოყოფას.

როცა მე ეს საპატიო წერილი მივიღე თქვენგან, რომელიც დასათაურებულია ასე: ბრაიან მორი, 29 ოქტომბერი, <მიღებულია 10 ნოემბერს და მაშინვე უნდა> გამეცა შემდეგი პასუხი: ჩემთვის დიდი პატივია, როცა მთხოვთ საკადრისი მივავო უითნის, როგორც as a comparative philologiste [sic]. მაგრამ უითნის არასდროს უნდოდა ყოფილიყო comparative philologiste-ი. მას არ დაუტოვებია თუნდაც ერთი ხელნაწერი ფურცელიც კი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, იგი comparative philologiste-ად შეგვერაცხა. მან მხოლოდ ისეთი ნამუშევრები დაგვიტოვა, რომლებშიც შეიძლება მისი ძირითადი, ზოგადი თვალსაზრისის დადგენა ენასთან [>langage<] დაკავშირებით, ისიც შედარებითი გრამატიკის შედეგებზე დაყრდნობით: ზუსტად ეს შეადგენს მის დიად ორიგინალურობას, მოყოლებული 1867 წლიდან; <მეორე ორიგინალურობა კი არის ის, რომ იგი ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, განმარტავდა, რომ იგი არ ურევდა ლინგვისტიკას [] კვლევაში>. <მაშასადამე, ეჭვგარეშეა> ეს []. – 2. იმ მომენტიდან, როგორც კი საქმე ეხება ენასთან [>langage<] დაკავშირებულ უნივერსალურ საგნებს, მე არ ვგრძნობ ზოგად თანხმობას რომელიმე სკოლასთან, იქნება ეს უითნის გონივრული თეორია თუ ის <უგუნური თეორიები, რომელთაც იგი წარმატებით ებრძოდა>. ~~სწორედ ეს არის ის, რის თქვენთვის თქმასაც მე ერთი წუთითაც არ დაგაყოფნებდი, თუკი თქვენგან მივიღებდი [] და აქ საქმე გვაქვს იმგვარ შეუთანხმებლობასთან, რომელიც არ ცნობს რაიმე შერბილებას ან ნიუანსს, რადგან მაშინ იძულებული ვიქნები, დავწერო ისეთი რამე, რასაც ჩემს თვალში არავითარი აზრი არ გააჩნია.~~

აქედან გამომდინარე, იძულებული ვარ გთხოვოთ, რომ თავიდან ამაცილოთ უითნის ენათმეცნიერული ნაღვაწის შესახებ საუბარი და ეს მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შესაძლებლობა შემდგომში []. სხვათა შორის, ეს მიზანშეუწონელია ჩემთვის დროის ფაქტორის გამოც []. ~~ეს არის []~~

1. ინსტიტუცია ენა [>langage<].
2. ენათმეცნიერება არის ორმაგი.⁸⁴

არასდროს არ არსებობს წყვეტა.

თუნდაც საქმე ეხებოდეს კაბებს ან [], ყოველთვის არის <საგანთა> ბუნებრივი დამოკიდებულება, <რომელიც უპირატესობას მოიპოვებს ექსტრაგვანტულობით და რომელიც წლების მანძილზე წამყვან პოზიციას ინარჩუნებს>, რომელიც ყველა ცვლილების მიუხედავად, რჩება წესად. ამის საპირისპიროდ, ენა [>langage<] არის იმისთვის, რომ შეასრულოს ის <დავალება>, რომელიც ადამიანურ ინსტიტუციებს <შორის> გამორჩეულად მას ერგო, ყველანაირი საზღვრისგან გათავისუფლებული თავის მეთოდში (თუნდაც იმ საზღვრისგან, ვინმე მაინც რომ დაგვანახებდა). იქედან გამომდინარე, რომ <არსობრივი ნათესაობის> პრინციპული არარსებობა [] შორის წარმოადგენს რაღაც რადიკალურობას და არა იმას, რაც შეიცავს თუნდაც უმცირეს ნიუანსს, გამოდის, რომ ენა [>langage<] არ ექვემდებარება არცერთ მუდმივად შესწორებად, ან მართულ ადამიანურ თუ ადამიანური გონების მიერ შესწორებად, ან მართულ წესს.

⁸⁴ Cf. CLG/E (II), გვ. 24, N 10, Nr. 3297.

ეს არის სწორედ ის საფუძველი, რომელიც სხვებს კარნახობს []⁸⁵ ცოლ-ქმრობის ინსტიტუტი <ალბათ> უფრო გონივრულია თავის მონოგამიურ ფორმაში, ვიდრე პოლიგამიურში. ამაზე შეიძლება კამათი ფილოსოფიური კუთხით. მაგრამ რომელიმე ნიშნის ინსტიტუტი, მაგალითისთვის, *σ* თუ *s* ასოებისა თუ *cow* ან *vacca* სიტყვებისგან შექმნილი ნიშნები იმისათვის, რათა მონიშნულ იქნას წარმოდგენა ძროხის *Kuh* [*>vache*] შესახებ, თავად ეფუძნება უგუნურებას; ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს საგანთა ბუნებასა <და მსგავსებაზე [*>convenane*]> დაფუძნებული ისეთი გონება/მიზეზი [*>reason*], რომელიც რომელიღაც მომენტში აქტიურად ჩაერეოდა, <იქნებოდა ეს> რაღაც [] მიღება, <იქნებოდა ეს> რაღაცის ლიკვიდაცია [*>supprimer*].⁸⁶ რასხან <ენაში [*>langue*] ნიშანწყალიც კი არ არსებობს> იმისა, რომ აქ ერთმანეთს ემთხვევა ბგერით ნიშანსა და წარმოდგენას შორის არსებული შინაგანი კორელაცია, სწორედ ამის გამო რჩება ნიშანი თავისი მატერიალური სიცოცხლის ამარა, თანაც ისეთნაირად, რაც სრულიად უცხოა იმ სფეროსთვის, რომელშიც გარეგნულ ფორმას წარმოდგენასთან <ბუნებრივი კავშირის> მხოლოდ მინიმალური ხარისხის დამოწმება შეუძლია. რადგან არსებობენ ეს <სხვა> სფეროები და ისინი ცნობილია ჩვენთვის <საზოგადოებათა ისტორიიდან>. აქედან გამომდინარე, ჩვენ ძალზე მცდარად განვსჯით იმას, თუ როგორი უნდა იყოს ენის [*>langage*] ის პირობები, რომლის დროსაც ჩვენ საგანგებოდ ვეჭვობთ, რომ მათ არ შეუძლიათ საფუძველიანად განსხვავდებოდნენ სხვა ადამიანური ინსტიტუციათა პირობებისგან.⁸⁷

- ა) შედარებითი გრამატიკა.
- ბ) შედარებითი გრამატიკა და ენათმეცნიერება.
- გ) ენა [*>langage*], როგორც ადამიანური ინსტიტუცია.
- დ) ენათმეცნიერება, როგორც ორმაგი მეცნიერება.
- ე) უითნი და ახალგაზრდა გრამატიკოსთა სკოლა.
- ფ) უითნი, როგორც ფონოლოგი.⁸⁸

მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე უითნის <არ> შეუწყვეტია ამ დარგში მოღვაწეობა, მაგრამ არსებობს ორი ისეთი პასაჟი, რომლებიც პირველივე წუთებიდან სხვებზე უფრო უკეთესად შეგვაგრძობინებს მის აზროვნებას []. თავის *Life and Growth of language*⁸⁹-ის ერთ-ერთ ბოლო თავში უითნი ამბობს, რომ თურმე ადამინებმა ხმა გამოიყენეს იმისათვის, რომ თავიანთი წარმოდგენებისათვის ნიშნები მიენიჭებინათ, მათ ზუსტად ასეთივე წარმატებით შეეძლოთ ამ მიზნისათვის ქესტებისა თუ სხვა საშუალებების გამოყენებაც, თუმცა მათ ამ მიზნისათვის ყველაზე მოხერხებულად მაინც უფრო ხმა ჩათვალეს.⁹⁰ ჩვენ ვთვლით, რომ აქ ამ ორ სტრიქონში, რომელიც <დიდი> პარადოქსის ტოლფასია, დაუნჯებულია ყველაზე სწორი ფილოსოფიური წარმოდგენა, რაც კი ოდესმე არსებულა ენასთან [*>langage*] დაკავშირებით; და შემდეგ ისიც, რომ ჩვენი ყოველდღიური ურთიერთობა იმ საგნებთან, რომელთაც ჩვენ ვაანალიზებთ, ამ რეალობიდან გამომდინარე, მხოლოდ მოიგებს. რადგან იგი ადგენს, რომ ენა [*>langage*] სხვა არაფერია, თუ არა ნიშნის

⁸⁵ Cf. CLG/E (I), გვ. 168, N 10, Nr. 1262.

⁸⁶ Cf. CLG/E (I), გვ. 162, N 10, Nr. 1210.

⁸⁷ Cf. CLG/E (I), გვ. 169, N 10, Nr. 1268.

⁸⁸ Cf. CLG/E (II), გვ. 24, N 10, Nr. 3297.

⁸⁹ New York/London 1875.

⁹⁰ Cf. CLG/E (I), გვ. 33, N 10, Nr. 166, 168.

განსაკუთრებული შემთხვევა, რომელსაც არ შესწევს საიმისო უნარი, რომ საკუთარი თავის საფუძველზე შეფასდეს.⁹¹

მეთოდის წარმოშობას შეიძლება საფუძველად ნებისმიერ შემთხვევა დაედოს. მაგალითად, "პილიგრიმთა თავშესაფარი" Hôtel-Dieu (რაც ზუსტად იგივეა, რაც შუა საუკუნეების Hôtel-Dieu) გვთავაზობს მეთოდს, რომელიც აბსოლუტურად ემთხვევა ებრაული "ღვთის სამართლიანობის" მეთოდს. "ებრაული" მეთოდი შეუზღუდავად გამოიყენება აგრეთვე ასობით ფრანგულ <კომპოზიტ-შიც>. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ძველი ფრანგული, ასევე რა ინდოევროპულ საუკუნეობრივ ბილიკს, გადავარდა [].

სინამდვილეში სიმართლე არის ის, რომ უბრალო შემთხვევითობას []; და ისიც ცხადია, რომ ამგვარ შემთხვევითობას შეუძლია პროტოსემიტური ისეთ რამეში გადაჩეხოს, რაც თითქოს მისი ერთ-ერთი <ყველაზე წარუხოცველი ნიშანია>: აქ არ არსებობს სულის თავდაპირველი განსხვავებულობის, მათ შორის არც შემთხვევითის უმცირესი ნიშანიც კი; ყველაფერი თამაშდება სულის გარეთ, ბგერის ისეთ მუტაციათა სფეროში, რომელიც <მაღე> სულს აბსოლუტურად იმორჩინებს და აიძულებს იმ <განსაკუთრებული გზით> სიარულს, <რომელიც მას> ნიშანთა მატერიალურმა მდგომარეობამ მიუჩინა. <ზუსტად ასევე შეეძლოთ ისეთ კომპოზიტებს, როგორცაა Bet-haus, Springbunnen (რომლებშიც პირველი ტერმინი ზმნურ წარმოდგენას შეიცავს), ქვეუ-ლიყენენ იმის თქმის საბაბად, რომ გერმანული არ არის ინდოევროპული ენა [>langue<].>

ამ ყველაფერს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მეთოდი არის ის, რაც უნდა იყოს, გამომდინარე ბგერათა მდგომარეობიდან; უმეტესწილად იგი წარმოიშობა იმ რაღაცისგან, რაც არა მარტო შემთხვევითი <და> მატერიალურია, არამედ ნეგატიურიც, როგორც <ეს> არის ასო a-ს ამოვარდნა სიტყვიდან "beta-hûs", რაც მას ნაყოფიერ კვირტად აქცევს. ალბათ, საჭიროც არ არის იმის აღნიშვნა, რომ შეწყვეტის შედეგად მეთოდი [].⁹²

მაგრამ მაშინ რა ფასი აქვს ენათა [>langues<] იმგვარ კლასიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ისეთ მეთოდებს, რომელთაც ისინი <ნააზრვეის გამოსახატავად> იყენებენ; ამას რაღა შეესატყვისება? აბსოლუტურად არაფერი, გარდა ამ კლასიფიკაციის იმუამინდელი თუ მუდმივად მოდიფიცირებადი მდგომარეობისა.⁹³ არც მის წინარე საფეხურებს, არც მონათესავეებს და მით უფრო არც რასის სულს არ გააჩნია სათანადო დამოკიდებულება იმ მეთოდთან, რომელიც მინდობილია იმ სასაცილო ბგერით შემთხვევაზე, რომელიც მომენტში რომელიმე განსაზღვრულ ენას [>langue<] რომ დაატყვება.⁹⁴ იმ დროს, როცა ვაღიარებთ, რომ ფარისეველთა ის განზრახვა, რომ ენისგან [>langue<] შეექმნათ რაღაც <ისეთი რამ, რაც სრულიად არ იქნებოდა დამოკიდებული ადამიანურ სულზე და იქნებოდა> ორგანული, იყო ნამდვილი აბსურდი, მერე კი ვაგრძელებთ გზას და აზრადაც არ მოგვდის, რომ მისგან სხვა გაგებით ორგანული რამის შექმნას ვცდილობთ, თანაც გავგონია, რომ ინდოევროპული, ან სემიტური გენიალურობა დღედაღამ <გამეცადინებელი არიან იმისათვის>, რომ ენა [>langue<] იმავე ფატალურ რელსებზე დააბრუნონ. არ არსებობს ერთი ისეთი დაკვირვებაც კი, რომელსაც იქამდე არ მივყავდეთ, რომ <ჩვენ დაგვარწმუნოს საწინააღმდეგოში და> []. "ენის [>langue<] გენიის" წონა ნულის ტოლია ისეთ ერთადერთ ფაქტთან შედარებით,

⁹¹ Cf. CLG/E (I), გვ. 34, N 10, Nr. 173-174.

⁹² Cf. CLG/E (I), გვ. 505, N 10, Nr. 3240-3246.

⁹³ Cf. CLG/E (I), გვ. 506, N 10, Nr. 3248.

⁹⁴ Cf. CLG/E (I), გვ. 505 f, N 10, Nr. 3247.

როგორცაა ი დაბოლოების ამოვარდნა, რომელსაც ყველა მომენტში გააჩნია იმის უნარი, რომ რომელიღაც წინასწარ მოცემულ ენობრივ ფორმაში [>forme de langage<] ძირფესვიანად დაამხოს ნიშანსა და წარმოდგენას შორის არსებული კავშირი; და თანაც იმგვარად, რომ ახალი მეთოდი [].⁹⁵

<ენის [>langue<] ანტიისტორიულობის შესახებ>

[] დაკავებულია ორმაგი საგნით, რაც გაუგებარი შეიძლება მოგვეჩვენოს, თუკი შედარებას არ მივმართავთ.

საჭადრაკო პარტიაში ყოველ მოცემულ პოზიციას გააჩნია ის <თავისთავადი> ნიშანი, რომ იგი თავისუფალია წინა სვლისგან. ეს ნიშნავს იმას, რომ არა "მეტ-ნაკლებად", არამედ ტოტალურად სულერთია, თუ რომელი გზით მოხვედრი <ამ> პოზიციამდე, <იმდენად>, რომ იმ ადამიანს, <რომელიც პარტიას დასაწყისიდანვე ადევნებდა თვალს >, არ გააჩნია არავითარი უპირატესობა იმასთან შედარებით, ვინც კრიტიკულ მომენტში <მოვიდა> <ამ> პარტიის შესაფასებლად; ან სხვანაირად რომ ვთქვათ, არავის არ მოუვა აზრად აღწეროს რაიმე პოზიცია ისე, რომ ერთმანეთში აურიოს ის, რაც არის, იმასთან, რაც თუნდაც ათი წამის წინ იყო. ზუსტად იგივეა ენის [>langue<] ამოსავალი წერტილიც. როცა მას ამოსავალ წერტილად აიღებ, გაურკვეველი რჩება საკითხი, თუ რომელი მხრიდან შეიძლება იყოს ისტორიული ასეთი საგანი. ერთი შეხედვით, იგი მართლაც არსობრივად ეწინააღმდეგება ყველანაირ ისტორიულ დაკვირვებას და უფრო განკუთვნილია ისეთი აბსტრაქტული <სპეკულაციისათვის>, რომელიც თან სდევს ხოლმე იმ საჭადრაკო პოზიციას, ზემოთ რომ ვახსენეთ. მაგრამ ჩვენ შევინარჩუნებთ განსხვავებას, რადგან დარწმუნებული ვართ იმაში, რომ არ არსებობს ბევრი ისეთი რამ, რაც ჩვენ მოგვცემდა განსაკუთრებული სემიოლოგიის კომპლექსური ბუნების შეცნობის ისეთ საშუალებას, როგორადაც სახელდება ენა [>langage<]. – ეს იმისათვის, რათა ერთხელ და სამუდამოდ განვსაზღვროთ ეს განსაკუთრებული სემიოლოგია, რასაც წარმოადგენს ენა [>langage<], თან არა მისი ერთერთი კუთხიდან, არამედ გამომდინარე იმ დამაბნეველი დამთხვევიდან, რომლის დამსახურებაცაა სწორედ, რომ არასდროს ხერხდება ენის [>langage<] შეცნობა.⁹⁶

არსებობს >ენა< [>langue<] და ენის მეცნიერება [>science de la langue<] მხოლოდ იმ ამოსავალი პირობით, საიდანაც აბსტრაგირდება ის, რაც მოხდა ადრე და ისიც, რაც ეპოქებს ერთმანეთთან აკავშირებს. არსებობს ლინგვისტიკა [>linguistique<], ოღონდ <ზუსტად> საპირისპირო პირობით. [] ყოველი სხვა ისტორია []; ყოველ შემთხვევაში იგი არ მოითხოვს, რომ მოხდეს მისგან აბსტრაგირება [].

ეს აბსოლუტური წინაპირობაა იმის გასაგებად, თუ რა ხდება ერთ მდგომარეობაში, ან თუნდაც რა არის ერთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელი იყოს იმის აბსტრაქცია, რაც ამ მდგომარეობაში არ არის, მაგალითად, აბსტრაქცია იმისა, რაც ამას უძღოდა წინ. მაგრამ რა გამოდის აქედან განზოგადების თვალსაზრისით? განზოგადება შეუძლებელია [].⁹⁷

ზუსტად ასევე შეიძლება რომელიმე მინერალური პროდუქტის იმ კუთხით განხილვა, თუ რას წარმოადგენს იგი მინერალოგიის, <ან> იმ ისტორიული მოვლენების კუთხით, რომელთა წყალობითაც ეს მინერალი გაჩნდა დედამიწის ამ კონკრეტულ ფენაში, ამ კონკრეტულ ნაწილში, ან ამ კონკრეტულ

⁹⁵ Cf. CLG/E (I), გვ. 514, N 10, Nr. 3280.

⁹⁶ Cf. CLG/E (I), გვ. 197, N 10, Nr. 1485-1486.


⁹⁷ Cf. CLG/E (II), გვ. 24, N 10, Nr. 3297.

დროში. <შესაძლებელია> კი მხოლოდ ერთი, კონკრეტული და ლოკალიზებული პროდუქტის განხილვა? სრულიად შესაძლებელია, რომ მიეცე ილუზიას, რომ არ არსებობს სერიოზული დაინტერესება მათ დასაყოფად, <რომ ეს არის საკმაოდ გამჭვირვალე სოფიზმი, როცა მათი დაყოფა გინდა. ნუთუ ვერ ვგრძნობთ, რომ საქმე ეხება იმავე მატერიას? ეს არის ჩვეულებრივ ელემენტთა ფიზიკური ბუნება [], და ღირებულება []>. დე იყოს ასე. მაგრამ ჩვენ შევეცადოთ, რომ განვაზოგადოთ. <მაშინ ყველა შეამჩნევს, რომ არ არსებობს შესაძლო განზოგადების ისეთი სახეობა, როცა ყოველი პროდუქტი განიხილება როგორც თავისი გენეზისის, ასევე არსის ფარგლებში. და შემდგომად ამისა დაინახავენ, რომ როცა ერთ-ერთი მეცნიერება (გეოლოგია) ისტორიულია <არსებითად>, ამ დროს მეორე, მიუხედავად იმისა, რომ თავის საგანს ისიც <იმავე> ისტორიული მოვლენებიდან მოიპოვებს, მაინც <ანტი-ისტორიულია არსებითად> და არ შეუძლია <ადიაროს>, – ალბათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არსებობას შეწყვეტს, – <რომ> კლდის <ორი ნატეხი> ორი სხვადასხვა საგანია, იმ ადგილის მიხედვით განსხვავებული, სადაც მათი ფორმირება მოხდა, აგრეთვე ეპოქის, გარეშე პირობებისა თუ კომბინაციის ბუნების მიხედვით, მოკლედ, განსხვავებული იმ შესაძლო ისტორიულობის მიხედვით, როცა ისინი ერთსა და იმავე ფორმულას კვლავ და კვლავ ახორციელებდნენ წარმოდგენათა სფეროში. განზოგადება შეუძლებელია, <განზოგადებას საერთოდ არა აქვს აზრი> ტეტრარომბოიდულ კრისტალთან (?) დაკავშირებით, <იქამდე, ვიდრე> არ გვეცოდინება და ფორმალურად არ ავსხნით, რამდენად გვინდა იმ გარემო პირობებზე საუბარი, რომლებმაც <ამ კრისტალს> – რაღაც ისტორიული სახით – ფორმირების საშუალება მისცეს, იქნებოდა ეს აქ, იქ თუ სადმე სხვაგან, ან <რამდენად გვინდა> იმაზე <საუბარი>, თუ რა არის იგი, მაგალითად, ყველა სახის ტრირომბოიდთან მიმართებაში, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეეხება იმას, თუ როგორ <რომელ დროსა და სივრცეში> მოხდა ამ პროდუქტთა ფორმირება. ისეთი განზოგადების შემუშავების მოთხოვნა, რომელიც ამ ორივე საგანს თანაბრად მოიცავდა, იგივეა, რაც აბსურდის მოთხოვნა. ეს არის აბსურდის იმგვარი სახეობა, რასაც ლინგვისტიკა, <იმის მიხედვით, თუ> როგორ <ადიქმება იგი> დღიდან მისი გაჩენისა, სულ თავზე ახვევს გონებას. <ლაპარაკი არ არის ენობრივ/ლინგვისტურ სფეროში არსებული დაპირისპირების შესუსტებაზე, პირიქით. შეცდომა იქნებოდა, თუკი ვირწმუნებდით, რომ შეგვიძლია თუნდაც ერთი წუთით თავი ავირიდოთ მის შეუბრალებელ გარდაუვალობას. მისგან დასხლტომა ერთი წუთითაც კი შეუძლებელია, თვით []>. მომავალში შეუძლებელი <იქნებოდა> პრაქტიკულ ლინგვისტიკის ყოველდღიურ ტერმინთა ხსენებაც კი, თუკი ახლავე ab ovo არ განვაახლებდით საუბარს ენის ტოტალურ საკითხზე [>la question totale du langage<], კიდევ უფრო შეუძლებელი იქნებოდა იმ სწავლების შეფასება და ფორმულირება, რომელიც რაციონალურობის შემთხვევაშიც კი არ ითვალისწინებს []. გამოსატვის ყველა სახეობა, რომელიც კი თითქოს – გარკვეული დაშორებებით – ცდილობს ვერტიკალურ ფაქტებსა და ჰორიზონტალურ ფაქტებს შორის კავშირის დამყარებას, წარმოადგენს სურათებს. სხვა საფუძველს <ამ საზიზღარი განწყობისათვის ქმნის ის, რომ ვერ ბედავ ამ სურათების ვერც თავიდან მოშორებას და ვერც ადიარებას.>⁹⁸

⁹⁸ Cf. CLG/E (II), გვ. 24, N 10, Nr. 3297.

$$\begin{array}{ccc}
 \text{ან} & \frac{a}{a'} & \text{ან} \quad a:b \\
 & & (a':b')
 \end{array}$$

ენის სულ ბოლო კანონი [*>la loi tout á fait finale<*] <რამდენადაც ჩვენ ამაზე საუბარს ვებრძვით> არის ის, რომ არ არსებობს ისეთი რამ, რაც მუდმივად ერთი ტერმინით გამოიხატება (ეს არის იმ გარემოების პირდაპირი შედეგი, რომ ენობრივ/ლინგვისტურ სიმბოლოებს არ გააჩნიათ არავითარი კავშირი იმასთან, რასაც, წესით, უნდა აღნიშნავდნენ), ამის შედეგად ~~a-ს არ გააჩნია იმის უნარი, რომ რამე აღნიშნოს; b-ს დახმარების გარეშე (და ამის გარდა მხოლოდ იმ ზომით შეუძლია, რა ზომითაც b უკმნის მას ღირებულებას, და პირიქით, იმგვარად, რომ სხვა არაფერი რჩება, გარდა განსხვავებულობებიც)~~ ესეც a-ს ისეთივე დახმარების გარეშე; <ან> ორთავეს გააჩნია თავიანთი ღირებულება მხოლოდ <ურთიერთდიფერენციაციაში, ან> არც ერთ მათგანს, თვით სულ უმცირეს ნაწილაკშიც კი (აქ მე ვფიქრობ მათ შორის "ფესვზეც" სხვა მსგავს [] შორის) არ გააჩნია თავისი მნიშვნელობა რომელიმე სხვა ადგილზე, გარდა მუდმივად ნეგატიურ დიფერენციაციითა ამ წნუსისა [*plexus<*].⁹⁹ <მართლაც საკვირველია. მაგრამ> სად შეიძლება იყოს <სინამდვილეში საპირისპირო შესაძლებლობა?> <სად> არის პოზიტიური გამოსხივების ერთადერთი წერტილის ერთადერთი მომენტი <მთელ ენაში [*>langage<*], რადგან მართლაც არ არსებობს თუნდაც ერთი ბგერის იმგვარი სურათი, რომელიც სხვებზე უკეთ შეესაბამებოდა იმას, რისი აღნიშვნაც მას ევალება? ეს ცხადია აბსოლუტურად, აპრიორულადაც კი, რომ არასდროს არ იქნება რომელიმე ერთი/ერთადერთი ენის ისეთი ფრაგმენტი [*>fragment de langue<*], რომელიც სხვა რამეზე იქნებოდა დაფუძნებული (უკანასკნელი პრინციპის თანახმად), გარდა ერთმანეთის არდამთხვევაზე, ან სხვა დანარჩენთან არდამთხვევის ხარისხზე; პოზიტიური ფორმა გულგრილია იმ ხარისხით, რომლის შესახებაც ჩვენ წარმოდგენაც არ გვაქვს თვით იმის შემდეგაც კი, რაც ხუთ თუ ექვს ენას [*>langue<*] შევისწავლით, რაც []; რადგან ეს ხარისხი ნამდვილად უდრის ნულს.



<სქოლიო: ან []
 $\frac{a}{a'} b'$

<ეს მნიშვნელოვანია მხოლოდ რეტროსპექტური, ან პროსპექტური თვალსაზრისით, როცა []¹⁰⁰
 ყოველი წესი, ყოველი წინადადება, ყოველი სიტყვა, რომელიც უკავშირდება ენის [*>langage<*] საგნებს, ძალაუვნებურად იწვევს ხან a/b დამოკიდებულებას,

⁹⁹ Cf. CLG/E (I), გვ. 264, N 10, Nr. 1903.
¹⁰⁰ Cf. CLG/E (I), გვ. 265, N 10, Nr. 1906.

ხან კიდევ a/b დამოკიდებულებას და ყოველთვის არსებობს საფრთხე, რომ შეიძლება არც არაფერს ნიშნავდეს, თუკი მას კარგად გააანალიზებ.

სინამდვილეში ზუსტად ასეა, რადგან a და b ტერმინები <რადიკალურად უუნაროები არიან იმ ცნობიერების სფეროებში შესაღწევად>, რომელსაც მუდმივად მხოლოდ a/b დიფერენციაცია აღიქვამს და რომ თითოეულ ამ ტერმინზეა დამოკიდებული (ან თავისუფალია იმაში, <რაც მას შეეხება>) ცვლილება, თანაც სულ სხვა და არა იმ კანონების მიხედვით, რომლებსაც განაპირობებს სულის გაცნობიერებელი შემოჭრა. ასე ვუბრუნდებით იმ ძირითად გამონათქვამს, <რომლის მეშვეობითაც ზემოთ> ენის [>langage<] ინსტიტუციასა და სხვა ადამიანურ ინსტიტუციებს შორის არსებული განსხვავების <გარკვევას ვცდილობდით>, კერძოდ კი იმის, რომ იგი სულის მუდმივ კორექტირებას არ ემორჩილება, რადგან სათავეს არ იღებს წარმოდგენასა და გამოხატვის საშუალებებს შორის არსებული მოხვევებითი ჰარმონიიდან; ეს არის საფუძვლისეული განსხვავება ყველა იმ გარეგნული ილუზიისა თუ იმგვარი სიტუაციის საწინააღმდეგოდ, როგორცაა მაგალითად, რელიგიური რიტუალები, პოლიტიკურ ფორმათა, ტრადიციათა [] შემთხვევები, რომ აღარაფერი ვთქვათ ინსტრუმენტებზე []¹⁰¹

შესწორება. ზოგადი შთაბეჭდილება, რომელიც გამომდინარეობს უითნის უნათქვამი ცნობიერების მოღვაწეობიდან, საკმარისია ჯანსაღი ადამიანური გონებისათვის – ერთი ისეთი ადამიანის ჯანსაღი გონებისათვის, რომელიც კარგად იცნობს [], იქნება ეს ყველა მოხვევების დაფრთხობა თუ [] თავის არსში აღქმა. ეს მოსაზრება ჩვენ არ გვეკუთვნის. პირიქით, ჩვენ ღრმად <ვართ> დარწმუნებული იმაში, რომ ყველას, ვინც კი ენის [>langage<] ტერიტორიაზე ფეხს დაადგამს, შეუძლია საკუთარ თავს უთხრას, რომ იგი მიტოვებულია ცისა და <დედამიწის> ყველა ანალოგიისაგან. ზუსტად ეს არის მიზეზი იმისა, რის გამოც გახდა შესაძლებელი ენასთან [>langage<] დაკავშირებით ამგვარი ფანტასტიკური კონსტრუქციების შექმნა, იმათ მსგავსად, უითნიმ რაც დაანგრია, თუმცა თუკი სხვა კუთხიდან შევხედავთ, აგრეთვე იმისაც, თუ რატომ დარჩა მას ამდენი რამ უთქმელი.

1. <ენა [>langage<] უკვე აღარ არის> ნიშანთა თეორიის განსაკუთრებული შემთხვევა. <მაგრამ ზუსტად ამ> ფაქტის გამო აბსოლუტურად შეუძლებელია, რომ იგი იყოს რამე მარტივი (თავის სახეობაში ჩვენი სულისათვის პირდაპირ აღქმადი), ყოველ შემთხვევაში, იგი ნიშანთა ზოგად თეორიაში ხომ მაინც <იქნებოდა> ბევრითი ნიშნის განსაკუთრებული შემთხვევა, თანაც <რატომ ათასჯერ არა> უფრო კომპლექსური ყველა იმ ცნობილ შემთხვევასთან შედარებით, როგორცაა დამწერლობა, დაშიფვრა და სხვ.

2. ეს იქნება ენის [>langage<] გამოკვლევის <საფუძვლისეული> ზემოქმედება ნიშანთა თეორიაზე, <ეს იქნება> სულ <ახალ-ახალი> ჰორიზონტი, რასაც ის გახსნის; რომ ამით მან მას უჩვენა და <წარმოაჩინა> ნიშნის სრულიად ახალი მხარე, კერძოდ კი ნიშანი მხოლოდ მას შემდეგ შეიცნობა, რაც ყველა დაინახავს, რომ ეს არის ისეთი საგანი, რომელიც არა მარტო ტრანსპორტირებადია [>transmissible<], არამედ თავისი ბუნებით არის მოწოდებული საიმოსოდ, რომ მოხდეს მისი განვრცობა/გადატანა [>transmis<],

2. მოდიფიკაცია []. ოღონდ მას, ვინც ენის [>langage<] თეორიის შექმნას მონდომებს, შეუქმნის ასმაგ სირთულეს []¹⁰²

¹⁰¹ Cf. CLG/E (I), გვ. 266, N 10, Nr. 1910.

¹⁰² Cf. CLG/E (I), გვ. 169, N 10, Nr. 1267.

რადაცის დიფერსიფიკაციის ძირითადი ზომა []. მომენტი, როდესაც რადაცა აშკარად გადადის [], დაკავშირებულია გარკვეულ პირობებთან.

სრული ილუზია იქნებოდა იმის დაჯერება, რომ მომენტი, როდესაც []

ვიდრე კვლავ არსებობს სახელის, უბრალოდ სახელის ერთიანობა იმ საგანს (რომელიც გრძნობისმიერად აღქმადია) და [] შორის, არსებობს იმ მითოლოგიურ არსებათა პირველი კატეგორიაც, რომლებიც ძირეულად ემიჯნებიან სხვა არსებებს მითოლოგიურ არსებათა პირველადი კლასიფიკაციის ფორმით. მაშასადამე, სახელი <მართლაც> არის <გადამწვევტი, ერთადერთი> პრინციპი და არა მითოლოგიურ არსებებთან დაკავშირებული (რადგან მაშინ ვინ დაიწვებდა მის საფუძვლიან გამოკვლევას?), არამედ იმ მომენტის გამოწვევით, რომელშიც ეს არსებები სუფთად მითოლოგიური ხდებიან და დედამიწასთან დამაკავშირებელ უკანასკნელ ძაფს წვევებენ ოლიმპზე დასასახლებლად <მისასვლელად> შემდგომად სხვა [].

ვიდრე სიტყვა agni ამავე დროს – <მაშასადამე, შერევა> – აღნიშნავს ყოველდღიურ ცეცხლსაც <და ღმერთსაც, რომლის სახელია Agni, ვიდრე Djeus ამავე დროს არის []-ის სახელიც>, ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად შეუძლებელია, რომ Agni, ან Djeus იყოს იმავე რიგის ფიგურა, როგორებიც არიან Varuna ან Άπνó, რომელთა სახელები <ამავე დროს> სხვას არაფერს ნიშნავს.

თუკი დადგება მომენტი, როდესაც Agni შეწვევებს [] თანამონაწილეობას, ეს წამი წარმოდგენილი იქნება <ზუსტად ასე და არა სხვაგვარი> რეალობის სახით, რაც მიგვიყვანს იმგვარი აღქმადი საგნის <სახელის> წვევებამდე, <როგორიცაა ცეცხლი>: რეალობის, რომელიც დამოკიდებულია პირველივე საუკეთესო ენობრივ ფაქტზე [>fait de langue<] და რომელსაც არ გააჩნია გარდაუვალი კავშირი მითოლოგიური წარმოდგენების სფეროსთან. თუკი ერთმანეთის მიყოლებით [] ასახელებ <ქვამს>, ეს შეიძლება მივიდეს იქამდე, რომ ცეცხლს ერთმანეთის მიყოლებით უწოდო agni-ც და სხვა რამეც. და ამ მომენტში ღმერთი Agni, ისევე როგორც ღმერთი Zeus აუცილებლად ავა იმგვარი ხელშეუხებელ ღვთაებათა რანგში, როგორიცაა Varuna, ნაცვლად იმისა, რომ იმოდროს Ushas-ის მსგავს ღვთაებათა <სასრულ> სფეროში. <მაშ>, რაზე ყოფილა დამოკიდებული <მითოლოგიაში> ესოდენ <საფუძვლისეული და პოზიტიური ცვლილება?> მხოლოდ ერთ ისეთ ფაქტზე, რომელიც არა მარტო წმინდა ენობრივ-ლინგვისტურია, არამედ არ გააჩნია რაიმე აშკარად დანიშნულება ყოველდღიურ ენობრივ-ლინგვისტურ მოვლენებში. ამგვარად, საბოლოოდ მტკიცდება არა ის, რომ სახელგანთქმული ფორმულის შესაბამისად nūmina იგივეა, რაც nōmina, არამედ ის, რომ nōmen-ის ბუდი სრულიად გარკვევით და, როგორც იტყვიან, წუთი წუთზე დამოკიდებულია nūmen-ისაზე. <ამდენად> ისიც სიმართლეა, რომ იმ არსებათა ყველაზე ფართო კატეგორია, რომლებიც ყველა <ანტიკური ხალხის> პანთეონში სახლობენ, მომდინარეობს არა რომელიმე რეალური საგნის შთაბეჭდილებიდან, არამედ იმ ეპითეტთა [>épithètes<] <უსასრულო> თამაშიდან, რომლებიც თან ახლავს ყოველ სახელს და რომელთა წყალობითაც (<[]-სგან) შეგვიძლია იმდენი სანაცვლო შექმნა, რამდენიც გინდა. თუმცა ეს მაინც ვერ გადაიტანს ჩვენს ყურადღებას სახელებისა და ენის [>langue<] ძირითადი ზეგავლენისგან ფიგურათა შექმნაზე. თუკი ჩვენ შევთანხმდებით იმაზე, რომ სიტყვაში [] არის, მაშინ სიტყვა აქ იქნება განმსაზღვრელი; ეს არის პირველი სტიმულატორი [>suggesteur<] და ერთადერთი სასრული საფუძველი იმ პირველი ღვთაებისა, <რომელიც ერთ დღეს> <შეიქმნა> წინამორბედის გვერდით.

დღემოკლე უითონი

უითნი არ წერს შედარებით გრამატიკას – გერმანულ ლექსიკონს დღეს. შედარებითი გრამატიკა არ არის საჭირო იმისათვის, რომ [] მისდიო. თუმცა სანსკრიტის გრამატიკა ხანდახან იძლევა [].

<უითნი და მარცვალი>

უითნის მიუძღვის დიდი დამსახურება, რადგან მან თავი გაითავისუფლა შედარებითი გრამატიკისგან, ყველაფერი [], რადგან მან პირველმა შესძინა ამ საკითხს ფილოსოფიური დატვირთვა.

შეუფერებელი როლი

უითნი და ინსტიტუცია

უითნი და ახალი გრამატიკა

უითნი და ახალი გრამატიკოსები

საბოლოო ღირებულება.

~~უითნი და მარცვალი~~

უითნის სახელი ისე უნივერსალურადაა ცნობილი, რომ ლინგვისტიკაში ნაკლებად ჩახედულ ადამიანს შეიძლება გაუკვირდეს კიდევ, რომ ამგვარად დაფასებულ ავტორს არა აქვს გამოქვეყნებული [] არც ერთი ისეთი სტრიქონი, რომელიც პირდაპირ [] ეხება.

~~ოცდაათი წლის წინანდელი რამდენი ისეთი სპეციალური და ზოგადი ნამუშევრის დასახელება შეიძლება ლინგვისტიკიდან, რომელიც უიმედოდ დაძველებული არ იქნებოდა უკვე? სინამდვილეში მე მხოლოდ ერთადერთს [] ვხედავ. მე შორს ვარ იმ აზრისგან, ვამტკიცო, რომ ბევრი პუნქტი [] მაგრამ ბოლოს და ბოლოს შინაარსი დღეს ამისგან [] უფრო მეტად აღარ ზარალდება, ვიდრე მაშინ.~~


ვფიქრობ, <ეს არის> საუკეთესო <და ყველაზე მარტივი პატივისცემა>, რაც კი შეიძლება მიეგოს უითნის შემოქმედებას, თუკი მოვახდენთ იმის კონსტატაციას, თუ რა ნაკლებად შეეხო მას დროის მსახვრალი ხელი. მაგრამ ამგვარ შექებას, <რაც ალბათ არ> იქნებოდა ბანალური <ნებისმიერ სხვა სფეროში>, განსაკუთრებული ელფერი გააჩნია <ლინგვისტიკაში>. მთელი მისი შემოქმედებიდან რომელ წიგნს (იქნება ეს ზოგადი თუ სპეციალური ხასიათის და რომელიც ოცდაათი წლის წინ დაიწერა) აქვს იმის უმცირესი შანსიც კი, რომ არ მოძველდეს? მე ბევრი ვეძებ და ვერაფერი ვიპოვე. გარდა []. ამით იმის თქმას კი არ ვცდილობ, რომ უითნის წიგნი ბოლომდე მიყვანილი და მისი შინაარსი უკეთესის სურვილს არ აღძრავს; <ამას ხომ თვით ავტორიც არ მოიწონებდა> მაგრამ ის, რაც მასშია გადმოცემული და რაც უითნიმ 1867 წელს თქვა, 1894-შიც კი არ არის სათანადოდ გააზრებული, ასეთია საყოველთაო აზრი. ეს ისეთი ფაქტია, რომელიც ბევრ კომენტარზე უფრო ჭკუის სასწავლებელია და სასინჯ ქვადაც კი გამოდგება <ამ პიროვნებისათვის> პატივის მისაგებად.¹⁰³

¹⁰³ Cf. CLG/E (II), გვ. 25, N 10, Nr. 3297.

"Status et motus. ჩანაწერები წიგნისათვის
ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ"

N 11 "Status et motus"

<ყოველთვის>, როცა კი ენაში [>langue<] რაიმე მოვლენა ხდება, არა აქვს მნიშვნელობა, დიდი თუ მცირე, ამას შედეგად აუცილებლად მოყვება ის, რომ ამ მოვლენის შემდგომი ურთიერთდამოკიდებულება და მდგომარეობა განსხვავებულია იმისგან, რაც იყო იქამდე. თუკი ბერძნულში t დაბოლოება დროის განსაზღვრული მომენტისათვის ამოვარდება, მაგალითად *egnōt-ში, მაშინ ეს იქნება ისეთი მოვლენა, რომელიც თითქოს არანაირად არ ეხება *egnōn-ს, რაც ასეა სინამდვილეშიც, სანამ ლაპარაკია ამ მოვლენაზე, ან საერთოდ მოვლენაზე. მაგრამ თუკი ლაპარაკია მდგომარეობაზე, მაშინ ვხედავთ, რომ *egnōn-*egnōt-ის ურთიერთდამოკიდებულება იცვლება *egnōn-*egnō-თი. რაც აქ ასევე მნიშვნელოვანია (უფრო მეტად მნიშვნელოვანიც კი) არის ის, რაც ამ მოვლენაში იგულისხმება. ზუსტად ასევე, როცა (თუმცა აქ ალბათ, საჭირო არ <არის>, რომ განსხვავებები იკვლიო) ძველი ზემოგერმანული faris ხდება feris. ეს ისეთი ფაქტია, რომელიც faru-ს საერთოდ არ შეეხება, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც სწორი და ძალიან მნიშვნელოვანია იმის დადგენა, რომ ამ ფაქტის გამო faru:faris-ის ურთიერთდამოკიდებულება მდგომარეობამ თავისი ადგილი <დაუთმო> ისეთ ახალ ურთიერთდამოკიდებულ მდგომარეობას, როგორც არის faru: faris-ი. ასეთი დასაწყისი, მისი წინამორბედის მსგავსად, კარგად გამოდგება საიმისოდ, რომ შემოიტანოს ის განსხვავება, სადამდეც აუცილებლად უნდა მივიდეთ და დაუჯერებელია, რომ დიდი ხნიდან <მოყოლებული> ყოველი ზოგადი წარმოდგენა, ისევე როგორც [] ამაზე არ არის დამოკიდებული:



1. აზრის ნაკლებობა <ლინგვისტიკაში> ენის [>langue<] ერთ-ერთი სასიცოცხლო ფორმასთან: სტატუსთან დაკავშირებით.

საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლება ერთმანეთში აერიოთ ორი ძირითადი ფორმა – სტატუსი და მოტუსი, – შეიძლება ერთ დღეს საინტერესო რეტროსპექტული კვლევის საგნად იქცეს. ძირითადად, საქმე გვაქვს ორი სახის შეცდომასთან, <თანაც> ორივეს <მივყავართ> სტატუსის დაუნახაულობასთან.

პირველი შეცდომა მდგომარეობს (ისტორიული კვლევითი მეთოდის ჰიპერტროფიის შედეგად) სტატუსის ცნების უბრალოდ დათრგუნვასა და იმის წარმოდგენაში, რომ ენა [>langue<] ცოცხლობს იმგვარი ფაქტებით, როგორცაა t-ს ამოვარდნა, ანუ მოვლენებით. იმის მომიჯნავეებით, რომ ეს მოვლენები წარმოადგენენ ყოველი სტატუსის სისტემატურ გამომწვევ მიზეზებს, თვალსაზრისის მომხრეები ამტკიცებენ, რომ საერთოდ არ გააჩნიათ [] გრძნობა.

მეორე შეცდომა (ისტორიული კვლევითი მეთოდის პერვერსიის შედეგად) მდგომარეობს იმაში, რომ ცდილობენ ფორმულის სახით გამოხატონ ის მოვ-

¹⁰⁴ 1897 წლამდე; შეადრ. Engler 1975 a, გვ. 839.

ლენები, რომლებიც მიესადაგებოდა სტატუსს; თანაც, რაც ყველაზე უარესია, ყველაფრის გაყალბებისა და არევი-დარევის ფასად. მაგალითისათვის რომ ავიღოთ >ძველ ზემოგერმანულში i-ს წინა a გადადის e-ში: faru – feris<. ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ >არსებობს ა) ერთი ფაქტი, რომელიც მოითხოვს დროს, რომელშიც faris <და არა faru> ხდება feris, ბ) ერთი ფაქტი, რომელსაც არ სჭირდება დრო საიმისოდ, რომ <მერე> faru დაუპირისპირდეს feris-ს.

Status et motus.

<ენობრივ-ლინგვისტურ ფენომენტა რამდენი სახეობა არსებობს.> თუკი <ვიხელმძღვანელებთ> იმით, რაც ისწავლება ამჟამად (აგრეთვე ადრეც), ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს <არსებობს> ენობრივ-ლინგვისტურ ფენომენტა მხოლოდ ერთი სახეობა, ან კიდევ უამრავი სახეობა, გააჩნია კლასიფიკაციას, <ვის რა მოეწონება>. ჩვენ ვამბობთ, რომ არსებობს <არა ერთი, ან სამი>, არამედ <ზუსტად> ორი სახეობა, რომლებიც დამოკიდებული არიან არა <არჩევითობის> პრინციპზე, არამედ თავად საგანზე, თანაც შინაგანი და აშკარა აუცილებლობით.

- ენობრივ-ლინგვისტური ფენომენტა რამდენი სახეობა არსებობს?
- როგორ ხდება, რომ შეიძლება ფაქტების ერთი მთლიანი <რივი> მთლიანად უგულებელყოფილ იქნას მეორის სასარგებლოდ?

Status et motus.

სრულიად ბუნებრივია წარმოდგენა, რომ ენობრივ-ლინგვისტური ფენომენტები ქმნიან ერთადერთ ხაზს [>trame<] და ამ ხაზის დასანახად საჭიროა მხოლოდ ენობრივ-ლინგვისტურ ფენომენტა ისტორიულ დამთხვევებზე თვალის მიდევნება.

1. ენობრივ-ლინგვისტურ ფენომენტა რამდენი სახეობა არსებობს?

ამ კითხვაზე []

Status et motus.

ყოველ განსაკუთრებულ თუ ზოგად ფენომენტს, რომელიც კი შეიძლება ენაში [>langue<] გათამაშდეს, აქვს წილი რომელიმე მდგომარეობაში, რომელსაც ის აღნიშნავს, <თითოეულს დროის თავისი მონაკვეთის შესაბამისად>, ან კიდევ წარმოგვიდგება მოვლენის სახით. ერთი შეხედვით, ეს გასაკვირი არც არის. ლინგვისტიკის უამრავ პრინციპთა შორის რატომ უნდა მივანიჭოთ განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინცდამაინც იმას, რომელიც გამოყოფს მდგომარეობას მოვლენისგან, ან პირიქით? უფრო მეტიც, რატომ არ უნდა იყოს ცხადი, რომ ყველაფერი, რაც არის მდგომარეობაში, ჯერ იყო მოვლენაში; ნუთუ თუკი ვინმეს სადმე gero:gestus (მდგომარეობა) აქვს, ეს იმის გამოა, რომ მან * gesō gerō-სგან მოვლენა შექმნა? ამ პუნქტს ეყრდნობა ლინგვისტიკა. მდგომარეობა და მოვლენა მისთვის ერთი და იგივეა; ყოველ შემთხვევაში, იგი მათ სხვადასხვად არ აღიქვამს, არსად მათ ისეთ რამედ არ მოიხსენიებს, რასაც თავისი დამოუკიდებელი ღირებულება გააჩნია.¹⁰⁵

N 12 მდგომარეობა და მოვლენა

იმ ინერციის შესაბამისად, რომელიც <ჩვენი> სულისათვის სავსებით ბუნებრივი <მოჩანს>, []. ყოველ საგანში, რომელიც კი განვითარებას შეიცავს, ისტორიული თანმიმდევრობა, <დროში საგანთა რიგითობა>, ~~ისტორიული~~ თავისთავად გადადის მოვლენებზე და იღებს მდგომარეობიდან შემობრუნების ტენ-

¹⁰⁵ Cf. CLG/E (II), გვ. 26, N 11, Nr. 3298.

დენციას. თუნდაც ის რად ღირს, რომ გარკვეულ სწავლულლებთან ეს ტენდენცია მიდის იქამდე, რომ მათ მდგომარეობის შეგრძნების უნარი საესებით უქრებათ, ან კმაყოფილდებიან იმით, რომ არ ანიჭებენ მდგომარეობას რაიმე განსაკუთრებულ როლს იმ მოვლენებთან შედარებით, <რომლებიდანაც ისინი არიან ამოსული>. თუ რამდენად მძიმე შედეგის მომტანია სულის ეს არასწორი ქცევა ლინგვისტიკის მიღმა არსებული იმ უამრავი მეცნიერებისათვის, <რომლებსაც> გასათვალისწინებელი აქვთ ისტორიული ფაქტორი, ამის გადაწყვეტა ჩვენი საქმე არ არის; თუმცა ამის თქმა თავისი გადასახედიდან, ალბათ, შეეძლო ისტორიკოსს, იურისტს, პოლოგრაფს, გეოლოგს, ბიოლოგს, მეტეოროლოგს და სხვ., რადგან ჩვენი ცნობიერებისათვის ძალიან ცოტა ისეთი საგანი თუ არსებობს, რომლებიც გადაურჩნენ ისტორიული რიგითობის ფაქტს და ამით მოვლენათა და მდგომარეობათა განსხვავებულობას, ამის გარკვევა ჩვენი მოწოდება არ არის. მაგრამ ლინგვისტიკაში ეს რა არეულობასაც გამოიწვევს, ამის მოხაზვა ნამდვილად უნდა <ვცადოთ>, თუმცა საბოლოო და ამომწურავი ანალიზის გაკეთება, ალბათ, მაინც შეუძლებელი იქნება, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ [].

ადვილია იმის დანახვა, თუ საიდან მოდის ეს ტენდენცია. მოვლენა არის მდგომარეობის მიხეზი და ის, რაც მას (გარკვეული სახით) ხსნის [1.] ტერმინთა გაწონასწორებული, ურთიერთსაპირისპირო პოზიცია არასდროს არსებებულა. რომც არსებულებო, მოვლენათა კატალოგის დახმარების შედეგად, ეს პოზიცია მაინც მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნებოდა იმისგან, რასაც ეს მოვლენები წარმოადგენენ და, ალბათ, დამსახურებულადაც []. – საჭადრაკო პარტიასთან შედარება. II. სტატუსი და მისი თვითგანხილვა. ბეგრასა და წარმოდგენას, ფორმასა და აზრს, ნიშანსა და მნიშვნელობას შორის ანტაგონიზმის შესახებ წარმოდგენის <ბუნდოვანება და> უნაყოფობა. (როგორც გამონათქვამებიდან ირკვევა, ვიდრე ფორმა უპირისპირდება აზრს, ვიდრე ფორმა უპირისპირდება ბეგრას, თანაც ისე, რომ არ არსებობს ფორმის დეფინიციაც კი).

მაგალითი გოთურის წესად ქცეული ფორმულიდან.

1. u <ხმოვნის> წინ ხდება w,
2. w თანხმოვნის წინ ხდება u: შეცდომაა, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი გამონათქვამს გავასწორებთ და ვიტყვი: u <ხმოვნის> წინ ხდება [].
3. w [].

წვერაფერს იზამ იმასთან დაკავშირებით, რომ მოვლენა, თუკი იგი მდგომარეობას ხსნის, არის კიდევ მდგომარეობა. მეცნიერებათა უმეტესობისათვის საკმარისია რომელიმე მდგომარეობის წარმომავლობის ახსნაც კი, რადგან საკუთრივ მდგომარეობა უინტერესოა, ან იგი არ ასრულებს ისეთ განსაკუთრებულ <როლს>, რაც მას დაახასიათებდა, როგორც მდგომარეობას. <ისე> ხდება, რომ ენაში [>langue<] მდგომარეობებს და მხოლოდ მათ ენიჭებათ იმის ძალა, რომ რაღაცას ნიშნავდნენ; <მეორე მხრივ> ამ ძალის გარეშე ენა [>langue<] აღარაფერი არ იქნებოდა; ამგვარად აშკარად ჩანს, რომ ამ სფეროში, თვით [] შემდეგაც კი, არაფრით არ ხერხდება იმ საგნის მოხელთება, <რომელზეც არის ლაპარაკი>, რომლის ახსნის იმედიც თავს ვიმშვიდებთ ხოლმე.

<უკეთესი იქნება, თუ ახლავე დავაზუსტებთ>: † ჩვენ ლინგვისტიკას ისეთ მეცნიერებად კი არ ვთვლით, რომელშიც დაყოფის კარგი პრინციპი <მოიძებნება>, არამედ – ორიოდ საპირისპირო აზრს თუ არ ჩავთვლით, – ისეთ მეცნიერებად, რომელიც ცდილობს ორი ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული საგნის ერთ მთლიანობად გაერთიანებას, რომლის პროცესშიც იგი საკუთარ თავს არწმუნებს, რომ ისინი <ერთადერთ> საგანს <ქმნიან>.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი აქ არის ის, რომ <ჩვენი მეცნიერება> ამ კავშირით კმაყოფილი <გამოიყურება>, <როგორც ჩანს, ოდნავადაც არ აშფოთებს ის ბუნდოვანება>, რომ საფუძველი მთლად მყარი ვერ არის; იგი არ ამჟღავნებს უკმაყოფილებას <ჯერ კიდევ ესოდენ საეჭვო> მოსაზრებებთან დაკავშირებით, <რომელთაც იგი ყოველდღიურად ეთანხმება. იგი ისეა დარწმუნებული თავის საგანში, რომ თავსაც კი აღარ იწუხებს საიმისოდ, რომ ამ საყოველთაო უწესრიგობიდან დროდადრო გამოიყვანოს ხოლმე ენის [langue] ის წარმოდგენები, თეორიები, რომლებსაც იგი ასე გულუბრყვილოდ წარადგენს ხოლმე.

<პირველივე საგანი, რომელიც კი შეიძლება თვალში მოგხვდეს> 1. მოცემულია <მაშასადამე> რომელიმე შემთხვევითი ფორმა: ḗvw. ფორმაზე მანამდე ვერაფერს იტყვი, სანამ არაფერს დაუპირისპირებ, სანამ <იმ> მეორე ტერმინს არ დაუპირისპირებ, რათა მათი ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევა შეიძლოს. ~~უეჭველია, რომ ეს ძირითადი ტერმინები მხედველობიდან ეპარება ტრადიციული ლინგვისტიკის [] სკოლას.~~

შეიძლება მისი ჩაბმა ურთიერთობაში? რა თქმა უნდა და ეს იმის მიუხედავად, თუ როგორია ამ <პირველი> ურთიერთობის ბუნება, იმ egnōt-ის მეშვეობით, რომელიც სხვა ეპოქაში არსებობდა. მაგრამ ასევე აუცილებელია egnōn-ც, <რომელიც> იმავე დროში გვხვდება.

მოდით, განვიხილოთ ამ ურთიერთობათა ბუნება! <ბუნდოვნად იგრძნობა, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან> ჩვენ ნუ მოვთხოვთ ლინგვისტიკას, რათა მან დაიწყოს იმით, რომ <განსაზღვროს, დააფიქსიროს> მეორე, რათა მეორე <აქედან> მოხდეს იმ პირველთან არსებული განსხვავებების მარკირება, – ეს ხომ სუფთა ქაოსი იქნებოდა, – არამედ საქმე გავუმარტივოთ და საკითხი ისეთ <ტერიტორიაზე> მოვაქციოთ, რომელიც ყველაზე უფრო მშობლიურია ლინგვისტიკისათვის და ვკითხოთ, თუ რას აღნიშნავდა <თავიდან პირველი>: egnōt : egnō. იგი გვეტყვის, რომ ეს ფაქტის საქმეა და შეიძლება ფონეტიკური იყოს ან შეუძლია ბგერებს დაუკავშირდეს; თანაც ეს იმ დროს, როცა მეორე ურთიერთობა (egnō:egnōn) არც ფონეტიკურია და არც ბგერებთან აქვს რაიმე შეხება, თუმცა დაკავშირებულია ისეთ რამესთან, რის დეფინიციასაც იგი <სხვათა შორის> <მანაცდამაინც> კარგად ვერ ახერხებს და ვერ ამბობს, თუ რას წარმოადგენს იგი გრამატიკულად თუ მორფოლოგიურად (იმის მცირედი დეფინიციის გარეშე, რაც მის გრამატიკასა თუ მორფოლოგიას ქმნის) და ისეთ რამესთან, რომლის დროსაც, ალბათ, უნდა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ იგულისხმება აზრი, თანაც ისე, რომ ბგერა ხაერთოდ გამოთიშულია, ისე როგორც, მაგალითად [], სემანტიკურად, <სურვილის შესაბამისად>, <მაგრამ, ალბათ, ყველაფრიდან გამომდინარე> მაინც ფონეტიკურად, (სადაც ყველა ეს განსხვავება, ღმერთო მალალო, არც თუ ისე მნიშვნელოვანია, თუკი დაფიქრდებით იმაზე, რომ აქ საქმე ეხება უფრო ბგერებს და არა ფონეტიკას). აქ არის სწორედ ორმაგი შეცდომა. მაშ: <შეცდომაა, რომ ამ ორი ურთიერთობიდან [] ერთ-ერთს აქვს> პირველ რიგში, აბსოლუტურად მცდარია, რომ პირველი ურთიერთობა შეიძლება დასახილდეს იმ კუთხით, რომ ბგერებთან აქვს დამოკიდებულება, არამედ იგი არის []. ეს იმაზე არნაკლები შეცდომაა, რომ წარმოიდგინო, თითქოს მეორე ურთიერთობა თუნდაც ერთი წუთის მანძილზე ბგერებით არ აიხსნებოდეს. ახლა კი ნულარ შევიწუხებთ თავს [] გადახვევებზე.

2. ზემოთქმულის საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის, რაც თავიდან შესაძლო საგნად გვესახებოდა, იყო ფორმა. თუმცა ისიც უნდა დავუშვათ, რომ პირველ შესაძლო საგნად შეიძლება ჯერ ერთი მოვლენა იქნეს აღებული, შემდგომში კი – სხვა, რადგან აბსოლუტურად შეუძლებელია

<განსაზღვრა> იმისა, თუ სად არის ახლა ცნობიერებისათვის უშუალოდ შეთავაზებული საგანი (რაც განაპირობებს კიდევ მეცნიერების ფატალურობას). ნებისმიერ სხვა მეცნიერებაში საგნების გრძობისმიერად აღქმა, სულ ცოტა, ახლანდელ დროში მაინცაა შესაძლებელი; მათი გაანალიზებაც ამაზე დაყრდნობით ხდება, თანაც ისინი მუდმივად მხედველობის არეში არიან. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, რამდენად ეკუთვნის [] პირდაპირ ფსიქოლოგიას და ელოდება თუ არა მისგან შთაგონებას? ფსიქოლოგია ფლობს თუ არა სემიოლოგიას? უსარგებლო კითხვაა, რადგან რომ ფლობდეს, მაშინ ენის <[langue]> ის ფენომენები, რომლებიც <ფსიქოლოგიის იგნორირებას ახდენენ>, თავისთავად იმდენად <გაძლიერდებოდნენ> სემიოლოგიური ფაქტის ბაზისის სახით, რომ რასაც კი ფსიქოლოგები მათზე დაყრდნობით თქმას შეძლებდნენ, ძალაუვნებურად არაფერი ან <თითქმის არაფერი> არ იქნებოდა. † თუკი რომელიმე ლინგვისტი, ვისაც ამ საკითხის არსი ესმის, მოახერხებდა იმის დამტკიცებას, რომ ენაში <[langue]> არსებობს რომელიღაც პირველადი, ხელშესახები საგანი, ჩვენ არა მარტო შევწყვეტდით წერას, არამედ ამ [].

1. ჩვენს წინაშეა არა რაიმე ურთიერთობა, არამედ ფორმა, ანუ ერთადერთი ტერმინი).
2. ჩვენს წინაშეა არა <ფორმა>, არამედ ისეთი ურთიერთობა, რომელიც აერთიანებს ორ ტერმინს, სხვა მხრივ აბსოლუტურად სურვილის მიხედვით.
3. ჩვენს წინაშეა ორ ტერმინს შორის ურთიერთობის განზოგადება, მაგალითად: სანსკრიტში m ხდება (ან გახდა) n t-ს წინ.

ინდექსი – დიაქრონულად – უპირისპირდება სინქრონულად ან იდიოსინქრონულად. იიი. რატომაა შესატყვისობა მეტისმეტად ფონეტიკური.¹⁰⁶ (ფაქტი) იხ. ფონემა.

ტრადიციული (ნიშანი). – იხ. მთელი თავი სემიოლოგია. რა გაგებით არის ყველა ენობრივ/ლინგვისტური ნიშანი, ლინგვისტის გარკვეულ წარმოდგენათა საპირისპიროდ, ტრადიციული. რა გაგებით არ არის ნიშანი ტრადიციული იმ გარკვეულ მოსაზრებათა საპირისპიროდ, რაც ფილოსოფოსებთან იძებნება.

კანონი. დეფინიციას არ ექვემდებარება, <თუ არ ჩავთვლით იმას, რომ გამოიყოფა ორი საგანი, რომელიც ამ სახელს წარმოადგენს> იიი. არის სიტყვა, ტერმინი>, რომლის სწორად გამოყენებაც მხოლოდ მაშინ, ანუ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ამის აუცილებლობა არ არსებობს (იდიოსინქრონული კანონები), გვ. იიი. აუცილებლობა და <თითქმის ასეთივე აბსურდულობა>, – ასე შეიძლება ერთი მოვლენის ფორმულის აღნიშვნა (დიაქრონული კანონები).¹⁰⁷

ენის <[LANGAGE]> წარმოშობა: – უაზრო საკითხია მისთვის, ვინც იქამდეღებულობს სწორ წარმოდგენას იმის თაობაზე, თუ რა არის სემიოლოგიური სისტემა და მისი სასიცოცხლო პირობები, სანამ გამოიკვლევს მისი წარმოშობის პირობებს, გვ. იიი. <არ არსებობს ისეთი მომენტი, რომელშიც წარმოშობა თვისობრივად განსხვავებულია ენის <[langage]> სიცოცხლისგან და მნიშვნელოვანია ის, რომ მოხდეს სიცოცხლის შეცნობა.>¹⁰⁸

შპნ(ო)შპნ(ო). – ასევე, მისი გაგება, აგრეთვე, უნდა მოხდეს, როგორც მდგომარეობის, ასევე იმ მოვლენის მხრიდან, რომელიც მისი მიზეზია (როგორც ერთი, ასევე მეორე ფენომენის, თავიანთი რიგითობის მიხედვით). იიი. მისი გაგება მუდმივად მხოლოდ მოვლენის მიერ ხდება, ან იგი იქცევა ხოლმე

¹⁰⁶ Cf. CLG/E (II), გვ. 27, N 12, Nr. 3299.
¹⁰⁷ Cf. CLG/E (II), გვ. 28, N 12, Nr. 3299
¹⁰⁸ Cf. CLG/E (II), გვ. 30, N 12, Nr. 147.

ცოცხლით დაჯილდოებული იყო; შეიძლება, თავისუფლად ითქვას, რომ ამ დისციპლინებს (ისევე როგორც მთელ საზოგადოებას ზოგადად) დღემდე არ ექნებოდათ რაიმე ცნება ამ ნიშნის აღსანიშნავად, რომ არ შეემჩნიათ [], <[] რომ ნიშანთა გამიჯვნა< იცვლება>; ამიტომაცაა ნიშნის ფილოსოფიური წარმოდგენა აბსოლუტურად არასრულყოფილი, დაწყებული [].


და პირიქით, ლინგვისტის შემთხვევაში შეცდომად ითვლება ის, რომ რადგან იგი <ყველგან> მხოლოდ ისეთ გადატანასა და გადაცემას [>transmission et tradition<] ხედავს, სადაც დომინანტი მექანიკური ძალებია, ამიტომ იგი ენობრივ-ლინგვისტურ ნიშანს ვეღარ აღიქვამს არსობრივად ტრადიციულ ნიშნად. იგი მას მიაწერს ისეთ მისტერიულ და განსაკუთრებულ თვისებებს, რაც ეგვიპტის უფრო ანაღს< [>langue<, ან ისტორიას. <[] არც ბუნებით და არც სურვილებით იგი არ არის მოწოდებული აორისტის აღსანიშნად []>. ტრადიციული ნიშანი კვლავ და კვლავ გვხვდება იქ, სადაც ხვდებიან, რომ ყოველი ნიშანი აუცილებლად ეკრძნობა მხოლოდ ნეგატიურ Co-სტატუსს.¹⁰⁹

თავში სემიოლოგია:

<იმ კონცეფციათა უმრავლესობა, რომელთაც> ფილოსოფოსები <ქმნიან, ან ყოველ შემთხვევაში გეთავაზობენ მაინც>, მოგვაგონებს ჩვენი დიდი წინაპრის, ადამის საქციელს, რომელიც <სხვადასხვა> ცხოველს თავისთან იხმობდა და სახელებს არქმევდა ხოლმე.¹¹⁰ გამუდმებით სამი რამ აკლია ხოლმე იმას, რასაც ფილოსოფოსი ენის [>langue<] რეალობად მიიჩნევს:

1. <თავდაპირველად ავიღოთ ჭეშმარიტება, რომელსაც ჩვენ დაჟინებით სუფლაც არ ვამტკიცებთ> რომ ენის [>langue<] საფუძველს <არ> ქმნის სახელები. შემთხვევითობაა, როცა ნიშანი შეესაბამება იმ ობიექტს, რომლის აზრობრივი დეფინიციაც ხდება, მაგ.: ცხენი, ცეცხლი, მზე, <ნაცვლად ისეთი წარმოდგენისა, როგორიცაა იქ "მან ჩასვა">. ეს შემთხვევა როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს, მაინც არ არსებობს "აშკარა" საფუძველი საიმისოდ, რომ იგი მივიღოთ ენის [>langue<] ტიპად; პირიქით, ეჭვგარეშეა, <შეიძლება ჩაითვალოს> რომ ეს მცდარი მაგალითია. მაგრამ აქ ფარულად არსებობს ერთი ტენდენცია, რომელსაც ჩვენ ვერც <თვალს ავარიდებთ> და ვერც გვერდს ავუვლით. რასთან დაკავშირებითაც ენა [>langue<] <საბოლოოდაა ჩამოყალიბებული>: კერძოდ, რომ ეს ობიექტების ნომენკლატურაა. <წინასწარ არსებული ობიექტთა>

ჯერ ობიექტი, მერე ნიშანი; ნიშნის გარეთ და ნიშნის როგორც პირველადი აუცილებელი ბაზისის, აზრის გაველით მოცემული ობიექტი, რომელიც უფრო სხვა ეკვივალენტს ქმნის, ვიდრე ისინი, რაც ჩვენ აქამდე გვიხილავს მაშასადამე, (რასაც ჩვენ ყოველთვის გავაპროტესტებთ) ნიშნის გარეთ მოცემული ბაზისი და ენის [>langue<] ფიგურაცია ამ ურთიერთობის მიხედვით:



¹⁰⁹ Cf. CLG/E (II), გვ. 28, N 12, Nr. 3299

¹¹⁰ Cf. CLG/E (I), გვ. 147, N 12, Nr. 1086.

ამ დროს სწორი ფიგურაციაა a – b – c, <ისეთი ფაქტობრივი დამოკიდებულების შესახებ ყველანაირი ცოდნის გარეშე, როგორცაა * – a, რომელიც დაფუძნებულია ერთ ობიექტზე>. თუკი რომელიმე ობიექტი, მიუხედავად მისი ადგილმდებარეობისა, წარმოადგენს იმ საბოლოო პუნქტს, რომელზეც ფიქსირდება რაიმე ნიშანი, მაშინ ლინგვისტიკა აღარ უნდა იყოს ის, რაც არის <დაწყებული სულ თავიდან> დამთავრებული <ბაზისით>; უფრო მეტიც, აღარ იყოს ადამიანური სულით დაღდასმული იმავე მომენტიდან, <როგორც ამ დისკუსიიდან აშკარად გამოდის>.

მაგრამ ეს ყველაფერი, როგორც უკვე ვთქვით, მხოლოდ უბრალო პრეტენზიაა [>reproche incident<], რომელსაც ჩვენ ენის [>langue<] აღქმის ტრადიციულ მეთოდს ვუყენებთ, როცა მის ფილოსოფიურად აღქმას ვცდილობთ. – სწორი არ არის <აღბათ>, როცა იწყებენ იმით, რომ ამკვიდრებენ აღნიშნულ ობიექტთა <ამ რეალობას>, რომელ ობიექტებსაც აქ საერთოდ არაფერი ესაქმებათ. თუმცა ეს ხომ სხვა არაფერია, თუ არა ცუდად შერჩეული მაგალითი და იმ დროს, როდესაც ოქს-ს ადგილზე სვამენ ignis-ს, ცხენს ან კიდევ ისეთ რამეს, როგორცაა [], ამით მაღლდებიან ცდუნებაზე¹¹¹, რასაც ენის [>langage<] გარეგნულ ფაქტებზე მიბმა ჰქვია. ბევრად უფრო მძიმეა მეორე შეცდომა, რაც ფილოსოფოსებს ზოგადად მოსდით და რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მათ ჰგონიათ:

2. რომ თუკი რომელიმე ობიექტი ერთხელ აღინიშნება რაიმე სახელით, მაშინ ეს იქნება ისეთი მთლიანობა, რომელიც თავადვე გადაიცემა [>se transmettre<] თანაც ისე, თითქოს სხვა ფენომენი საერთოდ არც არსებობდეს! როცა რაიმე ცვლილება ხდება, მას, სულ ცოტა, სახელის მხრივ ხომ მაინც <უნდა> <მოფრთხილება>, მას მიაწერენ, რომ ხდება fraxinus frêne. თუმცა წარმოდგენის მხრივაც: [].

ეს საკმარისია უკვე საიმისოდ, რომ წარმოდგენისა და სახელის დაქორწინებაზე ვიფიქროთ, თუკი ამაში ჩაერევა ისეთი გაუთვალისწინებელი ფაქტორი, როგორცაა დრო და რომლის აბსოლუტური იგნორირებაც ხდება ამ ფილოსოფიურ კომბინაციაში. მაგრამ აქ მაინც არაფერი გასაოცარი, ტიპური თუ სპეციალურად მარტო ენისათვის [>langue<] დამახასიათებელი არ იქნებოდა, მარტო ეს ორი ცვლილება რომ არსებულიყო ლიკვიდაციის [>dissociation<] იმ პირველ სახეობასთან ერთად, რომლის წყალობითაც წარმოდგენა ტოვებს ნიშანს, თანაც სპონტანურად და ეს იმის მიუხედავად, იცვლება თუ არა ეს ნიშანი. დღემდე <ეს> ორივე <საგანი> რჩება ორ, ერთმანეთისგან გაყოფილ რეალობად, ყოველ შემთხვევაში [] მაინც.¹¹²

აქ საქმე გვაქვს უამრავ სახასიათო შემთხვევასთან, როცა ნიშნის ცვლილება <არის> სწორედ <ის>, რაც ცვლის თავად წარმოდგენას და რომელთა საფუძველზე უეცრად აშკარა ხდება, რომ არ არსებობს არავითარი განსხვავება, ერთი მომენტი თუ მეორე, განსხვავებულ წარმოდგენათა ჯამია თუ განმასხვავებულ წარმოდგენათა ჯამი. ორი ნიშანი ერევა ერთმანეთს ფონეტიკური ცვლილების შედეგად: წარმოდგენა იფანტება [>se confondre<] განსაზღვრულ მასაში (ისაზღვრება სხვა ელემენტების კავშირით). ნიშანი ახდენს თვითდიფერენციაციას იმავე ბრმა პროცესის შედეგად. აზრი აუცილებლად მიემაგრება ამგვარად წარმოშობილ სხვაობას.

აქვე მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს, თუმცა ამავე დროს კვლავ ხაზს ვუსვამთ იმ თვალსაზრისის სრულ უაზრობას, რომელიც ეყრდნობა წარმოდგე-

¹¹¹ Cf. CLG/E (I), გვ. 148, N 12, Nr. 1088-1091.

¹¹² Cf. CLG/E (I), გვ. 149, N 12, Nr. 1091.

ნის დროის გარეშე, კვლავგდაცემის [>transmission<] გარეშე კავშირს ნიშან-
თან და რომელიც ექსკლუზიურად, ექსპერიმენტის სახით გვასწავლის ნიშ-
ნის ფასს. მაგალითები.

<შემდეგი>

ტრადიციული.¹¹³

† ყოველ სტატიკურ ფაქტს, დიაქრონულსაგან განსხვავებით, ახლავს მნიშვნელობა (და შესაბამისად სხვა ძირითადი ნიშანიც).

† ყველაფერი, რაც თუნდაც რაიმე სახით ეხმარება მნიშვნელობას, ორმხრივად სტატიკურია.

† პირველ ნაწილში ვსაუბრობთ იმ ფენომენებზე, რომლებიც თამაშდებიან გარკვეულ ტერმინებთან მიმართებაში ისე, თითქოს ტერმინები უკვე აღარ დეფინირდებოდნენ ხილულ ობიექტებად, უკვე აღარ წარმოადგენდნენ იმას, რისი დეფინაციაც იყო საჭირო დასაწყისში. ეს არის ფიქცია. ლინგვისტიკის ყველაზე დიდ უხერხულობას წარმოადგენს სწორედ იმის გათვითცნობიერება, თუ რას ნიშნავს რომელიმე ტერმინის არსებობა, რადგან არც ერთი მათგანი არ გვეძლევა სრულიად ცხადი რეალობის სახით: ეს ხდება უფრო იმ ილუზიის მეშვეობით, რომელსაც ჩვევა გვიქმნის.

ენობრივ-ლინგვისტურ ფენომენთა რამდენი სახეობა არსებობს? ერთი ან უამრავი, – იტყვის ლინგვისტი და მწარედაც შეცდება. ერთი სახეობა, რადგან ისინი ყველანი ენობრივ/ლინგვისტურია და შესაბამისად, როგორც მას ჰგონია, ყველანი მიეკუთვნებიან ერთადერთ <საყოველთაოდ> აშკარა ერთიანობას. ან უამრავი, თანახმად იმ >თვალსაზრისებისა<, რაც ფაქტებთან დაკავშირებით აქვთ ხოლმე და რომლებიც მათ კლასიფიკაციაში შეიძლება გამოადგეთ. ლინგვისტი იტყვის, რომ ენაში [>langage<], მაგალითად, არსებობს ბგერა და მნიშვნელობა, <(წარმოდგენა)> ფაქტები, რომლებიც მიეკუთვნებიან ფონეტიკურ პროცესებს, აგრეთვე ფაქტები, რომლებიც მომდინარეობენ ანალოგიური პროცესებისგან. ან ფონეტიკური ფაქტები, მორფოლოგიური ფაქტები, სინტაქსური ფაქტები, ალბათ ლექსიკოლოგიურიც.

† ~~ფორმის განვრცობა დროის საშუალებით~~ [].

† ფორმის იმ ფორმებში არსებობა, რომლებიც პერიოდულად გარს აკრავს მას, (ამ ფორმის გარეთ მდებარე საგნებში>) და მასზე არ არიან დამოკიდებული; მასში მხოლოდ¹¹⁴ მათი დროში უწყვეტობაა.

† წარმოდგენა, რომ < იმის> დასახადად, თუ რა უდევს <საფუძვლად> ფორმებს, საჭიროა მხოლოდ >ამ ფორმებზე ანალიზის ჩატარება< ისე, ქიმიურ სუბსტანციაზე რომ ატარებენ ანალიზს თუ კვეთას, <ააშკარავენ> გულუბრყვილო და გასაოცარ კონცეფციათა მთელ სამყაროს. იგი აჩვენებს, რომ (1.) არსებობს ანალიზის ოცი სახეობა, რომელთაც არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო და მათი კლასიფიკაციის შედეგად აღმოჩნდება, რომ გააჩნიათ მხოლოდ ერთი და იგივე ღირებულება; რომ (2.) საგანი იქამდე არ ექვემდებარება ანალიზს, სანამ მას არ გააჩნია ისეთი არსებობა, რომლის დეფინიციაც შესაძლებელია. ამგვარად, საჭიროა იმ პირობათა გათვითცნობიერება, რომლის დროსაც საგანი არსებობს [] ფორმის სახით.

მდგომარეობისა და მოვლენის ერთმანეთში არევა.

ყველა მეცნიერებაში არსებობს კვლევასთან [>' étude<] დაკავშირებული მეტნაკლებად მნიშვნელოვანი, მეტ-ნაკლებად არსებითი განსხვავებები, <რომლებიც ქმნიან მეტ-ნაკლებ სიცხადეს,> რომელთა გარეშეც ფაქტები ცუდად დალაგდება ან ცუდად იქნება გაგებულნი. ~~ალბათ~~ მხოლოდ ლინგვისტიკაში არ-

¹¹³ Cf. CLG/E (I), გვ. 273, N 12, Nr. 1950.

¹¹⁴ Cf. CLG/E (II), გვ. 28, N 12, Nr. 3299.

სებობს ისეთი განსხვავება, რომლის გარეშეც ფაქტების გაგება საერთოდ შეუძლებელია, თუ არა შეცდომაში შეყვანით, რომლის გარეშეც არ მოხდება მათი ფიქსირება და აღქმაც კი, რომლის გარეშეც შეუძლებელია სიცხადის მიღწევა, []

ამიტომაც არსებობს ლინგვისტიკაში განსხვავება მდგომარეობასა და მოვლენას შორის; ამიტომაც დავეკითხოთ საკუთარ თავს, ნუთუ მისი ერთხელევი ამოცნობისა და <გაგების შემდეგ, ეს განსხვავება მაინც დართავს ლინგვისტიკას ერთიანობის ნებას და> ამის შედეგი ხომ არ არის, რომ <ენაში [>langue<] ჩვენ <ვხედავთ> ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ორ ისეთ საგანს, რომლებიც მოითხოვენ ორ მეცნიერებას, რომელთაც მე დავახასიათებდი არა როგორც პარალელურ, არამედ [].

იმისათვის, რომ ვინმეს მდგომარეობა და მოვლენა ერთმანეთში აერიოს, ლინგვისტიკას გააჩნია დაუშრეტელი შესაძლებლობები. კონფუზია <არის> წარმოდგენებში, მაგრამ ის რომ არ ყოფილიყო სიტყვებშიც, ფაქტების გამოხატვის ამ სახეობაში, რომლის გამოყენებაც ძალაუნებურად გვიწევს და [].

ენობრივ-ლინგვისტურ ფაქტთა <(დამოკიდებულებათა)> პირველი სახეობა. მათ ადგილი აქვთ ხოლმე ორ, ერთმანეთს ადევნებულ ტერმინს შორის. ისინი unt [>sup<]¹¹⁵

N 13. N 13 a¹¹⁶

N 13 "სხვა აღარავითარი ფიგურა!"

სხვა აღარავითარი ფიგურა! შესაბამისად სხვა აღარაფერი, გარდა იმ გამონათქვამებისა, რომლებიც ენის [>langue<] აბსოლუტურ რეალობებს განსაზღვრავენ? მშვენიერი აზრია, []. სხვა აღარავითარი ფიგურა! ეს ისეთი მშვენიერი აზრია, რომ სასწრაფოდ მოითხოვს ქალაქში გადატანას. ნეტა რა არის საჭირო საიმისოდ, რომ ეს წამოწყება პრაქტიკაში დაინერგოს? სულ ცოტა რამ: უბრალოდ, იმ გამოთქმების მოხმობა, რომლებიც ენის [>langue<] აბსოლუტურ რეალობებს შეესაბამება და რომლის უშეცდომო კლასიფიკაციაც არავითარ ეჭვს არ იწვევს.

მაგალითად, როცა ვხედავ, რომ [] მინიჭებული აქვს სახელი აბლაუტი [>ab-laut<], ვინ შემოშლის ხელს იმის თქმაში, რომ ეს არის ენის ფიგურა [>figure de langage<] და სხვა არაფერი, თუმცა დროთა განმავლობაში, აბლაუტი-სადმი მიძღვნილი ყოველი დისკუსია []. ამ აზრს გააპროტესტებენ, იპოვიან განსხვავებებს, სასაცილოდ აიგდებენ მას; <და მე საერთოდ არ ვიტყვი, რომ მართალი ვარ;> მაგრამ დისკუსიის ერთადერთი <სასარგებლო> მიზანი ჩემთვის იმის ჩვენებაა, <თუ რა არის აბლაუტი, თავისი არსიდან გამომდინარე>, რათა შემდეგ მქონდეს შესაძლებლობა იმის განსასჯელად, იმსახურებს თუ არა ჩემეული აღნიშვნა ასეთ დასახელებას – "ფიგურა". და ასე გაგრძელდება შემდგომშიც, ყოველი ტერმინისათვის ცალ-ცალკე.¹¹⁷ ფიგურაზე უარის თქმა ნიშნავს ყველა ჭეშმარიტებას იცოდე და ამბობდე კიდევ, სხვა შემთხვევაში ისინი რადიკალურად დაკარგავენ იმის თქმის უნარს, თუ სად იწყება და სად წყდება მეტაფორა.

აქ საუბარია ისეთ მარტივ ჭეშმარიტებაზე, რომ დარწმუნებული ვარ [].

¹¹⁵ Cf. CLG/E (II), გვ. 29, N 12, Nr. 3299.

¹¹⁶ 1894-1897, შეადრ. ენგლერ 1975 a, გვ. 839.

¹¹⁷ Cf. CLG/E (I), გვ. 18, N 13, Nr. 96.

ძალიან კარგი იქნებოდა, თუნდაც ერთი წუთით მერწმუნა, რომ ამ აღქმის დამდებთ დაახლოებით მაინც წარმოუდგენიათ ის, რისთვისაც თავს დებენ. სხვა აღარავითარი ფიგურა ამიერიდან? სხვა აღარაფერი, გარდა იმ გამონათქვამებისა, რომლებიც ენის [>langue<] აბსოლუტურ რეალობებს შეესაბამებიათ? ეს ყველაფერი თავს იყრის იმ ერთ გამონათქვამში, რომ ენის [>langue<] აბსოლუტური რეალობები არ წარმოადგენენ საიდუმლოს იმ ახალგაზრდა გრამატიკოსებისათვის, რომლებმაც ისინი ჩვენთვის გაამხილეს.¹¹⁸

პროგრამაში []. ის რეცეპტი, რომელიც მდგომარეობს იმის თქმაში, რომ საჭიროა ენის [>langue<] უახლესი და თანამედროვე პერიოდით დაინტერესება, <რათა უკეთ ჩავწვდეთ წინა პერიოდების აზრს,> ყველაზე უფრო ხელსაყრელი იყო უითნის მსგავსი ადამიანის გასაოგნებლად, რომელიც თავისი მეცნიერული საქმიანობის პირველივე წუთიდან და იმაზე ადრეც, რომელიც მეცნიერული სკოლის კვალდაკვალ, სულ იმაზე ფიქრობდა, როგორმე ამ გზას დასდგომოდა და არა ერთხელ უოცნებია იმაზე, რომ ენის კვლევა [>étude du langage<] რეალურ ფაქტებზე დაკვირვების ბაზისისგან განსხვავებულ სხვა სცენაზეც შეიძლება გათამაშდეს. ალბათ, Life and Growth of Language-ის ავტორს, <სხვაზე მეტად> სასაცილოდ არ უნდა უნდა პყოფნოდა რომელიც სკოლის <ეს> პრეტენზია, რომელმაც უეცრად ცოცხალი ენის [>langue<] სამყარო აღმოაჩინა და მთელ ქვეყნიერებას ამცნო ამის შესახებ. გასაგებია, რომ ახალი სკოლის აღიარებასთან დაკავშირებულ საკუთარ დამსახურებას, რომლის აღიარების <მზადყოფნასაც უითნი გამოთქვამს>, ეს პრეტენზია არ შეეხება, არავითარ შემთხვევაში, შეუძლებელია, რომ მას საკუთარი თავისთვის მიეწეროს ყველა ფენომენის თანამედროვე ვერიფიკაციის მნიშვნელობის გაგება. <იქნებოდა> კი ასევე გამართლებული არა უითნის, არამედ სხვისი მხრიდან გრამატიკის ახალი მიმართულებისათვის <თუ> მთლიანად მთელი პატივის არა, მასთან დაკავშირებული ტენდენციების <სი-ახლის მაინც> ჩამორთმევის მცდელობა? ეს კითხვა ნამდვილად ჩნდება. არც ამ ახალ მიმდინარეობას დაუმაღლავს, თუ რას უმაღლის იგი უითნის, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი იგი [] შეიძლება მხოლოდ []. აქაც და მაშინაც, თუკი ჩვენ ამ უითნისა და [] შორის <შუალედურ> პოზიციას დავიკავებთ, გავბედავთ და გავიმეორებთ, რომ არ ღირს ამაზე დისკუსიის გამართვა. ყველაზე უწინარესად სწორედ ენაში [>langue<] არსებობს სრულიად განსხვავებულ საგანთა ისეთი ორი სახეობა, რომლებიც კანონზე წარმოდგენას გვიქმნიან.

ფენომენთა ამ ორივე სახეობისათვის <თანაბრად> არ არსებობს რაიმე საფუძველი საიმისოდ, რომ მივეჯაჭვოთ ამ სახელს – კანონი, პირიქით, ამ სახელისგან <რადიკალური> გათავისუფლება სწორედაც რომ დიდი შვება იქნებოდა ენათმეცნიერული კვლევებისათვის, იგი ხომ შეუფერებელი იქნებოდა არა <მარტო> ამ ერთხელ, როცა ფონეტიკური კანონის აღნიშვნას მოინდომებდა, არამედ სამჯერ []: ა) რადგან იგი ერთმანეთში ურეგს ამ ორ საგანს: ფენომენს, რომლის მეშვეობითაც [], – ბ) რადგან როცა ახდენ დაყოფას – <დიდი პროგრესია> – და კანონს იყენებ [] ურთიერთობისათვის, ეს არის მხოლოდ არსებული წესრიგის გამოხატულება, თანაც ყოველგვარი იმპერატიული ძალის გარეშე; კანონის აზრი იგივეა, რაც წესრიგის ფორმულისა, ეს იგივეა, მე რომ ვთქვა, რომ რომელიმე სხეულის ნაწილაკები სპირალის ფორმით არიან განლაგებული. ეს არ გულისხმობს არც იმას, <რომ ეს ნაწილაკები> ასეთები არიან თავიანთი ბუნებით, იმიტომ, რომ ოდესღაც

¹¹⁸ Cf. CLG/E (I), გვ. 18, N 13, Nr. 101.

ასე <ყველგან> გადანაწილდნენ რომელიღაც იმ <ადრინდელი> ძალის მიერ, ჩვენ რომ არ გვეხება; არც იმას, რომ ისინი ასეთივე სპირალურები უნდა დარჩნენ, თუკი ახალი ძალა მოვა და მათ აურევს; აქ, უბრალოდ, იგულისხმება, რომ მოცემულ მომენტში სრულიად შესაძლებელია იმის დანახვა, რომ ისინი სპირალისებურნი არიან და ეს არის მათი ამჟამინდელი წესრიგი, მათი ამჟამინდელი კანონი. ამიტომაც კანონი აქ ნიშნავს იგივეს, რასაც არსებულ საგანთა რეგულირება, წესრიგი, თანაარსებულ საგანთა წესრიგი []; – გ) იმ იმპერატიული ძალით, რომელიც გარეგნულად უკეთ ამართლებს ამ სახელს – კანონი []. – შეიძლება აღმოჩნდეს, რომ იმ შემთხვევაში, როცა მორფოლოგიურ კანონთა ოპოზიცია თავისთავად გამართლებულია, აზრი აღარ აქვს ფონეტიკურ კანონთან დაკავშირებით იგივეს მტკიცებას. ჩვენ არ ვეთანხმებით ამას. სანამ არ გაირკვევა, თუ კანონის რამდენი სახეობაა <საერთოდ> ენათმეცნიერებაში, ერთი, ორი, <თუ სულაც> სამი, არა აქვს ამას მნიშვნელობა, <რამდენი სახეობაც არ უნდა იყოს>, აზრი არა აქვს საერთოდ საკუთარი თავისადმი იმის კითხვას, არის თუ არა ეს >კანონები< [].¹¹⁹

N 13a "მარტივი გამონათქვამი"

რადგან ყოველი ცნების, იქნება ეს მარცვალი თუ eu დიფთონგი, მარკირება მხოლოდ სვეტის სახით არის შესაძლებელი – თანაც ივარაუდება ერთმანეთის მომდევნო რამდენიმე მდგომარეობა (ცნების გაგების შესაბამისად), აგრეთვე რამდენიმე ეპოქა – ამდენად აბსოლუტურად უსარგებლოა ტერმინოლოგიებით ბრავირება [] და დიდი ხნის მანძილზე იმის <გულუბრყვილოდ> წარმოდგენა, რომ თურმე მარტივ გამონათქვამებს იმიტომ ვერ პოულობენ, რომ ამის უნარი არ შესწევთ, ან ლექსიკური მარაგი არასრულყოფილი აქვთ. არ არსებობს არავითარი მარტივი გამონათქვამი იმ საგნებთან მიმართებაში, რომლებიც ჯერ უნდა გამოიყოს ლინგვისტიკაში ერთმანეთისგან. მარტივი გამონათქვამი ან იქნება ალგებრული, ან არ იქნება.¹²⁰

N 14¹²¹. "არტიკულაციის შესახებ"

"არტიკულაციის შესახებ". ყოველ მეცნიერებაში არსებობს ისეთი ტერმინები, რომლებიც სულ თავიდან შემოიღეს, ანუ იმ პერიოდში, სიბნელეში ხელის ცეცებით რომ დადიოდნენ. ამ ტერმინებით მაშინ მოხერხდა აუცილებელ განსხვავებათა გადმოცემა და ამით მათ <ხელი შეუწყვეს ისტორიული> კვლევის პროგრესს. არსებობს კიდევ სხვანაირი, რადიკალურად მცდარი, ან (რაც <ნამდვილად> უარესია) ნახევრადმცდარი ტერმინებიც, რომლებმაც იმისათვის მოახდინეს თავიანთი ადგილის უზურპაცია ბუნებრივ განსხვავებათა გვერდით, რომ შეექმნათ ორაზროვნებისა და გაუგებრობათა სამყარო. მაგრამ ამ ორი ცნობილი კატეგორიის გარდა, რომელთაგან დისციპლინის პროგრესი ხან ნახულობს გარკვეულ სარგებელს,¹²² ხან კი ვერა, ზოგჯერ გვხვდება ტერმინთა კიდევ მესამე და ძალზედ უცნაური კატეგორია, კერძოდ ის ტერმინები, რომლებიც თავისთავად სწორია ან ასეთად აღიქმება, მაგრამ

¹¹⁹ Cf. CLG/E (II), გვ. 29, N 13, Nr. 3300.

¹²⁰ Cf. CLG/E (II), გვ. 29, N 13, Nr. 3301.

¹²¹ დაუთარილებელია; შეადრ. Engler 1975 a, გვ. 839.

¹²² Cf. CLG/E (I), გვ. 34, N 14, Nr. 177.

ვერავინ იტყვის ზუსტად, თუ რაში მდგომარეობს მათი მნიშვნელობა თუ შინაარსი, ან კიდევ რომელ წარმოდგენას მოიცავენ ისინი. მათი სისწორის განცდა მოდის იქედან, რომ ისინი არასდროს ქმნიან სირთულეებს: ასე, მაგალითად, სიტყვა არტიკულაცია არც ერთ ცნობილ <შემთხვევაში> არ ქმნის რაიმე სირთულეს, მაშინაც კი, როდესაც ჩვენ ცხადად ვერ ვაცნობიერებთ, თუ რას გულისხმობს იგი, ამ დროს, მაგალითად, სიტყვა თანხმოვანი [].

"ზოოლოგები, ანთროპოლოგები, ეთნოლოგები და ლინგვისტები როგორც უნდათ, ისე საუბრობენ არტიკულირებულ ენაზე [>langage articulé<], როგორც ისეთ <საქმეზე>, რომელიც ყველასთვის გასაგებია. ამით ისინი ამტკიცებენ, რომ მათ "არტიკულაცია" ერევათ ისეთ სიდიდეში, რომელიც მოთავსებულია ტვინში [>quelque fait célebral<], თითქოს იგი იყოს ენისათვის [>langage<] წინასწარ დადგენილ "წარმოდგენათა შედეგი". იმას კი არავინ აჩვენებს, თუ რა კავშირშია არტიკულაციის მნიშვნელობა პირის აპარატთან [>signification buccale<].¹²³

N 14¹²⁴ "იმპლოზია + იმპლოზია"

"იმპლოზია + იმპლოზია"

ორი, ერთმანეთის მომდევნო იმპლოზია შეიძლება გამოვლინდეს <ა> ორი, ერთმანეთს დაშორებული იმპლოზიის, ან <ბ> ერთი, ზოგადი იმპლოზიის სახით. თავის მხრივ, პირველ შემთხვევაში, რომლის რეალიზებაც, სურვილისამებრ, ყოველთვის შესაძლებელია, არ არსებობს შემზღვეველი მიჯნები; ამ დროს კი მეორე შემთხვევაში, რომლის რეალიზებაც, ჩვენი სურვილის შემთხვევაშიც კი მხოლოდ გარკვეულ პირობებშია შესაძლებელი, ნამდვილად არსებობს ასეთი მიჯნა. <და> კვლავ ეს პირობები <ისევე> მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ფონემათა ღიაობის ხარისხზე [>aperture<], თანაც იმგვარად, რომ ჩ-სგან შეიძლება განხორციელდეს იმპლოზიური დამთხვევა [>chainon<] (რადგან ამ დროს ღიაობა [>aperture<] მცირდება), მაგრამ არა ჩ-სგან, რომელსაც სამუდამოდ ერგო წილად (უბრალო იმპლოზიურ რიგად) ჩ-დ დარჩენა, თვით იმპლოზიური დამთხვევის უდიდესი სურვილის შემთხვევაშიც კი, <რადგან ამ დროს ღიაობა [>aperture<] იზრდება>.

აქვე უნდა დავუმატოთ, რომ – თუკი ექსპლოზიური დამთხვევა უშვებს როგორც რამდენიმე, ასევე მხოლოდ ორ ფონემას, თანაც იქამდე, ვიდრე ღიაობა <, როგორც ვამბობდით, > იმატებს – ზუსტად ასევე იმპლოზიური დამთხვევაც უშვებს რამდენიმე ფონემას და ისიც იქამდე, ვიდრე ღიაობა იკლებს. აგრეთვე, თუკი ექსპლოზიური დამთხვევის გავრცელების საზღვარი გამომდინარეობს იქედან, რომ <4 თუ 5> ფონემის შემდეგ შეუძლებელია მეექვსე, კიდევ უფრო ღია ფონემის პოვნა, იმპლოზიური დამთხვევის გავრცელების საზღვარი გამომდინარეობს იქედან, რომ შეუძლებელია ძალიან სწრაფად იპოვო წინაზე უფრო დახურული ფონემა: მაგალითად, áíff'č-ს არ შეუძლია დახურულ ბგერათა კიბეზე უფრო მაღლა ასვლა. ის, რაც <ამის მერე> მოდის, როგორც უკვე ექსპლოზიასთან დაკავშირებით ვთქვით, აბსოლუტურად უკავშირდება არა იმპლოზიური დამთხვევის საკითხს, არამედ მხოლოდ

¹²³ Cf. CLG/E (I), გვ. 35, N 14, Nr. 177.

¹²⁴ სავარაუდოდ, 1897 წელს ჩატარებული ლექციის "Théorie de la syllable" მოსამზადებელი ჩანაწერები, შეადრ. Engler 1975 a, გვ. 39.

იმ საკითხს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს იმპლოზიურ დამთხვევას, რამდენი რამე შეიძლება მოჰყვეს და რომლის დროსაც პირველ რიგში <აუცილებელი ელემენტის სახით> იგულისხმება <რადაციის გამოთქმის> განზრახვა.¹²⁵

[] შეიძლებოდა აქ ცდუნებას აველოდით და გაგვეცინა, <პირველ რიგში> კი გვეკითხა, თუ როდის უნდა დაიწყოს ფონოლოგიის განსხვავებათა მტკიცე ნიადაგზე დაყენება, თუ საერთოდ <საჭიროა ამაზე ლაპარაკის დაწყება>. წარმოიდგინა კი ვინმემ თუნდაც ის უმცირესი []

ფონოლოგიის შემთხვევაში ზუსტად ისევეა, როგორც ლინგვისტიკის, <და> ასე იქნება იმ ნებისმიერი სხვა დისციპლინის შემთხვევაში, რომელსაც წილად ხვდა ეს უბედურება, იმოდროს ფაქტების ორ, ერთმანეთისაგან გამოყოფილ რიგს შორის, <რომლებშიც> ერთადერთი მხოლოდ <კორელაცია> ქმნის დამკვირვებელ ფაქტს. ისევე <როგორც ჩვენ სადმე სხვაგან მოვეყვებით იმის მტკიცებას, რომ უკიდურესად> ილუზორული <არის> იმის ვარაუდი, რომ ენათმეცნიერებაში <შესაძლებელია> პირველი რიგის: ბგერები და მეორე რიგის: მნიშვნელობები <გამოცნობა> და ეს იმ მარტივი მიზეზით, რომ ენობრივ-ლინგვისტური ფაქტი <არსებითად> უუნაროა საიმისოდ, რომ შედგებოდეს მხოლოდ ერთადერთი ამ საგნისგან, უფრო მეტიც, საარსებოდ მას სჭირდება ერთი <შესატყვისობა>, მაგრამ არც ერთი წუთითაც კი – სუბსტანცია, მით უფრო ორი სუბსტანცია; ასევე <ჩვენ ვადგენთ, რომ არც აკუსტიკური ფაქტი და არც მექანიკური ფაქტი, თითოეული თავ-თავის სფეროებში, არ წარმოადგენს ისეთ ფონოლოგიურ ფაქტს, რომლიდანაც ჩვენ იძულებული ვართ, რომ ამოვდიოდეთ კიდევ და ისევ მას ვუბრუნდებოდეთ; არამედ ის, რომ ეს არის მისი კორელაციის განუწყვეტელი ფორმა, რასაც ჩვენ ფონოლოგიურ ფაქტს ვეძახით>.¹²⁶

N 14b¹²⁷ "დამარცვლის თეორია"

რაც ახლახანს i-ი თუ სხვ. ნოტაციის შესახებ ვთქვით, შეგვიძლია გავიმეოროთ იმ "თეორიასთან" მიმართებაშიც, <რომლისგანაც> ეს ნოტაცია <გამომდინარეობს>. ეს "თეორია" არაფერს არ ხსნის, იგი შემოიფარგლება ზუსტად იმით, რომ დაადგინოს ის რაღაც (კერძოდ კი აკუსტიკური ეფექტი<, რომლის მიზეზებიც ჩვენთვის მიუწვდომელია>), რაც უნდა აიხსნას. თეორიის იმ ერთადერთ პუნქტს, რომელიც არის განმარტებითი და არა დადგენითი ხასიათის, წარმოადგენს ის, რომ ბგერებს მხოლოდ მაშინ გააჩნიათ სემანტიკური ფუნქცია, როცა მარცვალზე მახვილს [>accent syllabique<] იმატებენ. ეს შეიძლება ჩვენ ამოსავალ პუნქტად გამოგვადგეს, თუმცა იმ პირობით, რომ იგივე თეორია სრულად აგვიხსნის, თუ რა არის მარცვალი, რა არის ის <მესამე> აკუსტიკური ეფექტი, რომლის ახსნაც საჭიროა. მაგრამ ეს მაინც, ალბათ, ის უკანასკნელი თემაა, რომლის გარშემოც [] რაიმე სიცხადე, გარდა იმ ფაქტისა, რომ ყოველ მარცვალში უნდა იყოს ერთი ხმოვანი, თანაც იმგვარად, რომ მარცვალი დამოკიდებულია ხმოვანზე, ხმოვანი კი მარცვალზე და არ არსებობს ისეთი რამ, რაც ამ მოჯადოებულ წრეს თუნდაც რომელიმე ადგილას გაარღვევდა.¹²⁸

¹²⁵ Cf. CLG/E (I), გვ. 136, N 14a, Nr 983.

¹²⁶ Cf. CLG/E (II), გვ. 30, N 13, Nr. 3303.

¹²⁷ საგარაუდოდ, 1897 წელს ჩატარებული ლექციის "Théorie de la syllable" მოსამზადებელი ჩანაწერები, შეადრ. Engler 1975 a, გვ. 39.

¹²⁸ Cf. CLG/E (I), გვ. 140, Nr 1015.

2. საპასუხოდ იტყვიან, რომ მართალია, ეს თეორია არაფერს ხსნის, სამაგიეროდ, სულ ცოტა, არააგრესიული ხომ მაინც არისო; რომ i-i ნოტაცია შეიძლება ეფუძნებოდეს იმას, რომ იგი არ წარმოადგენს პროგრესს იმასთან შედარებით, რაც ჩვენ მხოლოდ ყურის მეშვეობით ვიცოდით და იქვე [] დარჩეს მართებულად, როგორც დებულება ჭეშმარიტი აკუსტიკური ფაქტის შესახებ.¹²⁹

3. თუ გინდათ იცოდეთ [], უწინარეს ყოვლისა, განვიხილავთ არა I u r l m n-ის როლს, ან თანხმონისა თუ ხმონის თუ თუნდაც დამარცვლის სპეციალურ საკითხებს კი არ განვიხილავთ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმას, თუ როგორ შეიძლება გავიგოთ, თუ რომელი შესაძლებლობების მიხედვით ხდება ზოგადად მეტყველებაში [>parole<] ელემენტთა ნებისმიერი რიგის წინ თუ უკან დასმა: რასაც ჩვენ ბგერათა ჯაჭვის თეორიას ვუწოდებთ. ამ დამთხვევის ყველა პირობა ორი გარემოებითაა ნაკარნახევი¹³⁰:

1. განსხვავებულ ფონოლოგიურ სიდიდეთა ღიაობა [>aperture<], ანუ დახურვისა თუ გახსნის ის ხარისხი, რასაც გამოხატავს b-სა თუ r-ს არტიკულაცია პირის აპარატში და სხვ.

ღიაობა ნული:	p t k;	b d g
"	1	m n
"	1	s f P, etc.; z v d etc.
"	2	r l
"	3	i u ü
"	4	e o ö
"	5	a ¹³¹

2. იმპლოზიური ან ექსპლოზიური ფორმა, რომელთაც შეიძლება იგივე ფონოლოგიური სიდიდეები გააჩნდეთ მუდმივად¹³², რაც აგრეთვე მათი ღიაობის ხარისხია, საიდანაც ერთადერთი a უნდა იქნეს ამოღებული, რადგან მისი ღიაობა იმდენად დიდია, რომ არ []¹³³

~~აქედან მოყოლებული, ჩვენ უკვე ვაწყობთ დაწერილობის მიხედვით ყოველი ფონემის იმპლოზიური თუ ექსპლოზიურ ფორმების განსხვავებას იმის მეშვეობით, რომ იმპლოზიურს ეწეროთ ასომთავრულით, მაგალითად T და t, N და n. ერთადერთი i და u მიიღებენ ამიერიდან []¹³⁴~~

თუკი ამოვალთ ამ ორივე გარემოებიდან, დავინახავთ, რომ მათგან ერთ-ერთი უაზრობაა; მაგალითად, აზრი არა აქვს იმის კვლევას, თუ რა ღირებულება გააჩნია g+t თუ p+t თუ m+r ჯგუფებს; ესენი არიან, როგორც ცნობილია, სრულიად არადეტერმინირებული <ჯაჭვის ფრაგმენტები [>fragment de chaîne<], ჯგუფის როგორც ერთი, ასევე მეორე ელემენტისთვის და ეს იმის მიხედვით, იმპლოზიურად იქნებიან გაგებულნი თუ ექსპლოზიურად. (ასე მაგალითად, p+I შეიძლება გაგებულ იქნას როგორც Pj, ასევე pj, ასევე pl ან თვით Pl, სხვაგან მომხდარი განსხვავების შესაბამისად; ასევე m+r შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც Mr, ასევე mr, ასევე mR; და ა. შ.)¹³⁵

¹²⁹ Cf. CLG/E (I), გვ. 140, Nr 1061. წინადადების კავშირი არ ექვემდებარება რეკონსტრუქციას.
¹³⁰ Cf. CLG/E (I), გვ. 127, Nr 908.
¹³¹ Cf. CLG/E (I), გვ. 113, Nr 803.
¹³² Cf. CLG/E (I), გვ. 127, Nr 909.
¹³³ Cf. CLG/E (I), გვ. 128, Nr 916 f. წინადადების კავშირი არ ექვემდებარება რეკონსტრუქციას.
¹³⁴ Cf. CLG/E (I), გვ. 130, Nr 934.
¹³⁵ Cf. CLG/E (I), გვ. 131, Nr 941.

შენიშვნა. მხოლოდ I და u არიან ისეთი სიდიდეები, რომლებსაც ანბანში ნოტაცია გააჩნიათ, თანაც ეს დამოკიდებულია იმაზე, იმპლოზიური ფორმით (I,u) გამოჩნდებიან თუ ექსპლოზიური (j,w). ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ამ ნოტაციაზე უარი ვთქვათ. პირიქით, ვაპირებთ მის გავრცობას ყველა სხვა სიდიდეზე, თანაც იმპლოზიისათვის გამოვიყენებთ ასომთავრულ ასოებს T, N, R და სხვ.; ექსპლოზიისათვის კი – სხვა დანარჩენ ასოებს t, n, r და სხვ.; ერთადერთი, რაც აქ საჭირო იქნება, ესაა I,U ასოების ასომთავრულით, ხოლო j,w ასოების ნუსხურით სისტემატური მარკირება, რათა არ გავწყვიტოთ სხვა იმპლოზიებსა და ექსპლოზიებთან შესატყვისობა.¹³⁶

კანონები. ყოველთვის შეიძლება იქამდე წახვიდე, რომ ბგერათა ჯაჭვში ნებისმიერი ორი ფონეტიკური სიდიდე <მატერიალურად მაინც> ერთმანეთს მიაყოლო, თვით მაშინაც კი, თუკი დადგინდება, <რომ ორივე მათგანი ექსპლოზიური უნდა იყოს>. ამ დროს წინდაწინვე დეკლარირებულია, რომ აქედან მიღებული აკუსტიკური ეფექტი უმნიშვნელო იქნება. თუმცა ერთი რომელიმე აკუსტიკური ეფექტისათვის შეუძლებელია 2., ნებისმიერი სახით კომბინირება.¹³⁷ ექსპლოზიური დამთხვევის პირობები. პირველ აკუსტიკურ ეფექტს (ექსპლოზიური დამთხვევა) იღებ მაშინ, როცა რამდენიმე ერთმანეთს მიყოლებული ექსპლოზია მიეკუთვნება ფონეტიკურ სიდიდეებს, რომლებიც სულ უფრო და უფრო ღია ხდება, მაგალითად, ksrtj-AUN, სადაც ოთხ ექსპლოზიას ksrtj ოთხი მზარდი ღიაობის ხარისხი 0.1.2.0. შეესაბამება. (იმ დროს, როცა ksrtau თანმიმდევრობა, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ამ ოთხი ელემენტის ksrt გაექსპლოზიურებას შეეცდები, მაინც ვერასდროს შექმნი ასეთ შთაბეჭდილებას, რადგან ღიაობის ხარისხი არის 0.1.2.0.). ექსპლოზიური დამთხვევის შთაბეჭდილება (რომელიც ამავე დროს გულისხმობს მზარდ ღიაობას და ყველა ელემენტის კონსტანტურ ექსპლოზიას), რაც <სხვა ყველაფერთან ერთად> იგივეა, რაც ხანმოკლე დამთხვევის დროს.¹³⁸

იმპლოზიური დამთხვევის პირობები. მეორე აკუსტიკური ეფექტის (იმპლოზიური დამთხვევა) მიღება შეიძლება, თუკი []¹³⁹

3. ხმოვნის პირობები. ვხედავთ, რომ ხმოვანი (ანუ სონანტი) <თავისთავად> არ არის დამოკიდებული ბგერის ბუნებასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ მოსაზრებაზე და, უბრალოდ, შეესაბამება ბგერათა ჯაჭვის ყოველ პირველ იმპლოზიას; ეს სწორედ ის გარემოებაა, რომელიც იწვევს ხმოვნის შთაბეჭდილებას იმდენად, რომ როგორც kPtO-ს, ასევე kRtO-სა თუ kItO-ს ერთნაირად შეუძლიათ ამ შთაბეჭდილების გამოწვევა.¹⁴⁰ ერთადერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ არსებობენ ზოგადად ნაკლები ღიაობის ბგერები, რომელთაც ისევე იღებენ, როგორც პირველ იმპლოზიას, ანუ ხმოვანს, მდგომარეობს იმაში, რომ [] [] თუმცა ჩვენი განზრახვის <მიხედვით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმაზე საზგასმა, რომ ხმოვნისა და თანხმოვნის მონაცვლეობა ისეთი ფენომენია, რომელიც წარმოიშობა პირის აპარატში მიმდინარე არტიკულაციისა და არა ბგერათა ხარისხის შედეგად, ასე აღმოჩნდება სრულიად [] დასკვნა: რაც უფრო ღიდია პირის ღიაობა, მით უფრო []. ეს არის საფუძველი იმისა, თუ რატომ იქმნება ბგერათა რიგში gZdA – სულ სხვა, არა საყოველთაო პრინციპის შესაბამისი – შთაბეჭდილება, რომ ხმოვანი არის მხოლოდ A. ეს ახალი გარემოება, ზუსტად ისევე უმლის ხელს აქ არსებით

¹³⁶ Cf. CLG/E (I), გვ. 131, Nr 940.

¹³⁷ Cf. CLG/E (I), გვ. 133, Nr 960.

¹³⁸ Cf. CLG/E (I), გვ. 134, Nr 968.

¹³⁹ Cf. CLG/E (I), გვ. 136, Nr 984.

¹⁴⁰ Cf. CLG/E (I), გვ. 137, Nr 995-996.

დაყოფას, როგორც ეს იყო ხორხისმიერი ბგერის ძალის შემთხვევაში, <როცა მას არ ხვდებოდა წინააღმდეგობა> აქ ხელისშემშლელია არსებითი განსხვავება [].¹⁴¹

ბგერათა ჯაჭვის მთელი თეორია – და ეს არის ის, რაც ქმნის აქედან კვლევის ერთ-ერთ სფეროს [], [] სიტყვათა შესაძლო და შეუძლებელი ფასეულება. თუკი დადგენილია განსაზღვრული, შესრულებადი პირობები, მაშინ შეუძლებელი ხდება გარკვეული "კომბინაციები". თუკი ეს ყველაფერი წინასწარ არ დგინდება, თუკი კეთდება მხოლოდ ბუნდოვანი მინიშნება, ან როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე იმათთან, ვინც [], როცა წინადადების შუაში უეცრად რაღაც <მაღულად> იცვლება, მაშინ ყველაფერი "შესაძლებელია", თუმცა გაურკვეველობაც არის ხოლმე ამ []. მე არ ვლაპარაკობ აქ იმ უამრავ შემთხვევაზე, როცა თავს გვახვევენ გარკვეულ ჯგუფებში მომხდარ ისტორიულ <ტრანსფორმაციებს>, თითქოს გამოდგებოდეს ეს მათი ნამდვილობის საბუთად.¹⁴²

დავუშვათ, ვიღაცამ გადაწყვიტა <ორი თუ> რამდენიმე ერთმანეთის მომდევნო ექსპლოზიის არტიკულირება, თანაც წინასწარ განსაზღვრა, რომ ისინი მოახდენდნენ უნიფიცირებულ <და უწყვეტ> ეფექტს ყურზე. მაგრამ დაინახა, რომ ეს შეუძლებელია, <ძალიან დიდი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის>, რომ ნებისმიერი ექსპლოზია შეესაბამებოდეს წინამორბედზე უფრო ნაკლებ დიაობას. კ რ სჯ, ტ, ლ-ის წარმოთქმა <აღბათ> კი არის "შესაძლებელი", მაგრამ არა ისე, რომ თან ეს ელემენტებიც წარმოთქვა და უნიფიცირებული ეფექტი მოახდინო ყურზე. ეს იმიტომ, რომლიაობა არის 0.2.1.3.

2. რომ ეს ყოველთვის შესაძლებელი (I) - <(I) იმ საზღვართა ფარგლებში მაინც, რომელთა უფრო დაწვრილებითი განხილვა აქ შეუძლებელია, რადგან ჩვენ აქ [] მხოლოდ ყველაზე არსებითს> როცა ამ ექსპლოზიური ელემენტებისგანარც ერთს არა აქვს უფრო ნაკლები დიაობა []; 0.1.2.3.¹⁴³

ის ექსპლოზიური რიგი, რომელიც ამ უწყვეტ აკუსტიკურ ეფექტს ჰქმნის, რომლის პირობა [] ჩვენ ვნახეთ []¹⁴⁴

როცა ვინმე ექსპლოზიის და იმპლოზიის ერთმანეთის მიყოლებით წარმოთქმას ცდილობს, თანაც იმგვარად, რომ უწყვეტი აკუსტიკური ეფექტი ქონდეს [], დაინახავს, რომ – განსხვავებით იმისაგან, რაც [] ხდებოდა – შეიძლება მიღწეული იქნეს სასურველი ეფექტი, რომლის დროსაც ერთი ნებისმიერი იმპლოზია უერთდება ერთ ნებისმიერ ექსპლოზიას, <დიაობის ხარისხი აღარ მოქმედებს>; მაგალითად, როგორც wm, ან wp (დიაობის ხარისხი 3.1 ან 3.0)>, ასევე, wa ან ka (დიაობის ხარისხი 3.5 ან 0.5). ამისგან <ასევე, მაგრამ> დამოუკიდებლად აუცილებლად შეამჩნევენ, რომ ამ კავშირს უწყვეტობის ეფექტის გარდა გააჩნია აგრეთვე []¹⁴⁵ რადგან ეს არაერთარ შემთხვევაში არ არის ფონემა, ანუ იმავე ფონეტიკური სიდიდით ამოცხებული დროითი მონაკვეთი, რომლებიც ქმნიან ბგერათა ჯაჭვს, რადგან [] ბგერათა ჯაჭვის გამოსახულებაში ასოებს გააჩნიათ სულ სხვა აზრი, ვიდრე ფონეტიკურ კვლევაში. რა არის სიდიდეთა ეს სხვა სახეობა? ეს არის []-ით შევსებული დროითი მონაკვეთი. ფონეტიკურ კვლევაში მხოლოდ ერთი ასო არ ახდენს დროითი სივრცის მარკირებას და ამ მიზეზით []. ბგერათა ჯაჭვში, სადაც ასოები ახდენენ <[]-ით დაკავებულ > დროითი მონაკვეთების მარკირებას []¹⁴⁶

¹⁴¹ Cf. CLG/E (I), გვ. 122, Nr 862.

¹⁴² Cf. CLG/E (I), გვ. 133, Nr 959.

¹⁴³ Cf. CLG/E (I), გვ. 133, Nr 969

¹⁴⁴ Cf. CLG/E (I), გვ. 135, Nr 976.

¹⁴⁵ Cf. CLG/E (I), გვ. 133, Nr 961.

¹⁴⁶ Cf. CLG/E (I), გვ. 131, Nr 942.

ვინც მოყვება იმის ახსნას [] – <1. კაპიტალური შეცდომა>, რომ არ არსებობს დაპირისპირება seuo-ის u-სა და seumen-ის u-ს შორის, bbero-ის r-სა) და bbermen-ის r-ს შორის; – <2., უფრო მძიმე შეცდომა, []-ის გამო> - და რომ ამის ნაცვლად არსებობს დაპირისპირება seumen-ის u-სა sutos-ის u-ს, ან bbermen-ის r-სა bbrtos-ის r-ს შორის []

აკუსტიკურად
 sutos – seumen seuo
 bbrtos- bbermen bhero
 მექანიკურად
 sUtos seUmen – sewo
 bbRtos hbeRmen - bhero

სონანტების ღირებულება ბგერათა ჯაჭვში შეესაბამება არა უპირველესად []¹⁴⁷ შენიშვნა. თავდაპირველ სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა, რომ გაკეთებულიყო მარცვლის, ან სონანტის დეფინიცია, რათა <რამენაირი> გზით მოგვეხერხებინა ტავტოლოგიაზე გასვლა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ერთი რამის დეფინიცია ხდება მეორის მეშვეობით.

სინამდვილეში კი ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ორი სიდიდიდან მხოლოდ ერთ-ერთის დეფინიცია ჯერ კიდევ <არ> არის საკმარისი, რადგან ის ფაქტი, რომ იმდენი მარცვალი არსებობს, რამდენი ხმოვანიცაა <ან პირიქით>, არანაირად არ არის ამ ორი ტერმინის ურთიერთდამოკიდებულების შედეგი. იგი არის შედეგი ორივე მათგანის საერთო დამოკიდებულებისა იმ მესამეზე, რომელიც ჩვენ ზემოთ უკვე ავხსენით, ანუ იმპლოზიათა და ექსპლოზიათა თანმიმდევრობაზე: თუკი ყოველ მარცვალში არსებობს ერთი სონანტი, ეს ხდება იმიტომ, რომ ყოველი იმპლოზიური დამთხვევის დასაწყისი იწვევს სონანტის შთაბეჭდილებას, ყოველი დასასრული კი []¹⁴⁸

1. "არტიკულირებული" დამარცვლის თეორია: ეს ნიშნავს იმ სიდიდეებს <თუ კონტრასტებს>, რომლებიც პირის ორგანოთა გაღებისა თუ დახურვის შედეგად წარმოიშვებიან, ხმისა და სუნთქვის მიუხედავად.¹⁴⁹

2. "ხმოვანიზირებული" დამარცვლის თეორია, ეს ნიშნავს იმ სიდიდეებსა თუ კონტრასტებს, რომლებიც ხორხისმიური ბგერების შედეგად აღწევენ ყურამდე (რაც თავისი მექანიზმის მიხედვით კი არის დამოკიდებული არტიკულიაციაზე, მაგრამ დამოუკიდებელია თავის ეფექტში).

3. "ექსპირატორული" დამარცვლის თეორია: ეს ნიშნავს იმის [], რომელიც არის სუნთქვის დაყოფის შედეგი []¹⁵⁰

ეს [] აქ გაკეთდა არა თავისთავად, არამედ იმისათვის, რომ უფრო გასაგები გამხდარიყო, თუ საიდან მომდინარეობს ესა თუ ის ნაკლი [].

უმრავლესობას წარმოადგენენ ის სონანტები და მარცვლები, რომლებიც იმავდროულად შეესაბამებიან არტიკულაციისათვის დამკვიდრებულ დაყოფასაც, (აღქმული) ხმის ბგერისათვის დამკვიდრებულ დაყოფასაც და სუნთქვისათვის დამკვიდრებულ დაყოფასაც. ამიტომაც ზოგადად საკმარისია განხილულ იქნას მარტო არტიკულაცია, რომელიც ყურისათვის მაინც <ჩნება> <არა მარტო> უმნიშვნელოვანეს ფაქტად, <არამედ> თავის მექანიზმში არ არის დამოკიდებული არც ერთ სხვა ფაქტზე.

¹⁴⁷ Cf. CLG/E (I), გვ. 144, Nr 1063.

¹⁴⁸ Cf. CLG/E (I), გვ. 139, Nr 1007-1008.

¹⁴⁹ Cf. CLG/E (I), გვ. 140, Nr 1017.

¹⁵⁰ Cf. CLG/E (I), გვ. 139, Nr 1009-1013.

ამის მიუხედავად, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ აღმოჩნდეს წმინდა არტიკულატორული, ან წმინდა ექსპირატორული და სხვ. მარცვალი, ან ხმოვნები, <ეს ნიშნავს>, რომლებიც სხვა მარცვლებისგან განსხვავებით, სამმაგად სანქცირებულნი არიან ხმის, სუნთქვისა და არტიკულაციის წყალობით; ამ შემთხვევაში უკვე შეუძლებელია სრული სურათის შექმნა მხოლოდ და მხოლოდ აკუსტიკურ ერთეულთა არტიკულაციის მეშვეობით¹⁵¹: [. .]

N 15¹⁵²
»Item«

Item. წინადადებაში ყველაფერი სუბიექტითა და პრედიკატით აიხსნება და მესამე, როგორც ვფიქრობ, ეს კონიუნქციაა (სახელდებითი ბრუნვა შენარჩუნებულია). მაგრამ სუბიექტსა და პრედიკატს არაფერი აქვთ საერთო სხვა პრინციპის თანახმად დიფერენცირებულ მეტყველების ნაწილებთან:

ა) სუბიექტი შესაძლოა იყოს არსებითი სახელი ან ნაცვალსახელი, ასევე ზედსართავი ან რიცხვითი სახელი, როგორც ეს აშკარაა. მაგრამ ასევეა ზმნა (infinitiv), რადგან როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამის გამოა, რომ ინფინიტივი ზმნის ბუნებას არ ცვლის.

ბ) პრედიკატიც ასევე შეიძლება იყოს ყველა ეს მეტყველების ნაწილი.

გ) კონიუნქცია კი შეიძლება იყოს აკავშირი ან ზმნიზედა.

☞ შეიძლება წარმოვიდგინოთ ენა [langue], რომელიც თუ ზედსართავი სახელი სუბიექტი იქნებოდა, მას განსაკუთრებული ფორმით აღიარებდა. ეს ლოგიკურ საგნებს არ შეეცვლიდა და სწორედ ამიტომ არის ეს ფაქტი განსაკუთრებული, რომ λέγομεν არ შეიძლება იყოს სუბიექტი. საკმარისი იქნება, რომ ის იყოს λέγειν. გაუგებარ ენაზე [parlant nègre] λέγομεν-ის აღსანიშნავად გვაქვს nous dire, λέγειν χαχόν-ის აღსანიშნავად კი – dire mauvais.¹⁵³

Item. წინადადებაში ყველაზე მეტად აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ის ორი ლოგიკური ტერმინისგან შედგება, შეიძლება დავიყვანოთ ერთადერთ ენობრივ/ლინგვისტურ ტერმინამდე და ეს ისე შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ სიტყვა არ დანაწევრდეს, რომ დასკვნას გვერდი აუაროს. ასე, მაგალითად fiat! ან sunt. ან, სავარაუდოდ, აგრეთვე შესაძლოა Qui dit cela? – Dieu. ელიფსის (ცნობილი ელიფსის) საზღვრები პირველად იმ მომენტში წყდება, როცა ის არც ერთ არტიკულაციულ ბგერას აღარ გამოსცემს და სადაც ენაც [langue] შეწყვეტდა არსებობას, რათა წმინდა აზროვნებისთვის დაეთმო ადგილი. – მრავალგზის დასკვნები. ძიება [.]. ... სხვათა შორის, ყურადსაღებია სიტყვის უნარი, ისევე როგორც თვით ნიშნისა, რომელიც მისწრაფვის იმისკენ, რომ დამოუკიდებელ წინადადებად იქცეს, როგორცაა λέγομεν (არაელიფსური).¹⁵⁴

Item. სიტყვა ელიფსს აქვს ცალკე ისეთი მნიშვნელობა, რომელიც ბევრ საფიქრალს აჩენს. ამგვარი ტერმინები, როგორც ჩანს, წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ, ჩვენ თავიდანვე ვიცით, თუ რამდენი ასეთი ტერმინისგან უნდა შედგებოდეს წინადადება და მისი მეშვეობით ჩვენ ერთმანეთს ვადარებთ, თუ სინამდვილეში რამდენი ტერმინისგან შედგება იგი, რომ დავადგინოთ დეფინიციტი. მაგრამ როდესაც ტერმინი თავისი არსით განუსაზღვრელად შეიძლება

¹⁵¹ Cf. CLG/E (I), გვ. 140, Nr 1019-1021.

¹⁵² 1897-1900; შდრ. ენგლერი 1975 a, გვ. 839 f.

¹⁵³ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3306.


¹⁵⁴ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3307.

გაფართოვდეს, ამ თვალსაზრისით ცხადია, რომ გათვლა, რომელსაც n წარმოდგენასა და n ტერმინს შორის ვაწარმოებთ, აბსოლუტურად უსაფუძვლოა და ასევე აბსოლუტურ შემთხვევითობას ეფუძნება. და თუ ჩვენ ცალკეული წინადადებების მიხედვით კი არა, არამედ ზოგადად განვიხილავთ, სავარაუდოდ, ძალიან მალე მივხვდებით, რომ ელიფსი საერთოდ არაფერს წარმოადგენს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ენაში [langue] შემავალი ნიშნები ზუსტად იმის ადეკვატური არიან, რასაც ისინი გამოხატავენ, – ამასთან, მზად ვართ ვადიაროთ, რომ ცალკეულ სიტყვას თუ ცალკეულ გამოთქმას იმაზე მეტის გამოხატვა შეუძლია, ვიდრე ჩვენ ეს წარმოგვედგინა. <და, პირიქით, ელიფსის გარეშე არ გვექნებოდა მნიშვნელობის მატარებელი სიტყვა, მაგრამ რადგან ვსაუბრობთ ელიფსის შესახებ (როგორც მ. ბრეალი), თუ იარსებებდა რაიმე ნორმა, რომლის მიხედვითაც სიტყვები ელიფსურები იქნებოდნენ. ისინი განუწყვეტილად და შესაძლო ზუსტი შეფასებების გარეშე []-დან გამომდინარეობს.> ელიფსი სხვა არაფერია, თუ არა დამატებითი მნიშვნელობა [surplus de valeur] [].¹⁵⁵

Item. ყოველ <არც ერთ> თანამედროვე თუ გამოცდილ ფსიქოლოგს, რომელიც ენის [langue] შესახებ მინიშნებებს აკეთებდა ან როცა მას აზროვნების უმნიშვნელოვანეს საშუალებად მიიჩნევდა, არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდა მისი კანონების შესახებ. გამონაკლისის გარეშე ყველა მათგანისთვის ენა [langue] წარმოადგენდა მყარ ფორმას, ასევე გამონაკლისის გარეშე ყველა მათგანს ენა კონვენციურ ფორმად მიაჩნდა. ისინი მოძრაობენ ძალიან ბუნებრივად, რასაც მე ენის [langue] ჰორიზონტალურ ტრანშს ვუწოდებ, მაგრამ სოციო<ისტორიული> ფენომენის შესახებ წარმოდგენის გარეშე, რაც უშუალოდ იწვევს ნიშანთა ტაღლის მოზღვაებას ვერტიკალურ სვეტში და რაც შემდგომ კრძალავს, რომ მისგან წარმოიქმნას მყარი ენა [langue] ან კონვენციური ენა [langage], რადგან ის უწყვეტი სოციალური ზემოქმედების შედეგია, რომელიც არჩევანისგან დამოუკიდებლად იჩენს თავს. – ყოველ შემთხვევაში, ფსიქოლოგების მხრიდან ჩაწვდომის დასაწყისი ბეკრათა გადაადგილებების [transformations phonétiques] შესწავლიდან მომდინარეობს.¹⁵⁶

Item. ხელშეკრულება []-ს შორის კონვენციურია, მაგრამ ეს არის ხელშეკრულება, რომელიც აღარ უნდა დაირღვეს, ანუ მივიღებთ, რომ ნიშნების არსებობა შეწყდება [supprimer], რადგან ნიშანთა არსებობა ამ ხელშეკრულებას ეფუძნება.¹⁵⁷

Item. ¹⁵⁸







Item. რა არის ახალი სიტყვა – და, უპირველეს ყოვლისა, სირთულე, ჩაწვდომ ამ სიტყვას –, თუ არ გვექნება ენის [langue] ყოველ ნაწილს შორის სისტემური კავშირის დადასტურება? უღლების თუ სხვა გრამატიკული მომენტის მილიონობით ფორმა იქმნება, მაგრამ არ არსებობს ერთი, რო-




¹⁵⁵ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3308.
¹⁵⁶ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3309.
¹⁵⁷ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3310.1.
¹⁵⁸ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3310.2.

მელიც ორიგინალურ მონახაზს წარმოადგენს, რომელიც შემთხვევითობის წაყლობით უცნობი წყაროდან შეიძლება განხედეს. ელემენტები უნდა იქმნებოდეს არა მხოლოდ უკვე ნაცნობი კომბინაციების მეშვეობით, არამედ, ასე რომ ვთქვათ, მომზადებული უნდა იყოს ყველაფერი იმისათვის, რომ ახალი კომბინაცია გამოჩნდეს.¹⁵⁹

Item. იმ შინაარსობრივი ძაფების არსებობის რეალობა, რომლებიც ენის [langue] ელემენტებს ერთმანეთთან აკავშირებს, – მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩაუწვდომელი ფსიქოლოგიური ფაქტია –, ასე რომ ვთქვათ, დამოწმებას არ საჭიროებს. ის ზუსტად ის არის, რასაც შეადგენს ენა [langue].¹⁶⁰

Item. მას სჭირდება სიმბოლო  და არა,  ან  .¹⁶¹

Item. როცა მოცემულია a priori სიმართლე, რომელიც ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანის გონების გარდა არაფერს საჭიროებს, როცა არსებობს ფსიქოლოგიური რეალობა და ასევე ფონოლოგიური რეალობაც, ამ რეალობათა ერთმანეთისგან გამიჯნულ ორი შედეგიდან ვერც ერთი ვერ შეიძლება უმცირესი ენობრივ/ლინგვისტური ფაქტის ერთი მომენტის წარმოქმნასაც კი. – ამ ენობრივ/ლინგვისტური ფაქტის არსებობა აუცილებელს ხდის ამ ორი შედეგის შეჯამებას, მაგრამ ერთ-ერთი მათგანისას განსაკუთრებით –, რომლის გარეშეც აბსოლუტურად ამო იქნებოდა მისი ნიშან-თვისებების გამოკვლევა რომელიმე მომენტში მაინც ან წინასწარ იმის თქმა, თუ რა იქნება ის შემდგომ.¹⁶²

Item. ამ სიმბოლომ  მხოლოდ განსხვავების შესახებ კი არ უნდა შეგვახსენოს, იკვლევენ თუ არა სიტყვას მისი შინაარსის გათვალისწინებით თუ მისი შინაარსისგან დამოუკიდებლად, არამედ უნდა შეგვახსენოს ისიც, რომ შეუძლებელია ამ შინაარსის სხვაგვარად აღწერა და სხვაგვარი დაფიქსირება, ვიდრე როგორც ამბობენ: შინაარსი არის ის, რომელიც შეესატყვისება მაგალითად vóç-ს ან მაგალითად [ქ]-ს. შინაარსისა და სინონიმის აღწერა ზუსტი <და სრულყოფილი> შინაარსის დონეზე არ გვაქვს: არ მოიპოვება სხვა დეფინიცია, გარდა < მნიშვნელობა  >, რომელიც წარმოადგენს ამ ფორმის –  <ნაცნობ> მნიშვნელობას.¹⁶³

Item. კანონები:

1. ენის [langue] უნივერსალური კანონები, <რომლებიც იმპერატიულია> (თეორემატული).
 2. ფონეტიკური კანონები! ამ სახელის ტარების უფლება არ აქვთ.
 3. იდიოსინქრონული კანონები, ბრძანებითი ბუნების გარეშე.
- ჩვენ ტერმინ კანონში <არამც და არამც> არ ვდებთ დიდ ფილოსოფიას, ჩვენ მას ისეთად ვიღებთ, როგორიც ის არის საყოველთაო ენობრივ ხმარებაში, ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანებისთვის.¹⁶⁴

¹⁵⁹ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3310.3.

¹⁶⁰ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3310.4.

¹⁶¹ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3310.5.



¹⁶² Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3310.6.

¹⁶³ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3310.7.

¹⁶⁴ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3310.8.

Item. იმდენად ხშირად ერევათ მე-3 და მე-2, ასევე 1-ლი კანონიც ერთმანეთში, რომ სრულად ამომწურავი მაგალითების სერია არ გვაქვს, რომ გაუგებრობები თავიდან ავიცილოთ.¹⁶⁵

☞Item. ბრუნების პარადიგმის შესახებ მინიშნებები [sous-entendus]. მინიშნება არ არის აბსტრაქცია. უფრო მეტიც, ის აბსტრაქციის სრულიად საპირისპიროა. თუ ვიტყვი, რომ ლინგვისტური/ენობრივი მთლიანობიდან [l'integral lingu

istique] ~~voir~~ voir – ~~hoc est voir~~  მხოლოდ (voir) ფორმას ავიღებ, შეზღუდული არ ვარ, თუ საქმე ეხება იმას, რომ <დაკვირვება გაწარმო> <ბგერით> გარდაქმნებზე [transformatives phonétiques], რომლებთანაც შეიძლება მათ კავშირი ჰქონდეთ. მაგრამ პირველი შეხედვით ჩანს, რომ ისინი, რომლებიც voir – ~~hoc est voir~~  სიტყვათა პარადიგმაში ფიგურირებენ <voir, voir-ს მხრივ>, იმავე სახის ოპერაციას ასრულებენ, კერძოდ იმ თვალსაზრისით, რომ საგანი [dans l'affaire] შინაარსს [] იძენს.¹⁶⁶

Item. ტერმინ sème¹⁶⁷-ის განსხვავება თუ უპირატესობა ნიშანთან მიმართებაში. I. ~~მნიშვნელო~~. ნიშანი შეიძლება იყოს არა ხმოვანი, მაგრამ ასევე sème. – მაგრამ ნიშანი შეიძლება იყოს = პირდაპირი ქუსტი, ანუ სისტემის ან კონვენციის მიღმა. – Sème = ნიშანი, რომელიც სისტემის ნაწილია. – Sème =

- კონვენციური ნიშანი,
- ნიშანი, რომელიც სისტემის ნაწილია (ასევე კონვენციური),
- [].

შეგვიძლია ასეც ვთქვათ: Sème = ნიშანი, რომელიც იზიარებს განსხვავებულ თვისებებს, რომლებიც, როგორც ასეთი, <ნიშანს> ეკუთვნის, <რომლებიც> <ხმოვან ან სხვაგვარ> ენას [langue] <ქმნიან>. – თვისებები, რომლებიც თავიდანვე შესამჩნევია, ესენია: [].¹⁶⁸

Item. სხვათა შორის, ნიშნის ხმოვან და იდეოლოგიურ მხარეებს შორის ყოველი უპირატესობა ან საწყის ეტაპზე გაყოფა ცდილობს ჩამოიცილოს სიტყვა sème. ის წარმოადგენს ნიშნის მთლიანობას, ანუ აერთიანებს ნიშანსა და მნიშვნელობას ერთგვარ პიროვნებაში.^{169/170}

Item. სხვა შემთხვევაში კი მცდარი იქნება, თუ ვიტყვით, რომ sème ნიშნის მაგივრად ძალიან არსებითი საკითხია. – სიმართლე ის არის, რომ parasème და aposème მნიშვნელოვანი ცნებებია. სწორედ რომ ასეა [].¹⁷¹

Item. Aposème-ს აქვს უპირატესობა, რომ მისი გამოყენება ისეა შესაძლებელი, როგორც ვისურვებთ: ნიშნისგან ნაწარმოები და მისგან აბსტრაგირებული

¹⁶⁵ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3310.9.

¹⁶⁶ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3310.10.

¹⁶⁷ ისეთი ცნებები, როგორცაა – ენგლერის მიერ (1975 a, გვ. 839 f.) ამასთან დაკავშირებით დასახელებული »ეზოთერული ტერმინოლოგია« – seme, paraseme, aposeme, inertome, some, contre-some, anti-some, parasome – არ ითარგმნება და დახრილი შრიფტით ინიშნება. ცნება »Sem«-ზე დაყრდნობით აქ ისინი საშუალო სქესით არის გადმოცემული.

¹⁶⁸ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3310.11.

¹⁶⁹ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3310.12.

¹⁷⁰ წინადადების ანაკოლუთური კონსტრუქცია.

¹⁷¹ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3310.13.

საგანი ან საგანი, რომელიც თავისი <მნიშვნელობისგან> გამოყოფილია, სიცხადისთვის მაინც მისგან გამომდინარეობს.¹⁷²

Item. Aposème ნიშნის საფარველია. <და> არა მნიშვნელობის საფარველი. – sème არსებობს არა მხოლოდ ფონიზმისა და მნიშვნელობის წყალობით, არამედ სხვა sème-ებთან მის ურთიერთდამოკიდებულებასთან კავშირში.¹⁷³

Item. ვფიქრობ, რომ დისკურსიულობაში შესაძლოა ვისაუბროთ aposème-ს შესახებ (ხმოვანი ფიგურების შესახებ [figures vocales]). ერთი რამ ფაქტია, რომ ჩვენ თვითონ ემპირიულ ენაში [langage] არ ვამბობთ: ამ ზმნის მე-2 ფორმა (მაშინაც კი, როცა საუბარია არა ლოგიკურ ტერმინებზე, არამედ სიტყვებზე ბგერითი თვალსაზრისით).¹⁷⁴

Item. ფორმა გამოიყენება aposème, sème-ის და ბოლოს სინქრონული sème-ის მატერიალური ნაწილისთვის. ამა თუ იმ სახელის განსხვავებული დიალექტური ფორმები... < aposème. – >X დიალექტის ფორმები განსაკუთრებულ თვისებას ავლენენ. სავარაუდოდ მორფოლოგიურს.¹⁷⁵

† Item. სანამ სადმე მაინც იქნება საუბარი ენის [langue] შესახებ, სიტყვასა და მნიშვნელობას ისე აღვიქვამთ (ან ნიშანსა და მის მნიშვნელობას), თითქოს ეს ის იყოს, რაც ყველაფერს აჯამებს, მაგრამ იქედან გამომდინარე კვლავაც სიტყვების მაგალითებს გვაწოდის, როგორცაა ხე, ქვა, ძროხა, <როგორ გაცემს ადამი რაღაცას [], ანუ ყველაზე რთული, რაც სემიოლოგიაში გვხვდება: შემთხვევა, როცა ის (აღნიშვნისთვის <ამორჩეული> ობიექტების დამთხვევით) მარტივ ონომიას ქმნის, ე.ი. რადგან აქ ვხვდებით სემიოლოგიის მთლიანობაში ონომიის განსაკუთრებულობას, შემთხვევას, რომელშიც ეჭვგარეშე¹⁷⁶ sème-ის ფსიქიური ასოციაციების მესამე ელემენტია ცნობიერება, რომელიც გარეგნულ არსს ეხება, რომელიც თვითონ საკმარისად განსაზღვრულია, რათა ნიშნის ზოგად კანონს გვერდი აუაროს.¹⁷⁷

† Item. მიუხედავად იმისა, რომ სულ მცირე ისე, როგორც შეგვიძლია, გვსურს შევეხოთ ნიშნის იდეოლოგიურ მხარეს, საკმაოდ თვალსაჩინოა, რომ თუ ამა თუ იმ სახის წარმოდგენები [idées] ჯაჭვს [fixité] შემოგვთავაზებენ []. – ეს ჯაჭვი მხოლოდ გეოგრაფიულ სახელს მიიღებს.¹⁷⁸

† თუ უცვლელ და მუდმივ წარმოდგენას [idée] შევავასებდით როგორც რაღაც ქიმურულს, მაშინ გეოგრაფიული sèmes და <საკუთარი სახელები> გამოწვევის წარმოდგენენ, ვიდრე... უფრო ზუსტად: [] ერთადერთ შანსს []-ისთვის.

(ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა სადმე ინტელექტუალური aposème დაგვეფიქსირებინა, ისევე როგორც - aposème, sème-ს გარეშე. რა თქმა უნდა, >Rhone-ში, ასე ვთქვათ, ორი aposème გვაქვს, რომლებიც პარალელურად მიმდინარეობს. მაგრამ საფუძველში მსგავსი რამ არ არსებობს, რადგან იმ შემთხვევაში, თუ Rhone-ის სახელს შეცვლიდნენ, იგივე sème აღარ იარსებებდა და, შედეგად, ამოა aposème-ის შესახებ კამათი, ამისთვის საუკეთესო

¹⁷² Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3310.14.

¹⁷³ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3311.1.

¹⁷⁴ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3311.2.

¹⁷⁵ Cf. CLG/E (II), გვ. 35, N 15, Nr. 3311.3.

¹⁷⁶ Cf. CLG/E (II), გვ. 36, N 15, Nr. 3312.1.

¹⁷⁷ Cf. CLG/E (II), გვ. 37, N 15, Nr. 3312.1.

¹⁷⁸ Cf. CLG/E (II), გვ. 37, N 15, Nr. 3312.2.

მტკიცებულება კი ის არის, რომ *sème*-ს აქვს თავისი საფუძვლიანი ბაზა აღნიშნულ მატერიალურ ნიშანში.¹⁷⁹

Item. გადამწყვეტი შეცდომების კატალოგი. – გადამწყვეტი შეცდომების სახელი თავიანთი უსასრულო შედეგების გამო დაიმსახურეს:

1. ~~ინდივიდუალური~~ ნიშნის შეცდომა, რომელიც თავისთვის დაიტოვეს. ან რომ დავიჯეროთ ის შეცდომა, თითქოს 500 სიტყვისგან შედგენილი ენა [langue] 500 ნიშნისა და 500 მნიშვნელობისაგან შედგება.

ან რომ დავიჯეროთ ის შეცდომა, რომ ენის [langue] ფენომენი შეგვიძლია სულ მცირედად წარმოვადგინოთ, როცა სიტყვას ან მის მნიშვნელობას წარმოთქვამს და ავიწყდება, <რომ> სიტყვას გარს აკრავს [].¹⁸⁰

Item. *parasèmes*.

ამა თუ იმ სიტყვისთვის, რომელიც ენის [langue] <ნაწილია>, <სხვა> სიტყვა, რომელსაც პირველთან არანაირი კავშირი არ აქვს, არის *parasème*. *parasème*-ს ერთადერთი და მარტივი თვისებაა, მიეკუთვნებოდეს ნიშნის ერთსა და იმავე ფსიქოლოგიურ სისტემას იმგვარად, რომ როცა – დაკვირვების შემდეგ – აღმოვაჩინოთ, <რომ მოცემული ნიშანი სისტემის სხვა დანარჩენი ნიშნებისგან დამოუკიდებლად არსებობს>, რომ მოცემული ნიშნისთვის ~~არანაირი მნიშვნელობა არ აქვს~~, ამ ნიშანს სხვა გარშემომყოფ ნიშნებთან კავშირში ~~დაუკვირდეთ~~, შეგვიძლია სიტყვა *parasèmes* გამოვტოვოთ და, პირიქით, <მან> კვლავაც უნდა <იარსებოს>, თუ დავადგენთ, რომ სიტყვა <არამც და არამც არ არის სრულიად> ავტონომიური იმ სისტემაში, რომელსაც ის ეკუთვნის.¹⁸¹

† სიტყვა გამოთქმა (ეს ფორმა გამოთქვამს...) და მისი გამოკვლევა.¹⁸²

† ვაჩვენოთ, რომ ტერმინი ისევე უძლური იყო, როგორც ნიშანი, შეენარჩუნებინა მატერიალური მნიშვნელობა ან პირიქით. >Dans ces termes< ტექსტუალურია.¹⁸³

† ტერმინი <სხვა შემთხვევაში>, ზუსტად რომ ვთქვათ, იქნებოდა ის, რისი თქმაც *sème*-ის შესახებ შეგვიძლია; რაღაც უნდა აღვნიშნოთ, რაც მას შეეხება. სინქრონიზმი ტერმინების (*termini*) განსაზღვრული რაოდენობისაგან შედგება, რომლებიც აღნიშნულ მნიშვნელოვან მასალას ინაწილებენ.¹⁸⁴

† ყოველი *apostème* განიხილება კონკრეტულ მოცემულ მომენტთან მიმართებაში. ფაქტია, რომ ენაში [langue] განსახილველად ის უნდა შეადგენდეს არა მხოლოდ უბრალოდ ბგერების თანმიმდევრობას, არამედ იმას, რასაც *apostème*-ს ვუწოდებთ. უპირველესად ის წინ და უკან შეზღუდულია.¹⁸⁵

† (პირიქით, ნებისმიერ ბგერათა თანმიმდევრობას, როგორცაა, მაგალითად – *bd* – *apostème*-ს ვერ ვუწოდებთ, არამედ ისინი მხოლოდ ბგერითი ფორმულეზია, რომლებიც მოცემულ მატერიალურ მომენტში *sème*-ს წარმოადგენდნენ.)¹⁸⁶

¹⁷⁹ Cf. CLG/E (II), გვ. 37, N 15, Nr. 3312.3.

¹⁸⁰ Cf. CLG/E (II), გვ. 37, N 15, Nr. 3313.1.

¹⁸¹ Cf. CLG/E (II), გვ. 37, N 15, Nr. 3313.2.

¹⁸² Cf. CLG/E (II), გვ. 37, N 15, Nr. 3314.1.

¹⁸³ Cf. CLG/E (II), გვ. 37, N 15, Nr. 3314.2.

¹⁸⁴ Cf. CLG/E (II), გვ. 37, N 15, Nr. 3314.3.

¹⁸⁵ Cf. CLG/E (II), გვ. 37, N 15, Nr. 3314.4.

¹⁸⁶ Cf. CLG/E (II), გვ. 37, N 15, Nr. 3314.5.

† Aposème = sème-ის კარკასი. სავარაუდოდ, ეს შედარება დასაშვებია, ანუ სახიფათო არ არის. მაგრამ მაინც არსებობს საფრთხე, რომ ეს კარკასი თავის ავტონომიაში ორგანიზებულ საგნად რჩება, მაშინ როცა სიტყვაში ანატომია და ფიზიოლოგია კონვენციურობის პრინციპის გამო ერთმანეთში ირევა.¹⁸⁷

† სიტყვის მიღების ამ რთულ საკითხში, რომელიც... ძალაუფლებას იყენებს, იმ საგნებს შორის, რომლებსაც sème უწევს სანქციებს, სულ მცირე თῆματα ლუცა: არ უნდა დაგვაიწყდეს გრაფიკული sème, უფრო მეტად კი უნდა დავინახოთ მათ შორის წარმომავლობითი კავშირი. (...ჩვენ სულ მცირე ძველ სიტყვასთან მოვდივართ შესაბამისობაში, რომელიც პოეტმა გამოიყენა იმისთვის, რათა...)¹⁸⁸

† დიაქრონულ ჭრილში ეს საკითხი ამგვარად ქდერს: აეს იგივე სიტყვაა? ერთადერთი: აეს იგივე aposème-ია?«, მაგრამ სინქრონიის თვალსაზრისით, სრულიად სხვაგვარადაა საქმე. არ არსებობს წინააღმდეგობა (<რამდენადაც> შესაძლებელია იმის თქმა, რომ ისინი თავდაპირველად განსხვავებულად მიიჩნდათ და შემდგომ შეიტყვეს, რომ იდენტური არიან), რადგან ვამბობთ, რომ დიაქრონულ ჭრილში ის ზუსტად იგივე aposème-ა. სწორედ ეს არის განსხვავება (გვაქვს სიტყვა = aposème და სიტყვა = sème.)¹⁸⁹

† (შედგე). სავარაუდოდ, არ გვაქვს იმისი საბაბი, რომ წარმოვიდგინოთ, ერთი და იგივე sème ეპოქიდან ეპოქამდე როგორ იცვლება. ამასთანავე, ისინი ერთმანეთს უნდა შევადაროთ [commensuration], რადგან sème <თავისი არსით> დამოკიდებულია მომენტის პარასემატურ გარემოზე.¹⁹⁰

† ვამბობთ, რომ მნიშვნელობის გარეშე არანაირი მორფოლოგია არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ელემენტი მატერიალური ფორმაა, რომელიც ადვილი შესასწავლია. შედეგად, ჩვენი თვალსაზრისით, ფორმის გარეშე უფრო ნაკლებად გვაქვს საქმე სემანტიკასთან!¹⁹¹

Item. დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ანალოგიური ცვლილებების ადგილი არ ჰქონდეს aposème-ს ცვლილებას. ეს პარადოქსი თავისთავად ამოისხნება, თუ aposème-ს ცვლილების ნაცვლად ვიტყვი ან სიტყვის aposème-ს ცვლილებას ან sème-ს aposème-ს ცვლილებას. იქნება სხვა ახალი sème, <parasème> (რომელსაც, ცხადია, aposème ეკუთვნის). პირველი sème-ს ნაწილმა ცვლილება არ განიცადა. ცვლილებას ადგილი ჰქონდა sème-ს სფეროში. ის მთლიანად მნიშვნელობით განისაზღვრება.

არსებობს პარასემატური ქმნილება, ისევე როგორც არსებობს პარასემატური ზეგავლენა და პარასემატური შინაარსი [conversation].

მაგრამ სირთულე შეიძლება იმან წარმოქმნას, რომ პარასემატური ქმნილება პარასემატური ზეგავლენისგან გაემიჯნოს¹⁹², რომელსაც შეუძლია sème-ს შინაარსის სრულიად შეცვლა ისე, რომ ვერც შევიცნობდით, ის სხვა sème

¹⁸⁷ Cf. CLG/E (II), გვ. 37, N 15, Nr. 3314.6.

¹⁸⁸ Cf. CLG/E (II), გვ. 37, N 15, Nr. 3314.7.

¹⁸⁹ Cf. CLG/E (II), გვ. 37, N 15, Nr. 3314.8.

¹⁹⁰ Cf. CLG/E (II), გვ. 37, N 15, Nr. 3314.9.

¹⁹¹ Cf. CLG/E (II), გვ. 37, N 15, Nr. 3314.10.

¹⁹² Cf. CLG/E (II), გვ. 37, N 15, Nr. 3315.1.

თუ არის; ხოლო თუ აფორმა იცვლება, ცალსახად ვამბობთ, რომ ის სხვა sème-ა. გამართლებულია თუ არა ეს განსხვავება?¹⁹³

Item. მეტყველ სუბიექტებს aposème-ებზე არანაკლები ცნობიერება აქვთ, რასაც გამოთქვამენ, განასხვავებენ კონკრეტული წარმოდგენისაგან. ისინი მხოლოდ sème-ს აცნობიერებენ. ეს არის სწორედ ის, რაც საუკუნეების განმავლობაში aposème-ს სრულ ცვლილებას უზრუნველყოფს.¹⁹⁴

Item. გააზრებულად რომ განვიხილოთ ლინგვისტიკა, გარე ფაქტორებსაც უნდა შევეხოთ, მაგრამ ისე, რომ უნდა გაგვაჩნდეს გამოცდილება მის შიგნით არსებული მიმზიდველი [prestigieux] ფენომენების შესახებ. ლინგვისტი, რომელიც მხოლოდ ლინგვისტია, ვფიქრობ, ვერ შეძლებს ფაქტების კლასიფიკაციას. თანდათან, პრაქტიკული თვალსაზრისით, სულ უფრო მეტად ითვისებს ფსიქოლოგია ჩვენს მეცნიერებას, რადგან მას სურს აღნიშნოს, რომ ენა [langue] არა მხოლოდ მისი ერთ-ერთი სფეროა, არამედ საკუთარი მოღვაწეობის ანბანური საფეხურიც.¹⁹⁵

მაგრამ Item არ არის ის, რისი თქმაც მსურდა. მსურს ვთქვა, რომ თუკი წინასწარ გვეცოდინებოდა, რომ ლინგვისტიკა ცალკეულ ერთეულებს შეიცავდა [].¹⁹⁶

Item. ენის [langue] უმნიშვნელოვანესი ფაქტი არის ის, რომ მას თან სდევს იერარქიული დაყოფა, ზუსტად შეზღუდვადი ერთეულები.¹⁹⁷

Item. რა შეიძლება იყოს ენობრივ/ლინგვისტური ერთეული?¹⁹⁸

Item. მის მნიშვნელობას გავიგებთ, თუკი ნიშანს აღვჭურვავთ წარმოდგენით და წარმოდგენას ნიშნით. დაახლოებით ასე: განსაზღვრულ განსხვავებას აქვს მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობა, რამდენადაც აღნიშვნა=ნიშნით აღვჭურვავს. სიტყვასიტყვით «signifier à quelqu'un son congé».¹⁹⁹

Item. ორი მიზეზის გამო გვაქვს ენასა [langue] და ნებისმიერ სხვა ადამიანურ საგანს შორის ანალოგიის ნაკლებობა: 1. ნიშნის შინაგანი არარაობა [nullité]. 2. ჩვენი გონების უნარი, დამოკიდებული იყოს ტერმინებზე, რომლებიც თავიანთი არსით არარაობას წარმოადგენს და რომელთა მნიშვნელობა ნულს უტოლდება (მაგრამ ეს ის არ არის, რაც უპირველესად მიხდოდა მეთქვა. თემიდან გადავუხვიე).²⁰⁰

Item. ბგერითი ნიშნების ფსიქოლოგიზაციის შესახებ.

A) დავუშვათ, რომ ლატერნა მაგიკას ერთ წრეზე ერთმანეთის მიყოლებით გვაქვს

მწვანე	წრე
ყვითელი	“
შავი	“
ლურჯი	“

¹⁹³ Cf. CLG/E (II), გვ. 38, N 15, Nr. 3315.1.

¹⁹⁴ Cf. CLG/E (II), გვ. 38, N 15, Nr. 3315.2.

¹⁹⁵ Cf. CLG/E (II), გვ. 38, N 15, Nr. 3315.3.

¹⁹⁶ Cf. CLG/E (II), გვ. 38, N 15, Nr. 3315.4.

¹⁹⁷ Cf. CLG/E (II), გვ. 38, N 15, Nr. 3315.5.

¹⁹⁸ Cf. CLG/E (II), გვ. 38, N 15, Nr. 3315.6.

¹⁹⁹ Cf. CLG/E (II), გვ. 38, N 15, Nr. 3315.7.

²⁰⁰ Cf. CLG/E (II), გვ. 38, N 15, Nr. 3316.1.

(ისევე) ლურჯი “
 წითელი “
 იასამნისფერი “


ამ ნიშნების ერთობლიობიდან შეიძლება მიგვედო ფსევდო-უუნარობა, წარმოგვედგინა ისინი თავიანთი თანმიმდევრობით, ან როგორც ხელახლა შეკავშირებადი [recolligible]²⁰¹ შედეგი, რომელიც მთლიანობას ქმნის. <შემდგომ: სიტყვის მთელი განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, წარმოადგენდეს შეკავშირებად [colligible] sème-ს, თან ისე, რომ ეფუძნებოდეს მარცვლების თანმიმდევრობას.>

B) მეორე მხრივ, დავუშვათ, რომ ეს კონტურები ერთმანეთს არ მოსდევნენ, არამედ თუ მათ წრეზე თანმიმდევრულად განვალაგებთ. (<აქ, ცხადია /მწვანე/ყვითელი/შავი/ იქნება დავალება>, მარცხნივ მწვანე, შემდეგ ყვითელი და ა.შ... მარჯვნივ). ამ შემთხვევაში უნდა გვქონდეს ფიგურა, თუ ის ყველასთვის ხელახლა შეკავშირებადი არ არის, ელემენტარულად შეკავშირებადი [colligible] ფიგურა მაინც უნდა იყოს. C. ამგვარად მივიღეთ ვიზუალური ფიგურა, როგორც ფიგურა, ამრიგად ტემპორალური თანმიმდევრობის პრინციპი ხანდახან უნდა დავრღვიოთ და მივუბრუნდეთ []-ს.²⁰²

Item. ☆ ○²⁰³

Item. ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სიტყვა არასაკმარისად გრძელია; შეუძლებელი იქნებოდა, რომ ის მხოლოდ ერთადერთ ობიექტთან ხელახლა შეგვეკავშირებინა [recolliger]. ეს არის სწორედ ის, რაც მისგან ტემპორალური დანაწევრებით ასეთ ილუზიებით მდიდარ ფსევდო-ორგანიზმს ქმნის.²⁰⁴

Item. უნივერსალური სივრცობრიობის პრინციპი, როცა sème-ს განიხილავენ, როგორც იმას, რაც sème-ს მოსდევს შედეგად: ტრანშეხად განაწილება (ყოველთვის ერთი მიმართულებით და თანაბარი მონაკვეთებით), მრავალფორმიანი განაწილების მაგიერად, როცა მაგალითად აპირდაპირ ვიზუალურ სისტემაში (=იდეოგრაფიული ხელნაწერი)



თუ ექნებოდა, ნებისმიერი მნიშვნელობით დაუპირისპირდებოდა

~ ~ რადგან ამასთან დაკავშირებით უკანასკნელ იმედად, სავარაუდოდ, ორ sème-ს შორის კონტრასტის შენარჩუნება რჩება – და არა sème-ის მნიშვნელობა. – ორ ისეთ sème-ს შორის კონტრასტს, როგორიცაა λέγειν / λέγετε, არეგულირებს ტრანშეხი, რომლებიც იმავე მიმართულებით ხორციელდება და ერთიმეორეს მოსდევს. წარმოვიდგინოთ ათასი სისტემა, რომლებშიც

²⁰¹ სოსიურის მიერ გამოყენებული ზედსართავი სახელი recolligible ფრანგულ ენაშიც ისეთივე ნეოლოგიზმია, როგორც მისი ნიმუშით წარმოქმნილი ზედსართავი სახელი rekolligibel გერმანულ ენაში. ლინგვისტურ ტერმინოლოგიაში კი მის საწინააღმდეგოდ იყენებენ არსებით სახელს Kolligation, რომელიც აღნიშნავს »ენობრივი გამონათქვამების შეკავშირებისთვის საჭირო მორფოლოგიურ-სინტაქსურ პირობებს« (შდრ. H. Bussmann: *Lexikon der Sprachwissenschaft*, Stuttgart 1990, გვ. 390f.).

²⁰² Cf. CLG/E (II), გვ. 38, N 15, Nr. 3316.2.

²⁰³ Cf. CLG/E (II), გვ. 38, N 15, Nr. 3317.0.

²⁰⁴ Cf. CLG/E (II), გვ. 38, N 15, Nr. 3317.1.

ვერც ერთი ეს პირობა ვერ შესრულდებოდა. (რთულია მხოლოდ იმიტომ, რომ ისევ მეტყველებას [parole] უნდა დაეუბრუნდეთ, ისე, რომ ვერ მივხვდებით, თუ როდის გვექნება კიდევ სხვა შემთხვევაში [sémisme].²⁰⁵

Item. <ტემპორალობა. > რაც მეტს ვსწავლობთ..., მით მეტად ვხედავთ, რომ ის სონორული ჯაჭვის დანაწევრებულობაა (ipso facto – მარტივი, ერთენოვანი დანაწევრებულობა), რომელიც ქმნის არა მარტო ნიშან-თვისებებს, არამედ ილუზიებსაც, მათ მსგავსად, ვისაც სჯერა, რომ ენის [langue] ერთეულები ორგანიზებული მთლიანობაა, სადაც ისინი დროში მარტივად გადანაწილებულ მთლიანობას წარმოადგენენ და იმ ფუნქციების პარალელურია, რომელიც დროის ცალკეულ მონაკვეთებს შეგვიძლია მივანიჭოთ.²⁰⁶

Item. სანამ სპეციალური სემიოლოგიის ბუნებას არ ჩავწვდებით, სრულიად უშედეგოა ფიქრი იმის გასარკვევად, თუ რას წარმოადგენს ენობრივ/ლინგვისტური სემიოლოგია.²⁰⁷


Item. დავინახოთ, თუ რამდენად შეუძლია სიტყვას Stück [ˈpi:çə] (Stück [ˈmor-
ceau]-ისაგან განსხვავებით) სამსახური გაუწიოს ლინგვისტურ/ენობრივ ანა-
ლიზს და ანატომიასთან, <მექანიკასთან> და მისთ. შედარებებს – ასევე
Glied [ˈmɛmbɐ]. თუ მისგან ყველა მნიშვნელობას ამოვიღებთ, სიტყვას აღარ
ეყოლება წევრები; გარკვეული დანაწევრების საფუძველზე (ბგერითი დანა-
წევრების გარდა), მაშინაც კი, თუ მანამდე ჩანდა, თითქოს მას ეს წევრები
გაანნდა.²⁰⁸

Item. სიტყვა inerte...²⁰⁹

Item. უნდა ვიზრუნოთ, რომ შეგვეძლოს თქმა: ენობრივ/ლინგვისტური ნიშნის უნისივრცობრიობა ყოველ ჯერზე საგრძნობი უნდა იყოს და ის sème-ის ზოგადი ნიშან-თვისება არ არის.²¹⁰

Item. სავარაუდოდ, ღირს იმის თქმა, რომ ისეთი დიაკრიტიკული ნიშნის უნი-
სივრცობრივი პრინციპი, როგორცაა ი, ფონეტიკურ ხელნაწერში არ ირღვე-
ვა, რადგან ამ შემთხვევაში მთლიანობიდან მხოლოდ ერთადერთი sème მი-
იღება (არც ერთი წევრი). მაგრამ აქ, ალბათ, კიდევ რაღაც რჩება სათქმელი.²¹¹

Item. ენობრივ-ლინგვისტური sème უნისივრცობრივი sème-ების საყოველთაო
ოჯახს მიეკუთვნებიან, რომელსაც აუცილებლობის შემთხვევაში ყველა sème
მიეკუთვნება, რომელიც აკუსტიკურ გადატანას [transmission] ემსახურება.
<მაგრამ მნიშვნელოვანია არა აკუსტიკური გადატანა, არამედ უნისივრ-
ცობრიობა.>²¹²

Item. შემთხვევები. – თუ სიტყვას ან მისთ. ვიზუალური სიგნალებით წარმო-
ვადგენთ, როგორც  ერთმანეთის გვერდიგვერდ განვალაგებთ, სავსებით

²⁰⁵ Cf. CLG/E (II), გვ. 38, N 15, Nr. 3317.2.

²⁰⁶ Cf. CLG/E (II), გვ. 38, N 15, Nr. 3317.3.

²⁰⁷ Cf. CLG/E (II), გვ. 38, N 15, Nr. 3317.4.



²⁰⁸ Cf. CLG/E (II), გვ. 38, N 15, Nr. 3317.5.

²⁰⁹ Cf. CLG/E (II), გვ. 38, N 15, Nr. 3317.6.

²¹⁰ Cf. CLG/E (II), გვ. 39, N 15, Nr. 3318.1.

²¹¹ Cf. CLG/E (II), გვ. 39, N 15, Nr. 3318.2.

²¹² Cf. CLG/E (II), გვ. 39, N 15, Nr. 3318.3.

სწორია, ყოველ შემთხვევაში იმ პირობით, რომ სიგნალი ერთმანეთის გვერდ-
დევრდ განლაგებული ერთეულების განუსაზღვრელი რაოდენობისაგან შე-
დგება და არა, მაგალითად, ამგვარად, 1.  2.  და ა.შ., რადგან
ამ შემთხვევაში წარმოდგენების ორი რიგი ერთმანეთში აირევა და

არის ზუსტად ის მაგალითი ვიზუალური ნიშნის შესაძლო თანხვედრისა
დროში (ან არა-უნისივრცობრიობისა) – სხვა შემთხვევაში კი მხოლოდ მა-
შინ, როცა ის დანაწევრებულია.²¹³

Item. სავარაუდოდ, განხდება მოთხოვნა მულტისივრცობრივი sème-ს მაგალი-
თის დასახელებისა, <რათა გვექონდეს საშუალება, რომ sème-ს ცნება უკეთე-
სად განვსაზღვროთ>. აუჩქარებლად რომ დავიწყოთ, შემიძლია ეს სახელი
ეუწოდო აღევორიულ სურათს – ან რომელიმე ფერწერულ ტილოს, რამდე-
ნადაც <წარმოდგენილ ობიექტებს> უკავშირდება საგნების მნიშვნელობაც
[la signifiante]. შეუძლებელია იმის თქმა, რომ ეს სურათი მარცხნივ იწყება
და [] წყდება.²¹⁴

Item. თუ მართლაც სიტყვაში ერთმანეთის თანამიმდევრული ბგერითი ელემ-
ენტების ასახვა გვსურს, მაშინ გვჭირდება ეკრანი, რომელზეც <ლატერნა
მაგიკას მეშვეობით> ერთმანეთის თანამიმდევრული ფერების ჩვენება გახდებ-
ოდა შესაძლებელი და მაინც, ის მცდარი იქნებოდა, რადგან ჩვენ ვერ შევძ-
ლებდით, ერთი შთაბეჭდილებით ხელახლა შეგვეკავშირებინა [recolliger] ეს
ერთმანეთის თანამიმდევრული ფერები და ამიტომ არის სიტყვა, რომელიც
<როგორც მთლიანობა> ეკრანზე მარჯვნიდან მარცხნივ ან მარცხნიდან მარ-
ჯვნივ სივრცობრივად იწერება და ეს სიტყვა ჩვენთვის სიტყვის უკეთესი
ასახვაა, <თუმცადა ის დროებითია>. აკუსტიკური sème მეტწილად დაფუძნე-
ბულია ვიზუალური ფორმებისგან განსხვავებით აკუსტიკური ფორმების <ას-
მაგად> გამარტივებულ მემორიზაციაზე.²¹⁵

Item. ისევე, როგორც მუსიკალური ფრაზა დროთა განმავლობაში ვითარდება,
რადგან ვინარჩუნებთ []-ს, ვიზუალური ფრაზა, რომელიც, მაგალითად, შეიძ-
ლებოდა ყოფილიყო მთიანი სარტყელი. []-ის საწინააღმდეგოდ. აღსანიშნა-
ვია ასევე: არც ერთი ვიზუალური ფრაზა, რომელიც ერთმანეთის თანამიმდევ-
რული მომენტებისგან შედგება და ამიტომ გრაფიკულ ასახვას შეუძლებელია.²¹⁶

Item. <intertôme-ს სასარგებლოდ. > თვით ისეთი ტერმინი, როგორცაა sème
(σῆμα), თუ გაამართლებდა, ძალიან მოკლე დროში აღქმული იქნებოდა, რო-
გორც sème-ს სინონიმი, რომელსაც მას შეუპირისპირებდნენ. აქ ლინგვის-
ტური ტერმინოლოგია ხარკს უხდის სწორედ იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც
ჩვენ დაკვირვების ფაქტად ვადგენთ. ყოველ ტერმინში, როგორცაა sème, წი-
ნასწარ განსაზღვრულია, სულ მცირე, ორი მნიშვნელობა სიტყვა=ნიშანი: 1.
უნისივრცობრივი საზღვრების დამთხვევა, იმგვარად, რომ sème Zeus ზუსტად
იმის საპირისპიროს აღნიშნავს, რასაც sème Zeus..., – 2. ზუსტად მაშინ, როცა
ნიშანს თავისი მნიშვნელობისგან გამოვეყოფთ, გონება ნიშანში (ან sème-ში)
სულ მცირე იმ ინტენციას დებს, რომელსაც კუნთები მოძრაობაში მოჰყავს

²¹³ Cf. CLG/E (II), გვ. 39, N 15, Nr. 3318.4.
²¹⁴ Cf. CLG/E (II), გვ. 39, N 15, Nr. 3318.5.
²¹⁵ Cf. CLG/E (II), გვ. 39, N 15, Nr. 3318.6.
²¹⁶ Cf. CLG/E (II), გვ. 39, N 15, Nr. 3318.7.

და ამგვარად ნებას ამტკიცებს. – 3. < some იქნება ორგანიზებულ ნაწილებში დანაწევრებადი კარკასი, რაც მცდარია. >²¹⁷

Item. ორგანიზებულ/ორგანულ არსში [l'être organisé] <შეიძლება> ფუნქცია <მოკვდეს> ისე, რომ ორგანიზმი არ მოკვდეს. თვით გვამსაც აქვს თავისი ორგანოები, რაც ანატომიური მეცნიერებებისთვის მასალას წარმოადგენს. სიტყვაში აბსოლუტურად არაფერია ავტონომიური, ანუ არ არის დასაბუთებული არანაირი განსხვავება შემადგენელ ნაწილებს შორის, რომლებიც ფუნქციასა და შემადგენელ ნაწილებს შორის კავშირში იმყოფებიან, რომლებიც ამ ფუნქციას ემსახურებიან, არსებობს მხოლოდ ერთმანეთის მსგავსი ინტონაციების შედეგი, იმდენად, რამდენადაც სხვა არაფერი გამოდგებოდა, ფეხის ნაცვლად სიტყვა ფილტვი რომ შეგვექმნა. იდენტური ტვეალობის პრინციპი.²¹⁸

Item. <ღიათუხი? – თუ ღიაკოსშია? მოცემულ მომენტში ენის [langue] ეკონომისთვის. – (= იდიოსინქრონია). >²¹⁹

Item. შედარება ანატომიასა და ფსიქოლოგიასთან. ენისათვის [langue] ორივე მათგანი ერთი და იგივეა. – შეცდომა სწორედ ის იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ გრამატიკა ფსიქოლოგიაა (ფუნქციების გამოკვლევით), მაშინ, როცა ფონეტიკა – თუ ფონოლოგია? – =ანატომია იქნებოდა. საჭიროა იმის დანახვა, თუ სად მოიკოჭლებს ეს ანალოგია. თვალი არ უტოლდება ხელს, ისევე, როგორც ფილტვი ხერხემალს; და ამგვარად ანატომს, მაშინაც კი, როცა ფუნქციიდან აბსტრაგირებას ახდენს, თითოეულ ორგანოში განსხვავებული ობიექტი აქვს. მაგრამ არანაირი განსხვავება არ არის, მაგალითად, მდებარეობის ნიშან ი-სა და სურვილის გამომხატველ ი-ს შორის; რჩება მხოლოდ დაუმუშავებელი მატერია, სანამ არ გავითვალისწინებთ ლინგვისტიკაში კონვენციური ფუნქციის არსებობას. ეს არის ფუნქცია, რომელიც ინტონაციის [phonisme] მატარებელია, რომელიც შეადგენს იმას, რაც ამ ინტონაციას – რომელიც თავის თავში ყველა სხვა დანარჩენ ინტონაციას უტოლდება, <და როგორც ის არის,> შეუძლია აბსოლუტურად ყველა ფუნქციის შესრულება საკუთარ თავზე აიღოს – უპირველესად კი ორგანოსთვის სახელის მინიჭება. – მსგავსი შენიშვნა სიტყვის სტრუქტურის შესახებ. კიდევ ერთ-ერთი ამ სურათთაგანი, რომლებიც სიცხადის ილუზიის ქვეშ ფარავენ მცდარი და ცუდად ასახული წარმოდგენების სამყაროებს. სიტყვას არანაკლები სტრუქტურა აქვს. სანამ სხვადასხვა ნაწილების არსიდან მოვახდენთ აბსტრაგირებას [].²²⁰

Item. (გაგრძელება წინა მხრიდან) ჭადრაკის თამაშთან შედარებით ისე ხდება, რომ ფუნქცია (ფასეულობა) კონვენციურია, მაგრამ რაც სტრუქტურას შეეხება, ეს ანალოგია არანაირ საფუძველს არ გვთავაზობს, იმდენად, რამდენადაც ჭადრაკის ყოველი ფიგურა შემდგომ დანაწევრებას აღარ ემორჩილება, რადგან ის, როგორც სიტყვის ერთეული, სხვადასხვა ნაწილებს სხვადასხვა ფუნქციებთან ერთად შეიცავს.²²¹

²¹⁷ Cf. CLG/E (II), გვ. 39, N 15, Nr. 3318.8.

²¹⁸ Cf. CLG/E (II), გვ. 39, N 15, Nr. 3318.9.

²¹⁹ Cf. CLG/E (II), გვ. 39, N 15, Nr. 3319.1.

²²⁰ Cf. CLG/E (II), გვ. 39, N 15, Nr. 3319.2.

²²¹ Cf. CLG/E (II), გვ. 39, N 15, Nr. 3319.3.

~ ~ რასაკვირველია, მანქანა, მექანიზმი ისე ვერ დაგვეხმარება ანალოგიაში, როგორც ორგანიზმი. აქ გვაქვს ანატომიაც და ფიზიოლოგიაც.²²²

~ ~ მაგრამ ამ საკითხში ძალიან დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ სიტყვის ნაწილების »მერიზმს« [xmérisme]²²³ (დროში გადანაწილებულობას); სონორული ჯაჭვის ამ გადანაწილებულობას უფრო მეტი წვლილი შეაქვს, ვიდრე ბგერათა მრავალფეროვნებას²²⁴, რომ ორგანული ჯგუფების ილუზია დათრგუნონ. საფუძველშივე გასაოცარია, რომ ისეთ ადგილებში სვამენ დეფისს, როგორიცაა სუ-ვი-ძ-მუსი-ც.²²⁵

~ ~ აქედან გამომდინარე, ქიმიური ანალოგია გონებას ვერანაირ ინფორმაციას ვერ აწვდის, რაც, გარკვეული თვალსაზრისით, სწორია.²²⁶

~ ~ დავაკვირდეთ, როგორ ხდება ეს ტაქტიკური ანალოგიის დროს, საბრძოლო წესრიგის წარმოჩენისას.²²⁷

Item. ნიშნის ფლობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა მას, როგორც ბუშტს, ჰაერში მივდევთ და ვიცით, რომ აუცილებლად დავიჭერთ, როცა მისი ბუნების შესახებ ანგარიშს სრულყოფილად ჩავაბარებთ – ორმაგი ბუნება, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შედგება გარსისგან და გონებისგან, არამედ წყალბადისგან, რომელსაც მასში ჩაუშვებენ და <რომელსაც> არანაირი ფასეულობა არ ექნებოდა ამ გარსის გარეშე. – ბუშტი, ეს არის sème და გარსი – sôme, მაგრამ ეს ძალიან შორსაა იმ მოსაზრებისაგან, რომელიც გვეუბნება, რომ გარსი არის ნიშანი და წყალბადი მისი მნიშვნელობა ისე, რომ ბუშტი თავისით ვერ იარსებებდა. ჰაერნაოსნებისათვის ის ყველაფერია, ზუსტად ისევე, როგორც ლინგვისტებისთვისაა sème ყველაფერი.²²⁸

Item. contre-sôme = მნიშვნელობა, ისევე, როგორც sôme, შეგვიძლია თუ არა ისიც განვიხილოთ sème-სგან დამოუკიდებლად? სასურველი იქნებოდა, მაგრამ მოცემულ მომენტში ამის წინაპირობას ლინგვისტები და ფსიქოლოგები ვერ ხედავენ. <საქმე ეხება> იმას, რომ sôme და anti-sôme თავიანთ <მოცემულ> სფეროებში შეეზღუდოთ, რაც მხოლოდ ფიზიკური იქნება. ეს არის ზუსტად ბენფეისესული [benfeyesques] ორგიების წარმომავლობა და ახსნა. anti-sôme თავის სფეროში სავსებით შეუზღუდავია. ამასობაში არის sème და sème-ს სფერო.²²⁹

Item. † რასაც ჩვენ მნიშვნელობას ვუწოდებთ, არის ის, რასაც parasôme ეწოდება და რომლისგანაც, sôme-საგან განსხვავებით, ვერასდროს გავთავისუფლებით. ის თვითონ შეიძლება გახდეს კვლევისა და დაკვირვების ობიექტი. სწორად გვესმის: მას, გარკვეულწილად, შეუძლია კვლევისა და დაკვირვების ობიექტი გახდეს, იმ პირობით, თუ განუწყვეტლივ დავუბრუნდებით sème-ს, ან სხვადასხვა sème-ს, რომლებიც ამ parasôme-ს მატერიალური ბუნებით აერთიანებენ, ანუ sôme-თი, მაგრამ ეს არ შეგვიძლია შევადაროთ sôme-ს კვლევის [étude], რომელიც დამოუკიდებელ მოვლენად ვაღიარეთ.²³⁰

²²² Cf. CLG/E (II), გვ. 39, N 15, Nr. 3319.4.

²²³ ბერძნ. merisma-დან »გამოჯენა«.

²²⁴ Cf. CLG/E (II), გვ. 39, N 15, Nr. 3319.5.

²²⁵ Cf. CLG/E (II), გვ. 40, N 15, Nr. 3319.5.

²²⁶ Cf. CLG/E (II), გვ. 40, N 15, Nr. 3319.6.

²²⁷ Cf. CLG/E (II), გვ. 40, N 15, Nr. 3319.7.

²²⁸ Cf. CLG/E (II), გვ. 40, N 15, Nr. 3320.1.

²²⁹ Cf. CLG/E (II), გვ. 40, N 15, Nr. 3320.2.

²³⁰ Cf. CLG/E (II), გვ. 40, N 15, Nr. 3320.3.

Item. <სეირნობისას> სიამოვნებისთვის ხეზე ნაჭდევს ვაკეთებ <სიტყვის უოქმელად>. პიროვნება, რომელიც თან მახლავს, ამ ნაჭდევს შესახებ წარმოდგენას ინახავს და, ეჭვგარეშეა, რომ ის იმ მომენტში ამ ნაჭდევთან ახდენს ორი ან სამი წარმოდგენის ასოცირებას მაშინ, როცა მე სხვა არანაირი წარმოდგენა არ მაქვს, გარდა იმისა, რომ იგი მოვატყუო [mystifier] ან გავერთო. – ყოველი მატერიალური საგანი ჩვენთვის უკვე ნიშანია: ანუ შთაბეჭდილება, რასაც სხვასთან ვაკავშირებთ, <მაგრამ მატერიალური საგნის გარეშე ეს წარმოუდგენელია>. ენობრივ/ლინგვისტური ნიშნის ერთადერთი განსაკუთრებული თვისება ის არის, რომ რომ ის უფრო დეტალურ ასოციაციებს იწვევს, ვიდრე სხვები და, ალბათ, შევამჩნევთ, რომ წარმოდგენის ასოციაციის ყველაზე სრულყოფილი ფორმაა ის, რომლის რეალიზებაც მხოლოდ კონვენციური some-ს მეშვეობით ხორციელდება.²³¹

Item. ლინგვისტურ/ენობრივი მეცნიერების <მოკლე> ისტორიის მიმოხილვა. ეს მიმოხილვა ერთი თვალსაზრისით ძალზე არასახარბიელოა და სვედიანია წარსულის ორი გადმოსახედიდან. [] <გამოვლინდა გასაოცარი, მართლაც რომ გასაოცარი სისულელეები. > ლინგვისტიკის წარსული შედგება მისი როლის, <მისი ადგილისა და ფასეულობის, []-ს შესახებ> საყოველთაო ეჭვისაგან, თან ახლავს კოლოსალური მონაპოვარი ფაქტების, იმ ფაქტების შესახებ, რომელთა შესახებაც 1810 წლამდე უმცირესი წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ და არა []. <დაინახეს მაქს მიულერის არასერიოზული მოძღვრება, რომელიც ენას [langue] ბუნების სამფლობელოდ წარმოაჩენდა, რომელიც თავისთვის არსებობს []. > ენის წარსული [l'antiquité de la langue] მაშინვე დაფარული საკითხი იყო, ენის [langue] კონტინუალურობიდან []-ის კაპიტალურ მონაპოვრად იქცა.²³²

Item. დაინახეს მაქს მიულერის კომიკური მოძღვრება, რომელიც ლინგვისტიკას საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა რიგს მიაკუთვნებდა და ერთგვარ ენობრივ/ლინგვისტურ სამფლობელოდ მიაჩნდა, რომელიც იმავე რანგში არსებობდა, როგორც ბოტანიკოსების მიერ გამოკვლეული ამცენარეთა სამყარო. ეს სერიოზულად განიხილეს და დაადგინეს. მაგრამ მინდა ვთქვა, რომ როცა რეაგირებდნენ, კვლავაც არავის შეეძლო იმის თქმა, რა თვალსაზრისს ეყრდნობოდნენ ისინი ამ რეაგირებისას, რადგან ლინგვისტიკას სწორი საგნების შესახებ [choses justes] ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა და არანაირი შესაძლებლობა არ გააჩნდა, შეექმნა საკუთარი მიმართულება [DIRECTION].²³³

Item. ძალიან სასაცილოა ის, რაც <A და B მოსაზრებებს შეეხება,> რადგან ეს სიცილი, როგორც ჩანს, სიმართლის მარცვალს შეიცავს, თუმცა ეს არის ზუსტად საფუძვლიანი სიმართლის აბსოლუტური არარსებობა, რომელიც დღემდე ახასიათებთ ლინგვისტებს.²³⁴

Item. <bonté-santé>. douteux-ში ან <amertume>-ში ან noirâtre-ში აშკარად ორი ელემენტი. მაგრამ პირველი ელემენტი არ არის doute-ს იგივეობრივი (idem) ან <amer>, noir. უბრალოდ გვაქვს, douteux: doute=goîtreux: goitre და ა.შ. – ეს ერთ-ერთი მეთოდია, რათა საფუძვლის ცნებას ნათელი მოვფინოთ. კარგი შედარება: huldvoll შეიცავს huld-ს როგორც სიტყვას, ხოლო huldig მხოლოდ

²³¹ Cf. CLG/E (II), გვ. 40, N 15, Nr. 3320.4.
²³² Cf. CLG/E (II), გვ. 40, N 15, Nr. 3320.5.
²³³ Cf. CLG/E (II), გვ. 40, N 15, Nr. 3321.1.
²³⁴ Cf. CLG/E (II), გვ. 40, N 15, Nr. 3321.2.

ძირს, რომელსაც *huldig*-შიც ვხვდებით. Cf. *würdevoll, würdig, würde*, <*nœud : nouveaux, langueur: langoureux*>. (საქმე ეხება არა ისტორიულ საკითხს, არამედ შეგნებულ მდგომარეობას.)²³⁵

Item. ყველგან <არის> ისტორიული მდგომარეობა <და> შეგნებული მდგომარეობა, <ორი მდგომარეობა, რომელიც> ერთმანეთს უპირისპირდება. ორივე მათგანი ნიშნის მიმართულებებია. აქედან გამომდინარეობს სირთულე და, ასევე, აუცილებლობა, რომ არასოდეს არაფერში არ აგვერიოს ისინი. ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან ისევე, როგორც სიტყვის ორი სხვადასხვა შესაძლო მდგომარეობა და ორი მათგანის არჩევანის დროს სიტყვისთვის თითოეულს ცალკე არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. თითოეული სიტყვა არის დიაქრონული და სინქრონული თვალსაზრისის გადაკვეთის წერტილი. – როცა გვსურს გავთავისუფლდეთ მუდმივი კითხვისაგან არის თუ არა ეს *sème?*, განვიხილათ სიტყვას, როგორც მოცემულ, საყოველთაოდ ცნობილ საგანს.²³⁶

Item. აუცილებელი გახდება, შევაჯამოთ ყველა სახეობა, რომელიც ანალიზის ველებს ეხება.²³⁷

Item. მაშინ, როცა ანალიზია საჭირო იმისათვის, რომ სიტყვის ელემენტები დავადგინოთ, სიტყვა არ გამომდინარეობს წინადადების ანალიზიდან. წინადადება მხოლოდ მეტყველებაში [*parole*] არსებობს, დისკურსიულ ენაში [*langue discursive*], მაშინ, როცა სიტყვა ერთეულია, რომელიც ყოველგვარი დისკურსის გარეშე მენტალურ საგანძურში არსებობს.²³⁸

Item. წინათქმული არ გულისხმობს, რომ სიტყვის ელემენტები <არასოდეს> არ არსებობენ თავისთვის, როგორც მენტალური ერთეულები, არამედ მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ სიტყვა ნებისმიერ შემთხვევაში ანალიზისგან გამოიყოფა.²³⁹

Item. ფაქტობრივად, მეხსიერება მზა წინადადებების მხოლოდ ძალიან შეზღუდულ რაოდენობას გვაწვდის. ეს სხვა არაფერი შეიძლება ყოფილიყო, თუ არა შესაძლო კომბინაციების შეუზღუდავი რაოდენობა, მაშინაც კი, თუ ტერმინების რაოდენობა ძალიან ცოტაა. ამის საპირისპიროდ, მეხსიერება ათასობით გვაწვდის მზა სიტყვებს. ასე რომ, სიტყვას აქვს არა პირველი საარსებო რეჟიმი, ის წინადადების რიგითი წევრი კი არ არის, არამედ ის შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც წინადადებადურ არსებული, ანუ მისგან დამოუკიდებელი, რაც უჩვეულოა სიტყვის ელემენტებისთვის სიტყვის ერთეულთან მიმართებაში. დანარჩენ შემთხვევაში, დისკურსებშიც კი, ასობით შემთხვევა გვაქვს, როცა გამოთქვამენ ამა თუ იმ სიტყვას, ხოლო წინადადებას – ვერა.²⁴⁰

Item. ასაგანმანათლებლო ფაქტს, რომ ჩვენ შესაძლოა წინადადებებს ვსწავლობთ, სანამ სიტყვებს ვავეცნობით, რეალური მნიშვნელობა არ აქვს. ის დაიყვანება შემდეგზე: ვადგენთ, რომ ყოველი ენა [*langue*] <თავდაპირველად> ჩვენს გონებაში აღწევს დისკურსების მეშვეობით, როგორც უკვე

²³⁵ Cf. CLG/E (II), გვ. 40, N 15, Nr. 3322.1.

²³⁶ Cf. CLG/E (II), გვ. 40, N 15, Nr. 3322.2.

²³⁷ Cf. CLG/E (II), გვ. 40, N 15, Nr. 3322.3.

²³⁸ Cf. CLG/E (II), გვ. 40, N 15, Nr. 3323.1.

²³⁹ Cf. CLG/E (II), გვ. 41, N 15, Nr. 3323.2.

²⁴⁰ Cf. CLG/E (II), გვ. 41, N 15, Nr. 3323.3.

აღვნიშნეთ და როგორც სავალდებულოა. მაგრამ ისევე, როგორც სიტყვის ბგერა, რომელიც ასევე საგანია, რომელმაც ჩვენში შემოაღწია, ამგვარად ხდება დისკურსებისგან სრულიად დამოუკიდებელი შთაბეჭდილება, ჩვენი გონება მთელი ამ დროის განმავლობაში სცილდება დისკურსებს და მხოლოდ სიტყვა რჩება. ის ფაქტი, თუ როგორ მოხდა სიტყვის გამყარება, არ არის მნიშვნელოვანი, ოპერაცია უკვე შესრულდა, იმ წინაპირობით, რომ ვადგენთ: ეს სწორედ ის ერთეულია, რომელიც გაბატონებულია.²⁴¹

Item. არსებითად უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველთვის, როცა ყურადღებას ვამახვილებთ ამა თუ იმ დეტალზე, ბგერის <ერთ-ერთ ნიჟანსზე>, მაგალითად, ორი სიტყვის ოდნავ განსხვავებული გამოთქმა, ერთადერთი საშუალება, რომელიც ხელთ გვაქვს, არის ზუსტად დაგაკონკრეტოთ სიტყვის შესახებ წარმოდგენა, თუ რას იწვევს შესაბამისი გამოთქმა. შესაბამისად, sème-ში ბგერა სხვა დანარჩენისგან არასოდეს არ არის გამოყოფილი და ჩვენ მხოლოდ გარკვეულწილად ვფლობთ ბგერას, როცა მთლიან sème-ს ვიღებთ, ანუ მნიშვნელობასთან ერთად. <სიტყვა Hund-ისთვის ვიწყებ ფიქრს Hund-ის შესახებ, როცა ვიცი, თუ როგორ უნდა გამოვთქვა ეს სიტყვა.>²⁴²

Item. ზედსართავი სახელი, არსებითი სახელი და ზმნა არ საჭიროებენ გრამატიკულ ნიშნებს იმისათვის, რომ იარსებონ, როგორც ზედსართავმა სახელმა, არსებითმა სახელმა და ზმნამ. მაგრამ როცა ეს ფაქტი უფრო ნათელი ხდება, ის ძალიან შორდება იმ მოსაზრებას, რომ ზედსართავი სახელის ან არსებითი სახელის ბუნება დადებითად წარმოაჩინოს.²⁴³

Item. ძალიან დიდი განსხვავებაა ისეთ ტერმინებს შორის, როგორიცაა სუბიექტი და ა.შ., რომლებსაც წინადადებაში ვიყენებთ ამტკიცებლების ნაწილებად. წინადადების წევრებს შეიძლება ლინგვისტურ/ენობრივად არანაირი შესაბამისობა არ ჰქონდეთ ერთმანეთთან, მაშინ, როცა <ზედსართავ სახელს ან <ზმნიზედას> და ა.შ... სულ მცირე, ის პირობა აქვს, რომ ბგერითი ფორმით იყოს წარმოდგენილი. ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ წინადადების სუბიექტზე ისე, რომ <რეალურად> არ გაგვანდეს ეს სუბიექტი <ამა თუ იმ მატერიალური გადატანის მეშვეობით>, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვისაუბროთ სუბიექტზე ისე, რომ არ გავითვალისწინოთ ამ არსებითი სახელის ბგერითი გარსი, <რაც ძალიან მნიშვნელოვანია> (სხვა შემთხვევაში, სადაც ის არ არის, რასაც ეს გარსი, როგორც არსებითი სახელის გარსი აღნიშნავდა).²⁴⁴

Item. არსებობს სულ სამი სახეობა: – ბგერითი გამოხატვის აუცილებლობის გარეშე: სუბიექტი, პრედიკატი. აუცილებლობით, მაგრამ ნიშან-თვისებებისადმი შეუსაბამო ხმოვანი გაფორმებით: ზედსართავი სახელი, არსებითი სახელი და ა.შ. და, ბოლოს, სხვადასხვა ბუნდოვანი გამოთქმები.²⁴⁵

Item. <ერთი წამი> დაფიქრდეთ ამ ტერმინის შესახებ: <განსხვავების გამოთქმა>. თავისთავად იგულისხმება ორი ხმოვანი ფორმა და ორი მასთან დაკავშირებული წარმოდგენითი ფორმა [].²⁴⁶

²⁴¹ Cf. CLG/E (II), გვ. 41, N 15, Nr. 3323.4.
²⁴² Cf. CLG/E (II), გვ. 41, N 15, Nr. 3323.5.
²⁴³ Cf. CLG/E (II), გვ. 41, N 15, Nr. 3324.1.
²⁴⁴ Cf. CLG/E (II), გვ. 41, N 15, Nr. 3324.2.
²⁴⁵ Cf. CLG/E (II), გვ. 41, N 15, Nr. 3324.3.
²⁴⁶ Cf. CLG/E (II), გვ. 41, N 15, Nr. 3324.4.

»რეალურად არსებული ობიექტები«

რა სახის რეალურად არსებულ ობიექტებთან გვაქვს საქმე ლინგვისტიკის შემთხვევაში?

მაგალითად, ბრეალის სემანტიკაში, გვ. 29-35 ვკითხულობთ²⁴⁸; გვხვდება ერთი მომენტი, რომელშიც, ერთი მხრივ, ვხედავთ, რომ ამგვარი კონსტრუქციებიდან [ausführungen] <გონებაში> ნაკლებად რჩება რამე და, ამავდროულად, ვხედავთ შემდეგს: ის იმაზეა დამოკიდებული, რომ საუბარი ყოველთვის ტერმინებსა და ენას [langage] შორის ვითარდება. იმისათვის, რომ ამ მიმართულებას მივყვეთ, პირველ რიგში, საჭიროა ვიცოდეთ, რაში მდგომარეობს მისი არსის გაგება, სანამ არსებულ ტერმინებს შორის ფენომენის შესახებ ვისაუბრებთ. – <Cf. immerhin S. 40 ff.>²⁴⁹

»რეალურად არსებული ობიექტების რეფლექსიები«

~~3. რეალურად არსებული ობიექტების რეფლექსიები [].~~ 3. იმ მიზეზების ჩამონათვალი, რომლებიც ენისაგან [langage] ობიექტს ქმნიან, რომელიც ყოველგვარი შედარების გარეშე <დგას> და არ ექვემდებარება კლასიფიკაციას, არც ლინგვისტიკის, არც ფილოსოფოსების მხრიდან.

პირველი მიზეზი: მნიშვნელოვანი ენების [langages] არარსებობა, რომლებიც ბგერით კი არა, სხვა ინსტრუმენტს მიმართავენ იმისათვის, რომ აწარმოონ ნიშანი.

ამ მიმართულებით უფრო შორსაც წავიდნენ, როცა სასაუბრო ენას [langage] ადამიანის ორგანიზმის ფუნქცია უწოდეს, რის გამოც ბგერითი ასპექტი გამუდმებით ერევათ იმაში, რასაც ნიშნის მეშვეობით აზრის გადატანა ჰქვია, რომელიც ნებისმიერი სახით შეიძლება გადმოიცეს და ისევე სრულყოფილ ვიზუალურ და თვალსაჩინო ნიშნებს წარმოქმნის ან გრამატიკას შეიცავს, როგორც არანაკლებ კონვენციური ნიშნების შემთხვევაში, რომელსაც ბგერითი ასპექტისთვის ვირჩევთ.²⁵¹

»ფიზიოლოგიის ანატომია«

ანატომია და ფიზიოლოგია. არსებობს სიტყვის ანალიზის მსგავსი რამ? არა. აქედან გამომდინარე: ანატომი ორგანული სხეულიდან გამოყოფს ნაწილებს, რომლებიც, სიცოცხლის აბსტრაქციის მიხედვით, სიცოცხლის არცთუ მნიშვნელოვან ფაქტებს <წარმოადგენენ>. ანატომიური თვალსაზრისით, კუჭი არის სხეული: ამიტომ ანატომს თავისი დანა შუაგულ კუჭთან კი არ მიაქვს, არამედ მთელი დროის განმავლობაში მის კონტურებს შემოავლებს²⁵³, რომლე-

²⁴⁷ საკარაულოდ 1897-1900; შდრ. ენგლერი 1975 ა, გვ. 840.

²⁴⁸ M. Bréal: *Essai de sémantique*, Paris 1897.

²⁴⁹ Cf. CLG/E (II), გვ. 41, N 16, Nr. 3325.

²⁵⁰ საკარაულოდ 1897-1900; შდრ. ენგლერი 1975 ა, გვ. 840.

²⁵¹ Cf. CLG/E (II), გვ. 41, N 17, Nr. 3326.

²⁵² საკარაულოდ 1897-1900; შდრ. ენგლერი 1975 ა, გვ. 840.

²⁵³ Cf. CLG/E (II), გვ. 41, N 18, Nr. 3327.1.

ბიც სიცოცხლის აუცილებლობითაა ნაკარნახევი და დადგენილი, რომლებიც კუჭის გარშემო არიან და მას ამავედროულად ხელს უშლიან იმაში, რომ იგი აერიოს ელენთაში ან სხვა რომელიმე ორგანოში... <ასე, მაგალითად> ავიღოთ სიცოცხლეს მოწყვეტილი სიტყვა (მისი ბგერითი სუბსტანცია): კვლავაც ქმნის ის ორგანულ სხეულს? არავითარ შემთხვევაში, არანაირი მოსაზრების თანახმად. ცენტრალურ პრინციპზე დაყრდნობით, რომ sème-ს მნიშვნელობასთან კავშირი შემთხვევითია, გამოდის, რომ რაც ახლახან ἀπο-δειχ-το-ც იყო, ახლა მხოლოდ უფორმო მასაა a + p + o + d + e +. – სადმე ჩაუერთავთ: sème-ს გამო მივიღივარ დათმობაზე, ვინაიდან ἄμα მართალია მკვდარ, მაგრამ მაინც ორგანოს ევოლუციას ახდენს.²⁵⁴

<თავდაპირველად sème?>

sème. მას სჭირდება <ტერმინის> <სავსე, ღრმა, დამაჯერებელი> არგუმენტი, რათა საბოლოოდ დაესვას წერტილი მიმდინარე პარონიმას, რასაც ორასროვნების შესახებ დისკურსშიც განიხილავენ [].

<და> ჯერ არ ვარ დარწმუნებული, რომ თუ sème-ს აღიარებენ, sème <მაღე არ გახდება> სიტყვის ორმაგი მნიშვნელობის მატარებელი, მთელი იმ წარუშლელი სიმძიმით, რომლებიც ამ სიტყვის პირველ მნიშვნელობასთანაა დაკავშირებული.

მიზეზი მარტივია – სიცოცხლე: ესა თუ ის სიტყვა ცოცხლობს [] და საზოგადო ცხოვრებაშიც მხოლოდ და მხოლოდ <იმიტომ, რომ> [].

ეს მიზეზი კი იმდენად საგულისხმოა, რამდენადაც ის ტერმინის ძიების თითქმის შეუსრულებელი მისიაა, რომელმაც უნდა დაადგინოს ფორმასა და მნიშვნელობას შორის ზღვარის გამყოფი, ვგულისხმობ ტერმინებს, რომლებიც აბსოლუტურად მიიჩნევა და არანაირ საფრთხეს არ ქმნიან, რომ პირველივე ენობრივ ლაბირინთს ვემსხვერპლებით და მასში ჩავეფლობით. ეს ტერმინები <სულ უფრო> მეტად ვლინდება ცოცხალი სხეულის ანატომიური კვეთისას: [].²⁵⁵

N 19²⁵⁶

»აფორიზმები«

X. ყოველი ენობრივ/ლინგვისტური ფაქტის წინაპირობაა, სულ მცირე <ორ ტერმინის შორის> მოვადინოთ შედარება, <რომლებიც> ერთმანეთის მიმდევრული ან სინქრონული შეიძლება იყვნენ. მეორე ტერმინის არქონა, <თუკი> ის, <როგორც ყოველთვის> წარმოებადი ჩანს, მხოლოდ მოჩვენებითია.²⁵⁷

XI.

XII. ენაში [langue] არ არსებობს <შესაძლო> განსხვავება იმას შორის, თუ რას გამოხატავს სხეული და იმას შორის, თუ რას აცალიბებს ის. რომ არა მხოლოდ ერთი მომენტი []

XII. ენაში [langue] <ისევე, როგორც> ყველა სემიოლოგიურ სისტემაში, არ შეიძლება განსხვავება არსებობდეს იმას შორის, თუ რას გამოხატავს სხეული და იმას შორის, თუ რას აცალიბებს ის. რომ არა მხოლოდ ერთი მომენტი, თვით ერთადერთი და [] ამ სიმართლის ერთსეულ დამტკიცება რომ შეიძლე

²⁵⁴ Cf. CLG/E (II), გვ. 42, N 18, Nr. 3327.1.

²⁵⁵ Cf. CLG/E (II), გვ. 42, N 18, Nr. 3327.2.

²⁵⁶ სავარაუდოდ 1897-1900; შდრ. ენგლერი 1975 a, გვ. 840.

²⁵⁷ Cf. CLG/E (II), გვ. 42, N 19, Nr. 3328.1.

ბოდეს, მაშინ თვით ნებისმიერი მომენტისთვის, [] ან მისი არსებობა, რომელიც იმ განსხვავებებისგან დამოუკიდებლად, რომელსაც ის განსაზღვრავს [] ან თუ მისი საპირისპიროს დამტკიცებას შევძლებდით ერთხელ [].²⁵⁸

XII. <ვლემენტი და ნიშან-თვისება [caractère] ერთი და იგივეა. > ის არის ენის [langue] ერთი <მიმართულება> როგორც ყველა სხვა სემიოლოგიურ სისტემაში ზოგადად, რომ არ შეიძლება არსებობდეს განსხვავება მასში, თუ რას გამოარჩევს საგანი და იმას შორის, თუ რას აყალიბებს იგი.²⁵⁹

XIII. არც ერთ კანონს, რომელიც ერთდროულად არსებულ ტერმინებს შორის გვხვდება, არ აქვს სავალდებულო ხასიათი.²⁶⁰

XIV. რამდენიმე ჭეშმარიტება, რომლებიც []-ში კვლავ მოიძებნება. ჩვენ არც აქსიომების შესახებ ვსაუბრობთ, არც პრინციპებისა და თეზების შესახებ. ამ შემთხვევაში საქმე ეხება <მარტივად და> წმინდა ეტიმოლოგიური თვალსაზრისით აფორიზმებს, გამიჯვნებს. [] მაგრამ საზღვრები, რომელთა შორის ეს ჭეშმარიტებები კვლავ მოიძებნება, საიდანაც გამომდინარეობს [].²⁶¹

N 21²⁶²

»ა. სეშეს თეორიული ლინგვისტიკის მეთოდების პროგრამის შესახებ ჩანაწერები«²⁶³

თითოეული მცდელობა, რომლის მიზანიცაა ენის [langage] საფუძვლების შესწავლა, თავიდანვე <საკმაოდ> დიდ გამოხმაურებას ჰპოვებს – თუკი ის დაინტერესებულია განსაკუთრებული მეთოდით და ამავდროულად ენების [langues] გაღრმავებული ცოდნით –, რადგან ის მხოლოდ <მნიშვნელოვანი> პიროვნული რეფლექსიის პროდუქტი შეიძლება იყოს.

აქ არ გვაქვს არც წინასწარ აღნიშნული გზები, რომლითაც ამა თუ იმ ადგილას განშტოებებს ვიპოვიდით, არც კვალი, რომელიც მიმართულებას გვიჩვენებდა, რომელსაც უნდა გავყოლოდით.

ნაწილობრივ ინდოევროპული ენათმეცნიერების დინამიკაში, ნაწილობრივ კი ამ დინამიკის მიღმა ჩატარდა რამდენიმე ცდა, რათა ანგარიში ჩაებარებინათ ობიექტების ჭეშმარიტი ბუნების შესახებ, რომელიც სიტყვების, სუფიქსების, პრეფიქსების, წინადადებების და სხვ. შესახებ გააჩნდათ – იმით, რომ აღიარეს მათი არა მხოლოდ დამოუკიდებელი არსებობა, არამედ ყოფის ყველა ატრიბუტი, დროში მათი ცვალებადობის ჩათვლით. მე რომ ყველა ეს ცდა ჩამომეთვალა, ვიღებდი ფონ ჰუმბოლდტიდან დაწყებული ჰერმან პაულით და ფსიქოლოგ ვუნდტით დამთავრებული, ეს იქნებოდა მხოლოდ იმის სათქმელად, რომ ისინი მასაღით მდიდარი ცდებია, რომელთაც შეუძლიათ აღმართონ შენობა ისე, რომ ამ შენობის არც ერთი საფუძველის მონახაზი არ გააჩნდეთ. ზოგიერთი რუსი ლინგვისტი, განსაკუთრებით ბოდუენ დე კურტენე და კრუშევსკი ენის [langue] თეორიულ ხედვასთან უფრო ახლოს იყვნენ,

²⁵⁸ Cf. CLG/E (II), გვ. 42, N 19, Nr. 3328.2.

²⁵⁹ Cf. CLG/E (II), გვ. 42, N 19, Nr. 3328.3.

²⁶⁰ Cf. CLG/E (II), გვ. 42, N 19, Nr. 3328.4.

²⁶¹ Cf. CLG/E (II), გვ. 42, N 19, Nr. 3328.5.

²⁶² 1908; შდრ. ენგლერი 1975 ა, გვ. 840.

²⁶³ A. Sechehaye: *Programme et méthodes de la linguistique théorique. Psychologie du langage*, Paris, Leipzig, Genf 1908.

ვიდრე <ნებისმიერი სხვა ვინმე>, ისე, რომ ისინი არ ითვალისწინებდნენ წმინდა ლინგვისტურ/ენობრივ დაკვირვებებს; მიუხედავად ამისა, ისინი დასავლეთის მეცნიერთა საზოგადოების მიერ იგნორირებული იყვნენ. <უიანი. ამერიკელ უიანის, რომელსაც მე უდიდეს პატივს ვცემდი, ამ თემების შესახებ არასოდეს უთქვამს არაფერი, რაც არასწორი იქნებოდა, მაგრამ ის, როგორც ყველა სხვა დანარჩენი, არ ფიქრობს, რომ ენა [langue] სისტემატიკას საჭიროებს. თითოეული სისტემატიკური წამოწყება წარმოადგენს შედეგად იმას, რის შესახებაც, გაუბედავ ვთქვა, რომ შედარებით ახალია და უშუალოდ წარმოადგენს პიროვნულ, ძალზე დამოუკიდებელ და ხანგრძლივი დაძაბულობის შედეგს, რომელიც მხოლოდ იმ პირობითაა შესაძლებელი, თუ ჭეშმარიტ აზროვნებას ლინგვისტურ/ენობრივ ცოდნასთან დავაკავშირებთ. ჭეშმარიტ ფილოსოფიურ უნართან ან უფრო სწორად, ლინგვისტიკის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა დისციპლინებთან, რაც [] მას აკლდა.>

თუ ენის [langue] ფსიქოლოგია გვინდა შევქმნათ დადებითი თვალსაზრისით – <აქ არ ვიღებ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, > არის თუ არა ეს ის, რისი გაკეთებაც მ. სემს ნამდვილად სურდა –, როგორც ჩანს, აუცილებელია, ლინგვისტიკას თავდაპირველად სხვა მეცნიერებებთან მიმართებაში ისეთი ადგილი მივუჩინოთ, <რომელიც ლინგვისტიკას> შეეხება; <მაგალითად, სოციალურ მეცნიერებათა ლინგვისტიკა, ლინგვისტიკა და [], >

ისე, რომ თავიდანვე ვიცოდეთ, თუ რა მასშტაბით არის <თავის მხრივ> ფსიქოლოგია ამაში ჩართული.

ეს ორმაგად აუცილებელი გახდება, თუ მ. სემს მსგავსად ლინგვისტიკას წარმოვადგენთ, როგორც ინდივიდუალური თუ კოლექტიური ფსიქოლოგიაში ჩართულ [emboîtement] მარტივ დარგად (ან თუნდაც იმად, რასაც მათში – <გვერდი აუარე [] >). ამ შემთხვევაში კიდევ უფრო ფორმალურად შეგვიძლია მოვითხოვოთ სიცხადე, რათა დავინახოთ პირდაპირი წარმომავლობა – ამა თუ იმ საზღვრის დაწესების გარეშე – <ზუსტ> ფენომენსა და ენის [langue] ფენომენს შორის და ასევე ფსიქოლოგიური ფენომენების ერთიანობას შორის.²⁶⁴

~ ~ ~ ვინაიდან ენის [langue] ფსიქოლოგიას განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ჩანს, მ. სემე აღარ საუბრობს ბროკას ტვინის ლატერალურობისა და პათოლოგიური დაკვირვებების შესახებ, რომლებიც აფაზიის სხვადასხვა ფორმების საშუალებით დაადგინა, <რომლებიც> დიდ ინტერესს იწვევს, <არა მარტო> იმიტომ, რომ <იმსჯელოს ფსიქოლოგიის მიმართებაზე []-სთან, არამედ სხვა დატვირთვაც აქვს > <თვით> გრამატიკისთვისაც. მაგალითისთვის მოვიხმობ აფაზიის შემთხვევებს, რომელთაც არსებითი სახელის მთელი კატეგორია აკლიათ მაშინ, როცა ლოგიკისა და ასევე სხვა თვალსაზრისით განხილულ <იმგვარ> კატეგორიებს შენარჩუნებული აქვთ სუბიექტი.²⁶⁵ დანართის სახით დავამატებ, რომ ამ მოსაზრების დასადასტურებლად იმაზე უკეთესი და სერიოზული არგუმენტი არ არსებობს, ვიდრე იმის წარმოდგენა, რომ <სხვა ამოსავალი მასალის თანახმად> ის მართებულად მივიჩნით. <თუ ის, ისევე როგორც მე, დაადგენს, რომ ეს ჭეშმარიტებაა, მაშინ უნდა ვთქვათ>, რომ აპრიორია, როცა შევიტყობთ, რომ ენის [langue] მაკონტროლებელი ტვინის ერთი ნახევარსფეროს დამბლა, ა) მთელ სიგნოლოგიას შეეხება, ანუ []²⁶⁶

²⁶⁴ Cf. CLG/E (II), გვ. 43, N 21, Nr. 3330.

²⁶⁵ Cf. CLG/E (I), გვ. 35; N 21, Nr. 184.

²⁶⁶ Cf. CLG/E (I), გვ. 36; N 21, Nr. 188.

ფაქტობრივად ვხედავთ, რომ 1. მთელი ამ დროის განმავლობაში <აფაზიის შემთხვევების> სინათლეზე გამოტანისას, ბგერათა გამოთქმის უნარი, <უფრო სხვა რამეა> ვიდრე უნარი, რომ რეგულარული ენის [langage régulier] ნიშნები მოვიხმოთ, რაც შეესაბამება ჩვენს მტკიცებას.²⁶⁷

2. არანაკლებ ხაზგასასმელი და აღსანიშნავია, რომ სამეტყველო ენის პრობლემების [troubles du langage oral] ასობით სახეობა შერეულია []-ის პრობლემებთან.²⁶⁸

ლინგვისტიკის ბუნებრივი დაყოფის შედეგად, ყველა ენობრივ/ლინგვისტური ფენომენი მათი ფსიქოლოგიური ეტიოლოგიის საფუძველზე განიხილება. ამასთან, ეტიოლოგია ხსნის, რამდენადაც ამის დანახვაა შესაძლებელი, იმ გარემოებების ცვლილებების მიზეზებს, რომლებიც აღწევენ თანაფარდობას, სტაბილურობას ისე, რომ ეს ავტორისეული სურვილი არ იყო [].

ისევე, როგორც []-ის განხილვა.

– ჯერ კიდევ ლინგვისტიკაში ყველა სოციალური მეცნიერება – სულ მცირე, ისინი, რომლებიც მნიშვნელობას შეისწავლიდნენ – საბოლოოდ ფსიქოლოგიაში დაიყვანებოდა; ეს ხელს არ უშლის იმას, რომ ზოგად ფსიქოლოგიასა და იმ მეცნიერებებს შორის, რომლებსაც სჭირდებათ ის ცნებები, რომელთაც მათ არც ზოგადი, არც თვით კოლექტიური ფსიქოლოგია არ აწვდის [], არსებობდეს უზარმაზარი გამყოფი ხაზი.

მაქს მიულერის <ენათმეცნიერული პრეტენზიის მქონე> სამეცნიერო-პოპულარული წარმოდგენები მიუღებლად რომ არ მიენიათ, მაშინ მაქს მიულერის პერიოდის მთელი მეცნიერება უნდა დაკმაყოფილებულიყო დაახლოებით იმით, ათასობით ლინგვისტურ/ენობრივ თემას შორის ერთიდან მეორეზე გადასულიყო, <ანეკლოტური თვალსაზრისით, > და ეს ყველაფერი ყოველგვარი სერიოზული წარმოდგენისა თუ პრეტენზიის გარეშე, რომელიც ლინგვისტიკის მეცნიერულ საფუძველად შეიძლებოდა ქცეულიყო.

განემარტავ ჩემს კრიტიკას. მთლიანობაში თვით მ. სემე, მას შემდეგ, რაც მან ვუნდტს სამართლიანად უსაყვედურა გრამატიკული პრობლემის უგულვებელყოფა, თვითონ მივიდა დასკვნამდე, რომ ამის შესახებ საკმარისი ფორმულირება უნდა ჩამოყალიბებინა. ეს ფორმულირება იქნებოდა, რომ გრამატიკული ხდომილება მოექცია საკუთარი თავისა და იმის ფარგლებში, რითაც ის ყველა სხვა ფსიქოლოგიური თუ ლოგიკური აქტისაგან განსხვავდება. რაც უფრო მეტად ირჯება ავტორი, რომ სააზროვნო ფორმასა [forme pensée] და აზროვნებას [pensée] შორის გაუმართლებელი ბარიერი გაწყვიტოს, მით უფრო შორდება, როგორც ჩვენ ვხედავთ, საკუთარ მიზანს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩამოაყალიბოს გამოთქმის ველი და მისი კანონები და არა იმაში, რასაც ჩვენს საერთო ფსიქიზმთან [psychisme] აქვს ზოგადად საერთო, არამედ იმაში, რაც, პირიქით, გააჩნია ენის [langue] ფენომენს სპეციფიკური და აბსულუტურად განუმეორებელი.

ჩემთვის მნიშვნელოვანია აღვნიშნო, რომ ის ეხება არა მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ჩართულობის [emboîtements] თეორიას, რომელიც, ასე ვთქვათ, მ. სემეს მეორე თეზისს წარმოადგენს მეცნიერებათა ზოგადი კლასიფიკაციის შესახებ და რომელიც მასთან ერთად ვითარდება, რაც ენის [langue] ფსიქოლოგიას ქმნის.

ენის [langue] ფსიქოლოგიას რაც შეეხება, ის შეიძლება ისე უცნაურად მივიხინოთ, როგორც ლინგვისტიკის თითოეული დარგი, მისი მართებულობა დედუქციური გზით დავინდებო და ეს დედუქციური გზა ისეა წარმოდგენილი,

²⁶⁷ Cf. CLG/E (I), გვ. 36; N 21, Nr. 187.

²⁶⁸ Cf. CLG/E (I), გვ. 35; N 21, Nr. 185.

რომ არ არის ნაჩვენები, თუ როგორ ადასტურებს უპირატესობას წინა კლასიფიკაციებთან შედარებით, რომელიც გამოცდილების საფუძველზე მიიღეს. ისინი, რა თქმა უნდა, ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ის, რისი კლასიფიცირებაც გამოცდილების საფუძველზე მოხდა, ფორმალურად [] მოხმობის ღირსია, უნდა გავიმეორო, რომ უპირველესად – სწორია თუ არა – ფსიქოლოგიაში ჩართვა []²⁶⁹

N 22.1 ²⁷⁰

»ჩანაწერები Course II-ის ორობითობების შესახებ«

I. ენა [langage] შეიძლება დაიყვანოს ხუთ ან ექვს ორობითობამდე ან საგანთა წყვილებამდე, თუ ამ ორობითობის დადებით მხარეს ვაჩვენებთ.

II. მნიშვნელოვანი უპირატესობაა, ისინი <განსაზღვრულ წყვილთა [paires déterminées]> ზუსტ რაოდენობამდე დაიყვანოს. როგორც იკვეთება, [offert], ენა [langage] იქნება მხოლოდ <სიმრავლის [multiplicité]> შესახებ <წარმოდგენის> შესატყვისი, რომელიც თვითონ შედგენილი იქნებოდა ჰეტეროგენული ხდომილებებისაგან და რომელიც წარმოადგენდა ისეთ მთლიანობას, რომლის კლასიფიცირებაც შეუძლებელი იქნებოდა [ensemble inclassable].

III. ორობითობის კანონი გადაულახავი რჩება.

პირველი წყვილი, ანუ ორობითობა: <ნიშნის ორივე ფსიქოლოგიური მხარე. > ასოციაცია ~ ~ ~²⁷¹

მეორე წყვილი, ანუ ორობითობა: ინდივიდი | მასა.

ენა [langue], საგანი, რომელიც მეტყველ ადამიანთა მასის რაოდენობის გათვალისწინების გარეშეა, უცილობლად არის დაკავშირებული ადამიანთა მასებთან.

სხვა ფორმები: ენა [langue] სოციალური მოვლენაა, სხვა შემთხვევაში ის არ არსებობს. ენას [langue] ინდივიდის გონების მოკრების მიზნით უნდა გაცანდეს კოლექტივის სანქცია.²⁷²

<ნიშანი, სანამ ის შინაგანი ასოციაციის წყალობით, რომელსაც ის შეიცავს [qu'il comporte], ორმაგ მნიშვნელობას შეიძენს, და შემდგომ ორმაგი მნიშვნელობით ორ სისტემაში თავისი არსებობით, ორმაგად გამოიყენება [manutention]: > საგანთა მესამე წყვილი ენისა [langue] და მეტყველების [parole] მეშვეობით ყალიბდება.

ენა [langue] სოციალურად სანქციერებულია და არ არის დამოკიდებული ინდივიდზე.²⁷³

ინდივიდს ან მეტყველებას [parole] მიეკუთვნება:

- ყველაფერი, რასაც მოიცავს ფონეტიკა,
- ყველაფერი, რაც კომბინაციაა. – ყველაფერი, რაც ნებაა. – ორობითობა:

მეტყველება	ენა [langue]
ინდივიდუალური	სოციალური
ნება	უნებელობა

აქ პირველად არის საუბარი ორი ენათმეცნიერების შესახებ.²⁷⁴

²⁶⁹ Cf. CLG/E (II), გვ. 43, N 21, Nr. 3330.

²⁷⁰ 1908-1909; შდრ. ენგლერი 1975 a, გვ. 840.

²⁷¹ Cf. CLG/E (I), გვ. 27, N 22.1, Nr. 133, 139.

²⁷² Cf. CLG/E (I), გვ. 28, N 22.1, Nr. 141.

²⁷³ Cf. CLG/E (I), გვ. 41, N 22.1, Nr. 241, 245.

23.1. «ლექციის შესავალი და გეოგრაფიული ენათმეცნიერება»

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს ლექციას სამ ნაწილად გავყოფთ და პირველი და მეორე ნაწილის სათაურები ერთმანეთისაგან მხოლოდ მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვით განსხვავდებიან: I ნაწილი – ენები [langues], II ნაწილი – ენა [langue]. ეს განსხვავება <სინამდვილეში> სავსებით საკმარისია <ორაზროვნების გარეშე> იმისათვის, რომ საზი გავესვათ, თუ რა უნდა იყოს ამ ორ ნაწილს შორის აზრობრივი განსხვავება. <ერთი მათგანი მეორის განზოგადება იქნება.> არც საჭიროებას არ წარმოადგენს და არც <ტკვიანურია>, როგორც შეიძლება სჯეროდეთ, რომ წინააღმდეგობას დასაწყისიდან უკეთესად ახსნიან იმით, რომ, მაგალითად, ერთმანეთს დაუპირისპირებენ 1. ენებს [langues], 2. ენის [langue] სიცოცხლეს.

<ფაქტობრივად> ძალიან დამაბნეველი იქნებოდა ჩვენთვის, <სულ მცირე> ჩემი შეფასებით, თუ მისი გაგება მოგვიწვედა მხოლოდ სათაურის მიხედვით, რომ საგნები, რომლებსაც ენის [langue] დახასიათებისათვის საყოველთაო მნიშვნელობა აქვთ, იქნებოდნენ ერთი სიცოცხლის შემადგენელი ნაწილები, ბიოლოგიის <ან ამ ორგანიზმის ისტორიის>: ბევრი მათგანი არსებობს, რომელიც ამ ხედვას <გვთავაზობს>, რომლებიც ენათესავეებიან სიცოცხლის ან ისტორიის ფენომენს, მაგრამ არსებობენ სხვებიც, რომლებიც ამ ჩარჩოებში არასგზით არ თავსდებიან, მათ შორის ენის [langue] მთელი ლოგიკური მხარე შეუცვლელ მოცემულობებზეა დამოკიდებული (ან შეიძლება იყოს დამოკიდებული), რომლებიც არ ეხებიან დროისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის შემთხვევითობას. <და ამგვარად სათაური ენის [langue] სიცოცხლე ძალიან ცუდი არჩევანი იქნებოდა, მეტისმეტად ზუსტი და, აქედან გამომდინარე, მეტისმეტად შეზღუდული.> ეს რომ მხოლოდ მოსაზრება ყოფილიყო, გასაგებია, მაგრამ ვხედავთ, რომ ყველა საფუძველი გვაქვს იმისა, რომ <თავად> სათაურით არ დავასკვნათ: ენები [langues] კონკრეტული ობიექტებია, რომლებიც ლინგვისტების წინაშეა წარდგენილი. ენა [langue], ეს არის სახელწოდება, რომელიც შეგვიძლია იმას მივანიჭოთ, რისი დადგენაც ლინგვისტს სივრცესა და დროში ენებზე [langues] დაკვირვების შედეგად შეუძლია.²⁷⁶

პირველი თავი: ენის [langue] გეოგრაფიული სხვადასხვაობა. ეს არის პირველი ხდომილება, რომელიც ყურადღების მიქცევას საჭიროებს. <ამ> განსხვავებულობის სხვადასხვა დონეები.²⁷⁷

<დედამიწაზე> ენის [langue] ფორმათა მრავალფეროვნება, ენის [langue] სხვადასხვაობა, როდესაც გადავდივართ ერთი ქვეყნიდან მეორეში ან ერთი ტერიტორიიდან მეორეზე, ეს არის, ასე ვთქვათ, გადამწყვეტი [primordiale] კონსტატაცია, რომელთანაც ყველას შეუძლია უშუალოდ მივიდეს.

ეს გარემოება არ უნდა აგვერიოს მისი შესაძლო მიზეზების ძიებასთან, მივიდლოთ ის ისეთი, როგორცაა წარმოგვიდგება. გეტყვით იმასაც, რომ ეს გეოგრაფიული დიფერენციაცია პირველი ხდომილებაა, რომელიც ისევე, როგორც ლინგვისტებს, აგრეთვე ზოგადად ყველას ინტერესს აღუძრავს. ენის [langue]

²⁷⁴ Cf. CLG/E (I), გვ. 42, N 22.1, Nr. 246.

²⁷⁵ 1910-1911; შდრ. ენგლერი 1975 a, გვ. 840.

²⁷⁶ Cf. CLG/E (I), გვ. 435, N 23.1, Nr. 2844, 2846.

²⁷⁷ Cf. CLG/E (I), გვ. 435, N 23.1, Nr. 2845.

ტემპორალური ცვალებადობის განმავლობაში დამკვირვებელი თავდაპირველად ვერ ამჩნევს, რომ დროში ენის ცვალებადობა შეიძლება გამოიჩინოს. ჩვენ ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებთ დროში ენის ცვალებადობის შესახებ და დავინახავთ, რომ ფუნდამენტურად შეუძლებელია მისი გამოიჯანა სივრცეში ენის ცვალებადობისაგან. მაგრამ გავიმეორებ და ვიტყვი, რომ მხოლოდ მეორეა უშუალოდ მოცემული. დამკვირვებელი იმყოფება გარკვეული თაობის ჩარჩოებში და ის ენას [langue] თავისი სურვილის მიხედვით არ ირჩევს; ასე რომ, მას არანაირი შესაძლებლობა არ აქვს, რომ აღნიშნოს იგი []. []-ის საპირისპიროდ. თვით ველური ტომები... და კერძოდ ამით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ერთი გააცნობიერებს ენას [langue].

ალოგლოსებთან კონტაქტი... ბაბილონის გოდოლის მშენებლობის ძველი მითი გვიჩვენებს, რომ პრობლემა [] ერთი ჯერ კიდევ გამოუცდელი მშენებელი, რომელიც თავის დიალექტზე საუბრობს [].

ამავდროულად, ყურადღება მივაქციოთ იმასაც, რა ფორმით ვაფასებთ პრიმიტიულ ერებს []; ისიც ინტერესის ღირსია. ერთი მხრივ, ის განასხვავებს მათ სხვათა ცხოვრებისაგან [].²⁷⁸

ერთი ნიშან-თვისება; და ტანისამოსი, თმის ვარცხნილობა, აღჭურვილობა. სულაც არ არის უმნიშვნელო: <ჩვეულება, > და არა კანის ფერი, აღნაგობა.

ἰδῆμα-ს ორივე მნიშვნელობა აქვს.

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, ცხადია, ყველა ერი სისტემატურად სხვა ენებთან მიმართებაში აფასებს საკუთარ თავს:

bègues – βαρβάρως, mléchas (აქ გვაქვს საყოველთაოდ მიღებული მსვლელობა, თვით ცივილიზებული ერებისთვისაც, რომ ყოველი ფენომენის გათვალისწინებით დრო დაუუთმოდ მოსაზრებებს, რომლებიც ჯანსაღი ადამიანის გონებას უშუალოდ ეწინააღმდეგება.)

~ ~ ~ საკუთრივ ლინგვისტიკას რაც შეეხება [].

ლინგვისტიკა ჯერ კიდევ []-დან მოყოლებული არსებობს.

გრამატიკა, როგორც შინაგანი ანალიზი []. ბერძნები, [].

ὀνίλεχτοι.²⁷⁹

~ ~ ~ რეპლიკა: ფორმაცვალებადი [proteiforme]. ნაკლები მიმართება გრამატიკასა და ენათა [langues] სხვადასხვაობას შორის.

~ ~ ~ სხვა შენიშვნა: თუ ენა [langue], ერთი შეხედვით, გეოგრაფიულად განსხვავებული ჩანს, ის ისეთი გვევლინება, რაც ეთნოსებს ერთმანეთისაგან განასხვავებს?

ეთნიკური = დროში ვარიაციის პრინციპი, ან დროში ვარიაციის ფარდობითი წინააღობის პრინციპი. ამის შედეგად შეფასებები, რომლებიც უშუალოდ არაა მოცემული, შეიძლება ერთმანეთში აგვერიოს.

მეორე მნიშვნელოვანი კონსტატაცია სხვადასხვაობის ხდომილების მიხედვით: მეტ-ნაკლებად ძლიერი ანალოგია, მეტ-ნაკლები მსგავსება ან განსხვავებულობა.²⁸⁰ კონსტატაცია, რომელიც ბევრად მარტივია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია, თუ დავინახავთ, როგორ ელოდებოდა მას შეპირისპირებითი გრამატიკა. დაუშუშავებელი... ნიშანდობლივია... არა მხოლოდ დიალექტები, არამედ: იტალიური და ფრანგული.

ბერძნები დადებითად აფასებენ, რომ ლათინური ენა დიდი რაოდენობით []-ს შეიცავდა.

²⁷⁸ Cf. CLG/E (I), გვ. 436, N 23.1, Nr. 2847-2850.

²⁷⁹ Cf. CLG/E (I), გვ. 437, N 23.1, Nr. 2852-2855.

²⁸⁰ Cf. CLG/E (I), გვ. 438, N 23.1, Nr. 2855-2858.

სადამდე მივყავართ მეცნიერული განხილვების ამ დაკვირვებას? მსგავსება, თუ მას სერიოზულად მივიჩნევდით: ნათესაური კავშირი. ნათესაური კავშირი საჭიროებს გენეალოგიის გათვალისწინებას, ანუ წარსულში, წყაროსთან დაბრუნებას. ამიტომ შეუძლებელია, რომ ისინი დეტალებში ავურიოთ: მხოლოდ პრინციპი.

ენობრივი ოჯახები [familles de langues]. თუ ამ ჯგუფებს თავის მხრივ შევადარებთ ერთმანეთს [], გადაულახავი საზღვრები.²⁸¹

ორი მნიშვნელოვანი შემთხვევა²⁸²:


სხვადასხვაობა ნათესაური კავშირის დროს
 სხვადასხვაობა ნათესაური კავშირის გარეშე.

– ლინგვისტიკის სიტუაცია ამ სხვადასხვაობის ორი სახეობის გადმოსახედიდან. მომენტი, რომელსაც ხაზი უნდა გაესვას, არის ის, რომ ლინგვისტიკა, ფაქტობრივად, შეისწავლის ერთმანეთს შორის რედუცირებად ენობრივ ოჯახებს, რომლებიც ერთმანეთისაგან სავსებით იზოლირებულია.²⁸³

1. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გადავლახავთ []-ს? სემიტურ-ინდოევროპული. ტრომბეტი.²⁸⁴

2. ყველა შედარება აკრძალულია? თითოეული ისტორიული შედარება, დიახ, მაგრამ არა გრამატიკული ორგანიზაციის შედარება.²⁸⁵

1. წარმოშობით ერთგვაროვანი ენის [une langue originairement une] დივერსიფიკაცია. <ადგილზე> დანაწევრების პრინციპი. საყოველთაო პრინციპად იქნა აღიარებული, რომ პროცესი, რომლის მეშვეობითაც ენა [langue] <მრავალფეროვანი [multiple] ხდება>, ნაწევრდება სხვადასხვა ენებში [langues], აუცილებელი არ არის, რომ ის კავშირში იმყოფებოდეს <მოსახლეობის> სპეკულაციებთან. ეს სპეკულაციები შეიძლება გახდეს ფაქტორი, რომელიც შეიძლება ავეერიოს, ასე ვთქვათ, გარდაიქმნას, მაგრამ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, რომ ეს ფენომენი ისევე კარგად ფუნქციონირებს ამ ფაქტორის მიღმა, როგორც მისი ზემოქმედებით. თუ მოცემულია გეოგრაფიულად შემოსაზღვრული და ერთენოვანი ფართობი გარკვეულ A მომენტში,



აქ გვაქვს ორი რამ, რაც უნდა გავარკვიოთ და დავადგინოთ: მანამდე ვიცოდით, რომ მომენტი B სხვა, A მომენტის საპირისპირო ან ნაკლებ მოდიფიცირებულ ენობრივ მდგომარეობას [état de langue] წარმოგვიდგენდა. ეს არის დროის [Temps], ან იმის შედეგი, რომ ენა [langue] დროში [Temps] ცვალებადობას განიცდის.

ეს პირველი ხდომილება მხოლოდ მისთვის თუ იქნებოდა წარმოსადგენი, ანუ მართალია, B შეცვლილ მდგომარეობას გვიჩვენებს, მაგრამ ის არანაკლებ ერთენოვანია, ვიდრე A.


²⁸¹ Cf. CLG/E (I), გვ. 439, N 23.1, Nr. 2858-2860..

²⁸² Cf. CLG/E (I), გვ. 440, N 23.1, Nr. 2872.


²⁸³ Cf. CLG/E (I), გვ. 441, N 23.1, Nr. 2872-2874.

²⁸⁴ Cf. CLG/E (I), გვ. 439, N 23.1, Nr. 2863; A. Trombetti: *L'unita d'origine del linguaggio*, Bologna 1905.

²⁸⁵ Cf. CLG/E (I), გვ. 441, N 23.1, Nr. 2875.



(ერთგვაროვანი შედეგი ცვლილებაში)
 მაგრამ მეორე, დაკვირვებების შედეგად დადასტურებული პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ცვლილებას არასოდეს მიყვავართ მთლიანი ზედაპირისთვის იდენტურ შედეგამდე. ყოველთვის ხდება ისე, რომ ამ ცვლილებების, სულ მცირე, ერთი ნაწილი განსხვავებულ მიმართულებას იღებს²⁸⁶ ზედაპირის განსხვავებულ წერტილებში; და ასე დროში [xTemps] ცვალებადობას ყოველთვის შეესატყვისება დივერსიფიკაცია სივრცეში.



თუ ერთი ენის [langue] შემთხვევაში დროით სივრცეს [l'Espece du Temps] <საკმარის დროს მივცემთ, რათა შესამჩნევი გახდნენ>, ან რაც აქედანვე გამომდინარეობს, თუ ტემპორალურ ზემოქმედებას სივრცულ ელემენტს შევძენთ, არასოდეს მივალთ იქამდე, რომ შედეგი იყოს სივრცის ან დროის ჯერადი, ანუ []. იდიომების (b', b'', b''') მრავალფეროვნება იდიომების ცვლილებისგან დამოუკიდებლად:

a a
 b ↓ b' ↓

მაგალითი. მთელ იტალიაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში ლათინურად საუბრობდნენ. შესამჩნევად იდენტურ ლათინურს. თუ ჩვენ იმავე გეოგრაფიულ სივრცეს დღეს დავაკვირდებით, ეს ცვლილება წარმოგვიდგება როგორც:

A ერთგვაროვანი ლათინური
 B ერთგვაროვანი იტალიური?

არავითარ შემთხვევაში. იტალიური, რომელსაც სასაუბროდ იყენებენ გენუაში, ვენეციაში, ფლორენციასა და ნეაპოლში []. თუმცა არსებობს პერმანენტული მცდელობა, შექმნან საერთო ენა [langue commune], სახელდობრ, ევრეთწოდებული ლიტერატურული იტალიური, მაგრამ ეს არის არსებითად ლიტერატურის პროდუქტი და ერის ნების შედეგი [], თავისთავად ტოსკანური დიალექტის საფუძველზე.

ლათინურის უშუალო პროდუქტები იმდენად განსხვავებულია, რომ მიღანელი, რომელიც ნეაპოლის სახალხო სასცენო წარმოდგენას სტუმრობს, ვერ გაიგებს, თუ რას ამბობენ მსახიობები. ევროპის წარმოდგენა ხალხების გარეშე.²⁸⁷

²⁸⁶ Cf. CLG/E (I), გვ. 446, N 23.1, Nr. 2919.
²⁸⁷ Cf. CLG/E (I), გვ. 447, N 23.1, Nr. 2919.

გეოგრაფიული უწყვეტობის პირობებში სხვადასხვაობის ფორმირება

ჩვენ მხოლოდ იმ რეგიონის მონაკვეთიდან გამოვდივართ, რომელიც წარმოშობით სრულიად ერთენოვანი იყო ან²⁸⁸ ასეთად შეგვეძლო ჩაგვეთვალა. და ჩვენ ავიღეთ <მთელ ამ რეგიონის> მკვიდრი მოსახლეობა. ნიმუშად შეგვიძლია ავირჩიოთ გალიის რეგიონი 200 წელს, რომელსაც მართლაც ერთი ენა [language] ჰქონდა, რომელიც გარკვეულ მომენტში ერთი კუთხიდან მეორეში ერთგვაროვნად აღიქმებოდა, რომაული ასიმილაციის შედეგად; ლათინური, რომელ ენაზეც საუბრობდნენ ტრევში, ტურსში თუ ტულუზაში, ჟენევისა და მარსელში, ერთ გარკვეულ მომენტში იდენტური იყო.

პირველი განსაზღვრული ფაქტი, როცა მხოლოდ დროს განიხილავენ. ხანმოკლე თუ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, მაგალითად 500 წლის შემდეგ, <თუ როგორი იქნება ეს ენა [language]> ყველა სხვა ფაქტებისაგან დამოუკიდებლად, <იქამდე მივიდოდით>, რომ ის აღარ იქნება <იგივე>, საკუთარ თავთან იდენტური, თუ მას დროს ამ მონაკვეთის მეორე <ბოლოს> შევადარებთ. საიდან ვიცით ეს? რადგან ეს არის უნივერსალური გამოცდილება. ნებისმიერ მაგალითში, რომლის შემთხვევაშიც ისტორია ნებას გვრთავს მივყვეთ ენის [language] ორ ან სამსაუკუნოვან განვითარებას, ვადგენთ, რომ ეს განვლილი დროის მონაკვეთი ყოველთვის შეესაბამება ენის [language] მეტნაკლებად თვალშისაცემ ცვლილებას.²⁸⁹

აბსოლუტური უძრაობის [immobilité absolue] მაგალითი არ არსებობს. მხოლოდ დროში ენის [language] დინამიკის პრინციპია აბსოლუტური; მოძრაობის, რომელიც სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს და კონკრეტულ შემთხვევაში მეტნაკლებად სწრაფად, მაგრამ უცილობლად [fatalement]. არაფერს არ შეუძლია მისი შეჩერება: სავარაუდოდ, ომების, აჯანყებების და არეულობების, ეროვნული კრიზისების პერიოდებში ის უფრო დაჩქარებულად მიმდინარეობს, როგორც ეს არაერთხელ დაასაბუთეს; მაგრამ ეს ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი არ არის,

რადგან თვით ყველაზე წყნარ პერიოდებშიც არ ხდება, რომ ენის [language] განვითარების დინამიკა (თუ ცალკეული, განსაზღვრული დროის მონაკვეთში შევხედავთ) თანაბარი იყოს და არ აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა მათ შორის კონტაქტები. საყოველთაო ხდომილება შემთხვევითის მსხვერპლი ხდება, თუ საფუძვლებს ჩაუუკვირდებით, რომელთაც <ხანდახან> ამ მოძრაობის დაჩქარება შეუძლიათ; საკმარისია, რომ ამ მოძრაობამ შეუჩერებლად, ბუნებრივად, ყოველგვარი გარეგანი ფაქტორის გარეშე იარსებოს.²⁹⁰

[...]

N 23.3 »ნომენკლატურა«

ენის [language] პრობლემა უმეტესად ნომენკლატურის ფორმით წარმოგვიდგება. დაბადების IV თავში ვხედავთ ადამს [] სახელს აძლევენ და როცა [] შეგვიძლია ვთქვათ, რომ []²⁹¹

²⁸⁸ Cf. CLG/E (I), გვ. 452, N 23.1, Nr. 2951-2952.

²⁸⁹ Cf. CLG/E (I), გვ. 453, N 23.1, Nr. 2952-2953.

²⁹⁰ Cf. CLG/E (I), გვ. 318 f., N 23.1, Nr. 2205-2206.

²⁹¹ Cf. CLG/E (I), გვ. 147, N 23.3, Nr. 1035.

N 23.4

»რეალურად არსებული ობიექტები და მისი შემადგენელი ნაწილები«

ნაწილები

იდენტობები

4-საათიანი მატარებელი²⁹²

»la guerre, vous dis-je, la guerre!«²⁹³

აბსტრაქტულად არსებული ობიექტები²⁹⁴

წყობა hôtel-dieu. Dois-je. désireux.

(ეფუძნება ნაწილებს)

ნათესაობითი ბრუნვა.²⁹⁵

1. მაინც მატერიალურ ერთეულებს ეფუძნება.

2. აბსტრაქტული = არა ლინგვისტურ/ენობრივი.

3. თუ=მოსაუბრე სუბიექტის ცნობიერებისთვის ყველაფერი კონკრეტულია.²⁹⁶

N 23.5

»სიტყვა “ტერმინის” მნიშვნელობა«

სიტყვა “ტერმინის” მნიშვნელობა. წარმოუდგენელია.

აბსოლუტური შემთხვევითობის დაყვანა ფარდობით შემთხვევითობამდე ყოველ ენობრივ სისტემაში [système de langue], ის, რაც ქმნის »სისტემას«.

ენის [langue] არსი ობიექტების დასახელებას რომ ითვალისწინებდეს, ამ ენის [langue] სხვადასხვა ტერმინებს ერთმანეთთან არანაირი კავშირი არ ექნებოდათ. <ერთი მათგანი მეორისაგან> ისევე განცალკევებით იდგებოდა, როგორც თვით ეს ობიექტები; <ტერმინები>, ასეა თუ ისე, შეასრულებდნენ იმ ამოცანას, რასაც მატერიალური და ხილვადი <საგნების> დასახელება ჰქვია. ასე, მაგალითად, pain, caillou.²⁹⁷

დაკვირვება. – სხვა საფუძველის მქონე გამოკვლევა. გამოთქმა. მოიცავს მნიშვნელობების გამოკვლევას.

გამოთქმის სხვა საფუძველი: მნიშვნელობა.

პირდაპირი – არაპირდაპირი/ირიბი

მარტივი – კომპლექსური/რთული

დაუნაწევრებელი – დანაწევრებადი

(სინთეზური – ანალიტიკური)

1. »ანალიტიკური« ყველაფერს არ შეიცავს

2. »სინთეზური«

»სრულიად შემთხვევითი« – »ნაწილობრივ შემთხვევითი«²⁹⁸

არსებობს შედარებით შემთხვევითი და სხვა, აბსოლუტურად შემთხვევითი ელემენტები:

²⁹² Cf. CLG/E (I), გვ. 243, N 23.4, Nr. 1762-1763.

²⁹³ Cf. CLG/E (I), გვ. 244, N 23.4, Nr. 1764.


²⁹⁴ Cf. CLG/E (I), გვ. 309, N 23.4, Nr. 2165.

²⁹⁵ Cf. CLG/E (I), გვ. 313, N 23.4, Nr. 2190.

²⁹⁶ Cf. CLG/E (I), გვ. 315, N 23.4, Nr. 2195.

²⁹⁷ Cf. CLG/E (I), გვ. 300, N 23.5, Nr. 2105.


²⁹⁸ Cf. CLG/E (I), გვ. 302, N 23.5, Nr. 2117.



vingt dix	neuf ²⁹⁹
orneau	Poirier
berger	vacher
geôle	prison
hache	couperet
concierge	portier
jadis	autrefois, toujours
souvent	frequemment, parfois
aveugle, sourd, chauv	bossu, boiteux
commencer	entreprendre

violet
lentille
bien (bon)

Laub	feuillage
métier	Handwerk
Laub	feuillage
	+ feuille 2 age ³⁰⁰



- შინაგანი – გარეგანი ასოციაცია
 – სისტემა: გრამატიკული მექანიზმი
 – »ლექსიკოლოგიური«
 – მაიზოლირებული – მაკოორდინირებული ენები [langues]
 – დარგების კარადა. იზოლირებული დარგები, შესატყვის დარგები

გერმანული, ინგლისური, ჩინური³⁰¹
 განვითარება. ლათინური ⇒ ფრანგული
 separare
 ministerium.³⁰²

²⁹⁹ Cf. CLG/E (I), გვ. 297, N 23.5, Nr. 2090, 2094.

³⁰⁰ Cf. CLG/E (I), გვ. 298, N 23.5, Nr. 2095-2096.

³⁰¹ Cf. CLG/E (I), გვ. 302, N 23.5, Nr. 2119-2121.

³⁰² Cf. CLG/E (I), გვ. 303, N 23.5, Nr. 2123.

N 23.6

»ნიშნების ცვლილების აუცილებლობა:
სინქრონია და დიაქრონია«

სანამ ამ თავს დავამთავრებ, მინდა მინაწერი ჩაეურთო, როგორც ერთ-ერთი <მოჩვენებითი> გამოტოვებული ადგილის პასუხად, რომელსაც <მასში> მიაგნებთ. ალბათ, იტყვიან, რომ ნიშნთა ცვლილების [altération] »აუცილებლობას« არასაკმარისად მოეფინეთ ნათელი, მაშინაც კი, როცა საუბარი იყო ამ ცვლილებაზე.

ცხადია, რომ სანამ ვცდილობდით ჩაეწვდომოდით <მიზეზებს>, რომლებიც განაპირობებენ უწყვეტობას = არა-თავისუფლებას დროში [Temps], – ჩვენ ამ ცვლილებისთვის არანაირი სპეციალური მიზეზი არ მიგვიცია []. <დროიდან [Temps] გამომდინარე> ჩვენ ვთქვით, <და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია> კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი, რომ ის სხვა არაფერია, თუ არა უწყვეტობის ერთ-ერთი ფორმა, რომ <თვით ამ ფაქტის მეშვეობით> ნიშნები კვლავ განაგრძობენ არსებობას, ისინი იქამდე მიდიან, რომ ცვლილებებს განიცდიან. მაგრამ ვაღიარებ, არ გვითქვამს რა განაპირობებს მათ ცვლილებას. არ მიძნელდება <ამ გამოტოვებულის მიზეზის> მოხმობა. თავიდანვე მიგუთითე, რომ ამ ცვლილებისთვის განსხვავებული ფაქტორები არსებობს, რომლებიც იმდენად შერეულია თავიანთ გავლენაში, რომ არ იქნება მიზანშეწონილი, მყისვე მათი გამოიყვანა მოვინდომოთ. როგორც უკვე ვთქვი, ფაქტის, როგორც მთლიანობის კონტურების შემოხაზვა <დარწმუნებით> შეგვიძლია აღმნიშვნელსა და აღნიშნულს შორის <მთელი> ურთიერთმიმართების სპეკულაციების გამოყენებით, ამ ცვლილებას ადგილი აქვს აღმნიშვნელში თუ აღნიშნულში.

ამრიგად, ჩვენ ამ ცვლილებას ვიღებთ ისე, რომ არ ვმიჯნავთ მათ მისი მიზეზებისა თუ ფორმებისაგან, რადგან არსებობს საფრთხე, რომ ეს დადგენილი მეთოდის მიხედვით არ მოხდება. ვინაიდან თავი ჩაეყენეთ სიტუაციაში, რომელიც თავიდან <განსაკუთრებულ მიზეზებს უგულვებელყოფს, ნათელია, რომ> პირდაპირ არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ მის მიზეზებს ჩაეწვდებით. აუცილებლობისა და გარდაუვალობის საკითხი ცვლილების ფაქტორებისგან განცალკევებით დგას; მაგალითად, <დროის პირობაზე დამოკიდებული მასისთვის> გარდაუვალია, რომ ნიშნები ბგერითი ასპექტით, <მატერიალურად> (თავიანთ აკუსტიკურ ხატში) შეიცვალონ?

ის, ვინც ამ აუცილებლობის დასაბუთებას შეძლებს, <ჯერ> ვერაფერს გაცემს პასუხს, <ვერც მიზეზებს, დიახ, ვერც იმ საიდუმლოებით მოცულ მომენტებს [mysteres] ახსნის საფუძვლიანად> და ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გამოხატავს თავის მოსაზრებას რომელიმე სხვა აუცილებლობის შესახებ³⁰³, ისევე როგორც ცვლილებას, რომელსაც ბგერითი ასპექტით წარმოგვიდგენს და ამგვარადვე ადვილად: [].

რამდენადაც საქმე ეხება დროში საყოველთაო უწყვეტობის მიზეზებს, ისინი ყველა დამკვირვებლისთვის ადვილად მისადგომია: <როგორც აპრიორი>; ჩვენ მხოლოდ გარკვეული, თვალსაჩინოებისათვის შეუმჩნეველი მიზეზები გამოვყავით, როგორც ფაქტი, რომ თითოეული ადამიანი ყოველდღიურად იყენებს ენას [langue].

თუ საუბარია დროში ცვალებადობაზე, უმჯობესია, თავიდან ტერმინებისა და მნიშვნელობის გლობალური მიმართების სპეკულაციებზე ვისაუბროთ იმგავ-

³⁰³ Cf. CLG/E (I), გვ. 170, N 23.6, Nr. 1278.

რად, რომ უარი ვთქვათ ამ აუცილებლობის აპრიორულად დასაბუთებაზე, რადგან ცალკეული მიზეზები ერთმანეთისაგან არ უნდა გავმიჯნოთ.³⁰⁴ უმეტესწილად მოუხმობენ ხოლმე იმ მარტივ ფაქტს, რომ იმ ტიპის საგნები, რომლებიც დროს [Temps] ექვემდებარებიან, იცვლებიან ისე, რომ საბოლოოდ ვიღებთ ენას [langue] ან მიმართებების ჯამს []. (<რომ შედეგად ენა [langue] = აღმნიშვნელს შორის მიმართებათა ჯამს []. >)³⁰⁵

IV თავი, <როგორ ჩაუერთოთ წინამდებარე>: სტატიკური და ისტორიული ენათმეცნიერება

ეს თავი წინამდებარე თავის უშუალო გაგრძელებაა და, ამავდროულად, გვაძლევს ზოგად საფუძველს, რომლის შესახებაც შემდგომ შევჩერდებით. ამ წარმოდგენის თავდაპირველ გეგმასთან დაკავშირებით, <რომელმაც>, ალბათ, მის ჩანაწერებში პოვა ასახვა, მცირედი აზრთა შეუსაბამობაც კი არ არსებობს. იყო მარტივად დროის მონაკვეთის გადაყვანა, რომელშიც მე დროის [Temps] <მოცემულობა> შევიტანე, ისტორიული ცნება³⁰⁶, <რომელიც მესამე თავში გაგაცანით>. ფაქტობრივად, დროის ფაქტორთან დაკავშირებით შეიძლება ვიყოყმანოთ, რადგან უკვე შემოვიტანეთ დროის [Temps] <მოცემულობა>. როგორც დაინახავთ, მისთვის მოგვიანებით რომ მიმეჩინა ეს ადგილი; ამ ყველაფერზე შემდგომ გვექნება საუბარი. მაგრამ რადგან საქმე ეხებოდა ნომრებს ისე, რომ სუბსტანციაში არაფერი შეცვლილიყო, ეჭვი არ შემპარვია, გარკვეული დადებითი ფაქტორების მხედველობაში მიღებით, გათვალისწინებულზე ადრე შემომეტანა თავი დროის შედეგების შესახებ.

ის ფაქტი, რომ დრო [Temps] ენის [langue] დასამახინჯებლად <ან შესაცვლელად> ჩნდება, თავიდან არც ისე მძიმე შედეგების მომტანი ჩანს იმ პირობებისთვის, რომლებსაც ემორჩილება ლინგვისტურ/ენობრივი მეცნიერება. აქვე იმასაც დავძენ, რომ ლინგვისტების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ვხედავ, რომელიც მზად იქნებოდა დაეჯერებინა, რომ დროის [Temps] საკითხი ლინგვისტიკისთვის განსაკუთრებულ პირობებს ქმნის, განსაკუთრებულ სირთულეებს, განსაკუთრებულ საკითხს, უფრო სწორად, ცენტრალურ საკითხს, რომელსაც ძალუძს ლინგვისტიკა ორ მეცნიერებად გახლიჩოს.

თუ სხვა მეცნიერებებს მივაპყრობთ ყურადღებას, ვიმეორებ, ნაკლებად თუ შევძლებდით განსაკუთრებული ზეგავლენის მოხდენას, რომელიც დროის [Temps] ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარეობს (= <თანამედროვე> ტერმინების ცვალებადობა).

ვხედავთ, რომ ასტრონომიამ მის განკარგულებაში არსებულ მინიმალურ დროში <შესამჩნევი> ცვლილებები დაადგინა <ცაზე>, მაგრამ ამიტომ ვერ ვხედავთ <აშკარა> საფუძველს, რომ ასტრონომია ორად გავყოთ, რომ მისგან ორი მეცნიერება წარმოიშვას.

ვხედავთ, რომ გეოლოგია, ასტრონომიისაგან <ოდნავ> განსხვავებით, <გამუდმებით> მემკვიდრეობაზე ფიქრობს, დროში ცვლილებებზე, მაგრამ როგორც კი ის დედამიწაზე მყარი გარემოებების შესწავლას იწყებს, რომლებიც დროის ფაქტორის მიღმა იმყოფებიან, ამ ორი საგნიდან პრინციპულად განცალკევებულ ობიექტებს ვერ ქმნის.³⁰⁷

³⁰⁴ Cf. CLG/E (I), გვ. 171, N 23.6, Nr. 1278-1279.

³⁰⁵ Cf. CLG/E (I), გვ. 172, N 23.6, Nr. 1280.

³⁰⁶ Cf. CLG/E (I), გვ. 174, N 23.6, Nr. 1301-1302.


³⁰⁷ Cf. CLG/E (I), გვ. 175, N 23.6, Nr. 1302-1306.

ვხედავთ, რომ არსებობს სამართლის მეცნიერება და სამართლის ისტორია და რომ ამაზე არავინ არ იფიქრებდა, <ამიტომ> სამართლის ისტორია უნდა ვუწოდოთ მეცნიერებას, რომელიც გამოყოფილია სამართლის მეცნიერებისაგან. ვხედავთ, რომ სახელმწიფოთა [Etats] პოლიტიკური ისტორია დროში არა-ჩვეულებრივად მოძრაობს, <მაგრამ> არ განიხილავს, როცა ესა თუ ის ისტორიკოსი თავისი ეპოქის ტილოს ესკიზს აკეთებს და ამ დროს დროის ცვალებადობას გამორიცხავს.

<ვხედავთ,> თუ როგორ ვითარდება პოლიტიკური ინსტიტუციების ისტორია <უპირველეს ყოვლისა> <საგანთა> გარემოებების თვალსაზრისით, როგორ ვერ ახერხებს ის თემის შეცვლას, როცა ის ერთდროულად დროში <თანმიმდევრულ> ცვლილებებზე საუბრობს.

ვხედავთ, თუ როგორ არის დაკავებული პოლიტიკური ეკონომია (პოლიტეკონომია [პოლიტეკონომია]) სამუშაოსა და კაპიტალს, როგორც სამუშაო ძალებს, შორის წონასწორობის შენარჩუნებით, ყველა შესაძლო შუალედური ფორმით. <მაგრამ აქ>, ამ მომენტში, აღსანიშნავია, რომ იმ ყველაფერთან შედარებით, რაც ზემოთ განხილულ მეცნიერებებში ვითარდებოდა, <უეცრად თითქოს დეკორაციის შეცვლის შედეგად>, საუბარია ეკონომიის ისტორიის, როგორც ცალკე მეცნიერების შესახებ (=პოლიტიკური ეკონომია დროში), <პირად> დასკვნებს არ გამოვიტან იმის შესახებ, თუ რამდენად არის გამოყოფილი ის ფაქტთა დეტალებსაგან, ჩემთვის საკმარისია დავინახო, რომ რომელიმე უნივერსიტეტი ორ სხვადასხვა პროფესორს ენდობა, როგორცაა, მაგალითად, ჩვენი ეკონომიკის ისტორია და პოლიტიკური ეკონომია. რის გამო?³⁰⁸ ალბათ <და სავარაუდოდ>, ამის შესახებ სრულ მოხსენებას ვერავინ ჩავვაბარებს. მაგრამ იმავე მიზეზით ხდება, რომ ჩვენ ვხედავთ ლინგვისტიკურ/ენობრივი მეცნიერების ორობითობებს; სახელდობრ იმას, რომ პოლიტიკურ ეკონომიკას უპირისპირებენ ფასეულობის ცნებას, <რომ მხოლოდ ერთ შინაგან აუცილებლობას უნდა დავეყრდნოთ> <შევუსწორებ საკუთარ თავს> რომ პოლიტიკურ ეკონომიაში, თუნდაც მცირე მასშტაბით ვიდრე ლინგვისტიკაში, საქმე გვაქვს ფასეულობის ცნებასთან (ipso facto: ფასეულობათა სისტემა), რადგან თითოეული ფასეულობა შედის ფასეულობათა სისტემაში.³⁰⁹ <და აი>, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იქამდე მივიდნენ, პრაქტიკულად <შეეცყოთ სურვილის უქონლობა> ფასეულობათა შესახებ პირველივე მეცნიერებაში ორივე ობიექტის ერთდროულად გამოკვლევისა: ცალკე აღებული ფასეულობათა სისტემა <ერთ კონკრეტულ მომენტში> და ფასეულობათა სისტემა დროში.³¹⁰

ჰემმარიტი რეალობა არის ის, რომ თვით მეცნიერებები, რომლებიც საგნების შესწავლით არიან დაკავებული, უპირატესობას მიაპოვებდნენ, თუ ისინი ორივე დერძზე, რომლებზეც ეს საგნები არსებობენ, სრულყოფილ აღნიშვნას მოუძებნიდნენ.




სინქრონულობის დერძი
(რომელზეც შეგვიძლია დროის
ფაქტორის უგულებელყოფა)

და თანმიმდევრობის დერძი
(საგნები x დრო).

³⁰⁸ Cf. CLG/E (I), გვ. 176, N 23.6, Nr. 1307-1313.
³⁰⁹ Cf. CLG/E (I), გვ. 177, N 23.6, Nr. 1315-1317.
³¹⁰ Cf. CLG/E (I), გვ. 178, N 23.6, Nr. 1323.

თუ იმ მეცნიერებებს მივუბრუნდებით, რომლებიც ფასეულობებს შეისწავლიან, განსხვავება იქნება ის, რაც მანამდე თითქმის მხოლოდ ფაკულტატიური იყო, პირველი რანგის თეორიული და პრაქტიკული აუცილებლობა გახდა. დღეის შემდეგ შეგვიძლია დავთქვათ, რომ მეცნიერებად ვერ აღიქმება, ვინც ვერ შეძლებს ამ ორი ღერძის მიღმა მეცნიერებას ჩაუყაროს საფუძველი.³¹¹ მესამეჯერ უკვე თუ იმ მეცნიერებებთან მივალთ, რომლებიც შემთხვევით ფიქსირებულ ფასეულობებს შეისწავლიან (სემიოლოგია), <და არა ფასეულობას, რომლის ფესვი საგნებშია>=შემთხვევით <ფიქსირებული> (ენობრივ/ნლინგვისტური) ნიშანი, მაშინ ორი ღერძის დიფერენციაციის აუცილებლობა თავის უკიდურეს მაქსიმუმს აღწევს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მარტივი სტატისტიკის საფუძველზე, აპრიორულად ფასეულობა აქვს მხოლოდ იმას, რაც თვალსაჩინოდ ფასეულია [valable]. თითოეულ ფასეულობას, ისევე როგორც <ენობრივ/ლინგვისტურ> ნიშანს, ორი მხარე აქვს. სანამ ამ ფასეულობას, სულ მცირე თავისი ერთ-ერთი მხრიდან ჯერ კიდევ აქვს საფუძველი საგნებში, მაგალითად:



(ფასეულობა: ფრანკებთან მიმართებაში>,

ჯერ კიდევ შედარებით შესაძლებელია, მას იმ დროში გავეყვით, თავისივე ფასეულობის ვარიაციებში და თან არ უნდა დავივიწყოთ, რომ აწმყო (50 000 ფრანკი), თავის მხრივ, მერყეობს თავის ფასში ოქროს რაოდენობის თვალსაზრისით და ა.შ. მაგრამ ეს ყველაფერი შეიცავს საგნების საბოლოო ფასეულობას და უმეტეს შემთხვევაში ვერ ღახავს გარკვეულ ზღვარს.

ამის საპირისპიროდ, ასოციაციაში, რომელიც ქმნის ნიშანს, პირველივე მომენტიდან გვაქვს ორი ფასეულობა, რომელთაგან ერთი <მხოლოდ მეორის წყალობით> არსებობს (ნიშნის შემთხვევითობა). თუ ენობრივ/ლინგვისტური ნიშნის ორიდან ერთ-ერთი მხარე თავის თავში <არსებულად> ჩაითვლებოდა, მაშინ ეს ცნების მხარე იქნებოდა წარმოდგენა, როგორც ნიშნის საფუძველი.³¹²

ენაში [langage] ენა [langue] გამოყოფილია მეტყველებისაგან [parole]; და როცა ერთდროულად გვაქვს მისი ნაწილი, იგი [] [] მოსაუბრე მასის სულიერი სამყაროს ნაწილია, რასაც მეტყველების [parole] შემთხვევაში არ აქვს ადგილი.³¹³

<თუ ავიღებთ ენას [langue],> ერთი შეხედვით, არაფერი გვიშლის ხელს, რომ ენა [langue] აღვიქვათ ლოგიკად, რადგან ნიშანი შემთხვევითია. მოსაუბრე მასის არსებობის ფაქტი არ ცვლის საგნებს, გარდა ფსიქოლოგიურ-ლოგიკური [psychologico-logique] თვალსაზრისისა, მაგრამ უშუალოდ არ გვინვენებს []-ს.

³¹¹ Cf. CLG/E (I), გვ. 177, N 23.6, Nr. 1319-1322.


³¹² Cf. CLG/E (I), გვ. 178, N 23.6, Nr. 1324-1329.

³¹³ Cf. CLG/E (I), გვ. 172, N 23.6, Nr. 1282.

მაგრამ როცა ერთვება დრო [Temps], სოციოფსიქოლოგიის ფაქტთან ერთად, მაშინ ვგრძნობთ, რომ ენა [langue] არ არის თავისუფალი³¹⁴; მოსაუბრე მასა x დრო.³¹⁵

<განსახვრება> თუ ენას [langage] ჩამოვაშორებთ ყველაფერს, რაც მოიცავს მეტყველებას [parole], ფაქტობრივად დარჩენილ ნაწილს შეგვიძლია ვუწოდოთ ენა [langue] და შენარჩუნებული იქნება მხოლოდ ფსიქიკური ტერმინები, ფსიქიკური ნასკვი წარმოდგენასა და ნიშანს შორის, რაც მეტყველების [parole] შემთხვევაში ჭეშმარიტი არ იქნებოდა.

მაგრამ ეს იქნებოდა მხოლოდ ენა [langue] თავისი სოციალური რეალობის მიღმა <ადეზული>, <რაც არარეალურია, რადგან> თუ არსებობს ენა [langue], მას სჭირდება მოსაუბრე მასა, რომელიც ამ ენას [langue] იყენებს. ენა [langue] კოლექტიურ სულში ცხოვრობს³¹⁶ და ეს მეორე ფაქტი თავად შეგვხვდება განსახვრებებში. თავიდან არა მეტყველება [Parole].



ეს არის ენა [langue], ახლა უკვე წარმოსახვითი <ან სიცოცხლისუნარიანი>; მაგრამ ისტორიული რეალობის მიღმა.

ვინაიდან ენობრივ/ლინგვისტური ნიშანი თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შემთხვევითია, <ერთი შეხედვით ჩანს>, თითქოს არაფერი გვიშლის ხელს იმაში, რომ იყოს თავისუფალი სისტემა, რომელიც მხოლოდ ლოგიკურ პრინციპებზე იქნება დამოკიდებული, [], ასევე აბსტრაქტული შემცველობისაგან დამოუკიდებელი ჭეშმარიტი მეცნიერება.

მოსაუბრე მასის ფაქტი დაბრკოლებას ხომ არ ქმნის? სერიოზულ დაბრკოლებას არ ქმნის, სანამ მას სრულიად განცალკევებით ავიღებთ:

ფსიქოლოგიურ-ლოგიკური [psychologico-logique].³¹⁷

ისტორიული რეალობა ან დრო [Temps].

(მოსაუბრე მასა დროის [Temps] გარეშე).


(დრო [Temps] მოსაუბრე მასის გარეშე).

³¹⁴ Cf. CLG/E (I), გვ. 173, N 23.6, Nr. 1292-1293.

³¹⁵ Cf. CLG/E (I), გვ. 174, N 23.6, Nr. 1293.

³¹⁶ Cf. CLG/E (I), გვ. 172, N 23.6, Nr. 1283-1285.

³¹⁷ Cf. CLG/E (I), გვ. 173, N 23.6, Nr. 1288-1292.





ენა [langue] არ არის თავისუფალი, უწყვეტობის პრინციპის და განვლილ დროსთან დაუსრულებელი სოლიდარობის გამო. 2. უწყვეტობა მოიცავს ცვალებადობის ფაქტს, რომელიც ფასეულობათა გადანაცვლებას წარმოადგენს.³¹⁸

N 23.7 »ენობრივი ფასეულობა«

ის, რაც განუყოფელია ფასეულობისაგან, ~~უნდა მიეკუთვნოთ სისტემას, ერთმანეთის მიყოლებით განლაგებული სიდიდეების სერიას, რომლებიც სისტემას ქმნიან, ან რასაც ფასეულობა ქმნის, ეს <არც> ა) განუყოფელია ერთმანეთის მიყოლებით განლაგებული სიდიდეების სერიისაგან, რომლებიც სისტემას ქმნიან, <და არც> ბ) [] აქვთ, არამედ ორივე საგანი ერთხელ და უმართებულად <ერთმანეთთან დაკავშირებულია>.~~

[...]

ფასეულობა არის <ყოველ მომენტში> <საოცარი> ტერმინის სინონიმი, რომელიც სისტემაში <მსგავს ტერმინებთან ერთად> გვხვდება, როგორც <საოცრად> შეთავსებადი საგნის სინონიმი. [] თუ ავიღებთ <ერთი მხრივ> შეთავსებად საგანს და []-სთან მიკუთვნებულ სიდიდეებს და მეორე მხრივ თანასისტემატურ ტერმინებს, მათ შორის ნათესაურ კავშირს ვერ აღმოვაჩნებთ. ფასეულობის თავისებურება არის ის, რომ დააკავშიროს ეს ორივე საგანი. მას ჩვენი გონება სასოწარკვეთამდე მიყავს> იმ უუნარობის გამო, რომ არ შეგვიძლია დავადგინოთ, ფასეულობის ორივე მხარეს შორის არსებობს თუ არა განსხვავება და თუ არსებობს, <რაში> მდგომარეობს იგი. ნამდვილად <უთუოა> ერთადერთი რამ, რომ ფასეულობა ორ ღერძს მიუყვება, რასაკვირველია, ორი ღერძის შესაბამისად:




³¹⁸ Cf. CLG/E (I), გვ. 174, N 23.6, Nr. 1294-1300.

similia, თავის მხრივ, <თავისთავად არის თავისი> dissimile-თი აღჭურვილი და მართებული სურათი შემდეგნაირი იქნებოდა:

Similia> Similia> Similia
Similia> Similia> Similia

ამის საპირისპიროდ, ბოლო სურათი, რომელიც ბანალურია და რომელიც ფასეულობას და საგანს ერთმანეთს უთანაბრებს, <თავის წესებს თავის თავში მოიაზრებს>, იმით, რომ მცდარ აბსოლუტურ რეალობას ცნობს.

ყოველ შემთხვევაში, ვინარჩუნებთ სქემას:



მიმართება Simile:Dissimile სრულიად განსხვავდება მიმართებისაგან Simile:Similia და ეს მიმართება დაუსაბუთებლად, კერძოდ კი, შინაგანი სიღრმით [>jusqu'au trefonds<] ფასეულობის ცნებასთან [] კავშირში.³²⁰

N 24 a ³²¹
»სემიოლოგია«

მეცნიერებს სურთ დაადგინონ, ლინგვისტიკა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების რიგს მიეკუთვნება თუ ისტორიულს. ის არც ერთ მათგანს არ ეკუთვნის, არამედ მოიცავს მეცნიერების იმ განყოფილებას, <რომელიც თუ ის არ იქნებოდა, იარსებებდა > სემიოლოგიის სახელით, ანუ ნიშანთა მეცნიერებიდან მათი გამოკვლევა [étude] ხდება, როცა ადამიანები ცდილობენ, თავიანთი აზროვნება აუცილებელი კონვენციებით ახსნან. <ყველა სემიოლოგიურ სისტემას შორის> სემიოლოგიური სისტემა ანა< [langue] ერთადერთია (ნაწერით, <რომლის შესახებაც მოცემულ დროს ვისაუბრებთ, >) რომელიც <ამ გამოცდის წინაშე დადგებოდა>, დროს დაუპირისპირდა და მარტივად, მეზობლებს შორის ურთიერთობით კი არ არის <დასაბუთებული>, არამედ მამასა და შვილს შორის დამაკავშირებელი ტრადიციის მეშვეობით და იმ შემთხვევითობის თანახმად, რასაც ამ ტრადიციაში აქვს ადგილი, რაც იმის მიღმა აღარ არის შემოწმებული, <არც ცნობილია და არც აღწერილი>. ~~ამრიგად, თუ მოვისურვებთ, ლინგვისტიკა ფსიქოლოგიური მეცნიერებაა იმდენად, რამდენადაც ის სემიოლოგიურია, მაგრამ ფსიქოლოგებს არასოდეს არ მოუხშიათ დრო თავიანთ სემიოლოგიაში.~~

ის ფაქტი, თუ რომელია პირველი გარემოება, რომელსაც ფილოსოფოსების ინტერესის გამოწვევა შეეძლო, ფილოსოფოსების მიერ იგნორირებულია; არც ერთი მათგანი არ გუასწავლის, თუ რა ხდება სემიოლოგიის გადაცემისას [transmission]. და <იგივე> ფაქტი იმდენად იზიდავს ლინგვისტების ყურადღებას, <რომ მათ სჯერათ> მათი მეცნიერების ისტორიულობა ან სავსებით ისტორიულობა, მაშინ, როცა ის მხოლოდ და მხოლოდ სემიოლოგიაა: აქედან გამომდინარე, ფსიქოლოგიაში სავსებით აპრიორულად შენარჩუნებულია ის

³¹⁹ Cf. CLG/E (I), გვ. 259, N 23.7, Nr. 1864.

³²⁰ Cf. CLG/E (I), გვ. 260, N 23.7, Nr. 1864.

³²¹ სავარაუდოდ, 1908-1912; შდრ. ენგლერი 1975 a, გვ. 840.

პირობა, რომ ის თავის მხრივ ხედავს, რომ ენაში [langue] ობიექტი გააჩნია, რომელიც დროთა განმავლობაში ფართოვდება და რომელიც აიძულებს, თავი დააღწიოს დროებითი ნიშნის ან დროებითი წარმოდგენების შესახებ სპეკულაციებს.³²²

1. ლინგვისტიკაში არ არსებობს განსხვავებული ხედვა, რომ შეგვეძლოს საკუთარი მოსაზრებებით ვიმსჯელოთ, არამედ ორი <იძულებითი> ხედვა, რომელიც ობიექტიდან გამომდინარეობს (სინქრონული და მეტაქრონული).

2. ენობრივ/ლინგვისტური ხდომილებისთვის ელემენტი და ნიშან-თვისება მუდამ ერთი და იგივეა. ის ენისთვის [langue] და ყველა სემიოლოგიური სისტემისთვის საერთოა და არანაირ განსხვავებას არ უშვებს იმას შორის, თუ რის დიფერენციაციას ახდენს საგანი და რას წარმოადგენს იგი (რადგან საგნები, რომელთა შესახებაც აქ არის საუბარი, ესენია ნიშნები, რომელთაც მხოლოდ ერთი ამოცანა, <მხოლოდ ერთი არსი აქვთ, იყვნენ განსხვავებულნი>).

3. თითოეული ლინგვისტურ/ენობრივი ფაქტი შედგება ერთი ასპექტისაგან და ეს ფაქტი მდგომარეობს მხოლოდ ამ ასპექტში. – 4. თითოეული ლინგვისტურ/ენობრივი ფაქტი წინასწარ გულისხმობს ორ ტერმინს, რომლებიც შეიძლება იყოს თანმიმდევრული ან სინქრონული.

5. ენობრივ/ლინგვისტურ ობიექტებს სადმე კი არ გააჩნიათ ფუძე; მათ აქვთ თავისებურება, მხოლოდ მათი განსხვავებულობის წყალობით იარსებონ, ისე, რომ არ გამოვიყენოთ ნაცვალსახელი და ამ ეტაპზე სხვა ტერმინი ვუწოდოთ და არა განსხვავება.

6. არც ერთ კანონს, რომელიც სინქრონულ ტერმინებს შორის გვხვდება, არ აქვს სავალდებულო ხასიათი. ენის [langue] ესა თუ ის ნაწილი, რომელიც მოსაუბრე მასის ენიდან <ამოვევლიჯეთ> (ამით განსხვავება იმ ყველაფერთან, რასთანაც ლინგვისტიკას აქვს შესება, პირველი მოსაზრების თანახმად, წინასწარ არ არის აპრიორულად განსაზღვრული, <რამდენადაც შემდეგი გამოუსტყმელი და უტყუარი> შემთხვევითობის ნიშანია), ამგვარად, ყველაზე სრულყოფილი საწყისი გულგრილობით შეფასებულ ენის [langue] ერთ ნაწილს:

1. აქვს განსაზღვრული, ერთჯერადი ეგზისტენცია.

2. აქვს არსებობის არანაკლებ ბევრი სახეობა. უფრო მეტად კი, ზუსტად სამი სახეობა იმისთვის, რომ იარსებოს:

ა) დაახლოებით პანქრონული თვალსაზრისით


ბ) დაახლოებით სინქრონული თვალსაზრისით

გ) და დაახლოებით დიაქრონული თვალსაზრისით. – და ეს <აბსოლუტურად> სხვა არაფერია, თუ არ ჩავთვლით განაწილებას, რომელიც [] ისთვისაა

1. არ არსებობს ისეთი რამ, რაც Z იქნებოდა, თუნდაც ფიქტიურად. არ არსებობს <ცენტრალური ობიექტი, რომელიც ნებას მოგვცემს>, z-სიტყვა და Z ერთმანეთთან დაგაკავშიროთ და ასევე არ არსებობს ცენტრალური წარმოდგენა, <და ის ხელოვნურად იქნებოდა ნაწარმოები, > ისე, <რომ> გონებისთვის ამ ორი საგნიდან ერთიან მასას შექმნიდა. ეს არის, ასე ვთქვათ, წითელს <მოცემულ ფაქტს> და წითელს <(იმავე ფაქტს)> შორის არსებობს ერთიანი <და ცენტრალური> წარმოდგენა, რომელიც ემსახურება იმას, რომ

³²² Cf. CLG/E (II), გვ. 47, N 24.a, Nr. 3342.1.

განასხვავოს კონკრეტული ბატალიონის <წევრები> პოლკში ან სხვადასხვა რანგის წარმომადგენლები. ჩვენ მტკიცედ ჩამოვყალიბდით შემდეგ ფორმულაზე:



323

თუ სიტყვის კონკრეტულ ელემენტს z-ით აღვნიშნავთ, მაშინ ის საგნები, რომელსაც გრამატიკა შეისწავლის, გამონაკლისის გარეშე წარმოდგენილი იქნება z-სიტყვით. ისინი არასოდეს იქნება წარმოდგენილი z-ით.

ის, ვისაც z-ის გამოკვლევა სურს, შედეგად იკვლევს z-ს საკუთარ თავში (ან საერთოდ არ იკვლევს). უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც გამოიკვლევს z-ს <ყველა სახეობას>, ჯერ არ იწყებს გრამატიკული საგნების შესწავლას.

გრამატიკული საგნების შესწავლას იგი იწყებს z-სიტყვის გამოკვლევით. თუ შემდეგ იმის დამტკიცება სურს, რომ z და z-სიტყვა ერთსა და იმავე იდეალურ გამოკვლევას მიეკუთვნებიან, რომ ისინი ერთიანი აზრობრივი საშუალებებია, <რომლებსაც მას ვუქვემდებარებთ, > შემდგომ კი მას მისივე თეზისის ყველაზე სრულყოფილ უარყოფას ვუპირისპირებთ, არსებითად ჩვენ უარყოფთ, რომ ის ზოგად თემა z-ს გვაძლევს.³²⁴

ენის [langue] უპირველესი <უნივერსალური> ნიშან-თვისებაა, იარსებოს ამ განსხვავებების წყალობით ისე, რომ არ წარმოიშვას არანაირი შესუსტება [mitigation], <როგორცაა> მაგალითად ისინი, რომლებიც ამა თუ იმ პოზიტიური ტერმინის შემოტანისას კონკრეტულ მომენტში ჩნდება. <და მაინც> მეორე ნიშან-თვისება, რომ <ამ> განსხვავებების თამაში <მოცემულ მომენტში> გაცილებით შეზღუდულია იმასთან შედარებით, ვიდრე შეიძლება ყოფილიყო. ოცდაათი თუ ორმოცი ელემენტი (I)

< (I) ამით მხოლოდ ერთი რამის თქმა გვსურს: ამ განსხვავებების ჯამი, რომელიც 30 ან 40 ელემენტისაგან შეიძლება მივიღოთ. ის, რომ ამ ელემენტებს საკუთრივ არანაირი ფასეულობა არ გააჩნიათ, ეს აქსიომაა. > – ოცდაათი თუ ორმოცი ელემენტი ჩნდება იმისათვის, რომ ეს დიდი გამონაკლისი შეინარჩუნონ. და აი ის, თუ რა აჭარბებს ამ 30 თუ 40 <რეალურად არსებულ ობიექტს, ეს არის ენისათვის [langue] საინტერესო>.

შესაბამისად [] [] ³²⁵

~~უცნაურია, რომ საუბრობენ ერთი მხრივ recto და verso, ასევე სამოსის endroit და envers-ის შესახებ, მაგრამ ის, რომ []~~

არსებობს კონტრასტები, რომელზეც <მიჯაჭვულია> მთელი რიგი აუცილებელი წარმოდგენები, მათი ანტაგონიზმის მიუხედავად, როცა სამოსის endroit და envers-ის შესახებ ვსაუბრობ, ამ ცალკეული წარმოდგენის <გარშემო> უშუალოდ რაღაც არის, რაც ჩვენი მოლოდინის საწინააღმდეგოდ მოქმედებს იმგვარად, რომ envers აღარ მიიჩნევა endroit-ის მარტივ წინააღმდეგობად.

ხოლო როცა recto-ს და verso-ს შესახებ ვსაუბრობ, ისინი წინააღმდეგობა, რომლებიც სავსებით შეესაბამებიან ერთმანეთს, თუ ვიტყვით, რომ წინასწარ,

³²³ Cf. CLG/E (II), გვ. 48, N 24 a, Nr. 3342.2.

³²⁴ Cf. CLG/E (II), გვ. 48, N 24 a, Nr. 3342.2.

³²⁵ Cf. CLG/E (II), გვ. 48, N 24 a, Nr. 3342.3.

აპრიორულად, ნიშანი არ <არსებობს>, რომელიც recto-ს და verso-ს ან პირიქით, სპეციალურად განასხვავებდა ერთმანეთისაგან. ნუმისმატიური ტერმინოლოგია ეძებს, რომ არ მოვტყუვდე, [].³²⁶

<შემთხვევით ასეთ დასკვნამდე მივდივარ: >

თუ <მწერალი> სადმე viellesse-ს ნაცვლად sénescence-ს ამბობს, ცხადია, რომ ამ სიტყვას უშუალოდ ექნება თავისი გავლენა, ანუ ათასობით ასოციაცია, წარმოდგენა, რომლის თავიდან აცილება მას სურდა, აიცილებს თავიდან; და ის ათასობით ასოციაცია, რომლის გამოწვევა თუ შემოთავაზებაც მას სურდა, გამოიწვევს და შემოგვთავაზებს კიდევ. სიტყვა (sénescence ან ნებისმიერი სხვა) ამრიგად, ლექსიკაში გვხვდება და <შედეგად> ისე ჩანს, რომ რაღაც შეიქმნა და ეს რაღაც (რადგან ქმნადობა [création], რაც აზროვნებიდან <ნიშანში> გადადის) აბსოლუტურად უსასრულოა. ამ ჭეშმარიტების გააზრება ყველაზე ნიშანდობლივია [].

ლინგვისტიკა <ორგანიზებული> მეცნიერება რომ იყოს (როგორც ის <ძალიან მარტივად> შეიძლებაოდა ყოფილიყო, მაგრამ აქამდე ჯერ კიდევ არ არის), მისი ერთ-ერთი განსაზღვრება იქნებოდა: სინონიმის შექმნის უუნარობა, რაც აბსოლუტური და ძალზე ნიშანდობლივია და რაც გამოირჩევა ყველა იმ საკითხს შორის, რომლებიც ნიშანთან კავშირში იმყოფებიან.

სირთულე, რომელსაც შევიგრძნობთ, როცა რაღაცას ვინიშნავთ, რაც ენაში [langue] ბუნებრივია, სამეტყველო ნიშნებში <რომლებიც ქმნიან ენას> [dans les signes de parole qui constituent le langage], ეს არის შეგრძნება, რომ ეს ნიშნები მრავალრიცხოვანთაგან ერთ-ერთ ყოველსმომცველ მეცნიერებას მიეკუთვნებიან, რამდენადაც ის არის მეცნიერება ენის შესახებ [»science du langage«].

მგონი ნაჩქარევად ვისაუბრეთ ენის მეცნიერების [»science du langage«] შესახებ. ეს იყო <ერთ> დროს, როცა გარდა ცალკეული რომანული ენების შემსწავლელებისა, ჯერ კიდევ არავის ჰქონდა წარმოდგენა, თუ რა იყო კონკრეტული ენა [langue] ან ენა ზოგადად [langue] თავის დინამიკაში. პირველი მცდელობა [].³²⁷

სიტყვა signologie, რაც მის აგებულებას შეეხება, არ არის ისეთი შოკისმომგვრელი, როგორც ტერმინოლოგია, სოციოლოგია, მინერალოგია და სხვა სიტყვები, რომლებშიც დაბოლოება -ლოგია ლათინური ტერმინიდან ისესხეს. თუ ამ ტერმინს <უსამართლოდ> განსაკუთრებულად მივიჩნევთ, რადგან დიდი ხანია, ჩვენი ფრანგულის ხელოვნურ მდგომარეობაში არ ვიცით, ვინ ისევე უნდა წარმოეთქვას, როგორც სიტყვაში signe თუ როგორც ლათინურ signum-ში: მაგრამ ამაში ავტორი არ არის დამნაშავე, დამნაშავეა <მხოლოდ ენა [langue], რამდენადაც ენის [langue] აღნიშნულ სახელებს ორთოგრაფიული კონვენციის მიხედვით იყენებს, რომლებიც ისტორიულ და ლოგიკურ ფასეულობას საჭიროებენ.> თუ გვსურს, შეგვიძლია <აკადემიურად> მოვუხმოთ იურიდიულ ტერმინ cognat-ს (გამოითქმის cog-nat), რათა <ასევე> გამოეთქვას signologie, ამას არანაკლები მნიშვნელობა აქვს: ასე და ამგვარად, <კვლავაც მხოლოდ> ფრანგულად <ვილაპარაკებთ>, რადგან <ვიცით>, რომ არც <ჩვენი შერბილებული n> არც -gn- არ შეესაბამება ჭეშმარიტ ლათინურ გამოთქმას, როგორც ის ლათინისტების მიერ არის აღიარებული და უდრის n+n. <Signologie ფრანგულ სიტყვათწარმოება -gue-ს დავუპირისპიროთ. > სიტყვა signo-

³²⁶ Cf. CLG/E (II), გვ. 48, N 24 a, Nr. 3342.4.

³²⁷ Cf. CLG/E (II), გვ. 48, N 24 a, Nr. 3342.4.

logie მოითხოვს განმარტებას. თავდაპირველად სიტყვა სემიოლოგია გამოვიყენე. ამ სახელით მარსელ ნევილმა თავისი მეცნიერების კლასიფიკაციის³²⁸ ხელახლა გადამუშავებულ გამოცემაში ამ მეცნიერებას პატივისცემა გამოუცხადა და პირველმა შეიტანა []-ის წრეში.³²⁹

☞ იმ ფაქტის გამო, რომ არ არსებობს ელემენტი (ან თუნდაც სხვა ათასი <მიზეზის> გამო, რადგან ჩვენ არ ვირწმუნებით, რომ საგანთა კარტეზიანული სისტემა შევქმენით, რომელიც ყველა შესაძლო თვალსაზრისით აზრობრივად აღსაქმელი იქნება), ვხედავთ, რომ (ჯერ მართლაც) არც ერთ ელემენტს არ შეუძლია საკუთარი თავის ტრანსფორმირება; არამედ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ მას სხვა რამით შეცვლიან თვით იმ შემთხვევაშიც, თუ საქმე აფონეტიკას ეხება და რომ ამგვარად, ზოგადად ყველა ოპერაცია და მთელი ამ <ოპერაციების დიფერენციალია> ჩანაცვლების ბუნებაშია, რომელსაც ჩვენ საუბრისას ვემორჩილებით. ვინც ამბობს სუბსტიტუტს, იმწამსვე აღიარებს, რომ ტერმინს, რომელიც სუბსტიტუტში გვაქვს, გააჩნია ეგზისტენცია,... და ა.შ.³³⁰

N ფონოლოგია³³¹

ამონარიდი 3 ³³²

თუკი შევეცდებით, რომ მარცვალი საკითხის ამოხსნად დავსახოთ (მაშინ, როცა მუდერი თანხმობების შესახებ არაფერი ვიცით), ვადგენთ, რომ ეს ამ სკოლის ზოგადი მიმართულებაა, რომლის შესახებაც ჩვენ ვსაუბრობთ, რომ ის ამ არასასურველ Circulus vitiosus-ს უფროსი დღეა და ფიქრობს, რომ ორი საკითხი, რომელთაგან თითოეული ცალ-ცალკე ბნელით მოცულია, ნათელი გახდება მას შემდეგ, რაც მათ ერთ მთლიანობად ვაქცევთ.

მატერიალური შეცდომების გამო არც ერთ სკოლას სანანებლად არ გაუხდება საქმე, მაგრამ თითოეულ სკოლას უფრო ნაკლებად დააბრალებენ საგნების შემცირებას, რომლებიც გონების პირდაპირობას ხელს უშლიან, თუ ის ამაში თავს დამნაშავედ იგრძნობს და ირწმუნებს, რომ სინათლე დამისაგან შეიქმნა, ეს იქნება მოძღვრება, რომელშიც მხოლოდ ორაზროვნება არსებობს. მაშინაც კი, თუ არ გვეცოდინებოდა, რას მივიჩნევთ მარცვლად და მუდერ თანხმობად – უპირველეს ყოვლისა ამ შემთხვევაში, ვიტყვი – თავი უნდა დავიცვათ იმისგან, რომ ეს საკითხი არ აგურიოთ სხვებში. ჩვენ სიცხადისთვის რაღაც გვექნება გაკეთებული, მხოლოდ იმ შემთხვევაშიც, თუ ერთმანეთს ხანდახან გავემიჯნებით, ჩვენთვის ღირებული იქნებოდა შეთანხმება, რომ არაფერი ვიცით არც ერთი და არც მეორე მათგანის შესახებ.³³³

ამონარიდი 6

თუ ფენომენების გაგების ჩვენ სტილს იმ საბაბით ესხმიან თავს, რომ [], უფლება გვაქვს გავიცინოთ და გაოცება გამოვხატოთ. თუ წარმოვიდგინოთ თუნდაც მხოლოდ ფაქტს, რომ ვსაუბრობთ ფენომენის დაშლის შესახებ,

³²⁸ A. Vaville: *Nouvelle classification des sciences. Étude philosophique*, Paris 1901.

³²⁹ Cf. CLG/E (II), გვ. 48, N 24 a, Nr. 3342.6.

³³⁰ Cf. CLG/E (II), გვ. 48, N 24 a, Nr. 3342.7.

³³¹ სავარაუდოდ, 1897-1900; სოსიურის დაკარგული ხელნაწერის ფრაგმენტული ამონაწერი ა. სემეს მიერ; შდრ. ენგლერი 1975 ა, გვ. 837 f.

³³² ხელნაწერი შემონახულია მხოლოდ ა. სემეს ამონაწერის ამონარიდების სახით.

³³³ Cf. CLG/E (I), გვ. 140, N ფონოლოგია, Nr. 1014.

რაც უკვე გავაკეთეთ და გადმოვეცით დამატებითი, განმარტებითი დეტალების გარეშე, აღარ იქნება დასაკონკრეტებელი, თუ რას ვგულისხმობთ ამ სახელში – მექანიკურ ერთეულს, აკუსტიკურს თუ ფონოლოგიურს. ეს ბევრ საფიქრალს ხომ არ გაუჩენს მათ, ვისაც კეთილსინდისიერება გააჩნია, ან აუცილებელია, რომ მივიღოთ ამ ფენომენთა დაშლის დროს პრაქტიკული მსგავსება? – სულ თავიდანვე, არა მხოლოდ ის, რაც ამ დეტალს შეეხება, ის მოსაზრება, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ, საფუძვლიანად უნდა განვახსლოთ, თუ ვინმე ჭეშმარიტად მეცნიერულ სისტემას მოითხოვს. მაგრამ ამ შესაძლო მეცნიერულ სისტემაში ცალკეული პუნქტები, რომლებიც ამ მომენტში დასამუშავებლად საკუთარ თავზე ავიღეთ, დაიკარგება; და სულ მცირე მცდელობაც, რომ ამ სისტემას გვერდი ავუაროთ, გაცილებით მკვეთრ პროტესტს გამოიწვევს, ვიდრე კარგად ჩაფიქრებული სქემატიზაცია, რომელსაც აქ გთავაზობთ.³³⁴

ამონარიდი 7335

ჩვენი ფონოლოგიების ზოგადი წარმოდგენის მიხედვით, შევქმენით მართებულის სურათი, როდესაც ვთქვით, რომ მისთვის ფონემის ორი საფუძვლიანი წინაპირობა არსებობს ან შეიძლება არსებობდეს: პირველი (რომლის თქმასაც თავს არიდებენ), რომ ფონემა საკუთარ თავში არსებობს, თავისთავად ძნელად განსასაზღვრი და აღსაქმელია, თუმცა ის იმდენად ცხადად არის მოცემული, რომ არ სჭირდება განმარტებები და გასამართლებელი საბუთების მოძიება; მეორე, რომელშიც აქამდე ეული და სივრცეში მოფარფატე ფონემა სხვა ფონემებთან ერთად გვხვდებოდა, უფრო ადვილად აღსაქმელია. არსებობის ეს ორი ფორმა, იგი, რასაკვირველია, განსაკუთრებულ შემთხვევად განიხილება და რეალობაში კიდევ ნაკლებად აღიქმება, ვიდრე პირველი, რადგან ის არ გვაძლევს ფონემის ახალი სიტუაციის ზუსტ განმარტებას; ის მხოლოდ კომბინაციის ფაქტის შესახებ შენიშვნებისკენ გვბიძგებს და ასევე იმ ფაქტის შესახებ, რომ ყველაფერი იმას ჰგავს, რაც »ზოლირებული« ფონემის შესახებ ითქვა. ფონემის აღქმის პირველი ფაზა მოლაპარაკებების პირველ ნაწილს წარმოადგენს. მეორე ფაზა, თუ ის მოიპოვება, ქმნის საბოლოო თავს, რომელიც სამუშაოს დაგვირგვინებად გვევლინება, შედეგად, რომლებთანაც მივიღვართ, როცა ასეთ დაქინებულ ანალიზს ვამთავრებთ და რომელიც პირველი ნაწილის წაკითხვის შემდეგ გაგვიჩნდა.

პროტესტი, რომელსაც ამ მოსაზრების წინააღმდეგ გამოვთქვამ, მარტივად რომ ვთქვა, შემდეგში მდგომარეობს: უნდა განვსაზღვროთ ფონემის ერთეული და როცა ეს ერთეული უკვე განსაზღვრული გვაქვს, დავინახავთ, რომ ჯაჭვს შიგნით და ჯაჭვს გარეთ ერთეულებს შორის არანაირი განსხვავება არ არსებობს. შევწყვეტენ იმაზე ფიქრს, რომ ფონემები ერთი მხრივ ზეცაში დაფარვატებენ და, მეორე მხრივ, ხადახან სალაპარაკო ჯაჭვში [chaîne parlée] ხვდებიან. ფონოლოგიების მიერ დაშვებული ყველაზე დიდი უსამართლობა, რომელსაც ჩაწვდი, ის არ არის, რომ მათ წარმოიდგინეს, თითქოს ფონემები სალაპარაკო ჯაჭვში მოხვედრის შემდეგ გარკვეულ წესრიგს ემორჩილებიან. პროტესტი უფრო მეტად იმის წინააღმდეგ არის გამოხატული, რომ მათ აღიარეს შემდეგი: ფონემების სხვა მდგომარეობა არსებობს, რომელიც მათ ჯაჭვში აქვთ და გაავრცელეს მოსაზრება, რომ B ან Z ან L ერთეულები, უშუალოდ მოცემულ ერთეულებს წარმოადგენენ ისე, რომ არ ცდილობენ დაამტკიცონ, თუ რა შეესაბამება ამ გამოთქმას.

³³⁴ Cf. CLG/E (II), გვ. 3, N ფონოლოგია, Nr. 3282.6.

³³⁵ Cf. CLG/E (I), გვ. 132, N ფონოლოგია, Nr. 945.

II. გაბნეული ფრაგმენტები³³⁶

Unde exsoriar^{337*}

Unde exoriar? – ეს არის ნაკლებ დამაჯერებელი და მაინც უაღრესად პოზიტიური და პასუხსაგები კითხვა, რომელიც შეიძლება კაცმა საკუთარ თავს დაუსვას, ვიდრე იგი ენის [langue] საყრდენი სუბსტანციის რომელიმე საწყისი წერტილიდან პასუხის გაცემას შეეცდება. იმ შემთხვევაში, თუ ის, რისი თქმაც მე მიხდა, სწორია, არ არსებობს პოზიცია, რომელიც ნაღდ ამოსავალ წერტილად გამოდგებოდა.

– [Item]** ვიდრე რომელიმე ფენომენზე მსჯელობა იქნება შესაძლებელი, აუცილებელია ყველა იმ სფეროში გარკვევა, რომელ სფეროებში ან რომელ სფეროებს შორისაც ეს ფენომენი წარმოიშვა [*se produit*].*** რადგან ენა [langue] თვალისმომჭრელი ფენომენების ასპარეზია, ეს ის ფენომენებია, რომელთა კვლევა საკმარისი ეგონათ და ძალიან ცოტამ თუ იკითხა, რომელი მათგანი იყო თერმა**** ან, თუნდაც, რას უნდა წარმოადგენდეს თერმების ბუნება, რომელთაც ფენომენამდე მივყავართ. რეფლექსიის უქონლობასთან ერთად, ძალა, რომელიც a – b მოძრაობას აკავებს, მხოლოდ შედარებითია იმასთან, რაც a და b-ზე მიმდინარეობს და თუნდაც იმასთან, რაც a ან b-ს დეფინიციის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ~~ეს ფაქტი ნათელია.~~ ეს ფენომენი თვალსაჩინოა. მაგრამ, პირველ რიგში, ისმის კითხვა: არსების რომელი სახეობა სად არსებობს, ყოფიერების რომელი სახეობა წარმოადგენს ამქვეყნიურ არსებათა ერთობლიობას? ყველაფრის გააზრების შემდეგ შეცდებოდნენ, თუ დაუშვებდნენ, რომ ეს ასოების თანამიმდევრობაა. მაშ, არის კი ეს ბგერათა თანამიმდევრობა? სწორედ ასევე ნაკლებად, რადგან [], ამგვარად, ეს არის [] < ვიწყებთ რეალობაში შებიჯებას, მაგრამ უკვე მარჯვნიდან და მარცხნიდან შემოსაზღვრით. [] > <მცდარი იქნებოდა, გვეთქვა; ეს სიტყვა [] უნდა ითქვას: მოლაპარაკე სუბიექტებს ჩვევად აქვთ, რომ ბგერათა თანამიმდევრობა განსაზღვრულ წარმოდგენას შეუსატყვისონ>

ამჯერად გასაკვირი არ არის, რომ ~~ეს ვინც~~ ჩანს, cantares-ს**** ერთიანობა ისევე რაღაც განსაზღვრული უნდა იყოს, როგორც ტრაიანეს სვეტი და მისი სახეობის რეალობის და ერთიანობის საქმეში მისივე გარკვეული მნიშვნელობის შესახებ ყოველგვარი განმარტება რაღაცით უნდა იყოს გამოწვეული. ერთიანობა! მას³³⁸ ამაზე ფიქრი სულაც არ სჭირდება, რადგან ერთ სიტ-

³³⁶ წარმოდგენილ ფრაგმენტში საუბარია იმ ტექსტებზე, რომლებიც 1960 წლის შემდეგ პირველად სოსიურის ნაწერებზე (შეად. BB. 01) რ. გოდელის მიერ ჩატარებული კლასიფიკაციისას იქნა აღმოჩენილი.

³³⁷ Cf. BPUG, ფრანგ. ხელნაწ. 395 2.4 b, გვ. 4–5. ფრანგული ორიგინალის ასლის პირველი გამოცემა ა. პროსდონის შრომაში „Sul Saussure delle legende germaniche CFS 37, 1983, გვ. 69–71. ფრაგმენტის კრიტიკული გამოცემა მოამზადა მ. პ. ბარკეზემ („Archivio Glottologico Italiano“ 70, 1985, გვ. 88 – 97 P. 62), რომელიც ამ ფრაგმენტის 1902-1903 წლებით დათარიღებას ცდილობს.

* Unde exoriar ლათ. საიდანაც ვიწყებ.

** Item} ლათ. ასევე, ამგვარად.

*** se produit ლათ. ის გამოიყვას.

**** Terme ლათ. მათემატიკური ტერმინი; განსაკუთრებულ ციფრებში ალგებრული გამოსახულება, ცვალებადებში მაკავშირებელ ციფრებად გამოდიან. 2– (ფიზ. ატომური სისტემის ენერჯის ხაზი).

***** cantare – იტალ. სიმღერა.

³³⁸ წინადადების კონტექსტი გაუგებარია.

ყვასაც ვერ წარმოთქვამს ისე, რომ მისი ერთიანობის ან მისი „existenz“-ის სხვაგვარი განხორციელება შეიძლებოდეს, თუ არა პირის ღრუს ფაქტორების (> faits buccaux*) მენტალური ოპერაციებით კომბინირებისა, რომელიც სულ სხვა წესრიგს განეკუთვნება, []. მხოლოდ ახლა იწყებენ იმის შეცნობას, რომ a და b უფრო ძნელი აღსაქმელია, ვიდრე a - b ფენომენი.

– შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ იმ მომენტიდან, როცა... – შეიძლებოდა ერთხელ და სამუდამოდ აღგებრული ოპერაციის შესრულება, სიტყვების, როგორც ერთობებად მიჩნევა, რაც აღგებრულ სფეროში არსებობს (თანაც, ცხადია, იმის შედეგია, რომ გაიგეს, ყოველი სიტყვა – [] მაგრამ, რადგან ეს სიტუაცია ყველასათვის ერთნაირია, შეიძლება ამ ბგერით-მენტალური [>phonatorio-mentale<] ოპერაციის აბსტრაგირება და [] – ყოველი საგანი, რომელთა არსებობასაც ვაღიარებთ, ვფუძნება მატერიალურ თუ არამატერიალურ, მაგრამ მარტივ სუბსტანციას. მხოლოდ ენა [> langue <] (საზოგადოდ, ნიშანი) იმყოფება თავისებურ პოზიციაში იმისათვის, რომ რაიმე კომბინაციას დაეფუძნოს და ეს იმიტომ, რომ უარს ამბობდნენ მისი არსებობის აღიარებაზე.

– მაგალითი: რადაცის ნიშნად აღმართული წითელ-ცისფერი დროშა შემობლია, როგორც მსურს, ისე აგხსნა. უარყო, რომ ის, როგორც ნიშანი, არსებობს („existiert“) და რომ იგი მხოლოდ წითელ-ცისფერი ნაჭერი <მოგონება> იქნება, მაგრამ თუ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ ეს სრულიად შეუძლებელია და რომ მის არსებობაზე ლაპარაკი არ შეიძლება, მაშინ ათასობით რომს და მაგრამს მივიღებთ [].

– ეს არის პოზიცია, რომელშიც უნებურად სიტყვითა და ენის [>langue<] საშუალებით აღმოჩნდები. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ენა [>langue <] არ არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ A. არტიკულაციები და B. იდეები არსებობენ. ამ შემთხვევაში, მაგალითად, სიტყვა cheval*-ზე კი არ უნდა ილაპარაკონ ან [] წარმოიდგენენ რა, რომ cheval „წ“ არტიკულაციისაგან შედგება < >, როგორც კი სიტყვა cheval-ს წარმოთქვამენ, იმავე შეხედულებას იცავენ, რომლითაც ეთანხმებიან, რომ

ცისფერი დროშა + შესატყვისი იდეა
შეადგენს მთლიანს,
რასაც „ნიშანი“ წარმოადგენს

არის ეს სწორი? არის კი ეს ფილოსოფიური თვალსაზრისით სწორი იმისათვის, რომ აქ ერთიანობა დაეინახოს? პირადად მე წარმოდგენა არ მაქვს, –[] მაგრამ წინასწარ ვიცით; დიახ, წინასწარ არის ნაგარაუდევო, რომ ცისფერი დროშის ნაცვლად მაღლობზე + []

„გაჯიუტება არ არის საჭირო“³³⁹

სულაც არ არის სიჯიუტე საჭირო, მაგრამ, როგორც ვამბობდი, არსებობს სხვა ინტერესიც: როგორც ფენომენის, როგორც ენის [>langue<] სიცხოველის ბუნებრივი მანიფესტაციისა, ამის გარეშე ენასა [>lengue<] და მის სიცოცხ-

* faits buccaux – პირის ღრუ.

³³⁹ Cf. BPUG, ფრანგული ხელნაწერი 3952⁴, გვ.5.V. ფრანგული ორიგინალური ტექსტის პირველი გამოცემა ა. პროსლონიმის შრომაში „Sul Saussure delle legende germaniche, CFS 37, 1983, გვ. 95 f, [=P. 58]. პროსლონიმის აზრით, ეს ჩანაწერი 1896 წლის შემდეგ უნდა იყოს შესრულებული.

ლეზე სრული წარმოდგენა ვერ შეიქმნება, რადგან ერთხელ და სამუდამოდ ძველი თვალსაზრისის მიღმა და მალა უნდა დადგე, რის შემდეგაც უძრავა და ერთიანობა ყოველი ენის [>langue<] ნორმალური დანიშნულება იქნებოდა. – სულ მცირე, უფრო ნორმალური, ვიდრე ცვლილება, მოძრაობა და განსხვავება. რომანისტული და გერმანისტული გამოკვლევები. ეს ცვლილება ნებისმიერი ენის [>langue>] ბუნებრივი პირობაა. მეტ-ნაკლებად სწრაფი ცვლილება, მაგრამ ინდივიდუალური. გარკვეული პერიოდიდან შეიძლება, მოძრაობა მეტად განსხვავებული, წინასწარ გამოუცნობი მიმართულებით წარმართულიყო, მაგრამ იძულებითი წესით მოუხდება რომელიმე მიმართულებით წასვლა. მოხდება ბგერითი (ფონეტიკური) და მორფოლოგიური ცვლილება, მაგრამ მაინც ცვლილება. დროის გავლენით კი იგი სივრცეს შეუერთდება. ენას [>langue<] ერთ ადგილზე ვერ ატრიალებ. ამ შემთხვევაში ვაწყდებით დიალექტიკური დანაწევრების ფენომენს.

[] როდესაც ცვლილებიდან დროში გადის... A გადაიქცევა A`-დ, ხოლო A` – A“-დ. რომანული ენის [>langue<] მაგალითი იმდენადაა ნათლის მომფენი, რამდენადაც ჩვენ აქ საწყისი და, იმავედროულად, ერთიანად [<უნიფიცირებული>] (uniforme) საწყისი გაგვანია.

„ჩანაწერი დისკურსისათვის“³⁴⁰

ენა [>langue>] მხოლოდ მეტყველებისთვისაა [>discours>] შექმნილი, მაგრამ მაინც რა არის ის, რაც მეტყველებას [>discours<] ენისაგან [>langue<] ჰყოფს, ან რა უფლებას იძლევა იგი განსაზღვრულ მომენტში იმის სათქმელად, რომ ენა [>langue>] მეტყველებისათვის [>discours<] გამოიყენება?

არსებობს სხვადასხვა ცნებები, რომლებიც ენაში [>langue<] მზა სახითაა მოცემული (ანუ ისინი „სალაპარაკო“ ფორმით შეიქმნენ), როგორც ხარი, ტბა, ცა, წითელი, მოწყენილი, ხუთი, გათიშვა, ყურება. რა დროს რა ოპერაციის, რომელი თამაშის წყალობით, <რომელიც მათ შორის რაღაც პირობებში ხდება>, ქმნიან ეს ცნებები მეტყველებას?

ამ სიტყვების თანმიმდევრობა, რომელიც წარმოსახვაში, რომლებსაც ისინი იწვევენ, შეიძლება ძალიან მდიდარი ყოფილიყო, ადამიანურ ინდივიდუალს ~~არასდროს არაფერზე მიანიშნებს~~, თუკი სხვა ინდივიდს, რომელიც მათ წარმოთქვამს, ამ ინდივიდისათვის არაფერზე მიანიშნება არ სურს. რა არის საჭირო იმისათვის, რომ, როცა ადამიანი ენის [>langue<] განკარგულებაში არსებულ ურიცხვ სიტყვას მოიხმარს, მათთვის რაიმე მნიშვნელობის მიცემის სურვილის შემთხვევაში, გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ? ეს ისეთივე კითხვაა, როგორც ის, თუ რა არის მეტყველება [>discours<]. ~~ჩნის [>langue<] მარტივი ცნების საპირისპიროდ ერთი-ერთი შეხედვით, პასუხი მარტივია: მეტყველების [>discours<] (<იქნება ეს რუდიმენტული თუ ჩვენთვის უცნობი ფორმით გამოხატული>) დანიშნულება ორ ცნებას შორის კავშირის დადგენაა, რომელიც <პროცესში> ენობრივი ფორმით სრულდება მაშინ, როცა ენა [>langue<] პროცესუალურად მხოლოდ ცალკეული ცნებების რეალიზებას ახ-~~

³⁴⁰ Cf. BPUG, ფრანგული ხელნაწერი 3961. 10, გვ. 20v, დაუთარილებელია. ფრანგულ ენაზე პირველად დაიბეჭდა სტარობინსკის შრომაში „Les mots sous les mots“ პარიზი, 1971, გვ. 14 [P.27]. შეადარე „Noted Ferdinand de Saussure concernant le > discours“-საც, გამოცემული რ. ამაკერის მიერ CFS-ში 43, 1989 (1990), გვ. 93 f [P.69]. ჩვენ ვყვრდნობთ აგრეთვე პენრიეტა ბოსის მიერ შესრულებულ პირველ გერმანულ თარგმანს, რომელიც გამოქვეყნდა WUW –ში, გვ. 8 f.

დენს, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთობაში მოსვლას ელიან. ამიტომ იგი აზროვნებაზე მიგვანიშნებს [*>signification de pensée<*].*

III. გერმანული ლეგენდების შესახებ ჩანაწერებიდან³⁴¹

არავინ ფიქრობს, ლეგენდებს ისტორიულ მოვლენებთან სრული დამთხვევა მოსთხოვოს <მიაწეროს> მაშინაც კი, თუ იმისათვის მტკიცე საბუთი გვექნებოდა, რომ ისინი მხოლოდ მოვლენათა გარკვეული ჯგუფის პარაფრაზებია რომ მათ მოვლენათა გარკვეულ ფარგლებში მოქცეული ჯგუფი წარმოვიდგინეს. როგორც არ უნდა უტრიალოთ, ყოველთვის მთლად თვალსაჩინო მხოლოდ მიახლოების რაღაც განსაზღვრული ხარისხია, რაც ამ შემთხვევაში შეიძლება გადამწვევად და დამაჯერებლად გამოიყურებოდეს. მაგრამ ხარისხის ეს შკალა დიდ დამახვას მოითხოვს, რათა იგი შესამჩნევი გახდეს. დააკვირდე, კი თუ არა, ~~სხვა ეპოქა, სხვა კომპლექსი~~ სხვა ისტორიულ <კონცენტრირება> როგორც ჩვენს მიერ ნავარაუდევია, ის ისეთივე უნარიანი იქნებოდა, ლეგენდები თავისი ელემენტების მეშვეობით რომ აეხსნა, ეს კი ჩვენი თეზის მეტად საინტერესო გამოცდა იქნებოდა, ერთი იმათაგანი, რომელიც <ამგვარ> სფეროზე რაიმე შესაძლო მკაცრი არგუმენტაციის ნაკლებობის შემთხვევაში, სულ მცირე, რაღაც ბუნებრივ და არა უპასუხისმგებლო საბუთად ჩაითვლებოდა. [...]³⁴²

ტრადიციული თხრობის ეს სამი პოეტური ქმნილება ან ის სამი მასალა [*>corps<*] ყველაფერია, რისი დაშვებაც საჭიროა, რათა ვუჩვენოთ, რომ ლეგენდები, რომლებიც ერთი მხრივ გერმანიაში, მეორე მხრივ კი სკანდინავიის ქვეყნებშია გავრცელებული, <რამდენადაც ეს შესაძლებელია, რომ ლეგენდებში იქნას დაშვებული>, ზუსტი ასახვაა იმ მოვლენებისა, რომლებიც როდანის ბურგუნდიაში [La Burgonde rhodanienne] 495-დან 534 წლამდე გათამაშდა [...]³⁴³

თანამედროვე კრიტიკაში გავრცელებული თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, ყველაფერი, რაც ვორმსის სამეფოს ეხება, შესაძლებლობას იძლევა, ზუსტად გავეცნოთ ისტორიულ ფარგლებს <დასკვნებს>, რომლებიც ორჯერ უფრო საფრთხილოა (სარისკოა), ვიდრე ჩვენი. ეს იმიტომ, რომ აქაოდა ტექსტის ერთგულები ვრჩებით. განა რამდენი დიდი მნიშვნელობის განბი გვექნებოდა ისტორიისათვის, თუ არა ის, რაც „ნიბელუნგების სისღერაშია“ მოცემული? მისი არსებობის გარეშე, ბურგუნდიის პატარა სამეფოში 435 წელს დატრიალებული ამბების შესახებ არაფერი გვეცოდინებოდა, გარდა ქრონიკებში ორჯერ უბრალო მოხსენიებისა. მერედა შეუდარებელი დეტალების როგორი სიუხვით გადაიშლებოდა ჩვენს თვალწინ ისტორია! მასში ბევრი ხარვეზი გასწორდებოდა (შეივსებოდა მდიდარი <წყაროთი>, მაგრამ ეს იწვევს გარკვეულ უნდობლობას, რაც შემდეგში გამოიხატება: ან ყველა ეს ეფექტური [*>copieuse<*] ლეგენდა გამონაგონის პროდუქტია, რაც, უეჭველია, ასეა, ან, როცა იგი ისტორიულ კულისებში თამაშდება [*>si elle court sur un fond*

* Signification – აღნიშვნა მითითება + pensée (ფრანგ.) – აზროვნება.

³⁴¹ თარგმანი ეყრდნობა ა. მარინეტისა და მ. მელის გამოცემას (LWG).ca.820. ფურცლებიდან, რომლებიც გერმანულ ლეგენდებს ეხებიან. ძირითადად, ისინი ავირჩიეთ, რომლებშიც სოსიური ენისა და ნიშანთა თეორიის პრობლემებზე კითხვების დასმით (შეადარე, ზემოთ, გვ. 93 ff) კამათობს. ასევე ადგილები, რომლებიც ლეგენდებისა და ისტორიის ურთიერთობას არკვევენ.

³⁴² Cf. LEG, გვ. 15 (BPUG, ფრ. ხელნაწ. 395^{8,2}, გვ. IV [v = verso]).

³⁴³ Cf. LEG, გვ. 20 f. (BPUG, ფრ. ხელნაწ. 395^{8,2}, გვ. 4r).

histowique<], ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ეს ლეგენდები მართლაც ისტორიულ კულისებში თამაშდება, რაც მემპტიანეებისაგან სრულიად ნაცნობი და გასაგებია და, რაც იმას შეესატყვისება, რასაც ლეგენდები ყვებიან. ამ სახით იქცევეს ყურადღებას ერთადერთი ბურგუნდიული სამეფო, <რომელიც ისტორიკოსთათვის ასეთ სერიოზულ კორპუსს ქმნის>, ლიონის სამეფო, როგორც კი დავეშვებით, რომ მოთხრობის შინაარსი გამოგონილი [>factice<] არ არის.³⁴⁴

ბუნებრივი სიმბოლოების გვერდით, სიმბოლიზებული ისტორიაა. მაგალითად, ასე შეწვა ვალთარმა ტყეში ველური ტახი. მას თავს დაესხა ჰაგენი. მან ხელი დასტაცა ბარკლის ძვალს და თავის მტერს თვალი გამოსთხარა. ვერ წარმოიდგენთ, თუ რას ნიშნავს ეს ვ. მიულერისათვის.³⁴⁵ ეს არის ლაშქრობა [].³⁴⁶

– ლეგენდები შედგება სიმბოლოების მთელი მწკრივისაგან <იმ აზრით, რომ ეს ჯერ კიდევ დასაზუსტებელია>.

– ეს სიმბოლოები ისე, რომ ვერც წარმოიდგენ, ბედის ისეთსავე დარტყმებს და იგივე კანონებს ემორჩილებიან, რასაც მთელი რიგი სხვა სიმბოლოები, მაგალითად, ისეთები, როგორებიც ენაში [>langue<] სიტყვებია.

– ყველაფერ ამას სემიოლოგიასთან აქვს კავშირი.

– აქ არ შეიძლება რაიმე ვარაუდი არსებობდეს, სიმბოლო ან მყარი უნდა რჩებოდეს, ან უსაზღვროდ ვარირებდეს. ეს კი ალბათ, გარკვეულ საზღვრებში უნდა ხდებოდეს.

– არასდროს არ შეიძლება სიმბოლოს იდენტურობის უცბად დადგენა. როცა სიმბოლოსთან გვაქვს საქმე (იგი სოციუმიდან ამოტივტივდება), იგი ყოველ წამს ახლებურად აყალიბებს თავის მნიშვნელობას. ასეა რუსულ დამწელობაში Y სიმბოლო.

მისი იდენტურობა, <ჩანს, ისეთი ხელშესახები საგანი უნდა იყოს, სასაცილოდ კი, რომ უკეთ შეიძლებოდეს მასში დარწმუნება>, მდგომარეობს შემდეგში:³⁴⁷ მას აქვს Y-ის ფორმა; იგი იკითხება, როგორც Z; ის ანბანის ერთ-ერთი ასოთაგანია, რომელიც მე-8 ნომრადაა წარმოდგენილი; მისტიურად იგი იწოდება, როგორც zann და ამასთანავე ამ სიტყვის პირველი ასოც იგივეა.

რაცაღ დროის გასვლის შემდეგ... იგი აღფაბეტის მეათე ასოდ გვევლინება... მაგრამ აქ უკვე იწყებს იგი ერთიანობის შექმნას, რომელიც [].

სხვათა შორის, სად დარჩა იდენტურობა? ამაზე, ჩვეულებრივ, დიმილით პასუხობენ ხოლმე, <თითქოს ეს მართლაც უცნაური საქმე იყოს>, ამ საქმეს ფილოსოფიური თვალსაზრისით რომ შევხედოთ, ისღა გვრჩება, ვამტკიცოთ, რომ ყოველი სიმბოლო, როგორც კი მიმოქცევაში ხვდება, – მაგრამ ყოველი სიმბოლო მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ მიმოქცევაშია მოხვედრილი –, მაშინვე იმის ძალას კარგავს, რომ თქვას, თუ რაში აისახება მომდევნო წამში მისი იდენტურობა. []

[...]

³⁴⁴ Cf. LEG, გვ. 15 (BPUG, ფრ. ხელნაწ. 395⁸¹, l r [= recto]).

³⁴⁵ შეადარე ვ. მიულერი: გერმანული საგმირო ეპოსის მითოლოგია (Mythologie der deutschen Heldensage), Heilbronn 1886.

³⁴⁶ Cf. LEG, გვ. 28 (BPUG, ფრ. ხელნაწ. 395⁸³, გვ. 19v).

³⁴⁷ წინადადების ანაკოლუთური კონსტრუქცია (anakolu thos – ბერძ. არათანმიმდევრული. ლიტერატურაში – პოეტური ხერხი, რაც წინადადებაში გრამატიკული წესის დარღვევაში გამოიხატება. ვ.კ.).

ნებისმიერი ლეგენდის მიმართ დასმულ კითხვებს სწორედ ამ საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისიდან გამომდინარე ვუდგებით, რადგან მათში გამოყვანილი ყოველი პერსონაჟი სიმბოლოა, რომელშიც – ზუსტად ისევე, როგორც რუნებთან – შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ ცვლიან მოქმედებებს ა) სახელები, ბ) ადგილი სხვებთან მიმართებით, გ) ხასიათი, დ) ფუნქცია. თუ სახელი შეიცვლება [>transposé<], შეიძლება ამას მოქმედების ნაწილის შეცვლაც მოჰყვეს და პირიქით. ან კიდევ, მსგავსი სახის შიდა ცვლილებით შეიძლება მთელმა დრამამაც იცვალოს სახე.

ამიტომ, პრინციპში, უბრალოდ, უარი უნდა ვთქვათ ასეთ ქმედებებზე, რადგან ასეთი მოდიფიკაციების შედეგების გათვლა შეუძლებელი იქნება. სინამდვილეში მაინც ჩანს, რომ რაღაც იმედი მაინც არსებობს, რომელიც უნდა გქონდეს თვით დროისა <და სივრცის> დიდი ინტერვალის პირობებშიც.³⁴⁸

რა იშვიათი მეთოდოლოგიაა! არ შეიძლება, რომ ეპიკურ ტილოებში ისტორიული მოვლენები ყველა იმ ცვლილებებით, რაც შეიძლება მომხდარიყო, უძველეს დროში გაყალბებულიყო? რატომაც არა? ხომ არის ეს ყველაზე მარტივი ვარაუდი? ეჭვგარეშეა, ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ეპიკური ნაწარმოები შეიქმნება, დაბრკოლებას ქმნის ~~სახით ფსიქოლოგიური~~ ძალა, რომლითაც ~~საზოგადოებრივი~~ წარმოსახვის [>L'imaginaire populaire<] ფაქტებს რაიმე სახით იღებს მხედველობაში; წარმოსახვა, რომელიც ფაქტებს უტყუარად შეესატყვისება, მაგრამ ისე, რომ მთავარი მოვლენების შედეგები წარსულში რჩება.³⁴⁹

განცხადება, რომ განძი საბედისწერო შეიქმნა მათ მფლობელთათვის, ერთგვარად ბანალური უნდა ყოფილიყო (მორალურად <ან არა>) საგმირო თქმულებისათვის, რომელიც თემატურად მეროვინგულ მოვლენებს ეხება. გრეგორის³⁵⁰ თხზულებაში ყოველი ბრძოლის აღწერის შემდეგ, რომელსაც რომელიმე სამეფო ოჯახის დაღუპვა მოჰყვება, ერთვის თითქმის მონოტონური რეფრენი: Et thesaurus ejus...* ხალხთა ფილოსოფიისათვის წარმოდგენები დიდი ხნიდან ისეთი გამოცანების სახით ფიქსირდებოდა, თითქოს განძი უწმინდურებითაა სავსე და <დინასტიებს და> მეფეებს ღუპავს. – ისე, რომ არაფერია უფრო ბანალური, ნაკლებ ყურადღების ღირსი და განსაკუთრებულად საყოველთაოდ ცნობილი „რანის ოქროსათვის“, ვიდრე ის, რომ [].³⁵¹

განა შეიძლება ვინმემ სერიოზულად იფიქროს, რომ ნაპოლეონ I-ის გამარჯვებებითა თუ დამარცხებებით დაღდასმული ეპოქისდროინდელ ეპიკურ ქმნალებებში დიდი მემორული თუ რომანული ამბები სრულიად შეცვლილი იქნება, ამ ამბების თუნდაც ზუსტი ისტორიული თანმიმდევრობის თვალსაზრისით? <როგორიც, ვთქვათ, სუვერენის ქორწილი, ტრიუმფი და უბედურებაა>. თუ ეს ასეა, ეს იმას ნიშნავს, რომ ან რაღაც გაურკვეველი ფაქტები იქნებოდა, ან ეპიკური თხზულება ეცდებოდა, ფეხდახეფ მიჰყოლოდა მომხდარს და თანმიმდევრულად აეწერა ყველაფერი მაშინაც კი, როცა ეს აღწერა <სრულიად არაფერს> დრამატულ მთლიანობას ვერ შექმნიდა.

→ერთი იმ დამანგრეველი ელემენტთაგანი, რომელიც ისტორიისათვის თავიდანვე ისეთ განსაკუთრებულად ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენდა, როგორიც ლეგენდაა, ისაა, რომ დეტალები, დროსთან ერთად, როგორღაც აგვარებენ

³⁴⁸ Cf. LEG, გვ. 30 f. (BPUG, ფრ. ხელნაწ. 395⁸⁴, რვეულის ყდის შიდა მხარე და გვ. IV).

³⁴⁹ Cf. LEG, გვ. 54 (BPUG, ფრ. ხ. 395⁸⁴, გვ. 27v).

³⁵⁰ გრეგორ ტურსელი (538 [?] – 594), საფრანგეთის ათგომიანი ისტორიის ავტორი.

* Et thesaurus ejus – ლათ. და მათი განძი.

³⁵¹ Cf. LEG, გვ. 55 (BPUG, ფრ. ხელნ. 395⁸⁴, გვ. 28r).

დრამატულ ერთიანობას, რომელსაც ბევრი გარემოება ემორჩილება, მაგრამ ბევრიც ეწირება, ხოლო ის, რომ თავიდანვე, პირველი მცდელობისთანავე, მოვლენები ეპიკური თხრობის არქიტექტონიკის შესატყვისი იქნება, ვერასდროს დავიჯერებ. დასაწყისში ეპიკური თხრობა გართიმულ ქრონიკას წარმოადგენს, რომელიც ცალკეულ ეპიზოდებს აზვიადებს, მაგრამ იგი <მიამიტურად> ცდილობს, კონკრეტული მოვლენები მოგონებებში აღიდგინოს. მხოლოდ მოგვიანებით იღებს იგი ლიტერატურული ნაწარმოების ფორმას, ყველაზე რუდიმენტული აზრით, რომელთან დაკავშირებითაც []³⁵² ვ. მიუღერი იმ მოსაზრებას იზიარებს, რომ ისტორიის სიმბოლიკა, საგმირო საქმეების [>gestes épiques<]³⁵³ ამხსნელია. ასე მაგალითად, ამ ავტორის საყვარელი იდეა, რომლის მიხედვითაც, პრინციის მეუღლე წარმოადგენს მეფური ძლიერების სიმბოლოს, რასაც მისი მეუღლე ახორციელებს, და რასაც მე ვერაფრით ვხვდები, აღეგორიაა, რომლის საჭიროება ან ალბათობა ან კიდევ მიზანი ვერაფრით გავიგე. თურმე, როცა [] ღმერთებს [] კლავს, ეს არის სიმბოლო, რომელიც უჩვენებს, რომ [], როცა ჰაგენი (ვალთარიუსში) თავს ესხმის ვალთარს, რომელიც ტყეში გარეულ ტახს წვავს, ხოლო როცა იგი (ეს უკანასკნელი) ბარკლის ძელით თავდამსხმელს შეუტევს და ერთ თვალს დააკარგვინებს, ეს სცენა იმის მანქნებელი ყოფილა, რომ ვესტგოთები [] – თან დამარცხებულან. – ეს სიმბოლოები, როგორც ყველა სხვა სახის ნიშნები, სხვას არაფერს წარმოადგენენ, თუ არა შედეგს იმ პროცესისა, რომელმაც მოვლენებს შორის არასასურველი [>involontaire<] დამოკიდებულება შექმნა: ისინი ან დარტყმას იგემებენ, ან უეცარ წარმატებას ჰპოვებენ. შეიძლება დათანხმდე იმას, რომ სიმბოლო უფრო ადვილი ასახსნელია, ვიდრე რაიმე, რაც ადრე სიმბოლო არ ყოფილა. მაგალითად, თანაც ამ საკითხში ლეგენდებისათვის <ბუნებრივ საფუძველზე (natürlichen Terrain)> ვრჩებით, როცა ბრძოლაში []

რადგან... რადგან...

მართლაც, შეიძლებოდა მოქმედება ბოლოს სიმბოლურად მიგვეჩნია, რაც მაინც არასწორი იქნებოდა მაშინ, როცა ფიქრობენ, რომ არავითარი ჩანაფიქრი, რომელიც კონცეფციას <რომ> სიმბოლური <ინტერპრეტაცია, განმარტება> მხოლოდ კრიტიკოსების საქმეა, რომლებიც მომხდარი ამბების ვერსიებისა და ფორმულირებების შედეგებს უყურებენ. მათთვის, ვინც ერთგულად ისმენს <ყურს მიუგდებს>, რასაც ისინი გადმოსცემენ, როგორც რაფსოდები,* რომლებმაც tel quel** თავიანთი წინაპრებისაგან გადაიღეს, სრული ჭეშმარიტება იქნება, რომ ჰაგენმა განძი რაინში ჩაძირა [] და <შესაბამისად> ამბის დასასრულს ისევე არა გვაქვს არანაირი სიმბოლო, როგორც დასაწყისში არ გვექონია იგი. ამ შემთხვევაში შეიძლებოდა პროპორციების რედუცირების ან ამბების გაშლა-გაფართოების მომენტზე, როგორც განვლილი დროის შედეგზე [>à la suite d'un temps écoulé<], მაგრამ არა სიმბოლიკაზე, ან კიდევ – გადმოცემების განუსაზღვრელი რაოდენობის სახეცვლილების შედეგზე [>nombre indéfini de récitastions transformées<] საუბარი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სიმბოლიზაციაზე.

³⁵² Cf. LEG, გვ. 76 (BPUG, ფრ. ხელნაწ. 395⁸⁴, გვ. 62v-63r).

³⁵³ შეადარე ვ. მიუღერი „გერმანული საგმირო თქმულებების მითოლოგია (Mythologie der deutschen Heldensage), Heilbronn 1886.

* რაფსოდები – (ბერძ. rhapsodos) – ძველ საბერძნეთში მოხეტიალე მომღერალი, რომელიც აგროვებდა და ასრულებდა ეპიკურ (საგმირო) სიმღერებს. ვ.კ.

** tel quel.

– სიმბოლოს ერთი, ვითომდაც, უდავო ფორმა – განძი – მეროვინგების ხანაში ესმოდათ მხოლოდ როგორც განძი და არა რაიმე სიმბოლო. მასში სიმბოლოს ნასახიც არ არის.³⁵⁴

– არა მგონია, ოდესმე ამ ბავშვურ და ფუჭ ~~სასაცილო~~ სურვილს დაემატოს ლეგენდებსა და რეალურ ფაქტებს შორის ყოველთვის შესაბამისობის პოვნის სურვილი. შემიძლია ვთქვა, რომ საუკეთესო შემთხვევებში, იძულებული ვიყავი, ასეთი ქმედებაზე წავსულიყავი, მაგრამ აქედან ბევრს არაფერს ველოდი. არა მგონია, კარგი მეთოდი იყოს, მისგან (ლეგენდებისგან) იმაზე მეტი მოითხოვო, რაც ერთხელ უკვე თავად შემოგვთავაზა.

თუმცა მაინც შევეცადე, ყოველი დასკვნა ცალკეული ელემენტებით შემენაცვლებინა, რომლის განსჯა ყველას თავად შეეძლებოდა. მე მხოლოდ ვხედავდი, რომ იძულებული ვიყავი, <ჩემი მოსაზრებებისათვის (მტკიცებულებათათვის)> მყარი ფორმა მიმეცა, რადგან ამბები ერთმანეთზე იკინებიან და მკითხველისათვის უკიდურესად <მომქანცველი> გაურკვეველი ვითარება იქმნება, როცა ერთი <წრიდან> [>anneau<] მეორეში წინა ხაზში [>trame<] რაიმეს, როგორც მყარის და კოჰერენტულის, განხილვის გარეშე გადადიან. თავისთავად აღებული <წმინდა> ანალიზი ყველა პუნქტისათვის და ყველასათვის კარგი მეთოდია, მაგრამ იგი სრულიად გამოუსადეგარია ფართო გაგრძობის ერთობისათვის, რომლის დროსაც ყოველი პოზიტიური თუ ნეგატიური ვარაუდი <მათემატიკურად> მასთან დაკავშირებულ განუსაზღვრელი რაოდენობის წინა ვარაუდებს თავისკენ მიიზიდავს და თანაც ყველა მიმართულებით. ამ გზით უნდა მიჰყვე რომელიმე თეორიას იმ შემთხვევაშიც, თუ შენი შეხედულების საწინააღმდეგოა, მაშინაც კი, როცა შენთვის მისაღები თეორია უკეთესიც იყო, ეჭვები კი თავად უნდა ახსნა.³⁵⁵

[...] → თავის შემდგომ მსჯელობებში ვ. მიულერი, მგონი, მოიხსენიებს ომს, რომელსაც ვესტგოთები გაერთიანებული ფრანკებისა და ბურგუნდების წინააღმდეგ აწარმოებდნენ, მაგრამ ამას აკეთებს მხოლოდ იმისათვის, რომ ეთქვა (სქოლიო მე-14 გვერდზე): „გამოკვლევაში ბურგუნდებისა და ფრანკების წინააღმდეგ ვესტგოთების ცალკეულ ომებზე ყურადღება არ იქნება გამახვილებული“. ეს შეიძლებოდა პრინციპთა დისკუსიის მაგალითად გამომდგარიყო. იგი ისტორიულ სიმბოლოს სწორედ იმ სახით აღიქვამს, როგორც ცალკეულ ელემენტად აღსაქმელია. კერძოდ, არა ისე, როგორც ამბის შედგენს, რომელიც კონკრეტული მოთხრობისათვის ნორმალური იქნებოდა, არამედ, როგორც სასურველ სინთეზს, როგორც განზრახ ამბის ერთგვარ ამონარიდს, სასურველ აღეგორიას.³⁵⁶

– ვალთარიაში ჰაგენთან დაკავშირებულმა ვერსიამ ამ ლეგენდაში, ალბათ, უკან დაბრუნებული ერთ-ერთი ნიბელუნგთაგანის მეშვეობით შეაღწია³⁵⁷ [...]

სათაური: ნიბელუნგების ლეგენდა,
როგორც
ბურგუნდიული ლეგენდა

ნაწარმოების უძველესი ისტორიული პერიოდის ინტერპრეტაციის ახალი ცდა

³⁵⁴ Cf. LEG, გვ. 76 (BPUG, ფრ. ხელნაწ. 395⁸⁴, გვ. 63ვ-64რ).

³⁵⁵ Cf. LEG, გვ. 78 (BPUG, ფრ. ხელნაწ. 395⁸⁴, გვ. 65რ).

³⁵⁶ Cf. LEG, გვ. 82 (BPUG, ფრ. ხელნაწ. 395⁸³, გვ. 70რ).

³⁵⁷ Cf. LEG, გვ. 82 (BPUG, ფრ. ხელნაწ. 395⁸⁴, გვ. 70რ).

სიმღერა ნიბელუნგებზე
და <ნაციონალურ> ბურგუნდიული ლეგენდა

ეპიკური თხზულების ისტორიული წარმომავლობის შესახებ
ინტერპრეტაციის ახალი მცდელობა

ბურგუნდთა I სამეფო
და <გერმანული ეპიკური> ლეგენდა ნიბელუნგებზე

ისტორიული წარმომავლობის შესახებ ახალი მცდელობა
<სტატია ისტორიის შესახებ>
საგმირო თქმულება ნიბელუნგებზე

ლეგენდა ზიგფრიდზე
და ბურგუნდთა I სამეფოს ისტორია

ლეგენდის ისტორიული ინტერპრეტაციის განმარტების ახალი ცდა
[...]³⁵⁸

<ეს, სხვათა შორის>

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩდილოეთის ქვეყნებში ლეგენდების <კლასიკური მითოლოგიის> გავრცელება <ყოველგვარი გამიზნულობის გარეშე []-გან> მეზღვაურების საშუალებით და კონსტელაციების ხარჯზე სწორედ Poeticon Astronomicon*-ის მეშვეობით ხდებოდა, რომელიც ჰიგინუსისაგან³⁵⁹ მომდინარეობს. გავრცელების ეს სახე, თუკი ასეთს ადგილი აქვს, ~~ყოფილია მეტად მნიშვნელოვანი~~ თეორიულად დიდი მნიშვნელობისაა, რადგან იგი ზეცასთან, ცაში ვარსკვლავთა განლაგების შესაბამისად, სრულიად ბუნებრივ კავშირებს, <ურთიერთობებს>, ამყარებს, რაც მითოლოგიის გმირთა ცხოვრებაში აუხსნელი რჩება.

მომდევნო მაგალითი ჩემს მოსაზრებას უფრო გასაგებს გახდის. ზოგიერთი პოეტისაგან და ზეგან მითოლოგისაგან ვიტყობთ <მთელ რიგ> ამბებს ორიონის შესახებ, როგორცაა, ვთქვათ, ორიონის მოგზაურობა ზღვაზე. რასაკვირველია, ჩვენ ვერასოდეს მოვიფიქრებდით ისეთ რამეს, თითქოს ორიონს ძაღლი ჰყავდა. <ეს> მხოლოდ ასტრონომებმა „აღმოაჩინეს“, რომლებიც გამუდმებით ორიონის ძაღლზე ლაპარაკობენ რათა, ამით ციური სხეულის ახლოს მდებარე თანავარსკვლავედი აღენიშნათ, რომელიც თავისი ფორმით ძაღლს ჰგავს. სწორედ ამითაა გამოწვეული ის, რომ მხოლოდ ასტროლოგიურმა მითოლოგიამ მიაწერა ორიონს ძაღლი.

ეს დეტალი ნაკლებ საინტერესო იქნებოდა, თუკი ვერ დავამტკიცებდით, რომ ჩრდილოეთის პოეზიის მთელი მნიშვნელოვანი ეპიზოდები [>poèm du Nord<]**, რომლებიც სინამდვილეში, ტრისტანზე თქმულებების მოთხრობად გარდათქმული არაგერმანიკული ნაწილია, ამ ასტროლოგიურ მითოსზეა დაფუძნებული.³⁶⁰

³⁵⁸ Cf. LEG, გვ. 116 (BPUG, ფრ. ხელნაწ. 395⁸⁴, გვ. 120v).

* Poeticon Astrenemicon

³⁵⁹ იგულისხმება გაიუს იულიუს ჰიგინუსი (60 ქრ. შ-მდე – 10 ქრ.შემდეგ).

** poèmt du Nord

³⁶⁰ Cf. LEG, გვ. 117 (BPUG, ფრ. ხელნ. 395⁸⁵, გვ. 2r).

<რაც შეეხება ისტორიულ ამბებს>, როგორ იქმნება ლეგენდაში სიმბოლო? ყოველთვის <ძალიან> უბრალო წესით, მაგრამ <სინამდვილეში> მათი ~~ფორმები~~ შემდგომი დამუშავება ~~რამდენიმე~~ შუამავლის მეშვეობით [>transmission par intermédiaires<]* ივარაუდება. <ეს არის> უმარტივესი ფორმა. ეპიკოსი ან ისტორიული თხზულების ავტორი მოგვითხრობს დაპირისპირებულ ლაშქართა ბრძოლაზე და, სხვათა შორის, წინამძღოლთა შერკინებაზე, რაც შემდეგში მხოლოდ წინამძღოლებზეა ლაპარაკში გადაიზრდება. ~~A და B~~ ასე გადაიქცევა ~~სიკვდილი~~ A და B სარდლებს შორის <დუელი> (აუცილებლად) სიმბოლურად, რადგან <ეს ცალკე ბრძოლაა> მთელი ამ ომის შედეგის განმსაზღვრელი, ეგებ დიდი სამფლობელოების დაპყრობისა <და პოლიტიკური და გეოგრაფიული ვითარების შეცვლისაც>, მაგრამ სიმბოლო-ჩანაფიქრმა [>une intention de symbole<] ითმაშა გარკვეული როლი <და არა რაიმე მომენტმა>. ბრძოლის დუელით შემოფარგვლა თხრობის პროცესში წარმოქმნილი სემიოლოგიური გადმოცემის <ბუნებრივი> ფაქტია [>transmission sémiologique<] და <შედეგად> მიღებული სიმბოლო რჩება მხოლოდ კრიტიკოსის წარმოსახვაში, რომელიც მოვლენებს უკან მისდევს და თავის დასკვნაში ცდება. ამგვარად, მივადექით სიმბოლოზე წარმოდგენას. როგორც „ისტორიული სიმბოლო“ აღმოჩენს, მას უნდა, რომ საგმირო ეპოსში გადმოცემული ისტორია ყოველთვის მითიურად რჩებოდეს <ან კიდევ საგმირო თქმულება ყოველთვის ისტორიული იყოს იმის მიხედვით, თუ რამდენად შეიძლება, რომ ეს სიმბოლო <არამყარი, სათუო> იყოს. <ამბები>, რომლებიც დედამიწაზე გათამაშებულან, მართალია, სუბსტანციურია, მაგრამ არასდროს არ ჩრდილავს ყველას და ყველაფერს []. მართალია, შეიძლება ეს ისტორიული ამბები საბაბს იძლევიან, რომ ნამდვილ მითოლოგიაზე ორიენტირებით, ინტერპრეტატორები ომებს მითოლოგიზებულად ხსნიან, მაგრამ, მათი აზრით, ისტორიული ამბები ისე სწრაფად ტრანსფორმირდებიან რაღაც სხვად, რომ ნამდვილ მითოლოგიას უთანაბრდებიან. კერძოდ კი სიმბოლიკის საკითხში.³⁶¹

<ჩვენთვის მოვინიშნოთ, მაგრამ არა როგორც დასაწყისი>
ამ ტომის სათაური მიუთითებს, რომ ჩვენ ისტორიულ კავშირებს ვადგენთ იმ ამბებით, რომლებიც 443-534 წლებში გათამაშდა სამეფოში, რომელიც ბურგუნდებმა სავოიაში შექმნეს და ისტორიაში შევიდა, როგორც ბურგუნდიის I სამეფო. მართლაც, ეს არის ჩვენი წარმოდგენა და ჩვენი რწმენა []. არა 434 წელს გარდაცვლილი გუნდაჰარი, არამედ 516 წელს გარდაცვლილი გუნდობადი არის ჩვენთვის გიუნთერი, რომელზედაც ბურგუნდიული ეპოსი მოგვითხრობს.³⁶²

– სიმბოლური ქმნილებების შედეგი []
– იხილეთ წიგნის გარეკანი –
სიმბოლურ ქმნილებებში, რომლებიც ყოველთვის უნებლიედ [>involontaires<] პოულობენ, გარკვეულ ნაწილს მაინც უნდა დავეთანხმეთ, ასეთებია ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა ~~ისინი, რომლებიც ყოველდღე გვესმის~~: e'est ouvrir la porte à l'ennemi, - L'homme malade de Constantinople, - ce fut un conflit où Louis XV perdit un bras et ~~Preußen~~ <Friedrich> une jambe – etc., etc., ბუნებრივია, იმგვარად,

* [>transmission par intermédiaires<]
³⁶¹ Cf. LEG, გვ. 129 (BPUG, ფრ. ხელნ. 395⁸⁶, გვ. 49r).
³⁶² Cf. LEG, გვ. 130 (BPUG, ფრ. ხელნ. 395⁸⁶, გვ. 48v).

რომ მას მინცდამაინც ვერ ამჩნევენ; და როცა ლეგენდის დასასრულს ისეთი სურათები იკვეთება, როგორცაა გახსნილი კარები, სწეული აგადმოყოფი კაცი, მოჭრილი ხელი, ისტორიის დახმარებით ხელახლა ცდილობენ მათი აზრის წვდომას და იფიქრეს, რომ ეს სიმბოლოა. შემდგომ გადმოცემებში, უბრალოდ, მცდარად იქნა გაგებული სიტყვები, რომლებსაც დასაწყისში სრულიად პირდაპირი მნიშვნელობა ჰქონდათ.

სიმბოლური ქმნილებები არსებობენ, მაგრამ ისინი შემდგომ გადმოცემებში არსებული უნებლო შეცდომების პროდუქტები ხდებიან.

მეტ-ნაკლებად განსაკუთრებული შემთხვევაა ატილა და დიტრიხი, რომლებიც ყოველგვარი სიმბოლოს მოშველიების გარეშე,³⁶³ საფუძველშივე ისტორიულად ახსნადია.

– „ის, რომ ვოლფ – ჰუგდიტრიხის თეოდორიხის, ხლოდვიგის ძეა, უღაო და უცილობელია“... სიმონსი.³⁶⁴

ამ წინადადებას შეუძლია დაგვაფიქროს, უპირველესად ყოვლისა, ყოველგვარი ფაქტისაგან დამოუკიდებლად, რადგან, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, არ იცი, რას შეიძლება ნიშნავდეს მითიური კვლევების სფეროში იგი. სწორია, რომ, როცა საკითხს უღრმავდები, რწმუნდები, რომ ამ სფეროში, როგორც ენათმეცნიერების მონათესავე სფეროში, აზროვნების ყოველგვარი შეუსაბამობა ტრადიციებისადმი არასაკმარისი რეფლექსებითაა გამოწვეული, რაც იდენტურობის <ან> <იდენტობის> ნიშნებია, როცა იგი არარსებულ არსს ეხება, როგორცაა მაგალითად ნიშნები. ~~Diese Zeichen~~ ეს ნიშნები. ეს ნიშნები სიტყვა ან მითიური პირი, ან კიდევ ანბანის რომელიმე ასო, რომლებიც თუ არა ნიშნის <სხვადასხვაგვარ ფორმებს>, სხვას არაფერს წარმოადგენენ. კერძოდ, ფილოსოფიური აზრით.

თუმცა თავად ფილოსოფიისაგან ცუდად იქნა აღქმული. <ეგებ წინათქმაში ჩაისვას>

ანბანის ასო, მაგალითად, გერმანიკულ-რუნული ანბანიდან, ერთი ასო თავიდანვე აშკარად სხვა არანაირ იდენტურობას არ გამოხატავს, თუ არა ისეთს, რომელიც ასოციაციის შედეგად მიიღება. კერძოდ,

ა. განსაზღვრულ ფონეტიკურ მნიშვნელობას

ბ. განსაზღვრულ გრაფიკულ ფორმას.

გ. გვარი ან ზესახელი, რომელიც შეიძლება მას მიეცეს.

დ. ანბანში მისი ადგილის მიხედვით წარმოქმნილი ასოციაცია.

როდესაც ამ ელემენტთაგან ორი ან სამი იცვლება, რაც გამუდმებით ხდება და ეს მით უფრო სწრაფად ხდება, რაც უფრო სწრაფად იზიდავს ეს ცვლილება თავისკენ სხვა ელემენტებს. ასეთ ვითარებაში აღარ იცი, როგორ უნდა გაიგო სიტყვასიტყვით ან არსობრივად, ხვალ ან, თუნდაც საუკუნის შემდეგ [].

<გრაფიკულ ინდივიდუუმს, როგორც საერთოდ, სრულიად საყოველთაო სემიოლოგიურ ინდივიდუუმს, ორგანული ინდივიდუუმის საპირისპიროდ, აღარანაირი საშუალება არ ექნება იმის დასამტკიცებლად, რომ იმადვე დარჩა, რადგან

³⁶³ Cf. LEG, გვ. 131 f (BPUG, ფრ. ხელნ. 395⁸⁶, გვ. 45v).

³⁶⁴ სოსიური სიმონსის ამ წინადადებას ფრანგულიდან შედარებით თავისუფლად თარგმნის: „Que wolf - <Hug> dietrich soit le Théodéric fils de Clovis est incontesté et incontestable“ (LEG, გვ. 191). ორიგინალში ეს ასეა წარმოდგენილი: „Das zunächst der Name Hugdietrich, d. i. "der fränkische Dietrich", den Merowingenkönig Theodorich I bezeichnet, ist unbestritten und unbestreitbar („ის, რომ ყველაზე ახლოს სახელი ჰუგდიტრიხი, ანუ „ფრანკელი დიტრიხი“, მეროვინგების მეფე თეოდრიხის I-ს ნიშნავს, უღაო და უცილობელია“) (შეადარეთ ბ. სიმონსის „სავაგირო თქმულებები“ პაულის წიგნში, 1900, ტ. 3, გვ. 672)“.

იგი თავისუფალ ასოციაციას ეფუძნება. <როგორც ჩანს,> თავისი ნამდვილი იდენტურობა რომ შეინარჩუნოს, დროის ზემოქმედება რომ არ ჩავთვალოთ, უუნარობა არის <ყურადსაღები> შეცდომა მათი, ვინც ნიშნებით არიან დაკავებული. გამოცალკევება არის არსის კონსტიტუციაში წინასწარ ჩადებული, რასაც დასტრიალებენ და განიხილავენ, როგორც ორგანიზმს, მაშინ, როცა იგი სხვას არაფერს წარმოადგენს, გარდა მოჩვენებისა, რომელიც გამომდინარეობს ორი ან სამი წარმოდგენის <ნაჩქარევი> კომბინაციიდან. <ყველაფერი დეფინიციის საქმეა> იმ ერთობის ამოსავლად მიჩნევის მაგიერ, რომელიც არსად არ არსებობს, თავისთავისთვის ანგარიში უნდა მიეცათ, რომ ეს განაწესია, რომელიც ერთიანობის დროებით შესაძლებლობას იძლევა [>état momentané d'assemblage<], თანაც ამ დროს მხოლოდ ელემენტებიღა არსებობენ. ამგვარად, დიტრიხი <თავისი ნამდვილი არსით> არც ისტორიულია და არც ისტორიასთან რაიმე კავშირის მქონე პირი. იგი, უბრალოდ, სამი ან ოთხი თვისების კომბინაციაა, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება გაიხსნას, ეს კი მთელი ერთიანობის გახსნას გამოიწვევს. არა მეტად თუ ნაკლებად უსუსური <ქმნილება>, არამედ რადიკალურ მთლიანობას მოკლებული <ქმნილება>: ეს არის განსაზღვრულ თვისებათა ერთადერთი პირობითი დრო, რომელიც ცრუობს და ეს არის ყოველდღიური დამოძღვრა მისი, ვინც კვლევებს აწარმოებს, რათა დაინახოს, რომ ასოციაციები, რომლებსაც ხანდახან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, <მხოლოდ საპნის ბუშტი>, ბუშტიც კი არ არის, რომელსაც, სულ მცირე, საკუთარი ფიზიკური და მათემატიკური მთლიანობა აქვს, <შემთხვევითი არ არის [] მეთოდურად და არა შემთხვევითი სახით []> თუკი [] განაცდევინებენ []

<შენიშვნა>: პროზაიკოსთა ან პოეტთა მიერ შექმნილი სახეები ერთმანეთს ვერ შეედრებიან ორმაგი მიზეზის გამო. – პრინციპში იმავე მიზეზის გამო, ისინი წარმომავლობის ბედის ანაბარა დარჩენილი და მიმოქცევაში მოქცეული ობიექტები არ არიან. ~~ჰომეროსი, ვილ ბლახის~~ <დონ კიხოტის> შესახებ არსებულ ლიტერატურას გამუდმებით შეაქვს შესწორებები იმაში, თუ რა შეიძლებოდა შემთხვევოდა დონ კიხოტს, თუკი მას ბედის ანაბარა მიატოვებდნენ და სერვანტესთან არ იპოვიდა თავშესაფარს. ამას იმის აღიარებამდე მიყვავართ, რომ ეს ქმნილებანი არც დროის გამოცდით განიხილება და არც საზოგადოებასთან მათი მორიგებით. ისინი ინდივიდუალურებად რჩებიან და არ ძალუძთ [] ასიმილირება [].

<მნიშვნელოვანია: ეს არ არის სიტყვის მსგავსი. აქ არაფერია შესადარებელი []>

იქ ითქვა: შენიშვნები.

ცხადია, ვალდებული არ ვარ, ნიშნებზე ვილაპარაკო. მხოლოდ იმას ვიტყვოდი, რომ არსს ისე წარმოადგენენ, თითქოს იგი მთელ ლეგენდას წითელ ზოლად გასდევდეს. არსებობს მხოლოდ არსთან დაკავშირებული ელემენტები. – პირველ რიგში ჩანს, რომ სახელი ერთი ა, ბ, გ, დ ელემენტოვანია და ზუსტად იგივე ხარისხში გვევლინება, რადგან ეჭვგარეშეა, იგი სწორედ ის არის, რაც უმეტეს შემთხვევაში ფარავს სინამდვილეს, რომლის დამტკიცებასაც ასე ვცდილობთ. ვერასოდეს შეძლებენ გარკვეული პიროვნებების იმის აღიარებამდე მიყვანას, რომ „დიტრიხში“ სახელი უმნიშვნელოა და იგი მხოლოდ იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც მისი თვისებები იმის მაჩვენებელია, რომ ისინი, მისი არარსებობის შემთხვევაში, აბსოლუტურ ვაკუუმში ან გაურკვეველობაში შეგვიყვანდნენ, რაც სამ ან ოთხ []. ესენი სწო-

რედ ისინი არიან, რომლებიც იმისი თქმის საჭიროებას ვერ ხედავენ, რომ ნორვეგიელი ზიგურდის ცოლის – გუდრუნისა და კრიმჰილდასაგან ერთი და იგივე სახეს ქმნიან <მაშინ, როდესაც ისინი, პირიქით, სრულიად დამოუკიდებელ ნიშნებს ავლენენ> ისე, რომ საკუთარ თავს თუ მკითხველს ამაზე გარკვეულ ანგარიშს არ აბარებენ. როგორც კი ამ ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედებებისაგან რაღაც მეთოდით თავის დაღწევას მოისურვებენ, საკმაოდ ზუსტად უნდა განჭვრიტონ, რა არის არსის <ძირითადი> ბუნება, რის შესახებაც საზოგადოდ მითოგრაფია მსჯელობს. უნდა ვაღიაროთ, რომ სახელს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

[...]

უმნიშვნელობის მაგალითი

ვერსია a – მეფე x-ს ჰყავს სამი ვაჟიშვილი: გიუნთერი, გერნოტი და გიზელჰერი. ძმებს ჰყავთ ბიძაშვილი ჰაგენი.

ვერსია b. – მეფე x-ს ჰყავს სამი ვაჟი: გიუნთერი, გერნოტი და ჰაგენი.

რის შესახებაც დაიწერება შემდეგი: ჰაგენმა გიზელჰერის ადგილი დაიკავა. ან გიზელჰერი [] უცნობია []. ამ მარტივ (პრაქტიკულად, ლამის გარდაუვალ) მოქმედებაში მთელი სამყაროა მოქცეული.

<წინასწარ> არაფერი უჩვენებს, რომ ჰაგენის როლი ის არ არის, რომელიც წინა ვერსიაში გიუნთერს გააჩნია, ან იმგვარ შფოთს [>imbroglio<] არ შეიცავს, <რომ ერთი ვერსიით მეორეზე არ შეიძლებოდა იმის თქმა, თუ რომელი მოქმედი გმირი რომელ სახელს შეესატყვისება>.

კარგად მოფიქრების შემდეგ. შევადაროთ:

ინდივიდი a $\left\{ \begin{array}{l} x\text{-ის ძმის ხასიათი} \\ \text{სახელი: ჰაგენი} \end{array} \right.$

როცა ლეგენდის მიხედვით, დიტრიხისგან <აქილევის> ჩაფხუტს იღებს, რათა იგი ზიგურდის დაადგას, ზიგურდის ცოლი, იმისათვის, რომ იგი დიტრიხს შერთონ ცოლად, აღარც დიტრიხს მისცემს და აღარც ზიგურდის შერჩება. ეს არის ზუსტად ის, რაც ასე თუ ისე გვხვდება, რაღაც ზომით არავისთვის [] ნებადართული არ არის []

<საქმე ის კი არ არის, ვიცოდეთ, შესაძლებელი თუა, რაც ლეგენდაში ხდება. ერთადერთი, რის დადგენაც ღირს, ისაა, რომ, როცა იგი ამას აკეთებდა ან ამას აკეთებს, ~~ახსოვს~~ უღონონი ვართ, ჩაფხუტის შესახებ ვთქვათ, რომ ეს იგივე პირს „ეხება“, მაგრამ უფრო ზოგადად, იგი ნაწილობრივ მუზარადისაგან შედგება>³⁶⁵

[...] ყოველ ცვალებადობისა და მოდიფიკაციისათვის განკუთვნილ ფაქტს, რომელიც ლეგენდაში გვხვდება, თანაბარი უფლებით განეკუთვნება ქცევათა მოტივაცია. ისევე, როგორც ხშირად ვხედავთ, რომ ~~მოქმედება იგივე რჩება~~ მოტივაცია იგივე რჩება, ხოლო საქმის არსი იცვლება – მაგალითად [], ზუსტად ასევე ერთნაირი მოქმედებისას – საბაბი ან მიზეზი მოქმედებისა განუწყვეტლივ იცვლება.

ლეგენდების ისტორიული მოდიფიკაციის ორივე სახე, რომელიც ალბათ ძალიან ძნელად მისაღებად უნდა ჩაითვალოს, არის:

1. სახელების შენაცვლება

³⁶⁵ Cf. LEG, გვ. 191-195 (BPUG, ფრ. ხელნ. 395⁸⁸, გვ. 211-23r).

2. (თანაბარი მოქმედების დროს) მოქმედების მოტივის <სრული შემობრუნება>
3. საქმის უცვლელობა, რომლის დროსაც მოტივაცია <ან მიზანი> გადაიდება.

<წინაპრებზე> მოგონებების უკმარობის გამო ან სხვა მიზეზით, პოეტი, რომელიც ხელახლა ქმნის ლეგენდას, ამა თუ იმ სცენისათვის მხოლოდ რეკვიზიტებს [>accessoires<] იყენებს, ამ სიტყვის ჩვეულებრივი თეატრალური გაგებით. როცა მსახიობებმა სცენა დატოვეს, იქ ესა თუ ის საგანი დარჩა – იატაკზე ყვავილი, [], რომელიც ჩვენს მეხსიერებას შემორჩება, როგორც რაღაცის მთქმელი იმის შესახებ, რაც ამ სცენაზე გათამაშდა, მაგრამ რაკილა ეს მხოლოდ ფრაგმენტია, შესაძლებლობას იძლევა ...-თვის.

უპირველეს ყოვლისა, არასდროს არ შეიძლება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, არ ვენდოთ ავტორის ჩანაფიქრს ან მოხრობელს იმაში, რაც მის თვალწინ ხდება და თავისი შესაძლებლობის მიხედვით, თანმიმდევრულად ყვება. ამ მხრივ ლეგენდის მთელ შიდა სამყაროში გაბატონებულია ძალიან ღრმა კონსერვატული ტენდენცია.

<მაგრამ> მეხსიერებაში არსებულ ხარვეზზე წარმოდგენა მნიშვნელოვანი ფაქტორია ნებასთან დაკავშირებული ცვლილებებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ტრადიციაში ჩარჩენა.

<ენობრივ სფეროში> ნათლად იკვეთება, რა ერთნაირად იფურჩქნება საზრიან ფორმათა მთელი კატეგორია, რომელიც მეხსიერების უკმარობით არის გამოწვეული. ეს ეხება ლექსიკოგრაფიულ სფეროს. როგორცაა მაგალითად, მცენარეთა სახელები <მინერალები, წვრილფეხა ცხოველები>: ცნობილია [], მოლაპარაკე სუბიექტების მასიდან მხოლოდ ნახევარს ესმის, რომ ეს სახელები მომდევნოს გადაეცემა და, ამასთან ერთად, ტრანსფორმაციის კანონს დამორჩილებულები, მათგან სრულიად განსხვავებული და ჩვეულებრივი სიტყვები შეიქმნება... და ხალხის სიტყვიერების კომპაქტურ კვლევას დააგვირგვინებს.³⁶⁶

საყოველთაო

როგორც ენის [>langue<], ისე ლეგენდის კეთილშობილებას ეწირება ის, რომ როგორც ენა, ისე ლეგენდა, იმისათვის არიან განწირული, რომ შემოქმედების წყაროდ მხოლოდ ელემენტები გამოიყენონ, რომლებიც მათ უკვე ხელთ აქვთ და რომლებსაც ნებისმიერი აზრი გააჩნიათ. ესენი ერთიანდებიან და გამუდმებით ახალ და ახალ აზრს იძენენ. არსებობს მნიშვნელოვანი წესი, რომლის თანახმადაც, ჯერ კარგად უნდა მოიფიქრო, ვიდრე ლეგენდის შესახებ ამ კონცეფციის მცდარობაზე დასკვნას გააკეთებ: ვერსად ვერ ვნახავთ რაიმე გაფურჩქნულს, რომელიც უსიცოცხლო ელემენტების კომბინაცია არ იყოს და ვერსად ვერ ვნახავთ, რომ მატერია სხვა რამ იყოს, თუ არა გამუდმებული კვება, რომელიც აზროვნებით მუშავდება, წესრიგდება და გაბატონდება, რაზეც აზროვნებას უარის თქმა არ შეუძლია.

თუკი წარმოვიდგენთ, რომ რაღაც ლეგენდა იწყება იმავე აზრით, რომელიც მის უპეველეს ვარიანტს გააჩნდა, ან უფრო მეტიც, თუკი წარმოვიდგენთ, რომ მას აბსოლუტურად არანაირი აზრი არ შეიძლება ჰქონდეს, იქნება ქმედება, რომელიც ჩემი წარმოსახვის შესაძლებლობებს სცილდება. ჩანს, ნამდვილად ტყუილად მიაწერენ, თითქოს საუკუნეების მანძილზე მატერიალური ელემენ-

³⁶⁶ Cf. LEG, გვ. 219f (BPUG, ფრ. ხელნ. 3959.3, გვ. 2r-2v).

ტები არასოდეს გადასულა [>transmis<] ლეგენდებში, რადგან, როგორც კი მოცემულ ხუთი ან ექვს მატერიალურ ელემენტს კომბინაციის მიზნით ხუთ ან ექვს პიროვნებას მივცემ, რომლებიც ცალკე-ცალკე მუშაობენ, აზრი სულ რაღაც რამდენიმე წუთში შეიცვლება. []³⁶⁷

სავარჯიშოს, რომლის მიზანია ლეგენდაში წარმოდგენილ პიროვნებასა და ისტორიულ პირს შორის „იდენტურობის“ ძიება, შესაძლებელია, საწყის ეტაპზე მხოლოდ ძალიან შეზღუდული მნიშვნელობა ჰქონდეს. <ეს არის ის,> რაც აუცილებლად <სპეციალურ> მეთოდოლოგიას მოითხოვს მხოლოდ იმისათვის, რომ ვიცოდეთ, რაში შეიძლება გამოიხატოს იდენტობა, რა ნიშნებით უნდა გამოვიცნოთ ან ვადიაროთ იგი. თავისთავად მხოლოდ სახელი არაფერს ნიშნავს. ეს <ცხადია> ~~ნათელია~~. არის ეს პიროვნებათა ქმედებები ან მათი ხასიათი, ან მათი თანმხლები ან [] ან კიდევ რაიმე, რაც იდენტობის კრიტერიუმს შექმნის? ერთად აღებული – ცოტ-ცოტა ყველაფერი, მაგრამ აქედან ცალკე აღებული – არაფერი, <რადგან ერთდროულად ყველაფერი შეიძლება ტრანსფორმირდეს და a-დან b-ზე ტრანსპორტირებაც განიცადოს>. რაც უფრო მეტად ჩავუღრმავდებით ამ საკითხს, მით უფრო მეტად გამოჩნდება, რომ საქმე ის კი არ არის, სად ან, უფრო სწორად, სადღაც შეფერხდა იდენტობა, არამედ ის, რაიმე აზრი თუ აქვს ამაზე მსჯელობას [...] ³⁶⁸

1. მოცემულ ლეგენდაში, როცა კონტროლის სხვა საშუალება არ არსებობს, <შეცდომა იქნებოდა დაგვეჯერებინა>, თითქოს მეტად თუ ნაკლებად შესაძლებელი იყოს ~~სწორია იმის თქმა~~, რომ, უბრალოდ, შეუძლებელია იმის ცოდნა, თუ რომელი სვლება არსებითი, <რომელია ის სვლები>, რომლებიც <ცხად და თანამედროვე> ლეგენდას ~~იმასთან, რაც გარდასულია~~ <უცნობ, უფრო ადრინდელ ლეგენდასთან დააკავშირებდა. ეს შეუძლებლობის სფეროა>.

2. გამუდმებით უნდა ვამტკიცოთ, რომ მოცემულ ლეგენდებში და სხვადასხვა ვერსიებიდან მომდინარე შესადარებელ საშუალებებში ელემენტების, საერთო მოვლენების, სიტყვების კომპარატიულ ღირებულებას, რომლებსაც ამა თუ იმ კონტექსტში ვხვდებით და რომლებიც მათ აზრს ცვლიან, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განსჯის საგნად იქცნენ. [] რაც <კონკრეტულ> შედეგს შეეხება, მცირედი რწმენაც კი არა მაქვს <არა მარტო> იმისა, რასაც ორი ან სამი ლეგენდის შედარებიდან გამოიყვანენ, არამედ არც იმისა, რაც <ერთადერთი> ლეგენდის ვარიანტების შედარებით მიღებულ შედეგს შეეხება მანამ, ვიდრე შინაგან კომბინაციაზე არ იქნება მითითებული. იმის გასარკვევად, ლეგენდებს ისტორიულ ფაქტებთან თუ აქვთ რაიმე კავშირი, ფუჭი გარჯა იქნებოდა, რომ თავად მეთოდი განგვეხილა როგორც <დილემა>, რადგან შეუძლებელია იმის ცოდნა, თუ რომელ დეტალს აქვს მნიშვნელობა.

<დილემა> თუ ლიგენდა არავითარ კავშირში არ არის ისტორიულ მოვლენებთან, მეთოდების განსჯა ფუჭია, რადგან შეუძლებელი იქნება იმის გარკვევა, თუ რომელი დეტალია ნაგულისხმევი. რაც შეეხება ისტორიულ ფაქტებს. რაკი ამ შემთხვევაში მას, როგორც მოსალოდნელს კი არა, ისე ვღებულობთ, როგორც მოულოდნელს, ეძლევა ლეგენდის გაგებისათვის წინასწარ გაუთვალისწინებელი შესაძლებლობა []. <ლეგენდის სიღრმეებში ჩასაწვდომად რაიმე გარეგანი საყრდენი იქნებოდა საჭირო.>

³⁶⁷ Cf. LEG, გვ. 307f (BPUG, ფრ. ხელნ. 3959.10, გვ. 18).
³⁶⁸ Cf. LEG, გვ. 312 (BPUG, ფრ. ხელნ. 3959. II, (გვერდები არ არის დანომრილი).

ლეგენდების არსის ბუნების შეპირისპირების შესახებ³⁶⁹

ენაში ახლა არსებულ მდგომარეობასა [>état de langue<] და იმას შორის, რაც სამი ან ოთხი საუკუნის შემდეგ იქნება, <მის ცვლილებებში გაუთვალისწინებელ ელემენტებთან ერთად> არსებობს სულ მცირე რაღაც, რაც მყარია. სახელდობრ, ფონეტიკური ნიშნების მატერიალური ფორმა, რომელიც <საუკუნეების მანძილზე> ტრანსფორმაციის ნებას მხოლოდ და მხოლოდ მტკიცედ განსაზღვრული სქემის მიხედვით ემორჩილება. ლეგენდის პირვანდელ მდგომარეობასა და იმას შორის, რაც სამი ან ოთხი საუკუნის შემდეგ მის ადგილს დაიკავებს, <პირიქით>, არ არსებობს არავითარი ელემენტი, რომელიც მტკიცე იქნება, ან კიდევ იმისათვის გაპირობებული, რომ მტკიცე იყოს. არც რომელიმე პირის ქმედებები []

არც მისი []

არც []

ყველაზე მყარი საკითხები, – მაგრამ ეს მხოლოდ გამოცდილების საქმეა და არა რაღაც, რაც ისეთსავე ყურადღებას მოითხოვს, როგორსაც ფონეტიკური უწყვეტობა ენაში [>langue<], – არის: 1. მეფის ტიტული საპირისპიროდ გუვერნიორის, გრაფისა და ა.შ. იგი ლეგენდის მოქმედ პირთა მთელ გაღერებაში ძალიან იშვიათად იცვლება და შეიძლება არც არასდროს იყოს ვინმე სუვერენად წარმოდგენილი, თუკი ის რეალურ უმაღლეს ხელისუფალს არ შეესატყვისება, ან პირიქით: არასდროს არ იქნება ვინმე მარკგრაფის ან <თუნდაც> ჰერცოგის <მთავრის, თავადის> რანგში ჩამოქვეითებული, თუკი იგი ისტორიულად მეფის ტიტულს ატარებდა.

2. დროთა განმავლობაში მეორე, შედარებით უცვლელ პუნქტად შეიძლება დარჩეს ინდივიდთა ხასიათები, – თუმცა ამაზეც შეიძლება დიდხანს კამათი. – შეიძლება და აუცილებელიცაა, რომ ხასიათის მიხედვით განვასხვაოთ მეტად თუ ნაკლებად სიმპათიური ქმედება, რომელიც ვითარებათა კომბინაციაზე დამოკიდებული. ფაქტად რჩება, რომ ხასიათის საფუძველი [] არის [] <იხილეთ> [უკანა გვერდი].

სულ მცირე, განწყობა თითქმის ყოველთვის კარგად არის შემორჩენილი და შემდეგ.

იმგვარად, რომ არაფერია ლეგენდაში მუდმივი, []³⁷⁰

მესხიერების ხარვეზები [] ლეგენდებით დაინტერესებულ ადამიანებში [>détenteurs attirés de la légende<] არის ნეგატიური <ფსიქოლოგიური> პრინციპი, რომელიც ასეთ მასალაში [] იქით არის მიმართული, რომ მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგი გამოიღოს: რაღაც ისეთის გამოგონება იმის სანაცვლოდ, რაც სასურველ მომენტში ვერ გაიზარა.

არ არსებობს ბებია, რომელიც, როცა შვილიშვილებს რაიმე ამბავს უყვება, [].

მესხიერების ხარვეზია რაღაცის შეგნებული გამოგონება იმ მიზნით, რომ ის რაღაცა შეცვალოს, რაც მთხრობელს სასურველ მომენტში არ ახსენდება და მისთვის წარმავალი დამცირებაა, რომლის დაფარვასაც საზოგადოების წინაშე ცდილობს. ეს ლეგენდის ზოგადი დანიშნულების ცვლილებისათვის [>transformation<] ძალიან დიდი და კანონზომიერი ფაქტორთაგანია. შეიძლება ითქვას, რომ დავიწყება ამ შემთხვევაში მოქმედებს, როგორც პოზიტიური

³⁶⁹ Cf. LEG, გვ. 313 (BPUG, ქენევა, ფრ. ხელნ. 3959.II, (გვერდები არ არის დანომრილი).

³⁷⁰ Cf. LEG, გვ. 314 (BPUG, ფრ. ხელნ. 3959.II, გვერდები დაუნომრავია).

ფსიქოლოგიური ფაქტორი (რადგან დავიწყება, ყოველ მიზეზგარეშე, უნდა გამოსწორდეს), აქვე <უნდა> შევნიშნოთ, რომ ენობრივი ფორმების უსასრულოდ მრავალ დელიკატურ სფეროში იგივე ფენომენებს ვხვდებით.³⁷¹

შიიძლება ითქვას, რომ „ნიბელუნგების სომღერისგან“ საკვანძო რომანს ვკმნით, რომელშიც საკმარისია ერთი სახელი მეორეთი შეიცვალოს, რომ ყოველ განხორციელებულ მოქმედებას აზრი ჰქონდეს. იმედი მაქვს, საკმაოდ ნათლად წარმოვანჩნ ყოველ ნიუანსს, რომელიც ასე სასაცილო სისტემას დეტალებში უარყოფს. ამით იმაზე მეტად აღარ დამადანაშაულებენ. მთლიანობაში თუ განვიხილავთ, გულწრფელად ვაღიარებ, „ნიბელუნგების სიმღერა“ ზუსტად ასე მესახება და ისიც, რომ ზუსტი არ იქნებოდა იმის თქმა, თითქოს სახელების ცვლა ყოველთვის საჭირო იყოს.³⁷²

IV. ნაწყვეტები „ანაგრამების შესახებ გამოკვლევებიდან“ 373

ძვირფასო მეგობარო,

გულწრფელ მადლობას გიხდით იმ თავაზიანობისათვის, რაც თქვენი დაწინაურების ამბის ჩემთვის შეტყობინებაში გამოიხატა. ამის შესახებ ინფორმაციას სრულიად შემთხვევით მოგკარი თვალი ფრანგულ გაზეთში. კარგად

³⁷¹ Cf. LEG, გვ. 440 (BPUG, ფრ. ხელნ. 3959.II, გვერდები დაუნომრავია); ეს შენიშვნები მოთავსებულია ფურცელზე, რომელსაც ახლავს წერილის გამოშვების შემდეგი შტამი: Hotel du Faucon/Fribourg/ Suisse. Fribourg, le ... 190 ... (შეადარეთ: პროსდონიმი, 1983, გვ. 57).

³⁷² Cf. LEG, გვ. 447 f (BPUG, ფრ. ხელნ. 3959.II, გვერდები დაუნომრავია).

³⁷³ საოცარია, რომ დღემდე სოსიურის შემკვიდრებობიდან გერმანულენოვანი პუბლიკაციებით მხოლოდ მისი ეგრეთ წოდებული ანაგრამების შესახებ არსებული ესკიზების უაღრესად მდიდარი ხელნაწერები გახდა ხელმისაწვდომი. ამ საქმის სათავეში დგას პეტერ ვუნდერლის დიდტანიანი მონოგრაფია („ფერდინანდ სოსიური და ანაგრამები“, ტიუბინგენი 1972 [=P. 33], რომელიც იმავე წელს „I er cahier à lire préliminairement“ „ფრანგული ენისა და ლიტერატურის ჟურნალში“, 82, გვ. 193-216. [=P.34] გამოქვეყნდა. ამას 1980 წელს მოჰყვა სოსიურის ესსეს „სიტყვები სიტყვებს შორის, ფერდინანდ დე სოსიურის ანაგრამების“ (ფრანკფურტი [=P.53] გერმანული თარგმანი, რომელშიც მის მიერ მოძიებული სოსიურის გამოკვლევებისადმი მიძღვნილი თავისი სხვადასხვა სტატია შეკრება (შეადარეთ, დამატება, გვ. 558 f., P. 27, ასევე P. 13, P. 16, P. 23, P. 24, P. 26). სხვა მოკლე ნაწყვეტები იმავე წელს გერმანულ ენაზე თარგმნა და სოსიურის შესახებ თავის მონოგრაფიას დაურთო თომას შერერმა (გვ. 165 f.). დაბოლოს, დევიდ შიფერმა 1986 წელს ფრანგულენოვან მთელი წყება გამოაქვეყნა სტატიაში „სოსიურის ანაგრამები და გერმანული პოეზია“ (ჟურნალი „ენათმეცნიერება“ II/1-2, გვ. 52-79 [=P.66]). სოსიურის შემკვიდრებაში ანაგრამებთან დაკავშირებული ნაწყვეტები კმნიან უზარმაზარ თემატურ კონას (3 700 ფურცელი). ამასთან ერთად, ძალიან ხშირად მოეღ რიგ გვერდებზე პედანტურადაა განაწილებული ლექსების ცალკეული სტრიქონების ასოთა თანამიმდევრობა, რომელთა საშუალებითაც სოსიურს თავის მიერ ნავარაუდები კანონების დასაბუთება სურდა. ამიტომ ჩვენ აქ (უკვე მოცემული) ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მაგალითის ტრანსკრიფციით შემოვიფარგლეთ (შეადარეთ მონახაზი, გვ. 216) იმ პასუხისათვის ადგილის მოსაგებად, რომელშიც სოსიური ლექსების მისეულ ანალიზზე ფიქრობს.

დასაწყისში შერჩეული ტექსტები ნაწყვეტებია იმ წერილებიდან, რომლებშიც სოსიური ანაგრამების შესახებ თავის გამოკვლევებს მოიხსენიებს და რომლებიც მათი დათარიღების საშუალებას იძლევიან (შეადარეთ ზევით, გვ. 218 f., და დამატება, გვ. 546 f). დასასრულს (გვ. 443-374), ენის თეორიის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი პასაჟების მთელი ნაკრები მოსდევს, სადაც მნიშვნელოვანწილად ვეგრდნობით გერმანულ ენაზე მოპოვებულ სტარობინსკის ესსეების მასალებს. ამასთან ერთად, ვურთავთ ტექსტებზე სტარობინსკის მიერ გაკეთებულ შენიშვნებს, რომლებიც მნიშვნელოვანია. შერჩეული ტექსტები შეივსო სოსიურის შემკვიდრების გვიანდელი პუბლიკაციებიდანაც (ვენდერლი, 1972 a [=P.34], პროსდონიმი და მარინეტი, 1991 [=P.71]).

რამდენადაც სოსიურის ხელნაწერებიდან ნაწყვეტების მხოლოდ მცირე ნაწილია სწორად დათარიღებული, ზოგიერთი გამოჩაკლისის გარდა, ვირჩევთ რ. გოდელის მიერ დაწესებულ BPUG-ისეულ ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას.

ორივე წერილის თარგმნისას ტექსტის შერჩევა მოხდა ჯიოვანი პასკოლისთან შეთანხმებით. ეს ტექსტები ლეოპოლდ გოტიეს ცნობით, WUW, გვ. 124) სოსიურის ანაგრამების გამოკვლევების ბოლოშია მარკირებული (გვ. 476 ff).

მოგესხენებათ ჩემი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი და ის დიდი სიხარული, რასაც განვიცდი როგორც თქვენსა და ფრანგული ლინგვისტიკის გამო, ისე მ. ბრეალის მიმართაც, რომელმაც თქვენი სახით ისეთი მემკვიდრე იპოვა, მის კათედრას და მის არჩევანს პატივს რომ დასდებს. კიდევ ერთხელ გისურვებთ ყოველივე კარგს. თქვენმა წერილმა, რომელიც ამ კვირაში მივიღე, დიდი სიამოვნება მომანიჭა. პირველ რიგში მახარებს ის ამბავი, რომ კარგად ხართ. ალბათ, არც ღირს იმის თქმა, რომ აქ ბევრს არაფერს ვაკეთებ. მხოლოდ ფორუმის არქაული წარწერებია ჩემთვის შესაფერისი საუკეთესო გართობა იმ დროს, როცა ტვინის ჭყლეტის მოთხოვნილება მიჩნდება. ცხადია, აქედან არაფერი გამოდის, მაგრამ საინტერესოა საიდუმლოებებით მოცული ტექსტების მთელი ბლოკის თვალიერება და ტექსტის ვარიანტებში თვალნათლივ *de visu* დარწმუნება. ჯერ კიდევ ვეჭვობ, რომ ყველა შემთხვევაში იმის უტყუარობის ხარისხი საფუძვლიანი იყოს, რაც შეეძლოთ მათთვის მიეცათ ან პირიქით, აუცილებლად უნდა მისცემოდა ის მნიშვნელობა, რაც არ აქვს, განსაკუთრებით პირველს, რომელიც შეიძლება წაკითხული იქნას, როგორც +(x). (ეს x, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ერთი x-ით მეტია და ამ საქმისათვის ასეთები საკმაოდ ბევრია...). ჩემო ძვირფასო მეგობარო, ბევრი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს თქვენთან და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს იმ გზაზე, რომელიც ეს-ესაა თქვენს წინ გადაიშალა.

ფ. დე სოსიური
რომი, 23 იანვარი 1906³⁷⁴

[...] სატურნული ლექსის ყველა მიმართულებით ჩხრეკის დროს იმ ახსნამდე მივდი, რისი გაგებაც ალბათ გესიამოვნებათ, და რისი გაზიარებაც თქვენთვის მსურს (ჯერჯერობით, ჩვენს შორის დარჩეს), რადგან თქვენს მიერ გამოჩენილი ძალისხმევით ჩემი გამოკვლევისადმი თქვენი დაინტერესებაც დამიმტკიცეთ.

ეს განმარტება იმდენად მარტივია, რომ მეცინება კიდევ, როდესაც იმ შემოვლით გზებზე ვფიქრობ, რომლებიც ამ საქმის კვლევას დასჭირდა, სანამ მას მივაგნებდი. ჩემთვის დღეიდან სატურნირი სხვა არაფერია, თუ არა წმინდა და მარტივი, ბერძნული ეპიკიდან მომდინარე ჰეგზამეტრი, რომელმაც ისეთი ადაპტაცია განიცადა, რომ დასაშვებია სპონდეს შეცვლა ანაპესტით, ტრიბრაქით, ამფიბრაქით და დაქტილითაც. არსებობს კიდევ სხვა თავისუფალი ქმედება, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ეს თავისუფლებაა ის, რაც ჰეგზამეტრისაგან იმგვარ განსხვავებას ქმნის, რომ სატურნული ლექსის მიმდევარი პოეტი, რომელსაც ლექსში შემთხვევით თავისუფლების არანაირი მოთხოვნილება არ უჩნდება, აუცილებლად დაქტილურ ჰეგზამეტრში გადავარდება, თანაც, სულ დიდი, შეიძლება ცეზურამ აჩვენოს განსხვავებულობა.

[...]

შესაძლებლობა რომ მოგეცემათ, გამაგებინთ, რას ფიქრობთ ყოველივე ამაზე.

თქვენი ერთგული
ფ. დე სოსიური³⁷⁵

³⁷⁴ Cf. LAM, გვ. 106 [=B. 071]. არქაული წარწერების გაშიფვრა, რის შესახებაც სოსიური ა. მეიეს ამ წერილით ატყობინებს, სავარაუდოდ, გამოკვლევების დასაწყისშია მოცემული, რომლებმაც სოსიური ანაგრამების კვლევაზე მიიყვანეს.

³⁷⁵ Cf. ა. პროსდონიმი და ა. მარინეტი: „Soussure e il saturnio“ (სოსიური და მისი სატურნული ლექსი). CFS 44, [1990]. 1991, გვ. 43 f. [= B. 072]-ში. ნაწევრები ქ. ბალიხადმი 1906 წლის 5 ივლისს მიწერილი წერილიდან).

დრმად პატივცემულო ბატონო, გმადლობთ იმ ბჭკარედებისათვის, რომლის შესახებაც ამ ცოტა ხნის წინ გწერდით. ვიდრე თქვენს ძალიან სწორ დაკვირვებებს შევეხებოდე, ნება მიბოძეთ განვაცხადო, რომ ამასობაში მთელი მიმართულებით გავიმარჯვებო. ორი თვე იმით ვიყავი დაკავებული, რომ ურჩხულთან ბედი მეცადა და გამარჯვებული გამოვსულიყავი, სამი დღის წინ კი მიძიმე არტილერიის ჯვრით წავიწიე წინ. ყველაფერი, რაც დაქტილური (ან, უფრო სწორად, სპონდელური) მეტრის შესახებ დავწერე, ისევე ძალაში რჩება, თუმცა ამასობაში ალიტერაციის საშუალებით საბოლოოდ ვიპოვე სატურნული ლექსის გასაღები, რომელიც (გასაღები) სხვა სახის ისეთ სირთულეებს შეიცავს, მსგავსი ადრე რომ ვერ წარმოედგინათ.

ალიტერაციის მთელი ფენომენი (რითმებისაც), რაც სატურნითან შეინიშნება, მხოლოდ არაარსებითი ნაწილია უფრო ზოგადი ან, უფრო სწორად, აბსოლუტურად ტოტალური ფენომენისა. ყოველი სატურნული ლექსის მარცვალთა ერთობლიობაა სწორედ, რომელიც პირველიდან ბოლო მარცვლამდე ემორჩილება ალიტერაციის წესს იმაგვარად, რომ არც ერთი კონსონანტი, არც ერთი ხმოვანი არც ერთ შემთხვევაში არ დაემორჩილებოდა მხოლოდ ხმოვანთა რაოდენობის გუდმოდგინე გამოთვლას. შედეგი იმდენად გასაოცარია, რომ, უწინარეს ყოვლისა, საკითხავია: როგორ მოახერხეს ასეთი ლექსების ავტორებმა (ნაწილობრივ ისეთი ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორებმაც, როგორებიც ანდრონიკუსი და ნავეუსია), სად იპოვეს საიმისოდრო, რომ ასეთ თავსატეხს გადაგებოდნენ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სატურნული ლექსი ნამდვილი სიტყვის თამაშია, სადაც ყველა მეტრული მომენტია გათვალისწინებული. ეს მაგალითების დასაშლელად უამრავ დროსა და დიდი მოცულობის ნოტაციებს მოითხოვს. მე კი მხოლოდ ორი სტრიქონი მჭირდება წესის ჩამოსაყალიბებლად:

1. სატურნულ ლექსში ხმოვანი ვერ გამოჩნდება ისე, თუ ამ ლექსში მას საპირისპირო ხმოვანი არ მოეპოვება (სახედლობრ, იდენტური ხმოვანი. თანაც ისე, რომ იგი რაოდენობრივ შეზღუდვას არ იწვევდეს. რაც ელერადობის ელფერს შეეხება, თამაშის სივრცე სულ დიდი-დიდი მოკლე ო-ს, მოკლე ი-ს, მოკლე ო-ს და მოკლე უ-ს შორის არის მოქცეული. 2. ზოგჯერ ო: ei-სა და ზოგჯერ ო: u-ს შორის³⁷⁶). აქედან გამომდის, რომ, როცა ლექსში კენტი მარცვალი არა გვაქვს (ამასთან ისე უნდა დაითვალოს ყოველი მარცვალი, რომ ყურადღება არ მიექცეს დანარჩენ იშვიათ ელიზებს, რომლებსაც ლექსის მეტრი მოითხოვს), ხმოვნები ზუსტად წყვილდებიან და ნაშთი ყოველთვის ნულს უდრის ყოველი სახის ბგერისათვის წყვილის აღმნიშვნელი ციფრით. მაგ.: 2ა, 4ბ (=ი), 6ბ (=უ), 2ა. როდესაც ლექსში კენტი მარცვალია, ვთქვათ, 11, 13 ან 15, საჭიროების მიხედვით 1 ხმოვანი საპირისპირო ხმოვნის გარეშე რჩება. გაგრძელება იხილეთ ქვემოთ, რაც იქედან გამოვა. –

³⁷⁶ [S.:] ო/ი-სა და ო/უ-ს შერევა, ალბათ, სრული არ არის და ერთხანს შეიძლება ყველა ლექსის იმ მიმართულებით კვლევა, არსებობს თუ არა განსხვავება ი-სა და victus*³⁷⁷ ი-ს შორის და Cereris*³⁷⁸ ო-ს შორის; ასევე უ-სა და lubens*³⁷⁹ უ-ს და ო-სა და cum*³⁸⁰ ო-ს შორის: ჯერჯერობით ვერანაირ სიძნელეს ვერ ვხედავ იმაში, რომ საყოველთაო ექვივალენტად ო=ი, და ო=უ იქნას მიღებული.

* victus – ლათ. ცხოვრება, საკვები, გამარჯვებული.

Cereris – ცერერა, რომაულ მითოლოგიაში ნაყოფიერების ქალღმერთი.

lubens (libens) - ლათ. მზადყოფი, ხალისიანი.

cum – ლათ. კავშ. როდესაც, რადგანაც, როგორც კი.

2. თანხმონების წესი. იგი იდენტურია და არანაკლებ მკაცრი. არც ერთი თანხმონი, თვით იმპლოზივის შემთხვევაში, როგორცაა *stant* და ისეთი დაბოლოებისას, როგორცაა *Loukanam*, უფრო ნაკლები გულისხმიერებით არ იქნება გათვალისწინებული, ვიდრე ხმოვანთა რიგში ბოლო კიდური *č* ან *ñ*. ნებისმიერი თანხმონისათვის ყოველთვის არსებობს მოცემულობა და, პირველ რიგში, არ შეიძლება იმ თანხმონების დაიწყოება, რომლებიც ჯგუფებად გამოდიან: უჭკველად, ლექსში სიტყვა *qvod*-ს ასეთი თანმიმდევრობით მისდევენ ბგერები: 1. გრძელი *q* ან *c*; 2. გრძელი *v*; 3. გრძელი *d*. კერძოდ კი მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი გრძელი *q-c*; ერთადერთი გრძელი *v*, ერთადერთი გრძელი *d* – სულ მცირე მაშინ, როცა 4, 6 ან 8 მათგანი არ არის, რომლებიც ყოველთვის წყვილებს ქმნიან.

საქმე მაინც უფრო შორს მიდის:

3. როდესაც რომელიღაც შეუკვეცავი ნარჩენი არსებობს, გინდ ეს ხმონებთან იყოს, რაც საჭიროებისამებრ გამოჩნდება, როცა ლექსი მარცვალთა კენტ რაოდენობას შეიცავს და გინდაც თანხმონებთან, რაც თანხმონთა ჯგუფის მიერ მარცვალთა ნებისმიერ რაოდენობასთან შეიძლება ადვილად მოხდეს, მაშინ ამ ნაშთს, როგორც შეიძლებოდა გვეფიქრა, არა მარტო ადვილად ავუვლით გვერდს და იქნება ეს მხოლოდ მარტივი *č* ან მარტივი *l* იყოს ისეთი ჯგუფიდან, როგორცაა *fl*, რომელიც უკვე *f*-ით არის ალიტერირებული, არამედ პოეტი მხედველობაში იღებს ამ *č*-ს ან ამ *l*-ს და იგი, როგორც ახალი ნაშთი, თავს იჩენს მომდევნო ლექსში, რომელიც წინა ლექსის ზედმეტი მარცვლის შესატყვისი იქნება. ამაში ძვეს წესის ყველაზე უფრო მხიარული გასართობი ელემენტი, რისთვისაც ნებისმიერი მაგალითის მოტანა შემიძლია როგორც წარწერებიდან, ასევე ლიტერატურული ტექსტებიდანაც, თუმცა მათ შორის, სამწუხაროდ, ძალიან იშვიათია, რომ ორი ერთმანეთს მიყოლებული ლექსი გაგვაჩნდეს. [...] ³⁷⁷

[...] მაგრამ შედეგი, თავისი ინდოევროპული მნიშვნელობის გამოც, დამაბნეველია. ამ შემთხვევაში უკვე საქმე ნამდვილად აღარ ეხება ისეთ რამეს, რაც გაუცნობიერებლად გადაეცემა ენას [*>langue<*] ან თავად ლექსს, რითმას და გარეგნულ ფორმას, არამედ, საჭირო შემთხვევაში, – კავის* ან ფატის** საიდუმლოსაც, რომელიც იმ ფორმულის შესწავლას მოითხოვს, რაც მომდევნო ათასეული წლების მანძილზე ოსტატის მიერ შევირდებს გადაეცემა.

თავისთავად ცხადია, რომ გერმანულ ლექსწყობაში ის, რაც ალიტერაციას შეეხება, თუმცა „იგივე“ მოვლენაა, მაგრამ მხოლოდ მსგავსი სისტემის ერთ განშტოებას წარმოადგენს, რომელიც შემთხვევითი ენობრივი სინკოპით დამახინჯებული, ყველა მარცვლის ალიტერაციის საშუალებას აღარ იძლევა. ეს სრულიად ნეგატიური მომენტია, რომელმაც იმავდროულად საწყის მარცვალზე მახვილის დასმითაც გერმანიკულ ენებში სიტყვათა დასაწყისის შესაბამისობის სისტემა შეზღუდა. თითქმის მნიშვნელობას მოკლებული მიბაძვა, რაც მის ფასეულობის სფეროს და მის პრინციპს შეეხება, სრულიად განსხვავებულს იმისაგან, რასაც იგი თავის წარმომავლობას უმაღლის.

³⁷⁷ Cf. MSM. გვ. 20-22; WUW, გვ. 14-16 (BPUG, ფრ. ხელნ. 3962) [=B.073]. ნაწევები ქრ. ბალისადმი მისაწერი წერილის მონახაზიდან. შეადარეთ 17 იელისს ქრ. ბალისადმი გაგზავნილი წერილი (პროსლონიმისა და მარინეტის მიერ 1991 წელს გამოცემულ წიგნში [=B. 074 71-ე გვერდზე]. გვ. 45-53), რომელიც ნაწილობრივ სიტყვისიტყვით ემთხვევა ამ მონახაზის აქ მოცემულ თარგმანს.

* კავი – ხანსკრიტზე პოეტს ნიშნავს.

** ფატი (–ეს) – (ლათ.) წინასწარმეტყველი, მისანი, პოეტი.

მაგრამ ყველაფერი ეს, რაც დავწერე, სულაც არ მიმანია მოულოდნელად იმასთან შედარებით, რასაც მე ბერძნულთან დაკავშირებით მოველოდი. ამ წერილის მოცულობის ორჯერ გაზრდა მაინც დამჭირდებოდა, ყველაფერ ამაზე თქვენთვის გარკვეული წარმოდგენის შექმნა რომ მომენდომებინა. ლესბოსური ლექსების კვლევა ისე დაიწყო, საჭირო წიგნები ხელთ არც კი მქონია. რამდენადაც გამომივიდა იმ ფრაგმენტების საშუალებით, რომლებიც ზეპირად გამახსენდა, ვეცადე, დაგვირგებოდი, საფოც თუ ითვალისწინებდა იგივე წესებს. ეს მე სათუოდ მეჩვენებოდა, მაგრამ ამჯერად ამის შესახებ არაფრის თქმა არ შემიძლია. ჰომეროსიდან ფრაგმენტები, რომლებიც მესხიერებით თანმიმდევრულად აღვიდგინე, ძალიან დიდი მოცულობის გამომივიდა, მაგრამ ერთგვარი სირცხვილი კი განვიცადე იმის გამო, რომ ჩემი სატურნულ-ვედური წესის გადამოწმება სხვა რამისათვის გამოზნული ამ ეპიკური ტექსტით მოვიწადინე. კერძოდ, იგი იმისათვის დამჭირდა, რომ მეთქვა: თამაში ძველ საბერძნეთში, სადაც იერატიული* ფორმულარები ნაკლებ გავლენას ახდენდნენ ხელოვნებაზე, სარწმუნო მიმდევრების გარეშე დარჩა. ცხადია, ერთბაშად არ მივსულვარ ამ მოსაზრებამდე, მაგრამ მაინც მივედი. ყველაფერი, რაც მოგახსენეთ, უკვე სრულიად სარწმუნოდ მიმანია, კერძოდ ის, რომ ჰომეროსის პოეზიის სრული ტექსტი (თუკი იგი სრული არ არის, მარტივად შეიძლება იმის გარკვევა, თუ რომელი ნაწილებია ჩამატებული) საიდუმლო კანონს ეფუძნება, რომლის მიხედვითაც, ხმოვნები და თანხმოვნები ზუსტად ფიქსირებული რაოდენობით, თეზისების³⁷⁸ და თემა-სიტყვის [*>Met-Theme<*] შესაბამისად, ლექსიდან ლექსში გასაოცარი და აბსოლუტური სიზუსტითაა გათვალისწინებული. ყველასათვის ცნობილ ფრაგმენტებთან დაკავშირებული სრული ტექსტის მისაღებად ლოზანაში გამგზავრება გადავწყვიტე და თუ შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ შეეცდი, მაშინვე მოგწერ.

თქვენი ერთგული
ფ. დე სოსიური³⁷⁹

[ეს შეადარეთ 1906 წლის 12 ნოემბერს ა. მეიესადმი გაგზავნილი წერილის ტექსტს, გვ. 519 ff.]

განზოგადება

სატურნული პოეზიის მიმდევარ მელექსეთა მიერ დაწერილ სახოტბო ლექსებთან და რაიმე, ვთქვათ, საფლავის ქვებზე წარწერებთან დაკავშირებით თუკი ჩვენი შედეგები სწორია, შევაჯამოთ ჩვენს მიერ ჩატარებული ოპერაციები. 1. იმისათვის, რომ თავისი ჩანაფიქრისათვის ხორცი შეესხა და ლექსად ექცია, პოეტს პირველ რიგში მარცვალთა და ბგერათა კომბინაციების ყველა სახეობა კარგად უნდა გაეთავისებინა. თემა, იქნებოდა ეს თვით პოეტისაგან შერჩეული თუ დამკვეთისაგან მიწოდებული, ვინც წარწერის ხარჯებს იხდიდა, მხოლოდ რამდენიმე სიტყვისაგან შედგებოდა და უნდა ყოფილიყო ან მხოლოდ საკუთარი სახელი ან ერთი-ორი სიტყვა, რომელიც აუცილებლად საკუთარ სახელთან იქნებოდა დაკავშირებული.

* იერატიული – (ბერძ. hieratikon – ქურუშთა) იერატიული დამწერლობა – გაკრული ხელის დამწერლობა, რომლებიც ეროვლიფებისაგან შექმნეს ძველმა ეგვიპტელებმა.

³⁷⁸ ფრანგული ორიგინალიდან გერმანულ ენაზეა თარგმნილი.

³⁷⁹ Cf. პროსდოქიმი და მარინეტი, 1990 [1991], გვ. 52 f [=B,074]. ნაწყვეტია ქ. ბალისადმი 1906 წლის 17 ივლისს გაგზავნილი წერილიდან (შეადარეთ წინა შენიშვნა, აგრეთვე დანართი, გვ. 566).

მაშასადამე, ამ პირველი ოპერაციის დროს პოეტმა თავის მიერ ჩაფიქრებული ლექსის გათვალისწინებით, მრავალ შესაძლო ბგერათა ფრაგმენტები უნდა დაამუშაოს, რომ იქედან თავისი თემისათვის შესატყვისი ვარიანტი შეარჩიოს. როცა, მაგალითად, თემა ან სიტყვა Hērcolei-დან მოდის, პოეტის განკარგულებაშია -lei, ან co; ან, ამ სიტყვის სხვანაირი დაყოფის დროს, -oi ან ēr, მეორე მხრივ rc ან cl და ა.შ.

2. ამის შემდეგ პოეტი იწყებს ლექსის თხზვას, რომლის დროსაც დამუშავებული ფრაგმენტებიდან რაც შეიძლება ბევრს მოარგებს თავის ლექსს. მაგ.: *afleicta*, გავისხენოთ *Herce-lei*-ს შესახებაც და ა.შ. ყოველ შემთხვევაში. ეს არის პოეტის ამოცანის პირველი სრულიად საყოველთაო ნაწილი, ან ბგერების საყოველთაო მასალა, რასაც ითვალისწინებს და იყენებს იგი. საჭიროა, რომ ლექსში ან, უკიდურეს შემთხვევაში, ლექსის რაიმე ნაწილში ხმოვანთა თანმიმდევრობა წარმოჩნდეს ისეთი, როგორც *Hērcolei*-ს ან *Cornēlius*-ის თემებში გვხვდება – ან თანაბრად განაწილებული ან ვარიაციების სახით. [...]

3. იმის საჭიროება, რომ თემაში თანხმოვანთა განლაგებას სხვა განსაკუთრებული ლექსი მიეძღვნას, პრინციპში სათუთა, თუმცა მაგალითებით მხოლოდ ნაწილობრივ დამტკიცდება.

4. იმავედროულად პოეტმა, შეძლებისდაგვარად, ხშირად უნდა იზრუნოს ლექსის რითმასა ან ჰემისტიხის* რითმაზე. ეს მომენტი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მეორეხარისხოვანი. [...]

5. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მხოლოდ ამით ამოიწურება პოეტებისადმი წაყენებული ვალდებულებები ან მოთხოვნები, სინამდვილეში კი მხოლოდ ახლა იწყება. [...]

7. თუკი არაფერი გამომრჩა, – ვერაფრით გამაკვირვებდა []-ის ნამდვილი პიერატიული** სტრუქტურის გათვალისწინება, – ამის შემდეგ მელექსეთათვის მხოლოდ ერთი ამოცანა რჩება შესასრულებელი: ახლა მას მხოლოდ მეტრზე ზრუნვა სჭირდება და არანაირად არ უნდა დაუშვას ზემოთ ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინებით შეთხზულ მის ლექსებზე გამუდმებული სკანდირება.

არ შეგვიძლია დაბეჯითებით ვიმეოროთ, რომ ამ კანონის უტყუარობა და ფასი, პირველ რიგში, და, სულაც, მთლიანად, ჩვენი აზრით, კომპრომისის საფუძველზე, არაუგვიანეს მომდევნო ლექსში დაივანებს და თანაც ისე, რომ ამ დამატებითი და დაცვითი წესის გარეშე დიდწილად გაქრებოდნენ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ მცირე უზუსტობა (შეგხებოდა ეს ლათინ პოეტებს თუ შეგვეხებოდა ჩვენ) ხუთი ან ექვსი ლექსის განხილვისას ყველაფერს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა, რადგან იგი, სამწუხაროდ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ერთადერთ ერთიანობაზეა დამოკიდებული ან – მელექსეთა ჩანაფიქრთან მიმართებით – ერთადერთ შეცდომაზე.

8. ჩვეულებრივ, პოეტებს რაც შეეხება, როგორებიც ანდრონიკუსი, ნევიუსი ან „*Carmen Priami*“-ს ანონიმი ავტორი არიან, გამართულ ლექსებს თხზავდნენ. ისინი, ალბათ, საკუთარი სურვილით ირჩევდნენ სანიმუშო სიტყვას ან სიტყვა-ნიმუშების წყვილს, რომლებიც არა მარტო ერთი ლექსისთვის, არამედ ორტაყედევისათვისაც ივარგებდა. [...]³⁸⁰

* ჰემისტიხი

** პიერატიული (ბერძ. *hieratikos* – საკულტო, საღმრთო) – რელიგიურ-კანონიკურობით გაპირობებული მოთხოვნების სტრუქტურა (ამ ტერმინს იყენებენ, ძირითადად, ძველი სამყაროსა და შუასაუკუნეების ხელოვნებასთან მიმართებით).

³⁸⁰ Cf. MSM. (P. 27), გვ. 23-26; WUW (=P.53), გვ. 17-20 (BPUG, ფრ. ხელნ. 3962), [St.:] სასკოლო რვეული თავფურცლის გარეშე.

ანაგრამები ბერძნულ ეპოსში?

ეჭვგარეშეა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ანაგრამების იდეა ლირიკულ ლექსებში კამათის საგანი აღარ იქნებოდა, მრავალი მიზეზის გამო, იგი ყოყმანის საგნად დარჩებოდა მანამ, ვიდრე ეპოსისთვისაც მისაღები გახდებოდა. მე კი მიმაჩნია, რომ, თუ ეს ჰიპოთეზა სწორია, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეპოსის ლირიკისაგან არის წარმოშობილი.

მაგრამ მაინც არ ვუშინდები ამ ჰიპოთეზას და ფაქტებს მოვლენების განვითარების შესატყვისად, მოკრძალებით და უბრალოდ (წარმოვადგენ) შემდეგი თანმიმდევრობით:

თავიდან მხოლოდ მცირე ზომის თხზულებები იქმნებოდა, რომლებიც მხოლოდ 4-8 ლექსისაგან შედგებოდნენ. თავისი შინაარსით ისინი ან მაგიურ ფორმულებს, ან ლოცვებს, ან სამგლოვიარო და შესაძლებელია, სულაც საგუნდო ხასიათის ნაწარმოებებს წარმოადგენდნენ; ანუ, თითქოს შემთხვევით, მაგრამ მათი არსი შეესატყვისება იმას, რასაც, ჩვენი კლასიფიკაციით, „ლირიკას“ ვუწოდებთ.

მაგრამ მაინც, რატომ უნდა ვივარაუდოთ, რომ მეტისმეტად მოკლე ლირიკული ხასიათის ლექსების ხანგრძლივი მემკვიდრეობითობის შემდეგ პოეზია ეპიკური თხრობის მიმართულებით განვითარდა და ამ ახალ ფორმაში ლირიკამ დაკარგა ყველაფერი ის, რაც მანამ ყოველთვის პოეზიის აღიარებულ კანონად ითვლებოდა?

ლოგიკის მიხედვით, ამას უეჭველად ექნებოდა თავისი საფუძველი, რომლის მიხედვითაც, ჟანრის ცვლას პოეტიკური სისტემის ცვლაც მოჰყვებოდა, მაგრამ ჩვეულებრივი ისტორიული პროცესი გვინგებებს, რომ ეს ასე არ ხდება. იმის თვალნათლად დასაბუთებისათვის კი, რომ ეს ლოგიკური დასკვნა ნებისმიერი ეპოქისათვის უვარგისია, პირველ რიგში, საკითხავია, რა ვიცი იმ ლოგიკური საფუძვლის შესახებ, რომელიც აგვიხსნიდა მცირე ზომის ლირიკულ თხზულებებში ანაგრამების წარმოშობის მიზეზს, რომელიც მთავარი წყარო იქნებოდა ჩვენი კვლევისათვის?

ანაგრამების წარმოშობის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო რელიგიური წარმოდგენები, რომლის თანახმადაც, ღვთაებისადმი მიმართვა, ლოცვა, ხოტბის შესხმა თავის მიზანს ვერ მიაღწევდა, თუკი ამ ტექსტში არ იქნებოდა ჩართული ღვთაების სახელის შესატყვისი მარცვლები.

[თუ ეს ჰიპოთეზა სწორია, მაშინ სამგლოვიარო ჰიმნებშიც (საგალობლებშიც), რაკი მათშიც მოცემული იქნებოდა მიცვალებულის სახელის ანაგრამა, თავისთავად, უკვე ეს პოეზიაში რელიგიის გზით შესული მეთოდის ფართო გამოყენების მაჩვენებელია.]

თუმცა ეს საფუძველი შეიძლება რელიგიური კი არა, წმინდად პოეტური ყოფილიყო. ამ შემთხვევაში იგი (საფუძველი) ისეთივე იქნებოდა, როგორც რითმების, ასონანსების და ა.შ. წარმოშობის განმსაზღვრელი მიზეზები.

შენიშვნა: ამ შემთხვევაში არ შემიძლია ლესბოსურ ლირიკულ პოეზიაზე საუბარი, რომლის დღემდე შემორჩენილი მცირე ფრაგმენტები გვინგებენ, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, რომ ისინი უმადლეს დონემდე ფონიკური იყვნენ, და უნდა ვივარაუდოთ, რომ არ შეიცავდნენ ანაგრამებს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ არ შეიცავდნენ განსაზღვრული სახელისადმი მიმართულ ფონიკას, რომელიც ამ სახელის მოგონებასთან იქნებოდა დაკავშირებული.

ამის საპირისპიროდ, ჰომეროსის პოეზია ფონიკურია იმ გაგებით, რომელსაც ჩვენ ანაფონიკურს და ანაგრამატულს ვუწოდებთ, ანუ ისეთ პოეტურ ქმნილებებს, რომლებშიც ნავარაუდევია, რომ დროდადრო მათში განსაზღვრული სახელის შემცველი მარცვლები მეორდებოდნენ.

ჰომეროსის პოეზია მხოლოდ ზოგიერთ სალექსო ფორმულით გადადის წმინდა ფონიკაში და არ არის დამოკიდებული სახელზე, რომელიც უნდა გამეორებულიყო. [...]»³⁸¹

პირველი რვეულის შესავლისათვის³⁸²

1. ტერმინოლოგია

როდესაც სიტყვა ანაგრამას ვიყენებ, არასდროს არ ვფიქრობ თხზულებების გამოყენებას, იქნება ეს ჰომეროსისა თუ ინდოევროპული ჯნუფის სხვა ენებზე შექმნილი პოეტური ნაწარმოები. ჩემი მოსაზრებით, ანაფონია იქნებოდა უფრო სწორი, მაგრამ ამ ცნების გამოყენება უფრო მოსახერხებელი იქნებოდა სხვა სამუშაოების ჩასატარებლად. კერძოდ, ნაკლები ანაგრამების აღსანიშნად, რომელიც უფრო მოცემული სიტყვის განსაზღვრული მარცვლების მიბაძვით იფარგლება და სულაც არ ცდილობს მის სრულყოფილ კვლავ წარმოებას.

მაშასადამე, ჩემი გაგებით, ანაფონია არის მოცემული სიტყვის მეტ-ნაკლებად განვითარებული ან, უფრო ხშირად, გამეორებული მარტივი გამოძახილი (ასონანსი) თანაბგერა, მაგრამ მაინც არ არის იგი მარცვალთა ერთობლიობის შექმნილი ანაგრამა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „ასონანსებს“ არ ძალუძთ ანაფონიების მაგიერობის გაწევა, რადგან ასონანსი, თუ ძველ ფრანგულ პოეზიას გავეთვალისწინებთ, არ მიუთითებს, რომ იგი რაღაც სიტყვას იძლეოდეს, რაც მიბაძვა იქნება.

თუკი დავეუშვებთ, რომ იგი მისაბაძი სიტყვაა, მაშინ განვასხვავებ შემდეგნაირად: ანაგრამა, როგორც სრულყოფილი ფორმა,

ანაფონია, როგორც არასრულყოფილი ფორმა.

მეორე მხრივ, შეგვიძლია, – იმ სხვა ვარაუდების შემთხვევაში, რომლებიც ასევე გასათვალისწინებელია, დავეუშვათ, როცა მარცვლები ერთმანეთს ისე შეესატყვისებინან, რომ ეს სიტყვაზე არ ვრცელდება, – ბეგრათა ჰარმონიაზე მსჯელობა, რაც თავის თავში მოიცავს ყველა ნიშანს, როგორცაა: ალიტერაცია, რითმა, ასონანსი და სხვ.³⁸³

II. რა საფუძველი არსებობს იმის a priori წარმოსადგენად, რომ ჰომეროსის პოეზიისათვის ნაცნობი ყოფილიყო ისეთი რამ, როგორიც ანაგრამა ან ანაფონიაა?

ჩემთვის ეს საკითხი იმგვარ საკვლევ ჯგუფში ერთიანდება, რომელიც ლათინური სატურნულიდან გამომდინარეობს.

იმ საკითხების გათვალისწინებით, რომლებიც ამ ლექსის მეტრთან არის დაკავშირებული, ვფიქრობ, სატურნული პოეზიის ყველა შემორჩენილი მასალის წყალობით, შესაძლებელია ბევრით კანონთა კვალის ამოცნობა, მათ შორის

³⁸¹ Cf. MSM (=P.21), გვ. 56-61; WUW (=P.53), გვ. 44-46 (BPUG, ფრ. ხელნ. 3962) [St.:] ვარდისფერი რვეული ედაზე სათაურის გარეშე.

³⁸² Cf. BPUG, ფრ. ხელნ. 3963 [St.:] უფლო სასკოლო რვეული. პ. ვუნდერლის მიერ განხორციელებული სრული ფრანგული გამოცემა ("Ferdinand de Saussure: "1er cahier à lire préliminairement". მისი ანაგრამების კვლევის საბაზისო ტექსტი „ფრანგული ენისა და ლიტერატურის ჟურნალში“, 82, 1972, გვ. 193-216; ვუნდერლის მიხედვით, ეს ტექსტი შექმნილი უნდა იყოს 1907 წლის 20 ივლისიდან 20 სექტემბრამდე პერიოდში (შეად. იქვე, გვ. 201-203). WUW-ში ნაწვევების სახით გერმანული თარგმანი.

³⁸³ Cf. ვუნდერლი 1972 b., გვ. 203 f; WUW, გვ. 20 (BPUG, ფრ. ხელნ. 3963).

ალიტერაციებისაც, რომლებიც ყოველთვის ერთ მის მახასიათებელთაგანად ითვლებოდა, მაგრამ ეს განსაკუთრებული გამოვლინება იქნებოდა, კერძოდ კი მხოლოდ ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვანი გამოვლინება, რაზეც არ შეიძლება, რომ აქვე არ დავიძინოთ.

ჩემი ბოლო დასკვნებით, ალიტერაციები არა მარტო არ იქნებოდა პირველი მარცვლის მახვილთან დაკავშირებული, რაც ყოველთვის მნიშვნელოვანი მასტიმულირებელია სატურნული მეტრის შეფასების ან რიტმულ თუ მეტრულ ინტერპრეტაციებს შორის გადაწყვეტილების მიღებისას, უფრო მეტიც, ინიციალების ალიტერაციას არანაირი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ გააჩნია და შეცდომაც იმის არდანახვაშია, რომ ყოველი მარცვალი თავის თავში შეიცავს ალიტერაციებს, ასონანსებს ან ნებისმიერ ბგერათა ჰარმონიას. სიძნელე იმაშია, რომ ბგერათა ჰარმონიების სახეობები ვარიაციებს ქმნიან. კერძოდ კი – ანაგრამებიდან და ანაფონიებიდან (ფორმები, რომლებიც სიტყვის ან საკუთარი სახელის მიხედვით იმართებიან) დაწყებული, სიტყვათა იმიტაციის ვარაუდის გარეშე, უბრალო თაივსუფალ მიმოწერამდე.

ამ ტიპებზე, როგორც შემერულზე მინიშნებას (რადგან ამ შემთხვევაში არ შემოიძლია იმაზე ფიქრიც კი, რომ სატურნულზე ჩემი თეორიების შესახებ ვიმსჯელო), მოვუხმობ ციტატს:

Taurasia Cisauna Samnio cēpit

ეს არის ანაგრამატული ლექსი, რამდენადაც იგი სრულყოფილ სახელს – Scipio-ს შეიცავს (მარცვლებში cī+pī+ī. გარდა ამისა, S Samnio cēpit-ში, რაც ინიციალია ჯგუფისა, რომელშიც თითქმის მთელი სიტყვა Scipiძ ადღებება – cēpi-ს კორექტურა – cī-ს საშუალებით Cisauna-დან) <Samnio დგას აბლატივში (მოქმედებით ბრუნვაში) (ლოკატივში – ადგილობითი ბრუნვა), როგორც ანაგრამებზე ყურადღების გამახვილების გარეშე ივარაუდეს>.

Mors perfēcit tua ut essēnt -

ეს გახლავთ ანაფონური ნახევარტაეპედი, რომელიც მოდელის სახით იღებს ხმოვნებს სიტყვა Cōrnēliūs-იდან და ამით იწყებს იგი ტაეპთა თანმიმდევრობის მკაცრ რეპროდუცირებას:

ō – ē – ī – ū

მოკლე ē არის pēr-f-ის ერთადერთი არასრულყოფილება, მაგრამ იგი არაფრით არ განსხვავდება e-ს უღერადობისაგან. ō – ē – ī – ū-ს შემდეგ ჩნდება a-თი შეყოვნება, ამის შემდეგ ხმოვანთა თანმიმდევრობა ūt essēnt-იდან რჩება ანაფონიაში (ā ან შეყოვნების ნიშანია, ან Cornēliā-ს [გვარი] ქარაგმა.³⁸⁴ ეს არის ანაფონიის მრავალ სახეობათაგან ერთ-ერთი. მაგრამ იმავედროულად არსებობს:

– ზოგჯერ ანაფონიასთან შეთანხმებულ ქმედებაში;

– ზოგჯერ, საიმიტირებელი სიტყვისაგან დამოუკიდებლად, ყველა ელემენტის შესატყვისობაში, რომელიც ზუსტი „დაწყვილებით“ ფიქსირდება, ანუ წყვილებად განახლებს.³⁸⁵

[...]

<ნათლად> გაუთვლელი განსხვავება ალიტირებად ხმოვანებასა და ისეთ ხმოვანებას შორის, რომელიც რომელიმე მარცვალს შეეხება, იმაში ვლინდება, რომ, ვიდრე საწყის მარცვალს წარმოვთქვამთ, გვეონია, თითქოს ლექსის

³⁸⁴ Cf. ვუნდერლი 1972 ბ., გვ. 204 f; WUW, გვ. 21f (BPUG, ფრ. ხელნ. 3963).

³⁸⁵ Cf. ვუნდერლი 1972 ბ., გვ. 205 (BPUG, ფრ. ხელნ. 3963).

რიტმი იყოს ამის მიზეზი და თავისი დამატებით დახასიათებისათვის პოეტისაგან ყოველგვარი ანალიზის გარეშე მოითხოვდეს, თავისკენ მოუწოდოს მსგავსი სიტყვების დასაწყისებს. იგივე დაკვირვება რითმაზე მისი გამოყენების საშუალებასაც იძლევა, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთ სისტემაში გამოყენებისას მაინც. მაგრამ თუ, პირიქით, სწორი აღმოჩნდება, რომ ბგერათა ჰარმონიაში იშვიათ მარცვლებს თავისი წვლილის შეტანა შეუძლიათ, იმის მანქნებელი იქნება, რომ ის, რაც ამ კომბინაციას კარნახობს, სხვა არაფერია, თუ არა მეორე პრინციპი, რომელიც თავად ლექსისაგან დამოუკიდებლად პირველს იერთებს, რათა შემდგომ თაობებზე გადასაცემი პოეტური ფორმები დაადგინოს. Carmen-ის ამ მეორე პირობის დასაკმაყოფილებლად, რაც სრულიად დამოუკიდებელია ლექსის ტერფისა და მახვილიანი მარცვლის კონსტიტუციისაგან, ნამდვილად ვაღიარებ (რაც ამ მომენტიდან ჩემი თეზაა), რომ პოეტი დაკავებული იყო სიტყვის ბგერითი ანალიზით და ეს საქმიანობა, ჩვეულებრივ, მის სპეციალობას წარმოადგენდა. სიტყვების ქდერადობის ფორმის შესახებ ასეთი მეცნიერება იყო, ალბათ, უძველესი ინდოევროპული დროიდან მოყოლებული, უპირატესობა, რაც ჰინდუსების – Kavis (პოეტი), ლათინების Vātēs (პოეტი) და ა.შ. განსაკუთრებულ თვისებას შეადგენდა.

ვედური პოეზია

ახლახანს ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის საფუძველზე შეიძლება საკითხის ორი მიმართულებით კვლევა:

1. ჰიმნში იმ მარცვლების გამეორება, რომლებიც იმ წმინდა სახელებში გვხვდება, რომლებსაც ჰიმნი ეძღვნება. ამ ჟანრში აურაცხელი მასალის მოპოვება შეიძლება. ასეთი პრინციპი ძალიან არის გამოკვეთილი ინდრასადმი მიძღვნილ ზოგიერთ ჰიმნში, მაგრამ აქედან სრულიად არაკეთილსასურველი დასკვნები გააკეთეს იმ დროს, როდესაც, ჩვენი თვალთახედვით, სწორედ ესაა ინდოევროპული პოეზიის მთავარი პრინციპი. შეგვიძლია ალაღბედზე ავიღოთ ნებისმიერი ჰიმნი, რათა დავრწმუნდეთ, რომ, მაგალითად, Agni Angira-სადმი მიძღვნილი ჰიმნები კლამბურულ თანხმოვნებას წარმოადგენენ; ისეთს, როგორიცაა: girah (სიმღერა), anga (შეერთება) და ა.შ., რაც მიუთითებს ავტორის დიდ მონდომებაზე, მიბადოს წმინდა სახელის მარცვალთა ხმოვანებას.

2. ბგერათა ჰარმონია, რომელიც, მაგალითად, ლუწ რიცხვებში ვლინდება. ამ პუნქტის სრულყოფილი გამოკვლევა მაშინვე წამოჭრის უდიდესი მნიშვნელობის ორ სიძნელეს, მე კი იმ მცირე დროში, რომელიც ჩემს განკარგულებაში იყო, ვერ შეეძელი მათი ასხნა:

Sandhi-სთან დაკავშირებული სიძნელე. წინასწარ შეუძლებელია იმის ცოდნა, ზუსტად რომელი თეზა იქნება მისაღები და შესაბამისად, მაგალითად, თუ ასიმილირდება, ვთქვათ, ო სიტყვა dēvōastr-ში ისეთ ო-სთან, როგორიც, დავუშვათ, სიტყვა hōtāram-შია?

სიძნელე, რომელსაც ინტერპოლაცია იწვევს. როდესაც ორმოცდაათ ლექსში რაიმე აზრის შესამუშავებლად მხოლოდ ერთია ინტერპოლირებული, საჭირო ხდება ურთულესი სამუშაოს ჩატარება. პირიქით, დიდი სიამოვნება მივიღე, როცა დავადგინე, რომ ᚱg – Vēda-ს პირველი ჰიმნი, რომელიც არანაირ დამაკმაყოფილებელ რიცხოვნობას არ იძლევა, როცა (ძალიან სათუოდ დამატებული) მეცხრე სტროფს ითვალისწინებ, ხოლო ყველა თანხმოვნისათვის ლუწ რიცხვებად იშლება, როცა მხოლოდ პირველ რვა სტროფს იღებ. თავის

მხრივ, ხმოვნები ყოველთვის ქმნიან 3-ის ჯერადს. – მიუხედავად იმისა, რომ ვერ შევძელი ჩემი ვედური გამოკვლევები წინ წამეწია, მაინც დავრწმუნდი, რომ ზოგიერთი ჩემს ხელთ არსებული მოკლე ჰიმნი, მიუხედავად მათი ხმოვნების კანონისა, თანხმოვანთა პარიტეტულობისათვის სრულიად სწორ რიცხვებს იძლევიან.

არ მინდოდა Rg-Vêda-ს პირველი ჰიმნის გამოტოვება იმის დაუდგენლად, რომ იგი უძველესი გრამატიკულ-პოეტიკური ანალიზის დადასტურებაა, რაც სრულიად ბუნებრივად არის წარმოდგენილი იმ ტექსტებში, რომლებზეც ფონეტიკურ-პოეტიკური ანალიზი ხდება. ეს ჰიმნები ბრუნვების მიხედვით ცვლიან აგნის სახელს: სხვანაირად ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, რომ ლექსების თანმიმდევრობამ, რომელთაგანაც პირველი იწყება Agnim îde, მეორე – Agninā rayim açnavat, შემდეგი – Agnayê, Agnê და ა.შ., არაფერი არ უნდა გვითხრას ღმერთის ამ სახელის შესახებ და, რომ წმინდა შემთხვევითობის გამოა ეს სახელი ჰიმნის სტროფების დასაწყისში სხვადასხვა ბრუნვის ფორმებით მოცემული. იმ მომენტიდან, როცა პოეტმა დაიწყო რელიგიური თუ პოეტიკური კანონების შესატყვისად სახელის შემადგენელი ბგერების მიბაძვა, ცხადი გახდა, რომ მას შემდეგ, რაც ამ სიტყვის მარცვლების გარჩევა დასჭირდა, თუმიცა კი უნებლიედ, მაინც იძულებული გახდა, მისი ფორმები განესხვაგვებინა, რადგან მაგალითად, agnina-ს მიმართ, სწორად მიხეული ბგერითი ანალიზი, სწორი არ იქნებოდა (ბგერითი თვალსაზრისით) agnim-ისათვის და ა.შ. ამით ღმერთის თუ პოეტური კანონის მოთხოვნა შესრულდა, თუმიცა, წმინდა ბგერითი თვალსაზრისით, აუცილებელი აღმოჩნდა სახელის სხვადასხვა ფორმისათვის ყურადღების მიქცევა: ამას გარდა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისეთმა განსაკუთრებულმა ფორმამ, როგორც ნომინატივია (სხვათა შორის, ჩვენშიაც გამოუსადეგარმა), შეასრულა ის როლი, რაც მან ჩვენთვის ბერძნული სისტემატური გრამატიკის მეშვეობით მიიღო.

არ გამიკვირდებოდა, თუ აღმოჩნდებოდა, რომ ინდური გრამატიკული მეცნიერება მისი ორივე ძირითადი სახით – ბგერითი და მორფოლოგიურით – წარმოდგენდეს ინდოევროპული ტრადიციების გაგრძელებას, რომელიც იმ საშუალებებს ეხება, რომლის გათვალისწინებაც საჭირო იქნებოდა პოეზიაში carmen-ის შექმნის დროს ღმერთის სახელის გასათვალისწინებლად. ახლა, რაც განსაკუთრებით თავად ვედურ ტექსტს შეეხება და სულს, რომელიც ამ ტექსტიდან უხსოვარი დროიდან თაობებს გადმოეცემა, ასოებში თავის მყარად დაუნჯებით, სრული თანხმობაშია ინდოევროპული პოეზიის პირველ პრინციპებთან <როგორც ამასობაში თანდათანობით ვხვდები> სპეციალურ ინდუისტური ან სპეციალურ იერატიული ფაქტორებისაგან სრულიად დამოუკიდებლად, რაზეც შეეძლოთ, ამგვარ ცრუ რწმენასთან დაკავშირებით ასოებზე მიენიშნებინათ.

ჩემი მოსაზრების ერთგულად ვრჩები იმასთან დაკავშირებითაც, რომ ჰიმნებიდან მომდინარე Pada-pâtha-ს ტექსტის მიზანს არ შეადგენს ბგერითი და <შესაბამისად>, ლექსთან დაკავშირებული შესატყვისობების შენარჩუნება, რომლის მნიშვნელობა გადმოცემით იყო ცნობილი, თუკი იმას თანხმდები, რომ ამ ტექსტს ლექსის გარეშე სურდა სიტყვათა ფორმის განსაზღვრა. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი საჭიროებს კვლევას, რაც მე არ მიწარმოებია და ჩანს, დიდი მოცულობისა უნდა იყოს.

გერმანიკული ალიტერირებული პოეზია

მაშინ, როდესაც ლათინური ალიტერაციის ფაქტებს არაფერი აქვს საერთო სატურნული ლექსის რიტმთან, თუნდაც ლათინურ ენაში ისეთი ვითარება რომ ვივარაუდოთ, როცა მახვილი პირველ მარცვალზე მოვიდოდა, მაშინ, პირიქით, უეჭველი იქნებოდა, რომ ალიტერირებული საწყისი მარცვლები გერმანიკულ ენებში (ძველ ისლანდიურში, ძველ საქსონურში, ძველ ანგლოსაქსურში და ერთი-ორ ძველ გერმანიკულ ლიტერატურულ ტექსტში) შექმნიდნენ, ასე ვთქვათ, ლექსის რიტმთან ერთ მთლიან სხეულს, რადგან ა) ლექსი რიტმულია და დაფუძნებულია სიტყვების აქცენტირებაზე (მახვილზე); ბ) მახვილი სიტყვის დასაწყისზე მოდის და შესაბამისად გ) როცა სიტყვის დასაწყისს თანხმოვნებთან ერთად ესმება ხაზი, სწორედ ამით ესმება ხაზი თავად რიტმსაც.

ისტორიული თვალთახედვით, ამავე დროს, შეიძლება დაგებადოს კითხვა: არამართებული ხომ არ იქნებოდა, იმის მაგივრად, რომ გერმანიკული ალიტერაცია უძველეს ნიმუშად მიგველო და მეტად თუ ნაკლებად ლათინურ ალიტერაციაზე, ლათინურ რიტმსა და ლათინურ მახვილზე ამის მიხედვით გამოგვეტანა დასკვნა, უფრო ზუსტი შედეგები წარმოგვედგინა, რომლის მიხედვითაც, გერმანიკულის საპირისპიროდ, უკვე სხვა ცნობილი გარდაქმნების საფუძველზე მოხდებოდა იმ ფორმაზე გადასვლა, რომელიც მოგვიანებით ლექსწყობის ზოგადი მოდელის სახით შემოვიდოდა.³⁸⁶

როცა ა) საწყისი მარცვლის მომდევნო მარცვალი იკარგება ან უძველესი სუბსტანციის ნიმუშებით იზღუდება და, როცა ბ) ენა [*>langue<*] მახვილს პირველ მარცვალზე გადასწევს, როგორც ენობრივი [*>linguistiques<*] ფენომენის მარტივ ეფექტს, ბუნებრივია, არაფერი არ რჩება, გარდა საწყისი მარცვალისა იმისათვის, რომ ბგერათა ტრადიცია გაგრძელდეს, რომელიც ინდოევროპულიდან მომდინარეობს და რომელიც, პირველ რიგში, მარცვალთა ერთიანობას შეადგენს.

„ყოველგვარი სურვილის გარეშე“ ხდება, რომ ჩვენი თეორიის თანახმად, გერმანიკული

fá და fá'r (ძველი ნორვეგიული)
აღება ლამაზი

ერთმანეთს ერთიმებიან.

პირველი არის გერმ. *fañxan* [p], მეორე *faxraz*. ამ შემთხვევაში, თუ იმ ვარაუდს დავეუშვებთ, რომ ლექსწყობის სხვა ფორმები ენის [*>langue<*] საშუალებით გადაადგილდება, ან კიდევ, თუ შევთანხმდებით, რომ ეს არის ლექსი, რომელიც მის გადაადგილებას ახდენს – ორივე შემთხვევაში გასაგებია, რომ ჰომოფონიები, რომლებიც *fajraz*-იდან *j*-სა და სხვებს შორის, ან *fañxan*-იდან *χ*-სა და სხვებს შორის არსებობას შეძლებდნენ, ახლა უკვე აღარ არსებობენ; და რომ მხოლოდ *f*-მა შეინარჩუნა რაღაც სიმყარე, რადგან მას მახვილი დაეხმარა. ეს არის საწყისი ელემენტი, რომელიც შემთხვევით გადარჩა და აგრძელებს არსებობას, როგორც სიტყვების რითმათა უზარმაზარი სისტემის ყველა ელემენტს შორის უკანასკნელი ნარჩენი, იქნებოდა იგი სიტყვის დასაწყისში, შუაში თუ ბოლოში.

თუმცა ისეთი სრულფასოვანი რითმებისათვის თავად გერმანიკულ ნაკვალევზე დადგომის იმედის დაკარგვა, რომლებიც მარცვალთა ყველა სახეობას

³⁸⁶ Cf. ვუნდერლი 1972 b., გვ. 210-213; WUW, გვ. 28-31 (BPUG, ფრ. ხელნ. 3963).

მოიცავდნენ, ნაადრევად არ მინდოდა. მარტივ მაგალითად მოვუხმობ როგორც გართმულ, ასევე ალიტერირებულ ლექსის ნაწყვეტს ნორმანების მიერ მოპოვებული გამარჯვების შესახებ 864-ე სიმღერიდან, რომლის პირველი ლექსი ასე ჟღერს:

Einen Kuning weiz ih, heizit er Ludwig
(ძვ. გერმ.: მე ვიცი მეფე, მას ჰქვია ლუდვიგი)

გარდა იმისა, რომ weiz – heizi-ში რითმა და ალიტერაცია გვაქვს, თავად eiz – heiz – ih-ში heizit-ი მეორდება. თავისთავად ცხადია, ეს მაგალითი იმისთვის არ მომიხმია, რომ ამით რაღაცის დამტკიცება მინდა, არამედ იმისათვის, რომ მიმენიშნებინა, თუ რა აზრისა ვარ გერმანულ ალიტერირებულ (ან გართმულ) პოეზიაზე (თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ რითმა გერმანიკულში მხოლოდ მიბაძვის გზით შემოვიდა და შემოდღია ამ საკითხისაგან შორს დავიჭიროთ თავი).³⁸⁷

კვლავ ინდოევროპულ პოეზიასთან დაკავშირებული იმ ვარაუდიდან გამომდინარე, რომელიც სიტყვათა ბგერითი სუბსტანციის ანალიზთან არის დაკავშირებული (იქნება ეს მისგან აკუსტიკური რივის შემქმნელი, ან ტერმინთა წყების შექმნა, როცა განსაზღვრულ სიტყვას ათამაშებენ), მჯერა, რომ ადრე ცნობილი სიტყვა Stab-ი (კვერთხი, ჯოხი, არგანი) გერმანებს სამგვარი მნიშვნელობით ესმოდათ: 1) ჯოხი, 2) პოეზიის ალიტერირებული ფონემა და 3) ასო. როგორც კი ლექსის ბგერითი ელემენტების გადათვლის საჭიროებაზე ეჭვი გვიჩნდება, ჩვენს წინ მაშინვე უზარმაზარი კედელი აღიმართება, ანუ მისი დათვლისას სიძნელეების წინაშე აღმოვჩნდებით, რადგან იმაში დასარწმუნებლად, რომ სწორადაა დათვლილი, წარმოსადგენია, ყურადღების რა დიდ დაძაბვას მოითხოვს ეს პროცესი.

ამგვარად, თავიდანვე გასაგებია, ყოველ შემთხვევაში, ჩანს, როცა vātēs-ის (პოეტის) მოწოდებას შეადგენდა ბგერათა გარკვეული რაოდენობის თავმოყრა ისე, რომ გარეგნული ნიშნების საშუალებით, როგორც, ვთქვათ, რიყის ქვის ან ჯოხების ფორმის მიხედვით დალაგება, შესაძლებელი იქნებოდა d-ს ან k-ს და ა.შ. ჯამის წარმოდგენა, რომელთა გამოყენება carmen-ის (ლექსის, სიმღერის) შიგნით მარჯვნიდან მარცხნივ ერთმანეთის მიყოლებით იმდენად იქნებოდა შესაძლებელი, რომ კომპოზიციას განავითარებდა და d-სა და k-ს გარკვეულ რაოდენობას მომდევნო ლექსისათვის გამოუყენებელს გახდიდა. (საჭიროა, მოკლე, 6-დან 8 სტროფამდე მოცულობის ლექსებით ხელმძღვანელობა, რომლებიც Elogia-ზე (გამოთქმა, წარწერა), გარკვეულ ვედურ ჰიმნსა და გერმანიკულ შელოცვაზე, წარმოდგენას შეგვიქმნიან). ამგვარად, გამოდის, რომ, როცა პოეზია ფონემებს ითვლიდა, ურთიერთდამოკიდებულებას Stab ან Stabo-სა და ფონემას შორის a priori, თითქოს უპირობოდ <ბუნებრივად და> ნათლად წარმოდგენდა, მაშინ, როცა მე, პირიქით, ვერასდროს ვერანაირ აზრს ვერ ვპოულობდი Stab-სა თუ Stabo-ში, როგორც ალიტერირებულ ასოებსა თუ, როგორც ასოებში, სანამ ალიტერირებულ პოეზიაზე ჩვეულებრივი წარმოდგენა მქონდა. რატომ ვიყავი იძულებული, ასოები ჩხირებით გამომეხატა? საიდუმლოა. <ჩხირებთან დაკავშირებული საკითხი უფრო ნათელი იქნებოდა, რომ არასასიამოვნო ხერხებით იგი წიფლის ქერქში (რომელზეც ასოების გამოსახვა შეიძლება) არ აერიათ. მცენარეთა სამყაროს ორივე ეს სახეობა გერმანული დამწერლობისათვის ძალიან შორს დგას და ამას, ჩემი ზემოხსენებული მოსაზრებიდან გამომდინარე, ვვარაუდობ, რომ Stab

³⁸⁷ Cf. ვუნდერლი 1972 b., გვ. 213 (BPUG, ფრ. ხელნ. 3963).

ფონემაში ადრე ყოველგვარი შრიფტი იგულისხმებოდა და ამდენად, იგი სრულიად დამოუკიდებელია წიფლის ქერქისაგან, რომელსაც, თუ დღევანდელ გერმანულთან დაკავშირებით განვიხილავთ, ბუხშტაბედან – ასო – (როგორც ჩანს, „წიფლის ჩხირი“) მომდინარეობს.

ეს ყველაფერი ტაციტუსის თხზულებებიდან პასაჟების ინტერპრეტაციისათვის გასათვალისწინებლადია ადებული, რაზეც ახლა ყურადღებას არ გავამახვილებთ.³⁸⁸

[...] სისტემაში, რომელშიც არც ერთი სიტყვის გადაკეთება ან შეცვლა არ შეიძლება ისე, რომ უმეტეს შემთხვევაში ანაგრამებთან დაკავშირებით მრავალი საჭირო კომბინაცია ერთმანეთში არ აგერიოს, არ შეიძლება ანაგრამებზე, როგორც დამატებით ვერსიფიკაციულ თამაშზე, ლაპარაკი. ეს საფუძვლად იქცევა, სურს თუ არა ლექსის მოხვედლს იგი. <ერთი მხრივ, კრიტიკოსსა და, მეორე მხრივ, ლექსის მოხვედლს სურს თუ არა იგი. ლექსების ანაგრამებით თხზვა, ყოველგვარი ქინასწარი განზრახვის გარეშე, ნიშნავს ლექსი ანაგრამას დაუმორჩილო და მისი ბატონობის ქვეშ მოაქციო>³⁸⁹ [...]

[...] მაგრამ, რაკი ყოველ წუთს შეიძლება გაძლიერდეს ეჭვი იმის შესახებ, თუ რომელია თემატური სიტყვა და რომელი – მოპასუხე ჯგუფი, ეს საუკეთესო არგუმენტი იმისა, რომ უამრავ ლექსში, რომელშიც ანაგრამის თამაშია მოცემული, ამა თუ იმ სახით ყველაფერი ურთიერთს შეესატყვისება. ვარაუდს თავი რომ დავანებო, კითხვა უნებლიედ გამომდინარეობს თავად სიტყვისაგან, რასაც მე ანაგრამირებას ვუწოდებდი. ადფრთოვანებული დავრჩებოდი, თუკი ვინმე მაგალითს მიჩვენებდა, რომ ეს ანაგრამა კი არა, მხოლოდ მარცვლების გამეორება, ელემენტებია და ლექსის თხზვაა წესის მიხედვით, რომელსაც საკუთარ სახელებთან ან გარკვეულ სიტყვასთან არაფერი აქვს საერთო. სწორედ ამ თვალსაზრისით და ამ ვარაუდით მივუდექი ჰომეროსისეულ ლექსს, რაკი დარწმუნებული ვიყავი ჩემი ეჭვის საფუძვლიანობაში იმასთან დაკავშირებით, რომ მას ხმოვანებისა და თანხმოვნების სწორი განაწილება უნდა ჰქონოდა, მაგრამ მსგავსი რამის პოვნა ვერ შევძელი. ამის ნაცვლად, ყოველ ნაბიჯზე ანაგრამა დავინახე, ამით კი შესაძლებლობა მეძლეოდა, ამ ფენომენის გახსნისათვის რაიმე გზა მეპოვნა, რომლის ზოგად ღირებულებას უცილობლად ვოვლი. დიდად სასარგებლო საქმე იქნებოდა იმისი ცოდნა, თუ საიდან იქმნება ანაგრამა: მაგრამ ანაგრამა, თავისთავად, ან ერთი და იგივე მარცვლების 50-მდე სტროფის ფარგლებში განუწყვეტელი გამეორებით იქმნება, რისიც მე მჯერა. ფაქტია, ყველა კვლევა და ყველა კონტროლი ბოლოს და ბოლოს ამას აუცილებლად დაადასტურებს.³⁹⁰

[...] როგორ მისდევდნენ ნევიუსი, ენიუსი, პაკუვიუსი და აციუსი გადმოცემას, რომელიც მისი მიმბაძველების ეპოქაში შეიძლება დაუზიანებელი ჩანდა, ეს კიდევ მესმის. მაგრამ, მეორე მხრივ, როგორ შეეძლოთ ვერგილიუსს, მიუხედავად თავისი პოეზიის უძველესი სურნელისა, ჰორაციუსს ყოველ საკითხში თავისი კეთილგონიერებისა, ლუკრეციუსს თავისი იდეისათვის ინტენსიური დეწისა, ~~იდეისათვის ებრძოლა~~, სხვა ეპოქის წარმოუდგენელი ნაშთები შემონახათ? ეს არის ის, რაც ჩემთვის – და მე ამას ვადიარებ – სრულიად გა-

³⁸⁸ Cf. ვუნდერლი 1972 b., გვ. 213-215; WUW, გვ. 31f. (BPUG, ფრ. ხელნ. 3963).

³⁸⁹ Cf. MSM, გვ. 30; WUW, გვ. 23 (BPUG, ფრ. ხელნ. 3963), [St.:] სასკოლო რვეული სათაურის გარეშე.

³⁹⁰ Cf. MSM, გვ. 123 f; WUW, გვ. 97 f. (BPUG, ფრანგ. ხელნ. 3963), [St.:] რვეული შემდეგი სათაურით: Anagrammes se rallortant à des personnages ou à des noms incidents.

უგებარია (~~ვერ-შეგამჩნიე~~). სხვა შესაძლებლობას ვერ ვხედავ, გარდა იმისა, რომ ეს გამოცანა ისე წარმოვადგინო, როგორც თავად წარმოვადგე. გარდა ამისა, ვერავითარ ახსნას ვერ ვუძებნი იმ ძნელად გასაგებ თუ სარწმუნო ფაქტს, რომ არც ერთი ლათინი ავტორი, რომელიც De re metrica-ს ფორმით წერდა, ან, საზოგადოდ, პოეტური კომპოზიციის შესახებ ლაპარაკობდა, ცოდნას თუ, სულ მცირე, ცოდნის სურვილს მაინც ავლენდა იმისას, რომ პოეტური კომპოზიციის ძირითად ბაზისს სახელის ან წინადადებების ლოგოგრამის ფაბულად დასახვა წარმოადგენს. და ეს მაშინ. როცა იმპერიის შორეულ პროვინციებში, ყოველგვარი ლიტერატურული ცენტრისაგან მოშორებით, სადაც, სავარაუდოდ, არც ერთი მეტ-ნაკლებად ღირებული ეპიტაფია, თვით ყველაზე დაუხვეწავი ლათინური პოეზიის არც ერთი სტრიქონი არ არსებობს, ზუსტად ისეთები, რომლებიც ნასწავლი კომპოზიციების ლაბირინთების გავლით გამოვლინდა ისე, რომ საფუძვლიანად ანაგრამა არ გამოუყენებიათ. ტიბულუსის ლექსი:

ჩანს, როგორც საგანზე მინიშნება

კეთილი დასასრული, ტიბულუსის ლექსთან რჩება.

ტიბულუსის ან ფსევდო-ტიბულუსის ნაუცბათევე ლექსში <არ არსებობს საფუძველი, რომ იგი ფსევდო-ტიბულუსის ლექსად განვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში, ყველა სტრიქონში ტიბულუსი წერია> მესალასადმი მიძღვნილი ხოტბიდან არის ყველაფერი აღებული, რასაც შემქმნელ ჩავჭიდებოდი, როგორც ლათინთა მიერ ლოგოგრამების ფიგურებისათვის გამოყენებულ და გამოვლენილ შესაძლო ნიშანს. [...] ³⁹¹

ამ რვეულიდან დაწყებული, ტერმინი ანაგრამა ჩანაცვლებული იქნება უფრო ზუსტი სიტყვა პარაგრამით.

არც ანაგრამას და არც პარაგრამას არ სურთ იმის თქმა, რომ ამ ფიგურების გამო პოეზია არდაწერილ ნიშნებზეა დამოკიდებული; მაგრამ „გრამა“ „ფონით“ რომ შეგვეცვალა, როგორც ერთი, ისე მეორე სიტყვა მოვლენათა სრულიად ახალ უანრთან გვექნებოდა საქმე.

პარაგრამის საპირისპიროდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ანაგრამის გამოყენება, როცა ეს ავტორს მოესურვება, ვიწრო სივრცეში, ერთი ან ორი სიტყვის ფარგლებში, თემატური სიტყვის ყველა ელემენტის თავმოყრით, თითქმის ისე, როგორც, ზუსტი განმარტების მიხედვით, „ანაგრამაში“ – ფიგურა, რომელსაც იმ ფენომენებს შორის, რომლებიც გამოკვლევას საჭიროებენ, მხოლოდ ძალიან შეზღუდული მნიშვნელობა აქვს და საერთოდ, პარაგრამის მხოლოდ ერთ ნაწილს ან ერთ შემთხვევას წარმოადგენს [...] ³⁹²

ვერგილიუსის პოეზიაში, სათანადო პასაჟების სპეციალური შესწავლის გარეშე, შეუძლებელი იქნება ანაგრამების შეფასება, რადგან ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს იგი ანაგრამა არც იყოს.

მთელი ლექსისათვის ასეთი პასაჟები უმთავრესი მნიშვნელობის მატარებლები არიან: კერძოდ, მასში ენეასი ღებულობს დავალებას, რომ ტროას პენატები იტალიაში წაიღოს.

³⁹¹ Cf. MSM, გვ. 135 f; WUW, გვ. 108 f. (BPUG, ფრანგ. ხელნ. 3963), [St.] სასკოლო რვეული სათაურის გარეშე.

³⁹² Cf. MSM, გვ. 31; WUW, გვ. 24. (BPUG, ფრანგ. ხელნ. 3964).

ყველაზე უფრო ნაკლებსაეჭვო, ალბათ, ის არის, რომ ამ ნაწარმოებში, ანაგრამების ჩათვლით, პოეზიის უკლებლივ ყველა შესაძლებლობაა გამოყენებული, და თუ ხედავ, რომ პასაჟების ტონი თავიდან ბოლომდე ამდლებული ტონითაა დაწერილი თანდათან მადლდება, ჩემთვის აღარ რჩება ანაგრამების უარყოფის საფუძველი: არც იმის დანახვა შემიძლია, რომ ფრანგულ პოეზიაში რითმები ამდლებულ გამომსახველობით ხერხებს ავიწროვებდნენ მაშინ, როცა მის ინსპირირებასაც კი ახდენდნენ.

ჰექტორის მოჩვენება აშკარად გვიბიძგებს იქეთ, რომ ეს სახელი ანაგრამად მივიჩნიოთ. თუმცა მაინც მაშინვე ეჭვდები, რომ ვერგილიუსი ანაგრამად ჰექტორის სახელს არ აირჩევდა, რადგან იგი მარცვალთა სიმცირით და, გარდა ამისა, ლათინური ბანალური დაბოლოებით ვიქტორს, აუქტორს და ა.შ. დაემთხვეოდა. ასე რომ, ამ სახელის რაიმე ნებისმიერი შემცველი მაინც საჭირო იქნებოდა. ჰომეროსი ჰექტორისადმი მიძღვნილ *χιδνσθαιολιδ*"-ს ან სხვა ეპითემას გამოიყენებდა. ვერგილიუსს ასეთი არჩევანი არ ჰქონდა და თუ ის ანაგრამად ჰექტორს არ აიღებდა, სხვა გზა რომ აღარ ექნებოდა, ერთადერთ გამოსავლად, როგორც ჰექტორისავით მნიშვნელოვან სახელს, პრიამოსს (*priamidē*-ს) აიღებდა.

ეს სახელი, რომელიც ტექსტში არსად გვხვდება, იქცა ანაგრამების უწყვეტი ჯაჭვის თემად, რომელიც არანეულებრივად ნათლად არის კონსტრუირებული. ფაქტია, რომ ყოველი ანაგრამა, როგორც საახროვნო ცენტრი, ატარებს მანეკენურ კომპლექსს, რასაც „პრიამიდესი“ ბაძავს და სიტყვები, რომლებიც მას გარს შემოეწყობიან, აესებენ საჭირო მარცვლებით, რომლებიც მანეკენს არ გააჩნია. [...] ³⁹³

[...] თუ დავუშვებდით, რომ სენეკას ტრაგედიების ოც ლექსში თუნდაც ერთადერთი ადგილი მაინც არის ისეთი, რომელშიც რაიმე ლოგოგრამა არ არსებობს, ეს ისეთი მტკიცება იქნებოდა, რომელსაც არანაირი მაგალითზე დაყრდნობა არ შეეძლებოდა. ნორმალურ შემთხვევაში ამ ტრაგედიების ნებისმიერ ადგილზე ლოგოგრამა ერთი თვალის გადავლევითვე გამოჩნდება ხოლმე. მთელი ტომის სათითაო გვერდი ვქექე, მაგრამ უშინაარსო პასაჟი ვერსად ვიპოვე. მეორე მხრივ კი, ვიმეორებ, მოთხოვნები რაღაც ისეთი სრულყოფილი კატალოგის მომზადების შესახებ, რომელიც საკითხს პირდაპირ დაამტკიცებდა, ისეთი მოთხოვნა იქნებოდა, რომელსაც ერთი ადამიანის ძალისხმევა ვერ გაწვდებოდა ან, სულ მცირე, ისეთ შრომას მოითხოვდა, რომ ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ერთადერთ მოსაწყენ საქმეს წაეღო.

– საკითხს იმის შესახებ, არსებობს თუ არა ლათინური ლექსის შესაქმნელად ორი ვარიანტი – ერთი ლოგოგრამების გარეშე, მეორე ლოგოგრამებით – ალბათ, უარყოფითი პასუხი უნდა გავცეს. არ არსებობს სხვა შემოთავაზება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომლებიც ცალკეული ნაწყვეტებიდან იქნა მოპოვებული (და რომლებიც პირადად მე ვერ აღმოვაჩინე), რომლებიც ისეთი სახისაა, როგორიც, ვთქვათ, ფაბულის მიხედვით დაწერილ ქებაშია მისი ლოგოგრამა ჩაწეული ხან სიტყვაში, ხან მარცვალში, ხან ნაწყვეტში ან ამ სიტყვის პარასქემაში. ³⁹⁴

³⁹³ Cf. MSM, გვ. 53 f; WUW, გვ. 40 f. (BPUG, ფრანგ. ხელნ. 3964), [St.:] უფლო სასკოლო რვეული საბაურით: "Le passage Tempus erat... du livre II de l'Enéide".

³⁹⁴ Cf. MSM, გვ. 114 f; WUW, S. 108 f. (BPUG, ფრანგ. ხელნ. 3964), [St.:] რვეული ცისფერი ტილოს ყლით და საბაურით: "Cfrm. Epigr. 2. Sénèque, 3. Horace Martial Ovide".

ჩანაწერი ორი ან სამი ზოგადი პუნქტის შესახებ

ანაგრამის აღიარებისთვის, ჩემი აზრით, აუცილებელი არ არის ერთი ამოსუნთქვით იმის გადაწყვეტა, თუ რა იყო ამ ანაგრამის მიზეზი, ან რა როლს ასრულებდა პოეზიაში იგი. მე მაინც ვფიქრობ, შეცდომის დაშვების საშიშროება იქმნება, როცა, რაღაც არ უნდა დაუჯდეთ, ასე მკაცრად სურთ მისი შეზღუდვა. როცა ადამიანი შეიცნობს ანაგრამათა სისტემას, მის წესს, გამოყენების კანონზომიერებას, შეუძლია ეპოქიდან ეპოქამდე, პოეზიიდან პოეზიამდე სხვადასხვანაირად გაიაზროს და გამოიყენოს იგი. როგორც ყოველი ინსტიტუციონალიზებული და დროთა განმავლობაში დაწმენდილი ფორმა, შეიძლება, უძველესი მიზეზი მოჩვენებითი საფუძვლისგან სრულიად განსხვავებული იყოს. ისე კი, მჯერა, ანაგრამების „პოეტური ტრადიცია“ შეიძლება თვალში სხვადასხვა სახით მოგვხვდეს, ისე, რომ ერთი არ გამორიცხავდეს მეორეს.

ეს არა მარტო ანაგრამების (როგორც ასეთის) ფუნქციაა, რომელიც ყოველგვარი სირთულის გარეშე შეიძლება სხვადასხვანაირად იქნას განხილული; ეს ფონემებთან თამაშის ზოგად ფორმებთან კავშირცაა, რაც საკითხის ყოველი მხრიდან სხვადასხვანაირად ახსნის საშუალებას იძლევა.

იმის დასაშვებად, რომ ჯერ ანაგრამებით დაიწვეს და შემდეგ მარცვალთა გამეორება შთაბეჭდილების მოსახდენად იქნა მოფიქრებული, აუცილებელი გახდა ფონემებს შორის წესრიგის დადგენა, ალიტერაცია, რომელიც ბგერათა წონასწორობით გვირგვინდება. ეს ისევე მარტივია, როგორც მისი საპირისპიროს დაშვება, რომ ჯერ ბგერათა წონასწორობას აქცევდნენ ყურადღებას, მაგრამ იმ პირობით, რომ მსგავსი ბგერების გამეორებას ბუნებრივი შთაბეჭდილება მოეხდინა, ამიტომ პირველ რიგში ისეთი ბგერები უნდა ამოერჩიათ, რომლებიც იმ სახელზე მიანიშნებდა, რომელზეც ყველა ფიქრობდა. ამის შემდეგ, გადაწყვეტდნენ, პირველ შესაძლებლობას აირვედნენ თუ მეორეს, ან კიდევ – ერთდროულად ~~იქნებოდა~~ საზოგადოებრივ და ესთეტიკურ პრინციპს, რომელიც ანაგრამის კერძო ფაქტებს მეტ სიფრცეს მისცემდა თუ, პირიქით, თავად ანაგრამა იქნებოდა ესთეტიკური პრინციპის შემქმნელი (ეს კი ყოველთვის გამოიწვევს კითხვა „რატომს“, რომლის პასუხიც შეიძლება ცრურწმენაში იყოს საძებნელი).

მაგრამ ანაგრამას, თუ მისი ზუსტად მონიშნული მნიშვნელობით განვიხილავთ, განკერძოებულს გაწეილი ბგერითი თამაშისაგან, – ვიმეორებ: ვერავითარ საჭიროებას ვერ ვხედავ, ასე ვთქვათ, ჯერჯერობით იმის ასახსნელად, თუ დანარჩენი თვალსაზრისით, რა როლს მიაწერენ მას, როგორც პოეტურ საშუალებას. ცხადია, ეს არ არის სადავო ინტერპრეტაციები ან ნაკლის გამართლება, მაგრამ რა საჭიროა მათ შორის არჩევანის გაკეთება, თითქოს ნაჩვენები იყოს, რომელი იქნება სწორი, მაშინ, როცა წინასწარვე ვარ დარწმუნებული, რომ ყოველი ეპოქა იმას ირჩევს, რაც მას სურს და რაშიც სხვადასხვა ეპოქები არასოდეს ერთი და იგივეს არ ხედავენ.

ანაგრამების წინააღმდეგ საკითხის მხოლოდ ამ ნეგატიურ მხარეზე ან საწინააღმდეგო არგუმენტებზე შეიძლებოდა ჩაჭიდება, რაც იმის მტკიცება იქნებოდა, რომ (იყო თუ არა ეს, როგორც ტრადიცია) ესა თუ ის პოეტი, ვთქვათ, ვერგილიუსი, შეგნებულად თავის თავს ვერ აიძულებდა, ასეთ პრაქტიკას მიჰყოლოდა, არამედ პოეტს შეეძლო, მიეღო იგი, თუ მასში, შემოქმედებითი თვალსაზრისით, ნამდვილად სასარგებლო რამეს დაინახავდა. რაკი იგი იმდენად, რამდენადაც პოეზია ზოგადად დროთა განმავლობაში წინ მიდის და უფრო პერსონალურ ხასიათს ღებულობს, ჩემთვის გასაგები ხდება, რომ ეს საკითხი უკვე მჭიდროდ უკავშირდება პოეტის განზრახვას, რაც მე

მთელი საუკუნეების მასშტაბით ამ პერსონალური პოეზიის საკითხი უარყვა-ვი ან სხვა ასპექტით წარმოვანინე.

შემიძლია, ჩემი ხედვა ამ საკითხზე შემდეგნაირად ჩამოვყალიბო:

1. მსგავსი სახის გადმოცემებს დიდი ძალა აქვთ და ის არ უნდა რჩებოდეს სათანადოდ შეუფასებელი. მე-19 საუკუნის ფრანგ პოეტთაგან ძალიან ბევრია, რომლებიც საკუთარ ლექსებს, თუკი თავისუფალი ნება ექნებოდათ, მაღერბის მიერ შემუშავებული ფორმით დაწერდნენ. რასაკვირველია, თუ ანაგრამის წესი წინასწარ იქნებოდა ჩამოყალიბებული, ისეთი პოეტი, როგორც ვერგილიუსია, ჰომეროსის ტექსტში ადვილად ამოიცნობდა მას და არ დაეჭვდებოდა, რომ აგამემნონის შესახებ დაწერილი ნაწევები: *Aaoev adyαλεωv aveμov aμeyαδtoz*" *αυτηη* თავისი მარცვლებით *Αγαμεμων* – (აგამემნონი)-ს უკავშირდება და თუ ხალხური გადმოცემა უკვე არსებობდა და მას ჰომეროსის განუზომელ ავტორიტეტსაც დაეუმატებო, გამოჩნდება, რამდენად დიდი სურვილი უნდა ჰქონოდა ვერგილიუსს, რომ ანაგრამის წესს დამორჩილებოდა და ჰომეროსს არანაირად არ ჩამორჩენოდა, რაც მოცემული მაგალითითაც კარგად გამოჩნდა.

2. რაკი ანაგრამის სირთულეზე მცდარ წარმოდგენას ვიქმნით, გვეჩვენება კიდევ, რომ მის წარმოებას ტვინის ჭყლეტა სჭირდება. როდესაც რაიმე სიტყვა მეტ-ნაკლებად ემთხვევა თემატურ სიტყვას, ისეთი წარმოდგენა იქმნება, თითქოს მისი წარმატებული ჩასმა გონების დიდი დაძაბვას მოითხოვდეს, მაგრამ ასეთი რამ სულაც არ იქნება საჭირო, როცა პოეტისათვის ჩვეული და ძირითადი მეთოდებით გათვალისწინებულია, რომ თემატური სიტყვა წინასწარ არის გაანალიზებული და მისი შემადგენელი მარცვლებიც აზრის გამომსახველად გამოთქმისათვის – სტიმულის მიმცემი. სწორედ ანაგრამის შემადგენელი ნაწილებით, როგორც საფუძვლით და როგორც სამოძრაო სივრცით, იწყებოდა კომპოზიციური სამუშაო. და არ უნდა გვიკვირდეს, უფრო მეტიც, როგორც ერთმა ფრანგმა პოეტმა აღიარა, რითმა მას არათუ ხელს არ უშლის, მართავეს და აღელვებს კიდევ, ხოლო ეს იგივე ფაქტია, რაც ანაგრამასთან დაკავშირებული ქმედებები. არ გამიკვირდებოდა, თუ ოვიდიუსს და თვით ვერგილიუსსაც კი იმ პასაჟებთან შედარებით, სადაც სადავეები მიშვებულია და მათ მიერ არჩეული ფორმა არანაირად არ იკვეთება, ის პასაჟები წამოეწიათ წინ, რომლებიც დიდი სახელების მიბაძვას წარმოადგენდა, თუკი ამით ლექსის წონა მოიმატებდა.³⁹⁵

ჰ ი პ ო გ რ ა მ ა

ან ანაგრამის სახეობა (გვარი), რომელიც ანტიკურ ლიტერატურაში უნდა იქნას ამოცნობილი და განისაზღვროს მისი როლი ლათინურ პოეზიასა და პროზაში

1. რატომ არა ანაგრამა .

2. მოტივაციის გარეშე, პირდაპირ ტერმინ ჰიპოგრამაზე ხელის ჩაჭიდება, სადამდეც მე მივედი, და მეჩვენება, რომ ეს სიტყვა ცუდად არ შეესატყვი-სება იმას, რაც ამ ტერმინმა უნდა გამოხატოს. იგი არ იძლევა დიდ აზრობრივ გადახვევას *σποϋδαειν*, *σπυδαφι*, *σποϋδαμυα*-სა და სხვებისაგან, როცა იგი ნიშნის მხოლოდ ერთადერთი მნიშვნელობის მატარებელია.

გადაკრული სიტყვაც რომ იყოს.

³⁹⁵ Cf. MSM, გვ. 125-127; WUW, გვ. 99-101 f. (BPUG, ფრანგ. ხელნ. 3964), [St.:] რვეული ყდის გარეშე, სათაურით: "Varia".

თუნდაც ნოტარიუსის ან ბიუროს მსგავსად იყოს გამრავლებული და (როცა ამ სპეციფიურ, მაგრამ გაფართოებულ მნიშვნელობაზე ფიქრობენ) სახის ნაკეთები გრიმის საშუალებით იყოს ხაზგასმული. <παιδαγωγία>-ს, ავტოგრაფის გაკეთების, მონოგრამის დასმის გარდა, სხვა აზრი არ გააჩნია.>

თუნდაც მაშინ, როცა იგი გაფართოებულ, თუმცადა სპეციალური ფერუმატის ხაზგასმით, მნიშვნელობას იძენს, ეს მაინც არ ქმნის ბერძნულსა და ჩვენებურ სიტყვას შორის კონფლიქტს და სახელის ან სიტყვისათვის ხაზგასასმელად წარმატებით გამოიყენება „ჰიპოგრამაში“, რათა ყველა საშუალება იქნეს გამოყენებული სიტყვის ან სახელის მარცვლების გასამეორებლად და ამ სახით სხვა ყაიდაზე წარმოვიდგეს იგი ხელოვნური, ასე ვთქვათ, ორიგინალზე დამატებული სახით.³⁹⁶

[...]

რაც შეეხება პროზაში იგივე ფენომენის შეცნობას, აღმოჩნდა, რომ საპირისპირო გზით მივიდოდი, როცა შემთხვევით თვალში მომხვდა, რომ აუსონიუსის წერილები და მისი პროზაული ნაწარმოებებიდან შემორჩენილი ნაწყვეტები ისეთსავე ანაგრამატულ თვისებებს ავლენენ, როგორცაა მისი ლექსები. ვიდრე ციცერონის გადაშლას გავებდავდი, ვცადე გამეკვია, მის წერილებსაც ჰქონდა თუ არა პლინიუსის წერილების ისეთი გავლენა, რომ ისინი, როგორც კი ავტორის ფიქრებს მარტივი სახით წერილებში გადავიშლიდნენ, მაშინვე პათოლოგიურ ასპექტებს მიიღებდნენ. რამდენიმე საათი საკმარისი აღმოჩნდა იმის დასადგენად, რომ არა მარტო პლინიუსი, არამედ ბევრად უფრო გრანდიოზული ციცერონის ყველა ნაწარმოები, თუკი ამ მიზნით მის კორესპონდენციებსა და სხვა ტომებს გადაშლი, კიდევ უფრო დამაჯერებლად მომნუსხველ ჰიპოგრამებში იწყებ ცურვას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და ძალიან სააღბათოა, რომ ციცერონს თავის თანამედროვეთაგან განსხვავებული წერის მანერა ჰქონოდა.³⁹⁷

[...]

წერილების მოტივი ან საგანი – საქმიანი წერილები, ჭრელ-ჭრელი თემები, მეგობრებისათვის განკუთვნილი, პოლიტიკური შინაარსის და სხვა: მწერლის განწყობა, რომელიც შეიძლება, გამოწვეული ყოფილიყო, მაგალითად, საზოგადოებრივი უბედური შემთხვევით ან ოჯახური საზრუნავით, ან, როცა ტონს უწევს იმ პიროვნებებისთვის პასუხის გასაცემად, რომლებთანაც დაძაბული ურთიერთობა ან, სულაც, განხეთქილება აქვს. – ყველაფერი ეს ნაკლებ გავლენას როდი ახდენს ჰიპოგრამის მკაცრ წესრიგზე და გაიძულებს ირწმუნო, რომ ეს ჩვევა ყოველ განათლებულ რომაელს მეორე ბუნებად ექცეოდა, როგორც კი ჯერაც უმნიშვნელო სიტყვის სათქმელად კალამს ხელს მოჰკიდებდა. ნიშანდობლივია, რომ ციცერონს ამ მხრივ არც ერთი თავისი კორესპონდენტი არ ჩამოუვარდება, მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც რაკი უპირველესად, მეომრები ან [] იყვნენ, ლიტერატურული საქმიანობაზე არავითარი მოთხოვნილება არ ჰქონდათ. [...]³⁹⁸

დიდი პატივი იქნებოდა, თუ კეისრის პროზა [...] საკითხის განხილვისათვის იმ სასინჯ ქვედ გამოდგებოდა, რომელიც გვიჩვენებდა, ჰიპოგრამის პრაქტიკა მეტ-ნაკლებად ნებაყოფლობითი საქმე იყო თუ, ლათინი მწერლების საპირის-

³⁹⁶ Cf. MSM, გვ. 30 f.; WUW, გვ. 23 f. (BPUG, ფრანგ. ხელნ. 3965), [St.:] ყვითელი ხაზიანი რვეული სათაურით: "Ciceron Pline le jeune, fin".

³⁹⁷ Cf. MSM, გვ. 115 f.; WUW, გვ. 92 (BPUG, ფრანგ. ხელნ. 3965), [St.:] ყვითელი ხაზიანი რვეული სათაურით: "Ciceron Pline le jeune, fin".

³⁹⁸ Cf. MSM, გვ. 117.; WUW, გვ. 93 (BPUG, ფრანგ. ხელნ. 3965), [St.:] ყვითელი ხაზიანი რვეული სათაურით: "Ciceron Pline le jeune, fin".

პიროდ, დაკისრებულ მოვალეობად ითვლებოდა. მართლაც, ვფიქრობ, თუ თვით გაიუს იულიუს კეისარმა თავისი მწერლური საქმიანობის თუ თავისი ცხოვრების ის მცირეოდენი წუთები სიტყვების ჰიპოგრამატული წესით თამაშში დაკარგა, გამოდის, რომ ეს საქმე ლათინი მწერლებისთვისაც აუცილებელი ყოფილა. უფრო მეტიც. კეისრის ტექსტებიდან ისეთივე სიუხვით იფრქვევა ჰიპოგრამები, როგორც პროფესიონალი მწერლების თხზულებებიდან. კიდევ უფრო საინტერესოა მისგან შემორჩენილი კომენტარების სახის მცირეოდენი წერილები, რომლებიც მაშინვე გვაოცებს იმით, რომ იქ სრულიად სხვა რამ ხდება, ვიდრე „ნაწერშია“ ყურადღება გასამახვილებელი. ასე მაგალითად, როცა იგი არმინიუსის შესახებ წერილს სწერს ციცერონს: „Postremo, qui viro bono“... (დასასრულს, რომელიც კარგი ვაჟკაცი...), შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:

civilibus controversiis? quod nonnulli quer –

CI-----C RO ER C-----I C--

[...] თვალს თუ მივადევნებთ კეისრის წერილს, ბჭკარებს შორის ასხივებს სიტყვა CAVE

Condemna visse

C-----A V----E

ეს არის ერთ-ერთი იმ ადგილთაგანი, რომელიც ასეთ მაგალითებს განეკუთვნება. მაგრამ განუწყვეტლივ თავს გვახსენებს მანეკენი C – E, განსაკუთრებით ბოლო სიტყვებში (რიცხვების წინ).

Contentione abesse

C-----E

C-----E -----E

(ab)

[...] ³⁹⁹

[...] სიტყვები, რომლებიც, როგორც ჩანს, ჰიპოგრამის შეფასებისათვის საინტერესოა, პრაქტიკულად, ძალიან იოლი განხორციელების საშუალებას იძლევიან, როგორც, მაგალითად Pisistratus, – სიტყვა, რომლის შემადგენელი მარცვლები ისეთივე ბანალური არიან, როგორც მისი დაბოლოება „-atus“ ან კიდევ ორივე „is“, რომლებიც სრულიად არაფერს ამბობენ „si“-ზე და ა.შ. საოცარია, მაშინ, როცა ურიცხვ პასაჟში ისეთი გრძელი სიტყვის ბრწყინვალედ წარმოება შეძლო, როგორიცაა Pisistratus, რატომ უნდა ყოფილიყო შეუძლებელი, ასევე მრავალ სტრიქონში ისეთი მოკლე სიტყვის პოვნა (და ნაწილობრივ მასთან შესატყვისის), როგორიც Plato-ა და კიდევ ხშირად სიტყვები ისეთივე ბანალური მარცვლების რიგიდან, როგორიცაა Seneca და Merope.

მითითებულია განსაზღვრული სახელები, როგორც განსაკუთრებით ადვილი და მეორე ნაწილი, როგორც განსაკუთრებით ძნელად აღსანიშნი (ყურადღება მივაქციოთ ამ ბოლოს), მაგრამ სახელების უდიდესი ნაწილი არც ერთისა და არც მეორის ეპითეტებს არ მოითხოვს და თითქმის დამოუკიდებელია სიტყვის სიგრძისაგან. [] იმ შემთხვევებისათვის, როცა უნდა განზოგადდნენ,

³⁹⁹ Cf. MSM, გვ. 116 f.; WUW, გვ. 93 (BPUG, ფრანგ. ხელნ. 3965), [St.:] იისფერი მუყაოს ვდა, სათაურით "Tite – Live, Columelle, César".

- როგორც Xerxes, რაც exercitus-ს მოუხმობს,
- სახელები, რომლებიც –machus-ს შეიცავენ, magnus-ს, magnitudo-ს და ა.შ. მოუხმობენ.

– Spitamenes-ი – tamen-ს და ა.შ.

შევეშვათ ამას და დავეშვათ, რომ ჰიპოგრამები არც არსებობენ. მაშასადამე, ვიგულისხმობ, რომ ერთსა და იმავე წინადადებაში იმ სიტყვების ტრიალი, რომლებშიც ქსერქსე, ლისიმაქეს, სპიტამენეს და სხვები ამოტივტივდებიან, არანაირი კავშირი არა აქვთ სიტყვების ბგერათა მიბადვასთან. ამ შემთხვევაში უფლება გვექნება, ვიკითხოთ, თუ რას ემყარება ეს ასოციაციები, თუკი მათი არსებობა უდავოა. ქსერქსესთან დაკავშირებულ შემთხვევაში, კაცმა რომ თქვას, შეიძლება დათმობაზე წასვლა, რადგან ცალკე აღებული ეს სახელი სრულიად ბუნებრივად მაშინვე „დიდ არმიასზე“ ფიქრს აღგვიძრავს და როგორც აქედან გამომდინარე შედეგი, ლათინ ავტორებთან ვერ იპოვით თუნდაც ერთ ადგილს, სადაც სიტყვა exercitus xerxes არ ახლდეს, მაგრამ მივხედოთ სხვა მაგალითებს...

მართლაც საჭიროა, ორივე არგუმენტს წინ წამოწვევის საშუალება მიეცეს: გარკვეული სიტყვის გარკვეულ სახელთან ახლოს ხშირი გამოჩენა მაშინ იქცევა პრობლემად, როდესაც იმ ~~ახლოს~~ განმარტებას უარყოფენ, რომელიც საერთო სახელს შეეხება. ძალიან გვინდა, შემთხვევითი იყოს, რომ მთლიანი სიტყვა Lisimachus-ი კვლავ და კვლავ ჩნდება, მაგრამ რომ განმარტო და განმარტო იმისგან დამოუკიდებლად, თუ რატომ გამოდის აქედან magnus-ი, ეს პრობლემად რჩება მათთვის, რომლებიც ამ აზრს ეწინააღმდეგებიან.⁴⁰⁰

[...] როცა ლათინ ავტორს ერთსა და იმავე გვერდზე ორ ისეთ სახელზე აქვს ყურადღება გამახვილებული, როგორცაა I. Sulpicius და შემდეგ ქვემოთ 2. Theramenes, ნებისმიერ პირველ პასაჟში ისეთი სიტყვები მოიყრიდა თავს, როგორცაა, erat, meus, trabens, და პირიქით, მეორე პასაჟში – ისეთი სიტყვები, როგორცაა cultus, hospitio, sublimis და, ბოლოს, მას (ავტორს) ნამდვილად რაღაც ძალისხმევა დასჭირდებოდა ისეთი რამის საპოვნელად, რომლის საშუალებითაც Theramenes-ის გარემოცვას ამ სიტყვის მარცვლებით ჰიპოგრამა შეექმნა და პირიქით, Sulpicius-თან დაკავშირებით. მაგრამ თუ ვიფიქრებთ, რომ მეორე მხრივ – მაგალითად, შებრუნების საშუალებით იმ სიტყვების შერჩევის დროს, როგორებიცაა erat ან sublimis – განსაკუთრებით ძნელი იქნებოდა საკუთარი სახელის მარცვლების კვლავწარმოება ან მათი (ცოტა გაჭირვებით) ზუსტად იმ რიგით კვლავწარმოება, როგორადაც ისინი სახელში მისდევენ ერთმანეთს, იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ მცდარი წარმოდგენა გვექმნებოდა მთელ ბგერით შესაძლებლობებზე, რომელსაც ენა [*>langue<*] ყოველთვის აძლევს მათ, ვისაც მისი გამოყენება უნდა. ენა საკმაოდ მრავალფეროვანია იმისათვის, რომ ძნელ კომბინაციებს არ საჭიროებდეს და როგორც ვხვდებით, მხოლოდ ყურადღებით წარმოებულ კომბინაციებს საჭიროებს იგი. სხვათა შორის, ჰიპოგრამების მარტო ეს შედარებითი სიმარტივეც კი იძლევა იმის ახსნას, თუ, საერთოდ, რატომ არსებობენ ჰიპოგრამები და გადაეცემიან შემდეგ თაობებს, როგორც ყოველი ლიტერატურული კომპოზიციის წარუვალი და მოუცილებელი პირობა, რაც ლათინურმა კულტურამ მრავალი საუკუნეების მანძილზე მთელ რიგ სფეროებში გამოსცადა. ყოველ ლათინს, ვინც კი კალამს მოჰკიდებდა ხელს, შეეძლო ეს თამაში თავისი შემოქმედებისათვის ჩვეული ფორმის ძერწვის დამხმარე საშუალებად ექცია იმ მომენტში-

⁴⁰⁰ Cf. MSM, გვ. 118 f.; WUW, გვ. 94 (BPUG, ფრანგ. ხელნ. 3965), [St.:] რვეული სათაურით: "Valère Mazime".

ვე, როგორც კი ამას მისი ტვინი აღიქვამდა და იგი იმაზე დაიწყო ფიქრს, ეს პროზაში დაეფიქსირებინა თუ ლექსში, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ამას დიდი ტვინისჭყლეტა არ გამოეწვია.

ის ფაქტი, რომ ლათინურებში ჰიპოგრამამ ასე ღრმად გაიდგა ფესვი და სიდრ-მეების ფსიქოლოგიური სოციალიზების ამ ხარისხს მიაღწია, სხვათა შორის, უამრავი ტექსტითაც ნამდვილად მტკიცდება იმის მიუხედავად, თუ რისი თქმა მსურს სპეციალურად ამ საკითხთან დაკავშირებით.

არ შეიძლება ჩვეულებრივი გაგებით გამოვიყენოთ სიტყვა „ასოციაცია“, რადგან, სულ მცირე, პრინციპში სომ მაინც ასოციაციების ერთი საზღვარი სრულიად უნებურად და თვითნებურად მეორეს ეკვრის.

უკვე ვთქვით, რომ ყურადღებიანი გულმოდგინება იკმარებდა. მეორე მხრივ, ეს ყურადღება ისე შორს მიდის, რომ იგი მწერლის ხანგრძლივ მოღვაწეობად იქცევა, რომლის გარეშეც პოეტს, მისივე წარმოდგენით, ნება არ ჰქონდა, თუნდაც ერთი სტრიქონი დაეწერა.⁴⁰¹

[...] როგორც შემდეგი ილუსტრაცია გვიჩვენებს, საკითხისათვის, შანსის მიხედვით, არანაირი შესაძლო გადაწყვეტა არ არის განჭვრეტელი:

უდიდესი ცდუნებაა იმ შანსის არსებობა, რომ საშუალოდ ყოველ სამ სტრიქონში ის იპოვო, რისგანაც რაიმენაირი ჰიპოგრამის აგება შეიძლებოდა.

ამ აზრის საუკეთესო უარყოფა იქნებოდა უამრავი ჰიპოგრამაზე მითითება, სადაც მხოლოდ შვიდი ან რვა სტრიქონის შემდეგ შეგვხვდებოდა სრულყოფილი აგებულების ჰიპოგრამა (ვგულისხმობ შვიდ ან რვა სტრიქონში, რომლებიც შეთანხმებულად მოქმედებენ და არა ტექსტში სახელის გამეორებისათვის შვიდი ან რვა სტრიქონით დაცილებას, რაც არასწორია). აჯობებდა, იმავე გზით, რომლითაც წარმოდგენილი წინადადების უარსაყოფ მიზეზებს ეძებენ, სრულიად მარტივად რაიმე ჰიპოგრამა სამ სტრიქონში ეპოვათ.

ipso facto (ამგვარი ქმედებით) ძალიან ცუდ მახეში გაიბამდნენ თავს. რაკი უკვე დადგენილია, რომ არც ისე იოლია სამ სტრიქონში ჰიპოგრამის პოვნა, ეს სულაც არ უშლის ხელს იმას, რომ როგორც კი პირველი საწინააღმდეგო აზრის უკუსაგდებად შვიდ ან რვა სტრიქონს აიღებენ, მაშინვე მეორე დაიბადება.

„ცხადია, როცა წინ მიიწევთ, ვიდრე მარცვლების ასეთი რაოდენობა ერთმანეთზე მიჯრით არსებობს, უცილობლად, შემთხვევით შეიქმნება ჰიპოგრამა“. საწინააღმდეგო აზრი: შემთხვევას შეუძლია ყველაფრის სამ სტრიქონში მოხდენაც.

პასუხი: ტყუილია; ეს მცდარი აზრია. და ამის ცხადი დასტურია ის, რომ იმ ანაგრამების ნახევარი, რომელთა ნამდვილ არსებობასაც ჩვენ ვაცხადებთ, ხშირად შეიძლება, სულ მცირე, ექვსი და მეტი სტრიქონის შემდეგ შეგვხვდეს.

რეპლიკა: მაინც, როდესაც იგი სამ სტრიქონში აღარ შეგვხვდება, მაშინვე უფრო მეტი შანსი ჩნდება იმ წერტილამდე მისასვლელად, სადაც ყველაფერი შესაძლებელი იქნება. [...] ⁴⁰²

[...] ანტიგრამასთან ერთად, ლოგოგრამის მეორე სიკეთე, რომ არაფერი ვთქვათ ანტიგრამის, როგორც ასეთის, მარკირებაზე, არის ის, რომ სიტყვა ანტიგრამების ჯამში მოხმარების საშუალებას იძლევა, როცა, მაგალითად,

⁴⁰¹ Cf. MSM, გვ. 119 f.; WUW, გვ. 95 (BPUG, ფრანგ. ხელნ. 3965), [St.:] ყვითელი რვეული ყდაზე წარწერის გარეშე. ფორზაცზე წერია: "Valère Maxime (2^e cahier)".

⁴⁰² Cf. MSM, გვ. 128; WUW, გვ. 101 f. (BPUG, ფრანგ. ხელნ. 3965), [St.:] შავი პრიალა ტილოს ყდიანი რვეული სათაურით: პორაციუსი, ტაციტუსი.

ერთ პასაჟში იქედან ათი, თორმეტი ან თხუთმეტი ერთი და იგივე სიტყვაზე მოდის. არსებობენ ლოგოგრამები, რომლებიც მრავალჯერად ანტიგრამებად იყოფიან და მაინც უფლება აქვთ, ერთადერთი სიტყვით იწოდებოდნენ, რადგან ყველა მათგანი ერთადერთ სიტყვას უტრიალებს. – და, მაშასადამე, ~~ყოფილი~~ მოტივის ერთიანობაზე მიუთითებს. ამ თვალსაზრისით, აღმოჩნდება, რომ თავის მხრივ, ლოგო არც ისე შოკისმომგვრელია, რადგან იგი საჭიროების მიხედვით „ფონეტიკური“ აზრით აღარ უნდა იყოს აღებულნი, თვით სიტყვის შინაარსითაც კი. საქმე ეხება „Cramma“-ს, ἄμμου-ს, რომელიც მთლიან პასაჟს შთაბერავს სულს და მეტ-ნაკლებად წარმოადგენს მის ლოგოსს, გონივრულ ერთობას, ჩანაფიქრს. რაიმე პასაჟი ამა თუ იმ ლოგოგრამებით აღინიშნება, რაც, ვიდრე ანტიგრამაზე იქნება საუბარი, არ გამოირიცხავს ლოგოგრამასთან ერთად თანაფარდობის დეტალებთან კვლავწარმოებული სიტყვით მისეგლას.⁴⁰³

I. წინათ, როცა ლათინური პოეზია ჯერ კიდევთ სატურნულ ლექსს მიმართავდა, დაცემის ხანასა და შუა საუკუნეების ნახევრამდე ლექსის თხზვისას თვალსაზრისით არ მოუცილებია სიტყვათა ისეთი შერჩევისათვის, რომ ანაგრამის პარალელურად განსაკუთრებული ფორმაც შეექმნა, რასაც ჩვენ ჰიპოგრამას ვუწოდებთ.

საცდელი ამონაწერები, რომლის გაკეთებაც ნებისმიერი ეპოქის ტექსტებიდან შეიძლება (როგორც მაგ.: ეპიკური ლექსებიდან), ჰიპოგრამის დროებითი წყვეტის შესამჩნევად ისევე ნაკლებ შესაძლებლობას იძლევიან, როგორ შეზღუდვასაც ვხვდებით ამ თვალსაზრისით ოდებში, ეპიგრამებში, ელეგიებში, ზღაპრებსა და ა.შ... სცენური სახეები, რომლებიც თავიანთი ხასიათის მიხედვით, საკუთარ ტექსტში ერთდროულად გაშლილი და დანაწევრებულიც არიან, მსგავს ფენომენზე მიუთითებენ.

აქედან გამომდის, რომ მას არც ერთ ეპოქასა და არც ერთ ქანრში არ მოუცილა ლათინური ლექსის თხზვის რაიმე წესი, რაც უბრალოდ ~~გამოსახტებოდა~~, ლექსის ზომის საკითხს მოაგვარებდა, არამედ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ რაიმე სიტყვის ან სახელის ბგერითი პარაფრაზები პარალელური ამოცანა უნდა ყოფილიყო, რასაც პოეტი ლექსის მეტრის გვერდით დააყენებდა.

ასეთი კანონი თავიდანვე მეტრის მოთხოვნილებებისაგან სრულიად განსხვავებულად მართავს მთლიან ექსპრესიას და სიტყვების კომბინაციებს, რომელსაც ირჩევს პოეტი: თუკი ეს არსებობს, იგი გახდება, თავისი არსის სავალალოდ, ბედთან შეგუებული, მაგრამ ეს შეუძლებელია თავისი შედეგების სწრაფწარმავალი საფუძვლის გამო, რომელიც თითქმის ყველა პასაჟისათვის განსაზღვრავს იმ ფორმას, რომელსაც თავისი აზრის გამოსახატად სიტყვების საშუალებით მისცემს ავტორი.

ეს წესები, რომლებიც ამდენ მოთხოვნებს შეიცავენ, ჩანს, იქით არიან მიმართული, რომ ანაგრამები არარეალურად აქიცონ. მე გარკვეული რწმენით ვპასუხობ, რომ მომავალში კიდევ ერთხელ მივუბრუნდებ ამ საკითხს. დადგება წამი, როცა მათ კიდევ ზოგი სხვა რამეც მიემატება და როცა ის აქ, როგორც კოდექსის გამხმარი ჩონჩხი, თავის რეალურ განფენილობაში გამოჩნდება. მეორე მხრივ, იმის მხედველობაში მიღებით, რომ აქამდე მხოლოდ მნიშვნელოვანი რამ შევიმეცნეთ და დროც გვქონდა გვედარებინა, რომ ჰიპოგრამა თავისთავად იმდენად უცილობელი ფაქტია, რომ სხვადასხვა გზების გამო, რომლებიც მისი ნაირგვარი განხორციელების სივრცეებს ხსნიან,

⁴⁰³ Cf. MSM, გვ. 32.; WUW, გვ. 25BPUG, ფრანგ. ხელნ. 3966, [St.:] იისფერი რვეული სათაურით: "Plaute anagr. er Carmina Epigr".

თავისი არსებობისა თუ სიზუსტის შენარჩუნებისათვის არაფრის შიში აღარ უნდა ჰქონდეს.

II. რამდენადაც ჯერ კიდევ არ ჩამოტარებია ლათინი ლექსმცოდნეების ნაწერების სპეციალური კვლევა, პირადად ჩემთვის ბევრი რამის თქმა ძნელია. კერძოდ, არსებობს თუ არა მათ ნაწერებში რაიმე ქარაგმა ჰიპოგრამების საჭიროების შესახებ და რაკი ამგვარ გადაკრულ სიტყვაზე არასდროს არ ყოფილა არანაირი მინიშნება, უნდა დავეთანხმოთ, რომ ანტიკური ხანის ლათინური ვერსიფიკაციის თეორეტიკოსები ყოველთვის თავს იკავებდნენ ამ ვერსიფიკაციის ელემენტარული პირველი პირობის მოხსენიებისაგან. თუ რატომ აიჩინეს მათ ასეთი დუმილი, არის პრობლემა, რაზეც არანაირი პასუხი არ გამაჩნია და არც კიდევ იმაზე, თუ რატომ იყო მისი სერუპულოზური დაცვა ყველა პოეტისთვის აუცილებელი. []⁴⁰⁴

[...] თვალსაჩინო ადგილების (*loci conspicui*) გარეშე, რომლებიც პარამორფებს (*Paramorphe*) ნათელს ჰფენენ, ცხადია, ჰიპოგრამებთან დაკავშირებული მთელი საკითხი ეჭვის საგნად დარჩება; ეჭვისა, რომელსაც, სხვათა შორის, მეტად რთული ხასიათი აქვს. ჯერ კიდევ ურყევ ფაქტებთან დაკავშირებულ დისკუსიამდე უნდა გაგვეთვალისწინებინა უკიდურესად ბუნდოვანი და გაჭიანურებული პარადოქსები, მათ შორის ისეთები, რომლებიც ფაქტებს შეეხება და თეორიისა და პრინციპის მსხვერპლად იქცნენ. ნაწყვეტი ნანატრ ჰიპოგრამას მხოლოდ უმნიშვნელოდ წარმოადგენს:

მაშასადამე, ნათელია, რომ ილუზიებში დაფარფარებთ ან ტექსტს ძალით გვინდა რაღაც გამოვცადოთ, რასაც საეჭვოა, რომ გასცემს.

ნაწყვეტს ნანატრი ჰიპოგრამა ჭარბად მოეპოვება.

ამგვარად, ნათელია: როცა ყველგან შეიძლება ნანატრი ჰიპოგრამის პოვნა, ეს უკვე ბანალურად იქცევა.

საჭიროა, ორივე დასკვნისათვის ყურადღების მიქცევა და სერიოზული მიდგომა. ამავე დროს, ჩანს, რომ ეს ორი დასკვნა ერთმანეთთან დაპირისპირებულია და მხოლოდ ნეგაციის ერთ სისტემას იძლევა, რომლის დროსაც გადასაწყვეტი იქნებოდა, ნეგაციის მიზნით, ორ-ორ საპირისპირო არგუმენტებზე გაჭიანურებული გადასვლისას იმ არგუმენტის შერჩევა, რომელიც კონკრეტული შემთხვევისათვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა. როდესაც ჰიპოგრამა სუსტია, ეს იმას ნიშნავს, რომ მის არსებობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, გინდ ყოფილა და გინდ არა, მაგრამ, როცა ჰიპოგრამა ძლიერია, მაინც – გინდ ყოფილა და გინდ არა, რადგან იგი მაინც ზოგად სისუსტეს ამტკიცებს.

მაინც პირველ შემთხვევაში იკვეთება, რომ არგუმენტს აზრი ეკარგება, რადგან აუცილებლად ზოგადი ალბათობის თეორიამდე მივდივართ. ათასგზის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თუკი ჰიპოგრამატისტების ოპერაციას უფრო დაკვირვებით შევხედავთ და გავაცნობიერებთ, რომ მათ ნამდვილად სურდათ რაიმე სიტყვის ჰიპოგრამის შექმნა, რაც ტექსტში თავიდან ბოლომდე იქნებოდა გაშლილი, იმის ჩვენებასაც შევძლებთ, რომ ეს ტექსტი პერიოდულად, კანონზომიერად, ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ უჩვენებდა ისეთ მარცვალთა ჯგუფების გატარებას, როგორიცაა, მაგალითად, თემისტოკლე, კალპურნიუსი, ეპამინონდასი. სულაც არ იქნება საჭირო ყველას დარწმუნება, რომ ეს მხოლოდ სურვილია, რადგან ნამდვილად არ არსებობს დიდი სიმძლე, რომლის მიზეზითაც მარცვალთა ეს თანმიმდევრობა შემთხვევითობისაგან გაქცევას შეძლებდა.

⁴⁰⁴ Cf. MSM, გვ. 133-135.; WUW, გვ. 106f. (BPUG, ფრანგ. ხელნ. 3966, [St.] რვეული ლიმონისფერი ხაზებით და სათაურით: "Carmina Epigraphica, Fin: le passage Tempus erat Ausone".

ვიდრე დიდ ჰომოგრაძებს ვუტრიალებთ, ხარისხისა და გამოთვლის საკითხს დიდი დრო დაჭირდება და სხვა დამამტკიცებელი შედარება-დამოწმებები მაინც არ იქნება საკმარისი.⁴⁰⁵

1. უძველესი სატურნული ძეგლებიდან მოკიდებული ლათინურ პოეზიამდე, რომელსაც 1815-1820 წლამდე ქმნიდნენ, გარდა ყოველი საკუთარი სახელის ჰიპოგრაძის კანონიკური ფორმით პარაფრაზირებისა, ლექსის თხზვის სხვა სახეობა არ მოუცია; ხოლო როცა ამ სისტემას სულ ცოტა ხნის წინ დაუდგა დაისი, სწორედ მაშინ მიაღწია თავისი განვითარების მწვერვალს. ლიტერატურული პროზაც ძველად იგივე კანონებს ემორჩილებოდა, მაგრამ [].

2. ოკულტური ტრადიციების შესახებ, რომლის არსებობა ამის წყალობით ვლინდება, არაფერი ვიცით. ნაკლებად ვცდილობ ამაზე ლაპარაკს და განვიხილავ მას, როგორც პრობლემას, რომელიც ფაქტების მატერიალურობისაგან სრულიად დამოუკიდებელ პრობლემად რჩება.

3. შეიძლება თუ არა, რომ ფაქტების მატერიალურობას შემთხვევას ვუმადლოდეთ? ანუ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჰიპოგრაძების კანონები რომ არ ყოფილიყო ისე ყოვლისმომცველი, როგორც იგი უცდლოდ ვლინდება, როცა ყოველ საკუთარ სახელს კვლავ და კვლავ აწყდები ისე, რომ არ უნდა გავცდეთ, სწორედ ეს არის უშუალო პრობლემა, რასაც ჩვენ ვუშვებთ და ამავე დროს, წიგნის ნამდვილი საგანიც, რადგან შესაძლებლობების დიაპაზონზე ასეთი დისკუსია აუცილებლად გახდება ყველაფრის ბაზისი, ყველაფერ იმისა, რამაც თავისი ყურადღება პროცესუალურად, მართალია, მცირედ, მაგრამ მაინც, მატერიალური ფაქტებისაკენ მიმართა.⁴⁰⁶

[...] როცა პირველი ანაგრამა გამოჩნდება ხოლმე, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს რაღაც გასხივოსნება მოხდა. მაგრამ, როცა დაინახავ, რომ მას შეიძლება მეორე, მესამე, მეოთხე მოჰყვეს, ძალიან შორდები იმ შეგრძნებას, რომ ყველა ეჭვისაგან გათავისუფლებული ხარ და, რასაკვირველია, იწყება არა იმგვარი აბსოლუტური ნდობა, როგორც პირველი ანაგრამის გამოჩენის დროს გქონდა, რადგან საჭიროდ სცნობ, საკუთარ თავს ჰკითხო: ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შეიძლება ყველა შესაძლო სიტყვის ნებისმიერ ტექსტში პონა, ან ისევე საკუთარ თავს ჰკითხო: ისინი, რომლებიც საკუთარ სამსახურს სთავაზობენ ისე, რომ არავის მოუთხოვია მათთვის, სადამდე იქნებიან დამახასიათებელი გარანტიებით და თანხმობის საკმაოდ დიდი შედეგით შემოხლდული, რათა პირველად მოსული სიტყვის მსგავსად შეინარჩუნო ან შეინარჩუნო იმის მსგავსად, რისთვისაც ყურადღება არ მიგიქცევია. ალბათობის თეორიისგან ორი ნაბიჯით წინ დგახარ, როგორც უკანასკნელ თავშესაფართან, მაგრამ რაკი მოცემული სფეროსათვის ეს თეორია მათემატიკურ უნარსაც აღემატება. ამდენად ერთადერთ სასინჯ ქვედ რჩება იმისგან უკუქცევა, რაზეც მეორე პიროვნებას წინასწარ არ იქნება ცუდად განწყობილი და სწორედ ამიტომ კომპეტენტურ აზრად მიჩნეული. არ მინდოდა თქვენთვის ეჭვის საფუძველი დამემალა, რომელიც მომდინარეობს სწორედ იმ სიუხვიდან, რომელსაც ანაგრამების ფაქტი გეთავაზობს.⁴⁰⁷

⁴⁰⁵ Cf. MSM, გვ. 130-132.; WUW, გვ. 104 f. (BPUG, ფრანგ. ხელნ. 3968), [St.:] უსათაურო რვეული.

⁴⁰⁶ Cf. MSM, გვ. 133.; WUW, გვ. 105 f. (BPUG, ფრანგ. ხელნ. 3968), [St.:] უფლო რვეული, რომლის პირველი გვერდი თომას ჯონსონის მიერ შესრულებულ ლათინურ თარგმანებს ეხება.

⁴⁰⁷ Cf. MSM, გვ. 132.; WUW, გვ. 105 (BPUG, ფრანგ. ხელნ. 3969), [St.:] ცალკეული დანომრილი გვერდები სათაურით: C.J.L.J., 34.

ღრმად პატივცემულო ბატონო, ჩემს მიერ თქვენთვის გადმოცემულ რვეულებში არაფერია ანჯღელ პოლიციანოზე ნათქვამი და ეს მეცადინეობის განახლებისაკენ მიბიძგებს, რადგან უნდა გითხრათ, რომ მოცდა მოგიწევთ, ვიდრე დავაზუსტებ იმ სტრიქონებს, რომლებიც ამ ავტორს ეხება. თუ თქვენ სხვა კრებულებისთვის დროს გამო-ნახავთ, რომლებშიც დასკვნები ყველა ტექსტიდანაა გაკეთებული და, ცხა-დია, ყველა ავტორზეც, ვისაც კი საკითხი ეხება, თუმცა ფრაგმენტულად, მა-ინც ყველა საკითხზე ძალიან საჭირო განმარტებებს მიიღებთ. უნდა გითხ-რათ, ისეთი შეგრძნება მაქვს, საბოლოოდ განცვიფრებული დარჩებით, მაგ-რამ არ დაგიმაღლავთ, რომ თავის დროზე მნიშვნელოვანი ადგილებით მეც განვცვიფრდი. ასევე მინდა გითხრათ, თუ რა უნდა ვიფიქროთ მთელ ამ საკითხში არსებულ რეალურობისა თუ ფანტასმაგორიულობის შესახებ. როცა თქვენთვის ამის თქმა შეეძელი, კარგად დაინახეთ და უფრო მეტიც, რომ პირველ რიგში, ყველაფერი იქეთ არის მიმართული, რომ რამენაირად რწმენა დაკარგო, იქნება ეს, მაგალითად, მთელის აღბათობა თუ „რალაც“, რაც უეჭველია. სულ უფრო მიძლიერდება რწმენა იმისა, რომ ანჯღელ პო-ლიციანოს ტექსტი რწმენასთან დაკავშირებული საკითხების დასმისა და ად-გილზევე მათი მარტივად გადაწყვეტის საშუალებას იძლევა. მართლაც, რო-ცა ანჯღელ პოლიციანოს ტექსტში ჰიპოგრაფია არ არსებობს, ვთვლი ისეთ რამედ, რისი ამოცნობაც თითქოს ზევით მოხსენიებულ ანჯღელს ნდომებო-დეს. განვმარტავ, რომ ამიერიდან ყველა ეპოქაში ლათინური წერის მანერი-სათვის დამახასიათებელი ანაგრამის ყველგან უარყოფა სრულიად უღმობე-ლი რამ არის. სინამდვილეში ეს ტექსტი, ანტიკურ ტექსტებთან შედარებით, არც მეტი, არც ნაკლები, საოცარი სულაც არ არის – უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, ოდნავ გასაოცარიც კია. ეს საშუალებას იძლევა, ის პასუხი, რომელსაც პოლიციანოს სპეციალურ გამოკვლევაზე გვთავაზობენ, სხვებზეც განვაგრძოთ. ასევე მინდოდა, თქვენთვის მერჩია, რომ დროის ის მონაკვეთი, რომელის დათმობასაც ამ საკითხის შესწავლისათვის შეძლებდით, ნახევარი მაინც პოლიციანოსთან დაკავშირებული იმ რვეულებისათვის შემოგენახათ, რომელსაც გამოგიგზავნი. [...]⁴⁰⁸

[...] მაგრამ არსებითად ეს სხვა არაფერია, თუ არა იმ ფაქტების სიმრავლე, რაც მის ერთიანობაზე წამიერად უკიდურეს ბუნდოვანებას ბადებს. ყველაფერი ორმხრივ ურთიერთშეხებაშია და არ იცი, სად და როდის შეწყვეტენ ამ ურთიერთობას. ისე, რომ, როცა ოთხ ჰიპოთეზას შორის კრიტიკულ გადა-მოწმებას ახდენ, შეიძლება გადაწყვეტილების მიღებისას ყოყმანი დაიწყო. ან გარდაუვალია ეს ურთიერთშეხებები და მკვლევარი შეიძლება ილუზიების მსხვერპლად იქცეს, რის მიზეზიც ბერძნულ მარცვალთა შეხლულული რაო-დენობა იყოს. ამ შემთხვევაში შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ის ცალკეული კონსონანტები, რომლებიც, შესაძლებელია, სიტყვის ბოლოში იდგნენ, გამო-ნაკლისის გარეშე *δ, ν, ζ* არიან; აქედან *δε, να, so, si*-სა და *ა.შ.* რაოდენობა,

⁴⁰⁸ Cf. MSM, გვ. 138.; WUW, გვ. 110 f. (სოსიურის წერილი ლეოპოლდ გოტიესადმი, რომელმაც ამ წერილის დაბეჭდვა ჟ. სტარობინსკის მიანდო, ამაზე სტარობინსკის შენიშვნიდან ამონარიდს მოვიხმობთ): „ორი თვის შემდეგ, 1908 წლის 29 ოქტომბერს, სოსიურმა სოხოვა ლეოპოლდ გო-ტიეს, თავისი საკონტროლო სამუშაო შეეწყვიტა: „მე სრულიად ახალ წყაროს მივაგენი, რომე-ლიც ავად თუ კარგად, ყოველ შემთხვევაში, საშუალებას მოგვცემს, უმოკლეს დროში მნიშვნე-ლოვნად ცხადი შედეგებით საპირისპირო გამოცდა ჩავატაროთ. სინანულს გამოვთქვამ, რომ ფერდინანდ დე სოსიურის მიერ გამოყენებული მეთოდის წარმოდგენის შესაძლებლობა არა გვაქვს“ (WUW, გვ. 136 f.).

რომლებიც ურთიერთშეხვედრის შედეგად, როგორც მაგ.: $\alpha\eta/\delta \epsilon\lambda$, $\alpha\delta\beta\alpha\varsigma$ და ა.შ. სიტყვის ბოლოში ხმოვნის წინ ჩნდებიან, ისე იზრდება, რომ არ უნდა ვლავარაკობდეთ ისეთ მარცვლებზე, რომლებიც ρ , ν , ζ -თი იწყებიან.

[ამასთან დაკავშირებით შეიძლებოდა იმის თქმაც, რომ ფაქტები კიდევ უფრო გასაოცარია იქ, სადაც საქმე ეხება λ , χ , β -სა და სხვა ელემენტებს, რომლებიც სიტყვის დაბოლოებებისათვის თითქმის უცნობია].

ან, მეორე ჰიპოთეზა, რომელიც ჩემთვის არაფრით განსხვავდება პირველისაგან, იქნებოდა პოეტის წინასწარგანზრახული თამაში იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, იგი $\rho\iota\omega\beta\delta\epsilon\upsilon$ ზმნას $\chi\alpha\rho\upsilon\beta\delta\epsilon$ -ის შემდეგ გაიმეორებდა, რაც ხანდახან, როგორც პოეტური სახე, როგორც ხმაბაძვითი მოკაზმულობა, მარცვალთა სასურველი გაიმეორებების სახით იარსებებდა.

[ამის შემდეგ პასუხია გასაცემი იმაზე, რომ არსებობს ლექსები, რომლებიც როგორც მოკლე ლექსები, წარმოსახვისათვის ყველაზე ნაკლებ მიზეზს იძლევიან, მაგრამ ისინი გამეორებისაკენ სწრაფვას ამუდვანებენ. – და, რომ დაახლოებით “ილიადას” დასაწყისის (მექსვე ლექსიდან მერვე ლექსის ჩათვლით) მსგავსი პასაჟები სხვა არაფერია, გარდა მარცვალთა გასაოცარი გაიმეორებების უწყვეტი ჯაჭვისა.

მესამე ჰიპოთეზა: ჰომოფონია იქნებოდა აღიარებული საქმე (აუცილებელიც კი) ორი ლექსის შესადგენად, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ იგი თავისუფალი იქნებოდა. იმის მიუხედავად, მოცემული იქნებოდა თუ არა რაიმე სიტყვა, საქმე შეეხებოდა გარკვეულ მონაკვეთში შეძლებისდაგვარად მსგავსი მარცვლებისა და ფონემების გამრავლებისაკენ სწრაფვას. ამ დროს დაახლოებით ერთ პრასაჟში შთაბეჭდილება თჯ ჳ თბ ჳბ თმ მარცვლებით იქმნება; შემდეგ სხვა პასაჟში, რომელიც, უხეშ კონსონანტთა ჯგუფის გარეშე, მარტივი მარცვლებისაგან შედგება, l , m -სა და n -ზე გადიან და თავად ქმნიან მარტივ მარცვლებს.

ეს „მეტად საშიში“ ჰიპოთეზაა იმ გაგებით, რომ ის მართლაც შეიძლებოდა არსებულიყო და ამით ყველა მსგავსად რეგლამენტირებული ჰიპოთეზა ეჭვქვეშ აღმოჩენილიყო.

[თავის მხრივ, ის ითხოვს პასუხს. ამჯერად, როგორც კონსონანტური, ისე ხმოვნური ექვივალენტები, რომლებიც სხარტი ლექსებიდან დასკვნის საშუალებას იძლევიან, საკმაოდ ზუსტ წესებთან შეხებისას, თითქოს მიბაძვისათვის ბუნდოვანი ნებართვით, ერთსულოვან სახეს იღებენ. ისინი ხელს უწყობენ კანონზომიერი წონასწორობის მოცემულობაზე წარმოდგენის შექმნას.]

მეოთხე ჰიპოთეზა. ციფრებით მოწესრიგებული ჰომოფონია, რომელიც ამა თუ იმ კრიტერიუმზეა დამოკიდებული, – მაგალითად, ფონემების ზეწოლაზე: რადგან სარწმუნოა, რომ სიტყვა $\epsilon\pi\epsilon\rho\sigma\epsilon\nu$ -იდან ρ ნახევარ მორას უდრის, ხოლო სიტყვა $\tau\rho\iota\omega\zeta$ -ში მორა ნულის ტოლია, ყოველგვარი წესი, როგორიც, მაგალითად, ეს: ერთი იმპლოზიური ფონემა შეიძლება, 2-ჯერ იგივე ექსკლუზიური ფონემის ღირებულებისა იყოს. ასე შეფასდებოდა $\alpha\lambda\eta\lambda\alpha\nu$ -ში 1 იმპლოზიური $\lambda+2$ ექსკლუზიური λ =ნული λ -ად, 2-დან მიღებული $l+1$ -ის კომპენსაციის საშუალებით. უამრავი ლექსი სწორედ ამ წესზეა მორგებული, სხვები, თავის მხრივ, არა. აი, ასე ვრჩები ყოველსმომცველ ეჭვში და მხოლოდ აქ მოხმობილ პირველ ორ ჰიპოთეზას გამოვრიცხავ.⁴⁰⁹

⁴⁰⁹ Cf. MSM, გვ. 129 f.: WUW, გვ. 102-104 (BPUG, ფრანგ. ხელნ. 3957/2), [St.:] ამონარიდი ერთ-ერთი წერილის მონახაზიდან. ადრესატი უცნობია.

ბატონ პროფესორ გ. პასკოლის
ბოლონიის უნივერსიტეტი

ჟენევა 1909 წლის 19
მარტი, 2, ტერტასის ქუჩა

პატივცემულო ბატონო,
თავს ნებას ვაძლევ, თქვენთან ნაცნობობის გარეშე, თუ არ ჩავთვლით ისეთ
ნაცნობობას, რასაც საუნივერსიტეტო კოლეგიალობა ჰქვია, მოგწეროთ წერი-
ლი და იმედი ვიქონიო, რომ ჩემს დაბეჯითებულ თხოვნას, რომელსაც ამ წე-
რილით გაგიზიარებთ, კადნიერებაში არ ჩამომართმევთ. ახლა ორიოდ სიტყ-
ვით სწრაფად მოგახსენებთ, თუ რას უკავშირდება ჩემი თხოვნა.

როდესაც, ზოგადად, თანამედროვე ლათინური პოეზიით და ლათინური
ლექსმცოდნეობით ვიყავი დაკავებული, არაერთხელ აღმოვჩენილვარ ისეთი
პრობლემის წინაშე, რომელზეც დამაჯერებელი პასუხის გაცემა ვერ შეეძე-
ლი. არსებობს გარკვეული ტექნიკური დეტალები, რომლებიც ზოგიერთმა
თანამედროვე მიმდინარეობის ლექსწყობამ შემოინახა. როგორ ფიქრობთ, ეს
შემთხვევითი ამბავია, თუ მის წარმომადგენლებს გაუნდათ ამ დეტალების
გამოყენების სურვილი? მათ შორის ხომ ისეთებიც არიან, რომლებიც ჩვენს
დროში ლათინური პოეზიის ნიმუშებით გახდნენ ცნობილი და, უნდა ითქვას,
სწორედ მათი წყალობით მომიხდა ამ საქმეში ღრმად ჩახედვა. საკმაოდ ცო-
ტა აღმოჩნდა ისეთი, რომელთა შესახებაც შეიძლებოდა იმის თქმა, რომ მათ
ისეთი სრულყოფილი მოდელები შექმნეს, როგორებიც ლათინებმა, ან, რო-
მელთა შემოქმედებაშიც ნათლად შეიმჩნევა ტრადიციების ზუსტი გაგრძელებ-
ა. ეს გახლავთ ის მიზეზი, რამაც მიკარნახა, დაუყოვნებლივ თქვენთვის მო-
მმართა და რაც ჩემს საქციელს გამართლებას მოუძებნის. თუკი მოწყალებ-
ბას მოიღებთ და მზად იქნებით ჩემს კითხვებს ყურადღება მიაქციოთ, ეს
ჩემთვის დიდი პატივი იქნება და მზად ვარ, ეს დეტალები მომდევნო წერი-
ლით გაგიზიაროთ.

დიდი მადლიერების გრძნობით [...]

ფ. დე სოსიური

ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორი⁴¹⁰

ჟენევა, 6 აპრილი,
1909, ტერტასეს 2

ღრმად პატივცემულო ბატონო და კოლეგა,
ვიდრე იმ სტრიქონებზე ვფიქრობ, რომლებიც თქვენ პატივი დამდეთ და გა-
სულ თვეში გამომიგზავნეთ, ვსარგებლობ თქვენის ნებაართვით და ჩემი
თხოვნის საპასუხოდ ამ წერილს გიგზავნით.

ორი ან სამი მაგალითი საკმარისი იქნება, რათა იმ საკითხის შინაარსი წარ-
მოგიდგინოთ, რომელიც ჩემს სულში აღიბეჭდა და ამავე დროს, საერთო პა-
სუხის შესაძლებლობას იძლევა, რადგან, თუკი მხოლოდ შემთხვევითობის
შედგენია ის, რაც ორიოდ მაგალითშია ჩართული, ეს იმის უეჭველი მაჩვენებ-
ელია, რომ იგი ყველა დანარჩენშიც მსგავს ვითარებასთან იქნება დაკავში-
რებული. თუკი თქვენი წერილის მიხედვით ვიმსჯელებ, თავიდანვე საკმაოდ
საეჭვოდ მიმაჩნია, რომ ეს შეხედულებათა შესატყვისობას ნიშნავდეს.

⁴¹⁰ Cf. "Lettres le Ferdinand de Saussure à Giovanni Pascoli" (ფერდინანდ დე სოსიურის წერილი ჯოვანი პასკოლისადმი), გამოცემული ჯ. ნავას მიერ CFS 24-ში, 1968, გვ. 79; WUW, გვ. 123 (პირველი წერილი ჯოვანი პასკოლისადმი).

1. შემთხვევითობას უნდა მიეწეროს თუ განზრახ ქმედებას, რომ ერთი პასაჟი „Catullocalvos“-ში, გვ. 16, არის ისეთი ადგილი, სადაც სახელი Falerni მოქცეულია ისეთ სიტყვებს შორის, რომელთა მარცვლები ამ სახელს აწარმოებენ

... / facundi calices hausere - alterni /
FA AL ER AL-ERNI

2. იქვე, მე-18 გვერდზე, კვლავ ვხვდებით შემთხვევას, როცა სიტყვა ulixes მარცვლები მოიპოვება სიტყვათა ისეთ თანმიმდევრობაში, როგორცაა:

/ Urbium sim ul / Undique pepulit lux imbres ... resides
U--- UL U----- ULI—X-----S-----S--ES

ასევეა Circe-სთან დაკავშირებით
/ Cicuresque /
CI--R--CE

ან / Comes est itineris illi cerva pede / ...

ან მე-9 გვერდზე იგივე Cicero-სთან დაკავშირებით:
Cur, scire laboro
C---CI
C-----E
R-----RO

3. ისიც შემთხვევითია, რომ Iugurtha-ს ნაწევებში ასონანსები თანმიმდევრულად აწარმოებენ Iugurtha-ს სახელს, ზოგჯერ მარცვალ-მარცვლადაც კი? მაგალითად (გვ. 16):

/ Ingrit Ipse fugit per inhospita /...
+(tesca rapitque verbera ... sequitur cita turma)

(ზოგჯერ ეს საწყისი და ბოლო მარცვლების მეშვეობით ხდება) გვ. 7:
/ Ille diu tinnitibus aures perculit ut tonitru cum nox gemit excita /...

ზოგჯერ ეს საწყისი და ბოლო მარცვლების მეშვეობით ხდება, ასეა მე-13 გვერდზე:

/ Ille viam rivo longam solatur et umbra /
I---V------(g)-----Ur-T-----A
R-----/

როგორც უკვე აღვნიშნე, ეს მაგალითებიც კმარა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მაგალითები უხვადაა ტექსტში. პრობლემას რაღაც მაცდუნებელი მხარეც გააჩნია, კერძოდ ის, რომ მაგალითების რაოდენობას არ შეუძლია იმ ჩანაფიქრის დადასტურება, რომელსაც ვითარების განკარგვა შეეძლებოდა. პირიქით, რაც უფრო ბევრი მაგალითია, მით უფრო მეტი საფუძველი იქმნება იმის სარწმუნოდ, რომ ეს არის ანბანის 24 ასოს შესაძლებლობებით ბუნებრივი თამაში, რომელმაც თითქოს ბგერათა ასეთი შეთანხმებები რეგულარულად უნდა აწარმოოს. რაკი ასეთი აღბათობის თეორია გამოცდილი მათემატიკოსის ტალანტს მოითხოვდა, უფრო საიმედოდ ჩავთვალე ისეთი პიროვნებისათვის მიმემართა, რომელიც ამასთან დაკავშირებით ბგერათა ასეთი ურთიერთთანხვედრის შესახებ სწორ განმარტებებს მომცემდა. ის დაპირება, რომელიც მოწყალება მოიღეთ და აღმითქვით, დიდად მაგაღდებულებს, არ დავაყოვნო და რამენაირი გამოანგარიშებით ამ საკითხზე სასწრაფო გადაწყვეტილება მივიღო [...]

ფ. დე სოსიური⁴¹¹

⁴¹¹ Cf. "Lettres le Ferdinand de Saussure à Giovanni Pascoli" (ფერდინანდ დე სოსიურის წერილი ჯოვანი პასკოლისადმი), გამოცემული ჯ. ნავას მიერ CFS 24-ში, 1968, გვ. 80; WUW, გვ. 123 f. (მეორე წერილი ჯოვანი პასკოლისადმი).

II.

თეოდორ ფლურნუას მიერ გამოქვეყნებული ტექსტები

„მაპატიეთ, თქვენო უდიდებულესობავ, უთხრა ოკეიმ, „ამის უკან სხვა ისტორიაც იბადება. ეგებ სუფთა შემთხვევობაა, რომ ორმა საფუძვლიანად განსხვავებულმა საქმემ აქ, ქენევაში გადაკვეთა ერთმანეთი“.

V. „ფერადი სმენის თაობაზე გამოკითხვის პასუხი“¹

„თქვენი აზრით, რა ფერები გააჩნიათ ხმოვნებს?“²

ვფიქრობ, საკითხზე (ხმოვანთა ფერების შესახებ) პასუხის გაცემას ვერ შევძლებ იმ გაგებით, რომლითაც თქვენ დააყენეთ იგი. კერძოდ კი იმ გარემოების გამო, რაც ჩემში გაოცებას იწვევს: ერთი და იგივე ხმოვანს ფრანგულში ოთხი განსხვავებული სახით ვწერთ. მაგალითად, ამ სიტყვებში: terrain, plein, matin, chien. თუ ain ფორმით იქნება ეს ბგერა წარმოდგენილი, მაშინ მკრთალ ყვითელ ფერს ვხედავ, ისეთს, ღუმელში ცუდად გამოძწვარ აგურს რომ დაჰკრავს; თუ ეს ბგერა ein-ის სახით იქნება დაწერილი, ჩემზე მოწითალო-მოიისფრო ვენების წნულის შთაბეჭდილებას მოახდენს; თუ იგი in-ის სახით იქნება დაწერილი, უკვე აღარ ვიცი, რომელი ფერის შთაბეჭდილებას აღძრავს ჩემში. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ფერთა არანაირ შთაბეჭდილებას არ აღძრავს იგი, და ბოლოს, თუ ეს ხმოვანი en-ის სახით იქნება დაწერილი (რაც მხოლოდ მის წინ ხმარებულ i-ს მოსდევს ხოლმე), მაგონებს რაღაც გროვას, დაახლოებით კანაფის თოკის გორგალს, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიუღია ის მოთეთრო ფერი, რასაც ჩვეულებრივ ხმარების შემდეგ ღებულობს ხოლმე. ასე რომ, ეს აშკარად არ არის ხმოვანი, როგორც ასეთი, ეს უფრო იმის შედეგია, ყური როგორ აღიქვამს მას, რაც შესაბამის ვიზუალურ შთაბეჭდილებას იწვევს. სხვაც რომ არა იყოს რა, ეს არც რომელიმე განსაზღვრული ასოს ან ასოთა განსაზღვრული ჯგუფის სახეა, რომელიც ასეთ შთაბეჭდილებას აღძრავს. უფრო მეტიც, ეს იმ ზომის ხმოვანია, როგორსაც მისი გრაფიკული გამოსახულება იძლევა, ანუ, ეს არის წარმოსახვითი რაობა, რომელსაც პირველი წარმოსახვითი ასოციაცია ქმნის – ისეთს, რომ სხვა ასოციაციის შედეგად ისე მეჩვენება, თითქოს ამას უეჭველი კონსისტენცია, განსაზღვრული ფერი, ზოგჯერ განსაზღვრული ფორმა და სუნიც კი ჰქონდეს.

¹ თეოდორ ფლურნუა 1892 წელს, თავის ასისტენ ედუარდ კლაპართან ერთად, ქენევაში „ფერადი სმენისა და ვიზუალური ჩვენებების შესახებ კვლევას“ ატარებდა (შეადარეთ, ე. კლაპარი, „Théodore Flournoy. Sa vie, son oeuvre (1854-1920)“, „Archives de psychologie“-ში, XVIII, 1923, გვ. 33-35). როგორც დღეისათვის ცნობილია, გამოკითხულთა შორის იყო სოსიურიც, რომლის პასუხი 1893 წელს ფლურნუას მიერ გამოქვეყნებულ წიგნში „სინოპსისი ფენომენის შესახებ (ფერადი სმენა)“ [=A.28] 50-52-ე გვერდებზე (შემდეგი შენიშვნით: „Voici à ce propos, une reponse in -structive que je dois à l'obligeance d'un éminent linguiste, M. X.) ანონიმურად დაიბეჭდა (შეადარეთ Zeichen (ნიშნები), გვ. 178ff). სოსიურის კლამს ეკუთვნის აგრეთვე კვირის დიაგრამა (საკითხი. „Sous quelle forme figurée vous representez – vous les mois de l'année, les jours de la semaine, la série des nombres, etc.“), რომელიც ფლურნუამ 164-3 გვერდზე წარმოადგინა (შეად. გვ. 480, ასევე p. 51 p. 52).

² ფლურნუას შეკითხვა სიტყვასიტყვით ასე ჟღერს: „Quelles couleurs trouvez – vous aux voyes?“

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ფერი და სხვა ნიშნები მიანიშნებენ არა აკუსტიკურ მონაცემებზე, არამედ ორთოგრაფიულზე, რომელთაგანაც ჩემდაუნებურად სუბსტანციებს ვქმნი. არსი [ხმოვანი X, ასო X] ამ ასპექტით, ამ ტონით, ამ შეგრძნებით ხასიათდება.

დავაკვირდი, უცხო ენებშიც თუ არსებობს ისეთივე შესატყვისობები, როგორც ფრანგულში. მეჩვენება, რომ ეს უცხო ენებში ნაკლებად ინტენსიური, ნაკლებ განვითარებული და ნაკლებად ზუსტია.

ფრანგულში a არის [ხმოვანი a ასო a], ასე ვთქვათ, უფერული, მოთეთრო, ყვითლისაკენ გადახრილი, როგორც კონსისტენციური, მაგრამ ნაკლებად მკვრივი, რომელიც ბიძგისას ჟღერიალს იწვევს. მაგალითად, ჩარჩოებზე გადაკრული ქაღალდი (დროთა განმავლობაში გაყვითლებული); ისეთი ფიცრის კარები (ლაქწაუსმელი, სუფთა ხე), როცა გრძნობ, რომ მცირე ბიძგის შედეგად ჭრიალით გადმოვარდება; კვერცხის ნაჭუჭი, რომელიც ხელის მოჭერით ტკაცუნს იწვევს. კიდევ უკეთესი მაგალითი: უმი კვერცხის ნაჭუჭი არის a (ფერისა და კონსისტენციის თვალსაზრისით), მაგრამ მოხარშული კვერცხის ნაჭუჭი აღარ იქნება a, რადგან ისეთი შეგრძნება გვექმნება, რომ კვერცხი უფრო მტკიცე და, ზემოქმედების შემთხვევაში, უფრო მდგრადი იქნება; მოყვითალო ფანჯრის მინა არის a, ჩვეულებრივი ფერის მინა მოცისფრო რეფლექსით a-ს საპირისპირო იქნება, მიუხედავად იმისა, რომ მათი სიმტკიცე ერთნაირია. ერთი a, რომელიც a-ს გრაფიკული გამოსახულებით არ იწერება, მაგ.: a სიტყვა roi-ში, არ იწვევს ამ შეგრძნებას ისევე, როგორც იგივე სიტყვა, ოღონდ გრაფიკულად rwa- ს სახით გამოსახული.

Ou [გარკვეული ხმოვანი ou გრაფიკული გამოსახულებით] იწვევს მუქი ცისფერი ფოლადის ასოციაციას; i ვერცხლის ან ვერცხლისწველის ფერია, დახურული è მუქი ყავისფერი ხის ფერია და ა.შ. გემოსა და სუნზე არანაირი ფერის შეგრძნება არ მიჩნდება. რაც შეეხება ხმებსა და ხმაურს, მეჩვენება, რომ კორელაციის შესაძლებლობა ნაკლებია, რადგან სწრაფად იფანტება იგი, მაგრამ თუ ყვირილის ფერის დადგენაა საჭირო, ჩემთვის უფრო ადვილი იქნებოდა მეთქვა, თუ რომელ ფერს ვერ წარმოვიდგენ, ვიდრე იმისა, რომელიც მოგონებებისას პოზიტიურ შეგრძნებებს გამოიწვევდა. ჩემთვის მხოლოდ სიტყვების ხმოვნებს გააჩნიათ საკმაოდ ზუსტი ფერები [გვ. 164].

Fig. 45

V S	L M M I	V	S	L	M M I V S L										
///	Dim	///		///	Dim	///			///			///	Dim	///	etu
///		///		///		///	///	///							
///		///		///		///	///	///							
///		///		///		///	///	///							
///		///		///		///	///	///							
///		///		///		///	///	///							
///		///		///		///	///	///							
///		///		///		///	///	///							

დაშტრისული კვირის დიაგრამა

VI. „ქალბატონ სმითის ინდური ენა“³

ჰელენის საუბრის მიხედვით, ინდური ენის არსი ისე ნათლად ვერ აღიქმებოდა, როგორც მარტიშენისა, რადგან შეუძლებელი იყო სინქრონულად ჩაწერა ან დაწერილი ტექსტის მიღება. გარდა ამისა, არ ვიცნობ თანამედროვე თუ ძველი ინდური ენის ურიცხვ დიალექტს და საჭიროდაც არ ჩამითვლია მისი სწავლისათვის მიმყოფი ხელი, მხოლოდ ფილოლოგიური გმირობისათვის ტრანსში მყოფი მედიუმის სწორად გამოთქმული სიტყვებით შეიძლება მისი განმარტება. ამდენად, საკუთარ თავს მასზე მსჯელობის ნებას ვერ მივცემ. იმის საშუალებაც კი არ გამაჩნია, რომ მკითხველს თვალსაჩინოებისათვის დოკუმენტები ვუჩვენო, როგორც ეს მარტიშენთან მიმართებით გავაკეთე. იმის გამო, რომ ჩვენ ჰელენისეული ინდური ენა არ ვიცოდით, თანაც ამას ემატებოდა მისი სწრაფი და ძნელად გასაგები გამოთქმა (ზოგჯერ კი ნამდვილი ტარტარი), ხშირად კარგად მოსმენილი სიტყვაც კი ხელიდან გვისხლტებოდა. ოთხი წლის განმავლობაში ასეთ რთულ პირობებში გაკეთებული 30 ჩანაწერი გაიბნა. თვით ის ჩანაწერებიც, რომლებიც შემოგვრჩა, უმეტესწილად, იმდენ ბუნდოვანებას იწვევს, რომ ყველა მათგანის გამოქვეყნება აზრს კარგავს. მათ შორის უკეთესი ამ წიგნისთვის წამძღვარებულ შესავალში მოხსენიებულ ორიენტალისტებს გავაცანი.⁴ ჩემთვის თავაზიანად მოწოდებული ცნობებიდან ირკვევა, რომ ჰელენის ეგრეთწოდებული ინდური, – მე ვერ დავიხსენებ ასეთ გამოთქმას, რათა წინასწარ არ შევქმნა მასზე უარყოფითი აზრი, – გარკვეული, ამ ენის სპეციალისტებისათვის ცნობილი იდიომატური არ არის, ხოლო, თუ მეორე მხრივ, მის გამონათქვამებში ასე თუ ისე ძნელად გასაგები და დამახინჯებული სიტყვების ფესვებს მოიძიებ, სანსკრიტთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე დღევანდელ ენასთან. აზრიც ხშირად საკმაოდ კარგად შეესატყვისება იმ სიტუაციას, რომელშიც ეს სიტყვებია მოქცეული. ამასთან დაკავშირებით შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოხმობაც.

³ 1914 წელს, სოსიურის გარდაცვალების წლისთავზე, სათაურით „ჟენეველი წინასწარმეტყველი“ ფულიქს მაინერის გამოცემულობაში „Nouvelles observations sur un cas de somnambulisme avec glossolalie“-დან გამოქვეყნდა ერთი პასაჟის თოლორ ფლურნუას მიერ შესრულებული გავრცობილი გერმანული თარგმანი „Des Indes a la Planète Mars“ (შუად. დამატება, გვ. 555 f. A.34 და p.01). ამ წიგნში, რომლის მთარგმნელი, „Dr. M.“ რომელიც, ფლურნუას თქმით, არ დათანხმდა თავისი ანონიმურობის გამჟღავნებაზე (SVG, გვ. XXII), არის სოსიურის კამშიდან გამოსული ცალკეული პასაჟები. ფლურნუას ანალიზით, იგი ჟენეველ წინასწარმეტყველ ჰელენ სმითის „ეგრეთწოდებულ ინდურ“ ქადაგებას დასწრება. რამდენადაც საქმე ეხება დაიწვევებისთვის განწირულ სამეცნიერო ისტორიულ დოკუმენტს, ამიტომ სოსიურის წვლილზე 1914 წლის გამოცემაში უცვლელ, სიტყვისტყვი თარგმანს ვაქვეყნებთ. მეტი სიზხადისთვის იგი შევავსეთ და აქ კურსივით წარმოვადგინეთ პასაჟები, რომლებიც „ქალბატონ სმითის ინდურ ენასთან“ არის დაკავშირებული.

⁴ შესაბამისი პასაჟი შესავალი ნაწილიდან ასეთია: „არაბული და ინდური დოკუმენტების კვლევისათვის, რომლის შესახებაც მე-8 თავში იქნება ნაამბობი, შემონახული მაქვს გამოკითხვები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მრავალ ცნობილ ორიენტალისტს ჩაუტარდა. ესენი არიან ლეოპოლდ ფაური და პროფესორი ლუკ. ვანტიე ჟენევაში; ოგიუსტ გლერდონი – ადრე მისიონერი ინდოეთში და ლონდონის ფსიქიური კვლევის საზოგადოების საპატიო წევრი – და ჩვენი შეხანიშნავი კოლეგები ჟენევის უნივერსიტეტიდან, არაბულის პროფესორი ედმუნდ მონტი, რელიგიის ისტორიის პროფესორი პ. ოლტრამერი და სანსკრიტის პროფესორი ფერდინანდ დე სოსიური. ამ ბატონების საშუალებით კი ზუსტად ასეთივე თანხმობა მივიღე საზღვარგარეთელი ორი გამოჩენილი პროფესორისაგან – პარიზიდან – ა. ბარტისა და ლიუტხიხიდან ხ. მიხელისაგან. ყველა ამ კვლევარის მიმართ გამოვხატე გულითად მადლიერების გრძობას და ვთხოვე მაპატიონ კადნიერება, სხვადასხვა ადგილას მათი წერილების ციტრებას რომ ვახდენ, რომლებსაც, ჩემი აზრით, სადავო საკითხებზე ნათელის მოფენა შეუძლიათ. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ და განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ ბატონ დე სოსიურს მთომინებისა და ამოწურავი წვლილისათვის, რაც მან შეიტანა ჩვენი „ჰინდი-ტექსტების“ განხილვაში (SVG, გვ. XVIII f.).“

ორივე სიტყვა: *atiéyâ ganapatinâmâ*, რომელიც ინდურ ენაში 1895 წლის 6 მარტის სხდომაზე გამოჩნდა და, რომელმაც სიმანდინის მიერ თავისი თითქოს მკვდარი, შემდეგ კი მოულოდნელად კვლავ გამოჩენილი მეუღლისადმი აღუღენილი ღოცვისა თუ მისაღმების ფორმა მიიღო, ისე შთამბეჭდავად და სახეიმოდ იყო წარმოთქმული, რომ მისი ლაპარაკი არანაირ ეჭვს არ იწვევდა. მით უფრო საინტერესოა იმის კონსტატაცია, თუ რამდენად შეესატყვისება ჩემი განსწავლული კორესპონდენტის აზრი ამ ორივე სიტყვის სიმანდინისეულ მნიშვნელობას. პირველი სიტყვა მათ არაფერ განსაზღვრულზე არ მიანიშნებს, ან დამოკიდებულია იმ სიტუაციაზე, რომელშიც მას იყენებენ, ხოლო მეორე შექებითი, მოფერებითი, მაგრამ სრულიად შესატყვისი გადაკრული სიტყვაა ინდური პანთეონის იმ ღვთაების მიმართ, რომელიც გაცხოველებულ ინტერესს იწვევს სწავლულთა გილდიის წარმომადგენლებში.

პ. ოლტრამარმა ჩემს მიერ გაგზავნილ სიტყვებთან დაკავშირებით, რომელთა წარმომავლობაზე არაფერი მიმიწერია, ასე მიპასუხა. „*ganapatinâmâ*-ზე უფრო უწყინარი სიტყვა არ არსებობს. იგი აღნიშნავს: „ვინც სიტყვა განაპათის განაგებს“. ეს იგივეა, რაც *Ganêsa...* რაც შეეხება სიტყვა *atiéya*-ს, იგი ინდური არ უნდა იყოს. ეგებ ეს *atreya* არის, რაც ჩანს, უნდა გამოიყენებოდეს ქალის აღმნიშვნელად, რომელსაც ნაადრევი მშობიარობა ჰქონდა. ეს არის ჩემი განმარტება, რომლის ტექსტებზე გარანტიას ვერ მოგცემ... (ღრმად რომ ჩაწვდუ, უნდა იცოდუ) ეს სიტყვები ნამდვილად სანსკრიტს განეკუთვნება თუ არა, რადგან, თუ ისინი ხალხური მეტყველების ნიმუშებია, ყოველგვარი განსჯისაგან თავს შევიკავებ.

გლარდონი, რომელიც ამ ხალხურ ენას უკეთესად იცნობს და ჰინდოსტანურად თავისუფლად ლაპარაკობს, ჩემთვის სიტყვა *atiéya*-ს უფრო ღრმად გაშიფვრა ვერ შეძლო. მეორე სიტყვაში იმანაც ზუსტად ისეთივე „პატივის გამოხატველი“ ეპითეტი დაინახა. სიტყვასიტყვით ასეთი ახსნა მომავლად: „განაპატად წოდებული, ღვთაება *ganêsa*-ს ინტიმური სახელი“. დე სოსიურიც პირველ სიტყვებში ვერ კითხულობს რაიმე აზრს და იქეთ იხრება, რომ მასში მარტიშენის თვითშემოქმედების ნაყოფი დაინახოს. მეორე სიტყვის ორივე შემადგენელ ნაწილთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგს: „განაპატი კარგად ცნობილი ღვთაებაა, ხოლო „*mâmâ*“ „*Name*“ არასაკმარისად გასაგები და წინა სიტყვასთან ბუნებრივად შერწყმული ნაწილია. „საოცარია, – დასძენს იგი – რომ ეს ფრაგმენტი, რომელშიც ღვთაების სახელია ჩართული, სწორედ გარკვეული სახეიმო გამომსახველობის ძალითა და რელიგიური ღოცვის უესტიტაა წარმოთქმული“. ეს ფაქტი გამოხატავს ამ სიტყვის ნამდვილ გაცნობიერებულ და გამიზნულ ხმარებას.⁵

[...]

მომდევნო სხდომაზე (1895 წლის 1 დეკემბერი) ჰელენი მიმართავს მთელ რიგ სხვადასხვაგვარ სომნამბულურ პანტომიმას, სიმანდინის ცხოვრების ამსახველ სცენებს, რომელიც შეიძლებოდა მანგალორაში მომხდარიყო. ამ დროს ჰელენის ბევრი ინდური სიტყვა ვერ დავიჭირეთ და რომელთა შესახებაც, სამწუხაროდ, ლეოპოლდისაგან ვერავითარი განმარტება ვერ მივიღე. მაგრამ თუ მეტისმეტი პირდაპირი მნიშვნელობით ახსნას არ მოვიწოდებთ, რომელიმე წინადადებებში შესატყვისი მიახლოებითი აზრის პოვნის საშუალება მოგვეცემა.

თავის ციციკნა მაიმუნთან ერთად მიმზიდველი სცენის მსვლელობისას, სამანდინმა რბილი, მუდერი ხმით უთხრა მას: (ა) *mamukana sour* (ან *sourde*) *mitidya...*

⁵ SVG, გვ. 373-375.

kana mitidya (სამჯერ), შემდეგ კი თავის წარმოსახვით პასუხობს უფალს, რომელიც მას, ლეოპოლდის თქმით, სერიოზულ შენიშვნებს აძლევს. – თუ რატომ, კაცმა არ იცის, ის კი მხოლოდ იძულებითი მორჩილებით და ირონიული ღიმილითაც კი ისმენს ყოველივეს: (ბ) *adaprti tava sivrouka... nô simyôsinonyedô... on yediô sivrouka.* – ბოლოს ისევ კარგ ხასიათზე მოსული და მის წინ ნახად თავდახრილი, მომაჯადოებელი ღიმილით ჩურჩულებს: (ბ) *mama plia... mama naximi (ან naxmi) sivrouka... nô laos mi sivrouka.*

mama kana-ს ფრაგმენტში (ა) შეიძლება სიმპათია (მისაკენ სწრაფვა, სიყვარული) ვივარაუდოთ იმ შემთხვევაში, თუ *kana* სანსკრიტის სიტყვა *kânta*-ს (შეყვარებულს) ან *kanishtha*-ს (სანდომიანს, პატარასთან დაკავშირებით) უდრის. იმ შემთხვევაში, თუ გლარდონთან *kana* (შესწორებით *khata*) *mitidya*-ს „მიტიდასთვის მომხიბლავი“-ს სახით არ არის თარგმნილი.

სოსიურის მიხედვით, (ბ) წინადადებაში „ბოლოსიტყვები რაღაც კეთილი სურვილით გვაფიქრებინებს, რომ *anyediuh* უნდა ნიშნავდეს ან უდრიდეს „მეორე დღეს“ ან „შემდეგ დღეს“, რომელიც ორჯერ მეორდება. მეორე მხრივ, *adja – prabhtri*-ად გადაკეთებული პირველი სიტყვა უდრის „დღეიდან გამოთვლით“-ს, რომელსაც სხვებთან კომბინაციაში, თავის მხრივ, შეედლებოდათ როგორც, მაგალითად, *adya – prabhriti tava, sivruka... yôshin... na anyediuh, anyediuh*, რაც ითარგმნება: დღეიდან შენგან, სივრუკა (რომ მე ვარ)... ქალი... არა სხვა დღეს, არა მეორე დღეს“, რასაც (თუ ამას საერთოდ აზრი აქვს) გათამაშებულ სცენასთან საერთოდ ნაკლები კავშირი აქვს.

(გ) წინადადებაში სიტყვებს – *mama plia*-ს, როგორც ჩანს, იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც ზევით მოხმობილ *mama priva*-ს, რომელიც „ჩემო ყოვლად უსაყვარლესო“-ს ნიშნავს. *naxmi* შეიძლება იყოს *lakshmi*, რაც სიხარულს, მშვენიერებას აღნიშნავს, ხოლო ბოლო სიტყვები შეიძლება *asmi*-ს შეიცავდეს, რაც ითარგმნება, როგორც „მე ვარ“. „მაგრამ – განაგრძობს სოსიური – საკმაო ეჭვი მაქვს, რომ აქ ერთმანეთზე დამოკიდებული ყოველგვარი აზრი, რომლის გამოძიებასაც სიამოვნებით მოგვიდებდი ხელს, ერთი შეხედვით, უბრალო თამაშია“. თუ ამ პირველი ტექსტის საერთო შთაბეჭდილება წმინდა სანსკრიტული სიტყვების ამოცნობის შესაძლებლობას იძლევა, მეორე მხრივ, კონსტრუქციის, სიტყვათა თანმიმდევრობისა და შეიძლება ფორმათა სისწორის თვალსაზრისითაც, – რამდენადაც შესაძლებელია ასეთი აბურღული ტექსტის ფორმაზე დაყრდნობა, – საკმაოდ საეჭვო საქმეს გვთავაზობს.

„არ მასხენდება,“ – შენიშნავს სოსიური, „რომ სანსკრიტში შეიძლებოდა „ჩემი სივრუკა“-ს ან „ჩემი საყვარელი სივრუკა“-ს თქმა. უფრო შეიძლებოდა გაარსებითებული სახით ხმარებული გამოთქმის – „*mama priya*“-ს (ჩემი მეტად საყვარელის) თქმა, თუმცა ეს რაღაც სხვაა, ვიდრე „*mama priya Sivruka*“, მაგრამ ძალიან ხშირად სწორედ „ჩემი საყვარელი სივრუკა“ გვხვდება. კერძოდ, დასძენს ჩემი განსწავლული კოლეგა, „განსაკუთრებით გარკვეულ პერიოდში, როცა ინდოეთში მნიშვნელოვნად შეიღანძლა სანსკრიტი. თუმცა სრულიად უპირობოდ არაფრის განცხადება არ შემიძლია... გამოსავლის პოვნა ყოველთვის შეიძლება. სივრუკას მეცხრე ცოლი, რომელიც არაბი იყო, ჯერ კიდევ ვერ იყო თავისი უფლისა და ოსტატის ენის კონსტრუქციას შეცდომების გარეშე დაუფლებული, როცა კოცონის ცეცხლმა მის სიცოცხლეს ბოლო მოუღო.

შემდეგ, როდესაც ჰიპოთეტურად რომანის თვალთახედვას იზიარებ, სამწუხაროდ, სხვა სიძნელეებს აწყდები... „ძირითადად რაც მაცოცხლებს, – შენიშნავს დე სოსიური, – ის არის, რომ ქალბატონი სიმანდინი ლაპარაკობდა სანსკრიტზე და არა პრაკრიტზე (იგივე სიტუაციას ვიღებთ ლათინურის ფრან-

გულთან მიმართებაში. პირველისაგან გამომდინარეობს მეორე, მაგრამ პირველი სწავლულთა ენაა, რომლითაც მეორე ლაპარაკობს). როცა ინდურ დრამაში მეფეების, ბრაჰმინების და მაღალი მღვდმარეობის ადამიანების კანონზომიერ სანსკრიტზე ლაპარაკს ისმენ, შეიძლება იქვე გაგინდეს კითხვა, ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც მუდამ ასე ლაპარაკობდნენ თუ არა. ყოველ შემთხვევაში, თვით დრამაშიც ქალები, ღვთისმოსავეების გარდა, ლაპარაკობენ პრაკრიტით. მეფე არსიტოკრატულ ენაზე (სანსკრიტზე) მიმართავს თავის ცოლს, ცოლი კი ყოველთვის ვულგარული ენით პასუხობს. და თუ ამ შემთხვევაში სიმანდინის იდიომატ ძნელად გასაგები სანსკრიტია, იგი მაინც არავითარ შემთხვევაში არ იქნება პრაკრიტი, როგორც ზოგიერთი ფორმის, მაგ. *priya*-ს შემთხვევაში, როცა ყველა დიალექტში „r“-ს გარეშე – *piya*-დ გამოთქვამენ.⁶

[...]

როგორც ცალკეული სიტყვების ნიმუში, რომელიც სუფთა სანსკრიტს წარმოადგენს, პირველ რიგში, შეიძლება *radhya*-ს დასახელება. *radhya* ცისფერი ლოტოსის ეკვივალენტია; გარდა ამისა, *pitaram* (*pita*-ს აკუზატივი, – მამას ნიშნავს, მაგრამ რაც შეეხება ბრუნვას, არასწორია, – შემდეგ წინადადებაში: „ჩემმა პიტარამამ მე მას მიმანდო“, ერთ ინდურ სცენაში, სადაც ჰელენი ერთგულ მონა ადელზე ლაპარაკობდა, სწორედ ამას აჩუქა ჰელენის მამამ, არაბმა შეიხმა, ქალი (იგი) ინდოეთში გამგზავრებისას. ყველაზე საყურადღებო მაინც ეს ორი სიტყვაა: *sumanas* და *smayamana*, რომლებიც სოსიურს განსაკუთრებით აფიქრებდა. პირველი მათგანი სანსკრიტის უზადო გრაფიკული ტრანსკრიფციაა, რაც ითარგმნება, როგორც „კეთილმოსურნე“ ან „მწყალობელი“. იგი გრამატიკის თითქმის ყველა სახელმძღვანელოშია მოხმობილი, ხოლო აქა-იქ ბრუნების პარადიგმადაც კი გამოიყენება“. [sic] მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სიტყვა ასევე გრამატიკის თითქმის ყველა სახელმძღვანელოში *soumanas*-ადაც არის წარმოდგენილი მაშინ, როცა ჰელენი ამ სიტყვას სრულიად გარკვევით „*sūmanas*“ სახით გამოთქვამს და როგორც ჩანს, მის მიერ წარმოთქმულ წინადადებაში ეს სიტყვა მცენარეს გამოხატავს. „ესენი ჩვენი ბალის სუმანები (*sumanas*) იყვნენ“. რაც შეეხება *smayamana*-ს, ჰელენმა იგი ერთ-ერთი ფრანგული სალონიდან გადაიღო. როცა იგი ალბომში აღმოსავლურ ხედებს ათვალიერებდა, ბუნებრივია, ინდურ ზმანებებს მესიერებიდან ამოუტივტივებდა და იქვე დაიმახსოვრებდა კიდევ. სოსიურის მიხედვით, ეს სიტყვა (*smaymanas*), რომელიც „ღიმილით“-ს ნიშნავს, შეიძლება სწორედ ის სიტყვა იყოს, რომელიც ფროილან სმითმა „საუკეთესოდ აწარმოა სანსკრიტიდან, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ოთხმარცვლიან ფორმას წარმოადგენს, რომელიც უფრო ზუსტი და უფრო ბუნებრივია, გარდა ამისა, უფრო მიღებულიც, ვიდრე ორ ან სამმარცვლიანი სიტყვები; მეორეც, – კონსონანტთა ჯგუფის ვამო. ფროილან სმიტი სანსკრიტის სიტყვების წარმოთქმისას *sm*-ს იშვიათად მიმართავს, რადგან ერთიმეორის მიყოლებით ორი თანხმოვნის ხმარებას მოითხვენ. დაბოლოს იმიტომაც, რომ – უნდა ითქვას, კიდევ უფრო იშვიათად, *smayamāna* ატარებს გრამატიკულ და არა უბრალოდ ლექსიკოლოგიურ ხასიათს, რადგან იგი პარტიციპია ისევე, როგორც ბერძნული *lego – meno*-ს“. ნამდვილად გასაგებია ინტერესი ამ სიტყვის მიმართ, რომელიც საკმაოდ რთული ფორმის სახით წარმოდგება, როცა ჰელენის სანსკრიტისათვის დამახასიათებელ გრამატიკის წესების არარსებობაზე ფიქრობ, არარ-

⁶ SVG, გვ. 376-378.

სებობაზე, რომელიც არა მარტო სიტყვათა ცვლილებებს (უღლებისა და ბრუნების მიხედვით) ეხება, არამედ ფორმათა ყველა სახეობას. ჰელენის სანსკრიტის წარმოდგენილ ნიმუშებზე დამაგვირგვინებელი დასკვნის გამოსატანად, მისი „ჰინდური სიმღერის“ ციტირებას მოვახდენთ, რომლითაც იგი ორი წლის მანძილზე ექვსჯერ გამოვიდა და რომლის თარგმანის მონახაზის გაკეთება ლეოპოლდმა მხოლოდ ერთხელ ინება. ტექსტში არაერთხელ გვხვდება სანსკრიტული სიტყვა „gāya“ (იმღერე), აქა-იქ მოყირჭებამდეც მეორდება სხვადასხვაგვარი გამომსახველობით (გრძნობით), ცუდი არტიკულაციითა და სხვადასხვაგვარი ვარიანტის შემოთავაზებით, რომელთა მიმართ სხვადასხვა მსმენლის მიერ გამოთქმული შენიშვნები ეჭვს აღძრავს. შემოვიფარგლები ორი ვერსიით.

ერთი ვერსია თავად ჰელენისაგან მომდინარეობს: ერთი სპონტანური ჩვენების დროს (1898 წლის 18 მაისის დილით გაღვიძებისას) მან ყვითელ და ცისფერ სამოსში მდიდრულად გამოწყობილი მამაკაცი, სივრუკა შენიშნა, რომელიც ღამაზე ბალიშზე მიწოლილი პალმებით შემოჯარულ წყაროსთან ისვენებდა. მის წინ ბალახზე იჯდა გარუჯული ქალი (სიმანდინი) და უცხო ენაზე წარმოთქმული მელოდიას უმღეროდა. ამ სიმღერის ნაწყვეტები ჰელენმა ჩაიწერა, რომელშიც აშკარად ამოცინობა ტექსტის მისთვის დამახასიათებელი დამახინჯებები: „Ga hia vahāyami... vassèn iata... pattissaia priāia...“ მეორე ტრანსკრიფცია მომდინარეობს სოსიურისაგან, რომელიც ადვილი გასაგებია. მას ინდური ბგერების გარჩევის საოცარი უნარი ჰქონდა (20 ივნისი, 1897). მართალია, იგი ჰელენთან ძალიან ახლოს იდგა იმ დროს, როცა ჰელენი მიწაზე იჯდა და მღეროდა, მაგრამ ამ დროს მისი ხმა ისე ნაკლებად იყო არტიკულირებული, რომ სოსიური იძულებული იყო, ბევრი სიტყვა გამოეტოვებინა, ამიტომ მისი ტექსტი სიზუსტის გარანტიას ვერ იძლევა. ამ ჩანაწერს აქვე მოვუხმობთ (ზოგიერთი სპეციალური აქცენტის გათვალისწინებით): „gāya gaya naīa ia miya gayā briti... gaya vayayāni pritiya kriya gayāni i gāya mamata gaya mama nara mama patii si gaya gandaryō gayā ityāmi vasanta... gaya, gayayāmi gaya priti gaya priya gāya patisi...“

ამ სხდომის დასასრულისათვის ლეოპოლდმა გადაწყვიტა, თქმა არ უნდა, ჩვენი იშვიათი სტუმრის – დე სოსიურის პატივსაცემად, წარმოედგინა მარსის თარგმანიდან ერთ-ერთი სცენა ესენალის მიერ ჰელენის ხმით შესრულებული სანსკრიტის სიტყვებშერეული ინდური სიმღერის თავისი ინტერპრეტაცია, რომელსაც სიტყვასიტყვით აქვე მოვუხმობთ: „იმღერე, ჩიტუნავ, გვამღერე! გაია! კეთილშობილო, სივრუკა! დაე, ვუმღეროთ გაზაფხულს; დღეცა და ღამეც ბედნიერი ვარ! დაე, ვუმღეროთ! გაზაფხულს, ჩიტებს, ბედნიერებას, ityāmi, mamananara priti, დაე, ვიმღეროთ! დაე, გვიყვარდეს! ჩემო ხელმწიფე! Miousa, კეთილშობილო“.⁷

როცა ამ თარგმანს ინდურ ტექსტს ადარებ, მათ შორის გარკვეულ შეხების წერტილებსაც პოულობ: გარდა ამ ორი სრულიად სწორად ფორმულირებული სიტყვისა – gaya – „იმღერე“ და vasan+a – „გაზაფხული“, კიდევ პოულობ „დაე გვიყვარდეს“-ის აზრის გამოხატვას priti და briti-ში (სანსკრიტში priti ნიშნავს სიყვარულის ძალას). „ჩემი ხელმწიფის“ დაახლოებითი ექვივალენტი – mama patii გვაგონებს სანსკრიტის mama patē-ს (ან სახელობითი ბრუნვის mama patih-ს) – „ჩემი მეუღლე“, „ჩემი ბატონი“. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გვიანდა ჩიტთან დაკავშირებით vayayāni (გაქცეული გაფრენილი, წარმავალი) vāyasān-ის (vāyasa-ს (ჩიტი) მრ. რიცხვი წოდებითში)

⁷ [ფლურნუას შენიშვნა] იგივე თამაში ზაიპელსა და დე სოსიურთან დაკავშირებით (მიუსას რეინკარნაცია).

გვევარაუდა, მაინც ნაკლებად შესაძლებელია ამ მიმართულებით იდენტურობის ძიება.

ამ სამგლოვიარო სიმღერის მელოდია ოვიუსტ დე მორსემ, რომელმაც იგი 1898 წლის 4 სექტემბრის სხდომაზე მოისმინა, პატივი დამდო და რამდენადაც შესაძლებელი იყო, ფურცელზე გადამიწერა:



ილუსტრ. 36. ინდური სიმღერის მელოდია

ეს მოხმობილი მაგალითი საკმარისია იმისათვის, რომ წარმოდგენა შევიქმნათ ჰელენის ინდურ მეტყველებაზე. დროა, ამით დავამთავროთ. ცხადია, ამ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს დღეს არსებულ რომელიმე დიალექტთან. კლარდონის აზრით, ეს არც ჰინდია და არც ურდუ და მიაჩნია, რომ ეს სანსკრიტისა და გამოვონილი სიტყვების ნაზავი უნდა იყოს. ამის შემდეგ კი წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო თამილის ან მაჰრატას დიალექტი. მიშელი ასევე აღნიშნავს, რომ სიმანდინის უცნაურად დამახინჯებულ ლაპარაკში სიტუაციას საკმაოდ კარგად მორგებული დამტვრეული სანსკრიტი წარმოადგენს. ყველა ჩემი კორესპონდენტის აზრი სრულად ემთხვევა ერთმანეთს. მე არ შემიძლია ეს აზრები უკეთესად განვაზოგადო, ვიდრე ჩემს მიერ ახლახანს ხელახლა გადაკითხული სოსიურის სიტყვებია: „კითხვაზე, არის თუ არა ყოველივე ეს სანსკრიტი, პასუხი აშკარად უარყოფითი უნდა გაეცეს. ამასთან დაკავშირებით მხოლოდ შემდეგის თქმა შეიძლება: 1. ეს არის რაგინდარა ნებისმიერი მარცვლების გროვა, რომელთა შორის რვა-ათი მარცვალია ერთმანეთზე მიჯრილი, რომლებიც აზრიანი წინადადების ფრაგმენტს ქმნიან (განსაკუთრებით ძახილის წინადადებაში. მაგალითად, *mama priya* – ჩემო უსაყვარლესო! *nana soukha* – ჩემო ნეტარებაჲ). 2. გარდა ამისა, ერთი შეხედვით გაუგებარ მარცვლებს არასდროს არა აქვთ ანტი-სანსკრიტული ხასიათი, ანუ ისინი არასდროს არ წარმოადგენენ ისეთ ჯგუფს, რომელიც სანსკრიტის სიტყვების ზოგად სახესთან ნივთიერად დაპირისპირებული ან შეუთავსებელია. 3. და ბოლოს, მეორე მხრივ, ამ ბოლო დაკვირვების ფასი, ფაქტების მნიშვნელობის გამო, მცირდება, რადგან ფროილიან სმიტი მარცვლებს ძლივს აქცევს ფორმაში და „ა“ ხმოვანსაც ნაკლებ უპირატესობას ანიჭებს. და ეს მაშინ, როცა სანსკრიტი არის ენა, რომელიც ხმოვან „ა“-ს ოთხჯერ მეტი სიხშირით ხმარობს, ვიდრე დანარჩენ ხმოვნებს. ისე, რომ როცა სამ-ოთხ მარცვალს „ა“-ს მეშვეობით წარმოთქვამ, თუ როგორდაც სანსკრიტთან არა გვაქვს საქმე, ცოტა რისკის შემცველია. ამ ბოლო შენიშვნიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სულაც არ იქნებოდა ძნელი, სიმანდინის მსგავსად აწარმოო სანსკრიტი იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ რამდენიმე ელემენტს სწორად განსაზღვრავ, რომელსაც ნიშნულად გამოიყენებ და დანარჩენი ელემენტებისათვის ტონის მიმცემად გამოდგება. ამისათვის, როგორც ბარტი შენიშნავს, სულაც არ არის საჭირო ბევრი რამის ცოდნა. „არის კი ჰელენი ისეთ ვინმესთან დაკავშირებული, ვისგანაც სანს-

კრიტის ელემენტების ან ისტორიის შესწავლას შეეძლება? ამ შემთხვევაში ენის ცოდნის პირველი და ამავე დროს მწირი ჩანასახი საკმარისია. დანარჩენს ფანტაზია აკეთებს. ძალიან ხშირად ბავშვებს ახასიათებს მიმბაძველობა... ჩემმა ძმამ სწორედ ასე შექმნა ადრეულ ბავშვობაში საკუთარი ენა. ბებიანეში, რომელიც დიდად განსწავლული ქალი იყო, ღრმა მოსუცებულობაშიც კი ასსოვდა და შეეძლო თავის ბავშვობაში ათ სტრიქონამდე შექმნილი ტექსტის დამახინჯებულად და გაუგებრად წარმოთქმა. ეს ტექსტი რევოლუციური ბრძოლების პერიოდში იყო შექმნილი. ამ დროს ელზასში მიმოდინდნენ ჯარის ნაწილები. ბებია თავს დამცირებულად გრძნობდა, რადგან არც ერთი ფრანგული სიტყვა არ ესმოდა, ამიტომ საკუთარი სიამოვნებისათვის დაიწყო ფრანგულად მუდერი ასონანსებით წინადადებების თხზვა, რომლებშიც მხოლოდ პირველ სიტყვას გააჩნდა აზრი. იგი ასე იწვებოდა: Je peux pas dire en français, ამას მოსდევდა თითქმის ათამდე ერთმანეთზე მშვენივრად მიწყობილი მარცვლები აქა-იქ ჩართული ფრანგული სიტყვით, მაგალითად: vinaigre, manger და ა.შ. მთელი ეს ტრიადა მთავრდებოდა ასე: a toujours béni per-pense par la tavlerettement. ბებია ამ უცნაურ ნაწყვეტს საკმაოდ ხშირად წარმოთქვამდა. ვნანობ, რომ არ ჩავიწერე“.

ბარტის მაგალითს სანახევროდ მოეუხმე, ხოლო თავად ჰელენი, ბუნებრივია, საკუთარ მარსიანულ ენაში საჭირო ფაქტებს წარმოადგენს თავისი ჰინდის ასახსნელად. როგორც ჩანს, ქვეცნობიერის ამოქმედებით ღირს ერთ ენაში არსებული ნაწილების ჰკვიანურად, ზედმეტი წვადების გარეშე, იმ კონდიციამდე მიყვანა, რომ მიბაძვის წყალობით, მეორე ენა, მის რამდენიმე ნამდვილ ნიმუშთან განზავებით, გამოიშუშაო. ამიტომაც არ დაუყოვნებია სოსიურს მარტიშენის წარმოდგენის დაწყებისთანავე (როგორც ვნახეთ, გამოჩენილი ჰინდიდან ერთი წლის შემდეგ) ეს კავშირი გამოეყენებინა და, როგორც მაგალითით, ტექსტის დასაწყისში მოცემული სანსკრიტოიდებით ცნობილი ლოცვა: atiyâ ganapatinâmâ ზუსტად ისეთივე ფაბრიკაციით აეხსნა. იმ ტექსტიდან კი Astané-ს და Esenales-ის სიტყვები გამოარჩია.

„მართალი ვარ თუ არა“, – მწერდა იგი – მაინც ახლა განვეწყობოდი იმისათვის, რომ სივრუკას წინადადებებში მარტიშენთან რამენაირი ანალოგი მეპოვა მხოლოდ იმ პირობით, რომ აქა-იქ სანსკრიტის ელემენტები იქნება შერეული. ჩემი მოსაზრების მოკრძალებული ილუსტრირებისათვის შეიძლება ავიღოთ სიმანდინის საყვარელი წინადადება, რომელსაც ხშირად დიდი სიამოვნებით ამბობს: Je vous bénis au nom de Ganapati – „განაპატის სახელით დამილოცნიხართ“. სივრუკას მდგომარეობაში ერთადერთი, რაც მას აზრად არ მოსდის, ის არის, რომ ეს ფრანგულ ენაზე წარმოთქვას ან საერთოდ წარმოთქვას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფრანგული სიტყვებია, – თემა და საყრდენი იმისა, რისი თქმაც სურს, რაც შენარჩუნებულია კიდევ. ერთადერთი წესი, რომელსაც მისი არსება უსმენს, არის ის, რომ ეს კარგად ნაცნობი ურთიერთმონაცვლე სიტყვები ეგზოტიკური შეფერილობით იყოს გადმოცემული. პირველ რიგში, მხოლოდ და მხოლოდ ისაა საჭირო, რომ მისსავე თვალში ეს ფრანგულად არ უდერდეს და ფრიად კმაყოფილი დარჩებოდა, თუ ყოველი ფრანგული სიტყვის საშუალებით მისი სულის გარკვეული ნაწილი შემთხვევითი ბგერების ახალი სურათებით აიგებოდა. ისე გამოდის, რომ ცვლილება ხან სრულიად თვითნებურია (როგორც მარტიშენის შემთხვევაში), ხან რომელიმე უცხო სიტყვის გახსენებით, – სულერთია, იქნება ეს გერმანული, ინგლისური, უნგრული ან სანსკრიტი – იდიომის ბუნებრივი უპირატესობით, რომელიც მოქმედების ადგილს საუკეთესოდ ერწყმის და მისი ზემოქმედების ქვეშ და მისგან გაპირობებულია. ვეთანხმები რა ამ აზრს, შევეცდები, ეს ჰიპოთეტური გზა მაგალითის სახით ზემოთ მოხმობილ წინა-

დადებაზე ზუსტად გადავიტანო. 1. „ოდესმე“-ს ფორმა უნდა შეიცვალოს. გვაწვდის კი მეხსიერება რაიმე ეგზოტიკურ სიტყვას „ოდესმესათვის?“ არა, მაშინ ამის სანაცვლოდ შემთხვევით იღებენ a-ს (ეგებ ეს a იყოს ინგლისური J'ai-ის მსგავსი გამოთქმა, ეს მხოლოდ ჩაგონებაა, რაც საჭირო არ არის). 2. Vous bénis ან bénis vous. თუ, მაგალითისათვის, „მე“-ს გამომხატველი სიტყვა ინგლისური ენით იქნება შთაგონებული, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ უშუალოდ მასზე დართულ სიტყვებშიც ძალაუნებურად ინგლისური წინადადების წყობა იქნება დაცული. ამიტომ გამოყოფენ bénis vous tiê yâ-თი. yâ შეიძლება ინგლისური you-დან იყოს ნასესხები (მოდისციტირებულ სანსკრიტში გაბატონებული ხმოვნის თვალსაზრისით). tiê კი არსაიდან არ უნდა იყო გადმოღებული. 3. Au nom de Ganapati. სახელი განაპატი, ბუნებრივია, მთელი ამ მექანიზმის მიღმა დგას და არსაიდან არ სჭირდება წარმომავლობის ძიება. რჩება au nom de, რაც nâmâ-ს მეშვეობით იქნება გადმოცემული, თუნდაც ეს გერმანულ „Name“-ს გვაგონებდეს და თუნდაც სადღაც შემჩნეულ აღდგენილ სანსკრიტის სიტყვას. nâmâ-ს კონსტრუქცია, საბოლოოდ, ფრანგულ სიტყვათა კანონის საპირისპიროდ, გერმანული „Name“-ს გავლენით და სიტყვათა გერმანული წყობით არის შექმნილი – „in Gottes Namen“ (ღვთის სახელით) „in Ganapatis Namen“ (განაპატის სახელით). მოკლედ, დამახინჯებული მეტყველება, რომელიც თავის ელემენტებს, საიდანაც შესაძლებელია, სესხულობს, ხოლო ეპოქის ნახევარი შეფერილობა ერთადერთი წესით იქმნება, არ დაუშვას, რომ ფრანგული კვალი, რომელსაც ის მიჰყვება, შეიმჩნეოდეს.

ჰელენთან დაკავშირებით სოსიურის ეს მახვილგონივრული ვარაუდები მისი მნიშვნელობის მიხედვით უნდა განიხილებოდეს, ანუ, როგორც ლინგვისტური მოვლენა. რაც შეეხება ganapati nâmâ-ს გენეზისს, იგი, ალბათ, მართლაც სწორ კვალზეა დამდგარი, რადგან, თუ მარსიანელმა ავტორმა არც ერთი გერმანული სიტყვა არ იცის, როგორც ვნახეთ, ეს არ არის იმის საფუძველი, რომ სანსკრიტის მიმბაძველიც იგივეს უცოდინარია, პირიქით, ჰელენის ორივე ეგზოტიკურ ციკლში შინაარსისა და პერსონაჟების შედარებისას უცბად ამჩნევ, რომ ჰინდური სიზმარი ნაკლებ ბავშვურია, უფრო განვითარებულ ასაკსა და საკმაოდ წინწასულ პიროვნებას შეესატყვისება, ვიდრე მარსის ზღაპარი. თუ ვაღიარებთ, რომ ეს სომნამბულური რომანები ჰელენის ბავშვობის თუ ახალგაზრდობის პერიოდის შრეების ჰიპნოიდური ვეგეტაციის სახეს ქმნიან, მაშინ ძალიან საეჭვო იქნება ის შრე, რომელიც ინდურ ციკლს ქმნის და, სულ მცირე, 10-15 წლით აახლოვებს იმ ეპოქასთან, რომლის დროსაც ის გერმანულს სწავლობდა თუ, რასაკვირველია, უფრო გვიანდელ დროსთან არა. ისე, რომ ამ ენასთან დაკავშირებული მოგონებები არ შეიძლება ჰინდის გავლენის გარეშე დარჩენილიყო. atîêya-ს რაც შეეხება, ვეჭვობ, რომ ინგლისურზე რემინისცენციით (რომლის შესწავლაც ზუსტად ორი გაკვეთილის შემდეგ მიატოვა ჰელენმა) შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ვარაუდი თავისთავად ტრივიალური ან უგუნური არ იქნებოდა იმისათვის, რომ ავსნათ ფენომენები, რომლებიც არსებითად სიზმრების სახეობას განეკუთვნებიან და რომლებთანაც იდეების ასოციაციის შეუსაბამობა არ შეიძლება, მათი ალბათობის წინაღობა იყოს. მინდა ეს შეძახილი, რომელიც „გლოცავ მე შენ“ ან „დალოცვილი იყავი“-ს ღირებულს ხდის იმისათვის, რომ პოპულარულ ხმამბაძვას – „atou“-ს გაუეტოლო, რასაც ბავშვები და მათი წრე იყენებს იმისათვის, რომ ცხვირის ცემინების იმიტაცია მოახდინონ. მეორე მხრივ, საუკუნეების მანძილზე იგი მუდამ ღვთიური დალოცვის სურვილთან იყო დაკავშირებული. ამ ბავშვური იდეების კავშირი ჩანს ტენდენციებთან, ნეოლოგიზმებთან, ფრანგული ორიგინალის მარცვლების რაო-

დენობასთან კომბინაციების შენარჩუნებასა და სანსკრიტოიდების ბოლო თანხმომავანთა შეკავშირებაში თვით atiçyâ-ს საკმაოდ საეჭვო გარდაქმნის ახსნამდეც კი.⁸

[...]

ამჯერად მე იმ აზრისკენ ვიხრები, რომ ჰელენის სანსკრიტის მხოლოდ ვიზუალურ წარმომავლობას მივენდოთ. პირველ რიგში უდა აღინიშნოს, რომ სულაც არ არის აუცილებელი, რომ მას ეს იდიომი სადმე მოესმინა. ფრანგული ასოებით დაბეჭდილი ტექსტი ძალიან კარგ საშუალებას იძლევა ისეთი გაუგებარი და ცუდი არტიკულაციით ლაპარაკისათვის, როგორც ჰელენს ახასიათებს. ასევე მის გამოთქმაში შეიძლება მხოლოდ გარკვეული შეცდომების ახსნა, რომლებიც, საერთოდ თუ მოუსმენია მას ამ ენაზე საუბარი, გაურკვეველი რჩება. ჰელენის „ჰინდი“-სათვის დამახასიათებელი შეცდომაა მის მეტყველებაში ფრანგული u-ს არსებობა, რაც სანსკრიტისათვის უცხოა და რასაც ჰელენი ტექსტის კითხვისას ბუნებრივად იყენებს, რადგან მას არ შეეძლო ცოდნოდა, რომ ეს ასო სანსკრიტის სიტყვებში ou-ს სახით ჟღერს. აქვე რამდენიმე ტიპურ მაგალითს მოვუხმობთ: – ერთ-ერთ სხდომაზე, რომელზეც ჰინდის საკითხიც განიხილებოდა, სხვათა შორის, ყურადღება გაამახვილეს სიტყვებზე: „...balava (ან bahava) santas... èmi bahu pressiva santas...“ უპირველესად ყოვლისა, აქ საინტერესოა ბრუნებისა და უღლების კვალი, რომელიც ჰელენის სანსკრიტში საკმაოდ იშვიათად ვლინდება: „bahu“-ს (ბევრი) გვერდით, ამბობს სოსიური, „გვხვდება bahava (სახელობითი ბრუნვა იგივე bahu-სი), რაც ნიშნავს „ძალიან ბევრს“, „მულტი-ს“. და ეს მით უფრო გასაოცარია, რომ იგი უშუალოდ santas-ს (არსებული) წინ, სხვა მრავლობითთან დგას; bahavah santas სწორი სანსკრიტით „ურიცხვად არსებულს“ ნიშნავს“. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოსიურის მიერ დართული შემდეგი შენიშვნა. „სანსკრიტში bahu (ბევრი) ძალიან აქტიურად ხმარებული სიტყვათაგანია და საინტერესო იქნებოდა, ფროილან სმიტი სიტყვა bahou-ს კარგი ფრანგული bahü-თი გამოთქამს თუ როგორც battu, tondu. ეს ფაქტი გადამწვევტი მტკიცებულება იქნებოდა იმის დასადასტურებლად, რომ იგი წერილობით ფორმას მექანიკურად იმეორებს“.⁹

[...]

წინა გვერდები უკვე იბეჭდებოდა, როცა დე სოსიურმა მოილო მოწყალება და ჭკვიანური იდეა მოგვაწოდა. თუ ნებას მომცემთ, როგორც არა ინდოლოგიურ მკითხველს, ფროილან სმიტის „ჰინდი“-სთან დაკავშირებით გავაკეთებ ნაუცბათევე მიმოხილვას და რამდენადმე საგრძნობ შთაბეჭდილებაზე მივანიშნებ. როგორც ჩანს, სოსიურს უნდოდა სმიტის ჰინდის ლათინურ ტექსტებთან შეჯერება, რომელიც შეძლებისდაგვარად ტიტუს ლივიუსისა და ციცერონის ენასთან აწარმოა კიდევ ისე, როგორც სამანდინის სანსკრიტი ბრაჰმანურთან. ქვემოთ წარმოდგენილი „კლასიკური, სანიმუშო ლათინური მართლწერის“ ნიმუშები ისეა გამოთვლილი, რომ ყველა შენიშვნა, რომელიც გამაჩნია, ჰელენის სანსკრიტული პროდუქციის გამოყენების საშუალებას იძლევა, მხოლოდ სახელების შეცვლადაა საჭირო.

⁸ SVG, გვ. 381-387. ჩვენს კომენტარში (ნიშანი, გვ. 192 f.) არსებობს ამ პასაჟის საფუძვლად აღებული წერილის თარგმანი, რომელიც 1897 წლის 19 ივნისს სოსიურმა ფლურნუას გაუგზავნა (B.046). იგი ფრანგულ ენაზე პირველად 1986 წელს ფლურნუას შვილიშვილმა გამოაქვეყნა (შეად. ოლივერ ფლურნუა, *თეოდორი და ლეოპოლდი. თეოდორ ფლურნუა ფსიქონალიზის შესახებ*, გვ. 192 ff.).

⁹ SVG, გვ. 389.

„ინდურის“ ნაცვლად „რომაულ“ სცენებში სომნამბულიზმიდან მოდის შემდეგი სიტყვები, როგორც დათქმული პირობა: „-meâte domina mea sorôre forinda inde deo inde sinî godio deo primo nomine... obero mine... loca suave tibi ofisio et ogurio... et olo romano sua dinata perano die nono colo desimo: ridêre pavêre... nove...“

აღბათ დაკვირვებები, რის საშუალებასაც ეს ცალკეული ამონარიდები იძლევიან და რომლებიც ფროილიან სმითის ჰინდი – ტექსტის გამო იდენტურად იქნა შერჩეული, შემდეგი იქნება: 1. არცერთი საერთო, მისაწვდომი აზრის მოძებნა წინადადებაში არ არსებობს. მხოლოდ აქა-იქ ცალკეული სიტყვები, რომლებიც საკმაოდ კარგად ერწყმიან ერთმანეთს, მხოლოდ წინადადების ფრაგმენტებია. 2. სათითაოდ აღებული, როგორც აღფავიტის ნაკრები, რასაც ლექსიკონიდან იღებენ, ზოგიერთი წუნდაუდებელია, ასეა *domina*; მეორენი – სანახევროდ სწორი (*ogurio* და ა.შ.) ბოლოს, სხვები ლათინურ სიტყვებთან რაიმე საგრძნობი თანახმიერობის გარეშე (*dinata* და ა.შ.). 3. ფრიად საწყალობლად გამოიყურება ტექსტი, განსაკუთრებით გრამატიკულ დაბოლოებებში. არა მარტო არ ჩანს ის, რაც მეტად დამახასიათებელ დაბოლოებებს – *orum* ან *ibus*-ს ეხმიანება, არამედ თვით კონსონანტური დაბოლოებების შესატყვისი რაიმეც კი. ისეთები, როგორიცაა: *as, is, os, us* და თვით *um*. როგორც ჩანს, ავტორს ეშინოდა ცდის, რომლითაც სიტყვის დაბოლოებას და გრამატიკულ წყობას დაადგენდა. 4. დაბოლოებებისადმი ასეთივე უყურადღებობის შთაბეჭდილება გრჩება ფაქტებით, როდესაც ავტორი გარეგნულად მარტივ სიტყვებს მხოლოდ თანხმოვანთა აგებისას იყენებს. ისეთებს, როგორიცაა, მაგალითად, *do-mi-na*, ხოლო ყოველ შედარებით რთულ ფორმას კი გაურბის, როგორიცაა, ვთქვათ, *octo, somnus, semper, culmen* და ა.შ. მეორე მხრივ, იკვეთება ორი მნიშვნელოვანი კონსონანტირება: 1. ტექსტში შერეული არ არის „ორი ენა“ [*deux langues*“]. რამდენადაც ტექსტში ნაკლებია ლათინური სიტყვა, იმდენად ნაკლებად შეირევს იგი მესამე ენას [*une terce langue*], ისეთებს, როგორიცაა: ინგლისური, რუსული, ბერძნული ან მათი მსგავსი. ამ უარყოფითი აზრის მიხედვით მოითხოვს ტექსტი გარკვეულ შეფასებას. 2. გარკვეული დადებითი მომენტი არის ის, რომ ლათინურს წინ არაფერი ედობება, მათ შორის არც თავად სიტყვები, რომლებსაც აზრი არა აქვთ...“ სოსიურმა წარმოაჩინა ახალი სირთულე, რომელსაც აქამდე ვერ ამჩნევდნენ. კერძოდ, იგი იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ჰელენის სანსკრიტში *f* არ ფიგურირებს, რაც ამ ენისათვის მართლაც უცხო იქნებოდა. თავისუფალი გამონაგონის შემთხვევაში კი ეს ასოც იქნებოდა. რაკი ამაზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ, ანდაზების *f*-ის გარეშე შექმნის ალბათობა იქნება ოცი ერთზე, რადგან ეს ასო ისევე რეგულირებული იქნებოდა, როგორც ნებისმიერი სხვა.¹⁰ რამდენადაც ეს ბგერა დასავლურ ენებში, განსაკუთრებით კი ფრანგულში, ყველაზე უფრო აქტიურად ხმარებულ ბგერათა რიგს განეკუთვნება, იმ დროს, როცა სანსკრიტში იგი საერთოდ არ არსებობს, ჰელენის ყველა ჰინდურ ფრაგმენტში მისი სრული არარსებობა, ერთი მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია, მეორე მხრივ, იგი ეწინააღმდეგება სანსკრიტული ენის არსის კარგ ცოდნას, რაც ჰელენთან დაკავშირებით შეიძლება

¹⁰ პასაჟი, რომელიც SVG-ში არ არის მოცემული, სოსიურის წერილში ასეა წარმოდგენილი. „ამჯერად თავი დავანებოთ ლათინურს და ფროილიან სმითის სანსკრიტს მივუბრუნდეთ: მის სანსკრიტში არსად არ გვხვდება თანხმოვანი *f*. ეს ყურადსაღები ფაქტია, თუმცა ნეგატიური. მართლაც *f*-ი სანსკრიტისათვის უცხოა. თუ ნებისმიერი გამონაგონის შემთხვევაში ალბათობის შეფარდება იქნებოდა ოცი ერთზე სიტყვების წარმოებისას, რომლებიც *f*-ის შემცველი იქნებოდა, მაშინ ეს თანხმოვანი ისეთივე ლეგიტიმურობით წარმოიხდება, როგორც სხვები, რომლებიც ამ ბგერას არ სცნობენ (შეადარეთ, ფლურნუა [1900a] 1983, გვ. 280).

ვივარაუდოთ და რასაც უკვე ნათლად ადასტურებს ის, რომ მრავალ ჰინდურ სიტყვაში იგი ფრანგულ *u*-ს იყენებს, ნაცვლად სანსკრიტისათვის შესაბამისად დამახასიათებელი *ou*-სი. ისე, რომ ჰელენის *u* ისევე უცნობია სანსკრიტისათვის, როგორც *f*. თუ მის მეტყველებაში *f*-ის არარსებობა ნორმალური მოვლენაა (რაც დაკავშირებულია სპეციალისტის ხელმძღვანელობით ამ ენის შესწავლასთან), ან თუ იქნება ეს ზენორმალურის (ანუ წინა ცხოდების მოგონების შედეგი, ტელეპათიური გადათარგმნა და ა.შ.) შედეგი, მაშინ გაუგებარია, რატომ ასევე არ უარყო ელენმა *u*-ც. კიდევ უფრო გაუგებარია შემთხვევები, როცა იგი გარკვეულ შემთხვევებში, შეცდომას არ უშვებს და *ou*-ს სწორად წარმოთქვამს. მაგალითად გამოთქმაში, რომელსაც იგი საკმაოდ ხშირად მიმართავს: *mama soukha*.

[Nouv. Obs. გვ. 214] ჰენრიმ¹¹ აჩვენა, რომ ასო *f*-ის მთელ თავგადასავალზე დაკვირვებისას საეჭვოა, იგი მარტიშენში უფრო მეტად იყოს წარმოდგენილი, რადგან 300 სიტყვაში მას მხოლოდ შვიდრჯერ ვხვდებით. მან აზრი გამოთქვა, რომ სინამდვილეში ეს არარსებობა თუ მისი იშვიათი ხმარება შეიძლება იქედან მომდინარეობდეს, რომ, რადგან სიტყვა „*français*“-ის საწყისი ასო იგივე *f*-ია, ელენმა ქვეცნობიერად მოიფიქრა თავის ჰინდში ან მარტიშენში შესამჩნევი არ ყოფილიყო ფრანგულის კვალი. ასე ვთქვათ, მიმზიდველი ბგერა ხმარებაში არ შემოეტანა. ფსიქოლოგიურად ეს განმარტება შეიძლება მისაღები ყოფილიყო, რადგან საწყისი ბგერა მთელ სიტყვასა თუ გამოხატულ აზრზე რეპრეზენტაციულ როლს ასრულებს. ასე, მაგალითად, თვალები ავუსხიოთ გარკვეულ პიროვნებებს, რომლებსაც სმენის „ფერადი შეგრძნება“ გააჩნიათ. პირველი ასოს ფოტიზმი მომდევნო ბგერებისა და მთელი სიტყვის ფერის განსაზღვრის საშუალებას მისცემს. ძალიან ბუნებრივი იქნებოდა, თუ ფრანგულ ენასთან მიმართებით, სომნამბულური დაბრკოლებები ჰელენს ამ სიტყვის საწყის ასოზე აკეთებინებდა კონცენტრირებას, რათა მას ამ მდგომარეობაში ნალაპარაკების ან ხელოვნური უცხო ენისაგან მეტ-ნაკლებად სრულად დაედწია თავი. ფაქტობრივად, ეს საფუძველი მაინცდამაინც არც ისე დამაჯერებელი უნდა იყოს, რადგან მაშინ სხვა, ნამდვილად მიწიერ ენებსაც იგივე თვისებები უნდა გამოემჟღავნებინათ, როდესაც ასო *f*-ი იქ, თუმცა შეზღუდული სიხშირით გვხვდება, მაგრამ მაინც უადრესად მნიშვნელოვანია თითქმის ასეთსავე შეზღუდულ სიტყვათა ცხრილთან შედარებით, როგორც, მაგალითად, ჰინდურშია (ოთხი *f*-ი ულტრამარში, სამი ურანულში). ჰელენის სანსკრიტში ამ ასოებთან დაკავშირებული შეცდომების საფუძვლიანი ახსნა უფრო ადვილია, თუკი დავუშვებთ, რომ რასაც იგი ამ ენის შესახებ გვათავაზობს, ძირითადად ნამდვილად გადაკეთებული და დამახინჯებული მოგონებებიდან მომდინარეობს, ვიდრე სანსკრიტოიდული ნეოლოგიზმების ფაბრიკაციით.¹²

¹¹ [ფლურნუას შენიშვნა] *Le langage marten*, გვ. 21 f.

¹² SVG, გვ. 396-399, სოსიურის „*Pastiche latin*“-ის ნაბეჭდი ხელნაწერი: ო. ფლურნუა, 1986, გვ. 200-203.

TH. FLOURNOY

DIE SEHERIN
VON GENÈVE



LEIPZIG
FELIX MEINER VERLAG

I

ჟენევიური ლექციების სტენოგრაფიული ჩანაწერები

ჯერ კიდევ თავის მოკრძალებულ განმარტებებში იგრძნობა მისი მედიტაციების უკანა პლანი, მაგრამ წინააღმდეგი იყო ჭეშმარიტების პირდაპირი მოწოდებისა. იგი ამას ჩვენს თვალწინ ხელახლა ქმნიდა. იგი მთელი თავისი არსებით შედაგო იყო.

შარლ ბალი

VII. მეორე კურსის¹ ა. რიდლინგერის მიერ შესრულებული სტენოგრაფიული ჩანაწერები

»16 ნოემბერი 1908«²

რას წარმოადგენს სემიოლოგია, თუ იგი მეცნიერება არ არის?

რადგან ენა [langage<] უმნიშვნელოვანეს ნიშანთა სისტემაა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ენაში [>langue<] ნიშნებს გამოიკვლევ, მის მნიშვნელოვან მხარეებს, მის სიცოცხლესაც შეიცნობ.

ამჯერად შევეხებით ენის [>langue<] კვლევას, რომელიც ლინგვისტებს ამ საგნის მნიშვნელოვანი მხარეების მიმართულებით არ უწარმოებიათ. ეს ზემოქმედებას ახდენს იმაზე, რომ სემიოლოგიური კვლევის საგანი გაურკვეველი (უზინარი) რჩება, თუ მას სხვა თვალთახედვით მიუდგებიან და არა ენის [>langue<]³ პოზიციებიდან. კერძოდ, როცა [>langue<] ენას იკვლევენ ისე, როგორც ფსიქოლოგები, ფილოსოფოსები და მსგავსი ერთობები. სინამდვილეში: 1. ისინი ენას [>langue<] განიხილავენ, როგორც ტერმინთა და სახელწოდებათა ნუსხას და მათი თანაარსებობის საშუალებით ფარავენ ენობრივი ღირებულებების ურთიერთდეტერმინაციას. ყველა სიდიდე ერთმანეთზეა დამოკიდებული: ამგვარად სურთ დაადგინონ, თუ რას ნიშნავს ფრანგულში judgement? ამის განსაზღვრა შეიძლება მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რა გარემოცვაშია ეს სიტყვა მოქცეული. ასე ვთქვათ, რა არის ეს, ან რა არ არის ეს. ასეთივე სიტუაცია იქმნება, როცა მისი სხვა ენაზე [>langue<] გადათარგმნა სურთ. აქედან წარმოდგება ნიშნების საჭიროება იმისათვის, რომ სიტყვა სისტემასთან კავშირში იქნას განხილული. ასევე არსებობს სინონიმები – craindre, redouter, მხოლოდ ერთი მეორის მხარეს. craindre სრული შინაარსით

¹ ვინაიდან წარმოდგენილ ვიგნში სოსიურის რჩეული ტექსტების თარგმანები შეზღუდულია, მცირე ამონარიდებს ვთარგმნით მისი ლექციების მეორე კურსის ა. რიდლინგერის მეორე კურსის და გ. დეკალიეს მიერ შესრულებული მესამე კურსის სტენოგრაფიული ჩანაწერებიდან. ისინი გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნიან აურაცხელ, ენათმცნიერების თვალსაზრისით, მეტად საინტერესო ტექსტებზე, რომლებიც ჟენევის უნივერსიტეტში სოსიურის სალექციო მოღვაწეობას ასაბუთებენ.

სოსიურის ლექციების სტენოგრაფიული ჩანაწერები დღემდე ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში: P. 08, P. 09 [=SM / G]; P. 10, P. 15 [=CLG / E (1)]; P. 21, P. 54, P. 73, P. 74.

თარგმანი შესრულებულია რ. ენგლერის მიერ მომზადებული კურსის [=CLG / E (1)] კრიტიკულ გამოცემაში წარმოდგენილი ტექსტების მიხედვით.

ა. რიდლინგერის მიერ შესრულებული სტენოგრაფიული ჩანაწერი =R, შეად. =CLG / E (1), გვ. XI და SM / G, გვ. 15.

² შეად. SM / G, გვ. 67. სტენოგრაფია II R 18-22.

³ Cf. CLG / E (1), გვ. 49, II R 18, Nr. 298-300.

სიტყვა redouter-ით ივსება, მაშინ, როდესაც redouter-ი არ არსებობს. იგივე ითქმის chien, loup-ის მიმართაც, მიუხედავად იმისა, რომ მათ დამოუკიდებელ ნიშნებად განიხილავენ.

2. როცა ნიშნის კვლევა სურთ, მეორენი იქეთ იხრებიან, რომ ამ ნიშნის მექანიზმი ინდივიდთან კავშირში განიხილონ, კერძოდ, ის მენტალობა და ფიზიკური ოპერაციები, რის აღმოჩენასაც ინდივიდში შეძლებენ, მაგრამ ეს მხოლოდ ნიშნების სისრულეში მოყვანაა [>exécution<] და არა მისი არსებითი თვისება (ბეთჰოვენის სონატის შესრულება სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ ეს სონატა თავისთავად არსებობს). რატომ ირჩევენ ინდივიდებს? იმიტომ, რომ ისინი ჩვენი განკარგულებისათვის ყველაზე ახლოს დგანან, იმიტომაც, რომ ჩვენს ნებაზე არიან დამოკიდებული.⁴

3. მესამეც, როცა გააცნობიერებენ, რომ ნიშნები თავისი სოციალური ღირებულებისა და სოციალური ყოფიერების ასპექტში უნდა განიხილონ, ეცდებიან, ჯერ იმაზე შეჩერდნენ, რაც უპირატესად ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული და შემოიფარგლონ ამ ასპექტით იმ რწმენით, რომ მნიშვნელოვანს უკვე ჩაავლეს ხელი, მაგრამ აღმოჩნდება, რომ ენის [>langue<] შესახებ ისე ლაპარაკობენ, თითქოს რაღაც ხელშეკრულებაზე შეთანხმდნენ.⁵

რაც ნიშნების კვლევის დროს ყველაზე საინტერესოა, ის მხარეებია, რომლებიც ჩვენს ნებას არ ემორჩილებიან. ასე გრძნობენ ისინი ნამდვილად კარგად თავს, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია მათი შეზღუდვა.

ასე რომ, ენას [>langue<] მე-18 საუკუნის ფილოსოფოსების მსგავსად განიხილავენ, როგორც კანონმდებლობას [>législation<], რომელიც თითქოს ჩვენს ნებაზე იყოს დამოკიდებული, მაგრამ ენა [>langue<] კანონმდებლობაზე მეტად მოითხოვს მისსავე კანონებში წვდომას. უფრო მეტიც: თუ არსებობს ისეთი სფერო, რომელშიც კანონმდებლობა წარმოადგენს კანონს, რომელიც უნდა მიიღონ, მაგრამ ჯერ არ შეუქმნიათ, ასევე ხდება ენაშიც [>langue<].⁶ ენაში [>langue<] მინიმალური მნიშვნელობა აქვს ინიციატივას.⁷

რეალურად არ არსებობს მომენტი, როდესაც ნიშნებთან დაკავშირებით თანხმობას აღწევდნენ. მხოლოდ წარმოდგენა იქმნება ასეთი. ხოლო თუ ასეთი რამ მოგვეცა, დაუდევარნი აღმოვჩნდებით ენის [>langue<] კანონზომიერი არსებობის წინაშე.

ენის [>langue<] წარმომავლობის საკითხს ის მნიშვნელობა არ აქვს, რასაც მას აძლევენ. ეს საკითხი საერთოდ არ არსებობს.

(მდინარე რონას წყაროების შესახებ საკითხი: ბავშვურია) გენეზისის მომენტი, როგორც ასეთი, არ არის ხელშესახები. მას ვერ ვხედავთ. უძველესი შეთანხმებები იმასთან ერთად იღუპება, რაც ენაში ყოველდღე თამაშდება ენის [>langue<] მიერ წამოყენებული პერმანენტული პირობებით: როცა ისინი ენას [>langue<] ახლად უმატებენ რაიმე ნიშანს, ამით დანარჩენ ნიშანთა მნიშვნელობას ამცირებენ და პირუკუ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს შეუძლებელია, ჯერ მხოლოდ ორი ნიშანი იქნებოდა შერჩეული, შემდეგ ყველა მნიშვნელობა ამ ორ ნიშანზე გადანაწილდებოდა. ერთი ერთს, ხოლო მეორე მეორე ნახევარს გამოხატავდა.⁸

⁴ Cf. CLG / E (I), გვ. 50, II R 18-19, Nr. 301-307.

⁵ Cf. CLG / E (I), გვ. 51, II R 19, Nr. 309-311.

⁶ Cf. CLG / E (I), გვ. 159, II R 20, Nr. 1183.

⁷ Cf. CLG / E (I), გვ. 164, II R 20, Nr. 1230.

⁸ Cf. CLG / E (I), გვ. 160, II R 20, Nr. 1191.

შეთანხმების მომენტი⁹ არ განსხვავდება სხვებისაგან და თუ ვინმე ამ საკითხით დაინტერესდება, მნიშვნელოვან გზას დაადგება. 1. ფაქტი, რომ ნიშანთა სისტემა, როგორც ენის [>langue<] სისტემა, თაობიდან თაობის მიერ პასიურად იქნება მიღებული, (განხილული იქნება, როგორც შეგნებული აქტი, როგორც ენის უფლებების ხელყოფა). 2. ნიშანთა სისტემას აუცილებლად ექნება თვისება, გარკვეული პირობით ის გადასცეს მომდევნო თაობას, რასაც არანაირი კავშირი არ ჰქონია იმათთან, ვინც ეს სისტემა დააწესა (თუკი საერთოდ აღიარებენ, რომ ეს ნების საქმეა ისევე, როგორც ესპერანტო). ენა [>langue<] ცოტათი ქათმისაგან გამოიხევილ იხვს ჰგავს.¹⁰

როგორც კი პირველი წუთები ჩაივლის, ენა [>langue<] იწყებს საკუთარ სემიოლოგიურ ცხოვრებას და ამ მომენტიდან უკან დასაბრუნებელი ყოველი გზა უკვე მოჭრილი ექნება. ისინი თაობებს გადაეცემა იმ კანონის მიხედვით, რომელსაც მასი შექმნის წესებთან არავითარი კავშირი არ ექნება.¹¹

3. ვიდრე ეს კანონი თაობებს გადაეცემა, სისტემა თავისი მასალით განაგრძობს ცვლილებას, რაც აზროვნების მიმართ ნიშნების დამოკიდებულებას ცვლის. ეს ნიშნების ყოველი სისტემისათვის ძალაში რჩება.

მაგალითი: [...] de par le roi = de la parl du roi (par part-ისათვის le roi გენიტის – ნათესაობითის – მანვენებელია); სრულიად მარტივი მაგალითი: როცა ორი სიტყვა აზრობრივად ერთმანეთს ემთხვევა, ამას გაუგებრობამდე და აზრის შეცვლამდე მივყავართ. ამ სამი ფაქტის მოძიება ყველგანაა შესაძლებელი.¹²

4. ნიშნების მიმართება აზრთან ზუსტად ისაა, რაც ნიშანს გააჩნია. ამას წყვეტს არა მარცვალთა თანმიმდევრობა, არამედ ორმაგი არსი, რომელიც მარცვალთა თანმიმდევრობით იქმნება იმ ზომით, რა ზომის მნიშვნელობასაც მას მიანიჭებენ. ორმაგი ნიშანია:

მნიშვნელობა

მარცვალი

ეს სემიოლოგიის ყველაზე უფრო ძნელი საკითხია, ხოლო ეს სფერო საკითხის დასამუშავებლად მოცემული სახითაც უზუღვებელყოფილი იქნება.¹³

ეს შესაბამისობა შეიძლება შემდეგი შედარებით წარმოგვედგინა: შეუძლებელია ფურცლის ერთი მხარე ისე გაჭრა, რომ მეორე მთელი დარჩეს.¹⁴ განყენების (აბსტრაგირების) პროცესში ყურადღების გამახვილება¹⁵ მხოლოდ ერთ მხარეზე შეიძლება. ასე რომ, ნიშანთა ბუნების გარკვევა მხოლოდ ენაშია [>langue<] შესაძლებელი. ეს ბუნება კი მოიცავს საკითხებს, რომლებიც ნაკლებადაა გამოკვლეული. ამიტომ, ერთი შეხედვით, არ ჩანს სემიოლოგიური მეცნიერების საჭიროება ან განსაკუთრებული სარგებელი, მაშინ, როდესაც ენის [>langue<] შესახებ მსჯელობა ზოგადი, ფილოსოფიური თვალთახედვით მიმდინარეობს, სხვა საკითხებს კი ენის [>langue<] საშუალებით იკვლევენ.¹⁶

ის, რაც ენაში ინდივიდუალურ ან სოციალურ ნებასაა მოკლებული, ნიშანთა საყურადღებო თვისებას წარმოადგენს. ასევეა ისეთი მოვლენები, რომლებიც

⁹ Cf. CLG / E (I), გვ. 159, II R 21, Nr. 31182.

¹⁰ Cf. CLG / E (I), გვ. 170, II R 21, Nr. 1275.

¹¹ Cf. CLG / E (I), გვ. 170, II R 21, Nr. 1274.

¹² Cf. CLG / E (I), გვ. 54, II R 21, Nr. 335.

¹³ Cf. CLG / E (I), გვ. 254, II R 22, Nr. 1834.

¹⁴ Cf. CLG / E (I), გვ. 253, II R 22, Nr. 1833.

¹⁵ Cf. CLG / E (I), გვ. 254, II R 22, Nr. 1835.

¹⁶ Cf. CLG / E (I), გვ. 51, II R 22, Nr. 313-314.

ერთი შეხედვით ნაკლებად აჩენენ თავს.¹⁷ როცა ნიშნებს ამ თვალთახედვით განიხილავენ, წარმონდგება ისეთი მხარეები, რომლებსაც ვერ ივარაუდებდნენ. როცა რელიგიური რიტუალების და ა.შ. გამოკვლევას მიჰყოფენ ხელს, აღმონდგება, რომ იგი საერთო საკვლევ სფეროს, ნიშნების განსაკუთრებულ არსებობას, სემიოლოგიას განეკუთვნება. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ენა [>langue<] თავის სახეობაში ერთადერთი არ არის და, რომ ის იმათ წრეშია მოქცეული, რასაც სოციალური ინსტიტუციების საკმაოდ ტევადი სახელები გამოხატავენ. ისინი შემოფარგლული არიან გარკვეული ოდენობის საკითხებით, რომლებიც თავის მხრივ გამოკვლევას საჭიროებენ.¹⁸

»23 ნომბერი 1908«¹⁹

ყველაფერი, რაც ენას [>langue<] სხვა სემიოლოგიური სისტემებისაგან აშორებს, თუ მისი ბუნების გარკვევა გვინდა, თვით მაშინაც კი, როცა ერთი შეხედვით ეს ყველაფერი შეიძლებოდა, მნიშვნელოვნად მოგვეჩვენებოდა, იგი, როგორც რაღაც უადრესად უმნიშვნელო რამ, ისე უნდა გამოგტოვოთ. ასე, მაგალითად, სამეტყველო ორგანოების თამაში: არსებობს სემიოლოგიური სისტემები, რომლებიც არ ემსახურებიან მათ, თუ ისინი რაღაც სრულად სხვაზე არიან დამოკიდებული.²⁰ მეორე არის უძველესი შეთანხმება, საწყისი მოლაპარაკება, რომელსაც ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მასში არ არის მოცემული ფაქტების საფუძვლები, რომლებიც სემიოლოგიურ სისტემას შეეხება. არსებითად, თუ სემიოლოგიური სისტემა ერთობის სიკეთეა, ზედმეტია სისტემის გარეშე დაკვირვების სურვილი, რადგან ამას სწორედ კოლექტიურობის ეს თვისება იძლევა. იგი საკმარისია მისი არსის მოსახელთებლად, იმის გასარკვევად, რაც ერთობის პირისპირ არის. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს პროცესი ჩერდება შინაგანი ან უშუალო თვისებების შეფასება-განიხილის შესაძლებლობის შესაბამისად, რადგან, ფაქტობრივად, ამ მომენტიდან აღარ არის გარანტია იმისა, რომ ინდივიდუალური ჯანსაღი აზრი ნიშნებსა და წარმოდგენებს შორის ურთიერთობას წარმართავს. a priori არ ვიცით, რა ძალები ჩაერევიან ნიშანთა სისტემის ყოფაში (სემიოლოგიური სისტემა = გემი, არა გემთსაშენში, არამედ ზღვაში; შეუძლებელია მისი სვლა a priori განსაზღვრო მისი კორპუსის მიხედვით და ა.შ.).²¹

ეს საკმარისია იმისათვის, რომ ენა [>langue<] რაღაც სოციალურ, რაღაც კოლექტიურ მოვლენად განვიხილოთ: გემი მხოლოდ გაშლილი ზღვის ობიექტია იმისათვის, რომ მისი კატეგორიის განსაზღვრა ღირდეს. ისე, რომ ეს არის ერთობის სისტემა, რომელიც ნიშანთა სისტემის სახელს იმსახურებს.²² სულ ეს არის. ერთობაში მიმდინარე ნიშნების თავის წამოყოფას წმინდა ინდივიდუალური ელემენტი ეწოდება, რაც უმნიშვნელო რამ არის. ნიშანთა სისტემა ინდივიდისათვის კი არა, ერთობისათვის შეიქმნა ისევე, როგორც გემი ზღვისათვის. ამიტომ გარეგანი ფაქტორების საპირისპიროდ, სემიოლოგიური ფენომენი ყურადღების გარეშე არასოდეს არ ტოვებს ერთობის ფაქ-

¹⁷ Cf. CLG / E (I), გვ. 51, II R 23, Nr. 312.

¹⁸ Cf. CLG / E (I), გვ. 51, II R 23, Nr. 315.

¹⁹ შეად. SM / G, გვ. 67, სტენოგრამა II R 23-27.

²⁰ Cf. CLG / E (I), გვ. 51 f., II R 23, Nr. 316.

²¹ Cf. CLG / E (I), გვ. 170 f., II R 23, Nr. 1276.

²² Cf. CLG / E (I), გვ. 172, II R 23, Nr. 1286.

ტებს.²³ ეს მისი შინაგანი სოციალური ბუნებაა და არა გარეგანი ელემენტი.²⁴

ისე, რომ ჩვენ სემიოლოგიურად ვაღიარებთ მხოლოდ ფენომენთა ნაწილს, რომელიც, თავისი თვისებების მიხედვით, სოციალურია, ამიტომ უარს ვამბობთ,²⁵ სემიოლოგიურად განვიხილოთ ის, რაც წმინდად ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს. როცა ამის დეფინიციას მოვახდენთ, სემიოლოგიური პროდუქტიც განსაზღვრული გვექნება და შესაბამისად, – ენაც [*>langue<*]. ეს იმას ნიშნავს, რომ ენა [*>langue<*] სემიოლოგიური პროდუქტია, ხოლო სემიოლოგიური პროდუქტი კი – სოციალური. მაგრამ, უფრო ახლოს რომ გავსინჯოთ, მაინც როგორია იგი? რაიმე სემიოლოგიური სისტემა თავის თავში დიდი რაოდენობის ერთობებისაგან შედგება (მეტ-ნაკლებად სხვადასხვა წყობის კომპლექსური ერთობებისაგან) და ამ ერთობათა ჭეშმარიტი ბუნება, რაც ხელს უშლის მათ სხვებში აღრევას, არის ის, რომ ისინი ღირებულებებს წარმოადგენენ. ერთობათა ეს სისტემაც, რაც იგივე ნიშანთა სისტემაა, ღირებულებათა სისტემაცაა. ყველაფერი, რაც კი შეიძლება, რომ ღირებულებით იქნას დეფინირებული, საყოველთაო წესით, ამ ერთობებისთვისაც გამოსაყენებელი გახდება და ესენი კი ნიშნებია. სხვადასხვაგვარ წესრიგთან ღირებულების დეფინიციის მეტად ძნელია და ამიტომ სიცხადეც უშუალოდ არ გვეძლევა, მაგრამ ჩვენ მაინც ყოველთვის დეფინირების პოზიციასზე ვიმყოფებით. სულ მცირე, გარეგნულად მაინც. საფრთხის წინაშე შეიარაღებულები აღმოჩნდებიან, სიტყვაში სრულიად მარტივი ისეთი რამ რომ დაგვეჩვენას, რომლითაც შეგვეძლებოდა საკუთარი თავისთვის თქმა, რომ ზოგადად, ღირებულება მეტად კომპლექსური რამ არის და, რომ სიტყვა, ალბათ, ყველაზე კომპლექსური ღირებულებაა, კომპლექსური – სხვადასხვაგვარი გაგებით, განსაკუთრებით კი იმ აზრით, რომ, როგორც კი ღირებულებაზე იწყება საუბარი, მისი ურთიერთობების განსაზღვრა თამაშით ხდება: არანაირი ღირებულება თავისთვის, სრულიად დამოუკიდებლად არ არსებობს. რა ფასი ექნება, რომ ნიშანს ღირებულება მხოლოდ ერთობის დასადასტურებლად თავისთვის აქონდეს. გამოდის, თითქოს ნიშნებში მოცემული იყოს ორი ღირებულება (ღირებულება თავისთვის და ღირებულება მათთვის, ვინც მას ერთობიდან მიიღებს). მაგრამ, ძირითადად, ეს ერთი და იგივეა. ამგვარად, უკვე გარკვეული შეცდომისაგან დაცული ვართ. ახლა გაცილებით უკეთ ვხედავთ, რომ ეს მხოლოდ სოციალური ფაქტორია, რომელიც ქმნის იმას, რაც სემიოლოგიურ სისტემაში არსებობს. როგორ მოხვდება ეს რომელიმე წყობაში, ღირებულებათა სისტემაში, თუ არა ერთობის მეშვეობით? ინდივიდი თავისთავად, მარტო, უძლურია რაიმეს დადგენაში.²⁶

იმავედროულად ვხედავთ, – რაც ყოველთვის ღირებულებაზე წარმოდგენას ეკუთვნის – ნიშანთა უსხეულო ბუნება გვევლენება სიტყვებისა თუ კიდევ რომელიმე ერთობების²⁷ სახით. ეს არ არის ბგერითი, ხმოვნითი სუბსტანცია, რომელიც იმის საფუძვლად მოგვეჩვენებოდა, რაც სიტყვათქმნადობისათვის იქნებოდა საჭირო.²⁸

თუ ბგერების თავისებურებაზე, მის ცვლილებათა ხასიათზე არ იმუშავებ, ისე ენის [*>langue<*] პრობლემებთან საქმე არ უნდა დაიჭირო. ბგერა ენის [*>lan-*

²³ Cf. CLG / E (I), გვ. 173, II R 23, Nr. 1286.

²⁴ Cf. CLG / E (I), გვ. 173, II R 23, Nr. 1287.

²⁵ Cf. CLG / E (I), გვ. 254, II R 24/25, Nr. 1842.

²⁶ Cf. CLG / E (I), გვ. 255, II R 24/25, Nr. 1842-1843.

²⁷ Cf. CLG / E (I), გვ. 267, II R 26, Nr. 1920.

²⁸ Cf. CLG / E (I), გვ. 266, II R 26, Nr. 1919.

gue<] კაპიტალური ფაქტორია და მაინც, გარკვეული თვალსაზრისით, ენის [>langue<] არსისთვის ფონეტიკური ფენომენი უცხოა.²⁹
 ეს როგორ? ამისათვის შესადარებლად სხვა ფაქტორების მოხმობა იქნება საჭირო.

უხეშად შევცდებოდით, თუ დავიჯერებდით, რომ იგი არის მატერია, რომელსაც შეინახავ მონეტების მსგავსად, რომლებიც საკუთარ ღირებულებას განსაზღვრავენ. სხვა საგნები კი დამატებით განსაზღვრავენ მის ღირებულებას. მაგალითად, იმას, რასაც აქვს ოცი ფრანკის მეოთხედის ღირებულება, მერვედი ოდენობის ლითონს ან სხვა რამ ნაჭედს სულაც არ ექნება მისი ღირებულება. ზღვარის ერთ მხარეს ისეთივე ღირებულება აქვს, რაც მის მეორე მხარეს.³⁰

შეიძლება პარადოქსად მოგვეჩვენოს, რომ შედარებით მეორეხარისხოვანი ბგერა ფარდობითი იყოს სიტყვაში, მაგრამ იგივე წარმოდგენით შეიძლება ითქვას, რომ სიტყვები, რომლებიც ერთობაზე არიან დამოკიდებული, თავისთავად, მარტო აღებულნი, მხოლოდ ფასეულობის ერთ მხარეს წარმოადგენენ (წმინდად ფსიქოლოგიის საგანი).³¹

ბრჭყალებში: სიტყვა არ არის რაიმე კავშირით ფიქსირებული.

წარმოდგენა
ბგერა

განხილვის მიხედვით

A-დან

B-დან

$$\frac{\text{წარმოდგენა} - a}{\text{ბგერა} - a}$$

$$\frac{\text{წარმოდგენა} - b}{\text{ბგერა} - b}$$

კავშირი იქნებოდა

$$\frac{a}{b}$$

განსახილველი

მაშასადამე, ენის [>langue<] ნიშნები წარმოადგენენ ფასეულობებს, რომელთაგანაც არცერთი ნიშანი უშუალოდ გასაგებ ელემენტს არ აკმაყოფილებს იმისათვის, რათა მოხდეს მათი დეფინიცია: ისინი მათ ყოვლისმომცველად არ წარმოადგენენ. ღირებულებები უფრო მეტად კომპლექსურები არიან.

რომელ ნიშანსაც შეეძლება სხვა სემიოლოგიურ სისტემებს შორის ენის ადგილზე ყოფნა, თუ დადგინდება, რომ ეს ფასეულობათა სისტემაა, დაფიქსირდება. მისი ბაზისი ერთობაში უნდა დაიძებნოს. ეს არის ის, რაც ღირებულებებს ქმნის. მაშასადამე: 1. ერთობის გარეშე ფასეულობა არ არსებობს. ტყუილად დაუწვეებენ ფასეულობას ძებნას იმაში, რაც ინდივიდში ხდება. ასევე არც ვარაუდები³² გადაეცემათ ინდივიდთა ინიციატივებს. მაგრამ 2. როგორც ყველა ღირებულება, რომელიც სოციალურ ფაქტორზეა დამოკიდებული, არ არის ის, რასაც სალაპარაკო ნიშნები მოიცავს, რასაც შეუძლია წარმოდგენა შექმნას იმისგან, რასაც ნიშანი ჰქვია. ყველაფერი ეს ითვლება, როგორც გა-

²⁹ Cf. CLG / E (I), გვ. 267 f., II R 26, Nr. 1915.

³⁰ Cf. CLG / E (I), გვ. 267, II R 26, Nr. 1917-1918.

³¹ Cf. CLG / E (I), გვ. 267, II R 26, Nr. 1916.

³² Cf. CLG / E (I), გვ. 271, II R 27, Nr. 1942.

მოყენებული მატერია. ფასეულობას ელემენტების ვარირების გარეშე შეუძლია ვარირება.³³

VIII. III კურსისათვის³⁴ ქ. დეგალიეს სტენოგრაფიული ჩანაწერიდან

4 ნომბერი 1910³⁵

ლექციების ზოგადი განაწილება

1 – ენები [>langues<]

2 – ენა [>langue<]

3 – ენის შესაძლებლობა [>la faculté du langage<] და ინდივიდთა მიერ მისი გამოყენება.

შესავალი თავი: ამ შესავლის დასაბუთება და თანმიმდევრობის საფუძვლიანობა.

სად ვპოულობთ ენას [>langue<]? მის ჯერ კიდევ გაუანალიზებელ განსაკუთრებულ ნიშნებში ხომ არა? ენათმეცნიერებისთვის განსაკუთრებულად ძნელი საკუთარი თავისადმი იმ კითხვის დასმა, თუ რას წარმოადგენს მისი კვლევის საგანი. ამ საგანთან აღარ ექნებათ საქმე იმ შემთხვევაში, თუ იმას იღებენ, რაც საყოველთაოა, რადგან გასაყოველთაოება არის აბტსრაქცია. ამისათვის საჭიროა კონკრეტული საგანი, მაგრამ უნდა ერიდონ რაღაც არასრულყოფილის წინაშე დგომას. სავალდებულოა ყოველმხრივ სრულყოფილი საგნის ცქერა³⁶.

ბგერითი მხარე არ არის ყველაფერი: არსებობს აკუსტიკური მხარე და მატერიალური მხარის საპირისპიროდ, ბგერით პროდუქტთან წარმოდგენის გაერთიანება.³⁷ ამის შემდეგ ინდივიდუალური მხარე დგება სოციალური მხარის საპირისპიროდ და ა.შ... და ასე შემდეგ.³⁸

შიიძლება ენაზე [>langue<] საუბრით ბავშვებთან დაწყება და ა.შ.³⁹

საგანს უფლიან სხვადასხვა მხრიდან, რადგან მისი სრულყოფილი ათვისებისათვის წვალება უწევთ.⁴⁰

პასუხი ამ გამოკვლევაზე.⁴¹

ყოველ ინდივიდუმს გააჩნია არტიკულირების უნარი [>faculté du langage articulé<], მაგრამ ეს უნარი თამაშში ჩართვას ვერ შეძლებს, თუ ინდივიდს სოცია-

³³ Cf. CLG / E (I), გვ. 272, II R 27, Nr. 1942-1943.

³⁴ შეად. CLG / E (I), გვ. XI და SM/G, გვ. 15 კორექ დეგალიეს სტენოგრაფია = D.

³⁵ D 5-8; შეად. SM/G, გვ. 77.

³⁶ Cf. CLG / E (I), გვ. 24, D 5, Nr. 122-123. შრომასა და გამომცემელთა – ბალისა და სეშეს მიერ ჩარეგებზე შთაბეჭდილების გასაზიარებლად ამ ადგილზე ყოველთვის ვიძლევი გვერდის დასახელებას – კურსით – პასუხების ადგილს კურსით ან GRF–ს, რომელიც იქ რ. ენგლერის მიერ ქ. დეგალიეს სტენოგრაფიის რეკონსტრუქციას შეესაბამება: GRF, გვ. 9; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი, პარაგრაფი I. ენა [>langue<]; მისი განსაზღვრება (Definition).

³⁷ Cf. CLG / E (I), გვ. 25, D 5, Nr. 128; GRF, გვ. 9; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი I. ენა [>langue<]; მისი განსაზღვრება.

³⁸ Cf. CLG / E (I), გვ. 28, D 5, Nr. 141; GRF, გვ. 10; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი I. ენა [>langue<]; მისი განსაზღვრება.

³⁹ Cf. CLG / E (I), გვ. 29, D 5, Nr. 146; GRF, გვ. 10; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი I. ენა [>langue<]; მისი დეფინიცია.

⁴⁰ Cf. CLG / E (I), გვ. 30, D 5, Nr. 149; GRF, გვ. 10; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი I. ენა [>langue<]; მისი დეფინიცია.

⁴¹ Cf. CLG / E (I), გვ. 30, D 5, Nr. 153; GRF, გვ. 11; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი I. ენა [>langue<]; მისი დეფინიცია.

ლური გარემო ამის საშუალებას არ აძლევს. (ენა [>langue<] ძალაუნებურად სოციალურია; ენის ინდივიდუალობა რაღაც აბსტრაქტულობის სფეროა)⁴² აცალკევებენ რა ენას [>langue<] მეტყველების უნარისაგან [>la faculté du langage<], გაიყოფა მხოლოდ 1. ის, რაც სოციალურია, იმისგან, რაც ინდივიდუალურია; 2. ის, რაც არსებითია, იმისგან, რაც მეტ-ნაკლებად შემთხვევითია.⁴³

ენის [>langue<] საწარმოებლად საკმარისია წარმოდგენის დაკავშირება ხმისმიერ ნიშნებთან. რაც ინდივიდს ევალება, ეს ბგერითი მეტყველებაა. აკუსტიკური სურათი საფუძველს უყრის, ხოლო წარმოთქმა მეტ-ნაკლებად ინტერპრეტაციას უკეთებს ამ სურათს, აქედან გამომდინარეობს განსხვავება (მუსიკალური კომპოზიციის ღირებულება დამოკიდებული არ არის მეტ-ნაკლებად კარგ შესრულებაზე).⁴⁴ ენა [>langue<] სოციალური პროდუქტია.⁴⁵ ყოველი ინდივიდი ფლობს იმ სოციალურ პროდუქტს, რასაც ენა ჰქვია. ენა [>langue<] ჩვენს ტვინში დალექილი საუნჯეა, თითოეულ ინდივიდში მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ზომით დალექილი საუნჯე.⁴⁶

ენა [>langue<] ინდივიდის გარეშე არ არსებობს; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ენა ინდივიდზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ – ერთობაზე. მნიშვნელოვანი, რაც კი მას გააჩნია, არის მხოლოდ ბგერითი წარმოთქმა და აკუსტიკური სურათი (დაფარული შთაბეჭდილება ჩვენს ტვინში).⁴⁷

ენა [>langue<], როგორც სოციალური პროდუქტი: ამერიკელმა ლინგვისტმა უითნიმ თავის შრომებში – „ენათმეცნიერების პრინციპები“ და „ენის [>langue<] არსებობა“ – ენა [>langue<] შეადარა სოციალურ ინსტიტუციებს და იგი ამ კატეგორიას მიაკუთვნა. მისთვის შემთხვევითობის შედეგია, რომ მოხერხებულად ხორხით, ენით და ა.შ. ვლაპარაკობთ. შეიძლება, ეს ექსტიკულაციითაც შესრულებულიყო და ა.შ.⁴⁸

სწორია, რადგან ენა [>langue<] მხოლოდ და მხოლოდ წარმოთქმასა და აკუსტიკურ სურათს შორის არსებული ბგერითი, ვიზუალური ან სხვაგვარი წარმოდგენის შეთანხმებაა. მაშასადამე, ფონეტიკა მეორე ადგილზე ინაცვლებს [>allaireil phonatoire<].⁴⁹

მაგრამ სოციალურ ინსტიტუციებს შორის ენა [>langue<] მრავალი თვალსაზრისით განსხვავდება. შეიძლება მისი იურიდიულ, რიტუალურ და ა.შ. ინსტიტუციების გვერდით დაყენება. ეს ინსტიტუციებიც ცოტათი ენის ანალოგიურად ვითარდებიან. მაგრამ ეს ინსტიტუციები მხოლოდ გარკვეულ პიროვნებებს განსაზღვრულ მომენტში შეეხებიან. ენის [>langue<] გარდა, სხვა არც ერთი ინსტიტუცია არ არის ყველას გამგებლობაში. ყველას თავისი წილი,

⁴² Cf. CLG / E (I), გვ. 31, D 5, Nr. 159; GRF, გვ. 11; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი 1. ენა [>langue<]; მისი დეფინიცია.

⁴³ Cf. CLG / E (I), გვ. 41, D 6, Nr. 241-243; GRF, გვ. 16; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი 2. ენის [>langue<] ადგილი ადამიანურ მეტყველებაში [>faits de langage<].

⁴⁴ Cf. CLG / E (I), გვ. 54, D 6, Nr. 331; GRF, გვ. 21; შესავალი, თავი IV. ენის [>langue<] მეცნიერება და მეტყველების მეცნიერება.

⁴⁵ Cf. CLG / E (I), გვ. 40, D 6, Nr. 230; GRF, გვ. 16; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი 2. ენის [>langue<] ადგილი ადამიანურ მეტყველებაში [>faits de langage<].

⁴⁶ Cf. CLG / E (I), გვ. 411, D 6, Nr. 235-240; GRF, გვ. 16; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი 2. ენის [>langue<] ადგილი ადამიანურ მეტყველებაში [>faits de langage<].

⁴⁷ Cf. CLG / E (I), გვ. 43, D 6, Nr. 261; GRF, გვ. 18; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი 2. ენის [>langue<] ადგილი ადამიანურ მეტყველებაში [>faits de langage<].

⁴⁸ Cf. CLG / E (I), გვ. 33, D 6, Nr. 167-169; GRF, გვ. 12; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი 1. ენა [>langue<]; მისი დეფინიცია.

⁴⁹ Cf. CLG / E (I), გვ. 34, D 6, Nr. 176; GRF, გვ. 12; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი 1. ენა [>langue<]; მისი დეფინიცია.

თავისი გავლენის სფერო გააჩნია. მოფიქრებული, გააზრებული ქმედებებით შეიძლება უამრავი ინსტიტუციის მოდიფიცირება, ენის [>langue<] მიმართ კი ამას ვერავენ, თვით აკადემიებიც კი ვერ შეიძლება.

ვიდრე ენას [>langue<] უშუალოდ სოციალურ ინსტიტუციებს მივაკუთვნებთ, აუცილებელია მათ შორის სხვა წარმოდგენის ჩასმა. კერძოდ, საზოგადოებებში სემიოლოგიური ფაქტების მსგავსისა.⁵⁰

Semeion = ნიშანი(ი)ს.⁵¹

ენა [>langue<] ნიშანთა ერთობაა [>ensamble<]. ინსტიტუციებსაც აქვთ ეს თვისება (მაგ. რიტუალურ ინსტიტუციებს), მაგრამ ენაში [>langue<] ეს ნიშნები პირდაპირ ზემოქმედებენ წარმოდგენებზე ისევე, როგორც სხვა სისტემებზე. ასე რომ, ენა უნდა მოვაქციოთ სემიოლოგიურ სისტემებში: თუ გემების ხილვადი სიგნალების,⁵² სამხედრო საყვირთა სიგნალების⁵³ ყრუ-მუნჯთა ანბანის და ა.შ.⁵⁴ სხვადასხვა ნიშანთა სისტემის შესწავლას მოკიდებენ ხელს, მიაკვლევენ კიდევ მათ საერთო ბაზისს. ნიშანთა ეს ფსიქოლოგია გახდება სწორედ სოციალური ფსიქოლოგიის ნაწილი,⁵⁵ რომელიც ენისთვისაც [>langue<] იქნება გამოსადეგი. ნიშანთა შეცვლის კანონს [>ტრანსფორმაციას<] ზოგადად ენის ცვლილებასთან [>ტრანსფორმაციასთან<] ექნება ანალოგიები. ეს არის ის სემიოლოგიური ჯგუფი, რომელიც შეიძლება, ინსტიტუციათა დიდ ჯგუფში მიიღონ.⁵⁶

ისევე ჩვენს გეგმას დაეუბრუნდეთ. დავეყრდნოთ მათემატიკურ გამოსახულებას (თერმა): ენათმეცნიერების საგანია მხოლოდ სოციალური პროდუქტის – ენის კვლევა. მაგრამ ეს სოციალური პროდუქტი ვლინდება ენების [>langues<] დიდ მრავალფეროვნებაში (ანუ ყოველი ადამიანის ტვინში დალექილი სოციალური პროდუქტი არის კონკრეტული ობიექტი).

მაგრამ, რაც მოცემულია, ენებია [>langues<].

პირველ რიგში საჭიროა ენების თავისთავად მრავალფეროვნებაში შესწავლა. მათზე დაკვირვებით შეიძლება იმის გამოყოფა, რაც უნივერსალურია. ამგვარად იგი ჩვენს თვალწინ წარმოჩნდება, როგორც ერთიანობის აბსტრაქცია [>ensemble d'abstractions<], რომლის საშუალებითაც გავარკვევთ, თუ რისი გამოკვლევის საშუალებას მოგვცემენ სხვადასხვა ენები [>langues<].⁵⁷

ისლა რჩება, რომ ინდივიდის პრობლემით დაეკავდეთ. მისი მნიშვნელობის წარმოდგენა საჭიროა, მაგრამ არა არსებითი. კვლევის დროს ერთმანეთში არ

⁵⁰ Cf. CLG / E (I), გვ. 45, D 7, Nr. 273-274; GRF, გვ. 19; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი 3. ენის [>langue<] ადგილი ადამიანურ ურთიერთობებში [>faits humains<] სემიოლოგია.

⁵¹ Cf. CLG / E (I), გვ. 48, D 7, Nr. 287; GRF, გვ. 19; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი 3. ენის [>langue<] ადგილი ადამიანურ ურთიერთობებში [>faits humains<] სემიოლოგია.

⁵² Cf. CLG / E (I), გვ. 46, D 7, Nr. 276; GRF, გვ. 19; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი 3. ენის [>langue<] ადგილი ადამიანურ ურთიერთობებში [>faits humains<] სემიოლოგია.

⁵³ Cf. CLG / E (I), გვ. 47, D 7, Nr. 281; GRF, გვ. 19; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი 3. ენის [>langue<] ადგილი ადამიანურ ურთიერთობებში [>faits humains<] სემიოლოგია.

⁵⁴ Cf. CLG / E (I), გვ. 46, D 7, Nr. 278; GRF, გვ. 19; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი 3. ენის [>langue<] ადგილი ადამიანურ ურთიერთობებში [>faits humains<] სემიოლოგია.

⁵⁵ Cf. CLG / E (I), გვ. 48, D 7, Nr. 285; GRF, გვ. 19; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი 3. ენის [>langue<] ადგილი ადამიანურ ურთიერთობებში [>faits humains<] სემიოლოგია.

⁵⁶ Cf. CLG / E (I), გვ. 49, D 7, Nr. 291; GRF, გვ. 19; შესავალი, თავი III. ენათმეცნიერების საგანი. პარაგრაფი 3. ენის [>langue<] ადგილი ადამიანურ ურთიერთობებში [>faits humains<] სემიოლოგია.

⁵⁷ Cf. CLG / E (I), გვ. 65, D 8, Nr. 427-429; GRF, გვ. 27 ფ.; შესავალი, თავი IV. ენის [>langue<] ასახვა (წარმოება) შრიფტის საშუალებით. პარაგრაფი 1. პრობლემის მნიშვნელობა.

უნდა ავუროთ საყოველთაო ფენომენი და ინდივიდუალური წარმოდგენის მექანიზმი.⁵⁸

8 ნომბერი 1910⁵⁹

ნაწილი პირველი. ენები [>lingue<]

(შედარება ბოტანიკასთან: 1. მცენარეები, 2. მცენარე. არიან ბოტანიკოსები, რომლებიც მცენარეებს იკვლევენ: აგროვებენ, მათ მრავალსახეობას აკვირდებიან, კლასიფიკაციას ახდენენ და არიან ისეთები, რომლებიც იკვლევენ მცენარეთა თვისებებს, მათ გამოყენებას, მათ ფუნქციებს და ა.შ.)⁶⁰

ენების [>langues<] კვლევისას უფრო ვჭკვრეტ მათ გარეგნულ მხარეებს, მაგრამ ენის ისტორიის შესწავლით შიდა მხარეებსაც ვაკვირდებით. ენის [>langue<] კვლევა ეხება იმას, თუ რამდენად შეეძლო ენას სიცოცხლის თვალსაზრისით თავისი არსებობის განვითარება. მაგრამ ენას [>langue<] გააჩნია ასპექტები, რომლებიც ბიოლოგიასთან ახლოობას არ ავლენენ. ასეთია ენის [>langue<] ლოგიკური ასპექტი. ენები [>langues<]: დედამიწის ზედაპირზე არსებული კონკრეტული საგანი. ენა [>langue<]: რაც ლინგვისტს აბსტრაქციის შედეგად, დროსა და სივრცეში შესწავლის შემდეგ ექმნება.⁶¹

თავი I: ენების [>langue<] განსხვავებულობის შესახებ.⁶²

ენის ფაქტებში პირველი განსაზღვრება (კონსტატაცია) [>faits de langage<]: გეოგრაფიული განსხვავებულობა არსებული ენათა [>langue<] სიმრავლე.

ეს განსხვავება სივრცეში ყველასათვის თვალშისაცემია (ეს არ ჰგავს დროში განფენილ ვარიაციებს). თვით ველურებსაც გააჩნია ამგვარი ცოდნა. ეს ის განსხვავებაა, რასაც ხალხები აცნობიერებენ. შეიძლება ისინი სხვაგვარად ვერც ამჩნევენ, რომ ლაპარაკობენ. ენის [>langue<] განსაკუთრებული თვისება მათი თვისებაა, ვინც ამ ენაზე ლაპარაკობენ, რომლებიც წარმოდგენას იძლევიან, რომ მათი ენა უკვე ჩვევაა მათი. მათ შეუძლიათ მისი ტანსაცმლის, ადამიწის და სხვა რამის გვერდით დაყენება.⁶³

მაგრამ ისინი ცდებიან, როცა ისე შორსაც მიდიან, რომ ენას კანის ფერს და რასობრივ კონსტიტუციასაც ადარებენ და ა.შ.⁶⁴

იდიომა = ენას [langage<], განხილულს მისი განსაკუთრებული თვისებების მიხედვით. ბერძნულად „idioma“-ს, სხვათა შორის, აქვს ზოგადი „ჩვევების“ მნიშვნელობაც.⁶⁵

⁵⁸ Cf. CLG / E (I), გვ. 66, D 8, Nr. 429; GRF, გვ. 27 ფ.; შესავალი, თავი IV. ენის გამოასახვა შრიფტის საშუალებით. პარაგრაფი I. პრობლემის მნიშვნელობა.

⁵⁹ D 9-10; შეად. SM/G, გვ. 77.

⁶⁰ Cf. CLG / E (I), გვ. 435, D 9, Nr. 2844; GRF, გვ. 228 []; მეორე ნაწილი. გეოგრაფიული ენათმეცნიერება, თავი I. ენების [>langues<] განსხვავებულობის შესახებ.

⁶¹ Cf. CLG / E (I), გვ. 435, D 9, Nr. 2846; GRF, გვ. 228; მეოთხე ნაწილი, გეოგრაფიული ენათმეცნიერება, თავი I. ენების განსხვავებულობის შესახებ.

⁶² Cf. CLG / E (I), გვ. 435, D 9, Nr. 2845; GRF, გვ. 228; მეოთხე ნაწილი, გეოგრაფიული ენათმეცნიერება, თავი I. ენების განსხვავებულობის შესახებ.

⁶³ Cf. CLG / E (I), გვ. 436, D 9, Nr. 2847-2850; GRF, გვ. 228; მეოთხე ნაწილი, გეოგრაფიული ენათმეცნიერება, თავი I. ენების განსხვავებულობის შესახებ.

⁶⁴ Cf. CLG / E (I), გვ. 437, D 9, Nr. 2852; GRF, გვ. 228; მეოთხე ნაწილი, გეოგრაფიული ენათმეცნიერება, თავი I. ენების განსხვავებულობის შესახებ.

⁶⁵ Cf. CLG / E (I), გვ. 437, D 9, Nr. 2852; GRF, გვ. 228; მეოთხე ნაწილი, გეოგრაფიული ენათმეცნიერება, თავი I. ენების განსხვავებულობის შესახებ.

ყოველ ხალხს თავისი იდიომის უპირატესობის სჯერა. ადამიანი, რომელიც კონკრეტულ ენაზე [langue<] არ ლაპარაკობს, თავისუფლად შეუძლია ეს ენა სალაპარაკოდ მოუხერხებლად მიიჩნიოს (barbaros – balbutire – bégayer). ენათმეცნიერებისათვის ენების [>langues<] გეოგრაფიული განსხვავებულობა ნამდვილად გადამწყვეტი [>primordiale<] ფაქტორია.⁶⁶ [...]

⁶⁶ Cf. CLG / E (I), გვ. 437, D 10, Nr. 2853-2855; GRF, გვ. 229; მეოთხე ნაწილი, გეოგრაფიული ენათმეცნიერება, თავი I. ენების განსხვავებულობის შესახებ.

J. წერილები და დოკუმენტები

როგორი დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, გუშინ წერილის წერით ვიყავი დაკავებული. წერილისა, რომლის ადრესატი ჩემი საუკეთესო და ლმობიერი „რესპონდენტი“ (მიგანნიათ თუ არა, რომ ჩემს ხელში ეს ტერმინი უცნაურად ცალმხრივ აზრს ღებულობს?), როცა მისი კეთილგანწყობით და შესანიშნავი წერილი მივიღე. ვჩქარობ, დავიძინო, რომ რესპონდენტი, რომელსაც მე მივმართავ, სხვა არავინაა, თუ არა თქვენ და რომ მე პასუხი, ან მეტიც, მადლიერების სიტყვები, რომელსაც ახლა ვწერ, ვაღდეგბული ვიყავი, ჯერ კიდევ უკვე ორი თვის წინ მომეწერა.

28 ოქტომბერი 1902
ანტუან მეიეს წერილიდან

IX წერილი¹

ადოლფ პიქტეს

პატივცემულო ბატონო, თავს ნება მივეცი, თქვენთვის ხელნაწერი გამომეგზავნა, რომელიც, ალბათ, მიუხედავად იმისა, რომ შევეცადე, ყველაფერი, რაც ზედმეტად ჩავთვალე, ამომეღო, მაინც გაჭირვებით წაიკითხება. უმორჩილესად გთხოვთ, ამ გზავნილს თვალი გადააფლოთ. მე მხოლოდ და მხოლოდ მოწაფე ვარ და ჩემი იდეების თქვენთვის გაზიარებას, ადამიანისათვის, რომელსაც ნაკლებად ვიცნობ, ვერ გავბედავდი, თუკი დარწმუნებული არ ვიქნებოდი, რომ სისტემა, რომელზეც უკვე ერთი წელია ვმუშაობ, უეჭველ ფაქტად არ მიმჩნდეს. ჯერ კიდევ მანამ ვიყავი სისტემების შექმნით გატაცებული, ვიდრე საგნებს დეტალურად განვჭვრეტდი.

სწორიად მიკითხავს ჩემი თავისთვის, უძველესი დროიდანვე ხომ არ არსებობს ინდოევროპული ფესვების მთელი ეს მასა, ან იქნებ შეიძლება ამ უდიდესი მრავალფეროვნებისათვის საერთო საფუძვლის პოვნა. არა ერთი და ორი დღე შევალიე იმას, რომ ლათინური, ბერძნული და გერმანული სიტყვები, – მხოლოდ ამ ენებს [*languages*] ვფლობ, – ფესვების მიხედვით დამეღებინა და ამ სახით ფესვების მნიშვნელოვანი ბაზა შემექმნა.

თანდათან შევამჩნიე კიდევ ძალიან ფართო მასშტაბის ერთობების არსებობა, უკვე ხელთ მქონდა Par, Park-ისა და ა.შ. ფესვი და მწამდა, დავინახავდი, რომ ისინი სრულიად განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენდნენ და ვიდ-

¹ დღემდე, შეცდომებისა და ხარვეზების გამორიცხვით, სოსიურის 104 წერილი და წერილებზე პასუხი იქნა გამოქვეყნებული. ისინი დანართში (გვ. 563 ff) ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დალაგებული. ამ შემკვიდრების გამოცემისას ჩვენ უნდა შემოვფარგლულიყავით წერილების მხოლოდ მცირე ნაწილის თარგმანით, რომლებიც სოსიურის მეცნიერული მოღვაწეობის განსაკუთრებულ მომენტებს წარმოგვიდგენენ. აქ თარგმნილი წერილების გარდა, თავად ტექსტში სხვა წერილებსაც შეხვდებით: გვ. 436 ff, გვ. 472 f და გვ. 475 ff (B.071-074, b 083 და B 092 / 093). და ბოლოს, სოსიურისადმი გაგზავნილ დღემდე გამოუქვეყნებელ კორესპონდენციებზე მითითებულია ბიბლიოგრაფიის პირველ მონაკვეთში (ქვემოთ, გვ. 567 ff).

რე ასე მივიწვედი წინ, სამი კვირის შემდეგ თავში მთელი თეორია ჩამომიყალიბდა. ყოველ შემთხვევაში, ამას ჯერხანად მხოლოდ ჰიპოთეზად ვთვლი. შემდეგ სიტყვების ერთმანეთთან მიმსგავსებას შევუდექი, რათა მენახა, დადასტურებდნენ თუ არა ამ ჰიპოთეზას. ამასობაში ჩემი არდადეგებიც დამთავრდა და იძულებული გავხდი, მუშაობა შემეწყვიტა. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ერთი წლის შემდეგ ყველაფერი, რასაც სიახლედ მივიჩნევდი, ჩემი იდეები, უფრო განმითქვამდა ისე, რომ ბოლოს გადავწყვიტე, ამასთან დაკავშირებით თქვენთვის აზრის გამოთქმა მეთხოვა.

სიგიჟემდე ვარ მისული და ეჭვს გარეშეა, სანსკრიტის რამდენიმე სიტყვა რომ ვიცოდე, მე თვითონ უარყოფდი ამას, მაგრამ ვაღიარებ, ზოგჯერ ჩემი იდეები ძალიან სააღბათოდ მეჩვენება. თუ კეთილს ინებებთ, ძვირფასო ბატონო, და ამ ფანტასმაგორიას თვალს გადაავლებთ (სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე დღე მქონდა მის ჩასაწერად) და ნახავთ, რა შეიძლება ამაში სწორი იყოს, ძალიან დიდ სიამოვნებას მომანიჭებთ.

მიიღეთ [...]

ფერდინანდ დე სოსიური²

ლუი ჰავეს

ბერლინი, 28 თებერვალი,
[1879] დოროთენშტრასე 88

პატივცემულო ბატონო, ეს-ესაა მივიღე სტატია, რომელიც თქვენი წყალობით „ჟენევის ჟურნალში“ ჩემს „Mémor sur le Système des voyelles“-ს ეძღვნება. ნამდვილად ამაღელვა და იმავე დროს შეეცბუნდი კიდევ, როცა დავინახე, რა გულმოდგინებითა და თვით ყოველი დეტალის გათვალისწინებით არის თქვენი ანალიზი შესრულებული და როცა იმაზეც ვფიქრობ, ჩემი წიგნის შესახებ სტატიის დაწერისათვის რა ხელგაშლილად მოექცეცით თქვენს ძვირფასი დროს. ღირსად არ ვრაცხ ჩემს თავს იმ მეტისმეტად საჩქებარი სიტყვებისათვის, რომელსაც, სრულიად სამართლიან კრიტიკასთან ერთად, გაზეთის პირველ სვეტში მიზიარებთ. რწმენა იმისა, რომ ჩემი თეორია კარგად იქნა აგებული, ვფიქრობ, საკმარისი უნდა იყოს ჩემი ამბიციის დასაკმაყოფილებლად. ამიტომ დიდი სიხარული მომგვარა იმის გაგებაში, რომ თითქმის მთლიანად ეთანხმებით ჩემს მოსაზრებებს. და, რამდენადაც ეს დათანხმება თქვენგან მომდინარეობს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, პატივცემულო ბატონო, რომ თქვენს აზრს ჩემთვის უდიდესი ფასი აქვს. კარგად ვიცი, როგორ ზუსტად წონით თქვენს აზრს და რა შორს დგას ბანალური მოსაზრებებისაგან. სტატიაში გვხვდება მეტად საინტერესო ჰიპოთეზები სანსკრიტის ცნობილ é-სა და ô-ს შესახებ. ამასობაში ბატონ ოსტროფის ლექციაზე მოვისმინე მსგავსი ჰიპოთეზა. რამდენადაც ძალიან შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ეს უკვე გარანტირებულად წარმოვიდგინო, ამ წერილს თან ვურთავ შენიშვნას და ორ ტერმინოლოგიურ საკითხს.

გთხოვთ [...]

ფერდინანდ დე სოსიური³

² Cf, P 43, გვ. 8-10 (B.001).

³ Cf, P 48, გვ. 319 f. (=B.002).

ძვირფასო ბატონო მეიე,

ის, რომ თქვენს მიერ ნოემბერში გამოგზავნილი წერილის დასაწყისში თქვენს ეპისტოლოლოფობიაზე საუბრობთ, ძალიან მესიამოვნა, რადგან ვხედავ, რომ ველაპარაკები ადამიანს, რომელიც უნარს მოკლებული არ იქნება, ამავე საკითხთან დაკავშირებით ჩემი პატიება შეძლოს. მაგრამ ვიმედოვნებ და ჩემს თავსაც ვუსურვებ, რომ ეს ჩვევა უკიდურესობამდე არ მიგივიდეთ. ახლა სერიოზულად. თქვენმა წერილმა ნამდვილად შემძრა. მეც ძალიან გულნატკენი დავრჩი იმის გამო, რომ პარიზში ბედმა არ გამიღიმა. ჩემს თავს ვერასოდეს ვაპატიებ, რომ თქვენთან შეხვედრის დრო წინასწარ არ შევითანხმეთ. პარიზში ჩემი ყოფნის დრო ბევრი გარემოებით იყო გაპირობებული და სულ ბოლო მომენტში, რაკი იძულებული გახვდი, სამი დღით შემეკეცა იქ ყოფნის დრო, თავი შევიკავე ჩემი სტუმრობის შესახებ თქვენთვის წერილობით შემეტყობინებინა, რადგან ზუსტი თარიღის დადგენა არ შემეძლო.

სიამოვნებით მოვისმენდი ლექციებს მახვილებთან დაკავშირებულ თქვენს განსხვავებულ ახალ თეორიებზე. დეტალები, რის შესახებაც მწერო, მეტად გაურკვეველ წარმოდგენას მიქმნის. მაგალითად, რას ნიშნავს ბერძნული ენის თქვენული „ინტენსიურობის აქცენტი“, რა სახით ეხება და, შესაბამისად, როგორაა იგი მარცვლებში განაწილებული. თუკი ამ აქცენტის არსებობა მტკიცდება, სრულიად გასაგები იქნება, რომ იგი ფონეტიკურ ზემოქმედებას იწვევს და ეს იმ დროს, როცა მე აქამდე აღიარებული ფონეტიკური ზემოქმედების მიმართ ძალიან სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი. მაგალითად, როცა ვაკერნაგელი თვლიდა, რომ – **ερσ** – ყოველთვის აქცენტის მიერ წაყენებული პირობების მიხედვით **ερσ**-ად ან **ერპ**-ად იწარმოება, ან როცა ფრანკ-ფურტერს სურდა, ხმოვნების +pj ან vj-ის ორგვარი განმარტება (**χαιρω**-ს ეპენტეზით, მაგრამ **φθειρω**=**φθειρω**-ს – ეპენტეზიის გარეშე), რომლებიც ასევე მახვილის პირობებზე არიან დამოკიდებული.

[...]

ინტონაციების შესახებ ჩემი სტატია გამოქვეყნდება. სტატიის მეორე ნაწილში ჩართული იქნება ის, რისი თქმაც ინტონაციების შესახებ მინდა და 2. ასევე აქცენტირების შესახებ ჩემი შენიშვნები ლატვიურ ინტონაციებსაც შეეხება, რომლებიც (არ ვიცი, გითხარით თუ არა) ასევე აქცენტირების შედეგია. ეს ლიტვურ ინტონაციებს არ ეხება!! საკმაოდ შეურცხოფილი ვარ ყველაფერი იმით და ზოგადად იმ სიძნელეებით, რაც ენობრივ ფაქტორებს [**>faits de langage<**] ეხება. რად ღირს, თუნდაც ათი ბწკარი დაწერო, რომელიც გასაგები იქნება. დიდი ხნიდან მოკიდებული, როცა ფაქტების ლოგიკური კლასიფიკაციით ვიყავი დაკავებული, შემდეგ კი თვალსაზრისთა კლასიფიკაციით, რომლის მიხედვითაც მათ განვჭვრეტდი, უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა ის განუზომელი შრომა, რაც საჭირო იყო ლინგვისტიკისათვის იმის საჩვენებლად, თუ რას აკეთებს იგი. იმავდროულად ნათელი ხდებოდა საკმაოდ დიდი ამოება ყველაფერი იმისა, რისი გაკეთებაც შეიძლება ლინგვისტიკაში. საბოლოო ჯამში, ენას აქვს მხოლოდ პიტორესკული მხარე, ის, რითაც იგი ყველა დანარჩენისაგან განსხვავდება, რადგან იგი მხოლოდ გარკვეული წარსულის მქონე გარკვეული ხალხის კუთვნილებაა. ეს ღამის ეთნოგრაფიული ასპექტი მინარჩუნებს ინტერესს და სიამოვნებას, რომელსაც ეს კვლევები, ყოველგვარი ქვენა აზრების გარეშე, განსაკუთრებულ ტკობას მანიჭებენ, სრულიად გარკვეული გარემოს კუთვნილებაა და სამწუხაროდ, ასეთი სიამოვნების მიღება ჩემთვის უკვე აღარ იქნება შესაძლებელი.

მიმოქცევაში არსებული ტერმინოლოგიის მნიშვნელობის სრული დაკარგვა, რეფორმის საჭიროება, რომელმაც უნდა უჩვენოს, თუ რას წარმოადგენს საერთოდ ენა [>>la langue en général<], გამუდმებით მიხშობს ისტორიული სიამოვნების განცდას. თუმცა იმაზე დიდი სურვილი არა მაქვს, ვიდრე ის, რომ ზოგადად ენასთან დაკავშირებით [>>la langue en général<] აღარ მეკამათონ.

ჩემი სურვილის წინააღმდეგ, ეს ყველაფერი წიგნით დამთავრდება, რომელშიც ყოველგვარი ენთუზიაზმისა და გატაცების გარეშე განვმარტავ, თუ რატომ არ არსებობს ლინგვისტიკაში თუნდაც ერთი ცნობა, რომელსაც რაიმე მნიშვნელობას განვუსაზღვრავდი. მხოლოდ ამის შემდეგ შემიძლია, და ამას ვადიარებ, ჩემს საქმეს დაეუბრუნდე და იქედან განვაგრძო, სადაც იგი შევწყვიტე.

ეგებ ეს უგუნური განწყობაა, რომელსაც დუვო განმარტავდა, რის გამოც, დაახლოებით ერთ წელზე მეტი ხნის მანძილზე გავაჭიანურე სტატიის გამოქვეყნება, რომელიც, საქმიდან გამომდინარე, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, გარდა იმისა, რომ ლოგიკურად უხამსი გამოთქმები თავიდან ავიცილე, რადგან რადიკალურ რეფორმას ეს აუცილებლად დასჭირდებოდა.

გიგზავნიტ [...]

ფერდინანდ დე სოსიური

4. იანვარი

ნება მიბოძეთ, მცირე პოსტსკრიპტუმი დავეურთო. თავაზიანობა გამოიჩინეთ და მაესტრო მიწოდეთ, რამაც ძალიან მაამა, თუკი, რასაკვირველია, ეს ტიტული როგორღაც დამიმსახურებია, მაგრამ ჩემთვის სხვა ტიტული უფრო მეტს ნიშნავს და, თუ თქვენც თანახმა იქნებით, კარგი იქნება, თუ დღეიდან როგორც მეგობრებს, ისეთი მიმოწერა გვექნება.⁴

ანტუან მეიეს

ენევა, 12 ნოემბერი, 1906

ჩემო ძვირფასო მეგობარო,

ნება მიბოძეთ, ვიდრე თქვენს წერილს ვუპასუხებ, კიდევ ერთხელ მადლობა გადაგიხადოთ. ჩემთვის იგი აქტუალურად რჩება. მსურს იმ გრძნობით გამსჭვალულ დამოწმებაზე ვილაპარაკო, რომელიც თქვენ ამ რამდენიმე თვის წინ Collège de France-ის ფარგლებში მოახდინეთ, როცა ჩემი სახელი თქვენი შესავალი სიტყვის ერთ პასაჟში მოხსენიეთ, რაც ჩვენს მეგობრობას პატივს სდებს. ამ, არა მარტო გულითადაც უფრო მეტი მნიშვნელობის სიტყვების, არამედ მთელი შინაარსითაც მშვენიერი მოხსენების გამო, თქვენთან წერილობით გასაუბრების სურვილი გამიჩნდა, რომლის ბედზეც არაფერს გეტყვით: ეს ანალოგიური იყო იმისა, რაც თქვენთვის ცნობილია. ასევე მეგობრული განზრახვით გსურთ ჩემი კანდიდატურა Conférences étrangères-სთვის, რომელიც Collège de France-ში გაიმართება, წამოაყენოთ. ეს კი დიდი პატივია, იგი ერთხელ უკვე შემომთავაზეს და ახლა ძნელი იქნება მისი აცილება. პრინციპში, ვლებულობ ამ წინადადებას. ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ეს შემოთავაზება დაზუსტდება იმით, რომ პიროვნებებმა, რომლებმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღონ, ეცოდინებათ, რომ საკუთარ

⁴ Cf, LAM, გვ. 93-96. (=B.027).

თავს ნიჭიერ ორატორად არ მივიჩნევ. იმ შემთხვევაში, თუ ეს მომენტი კოლეჯისათვის მნიშვნელოვანია, მაშინ გთხოვთ, ჩემი სახელი უკან გამოითხოვოთ. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ჩემი საკითხი მხოლოდ 1908 წლისთვის დაისმება, მხოლოდ იმიტომ, რომ შვეიცარიელ მეცნიერს, ბატონ ნავილს ამ საქმის დაწყების პატივი ჰქონდა. სხვათა შორის, ვხედავ (ეს უკვე პირდაპირ აღარ ეხება Collège de France-ს), რომ თქვენ „ნიბელუნგები“ მოიხსენიეთ, როგორც ჩემი კვლევის ერთ-ერთი სფეროთაგანი. ეს მართლაც ასეა! მაგრამ მოგწერეთ ამის შესახებ? ვფიქრობ, არა. ასე რომ ყოფილიყო, თქვენთვის, სულ მცირე, 25 გვერდის მოწერა მაინც დამჭირდებოდა, რასაც როგორღაც ვერ ვიხსენებ. თუ ამ მიმართულებით კვლევის დროს გამოვნახავ, ცხადია, ამ ლეგენდის შესახებ ისეთივე სიამოვნებით ვილაპარაკებდი, როგორღაც ლინგვისტიკის პრინციპებზე. მაგრამ, მეორე მხრივ, გამოკვლევას არანაირი კავშირი არა აქვს რელიგიის ისტორიასთან. ეს ხომ იმას ემსგავსებოდა, რომ ლეგენდები, როგორც ასეთი, ღვთიური არსებების ჩაურეგლადაც რელიგიის ისტორიაში ყოფილიყო ჩართული?! „ნიბელუნგების“ გერმანულ ვერსიებში ღვთიური პერსონაჟების არსებობა ცნობილი არ არის. ნორვეგიულ ვერსიებში კი ასეთი პერსონაჟები მხოლოდ დამატებულ ნაწილებში (ინტერპოლაციებში) გვხვდება. ჩემი მხრიდან კი წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი მითოლოგიური წარმომავლობისა. იმ შემთხვევაში, თუ საქმე რელიგიას შეეხებოდა, მასთან ცარიელი ხელით მივიდოდი, სულ მცირე, ჩემი ხედვიდან გამომდინარე, თუ საუბარი „ნიბელუნგებზე“ მიდგებოდა.

ვფიქრობ, რომიდან გამოგზავნილი ჩემი წერილი მიიღეთ.⁵ არ ვიცი, სციპიონის სამარხმა შთამაგონა თუ სხვა რამემ, მაგრამ ფაქტია, მთელი ჩემი დრო სატურნული ლექსის კვლევას მივუძღვენი, რომელმაც სრულიად სხვა დასკვნამდე მიმიყვანა, ვიდრე ეს ლუი ჰავეს ჰქონდა გაკეთებული.

თუ კეთილს ინებებთ, მეგობრულ სამსახურს იმით გამიწვევით, რომ ჰომეროსის პოეზიაში არსებული ანაგრამების შესახებ ჩემს ჩანაწერებს წაიკითხავდით, რომლებიც სხვა გამოკვლევებთან ერთად სატურნულ ლექსზე მუშაობის დროს ჩავიწერე. ამის გაკეთებას თქვენ ერთგულად გირჩევდით, რადგან ისინი მათთვისაა გათვლილი, ვისაც ისეთი იდეა აქვს, რომ თითქმის შეუძლებელია იცოდეს, ილუზიის მსხვერპლია იგი თუ მის იდეას საფუძვლად რაღაც ნამდვილი ან სანახევროდ ნამდვილი უძევს. მას შემდეგ, რაც ვილატეებისგან ფარული დაზვერვა ვიგრძენი, რომელიც შეიძლებოდა ჩემი ჰიპოთეზის გადასამოწმებლად ყოფილიყო გამოსადეგი, უკვე დიდი ხანია ასეთად თქვენ გთვლით. ამავდროულად იძულებული ვარ, ამ, შესაძლოა ილუზორული ჰიპოთეზის გასაიდუმლოება გთხოვოთ, მაგრამ შეგიძლიათ ამ მხრივაც მშვიდად იყოთ, რადგან მე თქვენ არ გაჩუმებთ. იმ შემთხვევაში, თუ ამას მხედველობაში მიიღებთ, შემდეგი საფოსტო გზავნილს ჩემგან 12-დან 15 გვერდამდე მიიღებთ. ეს ჩანაწერები მაინც მკითხველზე გათვლილი ხედვითაა შედგენილი და რაც მე წესად გავიხადე, არის ის, რომ, ასე ვთქვათ, პირველი კონტროლი ჩემთვის საპირისპირო მხარედან მქონდეს. ლიტერატურის თვალსაზრისით, სიძნელეები არ შეგუქმნებათ. სხვათა შორის, შემიძლია გითხრათ, რომ ყველაფრის წაკითხვა არც არის საჭირო და რომ მთელი მასალა ცალ-ცალკე სტატიებისაგან შედგება, რომელიც 8-10 გვერდს არ სცილდება. ნახეთ, თუ გექნებათ საამისო დრო, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამ დროისათვის გადატვირთული იქნებით, რაც წინასწარ გასათვალისწინებელია, რადგან Collège de France-ში და სხვა სკოლებშიც უამრავი ლექცია გეწვებათ, გულახდილად გამაგებინეთ. რაც შეეხება შეკითხვას, რომელსაც

⁵ შუად. ტექსტები, გვ. 436 f.f. (=B.071).

თქვენ მისვამთ, შემოძლია პასუხი მხოლოდ მადლობით დაგიმოწმთ, რაც წერილის დასაწყისშიც აღვნიშნე, 1908 წელთან დაკავშირებული წინადადება მიიღება მხოლოდ ლექციებთან დაკავშირებული ჩემს მიერ წამოყენებული პირობით.

თქვენი ერთგული
ფ. დე სოსიური⁶

ლუი ჰავეს

ჩემო ძვირფასო მეგობარო,

ეს-ესაა „ჟენევის ჟურნალში“ ვნახე, ამ გაზეთთან შეთანხმებით, როგორი გულისთადი სიურპრიზი მოუშადათ Mélanges de Linguistique-ს, მათ თანამშრომლებს და პირადად მეც.

